ევრაზიის იდუმალი ისტორია

ჩვენ ქართველები

განდხარვები ვართ...

ავტორი: ზურაბ ჭკადუა

ევრაზიის იდუმალი ისტორია,

ჩვენ ქართველები განდხარვები ვართ...

ტომი II

თბილისი 2021-წ.

მეორე კორექტირებული გამოცემა

რედაქტორი: გულიადა ჭკადუა

სარჩევი

ავტორისაგან ----------4

წინასიტყვაობა ----------6

ეტრუსკები----------7

შუმერი და ეგვიპტე----------143

ვინც მოყვრესა არ ეძებს...იბერები ----------298

ქუშანთა ტომი----------375

გელები---------- ----411

ასაკენები ----------437

ფინიკიელები ----------483

სვანები - ----------509

ალანები ----------528

მოსინეკ-მისიმიანები ---------- -----567

კოსალები ----------583

არგიველები-იგივე არგოსელები ----------585

აბზოის ტომი და სხვები ---------- 603

ამაზონები ----------632

შუმერები ----------698

ახაიელები ----------714

ებრაელები ----------729

ტროელები-რომაელები და სხვები ----------748

ლათინები ----------757

გორდა ----------772

რუქები ---------- 795

ავტორისაგან

დღეს უფრო წელგამარული მივმართავ საზოგადოებას, რამეთუ უკვე მეტ-ნაკლებად ცნობადი მკვლევარი გახლავართ: თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ერთეულებზე მეტი მკითხველი მყავს. წიგნის მეორე ციკლი წარმოადგენს ქართველური ტომის ისტორიას მის შორეულ საზღვრებზე, როგორც ქრონოლოგიურად, ასევე ტერიტორიულად. კვლევის სფერო მოიჩავს ქრისტემდე 30- 38 საუკუნემდე, ხოლო გეოგრაფიული არეალი მოიცავს მთელ დასახლებულ მსოფლიოს, თვინიერ ავსტრალიისა. ჩემი წინა ტომის მკითხველი მინდა გავახარო, რომ ყველა მინიშნება, რომელიც სცილდებოდა წინა წიგნის ფორმატს, ამ წიგნის გვედებზე ფაქტიურად სრულად იქნება ახსნილ - დასაბუთებული. მეორე ციკლი ფაქტიურად იმავე თემით იწყბა, როგორც პირველი-ეტრუსკებით. ეტრუსკების თემა-ესოდენ წინააღმდეგობრივი და ამოუხსნელი, გვევლინება ქართველური (და მსოფლიო) რასების წარმოშობის საიდუმლოს ამოხსნის წყაროდ. თემა, რომელიც დაკეტილი კარის და შესაბამისად საიდუმლოს მცველის ამპლუაში გვევლინებოდა, თავად აღმოჩნდა ამ საიდუმლოს გასაღები... არცთუ ისე ძნელი ჩანს კაცობრიობის წარსული ისტორიის სწორი წაკითხვა (თუნდაც ამ პოპულაციისა) თუმცა ჯერჯერობით ეს არ (და ვერ) გაკეთებულა:

„მელკიადესი ბიჭს რაღას არ უყვებოდა. სურდა მთელი თავისი მოძველებული სიბრძნე მისთვის გადაეცა. მანუსკრიპტის ამოკითხვაზე კი უარი უთხრა -ვიდრე ასი წელი არ შეუსრულდება ამ ხელნაწერს, მანამდე არავინ არ უნდა იცოდეს, აქ რა წერია თქვა მან... ძმებს ვერ ამოუკითხავთ პერგამენტი მარტო იმიტომ კი არა, რომ ნიჭი და ნებისყოფა არ ეყოთ, არამედ იმიტომ, რომ ნაადრევად მოკიდეს ხელი ამ საქმეს (გაბრიელ გარსია მარკესი; მარტოობის ასი წელიწადი)

კაცობრიობის ისტორიული წარსულის კვლევის ასეულობით წლების მიუხედავად, მსოფლიოს საუკეთესო სწავლულებმა ვერ შეძლეს ადამიანთა (ამ პოპულაციის) ისტორიის სწორი გაშიფრვა-გამოკვლევა...და რატომ?

„იმ ხანად პასუხად თქვა: გადიდებ მამაო, ცისა და მიწის უფალო, ვინაიდან ბრძენთა და გონიერთა დაუფარე ყოველივე და განუცხადე ჩვილ ბავშვთა“ (მათე, 11-25)

წინამდებარე ნაშრომში ჩვენს მიერ დაწვრილებით იყო მიმოხილული ქართველი ერის ისტორია, თუმცა ის ძირითადად შეიზღუდა დღევანდელი, არსებულ საქართველოს ფარგლებით (ცალკეული გამონაკლისების გარდა, როგორიცაა საბერძნეთი, იტალია, ესპანეთი, პორტუგალია და ახლო მოსაზღვრე რეგიონები) ფაქტიურად არ გვისაუბრია ქართველი ერის გენეზისზე და ამ გენის გავრცელებაზე დედამიწის სხვადასხვა კონტინენ-

ტზე. წიგნი მიზნად ისახავს, გამოიტანოს საშკარაოზე უპირველეს ყოვლისა ქართველური ერის, რასის (იმედია შემდგომ დანარჩენი მსოფლიოსიც) უუშორესი წარსული. პარალელურ რეჟიმში განხილული იქნება სხვა ერებიც (რასებიც). მკითხველს წინასწარ მოვუხდით ბოდიშს, რომ აქაც, ისევე როგორც პირველი ციკლის შემთხვევაში, იქნება საკითხები, რომელზე მსჯელობას ავტორი მეორე ციკლშიც მოერიდება (თუმცა ვპირდებით დაინტერესებულ მკითხველს, რომ მესამე და დამამთავრებელ ნაწილში ტაბუირებული თემები არ იარსებებს)

წინასიტყვაობა

ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი

1.დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად. რათა ყოვლისა ენისა ღმერთმან ამხილოს ამითა ენითა.
2.და ესე ენა მძინარე არს დღესამომდე და სახარებასდა შინა ამასა ლაზარე ჰქვია.
3. და სასწაულად ესე აქვს ას ოთხი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსვლისაგან ვიდრე დღესამომდე.

.....

10. და ესე ყოველი, რომელ წერილ არს, მოწამებრ წამოგითხარი, ას ოთხი ესე წელი, და წილი ანბანისაი. (იოანე ზოსიმე)

ეტიუდი

სწორედ იმ წელს, როდესაც გიორგის ბრძანებისამებრ სამი ეკლესია მოათავა ფარსმან სპარსმა სამცხეში, საქართველოს ჭილყვავი შემოესია. მეხის ღრუბელივით დააბნელა მან აღმოსავლეთი, შირვანიდან წამოსული ქვემო ქართლს მოედო, მტკვარს აღმა აჰყვა და ბასიანამდის მოაოხრა ნათესი. ახმობინა მეფემ ფარსმანი და უბრძანა მოესრა სირი. ტფილისი იმჟამად სარკინოზებს ეპყრათ, ფარსმანი ამირას კარზე იყო ნამყოფი, გიორგის მამას, ბაგრატ კუროპალატს, ტყვედ ჰყავდა ჯერ კიდევ სიყრმეში ჩამოყვანილი. ქვისმთლელთა და კირითხუროთა უხუცესი, იდუმალთა მომთხრობი იყო ფარსმანი, არაბულ ალქიმიაში განსწავლული, უებარი ვარსკვლავთმრიცხველი, შესანიშნავი აქიმი, მეწამლე და მჩხიბავი. ფრიად ბნელ ამბებს უკავშირებდნენ მის სახელს ცრუმორწმუნენი, იმასაც ამბობდნენ, გველი ჰყავსო ფარსმანს ლაგამამოდებული და ზემჯდომი დაქრისო იგი არაგვის ჭალებში. სამი კვირა ამზადებდნენ წამლებს ფარსმანი და მისი შეგირდები, ბოლოს ჯადოსნური რამ სითხე შეკაზმეს. მამასახლისებს დაურიგეს. ლეშები დააწამლინეს და ხეებზე გაატანინეს. გაუმაძღარი სირი მიეტანა მძორს და მოისრა სრულიად“
(კონსტანტინე გამსახურდია; დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენა)
სირი- ჩიტი, სირი სირაქლემას იტყვის....
ჩიტი-წვრილი ფრინველი
(სულხან- საბა ორბელიანი; ლექსიკონი ქართული) ...

ეტრუსკები

ეტრუსკები (თვითდასახელება რასენა)- უძველესი ცივილიზაცია, რომლითაც დასახლებული იყო ჩრდილოეთ აპენინის ნახევარკუნძული, ქრისტემ-

დე I საუკუნეს (რაიონი ძველი ეტრურია, დღევანდელი ტოსკანა) მდინარეებს, არნოსა და ტიბრს შორის, რომლებმაც შექმნეს განვითარებული კულტურა, რომის კულტურის წინა პერიოდში და რომელზეც ამ უკანასკნელმა დიდი გავლენა მოახდინა. რომაელებს ეტრუსკებისაგან უჩანთ შეთვისებული ხელოსნობა, მათ შორის თაღოვანი ნაგებობებისა, ასევე რომაული ტრადიციები გლადიატორთა ომებისა, საბრძოლო ეტლების სრბოლის შეჯიბრება, დაკრძალვის რიტუალები, ეტრუსკული წარმოშობისა ჩანს. (ვიკიპედია , თავისუფალი ბიბლიოთეკა)

სავარაუდო ცნობები მათი წარმოშობის შესახებ თეორიის არასრულფასოვნობის გამო დიდ ნდობას ვერ იწვევს. ეტრუსკებნის ვინაობის საკუთარი ვერსია გააჩნია უხუცეს ისტორიკოსს, ჰეროდოტეს (და როგორც ირკვევა უტყუარიც)

„ლიდიელები პირველები არიან, ვინც ჩვენ ვიცით, რომლთაც მოჭრეს ოქროსა და ვერცხლის ფული. ესენი იყვნენ პირველი წვრილვაჭრები. თვითონ ლიდიელები ამბობენ, რომ ელინებური თამაშობები მათი გამოგონილია. ამბობენ, რომ ეს გამოიგონეს მაშინ, როდესაც ტირსენიე (ეტრურია, ავტ) დაასახლეს. ხოლო ამის შესახებ შემდეგს ჰყვებიან: მანესის ძის, ატისის მეფობის დროს მთელს ლიდიაში საშინელი პურის ნაკლებობა იყო. ლიდიელები ერთხანს ითმენდნენ, ხოლო შემდეგ, რადგანაც არ გათავდა ეს შიმშილობა, გამოსავალს ეძებდნენ, ზოგი რას იგონებდა და ზოგი რას. მაშინ იქნა გამოგონილი კამათელის, ზარის, ბურთისა და ყველა სხვა სათამაშოების სახეები...გარდა კოჭებისა; აი ამის აღმოჩენას ლიდიელები არ იჩემებენ. შიმშილის წინააღმდეგ გამოიგონეს და შემდეგნაირად იქცეოდნენ: ორიდან ერთი დღე მთლიანად თამაშობაში ატარებდნენ, რათა არ მონდომებოდათ საჭმელი, ხოლო მეორე დღეს თავს ანებებდნენ და სჭამდნენ. ასე გაატარეს მათ 2 წელიწად ნაკლები 20. მაგრამ გაჭირვება მაინც არ შენელებულა, ის კი არა უფრო მეტად გამძაფრდა, ამიტომ მათმა მეფემ ყველა ლიდიელი ორ ნაწილად გაჰყო და კენჭი ხვდა მხოლოდ ერთს, ხოლო მეორე ნაწილს ერგო ქვეყნიდან წასვლა. იმ ნაწილს, რომელსაც წილად ხვდა დარჩენა, ის თვითონ დაუდგა სათავეში , ხოლო იმას, რომელიც უნდა წასულიყო, მან მეფედ დაუყენა თავისი შვილი, სახელად ტირსენი. ის ნაწილი, რომელსაც ერგო ქვეყნის დატოვება, წავიდა სმირნეში და ააგო იქ ხომალდები. დააწყო ზედ ყოველივე, რაც კი ესაჭიროებოდა ცურვისათვის და გასცურა სარჩოსა და მიწის საძებრად. მათ ბევრ ხალხს ჩაუარეს და მივიდნენ ომბრიკებამდე. აქ მათ დაარსეს ქალაქები და აქვე ცხოვრობდნენ დღემდე. ლიდიელების ნაცვლად მათ ახალი სახელი დაირქვეს იმ მეფის სახელის მიხედვით, რომელთაც ისინი თავის ქვეყანაში წამოიყვანა. მი-

სი სახელწოდების მიხედვით იწოდებიან ისინი ტირსენებად“ (ჰეროდოტე, ისტორია; წიგნი I-94)

ერთი შეხედვით ჰეროდოტეს წინამდებარე ციტატა აბსოლუტურ ნდობას უნდა იმსახურებდეს, თუმცა მეორეს მხრივ გარკვეული კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველსაც იძლევა:

1. ლიდიელების ექსპედიცია ახალი სამშობლოს საძიებლად, გაცილებით შორეულ ეპოქაში ჩანს განხორციელებული, ვიდრე ოფიციალური ვერსია. კერძოდ არა უადრეს ქრისტემდე XIII საუკუნეს, უფრო ზუსტად 1262 წ (1)
2. აღნიშნული პერიოდისათვის აპენინის ნახევარკუნძული, კერძოდ იტალია თითქმის აუთვისებელი ჩანს, თუმცა ჰეროდოტე თავისი ეპოქის გადასახედიდან იყურება და იმ დროისათვისა იქ მრავალრიცხოვან მოსახლეობას აღნიშნავს (თუმცა ომბრიკთა ტომის უძველესობას სხვა ავტორებიც აღნიშნავენ)
3. ჰეროდოტე ერთმნიშვნელოვნად ასახელებს ლიდიელთა ადრინდელ სახელწოდებას-მეიონები. ამ თემას ოდნავ მოგვიანებით დავუბრუნდებით, თუ ვინ არიან მეიონთა სხვა ტომები, მისთვის ცნობილი თუ უცნობი.
4. ის რომ ანტიკური რომაელი პოეტი ვირგილიუსი ეტრუსკებს მეიონებს უწოდებს და ამავე დროს მათ იტალიკობას უსვამს ხაზს, აშკარად მიანიშნებს: ეტრუსკები იტალიელები, ჭეშმარიტად მეიონ-ლიდიელები არიან და ჰეროდოტეს ვერსია აბსოლუტურ ნდობას იმსახურებს.

...და რატომ უწოდებენ ეტრუსკები საკუთარ ტომს რასენას?

... „მახაბხარატა“როგორც ასეთი....

უამრავი ლიტერატურა არსებობს ანტიკური ეპოქისა. ყველაზე არქაული ავტორი მათ შორის ჰესიოდეა ქრისტემდე VIII საუკუნის მეორე ნახევარი და VII საუკუნის პირველი ნახევარი...ჰომეროსი უმცროსიც ჩანს ჰესიოდეზე, მისი „ილიადა“ ქრისტემდე 686 წელზე ადრე ვერ იქნებოდა დაწერილი (ამაზე პირველ ტომში უკვე ვისაუბრეთ)... ჰომეროსი ქრისტემდე მხოლოდ XIII საუკუნის დასაწყისს გამართულ ბერძენ და მცირეაზიელთა დაპირისპირებაზე გვიამბობს ... თვით წიგნთა წიგნად ცნობილი ბიბლია ფაქტიურად აბრაამიდან იწყება ქრისტემდე XIX საუკუნეს...ბიბლიური პერსონაჟები ადამიდან აბრაამამდე, რომელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა ათეულ საუკუნეს აღწევს, მხოლოდ იმის მიმანიშნებელი ჩანს, რომ ბიბლიურ ეთნარქებში ასაკობრივი წყვეტაა-არ ახსოვს ბიბლიას შუალედური პერსონაჟები და მის გადაფარვას ბიბლიური ეთნარქების უჩვეულო დღეგრძელობით ცდილობს...ფაქტიურად, აბრაამს იქით დედამიწური ცხოვრება ჩვენთვის ტერა-ინკოგნიტაა... და ინდური ეპოსი „მახაბხარატა“... ეპოსს პრეტე-

ნზია აქვს, რომ ის ქრისტემდე XXXII საუკუნის რეალობას აღწერს, ცალკეულ ეპიზოდებში XXXVIII საუკუნემდეც გადახედვას ცდილობს... და ერთ შემთხვევაში იმდენად შორს, რომ ჯერჯერობით გახმოვანებასაც კი მოვერიდები... მკითხველს შევახსენებ, რომ მსოფლიოს უდიდესი ნაწარმოები „მახაბხარატა“ რამდენიმე ათეული საუკუნე ზეპირსიტყვიერების საშუალებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და ისე მოაღწია ეპოქამდე, როდესაც ინდურმა დამწერლობამ- სანსკრიტმა ეპოსი „დაატყვევა“- ქაღალდზე ასახა... ბრახმანი- სწავლული მხოლოდ ერთ შეგირდს, მოსწავლეს იყვანდა და აზეპირებინებდა... აზეპირებინებდა სახელდობრ „მახაბხარატას“ რომელიც ფაქტიურად დედამიწის ერთადერთ მატიანეს წარმოადგენს, ამ სიშორეზე „იხედება“... ყოველი დანარჩენი (გარდა ინდური კოსმოგონიისა) „მახაბხარატას“ ათეული (შესაძლებელია ათეულობით საუკუნითაც) ჩამორჩება: იგივე „რამაიანა,“„ბხაგავატ-გიტა“ და სხვადასხვა ინდური ვედები... 37 წელი „აზუთხვინებდა“ მოსწავლეს მასწავლებელი- ბრაჰმანი, ძირითადად „მახაბხატატას“ რომ მისგან მემკვიდრე- სწავლული ბრაჰმანი გამოეყვანა...სწავლის ესოდენ ხანგრძლივობა ტექსტის ზუსტი შესწავლისათვის იყო აუცილბელი, რათა ის უცვლელად გადასცემოდა შთამომავლობას...მაგალითს მოვიყვან: ძირითად ტექსტში მოყვანილია მეომართა ერთი ჯგუფი, **სანშაპტაკები**- შეფიცულები, უკან დაუხევარი მებრძოლები ... თანამედროვე ვერსიას ისინი **სამშაპტაკებად** აქვს შეცვლილი... ვითომცდა არაფერი, სულ ერთი ასო შეცვალა (ნ-მ) და ამ ტომის ვინაობაც ქრება, ზღაპრულ პერსონაჟად იქცევა უკვე... არადა ეპოსი სინამდვილის გადმოცემას ცდილობს, გარდა ზოგიერთი გმირის ჰიპერბოლიზირებული და ზღვარს გადასული განდიდებისა ...თავად ინდუსი მეცნიერები თვლიან, რომ ეპოსი ზუსტად XXXII-საუკუნეს -3102- წელს მომხდარ საყოველთაო ომს აღწერს...ევროპელი მკვლევარები ამ ომის მიმდინარეობას ქრისტემდე XV საუკუნედ თვლიან. ერთ მაგალითს მოვიყვან, რომელიც ინდურ ვერსიას მთელი 100% ამართლებს და გზადაგზა ორ მნიშვნელოვან თარიღსსაც აკორექტირებს... (სხვა კიდეც სხვაა, ამაზე მხოლოდ მესამე ტომში ვისაუბრებ) ეპოს „მახაბხარატაში“ ერთ-ერთი მოქმედი გმირი, კარნა სიტყვიერად კენწლავს მეორეს, მადრების ტომის მეფე შალიას, რომელიც თავად მოითხოვა მეეტლედ უძლიერეს წყვილთან, არჯუნასა და და მისი ეტლის მიმმართველ- კრიშნასთან შეტაკების წინ...კარნა აღწერს ინდოეთიდან დასავლეთით მდებარე არატას (ინდოეთის ფარგლებს გარეთ მდებარეს). არატაში ბახლიკებიბინა-. დრობენ, აქ განადგურებულია ბრაჰმას მცნება. მცხოვრებლები ბახლიკები არიან. მართალია შალია მადრების მეფეა, მაგრამ ბახლიკების ნათესავი (ამ ნათესაობის ხარისხზე მესამე ტომში ვისაუბრებთ)...და ზუსტად ამ ბახლიკებთან ნათესაობას აყვედრის შალიას... მკითხველს შევახსენებ, რომ

პლანეტა დედამიწაზე -3102- წელი დგას, ქრისტემდე...ამასთან, არატა ჯერ კიდევ არ იხსენიება სახელმწიფოს რანგში...და აი ქრისტემდე XXVII- საუკუნეს (ასეა მიჩნეული) შუმერები ილაშქრებენ...არატას წინააღმდეგ-ლუგალბანდას სარდლობით...შვიდ მთას გადაივლიან, სანან არატამდე- უკვე სახელმწიფომდე მიაღწევენ...არატას უკვე მეფე ყავს, ის არატას პატრონად იწოდება ... რასაკვირველია შვიდი მთა შუმერებმა სპარსეთის ზეგანზე გაიარეს, სანამ სპარსეთამდე-არატამდე მიაღწიეს... ამ სპარსელების პირველ სახელს, არატას აღნიშნავს ჰეროდოტე საკუთარ ისტორიაში...მთელი 100% მართლდება ინდური ვერსია ეპოს „მახაბხარატას“ შესახებ, რომ მოქმედება ნამდვილად - 3102- წელს ხდება...და კიდევ, შუმერებს თავიანთი ლაშქრობისას არატასაკენ ელამიტები არ შეხვედრიათ, რომლებიც ოფიციალური ვერსიით უკვე სპარსეთის ყურესთან ბინადრობენ... შესაბამისად, ელამიტები უფრო გვიან სახლდებიან აქ, ვიდრე შუმერების ლაშქრობა მოხდა არატისაკენ... სავარაუდოდ, ელამიტები სპარსეთის ყურეში ქრიტემდე XXVII საუკუნეს სახლდებიან, ხოლო უმერები არატააზე ქრისტემდე XXVIII-საუკუნეს ილაშქრებენ... მეგზური სავარაუდოდ ფინიკიელი ჩანს, რომელიც უკვე შუმერებთან ცხოვრობს და რომელზედაც ბეროსი გადმოგვცემს, თუმცა ის სხვა ტომელად ყავს მონათლული...აი ის მოკლე ცნობები, რაც ამ წიგნის გარშემო მინდოდა მეთქვა, სანამ თავად წიგნზე და მის პერსონაჟებზე გადავიდოდე...და ფრაგმენტები ამავე წიგნიდან:

უკიდურესად საინტერესო და საყურადღებო პერსონაჟებია განდხარვები (და აფსარები) ინდურ ეპოს „მახაბხარატადან“ (2). ამავე ეპოსის მიხედვით, განდხარვები (და აფსარები) ნახევარღმერთებია, ფიზიკური და გონებრივი მონაცემებით დიდად აღმატებული ადამიანებზე: (ადამის შვილებზე)

„ამავე დროს დაიჭირა (სექსუალური) **კავშირი მანეკასთან განდხარვების მეფემ ბიშვავასუმ. ო ბრძენო ბრახმანო! და განსაზღვრულ დროს, ბხრიგუს ჩამომავალო, აფსარა მანეკამ შვა მისი ჩანასახი (მახაბხარატა, ადიპარვა- 8)**

აფსარა მანეკას და განდხარვა ბიშვავასუს ასული ხდება რურუს (პანდავების და კაურავების სამეფო დინასტიის დამფუძნებელი უუძველეს ინდოეთში, ეპოს „მახაბხარატას“ პერსონაჟები) დანიშნული, თუმცა დაკბენილი გველის მიერ, საცოლედვე კვდება. რურუს თხოვნით, ღმერთების მოციქული და განდხარვთა მეფე მიდიან უზენაესთან, გადასცემენ რურუს თხოვნას, რომ ის მზადაა გაუყოს თავისი სიცოცხლის ნახევარი საცოლეს. რურუს თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. როგორც მკვლევარისათვის ცნობა იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც ეს განდხარვთა პირველი ხსენებაა აღნიშნულ ეპოსში და ნიშანდობლივია, რომ ნახევარღმერთ

განდხარვას (განდხარვთა მეფეს) თხოვნით შეუძლია მიმართოს უშულოდ უზენაესს... ამასთან, ეპოს „მახაბხარატას“ პერსონაჟები, ინდოელთა პირველი მეფეები განდხარვების გენეტიკის მატარებლები ჩანან...

„ცნობილია, რომ ბრახმას ყავდა ექვსი სულიერი შვილი, დიადი ბრძენები: მარიჩი, ატრი, ანგირასი, პულასტია, პულახა და კრატუ. მარიჩის ყავდა შვილი კაშიაპა, ხოლო კაშიაპადან მომდინარეობენ ეს მიწიერი არსებები. დაკშა-საგან დაიბადნენ ცამეტი ქალიშვილი, დაჯილდოებული წილით: (სიკეთით) ადიტი, დიტი და დანუ, კალა, ალაიუსი, სინხიკა და მუნი...ადიტისაგან წარმოიშვნენ თორმეტი ადიტი, სამყაროს მბრძანებლები; მე ჩამოგითვლი მათ სახელებით. ესენია: დხატრი, მითრა და არიმანი, შაკრა, ვარუნა და ანშა, ბხაგა, ვივასვანი და პუშანი. მეათე-სავიტარი, მეთერთმეტე- ტვაშტრი და შემდგომ მეთორმეტე-ვიშნუ. უმცროსი ადიტთაგანი აღემატებოდა ყველას მათ ღირსებებით.

ერთი შვილი დიტისა იწოდება ხირიანაკაშიპუ. მას ყავდა ხუთი კეთილშობილი შვილი განთქმული სახელებით....

დანუს ყავდა ორმოცი შვილი, ცნობილი ყველგან, ო ბხარატა! უფროსი მათგან იყო ვიპრაჩიტტი, დიდი სახლის დამაარსებელი. იყვნენ ასევე ცნობილი დანავები: შამბარა, ნამუჩი და პულომა, ასილომანი და დურჯაია, აიხშირასი, ახვაშირასი და მძლავრი აიახშანკუ....

...შემდეგ ბხიმასენა და უგრასენა , სუპარნა და ვარუნა, გოპატი, დრიტარახშტრა და სურია ვარჩასი- მეშვიდე: პატრევანი, არკაპარნა და პრაიუტა, ასევე ბხიმა და ჩიტრარატხა, სახელგანთქმული, ყოვლისმცოდნე და მშვიდი; ასევე შალიშარასი, ო მეფეო და პრადიუმნა- მეთოთხმეტე, მერე კალიმეხუთმეტე და ნარადა-მეთექვსმეტე, ესენი ღმერთები და განდხარვებია, ცნობილი როგორც მუნის შვილები“ (მახაბხარატა, ადიპარვა-53 თქმულება პირველი დაბადებისა)

საინტერესოა, რომ იმავე ჰეროდოტეს მიერ აღწერილი ეგვიპტური ღმერთთა პანთეონის რიცხვი თითქმისა აბსოლუტურად ემთხვევა ეპოს „მახაბხარატას“ ზემოთ მოყვანილ ვერსიას (თუ აბსოლუტსაც მისივე სულიერ შვილებთან და კაშიაპასთან ერთად ვიგულისხმებთ)

„ ელინთა შორის ყველაზე ახალგაზრდა ღმერთებად მიჩნეული არიან ჰერაკლე, დიონისე და პანი, ხოლო ეგვიპტელთაგან პანი უძველესი ღმერთია და ერთი პირველი რვა ღმერთთაგანი. ჰერაკლე განეკუთვნება მეორე რიგის ღმერთებს და ერთი თორმეტ ღმერთთაგანია, რაც შეეხება დიონისეს-ის მესამე რიგის ღმერთთაგანია, რომლებიც წარმოიშვნენ 12 ღმერთთაგან.“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II -14)

როგორც ირკვევა, ინდური და ეგვიპტური ღმერთების რიცხვის და თანრიგის დამთხვევა შემთხვევითი საკითხი არაა და ამავე წიგნის ფურც-

ლებზე იქნება განხილული. საყურადღებოა, რომ ადიტის შვილები ინდ-ური კოსმოგონიის მიხედვით, მეორე საფეხურის ღმერთები არიან. დიტის შვილები, შემდგომში დაიტებად ცნობილნი, ასევე ღვთიური წარმოშობის-ანი არიან, თუმცა ისინი იკავებენ უფრო ქვემო საფეხურს, ვიდრე ადიტ-ები. დაიტების დონის ღმერთები ჩანან დანავებიც, დანუს შთამომავალნი, რომლებიც დაიტების გვერდზე იკავებენ იერარქიას. ამავე საფეხურის ღმე-რთები ჩანან განდხარვები, თუმცა ამ უკანასკნელთ სრულიად სხვა დატ-ვირთვა გააჩნიათ დედამიწაზე და ადამის შვილებზე მაღლა იკავებენ იერაერქიას (3)

აუცილებელი ჩანს რეალობის დაფიქსირება, რომ დაიტები, დანავ-ები, განდხარვები ერთი წარმოშობისა ჩანან: მათი საერთო მამა და სული-სჩამდგმელი კაშიაპაა, უზენაესის სულიერი შვილის, მარიჩის ვაჟი, ხოლო დედები დაკშას (დედამიწის პირველყოფილი გონიერი არსების, პრაჩეტა-სის ჩამომავალი) ქალიშვილები, ალალი დები... უფრო მეტიც, ისინი ასეთ-სავე რანგის ნათესაობას ამჟღავნებენ ადიტებთანაც, დედამიწის მეორე რი-გის 12 ღმერთთან...ღმერთების შთამომავალნი და თავადაც ნახევარღმერთ-ები დედამიწაზე პრივილიგი რებულ მდგომარეობაში იმყოფებიან:

„პირველად მე მოგიყვები შენ, ხალხთა მბრძანებელო, ყველა იმ ციურ მცხოვრებლებზე და დანავებზე, რომლების <u>გარდაისახნენ ადამიანთა შო-რის.</u> უძლიერესი დანავთა შორის, რომელიც ცნობილია ვიპრაჩიტტის სა-ხელით, გახდა უკეთესი ხალხთა შორის, სახელგანთქმული ჯარასანდხას სახელის ქვეშ. ხოლო ის შვილი დიტისა, რომელიც იხსენიება როგორც ხი-რანიაკაშიპუ, დაიბადა მსოფლიოში, ხალხთა შორის როგორც შიშუპალა, ხარი მამაკაცთა შორის. ხოლო ის, რომელიც ცნობილი იყო როგორც სა-მხარადა, უმცროსი ძმა პრახრადისა-დაიბადა უკეთესი ბახლიკთა შორის, სახელით შალია, ხოლო ბრწყინვალე ანუგრადა, რომელიც ცნობილი იყო როგორც ყველაზე უმცროსი (ძმებს შორის) გახდა ადამიანთა მბრძანებე-ლი, სახელგანთქმული დრიშტაკუტუს სახელის ქვეშ. ხოლო ის შთამომ-ავალი დიტისა, მეფეო, რომელიც სახელგანთქმული იყო როგორც შიბი, გახდა მეფე დედამიწაზე, სახელით დრუმა. ხოლო ის, რომელიც იყო სა-უკეთესო ასურებიდან და ატარებდა სახელს ბაშკალა, გახდა ხალხის მბრძანებელი, სახელგანთქმული ხალხთა შორის როგორც ბხაგადატტა. აიახშირასი, აშვაშირასი და მძლავრი აიახშანკუ, გაგანამურდხანი და მეხ-უთე-ვაგავანი, ეს ხუთი დიდი და მძლავრი ასურები დაიბადნენ კეკაიის შორის, როგორც სახელგანთქმული მეფეები, საუკეთესონი უკეთესთა შო-რის. ხოლო სხვა (ასურა) სრული სიდიადით, რომელიც ცნობილი იყო კეტუმანის სახელით, გახდა მეფე დედამიწაზე ამიტაუჯასის სახელით. ის დიდი და ცნობილი ასურა, რომეელიც ატარებდა სახელს სვარბხანა, გახ-

და მბრძანებელი ხალხისა , სახელით უგრასენა, სახელგანთქმული საშინელი საქმეებით. დიადი ასურა, რომელიც ცნობილი იყო სახელით აშვა, გახდა (დედამიწაზე) მძლავრი და მამაცი მეფე სახელით აშოკა, ხოლო უმცროსი ძმა მისი, დიტის შთამომავალი, რომლის ატარებდა სახელს აშვაპატი, გახდა მეფე ხარდიკია, ხარი მამაცთა შორის.

ის საუკეთესო რაკშასთა შორის, რომელიც ცნობილი გახდა სახელით ტუხუნდრა, გახდა ადამიანთა მბრძანებელი სახელით სენებინდუ.... მძლავრი ასურა ვირუპაშკა, დიტის შთამომავალი, გახდა მეფე დედამიწაზე ჩიტრავარმaნის სახელით...საუკეთესო დანავთაგანი, რომელიც იწოდებოდა დირგხა ჯიხვა, გახდა დედამიწაზე მეფე, ცნობილი კაშირაჯად... დიადი ასურა, დაჯილდოებული ჭკუით, საუკეთესო მეფე ბრძენებს შორის. შემდეგი მათგან რიგით გახდა ცნობილი მიწაზე თვით ოკეანის საზღვრამდე სახელით მეფე სამუდრასენა, მცოდნე არსისა სამართლიანობისა და სასარგებლოსი... ის (ცის მცხოვრებთაგან) რომელიც ცნობილი იყო სახელით დევაკა, აღმატებულობით მსგავსი ღმერთების მეფისა, დაიბადა დედამიწაზე უზენაეს მეფედ, განდხარვთა მბრძანებლად...ის, მტრების გამანადგურებელი-სასტიკი, ფიცის ერთგული, რომელიც იყო კრიშნას გვარის გამგრძელებელი, დაიბადა ღმერთების- მარუტების რიგში...ის შვილი არიშტისა, რომელიც ცნობილია ხაისას სახელით, დაიბადა (დედამიწაზე) განდხარვთა მბრძანებლად, კურუს გვარის გამამრავლებელი (4)...იცოდე ასევე, რომ შიკხანდინი , რომელიც იყო (თავიდან) ქალი, ხოლო (შემდეგ) მამაკაცი, რაკშასი იყო (5) ...ხოლო იმ ჯიშიდან (აფსარები) ო მეფეო, რომელიც ნახსენები იყო ჩემს მიერ, ასევე გარდაისახნენ დედამიწაზე ინდრას ბრძანებით. ის თექვსმეტი ათასი ღმერთი (ქალი) ო ადამიანთა მბრძანებელო, ადამიანთა სამყაროში გახდნენ ნარაიანას მეუღლეები“ (იქვე, ადიპარვა 61)

ბალანსი დედამიწაზე დროებით დამყარებული ჩანს, დაიტ-დანავები, რომლებიც დედამიწაზე უმცირესობაში აღმოჩნდნენ, აღმატებული თვისებების გამო საკმაოდ მალე დედამიწის ხალხებს შორის საკვანძო მდგომარეობას იკავებენ. დამყარებულ ბალანსი მისაღები ჩანს უზენაესი გონისათვის, თუმცა მალე მდგომარეობ კარდინალურად შეცვლილი ჩანს:

„მათ შორის, როგორც კეთილად ვითარდებოდა ადამიანთათა სამყარო, ო ხარო ბხარატას ჯიშიდან, ასურებმა დაიწყეს დაბადება მეფეთა საგვარეულოში. დაიტებმა, მრავალჯერ დამარცხებულნი ომში ადიტებისაგან და ძლიერება წართმეულები, დაიწყეს გარდასახვა აქ მიწაზე (6). ეშმაკმა ასურებმა, რომლებსაც სურდათ მბრძანებლობა ადამიანთა შორის, დაიწყეს დედამიწაზე დაბადება ამა თუ იმ არსების სახით, ო მბრძანებელო: ძროხასა და ცხენებს შორის, ო მეფეთ-მეფეო, ვირებსა და აქლემებს შორის, კამეჩებს

შორის, სისხლისმსმელ მხეცებს შორის, სპილოებსა და ანტილოპათა შორის და უკვე დაბადებული (არსებების) გამო, დედამიწის მბრძანებელო, და მათგანაც, ვინც იბადებოდა დედამიწა არ იყო შემძლე მათი დატევისა. შემდეგ რამდენიმე ჩამომავალი დიტისა და დანუსი, რომლებმაც ცა დაკარგეს, დაიბადნენ აქ მეფეებად, მფლობელნი სიმძლავრისა. ღებულობდნენ რა სხვადასხვა სახეს, ისინი ძლიერები და უხეშები, შემძლენი მოწინააღმდეგის განადგურებისა, წალეკეს ეს ქვეყანა ტყით ოკეანის საზღვრამდე. საკუთარი ძლიერებით შეავიწროვეს ბრახმანები (სწავლულები) კშატრიები (მეომრები) ვეიშები (მიწათმოქმედ-ხელოსან-ვაჭრები) და შუდრები (მოსამსახურეები) ასევე ჩაგრავდნენ სხვა არსებებს. აფრთხობდნენ და კლავდნენ ამათაც და იმათაც, ისინი მეფეო, ასეულობით და ათასეულობით გავრცელდნენ ყველგან დედამიწაზე. ურწმუნონი, ამაყნი თავიანთი ძალით და მთვრალნი დიდი შეძლებით, ისინი შეურაცხყოფდნენ ყველგან თვით დიად რიშებსაც (წმინდანებს) რომლებიც თავიანთ სამყოფელში იმყოფებოდნენ. და ამ დედამიწამ, მძლავრი ასურების დაჩაგრულმა, ძალით და სიმძლავრით გათამამებულნი, დედამიწის მფარველო, მიმართა ბრახმას (აბსოლუტს)...და მან დაინახა ღმერთი ბრახმა, მუდმივი მბრძანებელი სამყაროსი, გარშემორტყმული ღმერთებით, ბრახმანებით და დიადი რიშებით, დაჯილდოებული დიადი წილით, და განდიდებულნი აღტაცებული განდხარვები და აფსარები, შექებაში გაწაფულნი... და უთხრა ო მაჰარაჯა დედამიწას, სამყაროთა მბრძანებელმა, შემქმნელმა და მბრძანებელმა ყველა არსებისა (წოდებულნი ასევე) იშა, შამბხუ, და პრაჯაპატი: საქმე, რომლის გამო შენ მოხვედი ჩემთან, განძის მატარებელო, მე მივანდობ ჩემს ციურ მცხოვრებლებს) უთხრა ასე დედამიწას და გაუშვა იგი. მეფევ, ბრახმამ ყველა არსების შემქმნელი, თავად მოიხმო ყველა ბრძენი და თქვა : რომ შევამსუბუქოთ დედამიწის ტვირთი, გარდაისახეთ ყოველი ცალკეული ნაწილებით ასალაგმავად (ასურებისა) ასევე შეკრიბა დასტა განდხარვებისა და აფსარებისა, უთხრა ყველას მბრძანებელმა ასევე დიდებული სიტყვა: საკუთარი სურვილით გარდაისახეთ ადამიანთა შორის ყველა თქვენი ნაწილით (იქვე, ადიპარვა 58) (6*)

როგორც „მახაბხარატას“ მიყვანილი ციტატიდან ირკვევა, განდხარვებს (ამ ნახევარღმერთებს) უზენაესმა სრული გაადამიანურება უბრძანა. ცხადია ამ მოყვანილი მომენტიდან თვით კურუქშეტრას ომამდე (32 საუკუნე ქრისტემდე) განდხარვები ადამიანების (დედამიწელების, ადამის შვილების) მფარველებად, მოკავშირეებად გვევლინებიან დაიტ- დანავთა წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ კურუქშეტრის ომით, რომელიც ფაქტიურად დაიტ-დანავთა ძალაუფლების შესასტებლად დაწყებული ომია, რომლის დამთავრების შემდგომ გადარჩენილნი ნიველირებული ჩანან ადამი-

ანებს შორის. კურუქშეტრას ომი მათსავე დაპირისპირებასაც გულისხმობს: ორივე მეომარ მხარეს, პანდავებსა და კაურავებს შორის მრავლად მოიპოვებიან დაიტ-დანავები. როგორც ირკვევა, ასეთივე სიტუაციაა განდხარვებთან მიმართებაშიც, ორსავე მხარეს თითქმის თანაბრად მონაწილეობენ განდხარვყოფილებიც, უკვე ადამიანთა სხვადასხვა ტომებში განბნეულნი... თუმცა ზეციური პრივილიგიები ზოგიერთ პერსონაჟს შენარჩუნებული უჩანს, მათ შორის უზენაესის აპარტამენტში ყოფნისა, მისი სტუმრების ცეკვა-სიმღერით გართობისა. ამასთან, ზოგიერთი განდხარვა ინარჩუნებს მფრინავი ეტლის ფლობის უფლებასაც კი... (დედამიწაზე არსებულ რასათა შორის არსებულ განსხვავებათა მიზეზების შესახებ წიგნის მესამე -და ბოლო ნაწილში ვისაუბრებთ...)

„იქ მათრობელა განგის წყლებში, ერთობოდა განმარტოებულ ადგილას საკუთარ ცოლებთან, ერთობოდა საწყალოსნი თამაშობებითაც მეფე განდხარვებისა. მან გაიგონა ხმაური მათგან, როდესაც ისინი უახლოვდებოდნენ მდინარეს და შეშფოთებული ამ ხმაურით, გაბრაზდა მძლავრი მძლავრთა შორის. დაინახა აქ პანდავები, მტერთა დამთრგუმნველები, მათ დედასთან ერთად, მან მოზიდა რა თავისი საშიში მშვილდი, უთხრა მათ ასეთი სიტყვა: სქელი ბინდი, რომელიც დგება ღამის პირველი ნაწილის გასვლის შემდეგ, წარმოადგენს გარდა ოთხმოცი ტრუტისა, დროის იმ მონაკვეთს, რომელიც დადგენილია მოხეტიალე იაკშებს (ელფები) განდხარვებისა და რაკშასებისათვი ს (დევები) დანარჩენი (დრო) განსაზღვრულია ადამიანთა თავისუფალი მიმოსვლისათვის, და თუ მამაცნი სიხარბის გამო აწარმოებენ მიმისვლას იმ (აკრძალულ) წუთებში, ჩვენ რაკშასებთან ერთად თავს ვესხმით ამ სულელებს და ვიჭერთ მათ. ამიტომ ხალხი, მიმდევარნი ბრახმისა, მსჯავრს სდებენ ყველა ადამიანს, რომლებიც მიუახლოვდებან წყალს ღამე. და თვით მეფეებსაც, მყოფთ ჯართან ერთად. მომშორდით შორს, არ მომიახლოვდეთ. ნუთუ არ იცით თქვენ, რომ მე ვიმყოფები ბხაგირატის წყლებში. ცნობთ ჩემში განდხარვა ანგარა- პარნას (7) რომელიც ეყრდნობა საკუთარ ძალ-ღონეს. მე პატივცემული და ეჭვიანი ვარ, მე საყვარელი მეგობარი ვარ კუბერასი (განძის მცველი, უკვდავი) **და ეს საოცარი ტყე ჩემია , განგისა და ვაკის სანაპიროზე, სადაც ვბანაობ მე, ასევე წოდებული ჩიტრარატხად. არც მკვდრები არც რქიანი არსებები, არც ღმერთი და არც ხალხი არ მიუახლოცდება აქაურობას, და რატომ უახლოვდებით თქვენ?“ (იქვე, ადიპარვა 158)**

არჯუნა შეეპასუხა განდხარვთა მეფეს, შეახსენა რომ მდინარე წმინდაა, ღვთაებრივია, მიედინება ზეცაშიც. მას შეუძლია მიგიყვანოს ზეცამდე, არა აქვს საზღვარი და რატომ ცდილობს განდხარვა მის შემოსაზღვრას? შეპასუხებით გაბრაზებულმა განდხარვამ ისრები დაუშინა არჯუნას.

თუმცა ამ უკანასკნელმა ანთებული მაშხალით და მტკიცე ფარით მოიგერია ისინი. არჯუნამ თქვა:

„არ არის ღირსეული ო განდხარვა, ასეთი დაშინების საშუალება გამოიყენო იარაღი მცოდნეთა მიმართ, ვითარმე იარაღის მცოდნეთა წინააღმდეგ გამოყენებული ის განიბნევა, როგორც ნაფოტი. მე ვიცი განდხარვა, რომ განდხარვები ჯობნიან (ძალ-ღონეში) ყველა ადამიანებს. ამიტომაც მე ვიბრძოლებ შენს წინააღმდეგ ღვთიური იარაღით და არა ეშმაკობით“ (იქვე)

არჯუნამ ბრაზით ესროლა მბოლავი ცეცხლის იარაღი და დასწვა განდხარვას ეტლი. დამარცხებულ და დარეტიანებულ განდხარვას თმებში ჩასჭიდა ხელი და მოათრია თავის ძმებთან. საქმეში ჩაერია განდხარვას მეუღლე, სახელით კუბხინასი და სთხოვა იუდიშტხირას მისი შენდობა. იუდიშტხირამ ქალს თხოვნა შეუსრული და არჯუნას განდხარვას დანდობას სთხოვა, რაზედაც ამ უკანასკნელმა უფროს ძმას უარი არ უთხრა, დამარცხებულმა და შეწყალებულმა განდხარვამ არჯუნას სიტყვით მიმართა:

„ შენგან დამარცხებული, მე ვუარყოფ ჩემს პირდაპირ სახელს ანგარაპარნას (წითელ ფრთიანი) ვინაიდამ მე არ შემიძლია ვილხინო ვერც ჩემი ძალით და ვერც სახელით ადამიანთა ერთობაში. კარგია, გამოვცადე ჩემზე უპირატესობა მისი, რომელიც ატარებს ღვთიურ იარაღს. მე ვისურვებ გავუნაწილო აღმატებულ (გმირს) განდხარვთა ჯადოქრული ძალა. ჩემი საოცარი და წარმატებული ეტლი დამწვარია ცეცხლით (შენი) იარღისაგან. მე ადრე ვატარებდი სახელს <u>ჩიტრარატხა</u> (საოცარი ეტლის მფლობელი) მე (ახლა) გავხდი <u>დაგდხა რატხა</u> (მფლობელი დამწვარი ეტლისა) ...რაც კი არ უნდა მოისურვოს (ამ მეცნიერების მფლობელმა) დაინახოს საკუთარი თვალით სამ სამყაროში, მას შეუძლია დაინახოს, და ვინც არ უნდა მოისურვოს იხილოს, ის ნახავს ყოველთვის ...(თვალით უხილავი) მე გადმოგცემ მას თვითონ, აღქმის შესასრულებლად ამ მეცნიერების წყალობით, მეფეო, ჩვენ განვსხვავდებით ადამიანისაგან და არ განსხვავდებით ღმერთებისაგან „ (იქვე, ადიპარვა 158)

სდექ! აქ შევჩერდეთ! მოცემული ეპიზოდი საკმაოდ ფართო დიაპაზონის განხილვას მოითხოვს:

1. ცალკეულ წყაროებში ჩიტრარატხა- თარგმნილია როგორც ჭრელი ეტლი. მართლაც თანამედროვე ჰინდუ ენაზე ჩიტრა-ჭრელს ნიშნავს. დამეთანხმებით, მცნება ჭრელი საკმაოდ განსხვავებულია საოცარისაგან!
2. ამავე ეპოსში რატხინი-განმარტებულია როგორც ეტლოსანი მეომარი, შესაბმისად რატხა-ეს მართლა ეტლია, ხოლო ჩიტრა- მთელი ასი პროცენტით აღნიშნავს ჭრელს.

3. ამავე გენეზისისა ჩანს სლავური სიტყვა რატნიკი, რომელიც სამხედროს აღმნიშვნელად იხმარება. უძლიერეს ეტლოსან მეომარს ეპოს „მახაბხარატ-აში“ ატირატხა ეწოდება, ტერმინი რომელიც ძალიან ემსგავსება ქართულ ათი რატხას, ათი ეტლოსანის ტოლ მეომარს...

4.დაგდ-ხა, ეს ტერმინი კი პირდაპირ დამწვარს აღნიშნავს და ასევე საოცრად ეხმიანება ქართულ დადაგულს...

5. ...და რატომ არის განდხარვების მეფის ნამდვილი სახელი ანგარაპარნა? (წითელფრთიანი) რაში სჭირდება მას ფრთები, თანაც წითელი?

საქმე იმაშია, რომ განდხარვების მეფის მფრინავი ეტლი არა ერთგზის არის აღნიშნული ამავე ეპოსში...როგორც ჩანს, მეფე ანგარაპარნასათვის (წითელფრთიანი) შერქმეული სახელი ჩიტრარატხა-ჰინდუ ენაზე არასწორად იკითხება, ის არა ჩიტრა-რატხაა, ჭრელი ეტლი, არამედ ჩიტ-რარატხა, მფრინავი რარატხა, მფრინავი ეტლია! ასევე არასწორად ჩანს გადმოცემული ტერმინი და-გდხა-რატხა, დაგდ-რარატხა, ასე უნდა წარმოქვამდეს ამ ტერმინს თავად განდხარვა... და თავად რარატხა-ძალიან ახლოს დგას ასევე ქართულ ტერმინ რახრახ-თან, რომელსაც მხოლოდ მოხმაურე (ეტლივით ხრიგინით მოსიარულე) ტრანსპორტზე იტყვიან დღესაც საქართველოში... და ასევე ისტორიაში ცნობილი სახელი ელამელთა მეფისა-აღმოსავლეთ ქართველთა წინაპარი ტომისა, ხუმბატ ტახრახი- ხუმბატ ეტლოსანს უნდა ნიშნავდეს...სირი-ეს მფრინავი არსების იბერიული (კოლხური) სახელი უნდა იყოს, ჩიტი- კელტური (ქართული)

…და კიდევ, განდხარვა ჩიტრასენა, იგივე ანგარაპარნა საუბრობს განდხარვთა ტელეპატიური ხედვის უნარზე, რომლითაც ისინი განსხვავდებიან ადამის შვილებისაგან და ემსგავსებიან ღმერთებს...როგორც ჩანს, უზენაესის მიერ ნაბრძანებ სრულ გაადამიანურებამდე ყოველი განდხარვა ფლობდა ამ თვისებას, რომლის დაბრუნება მხოლოდ ანგარაპარნამ შეძლო დიდი მეცადინეობის შედეგად (იგივე თვისებისა ჩანს სანჯაია გავალგანის ძე, საბრძოლო ეტლის დიადი მიმართველი, რომელიც მეფე დრიტირახშას უყვება ომის მსვლელობის ეპიზოდებს, მათგან ათეულონით კილომეტრის მოშორებით მიმდინარეს) შესაბამისად, ქართული სიტყვა ამტკიცებს, რომ განდხარვთა ენაზე (აქ განდხარვთა მფრინავ ეტლზე და შესაბამისად მის განდხარვულ ენაზე დასახელებასთან გვაქვს საქმე). ჩიტ- რარატხა, ეს მფრინავი ეტლია...და მაინც რატომ რასენა?

… ისევ ეტრუსკები...

„ხოლო ლიდიელებს ელინების მსგავსი იარაღი ჰქონდათ. ლიდიელები მეიონებად იწოდებოდნენ, ხოლო შემდეგ სახელი გამოიცვალეს, ატისის

ძის, ლიდოსის მიხედვით დაერქვათ მათ ახალი სახელი " (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი VII-74)

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ლიდიელ-მეიონები ის ხალხია, რომელიც იტალიას ასახლებს და ეტრუსკების სახელს იძენს. თანამედროვე მეცნიერთა მტკიცება, რომ მათ გაშიფრეს ლიდიური ენა და ის არ აღმოჩნდა მსგავსი ეტრუსკულისა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს:

1. როგორც გავარკვიეთ, მეიონთა გადასახლება ქრისტემდე XIII საუკუნეს ხდება, შესაბამისად თითქმის მთელი ათასწლეულით შორდება ეტრუსკული ენა მეიონურს, შესაბამისად ამ ორ ენას შორის სხვაობა აშკარად საგრძნობი უნდა იყოს.

2.თვით ეტრუსკული ენაც საკმაოდ დიფერენცირებული უნდა ყოფილიყო. უკვე ანტიკურ პერიოდში აღნიშნავდნენ ავტორები აშკარა სხვაობას რეტიულთან, თუმცა ორივე ეტრუსკულის ცალკეული დიალექტები იყო. ასევე აშკარა სხვაობა უნდა ყოფილიყო საბაზო ეტრუსკულისაგან ვეის და კომპანიის ეტრუსკების ენაც, თუმცა ერთიც და მეორეც საერთო ეტრუსკული სახელებით იხსენიება.

3. ანტიკური იტალიკური პოეტის, ვირგილიუსის მიხედვით, რომელიც მოღვაწეობდა წელთააღრიცხვების გასაყარზე, ეტრუსკები- ეს იტალიკებია და ამავე დროს მეონებიც. აქ დაეჭვებაც კი წარმოუდგენელია. (იხილეთ პირველი ტომი)

„კაბელ -მეიონებს, ლასონიებად წოდებულებს, ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც კილიკიელებს (იქვე-77)

საინტერესოა, რომ რუსულ (და ალბათ ლათინურ ენაზეც) კაბელ-მეიონებს ლასონიები ეწოდება, მაგრამ...მაგრამ ამავე ტექსტის განმარტებაში, ამავე წიგნში: **კაბელები-II სატრაპიაში შემავალი ტომი, იგივე მეიონები, იასონიელებად წოდებულნი...**

ასეთი განმარტებაა მოცემული ჰეროდოტესთანვე. სავარაუდოდ, ლათინური ასო I წაკითხული ჩანს ლათინურივე L-ად. რაც შეეხება იასონიას, მას ასე ახასიათებს მოგვიანებით სხვა ისტორიკოსი:

„თუ გაცურავ ამ სანაპიროს გასწვრივ ამისიდან , თავიდან გამოჩნდება ჰერაკლეს კონცხი, შემდეგ იასონიის კონცხი და მდინარე გენეტი, შემდეგ დაბა კოტიორა" (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XII, III-1)

მდინარე გენეტზე კი ჰეროდოტეს ეპოქაში მხოლოდ ხალიბები ცხოვრობდნენ. ცხადია, კაბელ-მეიონები, შეცდომით ლასონიებად მოხსენიებულნი ეს ხალიბებია, ხენები, კენები- საერთო სახელით პუნები, კართაგენელები და ხეთები არიან...რაც შეეხება ჰეროდოტეს ისტორიაში (VII-76) ნახსენებ ანონიმ პოლიტიკურ- ნაციონალურ წარმონაქმნს, ის სრულიად

სხვა ხალხი ჩანს (8) შეიძლება ითქვას, ინფორმაცია ეტრუსკების შესახებ მატულობს: კაბელ-მეიონები, იასონიელები, ჩვენთვის წინა ტომიდან კარგად ნაცნობი კენებია...ამასთანავე, ჰეროდოტე მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით გამოყოფს მათ ერთმანეთისაგან: მისივე სიტყვებით, ფინიკიელებია სიდონელებიც და ტვიროსელებიც. არადა სიდონელები-ეს ფინიკიელთა მეიონური ტომია, ტვიროსელები- პუნიკური.(8*) ლიდიელები ფინიკიელთა მეიონური ტომია, კაბელ-მეიონები, ვენეტები და კარქედონელები (კართაგენელები) ფინიკიელთა პუნიკური ტომია...მაგრამ ყველა ეს ტომი ფაქტიურად ფინიკიურია და ჰეროდოტესთვისაც ყველა ფინიკიელია... თუმცა მეიონებზე დამატებითი ცნობების მოძიება შესაძლებელი ჩანს:

„მაშასადამე ბეოტიაში წარსულ დროში ცხოვრობდნენ ბარბაროსები... შემდეგ ქვეყანა დაიპყრეს ფინიკიელებმა, კადმოსის ხელმძღვანელობით, რომელმაც გაამაგრა კადმეა და დაუტოვა ხელისუფლება მემკვიდრეებს ...მას შემდეგ რაც შეუერთეს ბეოტიას ორქომენის ქვეყანა (ვინაიდან წარსულ დროში ორქომენის ქვეყანა არ იყო მათთან ერთად, და ჰომეროსი არ ახსენებს მათ ერთ სიაში ბეოტიელებთან ერთად, მაგრამ როგორც განსაკუთრებულ ტომს უწოდებს მინიებს“ (სტრაბონი; გეოგრაფია, წიგნი IX, II-3)

და კიდევ:

„შემდეგ ჰომეროსი გვაძლევს სიას ორქომენელებისა, რომლებსაც ის გამოყოფს ბეოტიური ტომისაგან...ის უწოდებს ორქომენს მინიურს, მინიათა ტომის მიხედვით. როგორც ამბობენ, ზოგიერთი მათგანი გადასახლდა აქედან იოლკოსში, ამიტომაც არგონავტები იწოდებიან მინიებად“ (იქვე II-41)

მკითხველს შევახსენებ, რომ აქ საუბარია ბეოტიის ორქომენზე, და არა არკადიისა, ამავე დროს იოლკოსი არის არგონავტების ლაშქრობის საწყისი პუნქტი და ისიც მინიურია. თუ რატომ არის ის მინიური, უფრო სწორად და ზუსტად პოემა „არგონავტიკის“ ავტორი, აპოლონ როდოსელი მოგვიყვება, რომლისთვის ეს მხარე მშობლიურია და სტრაბონამდე მთელი 300 წლით ადრე წერს:

„შემოგარენში მცხოვრებმა ხალხმაც მინიადები უწოდა გმირებს,
მართლაც ვაჟკაცთა უმრავლესობა მით ამაყობდა, იმათ ძარღვებში
მინიას მეფის ქალიშვილების კეთილშობილი სისხლი რომ დუღდა,
თვით იაზონი შვა ალკიმედემ, ალკიმედე კი მოგეხსენებათ,
მინიას მეფის ასულის კლიმენეს მუცლიდან იყო დაბადებილი“
(აპოლონ როდოსელი; არგონავტიკა, წიგნი I, 227-232)

შესაბამისად, აქაც და სხვაგანაც აპოლონ როდოსელისათვის არგონავტები მინიები არიან, თუმცა ბეოტიელთა და მინიელთა განსხვავებაზე მიუთითებს სტრაბონი. საერთოდ, აღმავალი გზით მეიონების სახელი კრე-

ტის მეფე მინოსამდე მიდის თუმცა მეიონთა ვინაობა მინოსის გარეშეც ცხადი უნდა იყოს: ის ფინიკიური ტომია, რომელსაც ისტორია დუჟინ სხვადასხვა სახელს არქმევს: სიდონელები, ტვიროსელები, თებეელები, ბეოტიელები, კადმოსელები, კართაგენელები, კენები და ალბათ სხვებიც. კადმოსის ხელმძღვანელობით გამაგრებულ ნაწილს საბერძნეთის ბეოტიაში თებე ეწოდა.

„თებე ძველ ბერძნული ქალაქი ბეოტიაში, ცნობილია მიკენის პერიოდიდან (სინამდვილეში მთელი VI საუკუნით წინ უსწრებს მას) თქმულებების მიხედვით მიხედვით დაარსა კადმოსმა. ჰომეროსი მოიხსენიებს შვიდკარიბჭიანი თებეს, თებე მრავალი თქმულებების მოქმედების ასპარეზი იყო (სფინქსის, ოიდიპოსის, ანტიგონეს და სხვა ლეგენდები) ძვ.წლის VI საუკუნეში თებე ბეოტიის კავშირს მეთაურობდა. ბერძენ- სპარსელთა ომების (ძვ. წლის 500-449 წელი) დროს, სპარსელებს უჭერდა მხარს. პელოპონესის ომის დროს (ძვ. წლის 431-404 წელი) თებე ათენის წინააღმდეგ გამოდიოდა. კორინთოს ომის დროს (ძვ. წლის 395-387 წლები) კი უკვე ათენის მხარეზე სპარტას წინააღმდეგ. ანტიკლიდის ზავის (ძვ.წლის 387 წ) პირობებით, ბეოტიის კავშირი დაიშალა. ძვ. წლის 379 წელს აკლოპიოდასა და ეპამინონდას მეთაურობით თებეში დემოკრატიულმა ფენამ გაიმარჯვა, ბეოტიის კავშირი აღსდგა და თებე მსხვილი პოლიტიკური კავშირი გახდა საბერძნეთში. ძვ. წლის 37 1 წელს (ლევქტრასთან) და ძვ. წლის 362 წელს (მანტინეასთან) თებეს ჯარმა ეპამინონდას სარდლობით ორჯერ დაამარცხა სპარტელები, მაგრამ ეპამინონდას სიკვდილის შემდეგ (ძვ.წლის 362 წელი) თებეს მნიშვნელობა დაეცა. ძვ.წლის 338 წელს ქერონეას ბრძოლაში თებე დამარცხდა და მაკედონიას დაემორჩილა. ძვ. წლის 335 წელს ანტიმაკედონიური აჯანყების ჩახშობის დროს, ალექსანდრე მაკედონელმა თებე მიწასთან გაასწორა, თუმცა ნაწილობრივ აღადგინეს. ძვ. წლის 146 წელს, თებე რომის შემადგენლობაში შევიდა“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

საინტერესოა, რომ ბეოტიის (საბერძნეთისას) სრული თანამოსახელე ჰყავს ეგვიპტეში:

„თებე- ბერძნული ქალაქი ძველი ეგვიპტისა, რომელიც მდებარეობდა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან 800 კმ-ით სამხრეთით, მდინარე ნილოსის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე ქალაქ ლუქსორის ადგილას. ნილოსის დასავლეთ სანაპიროს სიახლოვეს მდებარეობს თებეს ნეკროპოლისი. თებე დასახლებული იყო ძვ. წ. 3200 წლებში. ის იყო ოთხიდან ერთ-ერთი ეგვიპტური ნომის - ვასეტის დედაქალაქი. ვასეტი წარმოადგენდა ეგვიპტის ცენტრს XI-XVIII დინასტიის მმართველობისას. ამ დროს ჰატშეფსუტმა ააგო წითელი ზღვის ნავსადგური ელიმსა და აკაბაის ყურის თა-

ვში მდებარე ეილითს შორის. ვაჭრები ჰყიდდნენ და ყიდულობდნენ საკმეველს, მურს, სოდას, ასფალტს, ძვირფას ქსოვილებს, ღვიის ზეთს და სპილენძის ამულეტებს. XIX დინასტიის დროს, მმართველობა თებედან ნილოსის დელტაში გადაიტანეს“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

ლოგიკურია დავასკვნათ, რომ კადმოსი ეგვიპტის თებედან მოსულია საბერძნეთში და ანალოგიური დასახელების ქალაქი აქვე გააშენა.

<u>....საინტერესოა, რომ თებედან (დღევანდელი ლუქსორი) სულ სამოცდაათ კილომეტრში ქალაქი (და ადიმინსტრაციული ცენტრი) კენა მდებარეობს. ბერძნულ-რომაულ პერიოდში ცნობილია როგორც კაინე, კაინეპოლისი და როგორც მაკსიმინოპოლისი. (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)</u>

რასაკვირველია ფინიკიური ფესვების ძიებას ეგვიპტეში სხვა წონადი არგუმენტებიც გააჩნია, რომელიც მოგვიანებით იქნება განხილული, თუმცა ერთი რამ უშეცდომოდ შეიძლება ითქვას: ეგვიპტე მეიონთა (და კენთა) მიგრაციის მხოლოდ სატრანზიტო პუნქტს არ წარმოადგენს და მათი ნაწილი აქვე ჩანს დასახლებულ-დაფუძნებული. მეიონთა აღმავალი კვალი ფაქტიურად აქ იკარგება, თუმცა წინამდებარე მასალიდან უკვე მყარად ვიცით, რომ მეიონები და კენები (იგივე კაბელ-მეიონები) ფაქტიურად ერთი და იგივე ხალხია. მეიონთა კვალად (თუმცა ჯერჯერობით საკმაოდ მკრთალად) შეიძლება ჩაითვალოს კრეტის მეფე მინოსი, რომელის სახელშიც აშკარად იკითხება მისი მინიური ტომისადმი კუთვნილება... მართალია მეიონების კვალი აქ იკარგება, თუმცა მათი სახლიკაცების, კენების კვალის მოძიება შესაძლებელი ჩანს:

„განგი შესამჩნევად დიდია ინდზე, წერდა მეგასთენე და სხვები (უცილობლად ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის თანამონაწილე მემუარისტთა აღწერაა) **ვეებერთელა გამოდის ის უკვე წყაროებიდან, ღებულობს მდინარე კაინს, ერენობოასს, კოსოანს-ყველა ისინი სანაოსნოა, ასევე მდინარე სონი და სიტოკატისი“ (ფლავიუს არრიანე, ინდიკა, თავი 4)**

როგორც წინა ტომში აღინიშნა, ფლავიუს არიანეს ნახსენები მეგასთენე იბერიელია (არახოსიელი) რომელმაც IV- III საუკუნეს ქრისტემდე იმოგზაურა ინდოეთში. შესაბამისად ფლავიუს არიანეს ეს ნაწყვეტი იმ რეალობას ასახავს, რომელიც ჩამოყალიბებული იყო მეგასთენეს ამ მოგზაურობის ეპოქისათვის და რომელი რეალობაც მეგასთენემდე ათეული (შესაძლოა ათეულობით) საუკუნით ადრე ჩანს ჩამოყალიბებული. ტექსტზე თანდართული განმარტებების მიხედვით: კაინი - თანამედროვე მდინარე კენაა, რომელიც ჩაედინება მდინარე იამუნაში და იამუნით მდინარე განგში. მდებარეობს სამხრეთ ინდოეთში.

ერინობოასი- არ ექვემდებარება იდენტიფიცირებას (9)

კოსოანი- სავარაუდოდ, დღევანდელი მდინარე კოსია, უკვე ჩრდილოეთ

ინდოეთში.(10)
სონ - სავარაუდოდ თანამედროვე მდინარე სონი (11)
სიტტოკატესი- ეს სახელი გვხვდება მხოლოდ არიანესთან „ინდიკაში“ ზუსტ იდენტიფიცირებას არ ექვემდებარება, ვარიანტებს შორის ნახსენებია: ჩიტრავახა, ჩიტრასენა, ჩიტრაპოლა, ჩიტრარატხა!

ყველა წინამდებარე მდინარე იმ ტომთა დასახლებას უკავშირდება, რომელიც განდხარვებს უმტკიცდებათ!

განდხარვა- იმ არსებათა დედამიწისეული საერთო დასახელებაა მათი ადამიანთა რიგებში ინტეგრაციამდე, რომელიც უზენაესის სურვილით შესრულდა! (11*) ადამიანთა რიგებში მათი ინტეგრაციის შემდეგ, მათი სატომო სახელები რთული საძიებელია , თუმცა ერთი ტენდენცია სახეზეა: მათი ზეციური სახელები მფრინავ არსებასთან ჩანს დაკავშირებული და რომელი სახელებიც მდინარე სიტტოკატესში იკითხება: ჩიტრავახა, ჩიტრასენა, ჩიტრაპოლა და ჩიტრარატხა! ამათგან ორი მათგანი უკვე ცნობილია ეპოს „მახაბხარატიდან“ : ჩიტრარატხა -ეს განდხარვთა ის მეფეა, რომელიც არჯუნამ დაამარცხა ღვთიური იარაღით და მფრინავი ეტლიც დაუწვა. ჩიტრასენა- ეს უკვე აფსარაა, განდხარვთა ციური მეწყვილე, რომელიც არჯუნას ცეკვის მასწავლებელია (და სავარაუდოდ სექს-პარტნიორიც) ზეცაში უზენაესის აპარტამენტში.

„ო კაუნტაია, მიიღე (უკვე) ჩიტრასენასაგან სიმღერისა და ცეკვის ხელოვნება. არ არის ცნობილი ადამიანთა სამყაროში ღმერთების მუსიკა: მიიღე ცოდნა კაუნტაია, და იქნეს შენთვის სასიკეთო. და მისცა (პარტხას) პურანდარამ ამხანაგად ჩიტრასენა: დაუკავშირდა რა მას, პარტხა უზრუნველად მიეცა გართობას“ (მახაბხარატა; არიანაპარვა- 45)

მართალია ჩიტრასენა აფსარა ჩანს და არა განდხარვა, თუმცა ერთსაც და მეორესაც სამშობლო საერთო უჩანთ. მართალია არსებობს მცნება განდხარვი, რომელის განდხარვას (მამაკაცის) მეუღლეს აღნიშნავს, თუმცა სავარაუდოდ განდხარვი, როგორც წესი, აფსარა არ არის...არჯუნას ცაში სტუმრობის სურათს ეპოსი ასე აღწერს, რომელიც შაკრას საყვარელ მეგაპოლისში ნახა:

„მან იქ ნახა გონების ძალით მართული მფრინავი ეტლები ღმერთებისა. ათასეულობით იდგნენ ისინი და ასეულობით მიმოდიოდნენ ყველა მიმართულებით. განდხარვებმა და აფსარებმა ქება შეასხეს პანდავას (არჯუნას). ყვავილების სურნელით შემოეხვია ნაზი ნიავი. აქ ყველა ღმერთი, განდხარვა, სიდხები და უდიდესი წმინდა ბრძენი აღტაცებით გამოხატავდა პატივს გმირობით დაუღლელ პარტხასადმი...იყვნენ იქ ტუმბურუ, ნარადა, ასევე განდხარვები, ხახა და ხუხუ“ (იქვე-46)

მართალია არჯუნას ცეკვის და სიმღერის მასწავლებლად აფსარა ჩიტრასენა გვევლინება, თუმცა სიმღერის ნამდვილი კორიფეები ზუსტად ზემოთ დასახელებული განდხარვები გვევლინებიან: ტუმბურუ, ხახა და ხუხუ. რაც შეეხება განდხარვა ნარადას, ის ყოვლისმცოდნე ბრძენია.

„უმაღლესები ორჯერდაბადებულებს შორის, აქებდნენ მას (არჯუნას) ლექსები იაჯურ და სამავედადან. განდხარვები ბიშვავასუს ხელმძღვანელობით - საქებარ სიმღერებით“ (იქვე-44)

ზემოთ ნახსენები მდინარეებიდან კოსოანი მართლაც კოსალაზე ჩამოივლის, უსათუოდ განდხარვთა შთამომავალით დასახლებულ ტერიტორიაზე თუ პოლიტიკურ წარმონაქმნზე (რაშიც ოდნავ მოგვიანებით დავრწმუნდებით). მართალია ჩიტრასენა ინდოელისათვის ჩიტრა- სენაა, ჭრელი (ლამაზი) სენა…ისევე როგორც მსგავსი სახელები, უკვე მართლა ჩიტრათი დაწყებული: ჩიტრა-განდა, ჩიტრა-ვარმანი. მაგრამ ამავე დროს ჩიტ-ით დაწყებული სიტყვა განდხარვთა შთამომავალისათვის მისი წინაპრის საფრენოსნო თვისების აღმნიშვნელია და ფესვების გახსენებას ემსახურება. ასე მაგალითად, კურუს ერთ-ერთი წინაპარი, ჩიტრაგანდა უძლეველი მეომარია და მასთან შესაბმელად ეშვება (ციდან) მისი სეხნია განდხარვთა მეფე ჩიტ-რაგანდა, ბრძოლაში დაამარცხა კურუს წინაპარი და ისევ უბრუნდება ზეცას. როგორც ირკვევა, მიწიერი ჩიტრაგანდას დამარცხების პერიოდისათვის განდხარვა უკვე სრულად ადაპტირებულია დედამიწაზე ბრახმას სურვილის შესაბამისად და განდხარვა სულით ხორცამდე გაადამიანებულია, მთლიანად მიწიერი არსებაა...

...სიტტოკატისი- ეს მდინარეა, რომელიც იდენტიფიცირებას არ ექვემდებარება, ცალკეული ვარიანტებით: ჩიტრავახა , ჩიტრასენა, ჩიტრაპოლა, ჩიტ-რარატხა...მდინარე სონი-ეს რეალურად არსებული მდინარეა დღესაც, დელიდან (ხასტინაპურიდან) სამხრეთით 500 კმ-ზე და ტალღებს მდინარე განგისაკენ მოაგორებს. როგორც ირკვევა, ამ მდინარის სახელწოდება მჭიდროდაა დაკავშირებული ერთ-ერთ განდხარვულ (სამი თემისაგან შემდგარ) ტომთან, და რომელზეც ასევე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

...და მდინარე კაინი, თანამედროვე კენა... მდინარის ეს სახელი მჭიდროდ დაუკავშირდა წარჩინებული პანჩალი მეომრის, შიკხანდინის შთამომავლობის სახელს. (12) კენი შიკხანდინის, ერთ-ერთი წარჩინებული პანჩალი მეომარის შთამომავლობად გვევლინება ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში და ბედნიერი დამთხვევის გამო მისი ზუსტი იდენტიფიცირება შესაძლებელი ხდება.(13) ძნელი სათქმელია როდის ხდება ამ სახელის (კენის) ტომის ადრეულ სახელწოდებად ადაპტაცია, (და რამდენად რეალურია ამ ტომის მხოლოდ შიკხანდინის შთამომავლობასთან დაკავშირება- ვფიქრობ, ეს- უფრო შიკხანდინის შთამომავლობა დაუკავშირდა უკ-

ვე არსებულ კენთა ტომს...) თუმცა ეს უცილობელი დაფიქსირებული ფაქ-ტია და კვლევას ექვემდებარება, ნებისმიერ შემთხვევაში, უკვე ქრისტემ-დე XVI საუკუნეს ტერმინი კენი ხალხთა დიდი ჯგუფის აღმნიშვნელად გვევლინება... რასაკვირველია ის ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულა და მდინარე კენას, ისევე როგორც მდინარე სონის სანახეები ადრიდანვე გან-დხარვთა საცხოვრის არეალს უნდა წარმოადგენდეს. ყურადღებას იქცევს ტომი ეპოს „მახაბხარატაში" რომელიც ზუსტად იმავე ადგილას უნდა მო-სახლეობდეს, სადაც მდინარე კენა მოედინება და რომელი ტომიც შესაბა-მისი ყურადღების გარეთ რჩებათ ეპოს „რამაიანას" თანამედროვე კარტ-ოგრაფებს. ხასტინაპურიდან (დღევანდელი დელი) სამხრეთ -დასავლეთ-ით ბინადრობდა აბხისარებად სახელდებული ტომი:

„მაკარას მარჯვენა თათში მეფეების ინდრავ, იდგა კრიტავარმანი, შეიარა-ღებული რაზმით ნარაიანებისა და შეუდარებელი ომში გოპალებისა; მა-რცხენა თათში მეფევ- ნამდვილად უმამაცესი გაუტამა (კრიპა) დიადი მემშვილდოსნების, ტრიგარტებისა და სამხრეთის ქვყნების მცხოვრებლე-ბით, მარცხენა უკანა თათში იდგა შალია, უდიდესი მეომარი მადრების ქვეყნიდან, მარჯვენაში დიდო მეფეო, სიტყვის ერთგული სუშანა, გარშე-მორტყმული ათასობით საომარი ეტლით და ასეულობით სპილოებით. მაკარას კუდში იყვნენ დიდძალი <u>მეომრებით ორი მეფე ძმა, დიადი გმი-რები: ჩიტრა და ჩიტრასენა"</u> (მახაბხარატა. კარნაპარვა 7)

მართალია აქ ორ მეფე ძმას, ჩიტრასა და ჩიტრასენას აღნიშნავს ეპ-ოსი, თუმცა არ არის მითითებული, რომელი ქვეყნის (მიწების) მბრძანებ-ელი არიან ისინი. შესაძლოაც დავუშვათ, რომ ისინი დურიოდხანას ძმე-ბია, ორნი ასიდან, ასევე მეფეებად წოდებული.

„შრუტუკარმანმა, დიდო მეფეო, დაჭრა მიწების მფლობელი ჩიტრასენა ორმოცდაათი ისრით, მაგრამ მეფემ აბხისარებისამ დაარტყა შრუტუკარმ-ანს ცხრა ბასრად გალესილი ისრით, ხუთი (სხვით) დაცხრილა (მისი) მე-ეტლე" (იქვე, კარნაპარვა 10)

ომში ჩიტრასენა მოკლული იქნა მოწინააღმდეგის მიერ, რასაც აბხი-სარების დაუყოვნებელი იერიში მოყვა, თუმცა უშედეგოდ. ასევე ჩიტრა-სენას ძმა, ჩიტრა დამარცხებულ იქმა პრატავინდხიას მიერ. თვით ის ფაქ-ტი, რომ ჩიტრასენა და მისი ძმა მეთაურობენ აბხისარების რაზმებს, ვერ იქნება სრულყოფილი სამტკიცი იმისა, რომ ისინი კაურავები (დურიოდ-ხანას ძმები) არ არიან, რამეთუ ანალოგიურ შემთხვევაში დურიოდხანას ძმები მოხსენიებულია ტრიგარტების (სხვა მეომარი ჯგუფი) სარდლებად. მაგრამ... მაგრამ მეფე დურიოდხანას არ ყავს ძმებში ჩიტრასენას სეხნია, თანამოსახელე. აი ჩამონათვალი დურიოდხანას ძმებისა, რომელთაც რაღაც კავშირი უჩანთ სახელ ჩიტ-თან: ჩიტრა, უპაჩიტრა, ჩიტრაკშა, ჩარუჩიტრა,

ჩიტრავანა, ჩიტრავარმანი, ჩიტრაგანდა, ჩიტრაკუნდალა... მაგრამ არა ჩიტ-რასენა...როგორც ჩანს, ჩიტრასენა ნამდვილად აბხისარების მეფეა, მამულე-ბის მფლობელი. რასაკვირველია, ის არაა ის ჩიტრასენა, რომელიც აფსა-რაა და არჯუნას ცეკვის და სიმღერის გაკვეთილებს უტარებს ზეცაში... თუმცა ჩიტრასენა, მეფე, სხვა ეპიზოდშიც ჩანს მოხსენიებული აღნიშნ-ულ ეპოსში: კოჭაობაში სათამაშოდ გამოწვეული იუდიშტხირა ეკითხება მოციქულ ვიდურას, თუ ვის უნდა შეეჯიბროს იგი ამ თამაშში:

„მეფე განდხარისა შაკუნი, ხალხთა მბრძანებელო, ძვლების თამაშის ყვე-ლაზე აღმატებული ოსტატი, სწრაფი ხელის პატრონი, სათამაში ძვლებ-ით თამაშის დიდოსტატი ვივინშატი და მეფე ჩიტრასენა, სატიავრატი, პრუმიტრა და ჯაია (ყველა იქაა). იუდიშტხირამ უთხრა, როგორც ეტყო-ბა, ყველა უძლიერესი და გახურებული მოთამაშეები, რომლებიც ყოველ-თვის ფიქრობენ ეშმაკობის გამოყენებას, შეიყარნენ ყველა ერთად“ (იქვე, საბხიპარვა 52)

ცხადია, აქ მოხსენიებული მეფე ჩიტრასენა, ძვლებით თამაშის თი-თქმის ისეთივე მოყვარული და თაღლითი მოთამაშე, როგორც შაკუნი, მხოლოდ აბხისარების ზემოთ ნახსენები მეფე უნდა იყოს, რომელსაც წო-ნადი საფუძველი გააჩნია იბრძოლოს პანდავების წინააღმდეგ: სავარაუ-დოა, რომ შაკუნის თაღლითობას იუდხიშტხირას წინააღმდეგ ხელს უწ-ყობს, რასაც უფლებებში დაბრუნებული პანდავები ძნელად თუ აპატიებ-ენ. (14) მაგრამ... მაგრამ აქ თავად ჩიტრასენას განდხარვობა ხაზგასმულად არაა ნაჩვენები, თუმცა არსებობს პირდაპირი სამტკიციც:

„როდესაც მე გავიგონე (დრიტარაშტხას მხოლოდ გაგონება შეუძლია, ის დაბადებიდან ბრმაა) **რომ ჩემი შვილები, კარნას რჩევით შეგულიანებულ-ნი, გაემართნენ <u>მწყემსების</u> სადგომისაკენ და დატყვევებულნი იქნენ გა-<u>ნდხარვების</u> მიერ, მაგრამ შემდეგ განთავისუფლებულნი არჯუნას მიერ, მაშინ მე უკვე აღარ მეიმედებოდა გამარჯვება“ (მახაბხარატა, ადიპარვა-თა-ვი პირველი)**

მაგრამ არც მეფე დხრიტარაშტხას მონოლოგში ჩანს გარკვევით, თუ ვინ არიან „მეჯოგე განდხარვები“

„დვაიატვანში, ო კარნა, მოყევი რა განდხარვების თავდასხმის ქვეშ შენ მი-ატოვე ყველა კურუ ბედის ანაბარა და პირველი გაიქეცი. ეს პარტხამ (არ-ჯუნამ) **და არა შენ ო კარნა, დაამარცხე ბრძოლაში <u>განდხარვები ჩიტრას-ენას</u> მეთაურობით და გაანთავისუფლა დურიოდხანა მეუღლითურთ“ (იქვე, კარნაპარვა-28)**

ახლა კი უკვე ცხადია, ეპოსში განდხარვები ჩიტრასენას მეთაურობ-ით- ეს უდავოდ მეჯოგე აბხისარებია, გვიან მეიონებად წოდებულნი მცი-რე აზიასა და იტალიაში...ზუსტად ის ჩანს (ჩიტრარატხასთან და მანასის

ტბელ განდხარვებთან ერთად) ის რგოლი, რომელიც ისტორიისათვის იდ-უმლებით მოცულ ეტრუსკულ ტომს და ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ გმირებს ერთმანეთთან აკავშირებს..

ჰეროდოტეს მიერ კაბელ-მეიონებად სახელდებული კენების ტომი, აბხისარებთან დასახლებული შიკხანდინის შთამომავლობა აქ გამდინარე მდინარეს კენად ნათლავს და აბხისარების ტომისაც ფაქტიურად სახელს უყოფს... უნდა აღინიშნოს, რომ პანჩალ მეფისწულს, შიკხანდინს, ეპოსი კა-შის მეფის უფროსი ქალიშვილის, ამბას ავატარად თვლის და მჭიდროდ უკავშირებს. როგორც ჩანს, ამავე აზრისაa თავად შიკხანდინის შთამომავლ-ობა, იმ დროის ინდოეთის საზოგადოება...

<u>და მაინც რატომ უწოდებენ ეტრუსკები საკუთარ თავს რასენას? იმი-ტომ, რომ ისინი აბხისარ-კენების ტომის შთამომავალნი არიან, სახელსაც მათი უძველესი და სახელგანთქმული მეფის სახელის მიხედვით ირქმევ-ენ...მეფისა, რომელსაც ჩიტის თვისება, პრეროგატივა, ფრენის უნარი ჯერ კიდევ უხსოვარ დროში დაუკარგავს...დიახ, ეტრუსკები განდხარვთა რას-ის წარმომადგენლები არიან (დავარქვათ ყველაფერს საკუთარი სახელი). უნდა აღინიშნოს, რომ ეპოსში დაფიქსირებულია განდხარვთა რასის შვი-დი ტომი და ოცდაორი თემი! ტომების მოძიება არ წარმოადგენს სირთუ-ლეს, თუმცა ამავეს ვერ ვიტყვით ოცდაორ თემზე...</u>

... ციფრული განხეთქილება...

21 საუკუმის გადასახედზე საზოგადოება არითმეტიკული ნონსენსის წინაშე დგას, რომლის არამცთუ გადაჭრას და მეცნიერულად დასაბუთებ-ას, არამედ საკითხის შესასწავლად დაყენებასაც კი ერიდება. წიგნთა წიგ-ნად წოდებული ბიბლის მიხედვით, კაცობრიობის დაბადება ბიზანტიური ვერსიის მიხედვით ქრისტემდე -5508 წელს მოითვლის. შესაბამისად ჰო-მო საპიენსის ცხოვრება და მოღვაწეობა დედამიწაზე 5506 +2023 = 7529 წელს მოითვლის. **(არსებობს ქართული ვერსიაც, რომელიც დაბადების თა-რიღად 5604 წელს ითვლის)**...და არსებობს ოფიციალური ვერსიაც, რომელ-იც ადამიანის მსგავსი არსების 2, 5 მილიონის წლის წინათ არსებობას, მო-ძიებული არტეფაქტების საშუალებით ამტკიცებს, ხოლო დღევანდელი ადამიანი- ეს მისი ბიოლოგიური განვითარებაა მხოლოდ...და რომელი ვე-რსია ტყუის? პასუხი ასევე ცალსახაა -არცერთი... არცერთი, თუმცა ერთი და იგივე საკითხის შესახებ ასე დიამეტრალურად განსხვავებული სიმარ-თლეები არ უნდა არსებობდეს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიმართლე მა-რთლაც ორია, თანაც კარდინალურად განსხვავებული. წიგნის წინა ციკ-ლზე მუშაობისას, გადავაწყდი მასალებს, რომლის სკრუპულოზულმა დამ-უშავებამ დამარწმუნა, რომ საქართველოს მოსახლეობა 1336 წლსათვის,

ნახევარი მილიონის ფარგლებში ფიქსირდებოდა. საქართველო, რომელიც საცხოვრებელი (საომარი) თვალსაზრისით საკმაოდ ექსტრემალურ ადგილ-ას არის განლაგებული, გამოთვლილი სტატისტიკის თანახმად, აღნიშნულ-ი პერიოდიდან მოსახლეობის გაორმაგებას 225 წლის ფარგლებში აღ-წევდა. (თანამედროვე მსოფლიოსათვის ეს ციფრი გაცილებით მცირეა, სა-უკუნეზე ნაკლებიც კი) რასაკვირველია შესაძლებელია რომაელი (ვენეც-იელი) ისტორიკოსის, ტიტუს ლივიუსზე დაყრდნობით ამ ვერსიის შემ-ოწმება, რამეთუ ის ასახელებს რომის მოსახლეობის დემოგრაფიულ სუ-რათს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ჩავთვალე, რომ ლივიუსის ცნობებით სარგებლობა არ იქნებოდა გამართლებული, ვინაიდან რომის მოსახლეობის მატება ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ კომპონენტზე იყო დამოკიდებული: ერთია მოსახლეობის სუფთა დემოგრაფიული მა-ტება და მეორეა მოსახლეობის მექანიკური მატება მოსაზღვრე ტერიტო-რიების და ხალხების ინკორპორაციის საშუალებით. შეცდომისაგან და-საზღვევად და გამოთვლების გამარტივების მიზნით ჩაითვალა, რომ მო-სახლეობის გაორმაგება საქართველოში ხდებოდა ყოველ 250 წელიწადში, ხოლო ნახევარ მილიონ მოსახლეობას ითვლიდა 1250 წელს. საქართველოს მაგალითის ანალოგიით, დედამიწის მოსახლეობის რიცხვმა 2000 წელს მიაღწია 7,5 მილიარდს. ასეთი დისპოზიციისას, 7500000000 / 2=3750000000 ესაა მოსახლეობის რაოდენობა 1750 წლისათვის... ასევე, მიღებული რიცხ-ვის 2- ზე გაყოფით მივიღებთ მოსახლეობის რაოდენობას საკმაოდ უხეში მიახლოებით 1500 წლისათვის. გავაგრძელოთ ანალოგიური არითმეტიკუ-ლი მოქმედება იქამდე, სანამ შედეგად არ მივიღებთ 2-ს, პირობითად ად-ამსა და ევას...გამყოფის საერთო რაოდენობა 31-ს არ აღემატება! ეს იმას ნიშნავს, რომ დედამიწაზე მოსახლეობის გაორმაგება, დაწყებული ორი ადამიანიდან, სულ 31-ჯერ მომხდარა! შესაბამისად საწყისი ორი ადამიანი, პირობითად ადამი და ევა ცხოვრობდა: 250 X31=7750 წლის წინათ! ჩვენს მიერ დაშვებული ცდომილების გათვალისწინებით, ფაქტიურად მთელი ასი პროცენტით ემთხვევა ბიბლიურ ვერსიას (15)

...და მეცნიერული კვლევის ვერსიები? უკანასკნელი 2,5 მილიონი წლის არქეოლოგიური არტეფაქტების კვლევის შედეგი? დედამიწაზე უკა-ნასკნელ ათასწლეულებში კრომანიონელთა რამდენიმე პოპულაცია ჩანს გადაშენებული, ხოლო უფრო ადრე ნეანდერტალელთა ფაქტიურად ორჯ-ერ მეტი პოპულაცია...არც ერთი პოპულაცია წინას ბიოლოგიური გაგრ-ძელება არ ყოფილა, არამედ მხოლოდ გენეტიკური...დღევანდელი მეცნიე-რების გზაამბნევი ამ პოპულაციათა უწყვეთ ჯაჭვად განხილვაა მხოლოდ! (16)- დღეს დედამიწაზე არსებულ ადამიანთა პოპულაცია, წინა პოპულაცი-ის მხოლოდ ნაწილობრივი გენეტიკური მემკვიდრე ჩანს! (17)

რაც შეეხება „ზეციურ არქიტექტორს“ და „სამშენებლო ბრიგადას“-ეს შემდგომი კვლევის საკითხია და სცილდება წიგნის ფორმატს... ეს რეალობა და წესრიგი დედამიწაზე დამყარებული ჩანს მინიმუმ 115 ათასი წლის წინათ! რაც შეეხება უფრო ადრინდელ დედამიწისეულ არსებობას, წერილობითი თუ ზეპირი გადმოცემები მათ შესახებ უცნობია, თუმცა დედამიწის (და დედამიწაზე) ბიოლოგიური პროცესების აქტიური მიმდინარეობა უბრალოდ აქსიომაა...

თბური ეფექტი

აბსოლუტურად ყველასათვის ცნობილია ის სითბური ეფექტი, რომელიც მიიღება დახურულ სივრცეში გამათბობელი ხელსაწყო- აგრეგატის ფუნქციონირებისას. (მიუხედავად მისი სახეობისა) ხელსაწყო ხურდება ცხელი მასის (წყალი, გაზი) მიწოდების შედეგად, ახურებს მასთან კონტაქტში მყოფ ჰაერის ნაწილაკებს. გახურებული ნაწილაკები მის მეზობელ ნაწილაკებს ახურებენ და ასე გრძელდება პროცესი მთელი სივრცის გათბობამდე. ამასთან, გამახურებელ ხელსაწყოსთან ახლოს ყოველთვის უფრო დიდი სიმხურვალეა, შესაბამისად გახურებული ჰაერის ნაწილაკები აქ უფრო მკვრივია. ზუსტად იმავე სიტუაცია შეინიშნება ხალხთა მასების გადაადგილება- განსახლებისას. დედამიწაზე ადამიანთა უპირატესი მასის კონცენტრაცია ინდოეთსა და ჩინეთში, მოსახლეობის დედამიწაზე ამ რეგიონიდან მიგრაციის უცილობელი ნიშანია. დედამიწაზე ადამიანის აკვანი-ეს ინდოჩინეთია, ინდოეთი და ჩინეთი, რომლებიც ერთმანეთისაგან მსოფლიოში უდიდესი მთაგრეხილით, ჰიმალაითაა გამოყოფილი.

...და მაინც რომელია დედამიწის **ამ ბიოლოგიური პოპულაციის** (ადამიანი, ფაუნა, ფლორა, მთელი ბიოლოგიურად აქტიური სამყარო) აკვანი? რასაკვირველია ინდოეთი, რომლის მოსახლეობა 447 სხვადასხვა ენასა და 2000-ზე მეტ სხვადასხვა დიალექტზე საუბრობს, საპირისპიროდ ჩინეთისა, სადაც ეს მაჩვენებელი ერთ ათეულს თუ აღემატება.

არსებული ირიბი ცნობები იძლევა საშუალებას, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანის ადგილსამყოფელი (სამოთხე) ინდოსტანის ნახევარკუნძულზე უფრო დაკონკრეტდეს კიდეც. ინფორმაციას ამ ფაქტის შესახებ ჯერჯერობით ვერ მივაწოდებთ მკითხველს...

მიგრაცია

არსებული ვერსია, გაბატონებული მეცნიერული ჰიპოთეზა, ინდოეთიდან მიგრაციის ძირითად ტრასად იმ ქედის ჩრდილოეთ მთისწინეთს

მიიჩნევს, რომელიც გადაჭიმულია შუა აზიიდან, პამირიდან, ტიან-შანის მთებიდან ჰიმალაის მთაგრეხილით დამთავრებული. ყურადღების მიღმაა დარჩენილი ის საკითხი, რომ ამ ტრასით ევროპისაკენ მიგრირებულ მოსახლეობას პირველ რიგში ამ უმაღლესი მთაგრეხილების გადალახვა მოუწევდა. ის რომ ევროპის დღევანდელი მოსახლეობა ინდოევროპელებად იწოდება, ამ მოსახლეობის ინდოეთიდან უპირობო მიგრაციას ითვალისწინებს. რასაკვირველია ცენტრალური და ჩრდილო ევრაზიის მოსახლეობა ამ გზით ჩანან მიგრირებულნი, თუმცა სამხრეთი ევროპის (ნაწილობრივ ცენტრალური და ჩრდილო ევროპის) დასახლება სულ სხვა ტრასით ჩანს განხორციელებული. საბედნიეროდ, ეს პროცესი ხილვადია (თუმცა ბუნდოვნად) ანტიკური ავტორების ნაშრომებში. მათი დაფიქსირება, დაჯგუფება და კლასიფიკაციის გარეშე ეს პროცესი პრაქტიკულად შეუმჩნეველია კიდეც. გზამკვლევი რუკა ამ შემთხვევაში ეგეოსის ზღვა და განსაკუთრებით კრეტის კულტურა ხდება, თუმცა ამ კულტურათა დათარიღება მცირეოდენ კორექტივას ნამდვილად მოითხოვს:

„მინოსის კულტურა-ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ.III-II ათასწლეული) მაღალგანვითარებული კულტურაა კუნძულ კრეტაზე, ეგეოსის კულტურის ერთერთი ვარიანტი. აღმოაჩინა ინგლისელმა არქეოლოგმა არტურ ევანსმა XIX-საუკუნის ბოლოს, რომელმაც მინოსის კულტურა დაყო ადრეულ, შუა და გვიან პერიოდებად. სახელი ეწოდა ლეგენდარული მეფის, მინოსის სახელის მიხედვით. არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ქალაქები, სასახლეები (კნოსოსის, აგია ტრიადა, ფესტოსი, მალა) ნავსადგურები, სასოფლო დასახლებები, ნეკროპოლისები და კერძო პირების სასახლის კედლები, ფრესკები და რელიეფებით იყო შემკული. ნაპოვნია კერამიკა, სპილენძისა და ბრინჯაოს შრომის და ბრძოლის იარაღები, ოქროს, ძვირფასი ქვებისა და ფაიანსის სამკაულები, ქვის, თიხის, ბრინჯაოს და სპილოს ძვლის მცირე ზომის ქანდაკებები. მინოსის კულტურამ აყვავებას მიაღწია დაახლოებით ძვ.წ. 1700 წლისათვის. მოსახლეობას მჭიდრო კავშირი ჰქონდა ძველ ეგვიპტესთან, კვიპროსთან, ანატოლიასა და საბერძნეთთან.

ცნობილია ძვ. წ. II-ათასწლეულის დასაწყისის იეროგლიფური წარწერები, ძვ. წლიდან 1600 წლიდან კი ე. წ. ხაზოვანი დამწერლობა. დაახლოებით ძვ.წ. 1470 კრეტას ყველა ტაძარი დაინგრა, შესაძლებელია მიწისძვრის შედეგად“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა) (17*) და კიდევ:

„კრეტა-მიკენის კულტურა-ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III-II ათასწლეული) კულტურა, გავრცელებული ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში (კონტინენტური საბერძნეთი, კუნძული კრეტა. ეგეოსის ზღვის კუნძულები). ეგეოსის კულტურის განვითარების რამდენიმე ცალკეულ ეტაპს განარჩევენ:

ადრინდელი ბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. 2600-2000 წელი)
შუა ბრინჯაოს ხანა (ძვ.წ . 1900-1550 წელი)
გვიანდელი ბრინჯაოს ხანა (1550-1100 წელი)
ადრინდელი ბრინჯაოს ხანა:
ეგეოსის კულტურამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია...ჰისარლიყის მაღლობზე, საყურადღებოა ტროას II კულტურული ფენა ამ ეგიდის კულტურის ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ მცირეაზიული, აფრიკული, და ჩრდილობალკანური კომპონენტები (18)
შუა ბრინჯაოს ხანა:
შუა ბრინჯაოს ხანაზე გადასვლა მნიშვნელოვანი ცვლილებებით აღინიშნა, რასაც მინოსური კულტურის დინამიზაცია მოყვა. დაწინაურდა ფესტოსი და კნოსოსი. აღსანიშნავია მნიშვნელოვანინ არქიტექტურული ძეგლი ე. წ. კნოსოსის „დიდი სასახლე“ (მინოსის სასახლე) რომლის ფართი 16 ათასი კვადრატულ მეტრს აღწევდა. გამოირჩეოდა თავისუფალი და რთული გეგმარებით. ცენტრში დიდი საზეიმო ეზო ჰქონდა. ეზოს ირგვლივ განლაგებული იყო სხვადასხვა სიდიდის (არანაკლებ 3-სართულიანი და მეტი) და ფორმის შენობები. შენობა ნათდებოდა ჭერში დატანებული ხვრელიდან. საბერძნეთში შუა ბრინჯაოს ხანაში მრავალი კატასტროფა მოხდა, დაინგრა ძველი დასახლებანი და დაარსდა ახალი...დაიწყო ცხენის გამოყენება...მკვლევართა ერთი ნაწილი ამ ცვლილებას მიაწერს მცირე აზიიდან ხალხთა გადასახლებას, მეორე კი ჩრდილოეთიდან ბერძენ ტომთა შემოსვლას.
გვიანდელი ბრინჯაოს ხანა:
გვიანდელი ბრინჯაოს, კრეტის კულტურამ თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია: ამავე პერიოდში მოხდა მისი დაქვეითებაც. განსაკუთრებული ადგილი დაიკავა კნოსოსმა. განვითარებული ყოფილა დამწერლობა, უკვე ძვ. წლის II -ათარწლეულის დასაწყისიდან კი კუნძულ კრეტაზე უნდა ყოფილიყო იეროგლიფურ- პიქტოგრაფიული დამწერლობა. განსაკუთრებთ საინტერესოა ფესტოსის დისკო, რომელზედაც მატრიცებით ამოტვიფრუ ლია დამწერლობის სრულიად უცხო ნიშნები. მისი პარალელები ძველ სამყაროში ჯერჯერობით არ მოიპოვება. ყველაზე გავრცელებული ყოფილა მინოსური A- ხაზოვანი, მარცვლოვანი დამწერლობა (აღმოჩენილია სამასამდე დოკუმენტი) და მისგან განვითარებული B-ხაზოვანი, რომლის გამოყენებით შედგენილი დოკუმენტი მრავლადაა აღმოჩენილი კნოსოსში და კონტინენტურ საბერძნეთში (მიკენი, პილოსი) ამავე წრეს განეკუთვნება კვიპროსული C- დამწერლობაც. აღნიშნული სისტემისაგან ამ ეტაპზე გაშიფრულია B-ხაზოვანი დამწერლობა, რომელიც როგორც ჩანს, უმთავრესად ბერძნულენოვან დოკუმენტებისთვისღა გამოიყენ-

ებოდა. გვიანდელი ბრინჯაოს ხანა კონტინენტურ საბერძნეთში აღინიშნა მიკენის კულტურის აღმავლობით, არგოლიდაში, ორქომენსა და სხვა დასახლებაში... ძვ.წ . XIII საუკუნის დასასრულს ეგვიპტესა და მცირე აზიაში მძლავრი კატასტროფები მოხდა. ე.წ ზღვის ხალხების შემოსევის შედეგად დაემხო ხეთების იმპერია უგარითი, დაქვეითდა ეგეოსის კულტურა, დაინგრა მრავალი დასახლება, დორიელთა შემოსვლით დაიწყო საბერძნეთში ახალი ხანა. ეგეოსის რელიგიის შესახებ გადაჭრით რამის თქმა ძნელია. კრეტაზე დედაღმერთის კულტს ეთაყვანებოდნენ ...ხაზოვან წარწერებში მოხსენიებულია ზევსი, პოსეიდონი, არტემიდე, ჰერა. კრეტაზე უნდა ყოფილიყო მეფე და მმართველობის ცენტრალიზირებული სისტემა. B-ხაზოვანი დამწერლობა საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ საზოგადოების რამდენიმე ფენა: უზენაესი მმართველი- wanax, მხედართმთავარი-lawagatas, წარჩინებული-toreta და ა.შ (19) მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსახლეობის ძირითადი კომპონენტი იყო ანატოლიური წარმომავლობის არაინდოევროპული ტომები. გამოთქმულია თვალსაზრისი ეგეოსურ და ქართველურ ტომთა შორის არსებულ მჭიდრო მიმართების შესახებ, რაც ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში მომხდარი გადასახლბით შეიძლება აიხსნას“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

საყურადღებოა, რომ აღნიშნული სტატიის მიხედვით, მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ეგეოსის მოსახლეობა მცირე აზიიდან გადმოვიდა ეგეოსის კუნძულებზე, ხოლო შემდგომ ბერძნები ჩრდილოეთიდან შემოვიდნენ ელადაში. ბერძნების ჩრდილოეთიდან შემოსვლა არც ერთი ანტიკური წყაროთი არ მტკიცდება და მათ შესახებ სრულიად კონკრეტული და არაორაზროვანი წარმოდგენა არსებობდა , რომელიც საერთოდ იგნორირებულია. რაც შეეხება მცირე აზიიდან ეგეოსის კუნძულზე მოსახლეობის გადმოსვლას, ეს უბრალო აქსიომაა, თუმცა ჰიპოთეზის ავტორები ერთ სიტყვასაც კი არ ძრავენ, თუ საიდან გამოჩნდნენ თავად ეს ტომები მცირე აზიაში, საით მიემართებიან და ვისი მეთაურობით ხორციელდება ექსპედიციები ევროპის დაუსახლებელი ტერიტორიებისაკენ. ყურადღების მიღმაა დარჩენილი საკითხი საწყალოსნო ფლოტის შესახებ, რომლის გარეშე კუნძულების ათვისება-დასახლება უბრალოდ წარმოუდგენელია.

რაც შეეხება ზღვის ხალხებს, რომლებიც სხვადასხვა პოლისს აარსებენ საბერძნეთის ტერიტორიაზე, ქრისტეს წინ XV-XIII საუკუნეს მომხდარი მოვლენა ჩანს. როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, ეგეოსის ზღვის მინოსური კულტურა, ხოლო შემდგომ ზღვის ხალხებად წოდებული დამპყრობელ-მოახალშენენი, ინდოეთიდან მიგრირებული ხალხებია, სახმელეთო და საზღვაო ტრასით, რომელთა მიგრაციის პერიოდი ათეული საუკუნით არის ერთმანეთისაგან განსხვავებული.

გეოგრაფიულ-პოლიტიკური რუკა ინდოეთისა, რომელიც შედგენილი ჩანს ინდოელი სწავლულების მიერ, ეპოს „მახაბხარატას“ ეპოქის მიხედვითაა შედგენილ-აღდგენილი. (32 საუკუნე ქრისტეს წინ) რუქა არასრულყოფილი დოკუმენტია და მოითხოვს შესწორება-დამატებას... მით უმეტეს, ეპოსი წარმოადგენს დოკუმენტალურ აღწერას ამ ეპოქისათვის მიმდინარე პროცესებისა (თვინიერ ცალკეული მეომრის ზომას გადასული განდიდებისა) და მასში ეჭვის შეტანაც კი უბრალოდ მკრეხელობაა. ეპოს „მახაბხარატას“ ეპოქის რუქა თან დაერთვის ნაშრომს. მართლაც მჭიდროდ ჩანს დასახლებული ინდოსტანის ნახევარკუნძული იმ ეპოქისათვის და ეს გასაგებიცაა: მთელი მსოფლიოს იმ დროის მოსახლეობა ფაქტიურად აქაა თავშეყრილი, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა.

ორ ადგილასაა ეპოსში ნახსენები ჩინი: ერთი ინდოეთისაგან ჩრდილოეთით, ჰიმალაის მთათა სისტემის გადაღმა, რომელიც ფაქტიურად არც მონაწილეობს ინდოეთის კულტურულ ცხოვრებაში, გარდა ცალკეული შემთხვევისა, კერძოდ პანდავა მეფის, იუდიშტხირასადმი საჩუქრების მირთმევისა. ეპოსის მიხედვით უკვე იმ ეპოქისათვის ჩინეთი უკვე საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს. ჩანს, ისინი იმთავადვე ჰიმალაის მთათა სისტემის ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ, რასაც ეპოსში მათი ჰუნუს ტომის გვერდით დასახელება ადასტურებს და საერთოდ აღნიშნულ რუქაზე არცა ხვდებიან.(20)...და ჩინი სატიაკი, კრიშნას მეეტლე და თანამებრძოლი, სრულიად საწინააღმდეგო მხრიდან, ინდოეთის სამხრეთ- დასავლეთ ოკეანისპირა ნაწილიდან. სატიაკი, კურუქშეტრას ომში უფუნქციოდ დარჩენილი (თავად კრიშნა მართავს უპირველესი პანდავა მეომრის, არჯუნას საომარ ეტლს) ფეხდაფეხ აგრძელებს ბრძოლას და კრიშნას მცველის ფუნქციას ასრულებს, თუმცა მისი დაცვა თავად არჯუნას მოუხდა, როდესაც აღმატებულ მეომართან, ბხუშირვასთან მარცხდებოდა. მართალია ეპოსი სატიაკის სხვა ეპიზოდში კრიშნას თანამემამულედ, შესაბამისად ვრიშნის ტომელად მიიჩნევს, თუმცა ჩინის სახელის ქვეშ აშკარად იკითხება ხალდის, ჭანის-ჩენის ტომი, რომელთა უდიდესი ნაწილი საკმაოდ დიდი ხნის უკან მიგრირებულ იქნა დედამიწის სრულიად სხვა წერტილში, სხვა ტომთან ერთად (სავარაუდოდ, არა საკუთარი არჩევანით) ((21)

...და ეპოსში კიდევ ჩანს ერთი კატეგორიის ხალხი, რომელიც აღნიშნულ რუქაზე არ და ვერ ფუნქციონირებს, ტერიტორიულად ინდოეთიდან საკმაო დაშორების გამო:

„ისინი, რომლებიც ცხოვრობენ არა ჰიმავენის ფარგლებში, დაშორებულნი განგიდან, სარასვატიდან, იამუნიდან და კურუქშეტრიდან, ხუთ მდინარეს შორის, მათია მეექვსე- სადხუ , არაწმინდა, ბრახმის გარეთ მდგარ ბახლიკებს (ყოველნაირად) უნდა ერიდო...სადაც დგას პელუს (ხე) ტყე, სადაც

მოედინება ხუთი მდინარე: შატადრუ, ვიშპა, მესამე-ირავატი, ჩანდრაბხა, ვიტასტა და იბადება მეექვსე- სიდხუ, იქ დევს მიწა, წოდებული არატტ-ად. არ ღირს ამ ქვეყანის მონახულება, სადაც განადგურებულია დხარმა (ქვეყანა) არატებისა, დასმებისა, ვიდეხებისა, რომლებიც არ ახორციელებენ მსხვერპლშეწირვას. ამბობენ შრუტაში, რომ არც ღმერთები, არც პიტარები, არც ბრახმანები არ ღებულობენ შესაწირს დხარმის წაბილწული ბახლიკ-ებისაგან! ის მიწა იწოდება არატტად, ხალხს ეწოდება ბახლიკები, ვასატე-ბი და სიდხუ, საუვირები... ისინი ძირითადად ღირსნი არიან ზიზღისა“ (მახაბხარატა,კარნაპარვა-30)

მართალია აქ ეპოსის გმირი კარნა ეპაექრება მეორე გმირს, შალიას, რომელიც მადრების მეფეა და არა ბახლიკებისა, მაგრამ მაინც საყვედურ-ობს ურწმუნო და „უწმინდურ“ ბახლიკებთან მეზობლობას და ნათესაობ-ას. კონტექსტიდან გამომდინარე, ბახლიკები- არატტას ქვეყანა არ იმყოფე-ბა ინდოეთის ტერიტორიაზე. (22) იგივე არატტა, უკვე სამეფოს ტიტულ-ით დაფიქსირებულია შუმერულ ეპოსში ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXVIII საუკუ-ნეს, რაც ეპოს „მახაბხარატას“ რეალობას და მის არქაულობას უსვამს ხაზს, არატტა-ეს სპარსული ტომები ჩანს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ტერიტორიის გარეთ და მიმდებარედ, მისგან ჩრდილოეთით შეინიშნები-ან ჰუნთა და ჩინთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა, ხოლო ინდ-ოეთიდან დასავლეთით ასევე ბახლიკთა -მომავალი სპარსული ტომები.

ინდოეთიდან დანარჩენი მსოფლიოსაკენ მიგრაცია უწყვეტი პროცე-სი უნდა იყოს...და მაინც მიგრაციის ცალკეული ტალღების დაფიქსირება მეტნაკლები ხდომილებით შესაძლებელი ჩანს:

1. ჭან -კოლხ- იბერთა მიგრაცია ინდოეთიდან დღევანდელი ვენეციისაკენ ჩვ.წ. აღრიცხვამდე 3523 წელს...ეს მიგრაცია მაღალი გონის სურვილით და შესაძლებლობებით ჩანს განხორციელებული...მიგრაციის ხასიათი უცნობია.
2. ფინიკიელთა ნაწილის მიგრაცია ინდოეთიდან ეგვიპტისაკენ საზღვაო საოკეანო გემების გამოყენებით, თებეს (დღევანდელი ლუქსორი) ოლქის და კენას დასახლება ჩვ.წ.აღრიცხვამდე XXXII საუკუნეს. რასკვირველია მი-გრაციას საზღვაოსნო ხასიათი უნდა ჰქონოდა.
3. ხმელთაშუა ზღვაში გაღწევა ფინიკიელი ტომების მიერ ჩვ.წ. აღრიცხვა-მდე XXVIII საუკუნეს.
4. ელამიტების და მისი სახლიკაცების დასახლება სპარსეთის ყურეში, ქრი-სტემდე XXVII საუკუნეს. მიგრაციის ხასიათი-ინდოეთის ოკეანის სანაპირ-ოს გაყოლებით- ქვეითად. (უცნობია, მიგრაციის ეს პროცესი ელამიტების სპონტანური სურვილის შედეგად განხორციელდა, თუ ფინიკიელების შე-საბამისი ცნობებით სარგებლობის შემდეგ)

4.ჰიქსოსების- სკვითების და სემიტური ტომების მიგრირება ჩრდილოეთ ინდოეთიდან, არალის ტბის მიმართულებით, შემდგომ მცირე აზიისაკენ, ჩვ. წ. აღრიცხვამდე XXI –XVIII საუკუნეებს.
5.ზღვის ხალხების მიგრაცია ეგვიპტის გავლით მცირე აზიისა და საბერძნეთისაკენ, ჩვ. წ. აღრიცხვამდე XV-XIII საუკუნეებში.
6. ევროპული ტომების მიგრაცია ევროპისაკენ ჩრდილო ინდოეთიდან ჩვ. წ. აღრიცხვამდე -VI-V საუკუნეს.

რასაკვირველია მცირე მასშტაბის მიგრაციულ პროცესებს განუწყვეტლად უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ ხალხთა დიდი გადასახლება ძირითადად ამ შესამჩნევი სქემით უნდა მომხდარიყო, რომელიც წინარე აღვწერეთ.

რაც შეეხება ჩვენთვის უაღრესად საინტერესო ელამელთა დასახლებას დღევანდელი სპარსეთის ყურის მიდამოებში, ამ მიგრაციის წინამძღოლი ისევ და ისევ ფინიკიელები ჩანან, და რომელიც ჩვენი განხილვის მთავარი საკითხია. უნდა გავითავისოთ, რომ ინდოეთის დასახლება არ მომხდა ერთსათობრივად ან თუნდაც ერთსაუკუნობრივად. ასეთივე სურათი უნდა იყოს ადამიანთა განსახლებისა დანარჩენ მსოფლიოში და რომელიც სავარაუდოდ, რამდენიმე ათეულ საუკუნეს გრძელდებოდა... და არსებობს თუ არა ანალოგიური დასახლება იმ ეპოქსათვის დედამიწის სხვა რეგიონში? დიახ, არსებობს, შუამდინარეთი და ეგვიპტე, მაგრამ...

... წარღვნა...

„F-1

ევსევი (ქრონიკა) სომხური თარგმანიდან: მე მოვყვები, რომ ეს ბეროსი (ხალდეველი ქურუმი ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე) წერს თავისი ისტორიის პირველ წიგნში, და დავუმატებ ნათქვამს, რაც ჩართო თავის ნამუშევრებში პოლიგისტორმა. ის ყვება მიმდევრობით, შემდეგნაირად (ამ ადგილიდან სომხური ვერსია ძირითადად ეთანხმება სინკელის ბერძნულ ვერსიას)
სინკელი (რჩეული ქრონოგრაფია): ალექსანდრე პოლიგისტორიიდან და ხალდეურ მმართველზე, მსოფლიო წარღვნაზე, დიდ წარღვნაზე, ნოეზე და მის კიდობანზე. თავის ცნობებში ის ახსენებს რამდენიმე დაუჯერებელ შემთხვევაზე, აღნიშნული ბეროსის ნაშრომებში.(23)

ბეროსი პირველ წიგნში „ბაბილონის ისტორია“ ამბობს, რომ ის ცხოვრობდა ალექსანდრეს ეპოქაში, ფილიპეს შვილისა; რომ წიგნები მრავალი მწერლებისა მოიცავს პერიოდს 15 მირიად წელზე მეტს (24), დიდი ზრუნვის ქვეშ ინახება ბაბილონში. ისინი შეიცავს ნაწერებს ცისა და ზღვის

ისტორიის შესახებ, პირველ შექმნაზე, მეფეებზე და მათ გაკეთებულ საქმეებზე.

თავიდან ის საუბრობს, რომ მიწა ბაბილონისა დევს მდინარეებს, ტიგროსსა და ევფრატს შორის და ბადებს ველურ თავთავს და ქერს, ფეტვსა და სეზამს, ხოლო ჭაობში იზრდება საჭმელი ძირხვენი, ის იწოდება „გონგად“ ხოლო თვისებით ის ქერის თანატოლია. იზრდება იქ ფინიკებიც, ვაშლი და სხვა ხილი, თევზიც მრავლადაა და ფრინველი, მინდვრები და ჭაობები. არის ამ მიწაზე უწყლო და უნაყოფო რაიონები არაბეთში, ხოლო არაბეთის მოპირდაპირედ გადაჭიმული მთიანი და ნაყოფიერი. ცხოვრობს ბაბილონში სხვადასხვა ტომის ხალხები იმათგან, რომლებიც ცხოვრობდნენ ხალდეაში. ხოლო ცხოვრობენ ისინი უწესრიგოდ, როგორც მხეცები (25)

პირველ წელს გამოჩნდა წითელი ზღვიდან (სპარსეთის ყურე) იმ ადგილას, ბაბილონის მახლობლად საშინელი არსება, სახელად ოანი, და როგორც ყვება აპოლოდორი (26) სხეული მას ქონდა თევზისა, ხოლო თევზის თავს ქვემოთ იზრდებოდა მეორე თავი და ასევე ადამიანური ფეხები, იზრდებოდა თევზის კუდის გვერდით. ხმა მას ადამიანური ჰქონდა. მისი გამოსახულება ჯერ კიდევ შემოინახა. ეს არსება, ჰყვება ის, დღეებს ატარებდა ადამიანთა შორის, არ ღებულობდა არავითარ საკვებს და ასწავლა ხალხს განათლება და მათემატიკა, სხვადასხვა სახის ხელოვნება. ასწავლა ხალხს ეცხოვრა ქალაქებში, დაეარსებინათ ტაძრები, დაემყარებინათ კანონები და გეომეტრიას ასწავლიდა და აჩვენა როგორ ხდება მარცვალის და ნაყოფის შეგროვება და საერთოდ ასწავლა ყველაფერი, რაც შეეხება კულტურულ ცხოვრებას. იმ დროიდან ახალი რამე გამოგონილი არ ყოფილა. <u>მზის ჩასვლასთან ერთად, ეს არსება , ოანი, ყვინთავდა უკან წყალში და ღამეს ატარებდა მის წიაღში. იმიტომ რომ, ის ამფიბია იყო.</u>

გვიან გამოჩნდა სხვა არსებებიც, მისი მსგავსი, რომელზედაც როგორც ის (ბეროსი) ამბობეს, ლაპარაკია სამეფო ჩანაწერებში. <u>ოანმა კი დაწერა მოთხრობა დაბადებაზე და სახელმწიფო მოწყობაზე და გადსცა ხალხს. (27)</u>

წიგნი 2...F-3 (სინკელი)

თავის მეორე წიგნში ბეროსი ჰყვება ხალხთა ათი მეფის შესახებ და მათი მმართველობის ხანგრძლივობაზე, რომელმაც შეადგინა 120 სარი ანუ დაახლოებით 432000 წელი დიდ წარღვნამდე.

ბეროსი სარგებლობდა თავის გამოთვლებში : სარი, ნერი და სოსი ;
სარი-ეს დროის ერთეულია-3600 წელი
ნერი-600 წელი

სოსი-60 წელი
ბეროსი წერდა, რომ ალორი, ხალდეველი ბაბილონიდან იყო ბაბილონის მეფე. ის მეფობდა ათი სარი.

ევსევი-სომხური თარგმანი

...და ის (ალექსანდრე პოლიგისტერი) იწყებს წერას და ამბობს ასეთს: აპოლოდორი ამბობს რომ ბაბილონში იყო ალორი-ხოლო ის იყო ხალდი-მეფობდა ათი სარი, სარი ტოლია 3600 წლისა, თანაც აქვე აღწერს ის ნერ-ებს და სოსებს: ნერი- ტოლია 600 წლისა, ხოლო სოსი, ამბობს ის=60 ; თუ დავთვლით წლებს რაღაც უძველესი მეთოდით, ამბობს ამაზე ის და აგრ-ძელებს, გვიამბობს რიგრიგობით ასირიელთა მეფეებზე, ათ მეფეზე, ალორ-იდან, პირველი მეფიდან კსიუსუტრამდე. მის დროს მოხდა დიდი წარღვ-ნა, რომელსაც ახსენებს მოსეც, და ამტკიცებს, რომ მმართველობის დრო ამ მეფეებისა 43 მირიად წელი, ასე წერს იგი (ამ ადგილიდან სომხური ვერ-სია თანხვედრილია სინკელის ვერსიათან) შემდეგ მეფობდა ალაპარი, ალ-აპარის შემდგომ - ამელონი ქალაქ პაუტიბიბლადან. ხოლო ამელონის შემ-დეგ მეფობდა ხალდი ამმენონი. მისი მმართველობისას წითელი ზღვიდან გამოჩნდა საოცრება ოანი ანედოტი. ალექსანდრე პოლიგისტერი ამტკიცებს, რომ ეს მოხდა მისი მართველობის დროს, ბეროსი-40 სარის შემდეგ, ხო-ლო აბიდენი ამბობს, რომ ეს იყო მეორე საოცრება, მეორე ანედოტი, რომ-ელიც გამოჩნდა 26 სარის შემდეგ. ამმენონის შემდეგ ამეგალარი ქალაქ პა-უტიბიბლადან მეფობდა 18 სარი. მას მერე დაიწყო დაონის მეფობა, მწყემ-სისა ქალაქ პაუტიბიბლადან, ის მართავდა ათი სარი. ბეროსი ამბობს, რომ მისი მართველობის პერიოდში საოცრება გამოჩნდა კიდევ ერთხელ, მეო-თხე, წითელი ზღვიდან, ასევე მახასიათებლებით ადამიანისა და თევზისა. შემდეგ ევედორანხი ქალაქ პაუტიბიბლადან, მეფობდა 18 სარი. მისი მმარ-თველობის დროს წითელი ზღვიდან გამოჩნდა თევზის მსგავსი არსება, რომლის სახელი იყო ოდეკონი. ბეროსი ამბობს, რომ საოცრებამ დაწვრი-ლებით ახსნა ის, რაც აქამდე მოკლე ფორმებით იყო ნათქვამი ოანებისაგ-ან. აბიდონი არაფერს არ ამბობს მის შესახებ. მერე დაიწყო ამემპსინის მმა-რთველობა, ხალდეისა ლარანხადან, ის მეფობდა 8 სარი. მერე, დაიწყო ოტ-იარტის მმართველობა, ხალდეისა ლარანხადან. ის მეფობდა 8 სარი. მერე ოტიარტის სიკვდილის მერე, მისი შვილი კსიუსუტრა მეფობდა 8 სარი. მისი მმართველობის დროს მოხდა დიდი წარღვნა, სულ იყო 10 მეფე, მეფობდნენ 120 სარი. სომხურ ტექსტში დამატებულია ცხრილი, მოყვანი-ლია ტაბულა, რომელიც ასევე არის სინკელიდან, თუმცა არ უკავშირებს მისი ბეროსთან ავტორობას:

1.ალორი - 10 სარი ხალდეველი (28)

2.ალაპარი - 3 სარი სავარაუდოდ ხალდეველი
3.ამელინი - 13 სარი ქალაქ პაუტიბიბლადან
4.ამმენონი - 12 სარი ხალდეველი
5. ამეგალარი - 18 სარი ქალაქ პაუტიბიბლადან
6. დაონი - 10 სარი ქალაქ პაუტიბიბლადან
7.ევედორანხი -18 სარი ქალაქ პაუტიბიბლადან
8.ამეპსინი - 10 სარი ხალდი ქალაქ ლარანხადან
9. ოტიატი - 8 სარი ხალდი ქალაქ ლარანხადან
10.კსიუსუტრა -8 სარი მისი შვილი
სულ 10 მეფე, 120 სარი, ხოლო 120 სარი უნდა შეადგენდეს 43 მირიად წელს, თუ სარი ნიშნავს 3600 წელს, ამბობს ალექსანდრე პოლიგისტორი.

F 4

კრონოსი (29) გამოეცხადა კსიუეუტრას ძილში და უთხრა, რომ დაისის თვეს ხუთმეტ რიცხვში კაცობრიობა (?!) განადგურებული იქნება დიდი წარღვნით. მან მას უბრძანა, ყველა ერთად, ყველაზე პირველები და საშუალოები, და ახალი ტაბულები, დაეფლოთ მიწაში და დაემალა სიპარში, მზის ქალაქში. მერე მან უნდა ააგოს გემი, დაჯდეს მასზე თავისი ოჯახით და უკეთესი მეგობრებით. მან უნდა შეაგროვოს საჭმლისა და სასმელის მარაგი, ასევე აიყვანოს გემზე გარეული მხეცები და ფრინველები, ასევე ოთხფეხები. მერე როდესაც ყველაფერი მზად იქნება, უნდა მოემზადოს გასაცურად. როცა ის შეეკითხა საით უნდა გასცუროს, მიღებული იყო პასუხი: ღმერთებთან, ილოცე რომ ყველაფერი კარგი მოვიდეს ადამიანთან. ის დაუღალავად მუშაობდა მანამ, სანამ გემი არ დამზადდა. მისი სიგრძე იყო ხუთი სტადიონი (1000 იარდი) სიგანე -ორი (400 იარდი, თავის მეუღლესთან, ბავშვებთან და ყველაზე ახლობლებით ის დაიტვირთა გემზე, რომელიც ისე იყო მოწყობილი, როგორც ითქვა....

F 5

კსიუსუტრიდან და წარღვნიდან, და იქამდე, როდესაც მიდიელებმა აიღეს ბაბილონი, პოლიგისტორი თვლის 86 მეფეს და ასახელებს თითოულს ბეროსის წიგნის მიხედვით, ხოლო მათი ყველას ჯამურ მმართველობას ასახელებს 3 მირიადი 3 ათას 91 წელს.

ხოლო მათ მერე, მათი მძლავრი დინაასტიების შემდეგ, მარებმა მიმართეს ბაბილონის წინააღმდეგ, აიღეს და დასვეს თავიანთი ნაცვლები. ამის შემდეგ ის ასახელებს მარების ნაცვალებს, სულ 8-ს, ხოლო წლების რიცხვი მათი მმართველობისა 224 ; და კიდევ 11 მეფე და 28 წელი. შემ-

დეგ კიდევ 49 ხალდეური წარმოშობის მეფეებს და 458 წელს. ამის შემდეგ 8 არაბული მეფეები და 245 წელი. ამის შემდეგ ის ყვება სემირამიდას ბატონობაზე ასირიელებზე, შემდეგ კიდევ ახსენებს ცალკეულ სახელებს 45 მეფისა და განსაზღვრავს მათ მმართველობის წლებს, როგორც 526 წელს. მათ შემდეგ ხალდების მეფე იყო ფული (ტიგლატფილასარ III) რომელიც ასევე ნახსენებია ებრაელების ისტორიაში და წოდებულია ფულად" (ბეროსი; ბაბილონური ისტორიები) შემოკლებული ვარიანტი

წინამდებარე ნაშრომი, „ბაბილონურ ისტორიებად" წოდებული, ეკუთვნის ხალდეველ ქურუმს ბეროსს, რომელის ქრისტემდე IV-III საუკუნეს მოღვაწეობდა. ბეროსის ნაწერები პირდაპირი სახით ჩვენამდე არ მოღწეულა. როგორც წინამდებარე ისტორია გვაჩვენებს, ის მოღწეული მთელი რიგი შედარებით გვიანდელი ისტორიკოსების გახმოვანებულ წერილობითი წყაროების საშუალებით: ალექსანდრე პოლიგისტორი - 100- 40 წ. ჩვ. წელთა აღრიცხვამდე; ევსევი კესარიელი 260-340 წელი; სინკელი - IX-X საუკუნე; სომხური წყარო- X- საუკუნე და უფრო გვიან;
ცხადია, ბეროსის ცნობები ჩვენამდე დიდი დამახინჯებით უნდა იყოს მოღწეული, იმავე წარღვნის ადგილისა და დროსთან მიმართებაში. შევეცადოთ სინათლე შევიტანოთ ბეროსის თხრობაში, გამომდინარე იმ მოსაზრებიდან, რომ ის „ბაბილონური" ისტორიის სწორი თარიღების გადმოცემას ცდილობს (და არა ზღაპრულის)

...და ვენეცია...

1. საყურაღებოა ის გარემოება, რომ ბეროსი ბაბილონის მკვიდრთ ხალდებად ახსენებს, მიუხედავად გაბატონებული მოსაზრებისა, რომ ხალდეური (შუმერული) კულტურა აქადურით იქნა ჩანაცვლებული. (როგორც ირკვევა, აქადურ კულტურას მთელი ხუთი საუკუნე გაბატონებული მდგომარეობა თავად ეკავა შუმერში) სავარაუდოდ, ქართული ისტორიოგრაფია რუსული წყაროების АКАД-ს, აქადს, ხალდეველში ურევს და მას ჩვეულებრივ ქალდეველად მოიხსენიებს, თუმცა ბერძნულ ლიტერატურაში ორივე ზუსტად ერთი და იმავე ასო-ნიშნებით -ხ- თი იწერება! შესაბამისად, ბეროსი შორეულ წარსულზე უნდა ჰყვებოდეს, და არა მის თანამედროვე „ხალდებზე". (უდავო უნდა იყოს ის მოსაზრებაც, რომ შუმერში, ბეროსის დროინდელ ბაბილონში ენა ნაცვალი იყო!) სავარაუდოდ, აქ „ზედმეტი" ქართული თავმდაბლობის აშკარა გამოხატულება ჩანს: რომ ქართველური პროვინცია ბიზანტიაში ხალდეა და შუმერი, რომლის კანონიკური სახელწოდება ასევე ხალდეაა, ერთმანეთისაგან იქნეს იზოლირებული! ჭანივი-იგივე ხალდივი! ასეა ცნობილი ეს ბიზანტიური პროვინცია, რომელიც ლაზიას, ლაზივს (ტრაპეზუნდს) ესაზღვრება სამხრეთ-აღმოსავლეთით და

ასევე ეწოდება! თვით ურარტუს სახელმწიფოს კანონიკური სახელწოდება ხალდეაა და ასეც უწოდებს მას მთელი მცირე აზიური სამყარო, თვინიერ ასირიისა! (30)

2. მეფე კსიუსუტრა, რომელის მეფობისას მოხდა წარღვნა, გემს (ესოდენ დიდს) მხოლოდ და მხოლოდ ზღვაზე თუ ააშენებდა, შესაბამისად შუმერთა ბინადრობა წარღვნის დროს ევფრატის ან ტიგროსის ზემო წელში გამორიცხულია! ამავე დროს, წარღვნამდელ მეფეებთან ოანები სტუმრობენ, ასწავლიან და წვრთნიან მოქალაქეებს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ამასთან ისინი ყოველ დილას ზღვიდან ამოდიან და საღამოს იქვე ეშვებიან. გავითვალისწინოთ რა მათი ქვეითად გადაადგილება, ხალდები ზღვის სანაპიროზევე ცხოვრობენ, მაგრამ რომელი ზღვის? დანამდვილებით არა სპარსეთის ყურის- კრონოსი მათ სრულიად კონკრეტულად მიუთითებს, რომ უცხო ადგილას უნდა წავიდნენ- ღმერთებთან...თუ გავითვალისწინებთ მსოფლიო ისტორიკოსებში მიღებულ მოსაზრებას, ისინი ადგილობრივები არ არიან, ჩამოსული ხალხია... შესაბამისად ურჩხული ოანი წითელი ზღვიდან (სპარსეთის ყურე) ვერ ამოვა და არც შუმერები ცხოვრობდნენ აქ, შუამდინარეთში...ფაქტია, რომ ისინი ზღვისპირა ხალხებია (31) და რომელი ზღვის?

„უმბრები ითვლებოდნენ ყველაზე ძველ ხალხებად იტალიაში და როგორც ფიქრობენ, იდენტიფიცირდებიან იმ ომბრებთან, რომლებმაც მსოფლიო წარღვნის დროს შეძლეს გადაეტანათ წვიმები“ (32) (პლინიუს უფროსი, ბუნებრივი ისტორია, წიგნი III-112, 28)

მკითხველს შევახსენებ, რომ პლინიუს უფროსის აღწერის ეს ფრაზა შეეხება ტერიტორიას ანკონიდან ეგრეთ წოდებულ გალიამდე, რომელიც მჭიდროდ ეკვრის ვენეციას სამხრეთ- აღმოსავლეთით... და რომელ მსოფლიო წარღვნაზე საუბრობს პლინიუს უფროსი? მიუხედავად სხვადასხვა ხალხთა (და ავტორთა) ინტერპრატიციებისა, ასეთი სულ ერთი არსებობდა დედამიწის განჭვრეტად ისტორიაში... და რას ამბობს ამის შესახებ ანტიკური ვერსია? ჭაბუკმა ფაეტონმა მამას, ჰელიოსს (მზეს) სთხოვა დაეთმო მისთვის ზეციური ეტლის მართვა, მამამ საყვარელ ვაჟიშვილს უარი ვერ უთხრა, თუმცა ფაეტონმა ვერ გაართვა თავი ციური ეტლის მართვას… იმის შიშით, რომ მზეს არ დაებუგა პლანეტები (მათ შორის დედამიწა) ზევსმა მეხით მოკლა ჭაბუკი ფაეტონი…ეტლის ნამსხვრევები მდინარე ერიდანში (რიგი წყაროებით ერიდანი -ეს პადია, ვენეციის მდინარე) ჩავარდა… ცეცხლაწაკიდებულ დედამიწისაკენ ზევსმა წყლის დიდი ჭავლი მიმართა, რამაც დედამიწაზე წარღვნა გამოწვია... ლეგენდის სხვა ვერსიის მიხედვით, მხოლოდ დევკალიონი (პრომეთეს შვილი) და პირა (მისივე ბიძაშვილი) გადარჩნენ...ფაქტიურად, პლინიუს უფროსის ვერსიით, მსოფლიო წა-

რღვნა ადრიატიკის ზღვაზე, კერძოდ ვენეციაში მოხდა, ხოლო ხალდები (ჭანები) ვენეციიდან წყალდიდობას და გაუთავებელ წვიმებს გარიდებული ხალხია... მხოლოდ აქ, ვენეციის დაბლობშია შესაძლებელი გაუთავებელმა წვიმებმა წყალდიდობა გამოიწვიოს და აქვეა შესაძლებელი ხალდების ცხოვრება, რომელთაც იქვე მდებარე ზღვიდან ოანები სტუმრობენ...

ისტორიული ექსკურსი

შეუძლებელია დაეთანხმო ბეროსს, რომ ზღვიდან ამოსული ოანები უჩხულები, თუნდაც ამფიბიები არიან. ბეროსისეული აღწერა ოანისა გვაჩვენებს, რომ ისინი ადამიანის მსგავსი არსებან, ჰუმანოიდები არიან. კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე, აკვალანგის კოსტუმი ბეროსის სიტყვებით მიჩნეულია თევზის ტანად. სკაფანდრი, თევზის სახის ქვეშ მეორე სახის ქონად, ხოლო საცურაო ლასტები (ეს კი უკვე დღევანდელისაგან განსხვავებით, ხელოვნურად შექმნილი ავტონომიური მოწყობილობა უნდა იყოს) კი ფეხოსანის მახინჯ დამატებად. ის, რომ ოანი აძლევს ადამიანებს სხვადსხვა ცოდნას, მიანიშნებს: ის ამფიბია კი არა, უმაღლესი არსებაა! ის აძლევს ადამიანებს მათთვის უცნობ ცოდნას აგრონომიაში, არითმეტიკასა და გეომეტრიაშიც კი:

„გვიან გამოჩნდა სხვა არსებებიც, მისი მსგავსი, რომელზედაც როგორც ის (ბეროსი) ამბობს. ლაპარაკია სამეფო ჩანაწერებში. <u>ოანმა კი დაწერა მოთხრობა დაბადებაზე და სახელმწიფო მოწყობაზე და გადასცა იგი ხალხს“ (იქვე F1)</u>

აქ კი პირდაპირ ლაპარაკია იმაზე, რომ პირველი დამწერლობა (ლურსმნული) დაწერა და შექმნა ოანმა, მაღალმა გონმა...ოანი აძლევს ადამიანებს სახელმწიფო მოწყობის მოდულს, მიახლოებულს დღევანდელ საარჩევნოსთან: იქ მეფობა (მმართველობა) არჩევითია და არა მემკვიდრეობით, თანაც არჩეული ამ ადგილს იკავებს მხოლოდ გაერკვეული პერიოდით. უაღესად საინტერესოა ერთი ყურადღების მიღმა დარჩენილი ფაქტი:
ხალდები იმ აღრიცხულ 120 წლიდან 61 წელი მეფობენ, სხვები ქალაქ პაუტიბიბლადან, თითქმის ამდენივეს -59. ფაქტიურად, აქ ორი ხალხის, ორი ტომის კონფედერაციას აქვს ადგილი, თანაბარი უფლებების პრინციპით. საინტერესოა, რომ წარღვნის მერე ხალდეაში (შუმერში) ფაქტიურად მხოლოდ ხალდი მეფეები ფიქსირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხალდეა-შუმერი დაპყრობილია უცხოთა მიერ...და ვინაა იმ იდუმალი ქალაქ პაუტიბიბლას მცხოვრები ხალხი? ჰიპოთეზა, რომ ხალდები - ჭანები-ჩენები არიან, საძიებელ ტომთა რიცხვს ერთობ ავიწროებს:

„ კოლხაპური- ქალაქი შტატ მახარაშტრაში, ინდოეთში. მდებარეობს სამხრეთ ინდოეთში, ოკეანის სანაპიროდან -80 კმ- ის მოშორებით. პირველი

დასახლება ფიქსირდება უკვე ჩვ. წ. აღრიცხვის დროს. თავად ინდური წყაროებით, უძველესი (ისტორიამდელი) პერიოდიდან ითვლება მნიშვნელოვან ცენტრად ტენგრიული კულტურისა, შაკტი- სადმი მიძღვნილის. შაკტი-ტენგრიზმში, შივ-აიზმში და შაკტიზმში- როგორც შემოქმედი, ისევე დამანგრეველი ქალური ენერგიაა ღვთაებისა, ქალური საწყისი ყოველგვარი სულიერისა, მხეცისა, ადამიანისა და ღვთაებრივისა...სავარაუდოდ ქალაქი აღმოცენდა წმინდა ადგილის ირგვლივ. დღეს რეგიონში დომინირებს ლაკშმის კულტი, ასევე ღვთაებათა ქალური საწყისისა, თუმცა უკვე სხვა, ბუდისტურ, ლამაისტურ რელიგიაში“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

კოლხაპური- სიტყვა თავისთავად კოლხთა ქალაქს ნიშნავს, რამეთუ კოლხი- ეს კოლხია , ხოლო აპური- უძველეს ჰინდუ ენაზე ქალაქს ნიშნავს...ხასტინაპური, ასე ეწოდება უძველეს (ინდურს, რამეთუ ჭანური ლარანხა და კოლხური პაუტიბიბლა უფრო ძველი ჩანს, რომ არაფერი ვთქვათ კოლხაპურზე) ქალაქს ინდოეთში, რომელიც ეპოს „მახაბხარატას“ პერიოდშიც (XXXII საუკუნე ჩვ,წ, აღრიცხვამდე) უკვე საკმაოდ ძველი ქალაქი ჩანს. ხასტინი- ჰინდუ ენაზე სპილოს ნიშნავს, სავარაუდოდ სპილოს აგებულობის ადამიანს, ხოლო აპური...აპური ცალსახად ქალაქს აღნიშნავს...სინგაპური-ასე ეწოდება თანამედროვე ქალაქს რეგიონის სიახლოვეს და ტერმინი სიმღერის (მხიარულების და ბედნიერების) ქალაქის სინონიმია...შეიძლება კოლხაპური, მდებარე ინდოეთში, უბრალო სიტყვის დამთხვევად ჩაგვეთვალა, რომ არა ერთი გარემოება...კოლხთა (თავიანთი სახელით) პირველი დაფიქსირებული ქალაქი-პოლისი დღევანდელ საბერძნეთში- ეპირში, დოდონად იწოდებოდა! დოდო-ნა-პირველი და უძველესი სამისნოა საბერძნეთის ტერიტორიაზე. ის ჯერ კიდევ პელაზგების (დაარსებული) სამლოცველო იყო, სადაც ჰეროდოტეს სიტყვებით, ღმერთებს (თუ ღმერთს) თაყვანს სცემდნენ ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან, როდესაც მათი სახელებიც კი არ იცოდნენ...დოდონა- ეს უცილობლად დიდი ნანაა, სამყაროს დედა და ყოველგვარი ქალურის საწყისი...შექმნილი სინამდვილე აქ შეცდომის დაშვების საშუალებასაც კი არ იძლევა, დასკვნა, თავისთავად გამომდინარე: შუმერის მეწყვილე თემი კოლხი- ტამერი ჩანს! **„ევროპის ხალხთა ენაზე სახელი ეგვიპტე ძველი ბერძნებისაგან მომდინარეა და ხმოვანდება როგორც ეგვიპტოსი. წარმომავლობა ამ ტოპონომისა ზუსტად არაა ცნობილი, თუმცა არსებობს მისი ახსნის რამდენიმე ვერსია. ძველბერძნული მითიოლოგია-სამეფოს სახელწოდება ეგვიპტოსი აღმავალი გზით მეფის სახელ ეგვიპტოსამდე მიდის (საერთაშორისო ვარიანტი ეგვიპტე, ეგიპეტი) რომელიც მავანი მილომპოდების ტომის დამმორჩილებელია ნილოსის დაბლობზე და მათთვის საკუთარი სახელის, ეგვიპტოს-**

ის მიკუთვნებით. თუმცა უფრო სავარაუდოა, რომ ეს მითიური პერსონაჟი შემდეგ იქნა პერსონიფიცირებული ძველი ბერძნების მიერ, უკვე არსებული სახელის მიხედვით. ზოგიერთი ანტიკური ავტორი ახსენებს ეგვიპტეს: ფსევდო-აპოლოდორი, ჰესიოდე, ჰეკატე მილეტელი, პავსანია. სავარაუდო ისტორიული ეტიმოლოგია-ძველბერძნული სიტყვა აიგიპტოსი, წარმოქმნილი ერთ-ერთი სახელწოდებისაგან ეგვიპტის ადრეული და ძველი სამეფოსაგან ხუტ-კა- პტა (ბერძნ-ული მემფისი) ეს სახელწოდება ნიშნავდა ტაძარს კა-პტხასი. უძველესი ხუტ-კა-პტხა თავიდან იყო მემფისის სამისნო, ღმერთი- შემქმნელი პტხა, გადასული შემდგომ ქალაქის სახელად. დროთა განმავლობაში მთელი ოლქის სახელი, ხოლო გვიან, ამ ოლქის სახელის მიხედვით ძ ველმა ბერძნებმა გავრცელეს სახელის ეს ვარიანტი მთელ ქვეყანაზე. ასევე შესაძლებელია ქვეყნის დასახელების სახელდებაში ჩადებული იყოს მდინარე ნილოსის სახელი. ასე მაგალითად, ჰომეროსი აღნიშნავს მდინარე ნილოსს,ხოლო შემდეგ ქვეყანას ამ მდინარისაგან (წარმოქმნილს)

სხვა სახელები

თვითდასახელება ტოპონომ ეგვიპტისა გამოყენება დინასტიური პერიოდის აღწერისათვის პირობითია, იმიტომ რომ ის მიღებულია ისტორიკოსების მიერ გაცილებით გვიან, ძველბერძნული დასახელების მიხედვით რეგიონისა და მდინარის (ნილოსის სანაპიროს) კულტურის მიხედვით. თავად ძველი ეგვიპტელები აძლევდნენ თავიანთ ქვეყანას სხვადასხვა, რამდენადმე ალეგორიულ სახელს, ხშირად აიგივებდნენ მას ნაყოფიერებასთან, ტა-კემეტი, ანუ შავი მიწა მხედველობაში ჰქონდათ ნაყოფიერი მიწა მდინარე ნილოსის სანაპიროზე) საწინააღმდეგოდ წითელი მიწისა, გარემომცველი უდაბნოსი. ან ტამერი-განმარტებულია როგორც თოხის მიწა!
(ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

არაფერს და ვერაფერს ვიტყვით ეგვიპტის ამ უკანასკნელ თვითდასახელებაზე, თუმცა ის აბსოლუტურად მოდის რეზონში სხვა, მისი თანატომელების, სახლიკაცების, დასვლეთ - ქართველურ ტომების სახელებთან, შუმერი, იბერი! რაც შეეხება თვითდასახელება ტა-კემეტს, ის სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს შავ მიწას და ამის შესახებ ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ!

..მაშასადამე ტამ-ერი...და ვინ არიან ისინი?

კითხვაზე პასუხი ჯერ კიდევ 25 საუკუნის წინ იყო გაცემული, თუმცა ამისთვის სათანადო ყურადღება არ და ვერ მიქცეულა, რამეთუ... რამეთუ კოლხი უკვე პატარა მდინარის, ტეხურის პირას ცხოვრობს და მცირე ერის სინდრომი საკუთარი უმნიშვნელობისა ვერ გადაულახავს:

„კიდევ სხვა რამის თქმა შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად: <u>მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის.</u> კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტურიდან შემოსულს კი ეგვიპტურს“ (ჰეროდოტე, ისტორია წიგნი II -105)

მკითხველს უნდა გამოვუტყდე, პირადად რამდენჯერმე „გადავახტი“ ჰეროდოტეს ამ უმნიშვნელოვანეს ცნობას: აქ მთავარი სელი და მისი მოყვანის კოლხურ-ეგვიპტური წესის იდენტურობა კი არაა, არამედ ის, რომ კოლხები და ეგვიპტელები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ და ცხოვრების წესიც აბსოლუტურად ერთმანეთის იდენტური აქვთ! მილიარდჯერ ტრილიონ შემთხვევაში თუ ორი ერი, დაშორებულნი ერთმანეთს ათასეულობით კილომეტრით და ერთმანეთის მსგავს ენაზე საუბრობს, ისინი ერთი მეორის ნაწილია და (შორეულ) წარსულში ერთად უცხოვრიათ!
ჰეროდოტე, (რომელმაც მისივე სიტყვებით პირადად იმოგზაურა ამ ორსავე ერში) საკუთარ ნაშრომში როგორღაც ცდილობა ამ ფაქტს ახსნა მოუძებნოს. ის ყვება რომ ფასისთან მცხოვრები კოლხები სესოსტრისის (როგორც ირკვევა ფარაონ ჰორემხების) ლაშქრობის დროინდელი გადაღლილი მეომრები არან, რომლებიც ფასისთან დარჩნენ მისი თრაკიული ლაშქრობისას (საკითხი მოგვიანებით იქნება განხ ილული) თავად ჰეროდოტეს სიტყვებით, ეგვიპტელებს უფრო ნაკლებად ახსოვთ კოლხები. ნაკლებად იმიტომ, რომ მათი საერთო სამშობლოდან , ვენეციიდან მათი მიგრაციის შემდეგ ათეულობით საუკუნეა გასული... მოსახლეობის ერთი ერთი ნაწილი, ფეხდაფეხ გაერიდა წარღვნას და გაჩერდა ტერიტორიაზე (ეოლიელებთან-ხალდებთან და იბერებთან ერთად), რომელსაც მრავალი საუკუნის შემდეგ ქრონოლოგიურად ეწოდათ პელაზგია, იონია, საბერძნეთი. მათივე ნაწილი, გადასული მცირე აზიაში, იბერების-ასევე იონიელების და ხალდების-ეოლიელების სახელს იძენს. ხალდები-ეოლიელები ქალაქი ლარანხადან (და ალბათ სიპარიდანაც- მზის ქალაქიდან) შუმერს აარსებენ, კოლხები ქალაქ პაუტიბიბლადან და ასევე ხალდები-ჩენები, ეგვიპტეს აფრიკაში... თავად ეგვიპტური მუმიების გენეტიკური ანალიზი მათ აშკარა კოლხურობას მიანიშნებს და ეს საკვირველიც არ უნდა იყოს: ეგვიპტელები, კოლხებიც და ჭანებიც საერთო სამშობლოდან, დღევანდელი ვენეციიდან არიან...და ბოლოს, როგორც ეტყობა, ჩვენ ღია კარს ვამტვრევთ:
„ისტორიკოსები მიუერთდნენ ამ მონაყოლს ცვლილებებზე ცნობების სხვადასხვაობას, მომხდარს გადასახლების შედეგად, რომ გადაგვაჩვიეს მეტისმეტ გაოცებას. ამ თვისებებს აქებს დემოკრიტე და ყველა სხვა ფილოსოფოსი: ისინი აყენებენ ამ შეუპოვრობას უშიშროების გვერდით, აუცილებლობასა და სულიერ სიმტკიცესთან ერთად. ასე მაგალითად, დასავლეთის

იბერიელების გადასვლა პონტოსა და კოლხეთის რეგიონში (რეგიონი, რომელიც აპოლოდორის მიხედვით გამოყოფილია სომხეთისაგან არაქსით, თუმცა უფრო მოსხის მთებით და მტკვრით) <u>ეგვიპტელთა გადასახლება ეთიოპიასა და კოლხეთში, ენეტებისა პაფლაგონიიდან ადრიატიკაში“ (სტრაბონი, გეოფრაფია, წიგნი I; III-21)</u>

იბერთა და ენეტების „გადასახლებაზე“ ჩვენ წინა წიგნში ამომწურავად ვისაუბრეთ, რაც შეეხება ეგვიპტელთა კოლხეთში „გადასახლების“ სტრაბონიისეულ ვერსიაა, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, თუმცა ეგვიპტელთა და კოლხთა იდენტურობის დაფიქსირება ორი სახელგანთქმული ისტორიკოსის მიერ სახეზეა! ჩვენთვის საინტერესოა სტრაბონის ეს ცნობა იმდენად, რამდენადაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ეგვიპტელებისა და კოლხების სრულ იდენტურობასდ, რაც მისი ეპოქის ისტორიკოსთათვის რიგითი ჭეშმარიტება ყოფილა.

ქრონოლოგიის ბეროსისეული სისტემა

ბიბლიაზე დაყრდნობით გაკეთებული ბოლო ბერძნული გამოთვლები მსოფლიო წარღვნის თარიღად 3268 წლის 12 ნოემბერს დებს...სრულიად განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს ბეროსისეული ხელნაწერები, თუმცა როგორც ზემოთ აღინიშნა, ის ბეროსისეული ვერსიის თავისებური ინტერპრეტაციაა მხოლოდ და სინამდვილესთან არაფერი არ აკავშირებს. (წინააღმდეგ შემთხვევაში 300 ათასიანი წლიანი განსხვავება უბრალოდ ძნელად ასახსნელიც კია) შევეცადოთ გავერკვეთ წელთააღრიცხვის იმ აბსურდულ სისტემაში, რომელსაც ბეროსის ინტერპრეტატორები გვთავაზობენ, ალექსანდრე პოლიგისტორისაგან დაწყებული და სომხური ვერსიით დამთავრებული...ბეროსის ზემოთ მოყვანილ ცნობებში აბსოლუტურად რეალურადაა გადმოცემული მესოპოტამიაში მდებარე სახელმწიფოს, ბაბილონის ბოლო მეფეების ზეობის წლების ხანგრძლივობა: ამარდუკი-12 წელი; ნაგლასარი 4 წელი; ნაბოდენი (ნაბონიდი)-17 წელი. აღსანიშნავია რომ ბეროსს (ბეროსის ცნობის მომწოდებელს) ბაბილონელ მეფეთა ზეობის ვადაც წლებში აქვს მოცემული. ამავე დროს ბეროსი აბსოლუტურად რეალურად გადმოგვცემს წარღვნამდელი ხალდეველი (და პაუტიბიბლელი) მეფეების ზეობის ვადებსაც: ალორი-10; ალაპარი-3; ამელონი-13; ამმენონი-12; ამეგალარი-18; დაონი-10; ევედორანხი-18; ამეპსინი-10; ოტიარტი-8; კსიუსუტრა-18; სულ ათი მეფის საერთო ზეობის ვადა 120 სარი. სარი-აქ ერთმნიშვნელოვნად წელიწადს აღნიშნავს...მაგრამ:

სულ ათი მეფე, 120 სარი, ხოლო 120 სარი უნდა შეადგენდეს 43 მირიად წელს, თუ სარი ნიშნავს 3600 წელს, ამბობს ალექსანდრე პოლიგისტერი...

...მაგრამ ამავე წიგნის N26 შენიშვნის მიხედვით, მირიადი =10000-ს, და ამ მცნებას მირიადის შესახებ უკვე პოლიგისტორი ახმოვანებს, და არა ბეროსი…ასეთ შემთხვევაში ერთი მეფის ზეობის საშუალო ხანგრძლივობა 4320 წელი გამოდის! ცხადია, პოლიგისტორის მიერ ბეროსის აღთვალვის სისტემის წაკითხვა არასწორია, მით უმეტეს თუ გავიხსენებთ, რომ ბეროს-ისეულ ხალდეურ და კოლხ მეფეთა არჩევითობასა და ზეობას (როგორც ჩანს) აკონტროლებს ოანი, მაღალი გონი. შესაბამისად ამ მეფეების ზეობის პერიოდი ყოველგვარ ზღაპრულობას გამორიცხავს...

„კსიუსუტრიდან წარღვმამდე და იქამდე, როდესაც მიდიელებმა დაიპყრეს ბაბილონი, პოლიგისტერი თვლის 86 მეფეს და სახელით ახსენებს ყოველივეს, უფროსობის მიხედვით და მათ მმართველობას ყველას ერთად აცხადებს 3 მირიად 3 ათას 91 წელს (იქვე F -5)

შესაბამისად, პოლიგისტორის (და არა ბეროსის) გახმოვანებული ცნობის მიხედვით, თითოეული მეფის საშულო ზეობის ვადა:

33991: 86=349, 9 წელი;

რასაკვირველია ცალკეული მეფეების ზეობის ეს ვადებიც არარეალურია და არასწორი...და სად შეიძლება ვეძებოთ შეცდომების სათავე?

ექსკურსი ანტიკური არითმეტიკის სფეროში

„არაბული ციფრები აღმოცენდა ინდოეთში, არა უგვიანეს V საუკუნისა“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

სამწუხაროდ, ქვედა საზღვარი ინდური „არაბული“ რიცხვების წარმოშობისა უცნობია, თუმცა მთელი ასი პროცენტით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ბეროსი უბრალოდ მათ არც იცნობდა. რომაული ციფრები გამოიყენებოდა უძველესი რომაელების მიერ. ნატურალური რიცხვები იწერებოდა ამ ციფრების განმეორების საშუალებით. ამასთან, თუ დიდი ციფრი დგას პატარის წინ, მაშინ ისინი იკრიბება, ხოლო თუ მცირე დგას დიდის წინ, მაშინ მცირე აკლდება დიდს.

„რომაული ციფრები გამოჩნდნენ 500 წლით ადრე ჩვ. წ. აღრიცხვამდე ეტრუსკებთან, რომლებსაც შეეძლოთ ეს წესი ესესხებინათ პროტო-კელტებისაგან“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ ეტრუსკებს არ ჭირდებოდათ ამ ცოდნის პროტო-კელტებისაგან სესხება, ისინი თავად წარმოადგენენ პროტო-კელტების ერთ-ერთ შტოს.. პროტო-კელტები ზუსტად ის ხალხებია, ვისი ვინაობის გარკვევასაც ვცდილობთ...ჩვენ არ და ვერ გვეცოდინება არითმეტიკული აღრიცხვის ის სისტემა, რომლითაც საგებლობდა ბეროსი, მაგრამ პოლიგისტორი, ყოფილი რომაელი მონა ნამდვილად რომაული ციფრებით

თუ ისარგებლებდა... მთელი ეს გაურკვევლობა ციფრებთან მიმართებაში, პოლიგისტორის მიერ ბეროსისეული რიცხვების არასწორ წაკითხვაში უნდა ვეძებოთ... არაფერს ვიტყვით გვიანდელ ისტორიკოსებზე, ევსევისა და სინკელზე, რომელნიც მხოლოდ პოლიგისტერის ინტერპრეტაციებით ხელმძღვანელობდნენ (ორიგინალი, სავარაუდოდ უკვე დიდი ხნის დაკარგული იყო) თვით პოლიგისტორიც ბეროსისეულ ციფრებში საკმაოდ ცუდად ჩანს გარკვეული...

ყველაფერი გენიალური მარტივია-ამ პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ თითქმის 2500 წლის წინანდელი თავსატეხის ამოსახსნელად... რასაკვირველია ბაბილონელი ქურუმი ბეროსი „ბაბილონის ისტორიაში“ შუმერის ისტორიას გულისხმობს, თან წარღვნის მერე...წარღვნის გმოთვლილი თარიღი (რასაკვირველია მცდარი) ჩვ.წ. აღრიცხვამდე 3280 წელია...გამოთვლების გასამარტივებლად დავამრგვალოთ 3300-მდე (სინამდვილეში, მეტია საპლიუსო)

შუმერის სახელმწიფო ჩაანაცვლა ისტორიკოსების მიერ ძველ აქადებად ცნობილი ხალხის იმპერიამ, ბეროსისათვის მარებად წოდებულმა... ისტორიული ვერსიით (და რასაკვირველია არასწორით) აქადების მიერ შუმერის დაქვემდებარება მოხდა ჩვ.წ. აღრიცხვამდე 2350 წელს... ბეროსის მიხედვით 3 მირიად 3 ათას 91 წლის მერე წარღვნიდან... და ბეროსისეული მირიადი = 10000 ...ისტორიულად მიღებული წარღვნიდან : 3300-2350= 950 წელს ...შესაბამისად ბეროსისეული (სინამდვილეში პოლიგისტერისეული) 33091=950 წლის მიახლოებულ სიდიდეს...რასაკვირველია, პოლიგისტერისეულ რიცხვებს წლებთან საერთო არაფერი აქვთ...და ერთი ყურადსაღები ფაქტი, ბეროსის 10 წარღვნამდელი მეფის ჯამური ზეობა გრძელდება 43 მირიად (43000) წელს, ხოლო 86 წარღვნისშემდგომი მეფის ჯამური ზეობა სულ 3 მირიად 3 ათას 91 (33091) წელს...შესაბამისად, წარღვნამდელი მეფეები მეფობენ: 43000:10=4300; წარღვნის შემდგომი მეფეები 33091:86=385; სპეციალურად არ ვწერ მეფეთა ზეობის ერთეულს, რამეთუ ეს შეუძლებელია წლები იყოს...რადგანაც საქმე ფაქტიურად ერთსა და იმავე სიდიდეს, ხალდ მეფეთა ზეობის ხანგრძლივობას შეეხება, ასეთი დიდი სხვაობა წარმოუდგენელია, პოლიგისტერი ვერ გარკვეულა ბეროსის აღთვალვის სისტემაში: ან პირველ შემთხვევაშია ათჯერ მეტი რიცხვი წაკითხული, ან მეორე შემთხვევაში ათჯერ ნაკლები წაკითხული...ან ორივე ერთად... რასაკვირველია, მეორე შემთხვევაში ციფრი არასწორად არის წაკითხული, ის არა სამი, არამედ 30 მირიადი უნდა იყოს...303091: 360=842 წელი- მიახლოებულია 950 წელთან, ისტორიულად მიღებულ საკმაოდ არასწორ სიდიდესთან, რამდენი წლის გასვლის შემდეგაც წარღვნიდან მარი-აქადი მეფეებიავრცელებენ საკუთარ ძალაუფლებას შუმერებზე...ასევე, შესაბამისად 10 წარ-

ღვნამდელი მეფე ვენეციაში ზეობს არა 43 მირიად წელს, არამედ 4, 32 მირიად წელს, ხოლო მათი ჯამური ზეობის წლები 120 სარი-წელს...
120 X 360= 43200 სარს (ღამეს)...(ზუსტად ამ ციფრს 43200 აჩვენებს ბეროსი, უფრო სწორედ პოლიგისტერი იქვე ცხრილში „ბაბილონის მმართველების სია“-ამმელონი ბაბილონიდან 12 სარი მეფობისას...აქაც რასაკვირველია 10-ჯერ მეტი ციფრი აქვს წაკითხული...სარი, ჩანს დღე-ღამის აღრიცხვა ხდება მხოლოდ ღამის დამთავრების- გათენების შემდეგ.

ბეროსი იყენებს თავის გამოთვლებში სარს, ნერს და სოსს. სარი-დროის მონაკვეთი, შემდგარი 3600 წლისაგან.

ნერი-600 წელი.

სოსი-60 წელი.

(იქვე, სინკელი F -3)

თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ მიხვდე:
სარი-ეს შუმერული წელიწადია, 360 სარის (დღე-ღამის) რაოდენობთ;
ნერი- 6 დღიანი კვირის რაოდენობაა 360 დღიან წელიწადში-რიცხვით 60;
სოსი-ეს 6 დღის რაოდენობაა ყოველ კვირაში;
...პოლიგისტერი ბეროსის მიერ მოცემულ ციფრებს 10-ჯერ ადიდებს... ის 120 სარი- წელიწადი, რომელიც ახალმოსახლეებმა წარღვნამდე გაატარეს იმ ადგილას, რომელსაც გვიან ვენეცია ეწოდა, მართლაც უდრის 43200 სარს, მაგრამ არა უკვე წელიწადს, არამედ დღე- ღამეს 120X360= 43200 დღე-ღამეს, ასევე 10-ჯერ ნაკლებს, ვიდრე პოლიგისტორი გვამცნობს...

როგორც ცნობილია, შუმერული წელიწადი მოითვლიდა ზუსტად 360 დღეს, 60 კვირას და 6 დღეს ყოველ კვირაში. წლის ბოლოს, ემატებოდა ერთი კვირა, ექვსი ან ხუთი დღის ოდენობით, გამომდინარე ნაკიანი და უნაკო წელიწადისათვის...რეალურად შუმერული წელიწადი 365, 25 დღეს, ანუ სარი-სერი იყო)...

„ბეროსი პირველ წიგნში ბაბილონის ისტორიები ამბობს, რომ ცხოვრობდა ის ალექსანდრეს დროს, ფილიპეს შვილისა; რომ წიგნები მრავალი მწერლებისა, რომლებიც მოიცავენ პერიოდს 15 მირიად წელზე მეტს, დიდი რუდუნებით ინახება ბაბილონში; ისინი მოიცავენ ჩანაწერებს ცაზე და ზღვაზე, პირველდაბადებაზე, მეფეებსა და მათ ნაქნარზე“ (ბეროსი F -1)

წიგნები, რომლებზედაც ბეროსი აპელირებს, მხოლოდ წარღვნის შემდგომი შეიძლება იყოს (33) შესაბამისასდ ბეროსის ეპოქისათვის ის 3000 წელზე მეტი ხნისა არ იქნება, არამცთუ 15 მირიადი (150 ათასი წელიწადი, ხოლო მირიადი=10000). რასაკვირველია ბეროსი 15 მირიად სარს ახსენებს, როელსაც პოლიგისტერი ჩვეულებრივ წლებად თვლის. შესაბამისად: 150000: 360=416,7 წელიწადს...ამ ასაკის წიგნები ინახება ბაბილონში ბეროსის ეპოქაში ჩვ.წ. აღრიცხვანდე III-საუკუნეს...და ეს სრულიად არ უნდა

იყოს გასაოცარი...

„ეპიგონი ავტორიტეტული ავტორი გვასწავლის, რომ ბაბილონელების ვარსკვლავური დაკვირვებები ცაზე, შემონახული გამომწვარი თიხის ტაბულებში 720000 წლისაა, თუმცა ბეროსს და კრიტადემს მოყავთ უფრო მოკლე პერიოდი 490000 წელი. მით უმეტეს ამ უთანხმოებისა, უდავოა ის, რომ წერლობითი ცოდნა ძალიან და ძალიან ძველია“ (იქვე F -20)

ჩვენი ვერსიით, ეპიგონისეული ციფრი 720000: 360=2000 წელს;

ბეროსის და კრიტადემისეული: 490000 :360 =1361 წელს,

ვფიქრობთ, ბეროსის (მისი გადამწერის) მიერ დაფიქსირებული მოვლენების ჩვენეული ვერსია იმსახურებს ყურადღებას, ვინაიდან საკუთრივ ბაბილონის აქტიური (აქადური) ისტორია უძველესი წყაროებით 2300 წლისაა (იმავე ბეროსთანაც)

მსოფლიო წარღვნის ქრონოლოგიის განსაზღვრა ბეროსის ცნობების მიხედვით

„კსიუსუტრამდე და წარღვნიდან მანამდე, როდესაც მიდიელებმა აიღეს ბაბილონი, პოლიგისტორი ითვლიდა 86 მეფეს და სახელობით ასახელებდა ყოველივეს, მიყვება რა ბეროსის წიგნს, და მათ ყველას საერთო მართველობის წელს ასახელებს 3 მირიად 3 ათას 91 წელს (იქვე F -5)

პირველი და თვალშისაცემი შეუსაბამობა მიდების ხსენებაა, რომელიც პოლიგისტერის „შემოქნედება“ უნდა იყოს, და არა ბეროსისა, რომელიც უკვე მომდევნო ეპიზოდში ჩასწორებული და მარებია ნახსენები.

(34)...3 მირიადი 3 ათას 91 წელი- აქაც რასაკვირველია სარის (სავარაუდოდ, ბეროსის ჩანაწერებში აქ ნამდვილად სარი ზის) და არა წლის, ორმაგ გამოყენებასთან უნდა გვქონდეს საქმე

33091:86=384,8 წელი

ასეთი ჩანს თითოეული მეფის გასაშუალებული ზეობის ხანგრძლივობა. რასაკვირველია, აქაც ბეროსის ცნობების არასწორ ინტერპრეტაციასთან უნდა გვქონდეს საქმე. რასაკვირველია აქ არა წლებთან, არამედ სარ-ებთან, დღე-ღამეს-თან გვაქვს საქმე (როგორც ჩანს ბაბილონში დღის ფიზიკური დასასრული მხოლოდ ღამის ამოწურვის შემდეგ ფიქსირდებოდა და არა თანამედროვეობის შუაღამეს) შესაბამისად, ერთი მეფის ზეობის ხანა წელიწადზე მცირედით მეტი გამოდის...

33091: 365, 35= 91,5 წელი

86 მეფის ზეობისდათვის 91, 5 წელი ერთობ მცირეა. როგორც ზემოთ ითქვა და დამტკიცდა კიდეც, პოლიგისტორი ვერ გარკვეულა ბოლო-

მდე ბეროსის აღთვალვის სისტემაში და ლიაფსუსებს უშვებს: ასე მაგალითად, 120 წელი მართლაც ნიშნავს 43200 სარს (ოთხ მირიად სამი ათას ორას სარს, და არა ათჯერ მეტს, თუმცა პოლიგისტორი ამ რიცხვს 43 მირიადად კითხულობს) ასევე, ითქვა რომ 86 ხალდეველი მეფე მეფობს 303091 (ოცდაათ მირიად სამი ათას ოთხმოცდათერთმეტ სარს, და არა წელს, ამასთან ეს ციფრი სიტყვიერად ზუსტად ასე გამოითქმება

303091: 365, 25 =829, 8წელი

829, 8 : 86=9, 65 წელიწადს

ბეროსის მიერ ნახსენები 86 მეფის ჯამური ზეობის საერთო ხანგრძლივობა 303091 : 365, 25=829, 8 წელია...ერთი მეფის მმართველობის საშუალო პერიოდი 9, 65 წელიწადია, რაც რეალობასთან ძალინ ახლოს ჩანს. ბეროსის მიერ დასახელებული თარიღის გადამოწმებაც შესაძლებელია:

მსოფლიო წარღვნის გამოთვლილი (თუმცა არაზუსტი) თარიღი 3268 წელია:

3268-830= =2435 წელი.

აი ამ თარიღს დებს ბეროსი მესოპოტამიაში მარების- აქადების შემოჭრის თარიღად. რამდენადაც ისტორიულად ცნობილია მარების მესოპოტამიაში შემოჭრის თარიღი, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXV საუკუნეა, შესაბამისად, გამოთვლის ჩვენეული ვერსია- მეთოდი და შედეგი აბსოლუტურად სწორი ჩანს. ციფრი -830- წელიწადი- პირველი ცნობილი შესაკრებია ჩვენი გამოთვლისა!

„მათ შემდეგ, მათი მძლავრი დინასტიის შემდეგ მარებმა მიმართეს არმია ბაბილონის წინააღმდეგ, დაიპყრეს იგი და დასვეს თავიანთი ნაცვალი. ამის შემდეგ ის ასახელებს ნაცვალებს მარებისა, სულ 8 და რიცხვი მათი მმართველობისა 224 და კიდევ 11 მეფე და 28 წელი (იქვე F 5)

მარები-ეს კოლხთა ნათესავი და სახლიკაცი ტომია, მიგრირებული ინდოეთიდან. იმდენად ინტეგრირდებიან ჭანებში- ხალდებში და დასავლეთ ქართველურ ტომებში, რომ 2000 წლის შემდეგ, ნებაყოფილებით წყვილდებიან სპარსული არმიის რიგებში კოლხებთან (იხ. წინა ტომიდან და ჰეროდოტეს ისტორიიდან). საინტერესოა, რომ 8 მარი მმართველი- ბაბილონისა, რომლებიც მეფის ნაცვალის როლს ასრულებენ ბაბილონში, თითოეულის ზეობის საშუალო ხანგრძლივობა :

224:8=28 წელს

ნაცვალის ინსტიტუტის გაუქმების შემდეგ, უკვე სრულიად ინტეგრირებული მარები ბაბილონის მეფეებად გვევლინებიან:

11 X 28=308 წელი

(უნდა ვაღიაროთ, წარღვნის თარიღის გამოთვლისას ვსარგებლობდით სხვა, ჯერჯერობით ტაბუირებული ცნობებითაც, რომელიც უახლოეს წლე-

ებში იქნება გახმოვანებული. ბეროსის ამ სტროფის ასე წაკითხვა, ზუსტად ამ ცნობის გათვალისწინებით ხდება) სრული მმართველობა მარი ნაცვლ-ებისა და მეფეებისა:

224+308=532 წელი

ეს ციფრი უკვე მეორე შეკრებია ჩვენი გამოთვლისა.

„შემდეგ კიდევ 49 ხალდეური მეფე და 458 წელი (იქვე)

როგორც ჩანს, მარების დინასტია დაქვეითებულია და კარგავს ჰეგემონიას. ბაბილონის ხელისუფლების სათავეში ის ხალხები ექცევა, რო-მელსაც თავად ბეროსიც ხალდებს უწოდებს (თუმცა ისინი ჩვეულებრივი დამპყრობლები არიან, რომელიც მათ ხალდობას გამორიცხავს) ჯამური 458 წლის მმართველობით. საინტერესოა, რომ თითოეული „ხალდი“ მეფ-ის ზეობა:

458 : 49=9, 35 წელს.

რიცხვი მჭიდროდ უახლოვდება პირველი 86 ბაბილონელ (ხალდ) მეფე-თა ზეობის „ლიმიტს“-9, 6 წელიწადს. არ არის გამორიცხული, რომ ბაბილ-ონში გრძელდება მეფეთა არჩევითობის ტრადიციული სისტემა, რომელიც ოანის (მაღალი გონის მიერ) იყო დანერგილი ადრიატიკაში...

458 წელი-ეს მესამე შესაკრებია ჩვენი გამოთვლისა.

„შემდეგ ცხრა არაბული მეფე და 245 წელი“ (იქვე)

როგორც ირკვევა, არაბული მეფეების ქვეშ სრულიად სხვა ეთნოსი იგულისხმება (იმ დროისათვის არც ერთი წყარო არ აფიქსირებს არაბთა ექსპანსიას ბაბილონსა და მცირე აზიაში), რომელსაც ბეროსიც ეთიოპად, აფრიკელად და არაბად თვლის (ისტორიაში დაფიქსირებული ელამიტების მრავალგზისი შემოტევა ბაბილონზე და პირიქით) ხსენებულ „არაბი“ მეფეების ზეობის საშუალო დრო:

245:9=27, 2 წელი.

როგორც ჩანს „არაბ მეფეებსაც“ მმართველობის ისეთივე ინდივიდუალუ-რი პერიოდი უჩანთ, როგორც მარებს. უმნიშვნელო განსხვავება ზემოთ აღ-წერილი მიზეზით უნდა აიხსნას (35)

245 წელი-ეს მეოთხე შესაკრებია ჩვენი გამოთვლისა.

„შემდეგ ის გვატყობინებს ასევე სემირამიდას ბატონობაზე ასირიელებზე. შემდეგ ისევ ასახელებს ცალკეულ სახელებს 45 მეფისა და განსაზღვრავს მათ მმართველობის საერთო ვადას, როგორც 526 წელს. მათ შემდეგ ამბ-ობს ის, ხალდეების მეფე იყო ფული (ტიგლატპილასარ III) რომელიც ასე-ვე მოხსენიებულია ებრაელების ისტორიაში და წოდებული ფულად“ (იქვე F 5)

არსებული ტექსტის N 27 შენიშვნაში, სრულიად არასწორად არის გაიგივებული სემირამიდა მავან ისტორიულ შამურამათთან (სახელების ნა-

წილობრივი მსგავსების გამო) შამში ადად V ასირიელის მეუღლესთან. სინამდვილეში, ბეროსი პირდაპირ მიუთითებს, რომ სემირამიდა მეფობდა ტიგლატფილასარ III- მდე 526 წლით ადრე (ტიგლატფილასარ III ზეობა იწყება ჩვ. წ. აღრიცხვამდე 745 წელს) შესაბამისად, ბეროსის მიხედვით სემირამიდა ზეობდა:

745+526=1271 წ. ჩვ.წ.აღრიცხვამდე

როგორც კვლევა აჩვენებს (36) დედოფალი სემირამიდა მეფე არიკ-დენ-ილ- ის მეუღლეა (1319-1307 ჩვ.წ. აღრიცხვამდე) და დედა მეფე ადად-ნირარ I-სა (1307-1274 ჩვ.წ. აღრიცხვამდე)...მაგრამ ზემოთ ნაჩვენებ 1271 წლამდე არამცთუ სემირამიდა, რომელიც ზეობდა საკუთარი შვილის სახელით, არამედ მისი შვილი ადად-ნირარიც აღარა ჩანს ტახტზე, სავარაუდოდ 1273 წელს უკვე გარდაცვლილია...რასთანა გვაქს საქმე, ნუთუ ბეროსი შეცდა წარღვნის ქრონოლოგიის შედგენისას? როგორც ჩანს არა... და ამ გამოთვლების კორექტირებას ოდნავ ქვემოთ მოვიყვანთ...

მეფე ადად-ნირარ I-დან მეფე ფულამდე მეფობდა 45 მეფე, საერთო ზეობის ვადით 526 წელი, საშუალო ხანგრძლივობით მეფობისა

526:45=11, 7 წელი,

ასევე სრულიად რეალური ციფრი თითოეული მეფის ზეობისა.

...526 წელი- ეს უკვე მეხუთე შესაკრებია ჩვენი გამოთვლისა.

ამასთან, გართულებულია სემირამიდას ზეობის წლების გამოთვლა, ვინაადან ის თავდაპირველად წყაროების ცნობით, შვილის სახელით ინკოგნიტოდ მართავდა ქვეყანას, მხოლოდ მოგვიანებით გახდა ოფიციალური რეგენტი და ისტორიაში არც ეს ვადა არის დაფიქსირებული. რაც შეეხება მეფე ფულს (ტიგლატფილასარ III-ს, მისი ზეობის დასაწყისი 745 წელია ჩვ. წ. აღრიცხვამდე:

830+532+458+245+526+745=3336 წელი;

ფაქტიურად ეს რიცხვი წარღვნამდელ დროს უნდა აღნიშნავდეს... ეს მარტივი გამოთვლების ადასტურებს, რომ ოფიციალური ვერსია წარღვნისა, ჩვ.წ. აღრიცხვამდე 3286 სწორი არ არის...50 წელი სხვაობა უკვე სახეზეა...

თუმცა არის ერთი უზუსტობა ბეროსისეულ დროის აღთვალვის სისტემაში: თუ დავალაგებთ მიმდევრობით ბეროსისეულ თარიღებს, ისტორიის მსვლელობია ასეთ სურათს ვღებულობთ:

1.წარღვნის სავარაუდო თარიღი 3403 წელი (გამოთვლილი სხვა, ჯერჯერობით ინკოგნიტო წყაროებით)

2. მარების ჰეგემონიის დამყარება შუმერში-3403-830 = 2573 წ. ჩვ. წელთა აღრიცხვამდე.

3. მარების ჰეგემონიის დამთავრება 2573 -532=2041 წ. ჩვ.წელთა აღრიცხვამდე და „ცრუ“ ხალდების ჰეგემონიის დამყარება.

4. „ცრუ“ ხალდების ჰეგემონიის დასასრული და „არაბული“ ტომის ჰეგემონიის დამყარება 2041-458=1583 წ. ჩვ. წელთა აღრიცხვამდე.
5. „არაბული“ ტომის ჰეგემონიის დასასრული, არიკ -დენ -ილის და სემირამიდას აღზევება 1583-245=1338 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე..

...და ზუსტად ამ თარიღს, ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1338 წელს დებს ბეროსი, სემირამიდამდე და მის მეუღლე არიკ- დენ -ილამდე...მაგრამ ამ დროისათვის არამცთუ სემირამიდა, არამედ მისი სავარაუდო ქმარი, არიკ - დენ-ილიც ასირიის მეფე არაა ჯერ, ის მხოლოდ მთელი ცხრამეტი წლის მერე 1319 წელს ხდება ასირიის სუზერენი... (საინტერესოა, რომ ასირიის მეფე არიკ- დენ-ილის მეფობის სავარაუდო ორი თარიღი არსებობს: ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1319-1307 წელი და 1308-1296 წელი) ჩვენთვის უცნობია თუ რას ნიშნავს ბეროსის სიტყვები-შემდეგ იყო სემირამიდა- რა პერიოდა აქვს ნაგულისხმევი სემირამიდას მმართველობად. .. მაგრამ იმავე არიკ-დენ-ილის და სემირამიდას შვილის, ადად -ნირარის მმართველობა (სინამდვილეში სემირამიდას მმართველობა მისი შვილის სახელით) მხოლოდ ჩვ.წ.აღრიცხვამდე 1307 წელს იწყება, მთელი 24 წლით გვიან ბეროსის ქრონოლოგიით მიღებულ თარიღზე ... სად შეიძლება შეცდომის სათავეები ვეძებოთ?...**არითმეტიკაში**... ბეროსი პირველ თარიღს წარღვნოდან, 303091 დღეს დღეებით აღრიცხავს, შესაბამისად პირველი შესაკრები 829, 8 წელი, აბსოლუტურად სწორი ჩანს, მაგრამ ამავეს ვერ ვიტყვით დანარჩენ შესაკრებზე, რომლებიც წლიურ განზომილებაშია მოცემული... ბაბილონური წელიწადი კი განსხვავებულია კალენდარული 365,25 დღისაგან და 360 დღეს უდრის (ბეროსი ზუსტად ამ 360 დღიანი ბაბილონური წლით სარგებლობს, ამაში მისი „ბაბილონის მმართველების სია“ დაგვარწმუნებს)... ბეროსის ნაჩვენებ თარიღებს აკლია ყოველი წლის 5,25 დღე, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვან და თვალშისაცემ ცდომილებას იწვევს.
532 წლიანი ციკლის შემთხვევაში, მას აკლია ყოველი წლის 5, 25 დღე;

532 X 5,25= 2793 (დღე) :365,25= 7, 65 წელი...

ზუსტად ასევე, მეორე შესაკრებს 458-ს უნდა დაემატოს 6, 58 წელი, მესამე შესაკრებს 245-ს, ასევე 3, 52 წელი=18 წელი სემირამიდამდე, და მეოთხე შესაკრებს 526-ს კიდევ 7, 56 წელი...სულ ჯამში=25,3 წელი ფულამდე, ტიგლატფილასარ III- მდე ...შესაბამისად არიკ -დენ- ილის (და სემირამიდას) აღზევება არა 1338 წელი, არამედ 18 წლით გვიან, 1320 წელს ხდება...
6. და სხვა ხალდი მეფეები, 526 წელი, ხოლო შემდეგ მეფე ტიგლატფილასარ III ჩვ.წ. აღრიცხვამდე 7,56 წელს...სულ შესაკრებთა ჯამი, მაჩვენებელი წარღვნამდელი დროისა

830+532+458+245+526+25, 3=2616 წელი ჩვ.წ. აღრიცხვამდე...

და ტიგლატფილასარ I მეფობა 745 ჩვ.წ. აღრიცხვამდე...

2616+745=3361 ჩვ.წ. აღრიცხვამდე…

-მაჩვენებელი დროისა წარღვნამდე ...

მაგრამ ამ შესაკრებს აკლია ერთი კომპონენტი-სემირამიდას მეფობ-ის წლები...ანტიკურ მწერალთა ცნობებით, პირველ რიგში კტესია კნიდო-სელის, დიოდორე სიცილიელის და პომპეი ტროგის მიხედვით, სემირამიდ-ამ იცოცხლა 62 წელი და მათგან იმეფა 42...შესაბამისად, სემირამიდას მეფ-ობის წლებში ის დროც უნდა შედიოდეს, როცა ის გახდა არიკ -დენ- ილ-ის თანამეცხედრე და სავარაუდოდ თანამეფეც...(37) მართლაც კტესია კნიდ-ოსელი და მისი ვერსიით მოსარგებლე დიოდორე სიცილიელიც და პომ-პეი ტროგიც სემირამიდას ტახტზე ასვლას (არიკ- დენ-ილის) მეუღლის რა-ნგში) უკვე მეფობად განიხილავენ, და როგორც ჩანს ამ მოსაზრებას ბერ-ოსიც იზიარებს...

...3361+42=3403 წელი...

ეს უნდა იყოს წარღვნის ნამდვილი თარიღი, რომელსაც სხვა წყაროც (ჯე-რჯერობით ინკოგნიტო) ადასტურებს...საინტერესოა, რომ ჩვენეული ვერ-სიით შესაძლებელია გამოითვალოს სემირამიდას და არიკ -დენ- ილის მე-მკვიდრი ადად -ნირარ-I ნამდვილი მმართველობის წლებიც... მისი ოფიც-იალური მმართველობა გრძელდება 1307 დან 1274 წლამდე ჩვ. წ. აღრიცხვ-ამდე, სულ 33 წელი-აქედან სემირამიდამ მართა (ამ მმართველობაში ის 12 წელიც ითვლება უთუოდ, რაც ის ჭარმაგი მეფის, არიკ -დენ -ილის თანამე-ცხედრე და სავარაუდოდ თანამეფეც გახდა 1319 წელს...შესაბამისად, სემირ-ამიდა ასირიაში მეფობდა ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1319-1277 წლების დიაპაზონ ში... ადად- ნირარი I დამოუკიდებლად ასირიას მხოლოდ 3 (სამი) წელი მა-რთავს, 1277-1274 წლებში

კორექტივას მოითხოვს მარების „ცრუ ხალდების“ და „არაბების“ მმა-რთველობის წლებიც, თვით ტიგლატფილასარ I-მდეც...

ა. მარების ჰეგემონიის დამყარება შუმერში ჩვ.წ. აღრიცხვამდე

3403-830=2573 წელი

ბ. მარების ჰეგემონიის დამთავრება და ცრუ ხალდების ჰეგემონიის დამყა-რება ჩვ.წ.აღრიცხვამდე

2573- (532+7, 65)=2033, წელი

გ. ცრუ ხალდების ჰეგემონიის დასასრული და „არაბი“ მეფეების ზეობა ჩვ. წ. აღრიცხვამდე

2033 -(458+6, 58)=1568 წელი

დ. „არაბი“ მეფეების მმართვეობის დამთავრება და სემირამიდას მმართვე-ლობა იწყება ჩვ.წ აღრიცხვამდე

1568 -(245+3,52)=1319, 5 წელს..

ჩანს, სემირამედა თანამეფე ხდება არიკ -დენ -ილთან შეუღლებისთანავე...

რაც შეეხება თვეებს, უძველესი წარმართული კალენდარი ჩვეულებრივ იწყებოდა გაზაფხულის ბუნიობით, როდესაც ბუნება იღვიძებს და ადამიანი ემზადება მიწის დასამუშავებლად და სამეურნეო საქმიანობის დასაწყებად... ბაბილონური კალენდარი ასეთი სახისაა:

21 მარტი-21 აპრილი-ნისანის თვე

21 აპრილი-21 მაისი-აირე

21 მაისი-21 ივნისი-სიმანე

21 ივნისი-21 ივლისი-დუზუ

21 ივნისი-21 აგვისტო-აბუ

21 აგვისტო-21 სექტემბერი-ტაშრტა

21 სექტემბერი-21 ნოემბერი-არიმანე

21ნოემბერი-21 დეკემბერი-კისკიმე

21 დეკემბერი-21იანვარი-ტებეტე

21 იანვარი-21 თებერვალი-შაბატუ

21 თებერვალი-21 მარტი-ადარე

კრონოსი გამოეცხადა კსიუსუტრას სიზმარში და უთხრა, რომ, ხუთმეტ რიცხვში დაისის თვეს, კაცობრიობა მოისპობა დიდი წარღვნით (ბეროსი F 4 a) ...დაისი მეტნაკლებად მხოლოდ დუზუს თუ ჩამოგავს, 15 ივლისს...

...წარსულის გარეშე არც აწმყო არსებობს და ვერც მომავალი იარსებებს...

...და ვენეტები.....

„ქვეყანას, მიმდებარეს ადრიატიკისა, დაეუფლა სხვა ძალიან ძველი ტომი, მატარებელი სახელისა ვენეტები. ხასიათით და ტანსცმლით ისინი მცირედით თუ განსხვავდებოდნენ კელტებისაგან (37)* მაგრამ განსაკუთრებულ ენაზე ლაპარაკობენ. ტრაგედიის ავტორები ხშირად ახსენებენ ამ ხალხებს და საუბრობენ მათზე მრავალ საოცრებას“ (პოლიბიო, წიგნი 2; 5-6)

სამწუხაროდ პოლიბიო არ აღნიშნავს, თუ რა საოცრებებს ყვებიან ვენეტებზე ტრაგედიის ავტორები (ანტიკური დრამატურგები) და ჩვენ მხოლოდ საკუთარ ფანტაზიას თუ დავეყრდნობით, თუმცა გარკვეული ცნობები მათ შესახებ მაინც არსებობს:

1. ამ ტომის ადრიატიკაზე დასახლების თარიღად ფაქტიურად ყველა ანტიკური წყარო ტროას ომის დამთავრებას დებს, ქრისტემდე 1280 წელს. (სინამდვილეში ვენეტების მიგრაცია- ეს 1262 წელია, ჩვ.წ. აღრიცხვამდე)

2.ჯერ კიდევ წინა ტომში მოყოლილი იყო სიუჟეტი, ვენეტების მიერ სარკის, როგორც ამრეკლავი საგნის გამოგონების შესახებ. დიდი თავგადასავლების შემდეგ შეძლო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, კოლბე-

რმა რამდენიმე ვენეტი ოსტატის გადმობირება და სარკის დამზადების ხელოვნების მოპარვა.ეს ხელობა დედამიწის ზურგზე არავინ იცოდა, თვინიერ ვენეტებისა- რასაკვირველია კელტებისა- განდხარვთა ამ ტომისა....

3. ვენეტებში სხვადასხვა ტომების, კარნომანების, კენომანების და რეტების კელტური ტომების დაფიქსირება აშკარად აჩვენებს, ვენეცია (ხალდეა) კელტურმა ტომებმა ტირსენ ატისის ძის ლაშქრობისისას (ან პარალელური ექსპედიციის დროს) აითვისეს...

4. სავარაუდოდ (და მტკიცდება კიდეც) რომ მათ აქ ადგილობრივი (ჩენიჭანი - ხალდი) მოსახლეობა დახვდა და მათშივე გაერია.

5. როგორც ჩანს, კენების მოგვიანებით ვენეტებად ცნობილი ტომი ენას ადგილზე დახვედრილი ხალდებისაგან- ჭანებისაგან ითვისებენ. შემდგომ ამ ენას ლაზური ეწოდა და ფაქტიური საზღვარი ლაზებს- აღმოსავლეთ ქართველურ და ხალდებს-ჭანებს, დასავლურ ქართველურ ტომებს შორის ფაქტიურად ისპობა...

6. კენები, რომლებიც მცირე აზიაში დარჩნენ, სინოპას ნახევარკუნძულზე, იმავე ჭანურ ტომებთან შერევის შედეგად ასევე მსგავს- ენეტების სახელს იღებენ, თუმცა მათ ანტიკური წყაროები ხალიბებადაც მოიხსენიებს. მათივე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე კომპაქტური მიგრაციის მიზეზების შესახებ აქვე ვისაუბრებთ...

7. XIX-XX საუკუნის გამოცანად სახელდებული „ვოინიჩის მანუსკრიპტად“ცნობილი ხელნაწერი გაიშიფრა ამავე სტრიქონების ავტორის მიერ უმოკლეს დროში. გასაღები ზუსტად ძველშუმერული გახდა! მანუსკრიპტში მოცემულია ნაწყვეტი ორ დიალექტზე: პირველი უცილობლად ჭანურ-ლაზურზე, მეორეს რეტიული-სვანური ელფერი დაკრავს. იგრძნობა სლავური გავლენაც, რამეთუ მანუსკრიპტი უკვე XV-საუკუნეს გახლავთ შედგენილი. (38)

8. ფინიკიელები, იქნება ეს ფინიკიელების მეიონური ტომი, თუ ფინიკიელების პუნიკური ტომი, პლანეტა დედამიწაზე სარბიელზე უდიდესი თეორიული და ნულოვანი პრაქტიკული ცოდნით გამოდიან ... 3523- 3403 წლების დიაპაზონში ჩვ.წ. აღრიცხვამდე.

რასაკვირველია, აქაც ზუსტად იგივე სიტუაციას უნდა ჰქონდეს ადგილი, როდესაც ჰეროდოტესა და სტრაბონის კოლხეთად სახელდებული პოლიტიკური წარმონაქმნი V საუკუნეს ლაზიკა ხდება, ლაზების დიდი მასის შემოსვლის გამო...ზუსტად ასევე, ლაზიკა VII-VIII- საუკუნიდან სამეგრელოდ (სა-მარგ-ალოდ) იწოდება, VII საუკუნეში მარგების (ამ ტომს მარებიც ეწოდება, მარდებიც, მარგებიც, ხოლო პირველსამშობლოში მადრები) დიდი მასის შემოსვლის გამო, თუმცა ადრინდელი მოსახლეობის

კოლხური და ლაზური ნაწილი არც არსად წასულა, უბრალოდ შეერია მათ...(39)

მენდესი და მენდესელები

„ნილოსი ქალაქ კენკასორისამდე ერთ მდინარედ მოედინება, ხოლო ამ ქალაქიდან იყოფა და სამი გზით მოემართება...ამ ტოტს ცოტა წყალი როდი მოაქვს ზღვაში და პატარა სახელიც არა აქვს, მას ეწოდება სებეტოსის ტოტი. არის კიდევ ორი სხვა ტოტი, რომელიც გამოეყოფა სებეტოსს და ერთვიან ზღვას. მათ შემდეგი სახელები ეწოდებათ: ერთი მათგანს საისისა და მეორეს მენდესისა“ (ჰეროდოტე, ისტორია; წიგნი II-15)

აქ ჰეროდოტეს მიერ (და საერთოდ) პირველი ხსენებაა მენდესისა, რომელიც მდინარე ნილოსის ტოტს ჰქვია და სახელიც ამავე ტოტზე მდებარე მენდესის შტატის მიხედვით უჩანს მიღებული.

„ის ეგვიპტელები, რომელთაც აქვთ თებეელი ზევსის ტაძარი, ანდა ცხოვრობენ თებეს ოლქში, ხელს არ ახლებენ ცხვრებს და მსხვერპლად სწირავენ თხებს. ყველა ეგვიპტელი არ სცემს თაყვანს ერთს და იმავე ღმერთებს. ეს არ ეხება მხოლოდ ისისსა და ოსირისს (რომელზედაც ამბობენ, დიონისე არისო) ამათ ყველანი თანაბრად აღიარებენ. ის ეგვიპტელები, რომლებსაც აქვთ მენდესის ტაძარი, ან ცხოვრობენ მენდესის ოლქში, ხელს არ ახლებენ თხებს და მსხვერპლად სწირავენ ცხვრებს. თებეელები და ისინი, ვინც არ წირავენ მსხვერპლად ცხვრებს, თუ საიდან დამკვიდრდა ეს წესი, ამის შესახებ შემდეგს მოგვიყვებიან: ჰერაკლეს ძალიან უნდოდა ზევსის დანახვა, ხოლო ზევსს არ უნდოდა, რომ მას დაენახა. ბოლოს როდესაც ჰერაკლემ მეტისმეტად დაიჟინა, ზევსმა ხრიკს მიმართა: გაატყავა ვერძი, მისი ტყავი წამოისხა, მოკვეთა ვერძს თავი, რომელიც წინ დაიჭირა და ასე ეჩვენა ჰერაკლეს. ამის გამო, ზევსის ვერძისთავიანი ქანდაკება გაკეთეს ეგვიპტელებმა და ეგვიპტელმა ამონიებმა, რომლებიც ეგვიპტელთა და ეთიოპთაგან არიან გადმოსული და ლაპარაკობენ ამ ორთა საშუალო ენაზე“ (იქვე, 42) ...და კიდევ:

„ხოლო ჩვენს მიერ ხსენებულ ეგვიპტეში დედა თხებს და ვაცებს არ სწირავენ მსხვერპლად შემდეგი მოსაზრების გამო: მენდესელები პანს ასახელებენ რვა ღმერთს შორის, როგორც ეს რვა ღმერთი, როგორც თვითონ ამბობენ, იყო თორმეტ ღმერთზე უწინარეს (40) მხატვრები და მოქანდაკეები ხატავენ და აქანდაკებენ ამის გამოსახულებას, ელინებისა არ იყოს, ვაცის ფეხებით და თხის სახით. მაგრამ ამავე დროს იმას კი არ ფიქრობენ, რომ ის მართლა ასეთია, არამედ სხვა ღმერთების მსგავსად მიაჩნიათ. ხოლო თუ რის გამო ხატავენ მას ამნაირად, ამაზე არ მესიამოვნება ლაპარაკი. მენდესელები პატივს სცემენ მამალ თხას, მამლებს უფრო, ვიდრე დე-

დლებს, ასევე თხის მწემსებსაც დიდი პატივი აქვთ. ვაცთა შორის განსაკუთრებით ერთს სცემენ პატივს, და როდესაც ის კვდება, მენდესელთა მთელი ოლქი მწუხარებას განიცდის. ეგვიპტურად ვაცსაც და პანსაც მენდესი ეწოდება“ (იქვე-46)

ჰეროდოტეს მიერ აღწერილ- ნახსენები (მენდესის და საისის თემები) მდებარეობენ მდინარე ნილოსზე, ხმელთაშუა ზღვიდან 800 კილომეტრი მანძილის მოშორებით, დღევანდელ ქალაქ ლუქსორში. დასახლებული იყო ქრისტემდე 3200 წლიდან, იყო ოთხიდან ერთ-ერთი ეგვიპტური ნომის-ვასეტის დედაქალაქი...და ჰეროდოტეს მიხედვით, ზუსტად თებეელები- ამონიები ლაპარაკობენ ეგვიპტელთა- კოლხთა და ეთიოპთა საშუალო ენაზე. (ვინ არიან ეთიოპები და რა ენაზე ლაპარაკობენ, ამავე წიგნში ვისაუბრებთ)

როგორ კონტექსტიდან ჩანს, მენდესელთა მიერ ღვთაების რანგში მიღებული (პანი) მენდესი- თხის ჯოგის წინამძღოლს და ვაცს ნიშნავს! ...მაგრამ...როგორც ჰეროდოტეს და სტრაბონის ზემოთ მოყვანილი ამონარიდებიდან ირკვევა, ეგვიპტელების და კოლხების სალაპარაკო ენა ერთი და იგივეა! ...ხოლო კოლხურში მინიშნებაც კი არ მოიპოვება იმის შესახებ, რომ ვაცი (არვეს წინამძღოლის) სახელი მენდესი იყო!... თუმცა ასეთი მინიშნების მოძიება ნამდვილად შესაძლებელია დედა ქართულში და მოვიძიეთ კიდეც . (41) როგორც ჰეროდოტეს სიტყვებიდან ჩანს, ამონიელები ეგვიპტელთა და ეთიოპთა საშუალო დიალექტზე საუბრობენ, ეთიოპიელები კი ზუსტად ის კელტები-ქართები (საერთოდ აღმოსავლურ-ქართული) ტომები ჩანან, რომლის კვალსაც მივყვებით... წინარე კვლევისას, ერთმნიშვნელოვნად მივედით იმ დასკვნამდე, რომ იტალიელი ეტრუსკები, რომლების თავიანთ თავს რასენას უწოდებენ, უკვე მცირე აზიიდან ქრისტემდე XIII საუკუნეს მიგრირებული მეიონების ერთ ხალხად ჩამოყალიბებული მასაა!

ამავე დროს, რასენას ტომის რაობის ძიებისას, მივედით ისეთივე დასკვნამდე, რომ ეს ტომი (რასენა) ინდოეთში მცხოვრები განდხარვების, აბხისარ-კენების ტომის აღმნიშვნელია. ლოგიკურია და აშკარად თვალში საცემი, რომ აღნიშნული ტომები მიგრირდებიან ინდოეთიდან ეგვიპტისა და აფრიკის კონტინენტისაკენ...და რა ტრასით არის არის მოსალოდნელი მათი მიგრირება აფრიკისაკენ და მიგრირდებიან თუ არა ისინი სხვებისაგან დამოუკიდებლად? კითხვაზე პასუხი ისევ და ისევ ეთნოგრაფიულ მასალებშია საძიებელი: ოლქი (ნომი) მენდესი, ეგვიპტეში ფივიადას, (ფინიკიური წარმოშობის ნომის) ნაწილად გვევლინება, ამავე დროს გვარი მენდესი გავრცელებულია ესპანეთსა და პორტუგალიაში (ამ უკანასკნელთა ძლიერი გავლენით სამხრეთ ამერიკაშიც კი). ვერ და არ იქნება შესაბამისი

ატრიბუტის (გვარის) მატარებელი იონიელი ან ეოლიელი მცირე აზიიდ-ან, რომელთა ენა იბერიულ- ჭანური ჩანს. შესაბამისად ამ გვარის მატარე-ბლები კელტები ჩანან, მეგასთენეს, სტრაბონის და დიოდორე სიცილიე-ლის მიერ ნახსენები თარხონ ქუშის თანამემამულეები. იგივე გვარი გავ-რცელებული ჩანს ეტრუსკებით დასახლებულ იტალიაშიც- ამავე გვარის მატარებელნი მეიონები ჩანან ...და რა საერთო აქვთ კელტებს, დამკვიდრ-ებულთ თავიდან სპარსეთის ყურესა და მცირე აზიაში, ფინიკიელებთან, რომლებიც პირველად ეგვიპტეში, ფივისა და მენდესის ოლქში ჩანან და-მკვიდრებულნი, შემდგომ კი უკვე ფინიკიას (დღევანდელ ლიბანს) ითვის-ებენ?...როგორც ჩანს, პირდაპირი...

„კართაგენი- ფინიკიური სახელმწიფო, თანამოსახელე დედაქალაქით, რო-მელიც არსებობდა აფრიკის ჩრდილოეთით, თანამედროვე ტუნისის ტერი-ტორიაზე. სახელწოდება (QART-HADAST) ითარგმნება ფინიკიურ ენაზე, როგორც ახალი ქალაქი. ლათინური სახელწოდება ფინიკიელი-კართაგენ-ელისა -POENI ან PUNI (აქედანაა სახელწოდება პუნები) (ვიკიპედია, თავ-ისუფალი ბიბლიოთეკა)

QART-HADAST აქ თარგმნილია როგორც ახალი ქალაქი, თუმცა...სი-ტყვა კართაგენი- უკვე ევროპეიზირებულია და პირველადი ჟღერადობაც უკვე დაკარგული, რაც ამ სიტყვის ადრინდელი არსის მიგნებას აძნელებს. თუმცა ამავე დროს არსებობს ფაქტიურად ანალოგიური დასახელების ქა-ლაქი, რომელსაც ადრინდელი ჟღერადობა შენარჩუნებული უჩანს: QARTA-XENA! თუ გავითვალიწინებთ, რომ ამ სიტყვის პირველი შემადგ-ენელი- უცილობლად იგივეა, როგორც ზემოთ ნახსენები ახალი ქალაქისა, ის ქართულად შემდეგ სახეს ღებულობს: **ქართა-ხენა, ხენების მიწა!** სიტყვა ხენების-პუნების მიწას, ხენების-პუნების ახალ სამშობლოს უნდა აღნიშნავ-დეს!

ქართ- ეს სიტყვა სამშობლო მიწას ნიშნავს!

QART HADST- ეს ფინიკიური სიტყვა, სამშობლოს მიწას ნიშნ-ავს! ქართი- საქართველოს დედაქალაქს; ქართლი, ერთ- ერთ ტი-ტულატურულ ტომს ქართველებისას!

შესაბამისად ქართი, რომელიც თბილისის უძველესი სახელი ჩანს, საქართველოს ხერხემალის, ქართების (ქუშების, კუშების) სამშობლოს ნიშ-ნავს. რასაკვირველია ქართი-ეს ქუშების სამშობლოა, მაგრამ კიდევ ერთი რელიეფური საოცრება იკვეთება: ქართველი და ფინიკიელი, ქუში და ხე-ნი (ასევე მეიონიც) მჭიდრო ნათესავი, ფაქტიურად ერთი რასაა (დავარქ-ვათ ყველფერს თავისი სახელი) (41*)

„ ყველა ნიშნით, ფინიკია-ბერძნული ეკვივალენტია სახელწოდებისა ხანა-ნი“ (ვიკიპედია, თავისუფალი ისტორია, ფინიკია)

ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ ხანაანელებისაგან, როგორც ემ-ახის ამ ხალხს ბიბლია, მიღებულია ტომობრივი სახელის ფორმა ხანა,-ხე-ნა,-ხენი-ხი,-ჰენიოხი, ანდა სულაც პირიქით, ხანაანი ამ ხალხს ტომობრივი სახელი ხენების მიხედვით დაერქვა!

ამჯერად თავს შევიკავებთ ხალხთა პირველი მიგრაციული ტალღ-ის განხილვაზე- დასავლეთ ქართველური ტომებისა იმ ადგილისაკენ, რო-მელსაც მოგვიანებით ვენეცია ეწოდა...მეორე ტალღა ფინიკიელებისა, კენ - აფხისა-რებისა დანამდვილებით საზღვაო იყო...სხვათაშორის, ეს პირველი საოკეანო მოგზაურობა იყო პლანეტა დედამიწაზე...ვერც კი წარმომიდგე-ნია რა ტიტანური ძალისხმევა დასჭირდათ აფხისარ-კენების ტომს, ვიდრე თევზსაჭერი მცირე ნავიდან საოკეანო ხომალდის აგებამდე მისულიყვნ-ენ… კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს ხალხი ფლობს განუსაზღვრელ თეო-რიულ და ნულოვან პრაქტიკულ ცოდნას გემების აგებაში. ათწლეულების და ასწლეულების ემპირიული ცდა დასჭირდა საოკეანო ხომალდის შექმნ-ას...ცალკე სანავიგაციო უნარ-ჩვევების შემუშავება-სწავლას და სრულყოფ-ილად ცურვას გემებზე... და მაინც პირველი ექსპედიციები საკაბოტაჟო-ხმელეთის დაუკარგავად ცურვა იყო...ამასთან, ნაოსნობის გარიჟრაჟიდანვე საოკეანო ცურვა იალქნიანი იყო, თუმცა ჰავანში შესვლელად და ზღვზე აბსოლუტური შტილის შემთხვევისათვის, ნიჩბებით აღჭურვილიც... უკვე XXXIII საუკუნეა ჩვ.წ. აღრიცხვამდე, ინდოეთიდან მდინარე განგზე დაშვე-ბულ არმადას (მინიმუმ ორი ან სამი გემი) კურსი დასავლეთისაკენ აქვს აღებული, ინდოეთის სამხრეთი სანაპიროს გაყოლებით... რუქის უბრალო შეხედვითაც ცხადი ხდება, საბოლოოდ ექსპედიცია სპარსეთის ყურეში აღმოჩნდება. ფინიკიელები იკვლევენ სპარსეთის ყურეს ხმელეთის გაყო-ლებით ცურვით: ალბათ მდინარე ევფრატთან მტკნარი წყლის მარაგიც შეივსეს...სავარაუდოა, რომ სპარსეთის ყურის გამოკვლევისას მდინარე ევფრატის აყოლებით ისინი ხალხთა სხვა, უკვე არა ინდურ პოპულაცი-ას გადააწყდნენ: შუმერებს, შუამდინარეთში მცხოვრებლებს, თუმცა მათი დასახლებები სპარსეთის ყურის სანაპირომდე არც აღწევდნენ...ეტყობა ფი-ნიკიელები შუალედურ ბაზას სპარსეთის ყურეშივე აწყობენ... მოგზაურო-ბის შემდგომი ეტაპი -აგრძელებენ კაბოტაჟურ ცურვას სპარსეთის ყურის ზღვის მეორე ნაპირის გაყოლებით და მეწამულ (წითელ) ზღვაში ხვდებ-იან...ამ საწყალოსნო სისტემის სრული შესწავლით ფინიკიელები რწმუნ-დებიან, რომ მეწამული ზღვაც ჩიხია (კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ თე-ორიული ცოდნა უზარმაზარი გააჩნიათ) და მასში ჩამდინარე სანაოსნოდ ვარგისი მდინარეც არ არსებობს...როგორც ჩანს, ფინიკიელთა ნაწილი გად-

მოსხდება აფრიკის კონტინენტზე და მდინარეს ეძებენ... რატომ მდინარეს? იმიტომ რომ საბოლოოდ ყველა დიდი მდინარე ზღვაში ჩაედინება...აფრიკის კონტინენტზე აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობისას ისინი კონტინენტის სიღრმეში წააწყდებიან სანაოსნო მდინარე ნილოსს, 150 კილომეტრი მეწამული ზღვიდან დაშორებულს და ხვდებიან, რომ მონახეს ის, რასაც ეძებდნენ-ეს მდინარე მათ უცილობლად ზღვამდე ჩაიყვანს...და ისინი მოსახლეობასაც წააწყდებიან, უკვე არა ინდურ პოპულაციას. მათ ნილოსის მარჯვენა სანაპიროზე, მეწამული ზღვის მხარეს მოაწყვეს დასახლებები, ლუქსორსა და კენაში XXXII საუკუნეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე... საკმაოდ დიდი დრო დასჭირდათ ფინიკიელებს ადგილზე ახალი ფლოტის ასაგებად და მისი მეშვეობით მდინარე ნილოსით ხმელთაშუა ზღვამდე გასაღწევად:

„რადგან თქვეს, რომ ტიროსის აშენებასთან ერთად არის ამ ღვთაების ტაძარიც დაფუძნებული, ხოლო მას მერე, რაც ისინი ტიროსში ცხოვრობენ, გასულია 2300 წელი“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნიII-44)

ჰეროდოტე ამ სიტყვებს ჩვ. წ. აღრიცხვამდე დაახლოებით 450 წელს წერს, შესაბამისად ტიროსელები- პუნები (ალბათ სიდონელებიც- მეიონები) ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, დღევანდელ ლიბაანში ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXVIII საუკუნეს ჩანან დაფუძნებულნი. რასაკვირველია საზღვაო ტრასა ინდოეთი-სპარსეთის ყურე-მეწამული ზღვა ფინიკიელებს უკვე საფუძვლიანად აქვთ შესწავლილ-ათვისებული...

... ეტიუდი...

პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ერთ ინდუსს დავუახლოვდი. საკმაოდ კარგად ფლობდა რუსულს, რომელიც ბაქოში უსწავლია. მითხრა, რომ ქართველი თანამზრახველის დახმარებით იკვლევს ქართულ-ინდურ დამოკიდებულებებს. გამეცინა, ჯერ საკუთარი ინდური თუ იცი კარგად, თუ წაგიკითხავს უპირველესი ინდური ეპოსი „მახაბხარატა“მეთქი. ჩემდა გასკვირად მიპასუხა რომ არ წაუკითხავს. ამ ეპოსის სამი ხელმისაწვდომი ვარიანტი არსებობს რუსულ ენაზე: მოკლე, ელექტრონული და სრული ვერსია. ვუთხარი, რომ მე ეს სამივე ვარიანტი წაკითხულ-დამუშავებული მაქვს და დედამიწაზე უფრო საინტერესო წიგნი არ არსებობს, გათვალისწინებით მისი სიძველისა და მოთხრობილი უძველესი დედამიწური ამბების მიხედვით. გაუკვირდა, რომ უცხო ქვეყანაში ასე ინტრესდებიან მისთვის მშობლიური ლიტერატურით, რომელიც თავად არც წაუკითხავს. შევთანხმდით, რომ შევხვდებოდი მის ქართველ პარტნიორებს, რომელთა დახმარებით ფიქრობს ქართულ-ინდური ურთიერთობის შესწავლას. შეხვედრა მის საკუთარ რესტორანში მოხდა, რომელიც აშკარად გამოხატულ საქმიან ხასიათს ატარებდა მინერალ-

ური წყლების, ჩაის და ყავის თანხლებით. ქართველი ქალბატონი ინდური ეპოსის საოცარი მცოდნე აღმოჩნდა. შინაარსიანი და საიტერესო საუბარი გაიმართა, თუმცა მათთვის აშკარა სიურპროზი იყო კავკასიური იოგას არსებობა და ქართველთა ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე სახელი, თეთრი ანუ მთის ინდები...

და ეს ქართველი ქალბატონი არანაკლებ სენსაციურ და საინტერესო ისტორიას მომიყვა საკუთარი საქმიანი ცხოვრებიდან: ერთხელ ქართველ მეგობარ ქალბატონთან ერთად ესწრებოდა აღმოსავლურ სემინარს, ინდოელი გურუს მიერ ჩატარებულს. სემინარს უამრავი სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა თურმე. შესვენების დაწყებისას ქართულად შევეხმიანე ჩემს თანამემამულეს, რომელიც მოშორებით იჯდაო. ინდოელმა გურუმ გაიგონა ჩვენი გადაძახება, მოგვიხმო და შეგვეკითხა, თუ რომელ ენაზე ვსაუბრობდითო. ვუპასუხეთ, რომ მშობლიურ- ქართულ ენაზე .გვთხოვა კიდევ გვეთქვა რამდენიმე სიტყვა ჩვენს მშობლიურ ენაზე და ყურადღებით გვისმენდაო. ჩაფიქრებულმა გურუმ საოცარი სიტყვები გვითხრა-აი ამ ენაზე საუბრობდნენ ჩვენი ღმერთებიო... დაიტები და დანავები ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით ადამიანთა რასის მჩაგვრელებად ითვლებოდა, განდხარვა-ქომაგად. გასაგები უნდა იყოს, თუ რომელი „ღმერთების“ ლაპარაკს მიამსგავსა ქართული ენა...

...და ისევ განდხარვები....

ის, რომ აბხისარების მეფე ჩიტ-რასენა განდხარვთა ერთ-ერთი შტოს ლეგენდარული მეფეა, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეჭვს გარეშე უნდა იდგეს ის საკითხი, რომ ინდური ეპოსი „მახაბხარატა“ ჭეშმარიტად ქრისტემდე XXXII საუკუნის (და უფრო ადრინდელ) რეალობას აღწერს დედამიწური ცხოვრების შესახებ...და ერთი საკითხი ინდური (მაგრამ უკვე სხვა) ეპოსის შესახებ, რომლებსაც თვით ინდუსი სწავლულები და დანარჩენი მსოფლიოც ეპოს„მახაბხარატას“ თანატოლად განიხილავს- „რამაიანაზე.“ შეუძლებელია ეს ორი ეპოსი ერთი და იმავე ეპოქის ამბებს გადმოგვცემდეს: „რამაიანაში“ ფაქტიურად არაა ხსენება განდხარვების რასაზე...რატომ? ინდოეთში საერთოდ მივიწყებული აქვთ განდხარვათა რაობა, იმდენად ჩანს ის გაადამიანებული უზენაესის სურვილის შესაბამისად... თვით უპირველესი გმირი „რამაიანასი“ აიოდხიელი-კოსალი რამა განდხარვა ჩანს (ამაზე მოგვიანებით ვიტყვით), თუმცა ეპოსის შემქმნელისათვის ის ჩვეულებრივი გმირია-ადამიანი-კოსალას გამგებელი რაჯას შვილი და აღმატებული მეომარი...რასაკვირველია „რამაიანა“ ათეულობით საუკუნის მერე ჩანს შექმნილი, ვიდრე ეპოსთა ეპოსი და წიგნთა წიგნი „მახაბხარატა.“ ჯერჯერობით

განდხარვთა ერთადერთი ტომის, აბხისარების-ჩიტრასენას ხალხის მოძიებბა შევძელით-ეს ტომი უკვე ფინიკიელთა, კერძოდ მეიონური ტომის სახელს ატარებს, რომელიც მცირე აზიის სამხრეთი ნაწილიდან ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1262 წელს მიგრირდა დღევანდელ იტალიაში და სახელად ტირსენები-ეტრუსკები დაენათლათ-დღევანდელი ტოსკანა.

„იქ მივიდნენ ერთად განდხარვები და აფსარები-ოცი (გვარი) და სხვა შვიდი მათი (ტომი) და ყველა მათგანი ლოკაპალი (სამყაროს დამცველები)“ (42) (მახაბხარატა, საბხიპარვა 11)

ჩვენ უკვე ვიცით „მახაბხარატა“ -სა და ინდოელებისათვის აფხისარ-კენები განდხარვებია, ანტიკური მსოფლიოსათვის ფინიკიელები მათი ცალკეული ტომით, მეიონებით და პუნებით...მრავლადაა ანტიკურ ლიტერატურაში ფინიკიელთა სხვა სახელებიც: მინოსელები, კადმოსელები, მინიები, თესალიელები, კართაგენელები, ვენეტები და ლათინები-ალბანები... და დანარჩენ განდხარვებს, რომლებიც თურმე 7 ტომია და 20 სხვა გვარი, რა სახელით იცნობს ინდური ეპოსი „მახაბხარატა“ ...და ანტიკური ევროპული სამყარო? ძალაუნებურად ფინიკიელთა კვალს უნდა გავყვეთ, რადგანაც ესენი დანამდვილებით განდხარვყოფილები არიან:

„არგოსის მეზღვაურთა შვილთაშვილები გამოაძევეს ლემნოსიდან იმ პელაზგებმა, რომლებმაც ბრავნონიდან მოიტაცეს ათენელი ქალები; პელაზგების მიერ გაძევებულნი ლემნოსიდან, წამოვიდნენ და მოცურდნენ ლაკედემონში. დასახლდნენ ტეიგეტონზე, ცეცხლი დაანთეს. ლაკედომონელებმა რომ დაინახეს ეს, გაუგზავნეს შიკრიკი და გამოიკითხეს, თუ ვინ იყვნენ და საიდან მოდიან. შიკრიკის შეკითხვაზე უპასუხეს რომ არიან მინიები და შვილები არიან არგოსზე მოცურავე გმირებისა, რომლებიც გადმოსხდნენ ლემნოსზე და იქ გ ააჩინეს ესენი. ლაკედემონელებმა მოისმინეს მინიების წარმოშობის ამბავი და მეორედ გაუგზავნეს კაცი შესაკითხად რა უნდოდათ, რომ მოვიდნენ ამ ქვეყანაში და ცეცხლი დაანთეს. ხოლო ამათ უთხრეს, რომ პელაზგებისგან განდევნილები მოვიდნენ მამებთან. რადგან სამართლიანია, რომ იცხოვრონ მათთან ერთად, რომ მონაწილენი იყვნენ მათი პატივისა და მათი მიწაწყლისა. ლაკედემონელები დაეთანხმნენ, რომ მიიღებს მინიებს იმ პირობით, როგორიც მათ თვითონ სურთ. განსაკუთრებით იმიტომ მიიღეს ლაკედემონელებმა მინიები, რომ ტინდარიდების მოწყობილი იყო ეს საზღვაო ექსპედიცია არგოზე“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი IV-144)

მიუხედავად უღრმესი პატივისცემისა ჰეროდოტეს მიმართ, მისეული ახსნა ამ ეპიზოდისა არასწორია: ტინდარიდები, კასტორი და პოლიდევკე, პელაზგებია. პელაზგია მათივე და ელენა, ტროას ომის მიზეზიც. პელაზგი ჩანს პელევსიც, აქილევსის მამა და „არგოს“ ექპედიციის მონაწილე.

...მაგრამ არც ტინდარიდების მოწყობილი ჩანს „არგოს“ ექსპედიცია კოლხეთში, ეს მინიელი იაზონის მოწყობილია... და რამ განაპირობა ლაკედემონელების მიერ„არგოს“ მეზღვაურთა შვილთაშვილების ჩათვლა თავისიანებად?

ჰერაკლე და გილი

ბერძნენთა მიერ ელინად შერაცხული ჰერაკლე სინამდვილეში დორიელი იყო, მისი წინაპრები ეგვიპტელები...რასაკვირველია ინდოეთიდან მიგრირებულნი ეგვიპტის გავლით. უფრო მეტიც, ყველა დორიული ტომი დღევანდელ საბერძნეთში ზუსტად იმავე ეგვიპტის გავლით ჩანან მიგრირებულნი... ჰერაკლეს სიკვდილის შემდეგ გილი, ჰერაკლეს უფროსი შვილი ცდილობს საკუთარი ძმებისათვის (ჰერაკლეს ჩამომავალთათვის) დორიულ პოლისებში მეფობის უზრუნველყოფას. (42*) მისანთან მისული გილი ღებულობს წინასწრმეტყველებას, რომ დორიულ ტომებზე ჰერაკლეს შთამომავალნი ზეობას მხოლოდ მესამე ცვლილების შემდეგ მიაღწევს. ... გილმა ჩათვალა, რომ მისანმა მესამე ცვლილებაში სამი წელი იგულისხმა, და სამი წლის გასვლის მერე პირველად მან ლაკედემონში მოინდომა გამეფება...ლაკედემონელებმა არმია გამოიყვანეს, თუმცა დათანხმდენ გილის წინადადებას, რომ ორთაბრძოლის შედეგით გარკვეულიყო, თუ ვინ იმსახურებს ლაკედემონის მეფობას. ორთაბრძოლაში თავად გილი გამოვიდა, ლაკედემონეთა მხრიდან გამოწვევა მეფე ეხემმა მიიღო...ორთაბრძოლაში გილი დამარცხდა და მოიკლა, ჰერაკლეს შვილებმა დორიელებზე საკუთარი ძალაუფლება ვერ განახორციელეს...თუმცა სამი თაობის გასვლის შემდეგ, დორიელთა მეფეები ჰერაკლიდები გახდნენ... და ვის თვლიან ანტიკურ საბერძნეთში დორიელებად?

მართალი ანტიკური ლიტერატურა დანაოსს ეგვიპტოსის ძმად ასახელებს, თუმცა ეს ჭმარიტებისაგან შორსა დგას: დანაოსი დანავი ჩანს, ეგვიპტოსი-განდხარვა, დორიელი...და ვინ არიან დორიული ტომის წარმომადგენელნი, ცნობილი ჰეროდოტესათვის?

„ხოლო საზღვაო ლაშქრობაში მონაწილეობდნე შემდეგნი: პელოპონესიდან იყვნენ ლაკედემონელები, რომელთაც ყავდათ 16 ხომალდი, კორინთელები, რომლებსაც იმდენივე ხომალდი ჰყავდათ, რამდენიც არტემისიონთან, სიკიონელები-რომლებსაც 15 ხომალდი ჰყავდათ, ეპიდავრელებს -10, ტროიძენელებს -5, ჰერმიონელებს -3. ყველანი ესენი, გარდა ჰერმიონელებისა, დორიული და მაკედონიური შემადგენლობისა იყვნენ“(ჰეროდოტე; წიგნი VIII-43) და კიდევ:

„მეგარელებმა ამჯერადაც იმდენი ხომალდები მოიყვანეს, რამდენიც არტემისიონში, ამპრაკოტები -7 ხომალდით მოვიდნენ საშველად; ხოლო ლევკადები- სამით. ესენი იყვნენ დორიული ტომები კორონთოდან“ (იქვე-45)

და კიდევ:

„ხოლო ჰისტიაოტისიდან ისინი გამოაძევს კადმეელებმა და მაკედონესებად წოდებულნი დასახლდნენ პინდოსში, აქედან დრიოპიდიდან მოვიდნენ პელ -ოპონესსი და ეწოდათ დორიელები“(იქვე, წიგნი I-56)

და კიდევ:

„ხოლო ლიკიელები დასაბამიდან კრეტელები არიან წარმოშობით, ხოლო კრეტაზე სამეფო ხელისუფლებისათვის რომ დაობდნენ ევროპეს შვილები, სარპედონი და მინოსი, მინოსი გამოვიდა გამარჯვებული ამ უთანხმოებაში და განდევნა კრეტიდან სარპედონიცა და მისი მომხრეებიც. გამოძევებულები მოვიდნენ აზიაში, მილიასის ქვეყანაში, ლიკიელები რომ ცხოვრობენ ახლა“ (იქვე , წიგნი I-173)

და კიდევ:

„ხელისუფლება, ჰერაკლიდებს რომ ეკუთვნოდათ, შემდეგნაირად გადავიდა კროისოსის გვარში, რომელსაც მერმანიდთა გვარი ერქვა. იყო კანდავლესი, რომელსაც ელინები მირსილოსს უწოდებდნენ, სარდელთა ტირანი, ჰერაკლეს ძის, ალკაიოსის შთამომავალი. აგრონი, ნინოსის ძე (ხოლო ნინოსი ბელოსის ძე იყო, ხოლო ბელოსი ალკაიოსის) პირველი ჰერაკლიდი მეფე იყო სარდელებისა, ხოლო კანდავლესი, მირსოსის ძე-უკანასკნელი. აგრონის უწინარესი მეფეები ამ ქვეყნისა იყვნენ ლიდოს ატისის ძეს ჩამომავალნი, ამის მიხედვით დაერქვათ სახელი მთელ ამ ლიდიელ ხალხს, უწინ მეიონებად წოდებულს. ამათგან მიიღეს ძალაუფლება ჰერაკლიდებმა წინასწარმეტყველების თანახმად“(იქვე I-7)

ჰეროდოტეს ზემოთ მითითებული ამონარიდები საკმაოდ დიდი ინფორმაციის შემცველია:

1. ლაკედემონელები-სპარტელები, კორინთელები, სიკიონელები, ეპიდავრელები და ტროიძენელები დორიული ტომები არიან. ჰეროდოტესთან არ იპოვება ინფორმაცია, შეძლეს თუ არა ჰერაკლიდებმა ყველა დორიულ ტომებში გამეფება, მაგრამ ლაკედემონელების, იგივე სპარტელების მეფეები მართლაც ჰერაკლიდებია. სინამდვილეში ლაკედემონელებს ფუძეში იონიური ტომი უჩანთ, პელაზგურ-იბერიული, რომელსაც პირველად ახაიური ტომი შეერია, შემდეგ დორიული. ასევე, აიეტი დასახელებულია კოლხეთის და კორინთოს მეფედ, შესაბამისად კორინთული ტომიც პელაზგური-კოლხური ჩანს, თუმცა უკვე ფაქტიურად შერეული: კორინთოში მცხოვრებ მეგარელებს, ამპრაკიოტებს და ლევკადებს ჰეროდოტე კორინთოში მცხოვრებ დორიულ ტომებს უწოდებს.

2. ჰეროდოტეს მიხედვით, ლაკედემონელები -სპარტელები მაკედონესები არიან და ამავე დროს დორიელებიც. შესაბაბამისად მაკედონესებს და ლაკედემონელებს ჰეროდოტე ტოლობის ნიშნით აღნიშნავს...როდესაც ალექსანდრე- მაკედონელის წინაპარი საკუთარ არგოსელობას უმტკიცებს ელინებს, ამავე დროს საკუთარ დორიულობას უსვამს ხაზს.

3. ჰეროდოტეს მიხედვით, ლიკიელები კრეტიდან არიან გადმოსული. ლიკიელთა ეთნარქს, სარპედონს და მინოსელთა ეთნარქს მინოსს ძმებად რაცხავს. სინამდვილეში, კუნძულ კრეტაზე თავიდან სამი დორიული ტომი დამკვიდრდა: მინიელები, ლიკიელები და სიკიონელები (ამასთან, გამოაძევეს მცირერიცხოვანი იბერიული ტომი)...საბოლოოდ კრეტაზე სიკიონელები დარჩნენ. ...რაც შეეხება სარპედონს და მის მიერ დაფუძნებულ სახელმწიფოებს, მათ ანტიკური წყაროები ლიკიას- ბერძნულად მგლებს და ლიკაონიას-სამგლეთს უწოდებს...რასაკვირველია დორიელი მინოსის ძმა სარპედონიც დორიელი უნდა იყოს და სიცილიაში მცხოვრები გელებიც ისინი არიან, უკვე თავიანთი ნამდვილი სახელით- უთარგმნელად...

4. თვით ლიდიაშიც მცირე აზიის სამხრეთ- აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე, მეფეები ჰერაკლიდები იყვნენ. შესაბამისად, მინიური-ფინიკიური ტომებიც დორიელები არიან...აი რატომ მიიღო დორიულმა ლაკედემონმა პელაზგების მიერ განდევნილი „არგოსელების“ მინიელი შვილიშვილები... ერთიც და მეორეც დორიული ტომის წარმომადგენლები ჩანან...

5. მაგრამ...მაგრამ ფინიკიელები, აფხისარ -კენები განდხარვები არიან, ერთი ზემოხსენებულ შვიდთაგანი ... შეასაბამისად, ჰეროდოტეს დორიული ტომის სახელის ქვეშ განდხარვები იმალებიან ... ბერძნულმა ანტიკურმა ლიტერატურამ არაფერი იცის განდხარვების (და აფსარების) შესახებ... დორიელები- საბერძნეთის მოსახლეობის ერთ- ერთი დიდი ჯგუფი, თავდაპირველად ცენტრალურ საბერძნეთში, შემდეგ სამხრეთით-ასეთი განმარტება აქვს მათ ჰეროდოტეს ისტორიაში...

6. ახლანდელი პენტაპოლისელი (უწინ რომ ჰექსაპოლისი ერქვა) დორიელები მეზობელ დორიელთაგან არავის უშვებდნენ ტრიოპის ტაძარში...ამ მიზეზის გამო ხუთმა ქალაქმა, ლინდოსმა, იალისოსმა, კამიროსმა, კოსმა და კნიდოსმა გამორიცხეს ტრიოპის ტაძრის წევრობისგან მეექვსე ქალაქი, ჰალიკარნასოსი“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი I-145)

ლინდოსი- ქალაქი როდოსზე

კამიროსი- ქალაქი როდოსზე

კნიდოსი- დორიული ქალაქი კარიაში

ჰალიკარნასოსი- ქალაქი მცირე აზიის სამხრეთ- დასავლეთით

კოსი- დორიული კუნძული მცირე აზიის სამხრეთ- დასავლეთით

...და ისევ ჰეროდოტე...დორიელები-საბერძნეთის მოსახლეობის ერთ-ერთი

დიდი ჯგუფი თავდაპირველად ცენტრალურ საბერძნეთში, შემდეგ სამხრეთით. ასე განმარტავს ამ ტომის რაობას ჰეროდოტეს ისტორიის შენიშვნების ავტორი... მეტი განმარტება არც არსებობს, თუ საიდან და რა გზებით მოხვდა იმავე ცენტრალურ საბერძნეთში...სრული ინფორმაციული ვაკუუმი ...

შევეცადოთ თავად გავხსნათ გორდიას ეს კვანძი...ანტიკური ლიტერატურის და თავად ჰეროდოტეს ვერსიით, ჰერაკლეს წინაპრები ეგვიპტიდან არიან...ჰერაკლიდების ეთნარქად დანაე-ქალი ითვლება, მამად თავად ზევსი...ცოტათი შევაღოთ საიდუმლოს კარი...დანაე- ეს სინამდვილეში დანავი ქალია, ისევე როგორც 50 ქალიშვილის მამა დანაე-დანავი...ამ დანავი ქალიდან მეოთხე შთამომავალი ალკმენაა, ჰერაკლეს დედა. ალკმენას მეუღლე ამფიტრიონია, ასევე პერსევსის შვილიშვილი, თუმცა ალკმენა ჰერაკლეს ზევსისგან შობს... აი ამ ეთნარქ დანაესა და ზევსის გარდა ჰერაკლეს წინაპრები განდხარვები ჩანან, დორიელები... თავად ალკმენას სამშობლო უკვე საბერძნეთია- ელადა, თუმცა წინაპრების სამშობლო ეგვიპტეა. ზოგიერთი ანტიკური წყაროს მიხედვით, ჰერაკლემ იცოცხლა 52 წელი...ამასთან, ტროას ომის დაწყებისას ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1290 წელს ის უკვე ცოცხალი არ არის. შესაბამისად, ჰერაკლე დაბადებული ჩანს ქრისტემდე 1345-1342 წლებში... გამომდინარე აქედან, მისი წინაპრები ეგვიპტეში ცხოვრობდნენ დაახლოებით ასი წლით ადრე, 1470-1450 წლებში...ის დორიელები, რომელზედაც ჰერაკლეს შთამომავალს მეფობის პრეტენზია აქვთ, ასევე ეგვიპტის ტრასით ჩანან მიგრირებულნი, ხოლო მიგრაციის საწყისი პუნქტი მხოლოდ ინდოეთი შეიძლება იყოს... ვფიქრობ არ შევცდები, თუ ვიტყვი რომ მეწამული ზღვიდან მდინარე ნილოსზე გაჭრილი სანაოსნო არხი, სუეცის პროტოტიპი ამ დროისათვის უკვე არსებული უნდა იყოს (სანაოსნო არხის გაჭრის ადგილსა და დროზე მოგვიანებით ვისაუბრეთ) ახლა ეგვიპტე ნამდვილი სატრანზიტო პუნქტია ინდოეთსა და ევროპას შორის... მიგრაციის ეს პროცესი თანხვედრილია „ზღვის ხალხების“ მოზღვავების ცნობილი ფაქტისა ხმელთაშუა ზღვაში, სადაც ისინი ხვდებიან მეწამულ ზღვასა და ნილოსს შორის გაჭრილი სუეცის არხის პროტოტიპით. რასაკვირველია მიგრაცია ასეული წლობით გაჭიმული პროცესია, ხოლო თავად არხის გაჭრა სავარაუდოდ ქრისტემდე 1500 წწლზე გაცილებით ადრე მომხდარი პროცესია...ჯერჯერობით კვლევის ხელშესახები შედეგი ის გვაქვს, რომ დორიელთა ტომის ქვეშ ყველა შემთხვევაში განდხარვები იგულისხმება...მაგრამ თავად ანტიკური ცნობები ანტიკურ ლიტერატურაში მხოლოდ „ზღვის ხალხებად“ ცნობილ მიგრაციულ პროცესს აფიქსირებს და ისიც გაკვრით, ზერელედ...ვერც გარკვეულა ამ პროცესში და ეგვიპტეში საიდანღაც გაჩენილ „ზღვის ხალხებზე“ საუბრობს, რომელიც არც კი

იციან თუ საიდან მოხვდა ხმელთაშუა ზღვასა და შემდეგ ეგვიპტეში... ბერძნებს ამჯერადაც ეს ფაქტი ყირაზე უჩანთ შეყენებული... მარტო ქალაქი ელეპანტინას არსებობა ეგვიპტეში-ეს უდიდესი პროცესია და უზღვავი მტკიცებულება...ელეპანტინა ხომ სპილოს ქალაქს ნიშნავს ინდოევროპულ ენაზე, ხასტინაპურს სანსკრიტზე თუ ურდუზე...

ნიშანდობლივია, რომ ჰეროდოტესეული მინოსელებიც, დორიელებიც, ახაიელებიც და დანაელიც ზუსტად ამ „ზღვის ხალხების“ შემადგელობაში უნდა მოაზებოდეს ...მაგრამ ამ მიგრაციულ პროცესს წინ უსწრებდა აფხისარ-კენების, ფინიკიელების დასახლება აფრიკაში, მდინარე ნილოსის სანაპიროზე ქრისტემდე XXXII საუკუნეს... ხმელთაშუა ზღვასა და ლიბაანში მათივე დაფუძნება XXVIII სუკუნეს...და თუ ეგვიპტური ცნობები ჩვ.წ. აღრიცხვამდე III ათასწლეულში კუშიტ ნუბიელებთან კონფლიქტის შესახებ სწორია, ნუბიელებიც კუშიტებს უნდა მივაკუთვნოთ, ფინიკიელების პარალელურად ჩამოსახლებულნი აფრიკის კონტინენზე... დანამდვილებით ვიცით, რომ ფინიკიური ტომი განდხარვყოფილები არიან, განდხარვყოფილებია ყველა დორიული ტომიც, ლოგიკურად წამოიჭრება კითხვა, XXVII საუკუნეს სპარსეთის ყურეში დასახლებული ხალხი იმავე დორიული ტომის წარმომადგენლები ხომ არ არიან? ...და რომელთა დორიულობაზე ჰეროდოტე არა ჩანს გათვითცნობიერებული, იმდენად შორეული ჩანს ეს ფაქტი? ამ ვერსიის სასარგებლოდ ის ფაქტიც უნდა მიანიშნებს, რომ ელამიტი-სუზელი მემნონი თავს უფლებას აძლევს აწვიოს მეომრები ფინიკიიდან-განდხარვყოფილიდან... და კავკასიიდან- ეთიოპებიდან- მთის (თეთრი) ინდებიდან...

...ელამიტები...

ამ ტერმინის ქვეშ მრავალირიცხოვანი ხალხი და მრავალი ტომი იგულისხმება-კუშიტები...თავად ტერმინში კუში-ქუში, მხოლოდ ერთი ტომი იგულისხმება, კუშიტებში- ეს უკვე კრებსითი სახელია მონათესავე ტომებისა, ქუშის ტომის სახლიკაცებისა, უკვე საკუთარი სატომო სახელით. ის რაც სააშკარაოზე ჩანს, პირველ რიგში კოსეაა, იგივე-კასპები... ამ ხალხს კასპებად იცნობს ჰეროდოტე:

„კასპიები, პავსიკები, ანთიმატეები და დარეიტები ერთად იყვნენ დახარკულნი და იხდიდნენ 200 ტალანტს, ესაა მეთერთმეტე სტრაპია“ (ჰეროდოტე; წიგნი III-92) და კიდევ:

„საკები და კასპიები 250 ტალანტს იხდიდნენ, ესაა მეთხუთმეტე სატრაპია“ (იქვე, 93)

ამ უკანასკნელს შეცდომად თვლის მავანი მკვლევარი პაუელი, რადგან კასპიები უკვე წინა N12 სატრაპიაშია მოხსენიებული. (43) თუმცა

შესაძლებელია შეცდომა არც იყოს: მეხუთმეტე სატრაპიაში მოხსენიებული კასპები უკვე იბერიის- აზიელი ეთიოპების მხარესაა მოხსენიებული, სადაც სტრაბონთან უკვე საკაშენა ფიქსირდება, რალურად არსებული ტომი... სავარაუდოდ, აქ ნახსენები კასპები კახებია, საწინააღმდეგოდ იმ კასპებისა, რომელსაც სტრაბონი კოსეებად მოიხსენიებს და დღეს ირანის მხარესაა დარჩენილი ლურისტანის პროვინციის სახელით...

„კოსეელები, როგორც სხვა მეზობელი ტომები, უპირატესად მოისარნი არიან, უპირატესად ძარცვით დაკავებულნი. სინამდვილეში მცხოვრებნი ღარიბ და მცირე ქვეყანაში, ისინი იძულებულნი არიან იცხოვრონ სხვისი სიკეთით. ისინი ძლიერები უნდა იყვნენ, რამდენადაც მეომრები არიან. ისინი გამოვიდნენ ელიმეების (ელამიტების) დასახმარებლად, ბაბილონთან და სუსელებთან მებრძოლებთან, 13 ათასი მეომრით“ (სტრაბონი; წიგნიXVI-18)

იგივე კოსეელები, ალექსანდრე მაკედონელის წინააღმდეგ მებრძოლი, მოხსენიებულია სხვა ანტიკურ ავტორსაც:

„მათთანი იდგნენ აივას მატარებელნიც, მრავალრიცხოვანი და გამორჩეულნი თავიანთი სიმამაცით. გარდა ამისა, მარდები და კოსეები, გასაოცარნი თავიანთი გოლიათიური აგებულობით და სულის სიძლიერით“ (დიოდორე სიცილიელი; წიგნი XVII-LIX)

და სენსაციური ცნობა იმავე ავტორისა:

„მის (ალექსანდრე მაკედონელის) გვერდით იდგა ელიმიოტთა ჯარი კენის მეთაურობით“ (იქვე, LVII)

ზუსტად ვიცით, რომ ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXVII საუკუნეს ინდოეთიდან მიგრირდა ხალხის დიდი მასა სპარსეთის ყურეში, ისტორიაში ელამიტებად წოდებულნი...ასევე, ჩვ .წ. აღრიცხვამდე XV-XIV საუკუნეს მიგრირდა იმავე ინდოეთიდან უკვე საზღვაო გზით და ეგვიპტის გავლით დღევანდელ საბერძნეთის და მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში ხალხის ჯგუფი, რომელთა უმრავლესობას დორიული ტომები წარმოაგენენ...

და ხომ არ არის ეს ერთი და იმავე ტომები, დროში მთელი XIV საუკუნე იზოლირებული ერთმანეთისაგან?

კიდევ ერთხელ გავიხსენებთ იმ მომენტს, რომ პირველი მიგრაციული პროცესის სამართალმემკვიდრე, ელამიტი მემნონი მეომრებს იწვევს შორეული ფინიკიიდან და კიდევ უფრო შორეული კავკასიიდან, რაც ამ ხალხების გენეტიკური ერთიანობის ნიშნად უნდა ჩავთვალოთ... ამავედრულად კუნძულ კოსის მოქალაქენი დორიელები- განდხარვები ჩანან... და ხომ არაფერი აკავშირებთ მათ იმავე კოსეებთან, სპარსეთის ყურესა და კასპიის ზღვას შორის მცხოვრებლებთან? ...უფრო მეტიც, დორიული მაკედონიის მოქალაქენი, **ელიმიოტები** და სპარსეთის ყურეში მცხოვრები

ელამიტები ერთი და იმავე ხალხი ხომ არ არის, სხვადასხვა დროის მიგრაციული ექსპედიციით გაუცხოებულნი ერთმანეთისგან?

...და ელამიტებისგან მოშორებით, უკვე შუმერების ტერიტორიაზე დაფუძნებული მცირერიცხოვანი აშური, რომელიც ქრისტემდე XV-XIV საუკუნეს გაძლიერდა და ასურეთის იმპერია შექმნა? რასაკვირველია აშურის გაძლიერება თანამემამულე „ზღვის ხალხების" მიგრაციის ხარჯზე უნდა ხდებაოდეს, მცირე აზიაში ასურებად, ხოლო ელადაში ახაიელებად ცნობილებისა...ასევე პირველ ელამიტურ მიგრაციულ ტალღაში მონაწილე მარები, რომლებმაც შუმერზე საკუთარი ხელისუფლება გაავრცელა და პირველი იმპერია დაარსეს, აქადებად ცნობილნი ... თუმცა არც ასურები და არც მარები დორიელები არ ჩანან, თუმცა ამ უკანასკნელების ახლო ნათესავები არიან (ამ თემაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ) ... მაგრამ ამავე ელამიტების მოწყობილ მიგრარაციულ ექსპედიციაში ევროპისაკენ, ქრისტ ემდე XXV- XXIV საუკუნეს მიგრირებულთა შორის აშკარა დორიული ტომებიც ჩანს: ამფილოხები....მათ არგოსულ ტომებად აღიარებს თავად მაკედონელი თუმცა ამფილოხების დორიელობა შესაძლებელია საკამათო საკითხად ჩაითვალოს.

„ძველად ამ კუნძულს ტრინაკრია ერქვა, მისი მოხაზულობის მიხედვით (ტრინაკრია-სამწვერა) და ამ კუნძულზე დასახლებული სიკანების მიხედვით დაერქვა სიკანია, მაგრამ მას შემდეგ, რაც იტალიიდან სრულიად ჩამოსახლდნენ სიკულები, ის იწოდება სიცილიად" (დიოდორე სიცილიელი წიგნი V; 2-1) და კიდევ:

„აუცილებელია ასევე მოკლედ ვისაუბრო სიკანებზე, ამ კუნძულის პირველმოსახლეებზე, რამდენადაც ისტორიკოსებს შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. როგორც ფილსტი გვამცნობს, ისინი მოვიდნენ და დასახლდნენ კუნძულზე იბერიიდან, ხოლო თავიანთი სახელწოდება მიიღეს მდინარე სიკანისაგან. სიკანი მდინარე ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თანამედროვე სახელი ხუკარი. სხვა ანტიკური ავტორები თვლიან სიკანებს ერთ-ერთ უძველეს ხალხად იტალიაში (ვირგილიუსი; ენეიდა: VII-795, VIII-328, X-317, იქვე 6-1)

ცხადია, სიცილიის სიკანები, დანაჩენ იტალიაში განსახლებული სიკანები და ესპანეთის სიკანები სხვადასვა სამართალსუბიექტები ჩანან. ესპანეთის სიკანები ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXV საუკუნეს ტეარკონ ეთიოპის (თარხონ ქუშის) მიერ გამართული მიგრაციული პროცესის სუბიექტები არიან, სიკანები ტეარკონ ქუშის ელამიტებიდან (ელამიტები კრებსითი სახელი ჩანს) და ესპანეთშივე შერეული სხვა კუშიტურ ტომებთან. ხოლო სიკანები იტალიასა და მის ნაწილ - კუნძულ სიცილიაში - უკვე ტირსენ ატისის ძეს მიგრაციული ექსპედიციის მონაწილენი იმავე მცირე აზიიდ-

ან, ქრისტემდე XIII საუკუნეს, კერძოდ 1262 წელს... იმავე ტომის წარმომადგენლები ჩანან ბერძენი სიკიონელები , უკვე ზღვის ხალხების რიგში მიგრირებულნი ინდოეთიდან ეგვიპტის გავლით...ასევე ზღვის ხალხების რიგში ჩანან ახაიელები, მცირე აზიაში ასურელებად ცნობილნი...ზუსტად ამ ახალმა ტალღამ გააძლიერა მცირერიცხოვანი ასურები მცირე აზიაში, რომლებიც იმ დროისათვის ცნობილი რიგით მეორე უდიდესი იმპერია გახდა, აქადების შემდეგ... იმავე კასიტები- როგორც მტკიცდება სვანური ტომი, წარმოადგენს ტეარკონ ეთიოპის, ქუშის ექსპედიციის იმ ნაწილს, რომელთაც გიბრალტარი გადალახეს ეთიოპებთან - უკვე მავრებთან ერთად და ბერბერების სახელით აფრიკას ასახლებენ, ხოლო ტირსენ ატისის ძესთნ ერთად წასულნი იტალიაში მრავალგან აღნიშნულ რეგიას და ევროპულ რაციას-დღევანდელ შვეიცარიას აარსებენ...

შესაბამისად, პირველი ელამიტური ექსპედიცა ჩვ. წ აღრიცხვამდე XXVII საუკუნეს, და ზღვის ხალხები XV- XIV საუკუნეში ფაქტიურად ერთი-კუშიტური ტომის ექსპედიციაა (შესაძლოა მცირეოდენი სხვა ტომების მინარევით) რომელთაგან ერთი ფრთა - განდხარვების შთამომავალია აზიურ ტომებთან შერევით, მეორე აფსარების შთამომავალია იმავე აზიურ ტომებთან (ხანდახან დანავურ ტომებთან) შერევით.

რასაკვირველია კუნძულ კოსის დორიული ტომი იდენტური ჩანს აზიური კოსეებისა, ისევე როგორც ევოპული სიკანი და სიკიონელები აზიელი ასაკენებისა...თვით მესენიელები, რომლებსაც ანტიკური ავტორების სიტყვებით, ყველაზე კარგად უჩანთ შენარჩუნებული დორიული დიალექტი, იმავე მესენიელების ნაწილი ჩანს, რომელსაც ამიანე მარცელანე მცირე აზიის მესენიელ არაბს უწოდებს...და მაინც, კუშიტური ტომი ვერ წარმოადგენს ჰეროდოტესეული დორიელის სრულ ანალოგს, იმიტომ რომ იმავე კუშიტურში იონიურიც შედის...დორიელები-ეს განდხარვას და ადგილობრივი ქალის ნაჯვარია, იონიელები ადგილობრივი მამაკაცის და აფსარას ნაჯვარი... გენეტიკურად, განდხარვ-აბსარები მხოლოდ 50% - წარმოადგენენ იმ ზეციური არსებისას, რომელსაც აბსოლუტისაგან დედამიწაზე დაშვება და სრული გაადამიანურება ებრძანა...და ეს გაადამიანურება მხოლოდ ამ გზით ჩანს მიღწეული... სრული გაადამიანებაც განდხარვ-აფსართა მიერ ზეკაცის, ღვთიური ნაწილის დაკარგვას ნიშნავს (მათ შორის ტელეპათიის უნარისაც) მაგრამ ეს ქმედება საკმარისია თუ არა განდხარვების ადგილობრივ ტომებთან ნიველირებისათვის? როგორც ჩანს არა და ეს უპირველეს ყოვლისა მათ ფიზიკური კონდიციებითი სხვაობით უნდა აიხსნას: ეპოს „მახაბხარატას“ დიადი გმირის, არჯუნას სიტყვებით, განდხარვის და ადამიანის დაპირისპირებისას ამ უკანასკნელს გამარჯვების შანსიც არა აქვს და მიზეზი უპირველეს მათი ფიზიკური კონდი-

ციების სხვაობაში უნდა ვეძებოთ...დედამიწის მცხოვრებთა ნიველირებისათვის უზენაესს შერეული წყვილები აქვს დაკანონებული, რომელიც გარკვეული პერიოდი ტაბუს დონეზე სრულდება... განდხარვას ოჯახური პარტნიორი ადამის შვილებიდან უჩანს, აფსარას ოჯახური მეწყვილე ისევე ადამის შვილები ჩანს...და ეს ტაბუ ვრცელდება არა მარტო განდხარვ-აფსართა და ადამის შვილებს შორის...იგივე წესი ოჯახური წყვილებისა მოქმედებს დაიტ - დანავთა თუ ნეგროიდულ ტომს შორის ... დანარჩენის ნიველირებას პლანეტა დედამიწა და ცხოვრების თანაბარი პირობები მოუვლის...და მაინც, ეპოს „მახაბხარატას" მიერ რამდენიმე ტომზე აშკარა მითითებაა გაკეთებული, რომ ისინი განდხარვული ტომები არიან: აბხისარ-კენები, მანასის ტბასთან მცხოვრები განდხარვები, განდხარა- დღევანდელი ავღანეთის ნაწილი და კირატა-რომლის სახესაც ხანდახან უზენაესიც ღებულობს...არადა შვიდი ტომი და 22 სხვა გვარებია განდხარვ-აფსარები...

საქმე იმაშია რომ განდხარვ-აფსართა პლანეტა დედამიწაზე პორტირების ასაკის მითითება, თუნდაც დაუკონკრეტებელისა, შესაძლებელია... ამ თარიღის განსაზღვრა ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXXV-XXXIV შუალედით შესაძლებელია (ირიბად მივანიშნე კიდეც ის კრიტერიუმი, რომელსაც ღიად III ტომში მივუთითებ)...შესაბამისად, ეპოს „მახაბხარატაში" აღწერილი მოქმედებისას, განსდხარვების გაადამიანურების პროცესი სულ სამიოდ საუკუნეს ითვლის...ერს, რომელსაც აქვს პრეტენზია, ჩვ.წ. აღრრიცხვამდე გაცილებით შორეულ საუკუნეებზე ისაუბროს, სულ 3-2 საუკუნის წინ მომხდარი პროცესის დამახსოვრებაშიც პრობლემა არ უნდა ქონდეს...

...მაგრამ... ერთი მაგრამ...ქართული წელთააღრიცხვა 5604 წლით იწყება, მთელი 104-96 წლით უსწრებს ადამის შვილების წელთააღრიცხვას... მავანი მკვლევარი ამას შეცდომად მიიჩნევს, თუმცა ამ „შეცდომას" მთელი ტრაქტატი მიუძღვნა იოანე ზოსიმემ...წარმოდგენა არა მაქვს, რა ცნობებით, რა ლიტერატურით სარგებლობს იოანე ზოსიმე, როდესაც ასეთ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას...ერთი რამ დანამდვილებით უნდა ითქვას, 104-96 წელი იოანე ზოსიმეს შეცდომა არ შეიძლება იყოს, არც ჰაერიდან მოტანილი ციფრი... განდხარვთა რასა, მისი გარკვეული ნაწილი დაბადემდე „ ადამის და ევას" შექმნამდე თითქმის 100 წლით ადრე დააბიჯებდა პლანეტა დედამიწაზე... და საკვირველიც არ უნდა იყოს, რომ ძალამ, რომელმაც ჩვ. წ. აღრიცხვამდე 3500-3400 წელს განდხარვთა რასა „ციდან" გადმოადეპორტა პლანეტა დედმიწაზე, ვერც ამ რასის ნაწილის დეპორტი უნდა გასჭირვებოდა 2200 წლით ადრე... მიზეზებზე ეპოსი „მახაბხარატა" გვიამბობს, თუმცა ნამდვილი მიზეზი და მიზანი უფრო ღრმად უნდა იყოს საძიებელი...

...და ისევ განდხარვები...

ცხადია კუნძულ კოსზე თუ იტალიაში მცხოვრები კოსელები, ჰეროდოტეს მიხედვით დორიელები-შესაბამისად განდხარვები არიან„ ზღვის ხალხების“ რიგებში მიგრირებული ინდოეთიდან ეგვიპტის გ ავლით, ჩვ.წ. აღრიცხვ-ამდე XV-XIV საუკუნის დიაპაზონში...იმავე კოსელების ტომის წარმომადგ-ენლები ჩანან ელამიტებიც, სპარსეთის ყურეში მიგრირებულნი ინდოეთი-დან XXVII საუკუნეს, სხვა დორიულ (და კუშიტურ) ტომებთან ერთად, მათ შორის უცილობლად სონებთან (კასიტებთან) სიკანებთან და გელებ-თან ერთად. განდხარვები ჩანან აგრეთვე კაშის სახელგანთქმული ტომი, რომლის მეფის **ქალიშვილები სარძლოებად წამოასხა ეპოს „მახაბხარატას“ სწორუპოვარმა** გმირმა ბხიშმამ. კაშის მეფის უფროსი ქალიშვილი ამბა, თავს თვლის შალვების მეფის დანიშნულად და უარს ამბობს პურუს მეფ-ის ცოლობაზე. გულმოწყალე ბხიშმა იღებს ყურად მის თხოვნას და ათა-ვისუფლებს მას, თუმცა შალვების მეფემ პურუს საცოლის მეუღლეობა იუკადრისა. შიკხანდინი, დაბადებული პანჩალების ტომის მეფის ოჯახში ქალიშვილად, სქესს უცვლის იაკშას (ელფს) და მამაკაცი ხდება. ამავდრ-ოს ის ითვლება კაშის მეფის ქალიშვილის, ამბას ავატარად.

როგორც ჩანს, შიკხანდინის შთამომავლეობა ითვლება განდხარვა კენების ტომის ეთნარქად. მათი წარმომავლობა ადვილად განჭვრეტადი ჩანს ათეული საუკუნეების შემდეგაც კი, უკვე ანტიკურ ბერძნულ ლიტე-რატურაში. ეპოს „მახაბხარატაში“-ც კი შესამჩნევია კაშისა და კოსალას ტო-მების ნათესაური სიახლოვე, ფაქტიურად იდენტურობაც კი. საკმარისია აღინიშნოს, რომ ეპოსში კაშის მეფის ქალიშვილები, უკვე პურუს მეფის ცოლები კაუსალიად -კოსალის მეფის ასულებად მოიხსენიება. ქალაქი ვა-რანავატი, სადაც მიემართებიან პანდავი მეფისწულები- ბიძაშვილებთან, კაურავებთან დაპირისპირების ასაცილებლად, დღევანდელ უტარა-პრადე-შის შტატში მდებარე კაშის მეფის სამეფო ქალაქია! თუმცა კოსალას და კაშის ტომების განდხარვობის შესახებ მოცემულობა ეპოსისათვის და შეს-აბამისად მთელი ინდოეთისათვის- უკვე იმ XXXII საუკუნისათვისაც უცნო-ბია.

მეორე ასევე სახელგანთქმული ეპოსია „რამაიანა“ რომლის ასაკი გათანაბრებულია ეპოს „მახაბხარატასთან“ (სინამდვილეში ის რამდენიმე ასეული, თუ არა ათასეული წლით ჩამორჩება მას) რამა -პოემის მთავარი გმირი, უფროსი და უსაყვარლესი შვილი კოსალას მეფისა და მისი უფრ-ოსი ცოლის, კაუსალიასი... ეს ჩვეულებრივი ზღაპრული პერსონაჟია ზღა-

პრული თხრობისა, რომელსაც ხელშესახები ავტორიც კი ყავს, განსხვავებით „მახაბხარატასი.“ …მაგრამ საქმე ისაა, რომ ეპოსს დართული რუქის მიხედვით, კოსალას სამეფო ზუსტად ემთხვევა საუკუნოობით ადრე დაწერილი ეპოს „მახაბხარატას“ კუშის სამეფოს, რომელსაც ამავე რუქაზე კუშავატი ჰქვია! და ეს იმ შემთხვევაში, როდესაც კოსალა, (ნამდვილი) ამავე კუშავატიდან ჩრდილოეთით ფიქსირდება, რამდენიმე ასეული კილომეტრის მოშორებით... როგორც ჩანს, ინდურ ეპოს „რამაიანა“-ში არეული კუშის და კოსალას მცნებები. სავარაუდოდ, „რამაიანას“ პერსონაჟები კოსალები-ეს განდხარვების ის მასა უნდა იყოს, რომელიც არც მიგრირებულა ინდოეთიდან...

...და რატომ ურევს ინდური ეპოსი ამ ორ ტომს? ცხადია კუშისა და კოსალას სამეფო ფაქტიურად იდენტური ხალხითაა დასახლებული, თუმცა ეს ხელს არ უშლით მათ, კურუქშეტრაზე (საყოველთაო ომში) ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იბრძოლონ! ის, რომ კუშავატი და კუშები სპარსეთის ყურეში ელამის, ხუზების, სუზელების სახელს ღებულობს, ეჭვსაც არ უნდა იწვევდეს. ეს კუშთა ერთი ნაწილი ასახლებს სუდანის (დღევანდელი სუდანი) სახელმწიფოს, მაშინ როდესაც ამავე ხალხის მეორე ნაწილი სპარსეთის ყურეში „აზიურ ეთიოპიას“ ელამსა და სუზას (დღევანდელი ხუზისტანი ირანში...ლურისტანი, ეს უკვე კოსალაა) აარსებენ. ისინივე არიან შუა აზიის კუშანთა იმპერიის ჩამომყალიბებელი I-III საუკუნეს, რომელსაც ასევე შევეხებთ, და რომელნიც საყოველთაო განდხარვული საომარი ოპერაციიას შემდეგ აღმოჩნდებიან ამ რეგიონში. კოსეა-მეზობელი და მტერ-მოყვარე ელამისა, რომელიც გადაჭიმული იყო სპარსეთის ყურიდან და ზაგროსის მთებიდან კასპიის ზღვამდე, იმავე სტრაბონისეული აღწერით და რომლის არსებობა ამ სახელით მხოლოდ ჩვ.წ. აღრიცხვამდე VII საუკუნემდეა შესაძლებელი. ხალხი, რომელიც ათეული საუკუნეა ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს და რომელსაც უკვე სპარსეთში მეფე კიროსის მეფობისას ზრანკას სატრაპიის სახელით იხსენება ბეხისტუნის კლდეზე წარწერებში. ჰეროდოტესთან მათ უკვე კასპები ჰქვიათ... ალექსანდრე მაკედომელის მემუარისტებისათვის- დრანგიანა... და მაინც ანაქრონულად ადრინდელი ცნობა სწორ კვალზე გვაყენებს: ეს კოსალას სამეფოა, კოსალასი, რომელიც იმავე ძველ რეკონსტრუქციულ რუქებზე ინდოეთისა, კუშიდან სულ რამდენიმე კილომეტრის დაშორებითაა აღნიშნული, და რომელიც ასევე მხოლოდ განდხარვების რასა შეიძლება იყოს... დროებით ჰეროდოტესა და მის ისტორიაზე უნდა გადავერთოთ, რომლისთვისაც ფინიკიელებად წოდეული ხალხი უკვე უცხო ტომი ჩანს და არა კუშ-კოსალთა ნათესავები...აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კოსალები სახლიკაცები ჩანან ქუშებისა, რომელთა შორის საზღვარი ეპოს „რამაიანას“ შექმნის პერი-

ოდისათვის (სავარაუდოდ XV საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვამდე) ფაქტიურად წაშლილია კიდეც. ...

...და ისევ ...

წიგნის (ამ ციკლის) თემა არ და ვერ იქნება პლანეტა დედამიწის პოლიტიკურ-დემოგრაფიული მოწყობა, თუმცა ერთი ანომალია სახეზეა: პლანეტა დედამიწაზე ადამიანის ჩასახვა- დაბადების ბიბლიური თარიღი (და როგორც ჩანს აბსოლუტურად სწორი) ქრისტემდე 5508 წელს დებს და მას ბიზანტიურ ვერსიას უწოდებს. ამავე დროს, არსებობს დაბადების ქართული ვარიანტი, რომელიც მთელი 96 წლით უფროსია ბიზანტიურზე... (იოანე ზოსიმე პლანეტა დედამიწაზე ადამიანის დაბადების თარიღად ჩვ. წ. აღრიცხვამდე 5500- წელს თვლის-სარგებლობს ამ თარიღის ალექსანდრილი ვარიანტით, „ქართული „ დაბადება ყველა შემთხვევაში 5604 წელი რჩება) განდხარვების პლანეტა დედამიწაზე მოვლინების ეპოს „მახაბხარატასეულ“ ვერსიაზე უკვე ვისაუბრეთ...შეიძლება ვირწმუნოთ და შეიძლება არა ინდური ეპოსის, „მახაბხარატას“ შემოთავაზეხული ეს ვარიანტი... მაგრამ სხვა ვარიანტი არც არსებობს-არ არსებობს ისტორიულ- ლიტერატურული ცნობა, რომელიც დედამიწის ისტორიის ასახვაში ესოდენ შორი კონტურებზე მოგვითხროს...იმედია ზემოთ ხსენებული ისტორია არატას შესახებ ეპოს „მახაბხარატასა“ და შუმერულ ლეგენდებში, დამატებით მტკიცებულებას არ მოითხოვს ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ დათარიღებისათვის. შესაბამისად, ინდურ ეპოსში განდხარვებზე ცნობაში დასაშვებია რაციონალური მარცვლის ძიება...და როდის შეიძლებოდა მომხდარიყო აბსოლუტის სურვილით განდხარვების გაადამიანურება ?...ზუსტ თარიღს ვერავინ დადებს, მაგრამ განდხარვ-აფსართა გაადამიანურების ეს პროცესი, როგორც ზემოთ აღინიშნა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 3403 წელზე რამდენადმე ადრე უნდა მომხდარიყოშეიძლება რამდენიმე წლით ადრე ან სულაც რამდენიმე ათწლეულით ადრეც, მაგრამ არა 3523 წელზე ადრე (ეს თემაც სრულყოფილად განხილული იქნება III ტომში)...აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ განდხარვები და მათი ციური მეწყვილეები, აფსარები ერთგვაროვან მასას არ წარმოადგენენ უკვე ეპოს „მახაბხარატაშიც“, რომელიც ჩვ. წ. აღრიცხვამდე XXXII -საუკუნის სინამდვილეს ასახავს:

„იქ მივიდნენ ერთად განდხარვები და აფსარები-ოცი (გვარი) და სხვა შვიდი მათი (ტომი) და ყველა მათგანი ლოკაპალი (სამყაროს დამცველები“ (მახაბხარატა, საბხიპარვა 11)...

მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო იმ ფაქტს, რომ განდხარვებს ლოკაპალებს, სამყაროს დამცველებს ეძახიან (და არა მარტო დედამიწასას...)

მართალია ეპოსის ამ ეპიზოდში ნარადა (თავად განდხარვა) წარსულზე, აბსოლუტის სასახლეში გამართულ წვეულებაზე საუბრობს. თუმცა განდხარვთა და აფსართა ტომობრივი დიფერენციაცია დედამიწაზე უკვე სახეზეა! განდხარვა დაუძლეველი ძალაა ადამიანისათვის, თვით კურუქშეტრას ომის პერიოდი (3102 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე) ჰეროიზირებულია, რეალობის მიღმა მდებარე სინამდვილეა. თვით ეპოსში უძლეველ გმირად გამოყვანილი არჯუნა, განდხარვთა მეფე ანგარაპარნასთან (წითელფრთიანი-ზედმეტსახელად ჩიტრარატხა, მფრინავი ეტლი) ადამიანური შესაძლებლობებით შებრძოლებაზე ხელს იღებს და მხოლოდ ღვთიური, მოუგერიებელი) იარაღით ებრძვის და ამარცხებს კიდეც. ეპოსის მიხედვთ უცნობია და ასევე ჰეროიზირებულია ჩიტრარატხას პიროვნება, არ ჩანს რა ჰქვია მის ტომს (სავარაუდოდ, ის აბხისარების ტომის წარმომაგენელია-ამას მფრინავი ეტლის მფლობელობა ადასტურებს) . თუმცა ის ღმერთკაცის, სიმდიდრის მცველ კუბერას მეგობრად ასახელებს თავს (კუბერა იაკშების-ელფების მეფეა) ეპოსი კმაყოფილდება მისი მხოლოდ განდხარვთა მეფედ და მდინარე განგისპირა ტყის მფლობელად აღიარებაზე (რომელსაც ეპოსში ასევე ჩიტ-რარატხას ტყე ჰქვია). სინამდვილეში, მდინარე განგის პირას არის განლაგებული განდხარვთა ერთ-ერთი მემკვიდრე ტომის, კაშის (კუშის) სამეფო, ის ამპერიოდისათვის მხოლოდ ადგილობრივ ტომად არის აღიარებული... თუმცა წარმატებული - აქედან, ამ სამეფოდან მოყავს ეპოსის გმირს, ბხიშმას სარძლოები პურუს მემკვიდრეთათვის.

მთავარი და მთავარი ისაა, რომ აბსოლუტის განკარგულება განდხარვებისადმი, რომ ისინი მთელი თავიანთი ნაწილებით (მთლიანად) უნდა გაადამიანურდნენ, კურუქშეტრას ომისათვის (3102წ) - 3-საუკუნისა უნდა იყოს... ამდენად, განდხარვთა აბსოლუტური უმრავლესობა (თვინიერ აბსოლუტთან მყოფი და პრივილიგირებული განდხარვებისა) გაადამიანებულნი ჩანან, სულით ხორცამდე ადამიანები არიან!

„მან ადრე დაძლია უღონიერესნი, დაუძლეველი მოწინააღმდეგები: განდხარვები, ტუნგაკები, მადრაკები, მატსიები, ტრიგარტები, შაკები, პანჩალები, ვიდეხები, კუნინგები, კაში და კოსალები, სუხმები, ანგები, პუნდრები, ნიშადები, ვანგები კიჩაკებთან ერთად, ვატსები, კალინგები, ტარალები და აშმაკები, რიოპგაკები, ყველა ისინი დაამარცხა რა ომში, გახადა თავისი მოხარკენი“ (იქვე, კარნაპარვა-5)

უცნობია, სად და რომელ განდხარვებს (ტომის დასახელების გარეშე) გულისხმობს დხიტარაშტრა, კარნას მიერ დამარცხებულებს, თუმცა ამავე სიაში, როგორც კვლევის შედეგად ირკვევა, გარდა ზოგადად მოხსენიებული განდხარვებისა, მინიმუმ სამი ტომი: კაში, კოსალი და ტრიგარტები (როგორც ირკვევა მადრაკებიც)-განდხარვული წარმოშობისაა:

„როცა მე გავიგე, რომ ჩემი შვილები, კარნას რჩევით მოხელმძღვანელენი, გაემართნენ მწყემსების სადგომებისაკენ, დაკავებულნი იყვნენ განდხარვებისაგან, ხოლო შემდეგ განთავისუფლებულნი არჯუნას მიერ, მაშინ მე უკვე არ მეიმედებოდა გამარჯვება, ო სანჯაია (იქვე, ადიპარვა, თავი I)

მართალია აქ მეფე დრიტარაშტხა საუბრობს მისი შვილების მიერ კარნას მეთაურობით განდხარვებზე მოწყობილ თავდასხმაზე და განდხა რვთა მიერ მათ დაძლევა-დაკავებაზე, ეპოსში ეს ეპიზოდი ასახვას ვერ პოვებს. ნაწილობრივ მსგავსი ეპიზოდი მხოლოდ ერთადერთხელ არის ეპოსში: როდესაც მატსიების მხედართმთავარ კიჩაკას სიკვდილით გათამამებული ტრიგარტები და მათი მეფე შაშუვარმანი კაურავებს მატსიებზე და მათ მეფეზე თავდასხმას სთავაზობს. კაურავებმა, მათ შორის კარნამ, დრონამ და თვით ბხიშმამაც ეს პერიოდი ხელსაყრელად ჩათვალეს თავდასხმისათვის და მოაწყვეს კიდეც...თუმცა ამ ომში ტყვედ მხოლოდ ტრიგარტების მეფე შაშუვარმანი ჩავარდა და ისიც იუდიშტხირას თხოვნით გაანთავისუფლა მისმა ძმამ, ბხიმამ. რაც შეეხება კაურავებს, ისინი ტყვედ არ ჩავარდნილან, მხოლოდ დამარცხდნენ, ბხიმასა და დრონას თანხლებით, თუმცა მათი დამამარცხებელი ერთადერთი მეომარი (ატირატხა) არჯუნა იყო. შესაძლოა, რომ ეს ეპიზოდი აქვს მხედველობაში მეფე დრიტირაშტხას, მაშინ როდესაც არჯუნას, როგორც ერთადერთი მეომრის უპირატესობას აღნიშნავს კაურავებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში მატსიები განდხარვებად უნდა ჩაითვალოს, თუმცა მტკიცებულება მხოლოდ ირიბი თუ გვაქვს. (რაც შეეხება დრიტირახშას მონოლოგს, ის კაურავების ბრძოლაზე საუბრობს აბხისარ განდხარვებთან, თუმცა ეპოსში ეს ეპიზოდი საერთოდ ასახვას ვერ პოულობს)..ამასთან, მატსიების შედარებითი მცირერიცხოვნება შემდეგ ისტორიულ მონაკვეთზე, მათ მხოლოდ განდხარვთა ოცი გვარიდან ერთ-ერთზე თუ მიანიშნებს- თემზე და არა ტომზე. როგორც ირკვევა, ტრიგარტებიც ერთ-ერთი განდხარვული თემია (სხვებთან ერთად) თუმცა არჯუნას ნამდვილად აქვს ერთი გაცხადებული ომი განდხარვებთან, რომელიც ზუსტად ასევეა სახელდებული:

„კურუს შთამომავალმა დაინახა მაშინ ბრწყინვალე ტბა მანასისა, ასევე ყველა წყალსაცავები, ბრძენთათვის წმინდა. მიღწია რა მანასის ტბას, პანდავა მბრძანებელმა დაიმორჩილა შემდეგ ქვეყანა, რომელსაც განდხარვები იცავდნენ. განდხარვთა ქალაქიდან მან მიიღო უმაღლესი ხარკი-საუცხოო ცხენები კაკბის ფერისა, ჭრელები, თვალებით როგორც ბაყაყები“ (მახაბხარატა, საბხიპარვა-25)

ფაქტიურად ეს ერთადერთი შემთხვევა, როდესაც განდხარვები ისევ თავიანთ რანგში არიან მოხსენიებულიმათ დიდი ხნის წინ მიიღეს უზენაესის ბრძანება გაადამიანურებისა. ფაქტიურად ეს განდხარვებიც უკ-

ვე გაადამიანებულები ჩანან, რასაც არჯუნას მიერ მათი ძლევა მეტყველებს. ასევე, თუმცა ნაწილობრივ უჩანთ სახელი შენარჩუნებული განდხარვებს, კაურავთა დედის სამშობლოს-განდხარას. ისინიც განდხარვთა გაადამიანურებული შტო ჩანს, განსხვავებით ჩიტ-რარატხასი, ანგარაპარნისა, რომლის ზეადამინურ შესაძლებლობებთან არჯუნა მხოლოდ ღვთაებრივი იარაღის მეშვეობით ბედავს ბრძოლას. ასევე პრივილიგირებული ჩანს განდხარვთა (და აფსართა) ერთი ნაწილი, რომელიც უზენაესის მრჩევლის (ნარადა) და გამრთობების (მომღერალ- მოცეკვავეების) როლს ასრულებენ: ბიშვავასუ, ტუმბურუ, ხახა და ხუხუ....

...და მაინც, რეალური განდხარვყოფილი ტომები ამავე ეპოსში (და მის მიხედვით შედგენილ რუქაზე) სახეზეა: ეს ჰეროდოტესეული ბერძნულ- დორიული ტომებია! პირველი და გავრცელებული -ეს კაშია! ეპოს „რამაიანას“ მიხედვით (ხარვეზებით შედგენილ) რუქაზე ორი კოსალაა დატნეული. ნამდვილი კოსალა (დღევანდელი კახური ტომის შესატყვისი) ეს რუქაზე გაცილებით სამხრეთით მდებარეა, და არა დღევანდელი ვარანავატი, უტარა-პრადეშის შტატში. ამასთან, ჩრდილოეთით მდებარე კოსალას გვერდით, აღნიშნულია სამეფო კაში, ხოლო აქვე უკვე კუში და სრულიად სამართლიანადაც: ამ ხალხებს შემდეგი ისტორია ნამდვილად კუშებად იცნობს, აფრიკულად თუ აზიურად, თუმცა ერთიც და მეორეც ერთი თითის სხვადასხვა ფალანგაა მხოლოდ.

ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით, პურუთა ბიძა, ბხიშმა კაშის მეფის ქალიშვილების სვაიამვარაზე (ქალიშვილების მიერ საქმროების ამორჩევა) მიდის და არა განდხარვასთან. ცხადია, ამ პერიოდისათვის უკვე უზენაესის სურვილი განდხარვათა გაადამიანურებისა შესრულებულია და მათი განდხარვყოფილობაც კი მივიწყებულია. სავარაუდოდ, უზენაესის სურვილი განდხარვთა გაადამიანურებისა, ჩვ. წ. აღრიცხვამდე XXXVI- საუკუნეს ჩანს და მიზეზთა და მიზეზთა გამო მთელი ორი საუკუნე გაგრძელებული(43*)

...რაც შეეხება სამხრეთით მდებარე კოსალას, ის გაცილებით გვიანდელია, რამდენიმე საუკუნის (თუ ათეულის) შემდეგ დაარსებული, წარმოშობილი ამავე ხალხების მიგრაციის ტრასაზე, თავიდან ოკეანის სანაპიროსაკენ, ხოლო შემდგომ ოკეანის სანაპიროს დაყოლებით, დასავლეთის მიმართულებით. პირველი დიდი გაჩერება განდხარვთა ძალებისა სპარსეთის ყურეში ხდება და მოულოდნელ სიურპრიზსაც აქვე გადააწყდნენ: მცირე აზიის სივრცე სხვა, მათზე თითქმის რამდენიმე საუკუნით ადრე იმავე ინდოეთიდან მიგრირებულ ტომებს, შუმერებს და იბერებს უკავიათ… აქვე ხდება მათ შორის პირველი საომარი კონფლიქტი. ადრიატიკის კოლხეთიდან ადგილნაცვალი მოსახლეობა აქ იბერებად იწოდებიან (თუ-

მცა ეს მათი ერთადერთი სახელი არ არის), ასევე ინდოეთიდან ადგილნაცვალი განდხარვები ანტიკურ ლიტერატურაში კელტების სახელს იძენენ:
„ვისაუბროთ მათ მეზობელ კელტ-იბერებზე. უძველესი დროიდან იბერები და კელტები იბრძოდნენ ერთმანეთში ამ ქვეყნის გამო, თუმცა შემდეგ შეწყვიტეს შუღლი და დაიწყეს აქ ერთად ცხოვრება. დაიწყო ტომთაშორისი საქორწინო კავშირები და ამ შერევის შედეგად მიიღეს ახალი სახელწოდება. იმდენად რამდენადაც შერეული ხალხები იყვნენ მძლავრები, ხოლო მათი დასახლებული ქვეყანა შესანიშნავი , კელტ- იბერები სარგებლობდნენ დიდებით… ყველაზე მამაცად იბერებიდან ითვლებიან ლუზიტანელები (პორტუგალიელები) რომლებიც ატარებენ მცირე ზომის ფარებს...ადვილად ამოძრავებს ამ ფარებს ბრძოლისას ყოველ მხარეზე (მეომარი) ადვილად იგერიებს მისთვის ნასროლ ისრებს...მაგრამ მწყობრი ჩეხვისას მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან კელტიბერებს...მშვიდობის დროს ისინი ვარჯიშობენ, ასრულებენ რა მსუბუქ ცეკვას, რომელიც მოითხოვს ფეხების საკმაო ძალას“ (დიოდორე სიცილიელი, წიგნი V; 32-33-34)

დიოდორე სიცილიელის ამ ნაწყვეტიდან გამომდინარე, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ კელტები (განდხარვები) და იბერები პირველად აქ, ევროპის მიწაზე შეჯახნენ ერთმანეთს, მაგრამ:
„მარკ ვარონი გადმოგვცემს, რომ მთელი ესპანეთი მოყვა იბერების, სპარსელების, ფინიკიელების და ასევე კელტების და კართაგენელების თავდასხმების ქვეშ“ (პლინიუს უფროსი, წიგნი III-პარაგრაფი 1-8)

მკითხველს შევახსენებ, რომ ელამელები-იგივე განდხარვები, ერთი პერიოდი (და დღესაც) ითვლებოდნენ სპარსელების წინაპრებად (და სრულიად უსამართლოდ) ხოლო ნაწყვეტში მოყვანილი კელტები- ეს იგივე ელამელებია, განდხარვები. რაც შეეხება ფინიკიელებს და კართაგენელებს, ის ერთი ტომის სხვადასხვა თემია მხოლოდ... და მაინც, დაინტერესებულ მხარეს შეიძლება აღეძრას კითხვა, თუ იბერებმა, კოლხთა სახლიკაცებმა, წარღვნის შემდეგ შეძლეს მცირე აზიისაკენ გადანაცვლება, (ჩვენი ვერსიით) რატომ არის გამორიცხული მათი გადანაცვლება პირენეის ნახევარკუნძულისაკენ, რომელიც უშუალოდ ესაზვრება ადრიატიკას სამხრეთ- დასავლეთის მიმართულებით? საქმე იმაშია, რომ არსებობს პირველხარისხოვანი ცნობები იბერების სინამდვილეში მცირე აზიაში მოსახლეობისა, უფრო მეტიც, ლუზიტანიის (პორტუგალია) მცირე აზიური წარმოშობის იბერების მიერ დასახლების ექსკლუზიური ცნობა, რომელიც წიგნის შესაბამის ადგილას იქნება კიდეც გახმოვანებული…სტრაბონის მიერ გახმოვანებული მეგასთენესეული ვერსია, რომ ტეარკონ ეთიოპის (თარხონ ქუშის) ექსპედიციამ არნახულ სიშორეებს მიაღწია, გამართლებას იმავე დიოდორე სიცილიელისეულ ჩანაწერებში პოულობს, თუმცა სტრაბონის (მეგასთ-

ენეს) ცნობები ერთ სერიოზულ უზუსტობასაც შეიცავს: თარხონ ქუშის ექსპედიციამ არა მარტო მიაღწია თურმე გიბრალტარის სრუტეს, არამედ გადალახა კიდეს ეს საზღვაო წინაღობა (უცილობლად აბხისარ-კენების ფლოტის დახმარებით) მის მეორე სანაპიროსაც ეწვია და დამკვიდრდა კიდეც:

„ეთიოპები, მენაპირე ხალხი, დასახლებული ორ ადგილას“ (ჰომეროსი, ოდისეა, 1-23)

სინამდვილეში, ჰომეროსის ეპოქისათვის კუშები (ეთიოპები) გაცილებით მრავალ ადგილას ჩანან დასახლებული, თუმცა პოეტი აფრიკის ორ ეთიოპურ დასახლებას გულისხმობს: ჩრდილოეთს და სამხრეთს. მრავალ ასპექტში აბრუნებს ისტორიის „რევიზორი“ სტრაბონი ამ სიტყვებს, თუმცა პოეტის ამ სტროფების მნიშვნელობა მისთვის მაინც გაუგებარი რჩება, ჰომეროსი აფრიკაში ეთიოპთა ორ, ერთმანეთისაგან უკიდურესად დაშორებულ ადგილზე ცხოვრებას მიუთითებს:

„არისტარხი წერს:

ერთი სადაც ჩადის ღმერთი სინათლის მატარებელი,

მეორე სადაც ამოდის (ოდისეა 1-24) ხოლო კრატატი:

იქ სადაც ჩადის ღმერთი სინათლის მატარებელი,

და იქ სადაც ამოდის (ოდისეა 1-24) (სტრაბონი, წიგნი VI-24)

დავზოგავ მკითხველის მოთმინებას და არ შევაწუხებ სტრაბონისათვის ჩვეულ აბრაკადაბრით, რომელიც ათეულობით გვერდების მანძილზე მეორდება. გეოგრაფიაში საკმაოდ გათვითცნობიერებულ მკითხველისათვის ვიტყვი, რომ ეთიოპთა აფრიკაშის კონტინენტზე ორ ადგილას ცხოვრებაში ჰომეროსი პირველ საცხოვრებლად აღმოსავლეთ აფრიკის კუშებს, ეთიოპებს გულისხმობს, მეორე საცხოვრებელ ადგილად ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის, მავრუსიას-დღევანდელ მაროკოს გულისხმობს... გიბრალტარის სანაპიროს მეორე მხარეს მცხოვრებ კუშებს, რომლებიც მხოლოდ სხვადასხვა ექსპედიციის (დროში მინიმუმ XII საუკუნით დაშორებულების) შედეგად (რასაკვირველია ერთი და იმავე ადგილიდან-ელამიდან) შესაძლებნელია აქ მოხვედრილიყვნენ. რასაკვირველია ისევე როგორც ელამი წარმოადგენდა ჰესიოდესათვის ასიის ეთიოპიას, ჰომეროსისათვის მავრუსია (კუშთა დასავლეთ აფრიკის პოლიტიკური წარმონაქმნი) მეორე ეთიოპია იყო! თარხონ ქუშის ექსპედიციის კვალი აქ არ მთავრდება აფრიკაში და განდხარვთა დასწრებულობა ამ კონტინენტზე სხვა რეალობასაც გვკარნახობს, თუმცა ამაზე მოგვიანებით და თანამიმდევრობით ვისაუბრებთ)

ესპანეთის ისტორიაში ცნობილი მოვლენა სახელით კონკისტა, რომელიც გულისხმობს ესპანეთის დაპყრობას არაბი მუსულმანების მიერ და რეკონკისტა, მათგანვე განთავისუფლებას-ბუნებაში არ არსებულია!

„არაბები“ რომლებიც იბრძოდნენ ესპანეთის დასაპყრობად, სრულიადაც არ გახლდნენ არაბები, თუმცა მუსულმანები კი ნამდვილად იყვნენ...დღესაც, ესპანეთში მიღებული საერთო მოსაზრებაა, რომ დამპყრობელ „არაბთა“ აბსოლუტური უმრავლესობა მავრები (მაროკოელები) და ბერბერები იყვნენ... მავრები ზუსტად ისეთივე განდხარვთა რასაა, როგორც თავად ესპანელები, თუმცა მათში არც იბერიული და არც ევროპული-გერმანიკული სისხლი არ ურევია, ისინი კელტები-ქუშები, არიან. ზუსტად ასეთივე სიტუაცია ჩანს ბერბერებთან მიმართებაში. ისინი ზუსტად ისეთივე განდხარვები არიან, თუმცა არა ქუშის ტომელები....კატალონია, სეპარატისტული კატალონიაც განდხარვთა სისხლისაა, აბხისარ-კენებისაგან შემდგარი, ფინიკიური... გასაოცარი ისტორისა გახლავთ ბასკებიც, პირველი საუკუნის ამოყვანილი კოლონია ადრიატიკიდან, ჩვენი აბასკების სახლიკაცები. ფაქტიურად, ესპანეთისათვის ბრძოლა რელიგიათა შორის დაპირისპირებას და პირველობისათვიც ბრძოლამდე დაიყვანება, რაც არა ერთი იყო ქართველების ისტორიაშიც...თუმცა ესპანეთის მასშტაბები გაცილებით დიდია, ის ფაქტიურად ერთ- ერთი უდიდესი ქვეყანაა ევროპაში. ვფიქრობთ, არაბული დაპყრობები მოითხოვს შესწავლას იმ კუთხით, თუ ვინ არიან არაბული დაპყრობების სულსჩამდმელები ევროპაში: გენეტიკური არაბები თუ „არაბად“ აღიარებული განდხარვები, რომელთა დიდი რაოდენობა ფიქსირდება ეგვიპტეში, ლიბანში (ფინიკია) და ტუნისში (შესაძლოა ალჟირშიც კი) რომელნიც სუფთა ფინიკიური (განდხარვული) დასახლებაა... **არ არს იგი საიდუმლო, რომელი არ გაცხადდეს**...

...და კიდევ, იბერების გამოჩენას პირენეის ნახევარკუნძულზე, ესპანელი მეცნიერები ქრისტემდე III-ათასწლეულის ბოლოს დებენ. ეს თარიღი ფაქტიურად ზუსტად ემთხვევა ჩრდილო საქართველოში, ანანურში აღმოჩენილი უძველესი ხის ეტლების თარიღს, რომელიც ეროვნულ მუზეუმშია გამოფენილი. ..ვფიქრობ, ის ზუსტად უნდა განსაზღვრავდეს იმ აუთვისებელი ევროპის, მათ შორის კავკასიის ათვისების თარიღსაც. ეს იმ დროისათვის უნდა მომხდარიყო, თუმცა რუსი მეცნიერების აღმოჩენა როსტოვის ოლქში, რომელიც მშობიარე ქალის დნკს - აშკარად ქართულად (განდხარვულად) აღიარებს, ხალხთა დიდი გადასახლების ჩემეულ თეორიას ყირაზე აყენებს: მათი ცნობით, საფლავი 5000 წლისაა...არ არის უცხო არქეოლოგთა მისწრაფება, თავიანთი აღმოჩენა მსოფლიოში უძველესად წარმოაჩინონ, სავარაუდოა, რომ აქაც ეს მოტივი პრივალირებს: ევროპის დასახლება არ უნდა აღემატებოდეს ჩვ .წ. აღრიცხვამდე XXV-XXIII საუკუნეს...(44)

განდხარვთა საკითხის შემდგომო კვლევისა და მათ მიერ აზია-ევროპა-აფრიკის სივრცის ათვისების სრულყოფილი სურათის მისაღებად, აუ-

ცილებელი ჩანს განდხარვთა ზემოთ ხსენებული შვიდი ტომის განსაზღვრა... (მათივე ოცი გვარის, თემის განსაზღვრა გაცილებით ძნელი და ფაქტიურად შეუსრულებადი ამოცანა ჩანს) ამოცანის ამოხსნაში ერთადერთი გზამკვლევი და დამხმარე ჰეროდოტეს შრომები ჩანს, რომლის მიხედვით უკვე დაიდო შუალედური დასკვნა: ეპოს „მახაბხარატას“ განდხარვები, ჰეროდოტესთან დორიული ტომის სახელს ღებულობს. ჩვენი ამოცანაა, ჰეროდოტეს მოხსენიებულ მრავალრიცხოვან დორიულ ტომებს შორის გამოვყოთ განდხარვთა ის ძირითადი ერთეულები , რომელთაც შვიდი განდხარვული ტომის პრეტენზია (პოტენციალი) ექნება და შეძლებისდაგვარად შევძლოთ მათივე იდენტიფიცირება იმ მრავალ ათეულ ტომში, რომელსაც უკვე ეპოსი „მახაბხარატა“ ახმოვანებს.

ძირითადი დორიული ერთეულები, რომლებსაც შესაძლოა ტომის ამბიცია ჰქონდეს, ჰეროდოტესთან სულ რამდენიმეა: ლაკედემონელები, არგოსელნი, კოსელები, სიკიონები. ამათვე ემატება მრავალრიცხოვანი ფინიკიური ტომები, რომელთა დორიულობა ერთმნიშვნელოვნად დამტკიცდა უკვე. ამათვე რიცხვში უნდა ჩაითვალოს სირაკუზის ტირანი გელონი და მისივე ტომელები....და რეტები, რომელთა ეტრუსკობას აღნიშნავს ტიტუს ლივიუსი, და რომელთა ენაც მისივე სიტყვებით, უკვე დიფერენცირებულია ეტრუსკებისაგან. ერთი ესაა, ეს ტომი მოხსენიებული მათი ბელადის, რეტის სახელის მიხედვით, რომელმაც მათი ძებნა უნდა გაადვილოს, თუმცა როგორც წინა ტომიდან ვიცით, ეს სვანური ტომია. ისინი ჰეროდოტეს თვალთახედვის არეში არ ჩანს მოხვედრილნი, რამეთუ ჩვ. წ. აღრიცხვამდე XIII საუკუნიდან ისინი მცირე აზიიდან და საბერძნეთიდან შორს, ვენეციასა და რეციაში (დღევანდელი შვეიცარია) იდებენ ბინას. მათივე სახლიკაცები (თუმცა ცალკე თემი) ჩანს მესენიელები, რომლებსაც საუკუნეების განმავლობაში (VII-V საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე) სამკვდრო-სასიცოცხლო ომი ჰქონდათ ლაკედემონელეთან დამოუკიდებლობისათვის.

1.ლაკედემონელები-სპარტელები, ერთ-ერთი ძირითადი დორიული ტომი, ძნელი არ უნდა იყოს მასში ქუშების (ქართული სინამდვილის ქართები) ტომის ამოკითხვა, რომელთაც ამბიციები აქვთ პირველობისა დორიელთა შორის. მათ საკმაოდ მტრული დამოუკიდელება უჩანთ არგოსელებთან, საბერძნეთის პირველამთვისებლებთან დორიელ ტომთა შორის (თვინიერ ფინიკიელებისა). ასევე არ და ვერ თმობენ ისინი პირველობას სირაკუზელებთან და მათ ტირან გელონთან იმ დროსაც კი, როდესაც ყოველი ბერძნული შუბი მათთვის ოქროს ფასია სპარსეთთან დიდი დაპირისპირების დროს.

2. კოსელები-დორიული ტომი საბერძნეთსა და იტალიაში. სავარაუდოა, რომ ისინი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ თარხონ ქუშის ექსპედი-

ციისა პირენეის ნახევარკუნძულისაკენ და გიბრალტარისაკენ. კუშიტური ტომია დღევამდელი სუდანიც, ისტორიის გარიჟრაჟზე დასახლებული აფრიკის კონტინენტზე, არა გამორიცხული მათ შორის კოსალების არსებობაც ... კოსალთა ტომის ძირითადი საცხოვრისი სტრაბონის მიხედვით, გადაჭიმული იყო ფაქტიურად სპარსეთის ყურიდან კასპიის ზღვამდე. მოგვიანებით მათ კასპები ეწოდათ, ხოლო დარიოს მეფის წარწერებში ბეხისტუნის კლდეზე შესრულებულზე, მოხსენიებულია როგორც სატრაპია ზრანკა. ალექსანდრე მაკედონელის მემუარისტები მას დრანგიანას უწოდებენ...(ქართული სინამდვილის კახები)

3. ფინიკიელები, სიდონელები, ტვიროსელები, კადმოსელები, ლიდიელები, ბეოტიელები, თებეელები, მეიონები, პუნები, კართაგენელები, მინიები, თესალიელები-ყველა სახელი ერთი და იმავე დორიული ტომის- ფინიკიელებად ცნობილების სახელებია, სახელმწიფითა წარმომქმნელი ტომისა.

4. არგოსელები- ეს ის ტომია როელიც პირველი ფუძნდება საბერძნეთში (გარდა ფინიკიელებისა) და რომლის წარმომადგენლადაც თავს თვლის თავად ალექსანდრე მაკედონელი. მაკედონესები და მაკედონელები-ეს არგოსული ტომია. მცირე აზიაში ამ ტომების სახელი პამფილიელებია (თუმცა მათი ფესვები, ისევე როგორც სხვა ტომებისა, ელამშია) (45)

5.რეტები-დორიული ტომი, რომლის დორიელობა (და შესაბამისად განდხარვთადმი კუთვნილება) ეჭვს გარეშე დგას. ეს ტომი, ანტიკური ვენეციელი ავტორის, ტიტუს ლივიუსის სიტყვებით, ისეთივე ეტრუსკული ტომია, როგორც დანარჩენ იტალიაში მცხოვრებნი. თუმცა მუდმივად ალპიისპირა მთებში ცხოვრებამ ისინი გახადა მკაცრნი და მათი ენაც უკვე დიფერენცირებულია დანარჩენ ეტრუსკთაგან. როგორც წინა ტომში დამტკიცდა, ეს ხალხი სინამდვილეში სვანური ტომია (როგორც ჩანს, სხვა მონათესავე თემებთან გაერთიანებული) და რომლის სახელი რეტიც მხოლოდ და მხოლოდ საერთო მეთაურის მიერ არის დანათლული. (ეს სახელმწიფო ამ სახელწოდებით იპოვება მცირე აზიაშიც და სათანადო ადგილას იქნება განხილული) სვანური ტომიც საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩანს და სახელმწიფო წარმომქმნელ (და ეროვნებათა წარმომქმნელ) ძალად გვევლინება.

6. ასაკენები- სიკიონელები, კურეტები, ტავრები, რომლებიც ასევე სახელმწიფოწარმომქნელ და ხალხებ -წარმომქმნელ ძალად გვევლინება.(46)

7. გელები-ეს ტომი ისეთივე დორიული ტომია, როგორც სხვა დანარჩენი ექვსი, მრავალრიცხოვანი და სახელმწიფო წარმომქმნელი და რომელზედაც ცნობების მოძიება გართულებულია, თუმცა შესაძლებელი.(47)

გაძნელებულია განდხარვთა ამ შვიდი ტომის „მიბმა“ ეპოს „მახაბხარატას“ პერსონაჟ ტომებზე, თვინიერ კუშ-კოსალთა და აბხისარ- კენებისა,

თუმცა გარკვეული ირიბი მინიშნებები მაინც არსებობს. გართულებულია აგრეთვე მოძიება განდხარვთა 20 გვარის (თემის) შესახებ ცნობებისა, თუმცა გარკვეული მოსაზრებები ამ კუთხითაც შეიძლება არსებობდეს.

ისტორიული ექსკურსი

...და რომელი სხვა სახელით ფიქსირდებიან ჰეროდოტეს მიერ დორიელებად შერაცხული ტომები ინდურ ეპოს „მახაბხარატაში," თვინიერ მანასის ტბისპირელი განდხარვებისა და აბხისარებისა ?

ეპოს „მახაბხარატაში" ყურადღებას იქცევს ერთი შეხედვით რიგითი, თუმცა საინტერესო ტომი: ტრიგარტები... საინტერესოა, რომ ეს ხალხი თვით ეპოსშიც მოხსენიებული როგორც სამციხელები, რამეთუ ტრი-ეს საერთო ინდოევროპული სიტყვა ყოფილა, ისევე როგორც გარტა-გამაგრებული ადგილი... ისინი პირველად მოხსენიებული არიან ეპოსის იმ ადგილას, როდესაც მატსიების ტომი მხედართმთავარის გარეშე რჩება, და რომელიც ბხიშმას რისხვას ვერ გადაურჩა. სუშარმანმა, ტრიგარტების მეფემ შესთავაზა კაურავებს მხედართმთავარის გარეშე დარჩენილ მატსიებზე თავდასხმა და დაწიოკება. კაურავებმა ეს გეგმა მოიწონეს და თავს დაესხნენ მატსიების ტომს, წამოირეკეს უთვალავი პირუტყვის ჯოგები.

...მაგრამ მატსიებთან მყოფი პანდავები დაეხმარნენ ამ უკანასკნელებს და პირწმინდად დაამარცხეს როგორც ტრიგარტები, ასევე კაურავებიც. ინციდენტი ამ ერთი ეპიზოდით ამოიწურა. სიმპტომატურია, რომ კურუქშეტრას დიდ ომში, ტრიგარტები პანდავების წინააღმდეგ იბრძვიან... მათ წინააღმდეგ თავად სწორუპოვარი გმირი, არჯუნა გამოდის... ამავე დროს, პანდავთა მომხრეების წინააღმდეგ თავად კარნა გამოდის...ამ ორმა გმირმა ფაქტიურად გაანადგურეს მოწინააღმდეგები, არჯუნამ-ტრიგარტები, კარნამ სომაკები ... ტრიგარტების დასახმარებლად სანშაპტაკები გამოდიან და არჯუნას ომში იწვევენ...(48) სან - შაპტაკები- განმარტებულია როგორც ტრიგარტების გადამღობი რაზმები, უკან დაუხევარი შეფიცული მეომრები, რომლებიც უკან არ იხევენ და ამის უფლებას არც ტრიგარტებს აძლევენ...ცხადია, სან-შაპტაკები გარკვეულ დომინირებულ ფუნქციას ასრულებენ ტრიგარტებთან მიმართებაში...საბოლოოდ არჯუნა სან-შაპტაკებსაც ამარცხებს და ანადგურებს... ერთი რიგითი ეპიზოდი, თუმცა აშკარად რეალური ომისა, უხსოვარ დროს მომხდარისა, მაგრამ:

„ხოლო შვილთა ზედა კავკასისა იყო უფალი დურძუკ, ძე ტირეთისი. ეზრახნეს ესენი ექუსთავე ნათესავთა თაგამოსიანთა და ითხოვეს შველა ხა-

ზართა ზედა“ (ქართლის ცხოვრება, ლეონტი მროველი, ტომი I; გვ-16; თბილისი-2012 წ)

ექვსნი თარგამოსიანი და დახმარების მთხოვნე მეშვიდე-დურძუკი…(ხომ არ გეცნობა რიცხვი, მკითხველო?) მაგრამ დურძუკი ხომ უცხოტომელია?

„ხოლო ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველნივე მშვიდობით დარჩენილ იყვნეს სიმაგრისაგან ქუეყანისა, და ვერღარა იტევდა მათ დურძუკეთი. მაშინ ამან საურმაგ წამოიყვანნა იგინი, ყოველთა კავკასისა ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დაასხა მთიულეთს დიდოელთაგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (იქვე; გვ 31-32)

მაგრამ სვანური ტომი-ეს განდხარვყოფილია, ხოლო მთიანი ტერიტორია დიდოეთიდან (49) სამეგრელომდე მოიცავს ჰერეთსაც და თუშეთსაც...ეს პარალელი ეპოს „მახაბხარატასთან“უფრო მძაფრდება, როდესაც ერთ არაბულ ცნობასაც წავიკითხავთ:

„დავუბრუნდეთ ახლა კაბხის მთის აღწერას...ალანების გვერდით ცხოვრობენ აფხაზები, ქრისტიანული რელიგიის მიმდევრები, და ჩვენს დროსაც მათ ყავთ მეფე. მეფე ალანებისა მათზე ძლიერია და მათი ოლქები ვრცელდება კაბხამდე. აფხაზების ახლოს მდებარეობს ჯურიის სამეფო, დასახლებული ქრისტინული სარწმუნოების დიდი ტომით. ჰქვიათ მათ ხაზრანები. მეფეს რომელიც მათ მართავს ამ დროისათვის, უწოდებენ ტაბ’-ს და ცხოვრობს ადგილზე, წოდებული მ ესჯით-ზულ კარნაინად (50) შემდგომ ხაზრანის სამეფოს გვერდით მდებარეობს სამსახა, რომლის მოსახლეობა ქრისტიანულია, შერეული წარმართებთან. მათ მეფე არა ჰყავთ. სამსახას მეზობლად, თბილისსა და ალანების სიმაგრეს შორის, რომელიც უკვე ჩვენ ვახსენეთ, მდებარეობს სამეფო სახლი სანარია, ხოლო მათ მეფეს ჰქვია კურისკური. ეს ხალხი ქრისტიანობის მიმდევარია“ (აღმოსავლეთის ლიტერატურა, დოკუმენტები. ყარაულოვი ნ.კ. მას’ უდი -რუსულად)

როგორც წინა ტომში აღინიშნა, მასუდის ეს ტექსტი სრულიად არასწორადაა წაკითხული (როგორც ჩანს რუსი) ისტორიკოსების მიერ, და რომელსაც სრულ სოლიდარობას უცხადებენ ქართველი ისტორიკოსები. აქ მას’-უდი ერთმნიშვნელოვნად „კაბხის მთას,“ კავკასიონის ქედის ცენტრალურ ნაწილს ახსენებს და მისვეე მიმდებარედ მდებარე პოლიტიკურ წარმონაქმნებს, რომელთანაც არავითარი კავშირი დასავლეთ საქართვლოსთან, აფხაზეთთან, გურიას და....და სამსახასთან (სამცხესთან) არა აქვს!

1.როგორც პირველ ტომში აღინიშნა, ალანების სამეფო-ეს მართლაც ჩრდილო ოსეთში მდებარე სამეფოა, სადაც დომინანტი როლი ალანებს-ეკუთვნით.

2. ციტატაში ნახსენები აფხაზები-ეს ხევის, დღევანდელი სტეფანწმინდას ლაზური მოსახლეობაა.
3. ჯურის სამეფო, მას'უდის მიერ ხაზრანად სახელდებული, ფშავ-ხევსურეთია.
4. სანარია- თავისი მეფე კურისკურით (ქართული ქორეპისკოპოსით) დუშეთის და თიანეთის ჭანი (ხალდი) მოსახლეობაა
5. რაც შეეხება ჯურიის -ფხოვის გვერდით მდებარე უმეფო სამსახას-ეს მხოლოდ და მხოლოდ თუშეთი შესაძლოა იყოს....

...და რატომ სამსახა? ამ სიტყვის ქვეშ მხოლოდ და მხოლოდ სამციხის არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ... სამციხე, რომელიც ეპოს მახაბხარატაში „ტრიგარტად" იწოდება...სამციხე, რომელიც იმავე ლეონტი მროველის მიხედვით სვანურ ტომთან და ტომშივე მოიაზრება... და მაინც, საბოლოო რგოლი ახალგაზრდა თუში ისტორიის მოყვარულის, მავანი ბადრი ლეკაიძის ცნობა გახდა, რომლის მიხედვით პირიქითა თუშეთში ანალოგიური სახელის დასახლება (თუ ყოფილი) დღესაც არსებობს თუ-რმე...<u>შესაბამისად, მეოთხე განდხარვული ტომი იმავე ეპოს „მახაბხარატაში"-ეს ტრიგარტები, მესენიელი- მოსინეკები და სან-შაპტაკებია!</u>

საინტერესოა, რომ ტრიგარტების (თუშების) თემა აქ არ ამოიწურება და სასიამოვნო სიურპრიზი უნდა იყოს ათეული საუკუნეების შემდეგ თანატომელების, საკუთარი ნაწილის მოძიება (51). რაც შეეხება სვანების თემას, აქ კვალი ქრონოლოგიურად გაცილებით შორს და დედამიწის სულ სხვადასხვა მხარესაა საძიებელი...

სიკიონელები

ჰეროდოტეს მიხედვით ის დორიული ტომია, რომელიც მასთან ძირითადად საბერძნეთში ფიქსირდება ... სანამ შევძლებდეთ გარკვევას, თუ რა სახელის ქვეშ ფიგურირებს ეს ტომი ეპოს „მახაბხარატაში", მოვიძიოთ ამ ტომის გავრცელების არეალი სამხრეთ ევროპაში, ასევე მცირე და ცენტრალურ აზიაში... როგორც წინა ტომში იყო აღნიშნული, დიოდორე სიცილიელი აღნიშნავს სიკანების (ეს რომ სიკიონელთა სახელის მცირედ განსხვავებული ინტერპრეტაციაა, ეჭვსაც კი არ უნდა იწვევდეს) დასწრებულობას ესპანეთში, საიდანაც მისი სიტყვებით უკან დაბრუნებულნი ასახლებენ სიკანიას (სიცილიის ერთ-ერთი სახელწოდება) ამასთან თავად დიოდორე სიცილიელი ადასტურებს მდინარე სიკანის არსებობას იბერიაში-ესპანეთში. რასაკვირველია, ეს სიკანები თარხონ -ქუშის ექსპედიციის მოლაშქრენი ჩანან ჩვ .წ. აღრიცხვამდე XXV-XXIII საუკუნეებში განხორციელებული. დიდი ალბათობთ ის სიკანები იქვე დარჩნენ, ესპანეთში და მოძმე კელტ-იბერებში უკვალოდ გაითქვიფნენ. (წინააღმდეგ შემთხვევაში წარმ-

ოუდგენელია, ორი ათეული საუკუნის განმავლობაში სიკანების სახელებ-ის შენარჩუნება მდინარისათვის, რომელსაც სახელი დაერქვა იმ ტომის მიხედვით, რომელიც ოდესღაც ამ მდინარის პირას დასახლდა, და არა პირიქით). რასაკვირველია სიცილიის დამასახლებელი სიკანები- ეს იგივე წარმოშობის ხალხია, თუმცა ისინი აშკარად ტირსენ ატისის ძის ექსპედ-იციის მოლაშქრეები ჩანან, ჩატარებული მთელი ათეული საუკუნით უფ-რო გვიან, ქრისტემდე XIII საუკუნეს. (ან სულაც სხვა ექსპედიციისა)

როგორც ირკვევა, იგივე სიკიონელები არიან ის ასაკენები, რომელ-თაც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარი ორ ადგილას გადაეყარა კასპი ის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ასევე კავკასიის მთიანეთში. რო-გორც ირიბი წყაროებით გავარკვიეთ, მათი კაპიის ზღვის სანაპიროზე და კავკასიონის ცენტრალურ ქედზე დამკვიდრება ორი სხვადასხვა ლაშ-ქრობის შედეგი ყოფილა, როდესაც ისინი (სხვა განდხარვულ ტომებთან ერთად) მცირე აზიიდან სკვითების (და არა მარტო მათი) განდევნის პრ-ოცესში მონაწილეობდნენ ჩვ.წ. აღრიცხვამდე XVI საუკუნეში... რაც შეეხება კავკასიაში დამკვიდრებული გურ (გული-მთავარი) ასაკენები, ფშავ- ხევს-ურებს, ისინი უკვე ყირიმელ სკვითებთან დაახლოებული და მათთან ერ-თად მცირე აზიიდან ლტოლვილი ასაკენები ჩანან, რომლებიც მიდიის მე-ფის, კიაქსარესის მიერ მოწყობილ ხოცვა -ჟლეტას გადაურჩნენ... ასაკენები არა მარტო კავკასიამდე მოაცილებენ სკვითებს, მათი ნაწილი ყირიმამდეც კი ჩანან გაყოლილნი და დასახლებულნი.

...როგორც ირკვევა, ყირიმიის ნახევარკუნძულიდან კიმერიელების (სი-ნდების) განდევნა სკვითების მიერ, ჩვ.წ. აღრიცხვამდე VII საუკუნის მოხდა (თარიღების დაზუსტების მეთოდიკა და ზუსტი თარიღები იხ. შესაბამის თავებში) რომლის დროსაც ტავრები ყირიმის ნახევარკუნძულზე არ ფიქ-სირდებიან და ვერც ვერავითარ შემთხვევაში იქ ვერ იქნებოდნენ...ამასთ-ან, დარიოსის ლაშქრობისას სკვითებზე ჩვ.წ. აღრიცხვამდე 513 წელს, ტავ-რები უკვე ყირიმის ნახევარკუნძულზე იმყოფებიან.... ვიცით რა, რომ ყი-რიმელი სკვითები ჩვ.წ. აღრიცხვამდე არა უგვიანეს 585 წელს იქნენ განდე-ვნილნი მცირე აზიიდან მიდიის მეფის მიერ, როგორც ჩანს, მასვე მოყვებ-იან მათთან დაახლოებული ასაკენები და საკების ნაწილიც...მათი ნაწილი დასახლდა კავკასიაში, ზუსტად იმ უღელტეხილთან, რომლითაც სკვითე-ბი ამ მცირე აზიურ მესამე დალაშქვრისას გადავიდნენ მცირე აზიაში(52) ნაწილი ასაკენებისა და საკებისა ბოლომდე, ყირიმამდე მიყვება სკვითებს და იქვე სახლდება....მათ ერთ -ერთ დასახლებას დღესაც საკი ჰქვია ... <u>**და რატომ ტავრები**</u> ?

არც მიზეზი ჩანს ძნელი გასაგები, თუ რატომ ხდებიან ასაკენები ტავრები...ტავრი ადგილობრივ, უკვე ინდოევროპულ ენაზე ტაურუსს-ხარს

ნიშნავს, ტავრები-ხარებს....როგორც ჩანს, ასაკენების ადრინდელი თვითდასახელება ტავრია, უფრო სწორედ -**კურეტი...კურეტი, უკვე განდხარვთა პირველად ენაზე...ამიტომაც ჰქვია კუნძულ კრეტას-კურეტა, ამიტომაც ჰყავს მის მეფეს მინოსს (როგორც ჩამს მეიონს) მინოტავრი... ამიტომაც ჰქვია დღესაც ბუღას ხევსურეთში კურატი... „ვის ამწყალობებ ალუდავ, ამა კურატით შავითა?“**

ეს სტროფი კი ალბათ განმარტებასაც კი არ მოითხოვს...

ზუსტად ეს სიტყვა, ოდნავ დამახინჯებული ფორმით ჩანს შემორჩენილი ეპოს „მახაბხარატაში“ კირატას სახელით ...დამახინჯებული რატომ? ის ჰინდუ ენაზე უბრალოდ არც არაფერს არ აღნიშნავს...**კირატა- ეს მეხუთე განდხარვული ტომი ჩანს ეპოს „ მახაბხარატაში“ რომელსაც ანტიკური ისტორია სიკიონელებად, სიკანებად, ასაკენებად, და ტავრებად იცნობს....**

არგოსელები-პამფილიელები

„პირველი მოსახლეობა ამ რეგიონში არსებობდა უკვე ნეოლითის პერიოდში. ბრინჯაოს ეპოქაში ის ითვლებოდა ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და განვითარებულ რაიონად საბერძნეთისა. აქ მდებარეობდა ქალაქები მიკენისა და ტირინთისა. უკვე მიკენის ეპოქაში, არგოლიდას მთავარი ქალაქი გახდა არგოსი, წოდებული მითიოლოგიური არგოსის მიხედვით, ზევსისა და ნიობეს შვილისა. ამ ქალაქთანაა დაკავშირებული ლეგენდარული გმირები ჰომეროსის პოემისა, აგამემნონი-მეფობდა მიკენში. ჰომეროსთან და სხვა უფრო გვიანდელ ავტორთან, არგოსი აღნიშნავდა მთელ საბერძნეთს ან მთელ პელოპონესს. „არგიველებად” იწოდებოდა არა მხოლოდ მცხოვრებნი არგოსისა, არამედ ყველა გმირი საერთოდ. დორიელთა შემოსევამ დაანგრია ეს ქალაქები და ისტორიულ ეპოქაში ისინი უკვე ნანგრევებში იწვნენ. ამ დროიდან რეგიონის ცენტრი გახდა არგოსი, ხოლო არგოლიდის ჩრდილოეთით კორინთო და სიკიონი“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

პირველ რიგში უნდა აღმოიფხვრას ის არასწორი შეხედულება, რომელიც ჯერჯერობით მთელს დედამიწაზე არის გაბატონებული და აქ მიმდინარე პროცესების სწორ აღქმას აფერხებს:

1. ჩვ.წ. აღრიცხვამდე VII ათასწლეული დედამიწა სრულ კოლაფსურ მდგომარეობაში იმყოფებოდა: ყოველგვარი სიცოცხლის გამოვლინება შეწყვეტილი იყო, მცენარეული, ცხოველური და ბუნებრივი... შესაბამისად, არსებობდა კოლაფსამდელი ბუნებრივი მდგომარეობა დედამიწისა და კოლაფსის შემდგომი...ამ შუალედურ პერიოდში დედამიწაზე არავითარი კულტურული კვალი არ და ვერ იარსებებდა... შესაბამისად, საბერძნეთსა და

არგოსში მხოლოდ ამ დროის კულტურული ფენის არსებობაა შესაძლებელი...

2. მიკენის კულტურის წინა კულტურა საბერძნეთსა და არგოსში მხოლოდ იონიურ- ეოლიური შესაძლებელია იყოს, ვინაიდან პლანეტის ამ ნაწილში მხოლოდ ისინი ცხოვრობდნენ...არც მათი დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე განსახლების დადგენა წარმოადგენს დიდ სიძნელეს: ეს ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXXIV საუკუნეა, წარღვნის შემდგი ეპოქა...

3. მიუხედავად ვიკიპედიის წყაროს მტკიცებისა, რომ მიკენური (მინოიური) კულტურა განიდევნა დორიული კულტურით, მკითხველმა უკვე ზუსტად იცის (ჩვენივე წყაროებიდან) რომ მინოური და დორიული კულტურა ერთი და იგივე განდხარვთა კულტურაა, თუმცა სხვადასხვა ტომებისა...

4. ჩვენი ამოცანაა გავარკვიოთ არგოსული (ასევე დორიული) ტომის ვინაობა: ის არც ერთ ადრე დასახელებულ ტომებს არ განეკუთვნება და ამას მათი (ბევრწილად) მეტოქეური და ხშირად მტრული ურთიერთობაც განაპირობებს.

5. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ არგოსული ტომი სხვებზე მეტ ნათესაობას კორინთულ ტომთან ამჟღავნებს, რაც კორინთული (კოლხების) ტომის გადორიელების მიზეზი უნდა იყოს, რომელ პროცესშიც არგოსელების ლომის წილი უნდა იდოს...

ის რომ არგოსული ტომი დორიულია, საეჭვო არც უნდა იყოს, თუმცა პირდაპირი ცნობები ჰეროდოტესთან ამის შესახება არ მოიპოვება, მაგრამ:

“მეფე დევკალიონის დროს, დორიელები დასახლებულნი იყვნენ ფტიოტიდის მიწაზე, ჰელენის ძის, დოროსის დროს იმ ქვეყანაში, რომელიც ოსასა და ოლიმპოს ქვემოთ არის და რომელსაც ეწოდება ჰისტიაიოტისი. ხოლო ჰისტიაიოტისიდან ისინი გამოაძევეს კადმეელებმა და მაკედონესებად წოდებულნი დასახლდნენ პინდოსში, აქედან დრიოპიდიდან მოვიდნენ პელოპონესში და ეწოდათ დორიელები“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I -56)

როგორც ჰეროდოტეს ამ ამონარიდიდან ირკვევა, მაკედონესები (რასაკვირველია ფილიპე და ალექსანდრე მაკედონელის ხალხები) დორიული ტომები არიან, მცხოვრებნი პელოპონესში. ჰეროდოტე კიდევ უფრო აზუსტებს მაკედონესების ტომობრივ მიკუთვნებულობას:

„როდესაც ალექსანდრემ (ალექსანდრე დიდის წინაპარი) მოინდომა მონაწილეობის მიღება ამავე შეჯიბრებაში, ის ელინები, რომლებიც უნდა შეჯიბრებოდნენ სირბილში, აძევებდნენ მას, ამბობდნენ, რომ ეს შეჯიბრება ბარბაროსთა ასპარერზობა კი არ არის, არამედ ელინთა ასპარეზობბაო, ხო-

ლო როდესაც ალექსანდრემ დაუმტკიცა მათ, რომ ის არგოსელი არის, აღ-იარეს მისი ელინობა.“ (იქვე,წიგნი V-22)

ცხადია, მაკედონელები-ეს არგოსული ტომის ჩამომავალნი არიან, უკვე მცხოვრებნი მაკედონიის მიწა-წყალზე, სადაც მათი წინაპარი, პერდ-იკესი და მისი ძმები რამდენიმე საუკუნის წინ გადმოსახლდნენ არგოსი-დან. უფრო მეტიც, სტრაბონი ახსენებს მაკედონელთა შემადგენლობაში სხვადასხვა ხალხებს **(სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი IX , V-11)** მათ შორის ელიმიოტებს-ეს უკანასკნელი იმავე ელამიტები ჩანან, რომელიც ფაქტიურ-ად განდხარვთა ყველა ტომის კრებსითი სამშობლოა, მაგრამ უპირატესად ქუშების...შესაბამისად, არგოსელები და მაკედონელები-ეს ფაქტიურად ერ-თი და იგივე ტომია...და მარტო ესენი? როგორც ირკვევა არა! ამ ტომს მცი-რე აზიაში სხვა სახელი ჰქვია:

„ამფიარეოსი, არგოსელი მისანი, შემდეგში მისი სამისნი იყო თებეში“ (იქვე საძიებელი) მაგრამ:

„ქალაქ პოსიდეონიდან (რომელიც ამფილოქოს ამფირეოსის ძემ ააშენა კი-ლიკიისა და სირიის საზღვარზე) ვიდრე ეგვიპტემდე, გარდა არაბიის ნაწ-ილისა (რადგან ეს დაუხარკავი იყო) ხარკის სახით შემოდიოდა 350 ტალა-ნტი“ (იქვე. წიგნი III-91)

მაგრამ ეს ამფილოქოსი ზუსტად იმ არგოსელი ამფიარეის ძეა, რო-მლის სამისნო თებეშია (საბერძნეთის თებე). ამფილოქოსს თავად ქალაქი აშენებული აქვს მცირე აზიაში, კილიკიასა და სირიას შუა და ამ ტერიტ-ორიის ადგილს და სახელს თავად ჰეროდოტე აზუსტებს:

„ამფილოქოსი, პამფილიელთა ბელადი ტროას ომში“ (იქვე, საძიებელი)

შესაბამისად, პამფილიელებად წოდებული ხალხი მცირე აზიაში იმავე ტომის წარმომადგენლები ჩანან, როგორც არგოსელები. მაგრამ...მაგრ-ამ ეს ხალხი არა მხოლოდ პამფილიელთა სახელითაა ცნობილი. ზუსტად ეს ხალხი ჩანს პოლიტიკური წარმონაქმნის, ურარტუს სამეფოს ერთ-ერ-თი შემადგენელი, ხალდებთან ერთად. ამასთან, არტების პამფილიური ტომი მჭიდროდ ესაზღვრება ასირიას, ამიტომაც ამ სახელმწიფოს ასირია მათვე სახელს, ურარტუს არქმევს, თუმცა დანარჩენთათვის ის ხალდეას სახელითაა ცნობილი, ხალდეისა, რომლის ხალდეური ნაწილი ამ სახელ-მწიფოს დასავლეთ ნაწილს წარმოადგენს. (53) როგორც ჩანს, პამფილიელ-თა არგოსული ნაწილი იმავე სახელით- არტებით სარგებლობს, რომელიც ამ სახელს გადასცემს ამპრაკიის ყურეს…არტების ყურე ამ ადგილის პირ-ველი და უძველესი სახელწოდებაა. ზუსტად ეს ამპრაკიელები, ამპრევტე-ბის სახელით დაფიქსირებული აქვს პლინიუს უფროსს, ქობულეთი- ქუთ-აისის რეგიონში...არტები ჩანან იმ სახელმწიფოს- პართიის სათავეში, რომ-ელიც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან ასეული წლის შემდეგ ყა-

ლიბდება კასპიის ზღვის სამხრეთ -აღმოსავლეთ სანაპიროზე და რამდენიმე საუკუნე ღირსეულ წინააღმდეგობას (ხანდახან პარტნიორობასაც) უწევდა რომის იმპერიას....

მაშასადამე, მეექვსე განდხარვული ტომი-ეს არგოსელებია, იგივე მაკედონელები, პამფილიელები, არტები, ამპრაკიოტები, პართები ... საქართველოს სინამდვილეში ის იმერული ტომის სახელითაა ცნობილი...მაგრამ როგორ და ვისი სახელით უკავშირდება ის ეპოს „მახაბხარატას"? კითხვა საკმაოდ ძნელია და ამავე დროს მარტივიც: მსოფლიო მეცნიერება ერთხმად შეთანხმებულია იმაზე, რომ განდხარვთა ტომი- ეს ეპოსისეული განდხარაა, კაურავების დედულეთი...თუმცა განდხარა განდხარვების მხოლოდ ნაწილი, მისი ერთ მეშვიდედზე ნაკლები შეიძლება იყოს...იმავე ეპოსის მიხედვით, განდხარვთა შვიდი ტომი და ოცი თემია დაფიქსირებული. მართლაც ყომარბაზი და შულერი შაკუნი, განდხარას მეფე, არ მოჩანს შორეული იმერელი ნატურისათვის (ქვემო იმერული) არც ეს სახელია უცხო თანამედროვე იმერეთში, შაკო- შაკუნი....რაც შეეხება მეცნიერთა მოსაზრებას განდხარას და ავღანეთის იდენტურობის და შესაბამისად იმერულ ტომთან ნათესაობის შესახებ, გარკვეული რაციონალური მარცვალი ნამდვილად არსებობს: ყველა განდხარვული ტომი მიზეზთა და მიზეზთა გამო, ადგილობრივი ტომებთან უშუალო შერწყმის შედეგია. ამასთან, თითოეული განდხარვული ტომი ასევე ერთ კონკრეტულ ტომთან ჩანს დაკავშირებული (54)

გელონები

არც მეშვიდე განდხარვული ტომის მოძიება ჩანს შეუძლებელი ანტიკურ ისტორიაში (თუმცა ამას ვერ ვიტყვით ეპოს "მახაბხარატაზე) ეს გელონების ტომი უნდა იყოს, რომლის მოქმედების არეალი მის სიდიდესა და აშკარა სიმძლავრეზე მიანიშნებს. ამასთან, გაძნელებული გელონების ტომის დორიელებისადმი აშკარა მიკუთვნებულობა, თუმცა ირიბი (მაგრამ უტყუარი) ცნობების მოპოვება მაზე შესაძლებელია:

„ამ გელონის წინაპარი, გელეს მოსახლე კუნძულ ტელოსიდან იყო, რომელიც ტროპიონთან მდებარეობს. როდესაც გელეს აარსებდნენ ლინდოსელები, რომლებიც როდოსიდან არიან და ანტიფემოსი, გელონის წინაპარი არ ჩამორჩენია მათ" (იქვე, წიგნიVII-153)

აქ ლაპარაკი სირაკუზის (ქალაქი კუნძულ სიცილიის აღმოსავლეთით) ტირან გელონზე, რომელსაც მთელი ბერძნების, მათ შორის ლაკედემონელების წინამძღოლობაზე აქვს პრერტენზია. ნაწყვეტში პირდაპირ არ და ვერ იკითხება, რომ გელონები დორიული ტომია, თუმცა:

„ახლანდელი პენტაპოლისელი , (უწინ რომ ჰექსაპოლისი ერქვა) დორიელ-

ები მეზობელ დორიელთაგან არავის უშვებდნენ ტრიოპის ტაძარში. ის კი არა, იმ თავისიანებსაც, ვინც კი უკანონოდ მოიქცეოდა ტაძრის მიმართ, გარიცხავდნენ ხოლმე და აღარ უშვებდნენ ტაძარში...ამ მიზეზის გამო ხუთმა ქალაქმა, ლინდოსმა, იალისოსმა, კამიოროსმა, კოსმა და კნიდოსმა გამორიცხეს ტრიოპის ტაძრის წევრობიდან მეექვსე ქალაქი, ჰალიკარნასოსი" (55) (იქვე წიგნი I-144)

ცხადია, გელეს მოსახლება და სირაკუზი , რომელიც ციტატის მიხედვით დორიელი ლინდოსელების მიერაა დაარსებული, მხოლოდ დორიული შეიძლება იყოს. ის ისეთივე დორიული ქალაქია, როგორც აქვე და მის გვერდით ხსენებული კოსი...გელეს ხსენება სიცილიაში მდებარე დიდი, მდიდარი და ძლიერი ქალაქი სირაკუზით არ ამოიწურება (სირაკუზის ტირანმა გელონი მოციქულებს მთელი ელინური ჯარის საგზალს შეჰპირდა. გარდა ამისა 200 ტრიერი, 20000 ჰოპლიტი, 2000 მხედარი, 2000 მშვილდოსანი, 2000 მეშურდულე, 2000 მსუბუქად შეიარაებული მხედარი შეჰპირედა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში)

„როგორც ამბობენ, ალბანთის ზემოთ ცხოვრობენ ამაზონები. ფეოფანი, რომელიც პომპეუსთან ერთად ლაშქრობდა და ეწვია ალბანთა ქვეყანას, ამბობს რომ ალბანებსა და ამაზონებს ზემოთ ცხოვრობენ სკვითური ტომები, გელები და ლეგები" (სტრაბონი; ისტორია, წიგნი XI, 5-1)

სტრაბონისეული (ფეოფანისეული) ლეგები- სამურის მოსახლეობა ჩანს, მაგრამ ვინაა ზემოთ აღნიშნული ავტორების გელები? (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ ქართველური (განდხარვულ) გელთან, გერთან, მგელის სახელის მატარებელ ტომთან უნდა გვქონდეს საქმე, რომელსაც ქართულ ისტორიოგრაფიაში მოგვიანებით ჰერები დაერქვათ:

„კაისტრის ვაკეზე, მდებარეს მესოლსა და ტმოლს შორის, აღმოსავლეთიდან ეკვრის კილიბიანის ვაკე. ის ვრცელია, ყავს მრავალრიცხოვანი და კარგი მოსახლეობა, ასევე ნაყოფიერი ნიადაგი. შემდეგ მოდის ჰირკანიის ვაკე: სპარსელებმა ასე დაარქვეს მას და გამოიყვანეს აქედან კოლონისტები. ასეთივე სახით მისცეს სპარსელებმა წოდება კიროსის ვაკეს" (იქვე, წიგნი XIII; IV-13)

სტრაბონი ამ ციტატაში ლიდიისა და მისიის (დღევანდელი სირიის) მიმდებარე ვაკეზე საუბრობს, რომელიც ოდითგანვე განდხარვთა (ქართველთა) აღიარებული და უძველესი სამშობლო იყო (თვინიერ ინდოეთისა) რაც შეეხება სპარსელების მიერ აქედან კოლონიის გამოყვანის ფაქტს არ და ვერ ფიქსირდება ისეთ უძველეს და რეალისტურ ისტორიკოსთან, როგორიც ჰეროდოტეა... (თუმცა კიროსის მიერ ჰირკანების კასპიის ზღვის სანაპიროზე დასახლებას სხვა ანტიკური ავტორებიც აღნიშნავენ). ამასთან, გელონების, იგივე გერების დაფიქსირება ჰეროდოტეს მიერ აღმ-

ოსავლეთ ევროპაში, ბუდინებთან (დღევანდელ ბელორუსებთან) ჰირკანების მიერ ჩრდილო აზიისა, ჩრდილო კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ათვისების პროცესს გაცილებით შორ პერიოდად გვისახავს:

„პართია და ვ არკაპა აჯანყდა ჩემს წინააღმდეგ“ (ბეხისტუნის წარწერები მეფე დარიოსისა, სვეტი II-92)

ბეხისტნის წარწერების დანდამაევისეულ თარგმანში, ვარკაპად აღნიშნული პოლიტიკური წარმონაქმნი იგივე ჰირკანიაა, სპარსულად სამგლეთი...ამ პოლიტიკურ წარმონაქმნს ჰირკანიად ახსენებს უხუცესი ისტორიკოსი ჰეროდოტე, თან მის შესახებ გაცილებით ტევად ინფორმაციას იძლევა: კიდევ უფრო დაწინაურებულნი ჩანან ისინი ნახევარი საუკუნის შემდეგ, სპარსეთის მეფე ქსერქსეს დროს, როდესაც ელინთა წინააღმდეგ გაილაშქრეს:

„ჰირკანიელები სპარსების მსგავსად იყვნენ შეიარაღებულნი, ხოლო წინამძღოლად ჰყავდათ მეგაპანოსი, შემდეგ ბაბილონის მეურვე,“(იქვე, წიგნი VII-52)

ის რომ ჰირკანიელები მრავალრიცხოვანნი არიან, მათი არავისთან კოოპერირება და საკუთარი სპარსელი სარდალით გამოსვლაც მიანიშნებს. ამასთან, სხვ ახალხებისაგან განსხვავებით, ჰირკანიელებს ცხენოსანი ლაშქარიც კი გამოყავთ. მაშასადამე, კიდევ ერთი განდხარვული (ქართული) უცნობი ტომი გელები...და ვინ არიან ისინი დღეს, თვინიერ ჰირკანებისა-მგლებისა? ინგილო, ტერმინი პირდაპირ გვეუბნება, რომ ის ყოფილი გელია... იგივე ხალხი ჩანს ინგუში, რომლის საკუთარი თვითდასახელება (სავარაუდოდ დამახინჯებული) XIV-XV საუკუნის მიჯნაზე არკუდანია! ასე ასახელებს ამ ხალხს თემურ ლენგის მემატიანე, შერეფ - ედდინ - ალი ეზდი...(შეადარეთ ბეხისტუნის წარწერების ვარკაპას) გელების ტომი, რომელიც ფიქსირდება სამხრეთ ევროპაში (სიცილიაზე, იტალიაში) ცენტრალურ აზიაში (ჰირკანია) კავკასიასა და ჩრდილო კავკასიაში (ინგილო და ინგუში). ..მაგრამ ვისი სახელით ფიგურირებს ის ეპოს „მახაბხარატაში“?

“მივიდა რა ტბა მანასთან, მბრძანებელმა პანდავამ დაიმორჩილა ქვეყანა განდხარვების მიერ დაცული. იქ განდხარვთა ქალაქიდან მან მიიღო უმაღლესი საჩუქარი-დიდებული კაკბისფერი ცხენები , ჭრელი და ბაყაყივით (გადმოკარკლული) თვალებთ“ (მახაბხარატა, საბხიპარვა 25)

ვფიქრობთ, ზუსტად ეს ხალხი, ჯერ კიდევ განდხარვებად წოდებულნი (თუმცა დანარჩენ ტომებს და თემებს უკვე სხვა, ადგილობრივი სახელები ჰქვიათ) უნდა იყვნენ განდხარვთა მეშვიდე ტომი, რომლებიც დედამიწაზე ჯერ კიდევ პ ირველ საცხოვრებელ ადგილას ცხოვრობენ... საინტერესოა, რომ ტბის სახელი მანასი-აბსოლუტურ რეზონში მოდის ინგუშების დღევანდელ დედაქალაქ მაგასთან...

...და გვარები...

უფრო რთულადაა საქმე განდხარვთა 20 გვართან (თემთან) მიმართებაში, გაძნელებულია მათი იდენტიფიკაცია ... უნდა გავითავისოთ, რომ განდხარვთა ეს გვარები (თემები) უკვე არსებულია ეპოს „მახაბხარატის“ ეპოქისათვის, კერძოდ ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXXII საუკუნის ბოლოს (და არ წარმოადგენენ განდხარვთა ტომების, გვარების შემდგომი დიფერენციაციას) შესაბამისად, განდხარვთა ეს გვარები უკვე ფიქსირებული უნდა იყოს ეპოსში. საყურადღებოა, რომ ეპოსში კირატთა შვიდ მეფეზე და შესაბამისად შვიდ გვარზეა საუბარი:

არჯუნა, რომელიც ჰიმავენის მთებში განმარტოვდება, უზენაესისაგან ღვთაებრივი იარაღის მისაღებად, რომელიც კაურავებთან (და მათ დამხმარეებთან, უძლეველ მეომრებთან - ბხიშმასთან, დრონასთან, კრიპასთან და კარნასთან) ბრძოლაში გადააწონინებს მათ შესაძლებლობას, შეხვდება კიდეც უზენაესს, კირატას მოოქრვილ აბჯარში ჩასმულს... უზენაესმაც არჯუნას გამოცდა განიზრახა და სასტიკ ბრძოლაში ჩაება მასთან... რასაკვირველია, საბოლოოდ უზენაესმა გაიმარჯვა და დამარცხებული არჯუნა მიხვდა, რომ მან ხელი თვით უზენაესის წინააღმდეგ აღმართა:

„უმაღლესო ღმერთო, ო მბრძანებელო ყველა არსებისა, <u>კაპარდინ,</u> ბხაგას დამაბრმავებელო! მაპატიო მე უნდა ჩემი შეცოდება ო შანკარა!“
(მახაბხარატა, არიანაპარვა -40)

ცხადია, აქ სიტყვა კაპარდინი, რომელიც კირატას სახით მოვლენილ უმაღლესი ღვთაების ზედწოდებაა, ასევე ზედწოდებად გვევლინება კირატათა ერთი შტოსი, კერძოდ ჩრდილო შავზღვისპირეთში დასახლებული კერკეტებისა, რომლებიც საუკუნეების შემდეგ აზოვის ზღვაზე და ყირიმის ნახევარკუნძულზე ცხოვრებისას იბრუნებენ თავიანთ უძველეს სახელს და რომელთაც ჩრდილო კავკასიაში დამკვიდრებულებს <u>ყაბარდოელს ვეძახით...</u>

<u>კირატათა მეორე თემი (გვარი) სავარაუდოდ ჯიბუტი უნდა იყოს:</u>

“ჩვენ შიბუსების ჯამაათიდან, რომ დავემორჩილოთ ამ მთების დიდ მეფეს, კერძოდ ვარანტისაგან, ჩაჩანისაგან და ტონსასაგან-გავაგზავნეთ სამი მოციქული რუს მეფესთან, თუ ის მიგვიღებს ჩვენ, ჩვენ გავხდებით მეფის ქვეშევრდომები... გავუგზავნეთ მოციქულები ჩვენს თემრას მეფეს, ახლა თემრასი გახდა რუსის მეფის ქვეშევრდომი, ჩვენც თანახმა ვართ ვიყოთ ქვეშევრდომები რუსი მეფისა“ (აღმოსავლეთის ლიტერატურა, დოკუმენტები, შიბუტის ჯამაათი 1657წ)

საოცარია პირდაპირ ის არაკომპეტენტურობა, რომელსაც ჩვეულებრივ რუსი ანალიტიკოსები ავლენენ, მათ შორის ამ სტატიის მიმართაც.

სრულიად არადამაჯერებელი და უღიმღამო მსჯელობა ტერმინ „ვარანტა-ზე.“ არადა, ისევე რუსი მწერლის და გენერალის, დუბროვინისეულ კავკასიის მთიელების აღწერაში, კერძოდ, ჩეჩნებისა, ერთმნიშვნელოვნადაა ნათქვამი, რომ ჩეჩნური ტეიპები შეიცავენ სხვადასხვა წარმოშობის ხალხებს: **„სხვათა შორის, ყოველი თემი (ტაეპი) სინამდვილეში თვლის საკუთარ თავს ძირითადად სულ სხვადასხვა ნაწილებისაგან. ასე მაგალითად, გვარი ზუმსოი თვლის საკუთარ თავს ქართული წარმოშობისად, კელოი-თუშურად. ახშიპატოი-ფირენჩულად (ფრანკულად?) ვარანდინების გვარის წინაპარი-ხევსურები არიან. ბევრი გვარი თვლის საკუთარ თავს ბერძნული წარმოშობისად“ (დუბროვინი ნ.ფ . ომების ისტორია და რუსების სამფლობელო კავკასიაში. --ჩეჩნები--რუსულად)**

ცხადია აქ ნახსენები ვარანდი მხოლოდ ხევსური უნდა იყოს, მითუმეტეს ისინი თემრასის (მეფე თეიმურაზის) ქვეშევრდომებად ასახელებენ -თავს ...(ტერმინი ვარანდი უხსოვარი უნდა იყოს ხევსურთა კონკრეტული თემისათვის, ზუსტად ასევე-ვარანდა ჰქვის ყარაბახის ერთერთ შემადგენელს, ხუთიდან ერთ სამელიქოს...სხვათა შორის მეორე ჭანური ჩანს)...შიბუსები, კირილიცას მეშვეობით გახმოვანებული ჯიბუტი უნდა იყოს, რაც ასევე არქაული დასახელებაა კირატთა ერთი გვარისა... შიბუტი - ჯიბუტი და ვარანდა, მეორე და მესამე თემებია კირატების-ასაკენების შემადგემლობაში...და ჯიბუტი სახელმწიფოა, გვხვდება აფრიკაშიც და როგორც ირკვევა, ეს უბრალო დამთხვევა არაა..ასევე არქაული უნდა იყოს კირატთა ტომის წარმომადგენელი- სოგდები, თუმცა ეპოსი ვერც ამ თემს აფიქსირებს... მას უკვე XIV საუკუნეს, თემურ-ლენგის ლაშქრობისას უკვე ტაჯიკი ჰქვია, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისას, ჩვ.წ. აღრიცხვამდე IV საუკუნეს ჯერ სოგდებად იხსენიებენ. ქალაქი სუგდაბილი თბილისიდან აღმოსავლეთით ფიქსირდება არაბულ წყაროებში. უფრო მეტიც, სუგდეასა და ფულეს საეპისკოპოსი ფიქსირდება მცირე აზიის ეკლესიათა და სამრევლოების განხილვისას შესაბამის დოკუმენტებში...ეს სახელიც არქაული ჩანს, თუმცა ინდურ ეპოსში ვერ მოხვედრილი-ისინიც იმ შვიდ კირატულ თემში იგულისხმება საკუთარი სახელებით, რომელთა კრებსითი სახელი კირატაა.

სამწუხაროდ, შეუძლებელია დანარჩენი კირატული თემების ვინაობის აღდგენა, თუმცა ეპოსი კირატთა შვიდ მეფეს ასახელებს. საინტერესოა, რომ კირატები ინდოეთის ტერიტორიაზე ორ ადგილას ცხოვრობენ: ჩრდილოეთ ინდოეთში, მთის კირატები და სამხრეთ ინდოეთში, ოკეანისპირა კირატები. უცნობია, თუ რომელ მათგანს მიეკუთვნება ზემოთ დასახელებული კირატთა თემები, თუმცა სავარაუდოდ ისინი კირატთა პირველ ჯგუფს მიეკუთნებიან... რასაკვირველი კირატები (კურეტები) ჩანან კუნძ-

ულ კრეტას ამთვისებლები (მინიელებთან- ფინიკიელებთან ერთად). მინოსის ცნობილი მინოტავრი არა ხარისთავიანი ურჩხული, არამედ სწორუპოვარი კირატი მეომარი ჩანს, რომელიც თეზევსთან ომში დამარცხდა... ცალკე აღნიშვმის ღირსია კრეტელთა საბრძოლო იარაღის წვრთნის მეთოდი და ამ თემასაც ცალკე შევეხებით....

...და თუ განდხარვთა 20 თემიდან შვიდი კირატაა, ვინ შეიძლება იყოს დანარჩენი ცამეტი?

შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ ერთი თემი-ეს მალის ტომია, დაფიქსირებული ეპოს „მახაბხარატაში“

„მალეა, სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხე პელოპონესში” (ჰეროდოტე, საძიებელი)

თუმცა მალეას მდებარეობა პელოპონესში მათი განდხარვობის დამადასტურებელი ცნობა ვერ იქნება. როგორც ირკვევა, მეორე სახელწოდება იბერების ტომისა ზუსტად მალია, სხვა ანტიკურ სახელებთან ერთად. (განხილულ იქნება ამავე წიგნში)

ასევე შეუცდომლად შეიძლება ითქვას, რომ განდხარვთა კიდევ ერთი თემი - ეს დრავიდებია დაფიქსირებული ეპოს „მახაბხარატაში.“ მათი ანტიკური და შუა საუკუნეების თვითდასახელება უკვე დრუიდები ჩანს, რომლებიც ბრიტანეთის კუნძულებზე (უმთავრესად ირლანდიაში) ფიქსირდებიან…ირლანდია, საკუთარი პირველწოდებით, ეირის ქვეყანა (რომელიც საკმაოდ ახლოს დგას ფონეტიკურად ერთან) და რომლის მოსახლეობა ერთმნიშვნელოვნად იბერების შთამომავლებად თვლიან თავს... (ერთი ესაა, რატომღაც ფიქრობენ, რომ იბერიელი ერი აფრიკიდან მოდის...) ვინაიდან ბრიტანეთის კუნძულები დანარჩენი ევროპის პარალელურად ჩანს ათვისებული, დრავიდების მოხვედრაც ამ კუნძულებზე მხოლოდ განდხარვ-იბერების პარალელურად შეიძლება მომხდარიყო... შესაბამისად, დრავიდთა თემიც განდხარვული უნდა იყოს...

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რამ განდხარვთა (ზეციური) მეწყვილეები აფსარები არიან... მაგრამ მხოლოდ ზეციური მეწყვილეები, შესაბამისად ერთი და იმავე გენეტიკური გენის მატარებლები. უზენაესის სურვილისა და ბრძანების მერე, რომ ისინი დედამიწაზე უნდა დაეშვან და თავიანთი ყველა ნაწილებით გაადამიანურდნენ, დგება ერთი სავალდებულო ფიზიოლოგიური აუცილებლობა, რომელიც მინიმუმ ათეული საუკუნე მოქმედებს დედამიწაზე: განდხარვას არ შეიძლება ცოლად ჰყავდეს აფსარა! მართალია ეპოსში ამ აუცილებლობაზე საუბარი არცაა, თუმცა შესაძლებელია ამ მოტივის შიგა და შიგ დაჭერაც კი. განდხარვას ცოლი განდხარვი-ა, მაგრამ არა აფსარა და ამაში უზენაესის ნება- სურვილი გადამწყვეტი ჩანს: ერთიც და მეორეც თავისი ფიზიკური თუ

გონებრივი შესაძლებლობით აშკარად აჭარბებს ადამის შვილებს... ადამიანური რასის გასასაშუალებლად, განდხარვ-აფსარებმა ცალ-ცალკე უნდა შექმნამ ოჯახები ადამის მოდგმასთან... ამასთან, მეტისი განდხარვ-ადამის შვილისა აბსოლუტურად იმავე გენეტიკის მატარებელია, როგორც ჰიბრიდი აფსარა-ადამის შვილისა... ამდენად, იგივე განდხარვულ თემებში ეს უკანასკნელიც სრულუფლებიან წევრებად გვევლინებიან...

გამომდინარე აქედან, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს უდავოდ უძველესი ქალაქი კოლხაპური სამხრეთ ინდოეთში, რომლის დაარსების ქვედა საზღვარი მინიმუმ ჩვ,წ, აღრიცხვამდე XXXVI საუკუნე ჩანს. (თემა მოგვიანებით გამოწვლვლილვით იქნება განხილული) ქალაქი სავარაუდოდ უძველესი შაკტის (ყოველგვარი ქალური საწყისის) კულტის სალოცავის ირგვლივ ჩანს გაშენებული. თვით მისი დასახელება კოლხაპური ეჭვის საფუძველსაც არ ტოვებს-ის ნამდვილად კოლხთა (ყოფილი) ქალაქია. საინტერესოა, რომ რელიგიის ცვლილებასთან ერთად, ადგილზე მოქმედი ტაძარი უკვე ლაქშმის კულტისაა, ასევე ყოველგვარი ქალური საწყისისა. საყურადღებოა, რომ აქედან წასული ხალხის მიერ უკვე ათეული საუკუნის შემდეგ დაარსებული სამისნო ასევე ქალური კულტის, დიდი ნანას, დოდონას, სამყაროს დედის სახელზეა (თუმცა ჰეროდოტეს სიტყვებით, დოდონელებმა ღმერთების სახელები ჯერ არც იციან) ჩანს, დოდონაში მატრიარქატი, ქალის პრიმატი, ქალის პირველობა პრივალირებს... (იმავე „დიდი ნანას“ მოტივი ჩანს კოლხურ ცნობილ სიმღერაში, დიდოვ -ნანა...) როგორც ჩანს, კოლხების, უკვე ამ დედამიწური ტომის ქალური ნახევარი აფსარები უნდა იყვნენ (სამტკიცზე, რომ აფსარა და ამაზონი ერთი და იმავე ქალური არსების სახელია, მოგვიანებით ვისაუბრებთ) კოლხები ზუსტად ისევე და იმდენივე განდხარვულ (ზეციურ) გენებს ფლობენ, რამდენსაც აღმოსავლეთის ქართველი... ამდენად ისინიც ფაქტიურად ერთ-ერთ განდხარვულ ტომს მიეკუთვნებიან, უკვე ევროპის (და არა აზიის, ინდოეთის ტერიტორიაზე და ამდენად ეპოს „მახაბხარატაში“ შემავალ შვიდი განდხარვული ტომის ანგარიშში არ შედიან, თუმცა ქალაქ კოლხაპურის არსებობა ინდოეთში დღესაც, შეუცდომლად მიგვანიშნებს იმაზე, რომ მათი ნაწილი დარჩა იქვე, ინდოეთში)

ასევე საინტერესოა ერთი ტომი ეპოს „მახაბხარატიდან”, რომელიც კოლხთა ტომის აშკარა იდენტურია და რომელსაც ამავე ეპოსში მადრები ეწოდება. მადრები კოლხთა ტომის ის ნაწილი ჩანს, ჩვ. წ. აღრიცხვამდე XXVII საუკუნეს მიგრირდა სხვა ქართველურ ტომებთან ერთად სპარსეთის ყურეში ...ეს ის ტომია, რომელიც მესოპოტამიაში- ბაბილონში, ჰეგემონობასაც კი იგდებს ხელში , (ისტორიაში ცნობილი აქადებად) რამდენიმე ასეული წელიწადით და მათ სინამდვილეში მარები ეწოდებათ...

ეს ის ტომია, რომელიც ნებაყოფილებით დაწყვილებისას კოლხების გვერდით იკავებს საომარ რიგს, სპარსელთა ლაშქარში. ამავე ტომის ნაწილი, მარდებად სახელდებული, შუა აზიაში აღმოჩნდება და აქ უკვე მარგებად იწოდება, მათი ნაწილია მარუში-ძეთა ცნობილი და საქართველოს მოამაგე გვარი. მცირე აზიიდან შემოსული მარგები კი მეშვიდე საუკუნეს მარგვეთად აქცევს ზემო იმერეთს, სამარგალოდ ლაზიკას... ცხადია, მარებიც ისეთივე გენეტიკისანი არიან, როგორც კოლხები და ქართველები, 50% პროცენტით განდხარვთა შთამომავალნი...

შუმერები, თვითწოდება ხალდები, მათ ეოლიელების სახელით იცნობს ბერძნული ანტიკური ლიტერატურა, აღმოსავლეთის ლიტერატურა მათ სანარიად და სანარებად იცნობს, ქართველთათვის ჭანები, ზუსტად იმავე 50% აფსარული გენის მატარებელი...

საინტერესოა თოხარების თემი, ინდურ ეპოს „მახაბხარატასათვის“ ტოკხარებად ცნობილნი. სინამდვილეში ის ფინიკიური ტომის წარმომადგენელი ჩანს, მისი პუნიკური ნაწილისა, უფრო კან-გოის სახელით ცნობილი. ისინი შუა აზიაში ფიქსირდებიან, აქ მოხვედრილნი ჩვ.წ. აღრიცხვამდე XVI საუკუნეს... არ არის ეს სიტყვა უცნობი ქართული სინამდვილისთვისაც. ზუსტად ამ ტომისა ჩანს თუხარისის ციხე-სიმაგრე სამხრეთ საქართველოში, ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე. ღიმილის მომგვრელია ვახუშტის მიერ ამ ციხის სახელის განსაზღვრაც კი. სინამდვილეში ის თოხარების ციხეს უნდა ნიშნავდეს, აქედანვე ჩანს გვარი თუხარელი ნაწარმოები. თოხარძიძის ეპარქია ფიქსირდება მცირე აზიაში დღევანდელ თურქეთში... და ლამაზად, გოგვით მოსიარულე ცხენს თოხარიკი ეწოდება ყველა ქართველურ ენაზე...

არ არის გამორიცხული შაკი (შაქელები) დღევანდელ კახისა და ზაქათალის რეგიონში მცხოვრები...ზუსტად ასევე ახსენებს ეპოსი „მახაბხარატა“ ამ ტომს განდხარვულ თემებს შორის...

ყურადსაღებია კიდევ ერთი ტომი იმავე ეპოსში. მავანი მკვდარი ქალი შობს სამ მადრსა და ოთხ შალვას (შალვები აქ ისეთივე ტომია, როგორც სხვა დანარჩენი) შალვების ანუ შარვების ტომის მამაკაცური საწყისები დანავები ჩანან, ხოლო თავად შარვები- ასურები. ..მაგრამ როგორ შეიძლება ასეთი მოვლენა მოხდეს? ერთმა ქალმა (მკვდარმა!?) და რასაკვირველია ერთჯერადი მშობიარობით, ერთდროულად შვას მადრებიც და შალვებიც? მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნაშიერების ერთი ნაწილი დედის გენეტიკური ასლია, მეორე მამისა... რამდენადაც ზემოთ ვისაუბრეთ, მადრას ქალური საწყისი აფსარა ჩანს, შესაბამისად შარვების ქალური საწყისიც იგივეა! შარვები იმდენად ჩანან გენეტიკურად განდხარვები , როგორც ყველა დანარჩენი ზემოთ ჩამოთვლილი თემი.....

...და თვით სანჯაია, დიადი მეეტლე, შვილი გავალგანისა, რომელიც დრიტირახშას ომის მსვლელობის შესახებ უყვება, განდხარვა ჩანს-იმავე განდხარვთა მეფის, ჩიტრარატხის სიტყვებით, ისინი ნებისმიერ მანძილზე ტელეპატიური ხედვით ემსგავსებიან ღმერთებს და განსხვავდებიან ადამიანებისაგან...

ზეციერ სულიერ ძმას ეძახის შალვების მეფე ჩედების ასევე მეფეს შიშუპალას და მისი მოკვლის გამო შურისძიებას ცდილობს კრიშნაზე... ჩედების ტომის წარმომადგენლები საქართველოში ჭედიები და ჭეჟიები ჩანან... ასევე კეიკაიების ტომის წარმომადგენლები ჩანან დასავლეთ საქართველოში გავრცელებული გვარების, კეკუა, კუკავა, კაკავას წარმომადგენლები… ჩოლებისა-ჩოლარიები...მატსიების ტომი ინდოეთიდან, მცირე აზიაში უკვე მატიენების სახელს იძენს. ქართულ სინამდვილეში ტომის წარმომადგენლები მატკავები და მატუები ჩანან...

...და ქალთა სამეფოს მოქალაქეები, (ნამდვილად აფსარები) რომლებიც ასევე ფიქსირდებიან ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“... სავარაუდოდ, მათსავე მიერ წარმოქმნილ სახელმწიფოზე ყვება ანტიკური ავტორი (და რომელიც ამავე წიგნში იქნება გაშუქებული) … თვით რომაელებისათვის დამახასიათებელი „რომაული ცხვირი“ აფსარების საჩუქარი ჩანს, არაფერს ვიტყვი ბერძნულზე...გვარი ხოჯავაც რომაული ტომისა ჩანს... საინტერესოა, რომ ტომების ეპოს „მახაბხარატასეულ“ ჩამონათვალში ჩვენი მეზობლების (და მონათესავეების) სომეხების სახელიც ადვილად იკითხება... პანჩალთა ტომის სახლიკაცების, სომაკების ქვეშ, რომლებიც ფაქტიურად გაანადგურა კარნამ, ჩვენი მეზობელი სომეხი ტომის სახელი იკითხება, დაბოლოება - კი შეცვლილი ტრადიციული ქართული დაბოლოებით -ხითი...თავად პანჩალები- ეს ქურთული ტომი ჩანს, წარმომადგენლები საქართველოში ფანჩულიძე და ფაჩულიები...

შენიშვნები

1.როგორც ჰეროდოტე წერს, ლიდიელები აპენინის ნახევარკუნძულს ითვისებენ მეფე ატის მანესის ძის ზეობის პერიოსდში. ამავე ჰეროდოტეს მიხედვით: **„ხელისუფლება ჰერაკლიდებს რომ ეკუთვნოდათ, შემდეგნაირად გადავიდა კროისოსის გვარში, რომელსაც მერმნადთა გვარი ერქვა. იყო კანდავლესი, რომელსაც ელინები მირსელოსს უწოდებდნენ, სარდელთა ტირანის, ჰერაკლის ძის, ალკაიოსის ჩამომავალი. აგრონი ნინოსის ძე (ხოლო ნინოსი ბელოსის ძე, ხოლო ბელოსი ალკაიოსისა) პირველი ჰერაკლიდი მეფე იყო სარდელებისა. ხოლო კანდავლესი, მირსოსის ძე უკანასკნელი. აგრონის უწინარესი მეფეები ამ ქვეყნისა იყვნენ ლიდოს ატისის**

ძის ჩამომავლები, ამის მიხედვით დაერქვა სახელი მთელ ამ ლიდიელ ხალხს, უწინ მეიონებად წოდებულებს.“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I-7)

როგორც ჰეროდოტეს წინამდებარე ციტატიდან ირკვევა, ჰერაკლიდი მეფეები ჰერაკლეს გარდაცვალებიდან მხოლოდ მეოთხე თაობაში ხდებიან ლიდიელთა მეფეები (ჰერაკლე- ალკაიოსი- ბელოსი- ნინოსი და აგრონი) ხოლო აგრონი პირველი ჰერაკლიდი მეფეა ლიდიისა. ვალეი პეტერკულის მიხედვით, ჰერაკლე ქრისტემდე 1310 წელს ტროას ომის დაწყებისას ცოცხალი აღარაა. (თუმცა ათწლიანი ცდომილება აქვს პეტერკულს ტროას ომის თარიღის განსაზღვრისას). ხოლო პირველი ჰერაკლიდი მეფე აგრონი-ეს უკვე ქრიტემდე 1310-70=1240 წელს (ჰერაკლიდები მხოლოს სამი თაობის შემდგომ შემდგომ გამეფდნენ, ერთი თაობა ჰეროდოტესთან 23 წელიწადია)...მაგრამ იმავე ჰეროდოტეს მიხედვით, აგრონის უწინარესი მეფეები ამ ქვეყნისა ლიდოს ატისი ძის ჩამომავლები იყვნენ. ზუსტად ეს ატისის ძე, ტირსენოსი ჩანს აპენინის ნახევარკუნძულზე თავისი ხალხით გადასახლებული...შესაბამისად, ლიდიელების გადასახლება აპენინის ნახევარკუნძულზე ქრისტემდე XIII საუკუნეს ჩანს მომხდარი...

2. დასავლურ (როგორც ეტყობა ზოგ ინდურ წრეებშიც) ჩათვლილია, რომ „მახაბხარატა“-ეს ეპოსია, ზღაპარი...სინამდვილეში ეპოსი-ეს ბრაჰმანიზმის ჰიმნია, სადიდებელი ამ სარწმუნოებისა...მხედველობიდან უშვებენ იმ საოცარ ფაქტს, რომ ბრაჰმანი თავის მოსწავლეს 37 წელი ასწავლის...და სავარაუდოდ ამ სწავლებაში ლომის წილი ზუსტად ამ ეპოსს უდევს... ცხადია, „ზღაპრის“ დამახსოვრებას 37 წელი ნამდვილად არ სჭირდება... ზღაპარი იმიტომაც არის ზღაპარი, რომ გადმოცემული მცნების სკრუპილოზული დამახსოვრება სრულიადაც არაა სავალდებულო და მთხრობელი უფლებამოსილია საკუთარი ინტერპრეტაციისა (ისევე როგორც ეპოს „მახაბხარატას“ მიმართ კეთდება დღეს სხვადასხვა ახალგამომცხვარი „გურუსაგან“) მაგრამ არა... ბრახმანი 37 წელი ზუსტად აზეპირებინებს შეგირდს, მომავალ ბრახმანს ეპოსს, იმიტომ რომ ასევე უცვლელად გადასცეს და შეუნახოს მომავალ თაობებს ათასეული წლის წინათ მომხდარი სინამდვილე, ბილინა, ლეგენდა, (თუნდაც ჰიპერბოლიზირებილი) რამეთუ ამ ხალხში დამწერლობა ჯერ კიდევ არაა გამოგონილი... დიახ, ეპოსი „მახაბხარატა“-ეს ბილინაა, საგა, ლეგენდა, რომელსაც შორეულ წარსულში აუცილებლად ჰქონდა ადგილი...ამდენად, ყოველი მოქმედი, იქნება ეს ღმერთი, ნახევრადღმერთი, ტომი, თემი თუ ცალკეული პერსონაჟი ამ საერთო სურათის სახეა, რომლის ხსენებასაც გარკვეული მიზეზი და მიზანი უჩანს, თუმცა მივიწყებული ათასწლოვანი ისტორიის გზაზე...

3.ეპოსის მიხედვით განდხარვები და მათი ციური მეწყვილე აფსარები ნახევარღმერთები არიან. იმავე ეპოსის მიხედვით, ისინი ფიზიკურად რამ-

დენადმე აღემატებიან ადამიანებს-ადამის მოდგმას. ეპოსის შეუდარებელი მეომრის, არჯუნას სიტყვებით, განდხარვები ყოველთვის უფრო ძლიერები არიან და მათთან ბრძოლა ადამიანს არ შეუძლია. თვით არჯუნა, რომელიც იძულებულია განდხარვას დაუპირისპირდეს, ამას მხოლოდ ღვთიური იარაღის გამოყენებით ბედავს და ამარცხებს კიდეც მას...ამასთან, ისინი განსხვავდებიან ასევე „ციური არსებებისაგან" დაიტ-დანავებისაგან, რომლებმაც ეპოსის მიხედვით ცა დაკარგეს (რასაკვირველია არა თავიანთი სურვილით) ხოლო განდხარვები თავად უზენაესმა მოავლინა დედამიწაზე, დედამიწელთა დასახმარებლდ, იმავე დაიტ-დანავთა მიმძლავრების წინააღმდეგ.

4. არიშტას შვილი ხაიასა- ეს კურუს გვარის გამაგრძელებელია, კურუს გვარი ეს ეპოსის გმირების, პანდავებისა და კაურავების საერთო საგვარეულოა, რომელსაც საფუძველში ამავე ეპოსის მოხედვით, განდხარვთა გენი მონაწილეობს....

5. არ ჩანს ეპოს „მახაბხარატაში" მოხსენიებული მავანი შიკხანდინი რაკშასი. ეპოსის მიხედვით, უკვდავი, რომელმაც შიკხანდინს სქესი (პოემის მიხედვით ჯიშიც) შეუცვალა, „სიმდიდრი ს ღმერთის "კუბერას ხელქვეითია- ეპოსის მიხედვით მისი ხელქვეითები იაკშებია. რაკშასი ქართული სინამდვილის დევია, იაკშა-ქაჯი. და ზუსტად ასევე იაკშად ახსენებს ეპოსი შიკხანდინის „პასიას" უკვე სხვა სიუჟეტში. იაკშა- ეს დასავლური მითიოლოგიის ელფია.

6. ეპოსი აქ ხაზგასმით მიუთითებს, რომ დაიტ-დანავებმა ხელახლა აღორძინება დაიწყეს აქ, დედამიწაზე...საფიქრალია, რომ ისინი დედამიწელები არ არიან....ამ აზრს კიდევ უფრო ამტკიცებს ოდნავ მოგვიანებით ეპოსში აღნიშნული ფაქტი, რომ დაიტ-დანავებმა ცა დაკარგეს...ამასთან, ეპოსი ამტკიცებს, რომ დაიტ-დანავები არაერთხელ იქნენ დამარცხებულნი ადიტეების მიერ...ხაზგასმა იმაზე, რომ ეს ბრძოლები დედამიწაზე მოხდა, არ ხდება...თუმცა დაიტ-დანავთა დედამიწაზე გაძლიერების შემდეგ, სავარაუდოა რომ ეს შეტაკებები დედამიწაზეც განახლდა... არადედამიწელები, ციური არსებანი ჩანან განდხარვ-აფსარები, რომელთაც უზენაესმა სრული გაადამიანურება უბრძანა...არადედამიწელები, ციური არსებანი, მაგრამ ამავე დროს დაიტ- დანავებსა და განდხარვ- აფსარებს ერთი სამშობლო არ უჩანთ. ცა დიდია...

6.* აბსოლუტმა გაადამიანურება უბრძანა ცაში მცხოვრენ განდხარვებსა და აფსარებს...ამ აქტის ხდომილების განსაზღვრაც შეიძლება, ისევე როგორც მათი ადგილისა ცაში...მაგრამ ამჯერად მხოლოდ დროს განსაზღვრით დავკმაყოფილდებით...ეს XXXV საუკუნეა ქრისტენდე..

7. საინტერესოც კია ვიკითხოთ, რატომ ეძახიან განდხარვთა მეფეს ანგარა-

პარნას-წითელფრთიანს? ძალიან ცოტაა იმ არსებათა რიცხვი, რომელთაც გააჩნიათ ფრთები და არ დაფრინავენ...და ნებისმიერი ორნიტოლოგი დამემოწმება, რომ ასეთმა ანომალიურმა ფრინველებმა მხოლოდ დროთა განმავლობაში დაკარგეს საფრენოსნო თვისებები...

8. ისტორიული წარმონაქმნი, რომლის სახელი ჰეროდოტესთან დაკარგულია, ხოლო მკვლევარი თინათინ ყაუხჩიშვილი ხალიბებად ნათლავს, სინამდვილეში ასეთი სახისაა: **„ხალიბებს პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა და თითოეულს ორ-ორი შუბი ეპყრა ლიკიური ხელობისა, ხოლო თავზე ეხურათ სპილენძის მუზარადები. მუზარადზე იყო სპილენძისაგან ნაკეთები ხარი ს ყურები და რქები: აქვე იყო ბიბილოც. მუხლები ძოწეულის ნაჭრებით ჰქონდათ შემოხვეული. ამ ხალხს აქვს არესის სამისნო“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი VII-76)**... ვერ იქნება აქ დასახელებული ხალხი ხალიბები, რამეთუ ხალიბები კაბელ-მეიონებად, ლასონიელებად არის მოხსენიებული მომდევნო პარაგრაფში. ლაკუნათი აღნიშნული ხალხი კიძიკოსელები ჩანან, რომელთა მიერ სპარსული მხარის დაჭერას ასე გვიამბობს იგივე ჰეროდოტე:

„კიძიკოსის წინააღმდეგ ისინი (სპარსელების მომხრე ფინიკიელების ჯარი) სულაც არ წასულან, რადგან კიძიკელები ფინიკიელთა შემოსვლამდე დაემორჩილნენ მეფეს (სპარსეთისას) ოიბარეს მეგაბიძოსის ძესთან შეთანხმების შედეგად , რომელიც დასკილიის მმართველი იყო“ (იქვე, წიგნი VI-33)

ცხადია ჰეროდოტესთან გამორჩენილი და ლაკუნათი აღნიშნული ხალხი კიზიკელები არიან მარმარილოს ზღვიდან (ჰელესპონტიდან) რომელთა ნებაყოფილებითი აღიარება სპარსეთის სუზერენობისა, მათ მიერ სპარსელთა ლაშქრობაში უცილობელ მონაწილეობას გულისხმობს...

9. მდინარე ერინობოასი-არ ექვემდებარება იდენტიფიკაციას, ფლავიუს არიანეს სავარაუდოდ მეგასთენესეული დასახელება აშკარად ელინიზირებულია, სადაც ბოასი -ეს აშკარად ხარის აღმნიშვნელია. გავიხსენოთ ორი ბოსფორი, მათ შორის ერთი კიმერიული...ანტიკური ბერძნული ლეგენდის მიხედვით ასე იმიტომ ეწოდებათ, რომ აქ შესაძლებელია ხარის (ბოასის) ერთ სანაპიროზე ბღავილი, გაგონილი იქნეს მეორე სანაპიროზე... შესაბამისად, ერინობოასი ხართან დაკავშირებული მდინარე ჩანს.. .ხართან, კურატთან განდხარვების ის ტომი ასოცირდება, რომლის სახელი ჰინდუ (დამახინჯებულ) ენაზე ეპოს „ მახაბხარატაში“ კირატაა!

10. რაც არ უნდა უცნაურად არ უნდა მოგვეჩვენოს, მდინარე სონი-ს სახელწოდება თურმე სვანებს უკავშირდებათ, ერთ-ერთ განდხარვულ ტომს... ფლავიუს არრიანე ამ მდინარეს სონას უწოდებს, მაგრამ სამი ათეული საუკუნის წინ მას ოდნავ განსხვავებული სახელი უჩანს:

„წამოვიდნენ რა კაურავების ქვეყნიდან, მათ გაიარეს კურუჯანგალუ და მიაღწიეს მშვენიერ ტბას პადმასარასს, შემდეგ გაიარეს კალაკუტას მიდამოები, გადაკვეთეს მდინარე განდაკია, შონა, ასევე სადანირუ. გაიარეს სხვა მდინარეებიც, რომლებიც იღებდნენ სათავეს ამავე მთებში. ისინი მიდიოდნენ წინ, გაიარეს წარმტაცი სარაიუ, მათ დაინახეს ქვეყანა აღმოსავლეთ კოსალებისა. აუარეს მას გვერდი და გაემართნენ მიტხილისაკენ (კრიშნას ქალაქი) გაიარეს მდინარეებზე მალია, ჩარმანვატი, განგი და შონა. ისინი სამივე გაემართნენ აღმოსავლეთისაკენ“ (მახაბხარატა, საბხაპარვა 18)

დედანში და გაცილებით ადრე, აქ არა ერთი, არამედ ორი მდინარე აღინიშნება სახელით შონა (და არა სონა) . მკითხველს ვთხოვ დამერწმუნოს, რომ აქ ასოთა შემთხვევით დამთხვევასთან ნამდვილად არა გვაქვს საქმე...

11. მდინარე კოსოანი მართლაც ჩამოივლის კოსალაზე, ნამდვილზე...რა იგულისხმება ამ სიტყვების ქვეშ? კოსალა რუკაზე, შედგენილი უკვე ეპოს „რამაიანას“ მიხედვით, ორი ჩანს: ერთი კუშის (კუშავატის) სამეფოსთან უშუალო სიახლოვეს, მეორე მისგან ჩრდილოეთით. მიუხედავად მეცნიერებაში მიღებული მოსაზრებისა, ინდუისტური სახის ლიტერატურაში უძველესი ეპოსი „მახაბხარატაა“ ხოლო დანარჩენი რამდენიმე ათეული საუკუნით ჩამორჩება ამ წიგნთა-წიგნს, დედამიწის ისტორიის სწორუპოვარ მატიანეს. ეპოს „ რამაინას“ ეპოქაში კოსალა და კუშავატი მართლაც გვერდი გვერდ მდებარე სამეფოები ჩანს, თუმცა არსებობს სხვა კოსალაც, ჩრდილოეთისაკენ, მთისწინეთში. მკითხველს მოვახსენებ, რომ კუშავატი-ეს დღესაც შეუდარებელი ვარანავატია, ინდოეთის უტარა პრადეშის შტატში…

11.* უზენაესის სურვილისამებრ განდხარვ-აფსართა სრულიად გაადამიანურებული ტომების მოძიება გაძნელებულია, მაგრამ შესაძლებელი...

12. ჩვ. წ. აღრიცხვამდე XXVII საუკუნეს განდხარვები უკვე ჩამოსახლებულნი ჩანან სპარსეთის ყურეში, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ისინი მთელი შემადგენლობით წამოვიდნენ ინდოეთიდან. მეტიც, სრულიად დაბეჯითებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ მათი ნაწილი დარჩა იქ; უკვე ჩვ.წ. აღრიცხვისას არა ერთხელ არის დაფიქსირებული ინდოეთიდან მაღალხარისხოვანი საიარაღე ფოლადის „ვუტცის“ შემოტანის ფაქტები აზიის დასავლურ ნაწილში...უფრო მეტიც, მათ აგრეთვე შემოაქვთ მალეგირებელი ფხვნილი, როგორც ავტორმა გაარკვია, მარგანეცი, რომლის საბადო იმ დროისათვის მარტო ინდოეთში იყო მოძიებული ... თვით ფოლადის მიღების ტექნოლოგია, რომელიც განდხარვთა პრეროგატივა ჩანს მიზეზთა და მიზეზთა გამო უფრო კენების-ხალიბების-მეფოლადეების კუთვნილებაა. (თუ რა მიზეზით ხდება ასეთი დიფერენციაცია ამ პროფესიაშიის მცირერიცხოვანი თემაა, რომელიც მესამე და უკანასკნელი ციკლიში იქნება განხილული)

13. მართლაც რომ იშვიათი და გამონაკლისი შემთხვევითობის გამო, კენე-ბის იდენტიფიცირება საკუთარ ეთნარქთან, ეპოს „მახაბხარატის“ კონკრე-ტულ გმირთან აბსოლუტურად შესაძლებელი ჩანს: ეპოსის მიხედვით, ში-კხანდინი, პანჩალი მეფის ქალიშვილად დაბადებული, კაცი ხდება. ასეთ მეტამორფოზას ის აღწევს იაკშასთან სქესის გაცვლის საშუალებით. ამას-თან, სქესთა ეს გაცვლა არ მომხდარა ინციდენტის გარეშე: სქესთა გაცვლა დროებითი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გაჯავრებულმა იაკშათა მბრძანებე-ლმა, სიმდიდრის მცველმა კუბერამ ის სამუდამოდ დააკანონა. იაკშამ შიკ-ხანდინს სქესი მას შემდეგ გაუცვალა, როდესაც ეს უკანასკნელი დათანხ-მდა იაკშასთან სარეცელის გაყოფას. ამ მეტამორფოზის შემდეგ შიკხანდ-ინი ეპოს „მახაბხარატაში“ ძლიერ მეომრად გვევლინება...კურუქშეტრას ომ-იდან 16 საუკუნის შემდეგ, ოლიმპოს მთასთან ლაპითებსა (როგორც ჩანს კენებს) და კერკეტებს- ცხენკაც კენტავრებს (სინამდვილეში პირველ მხედ-რებს ევროპაში, ყაბარდოელებს) შორის სისხლიან შეტაკებაში მამაცმა კენ-ეიმ მარტოდმარტოდ მეომარმა, უკან არ დაიხია კენტავრთა მთელი თემ-ის წინააღმდეგ. კენტავრებმა ვერ შეძლეს მისი დაჭრაც კი და რასაკვირვ-ელია ეს კენთა ფოლადის აბჯარის დამსახურებაა, კენეის უებრო მეომრო-ბასთან ერთად... დამარცხების პირას მისულმა კერკეტებმა წამოაყვედრეს თავისი წარმომავლობა კენეის, რომ ის ქალად დაბადებულის ჩამომავა-ლია, რომელმაც მამაკაცობა რომელიღაც მეორეხარისხოვანი უკვდავისაგან მიიღო, საკუთარი ქალწულობის დათმობის სანაცვლოდ. გაცოფებულმა კე-ნტავრებმა, რომელთაც მარტოდმეომარი კენეის დამარცხება იარაღით ვერ შეძლეს, ბოლოს და ბოლოს მოგლეჯილი ხეებით ჩაქოლეს ის და ცხენებ-ის ფლოქვეით დაძირეს. ცხადია, კენეი შიკხანდინის პირდაპირი ჩამომავ-ალია და არა მარტო ის, არამედ კენების -ხალიბების მთელი თემიც. როგ-ორც ჩანს, ისინი აბხისარებთან-მეიონებთან ერთიანდებიან , მათივე გვერ-დით ცხოვრობენ ინდოეთში და მდინარესაც , რომელზედაც კენები და აბხისარები ერთად ცხოვრობენ, კენა ერქმევა...

14. დევნილმა პანდავებმა საშინელი ფიცით დაიფიცეს, რომ შურს იძიებენ კაურავებზე: ბხიმა სიკვდილით დაემუქრა დურიოდხანას ძმას, დუხშასან-ას და მისი გადახსნილი მკერდიდან სისხლის დალევას, რაც აბსოლუტუ-რი სიზუსტით შეუსრულა კიდეც.... ასევე შეჰპირდა დურიოდხანას მენჯ-ბარძაყის ძვალის დალეწვას. ეს უკანასკნელიც მან ბუკვალურად შეასრუ-ლა, თუმცა გურზებით ინდურ შერკინებაში წელს ქვემოთ დარტყმა იკრ-ძალებოდა...ასევე შეჰპირდა არჯუნა კარნას მოკვლას და შეუსრულა კიდ-ეც...იგივე ჩიტრასენას, აბხისართა მეფეს არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ იუდიშტხირა არ გაუხსენებდა მის წინააღმდეგ მოთამაშე შაკუნის

მხარდაჭერას, რომელმაც თაღლითური გზით დაამარცხა იგი კოჭებით თამაშში...

15. გამოთვლის საკუთარი ვერსიისათვის ნებისმიერ კალკულატორზე (მობილურ ტელეფონზე, კომპიუტერზე) ავსახოთ დისპლეიზე 75 რვა ნოლით... გავყოთ - 2- ზე...დავაფიქსიროთ გამყოფის რაოდენობა -1; მიღებული შედეგი დისპლეიზე ისევ გავყოთ ორზე, მივუმატოთ გამყოფის რაოდენობას კიდევ ერთი და ასე შემდეგ გავაგრძელოთ გაყოფა იმ შედეგამდე, სანამ ორის მიახლოებული რიცხვი არ დაფიქსირდება დისპლეიზე... ამასთან, სკრუპულოზულად ვაფიქსიროთ გამყოფის რაოდენობა...შედეგი აბსოლუტურად იდენტური უნდა იყოს ჩვენი გამოთვლებისა...

16. ერთ-ერთი ცნობილი ვერსიიას მიხედვით, მარტორქა იმდენად მდგრადი ბიოლოგიური ფორმა გამოდგა, რომ ის შვიდჯერ გაიმეორა ბუნებამ ... შესაბამისად, შვიდჯერ გადაშენდა და შვიდჯერვე აღსდგა! თუ მარტორქა აღადგინა უზენაერსმა შვიდჯერ (სინამდვილეში, როგორც სხვა ბიოლოგიური ფორმა, ის მინიმუმ თერთმეტჯერ ჩანს აღდგენილი) შეუძლებელია უზენაესი მხოლოდ მარტორქის ფორმის აღსადგენად მოღვაწეობდა... უბრალოდ, მან მთელი ბიოლოგიური სამყარო აღადგინა ამდენჯერვე... ბავშვობაში მყნობა მასწავლა ბიძამ, კვირტით და კალმით. მე კალმით მყნობა უფრო „დავამუღამე“. ერთხელ გადავწყვიტე ვაშლის დამყნობა, მაგრამ შესაფერისი საძირე ვერ ვნახე ... თვალში მომხვდა მოზრდილი ხე, რომლის კენწეროში დასამყნობად შესაფერისი სიდიდის რტოები იზრდებოდა... მცირერწლოვანმა მსუბუქმა ყნაწვილმა საკმაოდ ადვილად მოვახერხე ხეზე აძვრომა, შესაფერისი რტოს გადაბელვა და ზედ სხვა კალმის დამყნობა...მიმავიწყდა კიდეც მისი არსებობა, ამასობაში არმიაში სამსახურმაც მომიწია ... ჩამოსულს მამამ მითხრა, რომ თურმე მსხლის ხეზე ვაშლის კალამი დამიმყნია...გაუჭირდა ვაშლს გახარება და ზრდა, მაგრამ გასული რამდენიმე წლის განმავლობაში მოუხერხებია ნაყოფის გამოღება, გამოღება საკმაოდ მაღალ რტოზე...მაღლა იყო და რა იყო ვერ შევათვალიერე, ვაშლსაც გავდა და მსხალსაცო...მოკლე დროში ქარმა გადაამტვრია თურმე, სავარაუდოდ ვაშლის კალამი მსხლის ტოტს ცუდად შეეხორცა...ზუსტად ასევე, მსხალზე ვაშლის დამყნობას ვცდილობთ, როდესაც კაცობრიობის ისტორიას ერთ უწყვეტ ჯაჭვად განვიხილავთ...

17. როგორც ჩანს, დედამიწის ბუნებისათვის ხელახლა სიცოცხლის ჩაბერვა უკვე დედამიწის გარედან მომავალი პროცესია... ჩანს გენეტიკური მემკვიდრეობა აღსადგენი ბიოლოგიური ფორმისა, აიღებოდა გადაშენებული მემკვიდრეობიდან. გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როდესაც შემოქმედი ცდილობს წინა პოპულაციის გაუმჯობესებას ... უნდა ითქვას, რომ ვერც ნეანდერტალელმა და ვერც კრომანიონმა ამ მხრივ განსაკუთრებულ

წარმატებებს ვერ მიაღწიეს...ჰომო საპიენსი? ჩანს შემოქმედმა ჩათვალა, რომ რაღაც პროგრესს მიაღწია და სინამდვილეში ასეც არის...მაგრამ...მაგრამ ის გამოცდა, რომელიც ვერ ჩააბარა ვერც ნეანდერტალელმა და ვერც კრომანიონმა არავის შეუცვლია...

18. წინამდებარე ცნობაში აღნიშნულია, რომ ტროას II კულტურული ფენის შექმნაში მონაწილეობდნენ მცირე აზიური, აფრიკული და ჩრდილობალკანური ელემენტები... უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე აზიის ერთ- ერთ უძველეს ტომს (რასას) იბერებთან და ხალდებთან ერთად წარმოადგენდნენ სწორედ განდხარვული ტომები, რომელთა ნაწილობრივი გადასახლება აფრიკასა და ბალკანეთში, არსებული ფაქტობრივი მასალების საფუძველზე ზუსტად ამ მოცემულობაში იქნება განხილული...

19) თორეტა - დიდებული, ზღვის ხალხების კულტურული გადმონაშთი უნდა იყოს და არა კრეტა მიკენისა. მათი ხსენება სრულიად სხვა კონტექსტში და კრეტადან საკმაოდ მოშორებულ ადგილებში გვხვდება. თემა ამავე წიგნის ფარგლებში იქნება განხილული...

20. რუქა, რომელიც თან დაერთვის ეპოს „რამაინას“ სინამდვილეში ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით ჩანს შექმნილ-აღდგენილი ინდოელი მეცნიერების მიერ. (ვიმეორებს, ამ ორ ეპოსს საუკუნეები, შესაძლოა ათეულებიც კი, აშორებს ერთმანეთისაგან) „მახაბხარატაში“ იმ დროის ინდოეთის დემოგრაფიული სურათი ჩანს მოცემული და სრულიად იგნორირებს ჰიმავენს-ჰიმალაის მთების ჩრდილოეთით მდებარე ჩინის სამეფოს, კუბერას (სიმდიდრის მცველის) სამფლობელოს და მისადმი დაქვეითებულ იაკშებს. (და როგორც ჩანს ნაგებსაც)

21.ჭანების, შემდგომ ხალდებად და შუმერებად სახელდებული ხალხი კოლხურ და იბერიულ ტომებთან ერთად უშორეს მიგრაციულ გადასვლას ახორციელებენ, ინდოეთიდან ევროპისაკენ, ვენეციისაკენ... უშორეს წარსულში და ყველა სხვა ხალხისაგან მოწყვეტილები... ის, რომ სამი მონათესავე ტომი ხვდება-ევროპის მივარდნილ, მაგრამ საჭირო ადგილას და საჭირო დროს, გვაფიქრებინებს, რომ ამ მიგრაციას გარკვეული მიზეზი და მიზანი უნდა ჰქონდეს...ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ იქნებოდა ამ ხალხების მიერ გააზრებულ-დაგეგმილი...(ეს საკითხი ერთ-ერთი საკვანძო თემაა, თუმცა არა ამ წიგნისა...) სავარაუდოა, რომ სწორედ ჭანური ტომის წარმომადგენელია კრიშნას მეეტლე, ჩინად (ზოგანაც შინად) სახელდებული მამაცი მეომარი სატიაკი. იმ მიზეზით, რომ თავად კრიშნა უწევს მეეტლეობას არჯუნას, ეპოსის უძლეველ მეომარს, სატიაკი ფაქტიურად საქმის გარეთ რჩება. მაგრამ დაუდგრომელი სატიაკი კრიშნას და არჯუნას მცველობას კისრულობს და პირნათლადაც ასრულებს ამ მოვალეობას. საყურადღებოა, რომ ეპოსის მიხედვით ჩინების ტომი ორ ადგილასაა ნახსენები: ჰიმ-

ალაის ჩრდილოეთით მცხოვრები ნამდვილი ჩინები და სამხრეთ ინდოეთში კრიშნას მეზობელი და თანამებრძოლი, ჩინი სატიაკი... როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ხალდი, ჭანი და არა ნამდვილი ჩინია. საინტერესოა, რომ უძველეს ბიზანტიურ წყაროებში მცირე აზიაში ფიქსირდებოდა ჩენები, რომელსაც მეცნიერთა უმრავლესობა ჩინელებად თვლიდა კიდეც, რაც ისტორიული პროცესების აღრევას იწვევდა. მხოლოდ სომეხი ისტორიკოსი, პროფესორი ადონცი მიხვდა, რომ აქ საუბარი მხოლოდ და მხოლოდ ჭანების შესახებ მიდიოდა (ბერძნული ალფაბეტი ვერ ახმოვანებს რიგ თანხმოვანებს, მათ შორის ჭ-საც და ჩ-საც)...ჩენ- ჭან ორბელიანებს საქართველოს რიგი არისტოკრატია, დამცირების მიზნით ზურგსუკან ჩინებს, ყვითელკანიანებს უწოდებდა...(სავარაუდოა, რომ ჭანების სხეულში ნაწილობრივ ჩინური, იაკშას სისხლიც ფუნქციონირებდეს...)

22. ის რომ არატტას ასახელებს ეპოსის გმირი კარნა, და ამავე არატტა არის ნახსენები შუმერულ უძველერს ლიტერატურაში ქრისტემდე XXVII საუკუნეს, კიდევ ერთი თვალნათლივ დადასტურებაა იმისა, რომ ეპოს „მახაბხარატაში“ აღწერილი ამბავი არ შეიძლება ხდებოდეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე XV საუკუნეა...კარნა, ეპოსის გმირი და ძველშუმერული ჩანაწერები არატ ტას გაცილებით ადრე ახსენებენ...

23. ევსევი კესარიელს ბეროსის მიერ მოთხრობილ დაუჯერებელ შემთხვევად სავარაუდოდ ოანების ზღვის წიაღიდან გამოჩენა მიაჩნია... სინამდვილეში, ეს ოანები ჰუმანოიდები ჩანან, ზღვის სიღრმეს შეფარებული საფრენოსნო ხომალდით...ბეროსის ჩანაწერები (რასაკვირველია დამახინჯებული სახით მოღწეული) ზედმიწევნით გამოხატავს ჰუმანოიდს, რომელიც კომბინირებულ (სივრცეთაშორისი თუ წყალქვეშა) სკაფანდრში გამოწყობილი, ამოდის ზღვის წიაღიდან და ცხოვრებაში ახალ ფეხადგმულ ადამიანებს ცივილური ცხოვრების წესებს ასწავლის: მისი მეორე თავი, მოქცეული თევზის თავის ქვეშ, სკაფანდრის აღქმაა მცირემცოდნე ადამიანისათვის. ფეხები, რომელიც ამ არსებას იმავე თევზის კუდქვეშიდან ეზრდება, რასაკვირველია ამ არსების ნამდვილი ფეხებია, თუმცა „თევზის კუდი“ ზუსტად ესაა ამ არსების ტექნიკური საშუალება, ხელოვნური უკანა ფარფლი წყალქვეშ გადასადგილებლად. ეს არსება ასწავლის ადამიანებს ფაქტიურად ყველაფერს, აგრონომიას, გეომეტრიას თუ ცხოვრების საზოგადოებრივ მოწყობას. ძნელია ამ არსებაში ვერ დაინახო ის, ვინც მასწავლებლად არის მოვლენილი ამ ქვეყანაზე....

24. როგორც ირკვევა, ბეროსისეული „15 მირიადი წელი“ არც ისეთ ასტრონომიულ რიცხვს წარმოადგენს: მირიადი ბეროსის ეპოქისათვის თურმე სულ 10000 (ათი ათასი) ნიშნავს, ხოლო ბეროსისეული სარი, რომელსაც მისი გადამწერები წელიწადად თვლიან, თურმე მხოლოს დღე-ღამეა ხალდ-

ეურად-ჭანურად, ისევე როგორც იბერიულად, (გავიხსენოთ საიდულო სერობა, სადაც სერობა მხოლოდ ვახშამს აღნიშნავს) სარი-სერი, ღამეს ნიშნავს ...შესაბამისად, 15 მირიდი სარი=150000 /365,25= 410,7 წელს. სულაც არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ ჩვ. წ. აღრიცხვამდე IV საუკუნეს, ბაბილონში 411 წლის ასაკის წიგნები ინახებოდეს, რომლებიც ასახავენ ვარსკვლავებზე დაკვირვების , ასევე სხვა მნიშვნელოვანი ამბები ს ქრონიკას...

25.ეს სტრიქონები შეუძლებელია ბეროსს ეკუთვნოდეს: ბეროსი ყვება ხალდების წარღვნამდელ ისტორიას, რომელიც შუამდინარეთში არ მომხდარა და ამის შესახებ უსათუოდ იცოდნენ რიგმა ანტიკურმა მწერლებმა. ბეროსი, როგორც ბაბილონის მცხოვრებმა, აუცილებლად უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ის წარსული, რომელიც შუამდინარეთს არ ეკუთვნოდა... შესაბამისად, ეს სიტყვები რომელიმე შემდგომი გადამწერის (უსათუოდ პოლიგისტერის) კალმის ნაყოფია, რომლის დროსაც ბაბილონი ნამდვილად წარმოადგენდა აღწერილ სურათს...

26. სავარაუდოდ ეს ფსევდო აპოლოდორია, ავტორი „ მითიოლოგიური ბიბლიოთეკისა“

27. განათლების სწავლებაში ბეროსი რასაკვირველი პირველ რიგში ანბანს გულისხმობს, რომლის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია სხვა მეცნიერების სწავლება..ამასთან, ბეროსი პირდაპირ ამბობს, <u>**რომ ოანმა დაწერა მოთხრობა დაბადებაზე და სახელმწიფო მოწყობაზე .**</u> რამდენადაც ცნობილია, ხალდების-შუმერების ანბანი ლურსმნულია, შესაბამისად ოანი-აღმატებული გონი, ლურსმნული დამწერლობის ავტორია...ამასთან, ეს დამწერლობა შექმნილი ჩანს XXXVI- XXXV საუკუნეების მიჯნაზე ჩვ.წ. აღრიცხვამდე, უფრო ზუსტად 3523 წელს...

28. ალორი-პირველი ხალდი მეფე, ბეროსის ეს სიტყვები მიეკუთვნება პირველ მეფეს, წარღვნამდელს, რომელიც წარღვნამდე 120 წლით ადრე მეფობდა. საერთოდ, ეს პირველი ხსენებაა ხალდებისა, თანაც ესოდენ შორეულ დროში. ოფიციალური ვერსიით, წარღვნა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 3268 წელს უნდა მომხდარიყო (თარიღი რამდენადმე არაზუსტია და მის დაზუსტება ამავე თავში ხდება). აქ წითელი ხაზი გადის ბეროსის სიტყვებზე, რომლის მიხედვით პირველი ხალდი მეფე წარღვნამდე 120 წლით ადრე ფიქსირდება.

29. შესაძლებელია, აქ კრონოსი არაფერ შუაში უნდა იყოს: ზევსის მიერ მისი ჩამოქვეითების შემდეგ მისი სახელი ფაქტიურად ქრება მოქმედი ღმერთების სიებიდან... (თუმცა კრონოსის ზევსის მიერ „ჩამოლაბორანტება“ გაცილებით გვიანდელი პროცესი ჩანს).

30. როგორც ირკვევა, ტერმინი ხალდი მართლაც ორი ერთმანეთისაგან სრულებით განსხვავებული ხალხების სახელია: პირველი, წარღვნამდელი

და წარღვნის შემდგომი შუმერი, რომლის მოსახლეობა მართლაც მთლიანად ხალდეური ჩანს, ის ხალდეური, რომლითაც ბეროსი წარღვნამდელ ერთ-ერთ ტომს აღნიშნავს. საინტერესოა, რომ ბეროსი წარღვნამდელი სამეფოს შემადგენელი მეორე ტომის დასახელებისაგან თავს იკავებს, ის მხოლოდ მათ ქალაქ პაუტიბიბლას აღრიცხავს...და მეორე ტომი, რომელსაც იგივე ბეროსი ხალდებს უწოდებს, მარების-აქადების დინასტიის შემდგომი ხალდეის დამპყრობნი...ამ დინასტიას მიეკუთვნება თავად პირველ იურიდიული კანონმდებლობის შემქმნელი ხამურაბიც...

31. შუმერი მეფე ქსიუსუტრა ლეგენდაში მოხსენიებულ გემს ტიგროსის ან ევფრატის ზემო წელში ვერ ააგებდა (გემის ზომების გათვალისწინებით, სიგრძით ათასი იარდი და სიგანით 400 იარდი). ხალდების მასწავლებელი ქვეითი არსება,„ურჩხული“ ოანი ამფიბიაა, ყოველ დილას ზღვიდან ამოდის, მთელ დღეს ხალხთან ატარებს, ასწავლის მათ სხვადასხვა მეცნიერებას (მათ შორის ანბანს) არ მიირთმევს არავითარ საკვებს და საღამოს ზღვაშივე ჩადის. ...შესაბამისასდ, ზღვა ძალიან ახლოს იმყოფება შუმერთან...ამასთან, მსოფლიოს მეცნიერთა აბსოლუტური უმრავლესობა შეთანხმებულია, რომ შუმერები შუამდინარეთის ტერიტორიაზე მოსული ხალხია... მაშინ რომელი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ შუმერები წარღვნამდე, რომელთაც ახლომდებარე ზღვიდან ოანი ეწვევა ხოლმე? მართალია ბეროსი (უფრო სწორედ მისი ზემოთ ნახსენები გადამწერები) იმ ზღვის სახელს, საიდანაც ოანი ამოდის, წითელ ზღვად დებენ, მით უმეტეს ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო, შუმერთა თავდაპირველი ბინადრობის ადგილი წითელი ზღვა არ უნდა იყოს... (ნიშანდობლივია, რომ ყველა ოანის გამოცხადება ზღვიდან, წარღვნამდელი მომხდარია...

32. მკითხველს შევახსენებ, რომ პლინიუს უფროსის მიერ დასახელებული ტერიტორია ომბრიკებისა მდებარეობს ვენეციიდან სამხრეთით და მისსავე მიმდებარედ, ქალაქ ანკონამდე. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროისათვის ვენეციის მიმდებარედ ქვეყნიერების ამ ნაწილში აბსოლუტურად არავინ არ ცხოვრობდა. თუ მართლაც სიმამდვილეში ომბრიკეები წარღვნას გადარჩენილ ხალხს წარმოადგენს, რომლებიც პლინიუს უფროსის სიტყვებით გაერიდნენ წყალდიდობას და გაუთავებელ წვიმებს, ისინი მხოლოდ ხალდების ან იმ მეორე ტომის (რომლის ქალაქადაც ბეროსი პაუტიბიბლას ასახელებს) წარმომადგენლები შესაძლოა იყვნენ, უკვე სახელშეცვლილები...

33. როგორც ზემოთ ითქვა, წიგნები მხოლოდ წარღვნის შემდგომი შეიძლება იყოს- იმიტომ რომ ლეგენდის მიხედვით ხალდებმა საკუთარი მეფის კსიუსუტრას მეთაურობით გემით გაცურეს ახალი სამშობლოსაკენ (კრონოსის სიტყვებით ღმერთებისაკენ) რასაკვირველია ისინი უკან არ დაბრუნებულან. შესაბამისად დედაქალაქი სიპარი, რომელშიც ლეგენდის მიხედვ-

ით უნდა დაიფლოს თიხაზე დაწერილი წიგნები-მხოლოდ ვენეციაში არსებული ქალაქი ჩანს, ხოლო სიპარი შუამდინარეთში- ნოსტალგია პირველი სამშობლოს მიმართ და ახალი ქალაქისათვის იმავე სახელის დარქმევაა. (რამდენადაც ცნობილია, სიპარი მზის ქალაქს ნიშნავს და ზუსტად ეს ტოპონომი უნდა იყოს ჩაუნჯებული ეოლიელების, ამომავალი მზის ქვეყნელების სახელშიც, რითაც ანტიკური ლიტერატურა ხალდებს აღნიშნავენ)

34. ჰეროდოტეს მიხედვით, მიდიელები მხოლოდ ჩვ. წ. აღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეს გამოდიან ისტორიის არენაზე (...და ამას თავისი წონადი მიზეზიც გააჩნია) და შესაბამისად ისინი 15 საუკუნით უფრო ადრე ვერ იქნებიან მოხსენებულნი იმავე ისტორიაში. შემდგომ აბზაცში პოლიგისტერი თავის შეცდომას თავადვე ასწორებს და უკვე მარებზე საუბრობს, რეალურად არსებულ პოლიტიკურ ძალაზე შორეული წარსულის შუამდინარეთში. ამ ხალხზე, მარებზე-ძალიან ცოტა ისტორიული ფაქტია შემორჩენილი, თუმცა გარკვეული პერიოდი შუამდინარეთში მათი მძლავრი გავლენა უდავოა. ეს ხალხი, რომელიც რამდენიმე სხვადასხვა სახელით იხსენება მცირე აზიასა და შუა აზიაში (როგორც ირკვევა-სხვაგანაც) ის მადრები არიან, რომლებიც იმავე გენეტიკური კოდის მატერებელი ჩანან, როგორც განდხარვები და კოლხები. (იხ ზემოთ)

35). შესაძლოა ყველა მეფე ვერ ასრულებს სუზერენობას მისთვის განკუთვნილი სრული დროის ამოწურვამდე-ამა თუ იმ მიზეზის გამო...

36.ბეროსი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე მიუთითებს, რომ სემირამიდა ზეობდა ტიგლატფილასარ III -მდე 526 წლით ადრე, შესაბამისად : 748+526=1274 წელს, რომელიც ემთხვევა ადად- ნირარ I ზეობას. ანტიკური ისტორიიდან ცნობილია, რომ სემირამიდა დიდი ხანი მართავდა ასირიას საკუთარი შვილის სახელით და ტიტულით, ხოლო მისი აღმატებული თვისებების გამჟღავნების შემდეგ საკუთარი სახელით, როგორც შვილის რეგენტი და თანამეფე...შესაბამისად, მისი ზეობის ბეროსის მიერ დასახელებული პერიოდი ნათლად გვიჩვენებს, რომ ის მხოლოდ არიკ-დენ-ილის მეუღლე და ადად-ნირარ-I დედა შეძლება იყოს... .

37. მრავალ ანტიკურ მწერალთან მოიპოვება ცნობები დედოფალ სემირამიდას შესახებ, თუმცა ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგოც კი: **„მოკლა რა ზოროასტრი (ბაქტრიის მეფე) ნინოსი მოკვდა თვითონ. დატოვა რა მცირეწლოვანი შვილი, ნინი და ცოლი სემირამიდა. სემირამიდამ ვერ გაბედა გადაეცა ძალაუფლება მცირეწლოვანი ვაჟისათვის, ვერც თვითონ აიღო ხელისუფლება-მბრძანებლობა ასეთი მრავალრიცხოვან და ასეთ დიად ხალხზე, რომლებიც ძლივსძლივობით ემორჩილებოდნენ მამაკაცებს და რასაკვირველია არ დაემორჩილებოდნენ დედაკაცს. ამიტომაც ნინოსის მეუღლემ, თავი გაიხადა მის შვილად, ქალმა ყმაწვილად. ეს გამოუვიდა იმი-**

ტომ, რომ ქალი და ყმაწვილი იყო ერთი და იმავე სიმაღლისა, ხმა ორივ-ეს ჰქონდათანაბრად დაბალი, და სახის ნაკვეთებითაც ჰგავდნენ. ხელებს მხრებამდე და ფეხებს მუხლებამდე იფარავდა ფართო წამოსასხამით, ხო-ლო თავზე დაიხურა ტიარა...რომ არ დაეჭვებულიყვნენ, ხომ არ იფარება ამ ახალი ტანსაცმლის ქვეშ რამე. მან ბრძანა, რომ ყველას ეტარებინა ასე-თივე ჩასაცმელი. ასე დამალა მან თავისი მმართველობის დასაწყისში თა-ვისი სქესი, და ის ჩათვალეს ყმაწვილად. შემდგომ მან ჩაიდინა დიდებუ-ლი საქმეები და როცა ჩათვალა რომ დიდქალობით აჯობა შურს, მან აღი-არა თუ ვინაა და ვისი სახელით ასაღებდა თავს... მან დაარსა ბაბილონი... <u>შემოიერთა ეთიოპია (უსათუოდ აზიური)</u> იბრძოდა ინდოეთის წინააღმდ-ეგ...და ბოლოს, როდესაც მან მოინდომა სქესობრივი კავშირი დაემყარებ-ინა შვილთან, ის მოკლული იქნა მისგან ორმოცდაორი წლის მმართველ-ობის შემდეგ“ (პომპეი ტროგი, ფილიპეს ისტორია)

შეუძლებელია პომპეი ტროგის ამ ცნობების უაპელაციოდ მიღებაა (თუმცა პომპეი ტროგი უსაზღვრო ნდობას იმსახურებს, ისევე როგორც ჰეროდო-ტე)... არც სემირამიდა მეფობდა ალბათ 42 წელი (ასეთი დღეგრძელი მმა-რთველობის პრეცედენტი მხოლოდ ერთ ეგვიპტის ფარაონი რამზეს II -ა) არც სკვითები ყოფილან ჩვ. წ. აღრიცხვამდე VI საუკუნეს აზიაში 8 წელი (ჰეროდოტეს მიხედვით, ისინი ზუსტად 28 წელი არბევდნენ მცირე აზიას) თუმცა სემირამიდას რეგენტობისა და დამოუკიდებელი მმართველობის ისტორია ეჭვს არ უნდა იწვევდეს. იმავე ნინოსისა და სემირამიდას ისტ-ორიას უფრო დიდს დროს უთმობს კტესია, უხუცესი ავტორი, თუმცა გარკვეულ ლიაფსუსებს ისიც უშვებს. ასე მაგალითად, ნინოსის ლაშქრო-ბის დროს ახსენებს არმენიისა და და მიდიის სამეფოებს, რომლებიც მი-სი ეპოქისათვის უკვე არსებობდნენ მცირე აზიის ტერიტორიაზე, მაგრამ არა ნინოსისა და სემირამიდას ეპოქაში...და მაინც, კტესიას ბელეტრისტი-კა უფრო ყურადღების ღირსია და უფრო მეტყველი. მრავალ დაპყრობებს ასახელებს ის ნინოსისას, ნამდვილს თუ მოგონილს, ეგვიპტე, ფინიკია, კი-ლიკია, პამფილია, ლიკია, კარია, ფრიგია და ლიდია, ტროადა, ჰელესპო-ნტის ფრიგია, პროპონტიდა, კაბადოკია, პონტოს სანაპირო ტანაისამდე. დაიპყრო ჰირკანები და დრანგები, დერბიკები, კარმანიები და ხორასმები, ბორკანები და პარფიები, სპარსეთი და სუზიანა, კასპიანა. ბევრი აქ ხსენ-ებული ქვეყანა ჯერ კიდევ არ არსებულია ნინოსისა და სემირამიდას ეპ-ოქაში, თუმცა კტესია მისი დროისთვის არსებულ სინამდვილეს და ხალ-ხებს აღწერს. სინამდვილეში, ნინოსის დაარსებული ქალაქი ნინევია თავ-ისი მასშტაბით კიდევ უფრო დიდია, ვიდრე ბაბილონი. მხოლოდ ნინევი-ის გაშენების მერე გაილაშქრა მან ბაქტრიაზე და ამავე ლაშქრობისას შეი-რთო ცოლად სემირამიდა ასკალონელი ქალი-დანამდვილებით ხეთი...სე-

მირამიდამ უშვა შვილი ნინოსს, რის შემდეგაც გარკვეული ხნის შემდეგ გარდაიცვალა...სემირამიდა ნინოსის სიკვდილი შემდეგ საკუთარი შვილის რეგენტი და ერთპიროვნული მმართველი ხდება და ასირიასაც ერთპიროვნულად მართავს...მრავალი საომარი თუ სამშენებლო ბატალიების შემდეგ, სემირამიდამ გაილაშქრა ინდოეთზე. სემირამიდას არმიის შეიარაღებაში დიდი ადგილი უკავია ბუტაფორიულ „სპილოებს“ ხარის ტყავებისაგან შეკერილს და აქლემებზე დამონტაჟებულს. ინდოელებმა გაშიფრეს სემირამიდას ბლეფი და მისი არმია საასტიკად დაამარცხეს... რამდენიმე ხნის შემდეგ, სემირამიდას ვაჟი შეეკრა საჭურისს და მის წინააღმდეგ ამბოხებ ა სცადეს. სემირამიდამ არ დასაჯა შეთქმულები, პირიქით, გადასცა მეფობა შვილს და მოულოდნელად გაუჩინარდა....იცხოვრა სამოცდაორი წელი, იმეფა ორმოცდაორი (კტესია კნიდოსელის მიხედვითაც) სემირამიდას ზეობის 42 წლიან პერიოდს, სავარაუდოდ პომპეი ტროგი სწორედ კტესიასაგან ღებულობს და ამავე თარიღს ასახელებს. შეუძლებელია, რომ სემირამიდას, რომელიც 20 წლისა უნდა გამეფებულიყო, 12-13 წლის ვაჟი ჰყოლოდა! ამავე დროს, თვით მისი შვილის, ადად -ნირარის მმართველბა მხოლოდ 33 წელი გრძელდებოდა (და არა 42) როდის მოასწრო 62 წლის სემირამიდამ 42 წელი მეფობა? ამ კაზუსიდან ერთადერთი ლოგიკური დასკვნა გამომდინარეობს: საკმაოდ ასაკოვანი არიკ - დენ- ილი, რომელიც ახალგაზრდა სემირამიდას (19 წლისას) ირთავს ცოლად, შვილის დაბადებისთანვე საყვარელ დედოფალს თანამოსაყდრედ, თანამეფედ ა ღიარებს. 12 წლის შემდეგ, როდესაც არიკ-დენ-ილი კვდება, 32 წლის სემირამიდა შვილის ადგილს იკავებს (ამაში მას თანამეფობაც უწყობს ხელს) კიდევ 30 წლის შემდეგ სემირამიდა ნებაყოფილებით თმობს ტახტს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სემირამიდას 42 წლიანი მეფობა, მისივე 62 წლიანი ასაკის პირობებში...შესაბამისად ადად-ნირარის 33 წლიანი მეფობიდან, სინამდვილეში 30 წელი სემირამიდამ იმეფა, როგორც მეფემ (უნდა დაემატოს -12- წლიანი პერიოდი, როდესაც სემირამიდა არიკ- დენ-ილის თანამეფედ იწოდებოდა, საიდამაც 62 წლის სემირამიდას 42 წლიანი მეფობა გამოდის) …

37* ავტორი ვენეტების და კელტების მსგავსებაზე (უპირველეს ყოვლისა ჩაცმულობის მხრივ) მიუთითებს და ეს საკვირველი არც უნდა იყოს-ვენეტები, ფინიკიელები, სინამდვილეში „კელტებად“ წოდებული ხალხის ნაწილია... (თუ რატომ აღვნიშნე კელტები წინწკლებში, ამის შესახებ წინა ტომში უკვე ვილაპარაკეთ)

38. „ვოინიჩის მანუსკრიპტად“ წოდებულ ამ წიგნს საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. წიგნი დაწერილია XV საუკუნის დასაწყისში, სავარაუდოდ ვენეციაში. დღეისათვის არსებული ისტორიული ცნობებით, დაწერილია

უცნობი ასოებით უცნობ ენაზე. ბოლო ორი საუკუნეა მიმდინარეობს მისი გაშიფრვის აქტიური მცდელობა, თუმცა აბსოლუტურად უშედეგოდ. (იმდენად უშედეგოდ, რომ ზოგიერთი ვაი- მეცნიერი მას პარალელური სამყაროდან „შემოდგებულ“ წიგნადაც მიიჩნევს. უპირატესობას ვფლობდი ყველა იმ ლინგვისტთან (თუ არალინგვისტ მოყვარულთან შედარებით, რომლებიც ამ წიგნის გაშიფრვას ამაოდ ცდილობდნენ. განვსაზღვრე რა სწორად, რომ წიგნი ვენეციურ გარემოს ეკუთვნის, და ვიცოდი რა ვენეციის თითქმის ზღაპრული შორეული ისტორიის შესახებ, დარწმუნებული ვიყავი და სამუშაოდაც მივიღე ჰიპოთეზა (როგორც გაირკვა, აბსოლუტურად სწორი) რომ წიგნის ენა ლაზურია, ვენეციის ფაქტიურად უპირველესი ენა... შეთვისებული ის ლაზების (კენების- თოკხარების, ფაქტიურად ფინიკიელების პუნიკური ტომის) მიერ ჭანებისაგან, ვენეციის წარღვნამდელი მცხოვრებისაგან ...ესაა, ლეგენდები შუმერებზე მხოლოდ და მხოლოდაქადური ენის საშუალებით არის მოღწეული ჩვენამდე. ამასთან, თვით ლაზური ენაც, რომელიც ფაქტიურად ხალდეურიდან, ჭანურიდან არის შეთვისებული, მიზეზთა და მიზეზთა გამო, საკმაოდ დიდად უნდა იყოს დაცილებული მას. მაინც, წიგნის უპირველესი საიდუმლო ფაქტიურად ამოხსნილი იყო, დაძლეული იყო შეზღუდვა უცხო ენაზე უცხო შრიფტით დაწერილი სამედიცინო ტრაქტატის შესახებ...(მკითხველს ბოდიშს მოვუხდი „ვოინიჩის მანუსკრიპტის“ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის გამო. ფაქტიურად შეუძლებელია ამ ხარისხის ხელნაწერის გაშიფრვა. თავად ვსარგებლობდი <u>იელის</u> უნივერსიტეტში დაცული დედანის კარგი ასლით, რომელიც ცალკეული ფურცლების გადიდების საშუალებას იძლევა. იძებნება „ვოინიჩის მანუსკტიპტის“ რუსულ საძიებელ გვერდზე)... და მაინც, ეს ენაც ქართველურია, და თუ ვერსია სწორია, მათ შორის უნდა ყოლის ცხოვრება“ ავირჩიე...სამი შემთხვევით არჩეული გვერდიდან დავთვალე სიტყვების საშუალო რაოდენობა და მათი ის დაბოლოება, რომელიც ყველაზე მეტად გვხვდება ტექსტში. ასეთი -ა- ასო აღმოჩნდა...შესაბამისად

“ვოინიჩის მანუსკრიპტის“ დათვალიერებისას, ანალოგიური ნიშანი ქართული -ე-ს მსგავსი ასო აღმოჩნდა: თუმცა გახსნილი ბოლოთი... ეს უკვე 1: 0 იყო ჩემს სასარგებლოდ, თუმცა საბოლოოდ 25-ზე მეტი ასო ნიშანი იყო განსასაზღვრავი. მეორე ადგილი დაბოლოების მიხედვით მიცემითმა ბოლოსართმა -ის- დაიკავა. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ ჭანური მაინც დასავლეთ ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება, სადაც მიცემითი ბოლოსართი -იშ- და -ოშ- ფორმას იძენს...მრავალჯერადი გადათვლების შესაბამისად: ასო შ-ს შესატყვისი უნდა იყოს... განისაზღვრა მანუსკრიპტიდან ეს დაბოლოებაც, თუმცა ანგარიში 2:0 ვერაფერი სახარბიელოა, მაშინ როდესაც საქმე გაქვს უცნობ ენასთან და უცნობ ასოებთან...და











71

მოვიშველიეთ, რომელიც მხოლოდ შუმერუ-ლია და არავითარ რეკონსტრ-უქციას არ დაქვემდებარებია:

„ხოლო ჭაობში იზრდება საჭმელი ძირხვენი, ის იწოდება გონგად“ - ბეროსის ეს სიტყვები კი უკვე „ვოინიჩის მანუსკრიპტის“ გასაღები ხდება: საქმე ისაა, რომ მეგრულ ენაში, ჭანურის ნაწილობრივ სამართალმემკვიდ-რეში, ანალოგიური სიტყვები, კო-ნკა და გონგა (გუ-ნგა) მოიპოვება! პირველი სიმინდის ყვავილედის აღმნიშვნელია, მეორე სიმინდის ტაროს დაფშვნის შემდეგ დარჩენილი უსარგებლო მასაა, რომელსაც ცილინდრ-ულ-კონუსური ფორმა აქვს...ზუსტად ისეთ, როგორც სტაფილოს ... ცხადია, ბეროსისეული ძირხვენი, მოახალშენეთათვის საკვებად გაჩენილი, ნოყიერი და ადვილად ხელმისაწვდომი, სინამდვილეში სტაფი-ლო უნდა ყოფილიყო! ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნავს ის ყვავილედს თუ ძირხვენს, მანუსკრიპტისეულ მცენარეთა აღწერილობაში ის აუცილე-ბლად უნდა იყოს. საძიებელი ნიშანი? სიტყვა ხუთ ასოიანი უნდა იყოს, მთავრდებოდეს -ა-ზე და ამასთან პირველი და მეოთხე ასო იდენტური უნდა იყოს. ასეთი კონფიგურაციის მინიმუმ სამი სიტყვა მოინახა, რომე-ლთა შორის განსხვავება მხოლოდ მესამე ასოში იყო..(წარმოდგენილ ტე-ქსტში ბოლო ოთხი გვერდი, დედანში მიმდევრობით 28, 25, 76, 83 გვე-რდები, შესაბამისად მე-9, მე-7, მე-7 და მე-11 სტროფის ბოლო სიტყვ-ები) მოინახა ეს სიტყვა და მრავალგზისი შედარების გზით დამტკიცდა ჩვენთვის სასურველი ვარიანტი (თუმცა როგორც შემდეგმა ძიებამ გვიჩვე-ნა. სიტყვა მაინც **კონკა** გამოდგა!

შესაბამისად, უკვე ვფლობდი ხელნაწერის რამდენიმე ასოას: **ა, ო, კ, ნ, შ; ...** 5 ასო 25- დან ურიგო არ ჩანს, თუმცა ფინიში ჯერ კი-დევ შორს იყო. მანუსკრიპტის გაშიფრვა ზოდიაქოს ნიშნებით გაგრძელდა. თხის რქა და ვერძის აღმნიშვნელი სიტყვა მანუსკრიპტში ერთი და იგივე იყო და ოთხ ასოიანი გამოდგა, ამასთან ცნობილი ასოების მიხედვით მან ასეთი სახე მიიღო : **ო შ X შ; -** ამ ცხოველს მეგრულ ენაზე -ოჩ- ქვია, შესაბამისად ასო, რომელიც ორ -შ- ს შორის არის მოქცეული და ამ სიტყვას ოჩად გარდაქმნის, მხოლოდ -ჩ- შეიძლება იყოს:

შესაბამისად, ვაცის ჭანური ფორმა **ოშჩშ** ყოფილა...იქით-მეტი, მორიელის ჭანური სახელი **ნოჩშჩ** აღმოჩნდა, რაც უკვე უკვე აშკარად სლავურის გა-ვლენა ჩანს და ამ არსების ღამეული ცხოვრების აღმნიშვნელი უნდა იყოს :

თევზის ზოდიაქოს აღმნიშვნელი სიტყვა სულ სამ ასოიანია, აქედან ბოლო ორი ცნობილია - **ონ-** არის... ლაზური ენა, შეთვისებული ჭანურისაგ-ან, რასაკვირველია მეგრულის უახლოესი ნათესავია (დღევანდელი მეგრუ-

ლი ენა მიღებულია დასავლეთ საქართველოში სამი დასავლური დიალექტ-ის შერწყმის შედეგად, კოლხური, ლაზური და მარგუ-იგივე მარული) და ამ-დენად თევზის სახელიც მეგრული ჩხომ-ის მსგავსი უნდა ყოფილიყო...მა-ნუსკრიპტში თევზის სახელის ვარიანტიად მხოლოდ **ხონ** ეაი-ი რჩე-ბოდა: ამ ვარიანტის გადამოწმება შესაძლებლი გახდა ზოდიაქოს ნიშან კუ-როს მიხედვით...კუროს მანუსკრიპტისეული დასახელებაც სამ ასოიანია. ამ-ასთან, კუროს დასახელების პირველი ორი ასო ზუსტად ისაა, რაც თევზისა... რასაკვირველია,

კუროს ლაზურ სახელად პირველად რაც მომ-აგონდა **ხოჯ**-იყო, კუროს ასევე მეგრული სახელი, რაც სრული ჭეშმარიტება გამოდგა: ეაე

ზოდიაქოს ნიშანი ქალწული **ხ ი ნ ხ** გამოდგა, რაც ასევე სრულიად ეხმი-ანება ქართულ **ქალწულს სახვს** ეიაე

და ერთი საინტერესო მომენტი: ზოდიაქოს ნიშან ლომის პირველი სა-მი წინა ასო ოთხიდან, უკვე გაშიფრული ასოების მიხედვით წაკითხულ იქ-ნა როგორც **ო ნ ჯ** თითქოსდა ჩიხია, მაგრამ...გამოცანამ გონებრივ შტურმს სულ ორიოდ დღე გაუძლო-მეგრული სლენგი, **ონჯღორე სქანი-სირცხვილი შენის**-ს ნიშნავს. **სირცხვილი შენი-სირის (ჩიტის) ცხვირი შენ-ს.** შერცხვენილ ადამიანს ცხვირის ნისკარტად გადაქცევას უსურვებენ...(და ეს უსათუოდ იბ-ერიული გამოთქმა ჩანს, ამასთან მისი მართებული ფორმა მხოლოდ „სირცხ-ვილი შენი"-ჩანს, და არა წარმოებული არა გრცხვენია?) მაგრამ რას ნიშნავს **ონჯღორე სქანი?** არ არსებობს ამ ტერმინის რამენაირი განმარტება მეგრულ-ში...(და როგორც ჩანს, არც თანამედროვე ლაზურში) **ონჯღ ორე სქანი**- თუ-რმე ნიშნავს ლომი -იყოს შენი (წილი) მაგრამ უკვე ჭანურ ენაზე... რასაკვირ-ველია, როცა ლომი იქნება შენი წილი (ხვედრი) შედეგის განსაზღვრა ძნელი არ უნდა იყოს, თუ ჰერაკლე არა ხარ, უარეს შემთხვევაში გიორგი სააკაძე, თან მინიმუმ სატევარით შეიარაღებული...როგორც ჩანს, ამ ნადირს სახელი დვრინვის მიხედვით ერქმიოა, რომელსაც გამოსცემს: კოლხი მას **ყილ-** ად აღიქვამს, ჭანი **ონჯღ**-ად: ანიეტ

სამწუხაროდ ვერ მოვუძებნეთ ზოდიაქოს სხვა ნიშანთა გაშიფრვა. იმდე-ნად რამდენაც ვერ მოხეხდა მათი ამოკითხვა. სავარაუდოდ პირველი წარწე-რა ზოდიაქოს აღნიშნულ სიტყვებზე გადაკეთებული ჩანს, თან საკმაოდ უხ-არისხოდ...

1. 

მანუსკრიპტის ფურცლებზე გვN187, დასახელებულია წელიწადის დროების ორი სხვადასხვა ვარიანტი, სავარაუდოდ ორი სხვადასხვა დიალექტი:

პირველი ვარიანტი: იმოლკაშა, იმიკოლოქ, იფოლონკშა, იმბიკოშ;

2. 

მეორე ვარიანტი: ოლმოშკა, ილიკოლოლ, იმოკა, იფილ იმოლი.

1. 

2. 

3. 

4. 

5 

6 

არსებობს ასევე წელიწადის ექვს სეზონად დაყოფის ვარიანტიც (სავარაუდოდ უფრო არქაული, გვ N194)

1) აფონი (ადრე გაზაფხული) აპრილი, მაისი.

2) კოშოულიკა (გაზაფხულის ბოლო, ზაფხულის დასაწყისი) ივნის-ივლისი.

3) იმოშ (გვიანი ზაფხული) აგვისტო, სექტემბერი.

4) ოფრიშკა (ადრე შემოდგომა) ოქტომბერი, ნოემბერი.

5)იფოლიგიშკოე (გვიანი შემოდგომა, ზამთრის დასაწყისი) დეკემბერი, იანვარი.

6)ამიონე (გვიანი ზამთარი) თებერვალი, მარტი.

აფონი-როცა ეს სიტყვა წავიკითხე და მივხვდი, რომ მოცემულ სქემატურ ნახატში წელიწადის დროებზე უნდა ყოფილიყო საუბარი, გონებამ ერთბაშად შორეულ ბავშვობაში გადამისროლა ...მახსოვს, მამაჩემის შეკითხვა ბებიასადმი, როგორი აფონი გვექნება წელსო...ბავშვმა მომენტალურად დავ-

იჭირე უცნობი სიტყვა და შევეკითხე მამას, თუ რას ნიშნავდა აფონი-გაზაფ-ხულსო, მეგრულ დიალექტზე მიპასუხა... ცხადია, უცნობი ასო ფ-უნდა ყოფ-ილიყო. როგორც ჩანს, ამ სიტყვას ჯერ კიდევ არცთუ ისე შორ წარსულში იყ-ენებდა აფხაზეთის (ლაზური) მოსახლეობა, თუმცა ბებია გამეგრელებული იმერელი თავადის ასული, გვარად მხეიძე იყო...

საინტერესოა, რომ წელიწადის ექვს სეზონად დაყოფა დღესაც არსებულია ინდოეთშიც... პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ უძველესი მოსახლეობა ვენ-ეციის ტერიტორიაზე ასევე ინდოეთიდანაა მიგრირებული...

თვეები, ასევე ორ სხვადასხვა დიალექტზე



პირველი დიალექტი:

1.რგილოქ ; (მარტის თვეს, სავარაუდოდ გრილ თვეს ნიშნავს)

2.ამბიკაშ; 3.იმგიშლოშ; 4. იმბალოლი; 5. კოშოლა; 6. იმოშკა; 7. იმიმა;

8.ლიბXე; 9. ამიშონე; 10.ლილონე; 11.იმბაკოლი; 12. ამიკონე;



მეორე დიალექტი:

1. ამიმოლი; 2.იმიშოლ; 3.იმიკოლი; 4.დიმგოლი; 5. კუიკოლი; 6; ალოშკოშ;

7.ამიკოშ; 8. მიშკონე; 9.იმოლშა; 10;უიკომიქ; 11. ამუიკა 12.იტალი;

კვირის დღეები: ლიგოლი, ფნა, იმიკოშ, იფუოკ, ლიტია, ილოლონე, ლიონლი;... ამასთან, შაბათ-კვირა, ეს ლიგოლი და ლიონლი უნდა იყოს...

1.ლიგოლი 2. F-ნა 3. იმიკოშ 4. იმოშ 5. ლი-F-ია 6.ილოლონე 7. ლიონლი



ანბანი:

უცნობი ასოები:

საინტერესოა, რომ წელიწადის დროების დიაგრამის შედგენისას, ავტორს გრაფა შეშლილი აქვს და ჩანაწერი შემდეგ გრაფაზეა გადატანილი. შესწორება შეუძლებელი ჩანდა, ვინაიდან ჩანაწერი მელნით კეთდებოდა. ავტორს შეცდომით ჩაწერილ გრაფაზე დამატებული აქვს ჩანაწერი „ იმოე ოქ“ რაც სავარაუდოდ- იმავე იქ-ს უნდა ნიშნავდეს... ვენეციაში ჭანური სიტყვა დომინირებდა, თუმცა მოსული ვენეტები, აპოლოდორის სიტყვებით, მცირედ თუ განსხვავდებოდნენ კელტებისაგან (ფაქტიურად ქართველებისაგან) აქვე მოცემულია ასო ნიშანთა სრული გაშიფრული ალფავიტი, თვინიერ რამდენიმე გაუშიფრავი ასოსი...

ალფავიტის სკრუპულოზული შესწავლისას ცხადი ხდება, რომ ავტორმა მშვენივრად იცის ბერძნული, ლათინური, სლავური... და ქართული ალფავიტიც და სარგებლობს მათი გრაფიკით... ცხადია ავტორს უნდა სცოდნოდა აღნიშნული ენებიც... გავბედავ და ვიტყვი, რომ ავტორი ვენეციელთა სავაჭრო პუნქტ ტანას (დღევანდელი დონის -როსტოვის) მაცხოვრებელი ვენეციელია- ლაზი... რაც შეეხება თავად ამ ტომს- ლაზებს, რომლის სათავო ტომი ისტორიაში ფინიკიელებად და ხენებად არის ცნობილი, ანომალიურად განვითარებული ტომია, უპირველესი პლანეტა დედამიწაზე...ცნობილი მომენტები მათი განსწავლულობისა- ეს სარკის

თუ ფერადი ვიტრაჟის გამოგონებაა, რომელთაგან პირველი საფრანგეთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის, კოლბერის მიერ დიდ თანხად გადაბირ-ებულმა რამდენიმე ვენეტმა გასცა. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ აცრის ხელოვნება ინგლისელ დიპლომატ ჯენერის ლაზმა ასწავლა სტამბოლში... უცნობი ფაქტები გაცილებით მეტია, რომელის გადმოცემასაც შესაბამის ადგილას ვეცდებით...ეს საკუთარ ეპოქას გასწრებული ტომია, ერთი ესაა, გაურკვეველია თუ რა რაოდენობის ცოდნის და ინფორმაციის შენარჩუნ-ება შესძლო მან... და კიდევ, ტექსტის ზერელე თვალის გადაცვლებამაც კი დაგვარწმუნა: ის უამრავ შელოცვას მოიცავს...ვფიქრობ, ის უცნობი ტექს-ტები მეგრული (სავარაუდოდ ბასკურისაც) შელოცვებისა, რომელთა მნი-შვნელობა უკვე თავად შემლოცველებისათვის უცნობია, ზუსტად აქედან , ლაზური შელოცვებიდან უნდა ღებულობდეს სათავეს...

39. ჯერ კიდევ ჰეროდოტეს აღწერილი კოლხეთი, რომლის დასავლეთი საზღვარი მდინარე ფაზისს-რიონს უწევდა, სტრაბონის ეპოქაშიც, მთელი ოთხი საუკუნის მერეც იგივე სახელს ატარებს, თუმცა მისი საზღვარი უკ-ვე დიოსკურიადა და მდინარე კოდორი ჩანს. მოგვიანებით, V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსები მას უკვე ლაზიკად იხსენიებენ... როგორც ჩანს, ლაზური ელემენტის რიცხვობრივი გაძლიერების გამო, თუმცა კო-ლხ-ლაზთა შეტაკება და ომი ისტორიაში არ დაფიქსირებულა: როგორც ჩანს, კოლხებმა ხელგაშლილი მიიღეს ტომი, რომელიც თითქმის კოლხურ ენაზე საუბრობდა. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ეს ორი ტომი სრუ-ლიად შეერწყა ერთმანეთს ენობრივი თვალსაზრისით (თუმცა ლაზები აღმოსავლურ-ქართველური ტომი ჩანს და მისი ენა- ეს ჭანებისაგან შეთვ-ისებული დიალექტია) უკვე VII საუკუნეში დიდი რაოდენობით მარგების შემოსვლამ მცირე აზიიდან, ზემო იმერეთი მარგვეთად აქცია, ხოლო ლაზ-იკა სამეგრელოდ (მეგრულ კილოკავზე ის სა-**მარგ**-ალოდ გამოითქმება) მარგების თემა განხილულ იქნება ამავე ციკლში...

40.ჰეროდოტეს სიტყვებით, მენდესელი ეგვიპტელები პირველად (მთავარ) ღმერთებად რვა ღმერთს ასახელებენ, ხოლო მეორე რიგის ღმერთები თო-რმეტია ...ზუსტად თორმეტია ინდურ კოსმოგონიაში მეორადი ღმერთებ-ის, ადიტების რიცხვი (იმათი, ვისაც აბსოლუტისაგან ნაწილობრივი გაადა-მიანურება ებრძანა, რამდენადაც შესაძლებელია), ხოლო პირველადი ღმე-რთები თავად ბრახმასა და მისი ექვსი სულიერი შვილების ჩათვლით შვიდი, თუმცა მათ რიგებს უნდა მიემატოს მერვე, ფაქტიურად მზის სის-ტემის მთავარი ღმერთი-მარიჩის შვილი კაშიაპა, რომელიც მზის სისტემა-ზე სიცოცხლის გამღვივებლად გვევლინება...

41. სულხან საბასთან ეს მცნება სიტყვა ნდობისაგან მიღებულად ითვლე-ბა: გა-ნდობა, და-ნდობა, სა-ნდო, მი-ნდობა, შე-ნდობა... ასეთივე სიტყვა

ჩანს მე-ნდე, მომე-ნდე...სიტყვის არსი ისაა, რომ მავანი სთავაზობს სხვა ვი-ნმეს მინ-დობას, რომელსაც წინარემიმავლობას, საფრთხისგან შესაძლო და-ცვას, ანუ უღალატობას სთავაზობს ... სიტყვის ეს მნიშვნელობა ქართულში დაკარგული ჩანს, რომელიც სავარაუდოდ წინარე ტომს ეკუთვნოდა. ტომს, რომლის დიალექტში მენდესი წინამძღოლს ნიშნავდა... თუმცა გარკვეული ნიუანსები ქართულ ენას მაინც შენარჩუნებული უჩანს...

41*რასაკვირველია ამდენი ხვადასხვა ტომი, ურთიერთდაკავშირებული გე-ნეტიკურად (როგორც ჩანს სამშობლოთიც) რასის კლასიფიკაციას იმსახუ-რებს.

42. მიზეზთა და მიზეზთა გამო, საზღვაო ცურვის დიდოსტატებად ფინი-კიელები გვევლინებიან. ისინი იმ უშორეს პერიოდშიც უშიშრად სერავდ-ნენ საზღვაო და თვით საოკეანო სივრცეებსაც და ამას რასაკვირველია თავისი განსაკუთრებული მიზეზიც გააჩნია (კიდევ ერთი თემა, რომელსაც ჯერჯერობით ტაბუ ადევს, თუმცა მკითხველს ვპირდები, რომ წიგნის მე-სამე ციკლში ტაბუირებული თემები აღარ იარსებებს) ეს ფინიკიელები გაეცნენ ყველაზე ადრე დაუსახლებელ მსოფლიოს (თვინიერ ინდოეთისა) გამოიკვლიეს დედამიწის ქერქის დიდი ნაწილი და მხოლოდ ამის შემ-დეგ აგულიანებენ დანარჩენ განდხარვებს დაუსახლებელი მსოფლიოს ასა-თვისებლად...

42*დორიულად სახელდებული ტომები განდხარვევების ის ტომები ჩანან, ვინაც „ზღვის ხალხების“ რიგებში ეგვიპტის გავლით ჩანან ჩამოსული ხმე-ლთაშუა ზღვის აზიურ თუ ევროპულ ნაწილებში...

43. სავარაუდოდ, მე-15-ე სატრაპიაში მოხსენიებული კასპების ადგილას ბა-ქტრები უნდა იჯდეს...ზუსტად მცირე აზიელი საკების გვერდით არსებუ-ლი და სატრაპიათა სიაში გამორჩენილი...15-16 სატრაპიები შუა აზიური ჩანს.

43*. მიზეზთა და მიზეზთა გამო, ამ პროცესის გაჭიმულობა მთელი II სა-უკუნის მანძილზე მხოლოდ განდხარვებსა და აფსარებს შეეხებათ...

44. განდხარვთა ევროპისაკენ ლაშქრობა სავარაუდოდ ჩვ. წ. აღრიცხვამდე არაუადრეს XXV საუკუნეს უნდა ხდებოდეს, როდესაც ზოგიერთი არქეო-ლოგიური წყაროებით პირენეის ნახევარკუნძულზე შემოდიან ურმებით ახალმოსახლეთა ტალღა. სინამდვილეში, ისინი არა ახალმოსახლენი, არამ-ედ ევროპის პირველმოსახლენი არიან, ხოლო უფრო ადრე დაფიქსირებ-ული არტეფაქტები კი კრომანიონელთა წინა პოპულაციის კუთვნილებაა... უძველესი კვალი, რომელიც განდხარვთა ერთ-ერთი პირველი ტალღის გადასახლებას კავკასიისაკენ უშეცდომოდ მიგვითითებს, თბილისის მუზ-ეუმში გამოფენილი უძველესი ხის ეტლების ფრაგმენტებია, რომელიც ჩრდილოეთ საქართველოში, ანანურშია მოპოვებული და რომლის თარი-

ღი ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXIII საუკუნეა. ჩანს ლაშქრობა სპარსეთის ყურიდან და მცირე აზიიდან ევროპის სხვადასხვა მიმართულებისაკენ ერთდროულად ხორციელდება. ყურადღებას იქცევს რუსეთში, როსტოვში აღმოჩენილი სამარხი, რომელიც ასევე განდხარვული ჩანს და რომლის დათარიღება კიდევ უფრო ძველია (თუმცა აქ თარიღის აშკარა წამატებასთან უნდა გვქონდეს საქმე

45. არა ერთგზის და არა ერთგან აღნიშნული ელიმიოტები ფილიპეს და ალექსანდრე მაკედონელების მაკედონიაში, რასაკვირველია ელამიტები არიან, ქუშები...იგივე ელამი ჩანს მაკედონესების სამშობლო, არგოსელებთან ერთად, რომლებიც ევროპის კონტინენტზე ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIV-XIII საუკუნის მიჯნაზე ჩანან გამოჩენილები, როგორც ჩანს, ფრიგიელების გამონთავისუფლებულ ტერიტორიაზე....

46. ასაკენების და საკების მიერ წარმოქმნილ სახელმწიფოზე და ცალკეულ ტომებზე ოდნავ მოგვიანებით გვექნება საუბარი.

47. გელების შესახებ ჯერ კიდევ ჰეროდოტე აღნიშნავს თავის ისტორიაში, რომ სირაკუზელი (მდებარეობდა კუნძულ სიცილიაზე და მიმდებარედ) ტირანი გელონი მრავალ ათასიან დახმარებას სთავაზობს განსაცდელში მყოფ საბერძნეთს. მოხსენიებულნი არიან იმავე ჰეროდოტესთან სხვა ადგილას და იძებნებიან თანამედროვე პოლიტიკურ რუქაზე სრულიად მოულოდნელ და შორეულ ადგილას...

48. სანშაპტაკები ომში გამოიწვევენ არჯუნას და ეს მხოლოდ მის შემდეგ ხდება, რაც არჯუნამ პირწმინდად დაამარცხა ტრიგარტები- სამციხელები. სანშაპტაკები გამოირჩევიან ომში გულადობით, სიმტკიცით და უკან დაუხევრობით. ეპოსში სანშაპტაკები გადამღობ რაზმებად არიან მოხსენიებული და ვფიქრობ არასწორადაც-სანშაპტაკები ტომის მთავარი, ძირითადი ძალა ჩანს, მასში შემავალი რამდენიმე თემით, მათ შორის ტრიგარტებით და მესამე, ეპოსისათვის უცნობი თემით...

49. დიდოეთიდან სამეგრელომდე მთიანეთი, როგორც ლეონტი მროველი ამბობს-ეს სვანეთია. და მართლაც, დიდოეთი ქართველური მთიელი ტომების უკიდურესი აღმოსავლეთია, იმავე ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით... თუმცა ლეონტი მროველის დურძუკთა გადმოსახლების პროცესში გელებიც (ჰერები) უნდა ვიგულისხმოთ...და როგორც ჩანს ლეონტი მროველის დროისათვის მისიმიანეთი, დღევანდელი აფხაზეთ-სვანეთი აღმოსავლეთ საქართველოშია გადაბარგებული, ლეჩხუმისა და რაჭის სახით (ამ უეჭველი გადასახლების შესახებ პირველ ტომში უკვე ვისაუბრეთ)... მაგრამ ლეონტი მროველისეულ სვანების ტერიტორიაზე თუშებიც ხვდებიან, როგორც ერთ- ერთი სვანური თემი, ტრიგარტები-სამციხელები...

50. მესჯით ზულ-კარნაინი, ეს ორრქიანის (ალექსანდრე მაკედონელის არაბული სახელია, რომელიც მას დაერქვა მუზარადის ორრქიანობის გამო) მეჩეთი-ორრქიანის სასახლეს ნიშნავს. კიდევ ერთი სამტკიცი თავის დროზე ხევსურეთში ალექსანდრე მაკედონელის ყოფნისა .

51. დაინტერესებულ მკითხველს (განსაკუთრებით თუშური თემის წარმომადგენლებს) ვთხოვ დაათვალიეროს ინტერნეტის საძიებელზე სტატია სათაურით ხუნძა-კუტა (რუსულად) როგორც წინა ტომში აღვნიშნეთ, კავკასიის ხუნძები- ეს თუშებია და ამ სახელთან არავითარი საერთო არა აქვთ XVI I საუკუნის ბოლოს, იმიერ კავკასიაში მათ მიწებზე ჩამოსახლებულ ავარებს, პანონიელებს...ამ უკანასკნელთ ჯერ კიდევ X საუკუნეში ადრიატიკის სანაპიროზე ასახელებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენტი, ხოლო მათ სხვა ნაწილს დღევანდელი სტავროპოლის სიახლოვეს ათავსებს არაბული წყაროები შუა საუკუნისა (იხ I ტომი) ხუნძეთი, დღევანდელი ავარეთი დაღესტანში, თუშების ყოფილი ტერიტორია ჩანს. ამავე ტერიტორიიდან, ხუნძეთიდან ჩანს ინდოეთის წინააღმდეგ ლაშქრობაში ალექსანდრე მაკედონელს გაყოლილი თუშთა მცირე მეომარი რაზმი. ისინი, როგორც ჩანს სამშობლოში არც დაბრუნებულან და ავღანეთ-პაკისტანის საზღვარზე მაღალ მთებში დამკვიდრდნენ... იქაური ხუნძა-კუტები დღესაც თავს ალექსანდრე მაკედონელის ყოფილ მოლაშქრეთა ჩამომავლად თვლიან. გარდა სათემო სახელის ფაქტიურად სრული თანხვედრისა, თხოვნა მექნება ქართველებთან (განსაკუთრებით თუშებთან) დააკვირდით მათ არქეტიპებს... დანარჩენი გენეტიკური ექსპერტიზის სამუშაო უნდა იყოს...

52. სკვითების მცირე აზიაში პირველი ლაშქრობის შესახებ ფაქტიურად არც არავითარი ცნობა არ არსებობს (გარდა ირიბი ცნობებისა) რაც შეეხება სკვითთა მეორე და მესამე ლაშქრობას მცირე აზიაში, ისტორიაში ის ერთ ლაშქრობად არის აღქმული, რაც საკმაოდ დიდ თარიღთ აღრევას იწვევს. ამასთან, თუ სკვითთა პირველი ლაშქრობა კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროთი ხდება (უცნობი ლაშქრობა) მეორე ლაშქრობა ამავე ზღვის დასავლეთ სანაპიროს გაყოლებით ხდება ხოლო მესამე ლაშქრობა, რომელიც აღრეულია მეორესთან , უკვე დარიალის ხეობით ხდება. მართალია, ლაშქრობის ეს ტრასა ფაქტიურად უცნობია ისტორიისათვის, მაგრამ ბოლო დროს მოპოვებული არტეფაქტები ამ ტრასის გაყოლებით, ნათელს ხდიან, რომ ეს სკვითთა სალაშქრო ტრასაა... თუმცა ფიქრობენ, რომ სკვითები თავიანთი (უკანასკნელი) ლაშქრობისას ორ ნაკადად შემოვიდნენ მცირე აზიის ტერიტორიაზე: კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროთი და ამავე დროს დარიალის ხეობით...

53. ურარტუ ამ სახელით მხოლოდ ასირიულ წყაროებშია მოხსენიებული. ისტორიკოსები ვარაუდობენ, რომ სხვათათვის ეს სახელმწიფო მხოლოდ ხალდეად არის ცნობილი...

54. როგორც ჩანს, ეს უზენაესის ნებაა და ის ამ შემთხვევაში პრაგმატული მოსაზრებით ხელმძღვანელობს: განდხარვთა და აფსართა მიერ ცის დატოვება უზენაესის სურვილისამებრ, ვერ სპობს იმ დიდ განსხვავებას მათსა და ადამის შვილებს შორის...ის გამოხატულია განდხარვასა და აფსარას ფიზიკური და გონებრივი აღმატებულობით დედამიწის მკვიდრთაგან შედარებით...ადამიანთა რასის გამოსათანაბრებლად და მათ რიგებში განდხარვ-აფსართა სრული ასიმილაციისათვის, უზენაესის განკარგულებით განდხარვას მხოლოდ ადამის მოდგმის ქალის შერთვა შეუძლია, ასევე აფსარას შეუძლია ოჯახი შექმნას მხოლოდ ადამის მოდგმის მამაკაცთან... (თუ-მცა უნდა არსებობდეს გარკვეული გამონაკლისიც)

55. რამდენადაც ცნობილია, ელინთა სავაჭრო ფაქტორიები ზღვის სანაპიროზე შენდებოდა, ხოლო გელონების-გერების საცხოვრისი ზღვის სანაპიროდან მთელი 1000 კილომეტრით დაცილებულია- როგორც ჩანს გელონები სრულიად სხვა გზით არიან მოხვედრილი ბუდინებთან, ფაქტიურად დღევანდელ ბელორუსიაში...

შუმერი და ეგვიპტე

...და წარღვნა...ერთ ადგილას და მხოლოდ ერთხელ მომხდარი უდიდესი კატასტროფა, რომელიც ღრმად აღიბეჭდა მსოფლიო ხალხების გონებაში, მიუხედავად იმისა, გახდნენ თუ არა ამ მოვლენის უშუალო ობიექტი და მოწმენი... როგორც ზემოთ ითქვა, მსოფლიოს მოსახლეობა წარღვნის ეპოქისათვის სულ ადამიანთა ორი ჯგუფით იყო წარმოდგენილი: ინდოეთი, ცივილიზაციის და საერთოდ სიცოცხლის აკვანი დედამიწის თანამედროვე პოპულაციისა (როგორც ადამიანებისათვის, ასევე ფაუნასა და ფლორისათვის) და ენეტიკა, ვენეცია ევროპაში (რასაკვირველია ინდოეთიდან გადმოსული მიგრანტთა ჯგუფი) წარმოდგენილი გაცილებით მცირერიცხოვანი ერით და რამდენიმე ეთნიკური ჯგუფით. შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ენეტიკის ათვისება იმავე პოპულაციის ადამიანთათვის შემთხვევითი ხასიათისა იყო, თუმცა ამ მიგრაციის (სავარაუდო) გამომწვევი მიზეზებისა და მიზნების კონსტატაციისაგან ამჯერად თავს შევიკავებთ...როგორც ადრე აღინიშნა, ენეტიკა სულ სამი ეთნიკური ჯგუფით ჩანს დასახლებული: ხალდით, ანუ ჭანით და კოლხ-იბერით...

...და რა ფესვები ეძებნება ამ ხალხებს ჩვენამდე მოღწეული დედამიწის ზურგზე უძველეს ეპოსის, „მახაბხარატას“ მიხედვით, რომელიც განუზომლად გვიან ჩანს ჩაწერილ-გახმოვანებული, თუმცა სავარაუდოდ 20-30 საუკუნე ზეპირსიტყვიერების საშუალებით გადაეცემოდა თაობიდან თაობას და რომელიც დედამიწის ამ პოპულაციის ადამიანთათვის უძველეს მატიანეს წარმოადგენს (1) კოლხთა კვალს ინდოეთში საბედნიეროდ ხელშესახები ფესვები უჩანს. ეს ქალაქი კოლხაპურია სამხრეთ ინდოეთში, ოკეანიდან ასი კილომეტრით მატერიკის სიღრეში (2). გაცილებით რთულადაა საქმე ამ ადგილას მცხოვრები მეორე კომპონენტის, ხალდების (ჭანების) შესახებ ინფორმაციის მოძიების საქმეში...

...ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით, საომარი სამზადისის მსვლელობისას ორივე მხარე, პანდავებისა არჯუნას მეთაურობით და კაურავებისა დურიოდხანას მეთაურობით, ეახლებიან კრიშნას , სამხედრო თანადგომის სათხოვნელად. კრიშნა არჩევანს შეთავაზებს ორივე გმირს, რომ ერთმა მხარემ წაიყვანოს მთლიანად კრიშნას ტომის მხედრობა, ხოლო მეორე მხარეს დაეხმარება თავად, თუმცა არა საომარი ქმედებებით. არჯუნამ უყოყმანოდ აირჩია პირადად კრიშნას თანადგომა- თუნდაც არასაომარი, დურიოდხამამ-კრიშნას ტომის მეომრები... საკუთარი არჩევანით ორივე მხარე კმაყოფილი დარჩა...დურიოდხანამ წაიყვანა იადავების არმია, კრიტავარმანის მეთაურობით... კუროქშეტრას ომში კრიტავარმანი უკვე ბხოჯების და ანდხრაკების ტომების მბრძანებლადაა გამოცხადებული, შესაბამისად ბხოჯები და ანდხრაკები-ეს იადავებ-

ის ცალკეული თემები ჩანან. კრიშნას და არჯუნას მხარეს კი კრიშნას პირადი მეეტლე, სატიაკია მოხსენიებული, თუმცა მის ტომობრივ თუ თემურ კუთვნილებაზე აქცენტი არ კეთდება:

„სატიაკი, მამაცი მებრძოლი იადავების რიგიდან, მოვიდა არჯუნას დასახმარებლად ... სატიაკიმ გააქცია დურიოდხანა, შემდგ გაფანტა ტრიგარტების ლაშქარი, რომლებმაც მოინდომეს მისი შეჩერება, შემდეგ მცირე ხნით, კრიტავარმანთან შეტაკების შემდეგ, რომელშიაც ვერც ერთმა ვერ დაძლია მოპირდაპირე, ისევ გამოეკიდა არჯუნას, რომ საჭიროების შემთხვევაში და ხმარებოდა“ (ელექტრონული წიგნი „მახაბხარატა“ ბრძოლა დრონას ხელმძღვანელობით)

„მაგრამ არჯუნასთან შეერთებამდე მას თავს დაესხა ბხუშირვასი. გააფთრებულ ბრძოლაში, მაშინ როდესაც ორთავე მეომარმა დაკარგა ურთიერთ შებრძოლებაში ეტლები, ცხენები, მშვილდისარი და შუბი, მეომრები ხმლებით შეეჯანენ ერთმანეთს. ბხუშირვასმა ფაქტიურად დაჯაბნა სატიაკი, ხმალი აღმართა მის მოსაკლავად, თუმცა არჯუნამ (კრიშნას მითითებით) დაასწრო ბხუშირვასს და ხმლიანი ხელი ისრით ჩამოასხიპა... ამით ისარგებლა წაქცეულმა სატიაკიმ, გაიმართა წელში და ბხუშირვასს ხმლით წააგდებინა თავი. ასევე უძნელესი საომარი შეტაკების გადატანა მოუხდა სატიაკის ორი სამეფო ძმის, კეკაიების მთავრებთან, თუმცა ამჯერად სატიაკის გაემარჯვა და ორივე ძმა, ვინდა და ანუვინდა იმსხვერპლა... სატიაკის შეება აგრეთვე ულუკი და გააქცია კიდეც...და სატიაკიმ, <u>ჩინის</u> ტომის სიამაყემ პირველმა გაუწია წინააღმდეგობა კაურავების გამძვინვარებულ შემოტევას ასეულობით ისრით, რომელიც მზის სხივის დარად მოელვარე კარნამ დააყარა მას და ასობით ისარი, მომაკვდინებელი როგორც შხამიანი გველები, მიუშვა სატიაკიმ კარნაზე...მაშინ ქვეითთა რაზმებმა დრავიდებმა და ნიშადებმა, სატიაკის მიერ წაქეზებულებმა, მიმართეს კარნას. თუმცა ამაოდ ცდილობდნენ ისინი დაემარცხებინათ მზის დიადი შვილი... ერთი მეორეს მიყოლებით დაეცნენ ისინი მისი იარაღის დარტყმით, ხოლო მათ ვინც ცოცხლად დარჩა, გაქცევით უშველეს თავს“ (იქვე, კარნას გმირობა)

კიდევ მრავალ შეტაკებაში მონაწილეობდა სატიაკი, თუმცა ჩვენ მისი მხედრული მამაცობის აღწერა არ მიგვაჩნია მთავარ ხაზად (ეს ისედაც სახეზეა) მთავარი აღსანიშნავი ისაა, რომ იადავი მეომარი სატიაკი- თემით ჩინი ჩანს! მარტივი არაა ეპოსის მიხედვით ჩინების ბინადრობის ადგილის მოძიება, თუმცა ზოგიერთი ორიენტირი სახეზეა:

1. სატიაკი-ეს იადავების ტომის წარმომადგემელია. თავად იადავები ინდოეთის სამხრეთით ცხოვრობენ, ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე (ისევე როგორც კოლხები)

2. მართალია სატიაკი იადავი მეომარი ჩანს, თუმცა ამავე დროს სრულიადაც არ ერიდება მათთანვე შებმას: კრიტავარმანი, ასევე იადავი მეომარი ჩანს, მაგრამ ის ანდხაკების თემიდან ჩანს. სატიაკი სიმპატიებს არ განიცდის თვით იადავი მეომარი ბხუშირვასის მიმართაც და მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაებმება. **დვარაკა -ეს კრიშნას ქალაქია, იადავების ტომის დედაქალაქი, კრიშნას კუთვნილი. ამ უკანასკნელმა ქალაქ მატხურიდან ჩამოიყვანა იადავები და დაასახლა აქ, რომლებიც ფაქტიურად ჯარასხანდისაგან ლტოლვილნი მოიყვანა აქ...მეშვიდე დღეს მისი დამაარსებელი კრიშნას სიკვდილის შემდეგ, დვარაკა დაფარა ოკენემ. ინდოეთის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზე არსებობს ქალაქი დვარაკა, ერთ-ერთი მთავარი ცენტრი ინდური მომლოცველობისა. 1982 წელს დოქტორმა სორაომ აღმოაჩინა კრიშნას უძველესი ქალაქი დვარაკა** .(ვიკიპედია)

გეოგრაფიული ექსკურსი ეპოს „მახაბხარატას“ სფეროში

ორიენტირებს ტომების (პოლიტიკური წარმონაქმნების) ბინადრობის ადგილის შესახებ ეპოსი მეტ-ნაკლებად მიანიშნებს:

„დემონი პაკის დამსჯელის შვილმა (არჯუნამ) დაიმორჩილა ის ქვეყანები, რომელიც სიმდიდრეთა მბრძანებელის (კუბერას) მმართველობის ქვეშ იყო (ჩრდილოეთის მხარე) ბხიმასენამ -აღმოსავლეთი, სახადევამ - სამხრეთი და ნაკულამ , იარაღის მცოდნემ, მეფეო, დაიმოჩილა დასავლეთის ქვეყანა“ (საბხაპარვა-23)

უნდა ითქვას, რომ პანდავა მეომრები ინდრაპრასტხიდან, პანდავების ახალი დედაქალაქიდან იწყებენ ლაშქრობას, რომელიც დღევანდელი ქალაქ დელი ს სიახლოვეს მდებარეობდა… და მაინც:

„თავიდან მძლავრხელებიანმა ჯახანჯაიამ გაჭირვების გარეშე დაიმორჩილა კუნინდების მეფეების მხარე, დაიმორჩილა ანარტები, კალაკუტები და კუნინგები. მან უპატიოსნო გზით დაამარცხა მეფე სიმადალუ თავსის ჯართან ერთად. მასთან ერთად სავიასაჩინმა დაიმორჩილა კუნძული საკალა, ასევე მეფეები, მცხოვრებნი ამ კუნძულზე (ერთ-ერთი შვიდი კუნძულიდან მსოფლიოში) მივიდა პრაგჯაიოტებთან...პრაგჯაიოტებს მიეშველნენ <u>კირატები</u> და <u>ჩინები</u>, ასევე სხვა მრავალრიცხოვანი ხალხები, რომლებიც ოკეანის სანაპიროზე ცხოვრობდნენ (საბხაპარვა -23)

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კუნძულ საკალაში ეპოსი მსოფლიოს მისეულ დაყოფას გულისხმობს, რომლის მიხედვითაც მსოფლიო წარმოდგენილია შვიდ კუნძულად (3) თუმცა ოკეანის სანაპიროს დასახელება, სა-

დაც კირატები, ჩინები და განსაკუთრებით კალაკუტების ხსენებაა (სატო-მო სახელ კალაკუტების ქვეშ დღევანდელ ქალაქ კალკუტაში მცხოვრებნი უნდა ვივარაუდოთ, რომელიც აღმოსავლეთ ინდოეთშია განლაგებული, სა-ხელმწიფი მიანმასა და ბენგალის ყურის უშუალო სიახლოვეს) სულ სხვა მიმართულებას უჩვენებს -როგორც ჩანს, არჯუნას ლაშქრობის მიმართულე-ბა ინდრაპრასტხიდან პირველად აღმოსავლეთისაკენ ხორციელდება და მხოლოდ მერე, მეფე ბხაგადატას დამორჩილების შემდეგ გაუხვევს ჩრდი-ლოეთისაკენ, ამასთან ინდოეთის აღმოსავლეთით კირატების ერთი ჯგუ-ფის ბინადრობაც ცხადდება:

„ დაამარცხა რა იგი, კუნტას მძლავრხელებიანი შვილი გაემართა ჩრდი-ლო რაიონებისაკენ, სიმდიდრის მცველის (კუბერას) ხელქვეითებისაგან დაცულისაგან. და კაუნტაიამ, ხარმა ადამიანთა შორის, დაიმორჩილა ში-და მთები, გარე მთები და მაღალი მთები (4) დაიმორჩილა რა ყველა მთა და ყველა მეფე, რომლებიც მართავდნენ მათ და დაუმორჩილა თავის ძა-ლა-უფლებას, მან გამოართვა მათ ძვირფასეულობა”....(იქვე)

საყურადღებოა, რომ არჯუნას ეს ლაშქრობა აშკარად მეტაფორიზებ-ული ჩანს, მასში მოხსენიებულია ისეთი ტომები, რომლებიც უბრალოდ შეუძლებელია მისი ლაშქრობის ტრასაზე იმყოფებოდეს...ამასთან, ლაშქრ-ობის ეს ტრასა და მის მიერ დაპყრობილი ტომების ჩამონათვალი გადაკ-ვეთავს არა მარტო ნაკულას დასავლეთური ლაშქრობის ტრასას, არამედ სახადევას სამხრეთულ ტრასასაც, ზოგჯერ ბხიმას ლაშქრობის აღმოსავლ-ურ ტრასასაც კი. ეპოსის ავტორები იმდენად განადიდებენ არჯუნას, რომ უნებურად მის მიერ დაპყრობილ ტომებში ექცევან დანარჩენი პანდავების მონაპოვრიც კი...

„შემდეგ ამ ხარმა ადამიანთა შორის, დაიმორჩილა მამაცი მეომრები კაშ-იმირისა, ასევე ქვეყანა ლოსიტუ. ათი გაერთიანებული მეფით. შემდეგ კა-უნტაიამ დაიმორჩილა ტრიგარტები, დარვები, მრავალათასიანი მეომრე-ბი კოკანდიდან, ყველა ვინც გამოვიდა მის წინააღმდეგ. შემდეგ პურუს ჩამომავალმა დაიმორჩილა ბრწყინვალე (ქალაქი) აბხისარი...შემდეგ თავისი ჯარით გაანადგურა სუხმები, ჩოლები...ბახლიკები.. დარადები... კამბოჯელე-ბი. .. „(იქვე)

უნდა ჩაითვალოს, რომ კაშიმირის მეომრები-ეს დღევანდელი კაშმ-ირის შტატია პაკისტანში, შესაბამისად არჯუნა მართლაც ჩრდილოეთში ლაშქრობს, მაგრამ ტრიგარტები-ეპოსის მიხედვით პანჩალების მეზობლე-ბია და აღმოსავლეთ ინდოეთში ბინადრობენ (თუმცა ის შესაძლებელია მათ ხვდება აღმოსავლეთიდან ჩრდილოეთისაკენ ლაშქრობის მიმართულე-ბა ნაცვალი)…ამავე დროს, კოკანდი და მისი მეომრები, დღევანდელი უზბეკ-ეთის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე ფიქსირდება, ავღანეთის მეზობლად...

ქალაქი აბხისარი-ეს იმ ტომების ქალაქი ჩანს, რომელსაც ნაკულა ლაშქრავს თავისი დასავლური ლაშქრობისას ... ჩოლები -ეს სამხრეთ ინდოეთის მცხოვრებნი ჩანან, ბახლიკები და კამბოჯელები (სპარსელები ავღანები) ინდოეთის ჩრდილო- დასავლეთისა...რასაკვირველია არჯუნას ლაშქრობის აღწერა მინიმუმ არათანამიმდევრულია ეპოსში, ხოლო მაქსიმუმ გაზვიადებულ- მეტაფორიზირებული...

„თავისი ჯარი მიმართა ქვეყანას, წოდებული ხატაკად, დაცული გუხიაკებისაგან. დაიმორჩილა რა ისინი, პურუს ჩამომავალმა დაინახა დიდებული ტბა მანასი, ასევე სხვა, ბრძენთათვის წმინდა წყალსაცავები. მიაღწია რა ტბა მანასს, პანდავა მბრძანებელმა დაიმორჩილა ქვეყანა, დაცული განდხარვებისაგან. იმ ქალაქში მან მიიღო უძვირფასესი ხარკი დიდებული კაკბისფერი ცხენების სახით, და ბაყაყისებრი (გადმოკარკლული) თვალებით.“(იქვე-25)

ხატაკის ქვეყანა , რომელიც უკვე ინდოეთის ფარგლებს გარეთ ჩანს ჩრდილოეთისაკენ, ქართული შუა საუკუნეების ხატაეთთან (ჩინეთი) ასოცირდება, თუმცა ჩინებთან არჯუნას დამპყრობლური ომი უფრო ადრე უჩანს. ამასთან ხატაკის ქვეყნის დამცველებად გუხიაკების დასახელება-აშკარად ამ ხალხის მონღოლობას უნდა მიგვამიშნებდეს...რაც შეეხება მანასის ტბას, ეპოსის მიხედვით ის განდხარვთა ოფიციალური ბინადრობის ადგილი ჩანს, რომელზედაც ისინი ბინადრობდნენ მანამ, სამამ უზენაესის სურვილით სრულიად არ გაადამიანურდნენ დედამიწაზე ...ეპოსში მათი აქ დასახელება უკვე არჯუნას და კურუქშეტრას ეპოქაში, ეს ფაქტიურად ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც უზენაესის ბრძანების მიუხედავად სრული გაადამიანურებისა, ისინი განდხარვების სახელს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ...(თუმცა ეპოსისათვის როგორც გამონაკლისი, ცნობილია მეორე ხალხიც, რომელიც ამავე ეპოსში განდხარვების სახელითაც იხსენიება-აბხისარები...)

ბხიმას ლაშქრობის ტრასა ინდრაპრასტხიდან აღმოსავლეთით დევს. სალაშქრო ტრასაზე ის პირველად პანჩალებს გადააწყდება, დრუპადის სამეფოს. რასაკვირველია ისინი კეთილგანწყობილად არიან მიმართული პანდავების მიმართ. ბხიმას შემდგომი ნაბიჯი ვიდეხების (5) და დაშარნების დამორჩილებაა. შემდეგ უხვევს სამხრეთისაკენ, ჩედების სამეფოსაკენ, რომლის მეფე შიშუპალაა. მათი დამორჩილების შემდეგ დაიმორჩილა კოსალას სამეფო, მალაიები, კაშები (კუშები) მატსიები, ბხარგები და ნიშადები. საინტერესოა, რომ ბხიმა იმორჩილებს კირატთა შვიდ მეფეს, თან კირატების ბინადრობის ადგილიც სახელდება: ვიდეხას მიდამოები...ეს მთისწინეთია, სადაც კირატები ბინადრობენ და სადაც ბხიმას და არჯუნას ლაშქრობის ტრასები კვეთავენ ერთმანეთს...ცხადია, კირატების დალაშქვის

პრეროგატივა ბხიმას ეკუთვნის, თუმცა ეპოსი არჯუნას განდიდების მიზნით მათ კირატებზეც ამარჯვებინებს....ბხიმას შემდგომი ლაშქრობის ობიექტები სუხმები და მაგადხები ხდებიან, ასევე ოკეანისპირელი მლეჩხები (სავარაუდოდ, ეს უკანასკნელი არაბების აღმნიშნველი ტერმინი უნდა იყოს, მათ ეპოსის მიხედვით საკუთარი ჯიშის ცხენები უჩანთ, არანაკლებ სწრაფები, ვიდრე განდხარვთა სახელგანთქმული ცხენები ...ამასთან, ეპოსის მიხედვით, მლეჩხების ენა ითვლება მდაბიოთა ენად...) თუ გავითვალისწინებთ ბხიმას ლაშქრობის ტრასას, უნდა ვივარაუდოთ, რომ მან აზიის კონტინენტის უკიდურეს აღმოსავლეთს მიაღწია, სადაც ოკეანის სანაპიროზე მცხოვრები მლეჩხები არიან დაფიქსირებულნი.

საინტერესოა სახადევას ლაშქრობა სამხრეთი ინდოეთის მიმართულებით, თვით ოკეანის სანაპირომდეც კი. აქ პირველადაა ნახსენები კალამუკხები (ყალმუხები, კალმიკები?) რომლებიც ეპოსის მიხედვით რაკშასების მუცლიდანაა ნაშობი. ასევე პირველადაა ნახსენები ოკეანისპირა დრავიდები (დრუიდები) სანაპიროზე მცხოვრებნი.

ასევე საინტერესოა ნაკულას ლაშქრობის ტრასა, რომელიც ინდოეთის დასავლეთისკენაა მიმართული. მისი საომარი გზა გადის ტრიგარტებზე, შესაბამისად გადაკვეთავს არჯუნას საომარ ტრასას. იმორჩილებს ის ასევე აბხირებს, რომლებიც ცხოვრობენ მდინარე სარასვატის (იამუნის) სანაპიროზე და რომელთანაც ეპოსის მიხედვით შეტაკება უწევს არჯუნასაც (6) საინტერესოა, რომ ნაკულა ინდოეთის დასავლური სანაპიროს ლაშქრობისას გაივლის ვასუდევას (კრიშნას) დვარაკას, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ოკეანის სანაპიროზე იმყოფება, მაგრამ ამავე დროს გაივლის თავისი ბიძის, შალიას მადრებსაც (7) ასევე ყურადსაღებია ოკეანის სანაპიროზე ბარბაროსების ტომთან შეხვედრა, რომელიც ქართულ სინამდვილეში გარკვეული ქართველური ტომის ასოციაციის იწვევს (8)

ასევე საინტერესოა ფაქტიურად ანალოგიური სალაშქრო ეპიზოდი არჯუნასი, რომელიც მსხვერპლად შესაწირავ შავ ცხენს კვალდაკვალ მიუყვება. შავი ცხენი, ვიასას ნიშნით გაშვებულ იქნა თავისუფლებაზე. არჯუნამ უნდა გააცილოს ის ყველგან, სამეფო სპის თანხლებით და დაიცვას უცხო (მეფეთა) ხელყოფისაგან. პირველი წინააღმდეგობა დაფიქსირებულია ტრიგარტების მხრიდან, რომლებიც დელიდან სამხრეთის მიმართულებით ბინადრობდნენ (ნახსენებ მდინარე სონაზე) არჯუნამ ისევ დაამარცხა ისინი. შემდეგ სინდების ქვეყანაა, სავარაუდოდ ქალაქ ხასტინაპურიდან (დელიდან) ასევე სამხრეთ-დასავლეთით. არჯუნა ისევ ამარცხებს აგრესიულად განწყობილ სინდებს, თუმცა ზავს დებს მათთან და პატიჟობს ხასტინაპურში, ცხენის შეწირვის ცერემონიალზე. ცხენი თავისუფალი მსვლელობისას გაივლის კაშის სამეფოს, დაშარნებს და ნიშადებს, დრა-

ვიდებს და ანდხაკებს, შემდეგ უახლოვდება დვარაკას, კრიშნას ქალაქს. შემდეგ ცხენი გაივლის დასავლეთის (ინდოეთის) ოკეანეს სანაპიროს და მივა განდხარამდე, შაკუნის ყოფილ სამეფომდე (9)

ასევე საინტერესოა არჯუნას მიერ დვარაკის დაობლებული მოსახლეობის ხასტინაპურისაკენ გაცილება. როცა ისინი მიაღწევენ ხუთი მდინარის ქვეყანას, გაშლიან ბანაკს. მდინარეების სახელები ეპოსის მიხედვით ცნობილი არაა, თუმცა სავარაუდოდ ეს ის მდინარეებია, რომელსაც ფლავიუს არრიანე (მეგასთენეზე დაყრდნობით) აღწერს. აქ დაესხა მათ აბხისარების (შემდგომში ფინიკიელებად ცნობილი) ტომი, რომლებიც უგულებელყოფენ უკვე ასაკოვან არჯუნას და დვარაკელი ქალების მიტაცება დაიწყეს. რასაკვირვლია აბხისარები ხასტინაპურიდან სამხრეთ-დასავლეთით ცხოვრობდნენ. არჯუნას ქარავანი თავისი მოძრაობის გზაზე ამჯერად ტრიგარტებს არ გადაწყდომია, თუმცა ძალიან გაუჭირდა აბხისარებისაგან თავის დაღწევა. ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს მეტ- ნაკლებად გავერკვეთ ეპოს „რამაიანაში“ არსებულ რუკებში ძველი ინდოეთისა, თუმცა რუქაზე აღრეული ჩანს ეპოს „მახაბხარატას“ დრო, 31 საუკუნე ჩვ.წ. აღრიცხვამდე და ასევე ეპოს „რამაინას“ ეპოქა, რომელსაც სავარაუდოდ პირველისაგან ათეულობით საუკუნეები ა შორებს.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აღმოჩენილი ქალაქის ხილული არტეფაქტები არ შეიძლება კრიშნას ქალაქ დვარაკისა იყოს (ჩვ.წ. აღრიცხვამდე 3100 წელი) არტეფაქტები სულ 1500 წლისა ჩანს. ინდური ლეგენდის მიხედვით, დვარაკა წყალქვეშ ექვსჯერ მოექცა...რასაკვირველია მეორე ქალაქი (კრიშნა ქალაქის აღდგენა კეთილმოწყობაზე საუბრობს) სავარაუდოდ მართლაც კრიშნას ქალაქი დვარაკა უნდა იყოს, ზუსტად ისევე, როგორც ასევე ლეგენდარული ტროა. თუმცა დვარაკა კრიშნას შემდეგ კიდევ ოთხჯერ ჩანს ოკეანიდან ამოწვერილი და ისევ ჩაძირული...

დღევანდელი კოლხაპური (სავარაუდოდ აგებული ისტორიამდელი საკულტო ადგილას, კრიშნას ქალაქიდან თითქმის ათასმდე კილომეტრითაა დაშორებული, თუმცა არც სატიაკი ჩანს მატხურიდან (კრიშნას ადრინდელი ქალაქი) ჩამოყვანილი იადავის ტომისა-ის ადგილობრივი, სამხრეთული ტომის წარმომადგენელი ჩანს (არა კოლხი...ფაქტიურად, მტკიცდება კიდეც სატიაკის ჩინებთან სისხლისმიერი ნათესაობაც, ამაზე მოგვიანებით III ტომში ვისაუბრებთ...ეპოსში კიდევ ერთხელ არის ხსენება ჩინთა ტომისა, სავარაუდოდ ეს მართლა ჩინელებია, რასაც ჰუნებთან (მონღოლთა წინაპრები) ერთად ხსენება მიანიშნებს. ერთიც და მეორეც ინდოეთის ჩრდილოეთით მდებარე ტომებთან ასოცირდება. კიდევ ერთხელ არ მოგვერიოს მცირე ერის (რიცხოვნობით მხოლოდ) სინდრომი და ხმახმამაღლა ვთქვათ, რომ აქედან, ინდოეთიდან წამოსული სამი ქართველ-

ური ტომი, ჭანი და კოლხ-იბერი აფუძნებს ჰომო საპიენსის მეორე კერას (თვინიერ ინდოეთისა) ევროპის (დღევანდელ ვენეცია) ტერიტორიაზე. ის ჩვენ ვთქვათ, სანამ კიდევ ერთი სომეხი პროფესორი ჩინების, ჩენების ქართველობაზე არ მიგვითითებს (10)

...და ისევ ხალდები...

თუ რა გზით და როგორ აღმოჩნდნენ აღნიშნული ტომები ევროპასა და ვენეციაში, საერთო თემის ბოლო, დამასრულებელი ნაწილის თემაა, თუმცა მათი ევროპის ტერიტორიაზე ცხოვრება აქსიომაა. აქსიომა ისიც, რომ ეს სამი ქართველური ტომი ხდება მსოფლიო წარღვნის ეპიცენტრში მოქცეული და მათივე მეშვეობით ხდება მოსახლეობის ამ ნაწილზე სტიქიის ანომალიური შემოტევა ცნობილი დანარჩენი მსოფლიოსათვის. ხალდეურ-ბაბილონური წყაროები, რომლის სიუჟეტით სარგებლობს თვით ბიბლიაც კი, მსოფლიოს ჭანმა -ხალდმა შემოუნახა, თუნდაც ლეგენდის სახით:

„კრონოსი გამოეცხადა კსიუსუტრას სიზმარში და უთხრა, რომ ხუთმეტ რიცხვს დაისის თვეში ადამიანთა მოდგმა განადგურებული იქნება დიდი წარღვნით (ბეროსი, ბაბილონის ისტორია F-4)

ცნობა სინკელისაა (შესაბამისად გვიანდელია) და ბეროსის ცნობის სრულ ანალოგს არ უნდა წარმოადგენდეს. კრონოსი-ეს ზევსის წინაპარია, წინა თაობის ღმერთი:

„კრონოსი - ძველბერძნულ მითიოლოგიაში- უმღლერსი ღვთაება, შვილის, ზევსის მიერ ჩამოგდებამდე, ძე ღმერთ ურანოსისა (ცის) და გეასი (დედამიწა)“ (ვიკიპედია}

უნდა აღინიშნოს, რომ ზევსის მიერ კრონოსისათვის უზენაესობის ჩამორთმევის შემდეგ, მისი ხსენება ქრება და მხოლოდ წარსულ დროში თუ იხსენიება. იგივე ბერძნულ მითიოლოგიაში საერთოდ ქრება ოლიმპოს ასპარეზიდან და დემოსის ყურადღებიდან. გარდა ამისა, ჰეროდოტეს მიხედვით, თვით დოდონელებმაც კი არ იცოდნენ ღმერთების სახელები, სანამ მათ შესახებ თებედან (ეგვიპტისა) ჩამოსულმა ქურუმმა ქალებმა არ შეატყობინეს. დიდი ალბათონით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ზემოთ აღწერილი მოქმედება წინ უსწრება ზევსის დაბადებას...სინკელის (ბეროსის) მიერ ნახსენები არქაული ღმერთი წინა პლეიადისაა და ქსიუსუტრას სიზმარში გამაფრთხილებელი ღმერთი - ეს შესაძლოა თავად პრომეთეა, კრონოსის თანამედროვე (და მისივე ბიძაშვილი). პრომეთე, რომელიც ბერძნების მიერ თვით უზენაესის მეტოქედაა აღიარებული. პრომეთე, რომელიც ბერძნული წყაროებით ადამის შვილების შემოქმედია. ბერძნული

მითიოლოგიის მიხედვით, საყოველთაო წარღვნას სულ ორი ადამიანი გადაურჩა: პრომეთეს შვილი დევკალიონი და მისივე ბიძაშვილი, ეპიმეთეს ქალიშვილი პირა. მათი შემდგომი გამრავლება ისევ და ისევ ღმერთების სურვილით ხდება: დევკალიონის მიერ ხელუკუღმა ნასროლი ქვებიდან მამაკაცები იბადებიან, პირასაგან ასეთივე წესით ქალები...

სიმართლე, რომელიც ამავე წარღვნას შეეხება, რამდენადმე განსხვავებული ჩანს: გარდა იმათი, რომელნიც საზღვაო ხომალდით (სპეციალურად ამისთვის აგებულით) გაერიდნენ წარღვნას, ხალხის დიდი ტალღა, რომელიც ვენეციაში ილირიკის (დღევანდელი ხორვატიის) მხარეს მცხოვრები აღმოჩნდა, წყლის დონის მომატებასთან ერთად (რომელიც შესაძლოა სრულიად რეალური იყო) ენეტიკიდან ჩრდილო- აღმოსავლეთით ზეგანებს აფარებს თავს...ასევე, ხალხის ნაწილი იტალიასაც, ვენეციის ბუნებრივ გაგრძელებას აფარებს თავს...ამ პერიოდში ჩანს დასახლებული ჭანების მიერ აიოლიდის ქვეყანად მონათლული მიწა, შემდგომში თესალიად ცნობილი. ..ამავე დროს ჩანს დასახლებული კოლხების და იბერების მიერ ტერიტორია, შემდგომში იონიად წოდებული, დღევანდელი საბერძნეთი. უპირატესად მისი ის მიწები, რომელსაც მოგვიანებით ეპირი და კორინთო ეწოდათ. საბერძნეთის ტერიტორიაზე დასახლებული იონიელები მალევე ითვისებენ მცირე აზიის ტერიტორიას, ასევე იონიად წოდებულს. მცირე აზიაში გადადის იბერთა დიდი ნაწილი... ეოლია- ეს მცირე აზიის თითქმის მთლიანი სამხრეთი სანაპირო, ეს შუმერთა „ნაბარტყი“ მოსახლეობა ჩანს...და კიდევ უფრო დიდი ნაწილი ხალდებისა- ჭანებისა, კრონოსის- პრომეთეს მიერ შთაგონებული, შუმერს აარსებს, ხალდეას, როელიც პრომეთესვე მოცემული გეზით ღმერთების სამყოფელის ახლოს მდებარეობს... ამავე დროს კოლხები, რომლებიც კიდევ უფრო შორს მიდიან, ითვისებენ ტერიტორიას, მოგვიანებით ეგვიპტედ ცნობილს...შუმერის (ხალდეას) და ეგვიპტისა დაარსების პროცესი აბსოლუტურად თანხვედრლი ჩანს დროში, თან მათ ფატიურად ერთი და იგივე ხალხი ასახლებს: ხალდები და კოლხები.

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამივე ამ რეგიონის დასახლების პროცესი ვერ იქნება უფრო ძველი, ვიდრე წარღვნა. წარღვნა ჩვენი გაანგარიშებით (და არა მარტო ჩვენი...) ჩვ.წ. აღრიცხვამდე 3403 წელს მომხდარი მოვლენაა. ამდენად უძველესი ცნობები იმავე ბეროსზე დაყრდნობით:

„ადრე ბრინჯაოს ხანა 3100-2100 ჩვ.წ.აღრიცხვამდე. შუმერის სამეფო 3100-2350 ჩვ .წ აღრიცხვამდე. (ბეროსი, ქრონოგრაფიული ტაბულა)

ჩანაწერი მთლად კორექტული არა ჩანს: თუ გავითვალისწინებთ, რომ ქსიუსუტრა მეთორმეტე მეფე ქალაქ სიპარისა (11) მდებარე ვენეციაში, მიდ-

ის აღმოსავლეთისაკენ, ღმერთებისაკენ, ხალდეაში. მართალია თავად ქსიუსუტრას არ უმეფია ადგილზე ჩასვლის შემდეგ, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ის მარტო არ ჩასულა ხალდეაში. ამასვე მეტყველებს ბეროსის მონათხრობიც:

„მერე მან უნდა ააშენოს გემი და ჩაჯდეს მასში თავისი ოჯახით და საუკეთესო მეგობრებით (ბაბილონის ისტორია F4 a)

როგორც ადრე ვილაპარაკეთ, კსიუსუტრას თავისი თავისი ოჯახის, მეგობრების და ახლობლების გადარჩენა გემზე თავის შეფარებისა გარეშეც შეეძლო, საკმარისი იყო ილირიკის (დღევანდელი ხორვატია) მაღლობისაკენ გაერიდოს წყალს, თუმცა გზა ღმერთებისაკენ პრომეთე-კრონოსის დასახული გეზი ზღვის უცილობელ გადალახვას და ახალი ტერიტორიების ათვისებას გულისხმობს, ევროპიდან მცირე აზიისაკენ და გემიც ამ მიზნის მისაღწევად არის საჭირო. სავარაუდოდ, იმ დროისათვის მცირე აზია და აფრიკა საცხოვრებლად გაცილებით ხელსაყრელი იყო... რასაკვირველია ქსიუსუტრა თავისი ხალხის ნამდვილი წინამძღოლია, იმავე პრომეთეს მიერ შერჩეული რჩეული. ამასთან მიგრაციის ეს ტალღა საკმაოდ შთამბეჭდავი რიცხვისა უნდა იყოს.

ქვეყანა, რომელიც ხელმძღვანელობს უპირატესი გონის მიერ შექმნილი კანონებით და სახელმწიფოს მართვის 120 წლიანი გამოცდილებაც გააჩნია, ამავე კანონებით შეეცდებოდა სახელმწიფო მმართველობის გაგრძელებას: უბრალოდ, სახელმწიფოს მოწყობის სხვა პრინციპი მან არც კი იცის ... მეორე, კოლხური ტომიც ამავე მმართველობით ფორმაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული (როგორც ზემოთ აღინიშნა, მმართველობის პრინციპი არჩევითი ჩანს, სხვანაირი აღმატებული გონის მიერ შემოღებული კანონი არც უნდა ყოფილიყო.) რაც შეეხება ეგვიპტეს, უკუგდებულ უნდა იქნას ყოველი ჰიპოთეზა სხვადასხვა ისტორიკოსისა და მშრალ ფაქტებზე დაყრდნობით განხილულ იქნეს მისი დასახლების პერსპექტივა. ის აშკარად ვენეციიდან მიგრირებული სხვა ტალღაა, რომელთაც შუმერზე უფრო შორს აღმოსავლეთისაკენ გადაწყვიტეს ცხოვრება. გასაგები მიზეზების გამო, არც მისი დასახლება შეიძლება ჩვ. წ. აღრიცხვამდე 3403 წელზე ადრეული იყოს...

დინასტიური პერიოდი

ქვა-ბრინჯაოს პერიოდის დასასრულს ეგვიპტეში მკვლევარები გამოყოფენ ცალკეულ პერიოდებს. დინასტიამდელი-ბოლო ეტაპი განვითარებისა ქვემო და ზემო ეგვიპტეში, რომელიც წინ უძღოდა გაერთიანებას პირველი დინასტიის ძალაუფლების ქვეშ. ერთ-ერთი ჰიპოთეზით, ადრეული პოლიტიკური წარმონაქმნი ნილოსის დელტაზე და ნილოსის ვაკ-

ეზე, შესაძლოა ყოფილიყო რამდენიმე ათეული სეპტა (ძველ ბერძნულად ნომი) რომელთა ტერიტორიები გახდა საფუძველი ძველი ეგვიპტის ადიმინისტრაციული მოწყობისა (ამ სტრიქონების ავტორი კატეგორიულად არ ეთანხმება ამ მოსაზრებას, ვინაიდან ეგვიპტელები წარღვნისაგან ლტოლვილი სახელმწიფოს მოქალაქენი იყვნენ, რომელთა სახელმწიფო მოწყობის 120 წლიანი გამოცდილება ჰქონდათ) დღევანდელ დღეს ეგვიპტოლოგებმა დანამდვილებით იციან სამი მეტ- ნაკლებად ნაღდი პოლიტიკური წარმონაქმნის შესახებ (ხშირად იხმარება ტერმინი კონფედერაცია). დაახლოებით ჩვ.წ. აღრიცხვამდე 3500- 3200 წლის დიაპაზონში (12), რომელიც დამყარდა შემდეგი ცენტრების ირგვლივ:

1. ჩენი (ძვ ბერძნული ტინი ანუ აბჯუ (აბიდოსი)

2. ნაკადა, ნებუტუ (ძვ ბერძნული ომბოსი)

3.ნეხენ (ძვ. ბერძნული იეროკონპოლი)

შედეგად მათი შეჯიბრებადობისა, რამდენადმე გვიან შეიქმნა ზემო ეგვიპტის იეროკონპოლის სამეფო დედაქალაქი ნეხშით. ამ სამეფოს მმართველი ატარებდა ტიტულს მნესუ, და მის მფარველად ითვლებოდა ღმერთქალი ქორი, ნეხბეტი...ისინი პერიოდულად თავს ესხმოდნენ სამხრეთისაკენ ტა-სეტი (ჩრდილო ნუმიბია) სადაც იტაცებდნენ სხვადასხვა ნადავლს და ტყვეებს, ასევე ჩრდილო დასავლეთის ტა ხენუ (უძველესი ლიბია) სადაც სხვა სარგებელთან ერთად, უპირველესი ამოცანა იყო საქონლის გამორეკვა. პირველი ასეთი თარეში ცნობილი მკვლევართათვის, ითვლება სამხედრო ლაშქრობა სკორპიონ II, მისი არმია, შემდეგ სხვა არმია სხვა ფარაონებისა, იტაცებდა ტა-ხენის ხარების ჯოგს, ვირებსა და ცხენებს (როგორც ვარაუდობენ, დიდი რაოდენობისას) (ვიკიპედია; ძველი ეგვიპტე)

საყურადღებო ფრაგმენტული ცნობაა, რომლის დაწვრილებითი განხილვა სასურველად მიგვჩნია:

1 . ასაკი, რომლის მიხედვით დინასტიამდელი ეგვიპტის არსებობა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 3500 -3200 წლის ფარგლებშია მოცემული, კორექტირებას მოითხოვს: როგორც ზემოთ აღინიშნა, ეგვიპტის რამენაირი მოსახლეობა არ შეიძლება წარღვნამდელი იყოს. შესაბამისად, დინასტიამდელი ეგვიპტის მოსახლეობის არსებობის ზღვარი ერთმნიშვნელოვნად ჩვ. წ. აღრიცხვამდე 3403 წელი უნდა იყოს...

2. ის რომ ძველ ეგვიპტეში რამდენიმე ათეული სეპტა (ნომი) შეიძლება ყოფილიყო, ასევე შორსა დგას სიმართლისაგან. აქ ავტორები აქცენტს აკეთებენ იმაზე, რომ ხელსაყრელი გარემო პირობების გამო, აქ ცხოვრება უწყვეტი უნდა ყოფილიყო ნეოლითის შემდეგ მაინც. ხელმღვანელობენ რა ამ პრინციპით, რომლის უკან არავითარი ფაქტი არა დგას. პირიქით,

როგორც მტკიცდება, ეგვიპტე, ისევე როგორც შუმერი ერთბაშად აღმოცენებული კულტურაა, წარღვნის შემდეგ ვენეციიდან მიგრირებული, მეორე კულტურული ცენტრიდან ჰომო საპიენსისა, თვინიერ ინდოეთისა.

3. ამავე ამონარიდში მოხსენიებული ჩენის-სამეფო, ანუ აბჯუ, აბიდოსი ეს ჭანების, ხალდების პოლიტიკური წარმონაქმნი ჩანს. აბსოლუტურად სწორი ჩანს მავანის მოსაზრება, რომლის მიხედვით ტერმინი კონფედერაცია იხმარება. ზუსტად ასეთი კონფედერაცია ჩანს (ამომავალი) მზის ქალაქი სიპარი. სახელმწიფო, რომლის შემადგენლობაში ორი თანაბარუფლებიანი პოლიტიკური სუბიექტი ჩანს: ხალდეური ქალაქი ლარანხა და კოლხური ქალაქი პაუტიბიბლა. (იბერები მიზეზთა და მიზეზის გამო კოლხებთან არის ასოცირებული, შემდგომაც მათ იონიელები ჰქვია, საპირისპიროდ ხალდებისა, ჭანებისა-ეოლია) ქალაქი სახელმწიფო სიპარი, რომლის მმართველად არჩეული მეფეები გვევლინებიან, ხან ჭანური ქალაქ ლარანხადან, ხან კოლხურ ქალაქ პაუტიბიბლადან. რასაკვირველია, აქ მეფეების არჩევითობის სისტემა უნდა იგულისხმებოდეს, როდესაც მომდევნო მეფე წინას გენეტიკური მემკვიდრე არაა, თან ხალდები - ჭანები მეფეების საერთო მმართველობის წლები 61-ია, კოლხებისა 59 წელი.

4. რაც შეეხება გაერთიანებული ეგვიპტის ფარაონ სკორპიონ II ლაშქრობას ნუმიბიასა და ლიბიაში, ამ ფარაონის ზეობის წლები ეგვიპტის ფარაონთა ერთიან სიაში მითითებულიც კი არ არის. ვინაიდან ნუბიელებიეს დღევანდელი სუდანელებია, განდხარვთა ერთ- ერთი შტო, მათი ეგვიპტეში ამოსვლის თარიღი არა უადრეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე 2800-2700 წელი უნდა იყოს. ამდენად სკორპიონ მეორე მხოლოდ ამ თარიღის მერეა შესაძლებელია ყოფილიყო ეგვიპტის ფარაონი.

5. ამავე დროისა ჩანს ლიბიელებზე სკორპიონ II ლაშქრობა, თუმცა სავარაუდოდ ლიბიელები გაცილებით ადრე, ხალდებთან და კოლხებთან ერთად ჩანან მიგრირებულნი ვენეციიდან და ზუსტად იმავე ეთნიკურ ჯგუფს მიეკუთვნებიან.

სავარაუდოდ, სკორპიონ II ჩვ. წ. აღრიცხვამდე არა უადრეს XXXII საუკუნის ფარაონია. (13) ეგვიპტის ფარაონები, დაფიქსირებული სკორპიონ II-ზე ადრე, ლეგენდარული ფარაონებია, ქრონოლოგიურად: პტახი, რა, შუ, გები, ოსირისი, სეტი, ხორი, ტოტი, მაატი, პრაქტიკულად ღმერთებადაა ჩათვლილი (14)

შემდეგი მეფეები, სპილო (პან-აბუ) ხარი, სკორპიონ I, ნი-ნეიტი, ნაკადა, ნი-ხორი, ხატ-ხორი, ხაკუ -ხორი, ნაკადა II, შენდეტი (ნიანგი)- ეს უკვე სკორპიონ II წინარე ფარაონებია, თუმცა ზუსტად არ ვიცით, არიან ისინი არჩეული დემოკრატიული გზით, ისევე როგორც მათ წინარე სამშობლოში ვენეციაში, ისევ და ისევ ღმერთების მოცემული კანონებით, თუ ფარ-

აონობა უკვე მემკვიდრეობითი ატრიბუტია. როგორც ზემოთ ითქვა , სამი ნომი, რომელიც ერთმანეთთან ფაქტიურად კონფედერაციულ დამოკიდებულებაში იყო ურთიერთთან, გაერთიანებული ჩანს ერთმმართველობის ქვეშ (თუმცა უცნობია, თუ რა პრინციპებით ხდება ხელისუფლების გადაცემა შემდგომ ფარაონზე)

საინტერესოა, რომ ლეგენდა ტოტს, რიგით ეგვიპტის მერვე ლეგენდარულ ფარაონს მიაწერს დამწერლობის (ანბანურ-მარცვლოვანის) შექმნას, საწინააღმდეგოდ ლურსმნული დამწერლობისა, რომელის ასევე აღმატებული გონის (ოანი ანედოტი) შექმნილი ჩანს ჯერ კიდეც ვენეციაში ყოფნისას და რომელსაც ჭანებიც და კოლხებიც თანაბრად იყენებდნენ. ასევე სავარაუდოა , რომ ზემო ეგვიპტის ნომი ჩენიც უკვე ტოტის მიერ შექმნილ იეროგლიფურ-სილიბიურ (მარცვლოვან) დამწერლობით სარგებლობს.

ზემოთ ნახსენები სკორპიონ II, როგორც ირკვევა ეგრეთ წოდებული ნულოვანი დინასტიის ფარაონია, რომლის ზეობის პერიოდში ნუბიელები (სუდანელები) აფრიკის კომტინენტზე ჯერ კიდევ არა ჩანან მიგრირებულნი, შესაბამისად აღნიშნული ფარაონი მათზე ვერ ილაშქრებს. ცნობები მხოლოდ ლიბიელების წინააღმდეგ გალაშქრებისა შესაძლოა იყო ნამდვილი. თუმცა მეცნიერების ვარაუდი ერთი შეხედვით სწორიც ჩანს: თუ ფარაონი ილაშქრებს ლიბიელების წინააღმდეგ, რომლებიც თვით ქვემო ეგვიპტეზე დაბლა ცხოვრობენ, აპრიორი სავარაუდოა, რომ სკორპიონ II ასეთივე ლაშქრობას ნუბიელების წინააღმდეგაც მოაწყობდა, რომელებიც მასთან გაცილებით ახლოს ბინადრობდნენ...მაგრამ ამ დროს აფრიკაში არც არავინ არ სახლობს, თვინიერ ეგვიპტელებისა (და სავარაუდოდ ლიბიელებისა...)

მასშტაბური სამარხები ჩანს ზემო ეგვიპტეში, აბიდოსის ნომში, რომლის აგება ჯერ კიდევ I დინასტიის დროს დაიწყო, ისტორია სრულიად უსაფუძვლოდ არაბებს მიაკუთვნებს. პირველი დინასტიის პერიოდში გამოჩნდა სპეციალური სახლი სიკვდილის შემდეგ-მასშტაბა სამარხი კამერები, რომლებიც შედგებოდნენ მიწისქვეშა სამარხი კამერისაგან და ქვის ნაგებობისაგან მასზე, მიწა ზედა შრეზე. თავად ტერმინი ეხება არაბულ პერიოდს და დაკავშირებულია იმასთან, რომ მათი ტრაპეციული ფორმა საძვალესი იმასთანაა დაკავშირებული, რომ ის არაბებს აგონებდა სკამს, წოდებულს მასშტაბად (15) მასშტაბას აშენებდნენ თავისთვის პირველი ფარაონები...მათ აშენებდნენ ნაკადაში (აბიდოსში) ზემო ეგვიპტეში, ასევე საკარაში, სადაც მდებარეობდა მთავარი ნეკროპოლი მემფისისა, პირველი დინასტიის მმართველები. (16) ასეთ პირამიდებში ფარაონების დაკრძალვა ხდებოდა მეორე დინასტიის პერიოდშიც. პირამიდების მშენებლობა ეგვიპტეში უკვე მესამე დინასტიიდან დაიწყო. პირველი პირამიდა-ეს ხაბის

პირამიდაა, მასალა უხეშად გმოთლილი ქვა, მცირეოდენ დახრილი ცენტ-რისაკენ და თიხის ხსნარზე.

პირამიდა ჯოსერისა- ეს პირველი პირამიდაა საფეხუროვანი ტიპისა, განლაგებული საკკარა - მემფისიდან ჩრდილო - აღმოსავლეთით. მშენებლო-ბა დათარიღებული დაახლოებით 2670 წელი ქრისტემდე, გარეგნულად ის ჰგავს ერთმანეთზე დადგმულ რამდენიმე მასშტაბას, რომელიც მცირ-დება მწვერვალთან მიახლოების კვალდაკვალ. არქიტექტორი იმხოტეპი, რომელმაც დაამუშავა წყობის ტიპი გამოთლილი ქვისაგან. შემდგომში ეგ-ვიპტელები ღრმა პატივს სცემდნენ პირამიდის პირველ ოსტატს და აღმ-ერთებდნენ კიდეც მას. ის ითვლებოდა ღმერთი პტახის შვილად, ხელო-ვნებისა და ხელოსნების მფარველისა....და როგორც ჩანს ღმერთი პტახის შვილობა არც არაფერ შუაშია...იმხოტეპი, არქიტექტორი და უპირველესი ქურუმი ფარაონ ჯოსერისა განდხარვა ჩანს, ჯერ კიდევ საუკუნეებით ად-რე შერაცხული ნახევარღმერთად ... იმხოტეპის, როგორც არქიტექტორის და უმაღლესი ქურუმის აღზევებას დროში წინ უძღვის განდხარვთა საზ-ღვაოსნო არმადის შემოსვლა წითელ ზღვაში, საიდანაც გასასვლელი მო-პირდაპირე მხარეს, ხმელთაშუა ზღვისაკენ არ არსებობს... ნებსით თუ უნ-ებლიეთ, განდხარვებმა საზღვაო ექსპედიციიის ეს ეტაპი წითელ ზღვაში დაამთავრეს...

ორი ავტონომიური კულტურის, ინდოეთის განდხარვებისა და ევ-როპელ ყოფილების, ჭან - კოლხების ურთიეთ დიფუზია განუმეორებელ სურათს იძლევა: ეგვიპტეში საოცარი სისწრაფით იწყება მშენებლობის ინდუსტრიის განვითარება, რაც პირამიდების და ირიგაციული ნაგებობე-ბის მშენებლობის ბუმს წარმოშობს. დიდ აღმავლობას აღწევს მეტალურ-გია, აქ განდხარვებს ციურ ჯადოქრებს ეძახდნენ! ... და დამწერლობა! ის რაც უცნობი იყო ინდოეთის მოსახლეთათვის, აქ მზა სახით ხვდებათ... აქ მთავარი პრინციპი დამწერლობის არსშივეა, რომელიც იძლევა საშუა-ლებას - 37 -წელი არ იჭყლიტონ ტვინი ინფორმაციის ზეპირ დამახსოვრე-ბაზე, რომ ის უცვლელად გადაეცეს შთამომავლობას. აქ განდხარვთა (აბ-ხისარ-კენთა) დამსახურება იგივე ჩანს, რაც იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენისა“. მათ მკვიდრად დაუკავშირეს მათთვის ნაცნობი საგანის სახელი: ხარი, სახლი, ფანჯარა, აქლემი, მხოლოდ და მხოლოდ პირველ ბგერას ამ საგნების სახელებისა...ესაა ფინიკიური ანბანის სახელდების პრინცი-პი. თავად პრინციპი წერილობითი შეტყობინებისა- ეს ეგვიპტური იერო-გლიფებია, შემდგომში ანბანურ პრინციპზე გადასული გახლავთ და ორ-მაგი ხასიათით, როგორც ჰეროდოტე აღმიშნავს:

„ეგვიპტელები ხმარობენ ორგვარ დამწერლობას, ერთს უწოდებენ ისინი წმინდას, ხოლო მეორეს სახალხოს“ (ჰეროდოტე, წიგნი II-36)

წმინდა -ესეიგი მთავარი, ასოთმთავრული და მეორე, სახალხო, დე-მოტური-ანუ მხედრული...(თუმცა ქართული დამწელობა სათავეს შუმერუ-ლი ლურსმნულიდან უნდა იღებდეს და მიუხედავად სულხან-საბას მტკი ცებისა, 38 ასო ნიშანს უნდა შეიცავდეს).

საერთოდ ფივიადას, თებეს და მენდესის ოლქების გაჯერება განდ-ხარვული მოსახლეობით საეჭვოც არ ჩანს (გავიხსენოთ ჰეროდეტესეული შერეული დიალექტი ამონიელებისა) ეგვიპტის კულტურულ დაწინაურებ-აში უდიდესი წვლილი უჩანთ განდხარვებს, მომავალ ეტრუსკებს. ეს მათ საინჟინრო და აგრონომიულ მიღწევებზეა დაფუძნებული ანტიკური რომ-ის კულტურული და ეკონომიური, ასევე სამხედრო მიღწევები და არა ელინურზე. არც აბხისარ -კენების მიერ ხმელთაშუა ზღვაზე გაღწევა და ეგრეთ წოდებული ფინიკიური ქალაქების, სიდონისა და ტვიროსის დაა-რსების დათარიღება ჩანს შეუძლებელი, ამავე ანტიკურ ისტორიულ ცნო-ბებზე დაყრდნობით:

„ღვთაების ქურუმებთან საუბრისას შევეკითხე მათ, რამდენი ხანია გასუ-ლი ამ ტაძრის დაფუძნებიდან და გამოვარკვიე, რომ ამ საკითხზე არც ისინი არიან ელინების აზრისა; რადგან თქვეს რომ ტვიროსის აშენებასთ-ან ერთად არის ამ ღვთაების ტაძარიც დაფუძნებული, ხოლო მას მერე, რაც ისინი ტვიროსში ცხოვრობენ, გასულია 2300 წელი“ (ჰეროდოტე, იქვე, წიგნი II-24)

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჰეროდოტეს (აქტიური) მოღვაწეობა ემთხვევა 450 წელს ქრისტემდე, ტვიროსი ჩვ. წ . აღრიცხვამდე 2750 წელს ყოფილა აშენებული. ფაქტიურად იმ დროს, როდესაც განდხარვთა მიგრ აციის ტალღამ მიაღწია ერთის მხრივ სპარსეთის ყურეს, მეორე მხრივ ეგვიპტესა და აფრიკას. ძნელი სათქმელია, თუ როგორ შეძლეს განდხა-რვთა - ფინიკიელთა ამ ექსპედიციამ ხმელთაშუა ზღვის აღმოჩენა... სულ ორი ალტერნატიული ვარიანტი არსებობს:

1. განდხარვთა ერთი ნაწილი ბოლომდე ჩანს გადაადგილებული წითელ ზღვაზე, მის სამხრეთ სანაპიროს გაყოლებით, რომელიც ვიწრო ყურის სახითაა შეჭრილი ხმელეთში, დღევანდელი იორდანიისა და ეგვიპტის მხარეს. მიგრანტთა ნაწილი ჩამოსული ჩანან გემებიდან და ხმელეთით ქვეითად გადაადგილებულნი დღევანდელი ისრაელის მიმართულებით. აღმოჩნდნენ რა ხელსაყრელ ადგილას ახალი (ხმელთაშუა ზღვის სანაპი-როზე, აქვე დაეშენნენ და გააშენეს ქალაქები სიდონი და ტვიროსი.

2. ...და ის, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ: გადადიან აფრიკის კონტი-ნენტზე და დიდ მდინარეს ეძებენ, რომელიც უცილობლად ზღვას უნდა შეუერთდეს...საიმტერესოა, რომ როგორც პირველ, ისე მეორე ვარიანტში ფინიკიელებს მიმდებარე 80-100 კილომეტრი ხმელეთი უ ჩანთ გამოსაკვ-

ლევი ... უფრო სავარაუდოა ესმეორე ვარიანტი, რასაც ქალაქების, ლუქსორის და კენას ნილოსის სანაპიროზე განაშენიანების დრო XXXII საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე და სიდონ-ტვიროსის განაშენიანებას ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე შორის ოთხსაუკუნოვანი ინტერვალი მიუთითებს...

ასე თუ ისე, ფინიკიელებმა გემის აგებისათვის უსარგებლო აფრიკულ ტყეში მაინც მოახერხეს გემის აგება და მისი საშუალებით ნილოსზე დაშვება ხმელთაშუა ზღვამდე...ზღვის სანაპიროს გამოკვლევის შემდეგ ისინი დასასხლებალად მომავალ ლიბანს ირჩევენ...მთავარი ფაქტორი, რატომაც აირჩიეს ფინიკიელებმა ეს მხარე, გემების ასაგებად მდიდარი ტყეები უნდა ყოფილიყო, რომლითაც განთქმულია ლიბანის მხარე - ლიბანის კედარი ანტიკური განთქმული ცნობილი იყო, გემების ასაშენებელი შეუდარებელი ლიბანური კედრით და ფიჭვით...შესაფერისი სამშენებლო მასალების აღმოჩენის შემდეგ (ლიბანის ფიჭვი და კედრი იმთავადვე ცნობილი იყო) ისინი ახალ ფლოტილიას აგებენ და სავაჭრო საქმეების პიონერებიც ხდებიან. განდხარვთა დიდი ნაწილი მკვიდრდება ეგვიპტეში, თებეს და მენდესის ოლქში (17) გაცილებით გვიან ჩანს ათვისებული კუნძული კრეტა.

„ ჩვ.წ. აღრიცხვამდე II ათასწლეულის დასაწყისში, კუნძულზე ჩამოყალიბდა ოთხი პოლიტიკური ცენრტი, ქალაქებში: კნოსოსი, ფესტე, მალიი და ზაკროსი. კუნძულის მოსახლეობას წარმოადგენდა მინოსელები, კიდონები , ასევე მიგრირებულნი მატერიკიდან პელაზგები, კარიელები და ფინიკიელები. I ათასდწლეულის დასაწყისში ჩვ. წ. აღრიცხვამდე, კრეტაზე გამოჩნდნენ დორიელები, რომელთაც ჩამოაყალიბეს 20-100 პოლისი. ყოველი პოლისის სათავეში იდგა საბჭო (ბულა) რომელიც შედგებოდა 30 წევრისა და 10 კოსმისაგან სათავეში პროტოკოსმით. მოსახლეობა შედგებოდა სრულუფლებიანი მოქალაქეებისაგან-პერიკებისაგან, სახელმწიფო მეციხოვნეებისაგან- მნოიტებისაგან, კერძო მეციხოვნეებისაგან კლარეტებისა და ამაფიოტებისაგან და ნაყიდი მონები-ხრისონტებისაგან“ (ვიკიპედია)

ძალიან შორსა დგას ვიკიპედიის ეს სტატია ჭეშმარიტებისაგან. კარრიელები ამ კუნძულზე არც არასდროს ყოფილან და ეს ეს შეცდომა თავად ჰეროდოტესაგან მოდის- რასაკვირველია კარიელებმა ჰეოდოტეზე უკეთ იციან, როდესმე წარმოადგენდნენ თუ არა ისინი კუნძულოვან, საზღვაო სახელმწიფოს, რა ვერსიასაც ისინი ერთხმად უარყოფენ... (ვერსიის გავრცელების მიზეზზე შემდგომ ვისაუბრებთ)... თავად ფინიკიელები წარმოადგენენ მინოსელებს და ამავე დროს დორიელებს.

მითიოლოგიის მიხედვით, ფინიკიელი, მეიონი-მინოსი კნოსოსის მბრძანებელია (რომლის ძმადაც მოხსენიებულია სარპედონი, ლიკიის-გელების მბრძანებელი. ცოლად ჰყავს პასიფაე-კოლხი ქალი, აიეტის და. პა-

სიფაეს არაჯანსაღი სიყვარულის გამო ხარისადმი (ტავრისადმი) გაუჩნდ-ათ ურჩხული ადამიანის ტანით და ხარის თავით. (სინამდვილეში, კურე-ტი მესამე დორიული ტომია მეიონების და გელების შემდეგ, რომელთაც კუნძული დაიკავეს, ნაწილობრიც განდევნეს რა პელაზგები-იბერები). მი-ნოსმა იმთავადვე განდევნა თავისი „ძმა“ სარპედონი, რომელიც მცირე აზ-იაში გელებს- ლიკიას აფუძნებს...თავად მინოსის ცხოვრება საკმაოდ ტრა-გიკულად დამთავრდა. მინოსის ცხოვრება და კავშირებულია ასევე ლეგ-ენდასთან დედალოსის და მისი შვილი იკაროსის შესახებ. დედალოსი კუნძულიდან გაქცევას ცდილობდა, მან გააკეთა ფრთები მისთვის და მი-სი შვილისათვის და შეეცადა ფრენით გაცლოდა კრეტას. შვილის საფრე-ნი აპარატი გაფუჭდა და ის ზღვაში დაიხრჩო. მინოსმა თავად დედალ-ოსს სიცილიაში გასდია მინიელთა ჯარის თანხლებით, მაგრამ აქვე დაიღ-უპა სიცილიის მეფის, კოკალის ქალიშვილების ხელით, რომელთაც ცხე-ლი (გაუზავებელი) წყლით სავსე აუზში ჩააუშვეს მინოსი, რომელმაც იქვე ჰპოვა აღსასრული. დარჩენილმა მინიებმა ლაშქრობა მოაწყვეს სიცილიის წინააღმდეგ, ქარიშხალმა გემები შეუმუსრა და ძალაუნებურად იტალიაშ-ივე დარჩნენ, იაპიგიები ეწოდათ-ამას თავად ჰეროდოტე ჰყვება... შესაბამ-ისად, კუნძული კრეტა კურეტებს დარჩათ, თავად დორიელებს და კრეტ-აზე სხვა დორიულ თავდასხმას ადგილი არ ჰქონია...

საინტერესო და მრავალმხრივი ისტორიაა, განსაკუთრებით იმ შე-მთხვევში, როდესაც მათ შეაჯერებ ჰეროდოტესა და სტრაბონის შრომებ-თან. ის რომ კრეტა ჩვ. წ. აღრიცხვამდე II ათასწლეულის დასაწყისში ათ-ვისებული ჩანს მინოსელების (მინიების-მეიონების) მიერ, აშკარა დისონ-ანსში მოდის მეფე მინოსზე ლეგენდებთან. მინოსის და მისი ქალიშვი-ლის, არიადნას მოქმედების ხანას თეზევსი განსაზღვრავს, არიადნას შეყ-ვარებული და ქმარი, რომელიც სრულიად რეალურ დროს მოქმედი გმი-რი ჩანს : ის ჰერაკლეზე უმცროსი ჩანს, თუმცა თითქმის თანამედროვე. ჰერაკლეს და თეზევსის მოღვაწეობა ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIV საუკუნეა, ხო-ლო კუნძულ კრეტას ათვისება ასწლეულთ მაინც ადრე მომხდარი ფაქტი ჩანს. (თუმცა ისტორია ორ მინოსზე საუბრობს, შვილიშვილსა და პაპაზე) შე-საბამისად, კუნძულის მინოსის სახელთან დაკავშირება, ეს მხოლოდ აბხ-ისარ-მეიონების დამსახურება უ ნდა იყოს. რასაკვირველია კუნძული კრე-ტა ეგვიპტის განდხარვული მოსახლეობის მიგრაციის შედეგად ჩანს და-სახლებული. ხალხიც და საცურაო საშუალება გაცილებით გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე ფინიკიის სიდონისა და ტვიროსის დასახლება განდ-ხარვთა მიერ. ეს პროცესი, როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ჩვ. წ. აღრიცხვამ-დე XXVIII საუკუნე ჩანს, თუმცა კრე ტის დასახლებას აბხისარ - მეიონების მიერ, ალტერნატივა არ გააჩნია. სავარაუდოა , ხმელთაშუა ზღვასთან გაც-

ილებით ახლოს მყოფი მენდესის ოლქის მცხოვრები განდხარვები პირველები გაიგებდნენ მდინარე ნილოსის შესართავთან დიდი, მათთვის უცნობი საწყალოსნო სივრცის არსებობას. თუმცა როგორც ჩანს, ახალ საზღვაო ექსპედიციას, რომელიც უკვე მდინარე ნილოსის სანაპიროდან იწყება, მონაწილეობენ როგორც თებეელი ასევე მენდესელი განდხარვები.

ჰიქსოსები

„ჰიქსოსები, სახელწოდება ხალხისა, რომელთაც დაიპყრეს არქაული ეგვიპტის ნაწილი. ჩვ. წ. აღრიცხვამდე XVIII-XVI საუკუნეში, XIII-XVII დინასტიების დროს, ჰიქსოსებმა შექმნეს ფაქტიურად XV დინასტია, თუმცა ვერ შეძლეს დაემორჩილებინათ მთელი ეგვიპტე, მათი სამფლობელოები ვრცელდებოდა მხოლოდ ასიუტამდე. ეგვიპტის სამხრეთ ნაწილის მმართველობას აგრძელებდნენ „ჩრდილოვანი ფარაონები“ დედაქალაქ ფივიდან. მმართველობის პერიოდი ძველი ეგვიპტისა ჰიქსოსების მიერ, მიღებულია იწოდოს მეორე გარდამავალ პერიოდად. ჰიქსოსებმა მოიტანეს საბრძოლი ოთხთვალების (ოთხთვალების!) გამოყენების ხელოვნება ეგვიპტეში. ჰიქსოსების შემოჭრის წყაროები არაა გადმოცემული შემოჭრის თანამედროვეთაგან. თვით სახელწოდება „ჰიქსოსები„ წარმოებულია გვიანდელ დროში, მენეფონის მიერ, ეგვიპტური (ჰეკუ -შასუ) უცხო ქვეყნების მიწების მბრძანებელი, გადმოცემულია იოსებ ფლავიოსის მიერ და თარგმნის სიტყვას როგორც „მეფე-მწყემსები.“ ეთნიკურად ჰიქსოსები წარმოადგენენ რამდენიმე ჯგუფს, ძირითადად სემიტებს, კულტურულად იყვნენ ხანაანელთა ზემოქმედების ქვეშ, პროცესი- მოსახლეობის მიგრაციისა, ცენტრალური აზიიდან. ჰიქსოსებმა შეღწიეს ნაყოფიერ მხარეში შუა აზიიდან, ირანის, ანუ არმენიის მთიანეთიდან. ჰიქსოსთა გაერთიანება მოხდა დღევანდელი სირიის ტერიტორიაზე. მათ გადაიღეს მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიები ინდოევროპელი ხალხებისაგან და განახორციელეს ექსპანსია ეგვიპტის მიმართულებით. ძირითად ბირთვს ჰიქსოსებისას წარმოადგენდნენ ამორეველები, შეუერთდნენ აგრეთვე ხურიტები და ხეთები. უკუაგდებს რა ლეგენდას ჰიქსოსების მოულოდნელ შემოჭრაზე ეგვიპტეში, დ. რედფორდი ფიქრობს, რომ XVIII-XVII საუკუნეს ჩვ. წ აღრიცხვამდე, ეგვიპტეს მართავდა სუსტი XIII და XIV დინასტიები. სხვადასხვა აზიური ტომები გადადიოდნენ სუეცის ყელზე და სახლდებოდნენ ეგვიპტის დელტაზე, ჰიქსოსების სამხედრო ტექნოლოგია (საომარი ეტლები, ჯავშნის ახალი ტიპი, შედგენილი მშვილდი, საომარ რიხთან ერთად აძლევდა მათ გარდაუვალ უპირატესობას , ეგვიპტის არმიასთან მიმართებაში. გახდა რა ნილოსის დელტაზე მოსახლეობის უმრავლესობა, ჰიქსოსებმა გადაიტანეს

დედაქალაქი მემფისიდან მათ მიერ აშენებულ ავარისში, სადაც დაიწყო მმართველობა მათმა დინასტიამ, მენეფენის მიხედვით XV და როგორც ჩანს XVI-მ. სიმძლავრის ზენიტს მიაღწიეს მეფეების ხიანე-სა და აპელიოს მეფობისას, რომლებმაც მოახერხეს ძალიან შორს სამხრეთისაკენ საზღვრების გადაწევა. მიაღწიეს რა ქალაქ კუსს (ქალაქ კენას უშუალო სიახლოვეს) თუმცა დაემორჩილებინათ ზემო ეგვიპტე მათ ვერ შეძლეს. დაახლოებით ასი წლის შემდეგ, ეგვიპტელებმა შეძლეს ჰიქსოსების იარაღის ათვისება. ფივიში ამ დროს მართავდა XVII დინასტია, რომელმაც მოიკრიბა ძალა და დაიწყო გამანთავისუფლებელი მოძრაობა. ბრძოლის დასაწყისში ლეგენდის მიხედვით (პაპირუსი სელე I-ჰიქსოსი მეფე აპოპე და ფარაონ სეკენერა) დაკავშირებულია მეფე სეკენერასთან, რომელიც ნაპოვნი მუმიის მიხედვით, სავარაუდოდ ომში დაიღუპა. მისი შვილი კამოსი, უკანასკნელი მეფე XVII დინასტიისა, წარმატებულად იბრძოდა. მან შეკრიბა არმია , გაემართა ჩრდილოეთისაკენ, შეძლო ჰიქსოსების გზავნილის გადაჭერა კუშის მბრძანებელთან (სუდან-ეთიოპიელებთან) და მივიდა თავად ავარისამდე, თუმცა ვერ აიღეს იგი (ფარაონ კადმოსის სტელის მიხედვით). საბოლოო გალაშქრება ჰიქსოსებზე შეძლო კამოსის ძმამ, პირველმა ფარაონმა XVIII დინასტიიდან, იახმოს I-მა, დაახლოებით 1550 ჩვ. წ. აღრიცხვამდე, რომელმაც გადარეკა ისინი ეგვიპტიდან და მირეკა სამხრეთ პალესტინამდე, სადაც დაიკავა ქალაქი შარუხან (აღწერა ცხოვრებისა მენავეთა მეთაურის იახმოსის შვილისა)

ჰიქსოსები და ებრაელები

1600 წლის შემდეგ ჰიქსოსთა მმართველობისა, იოსებ ფლავიოსი, მენაფონტეს მითითებით, ასევე მცხოვრები ათასი წლით უფრო გვიან, ჰიქსოსთა შემოსევამდე, აიგივებდა ჰიქსოსებს ებრაელობასთან, ხოლო მათ გარეკვას-ებრაელთა ამოსვლას ეგვიპტიდან. ევსევი კესარიელი ასევე ამტკიცებს, რომ იოსები მართავდა ეგვიპტეს ჰიქსოსების ზეობისას. წინააღმდეგობრივი ხასიათის გამო (მიღებულია დათარიღდეს ებრაელთა ამოსვლა XIII საუკუნეს ჩვ. წ. აღრიცხვამდე, XX საუკუნეში ჰიპოთეზას ეთანხმება მხოლოდ მცირე ნაწილი მეცნიერებისა)

ჰიქსოსთა მეფეები

მენაფემს მოყავს სახელი უცხო ჰიქსოს მეფეთა XV დინასტიიდან

სალიტინი

ბრონონი

აპასნანი

აპოპისი

იანისი

ასისი

არსებობს მოსაზრება, რომ აქ ნახსენები მეფეები მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობის მეფეები იყვნენ..ჰიქსოსების მმართველობის შედეგად, ეგვიპტეში წარმოიშვა ახალი სამომარი საჭურველი: რთული, უკანა მხარეს მოხრილი მშვილდი, სხვადასხვა სახეობა ხმლებისა და სატევრებისა, მათ შორის კნოპეში, ფარის ახალი სახეობა, ჯავშანი, მეტალის მუზარადი და მთავარი სიახლე, ოთხბორბალა სამომარი ეტლი, შებმული ცხენებით, რომლის გამოყენებამ შეცვალა ომის ტაქტიკა. (ვიკიპედია, ჰიქსოსები)

რას წარმოადგენენ ჰიქსოსები, რამდენად მნიშვნელოვანი მასაა სრულიად დედამიწაზე, არცთუ ისე მჭიდროდ დასახლებულზე?

ავარისი- დედაქალაქი ძველი ეგვიპტისა ჰიქსოსების ზეობისას, განლაგებული ნილოსის დელტის აღმოსავლეთით. პირველი დასახლება ავარისის ადგილას დაფუძნებული ჩანს XX საუკუნეს ჩვ. წ.აღრიცხვამდე ამენემხეტ I -ის დროს, XII დინასტიის მეფობისას. თანდათანობითი დასახლების კვალობაზე ამ ოლქში XII დინასტიის ბოლოს და XIII დინასტიის დასაწყისისათვის აზიური ტომებით დასახლება გაფართოვდა, გახდა მნიშვნელოვანი მრავალეროვნული ქალაქი- საზღვაო და სახმელეთო ვაჭრობის ცენტრი. XV ჰიქსოსების დინასტიამ გახადა ქალაქი ავარისი თავისი დედაქალაქი. მენეფონის სიტყვებით: ნახა რა ნომ სეტროტში განსაკუთრებულად კარგად განლაგებული ქალაქი, მდებარე მდინარე ბუბასტრსიდან აღმოსავლეთით, სახელდებული რომელიღაცა ძველი რელიგიური გადმოცემით, ავარისმა (პირველმა ჰიქსოსმა მეფემ) ააშენა იგი დიდად და გააწყო კედლებით (იოსებ ფლავიოსი; აპიონის -წინააღმდეგ)

მეგაფენი გვატყობინებს, რომ ჰიქსოსების დროს ავარისის მოსახლეობა შეადგენდა , ყველაზე ნაკლებ 240000 ადამიანს. ჰიქსოსების მმართველობისას ქალაქი აგრძელებს გაფართოებას, ადგილის უკმარისობამ მიიყვანა საცხოვრებელი ფართის შეჭრა სასაფლაოს ტერიტორიაზე, რის შედეგად საბოლოოდ ეს უკანასკნელი მჭიდროდ ეკვროდა საცხოვრებელ ფართობს და თვით სახლების შიგნითაც კი ხვდებოდა, ამავე დროს დასავლეთ მხარეში აღიმართა გამაგრებული ციტადელიც. გაიმარჯვა რა რიგ ბრძოლებში ხმელეთზე და ნილოსზე, იახმოს პირველი მჭიდროდ მიადგა ჰიქსოსების დედაქალაქ ავარისს და ალყა შემოარტყა მას. ავარისის ალყა გრძელდებოდა რამდენიმე წელს, იყო შეწყვეტილი ზემო ეგვიპტის აჯანყებით და ქალაქი აღებულ იქნა მხოლოდ 11 წლის შემდეგ, იახმოსის მმართველობისა. (დაახლოებით 1542 ჩვ.წ.აღრიცხვამდე) ჰიქსოსების განდევნის შემდეგ, ციტადელი გადაკეთდა, გადაიქცა ციხე სიმაგრედ, სამეფო რეზიდენციად. კედლების მოხატვაში მონაწილეობას ღებულობდნენ მინოსელი

მხატვრები. ტერიტორია დასახლებულ იქნა ამენხოტეპ -III- მმართველობ-ის დროს და როგორც ჩანს, რამზეს -II-დროს, დაახლოებით ჩვ.წ. აღრიცხ-ვამდე. 1278 წელს რამზეს II ჩრდილოეთით ავარისიდან აღმართავს ახალ სასახლეს პერ-რამზესს (სახლი რამზესისა) ეგვიპტის დედაქალაქი გადა-ტნილ იქნა იქ და ავარისი ხდება მისი პორტი. გარდა სანტორინისა, კრე-ტასა და ავარისისა, მხოლოდ ორ ადგილას შემოინახა კედლის მხატვრობა მინოსური სტილისა : ტელ-კაბრი იზრაელში და ალ- ადასი სირიაში. 1991 წელს გაკეთდა ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა: სასახლის ბაღის ნანგ-რევებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი ფრაგმენტი მინოსური საკედლო მოხატულობისა, მათ შორის ხარზე ამხედრებული ახალგაზრდისა...

...თავად ჰიქსოსები...

ტომი იმდენად მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი ჩანს იმ შორ-ეულ ეპოქაშიც კი, რომ მათი გარევა მცირერიცხოვან და უკვე გამქრალ ერებში შეუძლებელიც კია. თუ პომპონოუს მელას გამონათქვამი ერების შესახებ უნივერსალურია (და რომ ის უნივერსალურია, წინა ტომში უკვე დავრწმუნდით) რომ ერები არ ქრებიან უკვალოდ, არც ჰიქსოსთა ტომი (თუ გაერთიანება) უნდა იყოს გამქრალი...

„სკვითების მიერ ჩადენილ გმირობებზე, საუბარი საკმაოს დიდსა და დი-დებულ ერზე, დასაწყებია სკვითების ხალხის ჩამომავლობით. ყველაზე პი-რველი ნაბიჯები არა ნაკლებ დიდებულია, ვიდრე მათი გვიანდელი სამ-ფლობელო: მამაკაცთა შეუპოვრობით მათ სახელი გაითქვეს, არა უფრო მეტად, ვიდრე შეუპოვარი ქალებით. და ზუსტად მათ დააფუძნეს პართია და ბაქტრელთა სამეფო, მაგრამ მათმა ქალებმა დასაბამი მისცეს ამაზონე-ბის სამეფოს. ასე რომ, თუ ვინმე დაიწყებს ფიქრს სკვითი მამაკაცის და ქალების გმირობაზე, ნამდვილად დაეჭვდება, თუ რომელი სქესი უფრო სახელოვანია. სკვითთა ტომი ყოველთვის ითვლებოდა ყველაზე ძველად, თუმცა ეგვიპტელთა და სკვითთა შორის დიდხანს მიმდინარეობდა კამათი წარმოშობის სიძველეზე " (პომპეი ტროგი, ფილიპეს ისტორია, წიგნი II-1)

პომპეი ტროგის მიერ სკვითების დამსახურებაზე შექმნილ მთელ ამ ტირადაში საფუძვლიანი ეჭვი უნდა შევიტანოთ:

1. როგორც კვლევის პროცესში ირკვევა, პართიის სახელმწიფოს შექმნაში სკვითებს არავითარი როლი არ მიუძღვის, ისევე როგორც ბაქტრიისა.

2.ასევე არავითარი როლი არ მიუძღვის სკვით ქალებს ამაზონთა მატრი-არქალური სახელწიფოს შექმნაში.

3. სკვითებს მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა ხალხად მიიჩნევს ჰეროდოტე: **„როგორც სკვითები ამბობენ, ისინი ხალხებს შორის ყველაზე ახალგაზრდანი არიან (ჰეროდოტე; წიგნი V-5)**

თუმცა ჰეროდოტეს ეს ციტატა ერთი უკიდურესობიდან მეორეში გადავარდნაა მხოლოდ: ერები დედამიწის ზურგზე ფაქტიურად ყველა თანაბარ ასაკოვანია, ვინაიდან ისინი წარმოიშვნენ ერთროულად, განსხვავება მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ ზოგიერთი მათგანი ისტორიულ სარბიელზე გამოდის უფრო ადრე, ზოგიერთი გვიან... ამ მხრივ სკვითები სხვებზე (მაგალითად გერმანიკული ტომები) ასაკოვანნი ჩანან კიდეც...

„სკვითია გადაჭიმულია აღმოსავლეთის მიმართულებით და შემოსაზღვრულია ერთი მხრიდან პონტოს (შავი) ზღვით, მეორე მხრიდან რიპეის (ურალის) მთებით , ხოლო უკნიდან აზია და მდინარე ფაზისია“ (პომპეი ტროგი, იქვე, II-2)

აქაც ვერ არის სწორი და კორექტული პატივცემული ისტორიკოსი, რომელიც მდინარე ფაზისად არაქსის ზემო წელს გულისხმობს (ანტიკურ დროში ის ასეც იწოდებოდა) და რომლის მიდამოებშიც ამაზონები ფიქსირდებოდნენ)

„სკვითებმა სამჯერ შეძლეს აზიის დამორჩილება, ხოლო თვითონ არ იყვნენ საერთოდ შეხებულნი სხვისი მფლობელობით, ან რჩებოდნენ დაუმარცხებელნი. დარიოსი, სპარსელთა მეფე, მათ სირცხვილიანი გაექცა სკვითეთიდან. კიროსი მოკლეს მთელი მისი არმიით, ალექსანდრე დიდის სარდალი ზოპირინი ასევე გაანადგურეს მთელი თავისი ჯარითურთ. რომის იარაღზე მათ მხოლოდ გაეგონათ, თუმცა საკუთარ თავზე არ გამოუცდიათ. პართელთა და ბაქტრელთა სამეფოები მათ თავად ჩამოაყალიბეს. სკვითების ხალხი მკაცრია შრომაშიც და ომშიც, სხეულით საოცრად მძლავრები არიან. ის არ ეძებს არაფერს, მაგრამ არც კარგავს, ხოლო როცა გაიმარჯვებს, არ სურთ არაფერი, გარდა დიდებისა. პირველებმა, ვინც გამოუცხადეს სკვითებს ომი, ეგვიპტე და მეფე ვაზორისი იყო. წინასწარ გაუგზავნა მათ ელჩები მორჩილების მოთხოვნით. თუმცა სკვითებმა გაიგეს რა მეფის მოახლოების შესახებ, რომ მბრძანებელი ასეთი მდიდარი ხალხისა, უაზროდ არ უნდა იწყებდეს ომს ღარიბთა წინააღმდეგ, ნაცვლად იმისა, რომ შეშფოთებულიყო მის ქვეყანაზე შესაძლო თავდასხმის გამო, იმიტომ რომ ომის შედეგი საეჭვოა, გამარჯვებას არ მოაქვს მოგება, ხოლო დანახარჯი სახეზეა. ამიტომ სკვითები საერთოდ არ აპირებენ დაელოდონ, სანამ მტერი მოაღწევს მათ სამყოფელამდე და ამდენად მტრისგან შეიძლება მიიღონ გაცილებით მეტი (ვიდრე მტერმა მათგან) ისინი თავად წავლენ ნადავლის შესახვედრად. ითქვა და გაკეთდა. მეფემ რომ გაიგო, მტრის ასე ჩქარი მოახლოება, მიატოვა რა

თავისი არმია და მთელი პროვიანტი, გამზადებული მათთვის და შიშით შეიმალა თავის სამეფოში. სკვითების შეჭრას სამეფოში ხელი შეუშალა ჭაობმა. გამობრუნდნენ უკან, დაიმორჩილეს მთელი აზია, გახადეს რა ის საკუთარი მოხარკენი, მაგრამ შეაწერს მათ ზომიერი ხარჯი, უფრო ნიშანი თავიანთი მფლობელობისა მასზე, ვიდრე გამარჯვების აღსანიშნავად. აზიის დამორჩილებაზე სკვითებმა დახარჯეს 15 წელი, მაგრამ გამოძახებულნი იყვნენ იქიდან ცოლების მოთხოვნით, რომლენმაც მოციქულების საშუალებით შეუთვალეს, რომ ისინი თუ არ დაბრუნდებიან, მათ ცოლებს გადაწყვეტილი აქვთ გააჩინონ შთამომავალი მეზობლებისაგან, მაგრამ არ დაუშვებენ, რომ ქალების ბრალით შეწყდეს სკვითების ჯიში. 1500 წლის განმავლობაში უხდიდა აზია ხარკს სკვითებს. შეუწყვიტა სკვითებს ხარკის გადახდა ასირიის მეფე ნინოსმა“ (იქვე, წიგნი II-3)

ყველაზე საყურადღებო, რასაც პომპეი ტროგი ამბობს, სკვითების მიერ აზიის სამჯერ დამორჩილებაა, რომელიც უცილობელ ყურადღებას მოითხოვს... პომპეი ტროგიერთ ქვაბში ხარშავს ათასელი წლის უკან მომხდარ ამბავს და ასეთი სახით აწვდის მკითხველს, საჭიროა პომპეი ტროგის ცნობების კრიტიკული გადახედვა:

1. როგორც ზემოთ ითქვა, პართიის და ბაქტრიის სამეფოს შექმნაში სკვითებს არავითარი წვლილი არ მიუძღვით. პართი და ბაქტრი ხალხი აბსოლუტურად ანტიპოდი ხალხია სკვითებთან მიმართებაში. კიროსის დამარცხებაც მასაგეტების მიერ, არავითარ კავშირში არ ჩანს სკვითებთან...

2. ასევე ამაზონების სამეფოს შექმნასთან სკვითებს არავითარი კავშირი არ უჩანთ, თუმცა სხვა ეპიზოდში პომპეი ტროგი „დოკუმენტალურად“ ამტკიცებს ამას.

3. უკანასკნელი კვლევებით, სოგდი- ტაჯიკი სპიტამენის მიერ მაკედონელის ლაშქრის ცალკეული რაზმის სრულ განადგურებაში მონაწილე საკებს (ჰეროდოტეს მიერ არასწორად ამირგიელ სკვითებად მონათლულებს) არავითარი საერთო არ უჩანთ სკვითებთან.

4. რაც შეეხება აზიის დაპყრობას და დახარკვას, პომპეი ტროგის ვერსია აშკარად განსხვავებული ჰეროდოტესაგან, რომლის მიხედვით მ ცირე აზიაში სკვითებმა 28 წელი გაატარეს. ხოლო მათი წასვლა მცირე აზიიდან გაქცევა იყო, ვინაიდან ისინი ნადიმზე მოიწვია მიდიის მეფე კიაქსარესმა, დაათრო და ამოხოცა. დარჩენილმა ნაწილმა გაქცევით უშველა თავს. რაც შეეხება სკვითთა ცოლებს, ჰეროდოტეს სიტყვებით ისინი მშვენიერ დროს ატარებდნენ საკუთარ ბრმა მონებთან.

5)... და აზიის დახარკვა...პომპეი ტროგის მიხედვით სკვითები აზიას 1500 წლის განმავლობაში ახდევინებდნენ ხარკს. ხარკის მიცემა მისივე სიტყვებით მათ შეუწყვიტა ასირიის მეფე ნინოსმა. ჩვენი კვლევების თანახმად,

ნინოსი ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIV საუკუნის მეფეა, არიკ-დენ-ილი, ხოლო 29 საუკუნეს ქრისტეს წინ, თავად აზიის სახელმწიფოების არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სავარაუდოა, რომ აქ რომაული ციფრების არასწორ წაკითხვასთან გვაქვს საქმე, ხოლო პომპეი ტროგის მიერ ნახსენები 1500 წელი, სინამდვილეში 150 წელს მოიცავს...ამ შემთხვევაში სკვითური ხარკის შეწყვეტა აზიაში XVII-XV უნდა ხდებოდეს (18)

...და მაინც სკვითების მიერ აზიის რომელ სამ დაპყრობაზე მსჯელობს პომპეი ტროგი? ის და მხოლოდ ის ამახვილებს ყურადღებას ანტიკურ ისტორიაში ამ ფაქტზე ...შევეცადოთ ისევ და ისევ არქაული წყაროების გამოყენებით გორდიას კვანძის გახსნას: პირველი წყარო აზიაში სკვითების შემოჭრის შესახებ, ეს ჰეროდოტეს ცნობაა:

„კიაქსარესი, მიდიის მეფე ებრძოდა და სძლია ასირიელებს, ალყა შემოარტყა ნინოსს, მაგრამ მას თავს დაესხა სკვითების დიდი ლაშქარი, რომელსაც წინ უძღოდა სკვითების მეფე მადიესი, პროტოთეოსის ძე. ეს სკვითები შემოვიდნენ აზიაში მის მერე, რაც გაყარეს ევროპიდან კიმერიელები, ლტოლვილ კიმერიელებს მოსდევდნენ და ასე მოაღწიეს მიდიელთა ქვეყანას... ხოლო მაიეტსის ტბიდან მდინარე ფასისამდე და კოლხებამდე არის 30 დღის სავალი მსუბუქად შეიარაღებული კაცისათვის, ხოლო კოლხიდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპერების ტომი. ამათ რომ გასცდები, უკვე მიდიაში ხარ. მაგრამ სკვითები ამ გზით არ გადმოსულან, მათ გადაუხვიეს ზემო გზაზე, რომელიც ბევრად უფრო გრძელია, მარჯვნივ კი კავკასოსის მთები ჰქონდათ. ამ ადგილას შეებრძოლნენ მიდიელები სკვითებს, მაგრამ დაძლეულ იქნენ ბრძოლისას და დაკარგეს მმართველობა, სკვითებმა კი მთელი აზია ჩაიგდეს ხელში... აქედან სკვითები წავიდნენ ეგვიპტეში, და როდესაც მიადგნენ პალესტინეს- სირიაში, ფსამეტიქოსი, ეგვიპტის მეფე, შემოხვდათ საჩუქრებით და თხოვნით შეაჩერა, რომ უფრო წინ არ წამოსულიყვნენ...დაახლოებით 28 წელი ეპყრათ სკვითებს მცირე აზია და ყოველივე გაატიალეს თავისი თავხედობით და უდარდელობით. გარდა იმისა, რომ სკვითებმა ყოველი ტომი დაბეგრეს და ხარკს ახდევინებდნენ, ისინი ყაჩაღობდნენ და ეზიდებოდნენ თითოეული ტომისგან, რაც კი რამ ჰქონდათ... სკვითების დიდი ნაწილი დაპატიჟეს კიაქსარესმა და მიდიელებმა, დაათვრეს და ამოხოცეს“ (ჰეროდოტე, წიგნი I, 103-106)

სრულიად საწინააღმდეგო სურათს გვიხატავს ჰეროდოტე სკვითთა მბრძანებლობისა მცირე აზიაში და ალბათ სწორსაც. ეს ჰომეროსიდან, ხოლო შემდეგ სტრაბონიდან მომდინარეობს ლეგენდა სკვითების სამართლიანობის შესახებ, რასაც სტრაბონი და პომპეი ტროგი იმეორებს...

დღეს ისტორიაში გაბატონებული მოსაზრება, რომ კიმერიელების შემოჭრას მცირე აზიაში ადგილი ჰქონდა ჩვ. წ. აღრიცხვამდე VIII საუკუნის მეორე ნახევარში და ამავე საუკუნეში დაიპყრეს მცირე აზიის სხვადასხვა რეგიონები. უცნობია, თუ რა მონაცემებზე ეყრდნობა ისტორია ამ თარიღის დასხელებასთან, თუმცა ამ ვერსიის შემოწმების საშუალებას ჰეროდოტე გვაძლევს:

„მოვიგონებ ადრიესს, გიგესის ძეს, რომელიც გიგესის შემდეგ მეფობდა. მან დაიპყრო პრენიელები და მილეტშიც შეიჭრა. როდესაც ადრიესი იყო სარდელების ტირანი, მომთაბარე სკვითების მიერ გამოძევებული კიმერიელები თავისი საცხოვრებლიდან მოვიდნენ აზიაში, აიღეს სარდე მთლიანად, გარდა აკროპოლოსა (იქვე, წიგნი I-15)

ჰეროდეტეს ეს ცნობა საშუალებას იძლევა საკმაო სიზუსტით განვსაზღვროთ კიმერიელთა მიერ სარდეში შემოჭრის თარიღი. იმავე ჰეროდოტეს ცნობით, ადრიეს გიგესის ძე მეფობდა -49- წელი, მისი მემკვიდრე სადიატეს ადრიესის ძე -12-წელი. სადიატესის მემკვიდრე, ალიატეს სადიატესის ძე -57- წელი, ხოლო ბოლო მეფე სარდესი, კროისოს ალიატესის ძე-14- წელი. აქ მთავრდება დამოუკიდებელი სარდეს ისტორია, ვინაიდან სარდე სპარსეთის იმპერიამ დაიპყრო, მეფე კიროსის მეთაურობით. ეს უკანასკნელი თარიღი კი ზუსტად არის ცნობილი : სპარსეთის მიერ სარდეს დაპყრობა მოხდა ჩვ.წ. აღრიცხვამდე -547 წელს…

შესაბამისად კროისოსი მეფონდა 561- 547 წ, ზეობის პერიოდი 14 წელი.
ალიატესი მეფობდა 618-561 წელი, ზეობის პერიოდი 57 წელი.
სადიატესი მეფობდა 630- 618 წელი, ზეობის პერიოდი 12 წელი.
ადრიესი მეფობდა 679-630 წელი, ზეობის პერიოდი 49 წელი.

კიმერიელები, რომელნიც ადრიესის ზეობისას შემოიჭრნენ მცირე აზიასა და სარდეში შემოჭრილი ჩანან ჩვ.წ. აღრიცხვამდე 679-630 წლების დიაპაზონში. ამასთან, ისინი არა უგვიანეს 630 წელს უკვე მცირე აზიაში იყვნენ (ამ წელს მთავრდება ადრიესის მეფობა, რომლის დროსაც მოხდა კიმერიელების შემოჭრა მცირე აზიაში)

...და კიდევ…ალიატესი, ლიდიის მეფე ებრძვის კიაქსარესს, მიდიის მეფეს. მიზეზი მათი მტრობისა იგივე სკვითები არიან:

„სკვითი ნომადების ერთმა ჯგუფმა აჯანყების შემდეგ მიდიის მიწა- წყალს მიაშურა…ამ დროს მიდიელებზე ტირანობდა კიაქსარესი, ფრაორტეს დეიკოსის ძე, რომელიც ამ სკვითებს პირველად კარგად ეპყრობოდა, როდესაც ისინი მის კარს შეეფარნენ. იმდენად დააფასა კიაქსარესმა ესენი, რომ ბავშვები მისცა მათ ენის სასწავლებლად და მშვილდოსნობის ხელოვნებაში გამოსაწვრთნელად. დრო გავიდა, სკვითები მუდამ დადიოდნენ სანადიროდ და მუდამ რაღაცა მოჰქონდათ. ერთხელ კი მოხდა რომ ვე-

რაფერი დაიჭირეს. ცარიელი ხელით დაბრუნებულებს კიაქსარესი (რადგანაც მას, როგორც ჩანს საკმაოდ ფიცხი ხასიათი ჰქონდა) ძალიან მკაცრად და უდიერად მოეპყრო.. სკვითებმა იუკადრისეს კიაქსარესის ასეთი ქცევა, ამიტომ გადაწყვიტეს, რომ იმ ყმაწვილთაგან, რომელთაც ენას ასწავლიდნენ, ერთი დაეკლათ. მათ მოამზადეს ის, როგორც ჩვეულებრივ ნადირის ხორცს ამზადებენ ხოლმე, მიუტანეს და მიართვეს კიაქსარესს, ცხადია როგორც ნანადირევი. მიუტანეს და სასწრაფოდ წავიდნენ ალიატეს სადიატესის ძესთან სარდეში. ასე იყო ეს ამბავი. კიაქსარესმა და მისმა სტუმრებმა, ვიმც მასთან იყვნენ, ჭამეს ეს ხორცი, ხოლო ის სკვითები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს, ალიატესს შეეფარნენ" (იქვე, I-73)

რასაკვირველია, ეს ის სკვითებია, რომლებიც მცირე ხნის წინ შემოიჭრნენ მცირე აზიაში, ხოლო მათი ლიდიის მეფესთან თავის შეფარების თარიღის დადგენაც არ უნდა იყოს ძნელი:

„ამის შემდეგ, როდესაც ალიატესმა არ გასცა სკვითები, რომელთაც თხოულობდა კიაქსარესი, გაჩაღდა ომი ლიდიელებსა და მიდიელებს შორის და გაგრძელდა 5 წელი. იმ დროს ხშირად მიდიელები სჯობნიდნენ ლიდიელებს და ხშირად კიდევ ლიდიელები მიდიელებს. ამავე დროს მოუხდათ ერთი ღამის ბრძოლა. ორივე მხარე თანაბარი წარმატებით ომობდა, მეექვსე წელს, როდესაც შეეჯახნენ ერთმანეთს და ბრძოლა დაიწყო, მოხდა ისე, რომ დღე ღამედ იქცა. თალეს მილეტელმა იონიელებს უწინასწარმეტყველა, რომ იქნებაო დღის ეს შეცვლა, განსაზღვრა კიდეც ეს წელიწადი, როდესაც მოხდებოდა ეს შენაცვლება" (იქვე, I-74)

...მაგრამ მზის ამ დაბნელების ზუსტი თარიღი ცნობილია, ჩვ. წ. აღრიცხვამდე 585 წელი... შესაბამისად კიაქსარესისაგან სკვითების ლიდიაში ლტოლვის თარიღი აბსოლუტური სისწორითაა ცნობილი: 585+6=591 ჩვ. წ. აღრიცხვამდე. თუმცა ეს ციფრი არ და ვერ გვაძლევს პირდაპირ ცნობებს სკვითთა მცირე აზიაში შემოსვლის თარიღის შესახებ, ის უბრალოდ ამტკიცებს მათ აქ ყოფნას ჩვ.წ. აღრიცხვიდან 591 წელს... მაგრამ როდის შემოვიდნენ? იმ წელს, როდესაც მიდიის მეფე კიაქსარესი ასირიის სამეფოს დაქცევის ბოლო აკორდს ასრულებს, ჩვ.წ.აღრიცხვამდე 612-613 წელს...

საინტერესოა, რომ შესაძლებელი ჩანს თვით კიაქსარესის ზეობის ზუსტი წლების განსაზღვრაც კი, თუმცა პირდაპირი ცნობები ამის შესახებ არ არსებობა:

„სკვითების დიდი ნაწილი დაპატიჟეს კიაქსარესმა და მიდიელებმა, დაათვრეს და ამოხოცეს. ეგრე დაიბრუნეს ძალაუფლება მიდიელებმა და ეპყრათ ის ხალხები ისევე, როგორც უწინ. ნინოსიც აიღეს და ასირიელებიც დაიმორჩილეს, გარდა ბაბილონის ნაწილისა. ამის შემდეგ გარდაი-

ცვალა კიაქსარესი, რომელიც მეფობდა 40 წელი, თუ ჩავთვლით მასში იმ წლებსაც, როდესაც სკვითები მბრძანებლობდნენ“ (იქვე I-106)

რასაკვირველია იმ ეპოქისათვის ახალი სუზერენი ტახტზე ადის მხოლოდ წინამორბედის სიკვდილის შემდეგ:

„ასტიაგესმა (კიაქსარესის შვილმა) იმეფა 35 წელი...მიდიელები განაგებდნენ მდინარე ჰალისის ზემოთ მდებარე აზიას 130 წელს ორ წელ ნაკლებს. ამაში არ შედის სკვითების მმართველობის ხანა“ (იქვე, I-133)

კიროსის მიერ მიდიის დაპყრობის ზუსტი თარიღი ცნობილი: ჩვ. წ. აღრიცხვამდე 559 წელი; შესაბამისად ასტიაგეს კიაქსარესის ძე მეფობდა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 559-594 წლები. კიაქსარეს ფრაორტესის ძე, რომელმაც 40 წელი იმეფა, მეფობდა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 594-634 წლებში. სკვითების მცირე აზიაში შემოჭრისას და კიაქსარესის მიერ ასირიის ალყისას, ის უკვე საკუთარი ზეობის მე-21ე წელს ითვლდა. (ამ ალყის მიმდინარეობისას კიაქსარესმა ასირიის აღება ვერ შეძლო და ამაში ზუსტად იმვე სკვითების შემოჭრამ შეუშალა ხელი). თავად მიდიელების ზეობა მცირე აზიაში: 128+28= 156წ; 559+ 156= 715 წელს ჩვ. წ. აღრიცხვამდე. შესაბამისად, მიდიელთა მმართველობა მცირე აზიაში ჩვ.წ. აღრიცხვამდე 715 წელს დამყარებულა...(19) აბსოლუტურად არასწორად და ტენდენციურად ჩანს გაშუქებული ეს სიტუაცია მავანი დიაკონოვის მიერ, რომელსაც სკვითთა მიერ მიდიის დამორჩილების თარიღი ათეულობით წლებით უჩანს გადაწეული წინ...

რაც შეეხება კიმერიელებს, იმავე ჰეროდოტეს მონაცემებით, კიმერიელები შემოვიდნენ სარდეში არა უგვიანეს 630 წლისა ჩვ. წ აღრიცხვამდე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სარდეს ტირანი ადრიესი იყო (ზუსტად ამ წელს მთავრდება მისი ზეობის ხანა) შესაბამისად, სკვითების მცირე აზიაში ლაშქრობას ვერ დაარქმევ კიმერიელების კვალში მოყოლას და დევნას, რამეთუ პირველს მეორიდან მინიმუმ 18 წელი აშორებს, ადამიანთა ერთი თაობა...კორექტირება სჭირდება მიდიელთა სამეფოს სკვითების ხარკქვეშ მოხვედრის თარიღსაც: ის ვერ მოხდებოდა ჩვ.წ. აღრიცხვამდე 612 წელზე ადრე... იმავე დიაკონოვის მიხედვით:

„სიტყვა - სიტყვიერი ტექსტი ქრონიკა გადასი, ჩვ. წ. აღრიცხვამდე 612 წელს (იმ ზომით, რა ზომითაც შემონახულია, რადგან ამ ადგილას ძალიან დაშლილია) ის რაც შეიძლება გაგება ნაუმის წიგნიდან, უფრო უჩვენებს ჩქარ და მოკლევადიან ალყას ნინევიისა და მოულოდნელ მის აღებას. ამიტომაც სრულიად დასაშვებია, რომ მიდიელები 613 წელს დაკავებულნი იყვნენ სრულიად სხვა საქმით“ (ი მ. დიაკონოვი, მიდიის ისტორია, გვ 506-307; რუსულად)

ამ შემთხვევაში დიაკონოვი აბსოლუტურად სწორია, 613 წელს მიდიელებს მაშინ დაესხა სკვითების ლაშქარი თავს, როცა მას ასირიისათვის ალყა ჰქონდა შემორტყმული **(ჰეროდოტე; წიგნი I-103)** შესაბამისად, მიდიის მეფე კიაქსარესი ასირიის აღებას 613 წელს ქრისტემდე ვერ შეძლებდა...ეს საქმე თავად დახარკულმა კიიაქსარესმა (როგორც ეტყობა) თავისი დამხარკველი სკვითების დახმარებით (როგორც ასირიის ისტორიის გადმოცემაშია მიღებული) მოახერხა მომდევნო 612 წელს ქრისტემდე...

„ხოლო სადიატესის მემკვიდრე იყო ალიატესი. ის ეომებოდა კიაქსარესს, დეიოკესის ჩამომავალს და მიდიელებს. ამასთანავე მან კიმერიელები გაიძევა აზიიდან, აიღო სმირნა, რომელიც კოლოფონის ახეალშენი იყო და კლაძომენეში შეიჭრა“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I-16)

ალიატესის მიერ კიმერიელების აზიიდან გაძევება (დაფანტვა) მისი ზეობის პირველსავე წლეებში ჩანს განხორციელებული. ის გამეფდა 618 წელს , ხოლო 613 წელს სკვითებს მცირე აზიაში მცხოვრები კომპაქტურად ჩასახლებული კიმერიელები არც დახვედრიათ. თავად ჰეროდოტე საუბრობს კიმერიელთა განსახლებას სინოპას ნახევარკუნძულის უშუალო სიახლოვეს და რომელი ხალხიც ჩვენი გამოთვლით პაფლაგონიელთა სახელს ღებულობს. შესაბამისად ჰომეროსი, რომელიც პაფლაგონების ტროას ომში მონაწილეობას აღწერს (თუმცა ბერძნული საზოგადოების დასაკვალიანებლად მიუთითებს, რომ პაფლაგონები ენეტების, შედარებით ადრინდელი მცხოვრებლების გვერდით ცხოვრობენ სინოპას ნახევარკუნძულზე) ვერ იქნება ჩვ. წ .აღრიცხვამდე VII საუკუნის მესამე მეოთხედზე უფრო ადრე მცხოვრები პოეტი. ცხადია ჰეროდოტეს სიტყვები, რომ ჰესიოდე და ჰომეროსი მასზე (ჰეროდოტეზე) ოთხი საუკუნით ადრე იყვნენ, მის კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს (20)

რაც შეეხება სკვითების მიერ განხორციელებულ სამხედრო რეიდს ეგვიპტის მიმართულებით, ის არ შეიძლება ჩვ. წ. აღრიცხვამდე 613 წელზე უფრო ადრე მოხდარიყო. ეგვიპტის საზღვრებიდან უკან მობრუნებულმა სკვითებმა ფინიკიის ქალაქ ასკალონის სამსხვერპლო გაძარცვეს, რაც აშკარად აჩვენებს მათი ლაშქრობის მიმართულებას: ისინი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს მიუყვებიან ლიდიიდან (როგორდ ჩანს, ეს ტრასა მათთვის წარსულიდან საკმაოდ ნაცნობი უნდა იყოს) როგორც ჰეროდოტეს ისტორიიდან ცნობილია, სკვითებმა 28 წელი გაატარეს მცირე აზიაში. მანამ მათი დიდი ნაწილი მიდიის მეფემ, კიაქსარესმა მოიწვია ნადიმზე, დაათრო და თავის ქვეშევრდომებს ამიაწყვეტინა. გადარჩენილმა ნაწილმა თავს გაქცევით უშველა და ყირიმის ნახევარკუნძულს მიაღწია. ყირიმის ყელზე მათ შეჯახება მოუწია საკუთარი ცოლების წამოზრდილ ნაბიჭვარებთან,

რომელთაც სცადეს მათი ყირიმში არ შეშვება და ამ მიზნით ყირიმის ყელიც კი გადათხარეს (პერეკოპი) თუმცა სკვითებმა შესძლეს მათი წინააღმდეგობის დაძლევა. თავად მცირე აზიაში შემორჩენილი ცალკეული სლავური სიტყვები, შესაძლოა მათი 28 წლიანი ბატონობის კვალი უნდა იყოს:

„იმ ქალს, ვისთანაც მითრიდატესი ცხოვრობდა, ელინურ ენაზე ერქვა კინო- ხოლო მიდიურზე სპაკო (რადგანაც მიდიურად ძაღლს სპაკა-ს უწოდებენ)" ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I-110)

როგორც ირკვევა, მიდიელები - ეს თრაკიული წარმოშობის ტომია. თრაკიული, რომლის ფუნდამენტში ბულგარული ენა დევს, თავად ბულგარული კი:

„ ბულგარული ენა - ბულგარების ენაა, რომელიც წარმოადგენს სამხრეთ ქვეჯგუფს სლავური ჯგუფისა, ინდოევროპული ენებისა" (ვიკიპედია)

ცხადია სპაკა -მიდიურად, სამხრეთ სლავურად მართლაც ძაღლის აღმნიშვნელი სიტყვაა და ის მიდიელთა სალაპარაკო სიტყვა ჩანს და არა სკვითური გადმონაშთი...თუმცა მიდიური სიტყვა სპაკა-ში აშკარად იკითხება სკვითური (სკლავური) ძირი სიტყვისა სობაკა-ძაღლი... და აი ეს კი ვინ არის.?:

„მისი მეფობის დროს, ეგვიპტეს თავს დაესხნენ ეთიოპები და <u>საბაკოსი</u>, ეთიოპიელთა მეფე დიდძალი ძალით. ეს უსინათლო გაიქცა ჭაობისაკენ, ხოლო ეთიოპთა მეფე მეფობდა ეგვიპტეში დაახლოებით 50 წელი" (ჰეროდოტე, წიგნი II-137)

საბაკოსი-ეგვიპტის მეფე 725-667 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე. ასეთი განმარტება ახლავს ამ საბაკოსის სახელს იმავე ჰეროდოტესთან, შენიშვნებში. ამ მეფის სახელის ქვეშ კი აშკარად იკითხება სკლავური სიტყვა საბაკა (და არა მიდიური სპაკა)... XXV დინასტია (ასევე იწოდება კუშიტურ, ანუ ეთიოპურ დინასტიად, დაახლოებთ **715-654 ჩვ. წ. აღრიცხვამდე (61 წელი) (აკერმანის მიხედვით)... დაახლოებით 746-655 ჩვ.წ. აღრიცხვამდე (91 წელი) ბეკეტი ... დაახლოებით 722-655 ჩვ.წ.აღრიცხვამდე (67 წელი) ხორნენგე**

XXV დინასტია ითვლებოდა დამპყრობელად- უცხოტემელებად და მათი წარმომადგენლები მართავდნენ ქვეყანას. უფრო დაზუსტებული ეს მონაცემები ეგრეთ წოდებული <u>ქუშის (?)</u> მმართველთა სიაშია:

..შაბაკა, ნეფერკერა, საბაკ (717-703) ჩვ. წ. აღრიცხვამდე

..შაბატაკა (ჯედკაურა) (703-690) ჩვ. წ. აღრიცხვამდე

..თახარკა, ნეფერიტემხურა, ტირგანკა (690-664) ჩვ. წ. აღრიცხვამდე

საერთო ჯამი ამ უცხოტომელი ფარაონების ზეობისა 717-664=53 წელი (ვიკიპედია)

„ეთიოპიელის წასვლა, ამბობენ საბოლოოდ ასე მოხდაო. მან ძილში ნახა ისეთი სიზმარი, რომ ადგა და გაიქცაო. მოეჩვენა კაცი, რომელიც მი-

ვიდა მასთან და ურჩია, ეგვიპტის ქურუმები შეეგროვებინა და ყველანი სათითაოდ შუაზე გაეჩეხა. სიზმრის ნახვის შემდეგ მან თქვა, რომ ღმერთებმა ეს მითითება უთუოდ იმიტომ მისცეს, რომ ის უპატიოდ მოქცეოდა სალოცავებს და ამის შედეგად ღმერთებისაგან ან ადამიანებისაგან რაღაც უბედურება დამართნოდა. ამიტომაც ასე კი არ მოიქცა, არამედ წავა, რადგან გაუვიდა ეგვიპტის მართვის დრო, რაც მას წინასწარმეტყველება ჰქონდა. რადგან მართლაც, ის რომ ეთიოპიაში იყო, იმ სამისნომ , რომელსაც ეთიოპები მიმართავდნენ ხოლმე, გამოუცხადა მას, რომ ეგვიპტეში 50 წელი უნდა იმეფოს, ახლა კი დრო გავიდა, სიზმარმაც შეაშფოთა საბაკოსი, იმანაც აიღო და ეგვიპტე თავისი ნებით დატოვა“ (ჰეროდოტე,წიგნი III-137-139)

ისტორიული ექსკურსი

საერთოდ ჰეროდოტე დარწმუნებით საუბრობს ისეთ ისტორიულ მოვლენებზე, რომელნიც მისი მოღვაწეობიდან 100-150 წლით ადრე ჩანს მომხდარი... უფრო ადრინდელზე- გაცილებით ბუნდოვნად და თავდაუჯერებლად...ხანდახან ფაქტს კი მოყვება და ამბობენო- დაუმატებს... ხანდახან კი მოყვება, მაგრამ მე არ მჯერაო- დაამატებს…რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ ციტატას ეგვიპტისა და მისი ეთიოპი მმართველს- საბაკოსის, შესახებ, 250 და უფრო მეტი წელია გასული ჰეროდოტეს მიერ ამ სიუჟეტის აღწერამდე ... შესაბამისად ჰეროდოტეს საკმაოდ ბუნდოვანი და აღრეული ცნობები უნდა მოეპოვებედოს მის შესახებ.

... და მასაგეტები ...მრავალი ციტატა და ასევე არც თუ ისე ცოტა გვერდი მიუძღვნა მიუძღვნა ჰეროდოტემ ამ ტომს... და მაინც ვერავინ დარწნუმებით ვერ იტყვის, ვინ არის ეს ტომი...ძირითადად ისინი კასპიის ზღვის აღმოსავლეთით, შუა აზიაში მცხოვრები ტომია, მაგრამ:

„მომთაბარე სკვითები ცხოვრობდნენ აზიაში, ომში მასაგეტების მიერ შევიწროებულებმა გადაიარეს მდინარე არაქსი და მივიდნენ კიმერიელების ქვეყანაში (რადგან ეს ქვეყანა, სადაც ახლა სკვითები ცხოვრობენ, ამბობენ კიმერიელებისა იყოო)“ (ჰეროდოტე; წიგნი IV-11)

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჰეროდოტე აქ სკვითთა თავდაპირველ განსახლებაზე მოგვითხრობს, მაგრამ:

„ხოლო არაქსის შესახებ ზოგი ამბობს, რომ დიდია ისტროსზე, ზოგი კ ი ამბობს უფრო პატარაა.ო. ამბობენ, რომ იქ ბევრი კუნძულებია, სიდიდით ლესბოსის ოდენა. იქ ცხოვრობს ხალხი, რომელიც თხრის ყოველგვარ ფესვებს და ზაფულობით იმით იკვებება, ხოლო ხეებზე კრეფენ და აგროვებენ მწიფე ნაყოფს და მას ჭამენ ზამთრობით. მათ ქვეყანაში მოიპოვება-

სხვა ხეებიც, რომლებიც რაღაც თავისებურ ნაყოფს ისხამენ. თვითონ ხალხი ერთ ადგილას გროვდება ხოლმე ჯგუფად , ანთებენ ცეცხლს, ირგვლივ შემოუსხდებიან და ცეცხლში ყრიან ამ ნაყოფებს, ყნოსავენ ამ დამწვარ ნაყოფებს, რომლებიც ცეცხლშია ჩაყრილი და თვრებიან სუნისგან. ისევე, როგორც ელინები ღვინოსაგან და რაც მეტ ნაყოფს აგდებენ, მით უფრო მეტად თვრებიან, ბოლოს კი დგებიან საცეკვაოდ და იწყებენ სიმღერას. მათ შესახებ ამბობენ, რომ ისინი ასეთ ცხოვრებას ეწევიან. ხოლო მდინარე არაქსი მომდინარეობს მატიენთაგან“ (იქვე; წიგნი I-202)

საინტერესოა, რომ ჰეროდოტე აქ ზუსტად მასაგეტებზე საუბრობს, და მისი ეს მასაგეტები ამჯერად დაზუსტებით კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ვხოვრობენ. ასევე მის მიერ ციტატის დასაწყისში აღნიშნული არაქსი, რომლითაც სიდიდით ისტროსს (დუნაის) ადარებს, ერთმნიშვნელოვნად შუა აზიის მდინარეა: ამუ-დარია თუ სირ -დარია...(უფრო ეს უკანასკნელი) მაგრამ…ციტატის ბოლოს ნახსენები არაქსი, რომელიც მატიენათაგან (სახელმწიფო მცირე აზიაში, არმენიის გვერით, გვიანდელი კომაგენა) აშკარად მცირე აზიასა და არმენიაზე გამავალი თანამედროვე მდინარე არაქსია... და რატომ ასეთი უხეში შეცდომა ?... არ და ვერ ფლობს ამ საკითხს ჰეროდოტე და მიზეზი ზუსტად ის უნდა იყოს, რაც ზემოთ ვახსენეთ-ძალიან შორეული ამბავი ზუსტი ცოდნისათვის...

„საკები ახორციელებდნენ თავდასხმებს კიმერიელებისა და ტრერების დარად. ასე მიიტაცეს მათ ბაქტრიანა, და დაეუფლნენ უკეთეს მიწებს არმენიისა, სადაც დატოვეს სახელი თავიანთი სახელის მიხედვით -- საკაშენა; ისინი მივიდნენ თვით კაბადოკიამდე, კერძოდ მათამდე, რომლებიც ცხოვრობენ ევქსენის (შავ) ზღვასთან და ახლა იწოდებიან პონტიაკებად. სპარსეთის პოლკოვნიკებმა, რომლებიც იყვნენ მაშინ ამ ქვეყანაში, დაესხნენ მათ ღამე თავს, საყოველთაო ზეიმისას და ნადავლის გაყოფისას, და სრულიად ამოწყვიტეს ეს ტომი. აღმართეს ამ ვაკეზე რომელიღაც ნაყარი მთა, მეთაურებმა მისცეს მას გორაკის ფორმა, შემდეგ ააშენეს კედელი და აღმართეს ანაჰიტის და სხვა ღმერთების, რომლებსაც მასთან საერთო სამსხვერპლო გააჩნიათ--სპარსულ ღმერთებს ომიზას და ანადატს, დაადგინეს დღესასწაული „საკეა“ რომელსაც ზელას (ასე ეწოდება ამ ადგილს) მცხოვრებნი იხდიან ახლაც კი“ (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი X; VII-4)

სტრაბონის მთელი ამ ციტატის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საკეას დღესასწაული--ეს სპარსელების მიერ კაბადოკიაში საკების განადგურების დღესასწაულია ... ამასთან, მისი სიტყვებით საკები ოპერირებენ ... ბაქტრიიდან-უზბეკეთიდან საკაშენამდე (მდებარე კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპირომდე) და პონტომდე-შავი ზღვისპირა ხალხამდე- სტრაბონისეულ პონტიაკებამდე...

„ასეთია ერთი მწერლების ნაამბობი საკებზე. სხვათა სიტყვებით, კიროსი წავიდა სალაშქროდ საკებში, მაგრამ დამარცხებული შეტაკებაში გაიქცა... კიროსმა მისცა მეომრებს დასვენების საშუალება და შემდეგ დატოვა კარ-ვები, ხორაგით სავსე, საღამოს კი გაერიდა, ვითომცდა გაიქცა...საკები მო-იდნენ და დაიკავეს ბანაკი, მიტოვებული ხალხისაგან, საჭმელ -სასმელით სავსე, გაძღნენ და დათვრნენ. მაშინ კიროსი დაბრუნდა და თავს დაადგა სიმთვრალით ჭკუადაკარგულ საკებს. ერთნი გაწყვეტილ იქნა ღრმა ძი-ლის დროს, მეორენი დაეცნენ მოწინააღმდეგის ხმლისაგან იმ დროს, რო-დესაც უიარაღონი ვაკხანალურად ცეკვავდნენ და თითქმის ყველა ამო-წყვიტეს... კიროსმა მიუძღვნა ეს დღე საკუთარ წინაპრებს, ღმერთებს და დარქვა მას „საკეა“...საკეა-- ეს ვაკხანალიური დღესასწაულია, რა დროსაც სკვითურ ტანსაცმელში გამოწყობილი მამაკაცები სვამენ და უდიერად ეთამაშებიან ერთმანეთს და მათთან ერთად მოქეიფე ქალებს“ (იქვე, წიგნი X; VIII-5)

რასაკვირველია სტრაბონითვის ჩვეულ აბრაკადაბრასთან და ალოგ-იკურობასთან გვაქვს საქმე- წინა ორი ამონარიდი ერთმანეთისაგან სრულ-იად განსხვავებულ სიუჟეტებს ასახავდა დროში და სივრცეში სრულიად აცდენილია ერთმანეთს: პირველი კაბადოკიაში ხდება- მეორე შუა აზიაში, ბაქტრიის მეზობლად. ამასთან სტრაბონი მიზანმიმართულად არ ამთავ-რებს უკანასკნელ სიუჟეტს. რასაკვირველია მასაგეტებში საკების ხალხი არის საგულისხმებელი, მაგრამ სიუჟეტს -ჰეროდოტესაგან აღებულს სულ სხვანაირი ბოლო აქვს: მასაგეტების დედოფალმა ტომირისმა, რომლის შვი-ლი მოკლული იქნა კიროსის ნახმარი ხრიკის დროს, შური იძია კიროსზე. მან შეკრიბა ლაშქარი და დაამარცხა სპარსელები, თავად კიროსი დაი-ღუპა. დედოფალმა მისი თავი მოაჭრევინა, სისხლით სავსე ტიკში ჩააგდო და სისხლით გაძღობა უსურვა. ნიშანდობლივია, რომ ორივე შეტაკება სპარსელებისა და მასაგეტ - საკებისა, ერთი საომარი კომპანიის შედეგია. შესაბამისად, საკეას დღესასწაული კიროსის დაწესებული ვერ იქნება, რო-მელმაც ჰეროდოტეს მიხედვით საკებთან გამარჯვების ზეიმიც კი ვერ მო-ასწრო. (სინამდვილეში, მასაგეტების- საკების შეტაკებას კიროსთან სულ სხვა ხასიათი აქვს მეორე ავტორის, კტესია კნიდოსელის მიხედვით, და რომელი ვერსიაც უფრო პრიორიტეტული ჩანს) (21) ერთადერთი და სწო-რი ინფორმაცია სტრაბონისა, ეს საკებს შეეხება, რომელნიც საკეას დღესა-სწაულს სკვითების ტანსაცმელში გამოწყობილნი ხვდებიან. სკვითებისა, თუმცა როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკებს არავითარი გენეტიკური ნათე-საობა სკვითებთან არ უჩანთ:

“ბეროსი თავის წიგნში, ბაბილონის ისტორია ამბობს, რომ ლოოსის თვე-ში, თექვსმეტ რიცხვში, ბაბილონში ხუთი დღის განმავლობაში აღინიშნე-

ბა დღესასწაული სახელწოდებით „საკეა“, რა დროსაც ჩვეულების მიხედ-ვით მსახურები ბატონობენ თავიანთ ბატონებზე, სახლს უძღვება ერთ-ერთი მსახური, გამოწყობილი ტანსაცმელში მეფურის (ბატონების) მსგავ-სში, რომელსაც უწოდებენ ზოგანეს. (ბეროსი, ბაბილონური ისტორია F-2)

ბეროსის ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ საკეა საყოველთაო დღესასწ-აულია (და არა მხოლოდ კაბადოკიური, სადაც სტრაბონის მიხედვით სპა-რსელმა პოლკოვნიკებმა გაწყვიტეს საკები) შესაბამისად იმ მოვლენას, რო-მელსაც საკეა ჰქვია, მცირე აზიაში საყოველთაო საფუძვლები უჩანს. სა-კეა-ეს ის დღესასწაული ჩანს, როდესაც ჩაგრულმა შეძლო მჩაგვრელების უღლის გადაგდება, რომლის სიმბოლიკასაც ბატონის და ყმას ურთიერთ დამოკიდებულების ცვლილება აჩვენებს, თუმცა მხოლოდ ხუთი დღით... და ვინ არიან მჩაგვრელები? რასაკვირველია სკვითები, რომელთა ტანსაცმ-ელს იცვამენ მამაკაცები და ბატონობას ანსახიერებენ (უდიერად ეპყრობი-ან გარსემო მყოფთ, მამაკაცებს და ქალებს) ამასთან უხეშად ელაზღანდა-რებიან ერთმანეთს ...და რატომ საკეა? როგორც ჩანს, სკვითების განდევნა ამჯერად საკების ხელით ხდება...

და რა დატვირთვა აქვს სიტყვა “ზოგანეს“? ეს ის პროცესის აღმნიშ-ნელი ჩანს, როდესაც მსახური იცვამს ბატონის ტანსაცმელს (სტრაბონის მიხედვით სკვითურს) და ბატონობს ყოფილ ბატონებზე, თუმცა მხოლოდ ხუთი დღით.

წეღან -აწის უწინ, ენთკელ, (ერთხელ) ასე განიმარტება ეს სიტყვა სულხან საბასთან. როგორც განმარტებიდან ჩანს, ის ერთხელ მომხდარს ნიშნავს, მაგრამ ამასთანავე მომხდარს არც ისე შორეულ წარსულში. წეღანის ფხოვ-ური, უფრო არქაული ქართულის შესატყვისი ძოღან-ია. ეს სამხვეწროა ბე-რდიავ, <u>ძოღან</u> მოკლული ქისტისა...წეღან- ძოღან, ერთხელ არცთუ შორე-ულ დროში მომხდარ ამბავს ნიშნავს...**საკეა**-ეს ხუთ დღიანი ბაბილონური დღესასწაული **ძოღან** მომხდარი მოვლენის აღმნიშვნელი დღესასწაული ჩანს, როდესაც ბატონები (მჩაგვრელები) თავადვე გახდნენ ხელქვეითები (ჩაგრულები). როგორც დღესასწაულის სახელწოდებიდან ჩანს, ამ მომხდა-რი ქმედების შემოქმედნი საკები გახლავთ, ზემოქმედების საგანი-დამარ-ცხებული, განადგურებული და განდევნილი სკვითები. ..

შესაბამისად, ჩვ.წ. აღრიცხვამდე 717-690 წლები ჩანს ის პერიოდი, როდესავ სკვითები ზეობდნენ და ძალადობდნენ ეგვიპტესა და მცირე აზ-იაში. ზუსტად ეს 690 წელი ჩვ. წ. აღრიცხვამდე ჩანს ის თარიღი, როდე-საც საკთა მიერ სკვითები განიდევნა ეგვიპტიდან და მცირე ზიიდან. ზუ-სტად ამ წელს ჩანან დამკვიდრებულნი ის საკები კასპიის ზღვის დასავ-ლეთ სანაპიროზე, რომელსაც საკაშენა ეწოდა და რომელსაც სტრაბონი აღ-ნიშნავს თავის წინა ციტატაში. საკეა-ეს მამაცი საკური ტომების მიერ სკვ-

თთა განდევნის პროცესი ჩანს, მცირე აზიასა და ეგვიპტიდან, და არა საკთა განდევნა მცირე აზიიდან-იგივე აფსართა ჩამომავალი ერთ-ერთი ტომისა, რომელიც სამი ათეული საუკუნეა ცხოვრობს მცირე აზიაში თუ საბერძნეთი- იტალია-ესპანეთის ტერიტორიაზე, და რომელთა დიდი ნაწილი შუა აზიური და კავკასიური გადასახლების მერეც რჩებიან მცირე აზიაში (22)

…და მაინც რატომ ზემოთ ხსენებული ქუშის სია ეგვიპტელი ფარაონებისა? (ჰეროდოტეს სიტყვებით, ის ამ სიას გაცნობილია) როგორც ჩანს, სკვითთა ამ შეტევას ეგვიპტეზე მომხრეების ყავს კუშიტთა ცალკეული ტომის სახით, რომელთაც 27 წლის შემდეგ, სკვითთა ეგვიპტიდან განდევნის კვალდაკვალ, მცირე აზიიდან მოუწიათ ლტოლვა...ზუსტად სკვითებთან ერთად ლტოლვილ განდხარვთა ერთი შტო ჩანს ის გელები და გელონები, რომლებიც ჰეროდოტესთან ბუდინების (დღევანდელი ბელორუსების) მახლობლად ფიქსირდებიან - უსათუოდ გელონების ქალაქი დღევანდელი ჩერნიგოვი ... და ჩრდილო კავკასიაში გელების სახელით დაფუძნებულნი (თემა მოგვიანებით იქნება განვრცობილი). ცხადი ხდება ჰეროდოტეს სიტყვების ის მნიშვნელობა, რომლის მიხედვით გელების ნაწილი თავიანთ ენაზე (მისი სიტყვებით ელინურად) საუბრობენ, სხვები სკვითურად და ეს გასაგებიც უნდა იყოს: მათი მცირე აზიიდან ლტოლვის მერე მთელი ორ საუკუნე ნახევარი, ათ თაობაზე მეტია უკვე გასული. თავად გელების დასახლების ადგილი გვიჩვენებს, სკვითთა ეს მოიერიშე ტალღა ცენტრალური სკვითიის მცხოვრებლები არიან (არა ყირიმის ნახევარკუნძულისა, განსხვავებით სკვითთა მესამე ტალღისა)

სკვითების მდევარი საკები მდინარე არაქსის კასპიის ზღვასთან შეერთების ადგილას , კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროს ფართო ზოლს იკავებენ...სტრაბონის სიტყვებით, პომპეუსის ლაშქრობის აღმწერი მავანი ფეოფანი აქ გელების და ლეგების ტომებს აღწერს- თავად სტრაბონი საკაშენას და შესაბამისად საკების ტომს. წინარე თხრობასთან მცირე აზიაში „საკეის“ დღესასწაული არსებობის შესახებ, ეს ტომი მართლაც მასაგეტების-საკებისა ჩანს (ლეგური თემი???) ...ტერმინ მასაგეტებზე ამომწურავად იბერების თემაში ვისაუბრებთ)...ცხადია, სკვითების შემოჭრის თუ ლტოლვის ტრასა ამჯერად კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე გადის და ამას თავისი წონადი მიზეზიც გააჩნია: კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო უკვე დიდი ხანია სხვა ტომებს უკავიათ, რომლებიც სკვითების ამ სანაპიროდან შემოსვლას (და არც გასვლას) არ დაუშვებდნენ...

კიდევ ერთხელ გავიხსენებ ქუშის ამ სიის ეგვიპტელი ფარაონებსა:

შაბაკა, ნეფერკარა, საბაკ (717-703)

შაბატაკა, ჯედკაურა (703-690)

თახარკა, ნეფრუტემხურა, <u>ტირგანკა</u> (690-664) ჩვ.წ. აღრიცხვამდე... (22*)
ეგვიპტის ფარაონების ქუშის ამ სიის ბოლო ფარაონი მართლაც ქუშანთა რასის ფინიკიური ტომის, თოხარების წარმომადგენელი ჩანს. ამ ტომის აღმავალი ხაზი შემდეგი სახისაა: თოხარი, ხეთი, კან -გოი, ტვიროსელი...ტომის წარმომადგენელი თავად ეგვიპტეშიც მრავლადაა, თუმცა ეს უკანასკნელი მცირე აზიელი უნდა იყოს: წინააღმდეგ შემთხვევაში ეგვიპტის მოქალაქეს ქუშის სიაში არ შეიტანდნენ. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელის ინიციატივით ანთავისუფლებენ საკი-მასაგეტები ეგვიპტეს უცხოტომელი დამპყრობელისაგან. ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, რომ „ეთიოპმა“ მეფე სიზმრის მიხედვით გამეფდა ეგვიპტეში (სინამდვილეში ორჯერ ნაკლები დრო, ვიდრე ჰეროდოტე ახსენებს) და სიზმრის მიხედვითვე დატოვა სამეფო ტახტი... და არსებობს თუ არა ხელშესახები ცნობები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე თოხარების დასწრებულობისა საქართველოს ხელდებულ ტერიტორიაზე? თვით ქართული სიტყვა თოხარიკი, მეგრული თუხარიკი და სვანური თუხრუკი, რომელიც სინონიმია რონინით, ლამაზად, გოგვით მიმავალი ცხენისა ამისი პირდაპირი ნიშანია: ეს თოხარებმა, (დღევანდელი თურქმენები) განდხარვულმა შტომ გააუმჯობესა კიდეც განდხარვთა ნაქები ცხენები, თექურები, რომელიც ჰიპოლოგებს ცხენის უძველეს (და სავარაუდოდ ერთადერთ) ჯიშად მიაჩნიათ დედამიწაზე! ელინთა შორის საუკეთესო თესალიური მხედრობა შეაჯიბრა ქსერსქემ სპარსულ მხედრობას საბერძნეთში ლაშქრობისას. მართალია თესალიელი მხედრები (სავარაუდოდ) განდხარვთა თექურ ცხენებზე სხედან, მაგრამ დაიჩაგრა სპარსული მხედრობის ბაქტრიული (აქვე მოიაზრება თურქმენები-ხორასმელნი) ალბათ ახალ -თექური ცხენების მიერ.

...გვარი თუხარელი- ეს თოხარი განდხარვების დატოვებული კვალია ქართულ ისტორიაში, ისევე როგორც თუხარისის ციხე სამხრეთ საქართველოში, რომელიც ვერ დალაშქრა ა ლექსანდრე მაკედონელმა (ლეონტი მროველის მიხედვით)

...და მცირე აზიაში, ბიზანტიის ტერიტორიაზე?

„ოცდამეჩვიდმეტე საყდარი ექვემდებარება ტრაპეზუნდის მიტროპოლიტს ლაზიკაში:

N-9 თოხარძიძის ეპისკოპოსი

(იქვე, ნოტაცია III, გვ-133)

ეს კი თოხართა ანალოგიური ნაწილი ჩანს, ტრაპიზუნდის მახლობლად დაფუძნებულნი...მათი კვალი ოსმალეთის იმპერიაში იკარგება...

ზემორე მსჯელობიდან გამომდინარე, სულ სხვაგვარადაა განსასჯელი კიმერიულ-სკვითური ურთიერთობანი, მათი მშვიდობიანი თანაარსე-

ბობა თუ სამარი „ხახუნი“... ამასთან, სულ სხვა სიბრტყეში წარმოგვიდგ-ება ხერსონესის, ყირიმის ნახევარკუნძულის მფლობელობის საკითხი...(23)

რაც შეეხება სკვითების მიერ ეგვიპტე- მცირე აზიის მესამე დაპყრობას, ეს ჰეროდოტეს ზედმიწევნით აქვს აღწერილი და ამაზე ყურადღებას არც გავანახვილებთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მცირე აზიიდან ლტოლვილ სკვითებს ასაკენები (სხვა განდხარვული ტომი) კი არ სდევნიან, მიაცილებენ კიდეც კავკასიის გასასვლელამდე და თავად აქვე მკვიდრდებიან კიდეც. უფრო მეტიც , ასაკენების ერთი ნაწილი თან მიყვება სკვითებს, მცირე რაოდენობის საკებთან ერთად ყირიმის ნახევარკუნძულზე და სახლდება კიდეც იქ. ეს მოსახლეობა შემდგომში ტავრების (ხარების) სახელითაა ცნობილი ისტორიაში... და იქვე საკების დაარსებული ქალაქი ამავე სახელით ... და როგორც ეტყობა, ისინივე ასაკენ-საკები წარმოადგენენ დონის შავგრემან კაზაკობას, რომელიც ოსმალებმა გააძევეს ყირიმის ნახევარკუნძულიდან, მდინარე დონის შესართავთან დასახლდნენ და შეურიგებელი მტრობა ჰქონდათ თურქებთან, მათ სამშობლოდ გადაქცეული ყირიმის დამპყრობლებთან...

ჩანს, მართლდება პომპეი ტროგის სიტყვები, რომ სკვითებმა სამჯერ შეძლეს ეგვიპტისა და მცირე აზიის დაპყრობა: ჩვწ. აღრიცხვამდე 613-585 და 717-690წლები, რაც ვფიქრობთ საკამათოც არ უნდა იყოს...მაგრამ... მაგრამ მესამე (უფრო სწორედ პირველი) დაპყრობა ეგვიპტისა და მცირე აზიისა, სინამდვილეა თუ პომპეი ტროგის წარმოსახვის ნაყოფი? როგორც ზემოთ ითქვა, სკვითების მეორე ლაშქრობა მცირე აზიას და ეგვიპტეში სრული რეალობაა, რეალობა ჩანს მესამე ლაშქრობაც...

„ქურუმების წიგნების მიხედვით, მინის (ეგვიპტის პირველი რეალურად დაფიქსირებული მეფე-ფარაონი მანასე ჩვ.წ. აღრიცხვამდე 3000-2980წ) მერე 330 სახელი ჩამომითვალეს კიდევ. ადამიანთა ამ თაობათა შორის, თვრამეტი ეთიოპიელები იყვნენ. ერთი-ადგილობრივი ქალი, ხოლო დანარჩენი-ეგვიპტელი მამაკაცები“ (ჰეროდოტე; წიგნი II -100)

ჰეროდოტე, რომელმაც პირადად იმოგზაურა ეგვიპტეში და გაეცნო იქაურ კულტურას, პირად კონტაქტში ჩანს ნამყოფი ეგვიპტელ ქურუმებთან და შესაბამისად მის მიერ მოწოდებული ცნობები ეგვიპტის შესახებ ზედმიწევნით კომპეტენტური ჩანს...მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან ეგვიპტის კუშიტურ-ეთიოპურ ფარაონების ზემოხსენებული სიიდან, ორი ფარაონი სკვითური წარმოშობისა ჩანს, მხოლოდ მესამე მტკიცდება კუშიტური- ფინიკიური-ხეთური წარმოშობის ფარაონად... და ჰეროდოტესეული დანარჩენი 15 „ეთიოპი“ ფარაონი? ვინ არიან ისინი, მართლაც ეთიოპები თუ ასევე სკვითები?

საოცარია მაგრამ ფარაონთა XII დინასტიას ნეფრუსებეკი ხურავს, ქალი ფარაონი...ჰეროდოტეს ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ვიცით, რომ ეგვიპტელები ერთადერთ ქალ- ფარაონს აღიარებენ, და და ისიც ხაზგასმულად ადგილობრივია-ფარაონი ხატშეფსუტი...მაგრამ ნეფრუსებეკი ფაქტიურად მეორე ქალი ფარაონია...ამასთან, ამ ქალი ფარაონის სახელის მეორე ნახევარში აშკარად იკითხება ჩვენთვის ნაცნობი სკვითური სიტყვა-სებეკი. იქით, უფრო მეტი, ეგვიპტის ფარაონთა XIII დინასტია ფაქტიურად „ოკუპირებულია“ ამავე სახელით... მოგვყავს მათი სია მიმდევრობით:
1-ნეფრუსებეკი; 2-სებეკხოტეპ -1; 3-სებეკხოტეპ-2; 4-სებეკხოტეპ-3; 5-სებეკხოტეპ-4; 6-სებეკხოტეპ-5; 7-სებეკხოტეპ-6; 8-საბეკხოტეპ -7 ; 9-სებეკხოტეპ-8; 10-სებეკხოტეპ-9 11-სებეკაი; 12-სებეკომსაფ-1; 13სებეკომსაფ-2; ...
სულ 13 ფარაონი... მაგრამ ჰეროდოტეს მიხედვით მათი რიცხვი 15 უნდა იყოს, სამი გვიანდელი ეგვიპტელი ფარაონის გათვალისწინებით ქუშის სიიდან...ვფიქრობ, ფარაონების ზემოხსენებულ სიებს შორის აქა-იქ მჯდომი ორი პერსონა ასევე სკვითების უნდა იყოს, სახელიდან დამოკიდებით ასეთივე ქალებისა: ნეფრუხოტეპ-1 და ნეფრუხოტეპ- 2, ფონეტიკურად აშკარად მსგავსი პირველი სკვითი ფარაონი ქალისა-ნეფრუსებეკი... სავარაუდოდ, სკვითებში ჯერ კიდევ მატრიარქატი პრივალირებს...ორი სია არსებობს ჩვენთვის საინტერესო XII დინასტიის დასასრულისა და XIII დინასტიისა, რომელსაც სხვათა შორის მეორე გარდამავალ პერიოდს უწოდებენ... სიები ფაქტიურას 25 წლის ცდომილებას იძლევა ერთმანეთთან, სკვითური დინასტიის დამფუძნებელი, ნეფრუსებეკის ზეობის დასაწისი ერთგან 1798-ია, მეორე სიაში 1763 ჩვ.წ.აღრიცხვამდე... ჩვენ პირველს ვიღებთ სამუშაოდ, ფაქტიურად ასეთ დიდ ციფრებთან მუშაობისას 25 წელი აბსოლუტურად დასაშვები ცდომილებაა:
ნეფრუსებეკი=1798-1793 სებეკხოტეპ I=1780-1777 ; (წყვეტა 13 წელი); სებეკხოტეპ II=XXXXXXXX (წყვეტაXXXXXXXX); სებეკხოტეპ III=1749-1742; (წყვეტა XXXXXXXX); ნეფერხოტეპ I=1742-1732; (წყვეტა 0 წელი) ; სებეკხოტეპ IV=1732-1720; (წყვეტა 0 წელი); სებეკხოტეპ V=1720-1717; (წყვეტა 0 წელი); სებეკხოტეპ VI=1717-1712; (წყვეტა 0 წელი); ნეფრეხოტეპ II= XXXXXXXX; (წყვეტა XXXXXXXX); სებეკხოტეპ VII=1664-1662; (წყვეტა 48 წელი); სებეკხოტეპ VIII= 1645-1629; (წყვეტა 17 წელი); ნეფერხოტეპ III=1629-1628; (წყვეტა 0 წელი); სებეკხოტეპ IX =XXXXX; სებეკაი=XXXXX ; სებეკომსაფ I=XXXXX; სებეკომსაფ II=XXXXX...
უკანასკნელი ოთხი ფარაონის ზეობის წლები არაა მოცემული...უფრო მეტიც, ვფიქრობთ წინა ფარაონი, ნეფერხოტეპ III –ც მხოლოდ ერთ სიაში, კ. რინოლტთან ფიგურირებს...ის აშკარად ზედმეტი ჩანს 18-3=15 „ეთიოპურ“ სიაში...და რასაკვირველია ისინი არავითარი ეთიოპები არ არიან,

ისინი სკვითი ფარაონები არიან, სინამდვილეში ჰიქსოსებად წოდებულნი, აქობამდე ისტორიისათვის დაკარგულნი...

და კიდევ, ნეფრუ იმავეს უნდა ნიშნავდეს, რასაც ნეფრე და ქალისქალი ფარაონის აღმნიშვნელი უნდა იყოს. სავარაუდოდ, ის პირველ შემთხვევაში გათხოვილ ქალს უნდა ნიშნავდეს, მეორე შემთხვევაში გაუთხოვარს ...ან პირიქით ...ზემოთ მოყვანილ ფარაონთა „ეთიოპურ“ სიაში ის წყვეტა-„ფანჯრებია“ აღნიშნული, რომელიც გვერდი-გვერდ მდგომ „ეთიოპ“ ფარაონების ზეობას შორის წარმოიშობა, რომელსაც როგორც წესი, სხვა ფარაონი ავსებს...რა ხდება, ნუთუ ჰიქსოსი ფარაონები შიგა და შიგ ძალაუფლებას თავად თმობენ? რასაკვირველია არა. გულუბრყბილობაა ვიფიქროთ, რომ ეგვიპტელები საკუთარ სახელმწიფოს თითქმის 2, 5 საუკუნე ჰიქსოსებს უთმობენ...რასაკვირველია ეგვიპტელები მომძლავრების კვალდაკვალ იბრძვიან საკუთარი სამშობლოს განსათავისუფლებლად და თუ ამას სანახევროდ მაინც აღწევენ, ეგვიპტის კანონიკურ ფარაონად ეგვიპტელი ცხადდება...როგორც ცხრილი გვიჩვენებს, ეგვიპტელები არ ურიგდებიან დამარცხებას, ბევრჯერ საკმაოდ შეავიწროვეს ჰიქსოსები ტერიტორიის დიდი ნაწილი დაიბრუნეს...თუმცა ეგვიპტის თითქმის სრული განთავისუფლება მხოლოდ ფარაონ სეკენერამ დაიწყო...და უკვე სეკენერა, მოჯანყე და სკვითებთან მებრძოლი, მათთანვე ბრძოლაში დაღუპული (მისი მუმია ნაპოვნია თავმოჭრილ მდგომარეობაში)

სეკენერა	1558-1554	ჩვ.წ. ა ღრიცხვამდე
კამოსი	1554-1550	ჩ.წ. აღრიცხვამდე
იახმოსი	1550-1525	ჩვ.წ. აღრიცხვამდე

ფარაონი სეკენერა წინამორბედი და უფროსია ფარაონ კამოსზე, რომელმაც პირველის დაწყებული ბრძოლა გააგრძელა მისი სიკვდილის შემდეგ. მართალია მან დიდად შეავიწროვა სკვითები, თუმცა მათი საბოლოო დამარცხება და განდევნა ეგვიპტიდან მის მომდევნო ფარაონს, იახმოსს ერგო წილად. ჩვენს მიერ წარმოდგენილი წარმოდგენილი სია - ეგვიპტის ფარაონთა სიის ამონაკრებია XIII- დან XVI დინასტიამდე.. .

...და ერთი აუცილებელი ცნობა მკითხველისათვის: ზემოთ აღნიშნულ პერიოდში, არავითარი ეთიოპია აფრიკის კონტინენტზე არ არსებობდა, ის სპარსეთის ყურეში მცხოვრებ ელამიტთა მიგრაციის შედეგად დაფუძნებულია, ქრისტემდე 1262 -1261 წელს... (ამის შესახებ ამავე წიგნში ვისაუბრებთ...საკუთრივ მასაგეტების-საკების თემას იბერთა ტომის განხილვისას დავუბრუნდებით...

...მაგრამ ბრავო პომპეი ტროგს! ეს მისმა ერთმა ციტატამ მოგვცა ბიძგი გვეძებნა სკვითთა შორეული და დაკარგული კვალი მცირე აზიასა და

ეგვიპტეში...ბრავო მაესტრო! მარტო ამ ერთი ფაქტის ნათელის მოფენაც, ღირსეულად აფასებს მის შრომას უშორეულეს წარსულში...

... და სუბართუ ...

ბეროსის სიტყვებით, ჩვ.წ. აღრრიცხვამდე 2033 წლიდან ბაბილონს მარების შემდეგ ისევ „ხალდები“ მართავენ. როგორც სხვადასხვა წყაროებით ირკვევა, ეს „ხალდები“ ფაქტიურად ორი ტომით არიან წარმოდგენილები: მათი ზეობა ფიქტიურად 465 წელი გრძელდება, ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1568 წლამდე...და ვინ არიან ისინი სინამდვილეში? ამ სახელმწიფოს ისტორია სუბართუს უწოდებს, ხანდახან მიტანას. ჰურიტები (ხურიტები)-ებრაელებთანაა გაიგივებული, ხოლო მიტანა- მატიენაა გვიანდელი, ჰეროდოტესეული...და საიდან მოდინ, ვისთან ერთად მოდიან?

არსებობს ასეთი წიგნი (ჩემგან არაერთხელ დასახელებული და რეკლამირებული) .. .ინდური ეპოსი „მახაბხარატა“. მკითხველისაღთვის კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ის ათასეული წელი გადაეცემოდა თაობიდან თაობას (დამწერლობის არქონის გამო) და სწავლება -დაზეპირება მოიცავდა მინიმუმ 37 წელს...ეპოსი ინდოელი მკვლევარების თანახმად ჩვ. წ. აღრიცხვამდე 3103 წელს და რამდენადმე ადრეულ ეპოქასაც ეხებოდა (ჩემი გამოთვლით 3760 წლამდე). 3103 წლისათვის (ქრისტემდე) იაუდხეი-უდავ ოდ იუდეველები, მცირე აზიისათვის ჰურებად და ხურიტებად ცნობილნი, ეპოსისათვის იმდენად უმნიშვნელო ტომი ჩანს, რომ თხრობაში სულ ორჯერ არის ნახსენები...არ იძებნება ისინი რუქაზეც, შედგენილი ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით შექმნილზე, თანდართულია მეორე ინდურ ეპოს „რამაიანას“ ბოლოს. (კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ ორ ინდურ ეპოსს არა ერთი ათასწლეული უნდა აშორებდეს). სამაგიეროდ მატსიების (სავარაუდუდოდ შემდგომ რუმინულად წოდებული) ტომის დასახელებაა ხშირი. ფაქტიურად დეტალურად არის განხილული მატსიების მხედართმთავარის კიჩაკას (უთუოდ ყივჩაღი) და კიჩაკას ტომის ბელადის მოკვდინება ერთ-ერთი პანდავა ძმის, ბხიმას მიერ. გაიგეს რა დურიოდხამამ და მისმა ძმებმა კაურავებმა, განსაკუთრებით კარნამ, რომ მატსიების მხედართმთავარი მოკლულია (ამბავი ტრიგარტების - სამციხელების მეფემ, სუშარმანმა შეატყობინა) მათზე თავდასხმა განიზრახეს. ცხადია მტრები (შესაბამისად ყივჩაღებიც და იაუდხეებიც) მატსიებისვე სიახლოვეს უნდა ვიგულისხმოთ. მართლაც ტრიგარტების - სამციხელების პოვნა რუქაზე საკმაოდ ადვილად შეიძლება, ის ხასტინაპურიდან (შემდგომი დელი) ჩრდილო-დასავლეთით, საკმაოდ ახლოს ტიბეტის მთიანი ქედისგან. აქვე იძებნება მატსიები-მატა-ს სახელწოდებით.

„და ისევ დადგა ორივე არმია ერთიმეორე პირისპირ ბრძოლის ველზე, კაურავების მეომრების სათავეში დადგა შალია თავისი მადრებით, მარცხენა მხარე დაიკავა კრიტავარმანმა ტრიგარტებთან ერთად. მარჯვენა მხარეს დადგა კრიპა <u>სკვითებით</u> და იავანებით. დურიოდხანა მიყვებოდა შალიას, არმიის ყველაზე შუაში კაურავების საუკეთესო მეომრებით, ხოლო ზურგიდან მათ იფარავდა აშვატხამანი“ („მახაბხარატა“, შალიას პარვა ელექტრონული წიგნი მახაბხარატა)

აქ ეპოსში პირველად და უკანახკნელად არის სკვითების ხსენება, თუმცა მათ მეზობელად დასახელებული იავანები იძლევა საშუალებას გაკეთდეს მეტ -ნაკლები ორიენტაცია მათი შესაძლო განსახლების შესახებ. **იავანი, ქალაქი ხატლონის ოლქში, რაიონული ცენტრი ტაჯიკეთში. იავანი-გუანსი -ჩჟუნის ავტონომიური რაიონი ჩინეთში.**

პირველ შემთხვევაში იავანი არაფრით გამორჩეული ხალხი ჩანს ტაჯიკეთის შემადგენლობაში, ხოლო ჩინელებისაგან იავანები აშკარად გამორჩეულნი ჩანან ავტონომიით...ეს უკანასკნელი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იავანების ტომი მონღოლოიდები არ არიან, შესაძლოა ისინი მონათესავე ნათესავე ტომიც იყოს სკვითებისა. მათი გვერდი-გვერდ ხსენება გვაფიქრებინებს, რომ ისინი შესაძლოა დიდი ალბათობით მეზობლები მაინც უნდა იყვნენ ... როგორც ჩანს, იავანები საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე მოსახლე მრავალრიცხოვანი ტომი უნდა იყოს, ეპოს „მახაბხარატას“ მოქმედების არეალიდან საკმაოდ დაშორებული, მისგან ჩრდილო-დასავლეთით, ინდოეთის საკმაოდ დიდ პერიმეტრზე. სკვითების ხსენებას ეპიზოდური ხასიათი აქვს (მათგან განსხვავებით, იავანები რამდენჯერმეა ნახსენები ეპოსში). შორსა ვართ იმ მოსაზრებისაგან, რომ განვლილი 5000 წლის მანძილზე იავანებმა იგივე მიგრაციის პროცესი არ გაიარეს, რაც დანარჩენმა (იმ დროისათვის) ტომებმა, თუმცა ფაქტი სახეზეა : იავანების ხსენება კამბოჯელებთან (ავღანელებთან) და მადრების (დღევანდელი მადრასას შტატი) ტომთან ჩრდილო - დასავლეთ ინდოეთში, რომ იავანებიც და სკვითებიც ინდოეთის ჩრდილო - დასავლეთის მცხოვრებნი არიან. შესაბამისად, მათი მიგრაციის გზა ჩრდილოეთის სტეპებზე გადის.

სკვითები, მრავალრიცხოვან თრაკიულ (ამ ტომის იდენტიფიკაცია ეპოსში ვერ ხერხდება, ისინი სკვითების მონათესავე ტომები ჩანან) სინდურ, კრიშნას და რამას ვრიშნი ტომებთან , ხასტინაპურიდან (დელის მახლობლად) ასევე მათი მეზობლები იუდხეები და მატსიები, პანჩალების და სომაკების ფრიგიული ტომები -ინდოეთიდან დაძრულნი ჩანან. ამ ტომების კონგლომერატს ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXII-XXI დატოვებული აქვს ინდოეთი ჩრდილოეთის გზით და დრეიფობენ ავღანეთიდან არალის სტეპებამდე. (არალის სტეპებამდე იმიტომ, რომ ეგვიპტიდან და შემდგომ მცირე აზიი-

დან დევნილი სკვითების დევნა აქამდე გრძელდება, ზოგიერთ შემთხვევაში თვით ავღანეთამდისაც კი)

ჩვ. წ. აღრიცხვამდე XXI საუკუნეს, ორი ტომი ჩანს დაძრული არალისპირა სტეპებიდან კასპიის ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გაყოლებით, მცირე აზიის მიმართულებით. უცნობია, ამ მოძრაობას სპონტანური ხასიათი აქვს და შემთხვევითია, თუ უკვე იციან აქ არსებული განვითარებული ცივილიზაციის შესახებ. ასე თუ ისე, ზემოხსენებული ორი ტომი მცირე აზიის, კერძოდ შუმერის ტერიტორიაზე აღმოჩნდება. სავარაუდოდ, ჩამოსახლებას მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, თუმცა გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მათ შეავიწროვეს მარების-აქადების ჰეგემონია და მმართველობის სადავეები ამ ორი ტომის ხელში გადადის, თუმცა მხოლოდ შუმერის ტერიტორიაზე (ჩანს მათი მმართველობა საკუთრივ მარებზე არ გავრცელებულა). შუმერის ყოფილი სახელმწიფოს ტერიტორიაზე სუბართუს მატიენურ - ჰურიტული სახელმწიფო ყალიბდება. ზუსტად მათ მოთხოვა ხარკი ეგვიპტის ფარაონმა (პომპეი ტროგის მიხედვით) და არა ეგვიპტიდან რამდენიმე ათასი კილომეტრის დაშორებით მომთაბარე სკვითებს, რომელთა არსებობა ეგვიპტის ფარაონისათვის არც უნდა იყოს ცნობილი...

ბაბილონელი ქურუმის, ბეროსის მიხედვით, ბაბილონს-შუმერს ჩვ.წ. აღრიცხვამდე 2033 წლის შემდეგ ხალდები მ ართავენ (24) ... და სადამდე? სანამ ფარაონმა ვეზორისმა (პომპეი ტროგის მიხედვით) ხარკი არ მოსთხოვა...მიზეზთა და მიზეთა გამო, ჩვენ ამ თარიღის დადგენაც ხელგვეწიფებადა ფარაონ „ ვეზორისის“ ნამდვილი სახელის გაგებაც. შუმერზე სუბართელთა (მატიენების და ჰურების) ზეობა გრძელდება ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1797 წლამდე -236 წელი, ხოლო ხარკის მომთხოვნი ფარაონის სახელი ამენხოტეპ IV იყო, ზეობის წლებით ჩვ.წ. აღრიცხვამდე 1798/97 წელი...ჩანს ახალბედა ფარაონმა მოსთხოვა ხარკი დაუხარკავ ბაბილონს -უკვე სუბართუს ომის მუქარის ქვეშ და ომიც მიიღო, რომელმაც დააკარგვინა საკუთარი სახელმწიფოც...ჰურიტებმა სკვითებს მიმართეს, რომელთანაც ასეულწლიანი თანაცხოვრება აკავშირებდათ არალის სტეპებში და შუა აზიაში... ალბათ აღუწერეს ეგვიპტის სიმდიდრე, მათი სკვითებთან შედარებით დაბალი ბრძოლისუნარიანობა და ყველა ის სიკეთე, რომლის მოპოვებაც შეიძლებოდა ეგვიპტის დამარცხებით...და მათაც დაუყოვნებლივ გამოილაშქრეს, როგორც კი მორჩნენ მზადებას მრავალრიცხოვან მტერთან საბრძოლველად...

რასაკვირველია არავითარი ნილოსის დელტის ათვისების პროცესი არ ყოფილა-დელტას, ფაქტიურად ნილოსის ბეღელს უბრძოლველად ეგვიპტე არც არავის დაუთმობდა...სკვითებთან ერთად გამოლაშქრებული ჩანან მათივე სახლიკაცები-თრაკიელებიც (ბულგარები). აგრეთვე სინდები-მა-

ტიენების სახლიკაცები (რუმინელები), ფრიგიელები (პანჩალები და სომაკ-ები) და კრიშნას ტომი (ვრიშნები, ანდხაკები და ბხოჯები)...რასაკვირველია სკვითებმა მთელი ეგვიპტე ვერ დაიპყრეს, ზემო ეგვიპტის ნაწილი დაუპ-ყრობელი დარჩათ...და როგორც ზემოთ ითქვა, ეგვიპტელები სამშობლოდ-ან გაძევებას არ შეგუებიან , პერმანენტულად ახორციელებენ სკვითებზე შეტევას საკმაოდ დიდი პერიოდებით ეგვიპტის მნიშვნელოვანი ნაწილებ-ის დაბრუნებასაც...რაც შეეხება ჰურიტებს, (სუბართუს აღმოსვლეთ ნაწილს, ის საკმაოდ მალე უკვე ფრიგიელი „ხალდების“ მმართველობია ქვეშ ჩანს)-სავარაუდოდ (და როგორც ბიბლიაში შიგადაშიგ იკითხება) მათი არამცი-რე ნაწილი ეგვიპტეში ჩანან გადაბარგებული- ეგვიპტის ადიმინსტრირება-სა შიდა ვაჭრობაში მათი როლი უდიდესი უნდა ყოფილიყო ...რაც შეეხება ფრიგიელებს, პირველი ფრიგიელი მეფე ცნობილი კანონმდებელი, ხამურ-აბი ჩანს, ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1793-1750 წლები...ამის შემდგომი დინასტიე-ბი შუმერში-ბაბილონში ფრიგიული ჩანს...

და ხეთების მეფე მურსილის გალაშქრება (უკვე „ხალდეურ“) ფრიგი-ულ ბაბილონზე ... ისტორიაში მიღებული ვერსიით, ის ჩვ. წ. აღრიცხვამდე 1556 წელს მოხდა. იმ ანგარიშით, რომელიც ეფუძნება წარღვნის თარიღს და ბეროსისეული თარიღების გაშიფრვას ეყრდნობა, ხეთების გალაშქრება ბაბილონზე და ფრიგიელების, ცრუ ხალდების დაწიოკება ჩვ.წ. აღრიცხვა-მდე 1569 წელს უნდა მომხდარიყო, ერთი წლით ადრე ბაბილონის კასიტ-ების მიერ დაპყრობაზე. თავად ხეთები ფინიკიელთა პუნიკური ტომია კან-გოით სახელდებული. საერთო მოსაზრებით ტომი ინდოევროპულ ენა-ზე ლაპარაკობს და ამაში ლომის წილი 2,3 საუკუნე ინდოევროპელთა დო-მინანტობის ქვეშ ცხოვრებით უნდა აიხსნას (თუმცა ის განსაკუთრებული „ინდო-ევროპულია“, ევროპის სამხრეთ ნაწილში გავრცელებული- ლათინ-ურის წინამორბედი) მეფე მურსილის ხეთებმა, რომელნიც მცირე აზიაში ჩვ.წ. აღრიცხვამდე XXVII საუკუნის მიგრაციის შემდეგ ფიქსირდებიან, ბა-ბილონი არ დაუპყრიათ. შეაჯანჯაღარეს, მიახვედრეს ვინ არის აქ მასპინ-ძელი, გაძარცვეს და ზღვისპირეთს დაუბრუნდნენ. როგორც ჩანს მათთვ-ის ინტერესს არ წარმოადგენდა ზღვიდან დაშორებით, კონტინენტის სიღ-რმეში მდებარე ტერიტორიების ათვისება... ფრიგიელების-ცრუ ხალდების დასუსტებით ისარგებლა ზღვისპირა მეფე გულკიშარმა, სინამდვილეში კა-სიტთა ტომის წარმომადგენელმა სვანებმა, ისტორიისათვის ისინებად ცნო-ბილებმა და პირწმინდად განდევნეს ფრიგიელები, მცირე აზიაში დაბინა-ვებული თრაკიელები, კრიშნას ტომები, ჰურიტები -ევროპაში, ბოსფორისა და (როგორც ეტყობა) ნაწილობრივ დარდანელის სრუტის გავლით...და რო-გორც ჩანს, ეს ტომები ვრცელდებიან ადრიატიკისპირა და დუნაისპირა აღ-მოსავლეთ ევროპაში, მცირე აზიიდან ევროპისაკენ და არა პირიით...

…და საყრდენ-ზურგმორღვეულ ჰიქსოსებზე-სკვითებზე ეგვიპტელთა გენერალურმა შეტევამაც არ დაახანა. ახლა უკვე არა ტაქტიკური გამარჯ-ვებისთვის და და ეგვიპტის თუნდაც რაღაც ნაწილის განთავისუფლების-ათვის მიდის ბრძოლა, არამედ ეგვიპტის სრული დეოკუპაცია დევს ფსო-ნზე-დამხმარე ძალას მცირე აზიიდან სკვითები ვერ მოირთავან...და ერთი კაზუსი...ფარაონთა არსებულ ყველა სიაში ეგვიპტის გამანთავისუფლებელ სამი ფარაონის ჩამონათვალი ასე გამოიყურება: სეკენერა, კამოსი და იახმო-სი.ამასთან, მათი ზეობის წლები შემდეგია: სეკენერა 1558-1554; კამოსი1569/8 -1564; იახმოსი 1550-1525; ...რასაკვირველია, სია აშკარად არაზუსტია, თით-ქოს ისე ჩანს, რომ აჯანყება კამოსმა წამოიწყო, ან სეკენერას ზეობის წლე-ბია არასწორად ნაჩვენები- შემცირებული-ამ შემთხვევაში ჰიქსოსების წინ-ააღმდეგ აჯანყების წამომწყები მართლაც სეკენერა ჩანს და როგორც ეტყო-ბა, ზუსტად ამან მისცა სტიმული თავდაპირველად ხეთების მეფეს მურს-ილის უცხოტომელი ბაბილონელების დარბევისა, რომელიც წარმატებით დააგვირგვინა ზღვისპირა მეფემ გულკიშარმა, აშკარად კასიტმა და ისინ-ის პირველი დინასტიის დამფუძნებელმა...

და თუ მაინც ეგვიპტური ვერსიაა სწორი, არა ფარაონ სეკენერას, არ-ამედ კამოსის ზეობის წლებია არასწორად დაფიქსირებული, მაშინ აჯანყ-ება მართლაც სეკენერას წამოიწყებული ჩანს, მცირეაზიელთა მაგალითით გამხნევებულმა-გამანთავისუფლებელი დროშა ფარაონმა სეკენერამ ააფრი-ალა (ბედის ირონიით, ამ ფარაონის სახელი თავის მოჭრას ნიშნავს, რაც ამ უკანასკნელს ვერც აცდა- მისი მუმია თავმოჭრილ მდგომარეობაშია ნაპოვ-ნი) თუმცა მისი დაწყებული საქმე მომდევნო ფარაობმა, კამოსმა გააგრძე-ლა. საბოლოოდ სკვითების გვიპტიდან განდევნის პროცესი ფარაონმა იახ-მოსმა დაამთავრა...ეგვიპტიდან ლტოლვილი და დამარცხებული სკვითები ვერც მცირე აზიაში იკიდებენ ფეხს. ჰეროდოტეს მიხედვით ისინი გადარ-ეკეს...მაგრამ ჰეროდოტეს ვერსიის სწორად გააზრებამ გვიჩვენა, რომ სკვი-თთა მეორე ლაშქრობას დროს განდევნეს საკუთრივ მასაგეტებმა (ვფიქრ-ობ, ეგვიპტიდან სკვითების განდევნა ჩვ. წ. აღრიცხვამდე 690 წელს, ზუ-სტად მასაგეტების ხელით მოხდა) მცირე აზიიდან სკვითები მცირე აზი-ური არაქსის გაღმა და ამიერკავკასიიდანაც...ამჯერად, 230 წელი ეგვიპტესა და მცირე აზიაზეც გაბატონებული უცხო ტომების (რასაკვირველია ისინი სარგებლობდნენ სკვითების უპირობო მხარდაჭერით) განსადევნად მთე-ლი განდხარვულ-აფსარული სპექტრი აღსდგა, მცხოვრებნი მცირე აზიაში. ცხადია სკვითთა ამ გვემას მასაგეტებიც არ გამოკლებიან, თუმცა იმავე ჰე-როდოტესთან ისინი სხვა სახელითაც იხსენებიან-უბრალოდ, ჰეროდოტეს-ათვის უცნობია, რომ მასაგეტები და ამორგის საკები ერთი და იგივე ხა-

ლხია...სკვითების განდევნა მცირე აზიიდან, ჩვ. წ.აღრიცხვამდე 1540 წელს ხდება, პლიუს -მინუს ხუთი წელი ხდომილებით...

იმ მიმართულებით (საიდანაც მოვიდნენ) კასპიის ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გაყოლებით, სკვითები და მათთან მყოფი ინდოევროპული ტომები გარბიან: სინდები და მატიენები...კასპიის აღმოსავლეთი სანაპიროს ბოლოს, ავტოხთონი მცირე აზიელების მიერ დევნილი ეს ტალღა ორად ნაწილად გასკდა: დასავლეთის სკვითები - უკრაინელები დასავლეთით გარბიან, სინდების და მატიენების თანხლებით და დნეპრსა და დუნაის შორის ტერიტორიებზე ფუძნდებიან, აღმოსავლეთის სკვითები- რუსები (სავარაუდოდ მათთან მყოფი სხვა ტომებით (შესაძლოა ფინელებით და ავღანელებითაც კი) ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გარბიან... სავარაუდოა, რომ ლტოლვილ სკვითთა არიერგარდში ჩრდილოეთის სკვითები-რუსები მოყვნენ, იმდენად ძლიერი ზეწოლა, დარბევა და განადგურება განიცადეს, რომ 30 საუკუნე არ მოუხედავთ უკან და არ გამომძვრალან ჩრდილოეთის ტაიგიდან...ფაქტიურად, მონგოლური გენით გაძლიერებული (თუ წაწყმედილი) რუსები მხოლოდ ივანე მრისხანეს დროს თუ იწყებენ ლაშქრობებს- და ისიც მეზობლებზე, მიმდებარე ტერიტორიებზე... რაც შეეხება დასავლეთის, ევროპელ სკვითებს -უკრაინელებს, მათ ორჯერ სცადეს რევანში ეგვიპტეზე და გამოუვიდათ კიდეც, ერთხელ VIII საუკუნეს, ცენტრალურმა სკვითებმა და VII საუკუნეს- ყირიმელმა სკვითებმა... ამ შემთხვევაში ევროპელი სკვითები ჭკუანასწავლი ჩანან : მათ ადგილობრივი, მცირე აზიური განდხარვული ტომი უჩანთ მეკავშირედ. პირველ შემთხვევაში ეს გელების ტომი ჩანს-საქართველოში ჰერებად ცნობილნი, ხოლო მეორე შემთხვევაში ასაკენების ტომი...მცირერიცხოვანი საკური ტომის მინარევით...

... და მაინც რა მიზეზებმა განაპირობა ეგვიპტემდე ჰიქსოსების ფაქტიურად დაუბრკოლებლად მისვლა? როგორ განისაზღვრა, რომ ეგვიპტელთა დამპყრობელი ქრისტემდე XVIII საუკუნეს, ჰიქსოსებად ცნობილი დამპყრობელი სინამდვილეში სკვითები არიან? როგორ ხდება ჰიქსოსთა თანმხლები სემიტური თუ ინდოევროპული ტომების განსაზღვრა?... ეგვიპტის დამპყრობელთა ტომობრივ განსაზღვრასა და იდენტიფიკაციაში მთავარი დამსახურება ეგვიპტის ფარაონ სესოსტრისს მიუძღვის, რომელმაც ჰეროდოტეს სიტყვებით ილაშქრა თრაკიასა და სკვითიაზე, მაგრამ ყველაფერი თანამიმდევრობით და ოდნავ მოგვიანებით...

და როგორ ვითარდება რეალობა ჰიქსოსთა (სკვითთა) ტომის ეგვიპტიდან განდევნის შემდეგ? როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, ფარაონმა იახმოსმა და ეგვიპტელებმა პალესტინემდე (ჰეროდოტეს სიტყვებით) განდევნეს სკვითები , თუმცა ძალიან ნაკლები მოსალოდნელია, რომ იმ პერიოდისათვ-

ის პალესტინის დღევანდელი ტერიტორია სირიელებით ყოფილიყო დასახლებული. როგორც ვიცით, ეგვიპტიდან განდევნილი სკვითები მცირე აზიაში არ და ვერ ჩერდებიან. ისინი აქედან მცირე აზიის სხვა ხალხებმა განდევნა. როგორც ჩანს, სკვითები არც მცირე აზიიდან წასულან თავიანთი ნებით (და ნებით გაქცეული დამპყრობელი თუ გინახავს მკითხველო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საკითხი სკვითებს და მათ ჩამომავალს შეეხება?) ...ზუსტად ეს სიტუაცია აქვს ჰეროდოტეს თავის ციტატაში აღნუსხული, როდესაც ის სკვითების მცირე აზიიდან განდევნას (ერთ-ერთს მაინც) მასაგეტებს მიაწერს...და ვინ არიან მასაგეტები? იმ ტერიტორიაზე, სადაც ჰეროდოტე მასაგეტების სამყოფელს მიუთითებს, ოდითგანვე რამდენიმე ტომი, ხალხი ცხოვრობდა: ბაქტრები, სოგდები და ხორასმები...და კიდევ რამდენიმე, ისტორიისთვის ნაკლებად ცნობილი (როგორც ჩანს, სკვითების დევნის პროცესში მდევარი გაცილებით დიდ ტერიტორიაზე ჩანს გაშლილი) ერთიც, მეორეც და მესამეც ზემოთჩამოთვლილი სუბიექტი განდხარვთა ტომები ჩანან, სუზიანას მცხოვრებნი. განდხარვეები, რომლებიც მთელი 230 წელი სემიტების და შემდგომ სკვითების უღელქვეშ ჩანან...სკვითების უღელქვეშ იმდენად, რომ ეგვიპტელი ქურუმები დამპყრობელად ეთიოპს, განდხარვას მიიჩნევს...მასაგეტები, ასე ეწოდათ იმ აფსარულ ტომს, რომლებმაც თვით ჰეროდოტეს ეპოქაშიც ძალიან დიდი ხნის უკან (ფაქტიურად XI საუკუნე) სკვითების გამორეკვაში მცირე აზიიდან დიდი როლი ითამაშეს. ჰეროდოტეს ეს ცნობა აშკარად შორეული წარსულიდან აქვს მიღებული. აი იმ ცნობების ფაქტიურად სრული კრებული, რასაც ჰეროდოტე მასაგეტებზე ფლობს:

„მასაგეტების დედოფალი იყო ქალი, მას შემდეგ რაც ქმარი გარდაეცვალა. სახელად ტომრისი ერქვა. კიროსმა გაუგზავნა მას კაცები და შეუთვალა, რომ უნდოდა მისი ცოლად შერთვა. ტომირისი მიხვდა, რომ კიროსი მას კი არ თხოულობდა არამედ მასაგეტების სამეფოს და უარით უპასუხა ამ მის წინადადებას...კროისოსმა აშკარად გაილაშქრა მასაგეტების წინააღმდეგ, ხიდები გასდო მდინარეზე და მოემზადა გადასასვლელად...თუ მაინცდამანც მოგინდება მასაგრტების გამოცდა, მიდი, მაგრამ მდინარის ნაპირების შეერთებაზე ზრუნვას თავი ანებე, და როდესაც ჩვენ მდინარისაგან 3 დღის სავალხე დავიხევთ, მაშინ გადმოდი ჩვენს მიწა-წყალზე, ხოლო თუ ჩვენი მიღება გირჩევნია თქვენს მიწა-წყალზე, მაშინ შენ გააკეთე იგივე“-

შემოუთვალა მასაგეტების დედოფალმა...კიროსმა მასაგეტების მიწაწყალზე გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო, ლიდიის ყოფილი მეფის, კროისოსის -კრეზის რჩევით...კიროსმა კროისოსს დაუტოვა თავისი შვილი კამბისესი, რომლისთვისაც აპირებდა სამეფო ძალაუფლების გადაცემას, გააგზავნა ისინი უკან და თვითონ გადავიდა მდინარეზე ლაშქრიანად. კიროსი ლაშქრი-

ანად წავიდა წინ ერთი დღის სავალზე და გაკათა ის, რაც ურჩია კროისოს-მა: მოაწყვეს სამხედრო ბანაკი, დაკლეს უამრავი ცხვარი, მოამზადეს და გამართეს ნადიმი. დადგეს ასევე უამრავი ჭურჭელი გაუზავებელი ღვინით, გააკეთეს ყოველგვარი საჭმელი, დატოვეს ბანაკში ლაშქრის ყველაზე უარესი ნაწილი და ლაშქრის უკეთეს ნაწილთან ერთად გაბრუნდა არაქსისაკენ. მოვიდა მასაგეტების ლაშქრის მესამედი ნაწილი, ამოხოცა კროისის ლაშქრისაგან აქ დარჩენილები, რომლებიც მასაგეტების ლაშქრისაგან თავდაცვას ცდილობდნენ. როდესაც მასაგეტებმა დაინახეს გაშლილი სუფრა, ჩათვალეს რომ მოწინააღმდეგე საბოლოდ დაამარცხეს, დასხდნენ და იქეიფეს. ჭამა - სმით გული რომ იჯერეს, დაიძინეს. ამ დროს მოვიდნენ სპარსელები, ბევრი მათგანი ამოხოცეს, უფრო მეტი დაატყვევეს, მათ შორის ტომირისის უფროსი შვილი სპარგაპისესი, რომელიც სარდლობდა სკვითების ლაშქარს. როცა ტომირისმა შეიტყო, რა მოუვიდა მის შვილს და მეწინავე ლაშქარს, შეუთვალა კროსს: დამიბრუნე ჩემი შვილი და წადი ჩემი ქვეყნიდან უვნებელი, შენ რომელმაც ასე თავხედურად მოეპყარი მასაგეტების ლაშქრის მესამედს. და თუ ამას არ გააკეთებ, ვფიცავ მასაგეტების ღმერთს, რომ თუმცა გაუმაძღარი ხარ, ვფიცავ უფალს რომ მოვახერებ შენი სისხლით გაძღობას ... კროსმა ტომირისის სიტყვებს არავითარი ყურადღება არ მიაქცია: დედოფალ ტომირისის შვილი, სპარგაპისესი, ღვინო რომ გამოუნელდა და შეატყო რა უბედურებაშიც იყო, შეეხვეწა კროსს ბორკილები აეყარა მისთვის. გათავისუფლებულმა სპარგაპისესმა დაუყოვნებლივ თავი მოიკლა...ტომირისმა შეკრიბა მასაგეტების ლაშქარი, შეება კროსს და დაამარცხა. ომში თავად კროსიც მოიკლა. დედოფალმა ტომირისმა მოაძებნინა მისი გვამი, თავი მოაჭრევინა და სისხლით სავსე ტიკში ჩააგდო... ასეთია ჰეროდოტეს მოთხრობა კროსის აღსასრულის შესახებ, თუმცა თავადვე აღნიშნავს, რომ კროსის სიკვდილის შესახებ ბევრ ამბავს მოგვითხრობენ, თუმცა საკუთარ ვერსიას უფრო სარწმუნოდ მიიჩნევს...

ადრევე ვილაპარაკეთ, რომ ჰეროდოტე ამ ტომის შესახებ ინფორმაციას ვერ ფლობს...საერთოდ ... ამ ტომის (ან ტომის ნაწილის) ბაქტრებთან ნათესაობა მისთვის უცნობია. უცნობი ჩანს თუნდაც იმიტომ, რომ სინამდვილეში მასაგეტურ ტომს, სკვითურად თვლის, ბაქტრებს არა...

„ბაქტრებს ლაშქრობისას თავზე მიდიელების მსგავსად ეხურათ, ხოლო მშვილდები ლერწმისა ჰქონდათ, ამათ გარდა ეჭირათ ადგილობრივი მოკლე შუბები. საკებს, რომლებიც სკვითები არიან, თავზე წვეტიანი ქუდები ეხურათ, წვეტით ზემოთ და თავზე სწორად დადგმული...მათ ეცვათ შარვლები, ჰქონდათ ადგილობრივი მშვილდები და ხანჯლები, ამის გარდა ცულები-საგარისები. ესენი სინამდვილეში ამირგიელი სკვითები არიან და საკებს კი უწოდებენ. ეს იმიტომ, რომ სპარსელები ყველა სკვითს საკს

უწოდებენ. ბაქტრებს და საკებს განაგებდა ჰისტასპესი, შვილი დარიოსისა და კიროსის ასული ატოსასი“ (ჰეროდსოტე, ისტორია, წიგნი VII-64

...და ამორგელი სკვითები ვიღა არიან სინამდვილეში?

„ ის, რასაც ამბობს კტესია კიროსზე, განსხვავებით ჰეროდოტესაგან. ის ამბობს, რომ კიროსი იბრძოდა ბაქტრიაში და ბრძოლის ბედი არ იყო გადაწყვეტილი, მაგრამ როგორც კი ბაქტრიელებმა გაიგეს, რომ ასტიაგესი მიიღო კიროსმა როგორც მამა, ხოლო ამიტისი როგორც დედა, მათ სიამოვნებით დაიკავეს მისი მხარე. კიროსმა საკებთან ომის დროს დაიჭირა ამორგი, საკების მეფე, სპარეტრას ქმარი. მან, ქმრის დაჭერის შემდეგ შეკრიბა არმია სამასი ათასი მამაკაცისაგან და ორასი ათასი ქალისგან, შეება კიროსს და დაამარცხა იგი. აიყვანა ის ტყვედ სხვა მრავალთაგან ერთად, მათ შორის იყო პარმისისი, ამიტისის (ასტიაგესის ცოლის) ძმა, თავისი სამი შვილითურთ, რომლებიც შემდეგ გაანთავისუფლა ამორგზე გასაცვლელად.. შემდეგ კიროსი გაემართა დერბიკების წინააღმდეგ, როდესაც მათი მეფე იყო ამორეი. ჩააყენეს რა ჩასაფრებაში სპილოები, დერბიკებმა მოულოდნელად შემოუტიეს კიროსის მხედრებს და გაანადგურეს ისინი. კიროსი ჩამოვარდა ცხენიდან, და ინდმა, რომელიც მათ მოსდევდათ, დაარტყა შუბი ბარძაყქვეშ, რის შედეგად ის მალე გარდაიცვალა...კიროსის მხლებლებმა მოიყვანეს ის ჯერ კიდევ ცოცხალი სპარსელთა ბანაკში ... ამორგმა გაიგო რაც შეემთხვა კიროსს, შეკრიბა ოცი ათასი მხედარი და გაემართა სპარსელთა დასახმარებლად...საკებმა, სპარსელებთან ერთად ბრწყინვალედ გაიმარჯვეს დერბიკებზე...ამის გარდა მან (კიროსმა) ბრძანა ამორგთან შეენარჩუნებინათ მეგობრობა...ის მოკვდა დაჭრიდან მესამე დღეს, იმეფა რა ოცდაათი წელიწადი“ (კტესია კნიდოსლი, პერსიკა, 2-7) (25)

მართალია ჰეროდოტე თავადაც არ მალავს, რომ კიროსის სიკვდილის სხვადასხვა ვერსია არსებობს, თუმცა უფრო სწორად საკუთარს თვლის. ის რომ ჰეროდოტე გაცნობილი ჩანს იმავე ვერსიას, რომელსაც გაეცნო და აღწერა კტესიამ, ამორგის ხსენებაც ამტკიცებს, ამორგისა-საკისა, რომელსაც ის სკვითად ცნობს. ცხადია ამ შემთხვევაში უფრო პრიორიტეტული კტესიას ცნობები უნდა იყოს, რომელიც ათეულობით წლებით იმყოფებოდა სპარსეთის მეფის კარზე, შაჰის პირადი ექიმის რანგში. რასაკვირველია, სპარსეთის შიდა საკითხებში კტესია გაცილებით ჩახედული ჩანს, ვიდრე ჰეროდოტე, მით უმეტეს ის მხოლოდ სულ რამდენიმე ათეული წლითაა მასზე უმცროსი. ამასთან, როგორც სპარსეთის კარზე პრივილიგირებული პერსონა, მას ხელი იოლად მიუწვდება შაჰის პირად ბიბლიოთეკაზეც, რომ არაფერი ვთქვათ სპარსულ ზეპირსიტყვიერებაში უთუოდ შენახული კიროსის მოღვაწეობის და აღსასრულის სწორ ვერსიებზე... ამასთან, კტესიასთან ნახსენები 300 ათასი საკი მეომარი და 200 ათასი ქალი მეომარი მხოლოდ

შემდეგი გადამწერის შეცდომა ჩანს-ამის თვალსაჩინო მტკიცებულება ამორგის მიერ კიროსის საშველად შკრებილი მხოლოდ 20 ათასი მეომარიც ცხადყოფს ... და კიდევ, ვინ არიან ამორგის ცოლის შეკრებილი 20 ათასი მეომარი ქალი?...ისტორია მხოლოდ ამაზონ მეომარ ქალებს იცნობს...(ვერც ეს თემა დარჩება უყურადღებოდ წიგნში, ამავე ტომის ფარგლებში...) ფაქტი ერთია, რომ კიროსი ომს ეწევა შუა აზიაში, ომს განდხარვების წინააღმდეგ, იმ განდხარვების ნაწილის წინააღმდეგ, რომელნიც მცირე აზიისა და სპარსეთის ყურის დომინანტ ტომებს წარმოადგენდნენ. როგორც ჩანს, ისინი ზუსტად სკვითების მცირე აზიიდან განდევნის და მათივე დევნის პროცესში შემოიჭრნენ შუა აზიის ტერიტორიაზე და აქვე დაფუძნდნენ...

იმისათვის, რომ გავიაზროთ, თუ რა პროცესებმა დაუდო სათავე მცირე აზიაში სკვითი (და მისი სატელიტი) ტომების შემოჭრას XIX-XVIII საუკუნეში, და უფრო ადრე ჰურიტული და მატიენური ტომების იგივე ქმედებს - ოდნავ უკან უნდა დავიხიოთ. სპარსეთის ყურესა და მცირე აზიაში მიგრირებულ განდხარვებს აქ საკმაოდ ძლიერი კონკურენტი დახვდათ შუმერთა და განსაკუთრებით იბერთა ტომის სახით. მათ შორის პირველ ხანებში არსებულ მტრობას, შეტაკებებს და სისხლიან გარჩევებზე საუბრობს ანტიკური იტალიელი ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი, თუმცა მათი შეტაკების ადგილად (რასაკვირველია მცდარად) პირენეის ნახევარკუნძული მიაჩნია... შემდგომ მისივე სიტყვებით, ეს ორი ტომი დაზავდა, გახშირდა ტომთაშორისი საქორწინო კავშირები, რამაც ამ ხალხების ერთ ტომად ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი ... მათი ნაერთი ტომიდან დიოდორე სიცილიელი ესპანელებს იცნობს...მეგასთენეს სიტყვებით, თარხონ ეთიოპი (ქუში) განდხარვთა და იბერთა ერთობლივი სამხედრო ექსპედიცია-მიგრაციის სარდალია სამხრეთ ევროპის მიმართულებით (უნდა გავითავისოთ, რომ ეს ლაშქრობა მიგრაციული ხასიათისაა და ის ევროპის დაუსახლებელი მიწების ათვისებას ემსახურება. მართალია მეგასთენე თარხონ ეთიოპის (ქუშის) სამხრეთ ევროპული მიგრაციის სარდლად ასახელებს, მაგრამ როგორც ჩანს, ის ერთადერთი თარხონი არ ყოფილა-არც მიგრაციული ექსპედიცია ყოფილა ერთი. სავარაუდოდ ასეთივე ლაშქრობას ცენტრალური ევროპის მიმართულებით სარდლობს თარხონ სვანი (სავარაუდოდ თარხონ გელიც) ლაშქრობას ჩრდილო ევროპის მიმართულებით კი უცილობლად თარხონ გელი მეთაურობს...ოკეანისპირა ევროპული ვრცელი ტერიტორიების ათვისებამ ასევე ხალხის დიდი რესურსი მოითხოვა, რომელიც მცირე აზიამ გაიღო...მცირე აზიის მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიები ამეჩხერდა. ამეჩხერდა ის იმდენად, რომ საუკუნეების შემდეგაც არ გაუწიეს წინააღმდეგობა მშვიდობიანად შემოსულ ჰურიტულ და მატიენურ ტომს... მცირე ხანში ამ ტომებს საკუთარი სახელმწიფოს დაარსების ამბიცია

გაუჩნდათ...შუმერთა ტომის ერთი ნაწილი გაერიდა ამ პროცესს, აქადებმა-მარებმა რატომღაც დათმეს მოწინავე პოზიციები ყოფილ შუმერში (საკუთარ სახელმწიფო წარმონაქმნის, მარის დამოუკიდებლობას ისინი ინარჩუნებენ) ... ჰურიტ - მატიენებმა უზარმაზარი სუბართუს სამეფო შექმნეს- ამ სახელმწიფოს მოსთხოვა ხარკი დაუფიქრებლად ეგვიპტის ახალბედა ფარაონმა ამენხოტეპIV…ჰურიტებმა საშველად სკვითებს და მათთან არალის სტეპებში მოდრეიფე სემიტურ ტომებს მიმართეს ... იმდენად დიდი ძალა ჩანს მოულოდნელად მცირე აზიაში შემოსული, აქ მოსახლე განდხარვ-აფსართა ათხელებულმა შთამომავალმა წინააღმდეგობა ვერ შეძლო...ვერ გაუწია წინააღმდეგობა ეგვიპტის ფარაონმაც, რომელიც ასეთ სხარტ და ელვისებურ პასუხს არ ელოდა, მოუმზადებელი შეხვდა ომს და ქვეყნის სიღრმისაკენ გაქცევა მოუხდა. მას შემდეგ, მთელი 230 წლის მანძილზე, ეგვიპტე პერმანენტულ ომს აწარმოებს სკვითებთან მეტ ნაკლები წარმატებით და ამაზე სკვითური დასახელების ფარაონების ზეობის წყვეტა გვიჩვენებს. როდესაც ეგვიპტის ფარაონებმა შეძლეს საბოლოოდ ძალის მოკრება იმდენად, რომ სკვითების (მისი სატელიტი ტომების თანმხლებით) განდევნა შეძლეს, საქმეში უკვე ძალა და საშუალება მოკრებილი განდხარვ- აფსართა ტომები ჩაება. ის ორნახევარი საუკუნე, რაც მათ დაპყრობილ და მეორეხარისხოვან, დახარკულ ტომებად გაატარეს მცირე აზიაში, მძლავრ ანტისკვითურ მუხტში გადაიზარდა, რომელმაც სკვითების საბოლოო განდევნა გამოიწვია. ამასთან, სკვითების განდევნის პროცესში განდხარვულ -აფსარული ტომების სრული სპექტრი ჩანს ამოქმედებული, შვიდივე ზემოთ ნახსენები განდხარვული და აფსარული ტომები...

პირველი დევნას კოსეების (კასპების-ზრანკების- დრანგიანას- დღევამდელი კახების) ტომი წყვეტს. ზუსტად ამიტომაც ჯერ კიდევ ქრისტემდე VII საუკუნეს, ისინი ვრცელდებიან ზაგროსის (200 კმ ევფრატის შესართავის ჩრდილოეთით) მთებიდან კასპიის (სამხრეთ -აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე მთები) ეგრეთ წოდებულ კასპიის კარებამდე , თითქმის ათასეული კილომეტრის სიგრძეზე გააჭიმული, წვრილ ზოლად. შემდეგი დევნა არტების (პართების) და გელების - ჰირკანების ტომებმა შეწყვიტეს, რომლებიც კასპიის ზღვის სამხრეთ -აღმოსავლეთის კუთხეში არიან გავრცელებულნი, იმდენად მჭიდროდ, რომ მათ შორის ფაქტიურად საზღვრის გავლებაც კი გაძნელებულია (აკი ერთად აღინიშნება კიდეც დარიოს მეფის გამარჯვებათა წარწერებზე ბეხისტუნის კლდეზე პართიის სატრაპია და მასთანვე მდებარე და ამავე სატრაპიაში შემავალი ჰირკანია) აქვე, ამ ორ განდხარვულ ტომებს ახლომახლო მოიაზრება ქვეყანა მარგუ, მათგან ჩრდილოეთით, დღევანდელი თურქმენეთის შემადგენლობაში, მარები-რომლებიც ასევე მცირე აზიიდან მონაწილეობენ სკვითების გვემასა და განდევნა-

ში. (მათი დიდი ნაწილი, როგორც განდხარვებისა, მცირე აზიაში რჩება და დიდ როლს ასრულებს შემდგომი დროის ქართველურ პოლიტიკაში) ამ უკანასკნელებზე უფრო შორს გასდია სკვითებს კანგოის განდხარვულმა ტომმა , რომლებიც ხორასმების (დღევანდელი თურქმენები) სახელითაა ცნობილი ისტორიაში. რეკორდულად დიდ მანძილზე გასდიეს სკვითებს ასაკენებმა -იგივე სოგდებმა, დღევანდელი ტაჯიკი) და ბაქტრებმა (ქუშებმა, დღევანდელმა უზბეკებმა) და ისინი შუა აზიის უკიდურეს შორ წერტილ-ებზე განლაგდნენ. ის რომ მასაგეტები -ეს ქუშ-საკთა გაერთიანებული ლა-შქარი ჩანს ჰეროდოტესათვის, ხოლო კტესიას მიხედვით აქ უპირატესობა საკებს ენიჭენათ კიდეც, გვაფიქრებინებს, რომ ჰეროდოტესეული მასაგეტ-ების დედოფალ ტომირისის ქვეშ კტესიას საკების მეფის, ამორგის ცოლი სპარეტრა ამოიკითხო კიდეც. ამასთან, ისინი არავითარი სკვითები არ არი-ან .. .უკანასკნელმა კვლევებმა მოგვცა საშუალება სკვითების ტომობრივი მიკუთვნებულობის განსაზღვრისა: ეს აფსარული ტომებია, ამასთან საკი ჰაუმავარგა-წოწოლაქუდიანი საკები, შუმერები ჩანან, დღევანდელი ყირგ-იზები, საკი ტიგრახაუნდები-იბერები ... და ხომ არ დაგვავიწყდა ამორგის ცოლი სპარეტრა, რომელმაც 20 ათასი მეომარი ქალი-ამაზონი გამოიყვანა? მათი არსებობა შუა აზიაში დამტკიცებული ფაქტია, ადგილიც ამ ორ საკ-ურ-აფსარული ტომის გვედით უნდა ვეძებოთ... და სვანები? ეს უკიდურე-სად მილიტარისტული და მხედრული მამაცობთ ოდითგანვე განთქმული ტომი თვით ეპოს „მახაბხარატას“ უშორესი წარსულიდან, ნუთუ ისინი გა-მოაკლდნენ საუკუნობრივი დამცირებისათვის შურისძიების ამ სამართლი-ან გამოხატულებას? როგორც ირკვევა არა... ისინი აქტიურ მონაწილეობას იღებენ სკვითების ამ გვემაში და ყველაზე დიდი აზარტით და დიდხანს აგრძელებენ ამ დევნას. ჰეროდოტე და შემდგომ პლინიუს უფროსი მათ ის-იდონებს უწოდებენ, ჩვენთვის (და ისტორიისათვის) სრულიად უცნობ, შეიძლება ითქვს ზღაპრულ ობიექტს ... საკითხი იმდენად დელიკატური, იმდენად არაორდინალური და სენსაციურია სვანური ტომის ამ ნაწილის შემდგომი ბედი და ცხოვრება, სპეციალური განხილვის ობიექტი უნდა გახდეს ... და ასირიელები, იმ დროისათვის უმნიშვნელო მოთამაშე მცირე აზიაში, ვფიქრობ ეს სხვადასხვა სახელით:დახები, დაიები, დერბიკები-ნახ-სენები ტომი უნდა იყოს, რომელმაც კიროსის სიცოცხლე შეიწირა. (26)

ზუსტად ამ ლაშქრობის შემდეგ ჩანან სამეფო სკვითები გაყოფილი. დღეს მის ერთ ნაწილს უკრაინელები ჰქვია, მეორე ნაწილს რუსები:

„ამათ ზემოთ, მხოლოდ უფრო აღმოსავლეთისაკენ ცხოვრობენ სხვა სკვი-თები, რომლებიც სამეფო სკვითებს გამოეყვნენ და ასე მოვიდნენ ამ ადგ-ილას“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი IV-22)

მკითხველს შევახსენებ, რომ ჰეროდოტეს მითითებული ადგილი შუა რუსეთშია, ჩრდილოეთისაკენ და სადღაც რიაზანის და ნოვგოროდ-ის სიახლოვეს. ეს სამეფო სკვითებს გამოყოფა, როგორც ჩანს არა დღევა-ნდელი უკრაინის, არამედ არალისპირა სტეპებში ხდება, სადამდეც გას-დია მდევარმა განდხარვ-აფსარების არმიამ მცირე აზიაში გვემულ და იქიდან ლტოლვილ სკვითებს (ნაწილობრივ მათ სატელიტებსაც, რომე-ლთაც ეგვიპტელთაგან ლტოლვის შუა აზიული ტრასა აირჩიეს) ხო-ლო მეორე ნაწილი სკვითებისა (და მათი სატელიტებისა) არალის სტეპს დასავლეთისაკენ, ევროპული მიმართულებით მიყვებიან:

„როგორც სკვითები ამბობენ, ისინი ხალხებს შორის ყველაზე ახალგაზრდ-ები არიან.ისინი ამბობენ, რომ პირველი მეფიდან, ტარგიტაოსიდან დარი-ოსის მათ ქვეყანაში მოსვლამდე გავიდა სულ არც მეტი არც ნაკლები 1000 წელი“ (იქვე, IV-5)

რამდენადაც ცნობილია, დარიოს I ლაშქრობა სკვითიაზე ქრისტემდე 513 წელს მოხდა, შესაბამისად სკვითების მიერ ახალ ადგილზე დამკვიდრ-ება დნეპრისპირეთში (და ყირიმზე) ჩვ. წ. აღრიცხვამდე XVI საუკუნეს ჩანს მომხდარი, რაც თითქმის ზუსტად ემთხვევა ფარაონ იახმოსის მმართველ-ობის ბოლო 1525 წელს... (27) ზუსტად განდხარვთა ტომის ამ ლაშქრობამ რომელმაც ფაქტიურად განდხარვ--აფსართა სრული სპექტრის დასახლება გამოიწვია შუა აზიასა და აღმოსავლეთ კასპიისპირეთში, ლაშქრობის ეს ტრასა სრულიად ჩაკეტია სკვითი დამპყრობლებისათვის...

დიდი ხნის, თითქმის 800 წლის შემდე, სკვითთა ახალი, მეორე ტა-ლღა ისევ შემოიჭრება მცირე აზიასა და ეგვიპტეში. ამჯერად მათი ლაშქ-რობის ტრასა კასპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროს გაყოლებით გადის. ამჯერად მათი განდევნა ეგვიპტიდან და მცირე აზიიდან საკების ზურგ-ზე გადადის. ისინივე სახლდებიან კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე (როგორც ჩანს მდინარე არაქსიდან მდინარე სამურამდე და მცირე სანაპი-რო ზოლის არსებობის პირობებში სრულიად გადაკეტილი იქნა ეს სანაპი-როც, მცირე აზიისაკენ ლაშქრობისათვის.

მოუსვენარი სკვითები, რომლებიც ჩრდილო კავკასიასა და დღევან-დელი სტავროპოლის სტეპებში დაბორიალობენ, ალბათ ნადირობის მიზნ-ით, სრულიად შემთხვევით აწყდებიან დარიალის გადასასვლელს და რო-კის უღელტეხილს. ახალი ლაშქრობა ისეც და ისევ მცირე აზიისა და ეგ-ვიპტის მიმართულებთ ზუსტად ამ ტრასით დაიგეგმა. მესამე ლაშქრობა მცირე აზიასა და ეგვიპტეში დასავლეთის სკვითებმა ამ გზით განახორც-იელეს. (28) ამავე გზით ხდება მათი ლტოლვა მცირე აზიიდან, როდესაც მიდიის მეფე კიაქსარესის მიერ მოწყობილ ხოცვა-ჟლეტას გაექცნენ. ცოტა ვინმე თუ დაბრუნდა ყირიმის ნახევარკუნძულზე მათგან. მთელ ამ მესა-

მე ლაშქრობას სკვითებისას მხოლოდ მარბიელ ლაშქრად თვლის ჰეროდოტე. მართლაც ამ ლაშქრის შემადგენლობაში მხოლოდ ყირიმის სკვითები ჩანან და არა ბორისთენიტების (დნეპრელების) სრული ლაშქარი. მართლაც მცირე აზიიდან ლტოლვილი სკვითები ყირიმის ნახევარკუნძულზე ცდილობენ მოხვედრას, რაც მათ უშუალო აქაურობას ნიშნავს უთუოდ. მათთანვე ჩანან მიგრირებული ასაკენების ერთი ნაწილი, რომელმაც გასული 28 წლის განმავლობაში მათთან დამეგობრება მოასწრეს. ზუსტად მათი ნაწილი მკვიდრდება ფხოვში, დღევანდელ ფშავ -ხევსურეთში, ხოლო ნაწილი მათვე მიყვება ყირიმის ნახევარკუნძულზე და აქვე სახლდებიან, ნახევარკუნძულის დასავლეთ ნაწილში. მათ შემდგომისათვის ტავრები (ხარები, კურეტები) ქვიათ, ისევე როგორც შორეულ წარსულში ... და როგოც ეტყობა, მათთანვე მიგრირდება მცირე რაოდენობის საკები, რომელთა სახელი შემოგვინახა მათ მიერვე დაფუძნებულმა მცირე დასახლებამ...

... პარალელები...

კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ თემას სკვითების პირველ ლაშქრობის შესახებ მცირე აზიასა და ეგვიპტეში...უფრო სწორედ მათ განდევნას უკუ თანამიმდევრობით, ჯერ ეგვიპტიდან და მერე მცირე აზიიდან. როგორც ითქვა, სკვითთა გვემასა და განდევნაში მთელი განდხარვული (ასევე აფსართა ჩამომავალთა) სრული სპექტრი მონაწილეობს...და მანც ამჯერად შევჩერდებით სამ განდხარვულ სუბიექტზე, რომლებიც მკვიდრდებიან მცირე აზიაში : ბაქტრები- დღევანდელი უზბეკები, სოგდები - დღევანდელი ტაჯიკები და ხორასმები -დღევანდელი თურქმენები. ზუსტად ეს ხალხები ჩანან ინიციატორი და დამფუძნებელი კუშანთა სამეფოსი, შუა აზიის, ავღანეთის, პაკისტანის და ჩრდილო ინდოეთის ტერიტორიაზე, რომელიც არსებობდა ქრისტესით 105-250 წლებში ...(არანაკლები პრეფერენციები უჩანთ საკურ ტომსს ინდოეთის მიმართულებით, ამ თემებზე გამოწვლილვით ტომების სათითაო აღწერა - დახასიათებაში ვისაუბრებთ) უფრო მეტიც, ირანელი მეისტორიე ატ-ტაბარი ახსენებს კუშან მეფეებს (მრავლობით ფორმაში) რომლებიც ხოსრო ანუშირვანის „პრეზენტაციაზე“ გამოცხადდნენ სამეფო კარზე (ხოსრო ანუშირვანი კი V საუკუნის სპარსეთის მეფეა). საინტერესოა, რომ წარმოდგენილი ტომები ყველა არც წარმოადგენს კუშის ტომს, თუმცა მისივე სახლიკაცი განდხარვული ტომები არიან (იდენტურია მცნებებისა : ქართული და ქართველური). კუში- ეს ბაქტრების, იგივე უზბეკების ტომია და აბსოლუტურად იდენტური ქუშის ქართლური ტომისა... (საინტერესოა, რომ ქართველებს და უზბეკებს დღესაც საერთო უჩანთ ისეთი სპეციფიკური სიტყა, როგორიცაა: **ბუზღუნი**-უკმაყოფ-

ილების ხმადაბლა გამოხატვა ... ასევე, სოგდების ტომი- ეს ასაკენებია და ასევე სახლიკაცები ქართველი გურ- ასაკენებისა, ფშავ-ხევსურებისა... რაც შეეხება ხორასმებს-თურქმენებს- მათი თვით დასახელება კან-გოია, თით-ქმის იგივე, როგორც კემ- გუია, რომელიც ფაქტიურად დღევანდელი ადი-ღეს და აფხაზეთის (ლაზური ნაწილის) თვითდასახელებაა ... და რატომ თურქმენეთი? ეს სახელი მათ თურქებმა დაანათლეს, ყოფილმა ეფტალი-ტებმა, რომელთაც დაიპყრეს ხოროსანის ოლქი და თურქმენეთი, თურქი კაცების სამშობლო დაარქვეს...

საინტერესოა, რომ თურქმენები, ისევე როგორც უზბეკები (ეს უკა-ნასკნელი საკუთარ იდენტობაში საკმაოდ ცდება) საკუთარ თავს პუნებს-ფინიკიელებს უწოდებს ... საინტერესოა, რომ ჯალალ- ედ- დინ მანკბურნის (საქართველოს დამპყრობელის რუსუდანის მეფობისას) მამის სრული სახ-ელი მუჰამედ ტეკეშია. ტეკე-ეს შუა აზიური ჯიხვია, შესაბამისად ჯალალ-ედ- დინის მამის სახელი მუჰამედ ძიხისაა (თუ ჯიხვის სახელს მეგრულ-ად ვთარგმნით) და ზუსტად ასევე უწოდებს საკუთარ თავს ჩვენი დასავ-ლელი მეზობელი, ძიხი- რომელსაც ბიზანტიელი თუ ქართველი ისტორი-კოსი ხან ზიხად ამახინჯებს, ხან ჯიქად...სინამდვილეში ამ ხალხის, ზანე-ბის (ლაზების და ჯიქების) ნამდვილი თვითდასახელება ძიხია, ქვეყნის სახელი აძიხე-ძიხების სამშობლო...და თუ შუა აზიელი კან-გოი და ტეკე-ძიხი ფინიკიელია, ასევე ფინიკიელი ჩანს ზანი: ლაზები და ძიხები... სამტ-კიცი? ლაზი და ამავე დროს სინოპელი ხალიბი, კაბელ- მეიონი (იგივე იასონიელი) საკუთარ თავს კემ- გუის უწოდებს... იგივე სახელი (თიკუნი) ჩანს ჩაუნჯებული აფხაზეთის დროშაში, რომელიც ამ რეგიონის ტიტულ-ატურულ თემს, ხალიბს -იგივე ლაზს ეკუთვნის (ლაზიდან აფხაზის მიღ-ების ისტორიულ თუ ვერბალურ მიზეზზე ჩვენ წინა ტომში ვისაუბრეთ) და ის სინამდვილეში ძიხია- ჯიხვი და არა შინაური თხა... ეს სახელი არ ჩანს მეოინების (ეტრუსკთა წარმომქნელი ტომის) მცირე აზიურ ისტორი-აში, მაგრამ (როგორც ჩანს) იმავე ტომის სკვითებს გადევნებული და შუა აზიაში დამკვიდრებული ნაწილი საკუთარ თავს უკვე კან-გოის უწოდებს, ...(ასევე უწოდებენ მას ისტორიაც)... ამასვე ამტკიცებს ჩემს მიერ ლაზურ ენაზე თარგმნილი: „ვოინიჩის მანუსკრიპტი“ სახელდობრ ვენეციაში მოპო-ვებული... და რატომ განსხვავდება თურქმენული ენა ლაზურისაგან? იმიტ-ომ რომ ფინიკიური ენა არც არასდროს ყოფილა დასავლეთ ქართველუ-რი... შესაბამისად, ქრისტემდე XVI საუკუნეს მცირე აზიიდან შუა აზიაში მოხვედრილი კან-გოი ინარჩუნებს (ნაწილობრივ მაინც) საკუთარ ფინიკი-ურ ენას, ხოლო ადრიატიკასა და ენეტიკაში მოხვედრილი კენ- გუი ითვ-ისებს ჭანურ ენას ვენეციაში და იწოდება ლაზად... ამ ენის გავრცელება ხდება უკვე მცირე აზიის ტერიტორიაზე, როდესაც ისინი ტერიტორიულ-

ად ხვდებიან ჭანების გვერდით, სინოპაზე...რაც შეეხება ტრაპიზუნდის მიმდებარედ მცხოვრებ ლაზებს, რომლებიც ჯერ კიდევ ჰეროდოტეს ეპოქაში კოლხობენ (ზუსტად მათ აღწერს ჰეროდოტე სპარსულ- ბერძნული ომის პერიოდში) ასევე კოლხებად იწოდებიან ქსენოფონტესთან, ქრისტესით V-IV საუკუნეების მიჯნაზე. უფრო მეტიც, კოლხებად თვლის მათ ალექსანდრე მაკედონელი (და როგორც ჩანს, განსაკუთრებიოთ მისი დედა ოლიმპიადა, წარმოშობით ეპირელი, კოლხყოფილი) და ყოველნაირად ცდილობს გვერდი აუაროს მათ... ჯერ კიდევ ბერძნულ ასიმალიცაციას გადარჩენილი კოლხების ნაწილი უკვე ქრისტესით I საუკუნის შემდეგ სრულიად ასიმილირდებიან ჩამოსახლებულ ლაზებში...იმ დონემდე , რომ მათი კოლხური დიალექტი იცვლება ლაზურზე (სინამდვილეში ჭანურზე) (29)

...და ფარაონი ჰორემხები...

როგორც ჩანს, ქართველურ -სკვითური ბატალიები არ ამოიწურება სკვითთა სამი შემოტევით და სამი განდევნით ეგვიპტესა და მცირე აზიიდან. სკვითთა პირველი ლაშქრობის, მათი ეგვიპტეზე ზეობის 230 წლის და მათი განდევნიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეგვიპტემ და მისმა ფარაონმა შურისძიება გადაწყვიტა. პირველ რიგში სკვითებზე და მათ სატელიტებზე, რომელთაც ორ საუკუნეზე მეტი ეგვიპტელები მეორეხარისხოვანი მოქალაქეების რანგში აცხოვრეს:

„არ შევეხები ამ მეფეებს და მოვიხსენიებ მას, რომელიც მათ შემდეგ მეფობდა, და რომელსაც სახელად ერქვა სესოსტრისი…ქურუმები მოგვითხრობენ, რომ ის პირველი გამოვიდა არაბიის უბიდან გრძელი ხომალდებთ და დაიპყრო მეწამულ ზღვასთან მცხოვრები ხალხები. იგი მიცურავდა მანამ, სანამ არ მიაღწია ზღვას, რომელიც საცურაოდ აღარ ვარგოდა მისი კბოდოვანობის გამო. ქურუმების გადმოცემის თანახმად, როდესაც დაბრუნდა ეგვიპტეში, წამოიყვანა დიდძალი ლაშქარი, გამოიარა ხმელეთით და დაიმორჩილა ყოველი ხალხი, რომელიც კი მას შეხვდა. იმ ხალხებს, რომელიც მამაცი იყო და სასტიკად იცავდა თავის თავისუფლებას, აღუმართა სვეტები მათსავე ქვეყანაში წარწერით, რომელიც გადმოსცემდნენ მის სახელს, მისი სამშობლოს სახელს, და რომ მათი დამორჩილლება მოხდა სესოსტრისის ძალით. ხოლო იმ ქალაქებს, რომელთაც უბრძოლველად და იოლად იპყრობდა, სვეტებზე უწერდა იმასვე, რასაც იმ ხალხებს, ვინც მამაცობა გამოიჩინა, მაგრამ ამასთანვე უხატავდა ქალის სარცხვენელს, რითაც უნდოდა ეჩვენებინა, რომ ისინი მხდალები არიან.

მან ეს გააკეთა და გადაიარა ხმელეთი, ვიდრე აზიიდან ევროპაში არ გადავიდა და <u>დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები</u>. მე ვფიქრობ ის უშ-

ორესი ადგილი, სანამდე მივიდა ეგვიპტელთა ლაშქარი, სწორედ აქ იყო, რადგან ამათ ქვეყანაში კიდევ ჩანს მათ მიერ დაყენებული სვეტები. ხოლო უფრო შორს კი აღარ არის. აქიდან ის წავიდა და მდინარე ფასისთან იყო. მე შემიძლია დაბეჯითებიოთ იმის თქმა, რომ ამ ადგილას თვით მეფე სესოსტრისმა გამოყო თავისი ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლებად. ან კიდევ იმისი, რომ ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი, დაღლილი ხეტიალით, დარჩა მდინარე ფასისთან.

მაგრამ ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვითონ მივხვდი იმაზე უწინ, ვიდრე სხვისგან მოვისმენდი და ასე ვიტყოდი. და რადგანაც ამას ვფიქრობდი, შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები.. .ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათი აზრით სესოსტრისის ლაშქრიდან არიან კოლხები და მე თვითონაც ასე მეჩვენებოდა, რადგან კოლხები შავგრემანები არიან და ხუჭუჭთმიანები (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები) - მაგრამ ამასთანავე და უფრო უმმეტესად ამას მოწმობს ის, რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპიელები არიან, რომლებიც თავიდანვე აწარმოებენ წინდაცვეთას, ხოლო ფინიკიელებმა და სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან, როგორც თვითონ ამბობენ, ეგვიპტელთაგან ისწავლეს, ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონტთან და პართენიოსთან ცხოვრობენ, და მაკრონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან. მხოლოდ ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც წინდაცვეთას ახდენენ და ჩანს, რომ ესენიც ეგვიპტელების მსგავსად აკეთებენ ამას. ხოლო ეგვიპტელთაგან და ეთიოპელთა შესახებ არ შემიძლია ვთქვა, თუ რომელმა ისწავლა ამ ორს შორის მეორისაგან. რაღაც ძალიან ძველი ჩანს ორივეგან. ხოლო იმის საბუთად, რომ ხალხმა ეს ეგვიპტელთაგან ისწავლა მათთან შერევის საფუძველზე, მეჩვენება შემდეგი: ის ფინიკიელები, რომლებიც ელადასთან ურთიერთობაში არიან, აღარ ბაძავენ ეგვიპტელებს ამ საქმეებში, რაც სარცხვინელს ეხება და შვილების წინდაცვეთას აღარ ეწევიან.

კიდევ სხვა რამის თქმა შემიძლია კოლხების შესახებ, რითაც ისინი ეგვიპტელების მსგავსნი არიან. მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად, მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთის. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი- ეგვიპტურს.

და როდესაც სესოსტრისი ეგვიპტიდან დაბრუნდა , მან დასაჯა თავისი ძმა, ხოლო იმ ხალხის მიმართ, რომელიც თან მოიყვანა, და რომელთა ქვეყანაც მან დაიპყრო, ამნაირად მოიქცა: ის უზარმაზარი ქვები, რომელიც მისი მეფობისას იყო მოტანილი ჰეფაისტოდის სალოცავთან, ამ ხა-

ლხს მოაზიდვინა, ხოლო ის არხები, რომელიც დღესაც არის ეგვიპტეში, ყველა ამათ გაათხრევინა იძულები“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II, 102-108)

1. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ეგვიპტის ფარაონი სესოსტრისი ლაშქრობს სკვითიას და თრაკიაზე, და რა მიზეზით ასეთი შორეული ლაშქრობა? როგორც ჩანს, ეგვიპტის ამ ფარაონს, სესოსტრისს მხოლოდ ერთი გრძნობა და მიზანი ამოძრავებს: შურისძიება იმ მტრებზე, რომელთაც ეგვიპტე 230 წელი მონობის ქვეშ ამყოფინეს. იკვეთება ის მეორე (სემიტური) კომპონენტი სკვითთა ლაშქრისა, ეგვიპტის დამმონებელთა: ეს პირველ რიგში თრაკიაა.

2. ის, რომ მაკრონებმა ჰეროდოტეს სიტყვებით ახლო ხანებში შეითვისეს წინდაცვეთა კოლხებისაგან (ტრაპეზუნტთან მცხოვრებთაგან) ცხადად მიანიშნებს, ისინი ჰეროდოტეს ეპოქისათვის ტრაპიზუნდის მიდამოებში ახლო ხანებში აღმოჩნდნენ. აკი მიუთითებს კიდეც მაკრონების საცხოვრისს მდინარეებს: პართენიოს და თერმოდონტს შორის (ეს კი გაცილებით სამხრეთითაა, ვიდრე ტრაპიზუნდი)

3. ჰეროდოტე ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს კოლხ- ეგვიპტელთა იდენტურობას და რასაკვირველია მთავარი არგუმენტი ენაა, რომელიც ორთავე სუბიექტისათვის, კოლხისთვის და ეგვიპტელისთვის საერთოა.

4. ფარაონ სესოსტრისად ერთმნიშვნელოვნად რამზეს II არის აღქმული (სავარაუდოდ იმიტომ, რომ ის ანომალიურად დიდხანს, მთელ 66 წელს მეფობდა და მოასწრებდა იმ უამრავი საქმის გაკეთებას ეგვიპტის სასარგებლოდ, რაც ფარაონ სესოსტრისმა გააკეთა ჰეროდოტეს აღწერით)..ასეა თუ არა სინამდვილეში ეს?

„როდესაც სესოსტრისი გარდაიცვალა, ამბობენ რომ სამეფო ხვდა მის მემკვიდრე შვილს, ფეროსს, რომელსაც სრულიად არ ულაშქრნია და შემთხვევით იყო დაბრმავებული...ამბობენ, რომ ფეროსის შემდეგ სამეფო ტახტი მიიღო მემფისელმა კაცმა, რომელსაც ელინთა ენაზე სახელად ჰქვია პროტევსი...ალექსანდრემ მოიტაცა ელენე სპარტიდან და გაცურა თავისი სამშობლოსაკენ. როდესაც ის ეგევსის ზღვაში იმყოფებოდა, ქარებმა გადაისროლეს ეგვიპტის ზღვაში.“ (იქვე 111-115)

პროტევსმა, ფაქტიურად სესოსტრისის შვილიშვილმა, ჩამოართვა პარისს მისი მასპინძლის სახლიდან მოტაცებული ელენე და მოპარული განძეულობა. თავად პარისს გაცლა უბრძანა. მან ელენე ხელშეუხებელი დაახვედრა მენელაოსს, ელენეს კანონიერ ქმარს...შესაბამისად, ფარაონი სესოსტრისი ბაბუაა იმ ფარაონისა, რომელიც ტროას ომის ეპოქაში მეფობდა ეგვიპტეში...მაგრამ:

„კადმოსის ასულის სემელეს ძე, წოდებული დიონისედ, ჩემს დრომდე და-

ახლოებით 1600 წლით ადრე იყო, ხოლო ალკმენეს შვილი, ჰერაკლე -900 წლით უწინარეს“ (იქვე, II-145)

ისტორიაში მიღებულია ვერსია, რომ ჰეროდოტე ქრისტემდე 447-445 წლებში ათენში კითხულობდა თავის თხზულებებს. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჰეროდოტეს აქტიური მოღვაწეობა საბერძნეთის ისტორის აღწერის სარბიელზე ამავე წლებს ემთხვევა. ჰერაკლე ალკმენეს ძე-მისი სიტყვებით, მასზე უწინ 900 წლით იყო:

445+900=1345 ქრისტემდე.

ძნელი სათქმელია, ეს თარიღი ჰერაკლეს დაბადები ს წელია, თუ მისი როგორც ელინი გმირის აქტიური ქმედებების წლები (ჩვენი გამოთვლებით მეორე) ... საინტერესოა, რომ კოლხეთში მინიელი (და არა ელინი) გმირების ლაშქრობისას, ჰერაკლე უკვე სახელგანთქმული გმირია, შემდგარი და უძლეველი. სავარაუდოა, რომ ევრისთევსის მიერ დავალებული თორმეტი გმირობა მას უკვე შესრულებული უჩანს...და არგონავტთა სტარტის დროს, აქილევსი ჯერ კიდევ ძუძუთი ბავშვია, რომელიც მამამძუძუს მოყავს მამასთან, არგონავტ პელევსთან დასმშვიდობებლად...

და რამდენი წელია გასული არგონავტების კოლხეთში ლაშქრობასა და ტროას ომს შორის? რამდენადაც ცნობილია, ელენეს პოტენციურ საქმროებს შორის მრავალი ელინი ჭაბუკი მოიაზრებოდა, მათ შორის ოდისევსი და აქილევსი... კენჭისყრამ ელენეს ხელი მენელაოსს არგუნა და მაშინ ჭაბუკებმა ფიცი დადეს, რომ ყოველთვის იქნებოდნენ ელენეს მფარველები და შემწეები ... და აი ელენე პარისმა მოიტაცა, დადგა დრო პირობის შესრულებისა და ელენეზე ზრუნვისა ... ბევრი ელინი ჭაბუკი (და ვაჟკაცი) ცდილობს მოვალეობიდან თავის არიდებას, მათ შორის ოდისევსი და აქილევსი. მაშინ როდესაც მაცნეები მოვიდნენ ოდისევსთან საბრძოლოდ სახმობად, ამ უკანასკნელმა ხარებს უღელი უკუღმა დაადგა, რქებზე თავისი წინდები ჩამოაცვა და მიწის ხვნა ფეხშიშველამ დაიწყო. ელინებმა იფიქრეს, რომ ოდისევსი შეიშალა, თუმცა ერთ-ერთმა მისი ხრიკი ამოიცნო და კვალში ოდისევსის ერთადერთი შვილი ტელემაქე ჩასვა. რასაკვირველია ოდისევსმა გუთნეულით არ გადაუარა ერთადერთ შვილს და ამით თავიც გასცა: ელინები მიხვდნენ რომ ის გიჟი არაა და მხოლოდ სიგიჟის სიმულაციას ეწევა. ოდისევსი იძულებული გახდა სალაშქროდ გამოწყობილიყო და ელინებს გაყოლოდა. ისინი აქილევსისაკენ გაეშურნენ, რომელსაც დედამ ცუდი წინასწარმეტყველება აუწყა, რომ ის ამ ომში დაიღუპებოდა და ომში წასვლისაგან ყველა საშუალებით თავის არიდება სთხოვა... აქილევსი, ქალის კაბაში გამოწყობილი, ქალებს შორის ზის და ქარგავს. ასეთ დროს წაასწრეს მათ ელინებმა, რომელთაც ვერ შეძლეს ა ქილევსის

გარჩევა...ცხადია, ქალებში ვერ გამორჩეული აქილევსი ჭაბუკია (ზრდასრული მამაკაცის შენიღბვა ქალებში ვერ მოხერხდებოდა თუნდაც ქალის კაბაში ჩაცმულისა ... გარდა ამისა, აქილევსს მხოლოდ ერთი ვაჟი დარჩა , პტოლომეოსი, ზუსტად ამ ქალებთან მალვაში გაჩენილი)...მაგრამ ელინებს თან ახლავთ ოდისევსი, ადამიანებს შორის ყველაზე ცბიერი და მოხერხებული...მან საქალეთში ვირთაგვა შეაგდო. ატყდა წიოკი და პანიკაში ჩავარდნილი ქალები შეეცადნენ გაქცევას...აქილევსმა კი, თავისი მამაკაცური ბუნებიდან გამომდინარე, ჩუსტი ესროლა ვირთხას და მოკლა... რასაკვირველია, ეშმაკმა ოდისევსმა მას უცებ ჩაავლო ხელი და ამხილა კიდეც....შესაბამისად, არგონავტების ლაშქრობასა და ტროას ომს შორის სულ ერთი თაობა, მაქსიმუ მ 18-20 წელი თუ აშორებს...

ერთის მხრივ ჰერაკლე, რომელიც ჰეროდოტეს მიხედვით XIV საუკუნის გმირია, და მეორეს მხრივ ფარაონი რამზესი, რომლის ზეობის წლები ქრისტემდე 1279-1213 წელია, ქრონოლოგიურად შეუთავსებადი პიროვნებებია, რამზეს II მთელი 80 წლით უმცროსი ჩანს ჰერაკლეზე. მაშ, ვინაა ჰეროდოტესეული ფარაონი სესოსტრისი, ფაქტიურად ჰერაკლეს თანამედროვე? სესოსტრისის შვილიშვილი აქილევსის ეპოქაში, ტროას ომის დროს ზეობს, შესაბამისად სესოსტრისიც ქრისტემდე XIV საუკუნეში მოღვაწე უნდა იყოს. გარდა ამისა, გვაქვს გარკვეული შეზღუდვებიც, რომელიც საძიებელი ამოცანის ამოხსნის გზას გვიადვილებს: ტროას ამ ომში არ მონაწილეობს ჰერაკლე (თუმცა წინა ომში მონაწილეობს აიანტთან , აქილევსის უფროს ბიძაშვილთან ერთად) მაგრამ მონაწილეობს (მართალია ომის მიწურულს) ფილოქტეტე, რომელმაც ჰერაკლეს ნაანდერძევი მშვილდით (ანდერძი შედგა ჰერაკლეს კოცონზე თვითდაწვის შემდეგ, რომლის ცეცხლის მოკიდება ვერავინ იკისრა, ფილოქტეტეს გარდა, რომელსაც ჰერაკლეს მიმართ ასეთი დამსახურებისათვის მისი მშვილდი ეანდერძა) მოკლა ომის მიზეზი, პარისი...შესაბამისად, ეს ომი უკვე ქრისტემდე XIII საუკუნეში გადასული უნდა იყოს...ამასთან, პირველი ფარაონის შვილი მოკლევადიანი ფარაონი უნდა (როგორც ირკვევა, პაპა ფარაონი აიეტის თანამედროვეა) იყოს, შვილიშვილი უნდა მეფობდეს არა ნაკლებ ათი წლისა, რომლის განმავლობაში გრძელდებოდა ტროას ომი და მისი დასაწყის-დასასრულის მოწმეც ეს უკანასკნელი იყო. სულ ორი ჯგუფია ფარაონებისა, ქრისტემდე XIV საუკუნეს, რომელიც აღნიშნულ პირობებს აკმაყოფილებენ:

ამენხოტეპ-IV ზეობის წლები	1351-1334 ქრისტემდე	(მამა)-ეხნატონი
სმენხკარა----------	1337-1333	(შვილი)
ტუტანხამონი----------	1333-1323	(შვილიშვილი)

და

ხორემხები- ზეობის წლები 319-1292 ქრისტემდე (მამა)

რამსეს I---------- -- 1292-1291 (შვილი)

სეტი I---------- 1290-1279 (შვილიშვილი)

სახელი ამენხოტეპი, 1დან 4 მდე, ორ დინასტიაში ფიგურირებს: XII; და XVII; ამ უკანასკნელს ემატება (ალბათ) ზედწოდება-ეხნატონი;

უნდა აღინიშნოს, რომ ფარაონთა პირველი ჯგუფი არ შეიძლება იყოს ჩვენი საძიებელი, ვინაიდან ამ ჯგუფის სამივე ფარაონი თანამედროვე ჩანს ჰერაკლესი, რაც გამორიცხავს მათ ზეობას ტროას ომის პერიოდში, სადაც უკვე ჰერაკლე ვერ მონაწილეობს- ის უკვე ამქვეყნად არაა ... ამასთან ტუტანხამონი არც ერთ წყაროებში არაა დაფიქსირებული ტროას ომის თანამედროვედ. სულ ერთი ჯგუფი ფარაონებისა გვრჩება, კონკურენტი ჩვენი პირობების დაკმაყოფილებისა! ამასთან, იგივე ჰეროდოტე თავად აწესებს იმ შეზღუდვას, რომელიც ტროას ომის მსვლელობას ქრისტემდე XII საუკუნეს გამორიცხავს (როგორც ოფიციალური ვერსიით იყო მიღებული)

„პანი პენელოპეს შვილი იყო და მისი დროიდან ჩემს დრომდე უფრო ნაკლები ხანი გავიდა, ვიდრე ტროას ომიდან აქამდე, დაახლოებით 800 წელი“ (იქვე)

...და ვინაიდან ჰეროდოტეს მოღვაწეობის საშუალო პერიოდი 450 წე- ქრისტემდე: პანის ასაკი - 800+450=1250 ქრისტემდე...და ეგვიპტელების სიტყვებით, ტროას ომი ამ თარიღზე ადრე იყო... შესაბამისად:

ფარაონი ჰორემხები-ეს ჰეროდოტესეული ფარაონი სესოსტრისია

ფარაონი რამსეს I-ეს ჰეროდოტესეული ფეროსია, ბრმა ფარაონი

ფარაონი სეტი I-ეს ჰეროდოტესეული ფარაონი პროტევსია, მემფისელი კაცი.

ის მეფობს 11 წელი, რაც სრულიად საკმარისია სპარტადან წამოსული პარისისა და ელენეს შესახვედრად და ელენეს ეგვიპტეში დასატოვებლად, ასევე ტროას ათ წლიანი ომის შემდეგ მენელაოსის მისაღებად და ელენეს გადასაცემად...საინტერესოა, რომ ჩვენი მიგნება საშუალებას იძლევა სკრუპულოზურად დამტკიცდეს ტროას ომის დაწყების თარიღი, რომელიც თითქმის სრული საუკუნით განსხვავდება ოფიციალურისაგან: 1289-1279 წელი ...ამასთან, იძლევა არგონავტების ლაშქრობის ზუსტ თარიღს: 1289+18 ან 20=1307-1309 წელს..ხოლო ჰერაკლე ცოცხალი აღარა ჩანს უკვე 1293 წლისათვის....(30)

მაშასადამე, ფარაონი ჰორემხები...ეს ფარაონი არ წარმოადგენს ფარაონთა დინასტიურ პლეადას, ის მემკვიდრეობითი ფარაონი არ არის, მის

შესახებ ცნობები ნაკლებადაა შემონახული -ის უფრო მაღალი რანგის სამხედრო მეთაურთაგანია. ლაშქრობა შურისძიების მიზნთ უცხო არაა ანტიკური სამყაროსათვის. ასე მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელი სპარსეთზე ქრისტემდე 332 წლის მიზეზად 170 წლის წინანდელ ლაშქრობას ასახელებს სპარსელებისა ელადაში...მაგრამ ეს ლაშქრობა განსაკუთრებული ჩანს ანტიკური მასშტაბითაც კი : სკვითების ეგვიპტეში შემოჭრიდან თითქმის ხუთასი წელია გასული, ხოლო მათი გადარეკვიდან 2, 5 საუკუნეზე მეტი...და ამდენი წლის შემდეგ შურისმაძიებელ ფარაონი ჰორემხები აწყობს ლაშქრობას თრაკიასა და სკვითიის წინააღმდეგ. ერთი შეხედვით დაუჯერებელია, მაგრამ ფარაონის ლაშქრობის ტრასის გამოთვლაც კი შესაძლებელია:

„ფრიგიელებს, როგორც მაკედონელები ამბობენ, წინათ ეწოდებოდათ ბრიგები, მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების გვერდით ცხოვრობდნენ, ხოლო აზიაში რომ გადავიდნენ, მიწაწყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს, ფრიგიელები დაირქვეს. არმენიელები, რომლებიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად იყვნენ მოწყობილი. ამათ ორივერ მართავდა არტოქმესი, რომელსაც დარიოსის ასული ყავდა ცოლად (იქვე, VII-73)

ამ ფრიგიელების ქვეშ ჰეროდოტე აქაც და ყველგან ქურთებს გულისხმობს, არმენიელები-ეს უფრო გვიანდელი წყაროს არამეველები არიან, არმენები- სომხები. მაკედონელები, ეს დორიული ტომები, ისევე როგორც ყველა დორიელი XV-XIII საუკუნიდან ვრცელდებიან ევროპაში, შესაბამისად ფრიგიელ- არმენიელები კიდევ უფრო ადრე ჩანან ევროპის კონტინენტზე. საიდან ჩამოსახლდნენ ისინი აქ და რატომ გადასახლდნენ შემდგომ აზიაში? ან რატომ ლაშქრობს მათზე ფარაონი ჰორემხები? როგორც ჩანს, არც პირველი ჩამოსახლებაა ევროპაში ნებაყოფილებითი და არც აზიაში გადასვლა: ერთსაც და მეორესაც ისინი შურისმაძიებელი ეგვიპტელების ზეწოლის შედეგად აკეთებენ. ისინი ჩანან ჰიქსოსების რიგში ის სემიტური ტომები, რომლებიც სკვითებთან ერთად 230 წელი ბატონობდნენ ეგვიპტესა და ეგვიპტელებზე, და რომელნიც ფარაონ იახმოსის და ეგვიპტელების ზეწოლის შედეგად განიდევნა ჯერ პალესტინაში, ხოლო შემდეგ საერთოდ მცირე აზიიდან (სავარაუდოდ, მათ განდევნაში განდხარვების წილიც უნდა იდოს, თუმცა ისინი განდხარვთა მონათესავე ტომია, ისევ და ისევ მათი ადამის შვილებში აღრევის მისაღწევად)...ამასთან, მიუხედავად ჰეროდოტეს მტკიცებისა, მაკედონელები და ფრიგიელები მეზობლები არასდროს ყოფილან : მაკედონელები (საერთოდ დორიელები) უფრო გვიან ჩამოსახლდნენ ევროპაში, სანამ აქ ფრიგიელები მოხვდებოდნენ მცირე

აზიიდან , კერძოდ XVI საუკუნეს და ფრიგიელებმა უფრო ადრე დატოვეს ევროპა, სანამ აქ მაკედონელები გამოჩნდებოდნენ:

„ყმაწვილები მივიდნენ მაკედონიის სხვა მხარეში და დასახლდნენ ბაღების მახლობლად, რომელთა შესახებ ამბობდნენ რომ ისინი ეკუთვნოდა მიდესს, გორდიესის ძეს“ (ჰეროდოტე, წიგნი VIII-138)

აქ ჰეროდოტე იმ პერდიკესზე საუბრობს, რომელიც ალექსანდრეს წინაპარია შვიდი თაობით ადრე, იმ ალექსანდრესი, რომელიც დარიოს პირველის თანამედროვეა და ცხოვრობდა ქრისტემდე 500 წელს... შესაბამისად, პერდიკესი ქრისტემდე VII საუკუნეს ცხოვრობს...პერდიკესი, რომელიც საკუთარ ორ ძმასთან ერთად ითვლება მაკედონელთა ეთნარქად...

ზუსტად ესენი, ბრიგები ჩანს ჰორემხების ლაშქრობის პირველი მსხვერპლნი იმ დონენდე, რომ მათი ხსენება ევროპაში საერთოდ აღმოიფხვრა. საინტერესოა, რომ XIV საუკუნის ბოლოს წასხმული ფრიგიელები და არმენიელები, (ისევე როგორც ეგვიპტელების წასხმული სხვა ხალხები) დიდი ხნით საერთოდ ქრებიან ისტორიის თვალსაწიერიდან. ამ პროცესის ახსნა იმავე ჰეროდოტეს სიტყვებითაა შესაძლებელი, რომ დატყვევებული ხალხები ეგვიპტელების მიერ ქვების საზიდად და არხების სათხრელად იქნა გამოყენებული. (სავარაუდოა, რომ ოთხი ფარაონის არხად წოდებული არხი, რომელიც საშუალებას იძლეოდა მეწამული ზღვიდან ნილოსამდე და შემდგომ ხმელთაშუა ზღვამდე გაღწევისა, ზუსტად ფარაონ ჰორემხების და მისი მემკვიდრეების დროს იქნა აღდგენილი) ....და მაინც, ეგვიპტური აღმშენებლობა ვერ ხსნის ამ ხალხების საუკუნოობით ისტორიული პროცესებიდან გაქრობას. ვფიქრობ, აქ ფარაონის და ეგვიპტელი ხალხის საერთო გადაწყვეტილებით, დაიდო რაღაც შეთანხმება ტაბუს დონეზე, რომ ეგვიპტის წარსული დამონებისათვის ეს ხალხები აგებენ პასუხს იმდენივე -230 წლის მონობით...ამიტომაც ჩანან ეს ხალხები მცირე აზიის ისტორიაში გვიან, თუმცა რამდენადმე ადრე იყვნენ შემოყვანილი პირველ რიგში ეგვიპტეში და მხოლოდ მონობისაგან განთავისუფლების შემდეგ უჩნდებათ პრეტენზია საკუთარი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ქონაზე...(31)

უშეცდომოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჰორემხების არმია დარდანელის სრუტეზე გადადის და პირველი მსხვერპლი მისთვის ევროპაში მდებარე ფრიგია-არმენია ხდება. შემდეგი მსხვერპლი კი უკვე თრაკიელები, კერძოდ მედების ტომი ხდება. სავარაუდოა, რომ ტყვეების (ხანდახან მთელი მოსახლეობის) ეგვიპტეში გადაგზავნა ხდება ცალკეული ჯარის საშუალებით, რომელიც ბადრაგის ფუნქციას ასრულებს (სავარაუდოდ, ამ ფუნქციის შესრულებას აგრძელებს არა მარტო გზაში, არამედ ეგვიპტეშიც) ამავე დროს ჩანს ჰორემხების მიერ დაპყრობილი და ტყვედ წამოსხმული

ედონის (ედონი მაკედონიის მეზობლად მდებარეობდა) მოსახლეობის დიდი ნაწილიც....ეს ტომი იუდეველებია, შემდგომში მოსეს ხალხად და ბოლოს ებრაელებად წოდებულნი, ებრაელი, გამომდინარე ყველა შედეგებით. (ედონის ისტორია ცალკე განხილვის თემაა, მოგვიანებით ამავე წიგნში)

ფარაონ ჰორემხების ეს ლაშქრობა უფრო გვიანდელი ჩანს, ვიდრე არგონავტებისა კოლხეთში, იმ დროისათვის საბერძნეთში მდებარეში... საფუძველი? საფუძველი იმავე ევმელის ნაშრომში უნდა ვეძებოთ, რომლის მიხედვითაც მეფე აიეტი კოლხური მოსახლეობის ნახევრით ტოვებს ადრიატიკას და გადაადგილდება შავი ზღვის მიმართულებით...ამასთან, კოლხეთის მეფე აიეტი, იმავე ევმელის თანახმად, დედაწულიანად ჩანს აყრილი და კოლხეთში გადასახლებული... და რამ შეიძლება აიძულოს ერი (თუნდაც მისი ნაწილი) მიატოვოს სამშობლო და სხვაგან გადასახლდეს? მიზეზი სულ ორი შეიძლება იყოს:

1. ერი (ამ შემთხვევაში კოლხეთი) დაპყრობილია უცხოტომელების მიერ და მისი ნაწილი იძულებულია გადასახლდეს სხვა ტერიტორიაზე, მონობი ს და მეორეხარისხოვანი მოქალაქეობის თავიდან ასაცილებლად.
2. ერის ნაწილი ნებაყოფილებით გადასახლდება ახალ ტერიტორია და ახალშენს აფუძნებს თავისუფალ, სრულიად აუთვისებელ ტერიტორიაზე.

...და რა სიტუაციასთან გვაქვს საქმე კოლხებთან და მათ მეფე აიეტთან მიმართებაში? ის რომ კოლხები ახალი ტერიტორიებისაკენ მტრის მოძალების გარეშე გადადიან, ცხადი ხდება იმავე ევმელის სიტყვებიდან... (მოვიყვანთ ევმელის ლექსის ამ ციტატას, რამეთუ ამ სტრიქონების მკითხველს შესაძლოა არ ახსოვდეს ის წინა წიგნიდან)

“შემდეგ კი, როდესაც დაიბადა ეეტი ალოესთან ერთად-
გელეის შთამომავალი (32) მისცა ანტიოპემ ქვეყანა თანაბრად
ჰიპერიონის ბრწყინვალე შვილმა გაუყო შთამომავალთ
მისცა ღმერთების ტოლ ალოეს მან ასოპიის მიწები,
მფლობელობა ეპირისა მდიდრისა, ერგო ეეტს
თავისი ნებით მან ბუნს გადასცა სამეურვეოდ
სანამ თვითონ არ დაბრუნდება, ან რომელიმე მისი შთამომავალი,
შვილი ან შვილიშვილი, თავად გაემართა კოლხთა მიწისაკენ
(ევმელი; მოღვაწეობის თარიღი უცნობია. ნაწყვეტი შემონახულია რუბრიკაში: ელინი პოეტები VIII-III ჩვ. წ. აღრიცხვამდე)

შესაბამისად, აიეტი ნებაყოფილებით ჩანს გადასახლებული შავ ზღვაზე, დღევანდელ კოლხეთში (თუმცა აიეტის დასახლებული კოლხეთი დაფუძნდა (სავარაუდოდ) ქალაქ ტრაპიზუნდთან, რომელიც თავიდან მისი დედაქალაქი ჩანს, საიდანაც ქრისტემდე V საუკუნეს უკვე ფაზისამდე-ფოთამდე იყო უკვე გავრცელებული)

...მაგრამ წამოიჭრება ერთი კითხვა: რატომ რისკავს მორჭმული და სახელოვანი მეფე აიეტი დედაწულით? ეს ხომ ჩვეულებრივი ლაშქრობა არ არის, სადაც მონაწილეობას მხოლოდ ზრდასრული და ამტანი მამაკაცები-მეომრები ანხორციელებენ? განსხვავებით დედაწულიანად გადასახლებისა, როდესაც ლაშქრობაში არმიას თან მიყავს საკუთარი ცოლ - შვილი? წარუმატებლობის შემთხვევაში, მათ ხომ უცილობელი დაღუპვა უწერიათ? ის რომ აიეტი გადაადგილდება მოსახლეობასთან ერთად (ეს არაა სრულიად სამხედრო ლაშქრობა, რომელიც რაღაცწილად ყოველთვის შეიცავს ავანტიურის ელემენტებს) მიუთითებს, რომ მეფე აიეტი უკვე იცნობს შავი ზღვის ამ სანაპიროს! მას შეთვალიერებულ- შეგულებული უჩანს დაუკავებელი ტერიტორიები, დღევანდელი ფოთიდან სინოპამდე (კერასუნტის დასავლეთით) და ახალშენად მოწონებული... და როგორ, საიდან? **აიეტი, კოლხეთის მეფის, ფარაონ ჰორემხების ლაშქრობის თანამონაწილე ჩანს!**

ორივე მხარისათვის, კოლხებისა და ეგვიპტელებისათვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ის, რომ ეგვიპტელების მიერ ფრიგიელების და არამეველების ტომების დაპყრობის შემდეგ, უკვე თრაკიელებთან, კოლხების უშუალო მეზობელ მედების ტომთან მისული ეგვიპტელები, აღმოჩენილნი კოლხების პირისპირ, თურმე ერთ ენაზე ლაპარაკობენ! ზუსტად აქ, თრაკია -კოლხეთის (ეპირის) გამყოფ ზოლზე ჩანან შეხვედრილი ეგვიპტელი და კოლხი მეომრები ერთმანეთს, თუმცა იმ დროისათვის საბერძნეთის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ იონიურად, კოლხურ-იბერიულ -ჭანურად უნდა ლაპარაკობდეს ... აკი აღნიშნავენ კიდეც სხვადასხვა ანტიკური წყაროები, რომ აიეტი კორინთოს და კოლხეთის მეფეა. ცხადია, აქ ორივე ტომის ენობრივი იდენტურობა იგულისხმება. იონიურად ლაპარაკობს არკადია (გაცილებით გვიანაც პელაზგებად სახელდებულნი) და თავად ათენიც კი (თუმცა იბერიულად). აიეტი და კოლხების ლაშქარი შეერთებული ჩანს ეგვიპტურ ლაშქარს თრაკიისა და სკვითიის დასალაშქრავად. შესაბამისად, ეგვიპტის ლაშქრის თრაკიასა და სკვითიაზე ლაშქრობა ქრისტემდე 1307-1305 წლით უნდა შეფასდეს (მიხრწნილებაში გადამდგარი ფარაონი პირადად ასეთ ლაშქრობაზე ვერც იფიქრებდა)

სტრაბონის (მეგასთენეს) სიტყვები, რომ სესოსტრისი იბერიიდან დაიძრა თრაკიისა და პონტოს (იგულისხმება შავი ზღვა) წინააღმდეგ, გვაფიქრებინებს, რომ სესოსტრისის (ჰორემხების) ეს ლაშქრობა იმთავადვე სახმელეთო იყო, ვინაიდან ტრასა (იგულისხმება მცირე აზია) და თრაკია მხოლოდ და მხოლოდ სახმელეთო ლაშქრობას გულისხმობს. ამასვე ხაზს უსვამს ჰეროდოტე, რომლის მიხედვით ფარაონ სესოსტრისის პირველი ლაშ-

ქრობა საზღვაოა, მეორე - სახმელეთო. შესაძლებელია თუ არა ეგვიპტელ-კოლხთა ამ ერთობლივი ლაშქრობის ტრასის დადგენა? როგორც ჩანს, კი!

...დოლმენები...ისინი აღინიშნებიან პირენეის ნახევარკუნძულზეც და ევროპის ბევრ ქვეყნებში, აღინიშნება ისინი აზიაშიც, თუმცა მათი საბოლოო დანიშნულებაზე საერთო აზრი არ არსებობს. დოლმენების აღმართვის თარიღი ქრისტემდე III ათასწლეული, II ათასწლეულის მეორე ნახევარი, I ათასწლეულია. დოლმენების აგების თარიღის დროში განვრცობა აშკარად გვიჩვენებს, ის ხალხთა სხვადასხვა ჯგუფის (მაგრამ არა სხვადასხვა რასის) მიერაა აგებული.

…როგორც ჩანს, ის ხალხთა დიდი ჯგუფის მიერ აღმართული დროებითი სამლოცველოა (ზუსტად ასეთი, ოღონდ გადასატანი კარვის სახით და მსუბუქი, ჰქონდათ ებრაელებს უდაბნოში მათი ხეტიალისას, აღმატებული გონის შეკვეთით აგებული). უძველესი, III ათასწლეულის დოლმენები პირენეისაკენ -ეს თარხონ ეთიოპის (ქუშის) ხალხს უნდა ეკუთვნოდეს, უფრო გვიანდელი I I ათასწლეულის მეორე ნახევარი- ფარაონ ჰორემხებისა, ხოლო I ათასწლეულისა ყირიმის ნახევარკუნძულზე, ასაკებნებისა-იგივე ტავრებისა. რასაკვირველია, ცენტრალურ და ჩრდილო ევროპასაც საკუთარი „ტეარკონი“ უნდა ყოლოდა, თუმცა არა ქუში...უფრო მეტიც, მახასიათებელი დოლმენების აღმნიშვნელი ადგილი და თარიღი, ხალხთა განსახლების პროცესში გარკვეული სინათლის შემტანიცაა. ამ დოლმენებზე თრაკიელებისა და სკვითებისა, საუბრობს ჰეროდოტე, სადამდეც მისი აზრით მივიდა ფარაონ სესოსტრისი

...და რომელი დოლმენები აქვს ნავარაუდევი სკვითების ტერიტორიაზე ჰეროდოტეს? მისივე ნაწერებიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის ნამყოფია ყირიმზე, მათ შორის მის იმ ნაწილშიც, რომელსაც ტავრიდა ეწოდებოდა და სადაც ტავრები -ასაკენები და მცირე რაოდენობის საკებიც ცხოვრობდნენ. როგორც ზემოთ ითქვა, ტავრები მცირე აზიაში სკვითების მესამე ლაშქრობასა და მათი განდევნის შედეგად შემოსული ტომია. დოლმენები სწორედ მათ ტერიტორიაზეა აღნიშნული ყირიმში, თუმცა მისი ასაკენურ-საკური მოსახლეობა ფარაონ სესოსტრისის (ჰორემხების) ლაშქრობის დროს აქ უბრალოდ ვერ იქნებოდა...ჰეროდოტეს ნამდვილად შეეძლო დოლმენების აქ ნახვა და ჩაეთვალა, რომ ის ფარაონ ჰორემხებისეულია. ტავრების დოლმენები ჰორემხებისეული სიებიდან ამოსაღებია, მაშ რომელ დოლმენებზე შეიძლება საუბარი, სავარაუდოდ სესოსტრისისეულზე? ეს დოლმენები მხოლოდ ისინი შეიძლება იყოს, რომელიც ადიღეს (მაიკოპ-კრასნოდარის) მთისწინა ნაწილშია დაფიქსირებული და რომელიც ზუსტად შეესაბამება ფარაონ ჰორემხების დროინდელ ლაშ - ქრობის ტრასას ქრისტემდე XIV საუკუნეს. გზამკვლევი აქ იმავე დოლმე-

ნების განლაგების ადგილმდებარეობა გამოდის. მათი დიდი რაოდენობა კონცენტრირებულია ადიღესა და კრასნოდარის მთისწინა ნაწილში. თუ გავითვალიწინებთ ზემოთ გამოთქმულ ჰიპოთეზას, რომ დოლმენები სამგზავრო სალოცავებია, ადიღე-კრასნოდარის მიდამოში ეგვიპტურ-კოლხური ლაშქრის დიდი ხნით შეყოვნების მომასწავებელი უნდა იყოს, როდესაც თითოეული ქვეგანაყოფი არმიისა საკუთარ დოლმენს- სალოცავს აშენებს ... და რა გახდა მიზეზი ლაშქრის დიდი ხნით შეყოვნებისა? როგორც ჩანს, სკვითებმა თავდაცვის იმავე ხერხს მიმართეს, რასაც თითქმის მთელი ათეული საუკუნეების შენდეგ სპარსეთის მეფე დარიოსის წინააღმდეგ იყენებდნენ: მათ გაირეკეს თავიანთი საქონელი, შესხეს ოჯახები ფორნებზე და შორს ჩრდილო -აღმოსავლეთისაკენ გადაიხვეწნენ, მათ და ბედად დასაცავიც არაფერი გააჩნდათ, თვით წინაპართა საფლავებიც კი (ჰეროდოტეს სიტყვებ სკვითების საფლავები გეროსის მხარეში , დღევანდელი ბელორუსიის მხარეს იმყოფებოდა) განსხვავებით სპარსელებისა, მათ ეგვიპტელებთან შებმა საერთოდ ვერ გაბედეს... და რა ტრასით ლაშქრობს ეგვიპტელ-კოლხთა შეერთებული ლაშქარი? დასაშვებია, რომ გაერთიანებული ლაშქარი ყირიმის ნახევარკუნძულზე შემოსულიყო (პერეკოპი, ნახევარკუნძულის გადათხრა მონების ნაბიჭვარების მიერ თითქმის ათეული საუკუნის შემდეგ ხდება) ... და ეგვიპტურ-კოლხური ლაშქარი ფაქტიურად ნახევარკუნშულზე აღმოჩნდებოდა მომწყვდეული. ერთეული საცურაო საშუალების გაკეთების შემდეგ (ხე-ტყის ყირიმის ნახევარკუნძულზე შეზღუდულობის გამო) არმიას გადასვლა უნდა დაიწყო მეორე მხარეს. აქვე მოუხდათ საომარი მოქმედებების ჩატარება სინდების (შემდგომი მისიელები- სირიელები) ტომის წინააღმდეგ, რომელნიც ერთმნიშვნელოვნად მოიაზრებიაბ ჰიქსოსთა-სკვითთა სემიტურ ნაწილში ... მეომრების გადმოყვანა ყირიმის ნახევარკუნძულიდან მოპირდაპირე მხარეს, ერთეული საცურაო საშუალების გამო საკმაოდ დიდხანს უნდა გაწელილიყო . ჯარის ნაწილები უნდა გადაადგილებულიყვნენ მთისწინეთში, თავი უნდა აერიდებინათ ზღვისპირა ჭაობებისათვის, ამასთან მხედველობიდან არ უნდა დაეკარგათ ზღვის სარკე. არმიის ამ შეფერხებას უნდა გამოეწვია დოლმენთა, სალოცავთა სიმრავლე ადიღე - კრასნოდარის რაიონში. უკანასკნელი დოლმენები ფიქსირდება ოჩამჩირის ტერიტორიაზე.

მაგრამ... მაგრამ ასეთ შემთხვევაში, დოლმენები (სამგზავრო სამლოცველოები) უნდა ყოფილიყო ქერჩის სრუტის ორსავე მხარეს, რაც სინამდვილეში არ ფიქსირდება. ის, რომ დოლმენების კონცენტრაცია ზუსტად ეგვიპტურ - კოლხური ლაშქრის შეფერხების ადგილას გვხვდება, საეჭვოც კი არ უნდა იყოს. სავარაუდოა, რომ ეგვიპტურ-კოლხური ლაშქარი რამდენიმე თვით შეფერხდა დღევანდელი ადიღისა და კრასნოდარის ტერიტო-

რიაზე...ხორბლის, უფრო ზუსტად ჭვავის, ან ბრინჯის დასათეს, მოსამკელად, ჯარის საკვების მარაგის შესავსებად. მართლაც საეჭვოა, რომ ეგვიპტის ლაშქრის, (სავარაუდოდ ძალიან დიდის) მთელი კომპანიისათვის საჭირო ფურაჟით უზრუნველყოფა შესაძლებელი იყო (მით უმეტეს, სკვითები აგრონომიას გაცნობილნი არ ჩანან) თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეგვიპტური ჯარისათვის საკვების, მოსავალის მოსაყვან - დასამზადებლად მეოტების თითქმის სრულიად დატყვევებული ტომი უნდა ყოფილიყო გამოყენებული რომელიც აქედან უჩანს წამოსხმული ფარაონ სესოსტრისს და რომელსაც მთელი 230 წელი ტყვის მდგომარეობაში აცხოვრებენ ეგვიპტელები.

ამ ხალხს, ყოფილ სინდებს ჰეროდოტეს დროს მატიენები ერქვათ, უფრო გვიან-კომაგენა... ამდენად, ეგვიპტელთა ლაშქრობის ტრასა ყირიმზე არ გადადის... ასეთ შემთხვევაში, წინა პლანზე გამოდის მეოტთა ტომის თემა- როგორც ჩანს, მეოტები და ჰეროდოტეს ნახსენები მატიენები არმენთა მეზობლად, ერთი და იმავე ხალხის ნაწილია..(33). კერძოდ, ეპოს „მახაბხარატას“ პერსონიფიცირებული ტომი მატსიებისა, რომლებიც ამავე ეპოსის მიხედვით ჩრდილოეთ ინდოეთის ტომები ჩანან, პანჩალებისა და სომაკების მეზობელი და რომელიც ზემოთ ნახსენებ ტომებთან ერთად მოიაზრებიან ჰიქსოსების (სკვითების) ურდოების სემიტურ ნაწილში. (კიდევ ერთხელ მტკიცდება მიხვედრა სუბართუს სახელმწიფოს ტომობრივი შემადგენელის შესახებ)... შეასაბამისად, ფარაონ ჰორემხების ლაშქარს ფაქტიურად დალაშქრული უჩანს ევროპელი სკვითების (უკრაინელების) ტერიტორია, მინიმუმ მდინარე დონის აზოვის ზღვასთან შ ეერთების ადგილამდე, დღევანდელ ქალაქ როსტოვამდე მაინც... (ზუსტად აქ აღრიცხავს მეოტების ტომს სტრაბონი) მეოტების უდიდესი ნაწილი ტყვედ უჩანს აყვანილი და აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გავლით ჩასული შავ ზღვამდე... სავარაუდოა, რომ ეგვიპტურ-კოლხური ლაშქრისათვის მოსავალის მოწევა სწორედ მეოტთა ტომის მიერ ხდება (რასაკვირველია არა ნებაყოფილებით, მონას ნებელობა არა აქვს...).

... მართალია ეგვიპტურ-კოლხურმა ლაშქარმა სკვითია დაარბია, თუმცა მათი მოხელთება ვერ მოახერხა (ამას სკვითი ტყვეების არყოფნაც ადასტურებს ეგვიპტესა და მახლობელ ტერიტორიაზეც...თვით ისეთი სკრუპულოზული მეცნიერი, როგორიც ჰეროდოტეა, ცდება ხანდახან:

„მან ეს გააკეთა და გადაიარა ხმელეთი, ვიდრე აზიიდან ევროპაში არ გადავიდა და დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. მე ვფიქრობ, რომ ის უშორესი ადგილი, სადამდეც მივიდა ეგვიპტელთა ლაშქარი, სწორედ აქ იყო, რადგან ამათ ქვეყანაში კიდევ ჩანს მათ მიერ დაყენებული სვეტები, ხოლო ამათზე უფრო შორს კი აღარა ჩანს. აქედან შემობრუ-

ნდა და უკან წავიდა. შემდეგ კი მდინარე ფასისთან იყო. მე არ შემ-იძლია დაბეჯითებით იმის თქმა, რომ ამ ადგილას თვით მეფე სეს-ოსტრისმა გამოყო თავისი ლაშქრის რაღაც ნაწილი და დატოვა აქ, ამ ქვეყნის მაცხოვრებლად. ან კიდევ იმისი, რომ ზოგიერთი ჯარისკაცთა-განი, გადაღლილი ხეტიალით, დარჩა მდინარე ფასისთან" (იქვე II-103)

ჰეროდოტე სკვითიის დაპყრობაში გულისხმობს, რომ ეგვიპტელთა ლაშქარმა ჭეშმარიტად გაიარა ევროპელი სკვითების მიწა-წყალის უდიდ-ესი ნაწილი, თუმცა სავარაუდოდ სამხედრო შეტაკებას ამ უკანასკნელებ-თან ადგილი არ ჰქონია-ამას ეგვიპტესა და მცირე აზიაში სკვითი ტყვეე-ბის (თუ ნატყვევარების) არ არსებობა გვიჩვენებს.. .სავარაუდოდ, მომთა-ბარე სკვითებმა, ისე როგორც სპარსელების და დარიოს I მოულოდნელი შემოტევისას თავი აარიდეს ეგვიპტელებთან შეტაკებას და გაეცალნენ... ვერც უკან გაბრუნებულ ეგვიპტელთა ლაშქარზე გაბედეს თავდასხმა, როგორც სპარსელებთან...მართალია ჰეროდოტე საუბრობს ეგვიპტელ ჯა-რისკაცთა მდინარე ფასისთან დარჩენაზე, მაგრამ სავარაუდოდ აქ მეფე აიეტის კოლხი ჯარისკაცები ჩერდებიან, რომლებიც სავარაუდოდ (მეფე აიეტის თანხმობით და მასთან შეთანხმებით) აქ რჩებიან, სადაც გადმოსა-ხლებაზე თვით აიეტიც ფიქრობს. შესაძლოა, რომ კოლხებმა ჯარისკაცები ტრაპიზუნდშიც დატოვეს და ამგვარად აღნიშნეს მომავალი კოლხეთის საზღვრები (32)...შესაძლოა მცირე ნაწილი ეგვიპტელი ჯარისკაცებისა მარ-თლაც რჩება კოლხებთან და მდინარე ფასისთან, თუმცა ეს არსებითად არაფერს არ ცვლის-ერთიც და მეორეც, გენეტიკურად და ფაქტიურად კო-ლხები არიან. ეგვიპტურ - კოლხური ლაშქარი აგრძელებს მოგზაურობას შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით, შესაძლოა სინოპას ნახევარკუნძულამ-დე ან თავად ბოსფორმდე, საიდანაც ორივე მხარემ იცის თავისი გზასავა-ლი: პირველმა ეგვიპტისაკენ, მეორემ კოლხეთისაკენ, მომავალი ეპირისაკ-ენ.

უახლოეს მომავალში, ისევე როგორც ტირსენ ატისის ძე, აიეტიც ყო-ფს ევროპული კოლხეთის მოსახლეობას. ერთი ნაწილით ის თავად მიაშ-ურებს აზიის კოლხეთს საცხოვრებლად, მეორე ნაწილი რჩება ევროპაში, თუმცა უახლოეს მომავალში ეპირად გადაინათლება. ასე ქრება საბერძნ-ეთსა და ეპირში კოლხეთის სახელი და ის მხოლოდ ლეგენდების სახით შემოენახა შთამომავლობას...

... ეგვიპტე და მცირე აზია...

„ეგვიპტელები შვიდი გვარია, მათ შორის არიან ქურუმები, ეგრეთ წოდებ-ული მეომრები, მენახირეები, მეღორეები, ვაჭრები, თარჯიმნები და მესა-ჭეები. აი ამდენი გვარი არსებობს, ხოლო სახელები ამ გვარებს ხელობის

მიხედვით ჰქვით. მათ შორის მეომრებს ეწოდებათ კალასირიები და ჰერმოტიბიები, რადგან ისინი ამ ოლქებიდან არიან: მთელი ეგვიპტე ხომ ოლქებადაა დაოფილი.

ჰერმოტობიებისაა შემდეგი ოლქები: ბუსირისის, საისის, ქემისის. პაპრემისის , ეგრეთ წოდებული პროსოპისის კუნძული და ნათოსის ნახევარი. ამ მხარეებიდან არიან ჰერმოტიბიები და ისინი 160000-ზე უფრო მეტნი არიან. მათ შორის ხელობა არავინ იცის, ისინი მხოლოდ სამხედრო საქმიანობას ეწევიან.

კალასირიების შემდეგი ოლქებია: თებესი, ბუბასტისის, აფთაიის, ტანისის, მენდესის, სებენიტოსის, ათრიბისის, ფარბაიოსის, თმუისის, ონუფისის, ანისისი და მიეკროფიტის. აი, ეს ოლქი კუნძულზე მდებარეობს, ქალაქ ბუბასტისის პირდაპირ. ეს ოლქები კალასირიებისაა და ისინი 250000 სულზე მეტნი არიან. არც მათთვის შეიძლება, რომ რაიმე ხელობას მისდევდნენ, მხოლოდ ომში ღებულობენ მონაწილეობას და ამ საქმიანობას შვილი ცვლის ხოლმე მამას.

ქურუმთა გარდა ეგვიპტელთა შორის მხოლოდ მეომრებს აქვთ გამორჩეული პატივი, თითოეულს აქვს 12 საუკეთესო დაუხარკავი ნაკვეთი ... ეს პატივი მეომრებს აქვს, ხოლო მეორე უპირატესობით ისინი ჯერჯერობით სარგებლობენ და არასოდეს ყოფილა ისე, რომ ერთსა და იმავეს ესარგებლა : ათასი კალასირიელი და ათასი ჰერმოტიბიელი ყოველწლიურად იყვნენ მეფესთან პირად მცველებად. ამასთან ისინი მიწის ნაკვეთის გარდა ყოველწლიურად კიდევ შემდეგს ღებულობენ: თითოეული გამომცხვარ პურს, წონით 5 მნას, ძროხის ხორცს ორ მნას, ღვინოს -ოთხ საწყაოს. ეს მუდამ ეძლეოდათ მეფის პირად მცველებს“ (ჰეროდოტე, წიგნი II, 165, 166, 168)

ჰეროდოტეს მიერ ჩამოთვლილი საცხოვრებელი ადგილები კალასირიებისა ძირითადად ეგვიპტის შიდა რაიონებია. თებეს და მენდესის ოლქი პირდაპირ ასოცირდებიან განდხარვებთან, მათ ფინიკიურ ტომებთან, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ აქ თებეელები და მენდესელები პრაქტიკულად ოცი საუკუნით ადრე დომინირებდნენ, ვიდრე კალასირიები. ამასთან, ჰეროდოტე სრულიად სხვა სახელით იხსენიებს სირიელებს, რომლებიც მისი ეპოქისათვის უკვე სახელმწიფოებრიობის მძლავრ განაცხადს აკეთებენ მცირე აზიაში:

“სპარსელების მიყოლებით მარდონიოსმა დაალაგა მიდიელები... მიდიელების მიმდევრობით დაალაგა ბაქტრები... ბაქტრების შემდგომ დააყენა ინდები...ინდების მიყოლებით დააწყო საკები ... საკების მომდევნოდ დააწყო ბეოტიელები, ლოკრები, მალიები და თესალიელები... აქ ჩამოვთვალე ხალხთა შორის უდიდესნი, რომლებიც განალაგა მარდონიოსმა, ესენი არიან

ყველაზე უფრო ცნობილი და დიდი სახელის მქონე. მათთან იყო შერეული მეომრები სხვა ტომებიდან: ფრიგიელთაგან, მისიელთაგან, თრაკიელთაგან, პეონთაგან და სხვათაგან. ეთიოპიელთაგან და ეგვიპტელთაგან იყვნენ ეგრეთ წოდებული ჰერმოტიბიები და კალასირიები“ (იქვე, წიგნი IX-31-32)

ჰეროდოტესათვის აქ კალასირიები ეგვიპტელებია, ხოლო მოგვიანებით სირიელებად წოდებული ხალხი-მისიელები ... მაგრამ ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ კელასირიები უკვე სრულიად სხვა სახელმწიფოში გვევლინებიან (სავარაუდოდ, ეგვიპტის სახელმწიფოებრიობის დაკნინების გამო:

„სირიის ნაწილად მე ვთვლი კილიკიის დასაწყისიდან და ამანის მთიდან: ეს კომაგენაა და ეგრეთ წოდებული სელევკიის სირია, კელასირია და ბოლოს სანაპიროზე ფინიკია, ხოლო ქვეყნის შიგნით იუდეათი. ზოგიერთები კი ყოფენ სირიას კელასირიების, სირიელების და ფინიკიელების ქვეყნებად“ (სტრაბონი, წიგნი XVI, II-2) (33)

აქ კი სტრაბონი ჰეროდოტეს მიერ ეგვიპტელთა რიგში ნახსენებ კალასირიებს უკვე სირიაში ათავსებს ... სიმპტომატურია, რომ ჰეროდოტესეული მისიელები სტრაბონისათვის მეზიელებია, დღევანდელი რუმინეთ-მოლდავეთის ტომები და ისინი ევროპაში ცხოვრობენ. ცხადია სირიელები მისიელთა (სინდების) ნაწილი არიან და ისინი ზუსტად ფარაონ ჰორემხების მიერ წამოსხმული ევროპული ტყვეების ნაწილი არიან. 230 წლიანი მონობიდან განთავისუფლების შემდეგ ისინი ეგვიპტელთა სახელმწიფო სამსახურში დგებიან უკვე თავისუფალი მეომართა კასტის - კალასირიების სახელით. ეგვიპტის სამეფოს დასუსტების კვალდაკვალ ისინი საკუთარი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებას იწყებენ და სტრაბონის ეპოქისათვის აღწევენ კიდეც ამ მიზანს. ამასთან, კალასირიების დიდი ნაწილი გამოსული ჩანან ეგვიპტიდან და მცირე აზიაში იწყებენ ეთნიკური სახელმწიფოებრიობის აღორძინებას.

თითქმის ანალოგიური გზა აქვთ გავლილი ფრიგიელთა ნაწილს, კარდუხებს-ქურთებს და თრაკიელებს-მიდიელებს (სწორედ მიდიელები გახლავთ ჰეროდოტეს მიერ წინა ციტატაში ნახსენები თრაკიელები) ერთის გამოკლებით: არც ფრიგიელებს და არც თრაკიელებს ჰეროდოტე ეგვიპტელ (ნატურალიზირებულ) მეომრებს შორის არ ახსენებს. რაც შეეხება ფრიგიელების მეორე ფრთას, არამეველებს - სომხებს მათ შეძლეს ეგვიპტელთა მონობისაგან რაღაც მანქანებით თავის დაღწევა (სავარაუდოდ დაარწმუნეს ეს უკანასკნელნი, რომ ისინი მხოლოდ ბაბილონის დაპყრობაში მონაწილეობდნენ) და არამეველები უკვე ქრისტემდე XIII საუკუნეს უკვე მცირე აზიაში დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას ცდილობენ..

რაც შეეხება იუდეველებს, ისინი (როგორც ბიბლია იუწყება, მოსეს ღმერთის ჩაგონებით და დახმარებით) ეგვიპტელებისაგან უდაბნოში გაქცევით შველიან თავს....

ზღვის ხალხები

როგორც ჩანს, ერთხელ ყირაზე შეყენებული საქმე ასევე ყირაზე აგრძელებს თავის მოძრაობას. ზუსტად ეს სიტუაცია ჩანს „ზღვის ხალხებთან“ მიმართებაში. „ზღვის ხალხებად“ ჩათვლილია ხალხი, რომელიც ეგვიპტის ნაპირს მიადგა ხმელთაშუა ზღვიდან. მოსულ ხალხში იგულისხმება: ტირსენები, ფილისტიმელები, ჩეკალები, დანუნები, გარმანეები, ლუები, ტევკრები. თამამედროვე მეცნიერების მიერ გაშიფრული მათი სახელები ასე ჟღერს: ახაიელები, დანაელები, დარდანები, ფრიგიელები, ფილისტიმელები, ხანანეელები, ლიკიელები, სიკულები, ელამელები, ეტრუსკები, ტროელები. მკითხველს მოვახსენებ, რომ ამათი უმრავლესობა განდხარვთა ტომებია, რომლებიც ზღვისპირა ხალხების გამოჩენამდე მთელი XV-XIV საუკუნით ადრე ბინადრობდნენ მცირე აზიასა და თვით ეგვიპტეშიც კი და უდიდესი წვლილი შეიტანეს ეგვიპტის კულტურის დაწინაურებაში, მათ შორის მეტალურგიის, მშენებლობის და აგრონომიის სფეროში. ასე მაგალითად, განდხარვთა სხვადასხვა ტომის წარმომადგენელნი ჩანან: ახაიელები, სიკულები, ფინიკიელები, ლიკიელები (გელები) ელამელები, ხანანელები, ეტრუსკები და ფილისტიმელები,განდხარვულ- ქართველური ტომები.

სულ რამდენიმე ტომი ჩანან „ზღვის ხალხის“ წარმომადგენლები: დანაელები, გარმანები, ლუები, ჩეკალები. რაც შეეხება ფრიგიელებს და ტევკრებს, ისინი ჰიქსოსთა (სკვითების) ტომის სემიტური წარმომადგენელია და სხვებთან ერთად მცირე აზიასა და ეგვიპტეში ხმელეთით მოსული, არალისპირა სტეპებიდან.

...და ყველაზე საინტერესო და პარადოქსული: ის ვისაც თითქოსდა „ზღვის ხალხები“ უწოდეს ეგვიპტელებმა, ხმელთაშუა ზღვის სხვადასხვა ხმელეთზე ჩანან დასახლებულ - დაბინავებული, თანაც საკმაოდ მოშორებით ეგვიპტისაგან.... ვინ უნდა ყოფილიყო ზღვის ხალხები და საიდან მიგრირდებიან? სწორად დასმული შეკითხვა უკვე საკუთარ თავში ნახევარ პასუხს გულისხმობს ... იბადება შემხვედრი შეკითხვა: რომელი ზღვაა ნაგულისხმევი „ზღვის ხალხების“ ეგვიპტეში შემოსევის პუნქტად ? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ევროპა და შუა აზიაც არცთუ ისე შორეულ წარსულში ჩანს დასახლებული განდხარვთა მიერ, აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია თრაკიული, სკვითური და სინდური ტომებით, თვალი

მაინც იქით უნდა მივაპყროთ, საიდანაც ეს წინა ორი მიგრაცია განხორციელდა...ამასთან, ხელშესახები ფაქტი სულ ერთი გვაქვს: ახლმა მიგრაციულმა ტალღამ გადაუარა (ან ჩაუარა) ეგვიპტეს და გავრცელდა ხმელთაშუა ზღვაში, ხოლო ახალ მიგრანტთა შესაძლო ერთადერთი წყარო, ეს ინდოეთია, ამასთან ახალი მიგრანტები მოძრაობენ ზღვით ... მაგრამ „ზღვის ხალხების“ ამ ტალღამ, რომელიც შემოვიდა მეწამულ ზღვაში, წალეკა ეგვიპტე, მდებარე მეწამული ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, თუმცა ამავე ზღვის დასავლეთ სანაპიროს შესახებ არც არაფერია ცნობილი. როგორც ჩანს, ზუსტად ამავე დროს ხდება იმ ტერიტორიის ათვისება ზღვით მოსულების მიერ, რომელსაც მოგვიანებით არაბეთის ნახევარკუნძული ეწოდა. რასაკვირველია, „ზღვის“ ხალხების იმ ნაკადში, რომელიც ამ ტერიტორიას იკავებს ლომის წილი არაბებს (სავარაუდოდ ეპოს „მახაბხარატას“ მლეჩხებს) უკავიათ. ამავე დროს, მცირე აზიის (და როგორც ეტყობა მომავალი ელადის) ტერიტორიაზე ჩანან მიგრირებული ხალხები, რომლის სამხედრო მეთაურს „ვანახი“ ეწოდება, ხოლო წარჩინებულს „თორეტა.” როგორც ჩანს, მიგრაციის ეს ტალღა პირველი (განდხარვთა) მიგრაციის საზღვაო ტრასას იმეორებს, მხოლოდ ერთი არსებითი განსხვავებით: ახალ მიგრანტების საზღვაო არმადამ შესძლო ხმელთაშუა ზღვაში შემოღწევა. აქ ურიგო არაა გავიხსენოთ ეგვიპტის ფარაონ სესოსტრისის (სინამდვილეში ფარაონ ჰორემხების) ლაშქრობა მცირე აზიაში, თრაკიასა და სკვითიაში, საიდანაც მან ტყვეების სახით მთელი რიგი ხალხები წამოასხა. ასევე ჰეროდოტეს სიტყვები, რომ ეგვიპტე ამ ფარაონის დროს იქნა დაქსელილი უამრავი სარწყავი არხით, რომლებმაც ეგვიპტე, ერთ დროს ეტლის გადაადგილებისათვის მშვენიერი ადგილი, ამ მიზნით სრულიად გამოუსადეგარი გახადა. შესაძლოა, ამავე დროს და ამავე ფარაონის ზეობისას გაითხარა სანაოსნო არხი მეწამულ ზღვასა და ნილოსს შორის:

„სანაოსნო არხის გაჭრა მეწამულ და ხმელთაშუა ზღვას შორის, ნილოსის დინების გამოყენებით, სათავეს იღებს ღრმა წარსულიდან. არისტოტელე გვატყობინებს, რომ არხის პირველ მშენებელად ითვლებოდა სესოსტრისი. სესოსტრისი ეს კრებსითი სახელია ეგვიპტის ფარაონებისა, ხშირად გაიგივებულია რამზეს II (XIII საუკუნე ქრისტემდე) ან სენუსეტ III (XIX საუკუნე ქრისტემდე) მაგრამ არისტოტელეს ცნობით, არხი დარჩა დაუმთავრებელი, იმიტომ რომ ზღვის დონე უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე მდინარისა, და მშენებლობა შეწყდა, რომ არ გაეფუჭებინათ მდინარის წყალი ზღვის წყლის შერევით. ამას გვამცნობს სტრაბონი. მით უმეტეს სეტი I - (XIII საუკუნე ქრისტემდე) დროს, ჩვენამდე მოვიდა სანაოსნო არხების გამოსახულება, რომელიც აკავშირებდა ნილოსს მლაშე ტბებთან. ერთი მათ-

განი განტოტებულია აღმოსავლეთი ტოტიდან დელტის დასაწყისში, მეორე-ბუბასტისის აღმოსავლეთით (ვიკიპედია)

ვიკიპედიის ეს ცნობა ღირსია დაწვრილებითი ანალიზისა:

1. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, სესოსტრისი- ეს რამზეს II მეორე არაა, არამედ მასზე ოთხი თაობით უფროსი ფარაონი ჰორემხებია .

2. ის რომ არისტოტელეს ვერსიით არხის მშენებლობა შეწყდა იმ მიზეზით, რომ ზღვის დონე მაღლა აღმოჩნდა ნილოსის დონეზე, ღიმილისმომგვრელია: მეწამული ზღვა, როგორც ღია ზღვა (ოკეანესთან შეერთებული) ერთ დონეს ინარჩუნებს მსოფლიო ოკენესთან და მასთან დაკავშირებულ ხმელთაშუა ზღვასთან - ზღვასთან, რომელშიც ნილოსი ჩაედინება. შესაბამისად ნილოსის დონე საყოველთაოდ მაღალია ხმელთაშუა ზღვის შესართავთანაც რამდენადმე, ისევე როგორც მეწამული ზღვისა-ზემოხსენებულ ორივე ზღვას ზუსტად ერთი და იმავე დონე აქვთ, როგორც მსოფლიო ოკეანეს ნაწილს...

3. რაც შეეხება აქვე მოხსენიებულ ფარაონ სეტი I-ს, ის ფარაონ რამზეს II უშუალო წინამორბედია! შესაბამისად, მეწამული ზღვის და ნილოსის შემაერთებელი არხი მიანიშნებს, რომ ფარაონ სეტი I დროს ეს არხი უკვე არსებულია, მაგრამ როდის შეიძლება ის გათხრილიყო?

არ ვიცით და ვერც დამტკიცდება, რომ მეწამული ზღვა-ნილოსის შემაერთებელი არხი გაკეთებულია სენუსერტ III მიერ, ქრისტემდე XIX საუკუნეს... მაგრამ იმავე ვიკიპედიის ცნობა ფარაონ სეტი I (XIII საუკუნე ჩვ. წ. აღრიცხვამდე) დროს უკვე არსებული გამოსახულება სანაოსნო არხისა, რომელიც ნილოსს მლაშე ტბებთან აკავშირებს, ხოლო მეორე ბუბასტისის აღმოსავლეთით მდებარეობს, აუცილებლად განმარტებას მოითხოვს:

1. დღეს არსებული სუეცის არხი გაჭრილია მეწამულ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვას შორის, შუალედური მლაშე ტბის გამოყენებითაა შესრულებული. ამასთან სუეცის არხის სიგრძე 163 კილომეტრა აღწევს...

2. შორეულ წარსულში გათხრილი არხი მეწამულ ზღვასა და მდინარე ნილოსს შორის, მლაშე ტბის გამოყენებით და ნილოსის დელტასთან მის მარჯვენა შენაკადს შეერთებული, სულ 51 კმ სიგრძისა იყო და იმავე ვიკიპედიის მონაცემებით, ყველაზე ღრმა ადგილას 9 მ. იყო...

3. სუეცის არხის არსებული სახით გადაწყვეტა განსაზღვრა არხზე გასატარებელი გემების წყალწყვამ, რომელსაც მდინარე ნილოსი უბრალოდ ვერ გაატარებდა...(ასეთი პრობლემა მდინარე ნილოსს არ გააჩნდა იმ დროს არსებული გემებისათვის...

...პასაჟი...

კვლევა ერთბაშად მარტივდება, თუ შეძლებ იმის გათავისებას, რომ მოახალშენები არსაიდან ჩამოდიან, თვინიერ ინდოეთისა...საზღვაო თუ სახმელეთო გზით...არ დავიწყებთ განვლილი მასალის განმეორებას, მკითხველს უბრალოდ შევახსენებ, რომ ფინიკიური ახალშენები სიდონი და ტვიროსი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, დაფუძნდა ქრისტემდე XXVIII საუკუნეს, დანამდვილებით მეიონთა და პუნთა ფინიკიელი ტომების მიერ... ასევე, ფინიკიური, მინიური-მინოსელთა ზღვაოსანი ტომის მიერ ქრისტემდე XV საუკუნეს ხდება კუნძულ კრეტას ათვისება... კუნძულ კრეტას ამთვისებელი ვერც სიდონის და ვერც ტვიროსის ახალშენები (უკვე ძველშენები იქნება და აი რატომ : რასაკვირველია კუნძულ კრეტას ამთვისებელი მინიური-მინოსელთა ტომი ჩანს და მინოსს-მინოსელთა ეთნარქს კუნძულ კრეტაზე თან ახლავს (ჰეროდოტეს მიხედვით) მისი ძმა სარპედონი... გვიან, კუნძულის ფლობის პრეტენზიის გამო განდევნილ იქნა სარპედონი, რომელიც მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროზე აფუძნებს ტომს, ლიკიის და ლიკაონიის დასახელებით ... სახელშივე იკითხება, რომ ეს გელური ტომია (ლიკოსი ბერძნულად მგელს ნიშნავს) და არავითარი ძმა მინიელებისა-მინოსისა, რომლებიც განდხარვთა სხვადასხვა ტომი ჩანან ... უფრო მეტიც, მინოსელთა მიერ კუნძულის დატოვების შემდეგ, კუნძულის დომინანტი ძალა კურეტები - ასაკენები ხდებიან ...შესაბამისად, კუნძული კრეტა ათვისებული ჩანს განდხარვთა ახალი, სააზღვაო ექსპედიციის მიერ, ქრისტემდე XV საუკუნეს და საიდან მოხვდნენ ხმელთაშუა ზღვაში თავიანთი ფლოტით? პასუხი ერთადერთია, ექსპედიცია ინდოეთიდან მოდის, საზღვაო გზით და მეწამული ზღვიდან ხმელთაშუა ზღვაში მოსახვედრი ერთადერთი გზა მეწამული ზღვასა და ნილოსს შორის გაჭრილი (თუ აღდგენილ-გაწმენდილი) არხია, საიდანას მდინარე ნილოსის საშუალებით ხვდებიან ხმელთაშუა ზღვაზე... ზუსტად ეს გზა უჩანთ გავლილი ოდნავ მოგვიანებით განდხარვთა დორიულ ტომს, რომლებიც აქტიურად ერთვებიან ელადის - ძირითადად პელოპონესის და მცირე აზიის-ლიდიის ათვისება-დასახლებაში...

...და ფარაონი-დედოფალი ჰატშეფსუტი...ფარაონ თუტმოს II ცოლი და თუტმოს III დედა. ზეობის წლების რამდენიმე ვარიანტია მოცემული:1525-1503; 1504-1482; 1490-1468;1479-1458; ცნობილია როგორც ეგვიპტის აღმშენებელი; 1482/81 წლებში დედოფალ ხატშეფსუტის მიერ მოეწყო ექსპედიცია 210 მატროსის და ხუთი დიდი გემის საშუალებით, ნეხსის მეთაურობით ქვეყანაში, წოდებული პუნტ-ად, ცნობილი აგრეთვე ტა-ნეჩერ, ღმერთების მიწად. პუნტთან კონტაქტი გაწყვეტილი იყო საშუალო მეფობის დროს, თუმცა ის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. პუნტი იყო ძირითადი ექსპორტიორი მირრის (სანდალოზი?) ხისა...ექსპედიციის დროს ეგვიპტელებმა იყ-

იდეს შავი ხე (ებანოზი), მირრის ხე, სხვადასხვა სურნელებანი, მათ შორის ლადანი, შავი საღებავები თვალებისათვის, სპილოს ძვალი, გაწვრთნილი მაიმუნები, ოქრო, მონები, ეკზოტიკური ცხოველების ტყავი...

საერთოდ ჩათვლილია, რომ პუნტის ქვეყანა-ეს აფრიკის ის კუთხეა, სადაც დღეს სომალი მდებარეობს...დანამდვილებით ვიცით, რომ იმ დროის აფრიკის მოსახლეობა წარმოდგენილია ჩრდილოეთ აფრიკაში ნუბიელებით, ასევე ინდოეთიდან ჩამოსახლებული კუშიტებით და ლიბიელებით სამხრეთში, კოლხების სახლიკაცებით...სომალი ქრისტემდე 1262-61 წელსაა დასახლებული (ამ საკითხს ამავე წიგნში განვიხილავთ) ... და გაუგებარია კიდეც, რა საჭირო იყო სომალიში ჩასასვლელად გემების შეკაზმვა და და ზღვით მგზავრობა, როცა სომალი იმავე, აფრიკის კონტინენტზე მდებარეობს? ის რო პუნტამდე მხოლოდ საზღვაო გზით შეიძლებ მისვლა და სიტყვები, რომ პუნტთან სასიცოცხლო მნიშვნელობის ვაჭრობა შეფერხებული იყო საშუალო მეფობის დროს, ამ საკითხს ნათელს ფენს-ეს ჰიქსოსების, სკვითების ეგვიპტეში ზეობის წლებია, როდესაც ეგვიპტის დიდი ნაწილი და მათ შორის რასაკვირველია სანაოსნო არხი ნილოსსა და მეწამულ ზღვას შორის შორის ჰიქსოსების ხელშია...და მაინც, რატომ ხატშეფსუტამდე არ განახლდა ნაოსნობა (როგორც ეტყობა) არსებულ არხზე? იმიტომ რომ ნილოსი ფაქტიურად ყველაზე უხვი ნალექით, შლამითა და სილით გამორჩეული მდინარეა - იმ 230 წლის განმავლობაში, სანან სკვითები ზეობდნენ ეგვიპტეში, არხი იმდენად მოისილა, რომ სანაოსნოდ უვარგისი გახდა. მართალი ჩანს ცნობა, რომლის მიხედვით სანაოსნო არხის გათხრა მეწამულ ზღვასა და ნილოსს შორის ფარაონ სენუსერტ III ქრისტემდე 1872 - 1853; ან 1818 -1773 წელს მიეწერება. დედოფალმა - ფარაონმა ხატშეფსუტმა მხოლოდ ამოაწმენდინა (და ეს საკმაოდ რთული და ძნელად შესასრულებელი საქმე იყო) ის ქრისტემდე 1482 წელს ... ამავე დროს ჩანს კუნძულ კრეტაზე სამი განდხარვული ტომის: ფინიკიელების - მეიონების, გელების-ლიკიელების და ასაკენების-კურეტების შემოსვლაც...

„ამ დროს ჰატშეფსუტმა (დედოფალმა) ააგო წითელი ზღვის ფლოტი, რათა გაეადვილებინა ვაჭრობა თებეს (დღევანდელი ლუქსორი) წითელი ზღვის ნავსადგურ ელიმსა და აკაბას ყურის თავში მდებარე ეილითს შორის“ (ლუქსორი; ვიკიპედია)

... ჩვენი მხრივ დავუმატებთ, რომ არსებული სანაოსნო არხის ამოქმედება მეწამულ ზღვასა და მდინარე ნილოსს შორის ამ დედოფლის დამსახურებაა უნდა, რომელიც თებეს არა მარტო აკაბის ყურესთან აკავშირებდა, არამედ მეწამულ და ხმელთაშუა ზღვასაც იმავე მდინარე ნილოსის გამოყენებით. ვფიქრობთ, ზუსტად ამ არხის გამოსახულებაა ფარაონ სეტი I ეპოქაში ნაპოვნი, რომელის ქალაქ ბუბასტისს აღმოსავლეთით ჩაუვლიდა.

„ნეკოსმა თხრა შუა გზაზე შეწყვიტა, რადგან მისნობამ შეუშალა ხელი, რომელმაც აუწყა, რომ ის ბარბაროსებისათვის იღწვის“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II-158)

აი ასეთ ცნობას გვაწვდის ჰერდოტე...თუმცა ვფიქრობ ფარაონმა ნეხომ არა ახალი არხის მშენებლობა განიზრახა, არამედ ძველადვე არსებულის რეკონსტრუქცია-ამოწმენდა (ზუსტად ამას უნდა მიანიშნებდეს ვიკიპედიის ცნობა ორი არხის არსებობის შესახებ). ჰეროდოტესვე სიტყვებით, ფარაონმა ნეკოსმა (610-595 ჩვ.წ. აღრიცხვამდე) არახელსაყრელი მისნობის გამო შეწყვიტა არხის თხრა ... ეგვიპტე მართლაც მალე სპარსელებმა დაიპყრეს, კერძოდ კიროს დიდმა 525 წელს ქრისტემდე, აღნიშნული არხი უკვე მოქმედებაში მოიყვანა სპარსეთის შემდგომმა მეფემ, დარიოს პირველმა. შემოინახა კიდეც ქვის სტელები ამ დროს არსებული არხის გასწვრივ ეგვიპტურ, ძველსპარსულ, ელამურ და აქადურ ენებზე, რომელიც უკვე ამ არხის ფუნქციონირებას გვამცნობს...დროთა განმავლობაში არხი ისევ მოისილა, ის გააწმენინა პტოლომე II ფილადელფმა 277 წელს ქრისტემდე, უკვე ფარაონმა მაკედონიური დინასტიიდან... საყურადღებოს, რომ 525 +277= 248 არხი 250 წელიწადში ერთხელ გაწმენდას საჭიროებს...

უძველეს წყაროებში დღესაც კი არხი მოხსენიებულია ოთხი ფარაონის არხად... და რატომ ოთხი ფარაონი? როგორც ეს მარტივი არითმეტიკული გათვლა გვიჩვენებს, არხი ჩვეულებრივ 250 წელიწადში ერთხელ მაინც მოითხოვს გაწმენდას. ფარაონ სენუსერტ III შემდეგ ფარაონმა ხატშეფსუტმა, გარემოებათა გამო თითქმის 400 წლის შემდეგ არხი ამოაწმედინა...დაახლოებით 1200 წელი ქრისტემდე არხი ისევ უნდა ამოწმენდილიყო და ამჯერად ეგვიპტელებისთვის არავითარ კატაკლიზმს (როგორიც იყო ჰიქსოსთა-სკვთთა თითქმის 2,5 საუკუნიანი ბატონობა) ხელი ნამდვილად არ შეუშლია და ისინი სახელმწიფოს ვაჭრობის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ამას შეასრულებდნენ კიდეც ... ეს უკვე რიცხვით მესამე ფარაონი გამოდის, რომელიც ამ არხის ფუნქციონირებისათვის ეგზომ აუცილებელ სამუშაოს შეასრულებდა...ასევე ქრისტემდე 950 - 900 წელს, კიდევ ერთს, რიცხვით მეოთხე ფარაონს იგივე სამუშაო უნდა შეესრულებინა... ესტაფეტას სანაოსნო არხის ნორმალური ფუნქციონირებისათვის ფარაონი ნეხო ღებულობს, რომელმაც არხზე მიმდინარე სამუშაოები ცუდი წინასწარმეტყველების გამო შეაჩერა...ცნობილია, რომ დარიოს I არ მოიაზრებოდა კანონიკურ ფარაონად (განსხვავებით პტოლომე II ფილადელფისა, თუმცა სავარაუდოდ მისი ეპოქისათვის, ქრისტემდე III საუკუნეს, არხი უკვე ატარებს ოთხი ფარაონის სახელს...

და თავად „ზღვის ხალხები“

რასაკვირველია ერთ-ერთი უდიდესი (და ჩვენთვის მნიშვნელოვანი კომპონენტი „ზღვის ხალხებიდან“ -ეს დორიელთა ტომია. ადრეც ვისაუბრ-ეთ ამაზე და დავამტკიცეთ, რომ ფინიკიელები ისეთივე დორიელები არ-იან, როგორც სხვა დანარჩენები...აღვნიშნეთ განსხვავებაც მათ შორის, რომ ფინიკიელებს უფრო მეტი ახლობლობა უჩანთ: არგოსელებთან, ასაკენებ-თან, გელებთან და თვით მარებთანაც კი. დორიელების ტომის აქ განხი-ლვას არ ვაპირებთ, ვინაიდან მთელი წიგნი ფაქტიურად დორიელ ტომ-ებს ეძღვნება, იონიურთან ერთად...

...არაბები...

პირველი და მთავარი „ზღვის ხალხებიდან“ არაბები ჩანან. ძნელია იმკითხაო, თუ რა სახელის ქვეშ ფიგურირებენ ისინი ეპოს „მახაბხარატა-ში“, თუმცა ერთი უდავოა, ისინი ინდოეთის ნახევარკუნძულისის მცხო-ვრებნი ჩანან, რომლებიც ინდოეთის ოკეანის სანაპიროსაკენ ცხოვრობენ. (სავარაუდოდ ეს მლეჩხებია, რომელთა მრავალრიცხოვნობას და ტერიტ-ორიულ განვრცობას ოკეანის სანაპიროზე აღნიშნავს ინდური ეპოსი, ამა-სთან მათ ენას მდაბიურს უწოდებს. ეპოსის მიხედვით მათ უჩანთ საკ-უთარი ცხენის ჯიშიც, არანაკლები სწრაფი განდხარვების სახელგანთქმ-ული ცხენებისაგან და სხვებისგან ასევე განსხვავებული). არაბები, რომ-ლებიც ასევე საზღვაო გზით ჩანან მოსული, იკავებენ არაბეთის ნახევარ-კუნძულს, საუდის არაბეთის ჩათვლით. ჩანს ამჯერად ეგვიპტემ შესძლო მათი არ დაშვება ეგვიპტის ტერიტორიაზე (ჯერ კიდევ V საუკუნეს ჰერ-ოდოტე აღნიშნავს მრავალრიცხოვან არაბულ ტომს არაბეთის ნახევარკუ-ნძულზე, ამასთან ისინი მის დროსაც საკმაოდ ძირძველი მოსახლეობა ჩანს...თუმცა დარწმუნებით იმის თქმა, რომ ისინი სახელდობრ „ზღვის ხალხების ექსპედიციად“ ცნობილ მოვლენასთან არიან დაკავშირებულნი, გამნელებულია.. ჰეროდოტეს მიხედვით, კოლხები და ეგვიპტელები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, შესაბამისად ეგვიპტე ჯერ კიდევ კოლხურენოვანია და არაბებმა ეგვიპტეში მასიური შეღწევა ჯერჯერობით ვერ მოახერხეს, თუმცა მთელი ნახევარკუნძული არაბეთისა უკვე დაიკავეს, რომელსაც ეგვიპტე სავარაუდოდ თავისი ინტერესის სფეროდ თვლიდა. ..

...დანუნები...

დანაე- ძველბერძნულ მითიოლოგიაში შვილი მეფე ბელისა და ანხიმონი-სა, ქალღმერთ ნილოსის ასულისა...მამის მხრიდან ის იყო ეპაფის შვილი-

შვილი, ზევსის და იოსაგან და შესაბამისად შთამომავალი იყო არგოსის მეფისა. დანაე - ძველი ბერძნული მითიოლოგიის პერსონაჟი, დანაელების ეპონიმი, არგოსის მეფე და დანაიდების მამა. მის სახელთან აკავშირებენ ანტიკური ავტორები გემთმშენებლობაში წინსვლას (34) ბერძნული ალფავიტის შემოღებას(35) და ათლეტურ შეჯიბრებას. დანაე იყო შვილი ეგვიპტელთა მეფე ბელისა და ანხინომისა, მდინარის ქალღმერთ ნილოსის ქალიშვილისა. დაიბადა თავის ტყუპისცალთან, ეგვიპტოსთან ერთად. მისი ბიძა იყო აგენორი, ბიძა-დამფუძნებელი შვიდჭიშკრიანი თებესი, კადმოსი, ბიძაშვილი ევროპა (36). არსებობს ალტერნატიული (სავარაუდოდ უფრო ძველი) გენეალოგია, რომლის მიხედვით დანაე და ეგვიპტოსი იყვნენ იოს შვილები და არა შვილთაშვილები. დანაე გახდა ლიბიის მეფე, მაშინ როდესაც ეგვიპტოსი მართავდა არაბეთს. ბელის სიკვდილის შემდეგ ძმებს შორის დაიწყო შუღლი. ეგვიპტოსმა შესთავაზა შერიგების ნიშნად საკუთარი ორმოცდაათი შვილისათვის ცოლად შეერთოთ დანაეს ორმოცდაათი გოგო, მაგრამ დანაემ გაიგო მისანისაგან, რომ მოკვდება თავისი სიძის ხელით (სხვა ვერსიით ძმისშვილის ხელით) მაშინ ათინას რჩევით ააგო 50 ნიჩბიანი ნავი ორი ცხვირით და გაქცევით უშველა თავს ქალიშვილებთან ერთად...მგზავრობისას დანაე გაჩერდა კუნძულ როდოსზე, იქ მოკვდა მისი სამი ქალიშვილი ეპიდემიისაგან. მათ სამახსოვროდ დანაემ ააგო სამი ქალაქი, ააშენა ათენას სამსხვერპლო, შემდეგ გაემართა არგოლიდისაკენ, მიადგა ნაპირს... თავი შეაფარა არგოსის მმართველ <u>პელაზგს...</u> მალე არგოსის მეფე გახდა დანაე. დანაე გახდა იმდენად გავლენიანი მეფე, რომ საბერძნეთის ყველა პელაზგი იწოდება დანაელად. ამ დროს ეგვიპტიდან ჩამოვიდა ეგვიპტოსის 50 ვაჟი, რომლებიც ითხოვდნენ ბიძისაგან მოეწყოთ მათი შეუღლება დანაელებთან, ხოლო ფარულად ფიქრობდნენ მოეკლათ დანაე და მისი ქალიშვილები ქორწინების ღამეს. მიიღეს რა უარი, მათ ალყა შემოარტყეს არგოსს, დამცველებს მოუხდათ დანებება, რამდენადაც ქალაქის ჭებში არ აღმოჩნდა წყალი. დანაემ ორგანიზაცია გაუკეთა შესაუღლებელ წყვილებს, ბევრ შემთხვევაში ის კენჭისყრის საშუალებით არკვევდა წყვილებს. ხოლო ხან შესაუღლებელ წყვილებს მსგავსი სახელების და ხანდახან დედების მსგავსი სტატუსის მიხედვით არჩევდა. არ სჯეროდა მათი მეგობრული შეპირებები და გულში ჩაიხვია წყენა, რამეთუ მას არ დავიწყებოდა საკუთარი გაქცევა, დანაემ გადაწყვიტა ანგარიში გაესწორებინა საკუთარი ძმისშვილებისათვის. საქორწინო სუფრის მსვლელობისას მან დაურიგა ქალიშვილებს ხანჯლები, თუ მსხვილი თმის სარჭები, რომლებიც მათ დამალეს თმის ვარცხნილობაში. შუაღამისას, როდესაც დანაიდები გაემართნენ საკუთარი ოთახებისაკენ, დანავმა გოგონებმა მოკლეს ყველა საქმრო. ეგვიპტოსის შვილების თავები დამარხეს ლერნის სანაპირ-

ოზე, ტანი არგოსის კედლებთან. დანაეს ერთმა ქალიშვილმა, ჰიპერმნესტ-
რამ არ დაუჯერა მამას და არ მოკლა თავისი საქმრო, ლინკევსი. დანაეს
უნდოდა ის დაესაჯა, მაგრამ არგოსელმა მსაჯულებმა გამამართლებელი
განაჩენი გამოიტანეს. ამის შემდეგ დანარჩენმა დანაიდებმა განწმენდის
ცერემონიალი გაიარეს ლერნეს ტბაში და მამამ გადაწყვიტა იმ დღესვე
გაეთხოვებინა ისინი ისევ. ამისათვის მან გამოაცხადა შეჯიბრება სირბილ-
ში : პრეტენდენტებმა მოიპოვეს უფლება, საქორწინო საჩუქრების გარეშე
ამოერჩიათ საცოლეები იმ მიმდევრობით, რომლითაც ისინი მიირბენდნენ
ფინიშთან. პოტენციური საქმრო სულ რამდენიმე აღმოჩნდა, ვინაიიდან
ცოტა ვინმეს თუ უნდოდა შეერთო მკვლელი. მაგრამ მეორე დღეს, როდ-
ესაც აღმოჩნდა რომ გათხოვილმა დანაელებმა არ მოკლეს თავიანთი ახლ-
ად გამომცხვარი მეუღლეები, გამოჩნდნენ ახალი პრეტენდენტებიც, და
დანაემ მეორედ ჩაატარა შეჯიბრი, რომლის შედეგად ქმრები მიიღო მისმა
ყველა ქალიშვილმა ... ჰიპერმნესტრამ, რომელმაც დაინდო თავისი ქმარი,
გახდა დედა აბანტისა და მრავალი გმირის წინაპარი პროტევსისა და ჰე-
რაკლეს ჩათვლით“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

ლეგენდის მიხედვით, დანაე დანაელთა ეთნარქია, მოსული კუნ-
ძულ არგოსზე. შესაბამისად მთელი მიკენური კულტურა ეს დანაურია,
არგოსული. დანაეს სახელის მიხედვით ეწოდათ ბერძნებს დანაელები და
არგიველები (არგოელები), თუმცა მცნება დორიული მათში არ იგულის-
ხმება. ასევე განსხვავებული ჩანს მცნება ახაიელიც, თუმცა რამდენადმე
უფრო ახლოს მდგომი იმავე დანაელებთან:

“დორიელი მეფეები, თვით დანაეს ძე პერსევსამდე (ღვთაებას თუ გამო-
ვრიცხავთ) ელინთა მიერ სრულიად სამართლიანად მიჩნეული და გამ-
ოცხადებულნი არიან ელინებად, რადგან ისინი ამ დროს მართლა ელი-
ნებად ირიცხებოდნენ. მე ვთქვი პერსევსამდე მეთქი და ამაზე უწინ არ-
ავინ მიხსენებია, იმიტომ რომ პერსევსს არა აქვს მოკვდავი მამის მიხე-
დვით ზედწოდება, მაგალითად როგორც ჰერაკლეს - ამფიტრიონისა. ისე
რომ მე სრულიად სწორად ვთქვი, როდესაც ვიხმარე გამოთქმა პერსევს-
ამდე, ხოლო ვისაც მოუნდება აკრისიოსის ასულის დანაეს წინაპრების
ჩამოთვლა, აღმოჩნდება რომ დორიელთა ბელადები წარმოშობით ეგვიპ-
ტელი მკვიდრნი არიან“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი VI-53)

ჰეროდოტე პერსევს დანაეს ძის შემდეგ დორიულ ტომებს ელინე-
ბად აღიარებს, მაგრამ მანამდე? მკითხველს შევახსენებ, რომ დანაე-ამ სა-
ხელით ორი ლეგენდარული პერსონაჟია ბერძნულ მითიოლოგიაში : და-
ნაე-ეთნარქი დანაელთა- ელინთა და საერთოდ ბერძნულენოვანი საზოგ-
ადოებაში - მამაკაცი ... და დანაე -დედა გმირ პერსევსისა და შესაბამისად
ქალი, იმ პერსევსისა, რომლის შემდეგაც დორიელები ელინებად იწოდე-

ბიან. ზუსტად მართლდება ჩვენი თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ფივ-იელები, თებეელები და მენდესის ოლქი განდხარვებია, შესაბამისად დორიული ტომის წარმომადგენლები. გენიოლოგიური ხე, დანაელთა,-ელინთა -არგიველთა ასე გამოიყურება:

მამაკაცი დანაე - დანაეს ქალიშვილი ჰიპერმნესტრა და მისი ქმარი, ლინკევსი, ეგვიპტოსის ვაჟი, ერთადერთი გადარჩენილთა შორის და მათი შვილი აბანტი- აკრისიოსი -დანაე -პერსევსი - პერსევსის შვილები, ალკეი და ელექტრიონი. ალკეის ვაჟი ამფიტრიონი და ელექტრიონის ქალიშვილი ალკმენა. ელექტრიონის და ალკმენას ვაჟი ჰერაკლე, რომელიც ჩანს ბიძაშვილების შეუღლების შედეგად მოევლინა დედამიწას. როგორც სქემიდან ჩანს, პერსევსი, რომელსაც ჰეროდოტე უკვე ელინად ასახელებს, დანაესგან მეხუთე თაობაა. თავად ჰეროდოტე ადამიანთა ერთ თაობას 23 წლად აფასებს, შესაბამისად პელაზგთა ენის დირექტიული ცვლილებიდან მხოლოდ 23X4=92 წლის შემდეგ ითვლებიან დორიელები ელინებად, რაც შეეხება ჰერაკლეს, ის დანაედან 7 თაობის 23X6=138 წლის შემდგომ ცხოვრობს. როგორც ადრე ზემოთ განისაზღვრა, ჰერაკლე ქრისტემდე 1355 წელს დაიბადა საბერძნეთში. რაც შეეხება დანაეს ლტოლვას ეგვიპტიდან და არგოსში მოსვლას, ის ქრისტემდე არა უადრეს 1355+ 138= 1493 წელს ჩანს მომხდარი....და კიდევ, დანაეს ხომალდი არატრადიციულია, სრულიად განსხვავებულია პირველი ზღვაოსნების, განდხარვების ხომალდისაგან: მისი ნავი ორცხვირიანია -შესაბამისად კატამარანი ...ზემოხსენებული თარიღი აშკარად ემთხვევა დედოფალ -ფარაონის, ხატშეფსუტის მიერ მეწამული ზღვა - ნილოსის შემაერთებელი ამოსილული არხის გაწმენდას და პუნტში საზღვაო მოგზაურობის უკვე მივიწყებული სანაოსნო ტრასის გახსნას...შესაბამისად, „ეგვიპტელი“ დანაე მხოლოდ მოგზაური ჩანს, ტრანზიტით გავლილი ეგვიპტეზე... ეგვიპტოსი, როგორც ჰეროდოტეს ცნობებიდან გამომდინარეობს, დორიული ტომის წარმომადგენელია , ასევე ინდოეთიდან და შესაბამისად განდხარვაა. მას არავითარი გენეტიკური ნათესაობა არ უჩანს დანაესთან და „დანუბებთან“ იმიტომ, რომ დანაეც და დანუბებიც ერთი ტომის, კერძოდ ეპოს „მახაბხარატას“ დანავებია, გვიანდელი წყაროების დემონები(37), ინდო ევროპელები, კერძოდ ის ხალხი, რომელსაც დღეს ინგლისურენოვანი ეწოდება. არსებობს ინდოევროპელთა ტომის მეორე შტოც, ეპოს „მახაბხარატას“ დაიტები, რომელინც გერმანიკულ ტომებს შეესაბამება. მათი უდიდესი რაოდენობა ჩრდილოეთის ტრასით ჩანან მიგრირებულნი, თუმცა დანავების ერთ ნაწილი პირველ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ოჯახის, დანაედ წოდებულის სახით მიგრირდებიან ეგვიპტესა და საბერძნეთში.

...და ქალაქი ელეფანტინა! ეს აშკარად ხასტინაპურის- ინდურ ეპოს „მახაბხარატის“ უპირველესი - სპილოს ქალაქის სეხნია ქალაქია, მაგრამ... ინგლისურ ენაზე ნათარგმნი... თანაც ხსენებული ქრისტემდე V საუკუნეში, თუმცა ქალაქი ჰეროდოტეს დროისათვის საკმაოდ დიდი ხნის დაარსებული ჩანს. ჰეროდოტეს მიხედვით, ქალაქი ეგვიპტესა და ეთიოპიას შორის მდებარეობს:

“ახლა კი ვიტყვი, თუ რამდენია ზღვიდან (ხმელთაშუა ზღვა და მდინარე ნილოსის შესართავი) თუ რამდენია ზღვიდან შუა ქვეყანამდე ე.ი თებემდე. ეს არის 6120 სტადიონი, ხოლო თებედან ქალაქ ელეფანტინამდე არის 1800 სტადიონი“ (ჰეროდოტე; წიგნი II-9) (38)

ძნელი სათქმელია რამდენად ზუსტად აქვს შეფასებული მანძილები ჰეროდოტეს, მაგრამ მათი შედარება გვიჩვენებს, რომ ჰეროდოტესეული სტადიონი 148 მეტრია...ქალაქი ელეფანტინა დღეს მდებარეობს ასუანის წყალსაცავი სიღრმეში, დაგუბებიდან 80 კილომეტრში, დაძირული ნაქალაქარი სიენას სახელით, 270 კილომეტრზე ლუქსორიდან-ადრინდელი ფივიდან... საინტერესოა, რომ ჰეროდოტე ნუბიას- როგორც ცალკე ერთეულს არ ცნობს, მისთვის ეგვიპტის მიმდებარე ტერიტორია ეთიოპიაა (და სამართლიანადაც, ნუბიელები- დღევანდელი სუდანელებიც კუშიტები ჩანან). ჰეროდოტე ელეფანტინას იქითაც მდებარე ნახევარკუნძულს, შექმნილს ნამგლისებრად მორკალული ნილოსით, ერთ ნაწილს ეგვიპტელებად თვლის, მეორე ნაწილს ეთიოპებად... ქალაქი ელეფანტინა ფაქტიურად უკვე სასაზღვრო ქალაქია, განსხვავებული მოსახლეობით - ეგვიპტის მოსახლეობა ნიანგს წმინდა არსებად თვლის, ხოლო ქალაქ ელეფანტინას მცხოვრებლები ჭამენ კიდეც მას! ცხადია ზუსტად ეს ხალხი, ელეფანტინელები წარმოადგენენ დანუბებს-იგივე დანავებს და შესაბამისად ოდესღაც ინგლისურენოვან ინდო-ევროპულ მოსახლეობას...კითხვებზე, ვინ, სად და როდის და რატომ ალბათ სრულყოფილად პასუხის გაცემა შეუძლებელია, თუმცა შევეცდებით ვუპასუხოთ შეძლებისდაგვარად ... ხასტინაპურის, სპილოს ქალაქის დანავთა ენაზე თარგმნა კითხვის პირველ ნაწილზე სრულყოფილ პასუხს იძლევა - ეს დანავთა ტომია ...სად-ამ კითხვაზეც თითქოს შესაძლებელია პასუხის გაცემა, მაგრამ არა სრულყოფილისა: ჰეროდოტეს მიხედვით, ქალაქი ელეფანტინა ის ადგილია, სადამდეც შეიძლება მდინარე ნილოსზე აღმა ცურვა ... ამის ზემოთ ორივე სანაპიროდან ხომალდზე ჩაბმული თოკით გათრევაღაა შესაძლებელი, როგორც ხარისა და თუ თოკი გაწყდება, ხომალდს დინების ძალა უკან წაიღებს (ჰეროდოტე, წიგნი II-29) დანამდვილებით შეიძლება ვამტიკიცოთ, რომ დანუბები ზუსტად ნილოსის დინების აღმა ცურვით არიან აქ მოსული და დამკვიდრებულნი ...როდის-მხოლოდ დედოფალ-ფარაონ ხატშეფსუტ-

ის სურვილით და ბრძანებით ნილოს- მეწამული ზღვის შემაერთებელი არხის გაწმენდის შემდეგ..და რატომ აირჩიეს ეს მიმართულება, ჩვენთვის უცნობია, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ რომ უცნობ გარემოში მოხვედ-რილი დანუბები მდინარე ნილოსზე შემოსვლის შემდეგ ორად იყოფიან, ორი მიმართულებით მოძრაობენ.. . და ელეპანტინას ზემოთ ცურვა უკვე აღარ შეიძლება... ამასთან, გვიანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხო-ვრები პელაზგების გაელინებაში იგივე „დანუბების“ ტომს ეტყობა ლომ-ის წვლილი მიუძღვის, ისევე როგორც დანაეს 50 ქალიშვილს. და მაინც, პელაზგიაში და არგოსში უკვე ინგლისურ ენაზე მოსაუბრე ჰომო საპი-ენსი ჩამოდის, და არა დანავი-დემონი ... აბსოლუტურად გასაგებია დან-აეს - დანავას პოზიცია ეგვიპტოსის და მისი შვილებისადმი მიმართებაში, რომლებიც დორიელები - განდხარვები არიან და არა მისი (დანავას) თვი-სტომელნი. ინგლისურენოვანი მოსახლეობა ძირითადად ჩრდილოეთ ევ-როპაში ჩანან მიგრირებულნი გერმანულენოვან დაიტებთან ერთად და ალბიონის ერთ-ერთ კუნძულს იკავებენ. აქ კი, სამხრეთის ფლანგზე ის-ინი აბსოლუტურ უმცირესობაში არიან . ცხადია ის დირექტიული დამო-კიდებულება პელაზგი სიძეების მიმართ არგოსში, რომელიც დანაე -დან-ავმა თავისი ქალიშვილების ენაზე საუბარი უბრძანა. სხვანაირად არც შე-იძლება ყოფილიყო: საბერძნეთის ტერიტორია იმ დროისათვის მხოლოდ ეოლიურ-იონიური (ჭანურ-კოლხურ-იბერიულ) ენებზე საუბრობდა.

რასაკვირველი ლეგენდარული ეგვიპტოსი და მისი შვილი ლინკ-ევსი განდხარვაა -ამაზე მეტყველებს ლინკევსის შთამომავალთა, ჰერაკლი-დების პრეტენზია დორიული წარმოშობის ტომთა გაერთიანებების მეფ-ობაზე . ჰერაკლიდები - ლიდიელთა მეფეები, ჰერაკლიდები - სპარტელთა მეფეები ... ასე განიმარტება ეს ტერმინი ჰეროდოტესთან. ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ ჰერაკლიდად თვლის საკუთარ თავს ალექსანდრე მა-კედონელიც. ცხადია ანტიკური ლიტერატურის დანაე და ეპოს „მახაბხა-რატას“ დანავა ერთი და იგივე პერსონიფიცირებულ არსებაა, რომელიც ეგვიპტემდე მიცურდა განსაკუთრებული უხიფათო და მდგრადი ნავით, კატამარანით. ესაა ის დანავა, ცალკეული პიროვნება, რომელიც თავისი ქალიშვილების საშუალებით ნერგავს ინდოევროპულ დიალექტს და ამ დიალექტზე აალაპარაკებს დამხვდურ იონიელებს და ეოლიელებს...ამ სა-ქმეში მას დამხმარეც გამოუჩნდება. ასევე დანავების სახით (რომელსაც უძველესი ანტიკური ლიტერატურა დანუბის ტომს უწოდებს) ...და ჰერ-ოდოტე ეგვიპტის გავლით საბერძნეთში გადმოსულ დორიულ ტომებსაც ოფიციალურად ეგვიპტელად თვლის, ხოლო მათი გადმოსვლა ეგვიპტე-ში დანაეს თანამედროვე განდხარვა ეგვიპტოსის შვილებს მიეწერება:

„უნდა მივიღოთ ისიც, რომ მთელი ეგვიპტე, დაწყებული კადატუპიდან

და ქალაქ ელეპანტინამდე ორად არის გაყოფილი ამ მდინარით და ორთავე ნაწილს თავთავისი სახელი აქვს: ერთს ეწოდება ლიბიისა (აფრიკისა) მეორეს აზიისა. ხოლო ნილოსი იწყება კადატუპიდან, შუა ეგვიპტეს კვეთვს და მიედინება ზღვისაკენ...ხოლო ეგვიპტელები არიან ისინი, რომლებიც ცხოვროვენ ქალაქ ელეპანტინის ქვემოთ და ამ მდინარის წყალს სვამენ" (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II, 17-18)

შესაძლოა დანაე მართლაც ლიბიაში (აფრიკაში) ელეპანტინას სუ-ზერენია, ეგვიპტოსი- აბიდოსისა ან ფივისა! საბერძნეთს ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით თავისუფლად შეიძლება უწოდო დიდი საქართველო, ან საქართველოს მცირე საბერძნეთი და ეს ჭეშმარიტებისაგან შორს ნამდვილად არ იქნება....

...ისტორიული ექსკურსი ...

საკითხი იმდენად რთული ჩანს, რომ ფაქტიურად ზღაპრულ პასაჟებს თავს ვერ ავარიდეთ...საქმე უდავოდ ეხება ე.წ. ზღვის ხალხებს," რომლებიც სახელით არ არის მოხსენიებული ამ უკანაკნელთა რიგებში, მაგრამ რეალურად აქ უნდა ფიგურირებდეს... როგორც ჩანს „ზღვის ხალხებში" ერთ-ერთი და ძირითადი კომპონენტი- ეს ასურებია-მცირე აზიაში და ახაიელები- საბერძნეთში. ასურები, რომლებიც განდხარვთა მიგრაციის პროცესის მონაწილენი ჩანან, თუმცა მათი მიგრაციის პირველ პროცესში მონაწილეობა მინიმალურია-ამას მეტყველებს მათი სახელობის (და სავარაუდოდ ასურებითვე დასახლებული) მცირე ქალაქი შუმერებში აშური. მაგრამ მიგრანტთა ახალი ტალღა, „ზღვის ხალხებად" ცნობილნი საკუთარ რიგებში მოიაზრებს ხალხს, რომლის სამხედრო მეთაურის წოდება „ვანახი" ჩანს, ხოლო წარჩინებულისა „ თორეტა". როგორც ეტყობა, მიგრანტთა ამ ახალ ძალაზე დაყრდნობით, რომელიც ასურთა თანატომელები ჩანან, აშურმა (და აშურელებმა) შეძლეს მცირე და ადგილობრივი დანიშულების ქალაქიდან მძლავრ ზესახელმწიფომდე გაზრდა:

„ აშური- ასირია, უძველესი სახელმწიფო შუამდინარეთის ჩრდილოეთით (მდებარე თანამედროვე ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე) ასირიულმა სახელმწიფომ იარსება დაახლოებით 1800 წელი, დაწყებული ქრისტემდე XXIV –VI ბოლომდე, სანამ ის არ იქნა განადგურებული ბაბილონის და მიდიის მიერ. <u>დაპყრობითი ომები ასირიელებმა დაიწყეს ქრისტემდე XIV საუკუნის დასაწყისს. მათ დაიპყრეს ძველი მესოპოტამიისა და ახლო აღმოსავლეთის მიწები თანამედროვე ერაყისა, სირიისა და ეგვიპტესი და მრავალი სხვა ტერიტორია.</u>.. არიკ დენ ილი (1319-1307 ქრისტემდე) სავარაუდოდ არცთუ ისე წარმატებით იბრძოდა ბაბილონთან. მაგრამ ღიად აც-

ხადებს თავს ძლიერ მეფედ მეფედ ასირიისა. ადად ნირარ I (1307- 1275 ქრისტემდე) იბრძვის ერთდროულად ორ ფრონტზე, ბაბილონისა და მიტანის წინააღმდეგ. (39) (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

ნიშანდობლივია, რომ მცირე და უმნიშვნელო პოლიტიკური წარმონაქმნი აშური, რომელიც ვასალურ და დამოკიდებულ ტერიტორიას წარმოადგენს, ქრისტემდე XIV საუკუნის დასაწყისში, ეს პოლიტიკური წარმონაქმნი ახალ სუნთქვას იძენს. შეტევას მეზობელ ქვეყნებზე ჯერ კიდევ არიკ დენ ილის წინამორბედები ანხორციელებენ. მიუხედავად ვიკიპედიის მტკიცებისა ,რომ არიკ დენ-ილი ვერ ანხორციელებს ბაბილონის (და შესაბამისად სხვა ქვეყნების) წინააღმდეგ წარმატებულ ომებს, ანტიკური ისტორია და ანტიკური ისტორიკოსები სრულიად სხვა აზრისანი არიან. კტესია კნიდელის და პომპეი ტროგის მიხედვით, ზუსტად ისაა ასირიის დიდი მეფე ნინოსი, რომელიც წარმატებულად ლაშქრობს ახლო მდებარე ტერიტორიებზე , ასევე ასირიისაგან ძალიან შორს მდებარე ბაქტრიის სამეფოზეც კი. ჩვენი მხრიდან დავუმატებთ, რომ ზუსტად ამ მეფის მეუღლე ჩანს სემირამიდა, რომელიც სავარაუდოდ მისი ზეობის წლებში (1319-1307) არიკ დენ- ილის პირმშო შვილის შობიდან ითვლება მის თანამესაყდრედ და თანამეფედ. ხოლო მომდევნო 32 წელი, როდესაც ნომინალურად მისი შვილი, ადად ნირარ I მეფობდა, სინამდვილეში 30 წელი ამ წლებიდან თავად განკარგავდა ასირიას ერთპიროვნულად. (ამ თემაზე წიგნის წინა ფურცლებზე ამომწურავად ვისაუბრეთ) ცხადია არიკ დენ-ილის და მისი წინამორბედების სამხედრო გაძლიერებაში „ზღვის ხალხების“ რიგებში ასირიელი ტომების სიმრავლე უნდა ვიგულისხმოთ, რომლებშიც ზემოხსენებული „თორეტა“ და „ვანახი“ უნდა ვიგულისხმოთ. პირდაპირი წყაროები ასირიელთა რიგების გაძლიერებისა „ზღვის ხალხების“ რიგებიდან არა ჩანს, თუმცა მათი ყოფნა ამ უკანასკნელთა რიგებში აქსიომაა...და ვინ არიან ეს უკანასკნელნი? როგორც ითქვა, ერთ-ერთი ცნობა ვიკიპედიიდან, „ზღვის ხალხებს“ შორის ასახელებს მავან ტომს, რომლის მხედართუფროსს ვანახი, ხოლო წარჩინებულს თორეტა ეწოდება...

...და შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო..

რომაელი დიდმოხელე და გეოგრაფ -ისტორიკოსი, ფლავიუს არრიანე, კაბადოკიის მეფის ნაცვალი რომაელი იმპერატორისა, შავი ზღვის სანაპიროს ინსპექტირებას ატარებს, გემისა და საკაბოტაჟო ცურვის მეშვეობით. ამ მოგზაურობის შესახებ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას, პიტაკს უგზავნის რომის იმპერატორსა და...მომავალ მსოფლიოს, ქრისტესით II საუკუნიდან. ფლავიუს არრიანე მისი ინსპექტირების გზაზე საერთოდ არ

აღწერს თორეტებს, რამეთუ ანაპა მას სინდების ნავსადგურად და შესაბამისად თორეტები სინდებად უჩანს ჩათვლილი. არადა თორეტების ანაპაში ბინადრობას ალტერნატივა არა აქვს: მთელი ასეული წლის წინ დაფიქსირებული უჩანს როგორც თორეტების დასახლება (და ეს მხოლოდ ანაპა შეიძლება იყოს) ფსევდო სკილაქს კარიანდელს:

72. სინდები. მეოტების შემდეგ ცხოვრობენ სინდები; მაგრამ აღწევენ ისინი ყურემდეც ; მათ გააჩნიათ ასევე ბერძნული პოლისები: ფანაგორიის პოლისი, კეპი, სინდების ნავსადგური- უბე, პატუნტი.

73. კერკეტი. სინდების უბის შემდეგ კერკეტები.

74. (თორეტები, კერკეტებს შემდეგ თორეტები) და ბერძნული პოლისი თორიკი და ნავსადგური- უბე.

75. ახაიელები. თორეტებს შემდეგ ახაიელები.

76) ჰენიოხები. ახაიელების შემდეგ ჰენიოხები.

(ფსევდო სკილაქს კარიანდელი)

ფაქტიურად იმავეს იმეორებს პომპონიუს მელა რამდენიმე წლის შემდეგ (როგორც ზემოთ ითქვა, წიგნის ავტორი ფიქრობს, რომ ფსევდო სკილაქსი და პომპონიუს მელა - ეს ერთი და იმავე პიროვნებაა) ...და პომპონიუს მელა:

„ხმელეთის მოხვევის ადგილას მდებარეობს ქალაქი, რომელიც გადმოცემის მიხედვით, დაარსეს ბერძენმა ვაჭრებმა, დაარქვეს მას კიკნი (გედი) იმიტომ რომ როდესაც ქარიშხალს დაჰქონდა მათი გემი უკუნეთში (ზღვაზე) და მათ არ იცოდნენ, სად მდებარეობს მიწა, გედების წივილმა ისინი მიახვედრა. დანარჩენ სანაპიროს ზღვისას ფლობენ ველური და უხეში ტომები, განლაგებული ზღვის სანაპიროზე : მელანკლეინური ტომი, თორეტები, ექვსი კოლიკე, კორაკსები, ფტიროფაგები, ჰენიოხები, ახეელები, კერკეტები, და მეოტიდის მიმდებარედ- სინდონები“ (პომპონიუს მელა, ხოროგრაფიაზე)

როგორც ჩანს, თორეტები, ახაიელები, კერკეტები და ჰენიოხები ერთი ვინმეს გონებით და ერთი მიზნით შექმნილი დასახლებაა: რამდენადაც ცნობილია, ევროპელ სკვითებთან ალექსანდრე მაკედონელმა ელჩობა გაგზავნა. ელჩობის ფარული მისია, როგორც ამას ფლავიუს არრიანე გადმოგვცემს, ევროპელი სკვითების სამხედრო ძლიერების და რიცხოვნების გაგებას ითვალისწინებდა. ელჩობამ დაადასტურა ცნობა ევროპელი სკვითების მრავალრიცხოვნების შესახებ. როგორც ჩანს, ამ ელჩობას თავად სელევკ ნიკატორიც უნდა ხლებოდა (40) სელევკი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ მისი იმპერიის მემკვიდრე-მფლობელი ხდება და რომლის შემადგენლობაში იბერიაც მოიაზრე-ბა (41). სავარაუდოდ, ზუსტად სელევკ ნიკატორის იდეაა მისი სამფლობელოების სკვითთა

მოსალოდნელი თავდასხმისაგან დასაცავად დამცავი კორდონების შექმნა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, რომელიც მას მისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ერთობ კარგად უჩანს შესწავლილი. არც შავი ზღვის ეს სანაპირო ჩანს შემთხვევითი ხალხებით დასახლებული: სელევკ ნიკატორი თავად არის ხალდი, ვარსკვლავმრიცხველთა ჩამომავალი, ამდენად საკვირველი არ უნდა ჩანდეს უკვე დიდი ხნის გახალდებული (სანარი, ჭანი) კენების გადმოსახლება სინოპას ნახევარკუნძულიდან (მათთან ერთად ნამდვილი ჭანებიც - ხალდებიც მოიაზრებიან, ევლია ჩელებისეული „მცირე ჩანდები“ გაგრაში მოსახლენი) ასევე მაკედონური ლაშქრობის თანამონაწილენი ჩანან ახაიელები და კერკეტებ-იც (42) ... და თორეტები ... ამ ხალხს უპირველესად ჰეროდოტე ახსენებს, უხუცესი ისტორიკოსთა შორის:

„ტავრები ისე ცხოვრობენ სკვითიაში, როგორც მაგალითად ატიკეში რომ სხვა ტომს ეცხოვრა და არა ათენელებს სუნიონის კონცხზე (მხოლოდ ისე, რომ ზღვაში უფრო მეტად რომ ყოფილიყო კონცხი შეჭრილი) <u>თორიკოსიდან</u> სოფელ ანაფლისტოსამდე.“ აქვე თორიკოსი განმარტებულია როგორც ატიკის დემი (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი IV-99)

ჰეროდოტეს ციტატიდან გამომდინარე, ეს ხალხი, თორეტები საბერძნეთში, ატიკაშიც ცხოვრობენ, (ისევე როგორც ახაიელები) თუმცა სელევკ ნიკატორს საბერძნეთზე ხელი არ მიუწვდებოდა -ცხადია მას თორეტები მცირე აზიიდან უჩანს ჩამოყვანილ- დასახლებული აქ...

...ბიჭვინთის მოზაიკა...

ბიჭვინთის მოზაიკა განეკუთვნება VI საუკუნის მოზაიკურ მხატვრობას, რომელიც შესრულებული იყო IV საუკუნის სამნავიანი ბაზილიკის საფუძველზე. ბაზილიკის ნანგრევები აღმოჩნდა ბიჭვინთის კონცხზე 1952 წელს დაწყებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. მოზაიკა შესრულებულია ადგილობრივი ფერადი ქვის (თეთრი, შინდისფერი, ყვითელი, შავი) და ოთხკუთხა ნატეხებით, სუფთად დაფქვული აგურისა და კირის ხსნარით . ფონი აგურისფერია, შესრულებული ადგილობრივი ოსტატების მიერ, ორნამენტის შიგა ხვეულში ჩართულია ბერძნული წარწერა, სადაც მოხსენიებულია ქტიტორი ორელი (ვიკიპედია, ბიჭვინთის მოზაიკა)

ეს მასალა იგივე სახით მოიპოვება ბატონ სიმონ ყაუხჩიშვილის „გეორგიკაში“და ვიკიპედიის მასალაც იქიდან ჩანს ამოკრეფილი. უნდა განვაცხადოთ, არავითარი ქტიტორი ბიჭვინთის ტაძრისა, სახელით, ან გვარით ორელი ბუნებაში არ არსებობდა! ეს პირველი ასო დაკარგული თორელია მხოლოდ და მხოლოდ! თორეტები ამოძრავებულნი ჩანან ცენტრალური საქართველოს მიმართულებით და პირველი ორიენტირი და საბუთი-ბიჭ-

ვინთის ეს სამნავიანი ბაზილიკის მოზაიკა ჩანს. შუა საუკუნეებში ეს ფეოდალური გვარი ფიქსირდება ქართლ-იმერეთის გამყოფ ზონაში-სურამში. არსებობს მოსაზრება, რომ ის მხარგრძელთა გვარის მონათესავეა, თუმცა მათი ნათესაობა მხოლოდ შემენილი-შემდგომ დამოყვრებაზე დაფუძნებული შეიძლება იყოს მხოლოდ...თორეტების ნაწილი ჩანს სამეგრელოს ტერიტორიაზე, თუმცა საკუთარი წარმოშობის შესახებ ერთობ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ - დღეს ისინი თორიათა გვარს ატარებენ... თვით აფხაზეთის (თავიდან აბასკების, ხოლო შემდგომ აფშილებისაც) სუზერენი შარვაშიძეები- ამავე გვარის შტო (და როგორც ჩანს, არა გვერდითი) ყოფილა: **„ამას უდის აღმოსავლეთით <u>თორი</u> მდინარე, დასავლით შავწყალა; და შავწყალა გამოსდის ბაკულიანსა და კოდიანას მთასა. და მოერთვის მტკუარს სამხრიდან. გომარეთამდე შავწყალას და თორისწყალს უწოდებენ აწ სადგერის ხეობას...ამ სადგერს ზემოთ დასავლით, არს დაბა თორი, მას მას ზეით ციხის-ჯვარი, და ციხე მისი შავ წყალსა ზედა, დასავლისაკენ“ (ბატონიშვილი ვახუშტი, ქართლის ცხოვრება, აღწერა აწინდელი ქართლისა, გვ. 380-381, თბილისი- 1973 წელი)**

აქ ბატონიშვილი ვახუშტი თორს და თორელებზე მიგვითითებს, რომლებიც სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთში ცხოვრობენ, მაგრამ:

„და მზღვარავს ამ სამცხე ს აღმოსავლეთით საზღვარი ქართლისა და მთა - ნი კოდიანისა, <u>შარვაშეთისა</u> და საზღვარი ჯავახეთისა; სამხრით მთა ერუშეთისა და სამცხეს შორისი, მერმე არსიანის მთა, <u>შავშეთსა</u> და ყუელს შორისი“ (იქვე, აღწერა საჩინო ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი, გვ 557-668)

ცხადია, XII -XIII საუკუნეს აღზევებული დიდებულები, ივანე და შალვა ახალციხელები თორელთა საგვარეულოდან და იმავე თორიდან ჩანან წარმოშობით (უკვე სამხრეთ საქართველოდან, აქ ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან ჩამოსულნი) და ზედწოდება ახალციხელი მათსავე მიერ აღშენებულ ციხეს დამსახურებაა ... ამავე გვარის წარმომადგენელი ჩანს ოთაღო შარვაშიძე, აფხაზეთის პირველი მთავარი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში თითქოსდა არსაიდან ჩნდება. ის რომ მათ გვართან დაკავშირებული მთიანეთი „შარვაშეთი“ თორის უშუალო სიახლოვესაა, მიანიშნებს, რომ ისინი ასევე თორელთა საგვარეულოს ერთ-ერთი შტო უნდა იყოს.

...მაგრამ... მაგრამ როგორც ჩანს, თორეტების ჯიში მარტო თორელებით, თორიებით (სავარაუდოდ თორაძეებითაც) და შერვაშიძე- ჩაჩებით არ ამოიწურება...და ისევ ფლავიუს არრიანე...ზუსტად ასევე და ზუსტად აქ აქვს დაფიქსირებული ანონომ ავტორს V საუკუნში, რომელიც ფლავიუს არრიანეს არა მარტო მარშრუტს იმეორებს, არამედ მიჰყვება იმავე ფაბულას და თხრობის მანერასაც კი:

„ამრიგად სინდების ნავსადგურ პაგრამამდე წინათ ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც კერკეტები ან ტორეტები ეწოდებოდა, ახლა კი ეგრეთ წოდებული ევდუსიანები ცხოვრობენ, რომლების გუთურ ან ტავრიდულ ენაზე ლაპარაკობენ“ (ანონიმი V ქრისტესით , პარაგრაფი 22)

ჩვეულებრივი და რიგითი ცნობაა, განსაკუთრებული კი აქ ისაა, რომ ზღვის ხალხების ენაზე „ტორეტა“ დიდებულს ნიშნავს ... და მისივე დასახელებული ევდუსიანები იგივე თორელები უნდა იყვნენ... ამასთან, V საუკუნეს ისევ იქვე, ანაპაში ფიქსირდებიან ... ამასთან, ანონიმი ავტორი თორეტთა ენას ტავრიდულს ადარებს, ტავრების (ასაკენების, სიკიონელების) და საბოლოო ჯამში განდხარვების ენას... მაგრამ:

„ამ მდინარის იქით ცხოვრობენ სკვითური ხალხები, სპარსელებმა დაარქვეს მათ საერთო სახელი საკი. ყველაზე ცნობილი მათგან: საკები, მასაგეტები და დაგები, ისედონები, ასტაკები, რუმნიკები, პესტიკები, ჰომოდიტები, ხისტი, ედონები, კამები, კამაკები, ევხოტი, კოიტები, ავტუსიანები“ (პლინიუს უფროსი, წიგნი VI, XIX-50)

მართალია წესის და რიგის მიხედვით აქ პლინიუს უფროსი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს და აქ მცხოვრებ ტომებს უნდა აღწერდეს, მაგრამ როგორც წესი, ის ერთ კალათაში ყრის ყველა იმ ტომების სახელებს, რომლებიც მას ეგულება (ან გაუგონია) ამ ადგილებთან მიმართებაში.

საკების სახელის ქვეშ გაერთიანებული : საკები, მასაგეტები, დაგები (დახები სხვა ავტორებთან- სავარაუდოდ ასირიელები) ისედონები დანამდვილებით კასპიის ზღვის აღმოსავლეთის მცხოვრებნი არიან.

ხისტი - ქისტი, ედონება და ავტუსიანები - ალბათ ევდუსიანები, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროსა და კავკასიის მთებში მცხოვრებნი ჩანან.

დანარჩენები, როგორც სხვა შემთხვევაში, იდენტიფიკაციას არ ექვემდებარებიან....

ავტუსიანები-ასევე კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე მცხოვრები თორეტთა ტომები ჩანან (პლინიუსისეული ავტუსიანები სრულ უნისონში მოდის ანონიმის მიერ დასახელებულ ევდუსიანებთან)... მათი უფრო გავრცელებული სახელიც ცნობილია-შარვები...(შარვაშიც გავიხსენოთ)

როგორც წინა ტომში იქნა განხილული, ანონიმი წყარო ეგრეთ წოდებული „სომხური გეოგრაფიისა“ ჩვ.წ.აღრიცხვამდე VII საუკუნით დათარიღებული (სინამდვილეში მთელი საუკუნით უფრო გვიანდელი უნდა იყოს) ამ ტომს შარვა-ად მოიხსენიებს. ამ ტომის და მათ პოლიტიკურ წარმონაქმნს ასევე შარვან-ად მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილიც, და ეს ცნობა დავით აღმაშენებელის მემატიანესაგან უჩანს აღებული:

„ამავე წელს შერთო ასული თავისი კატა ბერძენთა ნეფესა; მეორე ასული

თამარ შერთო შარვანსა ... კუალად წარაგზავნა ძე თვისი დიმიტრი შარვ-ანს, რომელმაც ქნა ბრძოლა ძლიერი და აღიღო ქალაძორი და გამარჯვებ-ული შემოიქცა მამისა თანა ალაფითა დიდითა“ (ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტომი IV, საქართველოს ძველი ისტორია, ბაგრატიო-ნთა მეფობა, გვ-158, თბილისი-1973 წ)

თუ ანონიმი სომეხი გეოგრაფი შარვა-ს ტომად აფიქსირებს, უფრო მოგვიანებით დავით აღმაშენებლის მემატიანე შარვან-ს ეძახის ამავე ტომ-ის მიერ დაფუძნებულ პოლიტიკურ ერთეულს. ამავე სახელით, შარვანი-თ სარგებლობენ არაბი ისტორიკოსები, ალ-ისტარხი, იბნ-ხორდადბე, მუკადენ-სი და მასუდი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ევდუსიანები ტავრიდულ (განდხარვულ) ენაზე ლაპარაკობენ, შესაბამისად ისინი განდხარვთა (ან აფსართა) ერთ-ერ-თი შტო უნდა იყოს, მაგრამ რომელი? რა სახელითაა ცნობილი ის ინდურ ეპოს „მახაბხარატისათვის“?

შალვები- ეს ის ტომი ჩანს, რომლებიც ეპოსში ამ სახელით ფიგურირებენ, მცირე აზიაში - როგორც კიზიკელები, ევდუსიანელები, ზღვის ხალხებში-როგორც „თორეტა“ და „ვანახები“, ზოგიერთ ანტიკურ ავტორებთან -ევდუ-სიანები (ვარიანტი ავტუსიანები) სომხურ ანონიმ ავტორთან-შარვა, ქართ-ულ უძველეს ავტორებთან, შარვა-ნი...

...შალვები ინდურ ეპოს „მახაბხარატაში...

ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ტომი ამ ეპოსში. რუსელი ვერსიით, აღქმული როგორც მეფე შალვა, თუმცა ის სინამდვილეში შალვების ტომ-ის მეფეა, სახელით ასევე შალვა. მათ არსს უფრო სწორად ალბათ ქართუ-ლი ენა გამოხატავს, როცა მათ შარვ-ებს უწოდებს (და არა შალვებს) ...და ვინაა ეს შარვა ინდური კოსმოგონიის მიხედვით?

რუდრა- ქარიშხლის ღმერთი ვედურ (უძველეს ინდუისტურ რელიგიაში) მისი შვილები- შთამომავლობა მარუტებია, წვიმის ღმერთები, მრავალრიც-ოვანი წვეთები წვიმისა. შარვა-მშვილდოსანი, ითვლება რუდრას შვილად.

მეორეხარისხოვან უძველეს ვედურ რელიგიაში, რა დროსაც ზუსტ-ად მიმდინარეობს ეპოს „მახაბხარატას“ მოქმედება, რუდრასაგან წარმოიშ-ვნენ რუდრები, ისეთივე მრისხანენი, როგორც მამა. მეორე თაობა მარუტ-ები იყვნენ, წვიმის ღმერთები, ხოლო ამ უკანასკნელთა შვილები არმია გა-ხდა და ყველგან თან ახლდნენ დამცველებად რუდრას. სწორედ ეს მესამე თაობა ჩანს შარვები- ეპოსში შალვებად ცნობილნი ... მაგრამ როგორც ჩანს, რუდრას თანმხლებნი ზუსტად ისეთივე სტატუსით სარგებლობენ, როგ-ორც ასურები:

„ნამდვილად ასურები ვერ მიტანენ მე, ასე უდანაშაულოდ რომ კლავენ

ჩემს მოსწავლეს. რუდრას ამ თანამგზავრებს უნდათ მე გამხადონ არა ბრა-ხმანი, იმიტომ რომ დანავები მადიდებენ მე. მაგრამ უნდა ჰქონდეს საზღ-ვარი ამ ბოროტებას, ვის არ გაანადგურებს ბრახმანის მოკვლა! (ის დაწვ-ავს) ინდრასაც კი“ (მახაბხარატა, ადიპარვა 71, შუკრას ნათქვამი)

ბრახმან შუკრას სიტყვებიდან გამომდინარე, ასურები-რუდრას თან-ამგზავრები განსხვავდებიან დანავებისაგან: პირველები მას მტრობენ (რად-გან მის მოსწავლეს უმიზეზოდ კლავენ) ხოლო დანავები ადიდებენ... რომ მივხვდეთ, თუ რა განსხვავებაა მათ შორის, აუცილებლად გასათვალისწინ-ებელია დროის და ეპოქის ფაქტორი...ეს ზუსტად ის დროა, როდესაც პლა-ნეტა დედამიწაზე ჯერ კიდევ მიმდინარეობს ომი ადიტებსა და დაიტ დანავთა შორის, დაწყებული სადღაც შორს დედამიწიდან ... და გაგრძელე-ბული დედამიწაზე მაშინ, როდესაც აღნიშნულმა არსებებმა ცა დაკარგეს... და დედამიწაზე დაიტ-დანავები ჯერ კიდევ ადამის მოდგმასთან სრულ-იად შერეული და ასიმილირებული არა ჩანს... შესაბამისად, მის მიერ და-ფიქსირებული ასურები, რუდრას თანამგზავრები, რუდრას და ადამის მო-დგმის მეტისები გახლავან ...როგორც ჩანს, რუდრას მესამე თაობა -ეს უკვე შარვებია-სანსკრიტის (და ჰინდუ ენის) მიერ შალვებად აღთქმული...

საინტერესოა და შეუფასებელია, რომ შარვების (ეს ტერმინი უფრო რეალურად გამოხატავს ამ სრულიად რეალური ხალხის არსს) ვინაობას და რაობას, თავად ინდოელი მეცნიერება მათ რაჯასტანის შტატ ალვარში ათავსებენ:

„მეფე შალვა იყო შიშუპალას (ჩედების მეფე) ახლო მეგობარი. როდესაც შიშუპალა გაემართა კუნინგისაკენ, რათა ცოლად შეერთო რუკმინა, შალვა მიაცილებდა მას. იადუს (კრიშნას) თემის მეომრებთან შეტაკებაში შალვა დამარცხდა. თუმცა მიუხედავად ამისა, ყველა მეფის თანდასწრებით დაი-ფიცა, რომ იზამს ისე, რომ ამოძირკვავს იადავების ჯიშს და ჯილაგს. იმის შემდეგ, რაც დამარცხდა რუკმინიის სვაიამვარაზე, მისი გული ვერ ისვენე-ბდა კრიშნაზე ბოღმისაგან და ის იყო იმდენად სულელი, რომ დაიფიცა კიდეც, რომ მოკლავდა მას. ჩვეულებრივ, რომ შეასრულონ თავიანთი მდა-ბალი სურვილები, ასურები ღმერთ შივას (შარვას) მფარველობის ქვეშ შე-სვლას ცდილობენ, ან სხვა ნახევარღმერთებისა, და შალვამ, რომ შეეძინა ძლიერება, დაიწყო შივას ლოტოსის მსგავსი ტერფების თაყვანისცემა. მი-ეცა რა მკაცრ ასკეტიზმს, ის ყოველდღე ჭამდა მხოლოდ მუჭა ნაცარს. ში-ვა, პარვატის მეუღლე ძალზე თავაზიანია და მისი გულის მოგება ადვი-ლია. როცა შალვა მკაცრ ასკეტიზმს მიეცა სხეულის დასათრგუნავად, მი-სით კმაყოფილი შეჰპირდა, რომ შეუსრულებდა ნებისმიერ თხოვნას. შალ-ვამ თხოვა შივას, რომ ეჩუქებინა მისთვის საჰაერო ხომალდი (საუბხი) რო-მელსაც ვერ განადგურებდნენ ვერც ნახევარღმერთები, ვერც ასურები, ვერც

განდხარვები, ვერც ნაგები, ვერც რაკშასები და ვერც ხალხი. გარდა ამისა, შალვას უნდოდა რომ ამ ხომალდს ეფრინა ყველგან, საითაც შალვა მიმართავს მას და განსაკუთრებული სახიფათო ყოფილიყო იადავებისათვის. შივა მაშინვე დათანხმდა, რომ შეესრულებინა ეს თხოვნა და დანავა მაიამ (დანავების არქიტექტორი) ააშენა შალვასათვის დიდი რკინის ხომალდი (საუბხა) ისეთი მყარი და მიუდგომელი, რომ ვერავითარი ძალა მას ვერ დაანგრევდა. ეს მანქანა, სიდიდით ქალაქის ოდენა (43) ფრინავდა ისე მაღლა და ჩქარა, რომ მისი დანახვაც კი შეუძლებელი იყო, რომ არაფერი ვთქვათ რაიმეს მოხვედრებაზე. ხომალდს თითქოსდა გარს ერტყმოდა ნისლი, მაგრამ მისი მიმართვა შეიძლებოდა იქით, საითაც ისურვებდა შალვა. თავისი საოცარი ხომალდით გაფრინდა დვარაკაში. მას იმიტომ უნდოდა მისი მიღება, რომ თავს დასხმოდა იადავებს, რომელთა მიმართ განსაკუთრებულ მტრობას გრძნობდა“ (შრიპა პრაბხუპადა, შალვას ომი იადუს დინასტიის მეომრებთან, თავი 76)

ავტორი აქ ხაზს უსვამს, რომ შივას (შარვას) გულის მონადირება ადვილია ასკეტური ქცევებით, თუმცა საქმე ასე მარტივად არა ჩანს: ერთადერთი სულიერი, რომელიც საუბხის ფლობს ნახევარღმერთებიდან, ეს იაკშა კუბერა, ვარუნა და შაკრა, უმაღლესი ღმერთები...და... სრულიად დედამიწური შალვაა! როგორც ჩანს, შარვამ გაითვალისწინა ის, რომ შალვა მისი ჩამომავალია და მარტო მის ასკეტიზმს არ მოუხიბლავს. შალვა თავისი საუბხის მეშვეობით თავს დაესხა დვარაკას ჰაერიდან, თუმცა იადუს ტომის მეომრებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს. საყურადღებოა, რომ შალვა საუბხიდან უშენდა ქალაქს ლოდებს, ხის მორებს, შუბებს და შხამიან გველებსაც კი...მან დვარაკასაკენ მიმართა საშინელი ქარბორბალა, რომელმაც დააყენა მტვრის კორიანტელი და მთელი ქალაქი წყვდიადმა მოიცვა. მეომრები პრადიუმნას მეთაურობით მედგრად დახვდნენ შალვას, რომელმაც მიუხედავად საუბხის მხარდაჭერისა, ვერ შეძლო მათი დამარცხება. ორივე მხარე დიდად დაზარალდა, თუმცა ერთმანეთის განადგურება ვერ შეძლეს. საინტერესოა, რომ შალვა შიშუპალას (ჩედების მეფე) გულითად მეგობრადაა დასახელებული, თუმცა რეალობა გაცილებით შორს მიმავალი ჩანს:

„სიტყვაუხვი, მძლავრი, მამაცი მეფე შიშუპალა, დამაგოშის მამაცი შვილი, ვერ შეურიგდა იმ პატივისცემას, რომელიც ჩემს მიმართ გამოიხატა ბხარატას მშვენებავ, მსხვერლშეწირვისას შენი რაჯასუისა, და ბუნებრივად ბრაზიანი დაემორჩილა მრისხანების გრძნობას. მე მოვკალი იგი. გაიგო რა მისი სიკვდილი, საშინლად გაბრაზდა შალვა, გაემართა დვარაკისაკენ, რომელიც ჩემს გარეშე იყო, ვინაიდან მე ვიყავი აქ. ბხარატავ, ავიდა ის ადამიანთა მათრახი საუბხიზე, სურვილით მართულზე და მიფრინდა იქ. გა-

უმართა ბრძოლა ვრიშნების უძლიერეს ჭაბუკებს. ავისმყოფელმა მოკლა მრავალი ვრიშნელი გმირი და დაარბია მთელი ქალაქი, თან ყვიროდა: სად დაიკარგა იგი, ვრიშნების თემში უსაზიზღრესი, ჭკუანაკლული ვასუდევა, ვასუდევას შვილი? მე დავანგრევ სიამაყეს ამ ბრძოლის მოყვარულისა! ანარტებო, მითხარით სიმართლე, სადაა ის, მე გავემართები მისკენ! დავბრუნდები, როდესაც გავანადგურებ კანსის და კაშინის მკვლელს, ხოლო მის უიმისოდ არ მექნება მე უკან დასახევი გზა, ვფიცავ ჩემს იარაღს! ყოველ წუთს გაჰყვიროდა: სადაა ის? სადაა ის? გულანთებული ჩემთან შესაბმელად, საუბხის მფლობელი წინ და უკან დაქროდა საომარ ველზე. ახლა გავამგზავრებ საზიზღარ ავისმოქმედს, მოღალატე გამყიდველს იამას სამყაროში, არ ვაპატიებ შიშუპალას მოკვლას, მკვდარს დავაგდებ ძირს უპატიოსნოს, რომელმაც მოკლა ჩემი ზეციური ძმა შიშუპალა“ (მახაბხარატა, არიანაპარვა, თავი 15)

...და რატომ, საიდანაა ჩედების მეფე შიშუპალა შალვას (შარვას ჩამომავალის) ზეციური ძმა?:

„ ეს (შიშუპალა) დაიბადა ჩედების მეფის ოჯახში სამი თვალითა და ოთხი ხელით ... ამის გამო მისმა მშობლები ნათესავებთან ერთად შეშინდნენ და ხედავდნენ რა ამაში ცუდ ნიშანს, გადაწყვიტეს მისი მიტოვება... მოესმათ ზეციური ხმა: ეს შენი შვილი დაიბადა ბედნიერი და ღონით მძლავრი, ამიტომ არაა საჭირო შეგეშინდეთ მისი. გაზარდეთ ბავშვი ყოველგვარი შიშის გარეშე. მისი სიკვდილი სულაც არ იქნები შენ. მისი დრო ჯერ კიდევ არ მოსულა, თუმცა სიკვდილი მოკლავს მას იარაღით და ის უკვე გაჩნდა ადამიანთა მბრძანებელო! გაიგონა რა ასეთი სიტყვები, დედამ რომელიც დამწუხრებული იყო, უთხრა ფარულ არსებას ასეთი სიტყვები: მე მინდა გავიგო, ვინ იქნება ჩემი შვილის სიკვდილი. მაშინ უჩინარმა არსებამ ისევ წარმოთქვა ასეთი სიტყვები: იმისგან, ვინც დაიწვენს ბავშვს კალთაში და ამასთან დავარდება მიწაზე ორივე მისი ზედმეტი ხელი და ამავე დროს გაქრება მესამე თვალი ბაშვის შუბლზე-ის იქნება მისი სიკვდილი!“ (მახაბხარატა, საბხიპარვა-40)

ცხადია შიშუპალა რომელიღაც ზეციერის ჩასახაული ჩანს მიწიერი ადამიანისათვის-დედამისისათვის, ოთხხელა და სამთვალა, ამიტომაც ეძახის შალვა მას თავის ზეციერ ძმას, რამეთუ შალვაც ზეციერია ჩამომავალია! ამ ბავშვს- შიშუპალას ხელები დაცვივდა და თვალი გაუქრა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის ჩაისვა კალთაში კრიშნამ, რომლის მამიდაშვილიც შიშუპალა იყო! ამასთან შიშუპალას დედამ, რომელმაც წინასწარმეტყველების მიხედვით უკვე იცის, თუ ვისი ხელით უნდა დაიღუპოს შიშუპალა, სთხოვა კრიშნას, თავის ძმისშვილს, რომ ეპატიებინა შიშუპალასათვის ყოველი შეურაცხყოფა, რაზედაც კრიშნამ თანხმობა გამოუცხადა. ამიტომაც

ეძახის შიშუპალას მკვლელს შალვა ფიცის გამტეხს და გამყიდველს. თუმცა კრიშნამ შიშუპალას მკვლელობისათვის იმით იმართლებს თავს, რომ მას შეურაცხყოფა ყველა მეფის თანდასწრებით მიაყენეს. ...და კიდევ, შაკრამ შეუსრულა თხოვნა შალვას და საუბხი აჩუქა! მფრინავი საშუალება რჩეულ განდხარვას (ან განდხარვებს) აქვთ კიდეც. ამის მაგალითი ზემოთ ნახსენები განდხარვთა მეფე ჩიტრარატხაა, იგივე ანგარაპარნა (წითელფრთიანი) მაგრამ მისი საფრენი საშუალება ინდივიდუალურია, და არა საუბხი, „მფრინავი ქალაქი“ შალვასი. საუბხის ეპოსის მიხედვით სულ სამი უმაღლესი პერსონა ფლობს: თავად შაკრა, ვარუნა და კუბერა...მეოთხე კი შალვაა, იმავე შაკრას ჩამომავალი...ასეთი პატივი შაკრასაგან თვით კრიშნასაც კი არ ღირსებია ... ერთია, რომ შალვას საუბხი „კონვერსიული“ ჩანს, ღვთიური იარაღის გარეშე: თვით შალვა და მისი ხალხი საუბხიდან ლოდებს, ხის მორებს, შუბებს, ისრებს, ნაჯახებს და თვით შხამიან გველებსაც კი ისვრის, მაგრამ ღვთიური იარაღი, რომლითაც ეპოს „მახაბხარატას“ გმირები სარგებლობენ, მისთვის მიუწვდომელი ჩანს.(44)საინტერესოა, რომ კრიშნას მიერ დამარცხებულ შალვას და მისი საუბხის ციდან ჩამოგდების შედეგად დახოცილი მეომრები ყველანი დაიტები არიან და არც ერთი დანავა! რასაკვირველია არა შემთხვევით...ამ საკითხზე ამავე წიგნის ფარგლებში ვისაუბრებთ...

როგორც ზემოთ აღინიშნა, თორეტები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე სელევკ ნიკატორის მიერ ჩანს ჩამოსახლებული, ისევე როგორც ახაიელები, კერკეტები და ჰენიოხები (ხალიბები) XVII საუკუნის თურქი მოგზაური, ევლია ჩელების სიტყვებით, ანაპის ციხე- სიმაგრე აგებულია ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაში (თუმცა ის არ აღნიშნავს, რომ ის ალექსანდრე მაკედონელის აშენებულია) ... და რატომ და როგორ გადაიქცევიან „ზღვის ხალხების“ წარმომადგენელი თორეტები ევდუსიანელებად? ნიშანდობლივია, რომ ბასილი სოფენელის ნოტაციათა ნუსხაში ორჯერაა დაფიქსირებული კვიზიკის ეპარქია და კვიზიკის მიტროპოლიტი:

5. კვიზიკის მიტროპოლიტი. (უწმინდესი მოსაყდრე პატრიარქების ნუსხა) გვ126

ნოტაცია Xა-კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტთა სია:

5. ჰელენოპონტისა-კვიზიკის მიტროპოლიტი (გვ167)

თითოეულ სამიტროპოლიტოს რომელი საეპისკოპოსო საყდარი ემორჩილება

25. ლიკაონიაში (იკონიელთა სამიტროპოლიტო)

8. ევდოკიადის ეპისკოპოსი

27.პამფილიაში- პერგის სამიტროპოლიტო

3.ევდოკიადის ეპისოპოსი

21. ლიკიაში მირის სამიტროპოლიტო
28 ევდოკიადის საეპისკოპოსო
(სიმონ ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტომიIV; ნაწილი 2))

მკითხველს შევახსენებ, რომ ჰელენოპონტოში ნახსენები კვიზიკი -ეს უძველესი დროიდან არსებული პოლიტიკური წარმონაქმნია მარმარილოს ზღვის ნახევარკუნძულზე (ფაქტიურად კუნძულზე) რომელსაც ჯერ კიდევ აპოლონ როდოსელი ახსენებს. რაც შეეხება აქ ნახსენები ევდოკიადის საეპისკოპოსოებს ლიკაონიის, პამფილიის და ლიკიის პოლიტიკურ წარმოქმნებში, ის აშკარად ასირიის დიდი იმპერიის ნამსხვრევები უნდა იყოს, რომელიც გარიდებული ჩანან დამპყრობელ ბაბილონისა და მიდიას. (სავარაუდოდ ისევე როგორც შარვანის მოსახლეობა)(45)

როგორც ჩანს ზედწოდება ევდოკიადა აბსოლუტური შესატყვისია ევდუსიანებისა, ან პირიქით) და თორეტთა- შარვათა შორის შიდა იერარქიის, შიდა განზოგადოების მაჩვენებელი უნდა იყოს. სულ ორი პიროვნებაა ცნობილი ისტორიისათვის ანალოგიური სახელით სტრაბონთან: ევდოკს კიზიკელი (130) წელი ქრისტემდე) ცნობილი ზღვაოსანი, რომელმაც პირველმა იმოგზაურა ეგვიპტიდან ინდოეთში (უკვე მივიწყებული ტრასა) განმეორებით მოგზაურობისას მან პირველმა შემოუარა აფრიკას (თუმცა უფრო ადრე იგივე მარშრუტი გამოკვლეული უჩანთ ფინიკიელებს)... სახელი ევდოქსი შესაძლოა უბრალო დამთხვევად ჩავთვალოთ ანონიმის ევდუსიანელებთან და პლინიუს უფროსისეულ ავტუსიანებთან, მაგრამ არსებობს მეორე ევდოქსიც, უფრო არქაული, ევდოქს -კნიდოსელი (408- 355) ქრისტემდე, ძველბერძენი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ასტრონომი, დაიბადა კნიდოსში, ასევე მცირე აზიაში...საოცარია, მაგრამ კნიდოსში დაბადებული ევდოქსიც სიცოცხლის ბოლოს სახლდება კიზიკში ...როგორც ჩანს, სახელი ევდოქსი კიზიკელებში დიდად გავრცელებული, ფაქტიურად თემის მიმანიშნებელ სახელია...როგორც ირკვევა, კიზიკელების-თორეტების მამაკაცური ხაზი აღმავალი გზით ასეთი კონფიგურაციისა: თორეტები-კიზიკელები, შარვები, მარუტები, რუდრები-შვილები, რუდრა...სინამდვილეში ვინ შეიძლება იყოს შალვების მეტისი ტომის საწყისი მასალა? ყველა ნიშნით მისი მამაკაცური საწყისი რუდრა უნდა იყოს, ხოლო ქალური? ვინაა ამ ხალხის ქალური საწყისი? საბედნიეროდ, ეპოსი „მახაბხარატა“ ამ საკითხზე მინიშნებას იძლევა, რომლის მიხედვითაც : **მკვდარმა ქალმა შობა სამი მადრა და ოთხი შალვა!** თავად საკითხის ასე დაყენება, რომ მკვდარმა ქალმა შვილები შვა, საკმაოდ არაორდინალურია, ამასთან სრული დარწმუნებით შეიძლება ჩაითვალოს, რომ ბავშვების შობის პროცესი ერთჯერადია...მაგრამ...მაგრამ უკვე ვიცით, რომ მადრების ქალური საწყისი-ეს აფსარაა, (აფსარა მხოლოდ მდედრობით განდს ნიშნავს და ამაში მეგრული ენ-

ის მცოდნენი დამემოწმებიან) ასევე შალვების მამაკაცური საწყისი- რუდ-
რაა ...ის რომ აფსარა ქალისაგან ერთჯერადი შობით იშვა სამი მადრა და
ოთხი შალვა, მხოლოდ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს:
ეს ქალი, მადრების და შალვების დედა-აფსარაა, განდხარვთა ციური მეწ-
ყვილე! მისგან ნაშობი მადრები დედის გენეტიკის მატარებელია, შალვები
მამისა...შალვები, კავკასიური თუ მცირე აზიური, ზუსტად იმავე გენეტი-
კისაა, როგორც განდხარვები, 50% იმ პირველადი ქართული გენეტიკისა...
და რა ენაზე საუბრობენ თორეტები? (ანონიმი ავტორის მიხედვით, თო-
რეტების ენა ან გუთურია (გერმანული) ან ტავრიდული (განდხარვული)
... ან ორივე ... როგორც წინა ტომში აღინიშნა, ენა არაა მყარი სუბტრაქტი.
სულ რამდენიმე თაობაა საჭირო და ხელსაყრელი პირობების თანხლებით,
რომ ტომმა სრულიად სხვა, მეზობლის ენა შეითვისოს. თორეტთა ენა აღმ-
ოსავლეთისაკენ მიგრირების თანადროულად განდხარვული ჩანს, რომელ-
საც მეცნიერება აფრაზიულს - კუშიტურს უწოდებს ... რატომ აფრაზიული-
კუშიტური? ეს ტერმინ იგულისხმობს იმ ენას, რომელიც აფრიკის და აზი-
ის კონტინენტის დიდ ნაწილზე იყო გავრცელებული. აფრიკის კონტინენ-
ტზე: ეთიოპურ, სუდანური (XIX საუკუნემდე) სომალური, ჯიბუტური, ერი-
ტრეული, ძველეგვიპტური, მაროკოული და ტუნისური ... აზიური: მცირე
აზია, შუა აზია. თორეტთა ერთი ნაწილის ენა ნაწილობრივ მაინც ჩანს
ელინიზირებული, რამეთუ ის ელადაში, ატიკაში მცხოვრები დემია (იხ.
ჰეროდოტე; წიგნი V-99) თორეტული (განდხარვული) აფრაზიული ენა შე-
ნარჩუნებული უჩანს კამბედანას (კამბეჩოვანი, ქიზიყი) თორეტული წარ-
მოშობის ქართველურ ტომს, რომელსაც ისიოდორე ხარასკელი (ქრისტემ-
დე II საუკუნე) ჯერ კიდევ საკმაოდ შორს სამხრეთით აღნიშნავს თავის
ეგრეთ წოდებულ „პართიულ სადგომებში“ ... (სავარაუდოა, რომ ანტიკური
წყაროების თორეტებს-დიდებულებს და ვანახებს-მეომრებსა და მხედართ-
მთავრებს შორის გარკვეული კასტობრივი სხვაობა არსებობდეს კიდეც. შა-
რვების-ვანახების შესახებ ამავე წიგნში მოგვიანებით ვისაუბრებთ)

რეზიუმე: ცხადია, არქაული წყაროების მიერ მოხსენიებული “ზღვის ხალხ-
ები“-ეს ის ხალხია, რომელიც ეგვიპტური ცნობებით ქრისტემდე XV-XIV
საუკუნეს მოაწყდა ეგვიპტეს ... დღევანდელი ისტორიული ვერსიით ითვ-
ლება, რომ ისინი მოადგნენ ამ უკანასკნელს ხმელთაშუა ზღვიდან. როგ-
ორც კვლევამ დაგვარწმუნა, ამ შემთხვევაშიც ელინებს სიმართლე ყირაზე
უჩანთ შეყენებული: ზღვის ხალხები ეგვიპტეს მოაწყდა მეწამული ზღვი-
დან, ინდოეთის ოკეანეს გავლით! ზემოთ უკვე აღვწერეთ ზღვის ხალხებ-
ის სავარაუდო ვინაობა. მათ შორის თორეტები -კიზიკელები, რომელთა
მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდება ატიკასა და საბერძნეთში. მხოლოდ ნილ-
ოს - მეწამული ზღვის დამაკავშირებელი არხის მეშვეობით ჩანს თორეტ-

კიზიკელთა ერთი ნაწილი მოხვედრილი ატიკის დემში და სახელსაც თორეტებს იძენენ. მანამდე, ჯერ კიდევ XV-XIV საუკუნეს ქრისტემდე მათი უდიდესი ნაწილი იმავე ტრასით მოხვედრილნი ჩანან ასირიაში და აძლიერებენ მის რიგებს . ერთ დროს შეუმჩნეველი აშური, შუმერთა ვასალი დიდ დემოგრაფიულ შევსებას იღებს და მრისხანე მეზობელი ხდება. ვერ უმკლავდება მას თავად შუმერი, ბუმბერაზი და უმძლავრესი ელამი, ვერც ბაბილონი. სუზი და ელამი, რომელმაც სულ ორიოდ საუკუნის წინ განიცადა საკუთარი მოსახლეობის მიგრაცია შუა აზიისაკენ (მასაგეტების სახელით ამ მიგრაციაში ყველა განდხარვული ტომი მონაწილეობდა - ყველა, უკლებლივ) ჯერ კიდევ დემოგრაფიულად დასუსტებული, ვერ გაუმკლავდა შალვების ტომის ამ მძლავს შემოტევას და დამარცხდა. უფრო მეტიც, იმავე კტესიას და პომპეი ტროგის ცნობებით, მათ ილაშქრეს ბაქტრიაზე (იმავე მასაგეტებზეც) და შეძლეს მათი დანარცხება. XIV-XIII საუკუნის მიჯნაზე მეფე არიკ დენ - ილის მეფობისას, ასირიელებმა (შალვებით გაძლიერებულებმა) შეძლეს ბაქტრიის (დღევანდელი უზბეკეთის და დანარჩენი შუა აზიის) დამორჩილებაც. რამდენადმე რეალურიც კი ჩანს კტესიას მიერ მოწოდებული ცნობა, რომ ტროას სუზერენმა დახმარება ასირიის მეფე ტესტიმს თხოვა, ხოლო ამ უკანასკნელმა თავისი ვასალი- ელამელი მემნონი მიავლინა მის დასახმარებლად-იმდენად რამდენადაც ტროას ომის პერიოდისათვის ასირიას რეალურად სემირამიდა მართავდა , მისი შვილის, ადად- ნირარ I-ის მეურვე... ასირიის ძლიერება საბოლოოდ ბაბილონმა და მიდიამ დაანგრია(46) ამის შემდეგაც, ასირიული სული რეგიონში საკმაო ხანს ტრიალებდა: ამის მაგალითია კიზიკის პოლიტიკური წარმონაქმნი ჰეროდოტესთან და ევდოკიადის საეპისკოპოსო მცირე აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთით (ბასილი სოფენელის მიხედვით) ძნელი სათქმელია, ასირიელ- კიზიკელ- თორეტთა რომელი ნაწილიდანაა წაყვანილი თორეტები ანაპაში დასასხლებლად, თუმცა სელევკ ნიკატორს, რომელსაც საბერძნეთზე- ელადაზე ხელი არ მიუწვდებოდა, მარმარილოს ზღვის სა - ნაპიროზე მცხოვრები კიზიკელები უჩანს წამოყვანილი (47) სავარაუდოდ, ჩრდილო შავი ზღვისპირეთის დამასახლებელი სელევკ ნიკატორია, ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლი, სარდალი და მემკვიდრე. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ის აღნიშნული ტერიტორიების იმპერატორი ხდება, სელევკიად სახელდებულისა. ზუსტად ის ჩანს ანაპის ციხის ამშენებელ ი და მისივე სურვილით ხდება თორეტების აქ ჩასახლება. როგორც ზემოთ ითქვა, ისინი V საუკუნეს საქართველოსაკენ ჩანან ამოძრავებულნი. გვარმცოდნეთა მონაცემებით, ისინი ახალციხესა და ჯავახეთში დამცრობილი ახალციხელ - თორელთა საგვარეულოა, გადმოსული შუა ქართლში, თუმცა ეს ვერსია სიმართლეს არ უნდა შეესაბამებოდეს.

დასავლეთ საქართველოდან გადმოსული ეს გვარი პირველად შიდა ქართლში ჩანს ჩასახლებული, ხოლო მათი გამორჩეული წარმომადგენლები სახელოებს იღებენ ჯავახეთსა და ახალციხეში. კამბედანას (კამბეჩოვანის-ქიზიყის შესახებ ზემოთ უკვე ვთქვით, ხოლო შარვანში დასახლებული შარვები აქ სავარაუდოდ ასირიის სახელმწიფოებრიობის მტრების მიერ განადგურების შემდეგ პირდაპირი ხაზით მოემართებიან კასპიის ზღვისაკენ... სავარაუდოდ, იგივე ხალხები უნდა იყვნენ სამხრეთ საქართველოს მცხოვრები შავშეთელები...

... და ხალდები...

თემა კოლხებზე ამოწურულად ვერ ჩაითვლება, თუ არ იქნება სინათლე შეტანილი ხალდების ბედ - იღბალზე, კოლხების თანამოქალაქე და სახლიკაცებზე ვენეციიდან ...მას შემდეც, რად ორივე ზემოთ ხსენებული ტომი მოყვა იმ მოვლენის ზემოქმედების ქვეშ, რომელსაც მსოფლიო წარღვნა ეწოდა, ორივე ტომის დიდი ნაწილი გადაადგილდა აღმოსავლეთის მიმართულებით, ჭანი-ხალდი შუა მდინარეთისაკენ, კოლხი -ეგვიპტისაკენ. კოლხებზე, და იბერებზე კიდევ ვილაპარაკებთ ... რაც შეეხება ეგვიპტელ კოლხებს, არაბთაგან უმცირესობაში მოქცეულნი (გაარაბებულების გარდა) დღეს კოპტებად იწოდებიან ... აი ისინია კოლხი ეგვიპტელების ნამდვილი მემკვიდრენი და ისინი დღესაც კი ქრისტიანობას ინარჩუნებენ...(48) ადგილზე დარჩენილ თუ შემდგომ დაბრუნებულ ხალდებზე ჩვენ კიდევ ვისაუბრეთ. რაც შეეხება საბერძნეთში დასახლებულ ხალდებს, მათ უპირველეს ეოლიელები -ამომავალი (მზის ქვეყანა) ეწოდათ...სავარაუდოა, რომ უპირველესი ქალაქი სიპარი, მზის ქალაქი, ვენეციაში მდებარეობდა და აქედან ლტოლვილ ჭანებს ასეც ეწოდათ:

“ეოლიელები - ბერძენთა ერთ-ერთი დიდი ჯგუფი, თავდაპირველად თესალიაში, შემდგომ მცირე აზიაში, ჰელესპონტის ნაპირებზე და კუნძულებზე“ (ჰეროდოტე, საძიებელი)

როგორც ჰეროდოტეს საძიებელიდან ირკვევა, ეოლიელები იკავებდნენ ცენტრალური საბერძნეთის იმ ნაწილს, რომელსაც თესალია (შემდგომი თესალონიკი) ეწოდა. რასაკვირველია მათი ნაწილი შეერწყა თესალიელებს (ფინიკიელებს) ხოლო ნაწილი...

„ფოკისი -ფოკიდა, მხარე ცენტრალურ საბერძნეთში (იქვე)

უნდა აღინიშნოს, რომ ჰეროდოტე თავის ისტორიაში ორი მსგავსი დასახელების რეგიონს ასახელებს : ფოკაიე, იგივე ფოკეა, იონიელების ქალაქი მცირე აზიაში და ფოკიდა- ფოკისი, მხარე ცენტრალურ საბერძნეთში, ეოლიდაში მცხოვრები თესალიელების მეზობლად, რომელთაც ამავე ისტორ-

იკოსის ცნობით, ეოლიდიდან გააძევეს ეოლიელები. ფოკიდა თესალიელ-ების მეზობლად და მათდამი უკიდურესად მტრულად განწყობილი რეგ-იონია, რომელიც მათგან გამოსაყოფად (რასაკვირველია თავდაცვის მიზნ-ით) კედელიც კი უჩანთ აღმართული:

„მეფის (იგულისხმება სპარსეთის მეფე ქსერქსე) ამ ლაშქრობამდე რამდენ-იმე წლით ადრე თვითონ თესალიელები და მათი მოკავშირეები მთელი ლაშქრით დაესხნენ თავს ფოკეელებს. ფოკეელებმა ისინი დაამარცხეს და ცუდ დღეშიც ჩაყარეს ... ეს საქმე დამართეს ფოკეელებმა თესალიელების ჯარს, რომელსაც მათთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული. ხოლო როდესაც თესალიელთა მხედრობა შეიჭრა მათ ქვეყანაში, ის საშინლად განადგურ-და. შესასვლელთან, რომელივც ჰიამპოლისთან არის, სწორედ იქ დიდი თხრილი გააკეთეს ფოკეელებმა და შიგ ცარიელი ამფორები ჩადგეს, ზემ-ოდან მიწა დააყარეს, მოასწორეს ეს ადგილი და დაელოდნენ თესალიელ-ების შემოჭრას. ხოლო თესალიელები თავს დაესხნენ თუ არა ფოკეელებს (იმ იმედით რომ დავიპყრობთო) ჩაცვივდნენ ამფორებში და იქ მათმა ცხენებმა ფეხი დაიმტვრიეს“ (ჰეროდოტე, ისტორია; წიგნი VIII, 27-28)

ცხადია, ფოკეელები-ეს ყოფილი ხალდები ჩანან, უკვე ეს სახელ მიღებუ-ლი. ჭეშმარიტად უნივერსალური ჩანს პომპონიუს მელას სიტყვები ტომ-ების მუდმივობის მამტკიცებელი... (49)

„ამგვარად ბარბაროსთა ნაწილი აქეთკენ გაემართა, ხოლო დანა-რჩენები თავისი წინამძღოლებით დაიძრნენ დელფოს სამისნოსაკენ, პარ-ნასოსი მარჯვნივ მოიტოვეს. ამასთან, სადაც კი მივიდნენ ფოკიდაში, ყვე-ლაფერი გაანადგურეს: დაწვეს პანოპეელთა, დავლიელთა და <u>აიოლიდის ქალაქი. ესენი დანარჩენ ქალაქს იმიტომ გამოეყვნენ და აქეთკენ იმიტომ წავიდნენ, რომ დელფოს ტაძარი გაეძარცვათ და ქსერქსესათვის გადაეც-ათ იქ დაცული ქონება“</u> (იქვე, VIII-35)

ჰეროდოტეს ეს ციტატა კი თვალნათლივ გვაჩვენებს, თუ ვისია აიოლიდების ქალაქი (ადრე ისინი აიოლიდის ქვეყანასაც ფლობდნენ, საი-დანაც ისინი თესალიელებმა განდევნეს) და რაც მთავარია, დელფოს სამ-ისნო ხალდების-ფოკეელების ტომის სამისნოა! ფოკეელები კონტინენტალ-ურ საბრძნეთში და დელფოს სამისნო კუნძულ დელოსზე- ეს ხალდებია... ხალდების თემა კიდევ ერთხელ ამოტივტივდება, ამოტივტივდება კუნძ-ულ დელფოს და დელფოს სამისნოსთან მიმართებაში...

რაც შეეხება მცირე აზიაში გადასულ ხალდებს, ისინი აქ ყველასა-თვის საყოველთაოდ ნაცნობ შუმერულ კულტურას უდებენ საფუძველს... მაგრამ...აქ ერთი მაგრამაა, შუმერთა ენა ხალდეური -ჭანური არა ჩანს... ამ ენას სულ სხვა სიტყვათა წყობა და სხვა ელფერი ეტყობა ... არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ეს არამცთუ სხვა, უცხო ტომის, არამედ უცხო რასის

ენაა...არ ვიქნები სწორი თუ ვიტყვი, რომ არ გამეგება მიზეზი ამ ენის კარდინალური სხვაობისა ხალდეურთან -ჭანურთან (თუმცა შუმერთა წინაპრებს ბაბილონელი ქურუმი ბეროსი ხალდებს უწოდებს… ამ ყველაფერთან ერთად შუმერი ორენოვანი ტომი ჩანს, რომელთაგან მიზეზთა და მიზეზთა გამო, პირველი შუმერულია-უცხო ენა, მეორე ჭანური-იგივე ლაზურია ... მაგრამ მიზეზი ამ ენის ასეთი კარდინალური განსხვავებულობა ხალდეურისაგან იმდენად არაორდინალურია, რომ ამ ტომის ფურცლებზე ამაზე არ და ვერ ვილაპარაკებთ... მესამე და ბოლო ტომში, სადაც ტაბუირებული თემები არ იქნება-ამაზეც ვისაუბრებთ...

ნიშანდობლივია, რომ ვიკიპედია (თავისუფალი ბიბლიოთეკა) ბაბილონის ისტორიას ქრისტემდე XVIII საუკუნეს იწყებს. თუმცა ამ საკითხზე სულ სხა აზრისა ჩანს ბეროსი, თავად ბაბილონელი, ნამდვილი ხალდის ძე და ვარსკვლავთმრიცხველი:

„ცხოვრობს ბაბილონში სხვადასხვა ტომის ხალხები იმათგან, რომლებიც ცხოვრობენ ხალდეაში (ბეროსი, ბაბილონის ისტორია, F 1)

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ- ეს ახალი ხალდეური დინასტიაა, თუმცა ბეროსი მიგვანიშნებს, რომ ხალდები მეფობენ ჯერ კიდევ შუამდინარეთში მოსვლამდე. კსიუსუტრიდან და წარღვნიდან ის თვლის 86 მეფეს ჯამური მმართველობით 3 მირიადი 3 ათას 91 წელი: ანგარიშის მიხედვით (იხ ზემოთ) ეს 830 წელია, არც მეტი და არც ნაკლები... შესაბამისად, შუმერსა და ბაბილონში საკუთარი (სავარაუდოდ ნამდვილი ხალდი) მეფეების ზეობა გაგრძელებულა 3403 - 830 = 2573 წლამდე და ბაბილონი ამ დროისათვის ჯერ კიდევ შუმერის პერიფერიას წარმოადგენს მხოლოდ. შენდეგ ბეროსი საუბრობს მარების 8 ნაცვალის ზეობას ბაბილონში, საერთო ვადით 224 წელი. შემდგომ უკვე სრულიად ასიმილირებული მარების 11 მეფის მეფობას იმავე ბაბილონში (სავარაუდოდ სრულიად შუმერშიც) და მათი მეფობის საერთო ჯამი (სავარაუდოდ) 308 წელია. საერთო ჯამური მმართველობა მარებისა 224+308 =532 +8=540 წელს. შესაბამისად, მარების ბაბილონში ზეობა 2573-540=2033 წელი...შესაბამისად, ქრისტემდე XXVI - XXI საუკუნეს შექმნილი ნებისმიერი წერილობითი ძეგლი ბაბილონის ტერიტორიაზე მარების, უარეს შემთხვევაში მარების და შუმერებისა უნდა იყოს...ეს პერიოდი შუმერ-ბაბილონის ისტორიაში აშკარად ემთხვევა აქ შუმერთა კულტურის მარებით ჩანაცვლებას, მაშასადამე ისტორიაში აქადებად ცნობილი ხალხი- ეს მარებია, იგივე მარდები, იგივე მარგები და ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ მადრებად ცნობილი ხალხი...

„ბაბილონის დაფუძნების გარემოება და ზუსტი თარიღი უცნობია... სახელწოდება მოდის აქადური ბაბ- ილანი, რომელიც სიტყვა- სიტყვით ნიშნავს „ღმერთების კარიბჭეს,“ შუმერული ანალოგი - კადინგირა. შედარებით

ძველი არქეოლოგიური მონაპოვარი თარიღდება ქრისტემდე 2400 წლით... იმ დროისათვის ქალაქი მდებარეობდა შუმერების გავლენის არეალში, თუმცა ის არაა განლაგებული შუმერთა ძირძველ ტერიტორიაზე (რაიონი კი -ენგისა) არამედ მის პერიფერიაზე კი-ურის რაიონში, რომელიც ბოლო დროს ცნობილია სახელწოდებით „აქადი“ (ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

ამის შემდეგ, ამბობს ბეროსი, 49 ხალდეური მეფე საერთო მმართველობის 458 წელი...და ვინ არიან 49 „ხალდი“ მეფეები?

„ბაბილონის პირველ წერილობით ხსენებას უკავშირებენ წყაროს, რომელიც დაკავშირებულია აქადის სამეფოს აღსასრულთან (დაახლოებით 2200 წელი ქრისტემდე) შემდგომში ნომი ცენტრით ბაბილონი შედის უზარმაზარ შუმერი-აქადურ სამეფოში. ძირითად ტერიტორიას ამ სახელმწიფოსი წარმოადგენდა ყოფილი ქალაქი - სახელმწიფოები ქვემო მესოპოტამიისა (შუმერიასა და აქადისა)- ურუკი, კიში, ლაგაში, ლარსა და სხვა...XXI შიდა პრობლემებმა და საგარეო ფაქტორებმა გამოიწვია შუმერო-აქადის სამეფოს რღვევა. სამეფოს რღვევა ხდება ელამიტების და სემიტურენოვანი ამორეების შემოჭრით. ამ უკანასკნელებმა დაიპყრეს მესოპოტამია და დაარსეს დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფოები, რომელთა რიცხვში იყო ბაბილონიც (იქვე)

უნდა განვაცხადოთ, რომ ბეროსის (ბაბილონელი სწავლულის, ვარსკვლავთმრიცხველის და ქურუმის, მემატიანის) „ბაბილონის ისტორიის“ თარიღების გაშიფრვა გვაძლევს საშუალებას, გაცილებით ზუსტად განისაზღვროს თარიღები, დაკავშირებული ბაბილონთან: ასე მაგალითად, აქადთა სამეფოს აღსასრულს წინ უძღვის ჰურიტების და მატიენების მშვიდობიანი ექსპანსია, რომელნიც საკუთარ ხელისუფლებას შუამდინარეთსა და ბაბილონზე ავრცელებს 2033 წლის სიახლოვეს ქრისტემდე, აფუძნებს სახელმწიფოს სუბართუს სახელით. ამასთან, ბაბილონზე ამ შემოტევაზე ელამიტების როლი არ უნდა იკვეთებოდეს (50), რაც შეეხება სემიტურენოვან ამორეველებს, აქ ჰიქსოსთა რიგებში მყოფი ფრიგიელები და არამეველები უნდა იგულისხმებოდეს...

„XIX საუკუნეს ქრისტემდე, ნომი ცენტრით ბაბილონი ამორეველი ტომის, იახრურუმის გავლენის ქვეშ იმყოფება. 1894 წელს ქრისტემდე (საშუალო ქრონოლოგიის მიხედვით) ბელადი სუმუაბუმი, შვილი დადბანაისა დაფუძნდა ქალაქში. გახდა დამფუძნებელი ბაბილონის (ამორევული) დინასტიისა. ამორეველთა მმართველობის ეპოქა მესოპოტამიის ისტორიაში აღინიშნება როგორც „ძველბაბილონური პერიოდი“. თავად ბაბილონში I დინასტიის მმართველობა ხდება 1894-1595 წლებში ქრისტემდე. (საშულო ქრონოლოგიის თანახმად) (იქვე)

...მაგრამ იმავე ბეროსის ცნობებზე დაყრდნობით, თამამდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 49 „ხალდი“ მეფის მმართველობა ბაბილონში დაიწყო 2033 წელს და დასრულდა 1568 წელს ... (როგორც ჩანს, სტატიის ავტორი არა შემთხვეთ აღნიშნავს, რამ თარიღები მოცემულია საშუალო ქრონოლოგიის მიხედვით...) ამავე დროს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბეროსისეული ის ხალდები, რომლთაც კოლხებთან ერთად ადრიატიკის ზღვის უშორეს წერტილში, ვენეციაში გაატარეს მთელი 120 წელი და წარღვნის შემდეგ შუამდინარეთში დამკვიდრდნენ შუმერების სახელით, სრულიად სხვა ხალდებია და გენეტიკურ დონეზეც კი არ უჩანთ ნათესაობა იმავე ბეროსის მიერ დასახელებულ 49 ხალდ მეფესთან და მის ხალხთან. მართალია ამ უკანასკნელებს ამორეველებად და სუტიებად ნათლავს არსებული ისტორია, მაგრამ ისინი ჰურიტები - ჰურები და მატიენები ჩანან, პირველი მმართველები სუბართუსი- ყოფილი ბაბილონისა. ამასთან ისინი მართავენ სუბართუს - ბაბილონს 540 წელი, ხოლო შემდგომ ჩანაცვლებული იქნენ ფრიგიელთა ტომებით -ისინი ჰიქსოსთა სემიტუერი შემადგენელი მოჩანს, ფრიგიელების, ქურთების და არამეველების სახით.

...და ერთი საინტერესო პასაჟი: **ბაბილონის მეფე ხამურაბი, ზეობის წლები ქრისტემდე 1793-1750 წლები...პირველი კანონმდებელი, იურიდიულ ტრაქტატ ხამურაბის კანონების ავტორი... და ენა, რომელზედაც ეს ტრაქტატი არის შესრულებული, ამორეველებს - ფრიგიელებს არ ეკუთვნით, ის ინერციით გრძელდება აქადურ ენაზე, რომლზეც საქმეთა წარმოებას აგრძელებენ ჰურიტებიც და ამორეველებიც... (ბაბილონის ამ დაპყრობაში ელამიტების როლი ნულოვანი ჩანს) აქადურ ენაზე და რომელი ენაც პრივალირებს შემდგომ ბაბილონსა და ასირიაში ... აი ამიტომაც ამ ენას და მის მატარებელ ხალხებს თვლის ბეროსი, ბაბილონელი ქურუმი ხალდებად...სინამდვილეში მათ ხალდებთან, იმ ხალხთან რომელიც აქ ვენეციაში მომხდარი წარღვნის შემდეგ მოვიდნენ, არავითარი გენეტუკური ნათესაობა არ უჩანთ...**

ბეროსის მონაცემების მიხედვით შედგენილი ბაბილონის დაპყრობა უცხოტომელთა (ბეროსის მიხედვით ხალდების, სინამდვილეში ცრუ ხალდების მიერ, რომელსაც ნამდვილ, პირველად ხალდებთან არაფერი აქვს საერთო, გარდა არასწორად მიკუთვნებული სახელისა) მიერ, ქრონოლოგიურად აცდენილია ოფიციალურ ვერსიასთან:

1.ბეროსს ბაბილონის ეს დაპყრობა თავიდან ჰურიტების და მატიენების, შემდგომ ამორეველების მიერ დაპყრობა ჩათვლილი აქვს ერთ პროცესად...
2.სინამდვილეში, ჰურიტების და მატიენების ხელისუფლება სახელმწიფო სუბართუში 540 წელი გრძელდება და როგორც ჩანს, უბრძოლველად გადადის ამორეველების - ფრიგიელების ხელში ... და პირველი ფრიგიელი

სუზერენი-უკვე ბაბილონისა, ცნობილი კანონმდებელი ხამურაბი ხდება, ქრისტემდე 1793 წელს...

ამიტომაც ჩანს აცდენილი ბეროსის ცნობა ოფიციალურს (ეს უკანასკნელი, როგორც მკითხველი შეამჩნევს, არ გამოირჩევა დიდი სიზუსტით) მცირედ განსხვავებულია ბაბილონის განთავისუფლების ბეროსისეული 1568 წელი ოფიციალური 1595 წლისაგან. ასევე საყურადღებოა, რომ სკვითური დასახელების ფარაონი- ქალი, ნეფრუსებეკი ოფიციალური ვერსიით ქრისტემდე 1798 წელს ჩნდება...რაც შეეხება ბაბილონს, აქ სემიტთა ის ნაწილი რჩება, რომელსაც ბეროსი ხალდებს ეძახის, ხოლო სინამდვილეში ფრიგიელები და არამეველები არიან, მათივე სახლიკაცები...უნდა გავითავისოთ, რომ მთელი ეს 465 წლიანი პერიოდი ბაბილონი დაპყრობილია სემიტთა აგრესიული ტომების მიერ და ის აგრესიულ ომებს აწარმოებს მეზობლების წინააღმდეგ, რომლებსაც ასეთი უიღბლობა ჯერ არ სწვევიათ: **„ამ დროისათვის ბაბილონი - უძლიერესი სამეფო აქადის ყოფილ ტერიტორიაზე, რომლის დაქვემდებარებაში იმყოფებიან ისეთი ნომები, როგოროგორიცაა კიში, სიპპარი, კავალლა, დილბატი, კუტუ, უპი, ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქები-ბორციპა, ეპიპი, ხაბუზი, კარ-უტუ, ნურიმი და სხვა...საყურადღებო ეპოქა დგება ბაბილონში მეფე ხამურაბის გამეფების შემდეგ (1792-1759)....ოცდაათი წლის რეფორმების, ძალების მოკრების, თავდაცვითი ნაგებობების აგების შემდეგ და უფრო ძლიერი მტრების ურთიერთწაკიდების შემდეგ, ხამურაბი იწყებს ფართომასშტაბიან ომებს, რის შედეგადაც მის სახელმწიფოს შეუერთდნენ მიწები შუმერისა, ასირიისა, რაიონები მდინარე ტიგროსის მარცხენა სანაპიროსი და ცენტრალური ევფრატისა. ამ დროდან ხამურაბის მბრძანებლობის ქვეშ აღმოჩნდა უდიდესი უმრავლესობა მესოპოტამიის ქალაქებისა. მაგრამ შემდგომმა მეფეებმა ვერ შეძლეს ბაბილონის სამეფოს ამ ფარგლებში შენარჩუნება. მასობრივი აჯანყებები შუმერისა, აქადისა, სამხრეთისაკენ საზღვაო სახელმწიფოს შექმნა, მთიელი ტომების -კასიტების გადაადგილება, ხურიტებისა, აქტივირება ელამისა და ხეთების სამეფოსი - სერიოზულად გაართულეს ხამურაბის მემკვიდრეთა საქმე. ყველა შემდგომი მეფე ეწეოდა მძიმე ომებს საგარეო მტრებთან, ამავე დროს ახშობდნენ მრავალრიცხოვან აჯანყებებს ქვეყნის შიგნით. კულმინაციად იქცა მეფე სამოუდიტანის ზეობისას ხეთების მეფე მურსილ I, რომელიც ეყრდნობოდა კავშირს ხანეის (51) სამეფოსთან (სავარაუდოდ ხანანთან) დაამარცხა ხამურაბის თვითმფლობელობა 1595 წლის სიახლოვეს ქრისტემდე და ხეთთებმა დაიპყრეს ბაბილონი და გაძარცვეს, მრავალი რამ გაანადგურეს. სამეფო მოსპობილი იყო, ხოლო სამოსუდიტანა ალბათ დაიღუპა. (ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია)**

ამ ამონარიდიდან ცხადი ხდება, რომ მცირე აზიის ჩრდილოეთში განლაგებული განდხარვული ტომების სამეფო ამ მცირე აზიურ დაპყრობას ნაკლები ზარალით გადაურჩა. უფრო მეტიც, მცირე აზიის დაპყრობიდან გარკვეული დროის შემდეგ განდხარვთა ტომი (თუ ტომები) ამარცხებენ ბაბილონის დამპყრობელს და არა მარტო ამარცხებენ, არამედ მცირე აზიიდან დევნიან კიდეც. ასევე მდგომარეობაზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ დამპყრობელ ჰიქსოსებზე (თუ მათ სატელიტებზე) გადამწყვეტი შეტევა პირველად განდხარვებმა (დაუმარცხებელებმა) მიიტანეს და არა ეგვიპტელებმა ფარაონ სეკენერას ხელმძღვანელობით, რომლის გამანთავისუფლებელი მოძრაობა ათეულობით წლებით ჩამორჩება ხეთელ-კასიტთა კოალიციის მიერ ბაბილონის განთავისუფლებას და მტრის მცირე აზიიდან განდევნას (52) (რასაკვირველია არც ეს თარიღი ჩანს სწორი, ბაბილონის აღება მურსილ I-ის მიერ იმავე 1565 წლის სიახლოვეს ხდება)

ამასთან, მიუხედავად იმ აღმშენებლობისა, რომელიც ჩაატარა „ახალ ხალდების“ სამეფომ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ხალდეური“ ეს დინასტია ბაბილონისა არის დამპყრობელი... მართალია ცივილიზირებული ტომებია ეპოს „მახაბარატაში“ პანჩალები და მათი სახლიკაცი სომაკები, მაგრამ მაინც დამპყრობლები და მათ არავითარი საერთო არც აქადთან, მით უმეტეს შუმერთან არ ეძებნებათ, გენეტიკური თვალსაზრისითაც კი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაბილონის „ახალხალდეური“ დინასტია- ეს სემიტებია, ფრიგიელები და არამეველები, შესაბამისად ქურთები და არმენები...

„ამის შემდეგ 8 არაბული მეფე და 245 წელიწადი“ (ბეროსი, ბაბილონის ისტორია)

ბეროსი აღრიცხავს 245 წელს და ეს რიცხვი გაცილებით მეტ ნდობას იწვევს, ვიდრე გარკვეული მანიპულირებით გამოთვლილი ზეობის წლები იგივე „საშუალო სიის“ მიხედვით, რამეთუ ბეროსი თავად წარმოადგენს ნამდვილ ხალდს, მისი პირველადი მნიშვნელობით, შუმერთა მემკვიდრეს და ნამდვილ ვარსკვლავთმრიცხველს, რომლისთვისაც ცნობილია ვარსკვლავებზე დაკვირვების ბაბილონელთა გამოცდილება. ხალხი, რომელიც ვარსკვლავების მოძრაობას ათასეული წლების განმავლობაში აკვირდებოდა და იწერდა, უფრო დიდი ძალისხმევით და გულისყურით დააფიქსირებდა საკუთარ ისტორიას, რომელიც ბეროსისათვის საიდუმლოს არ უნდა წარმოადგენდეს:

ხეთების მიერ ბაბილონის აღების შემდეგ, ისტორია ბაბილონისა რთული გასააგებია. აშკარაა, რომ რომ მურსილიI-ის ხეთების წასვლის შემდეგ ქალაქი პოლისი რაღაც დროის შემდეგ მიტაცებული იქნა ზღვისპირა მეფის (არა ზღვის ხალხების) გულკიშარის მიერ (ეგრეთ წოდებული ბაბილონის II დინასტიის, ანუ პირველი ზღვისპირა დინასტია) ამ დროისათვის

მესოპოტამიის ცხოვრებაში დიდი როლის თამაში დაიწყეს კასიტებმა-მეზობელი ზაგროსის მთიანი ოლქებიდან ... პირველ ნახევარში XVI საუკუნე ქრისტემდე აგუმ II დაიპყრო ბაბილონი, დააფუძნა იქ III დინასტია. კასიტების მმართველობა III და V დინასტიისა, ასევე II დინასტია ისინისა,(53) შემოხაზავს ჩარჩოებს საშუალო ბაბილონურ, ანუ კასიტურ პერიოდს ქვედა მესოპოტამიის ისტორიაში (დაახლოებით 1595-1004 წლები ქრისტემდე) (ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია)

„XIII საუკუნეს ქრისტემდე, საგარეო მდგომარეობა ქვეყანა კარდუნიაშისა (კარდუნიაში-ამ სახელით XV საუკუნის შუა ხანებში ქრისტემდე ფიგურირებს კასიტური სახელმწიფო წყაროებში) (54) რთულდება. გარდა შიდა პრობლემებისა, გამომწვევი მიზეზი იყო ასირიის ამაღლება, ასევე ელამის გაძლიერება და ახალი მასშტაბური მიგრაციული ტალღები სემიტი მომთაბარეებისა, ამ შემთხვევაში არამეველებისა...მიუხედავად სამეფო რეზიდენციის დურ-კურიგალზუში გადატანისა, კასიტების მმართველობისას ბაბილონმა განიმტკიცა დედაქალაქის სტატუსი და აგრძელებდა ზრდას. ითვლება, რომ კასიტური პერიოდის დასასრულისათვის ქალაქმა შეიძინა სიმეტრიული გეგმა და შემოფარგლული იყო დიდი სწორკუთხა კედლით იმგურ-ენლილი...(ბაბილონის) აღმოსავლეთ ქალაქში იყო კვარტალები კადინგირა, შუანა (აქადური სუანა), კულაბი....1158 წელს ქრისტემდე, ელამელებმა შუტრუკ ნახუნტუს მეთაურობით დაიპყრეს ბაბილონი... ელამელების ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 1150 წელს ქრისტემდე იფეთქა აჯანყებამ მარდუკ -კაბიტ- ახკი-ცუს მეთაურობით. მან შეძლო გამაგრებულიყო ისინში, დააფუძნა რა IV დინასტია ბაბილონის მმართველებისა, ასევე ცნობილი ისინის II დინასტიად. (იქვე)

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი კარდუნიაში (აქედანაა წარმომდგარი ტერმინი კარდუხი, მეომრების აღმნიშვნელი, რომელსაც შეეჯახა ქსენოფანტე და მისი 14 ათასი ბერძენი მოლაშქრე კუნაქსიდან-ბაბილონის სიახლოვეს უკან დახევისას V–IV საუკუნის გასაყარზე ქრისტემდე, ბაბილონის მთების ჩრდილოეთით). ქურთების ტომია, უკვე სხვა ისტორიული პროცესის შედეგად მოხვედრილი მცირე აზიაში (იხილეთ ზევით ფარაონ ჰორემხების ლაშქრობა ამავე თემაში)...შესაბამისად, ქრისტემდე XIII საუკუნეს არამცთუ ბაბილონის დაპყრობის პროცესში, არამედ ნებისმიერ პოლიტიკურ პროცესში მათი მონაწილეობა გამორიცხულია.

ჩვენი კვლევის საგანს აჟამად არ წარმოადგენს ბეროსისეული ბაბილონის „8 არაბი მეფის“ ვინაობის გარკვევა, ეს ამავე ნაშრომის სხვა თავის თემაა, სადაც დაწვრილებით იქნება საუბარი იმ ტომზე, რომელსაც ისტორია კასიტებს უწოდებს. კვლევა დაეყრდნობა სრულიად არაორდინარულ მასა-

ლებს, რომელიც ასევე არაორდინარული წყარობიდან მომდინარეობს. აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგ გარემოებას:

1.ბაბილონში ფიქსირდება კასიტური ტომი სახელწოდებით ისინი, რომლებიც დინასტიურ მმართველებადაც კი გვევლინებიან ბაბილონში.

2. აქვე ფიქსირდება დასახლებული რაიონი ბაბილონის აღმოსავლეთით, შუანას-აქადური სუანას სახელით.

ასევე ნიშანდობლივია ცოდნა ფაქტისა, რომ XIII საუკუნისათვის ქრისტემდე დაფიქსირებული პროცესი მცირე აზიის ტერიტორიაზე არამეველთა გამოჩენისა ეწინააღმდეგება ისტორიულ რეალობას: არამეველები იგივე ფრიგიელები არიან, ეგვიპტის ფარაონ ჰორემხების მიერ ქრისტემდე XIV საუკუნეს ბოლოს ტყვედ წამოსხმული ფრიგიელებთან, თრაკიელებთან, სინდებთან და ებრაელებთან ერთად. XIII საუკუნეში მათი გააქტიურება მცირე აზიის ტერიტორიაზე მხოლოდ ეგვიპტელთა ტყვეობიდან დროზე ადრე განთავისუფლებით შეიძლება აიხსნას (ისევე როგორც იზრაელის შვილებისა)

„ელამიტების ბატონობა ხანმოკლე იყო. უკვე 1150 წელს ქრისტემდე იფეთქა აჯანყებამ მარდუკ კაბიტ (კაბეტი? -55)- ახხი ცუს მეთაურობით. მან შეძლო გამაგრებულიყო ისინში. დააფუძნა რა IV დინასტია ბ აბილონისა, ასევე ცნობილი ისინის II დინასტიად. პირველ წლებში კარდუნიაშის აღორძინებული სამეფოს დედაქალაქად რჩებოდა ისინი. მაგრამ იტტი- მარდუკის მმართველობის დროს დედაქალაქის ტიტული გადავიდა ბაბილონში... ქალაქი თანდათანობით იწყებდა აღდგენას, დაიწყო ახალი მოკლევადიანი პერიოდი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. დიდ საგარეო წარმატებებს აღწევს მეფე ნინურთა-ნადიმ -შუმი, რომელმაც მოახერხა მარდუკის კერპის დაბრუნება, ერთ დროს წაღებული ასირიის მეფე თუქულტი-ნინურთა I მიერ. ამავე დროს ბაბილონის არმია აღწევდა ასირიის ცენტრში, ხოლო ნაბუქოდონოსორ I დროს, მათ მიაყენეს გამანადგურებელი დამარცხება ელამს და დაიბრუნეს სხვა კუმირი უმაღლესი ღმერთისა. ნაბუქოდონოსორ I დროს დინასტიამ მიაღწია სიძლიერის პიკს…ფონ - ზელენის აზრით, ამ მეფის მმართველობის დროს შესაძლებელია აშენებული იყო ცნობილი ზიქურათი ეთემენანქე, შემდგომში ბაბილონის გოდოლის წინამძღვარი...მაგრამ სახელმწიფოს ძლიერებას ნიადაგს აცლიდა მომდინარე კრიზისი. ისინის II დინასტიისას, გრძელდებოდა გადაცემა იმუნიტეტალური სიგელებისა მსხვილ მიწათმფლობელებზე: როგორც შედეგი ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ფენა მაგნატებისა, რომელთა ხელშიც ხვდებოდა სულ უფრო მეტი ბერკეტები მეფის შემდგომ მოქმედებაზე. ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებასთან ერთად, უარესდებოდა ბაბილონის საგარეო მდგომარეობაც. უკვე მარდუკ -ნადინ -ახის მმართველობისას, ბაბ-

ილონი მარცხდება ასირიელებთან. ტიგლატპალასარ I შეძლო მოკლე დროით დაეკავებინა დურ - კურიგალზუ, უპი, სიპარი და დედაქალაქიც კი, სადაც დამწვარ იქნა მეფის რეზიდენცია. მარდუკ-ნადინ-ახის მმართველობის ბოლოს ქვეყანაში იფეთქა შიმშილმა. მზარდი კრიზისის ფონზე, ევფრატის დასავლეთით მცხოვრები მრავალრიცხოვანი ტომი არამეელებისა (ახლამეები) XI საუკუნის დასაწყისში მასიურად ჩამოსახლდნენ ბაბილონის და ასირიის ტერიტორიაზე. უკვე მაშინ, ამ ნახევრად მომთაბარე ტომს შორის შესაძლოა იმყოფებოდნენ ხალდებიც - განსაკუთრებული განტოტება არამეველებისა, რომლებმაც დაასახლეს ბაბილონიის სამხრეთი, ზღვისპირეთი. არამეველთა გადაადგილება დაემთხვა „ზღვის ხალხების" შემოსევას...ყველა ამ პროცესების ერთობლიობამ გამოიწვია ეგრეთ წოდებული ბრინჯაოს სუკუნის კატასტროფა. როცა მოხდა დაცემა ან დაღუპვა ყველა სახელგანთქმული მცირე აზიური სახელმწიფოებისა და ბრინჯაოს ეპოქამ დაიწყო შეცვლა რკინის საუკუნით. აცნობიერებდა რა საფრთხის მასშტაბებს, ბაბილონიისა და ასირიისა, მარდუკ -შაპიკ -ზერი და აშშურ-ბელ-კაპამ შეკრეს კავშირი, მაგრამ უკანასკნელი მეფეები ისინის II დინასტიისა პრაქტიკულად ვერ აკონტროლებდნენ ქვეყანას. პროგრესირებადმა კრიზისმა მიიყვანა ასირია, ჩარეულიყო ბაბილონის შინაურ საქმეებში... და უზურპატორებად მოგვევლინნენ 1069 წლის სიახლოვეს ქრისტემდე. და ხელისუფლებამ ადად- აპპა- იდინისა აღიარა საკუთარი თავი ასირიის ვასალად. მაგრამ დაახლოებით 1024 წელს ქრისტემდე მოხდა მმართველი დინასტიის ცვლილებადა ქალაქში (ბაბილონში) განმტკიცდა კასიტური დინასტია ზღვის ქვეყნიდან (Vბაბილონური დინასტია, დინასტია ზღვისპირელებისა) (56)

პირველი სამი -ოთხი ასწლეული I ათასწლეულისა ქრისტემდე ქვეყნის ისტორიაში წოდებულია ბაბილონის „შავ საუკუნეებად." ქვეყნის სახელმწიფო სისტემის დეგრადაციამ პიკს მიაღწია...მაგნატებმა საბოლოოდ მოაქციეს მეფე თავიანთი გავლენის ქვეშ.: ბაბილონი გადაიქცა თავისებურ რესპუბლიკად, სადაც რეალურად ხელისუფლებას ფლობდნენ ოლიგარქები.. სიტუაცია გაამძაფრა მომთაბარეების (უსამშობლო) ხალხის, არამეველების და ხალდების შემოსევამ, რომელმაც მიიღო სტიქიური უბედურების სახე. შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა უმართავი და დროებით დაკარგა დამოუკიდებლობა. (ბაბილონის ისტორია; ვიკიპედია)

სულ უფრო მძიმდება ბაბილონის პოლიტიკური მდგომარეობა... უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს მომთაბარეების (უსამშობლოთა) თავდასხმები...ერთ-ერთი რიგითი სამეფო გადატრიალების შემდეგ დამხმარეებად მოვიდნენ ასირიელები მეფე სალმანასარ II მეთაურობით მომმე ხალხის დასახმარებლად

„ბაბილონელები და ასირიელები საუბრობდნენ ერთსა და იმავე ენაზე, მისდევდნენ საერთო რელიგიას და იყვნენ ერთი და იმავე კულტურული ტრადიციების მატარებლები. ამ დროიდან ბაბილონი ფაქტიურად გახდა ვასალი თავისი ჩრდილო მეზობლისა. ცდა ბაბილონელი მეფეებისა, რომ შეეცვალეთ დამყარებული სინამდვილე , დაფუძნებული იყო კავშირზე ყოფილ მტრებთან - ხალდეებთან...VIII საუკუნის შუა წლებში ქრისტემდე ასირიაში დადგა დროებითი დაქვეითების ხანა, რამაც ჩამოაშორა მისი ყურადღება ბაბილონს. საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი ბაბილონი სულ უფრო იძირებოდა ანარქიაში: იმ დროის წყაროები გადმოგვცემენ უუნარობას ცენტრალური ხელისუფლებისა, ადგილობრივი ჩინოვნიკების დამოუკიდებლობას, მაროდიორობას, მიწების მიტაცებას და ღამის ხულიგნობას ქუჩებში. თავიანთი მიზნების მისაღწევად შიდაპოლიტიკურ ბრძოლებში, ოლიგარქები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ მომთაბარეთა შეიარაღებულ რაზმებს. როგორც შედეგი, როლი ამ ხალხებისა, (განსაკუთრებით ხალდეებისა) ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო იზრდებოდა. უკვე 60 წლებში VIII საუკუნისა ქრისტემდე, ბაბილონის ტახტი გაურკვეველი ვითარებაში დაიკავა ერიბა -მარდუკმა, ხალდეური ტომის ბიტ-იაკინის წარმომადგენელმა. ის შეცვალა ნაბუ-შუმა-იშკუნმა ტომიდან ბიტ-დაკკური. ხალდეური მმართველობის რიგი დაარღვია ნაბონასარის გამეფებამ, რომლის მხარდაჭერა განაცხადეს ასირიელებმა ტიგლატპალასარ III წინამძღოლობით, მაგრამ მისი შვილი ნაბუ - ნადინი ჩამოგდებული იქნა, იმეფა რა სულ ორი წელი. დამდგარი გაურკვევლობით ისარგებლეს ხალდებმა და 732 წელს ქრისტემდე, ბაბილონის ტახტი მიიტაცა ნაბუ -მუკინზარიმ, ტომის ბიტ- ამუკანუს ბელადმა. ხალდეების წინააღმდეგ ისევ გამოვიდა ტიგლატპალასარ III გაანადგურა რა მოწინააღმდეგე, ასირიელი მმართველმა გადადგა ისტორიული ნაბიჯი დამორჩილებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და 729 წელს ქრისტემდე აღზევდა ბაბილონის ტახტზე სახელით ფული (ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია)

ენები, რომლებზედაც ბაბილონი და ასირია ლაპარაკობენ, სინამდვილეში აქადებისაა, ბეროსისეული და ჰეროდოტესეული მარებისა, რომელთაც შუმერის ინკორპორაცია, ხოლო შემდგომ საბოლოოდ შერწყმა მოახერხა მასთან ქრისტემდე 2573 წელს...და ბეროსის ცნობები, რომელიც უკვე გვიანდელ, ქრისტემდე 1568 წელს შეეხება:

„ამის შემდეგ 8 არაბული მეფეები და 245 წელი. ამის შემდეგ ყვება სემირამიდას ბატონობაზე ასირიელებზე, შემდეგ ახსენებს ცალკეულ სახელებს 45 მეფისა და განსაზღვრავს კიდევ მათი მართველობის წლებს, როგორც 526 წელს. მათ შემდეგ ხალდების მეფე იყო ფული (ტიგლატპილას-

არ III) რომელიც ასევე ნახსენებია ებრაელების ისტორიაში და წოდებულია ფულად (ბეროსი; ბაბილონის ისტორია)

...სდექ!, აქ გავჩერდეთ!

…ვინაა ეს ხალხი, როდესაც ხალდების მეფე ფულს (ტიგლატფილასარ III) ახსენებს ბეროსი? ნუთუ ის იმ მომთაბარე ხალდების მეფეა , რომლებიც ბაბილონს უტევენ და ჟამიდან-ჟამზე ბაბილონის სუზერენობასაც გამოკრავენ ხელს? ზუსტად მათ დამარცხებაზე (და სავარაუდოდ განდევნაზე) საუბრობს ვიკიპედია!...და თავად ბაბილონელები ვინ არიან ამ შემთხვევაში? რა ერის და ეროვნების წარმომადგენლები? (ცნობილია იმავე ვიკიპედიის მიხედვით, რომ ბაბილონელები და ასირიელები ერთსა და იმავე აქადურ ენაზე ლაპარაკობენ, რელიგიაც ერთი აქვთ, ცხოვრების ნირიც და საერთოდ ერთიან კულტურულ ჯგუფს წარმოადგენენ)

წარღვნამდელ მეფეთა ნუსხა ბეროსთან:

1)ალორი- 10 სარი (წელი) ხალდეველი

2)ალაპარი-13 სარი (სავარაუდოდ ისიც ხალდეველია)

3)ამელონი-13 სარი, ქალაქ პაუტიბიბლადან (სავარაუდოდ კოლხი)

4)ამმენონი-12 სარი, ხალდეველი

5)ამეგალარი-18 სარი, ქალაქ პაუტიბიბლადან (სავარაუდოდ კოლხი)

6)დაონი-10 სარი, ქალაქ პაუტიბიბლადან (სავარაუდოდ კოლხი)

7)ევედორანხი-10 სარი, ხალდი ქალაქ ლარანხადან

8)ამეპსინი-10 სარი, ხალდი ქალაქ ლარანხადან

9)ოტიატი-8 სარი, ხალდი ქალაქ ლარანხადან

10) კსიუსუტრა-18 სარი, ოტიატის შვილი

სულ 10 მეფე, 120 სარი, ხოლო 120 სარი უნდა შეადგენდეს 43 მირიად წელს, თუ სარი ნიშნავს 3600 წელს- ამბობს პოლიგისტერი. (ბეროსი; ბაბილონური ისტორიები)

მკითხველს შევახსენებ, ეს ათი მეფე წარღვნამდელი მეფეებია, მცხოვრები ადრიატიკის ზღვის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში, დღევანდელ ვენეციაში… შესაბამისად, ისინი გახლავან ბეროსის მიერ დაფიქსირებული ხალდები, მცირე აზიაში გადასახლების შემდეგ მათ შუმერებს ეძახიან, მათი ერთი ნაწილის სახელი ჭანებია. ჭანივის პროვინცია ფიქსირდებიდა ბიზანტიასა და შემდგომ ტრაპიზონის იმპერიაში და მხოლოდ XIII - XIV საუკუნეში ხდება მათი სატომო სახელის (და ტერიტორიების) შერწყმა ლაზეთთან ... ეს მათი სახლიკაცები, მათივე სისხლი და ხორცი (მცირედი განსხვავებით- დამატებითი ენის ფლობით) არიან შუმერის და მისი ნაწილის, ბაბილონის ავტოხთონი მოსახლეობა... ისინი, და არა „ხალდებად“ წოდებული ამორეველები -ჰიქსოსთა სემიტური ნაწილი- ფრიგიელები,

რომელთა დაყოფა ფრიგიელებად და არამეველებად გაცილებით გვიანდელი საკითხია. (რასაკვირველია, ჰიქსოსთა სემიტურ ნაწილში სხვა ხალხებიც მოიაზრებიან: თრაკიელები, სინდები და...ებრაელებიც კი. საყურადღებოა, რომ თავად ბეროსი იმავე ამორეველებს (არა ჭანებს) ხალდებად ახსენებს...და რატომ ხალდებად? უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას, რომ ეს „ხალდები" ბაბილონში დომინირებენ ბეროსამდე დიდი ხნით ადრე 16-11 საუკუნე... სავარაუდოა, რომ ბეროსს ასეთი შეცდომა ფაქტის სიძველის გამო მოსდის...

გარდა ამისა, მიუხედავად ცალკეული ავტორების მტკიცებისა, ამორეველები ცნობილი ხალხი სრულიადაც არ წარმოადგენდნენ მეჯოგე და მომთაბარე ტომს, ისინი გაცილებით შორეულ წარსულშიც ერთ-ერთ უკულტურულეს ტომად არიან მოხსენიებული: როგორც კვლევის პროცესში გამოიკვეთა, ისინი ინდურ ეპოს „მახაბხარატას" წარჩინებული ტომი, პანჩალები არიან, არამეველები, არმენები-მათი სახლიკაცი სომაკები ამავე წიგნიდან... სომაკებს ქართველებთან შემდგომი ტერიტორიული სიახლოვის გამო, ქართულში მისთვის მახასიათებელი დაბოლოება ხი- უჩანთ შეძენილი ... მატსიები იმავე ინდური ეპოსიდან, მცირე აზიაში მატიენებად და სუბართუდ ცნობილი სამეფო, ასევე იაუდხეები, იზრაელის შვილები-ასევე ჰურებად ცნობილნი მცირე აზიაში ... გასაკვირი არ ინდა იყოს ბაბილონის ხსენებული ტომებით დასახლების შემდეგ მათი კულტურული მიღწევები, მათ შორის მსოფლიოში პირველი იურიდიული კანონების კრებული, ქვაზე ამოკვეთილი, „ხამურაბის კანონებად" ცნობილი სტელლას არსებობა...

და რაც უნდა საკვირველი არ უნდა იყოს, ზუსტად იგივე ხალხია ვიკიპედიის მიერ „ხალდებად" და არამეველებად ცნობილი ხალხი, რომლებიც თავის დროზე განდხარვების (განსაკუთრებით სვანური ტომის) ლაშქრის მიერ მცირე აზიიდან ევროპაში იქნენ განდევნილები, ხოლო ევროპიდან ეგვიპტის შურისმაძიებელი ფარაონის, ჰორემხების მიერ წამოსხმული დედა-ბუდიანად...წამოსხმული ეგვიპტეში, რათა მათ მონობის მთელი საშინლება განეცადათ ზუსტად იმავე დროის განმავლობაში, რა ხანგრძლივობითაც ისინი ჩაგრავდნენ ეგვიპტელებს...მხოლოდ X საუკუნის დამდეგს ჩანან ქრისტემდე ისინი განთავისუფლებულნი ეგვიპტელთა ტყვეობიდან (არამეველებს ეგვიპტელთა ტყვეობაში გაცილებით ნაკლები დრო აქვთ გატარებული; სავარაუდოა, რომ მათ მოახერხეს ეგვიპტის ხელმძღვანელობის დარწმუნება, რომ ეგვიპტის დაპყრობა - ჩაგვრაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ)

ქვემოთ მოყვანილია ცნობები ამ „ხალდებზე," რომლებიც ისტორიის ასპარეზზე (ზემოთ ნახსენები მიზეზების გამო) მხოლოდ ქრისტემდე XI სა-

უკუნეს დამდეგს გამოდიან ისტორიულ ასპარეზზე:
„ ხალდები-სემიტური ტომები, მცხოვრებნი სამხრეთ მესოპოტამოაში, სპარსეთის ყურის რაიონში X-V საუკუნეს ქრისტემდე იბრძოდნენ ბაბილონისათვის ასირიის წინააღმდეგ. 626 - 536 წლებში დაპყრობილი ჰქონდათ ბაბილონი და დააფუძნეს ახალბაბილონური სამეფო დინასტია. პირველად ისტორიაში ხალდები მოხსენიებული არიან ქრისტემდე 878 წელს, ასირიელი მეფის აშურნაზირპაპა II დროს. ისინი ცხოვრობდნენ სპარსეთის ყურის სანაპიროზე, ჭაობიან რაიონებში და ტიგროსის და ევფრატის ქვემო წელში. IX საუკუნეს ქრისტემდე მყარად დაიკავეს ბაბილონის სამხრეთი ნაწილი და თნდათანობით გადაადგილდებოდნენ ჩრდილოეთისაკენ. ამავე დროს შეითვისეს უძველესი აქადური (ბაბილონური) კულტურა და რელიგია.(57) ყველა ხალდეური ტომი ეწეოდა ნახევრად მომთაბარე ცხოვრებას და დაკავებულნი იყვნენ მეცხოველეობით, მეთევზეობით, მეფუტკრეობით და მიწათმოქნედებითაც კი. ისინი ცხოვრობდნენ თავიანთი ბელადების მმართველობის ქვეშ:
ბიტ- იაკინი (ელამის მოსაზღვრე)
ბ იტ - დაკური (უდიდესი ტომი)
ბიტ- ამუკანი
ბიტ- ადინი
ბიტ- შილინი
ბიტ- შაული
ეს მომთაბარე ტომები ცდილობდნენ დაუფლებოდნენ სამხრეთ ბაბილონს, რომელსაც კასიტები ეძახდნენ კარდუნიაშს. (კარდუს ქვეყანა, ე. ი. ხალდები) (58) ასირიელმა მეფემ, სალმანასარ III, 851 წელს ქრისტემდე იძულებული გახადა ბელადი ბიტ-დაკური, ბიტ-ამუკანი და ბიტ-იაკინი, გადაეხადათ ხარკი.. .აწარმოებდნენ მათთან ომებს ასირიის მეფეები შამშიადად V და ადად -ნირარი III, 803-796-783 წელი ქრისტემდე, და აიძულეს ყველა კნიაზი ზღვისპირეთისა (სპარსეთის ყურე) გადაეხადათ ხარკი.

744 წელს ასირიელი მეფე ტიგლატფილასარ III (745-727 ქრისტემდე, შეიჭრა ბაბილონში, დაამარცხა ხალდეური ტომები, სიპარიდან სპარსეთის ყურის ჭაობამდე, მიიღო რა ტიტული „მეფე შუმერისა და აქადისა“ ბაბილონმა აღიარა ასირიის უზენაესობა. ქურუმთა კასტა, ჩინოვნიკები და ვაჭრები ბაბილონიის ქალაქებისა, თანდათანობით გადაიქცნენ ასირიის სამეფოს დასაყრდენებად. დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა თანდათანობით გადავიდა ხალდებზე და ქალაქელთა დაბალ ფენებზე. 732 წელს ქრისტემდე, ბაბილონის დინასტიის წყვეტა გახდა სიგნალი ბრძოლისა ასირიის, ელამისა და ხალდებს შორის ბაბილონის მემკვიდრეობაზე... კნიაზი ბიტ - ამუკან უკინ - იცირმა დაიპყრო ბაბილონი და მეფობდა იქ სამი

წელიწადი, მანამ სანამ ასირიელთა მეფე ტიგლატფილასარ III დაკავებული იყო არამეების დედაქალაქის, დამასკოს ალყით. დაამთავრა რა ამ უკანასკნელებთან ომი, ასირიელთა მეფე გაემართა ხალდების წინააღმდეგ ნაბუშაბის ახლოს, ბიტ -შილანი აწამეს ქალაქის, სარაბინუს კედლებთან, ზაკირუ ბიტ-შილინი წაყვანილ იქნა ტყვედ თავისი ხელქვეითების თანხლებით. და ბოლოს უკინ -ცირი ხანგრძლივი ალყის შემდეგ იძულებული გახდა დაეთმო თავისი ციხე-სიმაგრე სალვიუ. მაშინ ბალისუ -ბიტ -დაკურელმა და მარდუკ ალლა-იდინი ბიტ-იაკინელმა გადაიხადეს ხარკი. ტიგლატფილასარ III დაიდგა ბაბილონის სამეფო გვირგვინი და გახდა ბაბილონის მეფე, სახელით ფულუ. იგივე გააკეთა მისმა მემკვიდრემ სალმანასარ V, რომელმაც მიიღო სახელი ულულაი. შემდეგ დადგა ასირიის სიძლიერის დაკნინების ეპოქა და ხალდები VIII საუკუნის ბოლოს ქრისტემდე გამოჩნდნენ უძველეს ქალაქ ურში. ამ ქალაქიდან წარმოიშვა ბიბლიური წარმოთქმა „ხალდეის ური“) ნიპურში, კიშში, კუფასა და სიპარში. წარმოიშვა ტენდენცია მათი გაერთიანებისა, ბინ-იაკინი მმართველობისას უკვე ატარებს ხალდების მეფის ტიტულს. ულ-ულაის სიკვდილის შემდეგ, ასირიელთა თვითმყრობელობის წინააღმდეგ გამოდის ხალდეის მეფე მარდუკ ალლა -იდინ II, დაიპყრო ბაბილონი და მართავდა მას 12 წელი (721-710 წლებში ქრისტემდე) ეყრდნობოდა რა ელამის მეფეს, ხუმბანიგაშს და სარგებლობდა ასირიის მეფის, სარგონ II მძიმე მდგომარეობით, სირიასა და არმენიაში (59) ის ცდილობდა ჩამოეყალიბებინა ასირიის წინააღმდეგ კოალიცია და ამ მიზნით უგზავნიდა შიკრიკებს თვით იუდეას მეფე ეზეკიას. მაგრამ ბაბილონელები უკმაყოფილონი იყვნენ თავად კნიაზის რეჟიმით, რომლის ანტისირიული პოლიტიკა მოითხოვდა ტოტალურ დაძაბვას ბაბილონიის მთელი ძალებისა და მძიმე ტვირთად აწვებოდა მის მაცხოვრებლებს. ამიტომ სარგონ II მარდუკ ალლა -იდინის დამარცხების შემდეგ (710 წელი ქრისტემდე) ბაბილონელები შეხვდნენ როგორც განმანთავისუფლებელს. მარდუკ-ალლა იდინი გაიქცა ელამში, მაგრამ სარგონ II სიკვდილის შემდეგ 710 წელს ქრისტემდე, ისევ დაიპყრო ბაბილონის ტახტი. ამ შემთხვევაში მეფობდა სულ 9 თვე და სასტიკად იქნა დამარცხებული ასირიელების მიერ ქალაქ კიშში. მარდუკმა ისევ გაქცევით უშველა თავს. ხალდები განდევნილ იქნენ შუა მესოპოტამიიდან . ახალი ცდა მარდუკ-ალლა -იდინისა დაეპყრო ბაბილონი 700 წელი ქრისტემდე, წარმატებული არ გამოდგა. მარდუკ-ალლა-იდ-ინი დამარცხებულ იქნა და გაიქცა თავისი მომხრეებით ზღვისპირეთისაკენ (ძველ შუმერში) იქიდან კი ელამში. ცდილობდა რა ეძია შური მარდუკ-ალლა იდინზე, ასირიელთა მეფე სენაქერიბმა სპეციალურად ამ მიზნისათვის ააგო ფლოტი სპარსეთის ყურეში, გადალახა ის თავისი ჯარით, დაარბია ელამის სანაპირო, სა-

დაც ხალდეის კნიაზს ჰქონდა მცირე სამფლობელო, მაგრამ ასირიელების მიერ ამ ექსპდიციის დროს აყვანილ ტყვეებს შორის მარდუკ-ალლა-იდინი არ აღმოჩნდა. სავარაუდოდ, ასირიელთა ელამში გამოჩენიდან რამდენიმე თვით ადრე, ის გარდაიცვალა ...

ამ დროისათვის ხალდმა მაშარიბ მარდუკმა დაიპყრო ბაბილონი და შევიდა ვასალურ მფარველობაში ელამთან, იყიდა რა მისი მფარველობა ტაძრის განძით (692 - 689 წელი ქრისტემდე) მოკავშირეები შეხვდნენ სენა-ქერიბის არმიას ხალუტაში ტიგროსზე 691 წელს. სისხლისმღვრელმა ბრძოლამ ვერ მოუტანა გამარჯვება ვერცერთ მხარეს, მაგრამ ელამის მეფის ხუმპანიმენის საქმე სხვაგვარად შეატრიალა მოულოდნელმა სიკვდილმა. ბაბილონი აღებულ იქნა და დანგრეული. მალე ასარქადონს საქმე ჰქონდა შვილთან, მეროდახ ბადრადინ -ნაბზირე-კინიშ-ლიშერთან, რომელიც ავიწროებდა ასირიელ ნაცვალს ურში. გაძევებული ელამში, ის მოკლულ იქნა. მისი ძმა ნაიდ - მარდუკი ნებით დამორჩილდა და აღიარებულ იქნა ვასალად ბიტ-იაკინში. 677 წელს ქრისტემდე აჯანყდა კნიაზი ბიტ დაკურელი შამაშ-იბნი, მაგრამ ტყვედ ჩავარდა და შეცვლილ იქნა ერთგული ნაბუ-შალომით. შამშუ მუტაკანის აჯანყებისას ასურბანაპალის წინააღმდეგ, ხალდებმა მხარი დაუჭირეს პირველს და დიდხანს უწევდნენ წინააღმდეგობას მისი დაცემის შემდეგაც... საბოლოოდ დამარცხების შემდეგ მათმა კნიაზმა, მარდუკ ბალადინის შვილიშვილი, ნაბუ -ბელ-შუ-მუ გაიქცა ელამში, მაგრამ უნდოდა რა აეცილებინა გაცემა ასირიელებზე, თავი მოიკლა. აშურბანაპალმა მისივე გამოთქმით, გაჭყლიტა ხალდეა და დაადო აშურის უღელი. 648 წელს ქრისტემდე ყველა ხალდეური საკნიაზო ლიკვიდირებულ იყო. ხალდეაში შემოღებული იყო ასირიული პროვინციული მმართველობა, რომლის სათავეში იდგა ტურტან-ბენ-იბ-ნი...ეთნონიმი ხალდი თავად ბაბილონშიც გამოვიდა ხმარებიდან. ეთნიკური ბარიერი ხალდებსა და ბაბილონელებს შორის მოშლილ იქნა, ბაბილონიზირებული ხალდები შეადგენდნენ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას, ამიტომაც <u>მეზობელი ხალხები უწოდებდნენ მათ ხალდებს.</u> 626 წელს ქრისტემდე ბაბილონში მეფობდა ნაბოფალასარი, დამფუძნებელი ახალხალდეური ბაბილონური დინასტიისა. ნაბოფალასარმა დაიპყრო ურუქი (618 წელი ქრისტემდე) შემდეგ მიდიელთა დახმარებით დაიპყრო ასირიის ძველი დედაქალაქი აშური (614 წელი ქრისტემდე) 612 წელს ნაბოფალასარმა, გაერთიანებულმა მიდიელებთან და სკვითების ლაშქარის დახმარებით დაიპყრო ასირიის დედაქალაქი ნინევია. ამ ფაქტის შედეგად ასირიის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. (ვიკიპედია; ხალდების ხალხი)

ეს ტევადი სტატია ვიკიპედიიდან თითქმის მთლიანად მოყვანილი იქნა იმ მიზნით, რომ ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს ხალდების და

ცრუ „ხალდების“ თემა შუამდინარეთის ისტორიაში. როგორც წინამდებარე კვლევიდან , ცალკეული ელინი ლოგოგრაფების თუ რომაელი ისტორიკოსების ნაწარმოებებიდან ირკვევა, წარღვნა მოხდა დედამიწაზე ერთადერთ ადგილას: ადრიატიკაზე, დღევანდელი ვენეციის ადგილას...ასევე ირკვევა ბაბილონელი ბეროსის ცნობების მიხედვით, რომ წარღვნამდელი ხალხი-ეს ხალდებია (თითქმის ამავე დროს მოხსენიებული ეგვიპტეში „ჩენებად“ და შედარებით გვიანდელი ქართველური ტომები-ჭანები და მათივე სახლიკაცები-კოლხები, შუმერულ „ფრთასთან„ ერთად...შესაბამისად, შუმერს და ბაბილონს ერთმნიშვნელოვნად ასახლებენ ეოლიელები, ამომავალი ქვეყნის ხალხი, შუმერები, იგივე ხალდები- ჭანები...ამასთან, ირკვევა რომ კასიტების ტომი შუმერს - ბაბილონს მართავს არა ბეროსისეული 245 წელი არამედ მთელი IX საუკუნე მაინც... შესაბამისად, კასიტური ტომი ბაბილონს მართავს მინიმუმ 1568-800 =768 წლის განმავლობაში... „სხვა“ ხალდეველი მეფეებიდან, რომლებიც ბეროსის მიხედვით მეფობენ 526 წელი, ეს ფაქტიურად იმავე კასიტების მმართველობაა...

და რატომ ეწოდებათ ხალდები იმ საკმაოდ დაქვეითებული კულტურის მატარებელ ხალხებს ხალდები? ხალდებად იცნობს მათ ისტორია, მათ შორის ქრისტემდელი, განსაკუთრებით ასირიული...პასუხი ამავე ხალხის წარსულ ისტორიაშია საძიებელი. რამდენადაც ისტორიიდან ცნობილია, ბაბილონის სამეფოზე ამორეველების კონტროლი ქრისტემდე 1794 წელს იქნა დამყარებული...და რატომ ნათლავს ბეროსი ამორეველებს ხალდებად? როგორც ჩანს, ბაბილონის მმართველობის თითქმის რამდენიმე საუკუნოვანი ეპოქა თავის დაღს სვამს ამორეველ დამპყრობელზე... თვით ამორეველი ხამურაბი თავის ცნობილ კანონთა ტექსტს აქადურ ენაზე წერს, აქადების-ჰურიტების ენაზე...ბაბილონ-ასირიაში იგივე აქადური ენა პრივალირებს...ამდენად თვით ნამდვილი ხალდი ბეროსისათვისაც შორეულ საუკუნის დამპყრობლები აღქმული არის უკვე როგორც ხალდები, იმდენად ჩანან ისინი ადგილობრივ ხალდეურ კულტურაში ასიმილირებულნი, თუმცა ენის აშკარა ცვლილებით ... მაგრამ მათ ასიმილაციას როგორც ჩანს ბოლო მოუღო კასიტების სამეფომ, რომელმაც ეს უკანასკნელნი საერთოდ განდევნა მცირე აზიიდან...ამორეველების ნაწილი ევროპაში გადასახლდნენ, უკვე ფრიგიელთა სახელით (ასევე მატიენები, დასავლეთის სკვითებს გაყოლილნი, მეოტების სახელით ასახლებენ დღევანდელი აზოვის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს) .. აქვე, მაკედონიის სამეფოს ტერიტორიაზე ახსენებს მათ ნასახლარს უდიდესი ანტიკური ისტორიკოსი ჰეროდოტე...და ზუსტად ისინი ჩამოასხა ეგვიპტის ფარაონმა ჰორემხებმა ქრისტემდე XIV საუკუნის ბოლოს იმ მიზნით და მოსაზრებით, რომ დაეჩაგრა რამდენიმე ასწლეული ისე, როგორც ისინი ჩაგრავდნენ ეგვიპტეს წარსულში...და როგორც

ჩანს დროის ის შუალედი, რომელმაც გაიარა ამორეველების მცირე აზიიდან გარეკვასა და მათივე ტყვეების სახით დაბრუნებამდე (მთელი ჯალაბით) არ გამოდგა იმდენად დიდი დრო, რომ მათი „ხალდყოფილობა“ აღმოფხვრილიყო მათსავ ე თუ დამხდურთა მეხსიერებიდან...აი რატომაა ისინი „ ხალდები“, თუმცა:

„ტრაპიზუნდს ზემოთ განლაგებული არიან ტიბარანები, ხალდები, სანები- რომლებსაც ადრე მაკრონებს ეძახდნენ, მცირე სომხეთი, აპპეტი-ადრე წოდებულნი კერკეტებად, ცხოვრობენ სადღაც ახლოს ამ ადგილებში... თანამედროვე ხალდები ძველად იწოდებოდნენ ხალიბებად“ (სტრაბონი, წიგნი XII, III-18-19)

როგორც ირკვევა, სტრაბონი ხანდაზმული ცნობებით სარგებლობს. მისი დროისათვის ტრაპეზუნდს ზემოთ არც აპპეტები-კერკეტები და არც სანები-მაკრონები არ ცხოვრობენ (60)…არც ხალდები იწოდებოდნენ ოდესმე ხალიბებად, ხალდი-დასავლეთ ქართველური ტომია, სანი-ჭანი, ხოლო ხალიბი-აღმოსავლეთ ქართველური, პუნები-კენები...მცირე სომხეთად წოდებული მელიტენა სინამდვილეში იბერებია და ეს მათ X საუკუნის შემდეგაც ახსოვთ...(ამ თემაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ...)

„ბაბილონში გამოყოფილია განსაკუთრებული დასახლება, ეგრეთ წოდებული ხალდები, რომლებიც დაკავებულნი არიან ძირითადად ასტრონომიით ... არსებობს რომელიღაც ტომი ხალდებისა ბაბილონის ოლქში, სადაც ისინი ცხოვრობენ არაბების მახლობლად ეგრეთ წოდებულ სპარსეთის ყურესთან. არსებობს რამდენიმე გვარი ხალდების - ასტრონომებისა: ერთნი იწოდებიან ორხენებად, მეორენი ბორისპენებად ... სელევკი სელევკიიდან (სელევკ ნიკატორი) ისიც ხალდია... ბაბილონის ქვეყანას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სუსელები, ელმელები და პარეტეკანები, სამხრეთიდან სპარსეთის ყურე და ხალდები <u>მესენელ არაბებამდე, ჩრდილოეთით არაბი- სკენიტები...</u>ადიაბენამდე და გორდიენამდე ჩრდილოეთით -არმენები და მიდიელები მდინარე ზაგროსამდე“(სტრაბონი , წიგნი XVI; I, 6-7)

ის რომ სტრაბონისეული ეს ხალდები ძირითადად დაკავებულნი არიან ასტრონომიით, პირდაპირ მიანიშნებს, რომ ისინი ნამდვილი, ჭეშმარიტი ხალდები არიან და არა მათ სახელმთვისებული „ცრუ ხალდები“ - ქურთები... მაშინ სად და ვისი სახელით არის საძიებელი ქურთები? ქრისტემდე 539 წელს ბაბილონის სამეფოს აღებით ბაბილონელთა ამ დინასტიის მეფობა ერთხელ და სამუდამოდ წყდება. ქურთები, რომელთა სამთავროს საკუთარი სახელი კარდუნიაში იყო, ხოლო ტომის სახელი კარდუხი (ქართული-ხი-დაბოლოებით, რაც ქართველთა გვერდით დიდი ხნით ცხოვრების შედეგი ჩანს უთუოდ) ხოლო სახელი მათი ოლქისა იმავე სტრაბონის ნახსენები გორდიენაა..აი ამიტომაც სტრაბონის ნახსენები ხალდები და

მათი ტომი მხოლოდ ნამდვილი ხალდებია, გორდიენა- „ცრუ ხალდებისა“ ქურთებისა (60) ასევე ასირიელებთან (უკვე ასირიელებთან) მაგებად და წინასწარმეტყველებად ასახელებს ხალდებს (იქვე, II-39) რაც კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინიშნებაა, რომ ესენი ნამდვილი ხალდები არიან. ასევე სტრაბონი ცოდნის მიხედვით ერთმანეთს ადარებს ეგვიპტელ და ხალდეველ ქურუმებს და ცოდნი ს მხრივ მათ თანატოლად თვლის (იქვე XVII; I-29)

... ურარტუ...

...და მაინც რამ გამოიწვია ბაბილონის სამეფოს დაქვეითება იმ დონემდეც კი, რომ ის ვერ ახერხებს თავდაცვითი ომების წარმოებას ამ „მოახალშენე ხალდებისაგან“ რომლებიც არცთუ ისე დიდი ხნის განთავისუფლებულნი ჩანან ეგვიპტელთა მონობისაგან და შესაბამისად ვერც სამხედრო ძლიერებით დაიკვეხნიან? ბაბილონის სამეფოს დაქვეითების მიზეზის დასადგენად ისევ წარსულს უნდა მივმართოთ: ბეროსის სიტყვებით, ბაბილონს ამ წლებში მართავენ არაბი მეფეები და მათ შემდეგ კიდევ „სხვა“ მეფეები მთელი 526 წელი...კიდევ ვიმეორებთ, რომ ამ თავის კვლევის მიზანი თავად ხალდებია და არა მათი დამპყრობელი „არაბების“ და მათი მომდევნო სავარაუდო მეფეების ვინაობა (ამ საკითხს ჩვენ სხვა თავში შევეხებით)

“ ურარტუ - ასირიული სახელწოდება სახელმწიფოსი, რომელიც იხსენიება IX საუკუნიდან ორისტემდე, ასირიულ და ბაბილონურ წარწერებში. არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება ნიშნავს „მაღალ ქვეყანას“ X საუკუნის ასირიაში აგრეთვე გვხვდება ვარიანტი ურატრი.

ბიაიანი- ადგილობრივი სახელწოდება გაურკვეველი ეტიმოლოგიით. სიტყვა ბიაიანი ითვლება როგორც თვითწოდება ურარტუსი. ასევე შინაგანი ოლქებისა ამ ქვეყანაში, სადადაც პირველად მოხდა კონსოლიდაცია ურარტთა ტომებისა, მათ პირველ დედაქალაქ არზაშკუნთან.

ვანის სამეფო-გამოყენებულია თანამედროვე მეცნიერების მიერ.

ნაირის ქვეყანა-ურარტუს მიწაზე მცხოვრები ტომთა დასახელება. ეს სახელწოდება გვხვდება X-XI საუკუნეს ქრისტემდე, ამასთან ვანის ტბის ასირიულ ტექსტებში შენარჩუნებული აქვს თავისი ძველი სახელწოდება: ნაირის ქვეყნის ზღვა. არარატი - მთათა სისტემა, რომელსაც რიგი მკვლევარები ურარტუს უკავშირებენ.

ალაროდების ქვეყანა - ჰეროდოტე ახსენებს ურარტუელებს ალაროდებად.

ხალდეა- ზოგიერთი ისტორიკოსი XIX საუკუნის ბოლოს უკავშირებენ ანტიკურ ისტორიაში ნახსენებ ხალდების ქვეყანასთან, ურარტთა ღმერთთან ხალდთან ფონეტიკური მსგავსების გამო.

არატა-უძველესი მთიანი ქვეყანა, რომელიც მოხსენიებულია ჯერ კიდევ III ათასწლეულში შუმერულ ტექსტებში (...და ინდურ ეპოს მახაბხარატა-ში...)

ურარტუ-როგორც ტომთა კავშირი დოკუმენტალურად მტკიცდება (მოხსენიებულია) ასირიულ წყაროებში XIII საუკუნეს ქრისტემდე, როგორც სახელმწიფო VIII საუკუნიდან, ქრისტემდე. VI საუკუნეს ქრისტემდე ურარტუს სამეფო განადგურებულ იქნა მიდიის მიერ" (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

რასაკვირველია ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ვერსიას ალაროდების და ურარტების იდენტურობის შესაახებ არავითარი საფუძველი არ გააჩნია:

„მატიენებს, სასპერებს და ალაროდებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი, ესაა მეთვრტამეტე სატრაპია" (ჰეროდოტე, ისტორია, III-94) და

„ალაროდიელები და სასპერები კოლხების მსგავსად შეიარაღებულნი ლაშქრობდნენ, მათ განაგებდა მასისტიოსი, სირომიტრესის ძე" (იქვე VII-79)

სულ ეს ცნობები არის მოცემული ჰეროდოტესთან ალაროდების შესახებ, რაც მათ ურარტუს ტომებისადმი კუთვნილების არავითარ საფუძველს არ იძლევა, თუმცა სასპერების ქართველურობა საეჭვოც კი არ უნდა იყოს. ხოლო ჰეროდოტეს მიერ ნახსენები მატიენები გვიანდელი კომაგენა უნდა იყოს, სტრაბონის მიერ ნახსენები, ალაროდები აქვე მისივე ნახსენები მცირერიცხოვანი აპპეტები, იგივე კერკეტები უნდა იყოს (61)

რაც შეეხება არატას-ისიც უნდა გამოირიცხოს, როგორც ურარტუელები: ისინი გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ III ათასწლეულში ქრისტემდე იხსენიება შუმერულ წყაროებში, ხოლო ინდურ ეპოს „მახაბხარატაში" უფრო ადრეც -IV ათასსსწლეულს ქრისტემდე.

უნდა აღინიშნოს, რომ ასირიულ წყაროებში XIII საუკუნეს ქრისტემდე მოხსენიებული ტომი სახელით ურატრი, რომელიც სავარაუდოდ არტების ტომის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ნაირის ტერიტორიაზე განსახლებულისა...ამასთან ანგარისგასაწევია ის გარემოება, რომ ურარტუს (ზოგიერთი წყაროების ხალდეის) აღზევება ხდება ბაბილონის დეგრადაციის პროპორციულად, ბაბილონის სამეფო დაკნინებას იწყებს ზუსტად ქრისტემდე IX-VIII საუკუნეში, ამავე დროს იწყებს აღზევებას ურარტუს სამეფო.

სავარაუდოა, რომ ცრუ „ხალდების" ქურთების შესახებ ცნობები ვიკიპედიას სავარაუდოდ ასირიული წყაროებიდან აქვს ამოკრეფილი. საინტერესოა, რომ ანტიკურ (ცნობილ) წყაროებში ქალდები და ხალდები მხოლოდ ნამდვილი ხალდების აღმნიშვნელად ითვლება და არა „ცრუ" ხალდებისა, ქურთებისა! უძველეს ისტორიკოსთან, ჰეროდოტესთან ისინი ფრიგიელები, გორდიეს მიდასის ძის ხალხად და შესაბამისად გორდიელებად

არიან მოხსენიებული, საწინააღმდეგოდ ნამდვილი ხალდებისა, რომელთაც ის ბაბილიონელ ქურუმთა წოდებად თვლის:

„როგორც ამბობენ ხალდეები, ამ ღმერთის ქურუმები (ჰეროდოტე I-181)... როგორც ხალდეები ამბობენ, ყოველივე ეს 800 ოქროს ტალანტისაგან არის გაკეთებული ...ამასთანავე ხალდეები ყოველწლიურად წვავენ 1000 ტალანტის საკმეველს ... რაც უთქვამს ხალდეებს, იმას ვამბობ“ (იქვე I-183) ... ...ამათ ელინები სირიელებს უწოდებენ, ხოლო ბარბაროსები ასირიელებს. ამათ შორის იყვნენ ხალდეები, განაგენდა მათ ოტასპესი არტაქაიესის ძ ე (იქვეVII-63)

უნდა აღინიშნოს, რო მ ქრთული წარმოთქმის ხალდეები და ქალდეები ბერძნული ტრანსკრიფციით ზუსტად ერთნაირად იწერება, ქართული ხ-ს იდენტური ასოთი...ზემოთ მოყვანილ ციტატებში პირველ სამ შემთხვევაში აშკარად ხალდეველ ქურუმებსა და ვარსკვლავთმრიცხველებზეა საუბარი, მაგთა კასტაზე, თუმცა მეოთხე შემთხვევაში საქმე უკვე ხალდ ტომთან გვაქვს, მეომრებთან და არა ქურუმებთან, სპარსელებთან ერთად მოლაშქრეებთან. ეს მაგალითი კი აშკარად აჩვენებს, რომ ხალდეები მარტო ქურუმები და ვარსკვლავთმრიცხველები არ არიან...მაგრამ, შესაძლოა ჰეროდოტე იმ ცრუ „ხალდებზე, ფრიგიელებზე (ქურთ - სომხებზე) საუბრობს, რომლებიც ზუსტად ასირიელების გვერდი-გვერდ ლაშქრობენ?

„ფრიგიელებს პაფლაგონელების (ყოფილი კიმერიელები, სინდები, იგივე სირიელები) **მსგავსი მოწყობილობა ჰქონდათ, ცოტათი განსხვავებული. ფრიგიელებს, როგორც მაკედონელები ამბობენ, ეწოდებოდათ ბრიგები, მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ ევროპელები იყვნენ და მაკედონელების მეზობლად ცხოვრობდნენ.(62) ხოლო აზიაში რომ გადადიოდნენ, მიწა-წყალთან ერთად სახელიც გამოიცვალეს, ფრიგიელები დაირქვეს. <u>არმენიელები, რომელიც ფრიგიელებისაგან მომდინარეობენ, ფრიგიელების მსგავსად იყვნენ მოწყობილი.</u> ამათ ორივერ მართავდა არტიქმესი, რომელსაც დარიოსის ასული ჰყავდა ცოლად“ (იქვე, VII-73)**

ცხადია, ზემოთ მოყვანილ ციტატაში ჰეოდოტე აშკარად ნამდვილ ხალდებს გულისხმობს, ხოლო ფრიგიელები ზუსტად ის ცრუ „ხალდები“ არიან, რომლებიც არმენიელებთან ერთად ცოლ-შვილით ტყვედ წამოასხა ეგვიპტის ფარაონმა ჰორემხებმა ქრისტემდე XIV საუკუნის დასასრულს...

ზუსტად ასეთივე აზრისა ჩანს მეორე ანტიკური ისტორიკოსი, კტესია კნიდოსელიც:

“ასირიის სამეფოს დაცემა უფრო ღრმაა, ვიდრე აფინეი აშუქებს. მიდიელი არბაკს, გაგზავნილი ნინევიაში, <u>ხალდთა ბელადი ველეზერი თავისი წინასწარმეტყველური ხელოვნებით</u>, ჩააგონებს ასირიის იმპერიის განადგურებას. არბაკმა, რომელმასც საკუთარი თვალებით დაინახა ასირიელთა მეფ-

ის ფუფუნება და სიაზიზე, გაცილებით ადვილად წავიდა ხალდეველთან კონტაქტზე. ერთად მათ მოაწყვეს შეთქმულება, რომლის მსვლელობისას არბაკმა მოახერხა განდგომისაკენ მიეხარა მიდიელები და სპარსელები. ბელეზერმა შეძლო ბაბილონელებისა და არაბი მეფეების გადაბირება. რამდენიმე წლის შემდეგ ისინი გამოცხადდენ 40 ათასიანი ჯარით ნინევიაში იმ საბაბით რომ წესისა და რიგის მიხედვით შეეცვალათ (მორიგე) ჯარი, სინამდვილეში კი ასირიელთათვის სამეფოს წასართმევად. სარდანაპალმა (ასირიის მეფემ) შეიტყო რა მომხდარი, გამოიყვანა მოჯანყეთა წინააღმდეგ არმია და სამ შეტაკებაში გაიმარჯვა. სასოწარკვეთილმა მოჯანყეებმა გადაწყვიტეს სახლში დაბრუნება. ველეზერმა (ხალდმა) შეისწავლა ვარსკვლავები და იწინასწარმეტყველა, რომ იქნება დიადი გარდატეხა საქმეში, თუ კიდევ ხუთ დღეს მოიცდიან. როცა ყველა ისევ შეიყარა გამოცხადებული დროის გასვლის მოლოდინში, მოულოდნელად მოვიდა ცნობა, რომ მეფის დასახმარებლად მოდის ვეებერთელა ჯარი ბაქტრიიდან. გაემართა რა მათ შესახვედრად, არბაკმა შეძლო მათი დარწმუნება, რომ შეერთებოდნენ მას“ (კტესია კნიდელი, პერსიკა-ასირიიკა) (63)

აქაც, კტესიასთან, მეორე არქაულ მემატიანესთანაც, ისევე როგორც ჰეროდოტესთან, ხალდეველები ჭეშმარიტი ხალდები, ვარსკვლავთმრიცხველთა და მაგთა მოდგმა ჩანს: მიუხედავად იმისა, რომ ველეზერი-ეს ხალდთა ცალკეული რაზმის სამხედრო მეთაური ჩანს, ის ბრწყინვალედ ერკვევა მისი წინაპრების ხელობაში- ვარსკვლავთმრიცხველობაში. ჩანს გორდიელები- ქურთები მხოლოდ ასირიელთათვის და ბაბილონელებისათვის არიან „ხალდები“ უფრო სწორედ, ხალდყოფილები, რომელთაც სამეფოში დომინანტის როლში არა ერთი საუკუნე გაატარეს, სანამ ბეროსის ცნობით „არაბმა მეფეებმა“ ისინი ა რ გააძევეს, თანაც როგორც ჩანს არა მარტო ბაბილონიდან, არამედ მთელი მცირე აზიიდან. ისინი საცხოვრებლად არამეველებთან ერთად ევროპაში გადაბარგდნენ, საიდანაც საუკუნეების შემდეგ დედაბუდიანად წამოასხა ეგვიპტის შურისმაძიებელმა ფარაონმა ჰორემხებმა.

ის ლაფსუსები მიდიელთა აზიაში ზეობის წლების შესახებ, რომელიც აბსოლუტურად არ ემთხვევა კტესიას უფროსი თანამემამულის, ჰეროდოტეს ვერსიას, ისტორიული გაუგებრობის და კტესიას შემდგომი გადამწერების შეცდომების ნაყოფი ჩანს (64) ამავე ვერსიას ანვითარებს მიდიელების შესახებ სხავა ანტიკური მწერალი, პომპეი ტროგიც. მისი აზრით, მიდიელი არბაკიდან (რომელმაც საბოლოოდ დაამარცხა ასირიელები და მათი მეფე სარდანაპალი) ასტიაგესამდე, მიდიის უკანასკნელ მეფემდე რიგი თაობებისა და მეფეებისა იყო. სინამდვილეში, ასირიელების დამამარცხებელი მიდიის მეფე კიაქსარესი იყო, ხოლო უკანასკნელი მეფე მიდიი-

სა-მისივე შვილი ასტიაგესი... როგორც ჩანს, კტესიასეული ეს ვერსია უძველესია, არ ა უადრეს I საუკუნე ქრისტემდე, როდესაც კტესიასეული ვერსია ანალოგიურად ხმიანდება პომპეი ტროგის პირით.

აბსოლუტურად იმავე აზრის ჩანს სხვა ანტიკური ისტორიკოსი სტრაბონიც (იხ. ზემოთ მოყვანილი ციტატები) ცხადია, ფრიგიელები (ქურთები და სომხები) მხოლოდ ასირიისათვის არიან ხალდები, რომელთა გენეტიკური მეხსიერებას ახსოვს, რომ ათეული (და მეტი საუკუნის) წინ ეს ხალხი წამყვან როლს ასრულებდა ხალდთა სამეფოში, თუმცა ისინი ხალდები არ ყოფილან, არამედ ინდოეთიდან მიგრირებული ტომები, ხალდების დამპყრობლები. რასაკვირველია, ბაბილონელები შუმერის დიდი სამეფოს ნაწილი ჩანს... ის ნაწილი, რომელმაც შუმერის სხვა პოლისების დაქვეითების კვალდაკვალ აღზევდა... ბაბილონის პირველობა შუმერულ პოლისებს (ქალაქი-სამეფო) შორის გრძელდებოდა სხვადასხვა ინტენსივობით და წარმატებებით მანამ, სანამ მათი დაპყრობა არ მოხდა ფრიგიელი ეგრეთ წოდებული „ხალდების“ მიერ... ბაბილონის დაქვეითება , როგორც ჩანს ხდება იმ მოვლენების ფონზე, როდესაც ჭეშმარიტმა ხალდმა ტომმა გადაწყვიტა საკუთარი, არა უცხო ტომელების დომონანტობით სამეფოს დაფუძნება მისივე მონათესავე აღმოსავლურ ქართულ ტომებთან ერთად. ეს სამეფო ურარტუ ჩანს, ბაბილონიდან ჩრდილოეთით, უკვე არსებული ქართული ტომების გაერთიანების ბაზაზე.. .(როგორც ჩანს ხალდები, რომლებიც თავიანთ პირველ და ძირითად ენას-შუმერულს ნაწილობრივი თუ ინარჩუნებენ, კიდევ რამდენიმე ახალ საკუთარ პოლიტიკურ წარმონაქნს აარსებენ მცირე აზიაში თუ მის გარეთ...ეს საკითხი განხილული იქნება ამავე წიგნის ფორმატში)

მაშასადამე ურარტუ...ხალდების და მონათესავე ქართველური ტომების სამეფო! და რა ცნობები არსებობს იმავე ვიკიპედიაში ამ სახელმწიფოს შესახებ?

„ურარტუ- (ბიეინილი, ვანის სამეფო) - ძველი სახელმწიფო აზიის სამხრეთ- დასავლეთით, განლაგებული ეგრეთ წოდებულ არმენიის მთისწინეთში (თანამედროვე არმენია, აღმოსავლეთი თურქეთი, ჩრდილო-დასდავლეთი ირანი და აზერბაიჯანის ოლქი- ნახჩევანი) ურარტუს რსებობა, როგორც მოკავშირე ტომებისა, დოკუმენტალურად დამტკიცებულია XIII საუკუნიდან, ხოლო როგორც სახელმწიფო- IX საუკუნიდან. ურარტუმ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, არსებობა შეწყვიტა VI საუკუნეს ქრისტემდე. ფიქრობენ, რომ ურარტუ გაანადგურა მიდიამ და ბაბილონმა, ხოლო თანამედროვე მეცნიერების აზრით, სკვითებმა და კიმერიელებმა“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

ძირითად ისტორიულ ტრაქტატებში, ურარტუ განხილულია როგორც ქართული წარმონაქმნის, დიაოხის მოწინააღმდეგე...და სულ ესაა... არადა ურარტუ აბსოლუტურად ქართველური (აღმოსავლეთ ქართველთა, არტების, სავარაუდოდ ასურების, და ასევე დასასვლეთ ქართველთა ხალდების) სამეფოა... სამტკიცი- ოდნავ მოგვიანებით, ჯერ კიდევ შემონახული ცნობები ურარტუს, როგორც მეზობელი სახელმწიფოს შესახებ:

„ურარტუს ძირითადი მოსახლეობა - ურარტელები, ხურიტების (მითანას სახელმწიფოს შემქმნელი ხალხის მონათესავე) ტომია. ურარტელები უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ ვანის ტბის მიდამოებში. ძვ წ IX საუკუნეს ძლიერი სახელმწიფო შექმნეს, რომლის დედაქალაქი გახდა ტუშფა (დღევანდელი ქალაქ ვანის ადგილას თურქეთში) IX საუკუნის დასასრულს და VIII საუკუნეში ურარტუს მეფეები იშფუინი, მენუა, არგიშთი I და სარდურ II აწარმოებდნენ დიდ შეტევით ომებს მეზობლების წინააღმდეგ და მნიშვნელოვნად გააფართოეს თავიანთი ტერიტორიები“

(საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი I , გვ 373- თბილისი 1970 წ)

უნდა აღინიშნოს, რომ ხურიტები-ეს ჭეშმარიტად ურიებია, იუდეველები, მიტანა- მატიენები-დღევანდელი სირიელები, ორივე ერთად სუბართუდ ცნობილი...გვიან, ჰეროდოტესთან არმენების მეზობელი მატიენების საკმაოდ დიდი პოლიტიკური ერთეული არის დაფიქსირებული, გვიანდელი კომაგენა...შესაბამისად, ის უკვე ისტორიიდან გამქრალი ურარტუ ვეღარ იქნება:

„ჩემი მეფობის მე-15 წელს, -ამბობს სალმანასარ III (ასირიის მეფე) -გავემართე ნაირის ქვეყნები ს წინააღმდეგ...ურარტუელი არამეს ქალაქები ევფრატის სათავებამდე მე გავანადგურე, დავანგრიე, დავწვი, ევფრატის სათავეს მივაღწიე და მსხვერპლი შევწირე ჩემს ღმერთებს, ღვთაება ასურის იარაღი მე განვბანე (ამ წყაროში). ასია, დაიენის ქვეყნის მეფე, მოეხვია ჩემს ფერხთ, ხარკი და ძღვენი, ცხენები მივიღე მე მისგან. ჩემი სამეფო გამოსახულება გავაკეთებინე და დავდგი მისი ქალაქის შუაგულში“ (იქვე, გვ 374)

როგორც ჩანს, ასირიის მეფე დაიენის დასაპყრობად მიდის, ხოლო ურარტელი არამეს ხსენება მხოლოდ ადგილის დაზასუასტებლად სჭირდება-ამ ლაშქრობისას ის ურარტელებთან საომარ კონტაქტზე ის სხვათაშორის ლაპარაკობს. მისი მიზანი დაიენის ქვეყნის დამორჩილებაა...ასევე სიმპტომატურია, რომ ასირიელების, ასურების ღმერთი თავად ასურია და ეს ღმერთი აძლევს საკუთარ სახელს ამ ტომს...საინტერესო პარალელებია იმავე ურარტელებთან მიმართებაშიც:

„ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაოხის ძლევამოსილი ქვეყნის წინააღმდეგ-ღვთაება ხალდი ძლიერია, ხალდის იარაღი ღი ძლიერია. ღვთაება ხალდის ძლიერებით გაემართა სალაშქროდ მენუა

იშფუინის ძე. წინ მიუძღოდა მას ღვთაება ხალდი, მენუა ამბობს: დავიპყარი დიაოხის ქვეყანა, ქალაქი სასილო (მისი) სამეფო ქალაქი ბრძოლით დავიპყარი, ქვეყანა გადავწვი, ციხე სიმაგრეები (დავანგრიე), მივედი სესეთის ქვეყანამდე, ქალაქ ზუამდე, ქალაქი უტეხაი (ალბათ უტეხი)... **უტუფურსი, მეფე დიაოხისა, მოვიდა ჩემს წინაშე, მომეხვია ფეხებზე, ძირს დაემხო; მე მას მოწყალედ მოვექეცი, შევიწყალე იგი ხარკის გადახდის პირობით. მომცა მან ოქრო და ვერცხლი, მომცა ხარკი, ის ტყვეები, რომლებიც გაიქცნენ მასთან, დამიბრუნა მან მთლიანად“ (იქვე, გვ375)**

ზუსტად იგივე სიტყვებია გამოყენებული აქაც ღვთაების და ტომის სახელი იდენტურია, თუმცა არა ყველა ენაზე: მაგალითად რუსულად асириец და асур საკმაოდ განსხვავდება ფონეტიკურად, მაგრამ იმავე ინდურ ეპოს „ მახაბხარატაში“ ამ ხალხს ასურა ეწოდობა, ისევე როგორც მათ ღმერთს...ასევე, ურარტელთა ტომის ღმერთს „ხალდი“ ეწოდება, ისევე როგორც მასში შემავალ ერთ-ერთ ხალხს....

“ ორი მეფე იქაურობას მოვაცილე, ბალთუხის ქვეყნის მეფე და ქალაქ ხალდირიულსის ქვეყნის მეფე. გამაგრებული ადგილები, რომლებიც კი იყო ამ ქვეყანაში მე (მას) მოვწყვიტე. მენუა ამბობს: ვინც ეს წარწერა მოსპოს, ვინც მას გატეხს, ვინც ვინმეს ამას გააკეთებინებს, სხვა ვინც იტყვის: მე გავაკეთე (ყველაფერი ეს), დაე მოსპოს ის ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეიშებამ, ღვთაება შივინიმ, (ყველა) ღმერთმა მზის ქვეშ...“ (იქვე,)

აქაც მეფე მენუა ღვთაება ხალდიზე აპელირებს, თუმცა ახსენებს სხვა ღვთაებასაც:

“მენუა ამბობს, დავიპყარი ქალაქი სასილო, დავდგი ეს წარწერა ღვთაება ხალდის, ჩემს მეუფეს. ღვთაება ხალდის სიდიადით მენუა, იშფუინის ძე, მეფე ძლიერი, მეფე დიდი, მეფე ბიაინილის ქვეყნისა, მმართველი ტუშფა ქალაქის. მენუა ამბობს: ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გატეხს, ვინც მას დამალავს, მოსპოს იგი ღვთაება ხალდიმ, ღვთაება თეშუბამ, ღვთაება შივინიმ. (ყველა) ღმერთმა მზისქვეშ“ (იქვე)

საინტერესოა, რომ მეფე მენუა უპირველეს რიგში და მის მფარველად ღვთაება ხალდის ახსენებს, თუმცა აქვე აღნიშნავს სხვა მეფეებსაც... იმაზე, რომ ანტიკური ლაშქრობის ობიექტი ქვეყნები-ეს მხოლოდ და მხოლოდ ქალაქი პოლისებია, დღევანდელი მასშტაბით შედარებადი თანამედროვე რაიონებთან, პირველ ტომში ამომწურავად იყო ნაჩვენები და აღარ განვმეორდებით....

„ არგიშთი ამბობს, შეევეედრე მე ღვთაება ხალდის, მეუფეს ღვთაება თეიშებას, ღვთაება შივინის (იმის შესახებ) რაც მე მეუფის სიდიადით მსურდა მომემოქმედა. იმავე წელს მე კვლავ შევკრიბე მეომრები და გავემართე სალაშქრავად ზაბახას წინააღმდეგ. დავიპყარი მე ქვეყანა ზაბახა... მივედი

ქალაქ უზანიბითარნამდე, სირიმუთარას ქვეყანამდე, მთიან ქვეყანამდე... იგანის ქვეყნის ქალაქ მაკალთუნის ოლქი მე შევიწყალე. გავემართე ერიახის ქვეყანაზე, წავედი სალაშქროდ აფუნის ქვეყნის წინააღმდეგ, დავიპყარი ქალაქი ურიეიუნი, ვიტერუხის სამეფო ქალაქი. სულ 52675 ადამიანი იმ წელს, ერთნი გავჟლიტე, სხვა ცოცხალი წავიყვანე 1104 ცხენი გავდენე მე, აგრეთვე 35015 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ასი ათას... ერთი ათას 829 სული წვრილრქოსანი პირუტყვი. არგიშთი ამბობს: ღვთაება ხალდისათვის ეს საქმენი მე ერთი წლის განმავლობაში აღვასრულე" (იქვე, გვ-377)

საინტერესოა, რომ არგიშთი წარწერის დასაწყისში ღვთაება ხალდისთან ერთად ახსენებს ღვთაება თეიშებას და შივინის, მაგრამ ციტატის ბოლოში მხოლოდ ღვთაება ხალდის ახსენებს: სავარაუდოა, რომ ხალდიეს ხალდეველთა ღვთაებაა, ხოლო თეიშება დ ა შივინი- არტებისა და ახაიელებისა. პირველი ლაშქრობა კოლხას წინააღმდეგ ქრისტემდე 750-748 წლებში მოეწყო:

„სარდური მეფე ამბობს: გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ღვთაება ხალდის სიდიადით ხახა, ხუსას ქვეყნის მეფე, მისი ხალხითურთ იქიდან წამოვიყვანე ტყვედ, გამოვრეკე და დავასახლე ჩემს ქვეყანაში" (იქვე, გვ-387)

მეფე სარდური, მენუასა და არგიშთის მემკვიდრე აქ მისი ღმერთებიდან მხოლოდ ხალდს ასახელებს, რაც ხალდების როლის გაძლიერებაზე, ფაქტიურად ჰეგემონობაზე მეტყველებს ხალდ, არტ- ასურის ფაქტიურად კონფედერაციულ სამეფოში...ამავე დროს, აქ ნახსენები ხუსას სამეფოეს აშკარად ქუშების - ქართების პოლიტიკური წარმონაქმნი ჩანს, ქალაქი-პოლისი...მეორე ლაშქრობა კოლხეთში ქრისტემდე 747-741 წლებში მოეწყო:

„სარდური ამბობს: გავემართე სალაშქროდ კოლხას ქვეყნის წინააღმდეგ. ეს ქვეყანა (მე დავიპყარი) ქალაქი ილდამუსა, სამეფო ქალაქი. კოლხას ქვეყნის მეფე (...) სა-სი ბრძოლით დავიპყარი, მისი მოსახლეობა გადავბუგე, კოლხას ქვეყნის (მეფის) ნაცვალები, რომელნიც იქ იყვნენ, გავჟლიტე. რკინის ბეჭედი გავაკეთებინე, წარწერა დავდგი ქალაქ ილდამუსაში.. .ციხე -სიმაგრეები, ქალაქები დავწვი და დავანგრიე, ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები გავრეკე. სარდური ამბობს: იმავ წელს მესამედ გავემართე სალშქროდ ვიტერუხის ქვეყნის წინააღმდეგ. სამი ოლქის მმართველი მოვიხმე, სამ ადგილას მე ვილაშქრე. ღვთაება ხალდით ამ ქვეყანას ალყა შემოვარტყი, ერთი დღის განმავლობაში იგი ხელთ ვიგდე. ქვეყანა გავაჩანაგე, კაცები და ქალები იქიდან გამოვრეკე. ქალაქ ურაინს ციხე-სიმაგრე მე ავაგე, ჩემი ნაცვალი იქ დავსვი. ვიტერუხის ქვეყნის მეთვალყურე იქ დავაყენე. სარდური ამბობს: აი რა ვაჟკაცობა ჩავიდინე მე, 8100 ყრმა წავიყვანე, 9110 დედაკაცი გამოვრეკე, აგრეთვე 17300 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი,11000

სული რქოსანი წვრილფეხა პირუტყვი. სარდური ამბობს: ღვთაება ხალდ-ისათვის მე ეს საქმენი ერთი დღის განმავლობაში აღვასრულე“ (იქვე)

საკმაოდ დიდი მოცულობის ცნობაა და ასევე შინაარსობრივად საკმაოდ ტევადი:

1. ის, რომ მეფე სარდურიმ ერთი დღის განმავლობაში დაიპყრო ვიტერუხის ქვეყანა, ნათლად მიანიშნებს: აქ დამოუკიდებელ ქალაქ -პოლისებზეა საუბარი, რომელიც ფაქტიურად დღევანდელი რაიონის ტოლფასი ტერიტორიაა...როგორც ჩანს, იმ ეპოქაში მცირე აზიაშიც ასეთი ქლაქი-პოლისები პრივალირებენ, ისევე როგორც საბერძნეთში. დიდ პოლიტიკურ გაერთიანებებზე საუბარი არც უნდა იყოს.

2. საყურადღებოა, რომ ვიტერუხიდან ტყვედ წაყვანილი მოსახლეობა დედაკაცები (9100) და ბავშვებია (8100) ვიტერუხის მ ამაკაცური მოსახლეობა ტყვედ არ აუყვანიათ...

3...და ღვთაება ხალდი სადღაც ბოლოშია ნახსენები, და არა ციტატის თავში, როგორც სარდური მეფის წინაპრებთან...

4. რაც შეეხება კოლხთა ქალაქ ილდამუსას, აქ ხალდთა ჯარი უფრო ჰუმანურად ჩანს მოქცეული, აქ კაცებიც ჩანს ქალებსა და ბავშვებთან ერთად ტყვედ აყვანილი. ეს ფაქტი გარკვეულ მინიშნებებს გვაძლევენ, რომ ურარტუს ჯარი და მოსახლეობა კოლხთა მონათესავე უნდა იყოს...

საბედნიეროდ, მრავალი დოკუმენტალური მასალა არსებობს ურარტუს სამეფოს შესახებ...ყველა მათგანი ანალოგიური ხასიათისაა, რომელიც მეზობელ სამეფოეთან კონფლიქტსა და ომებზე მოგვითხრობს... თითქმის წარმოუდგენელი ჩანს დღევანდელი მკითხველისათვის, ურარტუს ლაშქრობა კოლხეთისაკენ, მაშინ როდესაც ურარტუს ისტორიული საზღვრები ფაქტიურად ცნობილია: ასეული და ათასეული კილომეტრის დაშორებით დღევანდელი კოლხეთისაგან ... სინამდვილეში ის კოლხა, რომელსაც ურარტუ ეომებოდა, გაცილებით აღმოსავლეთით მდებარეობდა დღეს არსებულისაგან (იმისგან, რაც დარჩა ქართველთა განკარგულებაში) კოლხას სიმძიმის ცენტრს ტრაპეზუნდი წარმოადგენდა, და არა ფოთი (ფაზისი) სადაც კოლხთა უკიდურეს დასავლეთის საზღვარს ასახელებს ჰეროდოტე. კოლხების და იბერების საზღვარი მდინარე ევფრატამდე უწევდა, რაზედაც მომდევნი თავში ვისაუბრებთ... და ვინ არიან ურარტელები?

„დაახლოებით ძვ. წლის 590 წლისათვის მიდიელებმა (ასოცირდება დღევანდელ აზერბაიჯანთან) ბოლო მოუღეს ურარტუს სამეფოს. ურარტუს ცენტრალური ნაწილი მაინც მიდიის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა. ურარტელთა განადგურებით ისარგებლეს მეზობლებმა და დაიწყეს მისი ტერიტორიის დაკავება ... ამ მხრივ დიდ წარმატებას მიაღწია სომეხი ტომების გაერთიანებამ, რომელიც აქამდე ურარტუს სამხრეთ პერიფერიებზე არსებ-

ობდა. სომეხმა ტომებმა იწყეს აღმოსავლეთისაკენ წინსვლა და ძველი ურარტუს მთელი რიგი რაიონები დაიკავეს. იქ მცხოვრები ურარტელების დიდი ნაწილი სომხებში გაითქვიფა. ურარტელთა ერთმა ნაწილმა ეტყობა ჩრდილოეთისაკენ გადმოინაცვლა, ქართველური ტომების ჰეგემონიის ქვეშ მოექცა და მათ შეერწყა, მათში გაითქვიფა. ამაზე მიგვითითებს მეტად საინტერესო ენობრივი ფაქტები. ქართულმა შემოინახა მთელი რიგი გამონათქვამები, რომელიც ქართული ენის მონაცემებით ვერ აიხსნება, სამაგიეროდ მშვენიერ ახსნას პოვებს ურარტული ენის მასალით. მაგალითად, ქართულ გამონათქმში - ყირამალა, თავდაყირა, ყირაზე გადასვლა და სხვა. აშკარაა, რომ „ყირა“ მიწას უნდა ნიშნავდეს: ყირა (მიწა) მა(ღ)ლა თავდა - (ყირა) (მიწისაკენ), ყირაზე (მიწაზე) გდასვლა. მაგრამ „ყირა“ ქართველურ ენაზე არაფერ მსგავსს არ ნიშნავს, მაშინ როდესაც მიწას ურარტულად სწორედ „ყირა“ ერქვა.. .ყურადღებას იწვევს აგრეთვე ზოგიერთი ქართული სიმღერის მისამღერი, სადაც ძველაღმოსავლური ღვთაებების სახელი ისმის. ერთ-ერთი მათგანი არალე, მოსავლის გავრცელებული ღვთაებაა ძველ აღმოსავლეთში ... ამ ღვთაებების სახელი ქართული სიმღერების მისამღერში გვხვდება ასეთ გამოთქმაში: ივრი არალე, თარი არალე, არი არალე. არალეზე დართული ყველა ეს სიტყვა კარგად იხსნება ურარტული ენით. ივრი- ბატონი, მეუფე, თარი ძლიერი, ძლევამოსილი, არი-მომეც (მოგვეც) ასე რომ ურარტულად ეს გამოთქმები ნიშნავს: მეუფეო არალე, ძლევამოსილი არალე, მომეც (მოგვეც) (ღმერთი) არალე. ამგვარი ფაქტები, უნდა ვიფიქროთ ქართულ ენაში ურარტულ ენაზე ანაც მის დიალექტზე მეტყველი ხალხის შემოტანილია“ (იგივე, გვ-398)

დიდი ამონარიდი ციტატა გ. მელიქიშვილის სტატიიდან თითქმის უცვლელად მოვიტანეთ, იმ მიზნით, რომ განგვეხილა ის ჰიპოთეზა (და ჰიპოთეზათა კასკადი) რომელმაც ურარტელთა არაქართველობის ვერსიას ერთხელ და სამუდამოდ დაუსვა ბეჭედი. არის მთელი რიგი მტკიცებულებისა, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებენ:

1. როგორც წინა ტომში ვისაუბრეთ და დავამტკიცეთ კიდეც, ენა არ წარმოადგენს მყარ სუბტრაქტს-შესაბამის უცხო გარემოში მოხვედრისას, (განსაკუთრებით მცირერიცხოვნების შემთხვევაში) ტომი საკმაოდ მალე იცვლის დიალექტს, ხშირად ენასაც კი. მაგალითების მოყვანით დამტკიცდა, რომ მინიმალურ ვადაში, სულ 200 წელიწადში, უცხო გარემოში მოხვედრილმა ეთნოსმა შესაძლებელია თავისი ენა სრულიად დაივიწყოს.

2. მართალია მელიქიშვილი არ აღნიშნავს თავის ნაშრომებში, მაგრამ წიგნის ავტორს შეხვედრია ცნობა მეფე მენუას შესახებ, რომელიც ასევე ქვაზე არის ამოტვიფრული: **ამა და ამ ადგილას, მეფე მენუას ცხენი არციბი, გადახტა ამა და ამ** მანძილზე...

ჩემი ახალგაზრდობის დროს ეს მანძილი გამოვთვალე კიდეც, ის უტოლ-დება 11 მეტრს და 24 სანტიმეტრს, დღემდე შენარჩუნებულ აბსოლუტურ მსოფლიო რეკორდს...მაგრამ ჩვენთვის ცხენის ღირსშესანიშნავი რეკორდ-ული ნახტომი არაა მთავარი თემა... ღირსშესანიშნავი ცხენის სახელია-არ-ციბი, ბედაურის ურარტული სახელი და რომელიც უცილობლად არწივს ნიშნავს თანამედროვე ქართულ ენაზე და რომელ სახელსაც მეფე მენუას ცხენი უცილობლად იმსახურებდა...თუ გავითვალისწინებთ, რომ ლურსმნ-ული ტექსტი ბგერების სიმწირით გამოირჩევა, თან თარგმანი ინდოევრ-ოპულ ენაზე სრულდებოდა, რომლის ალფაბეტში ასო წ არ ფიგურირებს, მეფე მენუას ცხენის ნამდვილი სახელი არწიბი უნდა ყოფილიყო...ახლა პირუთვნელ ქართველ მკითხველს მივმართავ, ნუთუ ასე დაშორებული ჩანს ფრინველთა მეფის ქართული სახელი არწივი-ურარტულ არწიბს,რომ ეს უკანასკნელი ენა ხელაღებით გამოვაცხადოთ არაქართულად, შესაბამი-სად ურარტელები-არაქართველებად? (მით უმეტეს, ფრინველთა მეფის ორ მოცემულ სახელს შორის ოცდაექვსი საუკუნეზე მეტი დევს?)

3. მელიქიშვილის სიტყვებით, ივრი არალე და თარი არალე- ეს მცირეაზ-იის ძველაღმოსავლური მოსავლის ღმერთისადმი მიძღვნილი ჰიმნი ჩანს. ...და ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ ქართველები იმავე მცირე აზიიდან არ არიან? ანდა თარი ქართული სიტყვა არაა? საკმარისია გავიხსენოთ ალან-ური თარ-ანგელოზი, რომელიც მთავარ ანგელოზის კუთხური გამოთქმაა მხოლოდ...თარხუჯი-უძველესი ქართული სახელი, მთავარ ხარს, მთავარს გუთნეულში ნიშნავს! თარი-ეს სიტყვაწარმომქმნელი ჩანს, მთა-ვარი- მისგ-ანვე წარმოქმნილი სიტყვაა...ასევე ნებისმიერ ქართველს მოეხსენება, რომ არი არალო, ივრი არალო-მისამღერია ... ნებისმიერმა ენათმეცნიერმა მოინ-დომოს ქართული მსგავსი მისამღერების თარგმნა: რაშა ვორუდილო რამ-აიდა; ვოისაა; დელი დელი დელასა? ეს ქართული მისამღერებია და მათი რეალური მნიშვნელობა დიდი ხნის უკან დაკარგული (ბედნიერი შემთხ-ვევის წყალობით გაიშიფრა ტექსტში ხსენებული უკანასკნელი მისამღერი და ამავე წიგნში გავაჟღერებთ)

4. ასევე მავან სვანიძეზე დაყრდნობით, მელიქიშვილი აცხადებს, რომ QI-RA-ურარტულად მიწას ნიშნავს და ამ სიტყვაზე ჩანს დაფუძნებული ქარ-თული სიტყვა ყირა-მა(ღ)ლა...ჩვეულებრივ, ასო ყ-ს შესატყვისი დასავლურ ენებზე ასო ხ-ა, ან კ და არა ქ ... ყირამა (ღ) ლა-ამ სიტყვას სრულიად სხვა მნიშვნელობა და სხვა დატვირთვა უჩანს ქართულ ენაში და მას მიწასთ-ან არაფერი აკავშირებს (65)

ზუსტად ამ ქვეყნიდან, ურარტუდან ჩრდილო აღმოსავლეთის მიმა-რთულებით მიგრირებული ტომები ჩანან სანარები (დღევანდელი დუშე-თის და თიანეთის რაიონები) და ჩრდილო კავკასიური ფილანები, რომ-

ლებიც ქართველური სახელმწიფოს, პართიის III საუკუნეების დეზინტეგრაციის შედეგად ჩანან ჩამოსახლებულნი კავკასიაში. ამ ქართველურ თემებზე საკმაოდ ვისაუბრეთ წინა ციკლში და აღარ განვმეორდებით.

მაშასადამე, ურარტუ ხალდთა სამეფო ჩანს, და არა მარტო ხალდთა...და ვინ შეიძლება იყოს ხალდთა თანამოქალაქენი ურარტუში?

ისტორიული ექსკურსი

ზემოთ უკვე ითქვა, რომ მცირე აზია ქართველური (განდხარვულ-აფსარული) ტომებით დასახლებული მიწა, პირველად ჰურიტების და მატიენების მშვიდობიანი შემოსვლის და დასახლების მერე გახდა ბიბლიური „ბაბილონის გოდოლი“... ეთნიკურად და შესაბამისად ეროვნული (რასობრივი) თვალსაზრით „აჭრელდა“...ეს „სიჭრელე“ კიდევ უფრო გაძლიერდა ჰიქსოსების-სკვითების და მასთან აფილირებული თრაკიელებით გაძლიერდა...გარდა ამისა , სემიტური ტომები, ფრიგიელები: ქურთები და სომხები, სხვა სემიტური ტომები, მისიელები და სინდები...თუმცა მცირე აზიის ძირძველმა მოსახლეობამ შეძლო უცხოტომელთა განდევნა, რომელიც ქრისტემდე 1540 წლის მახლობლად დამთავრდა... მაგრამ მათი უმრავლესობა (სკვითების გამოკლებით) შურისმაძიებელმა ეგვიპტელმა ფარაონმა ჰორემხებმა ქრისტემდე 1310 წლის მახლობლად ტყვეების სახით უკანვე დააბრუნა...და როდესაც უკან დაბრუნებულ ტყვეთა მონობის ვადა დამთავრდა, დანიშნული სავარაუდოდ) ფარაონ ჰორემხების მიერ, შესრულდა დაყველა შავი სამუშაო ეგვიპტეში, რომელიც ეგვიპტელების აზრით შესასრულებელი იყო, ეს უკანასკნელები გაათავისუფლეს ... შესაძლოა ეგვიპტის დატოვების პირობით ...(66) და მთელი ეს მასა განსახლდა მცირე აზიაში, ენების ნამდვილ „ბაბილონის გოდოლში“... უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებულმა ერებში-ტომებმა ყველაზე ადრე საკუთარი სახელმწიფოებრიობა (სრული სამეფო ატრიბუტიკით) შექმნეს ზემოხსენებულთა შორის უძლიერესმა ტომებმა, თრაკიელებმა - მედებმა და ფრიგიელებმა-ქურთებმა... თრაკიელების პირველი მეფე და შესაბამისად სამეფო, ჰეროდოტეს მიხედვით დააფუძნა პირველმა მიდიელნა მეფემ დეიკოსმა, ქრისტემდე 709 წელს... დაახლოებით ამავე დროიდან ცდილობენ ფრიგიელები - ქურთები, „ცრუ ხალდები“ ბაბილონის დაპყრობას, თუმცა არა წარმატებულად... მათ მიერ მეფედ შერაცხული კნიაზის-თავადის მეფობა სულ რამდენიმე წელს თუ გრძელდება-დამხობილ იქნება ასირიის მეფეების მიერ, რომლებიც ბაბილონელებს სახლიკაცებად თვლიან საერთო-აქადური ენის გამო...საბოლოოდ , ბაბილონზე საკუთარი ზეობის ხანგრძლივად დამყარება ფრიგიელებმა -„ცრუ ხალდებმა“ ქრისტემდე 626 წელს შეძლეს...შესაბამისად, ამ დრო-

მდე მცირე აზიაში წარმოქმნილი სამეფოები მხოლოდ მცირე აზიის მკვიდრი (განდხარვულ-აფსარული) მოსახლეობისა უნდა იყოს-ეს აქსიომაა...

ური-ეს შუმერთა უძველესი ქალაქია შუამდინარეთში...სარდალი ურშანაბი, სავარაუდოდ სარდალია იმავე ურიდან ... სავარაუდოდ, ურ -არტუ, ასევე არტების ურს, არტების ქალაქს უნდა აღნიშნავდეს...ამ ვერსიას კიდევ უფრო ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ასირიული წყაროების თანახმად, სახელმწიფო ურარტუმდე მთელი ოთხი საუკუნით ადრე იცნობენ ტონობრივ გაერთიანებას „ურუადრის." ვინ შეიძლება იყოს ურუადრის, ურ-არტუს უპირველესი მცხოვრებნი, ხალდებამდე?

„ქალაქ პოსეიდონიდან (რომელიც ამფილოქოს ამფიარეის ძემ ააშენა კილიკიისა და სირიის საზღვარზე) ვიდრე ეგვიპტემდე, გარდა არაბთა ნაწილისა (რადგან ეს დაუხარკავი იყო) ხარკის სახით შემოდიოდა 300 ტალანტი. ამ სატრაპიაში შედიოდა მთელი ფინიკია, პალესტინად წოდებული სირია და კიპროსი... ესაა მეხუთე სატრაპია (ჰედოდოტე, ისტორია, წიგნი III-91) და... **პამფილიელენმა 30 ხომალდი მოიყვანეს და ისინი ელინური იარაღით იყვნენ შეჭურვილი; ეს პამფილიელები იმათი ჩამომავალნი არიან, რომლებიდ მიმოიფანტნენ ტროას ომისგან ამფილოქოსსა და კალქანტთან ერთად წამოსულები (იქვე, წიგნი VII)** ...და კიდევ ...**ამფიარეოსი-არგოსელი მისანი, შემდეგში მისი სამისნო იყო თებეში (იქვე, შენიშვნები)"**

ერთი-ერთში იმეორებს ჰეროდოტეს ვერსიას თუკიდიდეც, მისი უმცროსი კოლეგა ისტორიის დარგში, თუმცა ერთი არსებითი ცვლილებით: **„ ამფილოხიის არგოსი, ისევე როგორვ მთელი ამფილოხია ამპრაკის ყურეში, ტროას ომიდან სახლში დაბრუნებისას დაარსა ამფილოხ ამფიარეის ძემ, უკმაყოფილომ თავის ს ამშობლოში საქმის მიმდინარეობით (ამფილოხოსის ძმამ მოკლა საკუთარი დედა ერიფილუ, იძიებდა რა შურს მამის, ამფიარეის სანაცვლოდ) დაარქვა მას სახელი თავისი ძველი სამშობლოს, არგოსის სახელი" (თუკიდიდე, წიგნი II-68)**

თითქოსდა არსებითი განსხვავება არაა, ჰეროდოტესა და თუკიდიდეს მიერ გადმოცენულ ამბავისა ამფილოხოს ამფიარეის ძის გარშემო... მაგრამ ჰეროდოტეს მიხედვით ამფილოხოს ამფიარეის ძე ახალშენს აარსებს მცირე აზიის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილში, თუკიდედეს მიხედვით კი ფაქტიურად საბერძნეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ორივე არქაული ისტორიკოსის მიხედვით მიუცდომლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბერძნეთის არგოსი (ელინურად წოდებულს და ელინთა სამშობლოს) და იმავე საბერძნეთში ამპრაკიის (უფრო არქაული სახელი არტების) ყურეში და მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილში მცხოვრები ხალხები ერთსა და იმავე - არგოსულ ტომს წარმოადგენენ (სა-

ინტერესოა, რომ ამავე ტომის წარმომადგენლები ჩანან მაკედონელთა დინასტია და თავად მაკედონელთა დიდი ნაწილიც)

ფაქტიურად თუკიდიდეს ვერსიას მთელი ასი პროცენტით იმეორებს მესამე ისტორიკოსი სტრაბონიც, თუმცა მთელი ამ სიუეტის გადმოცემაში სიმართლესთან ყველაზე ახლოს ჩანს ჰეროდოტე, თუმცა არა მთლიანად:

"კალაიაკების ქვეყანაში იყო ორი ქალაქი: ელინები და ამფილოხები, იმიტომ რომ არა მარტო ამფილოხი მოკვდა მანდ, არამედ მისმა თანამგზავრებმა ხეტიალისას შეაღწიეს ქვეყნის სიღრმეში" (სტრაბონი, წიგნი III; IV-3)

მკითხველს მოვახსენებ, რომ ამფილოხების კვალს სტრაბონი ესპანეთში წააწყდა, სადაც ამფილოხ ამფიარეის ძეს არც არაფერი ესაქმებოდა... და უცნობია, ამფილოხის თანამგზავრებმა რატომ შეარქვეს ესპანთში (სადაც სტრაბონის სიტყვებით) მიცვალებული ამფილოხის თანამგზავრებმა ქალაქს მისი სახელი....

როგორც ჩანს, პამფილების ფესვები გაცილებით ღრმადაა საძიებელი, ვიდრე ტროას ომი და იქიდან დაბრუნებული ამფილოხოს ამფიარეის ძეა...საკამათოც კი არ უნდა იყოს ის, რომ პამფილების ტომი აფუძნებს არგოსს და არა პირიქით:

1.მართალია ჰეროდოტე განსაკუთრებული იფორმირებული ისტორიკოსია, მაგრამ ვერც მისი თვალსაწიერი სწვდება ისეთ შორეულ დროს, როგორც მისთვის ტროას ომია (მკითხველს შევახსენებთ, რომ ჰეროდოტეს აქტიური ისტორიული მოღვაწეობის ხანა-ეს ქრისტემდე V საუკუნის მეორე ნახევარია, მაშინ როდესაც ტროას ომი ქრისტემდე 1290-1280 წლებია) თუკიდიდე ნახევარი საუკუნით ჩამორჩება ჰეროდოტეს ქრონოლოგიურად.

2. ჰეროდოტემ, რომლის ისტორიული ხედვა გაცილებით დიდ არეალს მოიცავს, ვიდრე თუკიდიდესი, იცის პამფილიის არსებობა მცირე აზიის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილში. ამასთან, მან ზუსტად იცის, რომ პამფილიელები და არგოსელები ერთი და იმავე წარმოშობის ტომია. ამიტომაც თვლის, რომ ის არგოსელი ამფილოხოს ამფიარეისძის მიერ დაარსებული ახალშენია, ტროადან დაბრუნებულისა. პამფილიის შესახებ ინფორმაციას ვერ ფლობს თუკიდიდე, ამიტომაც მისთვის არგოსელი ამფილოხოს ამფიარეის ძის მერ დაარსებული ახალშენი ამფილოხიის არგოსია, უკვე საბერძნეთში. ამავე აზრისაა სტრაბონი, ოთხი საუკუნის შემდეგ, თუმცა მისი ამფილოხია რატომღაც ესპანეთშია და მის გამართლებას საკუთარი უსუსური თეორიით ცდილობს... ნებისმიერ შემთხვევაში ორივე ისტორიკოსისათვის ამფილოხიის არგოსი არგოსელების ტომია.

3. ამფილოხი კონკრეტული ფიგურა არცა ჩანს-ის ფაქტიურად არგოსელთა ტომის აღმნიშვნელი უხუცესი ეთნონიმი ჩანს: დასახლებულ პუნქტ ამფი-

ლოხს ახსენებს ესპანეთში იგივე სტრაბონი... ესპანეთში, რომელიც განდხ-არვულ (ქართველურ) ტომებს ქრისტემდე არა უგვიანეს XXV საუკუნეს უჩ-ანთ ათვისებული.

4. მართალია ამფილოხთა ტომს (პამფილიელთა სახით) ჰეროდოტე მცირე აზიის უკიდურეს აღმოსავლეთ წერტილში ათავსებს, თუმცა მათი დასწრ-ებულობა მცირე აზიის ვრცელ ტერიტორიაზე აქსიომა უნდა იყოს.

5. იმავე ჰეროდოტე პამფილებს (საწინააღმდეგოდ პამფილიელებისა) სიკი-ონურ ტომად იხსენიებს, თუმცა ისინი არგოსული ტომები უნდა იყვნენ: თავად ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ კლეოსთენესმა სიკიონელებს სახელე-ბი გადაარქვა იმიტომ, რომ მათ არგოსელების ანალოგიური სახელები არ ჰქონოდათ...სიკიონელები ამპრაკიის (არტების ყურის) უშუალო მეზობ-ლები არიან...

6. იმავე არტების თემი ჩანს თურქი მოგზაური, ევლია ჩელების მიერ და-ფიქსირებული დღევანდელი ქალაქ სოჩის მახლობლად (იხილეთ პირვე-ლი ტომი) და იგივე არტები უნდა ფიგურირებდნენ ურარტუს სახელწო-დებაში, ურ-არტ- უ, ტომთა პირველადი გაერთიანება ურადრის სახით ას-ირიულ ისტორიულ წყაროებში...

7. სწორედ მათი ნაწილი ჩანან ჩრდილოეთისაკენ მიგრირებულნი ურარტ-უს სამეფოს დეზინტეგრაციის შემდეგ, თავიანთ სახლიკაცებთან, პართე-ბთან, რომლებიც აქ მთელი ათი საუკუნით ადრე დაფუძნდნენ. სწორედ ისინი, პართებსა და საკებთან ერთად ჰქმნიან უზარმაზარ იმპერიას, პარ-თიას, ჯერ კიდევ სპარსთა აღზევებამდე. მათი უნარ - ჩვევებით, მართონ ვეებერთელა იმპერია და არა მარტო მართონ , არამედ დაუპირისპირდნენ იმ დროისათვის უძლეველ რომის იმპერის...არა მარტო დაუპირისპირდნ-ენ, არამედ არა ერთგზის დაამარცხონ იგი თავისი აღზევების ზენიტში მყოფნი...არა მარტო დაამარცხონ, არამედ კეთილშობილი მოქმედებით შე-ძლონ რომაელების შეცბუნებაც კი, გაკვირვებული და თავის გაოცებას გა-მოხატავს რომაელი ისტორიკოსი, პომპეი ტროგი...არადა, პართებს (და მათ რიგებში მყოფ ხალდებს) სახელმწიფოს შენების გაცილებით მეტი ტრად-იციები უჩანთ, ვიდრე თავად რომაელებს...

8. ხალდების უდიდესი ნაწილი დასავლეთის მიმართულებით იხევს და ტრაპიზუნდს ზემო მთიანეთში იდებს ბინას, მიდიის გავლენისაგან შორს... სწორედ აქ ხვდებიან ისინი ქრისტემდე V- IV საუკუნის მიჯნაზე ბერძენ მეომარს და ისტორიკოს- ქსენოფანტეს....ისინი ტაოხებთან და ბასიანებთან ერთად ცდილობენ წინ აღუდგნენ ბერძენთა 14 ათასიან არმიას, რომელმ-აც ძლევამოსილი სპარსეთის იმპერიის ერთი ფლანგი სრულიად უპრობ-ლემოდ დაამარცხეს ... აქვე აგრძელებენ ისინი ცხოვრებას გვიანაც, სინოპე-ლი ხეთების-პუნების-ხალიბების მეზობლად...არა ერთი საუკუნე დასჭირდა

ჭანების და ლაზების ასიმილაცია-გათქვეფის პროცესს და მაინც მათ შორ-
ის ხელშესახები ბარიერი არსებობს ჯერ კიდევ შუა საუკუნეს, (პროკოპი
კესარიელის ცნობების მიხედვით, იხ წინა ტომი...) ისტორიკოსები რამდ-
ენიმე საუკუნის მერეც ახსენებენ პროვინცია ლაზივს და ლაზებს ტრაპე-
ზუნდს ჩრდილო -აღმოსავლეთით და პროვინცია ხალდივს და ჭანებს-იმ-
ავე ტრაპეზუნდისგან სამხრეთ -აღმოსავლეთით...
9.გაცილებით საინტერესო და შინაარსობრივად მრავალფეროვანი ჩანს კა-
სპიის ზღვის სამხრეთ - დასავლეთ სანაპიროსაკენ მიგრირებული ხალდე-
ბის - ჭანების შემდგომი ისტორიული ბედ -იღბალი. მათი უმრავლესობა,
როგორც ჩანს მონაწილეობას იღებს პართიის იმპერიის შექმნასა და ფუნქ-
ციონირებაში ქრისტემდე 250 - 227 წლებში. სავარაუდოს, რომ ისინი პარ-
თების სატელიტ ერთ-ერთ პრივილიგირებულ და ავტონომიურ ტომს წა-
რმოადგენენ პართიის იმპერიაშივე. სპარსელთა მიერ პართთა იმპერის გა-
ნადგურება-გაჩანაგების შემდგომ, ხალდთა შეურიგებელი ნაწილი მოიწევს
კავკასიისაკენ, საქართველოსაკენ და აქვე ფუძნდება (როგორც ჩანს III სა-
უკუნეშივე) ერთი ნაწილი ფუძნდება არაგვის ხეობაში, სანარიად სახელ-
დებული, დღევანდელი დუშეთის და თიანეთის რაიონი...ისინივე წარმოა-
დგენენ იმ სამას არაგველს, რომელთაც ბრძოლის ველზე დაიგვიანეს...ვერ
გაწირეს დამარცხებული და აწიოკებული თბილისი და ბოლო კაცამდე
შეაკვდნენ აღა-მაჰმად ხანის ურდოებს...მეორე ნაწილი, სანარედ სახელდ-
ებული, სავარაუდოდ რჩება ადგილზე, მტკვარის და არაქსის შესართავთ-
ან ... XVI საუკუნეს დასწყისში ჩრდილოეთ კავკასიის გავლით ხვდებიან
აფხაზეთში, სადაშებად და საძებად სახელდებულნი... (იხ პირველი ტომი)
10. განსხვავებული გზა უჩანთ ხალდთა სხვა თემს-ფილანებს. მათზე ისტ-
ორიული წყაროები შემორჩენილი X- XIII საუკუნის არაბი მოგზაურების
იმ წყროებში, რომელნიც ჩრდილო კავკასიას აღწერენ. მათი მონათხრობის
მიხედვით, ფილანები, პრაქტიკულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ერ-
თეული სერირის (შემდგომში ევლია ჩელებისეული ვეებერთელა ქვეყანა
ტაუსტანი) თანამედროვეობის ინგუშეთ - ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. არცთუ
იშვიათად, ფილანშაჰი - სერირის სუზერენადაც გვევლინება, რომელიც მას-
ზე რამდენადმე დიდი ჩანს-თვით არაბი მოგზაურები აღნიშნავენ მის (შე-
დარებით) სიმცირეს. რთული სათქმელია, რომელი პოლიტიკური პროცე-
სის შედეგად ხვდებიან ფილანები-ხალდები კავკასიის ქედს იქით... არ არის
გამორიცხული, ხალდების ეს ნაწილიც პართიის არშაკიდული-ქართველუ-
რი სამეფოს ნამსხვრევები იყოს, პართიის დეზინტეგრაციისას ქედს იქით
გარიდებული სასანიდური ირანის ჰეგემონიას...თუმცა ის, რომ ფილანი-
ვასალი თავის პოლიტიკურ უფლებებში ფაქტიურად უტოლდება სუზე-
რენს-სერირს, მიმანიშნებელი იყოს იმისა, რომ ერთიც და მეორეც თითქმ-

ის ერთდროულად (ისტორიის მასშტაბით) მკვიდრდება ჩრდილო კავკასიაში... თვით სერირის-გელების ქართველური ტომის უცილობელი დამკვიდრების თემა ჩრდილოეთ კავკასიაში -განხილულ იქნება ამავე ტომში...

წინა ტომში ჩვენ უკვე ამომწურავად ვისაუბრეთ ფილანების შესახებ, თუმცა მხოლოდ იმ მომენტიდან მოყოლებული, როდესაც ისინი საქართველოში გადმობარგდებიან. იყო ნახსენები, რომ თავდაპირველი ჭარიეს პირიქითა კავკასიონის პოლიტიკური წარმონაქმნია, რომელიც ლალაფაშა ოზდემირის ძემ წაართვა ასევე პირიქითა ქარველებს - ინგუშებს და დაღესტანს მიუერთა. დისკომფორტშექმნილი ჭარელები კახეთს გადმოდიან და აქვე სახლდებიან ფიფინეთად წოდებულ ალაგას ...წინა წიგნში ყურადღება არ იყო გამახვილებული ტოპონომ ჭარზე, რომელიც საკუთარ თავში ჭან-ს გულისხმობს...ცხადია, ჭარს (პირიქეთა ჭარს) გულისხმობს რიგ XIX საუკუნის ლიტერატურაში ნახსენები ჯარიახი (რომელშიაც აშკარად იკითხება ტოპონომ ჯარ-ის ქართული ინტერპრეტაცია -ხი- დაბოლოებით) რომელიც კონტექსტის მიხედვით (67) ტერიტორიულად და ეთნიკურად ჩეჩნეთში მოიაზრება....

ასევე დიდი კითხვის ნიშანი ჩნდება აჭარასთნ და ამ ტოპონომთან მიმართებაში. წინა ტომში ჩვენ მივუთითეთ აჭარის ერთ -ერთი რაიონის, კერძოდ ხელვაჩაურის გაჭანებული კენებისადმი მიკუთვნებულობა ... არაა გამორიცხული, რომ აჭარის მთელი მოსახლეობა - ეს ტრაპიზონდის მთიანეთიდან აქეთკენ გადმოადგილებული ჭანები-ხალდები იყვნენ...(68)აი ასეთი სურათი იხატება ჭანებთან მიმართებაში...არ შეიძლება არ აღინიშნოს ჭანების კიდევ ერთი თემის, უბიხების შესახებ. როგორც ირკვევა, ისინი თავანკარა ჭანები არიან, თუმცა მათი ისტორია აშკარად განსხვავებული შუმერულ-ბაბილონური -ხალდებისაგან. ამასთან, მათი ისტორია სხვადასხვა ავტორების მიერ სრულიად მცდარად დაკავშირებული აბასკებთან, ამდენად აბაზგებთან ერთადვე იქნებიან განხილულნი...

...და ვინ შეიძლება იყოს მესამე მდგენელი ამ გაერთიანებისა? ის რომ გაერთიანება ურარტუ სამი ტომისაგან შედგება , თვალნათლივ გვიჩვენებს სამი ღმერთის არსებობა, რომელთაგან მხოლოდ ერთი-ხალდი ჩანს შუმერებისს-ხალდეველებისა...

„მის (არტეი, მიდიელთა მეფე) დროს დაიწყო დიდი ომი მიდიელებსა და კადუსიელებს შორის, შემდეგი მიზეზით: იყო სპარსელი პარსონდი, ცნობილი ვაჟკაცობით, საზრიანობით და სხვა ღირსებებით. მეფის მეგობარი და უდიდესი გავლენის მქონე სამეფო საბჭოში...როდესაც ის მეფემ გაანაწყენა რომელიღაც სასამართლოზე, ის გაიქცა 3 ათასი ფეხოსანთან და ათას ცხენოსან ჯართან ერთად კადუსიელებთან, რომელთა შორის მისი დის ქმარი იყო ყველაზე მძლავრი დინასტთა შორის იმ ადგილებში, გახდა რა

მოჯანყე ასეთნაირად და დაჯერა ყველა კადუსიელი, რომ ებრძოლათ თავისუფლებისათვის. ის აირჩიეს სტრატეგად (სარდლად) თავისი სიმამაცის გამო. შემდგომ, შეიტყო რა რომ მის საწინააღმდეგოდ შეიყარა დიდი ჯარი, მან შეაიარაღა მთელი ხალხი კადუსიელებისა და დადგა ბანაკად გადასასვლელთან, მიმავალი მის ქვეყანაში, ყავდა რა არანაკლებ 20 მირიადი ჯარი. მეფე არტეი გაემართა მის წინააღმდეგ 80 მირიადი (69) შეიარაღებული ჯარით. მან (პარსონდმა) ომში დახოცა 5 მირიადზე მეტი, ხოლო დანარჩენი ჯარი მიდიელებისა გაამევა კადუსიელების ქვეყნიდან. იმდენად განაცვიფრა ადგილობრივნი გამარჯვებით, რომ ის არჩეულ იქნა მეფედ, მიდიასაც პერმანენტულად არბევდა და ყოველ მის მიწას აჩანაგებდა. ფლობდა რა უდიდეს ავტორიტეტს მოხუცობამდე, როდესაც უნდა დაეტოვებინა წუთისოფელი, მან მოიხმო ტახტის მემკვიდრეები და უანდერძა მათ, რომ არასოდეს შეეწყვიტათ მტრობა კადუსიელებისა მიდიელებთან; თუ დადგება თანხმობა ამ ორ ხალხს შორის, მაშინ დაე დაიღუპოს მთელი მისი მოდგმა და ყველა კადუსიელი. ამიტომაც კადუსიელები ყოველთვის მტრობდნენ მიდიელებს და არასოდეს არ ემორჩილებოდნენ მათ მეფეებს, მანამ სანამ კიროსმა არ გადაადგილა ჰეგემონობა სპარსელებისაკენ... არტეის სიკვდილის შემდეგ მიდიელებზე ბატონობდა არტინი, 22 წელი იმეფა და შემდგომ ასტიბარი 40 წელი, რომლის დროსაც პართებმა, მიდიელთაგაან განდგომილებმა, მისცეს ქვეყანა საკებს. ამიტომაც დაიწყო ომი მიდიელებსა და საკებს შორის და მრავალი წლის გაბნმავლობაში მოხდა არცთუ ისე მცირე ომი და მასსა ურთიერთის ხოცვა. საბოლოოდ დადებული იყო ხელშეკრულება შემდეგი პირობით: პართები უნდა ყოფილიყვნენ მიდების მორჩილნი და ორსავე მხარეს მფლობელობაში დარჩენილიყო ის მიწები, რომელსაც ისინი ფლობდნენ ომამდე და ყოფილიყვნენ მეგობრები და მოკავშირეები მარად“ (პერსიკა-ასირიიკა, კტესია კნიდელი, წიგნი 6-3)

უნდა აღინიშნოს, რომ კტესია კნიდოსელის წიგნების ფოტიისეული ვერსია დიდ ნდობას ვერ იმსახურებს ზოგიერთ ასპექტში, თუმცა იგივე ფოტიისეული ინტერპრეტაციებიც კი მრავალ სასარგებლო ცნობებს შეიცავენ (70) თვით პარსონდის გაბრაზებას მიდიის მეფეზე და მის ლტოლვას საინტერესო წინარე ისტორია გააჩნია:

„როცა მიდიელებზე ზეობდა არტეი, ასირიის მეფის სარდანაპალის შემცვლელი, (71) მიდიაში ცხოვრობდა მავანი პარსონდი. ადამიანი ცნობილი თავისი ვაჟკაცობით და ღონით, აღზევებული თავისი კეთილგონიერების და ფიზიკური სილამაზის გამო, მეფესა და სპარსელებთა შორის, საიდანაც იყო წარმოშობით. ის იყო ნადირობისა და მხეცთა ჭერის დიდოსტი, შეუდარებელი ხელჩართულ ბრძოლაში თუ ეტლებით ომისას, აგრეთვე

ცხენზე ამხედრებული. ერთხელ მან ნახა ბაბილონელი (მეფე) ნანარი მდიდრულ ტანისამოსში, მძივებით ყურებზე, სუფთადგაპარსული. ის ქალს ემსგავსებოდა და ისეთივე სუსტი იყო. განიმსჭვალა რა მის მიმართ ზიზღით, პარსონდმა დაუწყო მეფეს დარწმუნება, წაერთმია მისთვის ძალაუფლება და გადაეცა მისთვის. მაგრამ მეფემ ვერ გადაწყვიტა გაენაწყენებინა ბაბილონელი და დაერღვია არბაკის დაწესებული. ორჯერ თუ სამჯერ მიმართა ასეთი თხოვნით არტეის და მიიღო მისგან უარყოფითი პასუხი, პარსონდმა შეწყვიტა თავისი ცდები. ყოველივე ეს არ დარჩა საიდულოდ ნანარისათვის. გაიგო რა პარსონდის განზრახვის შესახებ, ის შეჰპირდა წვრილ ვაჭრებს, ყოველთვის დიდი რაოდენობით თანმხლებლებს მისი ჯარისა, მდიდრულ საჩუქრებს, თუ რომელიმე მათგანი მოახერხებდა პარსონდის შეპყრობას; როგორღაც მოხდა ისე, რომ პარსონდი ნადირობისას ძალიან დაშორდა მეფეს და გამოვიდა ვაკეზე, განლაგებული ბაბილონის ახლოს. თავისი მსახურები მან გააგზავნა ახლო მდებარე ტყისაკენ, უბრძანა მათ ეყვირათ და ეხმაურათ, გამოერეკათ ნადირი მინდორში. ასე მან მოინადირა მრავალი ტახი და ირემი...საბოლოოდ, გამოეკიდა რა გარეულ ვირს, ის დაშორდა თავისიანებს და აგრძელებდა დევნას მარტოკა, ჩააჭენა კიდეც ბაბილონში იმ ადგილას, სადაც იყვნენ ნანარის წვრილვაჭრები, რომლისაგანაც მეომრები საჭირო საქონელს იძენდნენ. პარსონდმა სთხოვა მათ დარწყულება, რადგან დევნისას ძალიან მოწყურებოდა. ისინი სასწრაფოდ მივიდნენ პარსონდთან, დაუსხეს სასმელი, ჩამოსხეს ცხენიდან და შეთავაზეს საჭმელი. მთელი დღის ნანადირევი პარსონდი დაეთანხმა მათ და სთხოვა მათ დაჭერილი ვირი მეფე (არტეისათვის) და მსახურებისათვის გაეგზავნათ, ტყეში დარჩენილთათვის და ეთქვათ თუ სად იმყოფება მათი პატრონი. ვაჭრები დაჰპირდნენ, რომ ყველაფერს შეასრულებდნენ, დასვეს პარსონდი, გაშალეს სუფრა მის წინ, დაულაგეს სხვადასხვა საჭმელი და დაუსხეს დასალევად ყველაზე ტკბილი ღვინო, სპეციალურად გაუზავებელი, რომ პარსონდი დარჩენილიყო. ნასადილევმა პარსონდმა მოითხოვა ცხენი, რომ წასულიყო მეფესთან. ხოლო ვაჭრებმა მოიყვანეს ლამაზი ქალები, აჩვენეს ისინი პარსონდს და შეთავაზეს აქ დაწოლილიყო მათთან, ხოლო დილით წასულიყო. პარსონდმა დაინახა რა ეს ქალები, დარჩა მინდორში ღამის სათევად. ქალებთან ურთიერთობით დაღლილს ჩქარა ჩაეძინა. მაშინ ვაჭრებმა გაიყვანეს მასთან მწოლარე ქალები და ყველა ერთად დაესხა თავს, შეკრეს და მიიყვანეს ნანართან“ (იქვე)

ნანარმა (ბაბილონის მეფემ) პარსონდი არ მოაკვლევინა, თუმცა მისი მოფიქრებული სასჯელი სიკვდილზე უარესი იყო თავმოყვარე ვაჭკაცისათვის: მან პარსონდი საჭურისებს ჩააბარა და მისი მამაკაცობის ყოველგვარი გარეგანი ატრიბუტიკის მოშლა უბრძანა... საჭურისებმა დაუწყეს პარს-

ონდს დღეში ორჯერ ბანა და სხადასხვა ნელსაცხებლებით მისი დაზელ-ვა. მოაშორეს თმა მთელ სხეულზე, გარდა თავისა, თმები თავზე ქალის მსგავსად გააშვებინეს, არფას და ლირაზე დაკვრა ასწავლეს...მოკლედ, შე-ძლეს მისი უფრო განაზება და უფრო ქალური გახადეს, ვიდრე თავად ნანარი იყო...

პარსონდმა შეძლო არტეისათვის ეცნობებინა საკუთარი უბედურებ-ის შესახებ. არტეის ბრძანებით ნანარი იძულებული შეიქმნა გაენთავისუფ-ლებინა პარსონდი და გაეგზავნა მისთვის სუსაში. პარსონდი(72) ისევ ვაჟ-კაცურ იერ დაბრუნებული ცდილობდა მიეღწია ნანარის დასჯისათვის, მაგრამ მან დიდძალი ფული გაიღო არტეისთან და თავი გადაირჩინა. უფ-რო მეტიც, მან ასევე დიდი საფასური გადაუხადა პარსონდს მიყენებული წყენის ასანაზღაურებლად...მაგრამ:

„პარსონდმა თავი გააქნია და თქვა: დაწყევლილ იყოს ის, ვინც პირველ-მა აღმოაჩინა ოქრო ადამიანთა ჯიშის გასანადგუებლად....და პარსონდი ელოდა შესაფერის დროს, რომ შური ეძია, თუ შესძლებდა საჭურისისა და ნანარისათვის“ (პერსიკა, წიგნი I-VI, F 6 B NIQ< DAMAS)

და რა კავშირი აქვთ პარსონდს და კადუსიებს ჩვენს მიერ ანონსირე-ბულ გელების კიდევ ერთ (უცხო) ქართველურ ტომთან?

„მდინარე მანდრი, ხინდრი, ხოლო შემდეგ ხორასმი, განდარი, პარიანი, ზარანგი, მარიტიანი, არსი, გელები, რომლებსაც ბერძნები კადუსიელებს უწოდებენ...“ (პლინიუს უფროსი, წიგნი VI;XVII-48)

გელები, რომლებსაც ბერძნები კადუსიელებს უწოდებენ, ამბობს პლი-ნიუს უფროსი, ამასთან პლინიუს უფროსის თხრობის მანერიდან გამომდ-ინარე გაძნელებულია ზემოთ ხსენებული ტომების დარაიონება: თუმცა მის მიერ არსების ხსენება, საძიებელ არეალს ამცირებს-არსების- აორსების ქვეშ მასთანაც და სტრაბონთანაც ხაზარები იგულისხმება. ამასთან, ხორას-მები ეს სავარაუდოდ ხოროსანის ოლქი უნდა იყოს, დღევანდელი თურქ-მენეთი...შესაბამისად, გაძნელებულია გელების, პლინიუსის სიტყვებოთ კა-დუსიების საცხოვრისის განსაზღვრა, მაგრამ...

„ერატოსთენეს მიხედვით, ბერძნებისათვის ცნობილი გზა ამ ზღვის (კასპ-იის) ირგვლივ, ალბანებისა და კადუსიების სანაპიროსთან შეადგენს 5400 სტადიონს“ (სტრაბონი, წიგნი XI; VI-1) და....

“ამ ფერდობებზე, ზღვიდან მთების მწვერვალებამდე არცთუ დიდ ფართ-ობზე ცხოვრობენ ნაწილი ალბანებისა და არმენებისა, მაგრამ უდიდეს ნა-წილს ფერდობისას იკავებენ გელები, კადუსიები, ამარდები, ვიტები (უტი-ები-უდები) და ანარიაკები“ (იქვე, VII-1) და კიდევ...

„ეს სიმაგრე მდებარეობს 2400 სტადიონის დაშორებით მდინარე არაქსიდ-ან, გამყოფი არმენიისა და ატროპატენასი...მთელი რაიონი, ქვეყანა ნაყოფ-

იერია, გარდა ჩრდილოეთისა-მთიანი, მკაცრი და სუსხიანისა. აქ ცხოვრობ-ენ მთიელი ტომები, კადუსიები, ამარდები...“ (იქვე, XIII_3)

… და დამაგვირგვინებელი:

„როგორც ამბობენ, ალბანების ზემოთ მთებში ბინადრობენ ამაზონები. ფე-ოფანი, რომელიც მიაცილებდა პომპეუსს ლაშქრობაში ალბანთა ქვეყანაში, ამბობდა რომ სკვითების ტომი გელებისა და ლეგებისა ცხოვრობენ ამაზ-ონებსა და ალბანებს შორის“ (იქვე; V-1)

ცხადზე ცხადია, რომ პლინიუს უფროსი აბსოლუტურად მართალია და კადუსიები მართლაც გელები არიან...ასევე ცხადია, რომ ეს გელები ძი-რითადად ჩრდილო კავკასიაში ცხოვრობენ...(73) ასეთი მონაცემების ტომი უძველესი დროიდან ჩრდილო კავკასიაში ინგუშები არიან, ხოლო ამიერკ-ავკასიაში ჰერები (დღეს ინგილოებად წოდებულნი, თვინიერ ლაგოდეხის რაიონისა) ინგილოები ...პარსონდისეული ჩასაფრების ვიწრო ადგილი, გა-დასასვლელი - მხოლოს დერბენტის ვიწროები შეიძლება იყოს, ჯერ კიდევ დერბენტის ციხე- სიმაგრის გარეშე, რომელსაც ორნახევარი საუკუნის შემ-დეგ ალექსანდრე მაკედონელის ბრძანებით აშენებენ ...

საკმაოდ საინტერესო და ჩახლართული სიუჟეტია...ამასთან, მისი გაშიფრვა შეიძლება რამდენიმე ისტორიული „თეთრი ლაქის“ წაშლაში და-გვეხმაროს...უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმ თარიღის განსაზღვრა, რა პერიოდშიც ზემოთ აღწერილი მოქმედება ხდება...ჰეროდოტეს მიხედვით (ეს ავტორი გამოირჩევა სკრუპულოზული სიზუსტით) მიდიელების სახელ-მწიფოებრიობა (სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტით) სულ 150 წელს ითვლის...სულ ოთხი მეფე ჰყავდა მიდიას, სანამ ის კიროს-ის (მიზანმიმართულად არ ვამბობ სახელს, რამეთუ ის დასაბამიდან სპა-რსული არ ყოფილა) კუშიტურ იმპერიის შემადგენლობაში არ მოექცა ... მიდიელთა პირველი მეფე, დეიკოსი ზეობდა 53 წელს , მისი მემკვიდრე-ფრაორტესი-22 წელს... ფრაორტესის შემდეგი მეფე კიაქსარესი იყო, ზეობ-და-40 წელი, მემკვიდრე ასტიაგესი ზეობდა -35 წელი ... სულ მიდიელთა სახელმწიფოებრიობა გაგრძელდა 150 წელი... დაკარგა მიდიელამა ასტიაგ-ესმა და მოიპოვა კუშიტმა კიროსმა მეფობა ქრისტემდე 559 წელს. გამოთ-ვლა წლებისა, თუ რომელი მიდიელი მეფე რომელ წელს ზეობდა, მარტ-ივია...ასტიაგესი 559 -594 წელი; კიაქსარესი 594-634 წელი; ფრაორტესი 634-656 წელი; დეიკოსი 656 -709 წელი; ესაა მიდიის საელმწიფოებრიობის 150 წლის მთელი ისტორია...

წინა ეპიზოდში პარსონდის შესახებ მეფე არტეიზეა საუბარი, ამან არ უნდა შეგვაცბუნოს : ეს კტესიას შემდგომი გადამწერის, ფოტიისეული „შემოქმედება“ ჩანს, რომლის მიხედვითაც მიდიას ორჯერ მეტი რაოდენ-ობის მეფე და თითქმის ორჯერ მეტი დამოუკიდებლობის ისტორია აქვს...

სინამდვილეში, მიდიის ეს მეფე არტეი, რომელმაც ამავე ეპიზოდის მიხედვით ასირიელთა მეფე სარდანაპალი ჩაანაცვლა, თავად გახლავთ არბაკიც და კიაქსარესიც... შესაბამისად : არტეი=არბაკს=კიაქსარესს .. .და როდის ხდება ის მოქმედება - ეპიზოდი, დაკავშირებული პარსონდთან? ვინ არის ბაბილონის სუზერენი ნანარი, რომლის ადგილსაც ის ითხოვს?...დავუბრუნდეთ ასირიის დამხობის ეპიზოდს მიდიელთა და ბაბილონელთა მიერ: **"ამ დროს ნინევიის წინ იდგა მრავალეროვნული სამხედრო კონტინგენტი წლის ამოწურვასთან დაკავშირებით შეცვლილი. მიდიელებს ხელმძრვანელობდა არბაკი (მეფისნაცვალი ასირიისა) ბაბილონელებს ბელეზერი, რომელიც ამავე დროს წინასწარმეტყველიც იყო. არბაკი და ბელეზერი ისვენებდნენ შუადღეს, ბელეზერს დაესიზმრა ორი მოლაპარაკე ცხენი, რომელთაგან ერთმა ფუნა მიაყარა არბაკს. მეორე ცხენის შეკითხვაზე, თუ რატომ გააკეთა ეს, უპასუხა რომ არბაკი სამყაროს (მცირე აზიის) მფლობელი გახდებოდა. გამოღვიძებულზე ბელეზერი ეკითხება არბაკს, რას უწყალობებს არბაკი, თუ ის დაეუფლება კილიკიას...მერე ბაბილონს...მერე თუ გახდება სარდანაპალის (ასირიის მეფე) მემკვიდრე. შეკითხვების მიმდევრობის კვალობაზე, არბაკი საზეიმოდ შეჰპირდა ბელეზერს ბაბილონს და დაამტკიცეს ხელის ჩაკვრით...**

მაგრამ არბაკი -კიაქსარესი ისტორიულად ქრისტემდე 634 წლიდან ითვლება მიდიის მეფედ, ბელეზერი - ნაბოფალასარი 626 წლიდან თავს ბაბილონის მეფედ აცხადებს...და ამავე სიუჟეტიდან გამომდინარე , ისინი თვითმპყრობელი მეფეები მაინც არ ჩანან...ერთი ვასალური მიდიის მმართველი-მეფე ჩანს, მეორე ბაბილონისა...ასირია-სუზერენი მცირე აზიისა და მათ შორის მიდიისა და ბაბილონისა...

...და...და მიდიის მეფე არტეი=არბაკს=კიაქსარესს (634 – 594 წელი) და ბაბილონის მეფე ნანარი= ბელეზერს= ნაბოფალასარს (626 - 605 წელი)... ზემოთ აღწერილი ეპიზოდი პარსონდისა, ხდება ქრისტემდე 612 წელს, კიაქსარესისის და ნაბოფალასარის მიერ (სკვითების დახმარებით) ასირიელების დამარცხებისთანვე ... იმიტომ რომ პარსონდი მთელი 7 წელი ყავდა ნანარს ტყვედ, ხოლო 605 წელს ნანარი - ნაბოფალასარი უკვე ცოცხალი აღარაა... (არსებობს კიდეც ვერსია, რომ პარსონდმა გაქცევამდე ნანარი-ნაბოფალასარი მოკლა კიდეც...ეს უკანასკნელი ისტორიული ვერსიით გარდაიცვალა ლაშქრობისას, მაგრამ არა ბრძოლის ველზე! ხოლო პარსონდი ზუსტად ამ ლაშქრობიდანვე შეიძლება გაქცეულიყო, საკუთარი ოთხი ათასი ქვეითი და ათასი მხედრის თანხლებით... ყოველ შემთხვევისათვის, მოლაშქრე მეფის მოულოდნელი სიკვდილი საეჭვოა, რბილად რომ ვთქვათ... და კიდევ, მიდიასა და პართიის მტრობა და ომები მხოლოდ კიროსამდელი შეიძლება იყოს, ქრისტემდე 559 წლამდე...ამის შემდეგ ორივე ცალკეულ სა-

ტრაპიას წარმოადგენს კიროსის კუშიტური იმპერიაში და მათ შორის ომი გამორიცხულია...რაც შეეხება საკების მიმართებას პართიასთან, რომ ეს მათი დახმარებით მოხდა პაერთიის იმპერიად ქცევა- ეს ფოტიის ჩამატებული უნდა იყოს კტესიას თხრობაში, რამეთუ ეს მოქმედება ქრისტემდე III საუკუნეს ხდება...

…და მაინც ვინ შეიძლება ყოფილიყო პარსონდი? პარსონდს კტესია და შემდგომი ანტიკური მწერლები სპარსელად ასახელებს, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს-უკლებლივ ყველა ქართველური ტომი მცირე აზიაში სპარსელებად ან არაბებად სახელებდნენ... გარკვეული მინიშნება ღმერთების ტრიადიდან ერთ-ერთმა უნდა მოგვცეს:შივინი...ამ ღმერთის ქვეშ ინდუზმის ღმერთი შივა უნდა იგულისხმებიდეს, რომელზეც რუდრა და შარვა ტრანსფორმირდება...და ზუსტად პამფილებთან აღირიცხება X საუკუნის ეკთესიასტებში ევდოკიადის საეპისკოპოსო...საეპისკოპოსო, რომელიც თორეტებს და ვანახებს მოიაზრებს...ვფიქრობ, აქედან წამოსულ კიზიკელებს -კამბედანას აფიქსირებს ისიდორე ხარასკელი II სუკუნე ქრისტემდე გაცილებით სამხრეთით, ვიდრე დღევანდელი ქიზიყია ... მაგრამ პარსონდის ტომობრივ მიკუთვნებულობას მარტო ურარტელთა მესამე წარმომადგენელის ღვთაება შივინი ვერ გადაწყვეტს: VI საუკუნეს ქრისტემდე ასტიაგესის, მიდიის ყოფილი მეფის შინაპატიმრობის ადგილად...ბარკანია ითვლება, რომლის ადილი ისტორიაში ჯერ კიდევ არაა გარკვერული, თუმცა დანამდვილებით იციან, რომ ეს გირკანია არ არის...ამ სიტყვის ქვეშ დღევანდელი ბორკ-გელის პირდაპირი თარგმანი შეგვიძლია ამოვიკითხოთ ...(74) თუმცა კადუსიების საკუთარი თვითწოდება ანტიკურმა ავტორებმა იციან და ეს გელია...ბერძნული სამყარო მათ ლიკიად და ლიკაონიად (ბერძნულ სამგლეთად) იცნობს, თუმცა ისინი საკუთარ თავს საერთო ქართველურ გელებად- მგლებად იხსენიებენ...ჰირკანებს - გორგანებს ეძახდნენ მათ სპარსეთში, რაც სპარსულ ენაში ასევე სამგლეთს ნიშნავს. ბარკანიად და ბორკანებად იხსენებიან ჩრდილო კავკასიაში დაბინადრებული გელები...მხოლოდ ერთ ადგილას, თემურ-ლენგის მემატიანის, შერეფ - ედ - დინ ალი- ეზდისთან მათ არკუდანი ჰქვიათ. (როგორც ჩანს, არკუდან - ბარკანიის ალი-ეზდისეული დამახიმჯებული ფორმაა, მავან ავტორთან ინდუშსაც წავაწყდი)

...და ერთი უცნაურობა მთელს ამ ისტორიაში: პარსონდი, რომელმაც დიდი ხანი იმეფა, სამუდამო მტრობის ანდერძს უტოვებს კადუსიელებს-გელებს, მიდიელებთან, თუმცა მას შეურაცხყოფა ბაბილონელმა ნანარმა მიაყენა. რატომ? სავარაუდოა, რომ პარსონდმა იცოცხლა ქრისტემდე 585 წელს აქეთაც, როდესც მიდიის სახელმწიფომ ურარტუ გაანადგურა, მათ შორის სავარაუდოდ პარსონდის თანამემამულებიც...გამოუცნობი იყო ჩემთვის, როგორ და რა ისტორიული პროცესის შედეგად და როდის მოხდა

ჩეჩენი ეთნოსის მოხვედრა ჩრდილო კავკასიაში... რასაკვირველია, ერის ტომის ერთბაშად გადასახლება სპონტანური მოვლენა არ და მას ისტორიული პროცესი განსაზღვრავს ... დღეს დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩეჩენი ეთნოსი განთავსდა ჩრდილო კავკასიაში ქრისტემდე 605 წელს და ისინი ევდუსიანელები, თორეტები-ვანახები არიან

შენიშვნები

1.ევროპულ ისტორიოგრაფიაში ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ მოქმედება ვითარდება ქრისტემდე XV საუკუნის ინდოეთში ... ამასთან, უგულებელყოფილია ის ფაქტები, რომ ბევრი ცნობადი ტომი ჯერ კიდევ იქ, ინდოეთშია მოხსენიებული, მაგალითად სკვითები და ყივჩაღები ... ყივჩაღების შესახებ ცნობები ფაქტიურად XII საუკუნემდე ქრება ისტორიის თვალთახედვიდან ...რაც შეეხება სკვითებს, მათ შესახებ ცნობების მოძიება შესაძლებელია არა უგვიანეს XIX საუკუნეს ქრისტემდე, თანაც ეგვიპტის დამპყრობლების სახით, საიდანაც ისინი მცირე აზიიდან ხვდებიან... ამასთან, სავსებით უგულებელყოფილია ის ფაქტი, რომ ეპოსის გმირი კარნა, ასევე მეორე გმირ შალიასთან სიტყვიერ კენწლაობაში ახსენებს არატტას ტომს (სავარაუდოდ სპარსელებს) ინდოეთისაგან დასავლეთით...და ამავე ტომი არატებისა და მათზე ლაშქრობის შესახებ მოთხრობილია შუმერულ უძველეს წყაროებში, რომელიც აშკარად ქრისტემდე XV საუკუნეზე გაცილებით ადრე მოეწყო შუმერების მიერ იმავე არატტაში... თავად ინდური გამოთვლებით, ეპოსის ძირითადი მოქმედება, კურუქშეტრას ბრძოლა ხდება ქრისტემდე 3102 წელს...ის, რომ ეპოს „მახაბხარატას“ სიუჟეტი და მასში მოთხრობილი ამბავი სინამდვილის გადმოცემაა (ხშირ შემთხვევაში ჰიპერბორიზირებულისა) საეჭვო არც უნდა იყოს: ქვეყანაში, სადაც მიზეზთა და მიზეზთა გამო არ არსებობდა დამწერლობა, ცოდნის (ძირითადად ეპოსის) გადაცემა ხდებოდა ზეპირად, გონებიდან გონებაში... და სწავლების ამ პროცესს სრულიადაც არ უჩანდა სპონტანური ხასიათი-ის გარკვეულ მეთოდიკაზე იყო დაფუძნებული ... ასე მაგალითად, ბრახმანი, რომლის განათლების დონეს და შესაბამისად ცენზს (როგორც ჩანს) ძირითადად განსაზღვრავდა წინამდებარე ეპოსის ცოდნა-ცოდნა ბუკვალურად, რომ არ მომხდარიყო მისი დამახინჯება თაობებზე გადაცემის პროცესში ... უნდა აღინიშნოს, რომ ბრახმანის მიერ მისი მოწაფის მომზადება-სწავლების პროცესი მოიცავდა მთელ...37 წელს ... ვის მოუვიდოდა აზრად 37 წელი ესწავლებინა ზღაპარი? ალბათ არც არავის ... სწავლის მთელი ეს პროცესი მიზნად ისახავდა ეპოს „მახაბხარატას“ დაზეპირებას იმ დონემდე, რომ ახალგამომცხვარ ბრაჰმანს შეძლებოდა იმავე ცოდნის ასევე სრულყოფილად და დაუმახინჯებლად გადაცემა უკვე საკუთარი მოწაფეებისათვის...

2. კოლხაპურის კოლხების ყოფილ ქალაქად აღქმა ეჭვსაც კი არ უნდა იწვევდეს: ხასტინაპური, ეს კურუს დინასტიის სამკვიდრო ქალაქია, ეპოს „მახაბხარატას“ მთავარ მოქმედ გმირთა, კაურავების და პანდავების სამშობლო. ხასტინი-ეთნარქის სახელი ჩანს (თუმცა ის ჰინდუ ენაზე სპილოს ნი-

შნავს. სავარაუდოდ ასევე ეძახდნენ ტომის დამფუძნებელს, ტანადობით სპილოსთან მსგავსების გამო) სახელის თანხვედრამ დედაქალაქის სახელი სპილოს ქალაქად აქცია. (სავარაუდოა, რომ ამავე ქალაქის სახელის თარგმნა უკვე ინდოევროპულ ენაზე ელეფანტინა-ეგვიპტეში აქედანაა გადმოსული)...უფრო თანამედროვე დასახელების და მსგავსი ქალაქი სინგაპურია, რომელიც სიმღერის (მხიარულების და ბედნიერების) ქალაქს ნიშნავს... ამასთან ქალაქი კოლხაპური ოდითგანვე დაკავშირებული იყო შაკტის კულტთან. შაკტი - ინდუისტურ (ვედურ) რელიგიაში ყოველგვარი ქალური საწყისის (ღმერთების, ადამიანების, ცხოველების) განსახიერებაა. მოგვიანებით, შაკტიზმი ჩანაცვლებულ იქნა ლაქშმიზმით. ლაქშმი- უკვე თანამედროვე ინდუისტურ რელიგიაში, ზუსტად იმავე პრინციპებზეა დაფუძნებული-ქალურ საწყისებზე ყოველგვარ სულიერში.... რასაკვირველია კოლხაპურის-კოლხთა ქალაქის სიტყვათა უბრალო დამთხვევად მიჩნევა შეიძლებოდა, მაგრამ...მაგრამ იგივე კოლხების მთავარი სამისნო და სალოცავი საბერძნეთში (დღევანდელ ეპირსა და ყოფილ კოლხეთში) დოდონაა-უცილობლად დიდი ნანა, რომელიც ასევე ქალური საწყისის აპოლოგეტია...

3. სავარაუდოდ დედამიწის შვიდ კუნძულად წარმოსახვა - ადამიანთათვის „გარედან“ მიწოდებული ინფორმაცია ჩანს, რომელიც დედამიწის წყლოვან ზედაპირზე შვიდ ცალკეულ „კუნძულს“, კონტინენტს აფიქსირებს: ევრაზია, აფრიკა, ავსტრალია, ჩრდილო ამერიკა , სამხრეთ ამერიკა, არქტიკა და ანტარქტიკა...

4. აღმოსავლეთ ინდოეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმართულება ნაცვალ არჯუნას ნამდვილად მოუწევდა მაღალი მთების დაძლევა, მათ შორის ჰიმალაის მთების სისტემისა...

5.ბხიმას მიერ დალაშქრული ვიდეხების სამეფო-სახელწარმომქნელი უნდა იყოს ვინდხას მთიანი ზეგანისა, ცენტრალური ინდოეთის სიახლოვეს, მისგან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

6. სავარაუდოა, რომ არჯუნას საომარი ტრასსა არ კვეთავს ნაკულას ასეთივე ტრასსას და მას ამჯერად აბხისარებთან შეტაკება არა ჰქონია...მაგრამ არჯუნას აშკარად უჩანს შეტაკება აბხისარებთან ადრე, როდესაც ის ებრძვის მათ კაურავების (დურიოდხანას და მისი მეუღლის) გამოსახსნელად... აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ეპიზოდი ეპოს „მახაბხარატის“ შლოკებში (ტაეპებში) ასახვას ვერ პოულობს-სავარაუდოა რომ ეპოსი ამ გზით „აპრავებს“ არჯუნასა და აბხისარ-განდხარვების წარსულ შეტაკებას...

7. არ ჯდება ნაკულას საომარ ტრასსაში და მადრების ტომზე მისი გავლა დღევანდელ სინამდვილეში, როდესაც მადრები და მადრასა გაიგივებულია ერთმანეთთან და ისინი ინდოეთის სამხრეთ ნაწილში არიან დაფიქსირებულნი...

8. ტომის სახელი სხვადასხვა ინტერპრეტაციით : ბერბერე, ბერბერი, ბებრიკი და ბარბაროსა ანტიკურ ლიტერატურაში სვანური ტომის აღმნიშვნელია ... უნდა აღინიშნოს, რომ ბარბაროსი ელინთა გაგებით არაბერძნული ტომია მხოლოდ და სხვა დატვირთვას ფაქტიურად არც ატარებს...
9. როგორც ზემოთ აღინიშნა ტერმინ განდხარას ქვეშ ასევე განდხარვების ტომი უნდა იგულისხმებოდეს. საინტერესოა, რომ სამი განდხარვული ტომი: კუში, კოსალი, და შონა ეპოს „მახაბხარატაში“ არსად განდხარვებად არაა მოხსენიებული, მაშინ როდესაც აბხისარები და მანასის ტბის პირას მცხოვრებნი ცალკეულ ეპიზოდებში მოხსენიებული არიან განდხარვებად. ჩანს, მათივე რანგს მიეკუთვნება განდხარაც, სადაც აშკარად იკითხება ეს სახელი...როგორც ჩანს, ამ მოვლენას გააჩნია ობიექტური მიზეზები... (ამ თემაზე უკვე მესამე ტომში, წიგნის დასკვნით ნაწილში ვისაუბრებთ) ...სხვა განდხარვული ტომებისაგან განსხვავებით, რომლებიც გამოუკლებლად ყველა კშატრიები (მეომრები) ჩანან, აბხისარ-კენები (ფინიკიელებად წოდებულნი) ვეიშები ჩანან. (ვეიშა, ეს ძირითადად მეჯოგეობით, ხელოსნობით, და ვაჭრობით დაკავებული ტომია, თუმცა არც მეომრის პროფესიაზე ამბობს უარს და ამის სრული უფლებაც გააჩნია. სწორედ მეჯოგეებად ახსენებს ეპოსი აბხისარ განდხარვებს, რომელთაც კაურავები კარნას მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს. ისინი ჩანან პირველი გემის ამგები და ზღვაოსნები. ზუსტად მათი ნაოსნობის შედეგად გაიხსნა დანარჩენ ადამი-ანთათვის (და რასაკვირველია პირველ რიგში განდხარვთათვის) რომ მსოფლიო ინდოეთით არ მთავრდება! ეს მათი პროპაგანდის შედეგი ჩანს დანარჩენი მსოფლიოს პირველი ათვისების მცდელობა (ჭან-კოლხების და იბერების გასახლება ვენეციაში ვერ მიეწერება მსოფლიოს ათვისების მცდელობას. ამ გადასახლებას სულ სხვა მიზანი და მიზეზი უჩანს, უფრო მეტიც, ეს გადასახლება ჭან -კოლხების და იბერების გადაწყვეტილება არცა ჩანს...)
10. როგორც ადრე აღინიშნა, ეს სომეხმა პროფესორმა ადონცმა პირველმა აღნიშნა, რომ მცირე აზიაში ნახსენები ჩენები არ შეიძლება ჩინები - ჩინელები იყვნენ...არადა ტექსტის პირველსავე წაკითხვაზე, ყოველგვარი ადონცის სტატიის წაკითხვამდე, თვალნათელი იყო, რომ აქ საუბარი ჭანებზეა ... ალბათ ისევ და ისევ მცირერიცხოვანი ერის სინდრომი...
11. კსიუსუტრა რიგით მე-12 მეფეა ხალდეისა, მდებარე ვენეციაში, ამასთან მისი მეფობის ბოლო წელი 120-ე წელიწადია მას შემდეგ, რაც ადამიანთა ეს ტალღა გადმოვიდა ინდოეთიდან და დასახლდა ევროპაში...
12. ჩვენი კონცეფციიდან გამომდინარე, ეგვიპტის მოსახლეობა ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნებოდა ქრისტემდე 3403 წელზე ადრე არსებული...
13. სკორპიონ -II თავდასხმა ნუბიელებზე- სუდანელებზე, ამ მეფის ზეობის წლებსაც განსაზღვრავს: ერთის მხრივ ის არ შეიძლება მეფობდეს ქრისტე-

მდე XXVIII საუკუნეზე ადრე, ვინაიდან სუდან - ეთიოპიელთა აფრიკაში დამკვიდრება არ შეიძლება ამ საუკუნეზე უადრეს ჩაითვალოს... ამასთან, სკორპიონ-II მეფობა თავისთავად განსზღვრავს სკორპიო-I არსებობასაც... ქრონოლოგიური მიდევრობით (სკორპიონ II არსებული ფარაონების რიცხ-ვის გათვალისწინებით) სკორპიონ II ქრისტემდე XXXII საუკუნის ფარაო-ნი უნდა იყოს...

14. თვით ეგვიპტელთა პირველი ცხრა ღმერთის ვინაობა-რაობის განსაზ-ღვრაც კი დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს...(ამაზე წიგნის დასკ-ვნით ნაწილში)

15. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ ჰეროდოტეს მიერ გახმოვანებულს, რომ მისი დროისათვის (Vსაუკუნე ქრისტემდე) ეგვიპტელები კოლხურ ენაზე საუბრობენ...რაც შეეხება მასშტაბას-სკამს, არაბები დღესაც არ სარგებლობ-ენ ამ საგნით...

16. ოფიციალური ისტორიული ვერსიით, პირველი დინასტია ეგვიპტის ფარაონებისა გრძელდებოდა ქრისტემდე 2900-2730 წლები...

17. მენდესელთა კუთვნილება განდხარვთა ტომისადმი ეჭვს არ უნდა იწ-ვევდეს, ისევე როგორც თებესი: ეს ეგვიპტის თებედან წასულების დასახ-ლებული ჩანს საბერძნეთის ფივიადა, რომელიც ბეოტიის (ფინიკიური ტო-მის) ძირითადი ქალაქია.

18. ეს თარიღი სკვითთა ბატონობისა ეგვიპტეში, მიღებული სხვადასხვა წყაროების კრიტიკული შედარებით, საეჭვოდ ემთხვევა ეგვიპტესა და მცი-რე აზიაში ჰიქსოსთა ბატონობას და მათ წინააღმდეგ ეგვიპტელთა გამან-თავისუფლებელ ბრძოლას ფარაონების: სეკენერას, კამოსისა და იახმოსის წინამძღოლობით...

19.ჰეროდოტეს ამ ვერსიით გამოთვლილი მიდიელთა საერთო ზეობის ხან-გრძლივობა მცირე აზიაში, სხვაობას იძლევა მის მიერ მოწოდებულ სხვა ცნობებთან, 156 წელი 150 წლის სპირისპიროდ მეორე ვარიანტში.

20.შეუძლებელია ჰეროდოტეს გაცილებით სრულყოფილი ცნობები არ ჰქო-ნდეს ჰომეროსის შესახებ, რომელიც მასზე უფროსი მაქსიმუმ ორი საუკუ-ნით ჩანს...როგორც ცნობილია, ჰეროდოტეს სწორუპოვარი ნაშრომი მოღ-წეულია ჩვენამდე მხოლოდ სვიდას ლექსიკონების საშუალებით, რაც ამ გეოფრაფიულ ნაწარმოებში გვიანდელ მინარევებს, ჩანართებს არ გამორ-იცხავს ... უფრო მეტიც, ამ სტრიქონების ავტორი გადააწყდა ასეთ ცნობას შავი ზღვის ზომების შესახებ, რაც მითითებულია წინამდებარე წიგნებში...

21. კიროსთან საკების შეტაკების საკუთარ (და როგორც ჩანს სწორ) ვარი-ანტს გვთავაზობს კტესია კნიდოსელი. კტესია ათეულობით წლები სპა-რსეთის სამეფო კარზე მსაურობდა შაჰის პირადი ექიმის რანგში, რაც მას სამეფო არქივებზე წვდომის შეუზღუდავ შესაძებლობას აძლევდა.

22. საკების მცირე აზიაში დასწრებულობა აქსიომაა. ამავე წიგნის ფარგლებში შევეცდებით მკითხველისათვის ამ ხალხზე სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას.

22*.როგორც თარიღებიდან ირკვევა, ეს მეორე ლაშქრობაა სკვითებისა მცირე აზიასა და ეგვიპტეში, რამეთუ ის ქრისტემდე VIII საუკუნეს ჩანს მომხდარი, მთელი ასი წლით ადრე, ვიდრე სკვითთა ბოლო ლაშქრობა მცირე აზიაში, რომელიც ჰ ეროდოტესვე სიტყვებით ქრისტემდე VII საუკუნეს, კერძოდ 612 წელს ჩანს მომხდარი ... 717 წელს ჩანს პირველი სკლავური სახელით მეფე შაბაკა და შაბატაკა უკვე კუშის მმართველთა სიაში ... და ბოლო არაეგვიპტელი ფარაონი: თახარკა- ტირგანკა... ამ უკანასკნელი სახელის ქვეშ აშკარად იკითხება თოხარების ხეთური (ფინიკიური) ტომისადმი მიკუთვნებულობა, მაგრამ მეორე სახელი ტირგანკა დამახინჯებული ტიგრანკა, შეიძლება იბერის სკლავური აღმნიშვნელიც წავიკითხოთ...არაა გამორიცხული, რომ ეს ფარაონი ხეთებისთვის და იბერებისათვის ერთნაირად მისაღები პერსონა იყოს... ასეთ შემთხვევაში, სკვითების დევნა მასაგეტებს- იბერებს ეგვიპტიდანვე დაუწყიათ...

23. „მომთაბარე სკვითები ცხოვრობენ (ცხოვრობდნენ!) აზიაში, ომში მასაგეტების მიერ შევიწროებულებმა გადაიარეს არაქსი და მივიდნენ კიმერიელების ქვეყანაში (რადგან ის ქვეყანა, სადაც ახლა ცხოვრობენ, ამბობენ, კიმერიელებისა იყოო) სკვითები რომ თავდ დაესხნენ, კიმერიელებმა თათბირი გამართეს, რადგან დიდი ჯარი დაესხათ თავს. კიმერიელთა აზრი გაიყო, მაგრამ ორივე მხარე მტკიცედ იდგა თავისას, უმჯობესი აღმოჩნდა ბასილევსთა აზრი, რადგან ხალხის აზრით უნდა აყრილიყვნენ ქვეყნიდან და საჭირო არ იყო თავის საფრთხეში ტყუილუბრალოდ ჩაგდება. ხოლო ბასილევსთა აზრით საჭირო იყო ბრძოლა ქვეყნისათვის თავდამსხმელების წინააღმდეგ, მაგრამ არც ხალხმა მოინდომა ბასილევსების დაჯერება და არც ბასილევვსებმა ხალხისა. ხალხმა გადაწყვიტა, უბრძოლველად დატოვოს ქვეყანა და გადასცეს ის თავდამსხმელს, ხოლო ბასილევსებმა გადაწყვიტეს თავი დაედოთ ქვეყნისათვის და ხალხთან ერთად არ გაქცეულიყვნენ ... ასე რომ ფიქრობდნენ, წაიჩხუბნენ და გაიყვნენ შუაზე, ისე რომ ორივე მხარეს ბასილევსთა თანაბარი რაოდენობა დარჩა და შეებრძოლა ერთმანეთს. ამათ სულ მთლიანად ამოხოცეს ერთმანეთი, ხოლო კიმერიელმა ხალხმა დამარხა ისინი მდინარე ტირესთან (მათი საფლავები დღესაც ჩანს) ასე დამარხეს და წამოვიდნენ ქვეყნიდან, ხოლო სკვითები მივიდნენ და დაიკავეს დაცარიელებული ქვეყანა“(ჰეროდოტე, წიგნი IV-11)

ერთი პირობა მეც უაპელაციოდ მივიღე ჰეროდოტეს მიერ მოთხრობილი ეს ეპიზოდი, თუმცა ეჭვი თავისთავად გაჩნდა...გაჩნდა იმიტომ რომ გარკვეული წინააღმდეგობებია მისივე მონათხრობში:

1. თუ ის მიწები, რომლებზეც სკვითები მოვიდნენ, ადრე კიმერიელებისა იყო, როგორ თავსდება იმასთან, რაზეც თავად ჰეროდოტე საუბრობს: რომ კიროსის სკვითიაში ლაშქრობის მომენტისათვის სკვითებს ეს ტერიტორია უკვე ათასი წელია უკავით?
2. თუ კიმერიელების მიერ ყირიმის ნახევარკუნძულის ფლობაზეა საუბარი, რატომ არიან დასაფლავებული ბასილევსები ტირასის (დნესტრის სანაპიროსთან? (მკითხველს შევახსენებ, რომ ყირიმსა და მდინარე დნესტრს შორის ასეული კილომეტრია)
3. ადრეც რამდენჯერმე ვახსენე, რომ ჰეროდოტე ფლობს სიტუაციას 100-200 წლის ფარგლებში, მომხდარს მის ცხოვრებამდე, აქ კი აშკარად უფრო მეტი დრო უნდა იყოს გასული...

და რა სიტუაციები უძღვის კიმერიელების მიერ ყირიმიდან ლტოლვას? როგორც ზემოთ ითქვა, კიმერიელების მიერ ყირიმიდან ლტოლვა მოხდა ქრისტემდე 679-630 წლების დიაპაზონში და უფრო მეტი დაზუსტება უბრალოდ ვერ ხერხდება ...მაგრამ მასაგეტების-საკების-იბერების მიერ სკვითების განდევნა (როგორც ირკვევა ჯერ ეგვიპტიდან და შემდეგ) მცირე აზიიდან ხდება 690-687 წლების დიაპაზონში და ყველაფერი თავის ალაგას დგება...როგორც ჩანს, კიმერიელებმა-სინდებმა ისარგებლეს მეზობლების 27 წლიანი ლაშქრობით და ნელ-ნელა შემოიჭრნენ სკვითების ტერიტორიაზე, თავად ყირიმის ჩათვლით... ადრე თუ გვიან სინდების და სკვითების ურთიერთობა უნდა გარკვეულიყო და გაირკვა კიდეც... ეს ამ ომის შედგად დაღუპული სინდებია დასაფლავებული მდინარე ტირესის-დნესტრის პირას...(სკვითებს საკუთარი საგვარეულო, წინაპრების, აგრეთვე ომში დაცემულთა სასაფლაო აქვთ მათივე სიტყვებით)...და სინდებისაკენ გზამოჭრილ მათ ნაწილს, კიმერიელებს მხოლოდ შავი ზღვის სანაპირო უჩანთ ლტოლვისათვის... ზუსტად ასეც მოიქცნენ, როგორც ჩანს ქრისტემდე 679 წელს ... და სკვითთა ლტოლვა მცირე აზიიდან ქრისტემდე 585 წელს...სკვითებთან ერთად ადიაბენელი ასაკენებიც გამორბიან. მათი ნაწილი კაკასიის ქედის დარიალის გადასასვლელს იჭერს, ნაწილი თან მიყვება სკვითებს ყირიმში. მათ დასახლებას ტავრიდა ჰქვია, ყირიმის დასავლეთ ნაწილში... და როგორც ჩანს, მცირე რაოდენობით საკები - იბერებიც მოყვებათ. ეს მათი ქალაქია ტავრებში, დღესაც საკად წოდებული...
24.და რატომაა ეს ხალხი ბეროსისათვის ხალდები? ჯერ ერთი, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ „ხალდების“ ზეობის პერიოდს - ისინი ბეროსიდან მთელი 16 საუკუნით ადრე მეფობენ ბაბილონში ... მეფობენ იმდენად დიდი ხნით, 526 წლით, რომ ეს ისტორია უკვე ბუნდოვანი ჩანს ბეროსისათვის, თავად ხალდისთვის...ამასთან, ეს „ხალდები“ გაძევებულნი „არაბი“ მეფეებისაგან, ერთობ არაორდინალურ მდგომარეობაში მყოფნი ბრუნდებიან უკ-

ან-მცირე აზიაში...და ბედის ირონიით, თანამედროვე ისტორია, წარსულიდან გამომდინარე, მათ ხალდებს უწოდებენ ქრისტემდე IX საუკუნეს და მის შემდგომაც...სინამდვილეში ისინი ფრიგიელები არიან...

25.რასაკვირველი სპარეტრას მიერ შეკრებილი მოლაშქრების რიცხვი ერთიათად გადიდებულია...სპარეტრამ ალბათ 30 ათასი საკი მხედარი შეაგროვა, მაგრამ ვინ არიან 20 ათასი ქალი მოლაშქრეები? ზოგიერთ ანტიკურ ავტორთან მითითებულია კიდეც, საკების ქალები მამაკაცებივით იბრძვიანო - მაგრამ ჩვენ ამაზონების ტომებიც სადღაც აქეთ გვეგულება... ის რომ მოლაშქრეთა რიცხვი ათჯერ გადიდებულია, აშკარაა იქიდანაც, რომ განთავისუფლებული ამორგი მხოლოდ 20 ათასი საკი მეომრით ეხმარება კიროსს.

26. დაიები- დახები-დერბიკები ეს ერთდაიგივე ასირიული ტომი უნდა იყოს, კიროსი ფაქტიურად კუშიტი და მათთან აფილირებული ხალხების შეკრებას ცდილობს...ინდები მხოლოდ ეხმარებიან მათ-სპილოებით...

27. ზუსტად ეს სკვითები დნეპრზე, დასვლეთის-ევროპის სკვითები წარმოადგენენ დღევანდელ უკრაინელებს (საკუთრივ პოლონელებს-სხვა სკვითებს პლინიუს უფროსი სამეფო სკვითებისაგან დასავლეთით მიუთითებს ზუსტად ისინი მოვიდნენ აქ და დაემკვიდრნენ ქრისტემდე XVI საუკუნის ბოლოს, 1000 წლით ადრე დარიოსის ლაშქრობამდე...

28. მცირე აზიაში კიაქსარესის რისხვას გამორიდებული სკვითები იმავე დარიალის გზით ილტვოდნენ, რომლითაც შემოვიდნენ ჯერ კავკასიაში და მერე მცირე აზიაში ... მათთან ერთად ლტოლვილი ასაკენების ნაწილი აქ-უღელტეხილზე დარჩა, ქედის ორსავე მხარეს...არშის ციხე, „ბეხისტუნის წარწერებში“ არშადად (ალბათ არ შევიდა, არ გავუშვებ) ციხე, არახოსიის-იბერიის ტერიტორიაზე ასაკენებს, გურ-ასაკენებს, მთავარ ასაკენებს ეკუთვნოდათ....ალექსანდრე მაკედონელმა მოულოდნელი დარტყმით ჩრდილოეთის მხრიდან, შეძლო მათი დამარცხება...ციხე ხევსურებს წაართვა და მისი ერთგული ილირიელი მოლაშქრეები-ლაზები დაასახლა, დღევანდელი სტეფანწმინდელი მოხევეები...

29.ლაზური ენა სინამდვილეში არც არსებობს...ის ენა, რომელზედაც თურქეთში მცხოვრები „ლაზები“ საუბრობენ, ჭანურია...ლაზები-ეს თვითდასახელებაა პუნებისა - ფინიკიური ტომისა, რომელსაც ეტრუსკებმა ვენეტები დაანთლეს...ვენეტებმა იუკადრისეს ვენეტობა და სახელი ლაზი დაირქვეს. ამ საკითხის გაშუქებას არ ვაპირებ, თუმცა ზუსტად ვიცი მისი წარმოშობა ... არა ვართ ამ ინფორმაციის მისაღებად მზად...არ არის გამორიცხული, რომ მათი ენა უფრო სუფთა კოლხურია, ვიდრე ჩვენი-მარგალებისა...

30. რიგი ანტიკური ცნობების მიხედვით ჰერაკლე აღესრულა 52 წლის ასაკისა... ქრისტემდე 1355 წელი ჰერაკლეს დაბადების წელია, ის უნდა აღსრულებულიყო კოცონზე ქრისტემდე 1303 წელს, ...ეს წელი მართლაც ჰერაკ-

ლეს აღსრულების წელი ჩანს, რამეთუ ის უკვე ა ღარ მონაწილეობს ტროას ცნობილ ომში და გარდაცვლილად მოიხსენიება. (ტროას ომის დასრულება ფილოქტეტემ შეძლო, რომელმაც ომის მიზეზი, პარისი ჰერაკლეს ნაქონი მშვილდისრით მოკლა. მშვილდისარი კი მან ჰერაკლესაგან ანდერძით მიიღო, უკვე მისი სიკვდილის შემდეგ) (თუმცა ვალეი პეტერკული ჰერაკლეს გარდაცვალებად 1310 წელს დებს)

31. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ მცირე აზიის „ბაბილონის გოდოლიზაციის“ პროცესს ორი მდგენელი გააჩნია: პირველი, ჰიქსოსების-სკვითების და მათთან აფილირებული ტომების შემოსევა ქრისტემდე XVIII საუკუნეს, რომელიც ასევე XVI საუკუნეს ბოლოს ქრისტემდე მათი სრული განდევნით დარულდა განდხარვყოფილთა მიერ; და მეორე, ფაქტიურად იმავე ტომების სრული სპექტრის (გარდა სკვითებისა) მონებად შემოყვანა ეგვიპტის ფარაონ ჰორემხების მიერ, ქრისტემდე XIV საუკუნის დასასრულს ...

...და ეს ტომები სრულ „ამინისტიას“ ღებულობენ იმავე ეგვიპტელებისგან ქრისტემდე XI საუკუნის შუა წლებში...და როგორც ჩანს ერთი აუცილებელი პირობით : ეს ტომები დატოვებენ ეგვიპტის მიწა-წყალს ... სწორედ ეს პროცესი უდევს საფუძვლად მცირე აზიის ერების აღრევას, „ბაბილონიზაციის“ პროცესს...და განთავისუფლებულმა ერებმაც მცირე აზიას მოაშურეს, თუმცა არაერთდროულად: ჰეროდოტე ქრისტემდე V საუკუნეს აღწერს ჯერ კიდევ ეგვიპტელთა სამსხურში მყოფ მეომრებს, კელასირიებს...მაგრამ უფრო გვიანდელი ისტორიკოსის სტრაბონისათვის, წელთააღრიცხვების გასაყარზე, კელასირიები უკვე დაფუძნებული სირიის მოქალაქენი ჩანან ... პირველი ნახევრად დამოუკიდებელი სახელმწიფო მედების თრაკიულმა ტომებმა შექმნეს, ქრისტემდე 715-709 წლებში (მიდიის სახელმწიფოს შექმნაზე ჰეროდოტეს ორი ასეთი განსხვავებული ვერსია არსებობს)

32. ევმელის გელი ამ შემთხვევაში მართლაც ჭაობს უნდა ნიშნავდეს, ვინაიდან კოლხები (ისევე როგორც ხალდები) ჭაობიანი ვენეციის მკვიდრნი არიან.

33. მატიენები- მიტანელები ორჯერ ფიქსირდებიან მცირე აზიაში: ერთხელ დამპყრობელი ჰიქსოსების შემადგენლობაში, მეორედ შურისმაძიებელი ეგვიპტელი ფარაონის, ჰორემხების მიერ ტყვედ წამოყვანილი მეოტიის-აზოვის ზღვის სანაპირიდან, სადაც ისინი ეგვიპტიდან-მცირე აზიიდან ლტოლვილი ჩანან სკვითებთან ერთად. ..ტყვეობის დამთავრების შემდეგ ისინი ქმნიან საკუთარ პოლიტიკურ ერთეულს არა უადრეს VII საუკუნისა (უკვე არსებობს ქრისტემდე V საუკუნეს მატიენების სახელით) და მოხსენიებული აქვს ჰეროდოტეს, მოგვიანებით, უკვე სტრაბონთან კომაგენად ცნობილი...

34. დანაე ეგვიპტიდან ხმელთაშუა ზღვასა და შემდგომ საბერძნეთში მოცურდა 50 ნიჩბიანი ნავით, მაგრამ ჩვეულბრივისაგან განსხვავებით, ნავს ორი ცხვირი ჰქონდა-შესაბამისად საუბარია პირველ ცნობილ კატამარანზე, შედარებით უსაფრთხო საზღვაო გადაადგილების საშუალებაზე. ამ ფაქტისთვის ჯერჯერობით სათანადო ყურადღება გამახვილებული არც ყოფილა, თუმცა ნამდვილი საოკეანო მეზღვაურსთათვის ღიმილის მომგვრელიც კი...

35. დანაეს ელინური-ბერძნული ალფავიტის შემოტანა უნდა მიეწერებოდეს, უფრო სწორედ, პელაზგურისაგან იბერიულ-კოლხურისაგან ბერძნული ენის შესაბამის ყაიდაზე გადაყვანა. თავად პელაზგები ფინიკიელი კადმოსისაგან ღებულობენ ამ ცოდნას, რომელმაც ეს ალფავიტი ფინიკიელებისგან შემოიტანა ქრისტემდე XXI საუკუნეს (რასაკვირველია ეს ალფავიტი ფინიკიაში გაცილებით ადრე იხმარებოდა) პელაზგებს ფინიკიელთაგან ანბანი საკმაოდ მალე უნდა შეეთვისებუნათ (მაქსიმუმ I-II საუკუნის განმავლობაში მაინც) ხოლო ელინთაგან ელინური ანბანის შემოღებას დიოდორე სიცილიელი ლინს მიაწერს, ჰერაკლეს მასწავლებელს, ქრისტემდე XIVსაუკუნეს... რაც შეეხება ტრიერებს, სამგემბანიან გემებს, ისტორია მის გამოგონებას ამინოკლს მიაწერს, ტროას ომის დამთავრებიდან საკმაოდ მალე...

36. რასაკვირველია დანაე ევროპის ბიძაშვილი ვერ იქნება, მათ შორის რამდენიმე საუკუნეა აასაკობრივი განსხვავება... და კიდევ, ევროპა კადმოსის ასულია, შესაბამისად ფინიკიელი-განდხარვა, დანაე-ევროპეიდი და სრულიად სხვა რასის შვილი...

37.ამ ტომს , დანავებს მოგვიანებით ევროპაში დემონებს უწოდებენ. ეს მათი ნაწილი ჩანს ის ხალხი, რომელმაც იონიად წოდებული პელაზგები უმოკლეს ვადაში ინდოევროპულ (სლენგზე, ჰიბრიდულ ენაზე) ელინურ-დანაურად ალაპარაკა. იგივე ტომის ნაწილი ჩანს ბრიტანეთის კუნძულებზე, ინგლისსა და უელსში ჩასული, რომელმაც ადგილობრივი მოსახლეობა ასევე ინდო-ევროპულ, უკვე ბერძნულისაგან განსხვავებულ ენაზე (სლენგზე) ინგლისურზე აალაპარაკა... და იგივე ტომი ჩანს შერეული ადგილობრივ ეთნოსს იაპონიის კუნძულებზე, რომლის სახელი იაპონიაში შემოინახა კიდეც და მას „დზემონ“-ის ტომს უწოდებენ. ცხადია, ეს ევროპელთათვის ესოდენ ნაცნობი „დემონთა“- დანავთა ტომია. სავარაუდოა, რომ ინგლისელების და იაპონელების გენეტიკაში ამ ტომის გენები პრივალირებდეს კიდეც და ამის დასტური საავტომობილო მარცხენა მხრივა მოძრაობის წესიცაა, რომლითაც ისინი განსხვავდებიან სხვა დედამიწელთაგან...

38. ელეპანტინა-ეს ხასტინაპურის ინდოევროპულ ენაზე თარგმნაა მხოლოდ. ზუსტად ეს უნდა იყოს დანუბების, ინდოევროპელების სამშობლო ეგვიპტეში...

39. ასირიელთა უჩვეულო გაძლიერება ქრისტემდე XIV საუკუნეში, უსათუოდ გარედან მეშველი ძალის შემომატებით უნდა აიხსნას ... რასაკვირველია, მიგრანტთა ტალღა მხოლოდ ინდოეთიდან შეიძლება მოვიდეს, მაგრამ რა გზით ხვდებიან ისინი ასირიაში? სავარაუდოდ, ეს „ზღვის ხალხების“ უადრესი ტალღაა, მაგრამ იმ დროისათვის სანაოსნო არხი მდინარე ნილოსსა და მეწამულ ზღვას შორის ფარაონ ჰორემხების მიერ ჯერ კიდევ რეკონსტრუირებული არ არის....როგორც ჩანს, ისინი ჯერ კიდევ ფარაონ ამენხოტეპ I მიერ შეკეთებული არხით სარგებლობენ.

40. რა არგუმენტი არსებობს იმის სასარგებლოდ, რომ ევროპელი სკვითებისაკენ ალექსანდრე მაკედონელის გაგზავნილ ელჩობას სელვეკ ნიკატორიც უნდა ახლდეს?

“იმპერატორი კლავდიი გადმოგვცემს, რომ კიმერიული ბოსფორიდან კასპიის ზღვამდე 150000 ნაბიჯია და რომ სელვეკ ნიკატორს უნდოდა გადაეთხარა ეს ყელი, მაგრამ ამ დროს მოკლულ იქნა პტოლომე კერევნის მიერ“ (პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ისტორია, წიგნი VI; XII-31)

გასაგები უნდა იყოს სელვეკ ნიკატორის, ალექსანდრე მაკედონელისეული აზიური იმპერიის დიდი ნაწილის მფლობელის მისწრაფება, რომ საკუთარი იმპერიის ფარგლები დაიცვას კავკასიის ქედის გაცილებით ჩრდილოეთით გათხრილი ხელოვნური არხის-საფორტიფიკაციო საწყალოსნო სივრცის საშუალებით ევროპელი სკვითებისაგან...მაგრამ ამ არხის გასათხრელად ხელსაყრელი პირობები არსებობს სტავროპოლში, ეგრეთ წოდებული მანიჩის ღრმულის სახით, რომელიც ვოლგა-დონის არხის ალტერნატივადაც განიხილებოდა წარსულში. მცირე ტბათა სისტემები, რომლებიც გავრცელებულია ამ ტერიტორიაზე, კასპიადან მეოტიდამდე, სანაოსნო (თუ საფორტიფიკაციო) არხის გათხრას ერთიორად აიოლებდა. ...მაგრამ საიდან იცის ამ მარშრუტზე მდებარე ტერიტორიების თავისებურება და არხის გათხრის გაიოლების შესაძლებლობა არსებული ტბების შეერთებით სელვეკ ნიკატორმა? პასუხი ერთადერთია: სელვეკს ეს ტრასა პირადად გაუვლია...და გაივლიდა ის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ახლდა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ევროპელ სკვითებთან გაგზავნილ ელჩობას ... ბუნება ნამდვილად სამართლიანადაა მოწყობილი, რომ სელვეკმა თავისი განზრახვის შესრულება ვერ მოახერხა: აზოვის ზღვა, შეერთებულია შავ ზღვასთან და მისი მეშვეობით მსოფლიო ოკეანესთან, 28 მეტრით მაღლა მდებარეობს კასპიაზე...

41.რა არგუმენტი არსებობს იმას სასარგებლოდ, თუ რატომ იყო საქართველო ალექსანდრე მკედონელის ერთ-ერთი მემკვიდრის, სელევკ ნიკატორის კუთვნილ იმპერიაში? არსებობს უტყუარი ცნობა, რომ სელევკ ნიკატორმა ინდოეთსა და მის მთავარ ქალაქ პოლიბოტრაში გააგზავნა ელჩობა ვინმე არახოსიელი მეგასთენეს ხელმძღვანელობით...წინა წიგნში ეჭვმიუტანელად დაფიქსირდა, რომ რომ არახოსია-ეს იბერიაა, არახოსიელი მეგასთენე არავითარი ბერძენი არ არის და ის იბერიელი ისტორიკოსია. ამიტომაც სტრაბონს საკუთარ ისტორიულ წყაროდ მეგასთენე მოყავს და უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე იბერიას ეხება ... სტრაბონის სიტყვებით, სელევკ ნიკატორი თავადაც ხალდია, ჭანი და დიდი ალბათობით უკვე გაჭანებული კენები მის მიერ არის ჩამოსახლებული სინოპას ნახევარკუნძულიდან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ... მისივე სურვილით ჩანს შექმნილი გამაგრებულ დასახლებათა მთელი სისტემები (ალექსანდრე მაკედონელის მსგავსად) ამ სანაპიროზე...სკვითებისაკენ ყველაზე ახლოს, ანაპაში თორეტები არიან დასახლებული. აკი აღნიშნავს თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომ ანაპის ციხე-სიმაგრე (რომელსაც თორეტები იცავდნენ) ალექსანდრე მაკედონელის ეპოქაშია აშენებული. ამასთან, ევლია ჩელები მკაფიოდ ანსხვავებს დერბენტის ციხე სიმაგრის აშენებას თავად ალექსანდრე მაკედონელის მიერ, თუმცა ანაპის შესახებ ჯერდება ცნობას, რომელიც ზემოთ გავახმოვანეთ...შესაბამისად, ის სელევკ ნიკატორის ზეობისას ჩანს აშენებული..

42. კერკეტები, რომლებიც ციხე - სიმაგრე ანაპის მოსაზღვრედ ცხოვრობენ, ასევე სელევკ ნიკატორის მიერ დასახლებული მაკედონური ლაშქრობის მონაწილენი არიან. ვფიქრობ, ეს ფლავიუს არრიანესეული „მორბენლები“-ცხენოსანი მზვერავები არიან, მსუბუქად შეჭურვილები (ბერძნული ანტიკური ლიტერატურა ზუსტად კერკეტებს ასახელებს ცხენთა პირველ მხედნავებად და ზუსტად კერკეტებია ის ტომი, რომელიც ამავე ლიტერატურაში კენტავრებად იწოდებიან) ცნობილია ამ „მორბემლების“ სარდალის სახელიც: ის აპოლოდორ მორბენალად იხსენიება. ზუსტად ასევე, მაკედონელის მოლაშქრენი ჩანან ახაიელებიც (ეს თემა მომდევნო ნაწილში გამოწვლილვით იქნება განხილული) ... და მიუხედავად სელევკ ნიკატორის იმპერიაში იბერია, დრანგიანას ნაწილი-კახეთის და გურ ასაკენების ფშავ-ხევსურების უცილობელი დასწრებულობისა, ნიკატორი უკვე ფლობს კოლხეთსაც, თუმცა ალექსანდრე მაკედონელს კოლხეთი არ დაულაშქრია... ამაში, ყველა ნიშნით ალექსამდრე მაკედონელის დედის, ოლიმპიადას დამსახურება ჩანს. ოლიმპიადა ეპირის (კოლხეთყოფილის) მეფის ქალიშვილია და რომელსაც გაფრთხილებული უჩანს აზიაში სალაშქროდ მიმავალი ალექსანდრე, რომ მისი ხალხის ნაწილს კოლხეთში ხელი არ ახლოს... ჩანს,

ალექსანდრე მტკიცე ფიცით პირდება დედას ამ სურვილის შესრულებას. მართლაც, მცირე აზიაში მოლაშქრე ლექსანდრე მაკედონელი მხოლოდ სინოპამდე და კენებამდე მიდის, შავ ზღვაში მდებარე ნახევარკუნძულზე, ტრაპიზუნდიდან სამიოდ ასეული კილომეტრით დასავლეთით და აქ წყვეტს ლაშქრობას ზღვის სანაპიროზე, რომლის მეზობლად უკვე კოლხების ტერიტორია იწყება კერასუნტის-ტრაპიზუნდის სახით. უფრო მეტიც, უკვე იბერია დაპყრობილ ალექსანდრესთან მოდის მავანი ხორამნიელი ფარესმანი მხლებლებით (ვფიქრობ, აქ ხორასმია არაფერ შუაში უნდა იყოს, აქ სტრაბონის მიერ ნახსენები ხორზენა უნდა იყოს, გვიან მელიტენად ცნობილი იყოს) ის ალექსანდრეს ეუბნება, რომ მეზობლად ჰყავს კოლხები და ამაზონები და რომ ქმედითი დახმარება შეუძლია აღმოუჩინოს მაკედონელებს მათ დაპყრობაში. ალექსანდრემ თავაზიანი მადლობა მოახსენა ფარესმანს, თუმცა მოუცლელობის მიზეზით ეს ლაშქრობა არ განახორციელა.

...ლაშქრობა, რომელიც კოლხთა დიდი პატივისცემის მიუხედავად, ალექსანდრე მაკედონელის ძლევამოსილი ჯარისათვის საკვირაო პიკნიკის ტოლფასი იქნებოდა უთუოდ...როგორც ჩანს, სელევკ ნიკატორი საქმის კურსშია, თუ რატომ არ ილაშქრა თავად ალექსანდრემ კოლხებზე,თუმცა:

„და გამოიკითხა კეისარმან საზღვარი საბერძნეთისაი- ქვეყანაი ზღვისპირსაი, რომელ არს აფხაზეთი. და ჰრქუა: ეგრი სწყალიდან ვიდრე მდინარემდე მცირისა ხაზარეთისა ესე საძღვარი არს საბერძნეთისა ალექსანდრობითგან“ (ქართლის ცხოვრება, ჯუანშერი; გვ 157, თბილისი 2012 წ).

როგორც მკითხველს მოეხსენება წინა წიგნებიდან, ეგრისწყალით ჩვეულებრივ მდინარე ღალიძგა აღინიშნებოდა, ხოლო მცირე ხაზარეთის მდინარეეს მდინარე ყუბანია . მართალი ეს ტერიტორია შეუძლებელია „ალექსანდრობით“ ეკუთვნოდეთ ბერძნებს, თუმცა ის „ბერძნების“ საკუთრებაში უნდა მოხვედრილიყო ალექსანდრე მაკედონელის სარდალის, უკვე იმპერატორის, სელევკ ნიკატორის ზეობის დროს...

43. ინდური არქაული ქალაქის სიდიდეს ჩვენ უკვე საფუძვლიანად სხვა ადგილას შევეხებით...ის საფეხბურთო მოედანს ჩამორჩება კიდეც...

44.შალვას საუბხი არ არის აღჭურვილი ღვთიური იარაღით, უბრალოდ ასეთს არ და ვერ ანდობს აღმატებული გონი.

45. ტორეტებს, კიზიკელებს გარკვეული თანხვედრა უჩანთ ასურებთან. ერთიც და და მეორეც მამის ხაზით უცხოები ჩანან ... ამდენად სრულიადაც არ უნდა ჩანდეს გასაკვირვი, თუ „ზღვის ხალხის“ წარმომადგენელი თორეტები (კიზიკები) ასურელ სახელმწიფოს აძლიერებენ...

46. არ უნდა იყოს სწორი ანტიკური ვერსია იმის შესახებ, რომ ასირიის წინააღმდეგ ამბოხებულ ბაბილონსა და მიდიას ბაქტრელთა ჯარი შეუერთდა, რომელთა საერთო ძალებით მოხერხდა ასირიის დამარცხება. უბრალ-

ოდ, დაქვეითებისაკენ მიმავალ ასირიას ბაქტრები ალბათ დიდი ხანია არ ემორჩილებიან. სინამდვილეში, მიდია - ბაბილონის მეშველი ასირიის წინააღმდეგ ომში სკვითები ჩანან, ევროპელი - ყირიმის ნახევარკუნძულელი სკვითები, მომავალი უკრაინელები...

47.ძნელია იმსჯელო, საიდან ყავს თორეტები გადმოსახლებული იგივე სელევკ ნიკატორს, თუმცა ბერძნული ვარიანტი უნდა გამოირიცხოს ... ეს ან მარმარილოს ზღვისპირა კიზიკები შეიძლება იყოს, ან ლიკიელი და პამფილიელი , სადაც ევდოკიადის საეპისკოსოები აღინიშნება X საუკუნის ეკთესიატებში...

48. ეგვიპტელთა კოლხი წინაპრები მხოლოდ და მხოლოდ კოპტები შეიძლება იყოს, ეგვიპტის პრაქტიკულად ქრისტიანული მოსახლეობა, და ამას კოპტურ დამწერლობაში დამატებული ის სპეციფიკური ანბანური ნიშნები გვიჩვენებს, რომელიც ფაქტიურად აუცილებელია ქართული-მეგრული სიტყვების წარმოსათქმელადაც და ქართულ ალფავიტში ანბანის ქართული რიგი ეწოდება...

49.ფოკეელები-ამ შემთხვევაში ჰეროდოტე მათ ქვეშ ხალდებს, ეოლიელებს უნდა გულისხმობდეს, თესალიელთა მეზობლები ეოლიელები არიან და არა იბერები... ძნელია მათი გარჩევა მცირე აზიაშიც, ფაქტიურად გვერდიგვერდ ცხოვრების გამო...ქართული სასულიერო ლიტერარტურა (და სასულიერო წრეები) ხმას არ (ვერ) ძრავენ იმის შესახებ, თუ ვისი გორისაა წმინდა ნინო, ქართველთა განმანათლებელი. ის სასულიერო (თუ საერო) ლიტერატურაში მოხსენიებულია კაბადოკიელ ქალწულად... და სულ ესაა. ...მისი ტომობრივი მიკუთვნებულობა უცნობია. ზოგიერთი ვარაუდით ის შესაძლოა სომეხად მოვიაზროთ... მაგრამ კაბადოკიაში იმ პერიოდისათვის მთელი დუჟინი განსხვავებული ტომი ცხოვრობს...და წმინდა ნინო უბრალოდ არ შეიძლება სომხური ეროვნებისა იყოს. რატომ? როდესაც წმინდა ნინო კაბადოკიიდან დაიძრა, ის სტუმრად ხვდება მავან რიფსიმესთან... ავტორი წმინდა ნინოს ცხოვრებისა მას ერთმნიშვნელოვნად სომეხს უწოდებს...თუ იქნებოდა წმინდა ნინო სომეხი, ავტორი ასევე აღმიშნავდა მის სომხობას ... თითქოსდა წმინდა ნინო ს წარმოშობის საიდუმლო კაბადოკიაში იკარგება, მაგრამ...მაგრამ საქართველოში ტერიტორიაზე წმინდანის მიერ პირველად ფეხდადგმულ ადგილს (შემდგომში სოფელს) ფოკა ეწოდა! სავარაუდოდ, წმინდანის წარმოშობის მიმანიშნებელი სახელი...წმინდა ნინო ფოკაიელი ჩანს, იბერი ან ხალდი (იგივე ჭანი). ხალდების საცხოვრებელი ტერიტორია, ურარტუს სახელმწიფოს დეზინტეგრაციის შემდეგ ხალდეაა, ლაზიის დასავლეთით მდებარე, დღევანდელი ტრაპიზონს ზემოთ მდებარე მთიანეთი...ეოლიელებისა, მარმარილოს ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გაყოლებით...იბერები მათი მეზობლები ჩანან, კილიკიელების, მა-

ზაკელების და მელიტენელების ჩათვლით... და ამ ხალხებს ანტიკური ლიტერატურა თეთრ - სირიელებს უწოდებს...წმინდა ნინო ან ხალდი იყო ან იბერიელი...(უფრო მეტად ეს მეორე...)

50. როგორც ზემოთ ითქვა, ბაბილონის და შუამდინარეთს ჰიქსოსები იპყრობენ, სკვითური ტომი სხვადასხვა სემიტური ტომების მინარევით და ამ პროცესში ელამიტების მონაწილეობა არ იკვეთება ...სავარაუდოა, რომ თავად ელამიტებიც რაღაც დროით ვერ გადაურჩნენ ჰიქსოსთა მიერ დახარკვას...

51. ხანეის სამეფო არა კასიტების, არამედ ხენების, ხანაანელების, იგივე ფინიკიელების პოლიტიკური წარმონაქმნი ჩანს, რომლის განუყოფელი ნაწილი ხეთები ჩანან.

52.ჰიქსოსების რეჟიმზე ამჯერად არა ეგვიპტელებს, არამედე მცირე აზიის მცხოვრებთ შეუტევიათ, ქრისტემდე 1568 წელს, ათეულობით წლით ადრე ეგვიპტელებზე.

53.კასიტების და ისინის დინასტია ფაქტიურად ერთიდაიგივე ტომის წარმომადგენელი ჩანს ... იმ განსხვავებით რომ კასიტები ზაგროსის მთებისკენ მობინადრეები ჩანან, ისინის დინასტია კი ზღვისპირა (იგულისხმება სპარსეთის ყურე) მცხოვრები ხალხი.

54. ეს ცნობა ნატყუარია (არასწორია) კასიტებს და კარდუნიაშია ტომს არაფერი აკავშირებთ, თვინიერ დროის რომელიღაც პერიოდში მეზობლობისა-მეზობლობისა ბაბილონის მიწა-წყალზე. კარდუნიაში-კარდუხების დარაიონების ადგილს ნიშნავს, თავად კარდუხი-ქურთს.

55.კაბიტი-მართლაც ფრიგიელებს მარების-აქადების ენა უკვე შეთვისებული უჩანთ, ეს სიტყვა მარულია-აქადური და ბასკთა ენაზე დიდს ნიშნავს.

56.მართალია ზღვისპირა ხალხების უკვე მეორე ხსენებაა ბაბილონთან მიმართებაში (პირველი ეს ზღვისპირა სახელმწიფო და მათი მეფე გულკიშარია, ბაბილონის დამპყრობი) მაგრამ მითუმეტეს ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ეს ზღვისპირა ხალხები კასიტებადაა წოდებული...ჩანს კასიტები ორ ადგილას ცხოვრობენ, ზაგროსის მთებთან და ზღვის სანაპიროზე, ევფრატის ზღვასთან შეერთების ადგილას...

57. აი რატომ ეძახის მათ ხალდებს ბეროსი, თუმცა ნამდვილ ხალდებთან, ვენეციიდან გადმოსულებთან ქრისტემდე 3403 წელს, არც არაფერი აკავშირებთ, გარდა იმისა, რომ ქრისტემდე 1798 -1568 წლების დიაპაზონში ბაბილონს მართავდნენ (მაშინაც ხალდების სახრელით იმავე ბეროსთან)

58.**კასიტები კარდუს ქვეყანას კარდუნიაშს ეძახდნენ...**ამ ერთ მოკლე წინადადებაში ხელაღებით მტკიცდება ის, რასაც ზემოთ ვამტკიცებდით: კასიტები კარდუხები არ არიან და არც კარდუნიაშთან აქვთ რამე შეხება...

59.იმ დროსათვის, ქრისტემდე 720- 710 წლებსი, არმენია და სირია უბრალოდ არ არსებულია...

60. სტრაბონის ეპოქისათვის მაკრონები (სვანები) დიდი ხანია ჯერ ჩრდილო კავკასიაში, ხოლო იქიდან საქართველოში ჩამოსახლდნენ...თვით იგივე აღწერს მათ საქართველოში, უკვე სვანებად სახელდებულებს, თუმცა მაკრონ - სვანთა იდენტურობაზე წარმოდგენაც არა აქვს ... იგივე აპპეტები, ადრე კერკეტებად წოდებულნი, მისი ეპოქისათვის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ცხოვრობენ და უკვე კერკეტები ჰქვიათ, შემდგომი ყაბარდოელები.

61.სულ ორჯერაა ნახსენები და მხოლოდ ჰეროდოტესთან ალაროდები...ამ ტომის შესახებ სხვა არც არავინ საუბრობს... სავარაუდოა, რომ ტომის სახელი ალაროდი, ალა-დან, ბერძნულად ფრთისაგან უნდა მოდიოდეს...არც ალექსანდრე მაკედონელის ცხენოსანი „მორბენალი“ სავარაუდოდ მსუბუქად შეჭურვილი ცხენოსანი მხედარი უნდა დაგვავიწყდეს ... არც ბიზანტიელთა ალა, ქვეითთა ფრთეული, ცხენოსანი მეომრები, ფლანგების დამცველი და შეტევის პირველმეომარი ... სავარაუდოა, რომ ალაროდები ცხენოსანი კერკეტი მეომრის სახელი უნდა იყოს...

62. ჰეროდოტე ფრიგიელებს-ბრიგებს მაკედონელთა მეზობლებად ასახელებს ევროპაში...სინამდვილეში მათ გვერდიგვერდ არც არასდროს უცხოვრიათ: როცა მაკედონელები მოვიდნენ იმ ტერიტორიაზე ევროპაში, რომელიც ადრე ბრიგებს ეკავათ, ეს უკანასკნელნი უკვე მცირე აზიაში ბინადრობენ...ევროპიდან ისინი შურისმაძიებელმა ფარაონმა ჰორემხებმა დედაბუდიანად წაასხა ეგვიპტეში, ქრისტემდე 1310 წლის სიახლოვეს...

63.არ უნდა იყოს კტესიას (უკვე ფოტიის მონაყოლი) მართალი, იმის შესახებ, რომ ეს ბაქტრელთა ლაშქრის გადმობირება მოახერხა არბაკმა-კიაქსარესმა ასირიელების დასამარცხებლად...შეუძლებელია ოდესღაც არიკ-დენილის დაპყრობილი ბაქტრია უკვე დამცრობილ ასირიას ისევ ემორჩილებოდეს იმდენად, რომ მორიგე ჯარი გაუგზავნოს...რეალურად, ეს მცირე აზიაში შემოჭრილი სკვითების ჯარი უნდა ყოფილიყო...

4.მიდიის სამეფოს წარმოქმნასა და მის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა შორის ჰეროდოტე სულ საუკუნენახევარს სდებს : **„დეიკოსის შვილი იყო ფრაორტესი, რომელმაც მიიღო მმართველობა მამის შემდეგ, მამა კი მეფობდა 53 წელს...ამათზე (ასირიელებზე) ილაშქრა ფრაორტესმა, თვითონაც დაიღუპა (სულ 22 წელი მეფობდა) და მასთან ერთად დაიღუპა მისი ჯარის დიდი ნაწილი... ფრაორტესის სიკვდილის შემდეგ მისი მემკვიდრეობა გადავიდა კიაქსარესის ხელში....ამის შემდეგ გარდაიცვალა კიაქსარესი, რომელიც მეფობდა 40 წელი, თუ ჩავთვლით ამაში იმ წლებსაც, როდესაც სკვითები მბრძანებლობდნენ...ასტიაგეს კიაქსარესის ძემ დაიმკვ-**

იდრა სამეფო ხელისუფლება...ასტიაგესმა იმეფა 35 წელი და ეგრე დასრ-ულდა მისი სამეფო ძალაუფლება...მიდიელები განაგებდნენ მდინარე ჰა-ლისის ზემოთ მდებარე აზიის 130 წელს ორ წელ ნაკლებს. ამაში არ შედ-ის სკვითების მმართველობის ხანა“ (ჰეროდოტე, წიგნი I; 102-103-106-130)

ჰეროდოტეს მიხედვით, მიდების დამოუკიდებელი სამეფო არსებობდა: 53+22+40+35=150წელს...ამავე დროს, ჰეროდოტეს სიტყვებით, მიდები ზეობ-დნენ ჩრდილოეთ მცირე აზიაში 128 წელს, ხოლო სკვითთა მბრძანებლობ-ის პერიოდის ჩათვლით 156 წელს ...განსხვავება ჰეროდოტეს ორ ვერსიას შორის ექვსი წელიწადია. სიტყვები, რომლებიც მიეწერება კტესიას, მეორე უძველეს ისტორიკოსს, ასეთია:

„ჰეროდოტე, მცხოვრები ქსერქსეს დროს, ამბობს რომ ასირიელები ფლობ-დნენ (მცირე) აზიას ხუთასი წლის განმავლობაში, დაპყრობილ იქნენ მი-დიელების მიერ ... მრავალი წლის შემდეგ ადამიანი, სახელად კიაქსარესი არჩეულ იქნა მეფედ...შემდეგ მისმა ჩამომავლებმა გაავრცელეს მიდიის სა-მეფო თვით ასტიაგესის მმართველობამდე, რომელიც დამარცხდა კიროს-თან და სპარსელებთან (კტესია კნიდოსელი: მესოპოტამია, ნინოსი, სემირ-ამიდა, ბაბილონის საოცრებანი, სარდანაპალი, ხალდეველი ასტროლოგე-ბი, 32 (1) მაგრამ აქვე:

„ასე რომ, ასირიის იმპერიის დანგრევის შემდეგ, მიდიელები გახდნენ (მცი-რე) აზიის ჰეგემონები, თავიანთი მეფის, არბაკის მმართველობის ქვეშ... სა-რდანაპალის (ასირიის მეფე) დამამარცხებელი...მას შემდეგ რაც იმეფა ოც-დარვა წელი, მისი შვილი მავდაკი გახდა მბრძანებელი (მცირე) აზიისა და მეფობდა ორმოცდათი წელი ... მას შემდეგ მეფობდა სოსარმი ოცდაათი წლის განმავლობაში, ორმოცდათ წელს არტეკი, შემდეგ არბიანი მართავ-და ოცდაორი წელი და არტეი-ორმოცი წლის განმავლობაში...არტეის მმა-რთველობის წელს მოხდა დიდი ომი მიდიელებსა და კადუსიებს შორის... არტეის სიკვდილის შემდეგ, არტინი გახდა მიდიის მეფე და მართავდა ოცდაორი წლის განმავლობაში, შემდეგ ასტიბარი-ორმოცი წლის განმავლ-ობაში. მისი მმართველობის დროს პართები ჩამოშორდნენ მიდიას და გა-დასცეს თავიანთი ქვეყანა და ქალაქი საკებს...მერე მოკვდა ასტიბარი, მი-დების მეფე სიბერისაგან ეკბატანაში. მისი შვილი ასპანდი, რომელსაც ბერძნები ეძახდნენ ასტიაგესს, ავიდა ტახტზე . როდესაც ის დამარცხდა კიროსთან და სპარსელებთან, მისი სამეფო გადავიდა სპარსელების ხელ-ში“ (იქვე, 32 (1) -34 (6)

კტესიას ტექსტის მეორე ნაწილი ივანე ჯავახიშვილისა არ იყოს, ნა-წვალები ჩანს: ამ ნაწყვეტის მიხედვით, ასტიაგესის მამა ასტიბარი ის მეფე იყო, რომლის დროსაც პართებმა გადასცეს თავიანთი ქვეყანა და ქალაქი საკებს ... წინა წიგნებიდან მკითხველს მოეხსენება, რომ პართიის სამეფოს

დაფუძნება-ეს ქრისტემდე III საუკუნეა, ხოლო ასტიაგესი-ასევე ქრისტემდე VI საუკუნე...შესაბამისად, მიდიის ეს „ისტორია“ კტესიას კალამს არ ეკუთვნის...გარდა იმისა, რომ ჩანაწერების ავტორის მიერ დამახინჯებულია ქრონოლოგია, დუბლირებული ჩანს ერთი და იგივე მეფეები სხვადასხვა სახელებთ: არბაკი-28, მავდაკი-50, სოსარმი-30, არტეკი 50, არბიანი-22, არტეი-40, არტინი-22, ასტიბარი-40, ასტიაგესი-35;... ჯამურად, მიდიის ფოტიისეული სამეფოს არსებობა გრძელდებოდა 335 წელი ... ამასთან, რამდენიმე მეფის სახელი აშკარად დუბლირებულია: მავდაკი და არტეკი-50 წელი; არბიანი და არტინი-22 წელი; არტეი და ასტიბარი-40 წელიწადი....და საერთოდ მიდიური სამეფოს პრეისტორიაში ჰეროდოტეს პრიმატი უდავო უნდა იყოს...

65. **„აყირო, სამგვარი არს: აყირო, გოგრა და ხაპი. აყირო არს ქერქ -ზრქელი მსგავსი საწდისა, ვიეთნი კვახად სახელ-სდებენ; გოგრა არს ქერქ - თხელი და მხლად საჭმელი. ხაპი არს აყიროს მსგავსი და უყელო. სასმისად იქმენ, რომელ არს კოში“ (სულხან- საბა ორბელიანი)** მეგრულ დიალექტში უფრო სრულყოფილად ჩანს მისი თვისება -მას ტუტლა, იგივე ტიტველა ეძხიან...თუმცა, აყირო დედა ქართულშიც ტიტველას უნდა ნიშნავდეს: კახური გამონათქვამი-შენი აყირო თავი ასევე ტიტველ, უთმო თავს უნდა აღნიშნავდეს ... ანდა უკანალს .. .სიტყვა ყირა- მაღლა, ზუსტად ამის დასტური ჩანს...და მართლა რა ორგანო აქვს ადამიანს ტიტველი და მრგვალი, რომელიც ჩვეულებრივ მდგომარეობაში იმყოფება დაბლა და მხოლოდ არაორდინარულ სიტუაციაში მოექცევა მაღლა? აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით მკითხველო, ეს ტრაკია ... ყირა ძველ ქართულში უკანალს აღნიშნავდა და მხოლოდ ქრისტემდე IV საუკუნის მერე ჩანს ჩანაცვლებული ტრაკით (ჩანაცვლების მიზეზს ამავე წიგნში მოგითხრობთ...)

66. ერთიანი და მონოლითური ეგვიპტე საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში, სხვის სახელმწიფოებრიობას არ დაუშვებს ... რასაკვირველია ტყვეთა ნაწილი, წამოსხმული ფარაონ ჰორემხების მიერ, ასიმილირდება კიდეც ეგვიპტელებში, მაგრამ ვერ ქმნის ეგვიპტის ტერიტორიაზე საკუთარ პოლიტიკურ ერთეულს. ასეთები იქმნება მცირე აზიაში, რომელიც ერთიან მონოლითურ ორგანიზმს არ წარმოადგენს...

67. ჯარიახი, ეს ყოფილი ჭარელები უნდა იყვნენ, ვინც არ გადმოვიდა კავკასიონის ქედს აქეთ. მოხსენიებულია XIX საუკუნია რუსი გენერლისა და მწერლის დუბროვინის ტომეულში. ჩვეულებრივ, ის ჩეჩნურ ეთნოსში და მათშივე მოიაზრება.

68 . ბოლო დროის ვერსიით, ტოპონომი „აჭარა“ თურქული წარმოშობისაა. მართლაც თურქულ ენაზე აჭარა წიფლნარს ნიშნავს...მაგრამ სად გაქრა ის ჭანები, რომელსაც V საუკუნის დამლევს პროკოპი კესარიელი ახსენებს?

ასეთივე წარმატებით შესაძლებელია, რომ ა-ჭარა იმავეს ნიშნავდეს, რასაც ჭარი აღმოსავლეთ საქართველოში, ჭანების სამკვიდროს ... და ჯერ კიდევ თურქების, სელჯუკების, ოსმალების აქ ჩამოსახლებამდე, ჯერ კიდევ X საუკუნის მესამე მეოთხედში ამ კუთხეს აჭარის საერისთავოდ აღნიშნავს კონსტანტინე პორფიროგენტი, იმპერატორი ბიზანტიისა...

69. მირიადი 10000 ნიშნავს, რასაკვირველია აქ მოყვანილი ციფრები არასწორია...დასაშვებია, რომ გელებს-კადუსიებს 20000 მეომარი გამოეყვანათ კიდეც, აქედან 5000 თავად პარსონდის მხლებელი ჯარი, მაგრამ 80000 მიდიელი ნამდვილად გადაჭარბებული უნდა იყოს, არამცთუ 10-ჯერ მეტი...

70. კტესია კნიდოსისეული წიგნის ფოტიის მიერ გადმოცემული ვ ერსია არ და ვერ იქნება სარწმუნო წყარო და ამის შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

71. მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ მიდიის მეფე არტეი, ასირიის მეფე სარდანაპალის დამამარცხებელი და შემცვლელი- ეს იგივე არბაკია, იგივე ჰეროდოტესეული კიაქსარესი (ქრისტემდე 634-594 წ) ზუსტად მიდიის ამ მეფის დროს განდგა პარსონდი და ამავე მეფის ზეობისას მოხდა კადუსიელებისა და მიდების დიდი ომი... ასტიაგესი, მისი შვილი ჩანს ურარტუს სამეფოს გამანადგურებელი და მისი მეფობისას გაინასკვა ყალმუხურ ნასკვად მტრობა კადუსიელებს-გელებს და მიდიელებს შორის...

72. ანტიკურ ლიტერატურაში არსებობს ვერსია, რომ პარსონდმა მაინც შეძლო შური ეძია ასეთი დამცირებისათვის და მოეკლა ბაბილონის მეფე ნაბოფალასარი. ოფიციალური ვერსიით, ნაბოფალასარი გარდაიცვალა ლაშქრობისას (და არა ბრძოლისას) ქრისტემდე 605 წელს-ზუსტად იმ წელს, როდესაც პარსონდმა თავი დააღწია შვიდწლიან ტყვეობას...არ არის გამორიცხული, რომ პარსონდი გაიქცა თავისი ჯარით ზუსტად იმავე ლაშქრობიდან, როდესაც მან უკვე შეძლო ნაბოფალასარის მოკვდინება...

73. საინტერესოა, რომ სპარსელთაგან დამარცხებული ასტიაგესის გასახლების ადგილად ანტიკური წყაროები ბარკანიას-**ბორკანას** ასახელებს. ისტორიკოსები ვერ შეთანხმებულან, თუ სად მდებარეობს ასტიაგესის გასახლების ადგილი. ზოგიერთის აზრით ეს ჰირკანიაა, თუმცა ეს უკანასკნელი იმავე წყაროში ნახსენებია უკვე გირკანიად ... ცხადია, ბორკანია-ეს გელეთია, იმავე ხალხით დასახლებული, რაც გირკანია, თუმცა პირველი მდებარეობს კავკასიის ქედ ს ჩრდილოეთით, მეორე -კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე...

74.ბარკანია-ბორკ-ბორზ, ეს ჩეჩნების სინონიმი ჩანს, რომელიც ჩრდილო კავკასიაში გაანსახლდა ქრისტემდე 605 წელს ... მათგან მცირედით განსხვავ დებიან ნახჩოები, იგივე ტომის წარმომადგენლები, თუმცა განსხვავებული საკუთარი ისტორიით...(ამათ შესახებ ქვემოთ ვისაუბრებთ)

...ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია...

დედამიწაზე თავდაპირველად ოთხი რასა არსებობდა და მათი სხვა-დასხვა კომბინაციების შედაგად არიან წარმომდგარი ერებიო-თქვა დიდმა ქართველმა მეცნიერმა ნიკო მარმა... როდესაც წყარო ან საბუთი მოსთხოვეს -დამესიზმრაო, უპასუხა...სინამდვილეში მისი ეს ჰიპოთეზა მრავალი წლის ნაფიქრალი და გაანალიზებული რეალობა ჩანს ... რეალურად დედამიწაზე ხუთი რასა ფიქსირდება, ამასთან ქრონოლოგიურად პირველი , რომელმაც დედამიწაზე გაიარა, განდხარვა და აფსარა იყო...რატომ განდხარვა? განდ-ხარვთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელთა ენაც ყველზე მეტად ინარჩუნებს წინაპართა ლექსიკას, ქართველებია ... ამასთან, ქართუ-ლი წელთააღრიცხვა ერთადერთია, რომელიც ამ ეპოქას (1) ახმოვანებს. ის თითქმის მთელი ასეული წლით უსწრებს დაბადების ბიზანტიურ (2) ვარ-იანტს...დაბადებაზე წინ დაბადებული რასა-ნონსენსია? არამც და არამც ... განდხარვას (და აფსარას) დედამიწაზე მოხვედრის პერიოდისათვის, გარკ-ვეული ცხოვრებისეული გზა გავლილი უჩანთ (ის, თუ რა სიგრძისაა გა-ნდხარვა-აფსარას მიერ განვლილი გზა დედამიწაზე მოხვედრის პერიოდ-ისათვის, ერთ-ერთი იმ არამრავალრიცხოვან თემათაგანია, რომელიც სცი-ლდება აღნიშნული წიგნის ფორმატს)... ამასთან, განდხარვთა და აფსართა დედამიწაზე გადასახლების და მათი გაადამიანურების პროცესი ერთჯერ-ადი აქტი არაა...ფიქსირდება ამ რასის ორჯერადი გადმოსახლება : პირვე-ლი -5604 წელი ქრისტემდე, მეორე -3403 წელი ქრისტემდე... რასის პირვე-ლი წარმომადგენლები დედამიწაზე ჩანან: ქუშები-ქართული გადასახედი-დან ქართლელები, კოსალები- კახები და სოანები - სვანები. განდხარვების პირველი გადმოსახლებიდან ასეული წლის შემდეგ ჩნდება დედამიწური რასა-ადამის შვილები, აღდგენილი გადაშენებულ დედამიწელთა (კრომა-ნიონელების და ნაწილობრივ ნეანდერტალელების) გენეტიკური მასალის საფუძველზე ... რასაკვირველია, დედამიწელთა სალაპარაკო (ვერბალური) ენა, ასევე აღდგენილი ენაა კრომანიონელისა, დედამიწელებისა, რამეთუ უზენაესი არსებები სავარაუდოდ ვერბალურ საშუალებებს არც მიმართავ-ენ...რაც შეეხება დანარჩენი სამი რასის ჩამოსვლას დედამიწაზე, ის ოდნავ წინ უსწრებს განდხარვთა მეორე ჩამოსვლას აქვე....

იბერები

იბერების და ქართების, ამ ორი ქართველური ტომის ცხოვრებისე-ული გზა იმდენად გადაჯაჭვულია ეთმანეთზე, რომ მათი გამოცალკევე-ბა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ამასთან იბერები დასავლეთ ქარ-

თველური ტომის წარმომადგენლები არიან, კოლხების სახლიკაცები, ხოლო ქართები აღმოსავლეთ ქართული ტომია. როგორც ადრე ითქვა, აღმოსავლეთ ქართველურ და დასავლეთ ქართველურ ტომებს შორის გენეტიკური სხვაობა ნულის ტოლია: დასავლეთ ქართველები აფსარების ჩამომავალი და ნაჯვარი ტომია დედამიწურ რასასთან, ასევე აღმოსავლეთ ქართველური- განდხარვების ნაჯვარი ტომია ასევე დედამიწურ რასასთან… განდხარვაც და აფსარაც ერთი იგივე გენეტიკური წარმოშობისაა, ერთი და იმავე ბინადრობის ადგილიდან (3) ქართების (და რიგი განდხარვული ტომების) იბერებთან შეხვედრის სცენას აღწერს დიოდორე სიცილიელი:

„სასარგებლოა დავაზუსტით რაღაცა, მრავალთათვის უცნობი. ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ მესალიის ოლქებში (მარსელი -სამხრეთი საფრანგეთი) **და ალპებთან, ასევე პირენეის მთების იმ მხარეს, იწოდებიან კელტებად. ხოლო ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ კელტიკის ჩრდილოეთით, ოკეანის მახლობლად და გერანის მთასთან თვით სკვითიამდე, ეწოდებათ გალლები .... ვისაუბროთ მათ მეზობელ კელტ -იბერებზე. უძველეს დროს კელტები და იბერები იბრძოდნენ ერთმანეთში ამ ქვეყნის გამო, თუმცა შემდეგ შეწყვიტეს შუღლი და დაიწყეს ერთად ცხოვრება. დაიწყო ტომთაშორისი საქორწინო კავშირები და შერევის შედეგად მიიღეს ასეთი სახ - ელწოდება. იმდენად რამდენადაც ერთმანეთში შერეული ხალხები იყვნენ მძლავრები, ხოლო მათი დასახლებული ქვეყანა შესანიშნავი, კელტ- იბერები სარგებლობენ დიდებით...**

ომში კელტ -იბერები განთქმული არიან არა მხოლოდ როგორც ბრწყინვალე მხედრები, ასევე ქვეითთა შესანიშნავი ღონით და გამძლეობით. ისინი ატარებენ შავ მოსასხამს, ჩოხისას, თხის ბალნის მინამსგავსს .... ომს კელტ-იბერები აწარმოებენ ორი ხერხით: იბრძვიან რა ამხედრებულნი, მოიგებენ ბრძოლას თუ არა, ჩამოხდებიან ცხენებიდან და იბრძვიან ქვეითთა მწყობრში, იწვევენ რა მხილველთა აღტაცებას. ავისმოქმედთა და მტრების მიმართ მკაცრნი არიან, ხოლო სტუმრებთან -მეგობრული და კაცთმოყვარე. ასე, მათთან მისულ უცხოელს ყველა ცდილობს თავად უმასპინძლოს, კამათობენ ერთმანეთში მასპინძლობის უფლების შესახებ, ხოლო ვისთანაც უცხოელი ჩერდება, აქებენ და თვლიან ღვთის რჩეულად" (დიოდორე სიცილიელი; წიგნიV; 32-33)

რასაკვირველია დიოდორე სიცილიელი კელტებში აღმოსავლეთ ქართველურ ტომებს გულისხმობს. დიოდორე სიცილიელის ამ ციტატიდან შეუძლებელი ხდება ზუსტი გარკვევა, რომელი ტომია პირველადი პირენეის ნახევარკუნძულსა დ ა სამხრეთ ევროპაში, კელტები თუ იბერები. თუმცა არც იმ ვარიანტის გამორიცხვაა შესაძლებელი, რომ ეს ტომები ქვეყნიერების რომელიღაც ნაწილში შეიყარნენ, იქვე ჰქონდათ პერმანენტუ-

ლი შეტაკებები, სანამ მათი ეს მტრობა დამოყვრებით და ურთიერთ შერწყმით არ დამთავრდა და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწყვეს მიგრაციული ექსპედიცია სამხრეთ ევროპისაკენ. თავად დიოდორე სიცილიელი პირენეისა და სამხრეთ ევროპის პირველ მოსახლეობად შესაძლოა იბერებს თვლიდეს, თუ ის ინფორმირებული იქნებოდა მეგასთენეს ცნობებით ტეარკონ ქუშის შესახებ ... სიცხადეს ამ საკითხში ვერც აპიანეს ცნობა იწვევს **„იბერებს, მცხოვრებთ აზიაში, ერთნი თვლიან წინაპრებად , სხვები ევროპელი იბერების კოლონისტებად, მესამენი მხოლოდ მოსახელე ტომად. მათ არა აქვთ საერთო არც ზნე-ჩვეულებები, არც ენა“ (აპიანე; მითრიდატული ომები-101)**

აპიანეს სიტყვებით, აზიელი და ევროპელი იბერების ნათესაობის საკითხი ფაქტიურად გადაუწყვეტელია. მისი დროის ისტორიკისების აზრი სამადაა გაყოფილი და ვერც თავად საუბრობს რომელიმე ვერსიის სასარგებლოდ... თუმცა ზნე -ჩვეულებებზე აპიანე აშკარად ცდება-ის პურადობა, რომელსაც აღნიშნავს დიოდორე სიცილიელი, ორივე იბერიული ტომისათვის საერთოა...და შავი ჩოხის, თხის ბეწვის მსგავსი მოსასხამი -აზიელი იბერებისათვის ეს ნაბადია...

არ აუვლია გვერდი იბერიის საკითხისათვის პლუტარქესაც:

„ჩვენ არ ვიცნობთ არც ერთ მწერალს, ჰიპარქეს მე არისტოკრატე სპარტელის გარდა, რომელიც ამბობდეს, თითქოს ლიკურგე ლიბიასა და იბერიასაც ესტუმრა და ინდოეთსაც მიაღწიაო, რათა იქ გიმნოსოფისტებთან ესაუბრაო“ (პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ლიკურგე) (3*)

გაურკვეველია, თუ რომელ იბერიაზე საუბრობს პლუტარქე, აზიისა თუ ევროპისა და ვერც ეს ციტატა გამოდგება იბერების სადაურობაში სიცხადის შესატანად, თუმცა ინდოეთის და იბერიის ერთად ხსენება ერთსა და იმავე კონტექსტში, ამ უკანასკნელს აშკარად აღმოსავლეთის იბერიელად გვფიქრებინებს ... მეტ - ნაკლები სიცხადე აღნიშნულ საკითხში პლინიუს უფროსს შეაქვს:

„ მარკ ვარონი გადმოგვცემს, რომ მთელი ესპანეთი მოყვა იბერების, სპარსელების, ფინიკიელების და კართაგენელების თავდასხმის ქვეშ“ (პლინიუს უფროსი, წიგნი III, &- 1-8)

პლინიუს უფროსი საკუთარ თავს არ ღალატობს და ტომთა დუბლირებას ახდენს: ფინიკიელები და კართაგენელები თითქმის ერთიდაიგივე ტომია. ამასთან მისი დასახელებული ყველა ტომი აზიიდანაა, ფაქტიურად მცირე აზიიდან: მისივე ნახსენები სპარსელები სხა არავინ შეიძლება იყოს, თვინიერ ელამელებისა, რომელსაც სრულიად არასწორად სპარსელთა წინაპრად მიიჩნევს ანტიკური ისტორია ... ამასთან, იკვეთება ის ფაქტი, რომ აღნიშნული ტომები შესაძლებელია ერთი და იმავე ექსპ-

ედიციის, კერძოდ ტეარკონ ეთიოპის (ქუშის) ექსპედიციის მონაწილემი არიან...ასეთ შემთხვევაში თავად იბერიელებიც უცილობლად მცირე აზიიდან უნდა იყვნენ...

„ყველაზე მამაცებად იბერებიდან ითვლება ლუზიტანიელები (პორტუგალია) **რომლებიც ატარებენ მცირე ზომის ფარებს...ადვილად ამოძრავებენ ამ ფარს ბრძოლისას ყველა მხარეზე** (მეომარი) **ადვილად იგერიებს მისთვის ნასროლ ისრებს... მაგრამ მწყობრში ჩეხვისას მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან კელტ- იბერებს. მშვიდობიან დროს ისინი ვარჯიშობენ, ასრულებენ რა მსუბუქ ცეკვას, რომელიც მოითხოვს ფეხების საკმაო ძალას“**
(დიოდორე სიცილიელი; წიგნი V,-34)

შეხვედრის ადგილად დიოდორე სიცილიელი პირენეის ნახევარკუნძულს გულისხმობს, თუმცა არაზუსტად: ეს ორი მონათესავე ერი თითქმის ათ საუკუნოვანი განცალკევების შემდეგ სპარსეთის ყურესა და მცირე აზიაში ხვდებიან ერთმანეთს. ამასთან, ამ დროის განმავლობაში მათ საფუძვლიანად მოასწრეს ერთმანეთთან გაუცხოება, თვით სალაპარაკო ენის მხრივაც კი (4) შესაბამისად, ამ ორი ტომის შეხვედრის ადგილი მცირე აზიაა, საიდანაც ისინი მიემართებიან ევროპის სხვადასხვა კუთხისაკენ მის ასათვისებლად ... ევროპას ისინი სხვადასხვა წესით ასახლებენ: როგორც პირველ წიგნში აღინიშნა, პირენეის ნახევარკუნძულზე ისინი სხვადასხვა დისპოზიციით განლაგდებიან. ცალკე აღებული კატალონია-ეს ფინიკიური ტომებია, სხვადასხვანაირად სახელდებული: ამ ტომის სათავო ნაწილის სახელი ფინიკიელებია, მეიონები კართაგენელები, თესალიელები, ბეოტიელები, ვენეტები და ...ლაზები. საკუთრივ ესპანეთი- ეს კელტების (ძირითადად ქართების) და იბერების შერეული ნაწილია, გიბრალტარის სრუტის იქით მავრები-ასევე ქუშები და ბერბერები-იგივე სვანები. ტუნისი კი- ასევე ფინიკიელებია - კართაგენელები. ალჟირი - სვანები და მოსინეკები .... ლუზიტანები, პორტუგალიელები -საკუთრივ იბერები ... და რა სახელით იხსენიება არქაულ წყაროებში იგივ ე ლუზიტანები-დღევანდელობის პორტუგალიელები?

„ამგვარად ისტროსი (დუნაი) **ღებულობს ორი დიდი მდინარის წყალს. ომბრიკებს ზემოთ მდებარე ქვეყნიდან მდინარე კარპისი და მეორე- ალპისი მოედინებიან ჩრდილოეთისაკენ და ერთვიან ისტროსს. ამგვარად, ისტროსი მთელ ევროპაზე მოედინება. იწყება კელტებში, <u>რომლებიც კინეტების შემდეგ ყველაზე უკიდურესი ხალხია დასავლეთით,</u> მათ შორის , ვინც ცხოვრობს ევროპაში“ (ჰეროდოტე, ისტორია. წიგნი IV-49)**

და კიდევ:

„ კელტები არიან ჰერაკლეს სვეტებს გარეთ და ემეზობლებიან <u>კინესიელ-</u>

ებს, რომლებიც ევროპაში მცხოვრებთ შორის უკიდურესი დასავლეთი მხარე უჭირავთ“ (იქვე, წიგნი II-33)

აქვე განმარტებაში დაზუსტებული კინესიელების (კინეტების) ვინაობაც: **კინესიელები- ტომი ევროპის უკიდურეს დასავლეთ ტერიტორიაზე (პორტუგალიელები)**

მკითხველს შევახსენებ, რომ ჰეროდოტე ფაქტიურად უხუცესი ისტორიკოსია. თუ დიოდორე სიცილიელისათვის კელტებისა და იბერების ნარევი ნაცია- ეს ესპანელებია, ჰეროდოტესათვის ისინი ჯერ კიდევ კელტები არიან...ისევ და ისევ დიოდორე სიცილიელის ცნობიდან გამომდინარე, იბერიელებსა და კინესიელებს-იგივე კინეტებს შორის პირდაპირი ტოლობის ნიშანი უნდა დაისვას...და არის თუ არა სხვა ანტიკური ისტორიკოსი, რომელიც **კინეტების** არსებობას ადასტურებს, თუნდაც სხვა ტერიტორიაზე? როგორც კვლევის შედეგი გვაჩვენებს დიახ!

„ტიგრანმა დაარსა ქალაქი <u>იბერების</u> მახლობლად ამ ადგილას და ზევგმას შორის ევფრატზე. შეკრიბა რა მოსახლეობა მის მიერ დაპყრობილი 12 ქალაქიდან, მან დაარქვ ა ქალაქს ტიგრანოკერტი“ (სტრაბონი, წიგნი XI, თავი XIV-15)

მკითხველს მოვახსენებ, რომ ქალაქ ტიგრანოკერტის ადგილმდებარეობა ისტორიკოსთათვის ცნობილია. ის მდებარეობდა თურქეთის დღევანდელ ქალაქ დიარბექერთან, მდინარე ევფრატზე (ფაქტიურად შუა თურქეთში) ... მსოფლიო მეცნიერების მიერ აღიარებულია, რომ სტრაბონმა შეცდომა დაუშვა და იბერები მდინარე ევფრატთან არც არასდროს დაფიქსირებულან. სტრაბონის ეს ციტატა უყურადღებოდ დარჩა ქართველი მეცნიერებისტვისაც...თვით ხმალამოღებული დამცველი ყოველი ქართველურისა, პავლე ინგოროყვაც შეაცბუნა სტრაბონის ამ განცხადებამ და იბერების ქალაქი ედესას ადგილსამყოფელი (იდად გადასხვაფერებული) მხოლოდ კლარჯეთამდე „გაჭიმა“....და სადამდე ფიქსირდებოდა იბერების დასწრებულობა თუნდაც სტრაბონის ეპოქისათვის…

ისტორიული ექსკურსი

„ტიბარანებსა და ხალდებს კოლხეთამდე, ფარნაკიასა და ტრაპეზუნდს მართავს პითადორიდა“ (სტრაბონი, წიგნი XII, III-29)

ტიბარანები- ეს იბერიულო ტომია და კონტექსტიდან გამომდინარე, ტრაპეზუნდს სამხრეთით მოიაზრება (ტიბარანების თემას მოგვიანებით დავუბრუნდებით), ხალდები-ჭანებიც შორიახლოს მოიაზრებიან, ტრაპეზუნდის აღმოსავლეთით-მთებში...ან სულაც ჩრდილოეთით ... მაშ რომელ კოლხეთზე საუბრობს სტრაბონი? მკითხველს შევახსენებ, რომ ქრისტემდე 400 წელს ქალაქ ტრაპიზუნდთან გამოვიდ აზღვის სანაპიროზე ბერძნული

ჯარით ქსენოფონტე, რომელიც ბაბილონიდან და ფაპსაკიდან გაურბოდა სპარსელ მდევარ ლაშქარს. ქსენოფანტე აღნიშნავს, რომ ისინი კოლხებამდე მოვიდნენ, ამასთან მიუთითებს, რომ ესენი „სხვა კოლხები“ არიან და არა ჰეროდოტეს დაფიქსირებული მდინარე რიონთან...სინამდვილეში, ესენი იგივე კოლხები არიან, რამეთუ ჰეროდოტე კოლხთა საზღვრად ფაზისს (რიონს) აღნიშნავს, თუმცა ეს აიეტის კოლხეთის მხოლოდ დასავლეთი საზღვარია! კოლხების აღმოსავლეთი საზღვარი ტრაპეზუნდის სამხეთითაა, მის ზემოთ და რდილოეთით მოგვიანებით დეზინტეგრირებული ურარტუდან გადმოსული ხალდები (ჭანები) დასახლდნენ ... პითადორადა პოლემონიის პონტოს დედოფალია, კოლხეთის ჩათვლით...

„მათ ქვეყანაში მდებარეობს ნისიბიდა, რომელიც ასევე იწოდება ანტიოქიად, რომელიც მიგდონიაშია. ქალაქი მდებარეობს მასისის მთის ძირას, ისევე როგორც ტიგრანოკერტი“ (სტრაბონი, წიგნი -XIV თავი -I)

სავარაუდოა, რომ აქ სტრაბონში უფრო ლიტერატორი იმარჯვებს, ვიდრე გეოგრაფი: სინამდვილეში ტიგრანოკერტს საკმაო მანძილი აშორებს მასისის მთისგან-არარატისაგან...

ტიგრანოკერტი (სილვანი) ერთ-ერთი ძველარმენიული ქალაქი იმ ოთხთაგან, რომელიც დაარსა ტიგრან II ქრისტემდე I საუკუნეს, რომელიც მის სახელს ატარებდა. დედაქალაქი მისი იმპერიისა-დიდი სომხეთისა. ამჟამად მდებარეობს თურქეთში, ქალაქ დიარბექერის ჩრდილოეთით. (ვიკიპედია)

მაგრამ მასისის მთა-ეს არარატია, რომელიც მდინარე ტიგროსს გადაჰყურებს, და არა დღევანდელ ევფრატს, ხოლო ქალაქი ტიგრანოკერტი იმავე სტრაბონის სიტყვებით მდინარე ევფრატზეა! ცხადია სტრაბონი ხატოვნად აღნიშნავს ქალაქ ტიგრანოკერტის და ანტიოქიის მდებარეობას არარატის მთების წინარე, როგორც უდიდესი მთისა მცირე აზიაში...ამასთან, ქალაქ სილვანს, ადრინდელ ტიგრანოკერტს მდინარე ევფრატამდე მინიმუმ 150 კმ. აშორებს...

„გადავიდა რა ევფრატზე, მან ძალით დაიპყრო სირია და ფინიკია. ამაღლდა რა ასე მაღლა თავისი სიძლიერით, ტიგრანმა დაარსა ტიგრანოკერტი იბერების მახლობლად ამ ადგილსა და ზევგმას შორის ევფრატზე, შეკრიბა რა მოსახლეობა მის მიერ აღებული 12 ქალაქიდან, მან დაარქვა ქალაქს ტიგრანოკერტი“ (იქვე, წიგნი XIV, თავი XIV-15)

ტიგრანი მართლაც ჩანს ევფრატზე (ნამდვილ ევფრატზე) გადასული: წინააღმდეგ შემთხვევაში ის სირიას და მით უმეტეს ფინიკიას ვერ დაიპყრობდა. მაგრამ წინა მდებარე დასკვნიდან გამომნდინარე, მას ქალაქი ევფრატსა და ტიგროსს შორის უჩანს აშენებული, არარატის (მასისის) მთის პირდაპირ.... შესაბამისად, აბსოლუტურად მისაღები ჩანს სტრაბონის სიტყვები, რომ ტიგრანმა ქალაქი იბერების მახლობლად, მასისის მთის წინ

გააშენა...

„მოსხების ქვეყანაში, ნახსენები მდინარეების ზემოთ არის ფრიქსეს მიერ დაარსებული ლევკოთეას სამლოცველო და ფრიქსეს სამისნო, სადაც მსხვერპლად ცხვარს არ სწირავდნენ. ოდესღაც მდიდარი სამლოცველო გაძარცვული იქნა ფარნაკეს მიერ, ხოლო მოგვიანებით მითრიდატე პერგამოელის მიერ. ბოლოს და ბოლოს, კოლხეთს დაეუფლა პოლემონი, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ამ უკანასკნელს მართავდა მისი მეუღლე პითადორიდა, რომელიც კოლხების დედოფალი იყო, ქალაქების, ტრაპიზუნდისა და ფარნაკიასი და მის ზემოთ მდებარე ბარბაროსული ოლქებისა, რომელთა შესახებ მოგითხრობთ. მოსხების ქვეყანა, რომელშიც სამლოცველოა, იყოფა სამ ნაწილად: ერთს ფლობენ კოლხები, მეორეს იბერიელები, მესამეს არმენიელები. იბერიაში არსებობს აგრეთვე ქალაქი (ფრიქსეს დაბა) თანამედროვე ედესა, კარგად გამაგრებული პუნქტი კოლხეთის საზღვართან „ (იქვე, წიგნი XI, II-17-18)

სტრაბონის ეს ციტატა ერთობ მნიშვნელოვანი ჩანს და ასევე სკრუპულოზურ ყურადღებას მოითხოვს:

1.ის რომ ფრიქსეს სამლოცველო გაძარცვული იქნა თავიდან ფარნაკეს, ხოლო შემდგომ მითრიდატე პერგამოელის მიერ, განსაზღვრავს მის თარიღსაც: ფარნაკე, ქრისტემდე 63 წელი, მითრიდატე პერგამოელი, ქრისტემდე 47-45 წელი მეფობდნენ. მკითხველს შევახსენებ, რომ სტრაბონის მოღვაწეობა სულ რამდენიმე ათეული წლით თუ ჩამორჩება აღნიშნულ თარიღს... სტრაბონი თითქმის საკუთარი თანამედროვეობის ისტორიას აღწერს, ამასთან იგი ფაქტიურად ამავე ადგილების მკვიდრია-ამასტრიისა.

2.სტრაბონის მიხედვით პითადორიდას სადედოფლო კოლხეთი საკმაოდ დიდ მანძილზე ჩანს გადაჭიმული. დიოსკურიადადან (სოხუმიდან) ტრაპეზუნდსა და ფარნაკეამდე, მაგრამ სტრაბონის ზემოთ მოხსენიებული სიტყვები შეეხება ბარბაროსულ (მისი სიტყვებით) ოლქებს მოსხებისა, რომელიც სამ სუბიექტს შორის არის განაწილებული.

3. რაც შეეხება იბერების დაბა ედესას, ძნელია მარჩიელობა მისი და ლევკოთეას სამისნოს იდენტურობის შესახებ, მაგრამ ქალაქი ედესა ზუსტად ტრაპიზონდიდან აღმოსავლეთით უნდა მდებარეობდეს… ამასთან, სტრაბონი აღნიშნავს, რომ ეს ქალაქი იბერების და კოლხების საზღვარზე მდებარეობს...(ის რომ ამ იბერიასა და კოლხებს შორის ფაქტიურად საზღვარი ფიქსირდება, ცალკე განხილვის თემაა) ის რომ იბერების ქალაქი ედესა სტრაბონის სიტყვებით სათანადოდაა გამაგრებული, ამავე ფაქტით უთუოდ იბერთა პოლიტიკურ გაერთიანების არსებობასაც გულისხმობს...

4...და მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ იბერების ქალაქი ედესა სტრაბონისათვის აწმყოში არსებული ქალაქია...

„სპარსეთსა და სუსიანას ესაზღვრება ასირიელთა ქვეყანა. ასე ეწოდება ბაბილონიასა და მნიშვნელოვან ნაწილს მიმდებარე ოლქებისას...სირიის სახელი, როგორც ჩანს განვრცობილია არა მხოლოდ ბაბილონიდან და ისის ყურიდან, არამედ წარსულში ვრცელდებოდა ყურიდან პონტომდე (შავ ზღვამდე) ყოველ შემთხვევაში ორივე კაბადოკიის ხალხი (ისინი რომლებიც ცხოვრობენ ტავრზე და ვინც პონტოზე არიან) იწოდებიან დღევანდელ სინამდვილეში „თეთრ სირიელებად“...ბაბილონის ქვეყანას აღმოსავლეთიდან ესაზღვრებიან სუსელები, ელამელები და პარეტეკანები, სამხრეთიდან-სპარსეთის ყურე და ხალდები თავად <u>მესენიელ არაბებამდე</u>, დასავლეთიდან <u>არაბი</u> <u>სკენიტები</u> ადიაბენამდე და გორდიენამდე, ჩრდილოეთიდან არმენები და მიდიელები მდინარე ზაგროსამდე და ტომები მცხოვრებნი მის ახლოს“ (სტრაბონი, წიგნი XVI, I-1)

მესენიელი „არაბების“თემას ჩვენ შესაბამის თავში დავუბრუნდებით, მაგრამ სტრაბონისეული <u>სკენიტი „არაბები“</u> მტკივნეულად ჩამოგავს ჰეროდოტესეულ კინეეტებს- პორტუგალიელებს, რომელთაც დიოდორე სიცილიელი ერთმნიშვნელოვნად იბერებად საზღვრავს...ამასთან, სტრაბონის მიერ ნახსენები ყველა პოლიტიკური სუბიექტი ცნობილია გეოგრაფიულადაც ... აქ სტრაბონი იწყებს ბაბილონიის აღწერას, თანაც აღწერს მას აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით:

„მან (პართიის მეფემ) **დაიპყრო ათინას და არტემიდის სამსხვერპლო (უკანასკნელი იწოდება აზარად) და მიიტაცა იქიდან განძეული 10000 ტალანტის ღირებულებისა...ადიაბენა -დიდი ნაწილია ვაკესი. თუმცა ეს რაიონი იწოდება ბაბილონიის ნაწილად, მაგრამ მას ყავს საკუთარი მმართველი; ზოგიერთ ნაწილში ის ესაზღვრება არმენიას...ადიაბენას მცხოვრებლებს ასევე უწოდებენ საკოპოდებს“ (იქვე I-18)**

სტრაბონის გამომცემლები ფიქრობენ, რომ ხელნაწერის ამ ადგილას ტექსტი გაფუჭებულია (ვერ საზღვრავენ საკოპოდების რაობას) დიდი ალბათობით აქ ასაკენების ტომზე მიდის საუბარი, არტემიდეს აზარი მხოლოდ ამ უკანასკნელთან ეწოდება. (4*)

„ ადგილები მთების ახლოს საკმაოდ ნაყოფიერია, ნაწილი იმ ოლქებისა, რომელიც ევფრატის ახლოსაა და ხიდიდან (თანამედროვე ხიდი კომაგენასთან და ძველი ხიდი ფაპსაკთან) იკავებენ მიგდონები...წოდებულნი ასე მაკედონელებისაგან“ (იქვე I-23)

უაღრესად საყურადღებო ციტატა სტრაბონისა, რომელიც შესაბამის ადგილას იქნება განხილული ... ამასთან, პოლიტიკური გაერთიანება კომაგენა ისტორიულად ცნობილი ტერიტორიაა, შესაბამსად მცირე აზიის სპეციფიკურ (სიტუაციურ) რუქაზე დატანებული...

„მათ ქვეყანაში მდებარეობს ნისიბიდა, რომელიც ასევე იწოდება ანტიოქ-

იად, რომელიც მიგდონიაშია. ქალაქი მდებარეობს მასისი მთის ძირას, ისევე როგორც ტიგრანოკერტი“ (იქვე)

სტრაბონის ამ ციტატიდან გამომდინარე, მისი ეს ტიგრანოკერტი მდებარეობს მასისის -არარატის მთის ძირას, რომელიც მდინარე ტიგროსს გადაჰყურებს და არა ევფრატს...რატომ ევფრატს? იმიტომ, რომ მდინარე ევფრატის გადასვლის გარეშე ის სირიას და განსაკუთრებით ფინიკიას ვერ დაიპყრობდა-რაზედაც ზემო ციტატაში საუბრობს სტრაბონი...

„მეფე (ტიგრანმა) გადარეკა ყველა მაზაკიელი მესოპოტამიაში , შეადგინა მათგან ტიგრანოკერტის მოსახლეობა“ (იქვე, წიგნი XII, I -9)

სტრაბონის ეს სიტყვები კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს, კერძოდ, სტრაბონისეული ეს ტიგრანოკერტი მესოპოტამიაში - ორმდინარეთში, ტიგროსსა და ევფრატს შორის მდებარეობს ... მართლაც, დღეს არსებული ყველა სიტუაციური რუქით ანტიკური შუამდინარეთისა, არმენიის დედაქალაქი ტიგრანოკერტი შუამდინარეთში - მესოპოტამიაში არსებული ქალაქია (სილვენი, ქალაქ დიარბექერიდან 60 კილომეტრით ჩრდილოეთით) და რომლის მახლობლადაც იმავე სტრაბონი იბერებს აფიქსირებს...(5)

„მესოპოტამიის (შუამდინარეთს, ორ მდინარეს, ტიგროსს და ევფრატს შორის) **ნაწილს, მიმართულს სამხრეთისაკენ და უფრო დაშორებულს მთებიდან** (იგულისხმება მასისის - არარატის მთა) **უწყლო და მწირს, იკავებენ არაბი სკენიტები - ყაჩაღური და მწყემსური ტომი, რომლებიც ადვილად გადაადგილდებიან ადგილიდან ადგილზე, როცა არ ყოფნით საძოვრები თუ სარჩო. ასე რომ არა მარტო სკენიტები აყენებენ ზიანს მოსახლეობას, განლაგებულს მთების გასწვრივ, ასევე არმენებიც, რომლებიც ცხოვრობენ მათ ქვემოთ და ავიწროებენ მათ თავიანთი სიმძლავრით“ (სტრაბონი, წიგნი XVI, I-26)**

მკითხველს შევახსენებ, რომ ბაბილონიისა და მისი მიმდებარე მესოპოტამიის აღწერას სტრაბონი აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით ახორციელებს. ამასთან მის მიერ აღწერილი სკენიტების ბინადრობის ადგილი მდებარეობს უკვე აღწერილი ნისიბიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო თავად ნისიბადა მისივე სიტყვებით მასისის - არარატის წინ მდებარეობს...შესაბამისად, სკენიტი „არაბები“ -სინამდვილეში იბერები არარატის მთის სამხრეთ - დასავლეთით ბინადრობენ, ბინადრობენ ზუსტად იქ, რომლის მახლობლადაც სტრაბონი აღნიშნავს ტიგრან II აშენებულ დედაქალაქს დიდი არმენიისას-ტიგრანოკერტს....

„ევფრატსა და ტიგროსს შორის მოედინება კიდევ ერთი მდინარე, ბასილიი, ხოლო ანთემუსიის ახლოს მეორე-აბორა. მიმავალი სირიიდან სელევკიაში და ბაბილონში გზა გადის სკენიტების ოლქებზე (რომელთაც ზოგიერთები ასევე მალიელებს უწოდებენ) და მათ უდაბნოზე. გადადიან მო-

გზაურები ევფრატზე ანთემუსიის ახლოს, მესოპოტამიის ადგილისა. მდინარიდან 4 სხოინზე განლაგებულია ბამბიკა, რომელსაც ასევე უწოდებენ ედესას და გიეროპოლს (წმინდა ქალაქი)“ (იქვე I-27) (5)

და ზუსტად ეს ქალაქი ბამბიკა, იგივე ედესა - გიეროპოლი ჩანს სტრაბონისეული იმ ადგილის მეზობელი , სადაც ტიგრან II ააშენა საკუთარი სატახტო ქალაქი ტიგრანოკერტი... და ზუსტად ეს ადგილი, მოსხების გადანაწილებული ტერიტორია დევს იბერებს, კოლხებსა და არმენებს შორის. თავად ბამბიკა-ედესა -გიეროპოლი სტრაბონის სიტყვებით ჯერ კიდევ იბერების ტერიტორიაზეა და მათსავე მიერ გამაგრებული ადგილია... ზუსტად მისი მინიშნება ვერ გაბედა ყოველგვარი ქართულის ხმალამოღებულმა დამცველმა პავლე ინგოროყვამ და ეს საზღვარი მდინარე ჭოროხზე და გურჯი ბოღაზში გადმოიტანა, მიანიშნა რა აქ იდას თუ ედესას (სავარაუდოდ არ არსებულის) ადგილმდებარეობა...

„მდინარეზე გადასვლის შემდეგ ეს გზა დევს უდაბნოზე სკენებამდე, დიდ ქალაქამდე, განლაგებულს არხზე ბაბილონის საზღვრების მხარეს, ფონიდან სკენებამდე 25 დღე საქარავნო გზაა. ამ გზაზე მდებარეობს აქლემების სადგომი დასასვენებელი სახლებითურთ, ზოგჯერ დიდი წყალსაცავებით. ჩვეულებრივ ცისტერნებით, თუმცა ხანდახან აქლემების გამყოლები სარგებლობენ მოტანილი წყლით. სკენიტები მშვიდობიანი ხალხია და იღებენ ზომიერ ბაჟს, რის გამოც ვაჭრები თავს არიდებენ მდინარისპირა მოგზაურობას , მიდიან რისკზე და მოგზაურობენ უდაბნოზე, ტოვებენ რა მდინარეს მარჯვნივ თითქმის სამი დღის სავალ სამგზავრო გზა - ზე ...სკენები არიან სელევკიიდან 18 სხენის სავალ გზაზე (6) ...ნაკლებად მეგობრულად ექცევიან რომაელებს სკენიტი მომთაბარეები, მდინარის ახლოს მცხოვრებნი, მაგრამ უფრო კარგი ურთიერთობა აქვთ მდინარიდან შორს მცხოვრებთ და უფრო ახლოს ბედნიერ არაბებთან“ (იქვე)

საინტერესოა, რომ სტრაბონი სკენიტების ქალაქს **სკენებისას, სკენებს** უწოდებს...სტრაბონის მიერ იბერების ქალაქის სკენებად წოდება თვალნათლივ მიგვანიშნებს, **რომ ამ ხალხის ნამდვილი სახელი სკენე-ა, იბერთან ერთად, ხოლო სკენიტი- ამ ხალხის წარმოშობის ადგილი- სკენიტები სკენედან, ტი-ს ბერძნული სტილის დაბოლოების მიხედვით ჩანს წარმოებული....და იბერთა ეს სახელი კიდევ არა ერთგან, სრულიად მოულოდნელ ადგილას ამოტივტივდება...**

... სტრაბონის მიხედვით იბერები-სკენიტები ცხოვრობენ შემდეგ გარემოცვაში: ადიაბენა, გორდიენა, არმენია, კომაგენა, ანტიოქია (ნისიბიდის ნაწილი) და პართია...ამასთან მის შემადგენლობაშია ქალაქი ედესა, იგივე გიერაპოლი რომელსაც სტრაბონი იბერების ქალაქად ასახელებას...ასეთი ტე-

რიტორია და პოლიტიკური გაერთიანება სულ ერთია, და მას ისტორიაში ოსროენა ეწოდება, არაბთა სამეფო...

...და რატომ არაბთა? ეს უკვე შესაძლოა თავად სტრაბონის დამსახურება იყოს, რომელიც სკენიტებს (სინამდვილეში იბერებს) არაბებს უწოდებს...არაბებს უწოდებს ის მესენიელებსაც, თუმცა როგორც ირკვევა, ისინი აზიაში დარჩენილი დორიელები არიან... ისტორია არაბებს უწოდებს კასიტებსაც, თუმცა ასევე ზუსტად ვიცით, რომ კასიტები განდხარვთა სვანური ტომია...ზუსტად ასევე, სკენიტებად წოდებული ხალხი აფსართა ჩამომავალი იბერიული ტომი ჩანს... აღსანიშნავია, რომ სტრაბონი არაბ სკენიტებად მოიხსენიებს ადგილობრივ მოსახლეობას, მაგრამ ის მისთვის მაინც იბერიაა ... აკი აღნიშნავს კიდეც, იბერთა ქალაქი ედესაო-სტრაბონის დროს ამ პოლიტიკურ წარმონაქმნს სხვა სახელი, თვინიერ იბერიისა არც ეწოდება, ოსროენა ამ სახელმწიფოს გვიანდელი სახელია...და ზუსტად ამ პოლიტიკურ წარმონაქნს გულისხმობს წინა ციტატაში, რომ მოსხების ტერიტორია სამ ხალხს შორის არის გაყოფილი: იბერებს, არმენებს და კოლხებს შორის...მოსხების ტერიტორია არც არასდროს ვრცელდებოდა კავკასიის იბერებამდე...

…თუ ოსროენა იბერიაა (და ეს ნამდვილად ასეა) ვინ შეიძლება იყოს სტრაბონისეული მოსხები, რომელთა ტერიტორია სამ ხალხს: იბერებს, არმენებს და კოლხებს შორის არის გაყოფილი? პასუხ იერთადერთი შეიძლება იყოს: ეს მხოლოდ და მხოლოდ ურარტუს სამეფო შეიძლება იყოს! შედარებით გვიან წარმოქმნული...უნდა გავითავისოთ რომ სტრაბონი თავისი ეპოქის, წელთააღრიცხვების გასაყარზე არსებულ დისპოზიციაზე ჰყვება...

და როგორ შეიძლება მოხვედრილიყვნენ იბერები ურარტუს შემადენლობაში?

1. სტრაბონის მიხედვით, იბერია ურარტუს სამეფოს რიგებში არც უნდა მოიაზრებოდეს- ის გაცილებით გვიან წარმოქმნილი პოლიტიკური ერთეული ჩანს, ურარტუს დეზინტეგრაციის შემდეც შექმნილი და რომელიც დეზინტეგრირებული ურარტუს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილს იკავებს...

2.სავარაუდოა, რომ არმენია ურარტუს სამეფოში შემავალი ტომია, ურარტუს მეზობელ ტომებზე ექსპანსიის შედეგი...

3.იმ პრეისტორიულ ეპოქაში კოლხეთი ურარტუს გვერდიგვერდ იხედება, ამდენად სტრაბონის სიტყვები მოსხთა ნაწილის კოლხების მფლობელობაში გადასვლის შესახებ, ურარტუს ხალდთა იმ ნაწილს უნდა შეეხებოდეს, რომლებიც სტრაბონისვე სიტყვებით ხან მცირე არმენიას მიეკუთვნება, ხან სრულიად დამოუკიდებელი ტომია. როგორც ჩანს, კოლხებს ტრაპიზუნდ-ისპირა მთებსა და მცირე არმენიას შორის მცხოვრებ ხალდებზე გარკვეული გავლენა მაინც უნდა ჰქონოდათ...

მხოლოდ ოსროენა არ და ვერ იქნება მცირე აზიაში არსებული იბერთა სრული სპექტრი...კიდევ არა ერთი იბერიული პოლიტუკური გაერთიანება იძებნება იმავე მცირე აზიაში თუ მის ახლო- მახლო, მაგრამ ყველაფერზე მიმდევრობით...

ცოტა რამ მცირე აზიური ოსროენას (იბერიის) შესახებ

ედესას სამეფო, იგივე ოსროენას სამეფო, არსებობდა დასავლეთ ევფრატისპირა ოლქში მესოპოტამიისა ქრისტემდე 132-244 წლებში. დასახლებული ძირითადად სირიული ხალხებით (ძირითადად ასირიელები) მოლაპარაკე არამეულ ენაზე, ასევე მნიშვნელოვანი სომხური მოსახლეობით, რომლებიც ძირითადად განლაგებული იყვნენ სამეფოს ჩრდილოეთით, მის დედაქალაქ ედესაში. ოსროენად ძველ დროში იწოდებოდა დასავლეთი ნაწილი მესოპოტამიისა, რომლის მთავარი ქალაქი იყო ედესა. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ , ოსროენა შევიდა სელევკიდების სამეფოში. ქრისტემდე 132 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა ანტიოხ VII სიდეტისაგან, ხოლო 127 წელს ქრისტემდე დაპყრონილ იქნა არაბული ტომის, ორროს მიერ, რომელმაც დააფუძნა იქ საკუთარი სამეფო. ამასთან ერთად, რაც შეეხება ეთნიკურ წარმოშობას აბგარიდი მეფეებისა, არ არის შესაძლებლობა დადგინდეს, იყვნენ თუ არა ისინი არაბები (რაზედაც შესაძლოა აჩვენებს ზოგიერთი სახელი) არამევლები, არმენები თუ პართები. ოსროენა დამოუკიდებელი იყო მცირე ხნით. ადგილობრივი მმართველები აბგარიდების და მანუს დინასტიიდან იძულებულნი იყვნენ ეღიარებინათ არმენთა, პართების ან რომის იმპერიის უზენაესობა, აბგარ I დროს, ოსროენა გარკვეული ხანი შედიოდა არმენების თვითმპყრობელობის ქვეშ ტიგრან II დიდისა. მისი მომდევნო მეფე, აბგარ II მხარს უჭრდა რომაელებს და მათ ომებს პართიის წინააღმდეგ, რომელმაც იფეთქა 54 წელს ქრისტემდე. რომაული წყაროები ამტკიცებდნენ, რომ ზუსტად ის იყო დამნაშავე კრასუსის მძიმე მარცხისა ზაფხულს ქრისტემდე 53 წელს, კარის ომის დროს. მიუხედავად არმენთა მეფის არტავაზდ II რჩევისა, რომელიც სთავაზობდა შემოვლით გზას არმენიაზე, აბგარი ურჩევდა, რომ რომაელთა არმია წასულიყო პირდაპირ-დაუსახლებელი მესოპოტამიური სტეპებით. საბოლოოდ რომაული არმია ალყაში მოექცა და მთლიანად განადგურდა. ამ გამარჯვების შემდეგ, აბგარ II დასჯილ იქნა პართელთა მეფის ბრძანებით. (7) აბგარ VII დროს, რომელიც მართავდა II საუკუნის დასაწყისში, იმპერატორ ტრაიანეს დროს დაიწყო ახალი რომაულ-პართიული ომი. აბგარი ერთ- ერთი პირველთაგანი გადავიდა რომაელთა მხარეზე და გააგზავნა ტრაიანეს შესახვედრად საკუთარი შვილი ერვანდი. ამ ყმაწვილმა მოიპოვა იმპერატორის

კეთილგანწყობა და ტრაიანემ გადაწყვიტა შეენარჩუნებინა ედესის სამეფო. მაგრამ 116 წელს, როდესაც ტრაიანემ მიატოვა მესოპოტამია, იქ იფეთქა ანტირომაულმა აჯანყებამ. აბგარ VII როგორც რომის მოკავშირე, მოკლულ იქნა საკუთარი ქვეშევრდომების მიერ. 117 წელს ედესსა დაიპყრო რომაულმა ჯარმა, რომელმაც ძლიერ დააზიანა ქალაქი. რომაელთა გადაწყვეტილებით, მეფედ დასმულ იქნა მოკავშირე-პართელი მეფისწული პარფამასპატი. 123 წელს მამამისის, ოროზის მოთხოვნით, პარფამასპატს უნდა დაეტოვებინა ედესსა, რომელშიც (მანუ VII სახელით) აღდგენილ იქნა წინანდელი არაბული დინასტია. შემდეგი მეფე, მანუ VIII, 163 წელს, ახალი რომაულ-პართიული ომისას გადავიდა რომაელთა მხარეზე. როდესაც რომაელები დაეუფლნენ ქალაქს, ის გადაყენებულ იქნა მეფობიდან. სამეფო ტახტი გადაეცა არაბ ვაილს. ის მართავდა 163-165 წლეებში. 165 წელს მანუ VIII დაიბრუნა ძალაუფლება და მართავდა 177 წლამდე. სამშვიდობო ხელშეკრულებით 166 წელს ოსროენა გახდა რომის ვასალური სამეფო. შემდგომი მეფე აბგარ VIII რომის სამოქალაქო ომის დროს 193 - 194 წლებში მიიღო ნიგერის მხარე. როდესაც ხელისუფლებას დაეუფლა სეპტიმუს სევერი, აბგარმა აღიარა მისი ხელისუფლება და შეინარჩუნა ტახტი, თუმცა ის იძულებული გახდა გაეგზავნა შვილები რომში მძევლად. აბგარ VIII მემკვიდრე, აბგარ IX დიდი, 216 წელს გამოძახებულ იქნა იმპერატორ კარაკალას მიერ ანტიოქიაში, დაადო ბორკილები და გააგზავნა რომში, ოსროენა გარდაიქმნა რომის პროვინციად, თუმცა მალე რომაელები დამარცხდნენ პართელებთან და ედესაში გამეფდა შვილი აბგარ IX - მანუ IX.

ქრისტიანობა

ქრისტიანობის მიღებად ითვლება აპოკრიფიული ფაქტი მიმოწერისა აბგარ V- იესო ქრისტესთან. ქრისტიანობამ დაიწყო გავრცელება ედესაში II საუკუნის ბოლოს და შესაბამისად IV საუკუნის დასაწყისში გახდა დომინირებული რელიგია. შედეგად ედესა გახდა ერთ-ერთი ცენტრი ადრეული ქრისტიანობისა. არსებობს აპოკრიფიული ლეგენდა, რომ ედესას სამეფო (ოსროენა) პირველი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომელმაც ოფიციალურად მიიღო ქრისტიანობა (თუმცა ამ თვალსაზრისის სამტკიცად არ მოიპოვება საკმარისი საფუძვლები) ..აბგარ V უკამა-მეფობის წლები 13-50 წელი (ხელმეორედ)...

სპარსული მფლობელობა

როდესაც პართიაში განმტკიცდა ახალი სპარსული დინასტია სასანიდებისა, მათ დაიწყეს სერია ახალი ომებისა რომაელებთან. 242 წელს ოსრ-

ოენა დაიპყრეს სპარსელებმა. იმავე წელს რომის ომპერატორ გორდიან III შეძლო სპარსელებისათვის წაერთმია ქვეყანა და დასვა ტახტზე აბგარ X მაგრამ 244 წელს გორდიანი მოკლულ იქნა. მისმა მემკვიდრემ, ფილიპე არაბმა დაუთმო შაჰ შაპურს მთელი რომაული მესოპოტამია, ოსროენას ჩათვლით. ამის შემდეგ ოსროენას სამეფომ არსებობა შეწყვიტა.

...და პარალელური ცნობები, უკვე ედესას სამეფოდ ხმობილი ოსროენას შესახებ:

ედესსა

ედესსა- ძველი ქალაქი შანლურფას წინაპარი სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთში, დედაქალაქი ოსროენასი, ადრეული ქრისტიანობის მნშვნელოვანი ცენტრი. პირველად ქალაქი იწოდებოდა ადმა-დ. ეს სახელწოდება ასირიულა ლურსმნულ წყაროებში ჩნდება VII ქრისტემდე. 304 ქრისტემდე, სელევკ I ნიკატორმა ამ ადგილას დააფუძნა ახალი ქალაქი, დაარქვა მას ედესსა, იმ ქალაქ ედესის საპატივცემლოდ, რომელიც მაკედონიის ემაფიის ოლქში მდებარეობდა, ისტორიული დედაქალაქი ანტიკური მაკედონიასი. ადგილობრივი სირიული სახელწოდება იყო რუხუ (?) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი მესოპოტამიის ცივილიზაციისა, ქალაქი მიძღვნილი იყო ქალღმერთ ატარგატისისადმი. ამ კულტის შესახებ თანამედროვეობამდე შემონახულია ორი წმინდა ტბორი, რომელსიც ყავდათ თევზი, ამ ღმერთისადმი მიძღვნილი.

ოსროენას სამეფო

არიუმ დააფუძნა აქ 137 ქრისტემდე ედესის სამეფო, ასევე წოდებული ორროენას ან ოსროენას სამეფოდ. მისი ჩამომავალი ატარებდა საპატიო სახელს აბგარისა (მძლავრი ?) და პართიული ომების მსვლელობისას, არაერთხელ ჰქონდა კონტაქტი რომაელებთან, ძირითადად მტრული. არსებობს გადმოცემები, რომ აბგარ V უკამა (4-7; 13-50 ჩვ.წ. აღრიცხვამდე) ჰქონდა მიმოწერა იესო ქრისტესთან: მისი თხოვნით, ქრისტემ გამოუგზავნა მას საკუთარი „ხელთუქმნელი“ სახე-ხატება. იმავე გადმოცემით, აბგარ V დროს, მოციქულმა თომამ დაიწყო ედესის სამეფოში ქრისტიანობის ქადაგება, თუმცა ამ გამოთქმას არა აქვს ისტორიული მტკიცებულებანი. იმპერატორ ტრაიანეს დროს, ლუციი კვინტმა დაანგრია ედესსა, რომლის მცხოვრებნი არ აღმოჩნდნენ საიმედო პარტნიორები რომისა და აიძულა სამეფო გადაეხადა რომაელთათვის ხარკი. იმპერატორმა ადრიანემ შეამსუბუქა ხარკი და აღადგინა ედესის სამეფო, თუმცა ის შემდგომ დროშიც რჩებოდა რომზე დამოკიდებული. 216 წლის ახლოს, ქალაქი გადაკეთდა რომაელთა სამხედრო კოლონიად. 217 წელს, აქ მოკლული იქნა იმპერატორი კარაკალა. იმ-

პერატორმა გორდიან III კიდევ ერთხელ აღადგინა ედესის (ოსროენას) სამეფო და მიანდო ის აბგარს, ძველი სამეფო დინასტიის ჩამომავალს. მაგრამ უკვე 244 წელს-ისევ გადავიდა უშუალოდ რომაელების დაქვემდებარებაში. 260 წელს ქალაქი ალყაში მოაქციეს სპარსელებმა საპორ I მეთაურობით. იმპერატორი ვალერიანე დამარცხებულ იქნა ქალაქის კარიბჭესთან.

ბიზანტია

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ, ედესსა გადავიდა აღმოსავლეთ რომის იმპერიის გავლენის ქვეშ. ამ დროისათვის გაძლიერდა ამ ქალაქის როლი ქრისტიანული ეკლესიების ისტორიაში. 300-ზე მეტი მონასტერი მოითვლებოდა ქალაქში, იქ ცხოვრობდა მამა ეფრემ სირინი და მდებარეობდა სკოლა მისი მიმდევრებისა. არიანული, მონოფიზიტური და ნესტორიანული ერესების დროს საქრისტიანოში ედესსა თამაშობდა არა უმნიშვნელო როლს. (ნახეთ ვრისის ედესელი, ევლოგიი ედესელი). იმპერატორ იუსტინე I დროს (მართვის წლები 518-527) ქალაქი დანგრეულ იქნა მიწისძვრით. თუმცა მალე იქნა აღდგენილი და დაერქვა- იუსტინოპოლი. სასანიდ ხოსრო ანუშირვანს ალყაში ჰყავდა ქალაქი ედესსა, თუმცა უშედეგოდ.

ხალიფატი

ედესის გადასვლამ არაბული ხალიფატის ხელში, ბოლო მოუღო აქ ქრისტიანობის გაფურჩქვნას, ხოლო შემდეგ შიდა თუ გარე ომების შედეგად საერთოდ ჩაქრა ედესის მსოფლიო დიდება. 1031 წელს ბიზანტიის იმპერიამ მოახერხა ქალაქის აღება. მაგრამ იმავე საუკუნეში ის რამდენჯერმე იცვლის თავის მბრძანებელს. 1040 წელს ის საბოლოოდ დაიკავეს სელჯუკებმა.

ედესის სათავადო

1042 წელს ედესსა დაბრუნებულ იქნა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში. 1077 წელს ქალაქი მიერთებულ იქნა ფილარეტ ვარაჟუნის არმენიულ სახელწიფოზე. 1083 წელს, სმბატ ვხკაციმ გამოაცხადა ედესის დამოუკიდებელ მმართველად თავი. მაგრამ ის მოკლულ იქნა ქალაქის ექვსი თვის მმართველობის შემდეგ და ქალაქი ისევ დაბრუნდა ვარაჟუნის ხელისუფლების ქვეშ. სამი წლის შემდეგ ედესსა ისევ დაიპყრეს სელჯუკებმა, მაგრამ სულტან ტუტიშის სიკვდილის შემდეგ 1095 წელს მისი ნაცვალი არმენი ტოროსი გახდა. დამოუკიდებელი თავადი. XI-XII საუკუნეს ქალაქში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მატფეი ედესელი-მათეოს ურჰალელი...

ჯვაროსნები და ედესის სამეფო

1098 წელს, პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისას, ძმამ გოტფრიდ ბულიონელისა, გრაფმა ბალდუინმა ადვილად დაიპყრო ქალაქი მისი მცხოვრებლების დახმარებით და გახადა ის მთავარი ქალაქი ედესის საგრაფოსი. ნახევარ საუკუნეზე მეტი იარსება ედესის საგრაფომ სხვადასხვა თავადების ხელისუფლების ქვეშ, როგორც მოწინავე ფორპოსტი იერუსალიმის სამეფოსი თურქების წინააღმდეგ. განუწყვეტელ ომებში მუსულმანებთან ფრანკები მტკიცედ და მამაცურად იდგნენ, მაგრამ საბოლოოდ გრაფი ჟოსლინ II მმართველობისას, მოსულის მბრძანებელმა იმად-ად-დინ ზენდმა აიღო ქალაქი 1144 წელს. XII საუკუნეში ძირითად მცხოვრებლებს ედესისას წარმოადგენდნენ სირიელები და არმენები. ისევ გამეფდა აქ ისლამი და ყველა ქრისტიანული ეკლესია გადაკეთდა მეჩეთად. ედესის მცხოვრებთა ცდამ 1146 წელს ჩამოეფერთხათ მუსულმანობის უღელი, დამთავრდა ქალაქის განადგურებით. ისინი დაამარცხა ზენდის შვილმა და მემკვიდრემ, ნურ-ად-დინმა. ცოცხლად გადარჩენილები მონებად გახადეს, თავად ქალაქი დაარბიეს. მისი ბედი სრულიად შეიცვალა: ის დაისაკუთრეს ეგვიპტელმა და სირიელმა სულტნებმა, მონგოლებმა, თურქებმა (ი ს დაარბია თემურ -ლენგმა 1391 წელს) და სპარსელებმა, სანამ საბოლოოდ არ დაიპყრეს ის თურქებმა 1637 წელს. მათი ხელისუფლების ქვეშ ქალაქმა დაიწყო ნანგრევებიდან აღდგენა, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის მიერ. 1894 - 1895 წლებში, ატარებდა რა არა თურქი მოსახლეობის გენოციდს, პირველ რიგში არმენებისას, ხელისუფლებამ ამოწყვიტა ქალაქის მცხოვრებთა ნაწილი. ძველი ქალაქიდან გადარჩა ქალაქის კედლები და კედლები ციტადელის გარშემო.

ურფა-ედესა XX საუკუნის დასაწყისში

ედესსა- უკვე ურფად წოდებული, XX საუკუნის დასაწყისში წარმოადგენდა ადიმინსტრაციულ ცენტრს ვილაიეთ ურფასი. მოსახლეობა დაახლოებით 130 ათასი კაცი. ედესაში ითვლებოდა 75% ქრისტიანი და მხოლოდ 25% მუსულმანი. სახელმწიფო ენა-თურქული. იქვე განლაგებული იყო სამისიონერო ცენტრი და ერთ ამერიკული სკოლა.

(ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

აი ასეთია მოკლე ცნობები ედესას შესახებ, რომელსაც სტრაბონი იბერიის ქალაქად აცხადებს, თუმცა ამ იბერიელ სკენიტებს არაბებად თვლის...

1. ვიკიპედიის მასალები ედესას (ოსროენას) სამეფოს შესახებ, რომ ქრისტემდე VII საუკუნეს ედესას ადმე ეწოდებოდა, არ მტკიცდება არავითარი ოფიციალური წყაროთი ...სავარაუდოა, რომ ეს იბერიელები სპარსეთის მე-

ფის, დარიოსის მიერ კუნძულოვანი საბერძნეთიდან გადმოსახლებულნი არიან...ედესას ოსროენად მონათვლაც გაცილებით გვიანდელი ჩანს, სტრაბონი მას იბერიად ახსენებს...

2.ის რომ ოფიციალური ვერსიით ედესსა დასახლებული იყო სირიელებით და არმენებით, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ისევე როგორც თურმე არაბული ტომი ორრო: ვერსია სირიელებისა და არმენების ოსროენაში მოსახლეობის შესახებ მხოლოდ ისეთივე მოსაზრებას უნდა გამოხატავდეს, როგორც ელინებისა კითხვა ყოველგვარ უცხო ტომზე-აბა ვინ, თუ არა ისინი? რაც შეეხება ორროს არაბულ ტომობას, ეს ვერსია შესაძლოა თავად სტრაბონიდან იყოს აღებული, რომლისთვისაც (და არა მარტო მისთვის) ყველა უცნობი შავგრემანი ტომი არაბულია: მესენიელი, სკინეტი და კასიტი ... ერთიც, მეორეც და მესამეც, როგორც ოდნავ მოგვიანებით მტკიცდება-ქართველურია...

3...და საოცარი ცნობა ედესას მეფე აბგარ V იესო ქრისტესთან წარმოებულ მიმოწერაზე....ეს ერთადერთი მსგავსი პრეცედენტია მსოფლიოში ... და მოციქულ თომას მიერ ქრისტიანობის ქადაგება, რომელსაც თურმე მტკიცებულება არ გააჩნია...და სხვა რომელ მოციქულებზე და მათ მიერ წარმოებულ ქრისტიანობის ქადაგებაზე მოიპოვება უტყუარი ისტორიულ ცნობა, თვინიერ გადმოცემებისა?

4. და ასირიელი მამების კავკასიის იბერიაში მოსვლა, ქრისტესით VI საუკუნეში, აბსოლუტურად ემთხვევა ედესაში მომხდარ დამანგრეველ მიწისძვრას რომელმაც სრულიად დაანგრია ეს უკანასკნელი (518-527) წლის დიაპაზონში.

5. მეფე ოსროენისა, აბგარ V უკამა ჩანს ის პიროვნება, ვინც სამეფო ქრისტიანობისაკენ გადახარა. მკითხველს შევახსენებ, რომ აბგარ V ორჯერ მეფობდა (4-7) და (13-50) წლები...

6. ...და რატომაა ოსროენას (ედესას) სამეფოს მეფის დინასტიური სახელი აბგარი? **აბჯარი- ესე ზოგადი სახელი არს ყოველთა სჭურველთა და უფროსად საცვამთა ჯაჭვისა (სულხან-საბა) ... ასო-j- კი ლათინურ ალფავიტში, რომლითაც რომაელები სარგებლობდნენ, თურმე მხოლოდ XVI საუკუნეს შემოსულა... აბჯარი-ასეთი ყოფილა მცირე აზიელ იბერთა მეფის დინასტიური სახელი... იგულისმენოდა, რომ მომავალ მეფეს საკუთარი ხალხისთვის დამცველის, ჯავშანის როლი უნდა შეესრულებინა.**

7 ...და ერთი ფაქტი, რომელზედაც არ ილაპარაკო - უბრალოდ ფარისევლობაა ... ედესის შესახებ ცნობების ბოლო აკორდში სწერია, XX საუკუნის დასაწყისში ედესის მოსახლეობა, დაახლოებით 130 ათასი კაცი, აქედან 75% ქრისტიანი ...და კითხულობ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარს“ სადაც შავით თეთრზე სწერია ის დისკრიმინაცია, რასაც უკვე თურქეთში

ექვემდებარებოდა ქრისტიანი...

1.წლიური გადასახადი კომლის თითო სულზე 25 აკჩე ქრისტიანისათვის...

2. წლიური გადასახადი კომლის თითო სულზე 23 აკჩე მუსლიმისთვის...

აკჩე-საკმაოდ მცირე ფულის ვერცხლის ერთეულია. 4 სულიანი ქრისტანული ოჯახის წლიური გადასახადი 100 აკჩე, რომელიც დაახლოებთ ერთი ხარის საღირალის ტოლია...და 92 აკჩე ასევე 4 სულიანი მუსულმანური ოჯახისათვის... განსხვავება 8 აკჩეა წელიწადში, რომლითაც 1 ბატკანს თუ იყიდი...

P.S...არ ვიქნები საკუთარ სინდისთან მართალი, თუ არ გავახმოვანე ის პროცესი, რომლის შედეგად იბერიის მცირე აზიური ტომი (და სამეფო) გაძლიერდა და გამრავალრიცხოვნდა (ქრისტემდე VII საუკუნის ასი - რიული ცნობები ქალაქ ედესას ადგილას ქალაქ ადმეს მიუთითებენ, თუმცა ხელაღებით მტკიცება, რომ ის იბერიულია, შეუძლებელია)

„დანიშნა (დარიოსმა, სპარსელთა მეფემ) სხვა მხედართმთავრები და გააგზავნა ერიტრიასა და ათენში. ესენი იყვნენ დატისი, წარმოშობით მიდიელი და არტაფრენესი, არტაფრენესის შვილი, თავისი ძმისშვილი. მან გააგზავნა ესენი და უბრძანა, დაემორჩილებინა ათენი და ერიტრია და მისთვის მონები წამოესხა“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი VI-94)

მკითხველს მოვახსენებ, რომ ერიტრიას ქვეშ კუნძულ ხალკიდას ევბოას (რომელიც ზედ ეკვრის ათენს) მოსახლეობა იგულისხმება.

„აზიაში ხომალდებით მისულმა დატისმა და არტაფრენესმა დატყვევებული ერიტრიელები სუსაში წაიყვანეს. მეფე დარიოსი, ვიდრე ერიტრიელები ტყვედ ჩაცვvდებოდნენ, საშინლად იყო მათზე განრისხებული. რადგან ერიტრიელები მიაჩნდა მას უსამართლობის პირველ მიზეზად. მაგრამ როდესაც მან ისინი მოაყვანინა და თავის ხელქვეითებად აქცია, ცუდი არაფერი გაუკეთა, დაასახლა კისიის ქვეყანაში, თავის მამულში, რომელსაც სახელად ჰქვია არდერიკა, რაც სუსიდან 210 (31კმ) სტადიონით არის დაშორებული...აქ დაასახლა მეფემ დარიოსმა ერიტრეელები, რომლებიც ჩემს დრომდე ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაში და ლაპარაკობენთავის ძველ ენაზე. ასე იყო ერეტრიელთა საქმე“ (იქვე 119)

მკითხველს შევახსენებ , რომ აქ საუბარია პირველ იონიურ აჯანყებაზე სპარსელების წინააღმდეგ, ქრისტემდე 500 წელს. მცირე აზიელმა იონიელებმა (და ეოლიელებმა, მცხოვრებმა მცირე აზიის სამხრეთით, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე) შეძლეს გარკვეული წარმატების მოპოვება და სპარსელთა დამარცხება 498 და 497 წელს, თუმცა საბოლოოდ დამარცხდნენ 495 წელს და გადასახლებულ იქნენ (ზემოთ ხსენებულ ადგილას) ჩვ. წ. აღრიცხვამდე 494 წელს...ითვლება, რომ სპარსელთა წინააღმდეგ აჯანყების ორგანიზატორი მილეტი იყო, კარიული (ფინური წარმოშობის ტო-

მები, წოდებულნი ასევე იონიელებად) ქალაქი-პოლისი. ჰეროდოტეს ციტ-ატა, რომ დარიოსს ერიტრიელები მიაჩნდა უსამართლობის მიზეზად, ამ საკითხს ნათელს ფენს: ერიტრია, კუნძულოვანი სახელმწიფო მცირე აზი-ელ თანამემამულეებს, იონიელებსა და ეოლილებს სპარსელთა ბატონობის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებს და თავადაც აქტიურ მონაწილეო-ბას იღებდა აჯანყებაში. მცირე აზიაში გადასახლების მერე საკუთარ იბე-რიულ ენას ინარჩუნებენ, რომელზედაც ჰეროდოტე აპელირებს.

“ აქ დასახლდნენ ერიტრიელები, შეპყრობილნი სპარსელებისაგან.“(სტრაბ-ონი, წიგნი XVI, I-25) აქვე ასახელებს სტრაბონი ანთემუსიას (იხ ზემოთ, I-26; I-27) და აქვე, ერიტრეში ახსენებს **ჰეროდოტე ანთემუსს-ანთემუნტს-ქალაქი ხალკიდაში-ევბოაში (V-94)**

სავარაუდოა, რომ იბერების ამ პოლიტიკური წარმონაქმნის ფორმირე-ბაში აქტიურ როლს თამაშობს პართია- განსაკუთრებით პართიის სამეფო-ში ინტეგრირებული საკები, თავად იბერიული ტომი...ამ საკებს აქტიური მონაწილეობა უჩანთ თავად პართების სახელმწიფოს შექმნაში, ასევე მოგ-ვიანებით ტიგრან II არმენიაში გამეფებაში და არც უნდა იყოს საკვირვე-ლი, რომ თავიანთ სახლიკაცებს პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწ-ევაში ხელი წაუკრან... შემდეგაც, როდესაც პართების მეფის შვილი, რომის მოთხოვნით ოსროენას სუზერენი ხდენა, მამამისის- პართიის მეფის მოთხ-ოვნით ოსროენას ტახტს კანონიერ მფლობელებს უბრუნებს...ამასთან, ისი-ნი საკმაო მანძილით ჩანან დისტანცირებული იმ ტერიტორიიდან, სადაც მათ დარიოს I მიუჩინა საცხოვრისი... და კიდევ, ანთემუნტას - ანთემუსიას მხოლოდ კუნძულოვანი ქვეყნის მცხოვრები იბერები არქმევენ საკუთარ სამშობლოს-ახალს თუ ძველს...

...და სულაც არა აქვს მნიშვნელობა, ერიტრიადანაა თუ მცირე აზი-იდან, ალექსანდრე მაკედონელის უკეთესთა შორის საუკეთესო კავალერია **ანთემუნტელი მეგობრებისა-იბერებია...ზუსტად ისინი ჩანან „არიან ქართ-ველნი“ ძველი მემატიანისა, ალქსანდრე მაკედონელის მიერ აზონის მეთა-ურობით იბერიაში დატოვებულნი ... და ზუსტად იგინივე გადაუდგებიან აზონს და მიემხრობიან ტახტის პრეტენდენტ ფარნავაზს, იმდენად რამდე-ნადაც ასევე იბერიელები არიან, როგორც დანარჩენი ადგილობრივი მომ-ხრენი ფარნავაზისა! (ოსროენას რუქა იხილეთ წიგნის ბოლოს)**

...და მასაგეტები...

ამ თემაზე ჩვენ ზემოთაც ვისაუბრეთ. განვსზღვრეთ, რომ ამ ხალხს ისტორია უფრო საკების სახელით იცნობს... თუმცა უფრო იქით არ წავსუ-ლვართ, არ ვიცით თავად საკები ვინ არიან, თუმცა მათი დასწრებულობა

მცირე აზიაში -აქსიომაა... სრულიად არასწორად საკებს სკვითებად თვლის ჰეროდოტე და მაგალითად ამორგის საკები მოყავს ...ამორგის საკები, ეს ის ხალხია, რომელთანაც შეტაკებები უჩანს კიროს დიდს...და ჰეროდოტეს ურ-ყევი ავტორიტეტიდან გამომდინარე, ამორგის საკები-სკვითებად არის აღი-არებული ჰეროდოტეს შემდგომ ყველა ანტიკურ ქრონოგრაფებთან...თავად შუა აზიის საკები იყოფიან ორ ხალხად: ამორგის საკები-იგივე-მასაგეტები -იგივე ტიგრახაუნდები და საკი ჰაუმავარგა- იგივე წოწოლაქუდიანი საკე-ბი... უნდა ითქვას, რომ ამ საკების რაობა იმთავადვე არეული ჩანს: დიდი ალბათობით დარიოსი ვერ ბატონობს იმ საკებზე, რომელიც არ შედიოდა თავად კიროს დიდის იმპერიაში ... გავიხსენოთ, რომ კიროსმა ანდერძად დაუბარა თავის მემკვიდრეებს ამორგის საკებთან მეგობრობა - სპარსულ იმპერიაში ქვეშევრდომთან არ მეგობრობენ...და ზუსტად ეს ამორგის საკ-ებს-მასაგეტებს-ტიგრახაუნდებს შეეხება... დიოდორე სიცილიელის და გან-საკუთრებით ფლავიუს არრიანეს დიდფორმატიან ნაშრომში, სოგდ აჯან-ყებულს, სპიტამენს არარსებული აღმოსავლეთის სკვითები კი არ ეხმარებ-იან პარტიზანულ ომში, არამედ ჰეროდოტესგან სკვითებად მონათლული ამორგის საკები-იგივე მასაგეტები-იგივე ტიგრახაუნდები... აღნიშნავს კიდ-ეც არცთუ ისე მრავალრიცხოვან რაზმს მასაგეტებისას ფლავიუს არრიანე, სპიტამენის დასახმარებლად დაძრულებს... ხოლო „ბეხისტუნის წარწერებ-ში დაფიქსირებული სატრაპია საკა-მიეკუთვნება საკ ხაუმავარგას-წოწოლ-აქუდიანებს...ზუსტად ეს, სპარსეთის სატრაპია საკი-წოწოლაქუდიანები აჯ-ანყდნენ სპარსელი დარიოსის წინააღმდეგ, წინამძღოლ სკუნხას ხელმძღვა-ნელობით...რასაკვირველია ესენიც ყოფილი მცირე აზიელები არიან ... მათ შესახებ ალბათ ცალკე ვისაუბრებთ...ამჯერად ტიგრახაუნდებზე გავამახვი-ლებთ ყურადღებას...წინა მოცემულობით შევთანხმდით, რომ მასაგეტები და და საკები (ტიგრახაუნდები) ერთი და იგივეა... ეს სახელი, ტიგრთან დაკავ-შირებული, მხოლოდ იბერების ტომის სახელია, თანაც იმ იბერების, რო-მლის სამშობლო მცირე აზია და შუამდინარეთია, კერძოდ მდინარე ტიგ-როსის აუზი (8)...მაგრამ ვინ არიან საკუთრივ მასაგეტები, რა ხალხის სახ-ელით იცნობს მას ისტორია? თუ არ იცნობს, ვერ იცნობს?

„ფეოფანი, რომელიც თან ალდა პომპეუსს ლაშქრობაში ალბანების ქვეყა-ნაში, გვიამბობს რომ სკვითების ტომი გელებისა ლეგებისა ცხოვრობს (კა-ვკასიაში)“ (სტრაბონი, წიგნი XI, V-1)

სტრაბონის პერიოდისათვის კავკასიის პოლიტიკური რუქა უკვე ნაცვალია, მასზე უდიდესი გავლენა მოახდინა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამ, განსაკუთრებით ხალხთა გადასახლების მხრივ-აქ უკვე ალბა-ნური სახელმწიფოც ფიქსირდება, სხვათაშორის, 26 დაფიქსირებული ენით: **„ალბანელებს 26 ენა აქვთ“ (იქვე -6)**

აი აქ კი უშეცდომოდ შეგვიძლია მივუთთოთ, რომ ალბანელებიეს ილირიელებია, განლაგებული ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, ეპირისკოლხეთყოფილის მიმდებარედ და ილირიული მრავალეროვნებით განთქმული რომაულ პროვინციებს შორის გვიან...და მასაგეტები ვინღაა? რასაკვირველია ტატები...

„ტატები (დასახელების ვარიანტები-კავკასიელი ირანელები, სპარსულად დაგლი, ლახიჯი)-ირანულენოვანი ხალხი, მკვიდრი მოსახლეობა აზერბაიჯანისა და რუსეთისა (დაღესტანის სამხრეთით)...გუბისა და შაბრანის რაიონებში აზერბაიჯანში, ასევე დაღესტნის დასავლეთი ქალაქები დერბენტამდე, ასევე ცხოვრობენ გომბორში (საგარეჯოს რაიონი)...ტატები, მცხოვრებნი აფშერონის ნახევარკუნძულზე, ასახელებენ თავს ირანელებად, ხოლო ტატები მთიან სოფლებში ჩრდილო-აღმოსავლეთით, იწოდებიან დაგლებად, ასევე ლაიჯ-ებად.

არსებობს რამოდენიმე ვერსია ისტორიკოსებთან ტატების წარმოშობაზე. ერთნი თვლიან მათ სკვითებად, უწოდებენ მათ წინაპრებს ტაპურებს, სხვები ამბობენ მათ სასანიდურ წარმოშობაზე, არსებობს ვერსია მათი ებრაული წარმოსობის შესახებ, აგრეთვე მასაგეტების ასიმილაციაზე. მათ თვლიდნენ კავკასიის მკვიდრ მოსახლეობად, რომლებიც ნელ-ნელა გადავიდნენ ირანულ ენაზე, მაგრამ მოგვიანებით, აზერბაიჯანული ეთნოსის ფორმირებისას, არ გახდნენ თურქები. სირთულე მათი ეროვნების განსაზღვრისას ისაა, რომ ტატებს შორის არიან მუსლიმანებიც, ქრისტიანებიც და ებრაელებიც...

III-IV საუკუნეში, სასანიდურმა ირანმა დაიმორჩილა ეს მხარე. სპარსელებმა დაასახლეს ირანულენოვანი ხალხები, რომლებმაც ასიმილირება მოახდინეს ადგილობრივი მოსალეობისა, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი ენა, ოფიციალურად დაირქვეს ტატები. აზერბაიჯანელი ეთნოგრაფების მიხედვით მათი კულტურა მსგავსია აზერბაიჯანულის, ენებისხვადასხვაა. შუა საუკუნეებში-ტატები იყვნენ ძირითადი მოსახლეობა სახელმწიფო შირვანშაჰის (სადაც დავით აღმაშენებელმა გაათხოვა ქალი) 1921 წლის აღრიცხვით, ტატების რაოდენობა დაღესტანსა და აზერბაიჯანში 100000 სული აღირიცხებოდა, 2019 წელს 10, 9 ათასი...მ. ვალილი ბახირლი ამტკიცებს, რომ უმრავლესობა აზერო-თურქები ჩრდილო-დასავლეთ აზერბაიჯანში, ასევე მთიანი მხარე კუბისა და შემახის მაზრებისა, ასევე აფშერონის ნახევარკუნძული შედგება გათურქებული ტატებისაგან. ტატები ცხოვრობენ ყირიმშიც (არა ლაზები)…XVIII საუკუნეს იყვნენ ძირითადი მოსახლეობა ბაქოს სახანოსი, მნიშვნელოვანი ნაწილი კუბისა და შირვანის სახანოსი ... არეული არიან მთის ებრაელებში- ყველას ტა-

ტის სახელით ახსენებენ დაღესტანში (თუმცა მთლად დარწმუნებული არ არიან)

ირანის ტატები-ირანული ხალხი, მცხოვრებნი ირანის ჩრდილოეთ-ით, ყაზვინის პროვინციაში (კასპიის ზღვის გაყოლებით) ლაპარაკობენ ტატების ენაზე, შემავალი ჩრდილო ირანულ დიალექტში. რაოდენობა 300 ათასამდე სული" (ვიკიპედია- ტატები, იბეჭდება შემოკლებით)

ჩვენის მხრივ დავუმატებთ, რომ ტატების დიდი წილი ჩანს ასიმილირებული ლეკებში, აზერბაიჯანელებსა და ირანელებში-უკვე 2700 წელია იმავე ადგილზე ცხოვრობენ...ერთ ჩემს ნაცნობ „ასოკირკიტა" გუგლის კლიენტის მიხედვით (ის რასაკვირველია მეგრულ ვერსიას აწვება) კუბის თუ შემახიის სოფლებში, გვიან ღამით სტუმრობის მსურველ სტუმარს, ჭიშკართან „მასპინძელო" დაძახებულს, „ნამურექ"-ს ეძახიან თავიანთ- ლაზურის მსგავს ენაზე, „რომელი ხარო" თუმცა სიტყვის აზრი ალბათ აღარც ესმით...სავარაუდოა, რომ ტატების, ასიმილირებულის და არაასიმილირებულების რიცხვი მილიონამდეც უნდა იყვნენ...ასიმილირებულს იმ დონემდეც კი, რომ ტატი-მასაგეტების-იბერიელების, (ტალხინების ზევსის მცველების) სახელგანთქმულ ცეკვას ლეკურს-ლეგებისას უწოდებენ...

კიდევ ერთხელ გავიმეოროთ სტრაბონისეული ციტატა:

„საკები აწყობდნენ თავდასხმას კიმერელების და ტრერების მაგავსად: ერთი რეიდი შორეული, მეორე რეიდი ახლო მანძილზე . ასე დაიპყრეს ბაქტრიანა და დაეუფნენ უკეთეს მიწებს არმენებისას, რომელსაც საკუთარი სახელი საკაშენა დაარქვეს; ისინი მივიდნენ თავად კაბადოკიამდე, კერძოდ იმათამდე, რომლებიც ცხოვრობენ ევქსენის (შავ) ზღვაზე და ახლა იწოდებიან პონტიაკებად" (სტრაბონი, წიგნი XI, VIII-4)

სტრაბონი სულ ერთხელ ხმარობს ამ ტერმინს-პონტიაკები...პონტიტიაკები, მცხოვრები შავი ზღვის სანაპიროზე...თანაც აუცილებლად საკური ტომის წარმომადგენელი ... ეს მხოლოდ სტრაბონისეული ტიბარანები შეიძლება იყოს-მათ გენეზისზე წინა ტომში ვისაუბრეთ:

„ფარნაკიასა და ტრაპეზუნდს ზემოთ ბინადრობენ ტიბარანები და ხალდები, გადაჭიმული <u>მცირე არმენიამდე.</u> ეს უკანასკნელი ქვეყანა საკმაოდ ნაყოფიერია; მცირე არმენიას, როგორც სოფენას, ყოველთვის მართავდნენ ადგილობრივი მმართველები, რომლებიც ინარჩუნებდნენ მეგობრულ ურთიერთობას სხვა დანარჩენ სომხებთან, თუმცა იყვნენ დამოუკიდებელი. მათ ემორჩილებოდათ ხალდები და ტიბარანები, ასე რომ მათი თვითმპყრობელობა გრძელდებოდა ტრაპიზუნდამდე და ფარნაკიამდე (იქვე, წიგნი XII; III-28)

...და ეს მცირე არმენია რას წარმოადგენს?

„ ... (ჩამოართვეს) იბერებს ხორზენა და გოგარენა, რომელიც მდებარეობს

მტკვრის მეორე მხარეს“ (იქვე; წიგნი XI-XIV-5)

...და სად მდებარეობს ხორზენა სტრაბონისათვის:

„ ამ ვაკეს იქით მოდის საკასენა, ალბანეთისა და მდინარე მტკვრის მოსაზღვრედ, უფრო იქით მიდის გოგარენა ... ხორზენა და კამბისენა ყველაზე ჩრდილოეთით და დაფარულია თოვლით, ისინი მდებარეობენ კავკასიის მთების საზღვართან, იბერებთან და კოლხებთან“ (იქვე, წიგნიXI-XIV-4)

პავლე ინგოროყვას მიხედვით, ქართველთა მეფე ფარსმან II მოახერხა გოგარენას (გუგარაქის) დაბრუნება, თუმცა ხორზენას შესახებ ვერაფერს ამბობს...ვერ მონახა... თავად სტრაბონისათვის ის აღმოსავლეთ საქართველოშია, რომლის ცალკეული ელემენტის (საკასენა, კამბისენა-კამბეჩოვანი-ქიზიყი) დისპოზიცია სტრაბონის დროისათვის, სავარაუდოდ სხვანაირი იყო...ჰგავს, სტრაბონისათვის ხორზენა-ეს საკასენაა ... და რამდენად სწორია სტრაბონი ამ თავის ვერსიაში?...ფლავიუს არრიანე თავის დიდფორმატიან ნაშრომში „ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა“ ასეთ პასაჟს ჰყვება (რასაკვირველია მაკედონელის მემუარების ავტორების: არისტობულის ან პტოლომაიოსის მიხედვით): ალექსანდრე მაკედონელთან (იბერიაში-არახოსიაში ყოფნისას) ათასი მხედრის თანხლებით მიდის მავანი „ხორამნიელი“ (ფლავიუს არრიანეს სიტყვებით) ფარესმანი წინადადებით, რომ გაილაშქრონ მის მეზობელ კოლხებზე და ამაზონებზე და თავად მზადაა ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს მაკედონელებს ამ ლაშქრობაში... ალექსანდრე მაკედონელმა მოუცლელობა მოიმიზეზა და (გასაგები მიზეზების გამო და ამ მიზეზებზე წინა ტომში ვისაუბრეთ) და თავაზიანი უარი უთხრა...

1.არ შეიძლება ფლავიუს არრიანეს მიერ ხსენებული „ხორამნიელი ფარესმანი“ ხოროსნელი იყოს, მისი ხორამნია კოლხების და ამაზონების მეზობლადაა.

2. შეუძლებელია ფარესმანი საკასენელი იყოს: საკასენა უკვე დაპყრობილი აქვს მაკედონელს, მისი სუზერენები კატანა და ავსტანა ჩანს (ამ საკასენას ფლავიუს არრიანე ასაკენებად თვლის, თუმცა ეს უკანასკნელები საკებიამასაგეტები)

3.ალექსანდრე მაკედონელმა (დედის თხოვნისამებრ) ლაშქრობა სინოპას ნახევარკუნძულთან შეწყვიტა, აღმოსავლეთით მოატრიალა, რამეთუ სინოპას ჩრდილოეთით ტერიტოროები კოლხეთთან აფილირდება, თუმცა მოგვიანებით არმენებია დაპყრობილი უჩანს, მემუარების გედროსია...

4. ზუსტად ეს ტერიტორია, ფარნაკიიდან ტრაპიზუნდამდე, ზემოთ ზეგანზე (ზღვისპირა ტერიტორიები ტიბარანებისა ჩანს, მთები ხალდების) ტერიტორიები უკავია მელიტენას... და ზუსტად ეს ჩანს ის ხორზენა, რომელიც არმენმა სარდლებმა, ზარიადრემ და არტაქსერქსმა წაართვა მცირეაზიელ იბერებს და რომელსაც ფარსმან II რასაკვირველია ვერ დაიბრუნებ-

და...

...და არსებობს თუ არა სხვა მტკიცებულება მელიტენას- პონტიაკების იბერიულობისა? რასაკვირველია არსებობს...

...და პონტოს ყოფილი სამეფოს ხალხების შესახებ...

ბასილი სოფენელი (X საუკუნის 30-იანი წლები) ამ ავტორის მიერ შედგენილ ნუსხაში ჩამოთვლილია კონსტანტინეპოლის სამიტროპოლიოები და ავტოკეფალიური ეკლესიები, ასევე თითოეულ სამიტროპოლიოში შემავალი საეპისკოპოსო კათედრები. ჩვენს ინტერესს წარმოადგენს ნოტაცია X არომლის ნაწილსაც წარმოგიდგენთ...

კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვმდებარებულ მიტროპლიტთა სია

1.კაბადოკიისა - კესარიის მიტროპოლიტი

2.აზიისა - ეფესოს მიტროპოლიტი

3.ევროპისა - ჰერაკლიის მიტროპოლიტი

4.გალატიისა- ანკვირის მიტროპოლიტი

5.ჰელესპონტისა - კვიზიკის მიტროპოლიტი

6.ლიდიისა - სარდეს მიტროპოლიტი

7. ბითვინიისა - ნიკომედიის მიტროპოლიტი

8.იგივე ეპარქიისა - ნიკეას მიტროპოლიტი

9.იგივე ეპარქისა - ქალკედონის მიტროპოლიტი

10.პამფილიის - სიდის მიტყროპოლიტი

11.არმენიისა - სებასტიის მიტროპოლიტი

12.ჰელენოპონტოსი - ამასიის მიტროპოლიტი

13. არმენიისა - მელიტენას მიტროპოლიტი

14.კაბადოკიისა - ტიანას მიტროპოლიტი

და ასე შემდეგ 59-მდე, შემდგომი გაგრძელებით 84 -მდე. საინტერესოა რომ ბასილი სოფენელი შეძლებისდაგვარად ცდილობს სამიტროპოლიოები რიგობრივად ტერიტორიული მიმდევრობის მიხედვით ჩამოთვალოს. ასე მაგალითად, მელიტენას სამიტროპოლიტო მოთავსებულია ამასიის და ტიანას შორის ... და ანალოგიურად, ზედმიწევნითი სიები ბასილი სოფენელისა იმაზე, თითოეულ სამიტროპოლიოს რამდენი საეპისკოპოსო საყდარი ექვემდებარება:

1.კაბადოკიის კესარიის სამიტროპოლიტო-ექვემდებარება - 8 ეპარქია

2.აზიაში-ეფესოს სამიტროპოლიტო - 37 ეპარქია

3.თრაკიაში - ჰერაკლის სამიტროპოლიტო - 14 ეპარქია

4.გალატიაში - ანკვირის სამიტროპოლიტო -8 ეპარქია

5,ჰელესპონტში - კვიზიკის სამიტროპოლიტო-12 ეპარქია

6.ლიდიაში - სარდეს სამიტროპოლიტო - 23 ეპარქია
7.ბითვუნიაში - ნიკომედიის სამიტროპოლიტო -14 ეპარქია
8.ბითვინიაში - ნიკეას სამიტროპოლიტო -7 ეპარქია
9.ბითვინიაში - ქალკედონის სამიტროპოლიტო-დაქვემდებარებული არა აქვს
10.პანფილიაში - სიდის სამიტროპოლიტო -16 ეპარქია
11.არმენიაში - სებასტიის სამიტროპოლიტო -5 ეპარქია
12.ჰელენოპოლისში - ამასიის სამიტროპოლტიო -13 ეპარქია
13.სიცილიის სირაკუზის სამიტროპოლიტო - 13 ეპარქია
14.არმენიის - მელიტენას სამიტროპოლიტო -5 ეპარქია
15.კაბადოკიის - ტიანას სამიტროპოლიტლ-3 ეპარქია

სიების შედარება გვიჩვენებს, რომ ბასილი სოფენელი ფაქტიურად ერთი-ერთში იმეორებს პირველი სიის მიმდევრობას მიტროპოლიებისა და ფაქტიურად მიყვება მას, მხოლოდ N13 მელიტენას ადგილას მას დასახელებული აქვს სირაკუზის სამიტროპოლიტო სიცილიაში, ამასთან სირაკუზის სამიტროპოლიტოს მდებარეობა სიცილიაში დაზუსტებული აქვს თავად დედანშივე...თავად მელიტენას და მომდევნო კაბადოკიის სამიტროპოლიოს რიგითი ნომერი გადანაცვლებულია ერთი, სიცილიის სამიტროპოლიტოთი...და რამ გამოიწვი ა სირაკუზის სამიტროპოლიტოს ხსენება ბასილი სოფენელის მიერ ამ ეპიზოდში, როდესაც აღწერის ობიექტი სინოპას ნახევარკუნძულია შავ ზღვაზე? მკითხველს შევახსენებ, რომ სიცილია მდებარეობს სინოპადან და შავი ზღვიდან სამი ზღვის დაშორებით...

...და ასევე X -ბ ნოტაცია, რომელიც ფაქტიურად იმეორებს იმავე სამიტროპოლიოთა ჩამონათვალს, მცირე ცვლილებით : N13 მიტროპოლიად დასახელებულია <u>სიკულია -სიცილიის სამიტროპოლიტო!</u> ნოტაციაში სამიტროპოლიტო მელიტენა მთლიანად ჩანაცვლებული ჩანს სამიტროპოლიტო სიკულიათი (და არა ჩაჩოჩებული, როგორც წინა შემთხვევისას)…სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ნოტაციაში მცნება მელიტენა და მცნება სიკულია სინონიმებია. (სავარაუდოდ, სიკულია მელიტენას ადრინდელი სახელწოდებაა და საქმის ნამდვილ არსს განსაზღვრავს) ბასილი სოფენელისათვის სიტყვა სიკულია ასოცირებულია სიცილიასთან, ამიტომაც ნოტაცია X ა-ში სირაკუზის (სიცილიის ქალაქი) სამიტროპოლიოს აღწერს. და რატომ სირაკუზის? ნოტაციაში აღნიშნული N44 კატანიას და სირაკუზის სამიტროპოლიტო, ამასთან კატანიას სამიტროპოლიტოს არ უჩანს დაქვემდებარებული ეპარქია. (ამას თავად ბასილი სოფენელი აღნიშნავს) შესაბამისად, ის სირაკუზის სამიტროპოლიტოს აღწერს. სავარაუდოდ, ნოტაცია X ა-ში, ეს სამიტროპოლიტო ბასილი სოფენელს შეცდომითა აქვს შეტანილი. შეცდომის საფუძველს ბასილი სოფენელისათვის ნოტაცია X ბ- წარმოადგენს, სადაც მელიტენას სამიტროპოლიტოს სიკულია ჰქვია.

რაც შეეხება სიკულიას, ის პონტოს სამეფოს ერთ-ერთი შემადგენლ-ის, საკების ტომის პოლიტიკური წარმონაქმნის ადრინდელი სახელი ჩანს (უფრო ადრინდელი, ვიდრე მელიტენა) ...ნოტაცია X ბ-ში, სიკულიას სიცილიად თარგმნის ავტორობა პროფესორ სიმონ ყაუხჩიშვილს ეკუთვნის და მის მიერ არის დამატებული და ფრჩხილებში მოქცეული, არ ეკუთვნის ბასილი სოფენელს, რომლის დედანში სიცილიას უბრალოდ ვერ ვიპოვით. (ბასილი სოფენელი სოფენიდანაა, მელიტენის უშუალო მეზობელი)...მკითხველს შევახსენებ, რომ კუნძულ ტრინაკრიის (სიცილიის უპირველესი სახელი) პირველმოსახლენი სიკანები -ასაკენები ჩანან (9). დიდი რაოდენობის სიკულების (საკური ტომი) ჩამოსახლების შემდეგ, შეავიწროვეს სიკანები და კუნძულის კლდოვანი მხარისაკენ უკანდახევა აიძულეს, კუნძულსაც მათივე სახელის მიხედვით სიცილია დაერქვათ. როგორც ჩანს, მელიტენას ადრინდელი სახელი სიკულია უნდა იყოს, სხვების მიერ არმენიად შერაცხული ტომი ჯიუტად ახმოვანებს ამ სახელს ....ზუსტად ამიტომ ხდება ბასილი სოფენელის მიერ სიკულიის სამიტროპოლიტოს ჩათვლა სირაკუზის (ქალაქი სიცილიაში) სამიტროპოლიტოდ. უკვე ნოტაცია X დ-ში მითითებულია, რომ N13 სამიტროპოლიტო-ეს არმენიის სამიტროპოლიტო მელიტენაა...არმენიულმა , ლინგვა-ფრანკა ენამ მშობლიური იბერიული ენა ჩაანაცვლა...თუმცა საკუთარ იდენტობას X საუკუნეში ჯერ ინარჩუნებენ, სტრაბონისეული პონტიაკები, ასევე წოდებულნი XX საუკუმის დასაწყისში, წარმოშობით საკი-ტიგრახაუნდები არიან ... გამომდინარე ყველა შედეგებით... კიდევ რისი თქმა შეგვიძლია მელიტენის შესახებ?

„უფროსი შვილი ევერგეტისა გაიქცა მცირე არმენიაში-მელიტენაში, რომელშიც მეფობდა ანტიპატრე და მიიღო ის მფარველობაში, ხოლო საბოლოოდ ჯამში უანდერძა მას საკუთარი სამფლობელო...ეს მითრიდატე ევპატორის პირველი სამეფო იყო“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბრბლიოთეკა)

...და კიდევ:

„ხოლო კოლხიდიდან მიდიაში გადასავლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპეირების ტომი“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I-104)

ძალიან დიდი ალბათობით, მელიტენად ცნობილი პოლიტიკური წარმონაქმნი, იგივე სიკულია, იგივე ხაონია, ჰეროდოტოსათვის სასპერებად ცნობილი ტომის ნაწილია. ამ თემას კიდევ დავუბრუნდებით...

...კილიკიელები...

ერთი შეხედვით ეს მცირე აზიური ტომი უძმო და უნათესავოა. ისევე როგორც მელიტენას, მასაც ერთ -ერთი არმენიის სახელით იხსენებს ის-

ტორია...და რამდენად სწორია ის?

„დროთა ვითარებაში კროისოსმა მდინარე ჰალისის აქეთ მცხოვრები თითქმის ყველა ხალხი დაიმორჩილა, რადგან გარდა კილიკიელებისა და ლიკიელებისა, სხვა ყველა თავის ხელში ჰყავდა კროისოსს“ (ჰეროდოტე, ისტორია; წიგნი I-28)

გამომდინარე აქედან, კილიკიელები გამორჩეულად თავისუფლების მოყვარული ხალხი ჩანს...

„მიდიის საგამგებლოსა და ლიდიას შორის საზღვარი იყო მდინარე ჰალისი, რომელიც არმენიის მთებიდან გამოსული კილიკიაზე მოედინება“ (იქვე 1-72)

კილიკიის ტერიტორია გაცილებით დიდი ჩანს, ვიდრე წიგნის ბოლოში მოცემულ რუქაზეა გამოოსახული-ჰეროდოტეს ცნობას გაცილებით გვიან სტრაბონიც ამტკიცებს, რომლისთვისაც მაზაკა კილიკიელების მთავარი ქალაქია.

„საუკეთესო იყო პიქსადოროს მავსოლისის ძისა, რომელიც კინდიელი იყო, მას ცოლად ჰყავდა კილიკიელთა მეფის, სიენესის ასული ჰყავდა“ (იქვე V-118)

ჰეროდოტეს ეპოქაშიც კილიკიელები ორგანიზირებული პოლიტიკურურად ორგანიზირებული ჩანს, საკუთარი მეფეც გაჩნიათ...

„კილიკიელებმა ასი ხომალდი მოიყვანეს...მათ ძველად ჰიპაქაიები ეწოდებოდათ, ხოლო თავისი ეს სახელი მიიღეს ფინიკიელი ვაჟკაცისაგან, კილაქს აგენორის ძისგან“ (იქვე, წიგნი VII-91) და იქვე განმარტება საძიებელში:

კილაქსი-აგენორის ძე, ფინიკიელი, კილიკიელთა ეპონიმი...

და ამ განმარტებიდან ჩათვლილია, რომ კილიკიელები ფინიკიელები არიან ... სინამდვილეში, იმავე ჰეროდოტესთან არის შემთხვევები, რომ სრულიად სხვა ტომის წარმომადგენელი, გმირი, აძლევს სახელს სრულიად სხვა, მისთვის უცხო ტომს...

„ფლოტში ფინიკიელები აღმოჩნდნენ ყველაზე მამაცები, მათთან ერთად ლაშქრობდნენ ახლახან დამორჩილებული კიპროსელები, კილიკიელები და ეგვიპტელები“ (იქვე, წიგნი VI-6) და კიდევ:

„თუ ფინიკიელები, ეგვიპტელები, კიპროსელები და კილიკიელები მხდალები იყვნენ, არაფერი ბრალი სპარსელებს ამაში არ მიუძღვით“(იქვე, წიგნი VIII-100)

ამ უკანასკნელ ორ ამონარიდში, ჰეროდოტე მკვეთრად გამოყოფს ერთმანეთისგან ფინიკიელებს და კილიკიელებს...ჩანს, კილიკიელები ფინიკიელები არ არიან... მაშ ვინ? ისტორია მათ მერამდენე არმენიას არქმევს, მაგრამ კილიკიელები ხმელთაშუა ზღვის ცნობილი მეკობრეები არიან, რომელთა წინააღმდეგ თავად რომის კონსულ პომპეუსს მოუხდა გალაშქრება... არმე-

ნები ამ პროფესიაში არ არიან შემჩნეული...

“ტიგრანმა, არმენთა მეფემ ჩააყენა ისინი (მაზაკენები) მძიმე მდგომარეობაში, კაბადოკიაზე თავდასხმების დროს ; მეფემ გაირეკა ყველა მაზაკიელი მესოპოტამიაში, შეადგინა რა მათგან ტიგრანოოკერტის მოსახლეობა. შემდეგ, ტიგრანოკერტის დაცემის შემდეგ ისინი, ვინც შემძლე იყო, დაბრუნდა სამშობლოში“ (სტრაბონი; წიგნი XII, II-9)

ვინ არიან თავად მაზაკენები? ეს ციტატა ამას ვერ პაუხობს, მაგრამ:

„ასევე, ეგრეთ წოდებული მაზაკა-მთავარი ქალაქი ტომისა - განლაგებული კილიკიაში“ (იქვე, XII;II-7) ...და კიდევ:

„მთელი ეგვიპტე არის ის ქვეყანა, რომელიც ეგვიპტელებითა დასახლებული, როგორც კილიკიე კილიკიელებით და ასირიე ასირიელებით“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი II-2)

შესაბამისად, კილიკია კილიკიელებითაა დასახლებული, მით უმეტეს მათი მთავარი ქალაქი, დედაქალაქი მაზაკაც კილიკიელებითაა დასახლებული... და მიანც, ვისი ტომისანი არიან კილიკიელები-მაზაკელები?

„ტიგრანოკერტში კილიკიიდან გადმოსახლებული მრავალი ბერძენი ცხოვრობდა. აქვე იყვნენ ბერძენთა მსგავსად ძალით გადმოსახლებული ბარბაროსებიც : ადიაბენელები, ასირიელები, გორდიენელები, და კაბადოკიელები. ტიგრანმა მათი სამშობლო ადგილები მიწასთან გაასწორა, ხოლო ისინი აიძულა აქ ტიგრანოკერტში დასახლებულიყვნენ“ (პლუტარქე; რჩეული ბიოგრაფიები, ლუკულუსი-26) ...და კიდევ:

„მესოპოტამია ტიგრანმა ბერძნებით გაავსო. ისინი იძულებით გადმოასახლა აქ კილიკიიდან და კაბადოკიიდან. ასევე წამოიყვანა სამშობლოდან მომთაბარე არაბები და თავის დედაქალაქის მახლობლად დაასახლა- უნდოდა ეს ხალხი სავაჭრო საქმეებში გამოეყენებინა“ (იქვე-21

...და იქვე განმარტება: **მომთაბარე არაბები, -ეგრეთ წოდებული სკენიტები...**

ვერ წამოიყვანდა...ვერ წამიყვანდა მომთაბარე სკენიტ არაბებს...იმ სკენიტ „არაბებს“ ტიგრან II გამეფების მომენტისათვის 50 წლოვანი სახელმწიფოებრიობა აქვთ და რომელთანაც ტიგრან II არმენიის სამხედრო კონფლიქტი არ დაფიქსირებულა... შესაბამისად, ეს სკენიტები მაზაკიელები არიან, ჰეროდოტესეული მასაგეტები - საკები-ტიგრახაუნდები და იბერები ... კილიკია-ეს მცირე აზიის კიდევ ერთი იბერიაა, მელიტენა - სპერელების იბერია და ედესა-ევროპელი იბერების-მალების ტომის იბერია...

... და საკასენა...ლეგების (როგორც ჩანს ტატების) ტომი, ქრისტემდე 690-687 წლების დიაპაზონში დამკვიდრებული მასაგეტები-ტიგრახაუნდების ტომი დასავლეთ კასპიიპირეთში. მათი დიდი ნაწილი- ლეკებში, ალბანელებში გარეული...ლიზგინკა-ლეკური ქართული, იბერიული ცეკვაა და ზუსტად ალბანებში-ლეკებში გარეულ იბერებს ეკუთვნთ-ტატებს...

...და ერთი, სრულიად ლეგიტიმური შეკითხვა: მაინც რომელ იბერიას ჩამოაჭრეს არმენმა სარდლებმა, არტაქსერქსემ და ზარიადრეს ხორზენა-მელიტენა, უკვე მცირე არმენიად წოდებული?

1. ედესა-ოსროენად ცნობილი, იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ არსებულია.

2. თუ რუქებს ვენდობით, იმ დროის კილიკია ვერ უწევდა მელიტენამდე და შესაბამისად მელიტენა მისი ნაწილი არ არის.

3.სტრაბონი პონტიაკებს ეძახის იმ საკებს, რომელიც შუა აზიელი და საკ-ასენელი საკების თანატომელები არიან.

4.სავარაუდოდ, სტრაბონისეული პონტიაკები - ზღვისპირელები ნათარგმნი სახელია ჩვენთვის საძიებელი ტომისა, პონტოს ზღვის მიხედვით.

5.იმ ტომის ის ნაწილი, რომელსაც არმენმა სარდლებმა ჩამოაჭრეს მელიტ-ენა, ძალიან დიდი ალბათობით ზღვაზე უნდა გადიოდეს და ასეთი ზუს-ტად მაზაკიელებია.

6...და რომელ ზღვაზეა მაზაკიელების გასვლა სავარაუდო? რასაკვირველია პონტოს ზღვაზე, განსხვავებით კილიკიელებისა, რომლებსაც ხმელთაშუა ზღვის იმ ნაწილზე გადიან, რომელსაც კილიკიის ზღვა ეწოდება.

7. და პონტოს ზღვის არაბერძნული სახელი რომელი იყო? რასაკვირველია სპერის ზღვა...

„ხოლო კოლხიდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერ-თი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპერების ტომი“ (ჰეროდოტე, წიგნი I-104) ...და რასაკვირველია სასპერები აქ სპერის ზღვის პირელებს ნიშნავს. **„მატიენებს, სასპერებს და ალაროდებს შეწერილი ჰქონდათ 200 ტალანტი. ესაა მეთვრამეტე სატრაპია“ (იქვე, წიგნიIII-94)** (9*) ...და კიდევ: **„ალაროდიელები და სასპერები კოლხების მსგავსად შეიარაღებულნი ლა-შქრობდნენ. მათ განაგებდა მასისტიოსი, სირომიტრესის ძე“(იქვე, VII-79)**

...და რატომ შეეშალა სტრაბონს, რომელმაც ფაქტიურად მაზაკა-სას-პერების ქალაქი კილიკიას მიათვალა? აქ ისტირიული კონიუნქტურას უნ-და მიექცეს ყურადღება: ჰეროდოტეს შემდეგ სტრაბონამდე თითქმის 4,5 სა-უკუნეა გასული... თუ ჰეროდოტეს დროს სასპერები ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდნენ, ამ საუკუნების განმავლობაში მათ ეს ერთეუ-ლი დაკარგული უჩანთ, სტრაბონი მათ მაზაკიელებად იხსენებს, ქალაქ მა-ზაკას მიხედვით...სასპერების ქალაქის, მაზაკას კილიკიელებისთვის მითვ-ლას მხოლოდ ის სარჩული შეიძლება ჰქონდეს, რომ ისინი თანატომელები არიან, ერთიც და მეორეც იბერიელია...

„არც კატაონიის ვაკეზე, არც მელიტენაში არ არის ქალაქები, მაგრამ არს-ებობს ძლიერი ციხე-სიმაგრე-აზამორი და დასტარკი, რომელთა გარშემო მოედინება მდინარე კარმალი“ (სტრაბონი; წიგნიXII, II-5) ...და განმარტება:

1.აზამორი-- ციხე-სიმაგრე იბერიაში...

2.დასტარკი--ციხე-სიმაგრე დიდ კაბადოკიაში...

კონტექსტიდან გამომდინარე, ორივე ციხე სიმგრეს ჩამოუდის მდინარე კარმალი და შესაბამისად ორივე იბერიაში მდებარეობს... იმ იბერიაში, რომლის მოძიებას და დამტკიცებასაც ჩვენ ვცდილობთ...

ქართული ლეგენდები და რეალობა

მიუხედავად გაბატონებული აზრისა პრომეთეს მითზე, რომელიც ჩათვლილია ელინური ეპოსის საკუთრებად, ლეგენდას გაცილებით ძველი ფესვები უჩანს, ვიდრე თავად ელინური ეთნოსია ... (ამ სახელით მაინც) თვით ლეგენდა ქართული ამირანზეც კი გაცილებით ძველი ჩანს, ვიდრე ბერძენთა გენეზისი....

ისე როგორც არა ერთი ლეგენდა, რომელიც ითვისებს ორი და მეტი გმირის თვისებებს და მათ ერთარსებად წარმოსახავს, პრომეთე- ამირანის მითთანაც ამავე სიტუაციასთან უნდა გვქონდეს საქმე ... პრომეთე, ეს უაღრესად მასშტაბური ფიგურაა, რომელიც მამა ღმერთსაც კი არ ეპუება (ზოგიერთი, მიწიერთათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში...) პრომეთე მაღალი გონია, რომელმაც ლეგენდის მიხედვით კაცობრიობა ცეცხლის მოპოვებას აზიარა და ფაქტიურად ადამიანთა ზეცისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას ჩაუყარა საფუძველი. გავიხსენოთ, რომ ბერძნული (სინამდვილეში პელაზგური) ლეგენდა პრომეთეს კაცობრიობ ის (უკიდურეს შემთხვევში წარღვნის შემდგომთა) მამად აღიარებს: ლეგენდის მიხედვით მსოფლიო წარღვნას მხოლოდ ორი დედამიწელი გადაურჩა, პრომეთეს შვილი დევკალიონი და მისი ბაძაშვილი პირა. როდესაც მათ უზენაესს დედამიწის კვლავ დასახლება სთხოვეს, მან შეიწყალა თხოვნა და მთხოვნელებს ხელუკუღმა წყალში მიწის ბელტების სროლა უბრძანა, რაც დაუყოვნებლივ იქნა შესრულებული. დევკალიონის ნასროლი მიწის ბელტებიდან წყლიდან მამაკაცები ამოიზრდებოდა, პირას ნასროლი ბელტებიდან კი ქალები...ასე იქნა დასახლებული დედამიწა ხელახლა ბერძნული (პელაზგური) ლეგენდის მიხედვით...

არსებობს უტყუარი ინფორმაცია, რომ ინდოეთს გარეთა ცხოვრება დედამიწაზე ქრისტემდე XXXVI საუკუნეს დედამიწის ერთადერთ წერტილში, ვენეციაში იყო ... რასაკვირველია არც ის შეიძლება შემთხვევითობა იყოს, რომ ზუსტად ეს მოსახლეობა მოყვა გლობალურ პროცესში, რომელსაც მსოფლიო წარღვნა ეწოდება...ამ თემაზე ამ წიგნში საუბარი არ გაგრძელდება, თვინიერ იმისა, რომ ადამიანთა აქ დასახლების ინიციატორი, წინამძღოლი და დამპურებელი მაღალი გონი იყო, ხოლო ეს დასახლება ხალდეური-ჭანური და კოლხურ-იბერიული იყო...

...მაშ ასე, პრომეთე კავკასიის კლდეს მიაჯაჭვეს, მას ღვიძლს არწივი უკორტნის, ქომაგი კი მხოლოდ იბერიელი უჩანს, რომელიც ამ არწივის დაუნდობელი მტერია და ცდილობს ამ უკანასკნელის დედაბუდიანად ამოწყვეტას (კოლხი იმ მთებიდან ძალიან შორს ცხოვრობს, სადაც პრომეთეა მიჯაჭვული და არწივი მის მკერდს კორტნის- ადრიატიკის და იონიის ზღვაზე....)

აღნიშნული ლეგენდა ძალიან შორეულ წარსულში იღებს სათავეს… გავბედავ და თარიღის ლოკალიზაციასაც შევეცდები: ხალდ-კოლხებს მაღალი გონი ვენეციაში ქრისტემდე XXXVI საუკუნეს ასახლებს, უფრო ზუსტად 3523 წელს, ხოლო პრომეთე კლდეზე მიჯაჭვული ჩანს არა უგვიანეს XVIII საუკუნეს...

...და რამდენ ხანს იყო მიჯაჭვული პრომეთე კავკასიის მთებზე, სანამ მას ზევსის ბრძანებით მისი მიწიერი შვილი ჰერაკლე გაანთავისუფლებდა? ჰერაკლე ქრისტემდე XIV საუკუნის მეორე ნახევრის გმირია. XIII დასაწყისისათვის ის უკვე აღარ იხსენიება ცოცხალთა რიგებში ... სხვათაშორის, ჰერაკლეს იბერიაში-კავკასიის იბერიაში ლაშქრობა მტკიცდება კიდეც - ის ზედაზენს უტევს, მაგრამ ვერ იმორჩილებს...მის მიერ ზედაზენის ვერ დამორჩილებას წყაროები ზევსის ნება - სურვილს უკავშირებენ: თითქოსდა მან მიწისძვრით (რასაკვირველია იბერიაში) მიანიშნა ჰერაკლეს ზედაზენის აღების მიზანშეუწონლობა ... პრომეთე კავკასიის მთებში მინიმუმ V საუკუნე იყო მიჯაჭვული...რასაკვირველია ეს ლეგენდაა, თუმცა ვინ იცის...

წინამდებარე წიგნში ამირანის ლეგენდის ხალხური ვარიანტი იქნება განხილული (და არა მოსე ხონელის საგმირო ეპოსი ამირანდარეჯანიანი) რაც შეეხება ამირანს, წყაროები ფაქტიურად შეთანხმებულია იმაზე, რომ ამირანის მამობილი მონადირე სულკალმახია, თუმცა: **ფშაური თქმულებისამებრ ამირანის მამას სულკალმახი ერქვა. (ივ ჯავახიშვილი, ტომი I , გვ 189 თბილისი 1979წ.)** თავად ივ.ჯავახიშვილი ჭიჭინაძის ნაშრომით სარგებლობს. ადრე ვახსენეთ სუკკალ-მახები (სამნი იერარქიის მიხედვით), რომელიც ელამის სამეფოს სიუზერენებს წარმოადგენენ და რომელთა დინასტიაც ქრება ელამში ქრისტემდე XVI საუკუნეს ... ამასთან მათი ყოფნის აშკარა კვალი ჩნდება სამხრეთ საქართველოში სულა კალმახელის უკვე უცნობი ინსიგნიებით (10). ამირანი ნადირთა მფარველის (როგორც ჩანს არტემიდეს-აზარის ერთ-ერთი ნიმფის) დალის და მიწიერი მამაკაცის სიყვარულის ნაყოფია. ის რომ ამირანი სულკალმახის სისხლისმიერი შვილი არაა, არამედ მხოლოდ შვილობილი, თუმცა სავარაუდოდ ის ქართლის- ქუშის ტომელია...ამასთან, ფაქტიურად შესაძლებელია ამირანის (ლეგენდის) წარმოშობის თარიღის დაზუსტებაც-მოქმედება ხდება არა უგვიანეს XVI საუკუნისა ქრისტემდე...დავაჟკაცებული ამირანი ხეტიალისას ორ „ჩინოვანს“ გა-

დააწყდება: **„წავიდა ამირანი და შეხვდნენ ორნი ჩინოვანნი-ბადრი და უსუპი...მათ უთხრა ამირანმა-უნდა მეყმოთ ან უნდა მეძმოთო- გეძმობითო, უთხრეს მათ.** შემდეგში ისინი ჩინელებად იწოდებიან, თუმცა რასაკვირველია ხალდები არიან-ჭანები... მოქმედება მესოპოტამიაში, მდინარეებს ტიგროსს და ევფრატს შორის უნდა ხდებოდეს, სადაც არც ჭანების-იგივე ხალდების დასწრებულობაა ამ ტერიტორიაზე უცხო... დავაჟკაცებული ამირანი და მისი ძმები დევების წინააღმდეგ ილაშქრებენ. ბრძოლაში დამარცხებული ერთ - ერთი დევი ახალგაზრდებს „საჭაბუკო“ ასპარეზსს შესთავაზებს-ეს ცათა მეფის ქალიშვილის, ყამარის მოტაცებაა:

„წყალგაღლა ქალსა გასწავლი, ქალსა ლამაზსა, კამარსა“ (იქვე, გვ 191) საინტერესოა, რომ ამირანის ქართულ ლეგენდას ამ ასპექტში თითქმის მთელი ასი პროცენტით ეთანხმება ალანური ეპოსი(11) ის ყამარს ქოსერს უწოდებს და მისი კოშკი ცასა და დედამიწას შორის ჰკიდია ...უფრო რეალისტურია ქართველური ვერსია, რომლის მიხედვით ქალი ზღვისპირა სასახლეში ცხოვრობს, თუმცა მისი მშობლები „ცათა მეფენია“ და ლეგენდის მიხედვით ცაზევე ცხოვრობენ.. .საინტერესოა, რომ დევი აქ ქალის სამყოფელს ჭაბუკებს „წყალგაღმა“ მიასწავლის- სავარაუდოდ მდინარე ევფრატს გადაღმა...

„ფშავური (ფხოვური) თქმულების მიხედვით ყამარ -ქალი კოშკში იყო და ის კოშკი ზღვის პირას იდგა, თუმცა ყამარს დედ-მამა ცაში ჰყოლია“ (იქვე. ჭიჭინაძე 357)

...და ციურ ბინადარად ვის იხსენიებს ისტორია? რასაკვირველია განდხარვებს და უპირატესად მის იმ ნაწილს, რომლის დაფიქსირება- დამახსოვრება შეძლო - ჩიტრასენას ხალხს, აწმყოში უკვე „ჩიტ“-ის (მფრინავის) თვისება დაკარგულს და მხოლოდ სახელშემორჩენილს. (რასაკვირველია ჯერ კიდევ თქმულების შექმნის პერიოდში, რადგან მოგვიანებით ეს ხალხი მხოლოდ „რასენას“ უწოდებს საკუთარ თავს), ჩიტრასენას ხალხს კი ლიდიელები ეწოდებოდა, თუმცა ჰეროდოტეს მიხედვით მათი ადრინდელი სახელი მეიონებია. მეიონები კი ნამდვილად ევფრატს იქით ცხოვრობდნენ, მცირე აზიაში...და როდესაც ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ „ცათა მეფის“ ქალიშვილზეა საუბარი, ის მხოლოდ ხმელთაშუა ზღვა შეიძლება იყოს, მცირე აზიის სამხრეთით.... (ვერ გამოირიცხება, რომ ყამარი ქუშის-ქართლელის ქალია და მისი კოშკი სპარსეთის ყურეში დგას, თუმცა უძველესი თქმულება ქუშს ჩიტად - მფრინავ არსებად არ ცნობს, თუმცა ჩიტს ზუსტად ქუშ ჰქვია თურქულ ენაზე...)

ამირანმა და მისმა ძმობილებმა შეძლეს ყამარ ქალის მოტაცება და წამოყვანა...ყამარი, რომელსაც ამირანი საქმროდ მოეწონა, მას უცილობელი მდევარის შესახებ აფრთხილებს:

„ამბრნი, უმბრნი და არაბნი,
ცხენს შესხდებიან მალესა.
მალედვე მოგეწევიან,
ომს გაგიწევენ ცხარესა“

...და ვინ ვინ არის? ამბრები, უმბრები და არაბები ყამარის მამის ქვეშევრდომები-ან სატელიტები ჩანან..

ამბრების ქვეშ ანტიკური ლიტერატურა ამბრაკიელებს გულისხმობს, უკვე საბერძნეთში გადაბარგებულებს. მათ ანტიკური ისტორია იცნობს არგოსელების, ამბრაკიის ყურეში მცხოვრებლების და პამფილიელების სახელით მცირე აზიაში...მოგვიანებით ევროპელი არგოსელების ფორმირებულია მაკედონიის სამეფო ხოლო ქართულ თანამედროვეობაში ეს ტომი იმერლებთან ასოცირდება...

უმბრები- ომბრიკები, ეს ტომი ანტიკურ პერიოდში დაფიქსირებულია ვენეტთა მეზობლად იტალიაში პლინიუს უფროსის მიერ (ისევე როგორც ომბრიკები) იტალიელი იბერები ჩანან... აქ კი მცირე აზიაში მცხოვრები იბერები უნდა იგულისხმენოდეს...

...და ბოლოს არაბები...უკანასკნელმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ IV საუკუნეს ქრისტემდე, ამ სახელის ქვეშ სვანური ტომები ფუნქციონირებენ....(აი ამაზე კი მოგვიანებით ვისაუბრებთ ამავე წიგნის ფარგლებში)

მეომარი განდხარვების ცხენებზე შეჯდომის ფაქტი გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ქმედებას ადგილი უნდა ჰქონდეს არა უადრეს XV-XIV საუკუნისა ქრისტემდე, როდესაც ევროპიელი კერკეტი (დღეს ჩრდილო კავკასიელი ყაბარდოელი) პირველად ამ პერიოდში შეჯდა ცხენზე და ამისი ცნობაც არსებობს...(თუმცა არ გამოირიცხება, რომ აზიაში პირველი ამხედრდნენ ცხენზე და კერკეტთა ამხედრებაც მხოლოდ კ არგად დავიწყებულ ძველია...ამ შემთხვევაში ცხენზე ამხედრების პრეროგატივა ჭანებს უჩანთ-ზუსტად აქედანვე უნდა მოდიოდეს ტერმინი გაჭენება, ჭანივით მოქცევა). ერთი ესაა, სუკალ- მახების დინასტიის ელამში გაქრობა და მათი გამოჩენა კავკასიაში, ურთიერთ დაკავშირებული პროცესი ჩანს, რომელიც ქრისტემდე XVI საუკუნეს უნდა ხდებოდეს. (12)

მალე აუხდა ამირანს ყამარ ქალის ნაწინასწარმეტყველები: მალევე წამოეწია ცათა მეფე (განდხარვა ჩიტრასენას ტომის მეფე) გაქცეულებს და სასტიკი ომიც გაჩაღდა. მართალია ამირანმა და მისმა ძმობილებმა სრულიად ამოწყვიტეს ცათა მეფის ჯარი, მაგრამ ამირანის ძმობილები ბადრი და უსუპიც დაიღუპნენ ... გაუჭირდა ამირანს ბრძოლის გასწორება ცათა მეფესთან, რომელსაც თქმულების მიხედვით დოლაბი ჰქონდა წამოფარებული (სინამდვილეში, ეს სპილენძის ხმლისთვის შეუღწევადი კენების

გამოჭედილი ფოლადის აბჯარი-ჯაჭვის პერანგი უნდა ყოფილიყო...)

...ამირან გოლე-გოლეო,
ომი არ იცი სწორეო.
მაღლა კი ნუ სცემ სპილოსა,
დაბლა შემოჰკარ რბილოსა.
ძარღვები დაეჭრებიან,
დაეცემიან ძიროსა...

ასეთ რჩევას აძლევს ყამარი ამირანს და ისიც ზუსტად ასრულებს მის მითითებას; ფეხებში (შეუჭურველ ადგილას) ურტყამს მახვილს ყამარის მამას და კლავს... თქმულების ამ პასაჟშიც ისტორიული რეალობა ჩანს გადმოცემული: ინდოევროპელებში შერკინების რაინდული (ჯენტლმენური) წესი ითვალისწინებს მოწინააღმდეგის დამარცხებას მისთვის წელქვეშ დარტყმის მიყენების გარეშე, ანუ წელქვეშა დარტყმა აკრძალულია -მიუღებელია. ამას უძველესი ინდური ეპოს „მახაბხარატა“-ს ერთ-ერთი სიუჟეტი ნათლად მეტყველებს: დამარცხებული, მაგრამ ცოცხლად დარჩენილი მთავარი კაურავი დურიოდხანა უძველესი კანონის თანახმად სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იწვევს ერთ-ერთ პანდავას, ბხიმასენას. ამასთან იარაღის არჩევის უფლებას დურიოდხანა თავად იტოვებს და გურზს ირჩევს. უკანასკნელ ორთაბრძოლაში ის ბხიმასენას იწვევს, პანდავთა უძლიერეს ოსტატს გურზის ხმარებაში...მიუხედავად ბხიმასენას ოსტატობისა, დურიოდხანა გურზებით ორთაბრძოლაში ჩაგრავს მას და რამდენიმე ძლიერი დარტყმასაც აყენებს ... ბხიმასენა, განწირული დამარცხებისათვის კრიშნას რჩევას ითვალისწინებს და დურიოდხანას თეძოში ურტყამს გურზს და სასიკვდილოდ დალეწავს. ბალადევა, კრიშნას ძმა და ბხიმასენას ბიძა-დედის ძმა, მოსაკლავად იწვევს ბხიმასენასაკენ, რომელმაც ორთაბრძოლის ინდოევროპული (ჯენტლმენური) წესი მუხანათურად დაარღვია ... მხოლოდ კრიშნამ შეძლო გააფთრებული ძმის დამშვიდება და იხსნა ბხიმასენა აშკარა სიკვდილისაგან... რაღა შორს წავიდეთ, ინდოევროპული ჭიდაობის კლასიკურად ჩათვლილი სახეობა დღესაც კრძალავს მოწინაღმდეგის წელქვევით ხელის ჩავლებას და სარმასაც კი. ქართული ჭიდაობა არ ცნობს მოწინააღმდეგის ფეხებში ჩავარდნას, თუმცა ფეხის ფეხზე დახვევა, შუა და გარე სარმა ქართული ჭიდაობის უცილებელი ატრიბუტია... ინდოევროპელებთან საკმაო ხანი კონტაქტის შედეგად განდხარვებსაც გადაღებული უჩანთ შებრძოლების ეს ტრადიცია და განდხარვა (ჩიტრასენას მოდგმიდან) უგულებელყოფს წელს ქვემოთ დაცვას, რაც ამირანთან შეტაკებისას სიკვდილის ფასად დაუჯდა . შესაძლოა, ამირანი იბერი იყოს, იმ ტომის წარმომადგენელი, რომელსაც ინდოევროპულ რასასთან მინიმალური შეხება უჩანს...ან ქუში, რომლისთვის ეს წესი მიუღებელი არ არის...

ისევ იბერები

ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ერთმნიშვნელოვნად ცხადი ხდება, რომ პირენეის ნახევარკუნძული დალაშქრეს (ეს სიტყვა აშკარად პირობითია, რამეთუ პირენეების „დამლაშქველი“ ტეარკონ ეთიოპი-თარხონ ქუში თავისი ხალხით და იბერებით ამ მიწაზე უბრალოდ პირველმოსახლენი არიან) მცირე აზიის ხალხებმა. რასაკვირველია „ტეარკონ ეთიოპი“ და მისი ხალხი -ეს აზიელ ეთიოპებად ცნობილი აღმოსავლეთ ქართველური ტომებია, დასავლეთ ქართველურ - იბერიულ ტომთან ერთად. დიოდორე სიცილიელის ნახსენები იბერები ლუზიტანიაში-პორტუგალიასა და იბერიაში-ესპანეთში, ეს ჰეროდოტესათვის სკინეტებია, ხოლო მეორე ანტიკური ისტორიკოსისათვის, სტრაბონისათვის სკენიტი არაბები, მცხოვრები ტიგროსსა და ევფრატს შორის ჯერ კიდევ საუკუნეების გასაყარზე ... (როგორც დავრწმუნდით, არაბები აქ არაფერ შუაშია, სკენიტებად იბერები იწოდებიან, მიუხედავად მათი აზიურ-ევროპული წარმოშობისა) შესაბამისად, იბერების წარმოშობა მხოლოდ და მხოლოდ მცირე აზიიდან და საბერძნეთიდან ფიქსირდება...იბერები პირენეის ნახევარკუნძულზე მხოლოდ მცირე აზიიდან შეიძლება მოხვედრილიყვნენ და არა აფრიკიდან ... **და რატომ აფრიკიდან?** მხოლოდ იმიტომ, რომ პორტუგალია ძალიან ახლოსაა გიბრალტარის სრუტესთან და აფრიკასთან? არა მარტო ...

...ირლანდიური თქმულებები...

“ანტიკურ ეპოქაში უძველესი ევროპის და ცივილიზაციის ცენტრად ხმელთაშუა ზღვის სამხრეთის ქვეყნები -ანტიკური საბერძნეთი და ანტიკური რომი ითვლებოდა. ჩრდილოეთით, დასავლეთით და აღმოსავლეთით ამ ორი ქვეყნებიდან ცხოვრობდნენ ტომები და ხალხები, რომლებსაც რომაელები უწოდებდნენ ბარბაროსებს - გაუგებრად მოლაპარაკეებს. ევროპულ ტერიტორიების, რომლებიც ესაზღვრებოდა ბერძნულ-რომაულ სამყაროს, მნიშვნელოვანი ხალხები იყვნენ სკვითები -აღმოსავლეთით, <u>იბერები და ლიგურები- დასავლეთით,</u> თრაკიელები და ილირიელები -ცენტრში.“ (დაპყრობათა წიგნი, ირლანდიური მითიოლოგია, ვიკიპედია)

საინტერესოა, რომ იმავე წიგნი ირლანდიელი ერის ჩამოყალიბების საქმეში დიდ წვლილს აკუთვნებს პირენეის ხალხებს, რომელთა შორისაც აქვე ნახსენები იბერებიც ითვლება...მაგრამ...მაგრამ ამავე წიგნის რამდენიმე წლით ადრინდელ ვერსიაში იმავე ვიკიპედიაში იმავე ირლანდიელების წინაპრებად იბერებია სახელდებული, ერთი „უმნიშვნელო“ განსხვავე-

ბით: ეს იბერები ვიკიპედიისათვის აფრიკიდანაა ... როგორც ბოლო პერიოდის გენეტიკურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, აფრიკა აქ არაფერ შუაშია, ირლანდიელების ნათესაობა მტკიცდება უშუალოდ პირენეელებთან (მათ შორის იბერებთან)...მაგრამ როგორც წინარე გამოკვლებამ გვაჩვენა, ეს პირენეელი იბერები (იგივე ჰეროდოტესეული სკინეტები) მხოლოდ მცირე აზიელები (სტრაბონისეული სკენიტი არაბები) შეიძლება იყვნენ ... (როგორც ჩანს კელტებთან ერთად) ... სანამ ირლანდიელების წარმოშობის საფუძვლებს განვიხილავთ, აუცილებელი ჩანს ერთ კარდინალურ საკითხში, კერძოდ კელტების ვინაობისა და რაობის შესახებ შევთანხმდეთ:

კელტები

„სასარგებლოა დავაზუსტოთ რაღაცა, მრავალთათვის უცნობი. ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ მესალიის ოლქში (მარსელი საფრანგეთი) და ალპებთან, ასევე პირენეის მთების ამ მხარეს, იწოდებიან კელტებად. ხოლო ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ კელტიკის ჩრდილოეთით, ოკეანის მახლობლად და გურდინის მთასთან თვით სკვითიამდე, ეწოდებათ გალები ... რომაელებმა დაარქვეს ყველა ამ ხალხებს საერთო სახელი გალები ... ყველაზე ველურები გალებიდან ბინადრობენ ჩრდილოეთში, სკვითიის მეზობელ მიწებზე. ზოგიერთები ამბობენ, რომ იქ გავრცელებულია კანიბალიზმი, ისევე როგორც ბრიტანელებში, რომლებიც ცხოვრობენ ეგრეთ წოდებულ ირის-ში (ირლანდიაში)“(დიოდორე სიცილიელი;წიგნიV-32)

აქ დიოდორე სიცილიელი მკვეთრად გამოყოფს ორ ხალხს (ფაქტიურად ორ რასას) ერთმანეთისაგან: კელტებს- იგივე განდხარვებს და გალებს-ნორდებს, თუმცა ბრიტანეთის კუნძულებთან მიმართებაში მაინც გალებს ანიჭებს უპირატესობას. ამასთან დიოდორე სიცილიელი აღნიშნავს, რომ ეს რომაელებმა აურიეს ისინი ერთმანეთში...და რამდენად შორს ვრცელდება კელტების-განდხარვების და გალების აღრევა? მინიმუმ, რამდენიმე ასეული წელიწადი:

„მდინარე ისტროსი (დუნაი) იწყება კელტების ქვეყნიდან და ქალაქ პირენედან, მოედინება და კვეთს შუაზე ევროპეს. კელტები არიან ჰერაკლეს სვეტებს გარეთ და ემეზობლებიან კინესიელებს, რომელთაც ევროპაში მცხოვრებთა შორის უკიდურესი დასავლეთი მხარე უჭირავთ“(ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II-33)

ფაქტიურად იგივე კომენტარს ჰეროდოტე იმეორებს; ცხადია ჰეროდოტე კელტებად მხოლოდ და მხოლოდ განდხარვებს თვლის, ხოლო გალების შესახებ მასთან საერთოდ ხსენებაც არაა და ეს სრულიად გასაგები უნდა იყოს: გალებად ჩათვლილი ინდო- ევროპელების, ნორდული ტომებ-

ის- (შემდგომ ევროპელებად ცნობილები) დაიტთა შემოსვლა დასავლეთ ევროპაში ფიქსირდება ქრისტემდე 475 წელს (რამდენიმე გამონაკლისის გარდა, როდესაც სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში დაიტ - დანავთა მცირეოდენი ჯგუფების შემოსვლა ფიქსირდება დანაელთა- დანავთა, გარმანთა თუ ლათინთა სახელით). ცხადია ჰეროდოტესთან ეს ტომები ნახსენები ვერ იქნება (13) ამავე დროს იგივე დაიტთა ტომები, უკვე კელტების სახელებით მოხსენიებულია ალექსანდრე მაკედონელის მოღვაწეობის დაწყების წინა პერიოდში ქრისტემდე 335 წელს. ანტიკურ ავტორთა, იგივე პლუტარქეს ცნობით (რაც სავარაუდოდ ალექსანდრე მაკედონელის მემატიანეებისაგან იღებს სათავეს) ალექსანდრე კელტებს შეეკითხა, თუ რისი ეშინიათ მათ ყველაზე მეტად (ფიქრობდა რომ კელტები საკუთრივ მასზე მიუთითებდნენ) კელტებმა უპასუხეს, რომ მათ ყველაზე მეტად ცის თავზე ჩამოქცევისა ეშინიათ. რასაკვირველია პლუტარქეს (ალექსანდრეს მემუარისტების) მიერ ნახსენები კელტები ნამდვილად გალებია, გერმანიკული ტომი, ვინაიდან დორიული ტომის წარმომადგენელი (და შესაბამისად განდხარვა -კელტი) თავად ალექსანდრე ბრძანდებოდა! ცხადია ჰეროდოტედან ალექსანდრემდე 450 - 340 ქრისტემდე ის პერიოდია, როდესაც რომაელებმა გალებს კელტები უწოდეს ... შეუძლებელია გალია (დღევანდელი საფრანგეთი) ქრისტემდე 475 წლამდე დასახლებული არ ყოფილიყო. მართლაც:

„კალაუნებისა და სხვა კელტების მონეტებზე, რომელიც ეხება ჯერ კიდევ დორიულ პერიოდს, რქიანი ღმერთი გამოსახულია ბუდდას პოზაში. დორიული პერიოდის ცერნუნის ვერცხლის გამოსახულება ცნობილია საკულტო ქვაზე ცნობილი გუნდესტუპიდან (იუტლანდია) დამზადების ადგილი უცნობია. ერთ - ერთი თეორიის მიხედვით ის დამზადებულია სამხრეთ -აღმოსავლეთით სკორდიქსების ტერიტორიაზე (მაკედონიის ახლოს) სხვა ვერსიით, ეს კელტო-დორიული ნაკეთობაა II საუკუნე ქრისტემდე, მიტაცებული კიმვრების მიერ (გერმანიკული ტომები) და მათთან ერთად მოხვედრილი ჩრდილოეთში“ (დაპყრობათა წიგნი, ირლანდიური მითიოლოგია)

ამ ამონარიდიდან თვალნათლივ იკვეთება, რომ ეგრეთ წოდებული გალების (სინამდვილეში დაიტთა-ნორდული რასის) შემოსევამდე დღევანდელი საფრანგეთისა და დანარჩენი ევროპის ადგილობრივი მოსახლეობა, ნამდვილი კელტები (ჰეროდოტესი თუ დიოდორესი) იყვნენ. „დაპყრობათა წიგნი მათ დორიელებს უწოდებს, ამავე ხალხის შემოსვლა საბერძნეთში ქრისტემდე XV-XIII საუკუნეში ფიქსირდება...იმავე კელტების მიერ ესპანეთის ათვისება სტრაბონის (მეგასთენეს) მიხედვით, გაცილებით ადრე უნდა მომხდარიყო ქრისტემდე XXV-XXIII საუკუნის დიაპაზონში ... როგ-

ორც ზემოთ აღინიშნა, ეს ხალხი, დორიელები, იგივე ჰეროდოტესეული კელტები განდხარვთა ტომები ჩანან, სპარსეთის ყურეში დაბანაკებული, ხოლო იბერები-მხოლოდ და მხოლოდ მცირე აზიის მცხოვრებლები...(14) და სწორედ აქ, მცირე აზიაში ხვდებიან ერთმანეთს იბერები და კელტები, ომით და შეტაკებებით დაწყებული მტრობა საუკუნეების განმავლობაში მოყვრობით შეეცვალათ .... და გასაოცარი ფაქტი: სწორედ აქედან ახორციელებენ კელტები იბერებთან ერთად პიონერულ (ამთვისებელ) ლაშქრობებს ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილსა და კონტინენტებზეც კი...თვით აფრიკისაკენ მათი ლაშქრობა ამავე მცირე აზიიდან ეწყობა, ისევე როგორც პირენეის ნახევარკუნძულისაკენ ... უფრო მეტიც, აქედანვე და ამავე დროს ჩანს განხორციელებული ლაშქრობა ცენტრალური თუ ჩრდილო ევროპისაკენ, ისევე როგორც კავკასიისაკენ... ამასთან, ყველა ლაშქრობას საკუთარი თარხონი უჩანს და ის ყოველთვის ეთიოპი (ქუში) არ უნდა იყოს...თუმცა აფრიკის და პირენეის ლაშქრობის თარხონი ნამდვილად ქუში ჩანს ... კავკასიისაკენ ლაშქრობას სავარაუდოდ თარხონად იბერი უჩანს, ცენტრალური ევროპისაკენ -გელი...ცალკეული ტომების თარხონები ჩანს მესენიელი, სვანი, კართაგენელი, იბერი, ასაკენი და კოსალი ტომის წარმომადგენლები ... შესაძლოა ამავე თაობას და ამვე რანგს მიეკუთვნება თარხონ გალიც...

ამ თავში ჩვენ იბერებს განვიხილავთ და დავუბრუნდეთ მათვე:

„დაპყრობათა წიგნის“ და ირლანდიური მითიოლოგიის თანამედროვე გამოცემაში ირლანდიელი ხალხის ფორმირებაში დიდი წილი აქვს მიკუთვნებული კელტიბერებს და საერთოდ პირენეის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებს...რატომ? .

„დაპყრობათა წიგნის“ ზედაპირულმა შესწავლამაც ცხადყო, რომ აქაც, ისევე როგორც ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“ მიმდევრობა და ქრონოლოგია აბსოლუტურად არის დარღვეული, უბრალოდ ყირაზეა შეყენებული ... ვერ ვიქნებით იმდენად კარგად გარკვეული ირლანდიურ მითიოლოგიაში, რომ ვეცადოთ მის დალაგებას:

„შემდეგ ტუატე დე დანანები გარკვეული პერიოდის განმავლობაში ფლობდნენ იუტლანდს. შემდეგ კუნძულზე გამოჩნდა უკანასკნელი ტალღა დამპყრობლებისა, წოდებულნი მილის შვილებად, ანუ გოიდელები, ისტორიულ ირლანდიელთა წინაპარი. ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ ეგვიპტეზე, კრეტასა და სიცილიაზე, გოიდელები შემთხვევით აღმონდნენ ესპანეთში. ერთ-ერთმა მათგანმა, ბრეგომ (მამა თუ ბაბუა მილისა) ააშენა იქ კოშკი. ერთხელ გაზაფხულის ნათელ დღეს როგორღაც ბრეგოს შვილი იტი აძვრა მასზე და ოკეანის სიღრმეს ათვალიერებდა და მან შორს დაინახა ირლანდიის სანაპირო“ (დაპყრობათა წიგნი, აღწერილი და გაშუქებული შორეხოვა ნადეჟდა სერგეევას მიერ)

...იტიმ მეომრები ჩაასხა გემში და გაცურდა ირლანდიის სანაპიროსაკენ, სადაც ის მუხანათურად იქნა მოკლული, ბრეგონის შთამომავალმა, მილის შვილებმა განიზრახეს შურისძიება და მეომრებით დატვირთული გემებით გაემგზავრნენ ირლანდიისაკენ... გზაში გარდაიცვალა აგრეთვე **სკენე**, პოეტ ამორგენის ცოლი...აქ დაასაფლავეს ამორგენის მეუღლე და ამ ყურეს **იმბერ სკენე** უწოდეს... სდექ! აქ შევჩერდეთ...

1. სინამდვილეში ესპანეთს ირლანდიის უახლოეს სანაპირომდე მინიმუმ 700 კილომეტრი აშორებს. შეუძლებელია ისეთი კოშკის აგება, საიდანაც ამ სიშორის ობიექტის დანახვა არის შესაძლებელი თუნდაც სპეციალური საშუალებებით. უბრალოდ, ზღვის ამოზნექილობა არ იძლევა ამ სიშორეზე დანახვის საშუალებას.

2. არ ვიცი რამდენად ასაკოვანია ეს ლეგენდა, თუმცა არც ისე შორეულ წარსულში ირლანდიის აბორიგენ მოსახლეობად **ი-ბ-ე-რ-ი-ე-ლ-ე-ბ-ი** ითვლებოდნენ, თუმცა სადღაც აფრიკის კონტინენტიდან მოსულები. დღეის მდგომარეობით, გენეტიკური მონაცემების გაშიფრვამ დაამტკიცა, რომ დასავლეთ აფრიკაში არავითარი იბერები არ ცხოვრობდნენ თუმცა მათი დასწრებულობა აქსიომაა პირენეის ნახევარკუნძულზე. ამასთან იბერები სუფთა სახით-ეს პორტუგალიელებია (დიოდორე სიცილიელის მიხედვით) ხოლო კელტების (დორიელების) და იბერების ნაჯვარი ტომი- ეს ესპანელებია, იგივე კელტიბერები. აი ამიტომ მიუთითებენ ძველი წყაროები ირლანდიელების იბერიულობას, ითვლება რა იბერები საიდანღაც გაურკვეველი აფრიკიდან მოსულებად. როგორც წინა მასალიდან გაირკვა, იბერები მხოლოდ და მხოლოდ მცირე აზიიდან მოსული ხალხია, რომელსაც ჰეროდოტე სკინე-ბად მოიხსენიებს, იგივე სტრაბონი კი სკენიტებ-ად.

3.შეუძლებელია ირლანდიის ამთვისებელი ტომი გოიდელები იყვნენ, რამეთუ ამ უკანასკნელთა მეორე სახელი გელი ჩანს და ისინი შოტლანდიის ამთვისებლად გვევლინებიან. (გელებზე და მათ მიგრაციაზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ) მაგრამ გოიდელების ხსენება ექსპედიციის ძირითად ძალად თვალნათლივ გვიჩვენებს: აქ საერთო ბრიტანულ პიონერულ ექსპედიციაზეა საუბარი, რომლის მეთაურად, თარხონად გელი გვევლინება...და მილის შვილებიც მხოლოდ იბერიელები მტკიცდება...

4. ზემოთ მოყვანილი ამონარიდის მიხედვით, გოიდელები თავიანთ მოგზაურობა-ხეტიალში ხვდებიან ეგვიპტეში, კრეტაში, სიცილიაზე და ესპანეთში...რამდენადაც ცნობილია, გოიდელები- გელები არ ფიქსირდებიან არც ეგვიპტეში და არც ესპანეთში. ზემოთ ჩამოთვლილიდან მათი დასწრებულობა მტკიცდება მხოლოდ მცირე აზიასა და სიცილიაში...მაგრამ არსებობს ქართველური ტომი, რომლის დასწრებულობა დაფიქსირებულია ზემ-

ოთ ნახსენებ ყველა მხარეში და თვით ირლანდიაშიც კი: ესენი ფომორ-ები არიან (ამ ტომის შესახებაც შესაბამის თავში იქნება მოთხრობილი)
5.... და **იმბერ სკენე ვინ არის?** მართალია „დაპყრობათა წიგნი“ მას პოეტ ამორგენის მეუღლედ სახავს და თითქოსდა ზღვის ყურესაც ეს სახელი მის საპატივცემლოდ დაარქვეს, ეს ვარიანტი სინამდვილეს არ უნდა შეესაბამ-ებოდეს ... მაშინ **ნეხტი - სკენეს** შვილები ვინ არიან, კონახტელი გმირები? ცხადია ესენი **სკენები, იგივე იბერები არიან...**და თანაც მხოლოდ და მხო-ლოდ მცირე აზიიდან და არც ერთ შემთხვევაში სამხრეთ ევროპიდან... ამასთან ლეგანდარულ მილ-თან მათ სახელის ფაქტიურად აბსოლუტური დამთხვევა აკავშირებს-იბერთა ტომის მეორე სახელი, როგორც ირკვევა მა-ლებია- მილიებიც კი ... მართალია აქ ეთნონიმი **სკენე და იბერი** უცხო არ არის, მაგრამ გელების -იგივე გოიდელების ხსენებაც კი არ არის ... ამასთ-ან გოიდელების წინამძღოლის სახელი ებერია- ფაქტიურად იბერი ... თავ-ად ლეგენდაში, ისინი ირლანდიის უკანასკნელ დამპყრობელად არიან მო-ხსენიებული ... საგულისხმოა, რომ ირლანდიის უძველესი სახელწოდება **იბერნია** ჩანს, და მხოლოდ მოგვიანებით ხდება **ეირის ქვეყანა.**
6. და ეთნარქ მილი-ს მომავალ ირლანდიაში არავითარი საფრთხე არ უნ-და დაემუქროს - ირლანდია იმ დროისათვის ჯერ კიდევ აუთვისებელია ადამიანისაგან, ირლანდიელები აბორიგენები არიან...

სავარაუდოა რომ ბრიტანული ესპედიციის საერთო მეთაური თა-რხონ გელია, მაგრამ ალბიონის ცალკეული კუნძულებისათვის ასევე ტო-მებს შორის საკუთარი თარხონები უნდა არსებობდეს...შემდგომში ირლა-ნდიურ ხალხად წოდებული ხალხისათვის ასეთი თარხონი ებერი ჩანს, იგივე იბერი...ირლანდიის დასახლება იბერების მიერ მხოლოდ შორეულ წარსულში შესაძლოა მომხდარიყო, იმავე ეპოქაში, როდესაც დორიულმა-განდხარვულმა ტომებმა დაასახლეს ესპანეთი და მთელი სამხრეთი ევრ-ოპა, კერძოდ XXV-XXIII საუკუნის დიაპაზონში ქრისტემდე ... უფრო ადრე ევროპის დასახლება არქეოლოგთა მიერ უძველესის აღმოჩენის მანიასთან უნდა იყოს დაკავშირებული. შეუძლებელია განდხარვებს დაესახლებინათ ევროპა და აფრიკა მანამდე, სანამ ისინი სპარსეთის ყურედ წოდებულ ადგილზე დასახლდნენ, ვინაიდან მათი ყოველი ლაშქრობის უცილობელი ატრიბუტი მცირე აზიაში მცხოვრები იბერია. ის ახლავს განდხარვებს და-სავლეთ და ჩრდილო აფრიკული, ასევე , სამხრეთ და ჩრდილო ევროპის ტერიტორიების ათვისებისას...

...სხვა იბერები...

იბერთა თემა ამოწურულად ვერ ჩაითვლება, თუ კიდევ ერთი იბე-რიული ტომი არ იქნა მოხსენიებული, რომლის არსებობაც კი არ იცის ქა-

რთველურმა საზოგადოებამ ... ანტიკურ ისტორიაში ცნობილია ბერძნული ანტიკური ქალაქი პოლისი ერიტრია, რომელიც ხალკიდის (ევბეის) ნახევარკუნძულის ნაწილს წარმოადგენდა...ეს თემა დაწვრილებით იქნა განხილული ამავე ნაშრომის პირველ ტომში, ქვეთავის სახით, სადაც განხორციელებულია ალექსანდრე მაკედონელის თანამებრძოლებში იმ რჩეული კავალერიის, ცხენოსანი გვადდიის „ანთემუნტელი მეგობრების“ ვინაობის გაშიფრვის მცდელობა...ფაქტიურად, ჩაითვალა რომ ისინი კოლხური წარმოშობის ხალხია და ამის უცილობელ სამტკიცად ერიტრიელთა მიერ კუნძულ კორკირაზე (კოლხური კუნძული) დაარსებული კოლონიის რაობა მოგვყავს ... როგორც ცნობილია ერიტრილთა ეს კოლონია გამოძევებულ იქნა კორინთელთა (კოლხყოფილთა, თუმცა თუკიდიდე მათ ეოლიელებს - ჭანებს უწოდებს) მიერ, ხოლო მეტროპოლიამ მათ მიღებაზე უარი განაცხადა. კოლონისტები იძულებული გახდნენ დასახლებულიყვნენ ილირიკში და დაეარსებინათ ქალაქი **ორიკი. ზუსტად ამ ქალაქს ანტიკური ისტორიკოსი და საერთოდ მრავალმხრივ განვითარებული ერუდიტი, პლინიუს უფროსი კოლხურს უწოდებს.** შესაბამისად, წინა ტომში გამოითქვა ვერსია, რომ ერიტრიელები კოლხები არიან ... მაგრამ აქ არის ერთი მაგრამ ... კუნძული ხალკიდა ქრისტემდე XXX საუკუნის დასახლებულად ითვლება, კოლხები საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაწილში შემჩნეული არ არიან, ასევე არ არიან შემჩნეული საკუთარი მოსახლეობის კოლონიზირებით დაინტერესებული (თვინიერ აზიის კოლხეთში გადასახლებისა, თუმცა ეს გადასახლება ვერც ჩაითვლება კოლონიის გაყვანის მცდელობად)...და რას გვიამბობს ჰეროდოტე აღმოსავლეთის იონიელებზე-იბერებზე და მათ შორის ერიტრიაზე?

„იონიელები ერთსა და იმავე ენაზე არ ლაპარაკობენ, არამედ ოთხნაირ დიალქტს ხმარობდნენ. მათ შორის სამხრეთისაკენ მილეტია პირველი ქალაქი, ხოლო ამის შემდეგ არიან მიუსი და პრენიე. ესენი კარიაში მდებარეობენ და მათი მცხოვრებლები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. ხოლო ლიდიაში არის შემდეგი ქალაქები: ეფესო, ლებედოსი, ტეოსი, კლაძომენე, ფოკაიე. ამ ქალაქებს ზემოთ მოხსენიებულ ქალაქებთან ენის მიხედვით არაფერი მსგავსება არა აქვთ, ხოლო ერთმანეთში ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე. ამის გარდა სამი დარჩენილი იონიური ქალაქიდან ორი მდებარეობს კუნძულზე, სამოსი და ქიოსი, ხოლო ერთი დაფუძნებულია ხმელეთზე, ერითრე. ქიოსელები და ერითრიელები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო სომოსელები - თავიანთ საკუთარზე. ეს არის იონიური ენის ოთხი დიალექტი“ (ჰეროდოტე; ისტორია, I-142)

კარიელები-ეს შუმერული ტომია, მილეტი მათი მთავარი ქალაქი... რასაკვირველია მის ენას დანარჩენ იონიურთან-ქართველურთან საერთო არფერი არა აქვს. კარიელები აქ უხსოვარი დროიდან ბინადრობენ, შესაძლე-

ბელია შუმერულის აქადურით ჩანაცვლების პარალელურად, ანაც ჰურიტ-ების ზეობის დაწყებიდან ... ან სულაც ფრიგიელების აღზევების შემდეგ ... ერთი დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ფრიგიელების ზეობიდან, ქრისტ-ემდე XVIII საუკუნიდან ისინი აქ ფიქსირდებიან კარიელების სახელით... ...უფრო მეტიც, ჰელესპონტის - მარმარილოს ზღვის სანაპიროზე მდებარე სახელმწიფო ბითვინია მათგანვე წასული შუმერების დაფუძნებულია (თე-მაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ)(15)...ასევე ჰეროდოტეს მიერ მეორე იონი-ურ დიალქტად მოხსენიებული ეფესო, და ფოკაიე აშკარად ხალდეური, ჭა-ნური დასახელების ქალაქებია. ასეთივე ჩანს დანარჩენი ორი, ლებედოსი და ტეოსი. ცხადია მათი იონიური-ეს ჭანური ენაა, შესაბამისად ეოლიუ-რი...ცალკერძ ერიტრე და ქიოსელები, მეორე მხარეს სამოსელები, იბერიე-ლები ჩანან .. .სამოსელები - ეს კუნძულ კრეტადან განდევნილი იბერებია, ტალხინები, ზევსის მცველები იმავე ერიტრიდან, თუმცა უკვე არა ერთი ათასეული წლით გაუცხოებული დანარჩენ ერიტრეელთან, უკვე არქაული იბერიულით მოსაუბრე...ქიოსელები და ერითრეელები ახალ ერიტრეულ-ზე მოსაუბრე...

...და იონიელები...

რასაკვირველია იონიელების რიცხვი ამით არ შემოიფარგლება...განსაკუთ-რებით კი დღევამდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე და არა მარტო...ფაქ-ტიურად მთელი საბერძნეთი იონიურ-ეოლიური (კოლხურ-იბერიულ-ჭან-ური) იყო ზემოხსენებული დანაეს და მისი 50 ქალიშვილის შემოსვლამდე. ჰეროდოტეს დროს გაბატონებული მოსაზრება, რომ თუ ტერიტორია, დაკა-ვებული რომელიმე ტომით იცვლის სახელს და სხვა ტომის სახელს იღ-ებს, უნდა აიხსნას ამ უკანასკნელის მიერ პირველის გაძევებით, სწორი ვერ იქნება. ვიხელმძღვანელოთ თუნდაც დასავლეთ საქართველოს მაგალითით: კოლხეთი უკვე ლაზიკად იხსენიება V საუკუნეს ბერძნულ წყაროებში, თუ-მცა კოლხები არც არავის განუდევნია, მეორე საუკუნიდან ლაზების მოზ-ღვავება იგრძნობა შავი ზღვის სანაპიროზე ... ასევე ლაზიკა უკვე ეგრისად იხსენიება IX-X საუკუნეს, და ამის მიზეზი მარგები არიან, ასვე VII საუკუნ-ეს შემოსულები დასავლეთ საქართველოში...

„მე ვფიქრობ იონიელებმა თორმეტი ქალაქის კავშირი შექმნეს და არც უნ-დოდათ ამ კავშირში მეტის მიღება იმის გამო, რომ როდესაც პელოპონეს-ში ცხოვრობდნენ, 12 ნაწილად იყოფოდნენ, ისევე როგორც ახლა 12 ნაწი-ლად იყოფიან აქაიელები, რომელთაც გააძევეს იონიელები“ (ჰეროდოტე; წიგნი I-145)

ჰეროდოტეს ამ თეორიის მიხედვთ, აქაიელებსაც უნდა დაეკარგათ ლაკედემონი-სპარტა, როდესაც იქ დორიელების დიქტატი დამყარდა...

„მას მერე, მთელი პეპოპონესის მცხოვრებლები გააძევეს დორიელებმა, ეს დღესასწაულიც მოისპო, ხოლო პელოპონესელებიდან გადარჩნენ არკადიელები, რომლებიც არ გაუძევებიათ და მხოლოდ მათ შემოინახეს ეს დღესასწაული“(იქვე, წიგნი II-171)

თუმცა სინამდვილე სულ სხვა რეალობას აჩვენებს:

„როდესაც კლეომენესი (ლაკედემონელთა - სპარტელთა მეფე) ავიდა აკროპოლისზე მის დასაპყრობად, შევიდა ღმერთქალის სამლოცველოში, თითქოს სამლოცველოდ, ხოლო ქურუმი ქალი ტახტიდან უწინ წამომდგარა, ვიდრე ეს ბჭეს გადააბიჯებდა და უთქვამს შემდეგი: ლაკედემონელო სტუმარო, გაბრუნდი და ნუ შემოხვალ სამლოცვერლოში, რადგან დორიელთათვის აქ შემოსვლა არ არის ნებადართული. ხოლო კლეომენესმა მიუგო: ქალო, დორიელი კი არა აქაველი ვარო“ (ჰეროდოტე, წიგნი V-72)

ცხადია, დორიელთა მიერ ლაკედემონის დაპყრობის შემდეგ აქ ადრე მცხოვრები აქაიელები არ გაუძევებიათ, უფრო მეტიც, ისინი სარგებლობენ იმავე უფლებებით, რაც დორიელები - ლაკედემონელები ... აქაიელთა წარმომადგენელი, ამ შემთხვევაში კლეომენესი ლაკედემონელთა - სპარტელთა მეფეც კი ხდება...და რა მდგომარეობაა იონიელთა მიმართებაში?

“მან (კროისოსმა) გამოიკვლია და გამოარკვია, რომ ლაკედემონელები და ათენელები არიან უპირატესნი ელინ ტომებს შორის. პირველი დორიულ ტომში, მეორე - იონიურში; ესენი არიან გამორჩეული, რადგან ერთი არის უძველესი პელაზგური ტომი, ხოლო მეორე ელინური ტომი“ (იქვე, წიგნი I-56)

თითქოსდა მარტივია განსაზღვრა, რომ ჰეროდოტე პელაზურ ტომში ათენელებს-იონიელებს გულისხმობს, მაგრამ ის ერთმანეთს უპირისპირებს პელაზგურ და ელინურ ტომებს - აქ კი ელინურობაზე პრიორიტეტი რასაკვირველია ათენურ ტომსა აქვს...ასეა თუ ისე, ლაკედემონელების ფესვები ამ მიწაზე იონიურია-პელაზგური...პელოპონესის მცხოვრები პელაზგები კი მხოლოდ იბერიელები შეიძლება იყოს-საბერძნეთის ამ ნაწილში მხოლოდ იბერები მოსახლეობენ ... რასაკვირველია პელოპონესში დარჩენილი პელაზგი არკადიელლები-იბერებია ... და სხვა იონიელები, რომლებიც პელოპონესში სახლობდნენ დორიელებამდე და ახაიელებამდე (რასაკვირველია მეჩხრად) :

„პელოპონესში ცხოვრობს 7 ტომი. ამათგან ორი <u>ადგილობრივია და ახლაც იმავე მხარეში სახლობს, სადაც ძველად ცხოვრობდა.</u> ესენი არიან <u>არკადიელები და კინურიელები</u>. მაგრამ ერთი ტომი აქეურია, რომელიც მართალია არ გასულა პელოპონესიდან, მაგრამ საკუთარი ტერიტორია დატ-

ოვა და ცხოვრობს სხვათა მიწა- წყალზე…კინურიელები მკვიდრი ადგილობრივი არიან და ვფიქრობ მხოლოდ ისინი არიან იონიელები, ხოლო გადორიელდნენ იმიტომ, იმართებოდნენ არგოსელთაგან“ (იქვე, წიგნი VIII-73)

მკითხველო, ეჭვიც არ შეგეპაროთ, ეს იონიელი <u>კინურიელები</u> მკვიდრი იბერიული მოსახლეობაა, ისეთივე იბერიელი პელაზგები-არკადიელები...უფრო მეტიც, არგოსელების მხოლოდ ელიტა ჩანს დორიული, დანარჩენი იბერიული მოსახლეობა ჩანს პეიროკულ უფლებებით (16)... და საერთოდ, საბერძნეთის წინარე მოსახლეობა, გამოუკლებლივ ყველა პელაზგი იყო...პელაზგი რას ნიშნავს? ქრისტემდე 1262-61 წელს ვენეციაში დასახლებულ პუნებს- ფინიკიელებს, მეორე ფინიკიური ტომი - მეიონები ვენეტებს არქმევს...ჩემთვის ცნობილია ის მიზეზი, რაც ამ სახელდებას უდევს საფუძვლად...ვენეტებად სახელდებული პუნები ამ სახელდებას იწუნებენ და ლაზებს ირქმევენ ... სახელდების ეს პრინციპიც ჩემთვის ნაცნობია, თუმცა ამჯერად გახმოვანებისგან თავს შევიკავებ...აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ტერმინი პელაზგი ამჟამად ლაზების - ვენეტების ადგილას ადრე მცხოვრები ტომების სახელია ... ასეთი კი წინა მასალების მიხედვით სულ სამი იყო: ჭანები - იგივე ხალდები, ეოლიელები; კოლხები - იონიელები და იბერები-იგივე იონიელები... ნებისმიერი იონიური ტომის საფუძველს, პირველწყაროს ისინი წარმოადგენენ: კოლხები - სამხრეთ საბერძნეთში, ჭანები, იგივე ხალდები-ჩრდილოეთ საბერძნეთში და იბერები-აღმოსავლეთ საბერძნეთში და კუნძულებზე...

საბერძნეთის ერიტრეა

წინარე ციტატაში აღინიშნა რომ: **იონიელი კინურიელები გადორიელდნენ იმიტომ, რომ იმართებოდნენ დორიელი არგოსელებისაგან ...** და რა სიტუაციაა ამ მხრივ იმავე არგოსელების მეზობელ დორიელებთან და იონიელებთან მიმართებაში?

„მენიჩბეთა ქალაქი“

ძველი ერეტრია კუნძულ ევბეაზე იყო მსხვილი პოლისი და დიდი ხნის განმავლობაში ეტოქებოდა ამავე კუნძულელ პოლის ხალკიდას ...პირველი მოსახლეობა, რომელიც ერეტრელთა წინაპარად ითვლება, ცხოვრობდნენ ქრისტემდე დაახლოებით 3000 წლის წინათ. ცხოვრობდნენ ზღვის სანაპირო ვაკეზე, მაგრამ თანდათან გადაინაცვლეს გორაზე, სადაც მდებარეობდა აკროპოლი. მიკენის პერიოდში (ქრისტემდე XV საუკუნეს) დასახლება საკმაოდ მნიშვნელოვანი და მრავალრიცხოვანი იყო, მოხსენიებულია ჰომეროსის „ილიადაშიც“კი : ქალქის დასახელება მოდის ბერძნული „ნიჩბის მოსმიდან“, რაც მათ მეზღვაურობაზე მიანიშნებს, კუნძულის მოსახლეობა

არამეზღვაური ვერც იქნებოდა...ქრისტემდე 825 წელს მოხდარმა დიდმა ხანძარმა თითქოს ბიძგი მისცა აღმშენებლობას. ხელსაყრელმა პირობებმა, ნაყოფიერმა მიწამ, სპილენძის საბადოს სიახლოვემ მიიყვანა ერეტრია აყვავებამდე. დაიწყეს მეზობელი კუნძულების კოლონიზაცია: კუნძული ანგროსი, ტენოსი, კელა და ბეოტიის მიწები. ერთ-ერთმა პირველებმა დაიწყეს მონეტების ჭრა. სტრაბონის მიხედვით ადგილობრივი არმია მოიცავდა 3000 მძიმედ შეჭურვილ ფეხოსანს და 600 მხედარს, ასევე 60 საომარ ეტლს. მეზობელ (და როგორც ეტყობა თანატომელ) ხალკიდასთან ერთად დაიწყო ხმელთაშუა ზღვის კოლონიზაცია. 710 წელს ქრისტემდე დაიკავეს მენდა, მაგრამ კონფლიქტი მოუხდათ ხალკიდელებთან. ბრძოლა მოუხდათ ხალკიდასა და კორინთოსთან ერთდროულად. მოწინააღმდეგებმა შეძლეს და მოახერხეს მცირე შეტაკებებით მისი გამოფიტვა და საბოლოოდ შეძლეს მისი დამარცხება მისსავე ტერიტორიაზე (კუნძულ ევბეაზე) ... თუმცა ერეტრიელებმა გააგრძელეს აქტიური კოლონიზაცია, უპირველეს თრაკიული მიწა - წყალზე... მკითხველს შევახსენებ, ერეტრია ცნობილი იონიური (არა ბერძნული) იბერიული პოლისი სახელმწიფოა ევბეას კუნძულზე, სპარსელების წინააღმდეგ მცირე აზიაში იონიური ომის სულისჩამდგმელი და უცვლელი ფლაგმანი ... აქედან დამარცხების შემდეგ სპარსელი დარიოსის I მიერ წამოსხმული ტყვეები გვიან არსებენ ოსროენას (ედესას) სახელმწიფოს, მცირე აზიურ იბერიას...

ხალკიდა

ხალკიდა-მნიშვნელოვანი პოლისი კუნძულ ევბეაზე, დასავლეთ სანაპიროსთან, ევბეასა და ბეოტიის დაახლოების ადგილას, კუნძულ ევბეაზე. ხალკიდა აწარმოებდა აქტიური კოლონიზაციის პოლიტიკას, ქრისტემდე VIII საუკუნეს ხალკიდელებმა კოლონიზირება მოახდინეს კუნძულ სვიტოსის, სკეპოპსის და იკოსის...ნახევარკუნძულ ხალკიდიკის კორინთელებთან ერთად, ჩაერთნენ იტალიის სამხრეთის (კუმი და რეგია) სიცილია (ნაკსოსი, **<u>კატანი</u>**, (17) ლეონტინი)… VIII საუკუნეს ქრისტემდე, ხალკიდას და ერეტრიას შორის გრძელვადიანი კონფლიქტი დაეწყო, ლელენტის ვაკის გამო. კონფლიქტმა თითქმის მთელი საბერძნეთი ჩაითრია და საბოლოოდ ქრისტემდე VII საუკუნეს ხალკიდის გამარჯვებით დამთავრდა.VI საუკუნეს ქრისტემდე სპარტასა და ბეოტიასთან ერთად შეიჭრა ატიკაში, მაგრამ ათენელებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი, გადავიდნენ ხალკიდაზე, წაართვეს ლელენტის ვაკე, სადაც დაასახლეს 4000 კლერუხი (საკუთარი მოქალაქე ქვეყნის გარეთ). 490 წელს სპარსელების გამოჩენასთან ერთად - კლერუხები დაბრუნდნენ სამშობლოში. ამის შემდეგ ათენელების და ხალკიდელების შორის დამოკიდებულება გამოსწორდა. ხალკიდელები შევიდნენ პირველ

საზღვაო კავშირში, ათენელების მიერ დაფუძნებულში. 446 წელს ქრისტე-მდე, მოინდომეს გამოსვლა, მაგრამ ათენმა საერთოდ ინკორპორაცია მოახ-დინა ხალკიდისა. პელოპონესის ომმა ხალკიდა გაანთავისუფლა ამ დამო-კიდებულებისაგან, თუმცა ხალკიდა ნებაყოფილებით შევიდა ახალ საზღ-ვაო კავშირში, იმავე ათენელებთან ქრისტემდე 371 წელს...

რასაკვირველია ხალკიდა იონიური ქალაქი-პოლისია. ამას რამდე-ნიმე ფაქტორი ამტკიცებს:

1. ის მდებარეობს იონიურ ნახევარკუნძულზე, რომელიც მცირე აზიელი იონიელების, იბერების ფლაგმანის როლს ასრულებს სპარსელებთან ომში...
2.ათენის მხარესაა იონიურ-დორიული დაპირისპირებისას.
3.კატანი - ეს იბერიული დასახლებაა, რომელიც ხალკიდელების კოლონია ჩანს.

კორინთო

კორინთოს დასახლებას ქრისტემდე 6000 წელს ამბობენ...ღიმილის მომგვრ-ელი ინფორმაციაა, კორინთო პელოპონესში ყველაზე მაქსიმუმ ქრისტემდე 3400 წლით ადრე შეიძლება ყოფილიყო. (ამ საკითხს არც განვიხილავთ). არტეფაქტები III - II ათასწლეულიდან ქრისტემდე, დასახელება კორინთო მომდინარეობს პელაზგურიდან (პირველმოსახლეობა პელაზგები ჩანან)... ...მონაწილეობდნენ აგამემნონის ხელმძღვანელობით ტროას ომში. დორიე-ლები (ჰერაკლეს ჩამომავლობა მესამე თაობაში) დაეუფლნენ კორინთოს... ლიდრობა კორინთოდან ათენზე გადავიდა VII საუკუნეს ქრისტემდე. აარ-სებს კოლონიას დღევანდელ ალბანეთში, სიცილიაზე, კერკირაზე, იტალია-სა და ეგვიპტეშიც კი. მონეტების მოჭრა დაიწყო VII საუკუნეს ქრისტემდე. ... კორინთელები უკვე დორიელებად ითვლებიან, როგორც სპარტელები, თუმცა ისინი ზუსტად ისტმოსის ყელზე ცხოვრობენ, დორიელების და იონიელების შესაყარზე. მონაწილეობენ ბერძნულ სპარსულ ომებში. პელო-პონესის ომში იბრძვიან დორიელთა- სპარტელთა მხარეს. თუმცა ამ ომის დამთავრების შემდეგ თავად იწყებენ ომს ფივიელებთან (ყოფილ ფინიკი-ელებთან) ერთად სპარტას წინააღმდეგ, არ ცნობენ მის ჰეგემონიას. ომმა კორინთულის სახელი მიღო. მერე უკვე მაკედონელები ჩაერთნენ ამ კამა-თში...

რასაკვირველია კორინთო ყოფილი იონიური პოლისია, თუმცა ზოგიერთი ანტიკური წყარო შეცდომით ასახელებს აიეტს კოლხეთის და კორინთოს მეფედ. კორინთო აშკარად იბერიული უნდა ყოფილიყო (და არა კოლხუ-რი) ... შცდომის მიზეზი კოლხეთის მეორე სახელს - ეპირს და კორინთული ქალაქის-ეფირს შორის სახელთა მსგავსებაში უნდა ვეძებოთ. და მაინც, კო-რინთო უფრო იხრება იონიური მიმართულებისაკენ, ვიდრე არგოლიდა

და ამის მიზეზი მათი მდებარეობა უნდა იყოს -კორინთო პირდაპირ იონ-იურ-დორიულ გამყოფ ხაზზე მდებარეობს...

...და ნეაპოლი...

„შემდეგ ლაციუმს მერე მოდის კამპანია. ზღვის სანაპიროს გასწვრივ“ (სტრაბონი, წიგნიV; IV-3) ...და კიდევ:

„ამ ქალაქს იქით მდებარეობს კუმი-ქალაქი დაარსებული ხალკიდელებისა და კუმელებისგან. სინამდვილეში ეს ყველაზე ძველი ქალაქია სიცილიური და იტალიური ქალაქებიდან. ლაშქრობის წინამძღოლი ჰიპოკლი კუმიდან და მეგასთენი ხალკიდიდან შეთანხმდნენ, რომ ქალაქი იქნება ხალკელებისა, სახელწოდებას კი მიიღებს კუმისაგან“ (იქვე V-IV-4)

ნონსენსია, რომ ორმა უცხო და სხვადასხვა ტომმა მსგავსი შეთანხმება მიიღონ...და რასთან გვაქვს საქმე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნამდვილად ვერ იქნება იოლი საქმე, თუმცა შევეცადოთ:

1. მიუხედავად ჰეროდოტეს მტკიცებისა, კარიელები არ და ვერ იქნებიან კუნძულოვანი ხალხები-ესენი შუმერები არიან...შუმერები, რომლებიც აქადების მოძალებს კვალობაზე გადმოსული არიან შუამდინარეთიდან, მინიმუმ XXIII საუკუნეს ქრისტემდე. უფრო მეტიც, ბითვინიის მცირე აზიური სამეფოც მათი დაარსებულია.(17*) ამ თემაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ...

2.შესაბამისად, მინოსელები ამ უკანასკნელებს კუნძულ კრეტიდან ვერ გამოასახლებდნენ...ეს გამოსახლებულნი-როგორც ადრე აღვნიშნეთ-სამოსელები უნდა იყვნენ, ყველასგან განსხვავებულ იბერიულ დიალექტზე მოსაუბრენი, გამოძევებულნი კუნძულ კრეტიდან ქრისტემდე XV საუკუნეს.

3.ქალაქ კუმს სტრაბონი ყველაზე უფრო ძველს უწოდებს კუნძულ სიცილიასა და იტალიაში და სავარაუდოდ ამის ცნობები სტრაბონს უნდა ჰქონდეს კიდეც-ასეთ სიტყვებს ჰაერზე არ ლაპარაკობენ.

4. ჰერკულანუმი და პომპეი ეტრუსკული ქალაქებია- ეტრუსკული ქალაქების დაფუძნების თარიღი ქრისტემდე 1261 წელია-ყველასი...

5. სამოსელები, როგორც ფაქტიურად მცირე აზიელები და ლიდიელების უშულო მეზობლები, ზუსტად ტირსენ ატისის ძის მიგრაციული ექპედიციის მონაწილენი ჩანან და იმავე დროს ასახლებენ იტალიის სამხრეთ რეგიონს-კამპანიას...

მოკლე ცნობები სამოსზე ვიკიპედიიდან

კუნძული სამოსი დასახლებული ჩანს ქრისტემდე III ათასწლეულიდან, სავარაუდო მოსახლეობა კარიელები და ლელეგები. ჯერ კიდევ ამ ცივილიზაციის დროს აღმოცენდა კუნძულზე ქალღმერთ ჰერას კულტი ...

დაახლოებით 1000 წელი ქრისტემდე, დიდი ბერძნული გადასახლების კვალობაზე, კუნძულზე გადასხდნენ იონიელები, სამოსი გახდა იონიელთა 12 ქალაქი პოლისის წევრი... ქალღმერთ ჰერას კულტმა იარსება ქრისტემდე 720 წლამდე. სამოსელები ანვითარებენ სავაჭრო ურთიერთობებს სხვადასხვა ოლქიდან, მათ შორის შავ ზღვაზე და ეგვიპტესთან. ქრისტემდე 538 წელს პოლიკრატმა მოაწყო სამხედრო გადატრიალება, მიიტაცა ხელისუფლება და გახდა კუნძულის ტირანი ...არისტოკრატია, წოდებული გამორებად, ტირანს უყურებდა სიძულვილით, არც ეს უკანასკნელი ენდობოდა მათ, თუმცა ხალხმა მხარი დაუჭირა ტირანს. უკმაყოფილონი მალე განდევნილ იქნენ კუნძულიდან, თუ ნებაყოფილებით დატოვეს იგი... გადასხდნენ ძირითადად სამხრეთ იტალიაში ... ასე იქნა ჩამოყალიბებული კოლონია დიკეარხია იტალიაში...

შეიძლება ითქვას, რომ ვიკიპედიის ეს ცნობები ვერ გამოირჩევა დიდი სიზუსტით:

1. ჰეროდოტეს ეპოქისათვის კარიელები კატეგორიულად უარყოფდნენ ჰეროდოტესეულ ვერსიას მათი კრეტიდან მიგრაციის შესახებ, ამტკიცებდნენ რომ ისინი არასდროს ყოფილან კუნძულოვანი ხალხი და მტკიცდება კიდეც-ესენი შუმერული სახელმწიფოს შედარებით ახალი ყლორტია... შესაძლებელია ისინი გადადიოდნენ კიდეც მათ მოსაზღვრე ახლომდებარე კუნძულზე სამეურნეო მიზნით, თუმცა ეტყობა ამას ექსტენსიური ხასიათი უნდა ჰქონოდა.

2. მილეტელებს, შუმერებს რასაკვირველია საკუთარი ღვთაებრივი პანთეონი გააჩნდათ და მათი კულტის საგანი ჰერა ვერ იქნებოდა.

3.დიდ ბერძნულ გადასახლებად ცნობილი პროცესი ამ იონიელებს არ შეეხებოდა-სახელს კი იყოფენ ბერძნებთან, მაგრამ ისინი ბერძნები არ არიან და ამაზე ჰეროდოტეს ნახსენები ოთხი იონიური დიალექტი მეტყველებს.

4. ქალღმერთ ჰერას კულტი ორგანულად უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ჩვილი ზევსის დამცველებთან (სხვათაშორის ხალკიდელებთან) რომელთათვის მათი სუზერენი ღვთაების მეუღლეს წარმოადგენდა. რასაკვირველია ქალღმერთ ჰერას კულტი კუნძულ სამოსზე ამ ხალხის დაფუძნებული ჩანს, რომლებიც ქრისტემდე XV საუკუნეს გამოაძევეს მინოსელებმა კუნძულ კრეტიდან და იმ დროსვე დაეფუძნენ სამოსზე.

5. მიუხედავად ვიკიპედიის მტკიცებისა, რომ ჰერას კულტმა ქრისტემდე 720 წლამდე იარსება, სინამდვილეში გაცილებით დღეგრძელი ჩანს: ზუსტად ჰერასადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, ქრისტემდე 538 წელს მოახდინა გადატრიალება პოლიკრატმა.

6. გამორების-სამოსის არისტოკრატიის განდევნა-გადასახლება იტალიის სამხრეთში სრულიად უმტკივნეულოდ მიმდინარეობს ამ უკანასკნელში, რაც

იქ უკვე არსებულ მჭიდროდ მონათესავე იონიურ მოსახლეობაზე მიუთითებს...

7….და სავაჭრო ურთიერთობები შავ ზღვაზე ... როგორც ეტყობა, სავაჭრო ურთიერთობები შავ ზღვაზე, გაცილებით გვიან , საბერძნეთის დამცრობასთან ერთად უფრო იტალიის „კამპანიის“ პრეროგატივა ხდება, რომელიც ოდესღაც კუნძულ სამოსთან ერთ მთლიანს წარმოადგენდა და რომელსაც ზემოთ, ნეაპოლთან ახსენებს სტრაბონი:

„კამპანია, ოლქი განლაგებული კაფას (დღევანდელი ფეოდოსია) ახლოს, რომელსაც ცალკე თათარი მართველი ყავს, ზიხია გერკესია“ (იოსაფატ ბარბარო; მოგზაურობა ტანაში, შენიშვნა 15... К. В. Базилевич. стр -103, прим-1)

აი სად ამოყვინთა კამპანიამ და ზიხია-გერკესიამ, რომელიც რამდენიმე წელიწადი გონებიდან არ ჩამოდიოდა ... და რა აკავშირებს იბერებს აქ ნახსენებ ზიხებთან? კაფასთან მცხოვრები კამპანიელები წმინდა წყლის იბერები არიან...და რატომ ზიხები? რატომ გერკესი? (18)

„დიკეარხის მერე მოდის ნეაპოლი -კუმეების ქალაქი, შემდგომში აქ ჩასახლდნენ ხალკიდელები...იქ აჩვენებენ პარტენოპეის სამახსოვროს, ერთ-ერთი სირენისა (სირინოზისა) (იქვე, 7) ...და პლინიუს უფროსი:

„(შემდეგ) მდინარე სავონის სანაპიროზე , ქალაქი ვოლტერნა, მდინარეზე ლიტერნი, კუმი-კოლონია ხალკიდელებისა“ (წიგნი III, 9-61)

„სანაპიროს გაყოლებაზე (მოყვება) ნეაპოლი, ასევე კოლონია ხალკიდელებისა, ეძახიან მას კიდევ პარტენოპეის, იმიტომ რომ აქ არის ყორღანი ერთ -ერთი სირენისა (სირინოზისა) (იქვე, 9-62)

მკითხველს შევახსენებ, რომ ეტრუსკული ენის (სინამდვილეში მეიონურის) რაობა- სადაურობაზე მსჯელობა მიდის ის წარწეების მიხედვით, რომელიც შემორჩენილია ქალაქ პომპეის (ნეაპოლის მეზობელი ნამარხი ქალაქის) ლავით დაფარული ვილების კედლებზე დარჩენილი წარწერების მიხედვით, რომელიც სინამდვილეში იბერიულია (და არა მეიონური)... მაგალითად, სასმისით ხელში დგას მამაკაცი და მოპირდაპირეს გასძახის: ჰეი ლარგენ, დალიუს? არა, ცოტა კი წაულათინურებს უკვე, მაგრამ დღესაც ნებისმიერი ქართველისათვის გასაგები სიტყვებია...(19)

...ზიხები...

ამ სახელით ანტიკურ ლიტერატურაში ცნობილი ხალხი დღევანდელი ადიღეველები არიან, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ქრისტემდე I საუკუნიდან ცნობილები:

„ბატის შემდეგ არტემიდორი (ქრისტემდე II საუკუნე, სავარაუდო I საუკუნის პირველი მეოთხედი) ასახელებს კერკეტების სანაპიროს (სადაც არის გე-

მთმისადგომები) და დასახლებები, სიგრძით თითქმის 850 სტადიონი (125, 8 კმ) (19) შემდეგ სანაპირო ახაიელებისა-500 სტადიონი (74 კმ) შემდეგ სანა-პირო ჰენიოხებისა-1000 სტადიონი (148 კმ) შემდეგ დიდი პიტიუნტი-სიგრ-ძით 360 სტადიონი (53 კმ) დიოსკურიადამდე“ (სტრაბონი;წიგნი XI-II-14)

ერთობ საყურადღებოა, რომ არტემიდორმა არაფერი იცის შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ზიგების ბინადრობის შესახებ : შეუძლებელია ავტ-ორს, რომელიც ასე ზედმიწევნით აღწერს ამ სანაპიროს და იქ დასახლებ-ულ ტომებს მათი დისლოკაციის ადილის ზუსტი ჩვენებით, ზიგების ტო-მი ვერ დაეფიქსირებინა, თუ მისი დროისათვის ისინი ამ სანაპიროზე სა-ხლობენ...დავაფიქსიროთ, რომ ქრისტემდე I საუკუნის დასაწყისს ზიგები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე არ ცხოვრობენ, არ ფიქსირდებიან...

„მითრიდატული ომების ავტორები, რომლებიც იმსახურებენ უფრო მეტ ნდობას, პირიქით, პირველად ასახელებენ ახაიელებს, მერე ზიგებს, შემდეგ ჰენიოხებს, შემდეგ კერკეტებს, მოსხებს, კოლხებს...“ (იქვე) (20)

აი აქ კი „მითრიდატული ომების“ აღმწერები, სტრაბონის წიმამორ-ბედები უკვე ზიხებს ახსენებენ, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე... ახსე-ნებენ „მითრიდატულ ომებთან“ დაკავშირებით, ხოლო თავად მითრიდატე III- ომს ემსხვერპლა, ქრისტემდე 63 წელს ... სრული დარწმუნებით შეგვიძ-ლია ვთქვათ, რომ ზიგები აქ ქრისტემდე I საუკუნის დასაწყისში დამკვი-დრნენ...მივყვეთ ანტიკური ავტორის, აპპიანეს იმ მოცემულობას, რომლის მიხედვით მითრიდატე სპარსული სამეფო ოჯახიდანაა. (21)

„ბევრი ხალხი მივიდა მითრიდატესთან, და მან არა მარტო მიიტაცა კაბა-დოკია, არამედ მეზობელი ტომებიც პონტოზე. დიდად გაზარდა რა საკუ-თარი ძალაუფლება, მან გადასცა საკუთარ მემკვიდრეებს და ისინი მეფო-ბდნენ VI მითრიდატემდე, რომელიც რომაელებთან ომში ჩაერთო“ (აპპიანე; მითრიდატული ომები -9) ...კიდევ:

„ მითრიდატე მეფობს თავის მემკვიდრეობით ქვეყანაში (22) რომელიც გა-დაჭიმულია ოცი ათას სტადიონზე (2960 კმ) და ამის გარდა თვითონ მოიპ-ოვა მრავალი მოსაზღვრე ქვეყანა: კოლხები, რომლებიც გადარეულები არ-იან ომებზე და ელინებიდან ისინი, ვინც ცხოვრობს პონტოს (შავი ზღვის) სანაპიროზე და ბარბაროსები, მცხოვრები მათგან ჩრდილოეთით. მეგობრე-ბი, რომლებიც მზად არიან მისთვის წავიდნენ ყველაფერზე, რასაც ის უბ-რძანებს. ესენი არიან სკვითები, ბასტერანები, თრაკიელები, სარმატები და ყველა ვინც ცხოვრობს ტანაისზე (დონზე) ისტრზე (დუნაიზე) და მეოტიის (აზოვის) ტბის ირგვლივ. არმენიის მეფე ტიგრანი მისი სიძეა, ხოლო პარ-თელთა მეფე არსაკი-მეგობარი“ (იქვე-15)

ყურადსაღებია, რომ ქრისტემდე 111 წელს, მან საკუთარი ხელის-უფლება განავრცელა ბოსფორზეც (ყირიმის ნახევარკუნძული) ამასთან კო-

ლხები ვრცელდებიან მხოლოდ ეგრისწყალამდე (ღალიძგამდე) მის იქითა ტერიტორიას, დიოსკურიადაზე და იქით, აკონტროლებს მიმდევრობით რამდენიმე ტომი: ჰენიოხები, ახაიელები და კერკეტები (23). ჰენიოხებთან, ყოფილ სინოპელებთან მითრიდატეს საუკეთესო დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, თუმცა ამავეს ვერ ვიტყვით ახაიელებზე:

„ისარგებლა რა სიმშვიდით, მითრიდატე შეეცადა დაუფლებოდა ბოსფორს და დანიშნა ბოსფორის მმართველად ერთ- ერთი თავისი შვილთაგანი მახარე ...თავს დაესხა (მითრიდატე) კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრებ ახაიელებს, დაკარგა რა 2/3 ჯარი შეტაკებებში, ყინვასა და ჩასაფრებებში, ის გაბრუნდა უკან“ (იქვე, 67)

აპპიანე აქ აშკარად ურევს დროებს, თვლის რა მითრიდატეს მიერ ბოსფორზე ძალაუფლების გავრცელების პერიოდს პირველ და მეორე მითრიდატულ ომის დროს შუალედად, თუმცა მითრიდატემ საკუთარი ძალაუფლება ბოსფორზე ქრისტემდე 111 წელს განავრცელა, როდესაც დაპირისპირება და ომები რომთან ჯერ კიდევ არ ჩანდა ჰორიზონტზე. სავარაუდოდ დაპირისპირება ახაიელებთან ზუსტად იმ წლების მახლობლად ჩანს მომხდარი...მკითხველს შევახსენებ, რომ „პირველ მითრიდატულ“ ომად ცნობილი შეტაკება რომთან გაიმართა ქრისტემდე 89-84 წლებში. რაც შეეხება ბოსფორს და მისი მითრიდატესათვის გადაცემის პერიპეტიებს:

„ეს ქალაქი (ძველი ხერსონესი) იყო დამოუკიდებელი, მაგრამ ბარბაროსების გაძარცვული, იძულებული გახდა ეძია მფარველი მითრიდატე ევპატორის სახით, ამ უკანასკნელს უნდოდა სათავეში ჩადგომოდა ბარბაროსებს, მცხოვრებლებს ყელთან (პერეკოპი) ბორისთენამდე და ადრიამდე...ასე რომ მითრიდატემ, ფრთაშესხმულმა ასეთი იმედებით, სიხარულით გაგზავნა არმია ხერსონესის წინააღმდეგ და ამავე დროს დაიწყო ომი სკილურთან, ასევე მის შვილებთან-პალაკთან და სხვებთან (პოსიდონიის სიტყვებით 50 -თან, აპოლოდორის მიხედვით 80 -თან) ამავე დროს მითრიდატემ შეძლო ყველას დამორჩილება და ძალის დახმარებით ბოსფორის (ყირიმის ნახევარკუნძულის) დამორჩილება, მიიღო რა ეს ოლქი მისი ადრინდელი მფლობელი პარისადისაგან“ (სტრაბონი ; წიგნი VII, IV-3) (24)

შესაბამისად, მითრიდატე ევპატორს ჯერ კიდევ ქრისტემდე 111-110 წელს ბოსფორი მიერთებული უჩანს...

„მოთაბარეები (სკვითები) უფრო მეომრები, ვიდრე ყაჩაღები, მაინც ომობენ ხარკის გამო. სინამდვილეში ისინი გადასცემენ მიწებს მათ, ვინც მოინდომებს მის დამუშავებას, და კმაყოფილდებიან, თუ მიიღებენ დათქმულ ღირებულებას და ისიც ზომიერს, არა გასამდიდრებლად, მხოლოდ იმისთვის, რომ დაიკმაყოფილონ ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნილება. მაგრამ იმათთან, ვინც არ გადაიხდის დათქმულ გადასახადს, მომ-

თაბარები ომობენ. სინამდვილეში, თუ მათ სწორად უხდიან საიჯარო გადასახადს, ისინი არასდროს იწყებენ ომს. მაგრამ მათ არ უხდიან სწორად ხალხი, დარწმუნებული იმაში, რომ აქვთ საკმარისი ძალა, რომ იოლად მოიგერიონ თავდამსხმელები, ან ხელი შეუშალონ მათ შემოჭრას. ზუსტად ასე მოიქცა გიპსიკრატის ცნობით პარისადი, რომელმაც ააშენა ნახევარკუნძულის ყელთან, მეოტიდის ახლოს კედელი, სიგრძით 360 სტადიონი (53 კმ) და ააშენა ყოველ სტადიონზა ათი კოშკი“ (იქვე, IV-6)

შესაბამისად, მითრიდატეს სჭირდებოდა საყრდენი ძალა, ახაიელების საპირწონე, კოლონიის სახით...თუმცა მისთვის უცნობ „ბარბაროსულ“ მხარეში კოლონიზირების მსურველების მონახვა არც ისე მარტივი საქმე ჩანს, ამასთან მომავალი კოლონისტები გამორჩეული უნდა იყოს სამხედრო პოტენციალით-იმავე ახაიელების დასაპირისპირებლად, რომელთაც მითრიდატეს 2/3 ჯარი გაუწყვიტეს ... (თუმცა სავარაუდოდ მითრიდატე მათთან უკვე მორიგებული ჩანს)...და როგორც ჩანს, მითრიდატემ სასურველი კანდიდატურაც მონახა:

“მაშინ მოვიდა ხიოსელების რიგიც. ხიოსელებზე ის გაბრაზებული იყო იმ დროიდან, როცა მათმა ერთმა გემმა როდოსელებთან ომის დროს, გაუფრთხილებლობით ცხვირით დაეჯახა მეფის ხომალდს (ფლაგმანს). პირველად კონფისკაცია გაუკეთა ხიოსელთა იმ ნაწილს, რომლებიც გაიქცნენ სულასთან (რომის მთავარსარდალთან მითრიდატეს წინააღმდეგ ომში) მერე გააგზავნა ხალხი, რომ გამოერკვით, ვინ ვის მხარეს იყო. და ბოლოს ზინობიი, არმიის თანხლებით მიზეზით, რომ მას სურს გადაისროლოს ჯარი ელადაში. ზინობიის ჯარმა ღამით დაიპყრო ხიოსელთა გალავანი და სხვა გამაგრებული ადგილები. დააყენა ქალაქის ალაყაფთან დარაჯები და გამოაცხდა, რომ უცხოელებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ, ხოლო ხიოსელები უნდა შეიკრიბნენ სახალხო კრებაზე, იმიტომ რომ გამოუცხადოს მათ მეფის (მითრიდატის) სურვილები და ბრძანება. როცა ისინი შეიკრიბნენ, ზინობიიმ უთხრა ხიოსელებს, რომ მეფე ეჭვით უყურებს მათ ქალაქს იმათ გამო, რომელთაც უკავიათ რომაელთა მხარე. მეფე შეწყვეტს ეჭვიანობას, თუ ხიოსელები ჩააბარებენ იარაღს და მძევლებად მისცემენ გავლენიანი მოქალაქეების შვილებს. ხიოსელები ხედავდნენ, რომ მათი ქალაქი აღებული იყო და შეასრულეს ყველა მოთხოვნა. ზინობიიმ გააგზავნა ეს ყველაფერი ერიტრეში და გამოაცხადა, რომ მეფე გამოაგზავნის წერილობით ბრძანებას...და აი მითრიდატესაგან მოვიდა წერილი შემდეგი შინაარსით: თქვენ ახლაც ავლენთ გადახრას რომაელებისადმი, ხოლო მრავალი მათგანი ახლაც იმყოფება მათთან და თქვენ სარგებლობთ რომაელების ქონებით, არ შემოგაქვთ ჩვენს ხაზინაში წინასწარ განსაზღვრული წილი. ამის გარდა, როდოსელებთან ბრძოლის დროს, თქვენმა ტრიერამ

დაარტყა ჩემს გემს, მიაყენა მას დაზიანება. მე თვითონ (თქვენი თხოვნის გარეშე) მივაწერე ეს დანაშაული მხოლოდ მესაჭეს, მოგეცით თქვენ შანსი გადარჩენისა, და გეგრძნოთ ჩემი სულგრძელობა. და აი თქვენ საუკეთესო თქვენი მოქალაქეები უჩუმრად გააგზავნეთ სულასთან, და არც ერთზე აქ მყოფმა არ შემატყობინეთ მე, რომ ეს არაა ჩადენილი საერთო გადაწყვეტილებით, ხოლო ეს უნდა გაგეკეთებინათ, თუ თქვენ არ იყავით მათი თანამზრახველები. იმათ, რომლებიც ამხილეს ჩემი ხელისუფლების წინააღმდეგ, იზრახავდნენ ცუდს ჩემი სიცოცხლის წინააღმდეგ, ჩემმა მეგობრებმა მიუსაჯეს სიკვდილი, ხოლო მე გსჯით თქვენ ჯარიმით 2000 ტალანტით. ასეთი იყო წერილის მკაცრი შინაარსი. ხიოსელებს უნდოდათ გაეგზავნათ მითრიდატესთან ელჩობა, მაგრამ ზინობიიმ ნება არ დართო. იმდენად რამდენადაც იარაღი მათთვის ჩამორთმეული იყო, ბავშვები ცნობილი მოქალაქეებისა მძევლად აყვანილი, მნიშვნელოვანი ბარბაროსული არმია იდგა მათ კარიბჭესთან, ხიოსელებმა იძულებით დაიწყეს ტაძრების მორთულობის და ქალების ძვირფასეულობის მიტანა ბრძანების შესასრულებლად და 2000 ტალანტის შესაგროვებლად. როცა მათ შეასრულეს ესეც, ზინობიიმ დაადანაშაულა ისინი, რომ არ ეყოფა წონა ძვირფასეულობისა, შეაგროვა ისინი თეატრში, დააყენა ჯარი ამოღებული ხმლებით თეატრის გარშემო, დაიკავა გზა თეატრიდან ზღვამდე და არეკა ხალხი გემებზე. ცალკე მამაკაცები და ცალკე ქალები და ბავშვები. ამასთან ბადრაგი ბარბაროსული წესის თანახმად აძლევდა თავს უფლებას მათი შეურაცხყოფისა. როცა ისინი მიყვანილ იქნა მითრიდატესთან, ამ უკანასკნელმა ისინი გააგზავნა ევქსენის პონტოში (შავ ზღვაზე)“ (აპპიანე; მითრიდატული ომები, 46-47)

ხიოსელების გადასახლება ევქსენის პონტოში (შავ ზღვაზე) საეჭვოდ ემთხვევა ზიხების ჩამოსახლებას ამავე ზღვის სანაპიროზე... და ზუსტად იმ ადგილას, სადაც ყველაზე ხელსაყრელი იყო მითრიდატე VI -სათვის-მისი ერთგული ჰენიოხებისა და ორგულ ახაიელებს შორის…ამასთან, დასახლების ადგილი და ტიპი აშკარად მიუთითებს, რომ ეს ხალხი (ზიგები) მართლაც ძალდატენებით წამოყვანილი ხალხი უნდა იყოს- ზუსტად ისე, როგორც აპპიანე აცხადებს ხიოსელების შესახებ…ამასთან, დასავლეთით ახაიელებსა და უკვე ზიგებს შორის კოლებს ასახლებს კოლა-არტაანიდან, აღმოსავლეთით-ჰენიოხებსა და იმავე ზიგებს შორის უკვე არტებს, იმავე კოლა-არტაანიდან...სავარაუდოა, რომ ხიოსელების რიცხვს მითრიდატემ პონტოელი იბერებიც დაამატა, იმავე მაზაკელების რიცხვიდან... პირველ მითრიდატულ ომში დაზავების სანაცვლოდ, რომაელ კონსული სულა მითრიდატეს მოციქულს, არხელაეს შემდეგ პირობებს უყენებს:

„თუ მითრიდატე გადმოგვცემს მთელ ფლოტს, რომელიც შენთანაა არხელაი, დაგვიბრუნებს ჩვენს წინამძღოლებს, ტყვეებს, თქვენს მხარეზე გადასულებს, თუ დააბრუნებთ ძველ ადგილზე ხიოსელებს და ყველა დანარჩენს, რომლებიც აიძულა გადასახლებულიყვნენ პონტოში, თუ ის გამოიყვანს გარნიზონებს ყველა სიმაგრისან, გარდა იმათი, რომელთაც ის ფლობდა ამ მშვიდობის დარღვევამდე, თუ ის გადაიხდის ხარჯებს, გაწეულს ამ ომში, რომლის გადახდა მოგვიწია მის გამო, თუ ის დაჯერდება ხელისუფლებას მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული სამეფოსი, მე იმედი მაქვს, რომ შევძლებ დავარწმუნო რომაელები, რომ ისინი არ დაიმახსოვრებენ წყენას ყოველივე მისი მოქმედებისათვის, ასე თქვა სულამ და არხელაემ იმ წუთსვე დაიწყო გარნიზონების გამოყვანა, ხოლო დანარჩენ პირობებზე შეკითხვა გაუგზავნა მეფეს...“ (იქვე -55)

მითრიდატემ ჩათვალა, რომ მისმა სარდალმა არხელაემ ძალიან ბევრი დათმო სულასთან მოლაპარაკებაზე, თუმცა საკმაოდ მალე თავადვე მოუწია სულასთან დაზავების პირობების განსჯა:

„როცა სულა ელაპარაკებოდა (მითრიდატეს) გაბრაზებული და აღგზნებული, მეფის ფიქრები შეიცვალა და მან იგრძნო შიში. ის დაეთანხმა არხელაეს მიცემულ პირობებზე, დათმო ხომალდები და სხვა ყველაფერი და დაბრუნდა პონტოში, მამისეულ სამეფოში. ასე დასრულდა პირველი ომი მითრიდატეს და რომაელებს შორის“ (იქვა-58)

მკითხველის ყურადღებას კიდევ ერთხელ შევაჩერებ იმაზე, რომ პირველი „მითრდატული ომი“ მიმდინარეობდა ქრისტემდე 89-84 წლებში.

„და სინამდვილეში მან არ მისცა არიობარზანს კაბადოკია მთლიანად, არამედ გარკვეული ნაწილი დაიტოვა თავისთვის. ის ეჭვით უყურებდა არხელაეს, თვლიდა რომ მან მოლაპარაკებისას ელადაში დაუთმო სულას მეტი, ვიდრე საჭირო იყო“ (იქვე -64)

...და თუ მითრიდატემ არ შეასრულა სულას წინაშე აღებული ვალდებულება კაბადოკიაში, მით უმეტეს არ შეასრულებდა ვალდებულებას ხიოსელებთან მიმართებაში, რომლებიც მას საიმედოდ უჩანს გადამალული კაბადოკიაზე გაცილებით შორს, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. ყოველ შემთხვევაში, ხიოსელთა გადასახლება პონტოში, აბსოლუტურად ემთხვევა ზიგების გამოჩენას შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე...

„თუ გაცურავ ამისოსის გაყოლებით სანაპიროზე, პირველად თვალწინ გადაიშლება ჰერაკლეს კონცხი, შემდეგ იასონიის კონცხი და მდინარე გენეტი, შემდეგ კოტიორა, აქედან იყო გადასახლებული კოლონია ფარნაკიაში; მას შემდეგ დანგრეული ისხოპოლი, შემდეგ ყურე, სადაც განლაგებულია კერასუნტი და გერმონესა - უმნიშვნელო დასახლება, არც ისე შორს

გერმონესიდან მდებარეობს ტრაპიზუნდი და შემდეგ კოლხეთი. აქ სადღაც მდებარეობს დასახლება ზიგოპოლი“ (სტრაბონი; წიგნი XII, III-17)

ჰგავს, საკუთარ რეზიდენციასთან (იასონიის კონცხზე) ახლოსაც ასახლებს ზიგების ნაწილს - სავარაუდოდ მათ ელიტას მითრიდატე. ძირითადი ნაწილი კი დასახლებული უჩანს საკმაოდ შორს, როგორც ვთქვით ჰენიოხებს და ახაიელებს შორის...ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრული კავკასიონის გაუვალი ქედით, სამხრეთიდან ზღვით...არც ერთის და არც მეორის გადალახვა არ შეიძლება, თუ ზღვაზე გადაადგილების საშუალებითაც შეზღუდავ (24) დამატებით ღონისძიებად მის სამემკვიდრეო სამეფოში მცხოვრები კოლა-არტაანელები უჩანს გამოყენებული: დასავლეთიდან ახალმოსახლეებს და ახაიელებს შორის კოლაელები უჩანს ჩასახლებული, ქსენოფანტეს მიერ შკვითინებად-შვიდსოფლელებად ცნობილნი...თუმცა ისტორიული სახელი ზედმეტსახელი სტრაბონისგან უჩანთ მიღებული, რომელიც საუკუნეების მანძილზე ამ ხალხის უცვლელი თანამგზავრი ხდება (25). ასევე, აღმოსავლეთის მხრიდან, ჰენიოხებს და ახალმოსახლეების გამყოფად არტებს ასახლებს, დღევანდელი ადლერის, არტ-ლარიდან დასავლეთით (26). ფაქტიურად, ახალმოსახლეებს შინაპატიმრობის პირობებში უხდებათ ცხოვრება, შეზღუდული თავისუფლების ხარისხით...

„ასე მაგალითად, ჰენიოხებს ყავთ 4 მეფე და იმ დროს, როდესაც მითრიდატე ევპატორი განდევნილი იქნა თავისი ქვეყნიდან ბოსფორში, მიდიოდა მათ მიწაზე. ეს ქვეყანა აღმოჩნდა ადვილად გასავლელი, მაგრამ გაევლო ზიხების ქვეყანაზე მას (მითრიდატეს) მოუხდა უარი ეთქვა, ზიხების სიმკაცრისა და ველურობის გამო. მხოლოდ გაჭირვებით შეძლო მითრიდატემ სანაპიროს გაყოლებით გავლა, დიდი მანძილი გაიარა ზღვისპირზე, სანამ არ მივიდა ახაიელთა ქვეყანამდე. მათი დახმარებით დაასრულა მოგზაურობა“ (აქვე, XI;-II-13)

პონტოს, კოლხეთის და ბოსფორის (ყირიმის) სუზერენისათვის შუალედური პოლიტიკური წარმონაქმნები: ჰენიოხია, ზიხია (უკვე ზიხიაც) ახაია ვასალური პოლიტიკური წარმონაქმნები მაინც უნდა იყოს (თუ არა მთლიანად დამოკირდებული მითრიდატეზე) თუმცა დამარცხებული სუზერენი უკვე ნაკლები ავტორიტეტია...და მაინც, ჰენიოხებს მაინც ჩვეული პატივისცემით უჩანთ მითრიდატე მიღებული და გატარებული, თვით მრისხანე ახაიელებიც, რომლებთან შეტაკებაში ერთი თაობით ადრე მითრიდატემ თავისი შეიარაღებული ჯარის 2/3 დაკარგა, მას პატივით იღებენ და აცილებენ, სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ზიგთათვის... აპპიანე მის ახსნას ამ უკანასკნელთა მრისხანე ხასიათით და სიველურით ცდილობს. ...სიველურე არ იქნება ელადის სახელმწიფოს ნაწილის-ხიოსელების დამახასიათებელი თვისება, აი მრისხანე დამოკიდებულება მითრიდატისადმი

... ეს უკვე მათი ბუნებრივი მდგომარეობა ჩანს-ჯერ კიდევ ცოცხალი იქნებიან ის თაობა, ვინც მითრიდატემ სამშობლოდან-ხიოსიდან ძალდატანებით წამოასხა...

...და რატომ არ ბრუნდებიან მითრიდატეს სიკვდილის შემდეგ, რომელიც თითქმის მყისიერად მოყვა მის დამარცხება, ხიოსელები უკან-სამშობლოში დაბრუნებას? ვინ იცის, შეიძლება მათი ნაწილი დაბრუნდა კიდეც, მაგრამ ახალი თაობისათვის სამშობლო უკვე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროა...

... ზიხები მითრიდატეს შემდეგ...

მეტნაკლები სიზუსტით შესაძლებელია მათი შემდგომი ცხოვრება-განვითარებისთვის თვალის მიდევნება: 134 წელს ქრისტესით, ხიოსელთა ჩამოსახლებიდან 200 წელზე მეტი ხნის შემდეგ, იმოგზაურა შავი ზღვის გარშემო რომის მეფისნაცვალმა, წარმოშობით ბითვინიელმა, სხვათაშორის შუმერყოფილმა, ფლავიუს არიანემ. იმოგზაურა და აღწერა კიდეც სანაპირო შავი ზღვისა, მათ შორის ზიხებად სახელდებული ყოფილი ხიოსელების საცხოვრისი:

„& 27. აქედან სამოცი სტადიონია ახეუნტამდე, რომელი მდინარეც ყოფს ძილქებს სანიგებისაგან. ძილქების მეფე სტაქემფაკია, რომელმაც ძალაუფლება შენგან მიიღო.

& 28. აქეუნტიდან 150 სტადიონია ჰერაკლეს კონცხამდე; აქედან ასოთხმოცი სტადიონი კონცხამდე, სადაც არის დაცვა თრასკიული ქარებისაგან და ბორეასისაგან. აქედან ასოცი სტადიონი ე.წ. ძველ ლაზიკამდე, აქედან ასორმოცდაათი სტადიონი ძველ ახაიმდე, აქედან ნავმისადგომ პაგრამამდე სამასორმოცდაათი სტადიონი“ (ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო)

ნავმისადგომი პაგრამი-გადაზომვების მიხედვით ეს გელენჯიკია; აქედან 350 სტადიონი = 52 კმ-ს, ძველი ახაიაა და ახლანდელი არხიპო-მიხაილოვკასა და ჯუბგას შორის ; ძველ ლაზიკამდე 150 სტადიონი =22 კმ-ს, ძველი ლაზიკაა და დღევანდელი ნოვო -მიხაილოვკა; აქედან 120 სტადიონი -18 კმ-ს, თრასკიული ქარებისაგან დამცავი კონცხია, დღევანდელი ტუაფსე, აქედან 180 სტადიონი -26, 5 კმ-ს ჰერაკლეს კონცხია და დამატებული 60 სტადიონი = 8,9კმ-ს, ჯამური 35,5 კმ, მდინარე აქეუნტი- ეს მხოლოდ და მხოლოდ მდინარე შახე შეიძლება იყოს, ქალაქ სოჩიდან დასავლეთით 75 კმ-ზე...მდინარე აქეუნტი-შახე, ძილქებისა და ჰენიოხების-სანიგების საღვარია ქრისტესით 134 წელს...სავარაუდოა, რომ ეს თავიდანვე არსებული საზღვარია...რასაკვირველია მანძილებს ფლავიუს არიანე ფილიგ-

რანული სიზუსტით ვერ გაზომავს - ორიენტირი მდინარე შახეს ახლოს მდებარე მდინარეთა წყვილი უნდა იყოს, რომელთა შორის მანძილი დაახლოებით 9 კილომეტრი უნდა იყოს. ასეთი მდინარეთა წყვილი ამ მონაკვეთზე ერთადერთია : მასაიტიკი - ეს დღევანდელ დასახლებულ პუნქტ ლაზარევსკაისთან გამავალი მდინარე პსეზუასპე უნდა იყოს, ხოლო მდინარე აქეუნტი- მდინარე აშე...

მართალი გითხრათ, ჩემთვის უცნობია თუ რა დატვირთვას ატარებს სიტყვათა წყობა „ძველი ლაზიკა“ მაშინ როდესაც ახალიც ჯერ არ არსებულია ... უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ 100 და 50 წლის განმავლობაში, რაც სტრაბონის და პლინიუს უფროსის მოღვაწეობიდან გასულია, უკვე შემოსულია ტერმინი ლაზიკა, რომელმაც კოლხეთი ჩაანაცვლა ...მართალი გითხრათ, უკვე პლინიუს უფროსი ახსენებს კიდეც ლაზებს, სადღაც ტრაპიზუნდიდან ქობულეთამდე ტერიტორიაზე...ასეთ შემთხვევაშიც ტერმინი „ძველი ლაზიკა“ მხოლოდ და მხოლოდ შკვითინების ტომის აღმნიშვნელი შეიძლება იყოს, რომლებიც ნამდვილად ტრაპიზონს ზემოთ მთიანეთშია დაფიქსირებული იმავე სტრაბონთან ... ამასთან, ტერმინი არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ ეს თემი ადგილნაცვალია -მათ საკუთარი პირველდასახლების ადგილზე აფიქსირებს თურქი მოგზაური ევლია ჩელები XVII საუკუნეს...

მისგან განსხვავებით, ტერმინი „ძველი ახაია“ ნამდვილად იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ისინი ამ ადგილას უკვე არ მოსახლეობენ. შეიძლება მათთვის შკვითინების მეზობლობა გახდა მიუღებელი ამა თუ იმ მიზეზით, თუმცა მათი ხასიათის და ცხოვრების წესის მშვენივრად მცოდნე რუსი გენერალი დუბროვინი მათ მიერ ხშირ საცხოვრებელმონაცვლეობას უსვამს ხაზს და ამის მიზეზი თემის რომელიმე წევრის უდროოდ გარდაცვალებაც კი საკმარისია...ფლავიუს არიანე არ ახსენებს ძილქების გავრცელებას „ძველი ახაიას“ ალაგას და ვერც იმის ზუსტი თქმა შეიძლება, აითვისეს თუ არა ძილქებმა ეს ტერიტორია უკვე...უფრო არა, ვიდრე კი...

& 15.„მდინარე მასიტიკიდან აქეუნტამდე სამოცი სტადიონი, რვა მილი. ეს მდინარე აქეუნტი (იწოდება ბასისად) ძილქებსა და სანიგებს შუა არის. (ძილქების მეფე სტაქემფლასია, შენგან აქვს მეფობა მიღებული)

& 16. ამრიგად, მდინარე აქეუნტიდან მდინარე აბასკოსამდე სანიგები ცხოვრობენ-(ჰენიოხები)

&17. მდინარე აქეუნტიდან ჰერაკლეს კონცხამდე (ახლა უკაცრიელი ჰქვია) ას ორმოცდაათი სტადიონი 11, 3 მილი. ამ კონცხიდან იმ კონცხამდე, რომელიც დაცულია თრასკიული და ბორეასის ქარებისაგან (სადაც ახლა იმყოფება ლაია) ოთხმოცდაათი სტადიონი 10, 2 მილი. ლაიადან ძველ ლაზიკამდე (სადაც მოთავსებულია ე.წ. ნიკოფსისი, რომლის ახლოს მდინარეა,

ახლა ფხასაფხისად წოდებული) ასოცი სტადიონი 16 მილი. ძველი ლაზიკიდან ძველ აქაიამდე (სადაც ახლა ტოფხისად წოდებული მდინარეა) ას ორმოცდაათი სტადიონი, 16 მილი.

&.18 .ძველი აქაიადან ძველ ლაზიკემდე და შემდეგ მდინარე აქეუნტამდე წინათ ცხოვრობდნენ შემდეგი ტომები: ჰენიოხები, კორაქსები, კოლები, მელანქლაინები, მაქელონები, კოლხები და ლაზები, ახლა ძილქები ცხოვრობენ.

&. 19. ძველი აქაიადან პაგრას ნავსადგურამდე (ახლა ჰეპტალას ნავსადგური ეწოდება) სამას ოთხმოცდაათი სტადიონია 46, 3 მილი.

& 20. პაგრის ნავსადგურიდან ძველ აქაიამდე წინათ აქაიელები ცხოვრობდნენ, ახლა კი ძილქები ცხოვრობენ.

&21. ჰეპტალას ნავსადგურიდან ჰიეროს ნავსადგურამდე (ახლა ჰიერონი ან ნიკაქსი რომ ეწოდება) ასოტხმოცი სტადიონია, ოცდაოთხი მილი. ნავსადგურ ჰიერონიდან ან ნიკაქსიდან სინდიკემდე (ან სინდურ ნავსადგურამდე, ახლა ევდუსია რომ ჰქვია) ორას ოთხმოცდაათი სტადიონია, ორმოცი მილი.

&22. ამრიგად, სინდურ ნავსადგურიდან პაგრამამდე, წინათ ცხოვრობდა ხალხი, რომელსაც კერკეტები ან ტორეტები ერქვათ, ახლა კი ევდუსიანები ცხოვრობენ, რომლებიც გუთურ ან ტავრიდულ ენაზე ლაპარაკობენ.

ეს ცნობები ეკუთვნის V საუკუნის ანონიმს, რომელიც ზუსტად იყენებს ფლავიუს არიანეს სიუჟეტს, თვით II საუკუნის მეფეთა სახელებსაც კი, თუმცა ასევე სკრუპულოზულად აღწერს იმ ცვლილებებს, რომელიც ამ რამდენიმე საუკუნის მანძილზე მოხდარია ზღვის ამ სანაპიროზე.

1.ძილქები აღმოსავლეთის მიმართულებით ისევ ცხოვრობენ სანიგების-ჰენიოხების მეზობლად და მათ შორის საზღვარი ისევ ისევ მდინარე აქეუნტია-მდინარე აშე...

2.აღმოსავლეთიდან, მდინარე აქეუნტიდან-აშედან ძველ ლაზიკამდე ძილქები ცხოვრობენ.

3. ძველ ლაზიკაში ისევე ძველი მოსახლეობა, ლაზები კოლა-არტაანიდან ცხოვრობენ.

4.ძველ აქაიაში უკვე ძილქები ცხოვრობან, აქაიელებს აქაურობა მიტოვებული უჩანთ.

5. ძველი აქაიადან პაგრამის - გელენჯიკის ნავსადგურამდე ასევე ძილქები ცხოვრობენ, კერკეტებსაც მიტოვებული უჩანთ აქაურობა...

6.ანონიმი შეცდომით უწოდებს ანაპას სინდურ ნავსადგურს და ეს შეცდომა ფლავიუს არიანესგან იღებს სათავეს (იხ. I ტომი, ზიხები) იქ ზუსტად იგივე ხალხი-ტორეტები ცხოვრობენ, რომელთა სახელი ანტიკურ ავტორებთან ასპურგიანებიდან ევდუსიანელებამდე განიცდის სახეცვლილებას...

რაც შეეხება ზიხების დანარჩენ ცხოვრებისეულ მომენტებს, ის სრულყოფილად არის აღწერილი I ტომში და დამატებას არც მოითხოვს, გარდა ზოგიერთი მომენტისა:

1.ჰეროდოტეს მიხედვით, ხიოსელები იონიელებია და ლაპარაკობენ ზუსტად იმავე ენაზე, რომელზედაც ერიტრეელები - შესაბამისად ხიოსელებიც და ერიტრეელებიც იბერები არიან, თუმცა ეს უკანასნელნი კუნძულ ევბეიდან არიან...

2....ძილქი, სინამდვილეში ძიხვი- ეს სიტყვა მეგრულ-ლაზურში (როგორც ჩანს იბერიულშიც) ჯიხვს ნიშნავს, ხოლო ჰენიოხების - როგორც კან-გოის პუნიკური ტომის ტოტემი ჯიხვია-გარეული თხა. სავარაუდოდ ეს სახელი მითრიდატეს დამარცხების და სიკვდილის მერე მალევე მიიღეს, ჯერ კიდევ მაშინ , როდესაც ჰენიოხებთან-სანიგებთან ერთად ერთ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდნენ...

3.აღმოსავლეთიდან, ჰენიოხებიდან დაწყებული ძველ ლაზიკამდე, დროთა განმავლობაში ძიხვური - ჩერქეზული მხოლოდ ერთი - გეჩების თემი ჩანს დარჩენილი (27), სხვები XVI საუკუნეში ჩამოსახლებულმა სადაშთა და უბიხთა ჭანურმა თემებმა შეცვალეს, საკუთარი და განსხვავებული ისტორიით. შესაბამისად, ევლია ჩელებისეულ დაყოფას „აფხაზებად“ და „ჩერქეზებად“ გარკვეული სარჩული გააჩნია: პირველები ლაზ-ჭანები არიან, მეორენი იბერები...

4. ჩერქეზი ნამდვილად თურქების შერქმეული სახელი ჩანს, სახელდობრ იბერებისათვის, რომელიც მოურჯულებელს, დაუმორჩილებელს, მოუთვინიერებელს ნიშნავს...რაც შეეხება ევლია ჩელებისეულ დახასიათებას, რომ „ნამდვილი“ ჩერქეზები ყაბარდოელები არიან, მხოლოდ ისტორიული გაუგებრობაა: ყაბარდოელების სახელი ოდითგან კერკეტი იყო (და არა ჩარქეზი), თვითდასახელება ქაბარდა, ხოლო ჰეროდოტესთან ისინი ალაროდები არიან, სასპერების-იბერების უშუალო მეზობლები მცირე აზიაში...

5....და ბოლოს რატომ კაფას (ფეოდოსიას) მიმდებარე ტერიტორიის სოლდაიას სახელი „კამპანია“ და მისი მმართველის თიკუნი „ზიხია გერკესია“? გერგეზი მეგრულ ენაზე დევ- გმირს, უძლეველს ნიშნავს, იგივეს ნიშნავს ეტყობა იბერიულად გერკესი...ხოლო კამპანია -ეს მისი იტალიელების, კამპანიელების დაარსებას უნდა ნიშნავდეს, რომლებიც თავადვე წაროშობით კუნძულ ევბეიდან არიან, შესაბამისად ისეთივე ძიქები, როგორც სრუტეს აქით მცხოვრებლები...(27*)

...აფრიკის ერიტრეა...

მაგრამ ეს ვინაა?

ერიტრეა-ტიგრინია... ესაზღვრება დასავლეთით სუდანს, სამხრეთით ეთიოპიას და ჯიბუტს-სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში. ერიტრეა ითვლება მრავალნაციონალურ ქვეყანად. მოსახლეობა ექვსი მილიონ ადამიანი. <u>უმრავლესობა ლაპარაკობს აფროაზიულ ან აფროსემიტურ ენაზე.</u> მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს <u>ტიგრაი-55% და ტიგრე 30%.</u> ერიტრეა იყო ეთიოპიის ფედერაციის კავშირში, ამ უკანასკნელში ჩატარდა სახალხო რეფერენდუმი, რომელმაც მიიყვანა ერიტრეა დამოუკიდებლობამდე. 1993 წელს ერიტრეს დაძაბული მდგომარეობა ჰქონდა ეთიოპიასთან, რომელმაც საბოლოოდ ერიტრესა და ეთიოპია - ჯიბუტს შორის საქმე საომარ მდგომარეობამდე მიიყვანა“ (ვიკიპედია)

ვინაა ერიტრეს ეს სახელმწიფო, ფაქტიურად სრული სეხნია დიდი ხნის წინ საბერძნეთის კონტინენტალურ ნაწილთან განლაგებული სახელმწიფოსი, რომლის კოლხურობა თუ იბერიულობა სადავო გამხდარა? საყურადღებოა, რომ ერიტრეს ეს სახელმწიფო მდებარეობს აფრაზიულ, კუშიტურ ენებზე მოსაუბრე სახელწიფოთა (ეთიოპია, სუდანი, ჯიბუტი, სომალი და ნაწილობრივ მალავის) შორის, ამასთან ის ეთიოპების (აფრიკულის) სახელმწიფოს შემადგენლობაში ძალიან დიდი ხნის უკან და ასევე დიდი ხნით უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული.

როგორც ზემოთ ვისაუბრეთ, აფრიკის და აზიის ეთიოპები ერთი ხალხის, ერთი ტომის კუშების (ქუშების) წარმომადგენელნი არიან...კუშიტური სახელმწიფოები მათ ირგვლივ-ეს ქართველური ჯიშის ტომებია: ეთიოპია-კუში- ქართლი, სუდანი-ასევე ქართლის კუშიტური ტომები, სავარაუდოდ აფრიკის უპირველესი მკვიდრნი კუშიტურ ტომებს შორის. სომალი-სონების და მალების ნაერთი სამეფო (აშკარად იკვეთება მალების განდხარვთა 22 გვარიდან ერთ-ერთისადმი მიკუთვნებულობა) (28) ჯიბუტი-ასაკენები - კურეტები (ასაკენების თემა მოგვიანებით იქნება განხილული) და კენია, რომელ სახელმწიფოშიც კენების უკვე მხოლოდ სატომი სახელი ფიგურურებს)... **მაგრამ თავად ერიტრე ვინაა** ?

1. ერიტრე ვერ იქნება კოლხების სამეფოს სახელი, რომელიც ქუშებთან-ქართებთან ერთად ჩანან მიგრირებული აფრიკის კონტინენტზე, რამეთუ კოლხებს და ქართებს შეხების წერტილი ინდოეთიდან მიგრირების შემდეგ საერთოდ არ უჩანთ.

2.შესაბამისად, ერიტრეს სახელით ცნობილი პოლიტიკური გაერთიანება, ანტიკურ საბერძნეთში თუ თანამედროვე აფრიკაში ერთსა და იმავე ქართველურ ტომს-იბერებს უნდა ეკუთვნოდეთ...

3. განდხარვთა პიონერული ექსპედიციები პლანეტ ადედამიწაზე ეწყობა მხოლოდ სპარსეთის ყურის საფუძვლიანი ათვისების შემდეგ...მას შემდეგ, რაც დიოდორე სიცილიელის მიხედვით მტრობა ქართებს - კუშიტებს და

იბერებს (აფსართა ჩამომავალს) შორის თანდათანობით ტომებს შორის ურთიერთმოყვრობით და საქორწილო კავშირებით შეიცვალა-ამას კი ნამდვილად დასჭირდებოდა 2-3 საუკუნე ... შესაბამისად, ქართველური ტომების მიერ დანარჩენი სამყაროს ათვისება სინამდვილეში ქრისტემდე XXV-საუკუნის სიახლოვეს უნდა მომხდარიყო...თუმცა ეს აფრიკული ექსპედიცა სავარაუდოდ ტირსენ ატისის ძის წინამძღოლობით ჩატარებული ეტრუსკული ექსპედიციის პარალელური ჩანს...

4 ის რომ სტრაბონის (სინამდვილეში იბერიელი მეგასთენეს) მიერ მოთხრობილი პირენეის ნახევარკუნძულის ათვისების საქმეს ხელმძღვანელობს ეთიოპიელი ტერაკონი, საქმის არსს ფაქტიურად არა ცვლის: იმ დროისათვის აფრიკელი კუშები და მათი აზიელი თანატომელები ჯერ კიდევ ერთი ტომია...

5. და ზუსტად ის, რომ აფრიკის ერიტრეს მოსახლება „ტიგრაის ან ტიგრეს“, უწოდებს საკუთარ თავს, მიუმცდომრად მიანიშნებს მათ იბერიულობას... როგორც ირკვევა, ამ ტომის მცირე აზიური სახელი იბერი-ვეფხვს ნიშნავს... ამდენად ქუშის ტომისაგან გამოყოფის შემდეგ ტომი ფაქტიურად საკუთარ სახელს იბრუნებს, რომელიც საუკუნეების სიღრმეს უჩანს გამოტარებული...

რეზიუმე: წინამდებარე ფურცლებზე, როდესაც ირლანდიის თემას ვიხილავდით, განვაცხადეთ რომ უახლოეს წარსულში ირლანდიელებს პირდაპირ აღიარებდნენ იბერების შთამომავლად, თუმცა ამ იბერების ცხოვრების ადგილად აფრიკას ასახელებდნენ ... რასაკვირველია იმ მოსაზრების გათვალისწინებით, რომ ირლანდიელები აშკარად ნათესავები არიან კელტ-იბერებისა . .. იმ იბერებისა, რომელსაც დიოდორე სიცილიელის ცნობების არასწორი ინტერპრეტაციით აფრიკელებად თვლიდნენ...რატომ აფრიკელებად? იმავე დიოდორე სიცილიელის სიტყვებით, კელტები და იბერები დიდხანს იბრძოდნენ ამ მიწისათვის (სინამდვილეში დიოდორე სიცილიელს ამ ადგილად მხოლოდ მცირე აზიის მიჩნევა შეეძლო) და რადგან ამ მიწის (პირენეის ნახევარკუნძული) აფრიკასთან უახლოეს ნაწილში ლუზიტანები (პორტუგალიელები) ცხოვრობდნენ, რომლის სუფთა იბერობას თავადვე აღნიშნავს, ჩაითვალა რომ ისინიც შორეულ დროში აფრიკიდან ჩამოსული ტომია. როგორც ბოლო კვლევამ გვაჩვენა, იბერი მხოლოდ მცირე აზიის აბორიგენი მოსახლეა და მათი კელტებთან შეყრა ზუსტად ამ ტერიტორიაზე მოხდა...ამასთან, ფაქტიურად მტკიცდება, რომ განდხარვთა ექსპედიცია, მიმართული პლანეტის სხვადასხვა წერტილებისაკენ, რეალურად ერთდროულად ხდებოდა....ერთდროულად და როგორც ევროპის ათვისების თეორია მეტყველებს, განდხარვთა პიონერული (პირველი) ექსპედ-

იციები ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში ხდება ქრისტემდე XXV საუკუ-ნეს...

...ბოლო აკორდი...

...და მაინც როდის ხდება განდხარყოფილთა აფრიკული მიგრაციის პროცესი? ცხადზე ცხადია, რომ მხოლოდ და მხოლოდ მის შემდეგ, რაც ინდოევროპული ლექსიკა ფართოდ გავრცელდა მცირე აზიაში, იმ დონემ-დეც კი, რომ იბერებმა საკუთარი ეს სახელი მისივე შესატყვის ინდოევრ-ოპულ სიტყვაზე, ტიგრზე შეცვალეს...თვით ამ სიტყვის გენეზისი მყარად მიგვანიშნებს, რომ ეს სიტყვა იბერებმა სკვითებისაგან შეითვისეს...და არა მარტო იბერებმა-თვით ეტრუსკთა აღმატებული სახელი ტიბერიუსი ამავე სკვითურ ლექსიკას უხდის ხარკს, როდესაც ასო ტ-ს ითვისებს, თუმცა სი-ტყვის დანარჩენს კი ისევ ძველს - იბერს ინარჩუნებს. ჯერ კიდევ პირველ ტომში მივუთითეთ, რომ მდინარე ტიგროსის უადრესი სახელი ტიბროსი უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც იტალიის მდინარისა. ხოლო დღევანდე-ლი გადასახედიდან გამომდინარე, ვაცხადებთ რომ ამ მდინარის პირველი სახელი სულაც იბერი უნდა ყოფილიყო, როგორც ესპანეთში...

იბერები სკვითურ სიტყვას ტიგრს მხოლოდ სკვითების მცირე აზია-ში გამოჩენის შემდეგ თუ შეითვისებდნენ, ქრისტემდე XVIII საუკუნეს, მა-გრამ როდის განახორციელეს განდხარვებთან, აღმოსავლეთ ქართველურ ტომებთან ერთად აფრიკული ექსპედიცია - მიგრაცია? ცხადია ისინი ვერ განახორციელებდნენ ამას ჰიქსოსების, სკვითების ზეობის პერიოდში მარ-ტივი მიზეზის გამო: ერთად თავშეყრის უფლება მათ ოკუპანტი ძნელად თუ მისცემდა, მით უმეტეს ვერ იქნებოდა ამ უკანასკნელთა მიგრაციის სურვილში დარწმუნებული, უკანასკნელ მომენტში მათ შეეძლოთ იარაღი დამპყრობელის წინააღმდეგ მიემართათ. ამასთან, ისტორიულად ცნობილია მომენტი, რომ ჰიქსოსები მოკავშირეებს ეძებდნენ ეგვიპტის (თავისუფლად დარჩენილი ნაწილის) წინააღმდეგ და წერილი-შეტყობინებაც კი გაუგზავ-ნეს კუშის მმართველს (აშკარად სუდანელს) ეგვიპტის ფარაონმა სეკენერამ შეძლო ამ წერილის გადაჭერა და დაიწყო კიდეც გამანთავისუფლებელი ომი ჰიქსოსთა წინააღმდეგ. ეგვიპტელები მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლ-ებდნენ ჰიქსოსთა გზავნილის გადაჭერას, თუ ისინი დისლოცირდებიან ჰი-ქსოსებს და კუშებს შორის....ზუსტად ეს მომენტი გვიჩვენებს, რომ კუშებ-ის გარკვეული ნაწილი თვით ჰიქსოსების შემოსევამდე ცხოვროდბდნენ ეგვიპტელთა ზემოთ, მდინარე ნილოსის გაყოლებით. ასეთ ხალხს სულ ერთს-ნუბიელთა სახელთ იცნობს ისტორია, შესაბამისად, ნუბიელები ქუ-შები- განდხარვები არიან და ცხოვრობენ აფრიკის კონტინენტზე უშორეუ-ლესი წარსულიდან . სავარაუდოდ, ისინი მკვიდრდებიან აფრიკაში სპარს-

ეთის ყურის პარალელურად (ან უფრო ადრეც კი) არა უგვიანეს XXVII საუკუნისა ქრისტემდე...ამ ხალხს დღეს სუდანელები ეწოდებათ...

და მაინც როდის მკვიდრდებიან აქ დანარჩენი განდხარვული ტომები? ეს არ შეიძლება მომხდარიყო უფრო ადრე, ვიდრე ჰიქსოსების- სკვითების სრული განდევნა მოხდა მცირე აზიიდან. არა უადრეს XVI საუკუნის მეორე ნახევრისა ქრისტემდე, და ამის სამტკიცი იბერთა ახალი, სახელი უნდა იყოს, უკვე სკვითურ ენაზე თარგმნილი... ვფიქრობ, ჰეროდოტეს მიერ კონსტანტირებული ლიდიური შიმშილობა, რომელიც გაგრძელდა 18 წელი , სავარაუდოდ მხოლოდ ლიდიური არ უნდა ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში, ისეთი მძლავრი ტომი, როგორც ლიდიელები იყვნენ, სარჩოს მეზობლებზე თავდასხმებით იშოვიდნენ. ლიდიელებს ეს არ გაუკეთებიათ (მას არ ახსენებს ჰეროდოტე) და როგორც ჩანს ამისთვის მყარი მიზეზი გააჩნიათ: ეს უმოსავლობა ერთნაირად შეეხო მცირე აზიას და მიმდებარე რეგიონებს. ასეთივე მიგრაციული ექსპედიცია უჩანთ დანარჩენ განდხარვებსაც, თუმცა როგორც ეტყობა, ტირსენების საწინააღმდეგო მიმართულებით. (არ არის გამორიცხული, რომ მათი ასეთი მოქმედება კოორდინირებულია, რათა არ გაუწიონ კონკურენცია ერთმანეთს ახალი ბინადრობის ადგილას) შესაბამისად, განდხარვთა აფრიკული მიგრაცია ასევე ქრისტემდეXIII საუკუნეს უნდა იყოს მომხდარი, დაზუსტებით 1261 წელს...

გასაგებია, რომ ტიგრაის ტომი- ეს იბერებია, მაგრამ ვინაა ტიგრე? რასაკვირველია ტიგრეს ტომიც მცირე აზიიდან უნდა იყოს, იბერთა მონათესავე ტომი...ჩემთვის ცნობილი ერთადერთი ტომია ბასკები, რომელთა ენაზე ვეფხვს-ტიგრე ჰქვია... რასაკვირველია გასული 3300 წლის განმავლობაში თითოეული საკუთარი ლექსიკის მინიმუმ 60 - 70 % დაკარგავდა ... ...და მაინც ტიგრეს ენა უფრო შემოწმებადი ჩანს, ვინაიდან მისი უძველესი ფორმა-ძველაქადურიც ცნობილია და დღევანდელიც-ბასკური...უფრო რთულადაა საქმე იბერიულთან მიმართებაში-ჩვენ მისი არც ძველი ფორმა გაგვაჩნია (თუ არა ქართულში შემონახული) და ახალი-მითუმეტეს...მწირი მასალიდან, რომელიც მოვიპოვე, მარტო <u>მახათის</u> იდენტიფიცირება შევძელი...

პიროსი-პირი

ბევრ ვინმეს ექნება გაგონილი პიროსის გამარჯვება (რომელიც დამარცხების ტოლფასია) მაგრამ ცოტა ვინმეს თუ ეცოდინება ვინ იყო ის... (მეც საკმაოდ გვიან გავიგე) შევეცდები მკითხველს გავუზიარო ეს... თესპროტებს (კოლხებს) პირველად ჰეროდოტე ახსენებს:

„(ფინიკიელების მიერ) ეს ქალი გაიყიდა დღევანდელი ელადის სწორედ

იმ ნაწილში, რომელსაც უწინ პელაზგიე ეწოდებოდა, სახელდობრ თესპ-როტებით დასახლებულ ნაწილში“ (ჰეროდოტე, ისტორია; წიგნი II-56)

ამ ხალხზე პირველ წიგნში უკვე ამომწურავად ვისაუბრე: ესენი თესპროტები არიან ეპირიდან, საბერძნეთისა და ალბანეთის საზღვარზე, საბერძნეთში- კოლხყოფილები...ჰეროდოტე ამ რეგიონის მცხოვრებლებს მხოლოდ თესპროტებად აღნიშნავს და არა რომელიმე სხვა ტომად... შესაბამისად, შავი ზღვის კოლხეთში მეფე აიეტის მეთაურობით მიგრირებული კოლხური მოსახლეობა ბერძენთათვის თესპროტებია, ისევე როგორც ეპირში, კოლხეთყოფილში დარჩენილი მოსახლეობის მეორე ნაწილი...ჰეროდოტეც საკუთარ ისტორიაში რამდენჯერმე ახსენებს ეპირელებს და ყოველთვის თესპროტთა სახელით: სხვა ტომი იქ არ უნდა ფიგურირებდეს...

მაგრამ ჰეროდოტეზე უხნესი ლოგოგრაფოსის, ჰომეროსის მიხედვით, პელაზგი აქილევსის შვილი, ნეოპტოლომეც კი ეპირში იზრდება.... და რატომ? პელაზგი აქილევსი ფტიოტიდიდანაა, ფტიოტიდის სუზერენია, მაგრამ მისი ხელქვეითი მეომრები იმავე ფტიოტიდიდან უკვე მირმიდონელებია-ახაიელები...ფტიოტიდა უკვე აქაველებს, „ზღვის ხალხებს“ უჩანთ ათვისებული. ამიტომაც მისი შვილი ნეოპტოლემე ეპირში- თესპროტებთან, კოლხებთან იზრდება, ასევე პელაზგებთან...ზოგიერთი ანტიკური ავტორის მოსაზრებით, თესპროტიას (სახელი კოლხეთი უკვე აღარ ახსოვთ) ახალი სახელი ზუსტად ნეოპტოლომეს-პირის სახელის მიხედვით დაერქვა... თავად აიეტმა არგონავტების ლაშქრობიდან მცირე ხნის მერე დატოვა საბერძნეთში მდებარე კოლხეთი და ქვეყნის მოსახლეობის ნახევართან ერთად დატოვა ადრიატიკის ზღვის სანაპირო...უეჭველია მას მოსახლეობის ახალგაზრდა, რეპროდუქციული ნაწილი მიყავს თან, შავი ზღვისაკენ...

და როგორც წესი, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მდებარე კოლხეთი დასუსტებული ხდება-არსად არც ერთ მიგრაციულ ექსპედიციას არ ჩაუვლია ადგილზე დომინანტი ხალხის-სახელმწიფოს ცვლილების გარეშე.

და ქრისტემდე 1262-61 წელს მცირე აზიაში მომხდარი პროცესი, (სავარაუდოდ გვალვა...) რომელმაც სამ მიგრაციულ პროცესს დაუდო სათავე, სამი მიმართულებით და ერთი უდავოდ ადრიატიკის სანაპიროსაკენ მიმართული პროცესი იყო... უნდა ითქვას, რომ ეს პროცესი საერთოდ არ შეხებია ახალ კოლხეთს, რომლის სიმძიმის ცენტრი უკვე ტრაპიზუნდი უნდა ყოფილიყო-მოსახლეობამ უბრალოდ ჩამოიწია იმ ადგილისაკენ, რომელსაც ეს პროცესი არ შეხებია-კავკასიისკენ. ზუსტად ამ პროცესის შედეგი უნდა იყოს კოლხეთის ფაზისამდე (ფოთამდე) გაგრძელებაც...

მრავალი ხალხები დაიძრა ამ დროს მცირე აზიიდან ადრიატიკისაკენ (და სხვა მიმართულებითაც)...მათ შორის ხეთებად ცნობილი ალბანების ტომის მეთაურობით და დომინანტობით:

„ფეოპამპის სიტყვებით, ეპირული ტომები 14-ია. ყველაზე ცნობილები ამათგან ხაონები და მოლოსებია, იმდენად რამდენადაც ისინი ფლობენ ეპირის მთელ ოლქებს: თავიდან ხაონები, მერე მოლოსები...ხაონები, თესპროტები და მათი თანამდევი კასიოპები (იგივე თესპროტები) იკავებენ კერევნის მთებიდან ამპრაკიის სრუტემდე“ (სტრაბონი, წიგნი VII თავი VII-5)

როგორც ვხედავთ, ეპირში-კოლხეთყოფილში სიტუაცია კარდინალურად შეცვლილი ჩანს: ისევ არიან თესპროტები ეპირში, თუმცა ისინი დომინანტი ძალა უკვე აღარა ჩანან, ამ როლს უწინ ხაონები, ახლა კი მოლოსები ასრულებენ...ცხადია, ესენი ქრისტემდე 1261წელს მცირე აზიიდან მიგრირებული ტომები ჩანან, მაგრამ ვინ?

2;10 მდინარე მოედინება ედემიდან ბაღის მოსარწყავად, მერე იტოტება და იქმნება ოთხ ნაკადად.

2;11 ერთის სახელია ფიშონი: იგი გარს უვლის ხავილას ქვეყანას, სადაც ოქროა.

2;12 კარგია ამ ქვეყნის ოქრო. აქ არის ანთრაკის ქვაც და ზურმუხტიც.

2;23 მეორე მდინარის სახელია გიხონი. იგი გარს უვლის ქუშის ქვეყანას.

2;14 მესამე მდინარის სახელია ხიდეკელი, იგი ჩაუვლის აშურს. მეოთხე მდინარეა ფერატი.

(დაბადება, თავი II)

ჯერ კიდევ პირველ ტომში ვწერდი, რომ მდინარე ფიშონი არაქსის ზემო წელია- ფასისად სახელდებული...გიხონი-ეს მურად- სუ უნდა იყოს... თითქმის სამტკიცის გარეშე დარჩენილი ვამტკიცებდი, რომ ტიბერანია სინოპელების მეზობლად-ეს იბერებია, ტომის ერთ-ერთი სახელით ხავილა. რაც შეეხება ქუშს, აქ ქართები იგულისხმება-და ებრალთა ამ სამეფოს ვუჩვენებდი, არმენების ზეგანზე...ახდა...ებრაელთა ხავილა- სტრაბონისეული ხაონ-ია უნდა იყოს...იქიდანვე, მცირე აზიაში ჩანან მიგრირებული იბერები სხვა სახელით, მოლოსები...

„ამფილოხები- (არტები) ესენიც ეპირელებია, ისევე როგორც ის ტომები, რომლებიც ცხოვრობენ მათ ზემოთ მკაცრ ქვეყანაში: მოლოსები, აფამანები, ტიმფეები, ორესტები, პარორიები და ანტინატები“ (იქვე, III-8)

სავარაუდოა, რომ სტრაბონის მიერ ჩამოთვლილი ხალხები მცირე აზიიდან არიან მიგრირებულნი, ქრისტემდე 1262-61 წლებში...და მათ გარდაც უამრავნი, რომლებიც ეპირში არ ცხოვრობენ, მაგრამ გადნაწილებულნი არიან ადრიატიკის ზღვის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე: რეტები-ზღვის სანაპიროსა და ალპებში, ბელგები, ვენეტები, კარნები, მარგები-ადრიატიკის ზღვის უკვე ჩრდილო სანაპიროზე და ილირიელები...ეპირელებზე და მათ სახელგანთქმულ მეფეზე, პიროსზე წერს პლუტარქე:

ოფიციალური ვრსია პიროსის ომზე

280-275 წლები ქრისტემდე...პიროსის ომი დაიწყო მცირე კონფლიქტით რომსა და ტარენტს შორის, სამხედრო-საზღვაო შეთანხმების დარღვევისათვის ერთ-ერთი რომაული კონსულის მიერ. თავის დროზე ტარენტელები დაეხმარნენ ეპირის მეფე პიროსს გადაეჭრა კონფლიქტი კუნძულ კორკირასთან და ამჯერად თავად მიმართეს ეპირის მეფეს დასახმარებლად. პირმა- პიროსმა შეასრულა თავისი ვალდებულება ტარენტელების წინაშე და აღმოჩნდა ჩართული მძიმე კონფლიქტში რომაელებთან. პირი ასევე ჩაერთო შიდა პოლიტიკურ კონფლიქტში კუნძულ სიცილიაზე-სიცილიის ომში კართაგენელების წინააღმდეგ... პიროსის ჩარევამ სიცილიის კონფლიქტში, შესამჩნევად შეასუსტა კართაგენელების გავლენა კუნძულზე. **პიროსის ომმა ანახვა, რომ ძველი სამყარო-საბერძნეთი ვერ იცავს ახალ <u>ბერძნულ</u> კოლონიებს აპენინის ნახევარკუნძულზე და რომაულმა ლეგიონებმა გაუწიეს კონკურენცია ელინების სახელმწიფოს აქ...**

282 წელს ქრისტემდე, რომს მიმართა ქალაქმა ფურიიმ სამხედრო დახმარებისათვის, მეზობელ ქალაქთან დავის გადასაწყვეტად. რომმა გააგზავნა ფლოტი, რომელიც შევიდა ტარანტის უბეში. ამით დაარღვია ადრინდელი შეთანხმება ტარანტელებთან, რომელიც კრძალავდა რომაელ-ხომალდების შესვლას ტატანტის უბეში. შეთანხმების დარღვევით გაბრაზებულმა ტარანტელებმა შეუტიეს რომაელთა ფლოტს, ზოგი ჩაძირეს, ზოგიც გააქციეს. რომმა პროტესტი გამოაცხადა, გააგზავნა ელჩობა ტარანტში მოსალაპარაკებლად. მოლაპარაკება ომის გამოცხადებით დამთავრდა და ტარანტმა დახმარებისათვის მიმართა ეპირის მეფე პიროსს. პირველი შეტაკებაც ქალაქ ჰერაკლიასთან მოხდა, რომაელებს უკან დახევამ მოუწიათ. მოლაპარაკება უკვე ეპირსა და რომს შორის გაჭიანურდა. ხელმეორედ ომი მოხდა ქალაქ ასკულასთან. რომაელები დამარცხდნენ, თუმცა ეპიროტების გამარჯვება დამარცხების ტოლფასად შეფასდა, იმდენად სერიოზული დანაკლისი იწვნიეს თავადაც...

279 წელს ქრისტემდე სირაკუზელებმა შესთავაზეს პირს, კართაგენელების წინააღმდეგ ომის სანაცვლოდ ხელისუფლება სიცილიაში. პირი ჩაება კართაგენელებთან ომში და მათი განდევნის შემდეგ, უკვე 276 წელს ხდება ერთპიროვნული მმართველი სიცილიისა. თუმცა პირის წასვლის შემდეგ სიცილიელები აჯანყდნენ და დაამხეს ეპირული ხელისუფლება...ლოკრები და კროტონი დაიბრუნა რომმა...მეორე იტალიურ კომპანიაში პირმა ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება, უკან დაიხია ჯერ ტარანტამდე, შემდგომ ეპირში... შემდეგ იყო პირის ბრძოლა სპარტის წინააღმდეგ, ხოლო ბოლო ომი გამართა არგოსელების წინააღმდეგ და დაიღუპა...



რუქა N 1. პიროსის ლაშქრობის სქემა

პლუტარქე პიროსზე

პიროსის ომი იტალიაში გაიმართა ქრისტემდე 280-275 წლებში, ორი თაობიდან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შემდეგ. ჰანიბალის-კართაგენელი სარდლის მიხედვით, პირი აღემატებოდა ყველა მის თანამედროვე სარდალს, მეორე იყო სციპიონი, ხოლო მესამე თავად ჰანიბალი... პლუტარქე პირს აღწერს როგორც ომებზე დახარბებულ მეფეს: თუმცა მას უფრო ხშირად ესხმოდნენ თავს და პროვოკაციებს უწყობდნენ, ვიდრე თავად იწყებდა ომს: რომაელები თავს დაესხნენ ტარანტელებს, რომლებმაც დახმარებისათვის მიმართეს პირს. ტარანტელებმა გაუგზავნეს ელჩები და საჩუქრები, თუმცა არა მარტო თავიანთი, არამედ ყველა იტალიელის სახელით. აცნობეს, რომ მათ განკარგულებაშია დიდი ძალები ლუკანიებისა, მესაპიებისა, სამნიტებისა და თავად ტარანტელებისა, რომ შეეძლოთ გამოეყვანათ 20000 მხედარი და 350000 ფეხოსანი. პირმა პირველად კიანე გააგზავნა 3000 ჯარისკაცით, შემდეგ უკვე გააგზავნა საკუთარი ლაშქარი: 20 სპილო, სამი ათასი მხედარი, 20 ათასი ქვეითი, 2 ათასი მოისარი და 500 მეშურდულე...მაგრამ პირის ლაშქარი მძლავრ საზღვაო ღელვაში მოყვა

და მხოლოდ მცირე ნაწილი გადავიდა მესაპიელებთან ხმელეთზე პიროს-თან ერთად. თანდათანობით მოიყარეს თავი გადარჩნილებმაც და მესაპიე-ლებმა ტარანტში გააცილეს. პირმა ფაქტიურად სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადა ქალაქში...ამასობაში რომაელებმა ლუკანიელები დაარბიეს და ტარანტისაკენ დაიძრნენ. პირიც თავისი ჯარით გაუშურა მათ წინააღმდეგ. გაუგზავნა რომაელებს მაცნე, შესთავაზა მათ იტალიოტებისაგან მიეღოთ დაკმაყოფილება კანონის მიხედვით, ხოლო პირი დაენიშნათ ამ მოლაპარ-აკების მოსამართლედ. ლევინმა, რომაელების სარდალმა უპასუხა, რომ პი-რის შუამდგომლობა რომაელებს არ სჭირდებოდათ, ხოლო ომისა არ ეშ-ინიათ...პირიც გაემართა რომაელების ჯართან შესაყრელად...როცა მან შო-რიდან დაათვალიერა მოწინააღმდეგის ბანაკი, უთხრა მხლებლებს: ამ ბარ-ბაროსებს არმიაში წესრიგი სრულიად არაბარბაროსული უჩანთ. ხოლო როგორი ომი იციან, საქმეში ვნახავთო“.

შეტაკების დაწყებისთანავე პირს კონფლიქტი უჩანს იტალიელი მხედრობის მეთაურთან ფრენტიდან (არა მოკავშირე ქალაქიდან) და ერქვა

ოპლაკი-ცხენი გამოუკლა პირს და მისმა თანმხლებლებმა ის სიცოცხლეს გამოასალმეს...ეს ომი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, რომელიც პირმა თესალიელი მხედრობის შეტევის ხარჯზე მოიგო. ბრძოლის მერე მოვიდნენ მრავალი ლუკანი და სამნიტი, რომელთაც პირმა დაგვიანება დაუწუნა, თუმცა რომაელთა ძალების დამარცხება საკუთარი და ტარანტელების ძალებით ეამაყებოდა.

პირმა კიდევ უფრო წინ წაიწია ლათინთა მოკავშირეებზე, ისე რომ რომამდე სულ 300 სტადიონი დარჩა (55, 5 კმ). ამის შემდეგ რომაელებთან კინეი გააგზავნა ელჩად. ამ უკანასკნელმა პირის სახელით შესთავაზა სენატს, რომ გაანთავისუფლებდა ყველა ტყვე რომაელ მეომარს, დაეხმარება იტალიის დაპყრობაში რომაელებს და არაფერს თხოულობს სამაგიეროდ, მეგობრობისა და ტარენტის ხელშეუხებლობის გარდა. მავანი კლავდიი გამოვიდა სენატში და შეარცხვინა ზავის მომხრენი. უდიერად მოიხსენია მოლოსები და ხაონები, რომლებიც მისი აზრით მაკედონელების ადვილი ნადავლი იყვნენ მუდამ და თავად ალექსანდრე მაკედონელის პირადი მცველების მოსამსახურენი იყვნენ ნიადაგ...(სინამდვილეში მოლოსები აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ მაკედონელის ლაშქრობაში და ამისი სრული დასაბუთებაც არსებობს) (29)

პლუტარქეს მიხედვით, პიროსი უფრო დაინტერესებულია რომაელებთან ზავით და მეგობრობით, ვიდრე ომით. რომაელებმა უარი თქვეს მოლაპარაკებების გაგრძელებამდე მანამ, სანამ პიროსი ფლოტს და არმიას არ გაიყვანს აპენინის ნახევარკუნძულიდან ეპირში. მოლაპარაკების ჩაშლის შემდეგ გაიმართა ბრძოლა ქალაქ ასკოლთან (ნახ N1 რუქაზე). რომაელთთაგან დაიღუპა 15 ათასი კაცი, ხოლო პირის მხარეს 3505... თუმცა თავად პირის შეფასებით, მეორე ასეთ გამარჯვებას ეპიროტების არმია ვერ აიტანს.

ამ დროს მოიწვიეს ის სიცილიელებმა კრთაგენელების წინააღმდეგ, რომლებიც სიცილიას უტევდნენ. კართაგენელებმა პირს ზავი და მოკავშირეობა შესთავაზა, თუმცა პირმა ზუსტად ისევე უპასუხა, რა პასუხიც ცოტა ხნის წინ მას თავად გასცეს რომაელებმა. სახალხო ბელადის ნაცვლად პირის ტირანად გარდასახვა არ გამოჰპარვიათ სიცილიელებს: ზოგიერთი გადავიდა კართაგენის მხრეს, სხვა მემერტინელებს (30) მიეკედლა. ამასობაში პირმა მიიღო წერილი სამნიტებისა და ტარენტელებისაგან, რომლებიც დახმარებს თხოულობდნენ. პირმა დატოვა სიცილია და ტარანტისაკენ გაემართა. მიმავალ პირს კართაგენელებმა საზღვაო თავდასხმა მოუწყვეს, მემერტინელებმა-სახმელეთო. ამასობაში სამნიტები არა ერთ შეტაკებაში დაამარცხეს რომაელებმა და გულგატეხილები იყვნენ. ლუკანიაში უკვე რომაელები იდგნენ. ბენევენტოსაკენ გაეშური პირი არმიით კონსულ მანიისთან დასაპირისპირებლად, თუმცა ამ ბრძოლაში გამარჯვება ვერ შეძლო...ამ

წარუმატებლობით რომთან უკვე ცხადი გახდა, თუ ვინ იქნებოდა იტალიაში სუზერენი (თუმცა პირი ფაქტიურად იტალიის სუზერენობას არც იზრახავდა...) მეორე იტალიურ კომპანიაში პიროსმა გმარჯვება ვერ შეძლო და უკან დაიხია, ჯერ ტარენტამდე, შემდეგ უკვე ეპირში...რომაელებმა ჯერ დაიმორჩილეს მთელი იტალია, შემდეგ კი კუნძული სიცილიაც...

შემდეგი ლაშქრობა ეპირში დაბრუნებული პირისა მაკედონიაში იყო... შემდგ სპარტაში, რომლის მიზეზს პლუტარქე ბოლომდე ვერ ხსნის, მავან კლეომონ სპარტელს ემხრობა სამეფო ტახტის დაპყრობაში, თუმცა ამასობაში სპარტის მეფე კრეტიდან ბრუნდება ჯარითურთ...პირს უკან დახევამ მოუწია...არგოსში არეულობაა და იქ მიიწვიეს პირი. არგოსისაკენ მიმავალ პირის ჯარს სპარტელები ჩაუსაფრდნენ და სასტიკი ომი გაუმართეს, აქ მოიკლა არიერგარდის დასახმარებლად წასული პირის შვილი... საბოლოოდ პირი არგოსში მოკლეს...(იბეჭდება შემოკლებით)

...და სტრაბონი...

“ლაციუმს იქით მოდის კომპანია, განლაგებული ზღვის სანაპიროზე და კამპანიის ზემოთ (ქვეყნის შიგნით) ოლქები სამნიტებისა, თვით ფრეტანთა და დავნიების ქვეყნებამდე“ (სტრაბონი, წიგნი V-IV-3) და იქვე:
„ამის იქით მდებარეობს ქალაქი კუმი, დაფუძნებული უძველეს დროში ხალკიდელებისა და კუმელებისგან. სინამდვილეში ის ყველაზე ძველი ქალაქია ყველა სიცილიურ და იტალიური ქალაქებიდან. წინამძღოლი ლაშქრობისა გიპოკლი კუმიდან (სიცილიიდან) და მეგასფენი ხალკიდიდან შეთანხმდნენ, რომ ქალაქი იქნება ხალკიდის კოლონია, ხოლო დასახელებას მიიღებს კუმიდან“ (იქვე, წიგნი V-IV-4) და იქვე:
„შემდეგ მოდის სანაპირო დიკეარხიის მახლობლად, შემდეგ თავად ქალაქი“ (იქვე, IV-6) და შემდეგ:
„დიკეარხიის შემდეგ ნეაპოლი, კუმეელების ქალაქი...შემდგომ აქ დასახლდნენ ხალკიდელები...და კამპანიელები“ (იქვე, IV-7) და შემდეგ:
„ახლა რაც შეეხება სამნიტებს, მთლიანად განადგურებულნი არიან ჯერ სხვებისგან, ხოლო შემდეგ სულასაგან, რომელიც გახდა დიქტატორი რომაელებისა. სულამ მრავალი ომის შემდეგ მოახერხა დამორჩილება ილოტებისა (31). მან დაინახა უკვე, რომ სამნიტები თითქმის მარტოდ- მარტო დარჩნენ, თუმცა შეთანხმებულად გამოდიან, ასე რომ მზად არიან რომზე თავდასასხმელადაც. მაშინ სულა ჩაერთო მათთან ომში თვით რომის კედლებთანაც კი. სამნიტების ნაწილი აიჩეხა ომში, რამდენადაც სულამ ბრძანა არ აეყვანათ ისინი ტყვედ. ხოლო ნაწილი რომელმაც დაყარა იარაღი (ამბობდნენ, 3-4 ათასი კაციო) მან ბრძანა აეყვანათ ბანაკში მარსის

ДРЕВНЯЯ ИТАЛИЯ в VII - НАЧАЛЕ III ВВ. ДО Н.Э.
ЛАЦИЙ И СОСЕДНИЕ ОБЛАСТИ
И. - Интерамна Лирена
Расселение племен
латины
самниты
прочие италики
греки
этруски
лигуры
мессапы (япиги)
венеты
иллирийцы
кельты (галлы)
реты
пуны (карфагеняне)
Территория Рима около 500 г. до н.э.
Территория, завоеванная Римом к нач. 2-й Самнитской войны (327 г.)
Римское государство к нач. войны с Пирром (280 г.)
ЛИГУРИЙСКОЕ МОРЕ
ТИРРЕНСКОЕ МОРЕ
ИОНИЧЕСКОЕ МОРЕ
АДРИАТИЧЕСКОЕ МОРЕ
ГАЛЛИЯ ТРАНСПАДАНСКАЯ
ВЕНЕТИЯ
ЦИСПАДАНСКАЯ ГАЛЛИЯ
ЛИГУРИЯ
ЭТРУРИЯ
УМБРИЯ
ПИЦЕН
САМНИЙ
ЛУКАНИЯ
КАЛАБРИЯ
КАМПАНИЯ
АПУЛИЯ
СИКАНЫ
СИКИЛИЯ
АФРИКА
Корсика
Сардиния
Сицилия
Мелита
Рим
Остия
Тибур
Анций
Цирцеи
Норба
Пренесте
Фрегеллы
Эсерния
Бовиан
Беневент
Аускул
Венузия
Канны
Барий
Брундизий
Тарент
Гидрунт
Метапонт
Геракленея
Каллиполь
Сибарис
Кротон
Скиллетий
Каулония
Локры
Регий
Мессана
Тавромений
Катана
Леонтины
Сиракузы
Гела
Акрагант
Селинунт
Триокала
Энна
Гадранон
Тиндарис
Тимера
Солунт
Панорм
Дрепанум
Эгатские о-ва
Лилибей
Карфаген
Утика
Карралис
Ольбия
Аталия
Пизы
Лука
Болгарры
Арреций
Перузия
Клузий
Вольсиний
Вольцы
Коса
Тарквиний
Сполетий
Нарния
Асколь
Новая Крепость
Адрия
Корфиний
Сена Галльская
Анкона
Потенция
Сентин
Фирм
Аримин
Рубикон
Равенна
Кремона
Мутина
Бонония (Фельсина)
Пад
Парма
Аквилея
Патавий
Оз. Ларийское
Оз. Вербанское
Оз. Фуцинское
Оз. Тразименское
Оз. Энария
Липарские о-ва
Неаполь
Кумы
Помпеи
Геркуланум
Капуя
Суэсса
Калес
Трифан
Синуэсса
Вольтурн
Аллифы
Бовиан Древний
Эсерния
Сора
Фрегеллы
Ардея
Сетия
Цирцеи
Торрацина
Фунди
Сикуний
Тусцул
Альбанское
Кора
Сигния
Норба
Пренесте
Тибур
Анций
Ацилий
Фидены
Рим
Остия
Корниний
Альба Фуценская
Корсиолы
Сикуний
Непета
Фалериское
Пирги
Цере
Фидены
Рим
Тибур
Анций
Тусцул
Пренесте
Альбанское

„საბინები დიდი ხანი ომობდნენ ომბრიკებთან“ (იქვე-IV-12)
„ბედნიერ კოპმანიელებს უკვე მიღებული აქვთ რომის (ალბათ ლათინური) უფლებები“ (იქვე IV-13)

„ამგვარად ეს ადგილი ტირენეის სანაპიროზეა, ლევკონების კუთვნილი. რაც შეეხება სხვა ზღვას (ადრიატიკისას) ლევკონებს არ შეეძლოთ მანამდე მიეღწიათ, იმიტომ რომ იქ ბატონობდნენ ბერძნები, მფლობელები ტარანტის ყურისა. ბერძნების მოსვლამდე , იტალიაში ლევკონები ჯერ კიდევ არ იყვნენ: ფლობდნენ ამ მიწას ხაონები და ენოტრები. მაგრამ როდესაც

სიმძლავრე სამნიტებისა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მათ გააძევეს ხაონები და ენოტრები, დაასახლეს ამ ნაწილში ლევკონები, მაშინ როდესაც ბერძნებს ეკავათ ორივე სანაპირო ყურემდე“ (იქვე; წიგნი VI, 1-2) და კიდევ:
„მე მოვყვები მხოლოდ იმ ცნობებს, რომელიც შევაგროვე ტომებზე, მცხოვრებნი ქვეყნის შიგნით, არ ვაკეთებ განსხვავებებს მათ შორის, კერძოდ ლევკონებისა და მათი მეზობელი სამნიტებისა. <u>ხაონების</u> დედაქალაქად ითვლებოდა პეტელეა, რომელიც ჩვენს დრომდე ფლობს საკმაოდ დიდ მოსახლეობას...ქალაქი ძლიერად არის გამაგრებული ბუნებრივად, ამიტომაც სამნიტებმა ოდესღაც შემოავლეს კედელი ფურიის საწინააღმდეგო“ (იქვე, წიგნი VI, I-3)

საკმაოდ ბევრი ინფორმაციაა ამ საკითხის ირგვლივ სხვა წყაროებშიც, თუმცა სტრაბონის ფუნდამენტალურ ნაშრომზე გადავიტან ყურადღებას...სტაბონი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ აპენინის ნახევარკუნძულის მოსახლეობა ძირითადად ბერძნულია, რაც აფსოლუტურად არ შეესანამება სინამდვილეს...არც ჰეროდოტეს ვერსია უნდა იყოს ბოლომდე სწორი, რომ მცირე აზიაში დასადგურებულმა უპურობამ აიძულა მეიონების ტომი (მხოლოდ მეიონების!) წასულიყო ახალი სამშობლოს საძიებლად, გაცურებულიყვნენ აპენინის ნახევარკუნძულისაკენ. ..ადრეც აღვნიშნე, რომ მცირე აზიიდან სამი ექსპედიცია გახდა იძულებული წასულიყვნენ ახალი სამშობლოს საძიებლად: აპენინის ნახევარკუნძულისაკენ, ბალკანეთის ნახევარკუნძულისაკენ და აღმოსავლეთ აფრიკისაკენ...ერთ-ერთი ექსპედიცია წასულია აპენინის ნახევარკუნძულისაკენ მცირე აზიიდან და ჩვენც მის ნაკვალევს მივყვეთ ჯერჯერობით...მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნახევარკუნძულის დასახლება მხოლოდ ამ ექსპედიციის შედეგი არ ყოფილა... მივყვეთ მიმდევრობით, ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ მხარეს:

1. პლინიუს უფროსის ცნობით, ომბრიკები ის ერთადერთი ტომია, რომელიც მსოფლიო წარღვნას გაერიდა და თავი აპენინის ნახევარკუნძულს შეაფარა...ეს იბერიული ტომის კიდევ ერთი სახელია- მოგვიანებით მისი სახელი უმბრებად გადაიქცა, ცხოვრობენ რომიდან ჩრდილოეთით. სავარაუდოდ, ეს არის აპენინის ნახევარკუნძულის უპირველესი მცხოვრებნი, რომელიც აქ ქრისტემდე XXXIV საუკუნეს დაეფუძნა... (32)
2. ლათინები (სინამდვილეში ალბები-ლათინი მათ ბელადს ერქვა, ენეასის თანამედროვეს) და მასთან აფილირებული ტომები ინდოეთიდან ეგვიპტის გავლით ქრისტემდე 1470 წელს მიგრირებული მოსახლეობაა.
3.იმავე ექსპედიციის წევრები ჩანან სიკანები (ისევე როგორც კრეტელები) კუნძულ სიცილიაზე დაბინადრებულნი. (33)
4. მესაპიელი იეპიგიები-ჰეროდოტეს მიხედვით კრეტიდან სიცილიისაკენ

გამოლაშქრებული მინოსელები ჩანან- ფინიკიელები, რუქაზე კალაბრიელ-ები, ტროას ომამდე სამი თაობით ადრე (34)

5.აპულია-ეს ანტიკური წყაროების მიხედვით დავნებია „ზღვის ხალხიდან. (მცდარი უნდა იყოს სტრაბონის ვარიანტი, რომ სამნიტები საბინების კო-ლონიაა, ლუკანები სამნიტებისა და ბრეტიი- ლუკანებისა, სამივე ეს ხალ-ხი, ფრენტანების დამატებით, „ზღვის ხალხების“ კონტიგენტიდან უნდა იყოს, ინდოეთიდან ევროპისაკენ მიგრირებული წითელი ზღვა-ნილოსის საშუალებით ხმელთაშუა ზღვაში შემოსული, ინდოევროპელები (35)

5. ტროელები ენეასის წინამძღოლობით, ქრისტემდე 1280 წელს ლტოლვი-ლი უკვე დაქცეული ტროიდან. (თუმცა ისინი პირდაპირ აპენინებში არ მოსულან.

6. სიკულები სიცილიაში, ქრისტემდე 1262-61 წლებში ეტრუკების მიერ მომწყობილი მიგრაციული ექსპედიციის ნაწილი გახლავთ-იმ დროისათვ-ის მცირე აზიური ერთიანი იბერიული ნაწილი (მოლოსები), რომლებმაც სიკანები შეავიწროვეს სიცილიაზე (36)

7. ასევე იბერები ჩანან ტარანტის ყურის მცხოვრებლები, იმავე ექსპედიცი-ის მონაწილენი- ხაონები როგორც არა ერთხელ აღნიშნავს მათ აქ, უკვე იტალიაში სტრაბონი.

8. საბინები ჭანები ჩანან, ხალდები-შუმერები, ტირსენ ატისის ძის ექსპედი-ციის წევრები...მემერტინები, მარსები- საბინების კოლონიაა. (37)

9. რეგია, ამავე ექსპედიციის სვანი მონაწილენი ჩანან, რომელნიც ამ სახე-ლით მკვიდრდებიან ევროპასა თუ აფრიკაში...(მესენა და ზანკლე, უფრო გვიან სპარტაში დამარცხებული მესენიელები ჩანან, რომელთაც რეგიამ თაავშესაფარი შესთავაზა...

10. კუმი, ნეაპოლი და საერთოდ კომპანია ვალლეი პეტერკულის „რომაუ-ლი ისტორიების მიხედვით ქრისტემდე 1050 წელს დაარსეს ხალკიდელე-ბმა და კუმეელებმა. მართალია პეტერკული შესაძლოა ათეულ წლეებში შეცდეს, მაგრამ არა ასეულებში (38)

11. იმავე სტრაბონის მიხედვით, ქალაქი ქალაქი კროტონი და სარაკუზი ერთსა და იმავე ქრისტემდე 734 წელს დაარსეს ოზოლებმა და გელონებმა. (ოზოლები მრავალ ადგილას ცხოვრობენ საბერძნეთში, სირაკუზი კი გელ-ების-ლიკიელების დასახლებული უნდა იყოს მცირე აზიიდან. (39)

შესაბამისად, აპენინის ნახევაკუნძული ნაკლებად ჩანს უშუალოდ საბერ-ძნეთიდან გადმოსახლებული ტომებით დასახლებული, თუმცა მცირეოდენ გამონაკლისს ვერ გამოვრიცხავთ (40)

...და არის თუ არა ქართველური ტომის-იბერების (ხაონების) ხსენება გარ-და ზემოთ მოყვანილი ბიბლიური მუხლისა? (და სტრაბონის მიერ არაერ-თგზის ხსენებული ხაონებისა სადმე?

„მურსილი II -ახალი ხეთური სამეფოს ერთ -ერთი მმართველი, სუფიულილ-ლუმა I-ძის ფართო დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად მიაღწია ხეთის გაბატონებას მცირე აზიის პოლიტიკურ გაერთიანებებზე: ქასქების ტომი, ხაიასა, არცავა (ვიკიპედია, მურსილი II).

სდექ! აქ გავჩერდეთ! მურსილი II ხეთების ის მეფეა, რომელმაც დაარბია უკვე ფრიგიული (თუმცა მათ ბეროსი ხალდებს-სინამდვილეში ცრუ ხალდებს უწოდებს) ბაბილონი და სათავე ჩაუყარა ქურთ, სომეხ, ჰურიტ და თრაკიელთა განდევნას სვანური ზღვისპირა ტომების მიერ მცირე აზიიდან ევროპაში... ამავე ომის შედეგი უნდა იყოს მეფე ფარაონ სეკენერას მიერ დაწყებული ეგვიპტის საბოლოო და მთლიანი გამანთავისუფლებელი ომი. ამის შემდეგ ხდება სკვითების განდევნა არალის ზღვისკენ, მცირე აზიაში მცხოვრები ყოველი ქართველური და მასთან აფილირებული ტომების მიერ...ამ ომების შედეგია შუა აზიაში ქართველური ტომების ნაწილის გადასახლება...მაგრამ ჩვენი თემა ამჯერად მცირე აზიაა, კერძოდ იბერიული ტომი...

ჰეროდოტე იბერიულ ტომზე

ჰეროდოტეს მიერ ორი იბერიული სატომო გაერთიანება არის დაფქსირებული მცირე აზიაში:

„ხოლო კოლხდიდან მიდიაში გადასასვლელი დიდი არაა, მხოლოდ ერთი ტომია ამ ქვეყნებს შორის, ესაა სასპერების ტომი“ (ჰეროდოტე, ისტორია; თავი I-104)

ამ ტომის შესახებ ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ, დამტკიცდა რომ ის იბერიული ტომის ნაწილია. ყურადსაღებია, რომ მას ჰეროდოტე ავტონომიურ პოლიტიკურ ერთეულად განიხილავს მეთვრამეტე სატრაპიის შემადგენლობაში, ალაროდებთან (კერკეტებთან) ერთად. გვიან, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მერე, ეს ტერიტორია დაიპყრეს სომეხმა სარდლებმა, ზარიადრემ და არტაქსერქსემ და მელიტენა ეწოდა...(41)

სრულიად ცალკე და დამოუკიდებელ ერთეულად განიხილავს ჰეროდოტე კილიკიას:

„კილიკიელთაგან მოდიოდა 360 თეთრი ცხენი (წლის ყოველ დღეზე თითო ივარაუდებოდა) და 500 ტალანტი ვეცხლი. აქედან 140 ტალანტი იხარჯებოდა კილიკიის ქვეყნის დამცველ ცხენოსანთა რაზმის შესანახავად, ხოლო 360 ტალანტი მისდიოდა დარიოსს. ესაა მეოთხე სატრაპია“ (იქვე III-90)

რასაკვირველია ეს უკვე ცალკეული იბერიული ტომები ხეთების მეფე მურსილი II-ს მიმოწერაში არსებული ერთი, ხაიასა-ს იბერიული ტომია (მით უმეტეს სტრაბონის მიხედვით არმენმა სარდლებმა იბერიას წაართვეს ხო-

რზენა-ამ მცირე აზიურ იბერიას) და როდის დაიშალა ორ შემადგენელად: ხორზენა და კილიკია?

„მათ ძველად ჰიპაქაები ეწოდებოდათ, ხოლო თავისი ეს სახელი მიიღეს ფინიკიელი ვაჟკაცისაგან, კილაქს აგენორის ძისგან“ (იქვე, წიგნი VII-91)

მართალია ჰეროდოტე არ ასახელებს, თუ როდის შეიცვალა იბერიულმა ამ ტომმა სახელი, მაგრამ მისი თავდაჯერებულობა საკითხის ცოდნაში გვიჩვენებს, რომ ეს ფაქტი არა უადრეს VII საუკუნეს ქრისტემდე მომხდარი უნდა იყოს...(42) ამასთან, კილიკიელები და სტრაბონისეული პონტიაკები ჯერ კიდევ ერთი, საერთო პოლიტიკური ერთელი ჩანს...

მაგრამ 1261 წელს ქრისტემდე, ეს იბერიული ტომი ხაიასა ჯერ კიდევ ერთიანი და განუყოფელი უნდა იყოს...შესაბამისად, ეს ხაიასას ტომი ჩანს მიგრირებული ადრიატიკის სანაპიროსკენ ხოლო სახელი მოლოსი მის ნაწილს მხოლოდ ეპირში მიგრაციის შემდეგღა უჩანს მიღებული...იმავე ხაიასას ტომი ჩანს მიგრირებული ტირსენ ატისის ძესთან ერთად აპენინის ნახევარკუნძულზე და კუნძულ სიცილიაზე...კუნძულზე მათი სახელი სიკანები ჩანს, ტარანტის ყურეში ტარანტელები-ხაონები...პირს მოკავშირები ტარანტელების გარდა მესაპიებიც უჩანს, ლუკანიებიც და სამნიტებიც, მაგრამ რომთან საზავო პირობების შეთავაზებისას მხოლოდ ტარანტელების-ხაონების და თანატომელების ინტერესის დაცვას აპირებს... ზუსტად იგივე ხაიასას ტომელები ჩანს სიცილიელი სიკულებიც და ზუსტად ასევე აპირებს მათი ინტერესის დაცვას პირი...

„სამოქალაქო უფლებები იტალიელბმა ბრძოლით მოიპოვეს, რომელიც ნაკლები იყო ლათინურზე და მით უმეტეს რომაულ უფლებებზე. ამ ომში კომპანია რომის მხარეზე მონაწილეობდა, თუმცა არც თავად გააჩნდა სამოქალაქო უფლებები“ (ვალეი პეტერკული, რომაული ისტორიები, წიგნი II-XVI)

უკვე გასაგებია, რა უფლებებისთვის იბრძოდა ტარანტელები და სიცილიელი სიკულები, ასევე მესაპიელები, ლუკანიელი თუ სამნიტი ხალხები, თუმცა იბერიელ პირს მხოლოდ ტარანტელები და სიცილიელი სიკულების ბედი ანაღვლებდა, როგორც თანატომელებისა.

პლუტარქეს ვერ გაუგია, თუ რა ინტერესები ამოძრავებს მოლოს-იბერიელ პირს, როდესაც ის მეფის შეცვლას ცდილობს სპარტაში...სპარტას უხსოვარი დროიდან იბერები ფლობდნენ, შემდეგ ახაიელები და შემდგომ ლაკედემონელები. არასწორია მოსაზრება, რომ შემდგომ დამკვიდრებული მოსახლეობა წინას აძევებდა, ახაიელები არ გაუძევებით, პეიროკები იყვნენ-პიროვნულად თავისუფალი მოქალაქეები, მათ მეფედაც კი ირჩევდნენ... შესაბამისად, არც იბერები გაუძევებია ვინმეს, ისინი დარჩნენ ჰილოტების

უფლებით-ზუსტად მათი უფლებების დასაცავად ჩანს პირი ჩასული სპარტაში საომრად...არგოსშიც სავარაუდოდ იგივე მიზეზით ჩანს ჩასული...

და სომხური ჰაიასა, რომლითაც ის საკუთარ ტომობრივ შემადგენელზე საუბარს იწყებს? უნდა ვაღიაროთ, სომხურ ეთნოსს ამისი სრული უფლება აქვს... იმ შემთხვევაში მაინც, როდესაც მელიტენა -მცირე არმენიად ცნობილი და კილიკიის არმენია- დიდი სომხეთის შემადგენლობაში იყო... თუმცა სომხეთს ედესის იბერიულ სახელმწიფოზე და პონტოს (ძირითად) ნაწილზე, ბიზანტიის არმენიად ცნობილზეც პრეტენზია ჰქონდა-თუმცა ეს უკანასკნელი აშკარად იბერიული ჩანდა... (42*)

...და ლეონტი მროველის ჰაოსი?

„ხოლო შვილთა თარგამოსინთა გამოჩნდეს კაცნი რვანი, გმირნი, ძლიერნი და სახელოვანი, რომელთა სახელები ესე არს: პირველსა ერქვა ჰაოს, მეორესა - ქართლოს, მესამესა -ბარდოს, მეოთხესა მოვაკან, მეხუთესა ლეკან, მეექვსესა ჰეროს, მეშვიდესა კვკას, მერვესა ეგროს.

ესე რვანი გმირნი, ხოლო ჰაოს უმეტეს გმირი იყო ყოველთასა, რამეთუ ეგევითარ არაოდეს ყოფილიყო, არცა წყლისრღუნის წინათ არც შემდგომად, ტანითა და ძალითა სიმშვენითა. ხოლო ვერა იტევდეს ქვეყანა არარატისა და მასისისა.

განუყო თარგამოს ქვეყანაი და ნათესავნი თვსი რვა რვათა ამათ გმირთა: ნახევარი ნათესავისა მისისაი და ნახევარი და უმჯობესი ქუეყნისა მისისა მისცა ჰაოსს, ხოლო შვიდთა ამათ მისცა ხუედრი მათი არძანგებისაებრ მათისა.

წამოიყვანა შვიდნი იგი ჩრდილოეთ კერძო და განუყვნა ქუეყანანი ღირსებისაებრ მათისა...“ (ლეონტი მროველი; ქართლის ცხოვრება, ტომიI, გვ-10 ბაკურ სულაკაურის გამოცემა 2012 წელი)

ხაიასას იბერიული ტომი, რომელსაც (როგორც ლონტი მროველი აღნიშნავს) უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართულ-იბერიული სახელმწიფოს დაფუძნების საქმეში კავკასიაში, არ სახლებულა არასდროს არარატსა და მასისს შორის...ის ტომი კი, რომელიც ამ ადგილს იკავებს ურარტუს დაცემის შემდეგ, არც ჰაოსია და არც არც ხაიასა, სომეხთა ტომია-ესაა მისი უძველესი სახელი, თუმცა დაბოლოება ხი-ქართულია, ასე ქართული სახლიკაცების ტომს აღნიშნავს...

ლეონტი მროველს დანმდვილებით სწორი ინფორმაცია ჰქონია საქართველოს უპირველესი ტიტულატურული ტომის, იბერების-ხაიასას შესახებ...თუმცა ჩამონათვალში სრულიად დაკარგა კიდეც...

ქუშანთა ტომი

ამ ტომს ჯერ კიდევ ინდური ეპოსი „მახაბხარატა“ ასახელებს, თუმცა ქუშანთა ტომი ფიგურირებს სატომო სახელით კაში, ხოლო მათი მეფე-კაში რაჯად (რუქაზე, სადაც ეს უკანასნელი პოლიტიკური ერთეული ფუნქციონირებს უტარა პრადეშის შტატში, კაშის გვერდით სახელწოდება - და პოლიტიკური გაერთიანება კუშიც იძებნება...) ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ისტორიისათვის (მაგალითად ჰეროდოტესათვის) ეთიოპებად ცნობილი ტომი - ეს ქუშანთა ტომია. ამასთან, ქუშანთა აფრიკული და აზიური შტოები ელამის ასევე ქუშანური პოლიტიკური წარმონაქმნისაგან მოდის...ქუშანთა აფრიკული და აზიური ტომები განცალკევებული ჩანან ურთიერთისაგან ქრისტემდე არა უადრეს XXVII საუკუნისა. ამ დროს ეწყობა განდხარვთა კრებსითი ტომების მიერ პლანეტა დედამიწის ათვისებისაკენ მიმართული პიონერული ლაშქრობები...პიონერული იმიტომ, რომ ეს ლაშქრობები ეწყობოდა დაუსახლებელი მსოფლიოს მიმართულებებით... განდხარვთა ტომის მიგრაცია პირველი პიონერული ლაშქრობაა, ადამიანთა ინიციატივით და სარდლობით განხორციელებული ქრისტემდე XXVIII-XXVII საუკუნეების დიაპაზონში, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი. განდხარვთა ლაშქრობის პირველი ეტაპი, ქრისტემდე XXVII საუკუნეს, ინდოეთიდან სპარსეთის ყურის და ჩრდილო აფრიკის მიმართულებით განხორციელდა. მომდევნო ლაშქრობა ქრისტემდე XXV-XXIII საუკუნის დიაპაზონში ევროპისაკენ შედგა. სტრაბონისეული (სინამდვილეში იბერიელი მეგასთენეს) მონათხრობის მიხედვით, პირველმა პირენეისაკენ ილაშქრა ტეარკონ ეთიოპმა (სინამდვილეში თარხონმა ქუშანთა ტომიდან). პირენეის ნახევარკუნძულისაკენ და თვით ჰერაკლეს სვეტებამდე (გიბრალტარის სრუტემდე) ამ ლაშქრობაში ქუშს მხარს უმშვენებენ სხვა ტომები განდხარვებიდან, აგრეთვე მცირე აზიაში დახვედრილი იბერიული ტომი, სინამდვილეში განდხარვებისვე სახლიკაცი (ვინაიდან ისინი თავად აფსარას ჩამომავალი ტომი იყო, განდხარვთა ციური მეწყვილეებისა) ირკვევა ისიც, რომ განდხარვთა გარკვეულმა ტომებმა (და მათ შორის პირველ რიგში ქუშანებმა) გადალახეს კიდეც გიბრალტარის სრუტე და იქვე ჩამოაყალიბეს განდხარვთა დუალისტური სახელმწიფო (ის, თუ ვინ არის ქუშების მეწყვილე ტომი მაროკოში, უკვე სხვა თავის თემას წარმოადგენს) როგორც ირკვევა, გიბრალტარის სრუტე და ზღვა კიდევ რამდენიმე ტომმა გადალახა და ამის შესახებ შესაბამის ადგილას გვექნება საუბარი…

გაცილებით გვიან (შესაძლოა ათეული საუკუნითაც კი) ეწყობა ქუშანთა ლაშქრობა აღმოსავლეთ აფრიკის კონტინენტის ასათვისებლად (გარდა სუდანელებისა, ასევე ქუშებისა, არქაულ დროში ნუბიელებად ცნობილებისა, რომლთა დასახლება აფრიკის კონტინენტზე სპარსეთის ყურის დასახლების თანამედროვე ჩანს). ამ ლაშქრობას თარხონად (სარდლად) ას-

ევე ქუშთა ტომის წარმომადგენელი უჩანს, რომელიც ეთიოპია - ერითრეს გაერთიანებულ სამეფოს უყრის საფუძველს. ამ სამეფოში მოიაზრებიან ერთის მხრივ ეთიოპები- ქუშები, ხოლო მეორეს მხრივ იბერიელები ... და როგორც ჩანს მარებიც... (აღინიშნება გელური ტომებიც ეთიოპიის სამეფ-ოში თუ უშუალო სიახლოვეს, რომლის შესახებაც ცნობა იძებნება სტრა-ბონთან, თუმცა ის გელებს ჭაობის მცხოვრებლებად თვლის, ქართველუ-რი სიტყვა გელის და ბერძნული ჭაობის სახელდების დამთხვევის გამო) ...თვინიერ ნუბიისა, (დღევანდელობის სუდანი) რომლის მოსახლეობა ასე-ვე ქუშებია და ისეთივე უძველესი დასახლება ჩანს, როგორც თავად ელ-ამი, ცალკე პოლიტიკურ გაერთიანებას ქმნის ასაკენთა შტო, რომლის არ-სახელი სახელი ჯიბუტი ჩანს. (ამ სახელმწიფოს სახელის და ტომის რა-ობის შესახებ შესაბამის თავში იქნება მოთხრობილი)

...და ერთი საინტერესო მოვლენა, რომლის გვერდის ავლა უბრალ-ოდ სწორი არ და ვერ იქნებოდა:

„და რატომ, როდესაც ის (ევდოქსი-ქრისტემდე II საუკუნე) გავიდა ზღვა-ში (ოკეანეში) გაარკვია რომ დასავლეთის ეთიოპები ლაპარაკობენ იმავე ენაზე, რომელზედაც აღმოსავლეთისა“ (სტრაბონი, წიგნი II; III-5)

მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ სტრაბონი აქ ყვება მის უფროს ისტორიკოს პოსიდონიიზე დაყრდნობით მავანი კიზიკოსელი (მდებარეო-ბდა ჰელესპონტში, მარმარილოს ზღვაზე, დღევანდელ თურქეთში) ავან-ტიურისტის და მოგზაურის, ევდოქსის შესახებ, რომელიც ეგვიპტის ფა-რაონის განკარგულებით ინდოეთისაკენ საზღვაო გზას ეძებდა, იმავე აფ-რიკის შემოვლით...მის მიერ დასახელებული დასავლეთის ეთიოპები მა-ვრუსიელები არიან (დღევანდელი მაროკო და მავრიტანია) რომლებიც თარხონ ქუშის ექსპედიციის შედეგად მოხვდნენ აქ, გიბრალტარის სრუ-ტის აფრიკულ მხარეზე, ქრისტემდე XXV საუკუნეს (და რომელთა ენა იწ-ოდება აარაბულად, თუმცა ფაქტიურად აბსოლუტურად გაუგებარია და-ნარჩენი არაბული სამყაროსათვის ...) ხოლო აღმოსავლეთის ეთიოპია- ეს დღეს არსებული ეთიოპიაა, ჩვენივე ცნობებით დაარსებული აფრიკის კო-ნტინენტის აღმოსავლეთ ნაწილში ქრისტემდე XIII საუკუნეს... საინტერე-სოა, რომ ამ ორი ერთმანეთისაგან ათასობით კილომეტრით დაშორებუ-ლი ხალხების ენა ჯერ კიდევ II საუკუნეს ქრისტემდე, ერთმანეთის ანალ-ოგიური ჩანს...მკითხველს ასევე შევახსენებ ნაშრომის პირველ ტომში მო-ყვანილ მსჯელობას, ფაქტიურად დაუსწრებელ კამათს ჰომეროსსა და მე-ორე ისტორიკოსს, სტრაბონს შორის საუკუნების შემდეგ, როდესაც ჰომე-როსი ეთიოპთა ორმაგ დასახლებას აღნიშნავს აფრიკაში, მის აღმოსავლ-ეთ და დასავლეთ ნაწილში, რომლის უარყოფას სტრაბონი ათეული გვე-

რდზე მსჯელობით ცდილობს...განსჯა ამ შვიდი საუკუნის შემდგომი დავისა მკითხველს მივანდოთ...

საინტერესოა, რომ XIX-XX საუკუნეების დიაპაზონში ეთიოპთა ტომი ენანაცვალი ჩანს, მათი სახელმწიფო (და ლიტერატურული) ენა ამხარულია-სავარაუდოდ ივრითის მონათესავე ენა და საკუთარი კუშიტური ენა -სრულიად დაკარგული... კუშიტურ ენაზე მსჯელობა მიდის მხოლოდ სხვა, მომიჯნავე ტომების ენის საფუძველზე...

ეტიუდი

„ხოლო მზის მაგიდაზე ამას ამბობენ: ქალაქის გარეუბანში არის მინდორი, სავსე ყოველგვარი ოთხფეხის მოხარშული ხორცით. ღამ-ღამობით ამ ქალაქის ყველა მაღალ თანამდებობის პირს ევალებოდა ხორცი მოეტანა აქ, ხოლო დღისით მოდიოდნენ მსურველები და ჭამდნენ მას. ადგილობრივი მცხოვრებლები კი ამბობენ, თვით მიწა იძლევაო ყოველივე ამას. აი, ამბობენ რომ ასეთია ეგრეთ წოდებული მზის მაგიდა“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი III-I8)

მკითხველა შევახსენებ, რომ ჰეროდოტეს აღწერილი ეს მზის მაგიდა მდებარეობდა ეთიოპიაში...იმ აფრიკის ეთიოპიაში, რომლის მცხოვრებნი მთელი 100% იგივე რასის და ჯიშის ხალხია, რაც აზიის „ეთიოპები“ ანუ ქართები...და იბერები, ასევე აბასკები...

P.S.აი თურმე როგორი უნდა ყოფილიყო (და უნდა იყოს) ეთიოპთა, (ქუშთა-ქართველთა) ყველა მაღალი თანამდებობის პირნი და ძლიერნი ამა სოფლისა....

...და დიონისე...

ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტალური წერილობითი მასალის ნუსხას ევმელი, ჰესიოდე და ჰომეროსი წინამძღვრობენ, მომდევნო ადგილი კი უცილობლად ჰეროდოტეს ეკუთვნის (მის მიერ შექმნილი ისტორიის მონუმენტალური ხასიათიდან გამომდინარე, თუმცა მასზე ადრე მცხოვრები ლოგოგრაფი ჰისტიაოსი იყო, ისტორიისათვის ჰეკატე მილეტელად ცნობილი)...და ზუსტად ერთ-ერთ პირველ ისტორიულ ლიტერატორს, ჰომეროსს ეკუთვნის ფრაზა, **რომ დიონისე იზრდებოდა ადგილას, შორს ფინიკიიდან და ახლოს ეგვიპტესთან ...** თავად ჰომეროსის მიხედვით, ლიკურგე მტრობს დიონისეს და მის აღმზრდელებს, თუმცა არ აზუსტებს რომელი ლიკურგე. ლიკურგე ანტიკურ ლიტერატურაში ორი ჩანს: დიონისეს თანატოლი და გაცილებით გვიანდელი, სპარტელთა კანონმდებელი. ლაკედემონი ქრისტემდე არა უადრეს XV საუკუნეს ჩანს ჩამოყალიბებული. თვით ლიკურგე ლაკედემონის ჩამოყალიბებაზე გაცილებით გვიანდელი

მოღვაწე უნდა იყოს უთუოდ. ხოლო დიონისეს ასაკს თავად ჰეროდოტე განსაზღვრავს:

„კადმოსის ასულის სემელეს ძე, წოდებული დიონისედ, ჩემს დრომდე დაახლოებით 1600 წლით ადრე იყო... და კიდევ: **ისინი (ეგვიპტელები) ამბობდნენ, პანი უფრო ადრე იყოო, ხოლო დიონისე ყველაზე ნაკლებ ადრეო და ესეც ამასისამდე 15000 წლით ადრე იყოო“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II-145)**

აქ, ბოლო ციტატაში (ეგვიპტელთა მიერ) ნახსენები 15000 მხოლოდ კორექტორის შეცდომა უნდა იყოს: აბზაცის ზემო ნაწილში ჰეროდოტე დიონისეს ასაკს შემდეგნაირად საზღვრავს: 1600+450=2050 წელი ქრისტემდე. ცხადია დიონისე ფარაონ ამასისამდე 1500 წლით ადრე იყო, და არა 15000 წლით...1500+570=2070 ქრისტემდე (ფარაონ ამასის ზეობის დასაწყისი დაახლოებით 570 წელია ქრისტემდე) ... ლიკურგე, რომელიც მტრობს დიონისეს და მის აღმზრდელებს სულ სხვა პიროვნებაა, ვიდრე ლაკედემონის (სპარტას) კანონმდებელი ლიკურგე, რომელიც ქრისტემდე IX - VIII საუკუნის მოღვაწეა. ანტიკურმა ლიტერატურამ მოგვიანებით დააკავშირა ერთმანეთთან რამდენიმე საუკუნით განსხვავებული ორი ლიკურგე (მხოლოდ და მხოლოდ სახელზე დაყრდნობით) და სავარაუდოდ ჰომეროსზე დაყრდნობით აცხადებს ჰეროდოტე, რომ:

„ახლა კი ელინები ამბობენ, რომ დიონისე (ზევსმა) დაბადებისთანვე ჩაიკერა თეძოში და წაიყვანა ნისაში, რომელიც ეთიოპიაშია, ეგვიპტის ზემოთ“ (იქვე; წიგნი II-146)

მკითხველს შევახსენებ, რომ ზემოთ მოყვანილ ავტორებზე ადრინდელი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები დიონისეზე უბრალოდ შეუძლებელია არსებობდეს: დანარჩენი მხოლოდ უკვე ამ ცნონების ცალკეული ავტორისეული ინტერპრეტაციები უნდა იყოს ... მართალია დიონისე ბეოტიელი (ფინიკიური ტომი, მცხოვრები იმ ტერიტორიაზე, რომელზეც ათეული საუკუნის მერე მაკედონელები ფუძნდებიან) ჩანს, მაგრამ ის ეთიოპიაშია გაძიძავებული, აქვე იზრდება და აქვე აღმოაჩენს ვაზისაგან ღვინის მიღების ტექნოლოგიას... და სად შეიძლება ვეძებოთ ჰომეროს-ჰეროდოტესეული ეთიოპია, რომელიც ჰომეროსის მიხედვით ეგვიპტის ახლოს, ხოლო ჰეროდოტეს მიხედვით ეგვიპტის ზემოთ მდებარეობდა? რუქაზე უბრალო თვალის შეშვლებაც ცხადყოფს: ეს აფრიკის ეთიოპიაა… აზიის ეთიოპია, ელამი სპარსეთის ყურეში თითქმის თანაბარ მანძილზეა ფინიკიიდან (ლიბანიდან) და ეგვიპტიდან, და ეგვიპტე ახლოსაა აფრიკის ეთიოპიასთან, თუ ამ უკანასკნელად სუდანს ჩავთვლით...(თუმცა სუდანი ნუბიის სამეფოდ იყო ცნობილი, რომელსაც ეთიოპებთან ფაქტიურად მხოლოდ საერთო აფრაზიული ენა აკავშირებდ)...

ფაქტიურად, ჰომეროსიც და ჰეროდეტეც დიონისეს გაძიძავების ადგილად ეთიოპიას-აფრიკის ეთიოპიას უთითებენ...ცხადია დიონისე მართლაც ეთიოპიაში იზრდება, მაგრამ რომელ ეთიოპიაში?...უკიდურესად საინტერესო ფაქტია , რომ აფრიკის ეთიოპია ქრისტემდე XIII საუკუნეს ჩანს დაფუძნებული (დანამდვილებით)... მართალია ასევე ქუში-ანტიკურ ისტორიისათვის ეთიოპებად ცნობილი ტომის მიერ, მაგრამ დიონისეს ყმაწვილობის თუ ჭაბუკობის პერიოდში (და გაცილებით გვიანაც) ეთიოპიის სახელმწიფო აფრიკაში არ არსებულა! გარდა ამისა, არსებობს პირდაპირი მტკიცებულება, რომ აფრიკელი ეთიოპები ღვინოს არ იცნობენ...ჯერ კიდევ VI საუკუნეს ქრისტემდე:

„ხოლო როდესაც ჯერი ღვინოზე მიდგა (კამბისესმა ეთიოპთა მეფეს ერთი ხელადა პალმის ღვინო გაუგზავნა) **და შეიტყო მისი დამზადების წესი, ძალიან მოეწონა სამელი...მას არ უკვირს რომ ისინი (სპარსელები) ასე ცოტა ხანს ცოცხლობენ, რაკიღა ასეთ ნეხვს (პურს) ჭამენ. მაგრამ ისინი ამდენ ხანსაც ვერ იცოცხლებდნენ, რომ ასეთი სასმელი არ ჰქონოდათ მოსაღონიერებლად (აქ იხტიოფაგებს მიუთითა ღვინოზე). აი ამითაა, მისიანები ჩამორჩებიან სპარსელებს“ (ჰეროდოტე, წიგნი III-22)**

ჰეროდოტეს ამ ციტატაში კი თვალნათლივ იკვეთება, რომ აფრიკელმა ეთიოპებმა არა მარტო არ იციან ღვინოს კულტურა, არამედ თვით ხორბლის მოყვანის და პურის გამოცხობის კულტურაც კი...ცხადია, დიონისე მათთან და მათ შორის არ არის აღზრდილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ღვინოს და პურის კულტურას იმთავადვე იქნებოდნენ გაცნობილნი...ამასთან, დიონისეს დროს აფრიკის ეთიოპია არ არსებულია, რამეთუ ეთიოპები ქრისტემდე XIII საუკუნის მიჯნაზე (უფრო ზუსტად 1261 წელს) ტირსენ ატისის ძის იტალური ექსპედიციის პარალელურად ჩანან მიგრირებული სპარსეთის ყურიდან, სადაც ისინი ამ პერიოდისათვის მთელი XIII-XIV საუკუნეა ცხოვრობენ და ელამიტები-სუზელები ჰქვიათ...

...და თავად ელამიტები-სუზელები? ასევე საინტერესოა, რომ „სპარსეთის იმპერიის“ პირველი მეფე კიროსი თავად ელამელი-სუზელია... რასაკვირველი მისი შვილი, კამბისესი ასევე ელამიტი და სუზელი უნდა იყოს. (... და საერთოდ, პირველი „სპარსული“ იმპერია სინამდვილეში ელამიტურია, თუნდაც კიროსის და მისი შვილის, კამბისესის ზეობისას მაინც) ...ჰეროდოტეს მიხედვით, ტროელების დასახმარებლად მოსული მემნონიც თავად ელამიტია, მისი სასახლე სუზაში მდებარეობს... მემნონი, რომელსაც სხვა ანტიკური ავტორის, დიკტის კრეტელის ცნობით, მეომრები ფინიკიიდან და...კავკასიიდან მოყავს...მართალია ჰეროდოტე მას სუზელად იცნობს, მაგრამ მისსავე განმარტებებში (რასაკვირველია არა ჰეროდოტეს მიერ) და სავარაუდოდ უკვე XIX - XX საუკუნის შენიშვნების კომენტატორის

ცნობით: **მემნონი, ტროის დროს ეთიოპების მეფე, შემდეგ ხანებში აღიარებული სუსას მეფედ.** ჩემივე პირველი ტომიდან მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ არავითარი ეთიოპურ დაპყრობას სუზაში - ელამში იმ საუკუნეს ადგილი არ ჰქონია და ვერც ექნებოდა ფიზიკურად: აფრიკის ეთიოპია იმ ტროას ომის შემდგომ აღმოცენებული პოლიტიკური ერთეულია...

...და თუ დაპყრობას ადგილი არ ჰქონია, ვერავითარი „ეთიოპი" მემნონი სუზას-ელამიტების მეფე ვერ იქნება...ელამიტების მეფე მხოლოდ და მხოლოდ ელამიტია თუმცა მას უძველესი წყაროები ეთიოპიას უწოდებს: იგივე სტრაბონის ცნობა, არახოსიელი მეგასთენეს მოშველიებით, რომ ტეარკონ ეთიოპმა ჰერაკლეს სვეტებს (გიბრალტარის სრუტეს) მიაღწია, ამის ნათელი მაგალითია . ტეარკონ ეთიოპის (სინამდვილეში თარხონ ქუშის) მეთაურობით მოწყობილი ექსპედიცია პირენეის ნახევარკუნძულის (და როგორც ირკვევა მთელი დასავლეთ ევროპის) ასათვისებლად, ქრისტემდე XXV საუკუნეს მოეწყო. ამავე დროს ჩანს განხორციელებული დამასახლებელი ექსპედიცია კავკასიისაკენ, იბერების და ქართების (ეთიოპების) მონაწილეობით და რომელთა უშუალო შთამომავლად არახოსიელი (იბერიელი) მეგასთენე გვევლინება ... აი იმ ჭეშმარიტად უშორეს ისტორიამდელ წარსულში კი როგორც ჩანს, ელამიტებს ეთიოპებს უწოდებენ... ცხადია ეს სახელი „ეთიოპი" ცნობილია ელამიტებისათვის ქრისტემდე XIII საუკუნის დასაწყისასთვისაც და ზუსტად ამიტომაც ეწოდა მათ უმთავრეს ახალშენს აფრიკაში ეთიოპია.

...მაგრამ ამ დროისათვის (შესაბამისად უფრო ადრეც) აზიაში ცნობილია ორი ეთიოპია: ელამაიდა მისი ისტორიული მეხსიერებით და ...არახოსია, რომლის ადრინდელი სახელი ასევე ეთიოპია ჩანს...(43) და რომელ ეთიოპიაში გააძიძავა ზევსმა კადმოსის ასულ სემელესთან მათი საერთო შვილი დიონისე? როგორც მინიმუმ, დიონისეს აღმზრდელი ქვეყანა ყურძნის ღვინოს უნდა იცნობდეს, მაგრამ:

„მეფეო, შენ იმ კაცებზე ემზადები სალაშქროდ, რომლებიც ატარებენ ტყავის შარვლებს და დანარჩენ ტანსაცმელსაც ტყავისას ხმარობენ, იმდენს კი არ ჭამენ, რამდენიც სურთ, არამედ იმდენს რამდენიც აქვთ, და ეს იმიტომ, რომ ისინი სუსხიანი ქვეყნიდან არიან. ისინი ღვინოს კი არ ხმარობენ, არამედ წყალს სვამენ, არც ლეღვი აქვთ საჭმელად და არც სხვა ხეირიანი" (იქვე, I-71)

მართალია აქ ლიდიელი სანდანისი საკუთარ სუზერენს, კროისოსს სპარსელთა შესახებ უყვება, მაგრამ ამ „სპარსული" იმპერიის ფლაგმანს ელამიტები და სუზა წარმოადგენს, სუზელი კიროსის მეთაურობით. აი აქ კი თვალნათლივ იკვეთება, რომ ელამიტები - სუზელები ღვინოს დაყენების ხელოვნებას ვერ ფლობენ...ვერც ბანანისა და ვერც ყურძნისას...(უფრო

მეტიც, ღვინოს კულტურას უნდა იცნონდნენ აფრიკელი ეთიოპებიც კი, რომელთაც ღვინოს დაყენება უნდა ესწავლათ თავად დიონესესაგან, ჯერ კიდევ სპარსეთის ყურეში ცხოვრებისას ქრისტემდე XXI საუკუნეს, ჯერ კიდევ ელამაიდას ნაწილად მყოფთ)...ვერ ფლობს მას კიროსიც, მაგრამ კიროსის შვილი კამბისესი აფრიკელ ეთიოპებს ღვინოს უგზავნის, ჰეროდოტეს მიხედვით ბანანისას, ღვინოს დაყენების ხელოვნებას კიროსის (და კამბისესის) იმპერიაში შემავალი მიდია უკვე ფლობს:

„სკვითების დიდი ნაწილი დაპატიჟეს კიაქსარესმა და მიდელებმა, დაათვრეს და ამოხოცეს“(იქვე I-106)

უცნობია, სკვითები ყურძნის ღვინით თუ პალმის ღვინით დაათრო კიაქსარესმა, თუმცა სავარაუდოა სამხედრო ეშმაკობისათვის უფრო ამ უკანასკნელს იყენებდნენ (44). იგივე სამხედრო ხერხს (და როგორც ჩანს იმავე ღვინოს) მიმართა კიროსმაც, რომელიც ღვინოს ამ სახეობას უკვე გაცნობილი ჩანს: ლიდიის მეფეყოფილი, კროისოსის რჩევით მან უხვად საჭმელ სასმელი და გაუზავებელი ღვინოს დიდი რაოდენობა დაუტოვა მასაგეტებს (ინ დროისათვის შუა აზიის ხალხებს) და თავად უკან დაიხია. მთვრალი მებრძოლები მოწინააღმდეგისა კიროსმა ადვილად ამოახოცინა... მაგრამ ეს უკვე ქრისტემდე VI საუკუნეა, მას შემდეგ რაც კიროსის იმპერია შეიქმნა, რომლის შემადგენლობაში სწორად ზუსტად ის მიდიელები და ლიდიელები მოიაზრება, რომელნიც უკვე გაცნობილნი არიან ღვინის დაყენების ტექნოლოგის (როგორც ჩანს, ყურძნის ღვინისაც, როგორც ლიდიელთა მეზობელი სახელმწიფო)

ანტიკური ლიტერატურა დიონისეს ღვინოს (და ლუდის) აღმომჩენად თვლის, თუმცა მათრობელა სასმელები უცხო არ ყოფილა ინდოელთათვის თვით ქრისტემდე XXXII საუკუნესაც კი. ასე მაგალითად ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით, კრიშნასა და მისი ძმის, ბალადევას ხალხმა ერთმანეთი მთვრალი ორგიის დროს ამოწყვიტა, რომელიც ამავე წიგნში, „გურზებით ომი“ სახით არის მოთხრობილი...მაშ რისი გამოგონება მიეწერება დიონისეს? დიონისემ პირველმა აღმოაჩინა ყურძნის ფერმენტაციის და დაჭეჭყილი მასის **დუღილის** შედეგად ღვინოს მიღების პროცესი (სავარაუდოდ ინდური მათრობელა სასმელები მზადდებოდა სხვადასხვა ხილიდან, რომელიც უფრო ლიქიორის მიღების პროცესის მსგავსი უნდა ყოფილიყო, შესაძლოა სასიამოვნო გემოსათვის თაფლის გარევის გზითაც კი)

...ამასთან, მყარად უნდა გახსოვდეს, რომ დიონისე, ღვინოს კულტურის უშუალო გამავრცელებელი დედამიწაზე, დაბადებული ჩანს სულ 41 საუკუნის უკან ... უფრო ადრინდელი არტეფაქტები, დაკავშირებული ვაზთან და ღვინოს კულტურასთან ნატყუარია, ყალბია ან არასწორად დათარიღებული ... შესაბამისად, 7000 წლიანი ქვევრი წიპწით, მხოლოდ ფეიკი

შეიძლება იყოს... და არსებობს თუ არა სამტკიცი იმისა, რომ დიონისე სინამდვილეში არახოსიაში (აზიის ეთიოპია) იზრდებოდა, აქვე დაჭაბუკდა და აქვე აღმოაჩინა ყურძნისაგან ღვინოს დაყენების მეთოდი? ასეთი ცნობა სინამდვილეში არსებობს ... სამწუხაროდ მე ის დავკარგე და ხელახლა ვეღარ აღმოვაჩინე (მკითხველს ვპირდები, რომ ტრილოგიის ბოლო წიგნის გამოშვებამდე ამ ცნობას და მის ანტიკურ ავტორს მოვძებნი) შევეცდები ზუსტ ციტირებას ჩვენთვის ჯერჯერობით ანონიმი ავტორის ცნობისა:

„ მაკედონელი მეომრები მიწას შუბის წვერით აბრუნებდნენ და შიგ ვაზის შტოებს რგავდნენ "

...და აქ საუბარია ლიდიის (დღევანდელი სამხრეთ თურქეთი) ტერიტორიაზე მაკედონელების მიერ ვაზის კულტივირებაზე (სავარაუდოდ მაკედონელები დიონისეს მხლებლები არიან) მაგრამ...როდის ხდება აღნიშნული მოვლენა? საცოდინარია, რომ მაკედონელები ლიდიაში პირველად მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის ზეობისა, ქრისტემდე IV საუკუნეს მოხვდნენ...მაგრამ ამ დროს ლიდელები იმავე ჰეროდეტეს მიხედვით უკვე დიდი ხანია ღვინოს იცნობენ (იხ. ზემოთ).... გარდა ამისა, მაკედონელები ვერ იქნებოდნენ დიონისეს მხლებლები, რომლებიც ვაზის კულტურას პრივალირებენ: დიონისე - ეს ქრისტემდე XXI საუკუნეა, ხოლო მაკედონია, იმავე ჰეროდოტეს და სხვა ანტიკური ავტორების მიხედვით , ფორმირდება არა უადრეს X-VIII საუკუნისა - ქრისტემდე. (თუმცა დიონისეს „მაკედონური" წარმოშობის შესახებ ანტიკურ ლიტერატურაში ვერსია მაინც არსებობს...

და კიდევ: არახოსია იბერიის ალექსანდრე მაკედონელის ეპოქის დრიონდელი დასახელებაა. დარიოს I და ქსერქსეს ეპოქაში მისი სახელი ჰეროდოტეს მიხედვით აზიის ეთიოპიაა...ეთიოპია ჩანს ელემიტების უძველესი, ქრისტემდე XXV საუკუნის წინანდელი სახელიც...ზუსტად ამავე ეპოქისა უნდა იყოს იბერ - ქართების პოლიტიკური სახელმწიფო წარმონაქმნის სახელდება ეთიოპიად-აზიის ეთიოპიად.(45)…უცნაურია, რომ შუა აზიური კოლონია სუზელებისა-ქუშებისა იმავე ეთიოპის სახელს არ ღებულობს და ბაქტრების სახელს ჯერდება. (თუმცა დიონისესადმი მიძღვნილი ქალაქი ნისა ფუძნდება-სავარაუდოდ იმ დროის ბაქტრიაში, თუმცა დღეს თურქმენეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე) ...სავარაუდოდ მათ ახსოვთ , რომ ეს ღმერთი მათი სახლიკაცების ქვეყანაში გაიზარდა და დაკაცდა...

...ცხადია დიონისეს თანამგზავრები და მისი ვაკხური მხლებელები მაკედონელები ვერ იქნებოდნენ-მათ შორის ისტორიული შუალედი ათეული საუკუნეა, დიონისეს მხლებლები მხოლოდ ის ხალხი შეიძლება ყოფილიყო, რომელთა რიგებში გაიზარდა და დაჭაბუკდა ჩვილი დიონისე- ეთიოპიელები, უფრო ზუსტად -აზიელი ეთიოპები, არახოსიელები, ქართის და იბერის ტომები ...

...და ზევსი ...

ჰომეროსის მიხედვით, ზევსი სტუმრობდა დღეგრძელ ეთიოპებს, ტროას ომის დაწყებისას, ქრისტემდე XIII საუკუნის დასაწყისს, უფრო ზუსტად 1290 წელს::

„ზევსი- მეხთამთყორცნელი, გუშინ ცალკეული ოკეანის წყლებიდან... ეთიოპების ლხინს ესწრებოდა გაუხრწნელებისას“ (ილიადა, 1-423)

მაშინ, როდესაც აღნიშნული მოქმედება (ტროას ომი) მიმდინარეობს, აფრიკული ეთიოპია ბუნებაში არ არსებულია - არსებობს მხოლოდ ორი ეთიოპია-აზიისა, ელამიტები და არახოტები...ამასთან, ლხინი ვერ იქნება... ღვინოს გარეშე, იმ ღვინოსი, რომელსაც ელამიტები - სუზელები ქრისტემდე VI საუკუნესაც არ იცნობენ... და ქართველი მკითხველისათვის უაღრესად საინტერესო უნდა იყოს ის ინფორმაცია, რომ ასიელ (აზიელი) ეთიოპების სახელი საბოლოოდ იბერ-ქართებს უმტკიცდებათ:

„სუსელთაგან და კისიელთა დანარჩენი მხრიდან შემოდის 300 ტალანტი, ესაა მერვე სატრაპია“ (ჰეროდოტე, წიგნი III-91)

მკითხველს შევახსენებ, რომ სუსა (იგივე სუზა) ელამიტთა დედაქალაქია. შესაბამისად სუსელთა სატრაპიის ქვეშ ელამიტები იგულისხმება, ქუშების ტომის წინაპარი, ყოფილი ეთიოპია, და:

„პარიკანიები და ასიელი ეთიოპები იხდიდნენ 400 ტალანტს, ესაა მეჩვიდმეტე სატრაპია“ (იქვე-93)

პირველ ტომში დაწვრილებით იყო განხილული, რომ პარიკანიების ქვეშ ჰირკანები იგულისხმება, გელები-ქართული წყაროების ჰერები, რომლებიც საქართველოს და მიმდებარე ჩრდილო კავკასიის ზეგანზე ცხოვრობდნენ. ჩანს ისინი შედიოდნენ ერთი სატრაპიის ქვეშ აზიელ ეთიოპებთან, რომელშიც ავტორის მიერ ქართ-იბერებია ნაგულისხმევი... შესაბამისასად, ზევსის რჩეული ხალხი, რომელსაც ეს უკანასკნელი სტუმრობს, ზუსტად ქართებია...

...და ჩვენთვის დღემდე გაუგებარი (ან არასწორად გაგებული) პასაჟი: ცნობილია ჰერაკლეს ლაშქრობა კავკასიაში, თუმცა გაუხმაურებული და მის 12 გმირობას შორის არ მოხსენიებული ... ცნობილია მისი ლაშქრობის მიზეზიც, ეს პრომეთეს განთავისუფლებაა, რომელიც ჯაჭვებით მიბორკილია კავკასიის მთებზე (შემხვედრია კიდეც ინფორმაცია, რომ პრომეთეს მიჯაჭვის ადგილი თუშეთის მთებია...ეს უკანასკნელი კავკასიის ქედის აქეთ -იქით მხარეს ვრცელდება-შესაბამისად კავკასიონის ცენტრალური მთების ნაწილიც თუშეთის მთებში იყო მოქცეული). მიუხედავად არქაული ლეგენდებისა, ჰერაკლე მარტო არ ლაშქრობდა-ამას ადასტურებს მის მიერ

რამდენიმე გემის სავსე თანამგზავრებით -თანამებრძოლებით , მათ შორის თეზევსისთან ერთად ლაშრობა და ამაზონებზე თავდასხმა... არც კავკასია-ში ლაშქრობა ჩანს გამონაკლისი- აქაც ის სავარაუდოდ მრავალრიცხოვან თანამებრძოლებთან ერთად ლაშქრობს ... და ასევე ანტიკური წყაროებით გაუხმაურებელი ფაქტი, ანტიკური პოლიტიკური მოღვაწის და ისტორიკ-ოს ფლავიუს არიანეს მიერ გადმოცემული მის „ალექსანდრეს ლაშქრობა-ში“. ფაქტი გაუხმაურებელია იმდენად, რამდენადაც თავად ფლავიუს არი-ანეს აზრით, ჰერაკლეს ლაშქრობის ეს შემთხვევა ეხება ... ინდოეთს. სინამ-დვილეში, ეს მოქმედება ხდება არახოსიაში, რომლის დედაქალაქს „ინდო-ეთის უდიდესი მდინარე“ ჩაუვლის, ხოლო მის წინ მდებარე კლდის ზომა და ფორმა ზუსტად იმეორებს ზედაზენის მთის კონტურებს...აღწერა აორ-ნის მთისა, მდებარე დედაქალაქის წინ, რომელიც უცილობლად საფუძვ-ელს ალექსანდრე მაკედონელის მემატიანებისაგან ღებულობს: ჰერაკლე სა-მჯერ ზედიზედ უტევს...ზედაზენს და უშედეგოდ ... მეოთხე შეტევა ზევსმა არ აცალა-მიწისძვრით მიახვედრა, რომ ზედაზენის დამცველების დამარ-ცხება მისთვის სასურველი არ იყო და ჰერაკლემაც უკან დაიხია... ვფიქრ-ობდი, რომ ზევსმა არ მოისურვა იბერების (და აზიის ამ ეთიოპიაში -არა-ხოსიაში, ორივე ტომი ერთად მოიაზრება) დამარცხება...იმ იბერებისა, რო-მელთა სახლიკაცები კუნძულ კრეტაზე ჩვილი ზევსის შეიარაღებულ და-ცვას წარმოადგენდა...არადა, თურმე აქვე აღიზარდა ზევსის შვილი დიონ-ისე და ჰომეროსის სიტყვებით, აქვე სტუმრობს თავად ზევსი დღეგრძელი ეთიოპების ლხინს...

... ელამიტები...

...გაცილებით ადრინდელი პერიოდისა ჩანს კავკასიის ასათვისებლად მიმართული ნაბიჯებიც ... სავარაუდოდ, ეს ლაშქრობა იბერებმა თავიანთ მუდმივ მეწყვილესთან შორეულ ექსპედიციებში, ქართებთან ერთად განა-ხორციელეს (46) ლაშქრობა კავკასიის მთებთან ჩანს შეწყვეტილი (ის რომ მოლაშქრეები კავკასიის ქედამდე მივიდნენ, ადასტურებს ანანურში- ფაქტ-იურად კავკასიის მთისწინეთში აღმოჩენილი არქაული ფორანები, ურმები)

....და შუა აზია...აქ კი განდხარვული ტომები სრულიად სხვა შემთხვევამ მოიყვანა. ადრევე ითქვა, რომ ეგვიპტიდან განდევნილი სკვითები და მათი სატელიტები სწორედ განდხარვებმა გამოირეკეს მცირე აზიიდან...ამ დევნა-ში ფაქტიურად განდხარვთა სრული სპექტრი მონაწილეობდა... მონაწილეობ-დნენ ასევე აფსართა ჩამომავალნი, მარებიც, იბერებიც და თვით ამაზონე-ბიც კი...რამდენიმე ტომი, რომელსაც ჰეროდოტეც ახსენებს, ბაქტრები-უზბ-ეკები, ასაკენები-სოგდები-ტაჯიკები და კანგოი-თურქმენები-თოხარები, მცი-რე აზიაშივე რჩებიან...(მცირე აზიაშივე კიდევ რამდენიმე პროტოქართული

ტომი, რომელთა შესახებ ცალკე ვისაუბრებ)...მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე ფიქსირდება კუშანთა დიდი გაერთიანება კურჯულა კადფიზის ხელმძღვანელობით, რომელშიაც ჰეგემონის როლს ბაქტრები ირგებენ. მართალია ამ პოლიტიკურმა გაერთიანებამ სულ რამდენიმე საუკუნე გაძლო, მაგრამ ამავე ტერიტორიაზე შემდგომაც ფიქსირდებიან ცალკეული კუშანური სამეფოები, რომელთა არსებობის შესახებ სპარსელი ისტორიკოსების მეშვეობით ვიცით ... საინტერესოა, რომ უზბეკები დღესაც თავს პუნების (კართაგენელების) შთამომავლად თვლიან , თუმცა ასეთი კანგოის-თურქმენეთის მოსახლეობა არის მხოლოდ...საკუთრივ უზბეკეთი ზუსტად იმავე გენეტიკის ხალხითაა დასახლებული, როგორც ქართლი... არ უნდა იყოს საკვირველი თემურ -ლენგის სიტყვები, რომელიც სინამდვილეში ძირითადად ქართლს არბევდა და ანგრევდა, რომ ამ ხალხზე ძლიერი და მამაცი მებრძოლები მას სხვაგან არსად შეხვედრია ... სინამდვილეში ხომ ის საკუთარვე ტომს ებრძოდა...

ქართველი მკითხველის ყურადღების გამახვილებას ვითხოვ იმ საკითხზე, რომ მცირე აზიის სამი ტომი-დღევანდელი სამი სახელმწიფო, განდხარვული ჯიშისა და ჯილაგისა არიან...(მეოთხე - ყირგიზეთი აფსარული ჩანს)...ჩვენი კვლევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უზბეკეთსა აქვს, ვინაიდან ზუსტად ისაა მცირე აზიის ლიდერი, ასევე თემურ-ლენგის სამშობლო და ის მისი ეგიდის ქვეშ იბრძვის...

ისტორიული ექსკურსი

წინა მასალებში საკმაო ითქვა იმის შესახებ, თუ როგორ აღმოჩნდა ქუშანთა ტომების სრული სპექტრი (პლიუს აფსართა ჩამომავალი, იბერები, მარგები და შესაძლოა სხვებიც...) შუა აზიასა და მიმდებარე ტერიტორიაზე .. .ამჯერად მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ ამ ქუშანური ტომების დამოკიდებულებას თითქმის მთელი ათი საუკუნის შემდეგ სპარსულად წოდებულ იმპერიასთან და მის სუზერენთან-კიროსთან. უაღრესად საინტერესოა თავად კიროსის პიროვნება, ის წინაპირობა, რომელმაც ის სპარსეთის მეფედ, და შემდგომ აზიის უდიდეს იმპერატორად აქცია. ჰეროდოტეს მიხედვით, სპარსული სამეფო და იმპერია აღორძინდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სპარსელებმა დაამარცხეს და ჩაანაცვლეს მიდიელები: **„ასტიაგესს (მიდიის უკანასკნელ მეფეს) ძილში ეჩვენა თავისი ქალი, რომელმაც იმდენი მოშარდა, რომ აავსო მთელი თავისი ქალაქი და წარღვნა აზია. ეს სიზმარი მან ამცნო მოგვთა შორის სიზმრის ამხსნელებს და შეეშინდა, როდესაც შეიტყო მათგან ყოველივე. როდესაც მანდანეს გათხოვების დრო მოუვიდა, თავის ღირსთაგან არავის მისცა მამამ ცოლად** (ჩვენების შეეშინდა) **არამედ მისცა სპარსელს, რომელსაც ერქვა კამბისესი. ასტ-**

იაგესს მიაჩნდა, რომ მას კარგი ოჯახი და თვინიერი ზნე ჰქონდა, მაგრამ მაინც უფრო დაბლა აყენებდა საშუალო მიდიელზე“ (ჰეროდოტე, ისტორია. წიგნი I-107)

ჰეროდოტე მიდიელი ასტიაგესის შვილიშვილს, კიროსს სპარსელად ასახელებს, თუმცა თანამედროვე მეცნიერებაში სულ სხვა ვერსია ჟღერდება:

„კიროსი იყო შვილი კამბისეს I აქამენიდთა დინასტიიდან, დამფუძნებელი--ლეგენდარული ახამენი, სპარსული კლანი პასარგადებისა. ჯერ კიდევ ნაბონიდი (უკანასკნელი მეფე ახალბაბილონური სამეფოსი, ახალბაბილონური X დინასტია ხალდებისა)(47) **ასახელებს კიროსს ანშანის მეფედ, ე. ი. ერთ-ერთი რაიონი სამხრეთ- აღმოსავლეთ ელამისა. ამავეს გვამცნობენ ბაბილონელი ქურუმები, რომლებიც ადგენენ ეგრეთ წოდებულ ქრონიკას ნაბონიდისა და კიროსისა. საკუთარ მიმართვაში ბაბილონელებისადმი, თავად კიროსი უწოდებდა ანშანის მეფეებს საკუთარ წინაპრებს. მე კიროსი, კამბისესის შვილი, დიადი მეფე, მეფეთ-მეფე ქალაქ ანშანისა, შვილიშვილი კიროსისა, დიდი მეფისა, მეფე ქალაქ ანშანისა, ტიასპის ჩამომავალი, დიდი მეფისა, მეფე ქალაქ ანშანისა“ (ვიკიპედია)**

ვიკიპედიის ამ ცნობის მისედვით კიროსი ასტიაგესის ვასალი არ ყოფილა, თუმცა ასირიის დამამარცხებელი და მისივე სამართალმემკვიდრე მიდია მას ასეთად თვლის...სხვათა შორის, არც მეორე ელინი კალმოსანი, კტესია კნიდოსელი არ მიიჩნევს კიროსს ასტიაგესის ვასალად...უფრო მეტიც, კტსიას ვერსიის მიხედვით კიროსი (და არა მისი მამა კამბისესი) მოგვიანებით თავად ქორწინდება ასტიაგესის ქალიშვილზე (ასტიაგესის სიძის სიკვდილით დასჯის შემდეგ). უნდა ვაღიაროთ, რომ კტესია კნიდოსელის ცნობა უფრო კომპეტენტური უნდა იყოს...თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა კიროსიდან საუკუნენახევრის შემდეგ ათეული წელი გაატარა კიროსის მემკვიდრეს, ქსერქსეს სამეფო კარზე... თავიდან როგორც ტყვემ, ხოლო შემდგომ როგორც მეფე ქსერქსეს პირადმა ექიმმა, რომელსაც სრული დაშვებულობა ჰქონდა იმ დროის სამეფო არქივებთან...

...და მაინც რატომ არის კიროსი (და მისი მამა კამბისესი) ჰეროდოტესათვის სპარსელი? სრულიად უბრალოდ, არსებული ისტორია ელამელებს სპარსელების წინაპრებად მიიჩნევს ... მიზეზი? სავარაუდოდ მხოლოდ ის, რომ ყოფილი ელამი, იმ დროისათვის უკვე ასირიის ნაწილს წარმოადგენს, დღევანდელი ირანის ხუზისტანის (და ლურისტანის) პროვინცია. მიდიის მიერ ასირიის დაპყრობის შემდეგ რასაკვირველია მიდიის ვასალი ხდება ... და ჰეროდოტეს ეპოქამდე ათეულობით წლებით ადრე ელამი დარიოს დიდის იმპერიაში შემავალი ერთ-ერთი სატრაპიაა, თუმცა

ხშირად მოჯანყე და თავისუფლების მაძიებელი....და რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის, რომ ირანელები ელამელების - ყოფილი განდხარვების შთამომავალნი არიან?

„იქ სადაც დგას პილუს ხე, სადაც მოეფინება ხუთი მდინარე : შატანდრა, ვიშაპა, იტავატი, ჩანდრაბხავა, ვიტასტა და იბადება მეექვსე სინდხუ, იქ დევს მიწა, წოდებული არატტად. არ უნდა ინახულო ეს ქვეყანა, სადაც განადგურებულია დხარმა, (ქვეყნები) ვრატებისა, დასამიებისა, ვიდეხებისა, რომლებიც არ ანხორციელებენ მსხვერპლშეწირვას .... დაბადებულნი უკანონო ქორწინებით, ველურები, ყოველგვარი საკვების მჭამელები, ნებისმიერი რძეს ბახლიკებისა, წოდებულნი არატტებად, ბრძენი უნდა მოერიდოს!...ის მიწები იწოდება არატტად, ხალხი იწოდება ბახლიკებად, ვასატებად და სინდხი-საუვირებად, ისინი მხოლოდ ღირსნი არიან ზიზღისა“ (მახაბხარატა, კარნაპარვა, თავი 30)

მართალია ევროპული მეცნიერება იმ დიდ ომს, წოდებულს კურუქშეტრად ქრისტემდე მხოლოდ XV საუკუნედ მიიჩნევს, სინამდვილეში ის მთელი X V I საუკუნით ადრე ჩანს მომხდარი 3103 წელს ქრისტემდე (როგორც ინდოელი მეცნიერები ამტკიცებენ) ეპოსში მისი გმირის, კარნას მიერ აუგად ნახსენები არატტები სპარსელები ჩანან, ინდოეთის მიმდებარე ტერიტორია (იმ დროისათვის დღევანდელი ავღანეთის და პაკისტანის ტერიტორია იგივე ინდოეთში შედიოდა)

არატტა, როგორც მათგან აღმოსავლეთით მთიანეთში მდებარე სახელმწიფო მოხსენიებულია შუმერულ ეპოსშიც (რაც ინდური ვერსიის სისწორის აბსოლუტურ ალიბს წარმოადგენს) ქალაქ ურუქის მცხოვრებნი, წინამძღოლ ენმერქარის მეთაურობით სალაშქროდ მიდიან...არატტაში ... მხოლოდ მეშვიდე დღეს შეუდგებიან ისინი მთებს ამ პოლიტიკური კავშირისაკენ მიმავალს...ცხადია, ეს მართლაც სპარსელთა სამეფოა, რომელიც ურუქიდან აღმოსავლეთისაკენ, ინდოეთის მიმდებარე მთებშია საგულებელი. ...ერთობ სულისშემძვრელია პოემა და ამბავი ლუგალბანდაზე, ერთ -ერთ მეომარზე, რომელიც ავად ხდება. ჯარი და მათ შორის ლუგალბანდას (სახელი ლუგალი მეთაურს აღნიშნავს, სავარაუდოდ ლუგალბანდა ერთ-ერთი რაზმის მეთაურია) ძმები იძულებულნი არიან ავადმყოფი დატოვონ გზაში შეხვედრილ გამოქვაბულში, დაუტოვონ რა წინასწარ საჭმელ-სასმელი...ლუგალბანდა საბოლოოდ გამოჯანმრთელდება და ჯარს მიეწევა არატტისაკენ მიმავალს. მთავარი აქ თავად არატტას ხსენებაა, ის მართლა სპარსეთი გახლავთ და მართლაც ისეთივე არქაული, როგორზეც თავად კარნა ჰყვება და რა სიძველისაც ინდოელი მეცნიერები ვარაუდობენ (48)

სულ სხვა ჭრილშია დანახული იმავე ეპოსში განდხარვები ....და ეს მიუხედავად იმისა, ახსოვთ თუ არა ინდოეთში მათი განდხარვყოფილო-

ბა. კონკურსგარეშე დგანან ის განდხარვები, რომელთა განდხარვყოფილობა ჯერ კიდევ შორეული წარსული არაა.... მანასის ტბის ნაპირას მცხოვრები განდხარვები, რომლებმაც არჯუნას რამდენიმე მტრედისფერი განდხარვული ცხენები მისცეს, ხარკის სახით თუ პირადი მეგობრობის აღსანიშნავად ... საინტერესოა, რომ ინგუშეთის, გელყოფილების არცთუ შორეულ წარსულში აღდგენილ დედაქალაქს მაგასი ჰქვია (თითქმის 100% თანხვედრა მანასის ტბის სახელთან)...ასევე აღმატებულ რანგში არის მონათხრობი განდხარვა ჩიტრარატხას -ანგარაპარნას- წითელფრთიანის შესახებ ... მკითხველს შევახსენებ, რომ ინდური ეპოსის სწორუპოვარმა და დაუმარცხებელმა გმირმა, არჯუნამ მხოლოდ ღვთიური (მოუგერიებელი) იარაღის გამოყენებით გაბედა მასთან ბრძოლა და დაამარცხა კიდეც... ასევე აღმატებული არსებანი ჩანს მომღერალი განდხარვები: ტუმბურუ, ხახა და ხუხუ. განდხარვა ნარადა კი უკვდავთა რიგებში ჩანს აღზევებული...ასევე აღმატებული პიროვნებანი ჩანს აბხისარების მეფეები (ამათი განდხარვობა ოდნავ უკანა პლანზე ჩანს კიდეც გადაწეული) ძმების ჩიტრა და ჩიტრასენა... კიდევ უფრო მიჩქმალული ჩანს განდხარების (დღევანდელობის ავღანელებად მიღებული) ხალხის ვინაობა, თუმცა ამ სატომო სახელის ქვეშ უთუოდ ყოფილი განდხარვებია საგულებელი... ყოვლად საპატივცემლო პიროვნება (და ხალხი) ჩანს კაშის მეფე. საუკეთესო სასიძონი შეყრილან კაში-რაჯას ქალების სვაიამვარაზე (ქალიშვილების მიერ საქმროების თავისუფალი არჩევანის ცერემონიალი) და დიდი ძალისხმევა დასჭირდა ბხიშმას, ინდოეთის სწორუპოვარ მეომარს, რომ საკუთარი (ფაქტიურად) ძმისშვილებისათვის საცოლედ მათი ხელი მოეპოვებინა...(თუმცა ინდურ უძველეს ეპოსს მათი განდხარვობა უკვე აღარ ახსოვს)

კიდევ უფრო შორს ჩანს წასული ინდური ეპოსი (ამჯერად „რამაიანა“) კოსალას ტომის შეფასებაზე. მსოფლიოსათვის აბსტრაქციული მცნებაა კოსალა და აიოდხია, თუმცა პოემის მთავარი გმირი-რამა კოსალის (ჩვენთვის საქართველოში კახის ტომი) მეფის უფროსი ვაჟიშვილია...ასევე აღმატებულ რანგში იხსენიება კირატა (ასაკენების-ფხოველთა ტომი) რომლის ტანსაცმელში გამოწყობილი გამოეცხადება არჯუნას უზენაესი...არც სვანური ტომი არის უყურადღებოდ დარჩენილი, ეპოსი „მახაბხარატა“ მათ სანშაპტაკებად, სან- შეფიცულებლად აცხადებს, რომელთაც არჯუნა გამოიწვიეს ომში, ამ უკანასკნელის მიერ ტრიგარტების განადგურების შემდეგ, და რამდენიმე დღე გმირულ წინააღმდეგობას უწევდნენ მას...

ასევე ახსენებს სპარსელებს მთელი XXVI საუკუნის შემდეგ ჰეროდოტე და ფაქტიურად მათ იმავე სახელს უწოდებს:

„ხოლო მოლაშქრეები იყვნენ სპარსელები...ძველად მათ ელინები კეფენებს

უწოდებდნენ, მაშინ როდესაც თავისთავს არტაიებს უწოდებდნენ“ (ჰეროდოტე, წიგნი VII-61)

ცხადზე ცხადია, რომ ამ ორ ხალხს ფაქტიურად არაფერი აქვს საერთო და გენეტიკური მსგავსება სპარსელთა ზოგიერთი ტომის წარმომადგენლებთან ეს მხოლოდ სპარსეთში დარჩენილი ქართული ტომების კვალია...

მაშ ასე, კიროსი ელამელია, ქუშის ტომიდან (დღეს ამ ტომის წარმომადგენელს საქართველოში ქართლელი ჰქვია) ...და იგი იწყებს იმპერიის შეკრებას ... იმავე კტესია კნიდოსელის ცნობის მიხედვით, მას ბაქტრია ნებაყოფილებით დამორჩილდა მას შემდეგ, რაც გაიგეს კიროსისაგან ასტიაგესის (მიდიის ყოფილი მეფე) ქალიშვილის ცოლად შერთვა (მას შემდეგ რაც მოაკვდინა ასტიაგესის სიძე) და თავად ასტიაგესი მამად შერაცხა! აბსოლუტური არ ცოდნა წარსული ისტორიისა (ან საიდან უნდა სცოდნოდა წარსული ისტორიული მოვლენები ექიმს, როდესაც ამ მოვლენების შესახებ თვით ჰეროდოტესაც კი ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს) ბაქტრია იმავე ქუშანური ტომის პოლიტიკური წარმონაქმნია, რომელიც შუა აზიის ტერიტორიაზე ათეული საუკუნით ადრე შეიქმნა ... თუმცა სავარაუდოდ ცნობებს ერთმანეთის შესახებ ფლობენ! უფრო მეტიც, განდხარვულ ტომებს შორის ამ ლოკალურ სივრცეში შეიმჩნევა კიდეც გარკვეული კოორდინაცია. თვით ისეთი თვითკმარი სამეფო, როგორიც ლიდია იყო, წარსულ დროში გარკვეულ საკითხებზე ელამელებთან კონსულტაციას მართავდა კიდეც...მარტო ის რად ღირს, რომ სუზელ (ელამელ) უფლისწულს ხელეწიფება სალაშქროდ კავკასიიდან და ფინიკიიდან ლაშქრის წვევა, ქრისტემდე XIII საუკუნეს, ტროელთა საშველად...სავარაუდოდ, კიროსს ნებაყოფილებით დაემოჩილა ყველა განდხარვყოფითთა პოლიტიკური სუბიექტი... ამასთან, ამ ტომების, ხალხების აბსოლუტური უმრავლესობისათვის ჩირის ფასიც კი არა აქვს იმას, თუ როგორ მოექცევა კიროსი დამარცხებულ ასტიაგესს, ბულგართა- მედების ტომის წარმომადგენელს...და მხოლოდ კასპიის ზღვის აღმოსავლეთით, დღევანდელი ყაზახეთის ადგილას მცხოვრებმა ამორგის საკებმა (სინამდვილეში ტიგრახაუნდებმა) (49) გაუწია მას აქტიური წინააღმდეგობა. კიროსმა ტყვედ აიყვანა ამ საკების მეფე ამორგი, რასაც მისი ცოლის სპარეტრას მიერ მოწყობილი ლაშქრობა მოჰყვა ... (50) საბოლოოდ კიროსმა გაანთავისუფლა ამორგი და ეს უკანასკნელი მისი მოკავშირე გახდა კიდეც (თუმცა არა ხელქვეითი, ამორგის საკები, ტიგრახაუნდები, კიროსის იმპერიაში არ შედიან)...კიროსმა ამორგი დახმარებით შეძლო ბაბილონის აღებაც...ვიმეორებ, ამ ვერსიის ავტორი კტესია კნიდოსელია... კტესია კნიდოსელი, რომელიც ათეული წელი იმყოფებოდა სპარსელების ტყვეობაში, იყო სპარსთა მეფის, ქსერქსეს პირადი ექიმი და თავ-

ისუფალი წვდომა ჰქონდა მეფის კარზე (ელამში, უკვე სპარსელთა სამეფ-ოს ფარგლებში მოქცეულისა) არსებულ ბიბლიოთეკაზე...ის მეფე კიროსი-დან სულ 150 წლის შემდგომი მოღვაწეა და მისი ვერსია უფრო მეტადაც კია დასაჯერებელი, ვიდრე ჰეროდოტისა (51)

ჰეროდოტეს მიხედვით კი მეფე კიროსი მასაგეტებთან (საკი ტიგ-რახაუნდები) ომს შეეწირა...ერთი ესაა, ორივე შემთხვევაში კიროსის დამ-მარცხებელი დედოფალი -ქალი ფიგურურებს. ..ერთ შემთხვევაში ის ტომ-ირისია, მასაგეტების დედოფალი, მეორე შემთხვევაში- საკთა მეფე ამორგ-ის ცოლი სპარეტა. ჰეროდოტე მისი დროისათვისაც არსებულ სამ სხვად-ასხვა ვარიანტზე ამახვილებს ყურადღებას, თუმცა სარწმუნოდ კიროსის მასაგეტებთან ომში დაღუპვა მიჩნია. კტესია კნიდოსელის მიხედვით კი ის დერბიკებთან ომს შეეწირა...მძიმედ დაჭრილმა ამორგის და მის საკებ-თან მეგობრობა დაავალა საკუთარ ჩამომავლობას ... მცირე აზიის იონიის (იბერების) და ეოლიის (ჭანების) დაპყრობა კი კიროსს ბრძოლით მოუწია, ისევე როგორც ბაბილონისა...ადრე ვისაუბრეთ, რომ ორივე ტომი განდხარ-ვული (აფსარული) წარმოშობისა ჩანს, თუმცა ისინი იმდენად შორეულ დროში განცალკევდნენ, ამის შესახებ არც ერთ მხარეს ახსოვს და არც მე-ორეს...საინტერესოა, რომ კიროსის იმპერია, რომელიც 23 ცალკეულ სატრაპ-იას-ქვეყანას მოიცავს (ამდენის მიღებაზე მემკვიდრეობით გვიამბობს დარ-იოს I.) კიროსის მიერ ჩატარებული ომი თითებზე ჩამოსათვლელია: მიდია-სთან, ლიდიასთან, ბაბილონთან, იონიელებთან, იბერ- ჭანებთან, საკ- ტიგ-რა-ჰაუნდებთან -ასევე იბერებთან და დახებთან, რომელთან ბრძოლასაც შეეწირა კიდეც (52)... დანარჩენი სატრაპიები-სახელმწიფოები-ხალხები მას ფაქტიურად უომრად, ნებაყოფილებით უჩანს შეერთებული...მხოლოდ ეგ-ვიპტე დაიპყრო კამბისესმა, კიროსის ვაჟმა. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ელამ-იტთა უზომო ავტორიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს კუშიტური-ქართვე-ლური ტომების მშვიდობიან ინკორპორაციას სპარსულად ცნობილ ელამ-იტების იმპერიაში, თუმცა კიროსის იმპერიაში არაკუშიტური სატრაპიებ-იც ბლომად იყო. სავარაუდოდ, კიროსის პირადმა ადამიანურმა თვისებე-ბმა არანაკლები როლი ითამაშა იმპერიის დიდ ფართობზე განვრცობაში: **„ხარკის დაწესებისა და სხვა მისი მსგავსი ღონისძიებების შემოღებისათვ-ის სპარსელები დარიოსს მეწვრილმანეს უწოდებდნენ, კამბისესს ეძახდნენ უფალს, კიროსს კი მამას“ (იქვე, წიგნი III-89)**

საბოლოოდ კიროსის დინასტია უდღეური აღმოჩნდა. კიროსის უფ-როსმა შვილმა კამბისესმა, ტახტის მემკვიდრემ, წინსწარმეტყველური სი-ზმარი ნახა, რომ იმპერიის ტახტს სამომავლოდ ბერდია დაეუფლება. მან ივარაუდა, რომ სამეფო ტახტს მისი უმცროსი ძმა -ბერდია შეეცილე-ბა და მოაკვლევინა კიდეც. მან საბოლოოდ მართლა დაკარგა ტახტი და

ის მართლაც ბერდიას ერგო, მაგრამ არა კიროსის შვილს, არამედ მიდიელი მაგის, გაუტამას ძმას, სხელად ასევე ბერდიას...უზურპატორის გამომჟღავნების და მოკვდინების შემდეგ, ტახტი სპარსული წარმოშობის დიდებულმა დარიოსმა ჩაიგდო ... იმპერია, რომლის ოცდსამი სატრაპიიდან მხოლოდ ერთია სპარსული, ხოლო თოთხმეტი (დაზუსტებულად) ქართველური- კუშიტური -განდხარვული წარმოშობისა იყო...და დარიოს პირველის სიტყვები, რომ მას და მის გვარს, აქამენიდებს, მემკვიდრეობით ერგოთ ფაქტიურად აზიური იმპერიის მეფობა, და რომ კიროსი მათივე გვარის წარმომადგენელია, მხოლოდ საკუთარი გვარის განდიდების მცდელობაა : აქმენიდი დარიოსი მართლაც ჩანს სპარსეთის (სპარსული სატრაპიის, სათავადოს) მემკვიდრე და არა კიროსის და კამბისესის იმპერიისა... კიროსი და კამბისესი -ესენი ქუშის ტ ომის წარმომადგენელია, დარიოსი- ფარსისა...ფაქტიურად, ისინი სხვადასხვა რასის წარმომადგენლები არიან, არამცთუ ერთი გვარისა...

„შემდეგი ქვეყნები შემხვდა მე აჰურამაზდას სურვილით: პერსიდა, ელამი, ბაბილონი, ასირია, არაბია, ეგვიპტე, (ქვეყნები) ზღვასთან, ლიდია, იონია, მიდია, არმენია, კაბადოკია, პართია, დრანგიანა, არია, ხორეზმი, ბაქტრია, სოგდიანა, გაიდარა, საკა, სატაგადიში, არახოსია, მაკა: სულ 23 ქვეყანა“ (ბეხისტუნის წარწერები) (53)

აჰურამაზდას ნაჩუქარ ქვეყნებზე საუბრობს მეფე დარიოსი, თუმცა საჩუქრის ობიექტები სრულიადაც არ გრძნობენ თავს კომფორტულად დარიოსის იმპერიაში... და აჯანყდა ვრცელი იმპერიის ცალკეული ნაწილები, რომლებიც თავიანთ მეფედ კიროსის მემკვიდრეებს აღიარებენ და არა აქამენიდ დარიოსს... შედარებისათვის მოგვყავს სპარსეთში შესრულებული ბეხისტუნის კლდეზე წარწერა, ამავე კლდეზე მოშანდაკებული რამდენიმე დაფის სახით. წარწერა შესრულებული ლურსმნულით, სპარსულ, ელამურ და აქადურ ენებზე (54)

„როცა მე მოვკალი გაუტამა (კიროსის და მისი მემმკვიდრე კამბისესის ტახტის უზურპატორის ძმა-იდეოლოგი გადატრიალებისა), **მაშინ ერთი ადამიანი, სახელად ასანა უპადარშის შვილი, აჯანყდა ელამში. ის ეუბნებოდა ხალხს - მე ვარ მეფე ე ლამისა. მაშინ ელამელები აჯანყდნენ, გადავიდნენ ასანას მხარეზე და ის გახდა ელამის მეფე...და ერთი კაცი, სახელად ნადანტაბაისა (ნადინ ტუბელი) აჯანყდა ბაბილონში. ხალხს ის ატყუებდა - მე ნაბუქოდონოსორი ვარ, ნაბონიდის შვილი. მაშინ ბაბილონელები მთლიანად გადავიდნენ ნადანტაბაისასთან. ბაბილონი აჯანყდა და მან მიიტაცა ძალაუფლება ბაბილონში“ (იქვე)**

დარიოსი აქ სხვადასხვა ტონით საუბროდა აჯანყებულებზე: მისთვის ბაბილონელი ნადანტაბაისა ცრუ მეფე და თვითმარქვია, მაგრამ ამავ-

ეს ვერ ამბობს ასინაზე, ელამის თვითგამოცხადებულ მეფეზე. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის, დაემარცხებინა აჯანყებულები ორივე სატრაპიაში და სიკვდილით დაესაჯა მოთავენი.

„როცა მე ვიყავი ბაბილონში, შემდეგი ქვეყნები ჩემგან განდგნენ, სპარსეთი, ელამი, მიდია, ასირია, ეგვიპტე, პართია, მარგიანა, საგატუ, საკა. ერთი კაცი, სახელით მარტია, ჩიჩიხრიშის შვილი, ქალაქიდან კუვანგა სპარსეთში, აჯანყდა ელამში, ის ეუბნებოდა ხალხს - მე ვარ იმანუიში, ელამის მეფე. მე ვიყავი მაშინ ელამის ახლოს. ელამიტებს ჩემი შეეშინდათ, შეიპყრეს მარტია, რომელიც გახდა მათი მთავარი და მოკლეს“ (იქვე) ... „ამბობს მეფე დარიოსი: პართია და ჰირკანია გადამიდგნენ მე, შეუერთდნენ ფრავარტიშს. მამაჩემი ვიშტასპა იყო პართიაში, ხალხმა ის მიატოვა და აჯანყდა. მაშინ ვიშტასპა გაემართა ჯარით, რომელიც მისი ერთგული იყო და ქალაქ ვაშპაუზტიშთან გაუმართა ომი პართებს. შემდეგ მე გავაგზავნე ვიშტასპას სპარსული ჯარი რაგიდან...ქალაქ პატიესაბნასთან მან დაამარცხა პართები...ქვეყანა, წოდებული მარგიანად, გამიდგა მე. ერთი კაცი სახელით ფრადა, მარგიანელებმა გამოაცხადეს მმართველად...მაშინ გავაგზავნე სპარსელი დადარშიში. მან ჩემს ხელქვეითთან, ბაქტრიის სატრაპთან (მოილაპარაკა), რათა გაენადგურებინა აჯანყებულები...ეს გავაკეთე ბაქტრიაში“...(იქვე)

მარგიანა- ეს მარგების, მარების სამშობლოა, რომელსაც დარიოსის იმპერიაში ცალკეული სატრაპია არ გააჩნია და ის ბაქტრიის რიგებშია მოქცეული. (55)

„ამბობს მეფე დარიოსი: ის ვახიაზდატამ, რომელიც უწოდებდა საკუთარ თავს ბერდიას, გააგზავნა ჯარი არახოზიაში, არახოზიის სატრაპის წინააღმდეგ, ჩემს ხელქვეითთან, სპარს ვივანისთან და ერთი კაცი მათზე (არმიაზე) უფროსად და უთხრა : წადით და გაანადგურეთ ვივანა და ის ჯარი, რომელიც აღიარებს მეფედ დარიოსს. შემდეგ არმია, გაგზავნილი ვახიაზდატას წინააღმდეგ, გაემართა ვივანის წინააღმდეგ, რომ შეტაკებოდნენ მას (ციხე-სიმაგრესთან) წოდებული კაპიკანიში -იქ გაიმართა ბრძოლა. აჰურამაზდა დამეხმარა მე, აჰურამაზდის ნებით ჩემმა ჯარმა გაანადგურა აჯანყებული ჯარი სრულიად... ისევ შეიკრიბნენ აჯანყებულები გაემართნენ ვივანის წინააღმდეგ, რომ შეტაკებოდნენ მას ადგილში, წოდებული განდუტავად- იქ გამართეს მათ ბრძოლა. აჰურამაზდა დამეხმარა მე, აჰურამაზდას ნებით ჩემმა ჯარმა გაანადგურა აჯანყებულნი...ამის შემდეგ ის კაცი, ვინც იყო იმ აჯანყებული ჯარის სარდალი, რომელიც ვახიაზდატამ გააგზავნა ვივანის წინააღმდეგ, გაიქცა მცირეოდენი ცხენოსნებით და მივიდა ციხესიმაგრეში, ცნობილი არშადად არახოზიაში. მაშინ ვივანა ჯარ-

ით გაემართა მის ნაკვალევზე, დააკავა ის და მისი ცნობადი მომხრეები და მოკლა ისინი...აი რა ვქენი არახოსიაში მე“ (იქვე)

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ „ბეხიხტუნის წარწერებში“ მოხსენიებული არახოზია სხვა არავინაა, თვინიერ იბერიისა! ფაქტია, რომ კაპიკანიშად წოდებული ციხე -სიმაგრე სინამდვილეში არახოზიაში-იბერიაში მდებარეობდა. აქვე მდებარეობს ადგილი სახელით განდუტავა... თუმცა მათი ადგილ -მდებარეობა ჩვენთვისა და ისტორიისათვის სამუდამოდ დაკარგულია. მაგრამ დაკარგული არაა ციხე სიმაგრე არშადა, სადაც აჯანყებულთა მხედართმთავარი აფარებდა თავს. გაუგებარიც კია, თუ როგორ შეძლო სპარსეთის სატრაპმა ვივანიმ მისი დატყვევება, რადგან წარწერებში მოხსენიებული არშადის ციხე დღევანდელი არშის ციხე უნდა იყოს, ხევსურთა აშენებული უღელტეხილზე. გაუგებარია რატომ ვერ გაიქცა მოჯანყეთა სარდალი ჩრდილოეთისაკენ, დღეს სტავროპოლის სტეპებად ცნობილ ადგილისაკენ...ციხე ნამდვილად ხევსურების აშენებულ ჩანს, რომლებიც იმ დროისათვის ამ ტეროტორიაზე მხოლოდ ნახევარი საუკუნის მოსულები ჩანან, მაგრამ მოგვიანებით ისინი, გურ -ასაკენების სახელით ცნობილი, დაამარცხა ალექსანდრე მაკედონელმა. ჩამოართვა მათ უკვე მისი იმპერიისათვის სტრატეგიულ ადგილას აშენებული ციხე - სიმაგრე და მის ერთგულ ილირიელ მოლაშქრეებს გადასცა. გადასცა საცხოვრებლად და იმპერიის ზურგის დასაცავად...მოგვიანებით ამ ხალხს აფხაზებად იხსენიებს არაბი მოგზაური და ისტორიკოსი მას'უდი ... და რასაკვირველია ეს კუთხე იმსახურებს კიდეც ამ სახელს, რამეთუ ტერმინი აფხაზი აფხალაზიდან, განაპირა ლაზიდან მოდის...და ის სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით საქართველოსათვის მართლაც აფხა-ლაზია, განაპირა ლაზი... გარდა ამისა, ისინი ზუსტად იმავე ტომის წარმომადგენლები ჩანან, რომლებიც ოდნავ მოგვიანებით დასახლდნენ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, დღევანდელი აფხაზეთის ადგილას ... და ეს სახელი, გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოშიც (სამი აფხაზეთის სამთავროა დაფიქსირებული აქ შუა საუკუნეების არაბი ავტორების მიერ) ზუსტად მათგანვე მომდინარეობს....

“ბაბილონელები მეორეჯერ გადამიდგნენ მე...აი რა გავაკეთე მესამე წელს მე: მას შემდეგ, რაც გავხდი მეფე, ელამის ქვეყანა აჯანყდა. ერთი კაცი, სახელით ატიმატა, მათ გახადეს მმართველად. ამის შემდეგ მე გავაგზავნე ჯარი ელამში. მან გაანადგურა ელამელები. ამის შემდეგ მე გავემაართე საკას ქვეყნაში, საკების წინააღმდეგ, რომლებიც ატარებენ წვეტიან ქუდებს. მას შემდეგ, რაც მივედი მდინარესთან, მე გადავლახე ის ტივებით, ამის შემდეგ მე გავწყვიტე საკები სრულიად“ (აქვე)

ეს აჯანყება, მოწყობილი დარიოს სპარსელის წინააღმდეგ უკვე რიგით მესამე ჩანს ელამში და არც უნდა იყოს გასაკვირი, ეს ვეებერთელა იმპერია ელამელი კაცის , განდხარვას, ქართველური ტომის ადამიანის, კიროსის შექმნილია, ახლა კი მავან სპარსელს ჩავარდნია ხელში...ერთი ესაა, ქართველური სატრაპიები ვერ ახერხებენ შეკავშირებას და ერთიანად გამოსვლას, ამ სპარსული უღლიდან განსათავისუფლებლად, თუმცა ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, მათივე ცხოვრების წესიდან გამომდინარე (56)

ისევ და ისევ ჯანყდებიან ქართველური წარმოშობის სატრაპიები, რომელთაც სპარსელის სუზერენობა არ უნდათ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ „ელამიტების“ სახელით ცნობილი ტომების გარდა ჯანყდებიან ერთი შეხედვით ნეიტრალური, ან სულაც სპარსული სატრაპიები, თუმცა „შტატიანი“ მოჯანყეების როლში მაინც ქართველური წარმოშობის სატრაპიები გვევლინებიან...და იმ „სპარსული“ სატრაპიის დასჯა, რომელიც აჯანყდა, საბოლოოდ ელამელი პრეტენდენტის დასჯით მთავრდება...

საინტერესოა, რომ იმ 23 სატრაპიიდან, რომელიც „მემკვიდრეობით“ ერგო სპარსელ დარიოსს, უმრავლესობა ქართველური, განდხარვული წარმოშობისაა. განდხარვულია შემდეგი სატრაპიებ: 1. ელამი-ქართების წინაპარი 2. ბაბილონი- ჭანების (შუმერების) წინაპარი, თუმცა საფუძვლიანად „აჭრელებული“ ქურთებით. 3. ეგვიპტე-ჯერ კიდევ კოლხური წარმოშობისა 4. ქვეყნები ზღვასთან-ეს ნამდვილად ფინიკია უნდა იყოს, ერთ- ერთი წამყვანი ქართველური ტომი 5. ლიდია-ეტრუსკთა სამშობლო, ფინიკიურ-მეიონური წარმონაქმნი 6. იონია-მცირე აზიიის იბერები 8. დრანგიანა-ზრანკა, კასპები, კახური ტომის წინაპარნი 9. ხორეზმი, იგივე კან-გოის ქვეყანა, მომავლის ლაზები, დღევანდელობის თურქმენები, 10. ბაქტრია - ასევე ქუშების ქვეყანა, ქართების სახლიკაცებისა, დღევანდელი უზბეკეთი 11. სოგდიანა-ასაკენთა ტომი, ფშავ-ხევსურთა სახლიკაცები, დღევანდელი ტაჯიკეთი, 12. საკა- შუმერები, დღევანდელი ყირგიზები 13. სატაგადიში- ეს გელების, ინგუშების და ტატების ქართველური ტომი ჩანს, ჩრდილო კავკასიაში და კასპიისპირად მცხოვრები 14. არახოზია - იბერია-ქართი 15. მაკა - მესხეთი, ჰეროდოტეს მიერ მოსხებად წოდებული...

ვერ ახერხებენ ეს სატრაპიები ერთობლივ პოლიტიკურ გამოსვლს, თუმცა მათ შორის გარკვეული კოორდინაცია რამდენიმე საუკუნის შემდეგაც შესამჩნევია ... და მაინც პოლიტიკურ - გენეტიკური კავშირები ერთობ დასუსტებულია...ათეული საუკუნის შემდეგ საერთოდ გამქრალი, რაც ბაქტრელ კუშის ტომს და ხორეზმელ კანგოის ტომს საქართველოზე პერმანენტულ თავდასხმასა და სისხლის ღვრაში ხელს უკვე ვეღარ უშლის... პირველ შემთხვევაში კოჭლმა თემურმა 8 -ჯერ (რვაჯერ!) დალაშქრა იბერია-

ქართი, ხოლო კან-გოი ჯალალ - ედ- დინმა, თვითონაც მტრისგან ოტებულმა - ორჯერ…

...ლექსიკა...

რთულადაა საქმე კუშიტურ ტომებთან ლექსიკასთან მიმართებით... ლინგვისტიკაში ჩათვლილია, რომ ყოველ ათას წელიწადში ტომი საკუთარი ლექსიკის 20-30% კარგავს, იცვლის...იცვლის რასაკვირველია მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის პროცესში და ამას რასაკვირველია ცალმხრივი მიმართულება არ და ვერ ექნება...ის რომ მავანი ქართული სიტყვა ემთხვევა თურქულ, სპარსულ თუ არაბულ სიტყვას, ვერ იქნება მტკიცებულება იმისი, რომ ეს სიტყვა ქართულს შეთვისებული უჩანს სხვა ენებისაგან და არა პირიქით ... ქართველურ ტომებზე საუბრისას ჩვენ დავამტკიცეთ, რომ ისინი ქვეყნიერების საკმაოდ დიდ ნაწილზე ოპერირებენ (და ჯერ ყველაზე არც გვისაუბრნია)...მოვიტოვებ ელამიტების ენას ბოლოსათვის (ჯერჯერობით ამ საკითხზე მუშაობა მხოლოდ დავიწყე) და სხვა კუშიტურ ენებზე გადავერთობი...ზემოთ ვილაპარაკეთ, რომ ეთიოპიას XVIII -XX საუკუნის დიაპაზონში ენა სრულიად ნაცვალი აქვს, კუშიტურიდან გადასული არიან ამხარულ ენაზე და ამ მიმართულებით საძიებო არც არაფერია...

...მაგრამ არსებობს შუა აზიის სამი სახელმწიფო, სადაც კუშიტური ენის გარკვეული ნიშნები აშკარად შესამჩნევია. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ალექსმდრე მაკედონელის ლაშქრობისას, ქრისტემდე IV საუკუნეს შუა აზიის ტერიტორიაზე თურქები ან მონღოლები არ ფიქსირდება, ისევე როგორც სპარსელები...უფრო მეტიც, ქრისტესით VII-VIII საუკუნეს, დიხისტანის (დღევანდელი თურქმენეთის ნაწილი) ტერიტორიაზე სუზერენის რუზბან სულის გარნიზონის ძირითად ძალას უკვე ოგუზი თურქები შეადგენენ...საერთოდ, შუა აზიაში მათი ზეობა კი ქრისტესით X-XI -საუკუნიდანაა და ენების ურთიერთზემოქმედებაც აქიდან იწყება...ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში ცალკეული სიტყვები კატეგორიებად შეიძლება დავყოთ:

I კატეგორია: სიტყვები, რომელიც ქართული, თურქული და შუა აზიის ერებისათვის ფაქტიურად საერთო ჩანს. ასეთ შემთხვევაში მათი რომელიმე-ცალკე ერისათვის მიკუთვნება პრობლემატიურია. შუა აზია დამატებული საქართველო რიცხობრივად ნამდვილად არ ჩამორჩება ირანს ან თურქეთს, რომ მას არავითარი გავლენა არ მოეხდინა ამ უკანასკნელებზე... ვიმეორებ, ენები ურთიერთმოქმედებენ ერთმანეთზე და მას ცალმხრივი მოძრაობა ნამდვილად არ ახასიათებთ.

II კატეგორია:სიტყვები, რომლებიც უფრო მეტწილად ფიგურირებან ქართველურ და შუა აზიურ ენებში და ასევე ერთ-ერთ უცხო, ირანულ ან თურქულ ენებში. აქ უფრო ქართველური ენის პრიორიტეტი უნდა იკვეთებოდეს, თუ გავითვალისწინებთ რომ შუა აზიური ენები სინამდვილეში კუშიტურ ფუძეზე უნდა იყოს დაფუძნებული: ხოსრო ანუშირვანის გამეფებისას, ქრისტესით VI საუკუნეს არაბი და ირანელი ავტორების მიერ აღნიშნულია, რომ პატივისცემის გამოსახატავად ეახლნენ კუშანთა მეფეები და მიულოცეს გამეფება...ეს კუშანი მეფეები სხვა არავინ არ შეიძლება ყოფილიყო, თვინიერ შუა აზიის მეფებისა, რომლებიც სინამდვილეში კუშანურ ტომებს წარმოადგენდნენ...

III კატეგორია: სიტყვები, რომელიც მხოლოდ ქართველებს და შუა აზიის კუშანურ ტომებსღა მოეპოვებათ...შესაბამისად, ეს სიტყვები საერთო ქუშანური სიტყვებია, რომელიც ქართველურმა ტომებმა ელამაიდიდინ და სუზიდან წამოიღეს ქრისტემდე XXV საუკუნეს, ხოლო შუა აზიის კუშანურმა ტომებმა ქრისტემდე XVI საუკუნეს და ამავე საუკუნეებს უცვლელად, ან მცირე ცვლილებებით გამოატარეს ჩვენამდე...

ალია-ბალია ქართული და ალაი-ბალაი უზბეკური, ერთი და იმავე და იმავე, ქუშის ტომის სიტყვაა, ათეულობით საუკუნეს გამოტარებული...

ანდაზა - ეს სიტყვაც მისი ერთნაირი მნიშვნელობით, ქართულ და უზბეკურ ენებსღა მოეპოვებათ დედამიწის ზურგზე...

არზა-ერთია ყველა კუშიტური ტომისთვის, როგორც ქართულის, ისევე უზბეკური, ტაჯიკური თუ თურქმენული-სინამდვილში კან-გოის ტომისათვის.

აზირ - ალბათ ასე მოხდება, უფრო ქალაქური სლენგი და თითქმის იგივე სიტყვა უზბეკურში, იგივე მნიშვნელობით-ბაზურ...

ადამიანი-ქართულში და ოდამი ტაჯიკურში...

აშიკი - ქართულში და იგივე სიტყა იმავე მნიშვნელობით, თურქმენულში...

...და ალბანურში, ევროპის ალბანურში...

აფხაზი- ტაჯიკურ ენას შენარჩუნებული უჩანს მნიშვნელობა ალბანი...ცხადია ის სხვა შუა აზიურ სახელმწიფოებშიც ასევე უნდა ყოფილიყო.

ბაითალმანი-ქართულში ის უპატრონო პირუტყვს ნიშნავს...და ჰოი საოცრებავ, ბაითალმონი უპატრონო პირუტყვს ნიშნავს...უზბეკურ ენაზე.

ბარაქა- ამავე მცნებას ამავე სიტყვით გამოხატავს უზბეკური ენაც, სადაც ასო ქ-ს ასო კ ცვლის. ცხადია ეს უძველესი ქართული სიტყვაა, ჯერ კიდევ ელამიტებიდან წამოსული- ბარაკუთ ტაჯიკურში...

ბარქაშ-ეს სიტყვა ხის გობს ნიშნავს, რომელიც დედა ქართულს გობად, ღრმა თეფშად უჩანს, ინარჩუნებს მეგრული დიალექტი სრულიად და

...უზბეკურიც...

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	თურქმენ-ული
ადათი	ადატ		ოდატ	ოდატ	ადატ
ალამი	ალემ.არაბ				
არხი	არკ				
აზატი	აზატ				აზატ
არამზადა			ხარამზადა		
ალია-ბალ-ია			ალაი-ბალ-აი		
ანდაზა			ანდაზა		
არაყი		არაკ	არაკ	არაკ	
არზა			არზ	არზა	არზ
აფსუს			აფსუს	აფსუს	
აჰა			ახა		
აზირ			ბაზურ		
ალჩუ-კოჭ.				ოლჩი	
ადამიანობა				ოდამატ	
ადამიანი				ოდამი	
აშიკი					აშიკი
აფხაზი				ალბანი	
ბაჟი	ბაჯ				
ბადია	ბადია				
ბაღი	ბაღ	ბაღჩა			ბაღ
ბათილი	ბათილ	აბათილ			
ბაიყუში	ბაიკუშ			ბაიკუშ	ბაიკუშ
ბაირაღი	ბაირაკ			ბაირაღი	
ბადრი	ბედირ			ბადრ	
ბარათი	ბერატ				
ბუღა	ბიგა				ბუგა
ბოღჩა	ბიღჩა				ბუკუჟა
ბურღი	ბურგ				
ბადალი		ბადალ	ბადალ	ბადალ	
ბაითალმა-ნი.უპ.პირუ.			ბაითალ-მონ		
ბარქაშ.მეგრ			ბარკაშ		
ბრჭყალები		ჩანგალ	ჩანგალ	ჩანგალ	
ბრიყვი					აბდალაჰ
ბაგა.პირუტ					ახორი
ბურჯი		ბორჯ			ბორჯ
ბუკი					ბუყ
ბეითალი					ბეითარ

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	ტურქმენ-ული
ბალღამი					ბალღამ
ბუზღუნი			ბუზგუნ		
ბოსტანი		ბოსტან			ბისან
ბადასლი		ბედასლი		ბედასლი	
ბარი-ბარში				ბარო-ბარ	
ბალიში				ბოლიში	
ბუ				ბუშ	
ბულბული			ბულბულ	ბულბული	ბულბულ
განძი		განჯ	განჟ	განჩი	
გალა.ფრინვ			გალა	გალა	
გიჟი.ცხენი			გიჟინგ		
გურზი.			გურზ	გურზ	გურზ
განწყობა			კაიფ		
გემი					გემი
გუმანი	გუმან				
გავაზი				გავაზნ	
გირაო				გირავ	
გაჯი		გაჩ		გაჩ	
გოგირდი				გუგირდ	
დოვლათი			დავლატ	დავლატ	
დასტა.კარტ			დასტა		
დევი	დევ	დივი	დევი		დოვ
დუმა.ცხვრ			დუმბა		
დუნია			დუნე		
დუქანი			დუხონ		
დოსტობა			დუსტალოგ		
დაღი	დაგ	დაღ			დაღ
დავა	დავა				ჟენჟელ
დასტური	დესტრჯ			დასტურ	
დარდ		დარდ		დარდ	
დაშნა		დაშნა		დაშნა	
დინჯი					დინჩი
დურაჯი	დურაჯ				
დაუმორჩი-ლებელი	სარკეზ				
დალაქი		დალაქ			
დუქარდი		დუქარდ			
დარაჯი					დარაი
დაირა					დაირა

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	თურქმენ-ული
დაბარი		დაბაღ			
ვეფხვი	ყაფლან				იულ-ბარს
ვადა.ხმლ.	ვადე				
ვერან	ვირან				
სათლი		სათლ		სატილ	
ვარამი		ვარამი		ვარამი	
ვარაყი		ბარაყ			ბარაყ
ზანდუკი				სანდუკ	
ზარული		ზარურ			
ზერდაგი				ზარდრანგ	
ზანგი		ზანგი	ზანჟ		
ზარალი	ზარარ			ზარარ	
ზარაფხანა	ზარაფხანა				
ზიანი	ზიანი				
ზინეთი	ზინეთ			ზინეთი	
ზურნა	ზურნა				
ზონარი	ზუნნერ	ზონარ			
თანამეინახე			ნადიმი		
თარჯიმანი			თარჯიმა		თარჟიმე
თასმა			თასმა	თასმა	თასმა
თანგი.ტოლ			ტენგ		
თილისმა			თილისმ	თილისმ	
თუნუქი		თონაქეჯ	თუნუკა	თუნუქა	
თოხლო			თუხუმ		
ფილადი	ფულიატ	ფულიად			
რაფა	რაფ				
თურქი		თორქი			
თაყვანი		თაყვა			
თუთა		თუთ			
თეჯირი		თეჯიში			
თალხი		თალხ			
თამადა				თამადა	
თარხანი.თავ-ისუფალი		თარხანი.მ-მართველი	დარხონ		თარხონ
თარიღი		თარიხ			ტარიხ
თხრილი				ხანდაკ	
იარა-ჭრილ.	იარა		იარა	იარა	იარა
იხვი				ბატ	
მაწონი	იოგურტ				

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	თურქმენ-ული
იარაღი	იარაკ				იარაღი
იალაღი	იალაკ				
იალქანი		იალქან			
იაბო-ცხენი				იაბუ	იაბი
კალამი	კალემ		კალემ	ყალამ	
კანდელი	კანდილ	ჩირაღდან		ყანდილი	კანდილი
კლიტე	კლიტ				
კოზაკი	კოზაკ				
კოშკი			კასრი	კუშკ.კასრ	კოშკ
კარიბჭე	დერ		დარა		დერ
კლდეკარი	დერბენდი		დარბანდ		დებენტ
კანონი					კანენ
კაფია.ლექსი					კაფია
კამეჩი				გოვმეშ	
კაჩა.გაღუნუ.				კაჩა	
კაცი				კას	
კანაფი				კანობ	
კურკუმა,დოქ				კუმკუმა	
ლაშქარი	ლეშკარ		ლაშკარ	ლაშკარ	
ლეში	ლეშ				ლეშ
ლეკი	ლეზგი				ალბან
ლუკმა	ლოკმა.არა,		ლუკმა		
ლაზღანდარა					ანგალი
ლეგენდა					ლეგენდა
ლახტი		ლახთ			
ლაქლაქი		ლაქლაქ			ლაქლაქ
ლამფა	ლამბა	ლამფა			
ლავაში					ლავაშ
მამა	ბაბა	ბაბა		დადა	პაპა
მტერი	დუშმან		დუშმან	დუშმან	
მძავრი				ზორავარ	
მამაცი.ძლიე		ზურ		ზური	
ვაჟკაცი				მარდი	
მიზეზი				საბაბ	
მთვარე		ყამარ		ყმარ	კამარ
მამაკაცის.ასო		ჩორ			
მგელი		გურგ		გურგ	გურგ
მდიდარი			ბადავლატ		

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	თურქმენ-ული
მასლაათი		მასლაჰათ			
მადანი		მადან			
მავთული		მაფთულ			
მონა		მამლუქი			
მაყალი		მანყალ			
მსახური		ნოუქარ			
მუშტარი		მოშთარ			
მონა.ქალი	ესირე	ასირ.რჩეუ-ლი	ესირ-ქვრივი		ასირი
მზადყოფნა	ხაზირ		ხაზირ	ხეაზირ	ხაზირ
მოხ.ხორცი	ხაშლამა				
გოროზი		გორაზ			
მუშტარი.კლ		მოშტარ			
მოაჯირი		მოჰაჯირ			
მცველი		რუზბან			
შედარება			ნუსხა		
მაგრამ			მაგარ	მაგარ	
მანძილი			მანვილი		
მასხარა	მასკარა		მასხარა	მასხარა	მასხარა
შერცხვენილ.			მასხურ		
მურაბა		მურაბბა	მურაბა		
მუშტი		მოშთ	მუშტ	მუშტ	
იუპიტერი	მუშტარ	მიშტარ	მუშტარ	მუშტარი	მოშთარი
მოთქმა					ზარ
მიხაკი					მიხაკ
მარიფათი	მარფეთ				
მაშა	მაშა				
მუთაქა	მუთაქა	მოთაქა			
მარმელადი	მურაბა				
ნაჯახი	ნაკაკ	ნაჩახ			
ნალი	ნალ	ნალ		ნალ	ნალ
ნალბანდი	ნალბანდ	ნალბანდ			
ნაღდი	ნაკდა.არაბ	იარმაყ		ნაკდა	ნაკტ
ნაზი	ნაზ	ნაზი			ნეზ.კაპრი
ნამი	ნემ	ნემ-ნამ			
ნუსხა	ნუსხა		ნუსხა	ნუსხა	
ნაჭერი.ფარჩა	ფარჩა	პარჩა			პარჩა
ნასწავლი		მირზა			
ნარინჯ		ნარინჯ			

ქართული	თურქულ	სპარსული	უზბეკური	ტაჯუკური	თურქმენ-ული
ნავი					ნავ
ნისანი.მიზ.		ნეშან	ნიშონ	ნიშონ	ნიშანა
ნაყში		ნაყშ	ნაყშ	ნაკშ	
ნათესავი		ყარიბი			
ნაღდი.ფულ	ნაკდა	ნაკდა		ნაკდა პულ	ნაკტ პულ
ოჯახი	ოჯახ	ოჯაყ.კერია			
ორო.ნკედი	სირმა				
ოჩანი.გაქირ.		გაჰგირ			
ოთახი					ოთაყ
ოლქი					ოლქა
ოინბაზი	ოინბაზ				
ჟინი			ჟინნი		
რბილი		ნაზიქ			
რაზმი		რაზმი		სამგზ.სამზ.	
რახტი					
რაზა	რიზე				
საათი	საათ				
საპონი	საბუნ	საბუნ			
სარდაფი	სარდაფ			სარდაფ	
სიყვარული	სევდა				
სოლი	სოლიე				
საინი	სინი				
სახე.სურათი				სურატ	სურატ
საბაბი		საბაბ	საბაბ	საბაბ	
სამყ.დასასრ		ახირ	ოხირ	ოხირ	ახირ
სუფრა					სუფრ
სეირნობა					სეირი
საზანდარი					საზანდარ
სადა.უბრალ					სადა
სძაგელი	მერეთ				
სანგარი		სანგარ		სანგარ	
სარქალი				სარვარდა	
საჯდ.ცხენი					არგამაკ
სიფათი					სიპატ
საპალნე	ფალანი	ფალანი			
ზანტი.ლენჩ				ლანჩი	
სარფა,მოგებ.				სარფა	
სუსტი.უღონ				სუსტ	

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	თურქმენ-ული
სწორი.გზა				ტახტი	
საზამთრო		ყარფუზი			
ტალღა	დალგა				
ტომი.გარი	ელ				
ტაბლა			ტაბლა		
ტახტი	ტახტ				
ტანი,ძროხ.				ტანა	
ტაშტი		თაშთ		ტაშტ	
ტაფა					ტაბა
უსტაბაში		უსსატ			უსსატ
უცებ		ლარსა			ლარსა
უნგრელი	მაჯარ				
უთო	ჰუთუ				
უზანგი	ჰუზანგი		უზანგი	უზაგუ	უზენნი
უნარი	ჰუნარ	ჰონარ			
ფარდა	ფარდე	ფარდე	ფარდა		
ფოლადი	ფულიატ	ფულად	პულატ		პოლატ
ფაჩუჩი	ფაბაუჩჩი				
ფაფახ	ფაფაკ	ფაფახ			
ფული	ფარა	იარმუყ		პულ	პულ
ფიალა					პიალა
ფირუზ		ფირუზ	ფირუზ		
ფანდი	ფენთ	ფანდ	ფანდ	ფანდ	
ფიქრი	ფიქირ.არაბ			ფიკრი	პიკირ
ფალავანი					პალვან
ფარვანა		ფარვანე			პერვანა
ფანჯარა		ფანჯარე			პანჟარე
ფიანდაზი					ფიანდაზ
ფული		½ შაური			
ფულ.გადას.		ფულბეჰ			
ფულის გამ-ომძალველი		ფულბეგის			
ფულ.ხარბი		ფულფარს			
ფულ.ძუნწი		ფულჯამ			
ფულიანი		ფულდარ			
ფეშქაში		ფეშქეშ			
ფარფარ.ფრ-თების ქნევა		ფარფარ			

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	თურქმენ-ული
ქამარი		ქამარ			კემურ
ქისა					კისე
ქუჩა				კუჩა	
ქაფჩა		ქაფჩე		ქაფჩა	
ქსოვილი		სატინი			
ქლიავი					ალუ
ქარავანი		ქარავან			
ქამანდი		ქამანდ			კამანდ
ღია.წითელ		ყირმიზ			ალ
ღაბაბი		ღაბღაბ			
ყალბი.ცრუ		ყალიბ		ყარიბ	
ყლუპი				ყულიტ	
ყალიბი				ყოლიბ	
ყადმი.ფუძ.				ყადიმ	
ყაბზობა		ყაბეზ			
ყასიდად		ყასედან			
ყარიბი	გარიფ				
ყმა	სერფ				
ყაბული		ყაბულ			კაბულ
ყირმიზი	კირმიზ			ყურმეზ	
ყისმათი	კისმეტ		კისმეტ	ყისმათი	კისმატ
ყასაბი		ყასაბ			
ყუთი	ყუთუ	ყუთ			
ყოჩი	ყოჩ				
ყაირათი				ხაირატ	
შენ.მიმართ	შენ				
შალი	შალ			შოლ	შალ
შარვალი	შალვარ				
შერცხვენილ.			მასხურ		
შემოსავალი				დახლ	
შიშაქი			შიშაკ		
შეგირდი			შოგირდ	შოგირდ	შოგირდ
ჩინარი		ჩინარ	ჩინორ		
ჩიტი	კუშ		კუშ		
ჩირდი-ბირდი			ჩირტ-ბირტ		
ჩანთა		ჩანთუ			
ჩარჩი	ჩარჩ	ჩარჩ			
ჩოგანი	ჩეგგან	ჩოუგან			

ქართული	თურქული	სპარსული	უზბეკური	ტაჯიკური	თურქმენ-ული
ჩამჩა	ჩიომჩ			ჩუმჩა	
ჩული.ცხენ.	ჩული				
ჩუმი				ჩიმ	
ჩარხი		ჩარხ		ჩარხ	ჩარხ
ჩაფარი		ჩაფარ			
ჩალვადარი		ჩარვადარ			
ჩემოდანი		ჩამდან			
ჩექმა		ჩექმე			
ჩაქუჩი	ჩოქუჩ				
ჩოდარი			ჩორვაჩ		
ძღვენი				თავან	
თათბირ	ტაკბირ				თედბირ
ბათმანი					ბათმანი
წყლის.ბუღ.	ბუღი				
ჭიდაობა				ჩადალი	
ხაზინა			ხაზინა	ხაზინა	ხაზინა
ხელსეკრუ-ლება			ახდნომა		
ხალათი			ხალიატ		ხალიათ
ხურდა	ხორდა	ხორდა		ხურდა	
ხეობის გას-ასვლელი			დარა		დარ. დერ-ბენტ
ხალი		ხალყ			ხალ
ხალასი					ხალას
ხალისი					ხალის
ხორთუმი		ხორთუმი			ხორთუმ
ხალხი	ხალკ	ხალკ	ხალკ	ხალკ	ხალკ
ხანჯალი	ხანჯერ	ხანჯარი	ხანჯარ	ხანჩარ	ხანჯარი
ხეირი					ხაირ
ხარჯი	ხარჯ	ხარჯ	ხარჟ	ხაჩი	ხარჩ
ხურჯინი	ხურჯ				ხორჟუნ
ხამუში		ხამუშ			
ჯადოქარი		ჯანდუგარ			
ჯავშანი		ჯოუშან		ჩავშან	
ჯაშუში		ჯასუს			
ჯანსაღი		ჯანსაღ			
ჯიქი	ბაბრ	ფალან		ბაბრ	ფარს
ჯიხვი					ტეკე
ჯიგარი				ჩიგარ	

ბეითალი-საქონლის ექიმი, თურქმენულს ბეითარად უჩანს შემონახული.
ბალღამი-ლორწო, ამავე მნიშვნელობით შემონახული აქვს თურქმენულს.
ბუზღუნი-უკმაყოფილების ჩუმი გამოხატვა ქართულში...ბუზგუნი- უკმაყოფილების ჩუმი გამოხატვა უზბეკურში...სიტყვა, რომელიც ათასს გადაწონის.
ბარი-ბარში, ბარო-ბარ-ად აქვს შენახული ტაჯიკურს.
ბალიში-ბოლიშათ იმავე ტაჯიკურში
ბუ-ბუშ იმავე ტაჯიკურში
ბულბული- სამივე შუა აზიურ სახელმწიფოს ასევე აქვს შემონახული.
გიჟი ცხენი-გიჟინგ უზბეკურში.
გალა -ამ სიტყვის მნიშვნელობა ქართულს ნაწილობრივ უკვე დაკარგული უჩანს, ფაქტიურად აკონილ და შესანახავად გამზადებულ ხახვს აღნიშნავს, თუმცა შუა აზიის სამივე სახელმწიფოში ჩიტების ჯგროს ნიშნავს...
გურზი -საბრძოლო ურო, ამავე მნიშვნელობით და ამავე სიტყვით შემონახული აქვს სამივე შუა აზიურ სახელმწიფოს.
კაიფი-ეს სიტყვა ზუსტად იმავეს ნიშნავს უზბეკურ ენაზე.
გემი-გემია თურქმენულში.
გავაზი - ფრინველად და ირმის რქის ძირად აქვს საბას ნათარგმნი, მაგრამ მგოსანს ...და მოქნეული გავაზივითა-ის ირმის მნიშვნელობით უჩანს ნახმარი...ისევე, როგორც ტაჯიკურს.
გირაო-გირავია ტაჯიკურ ენაზე.
გოგირდი-გუგირდ ტაჯიკურში
დუმა ცხვრისა-დუმბა უზბეკურად.
დუნია,სამყარო-დუნე უზბეკურად.
დუქანი-დუხონ უზბეკურად და დუკან თურქმენულად.
დოსტობა, მეგობრობა-დუსტალოგ უზბეკურად, დოსტ-მეგობარი თურქმენულად
დასტური-დესტრი ტურქულად, მაგრამ დასტურ ტაჯიკურად.
დაშნა - ქართულად და ხევსურულად, იგივე სპარსულად და ტაჯიკურად, ძნელი გასარკვევიც კი არის, სპარსულია თუ ხევსურულ-ტაჯიკური...
დინჯი-დინჩი თურქმენულში.
ზანდუკი-სანდუკ ტაჯიკურად.
ზერდაგი ცხენი-ზარდრანგი ტაჯიკურად
თანამეინახე-ნადიმი...
თარჯიმანი-თარჟიმა უზბეკურში, თარჟიმე ტაჯიკურში.
თასმა-ზუსტად იმავეს ნიშნავს სამივე შუა აზიურ სახელმწიფოში.
თანგი, ტოლი-ტენგ უზბეკურად.
თილისმა-თილისმ უზბეკურში და ტაჯიკურში.
თუნუქი-თუნუკა უზბეკურში და ტაჯიკურში

თოხლო კვერცი-თუხუმ უზბეკურად.
თამადა-თამადა ტაჯიკურად.
თხრილი-ხანდაკ ტაჯიკურად.
იარა, ჭრილობა-ასევეა სამივე შუა აზიურ სახელმწიფოში და თურქეთშიც.
იხვი-ბატი ტაჯიკურად.
იაბო, ცხენი- იაბუ ტაჯიკურად, იაბი თურქმენულად.
კოშკი, კასრი ლეონტი მროველთან, სახლი მომცრო სულხან-საბასთან, კუშკ-კასრი ტაჯიკურში, კოშკ თურქმენულში.
კანონი-კანენ თურქმენულში
კაფია, ექსპრომტი ლექსი-კაფია, რიტმა თურქმენულში.
კამეჩი-გოვმეშ ტაჯიკურში.
კაჩა, გაღუნული მეგრულად-კაჩა ტაჯიკურად.
კაცი-კას ტაჯიკურად.
კანაფი-კანობ ტაჯიკურად
ლეკი-ალბანი თურქმენულად
ლაზღანდარა-ანგალი თურქმენულად.
ლეგენდა-ლგენდა თურქმენულად.
მძლავრი-ზორავარი ტაჯიკურად
მამაცი, ვაჟკაცი-მარდი ტაჯიკურად
მიზეზი-საბაბ ტაჯიკურად.
მამაკაცის ასო-ჩორ სპარსულად
მაგრამ-მაგარ უზბეკურად და ტაჯიკურად.
მანძილი-მანვილი უზბეკურად.
მასხარა-მასხარა უზბეკურად, ტაჯიკურად, თურქმენულად და თურქულად.
მუშტი-მუშტ უზბეკურად და ტაჯიკურად, მოშთ სპარსულად
მოთქმით ტირილი, ზარი-ზარ თურქმენულად.
ნაწყენი, ჩასაფრებული-ალამზადა უზბეკურად
ნავი-ნავ თურქმენულად.
ნაღდი ფული-ნაკდა პულ ტაჯიკური და ნაკტ ფულ თურქმენული...
ოთახი-ოთაყ თურქმენული.
ოლქი-ოლქა თურქმენული.
ჟინი-ჟინნი უზბეკურად.
რახტი, დარახტული ცხენი-თურმე სამგზავროდ გამზადებულს ნიშნავს ტა-ჯიკურ ენაზე...თვით სულხან საბასაც არ ცოდნია უკვე...
სურათი-სურატ ტაჯიკურ და თრქმენულ ენებზე.
სამყაროს დასასრული-ოხირ უზბეკურ და ტაჯიკურ ენაზე, ახირ-თურქმენ-ულ და სპარსულ ენებზე...ოხერი-ნანგრევები ქართულში.
სუფრა, მაგიდის-სუფრ თურქმენულად.

სეირნობა-სეირი თურქმენულად.
სარქალი-სარვარდა ტაჯიკურად.
საჯდომი ცხენი-არგამაკ თურქმენულად.
სიფათი-სიპატ თურქმენულად.
სიზანტე, ლენჩი-ლანჩ ტაჯიკურად.
სარფა, მოგება-სარფა ტაჯიკურად.
სუსტი, უღონი-სუსტ ტაჯიკურად.
სწორი, ტახტივით გზა-ტახტ ტაჯიკურად.
ტაბლა-ტაბლა უზბეკურად.
ტანი ძროხის-ტანა ტაჯიკურად.
ტაფა-ტაბა თურქმენულად.
უზანგი- უზანგი უზბეკურად, უზანგუ ტაჯიკურად, უზენნი თურქმენულ-ად, ჰუზანგი თურქულად.
ფული- პულ ტაჯიკურად და თურქმენულად, ფარა თურქულად, იარმუყ სპარსულად.
ფალავანი-პალვან თურქმენულად.
ფიანდაზი, იატაკის ფარდაგი-ფიანაზ თურქმენულად.
ქისა-კისე თურქმენულად.
ქუჩა-ტაჯიკურად.
ალუბალი-ალუ თურქმენულად
ყლუპი-ყულიტ ტაჯიკურად.
ყალიბი-ყოლიბ ტაჯიკურად.
ყადიმი, ფუძე-ყადიმ ტაჯიკურად.
ყაირათი, სარგებელი-ხაირათ თურქმენული.
შერცხვენილი-მასხურ უზბეკური
შემოსავალი-დახლ ტაჯიკური
შიშაქი, ცხვარი-შიშაკ უზბეკური
შეგირდი-შოგირდ უზბეკურ და ტაჯიკურ ენებზე, შეგირტ თურქმენულზე.
ჩირდი-ბირდი-ჩირტ-ბირტ უზბეკურად.
ჩუმი, წყნარი-ჩიმ ტაჯიკურად.
ჩოდარი, პირუტყვით ვაჭარი-ჩორვაჩი უზბეკურად.
ძღვემი-ტავანი უზბეკურ ენაზე
წონის ერთეული ბათმანი-ბათმანი თურქმენულ ენაზე.
ჭიდაობა, ჭიდილი-ჩადალ ტაჯიკურ ენაზე.
ხაზინა-ხაზინა უზბეკურ, ტაჯიკურ და თურქმენულ ენებზე.
ხელშეკრულება-ახდნომა უზბეკურ ენაზე, შესაბამისად პირობის შესრულე-ბის აუცილებლობას მიუთითებს.
ხეობის გასასვლელი-დარა უზბეკურ ენაზე, დერბენტ თურქმენულ ენაზე.

ხალი-ხალ თურქმენულ ენაზე.
ხალასი, მინარევების გარეშე-ხალას თურქმენულ ენაზე
ხალისი-ხალის თურქმენულ ენაზე.
ხეირი-ხაირ თურქმენულ ენაზე.
ხურჯინი-ხორჟუნ თურქმენულ ენაზე, ხურჯ თურქულად.
ხმაურის ატეხვა-დაფდაფა უზბეკურ ენაზე.
ჯიხვი-ტეკე ტურქმენულ ენაზე.
ჯიგარი-ჩიგარ ტაჯიკურ ენაზე.

აი ასეთია თვალის ერთი გადავლებით ნაპოვნი სურათი ქართულ და შუა აზიის სამი სახელმწიფოს ენებს შორის ...რასაკვირველია ვერ მექნება პრეტენზია სულხან საბასეული ლექსიკონის და შესაბამისად ქართული ენის სრულყოფილი ცოდნისა -მეც ალბათ ყოველდღიური ქართული ვიცი და ოდნავ მეტიც...საერთო სიტყვების რიცხვი გაცილებით მეტი უნდა იყოს, თუ ამ ენების ლექსიკონებს სრულყოფილად შევადარებთ...გარდა ამისა, მე იგნორირება გავუკეთე იმ სიტყვებს, რომლების ქართველურს საერთო აქვს არაბულთან, თურქულთან და ირანულთან... ნუ შეგვბოჭავს ქართველი ხალხის მცირერიცხოვნობის სინდრომი, უამრავი ჩვენი რასის, ქუშიტების წარმომადგენელი აქვთ ასიმილირებული იმავე არაბებს, თურქებს და ირანელებს საკუთარ წიაღში...სამივე ერი ერთად, რაოდენობრივად ქუშიტური რასის მხოლოდ ნაწილს თუ შეადგენენ ... მაგრამ ამჯერად მხოლოდ შუა აზიის სახელმწიფოებზე ვსაუბრობთ. ამ ხალხებს ჩაღატას ულუსი ჰქვია, და მხოლოდ იმიტომ, რომ მონღოლების მიერ დაპყრობილი მიწების განაწილებისას შუა აზია ჩაღატა ნოინს ერგო ... აქედანაა მათი ეს სახელიც...მკითხველს შევახსენებ, რომ თემურ-ლენგის მოლაშქრეები და შესაბამისად დამპყრობლები ჩაღატაურ ენაზე საუბრობდნენ და რასაკვირველია ის თურქული არ იყო (ჯერ კიდევ არ იყო)

VII-VIII საუკუნეს რუზბან სული (სულის კარის დარაჯი) არაბებს თორქების - თურქების ძალით ებრძოდა (მისი გარნიზონის უმრავლესობას ზუსტად თურქები წარმოადგენდნენ, იმავე თორქებისაგან უთანხმოების გამო წამოსულები). ფაქტიურად თურქები იყვნენ დიდოელებიც, რომლებმაც იბერიას შემოაფარეს თავი და მედგრად ებრძოდნენ ალექსანდრე მაკედონელის ჯარებს მცხეთის მახლობლად, სარკინეთში. შესაბამისად, თურქული ენა შუა აზიის სამეფოებშო XI საუკუნიდან პრივალირებს, მაგრამ დომინანტი ენა XIV საუკუნეშიც არ იყო...თურქ მოგზაური ევლია ჩელები „ჩაღატაური“ მელოდიური ენის მსმენელი 1667 წელსაც გახდა…და ვინ ვისგან შეითვისა ცალკეული სიტყვები, რბილად რომ ვთქვათ საკამათოა, შესაბამისასდ ეს სიტყვები არც კი განმიხილავს, თუმცა საერთო სიაში ფიგურირებენ...

რაც შეეხება დანარჩენ მიმართულებებს ცენტრალური ევროპისაკენ, თუ აფრიკისაკენ, ხელშესახები ენობრივი მასალა მიზეზთა და მიზეზთა გამო ქუშიტების შესახებ უკვე უკვე ძნელი მოსაპოვებელია ... რაც შეეხება ცენტრალურ და ჩრდილო ევროპას, აქეთ ქუშების აქტივობა არაა შესამჩნევი (თუმცა ეს მის მონაწილეობას ცენტრალური და ჩრდილო ევროპის დასახლებისაკენ არ და ვერ გამოირიცხავს)...მაგრამ თარხონობა (სამხედრო მეთაურობა) უფრო სხვა ტომისაკენ ჩანს გადანაცვლებული... ამ შემთხვევაში თარხონის როლში გელების ტომი გვევლინება...

გელები

ამ დორიული ტომის შესახებ ჩვენ ჰეროდოტესაგან ვგებულობთ... როგორც ჩანს, ამ ხალხის შედარებით გვიანდელი სახელი მცირე აზიაში ბერძნული ლიკია და ლიკაონია უნდა იყოს, შესაბამისად „მგლები“და „სამგლეთი.“ მიუხედავად კოლოსალური ინფორმაციის ფლობისა, თავად ჰეროდოტეც ვერ მიმხვდარა, რომ მცირე აზიაში მცხოვრები ლიკიელები, სიცილიაში მცხოვრები გელონები (ქალაქ სირაკუზიდან) და მის მიერვე დაფიქსირებული გერები - გელონები დასავლეთის სკვითიიდან, ფაქტიურად ერთი და იმავე გელების ტომის წარმომადგენლები არიან, დროის მიერ დაცილებული ერთმანეთს...პირველად გელები განდხარვთა, ქუშიტთა მასასთან და მათშივე მიგრირდებიან ინდოეთიდან სპარსეთის ყურეში სახხმელეთო გზით.. .სხვები ფინიკიელებთან-მეიონებთან, კურეტებთან-ასაკენებთან და გელებთან-ლიკიელებთან (...ერთ ინკოგნიტო და სხვა ტომებთან) ერთად „ზღვის ხალხების“ მეორე მიგრაციულ ტალღას წარმოადგენენ, ქრისტემდე XV საუკუნეს.

„ამრიგად, მთების ერთ ნაწილს იკავებენ ფრიგიელები, მეორე ნაწილს მისიელები და ლიდიელები, მესამეს კარიელები და იონიელები ... შემდეგ მოდის ჰირკანიის ვაკე, სპარსელები ასე უწოდებენ მას და გამოიყვანეს აქედან კოლონისტები“ (სტრაბონი, წიგნი XIII, IV-12-13)

სტრაბონის მიერ აღნიშნული ადგილი ლიდიელების, იონიელების და ფრიგიელების მეზობლად, ეს დღევანდელი თურქული ქალაქ კონიიდან სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს, და როგორც ჩანს ჰირკანების ტომის ადრეულ საცხოვრისს წარმოადგენს... ზუსტად ეს ადგილი უნდა წარმოადგენდეს ჰირკანთა ადრინდელ ნაკვალევს, სანამ სკვითების პირველი დევნის პროცესში კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ქრისტემდე XVI საუკუნეს და შემდგომი აქვე დაფუძნებით არ აღინიშნა....აქედანვე უნდა იყვნენ გელების ის ნაწილი, რომელიც სკვითთა უკრაინული ნაწილის დევნისას საკების მიერ, უკვე ქრისტემდე VII საუკუნეს, სკვითებსავე გაყვნენ თავად სკვითია - ბუდინების საზღვრებამდე და აქ დამკვიდრდნენ (სწორედ მათ შესახებ საუბრობს ჰეროდოტე და მათ გეროსის მხარედ, გელებად სახელდებს) ხოლო ნაწილი არ მიყვება სკვითებს ბოლომდე და ჩრდილო კავკასიაში მკვიდრედება (ისტორიაში ისინი ბორკანიად- ასტიაგეს მიდიელის პატიმრობის ადგილად არის მოხსენიებული)

რაც შეეხება ჰირკანების მომთაბარეობას, აქ სტრაბონი ტრადიციულად უნდა ცდებოდეს: როგორც წინა მასალიდან ვიცით, კასპიის ზღვის სამხრეთ - აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ჰირკანები არ წარმოადგენენ სპარსელების (იგულისხმება მეფე კიროსი) დროს ამოყვანილი კოლონიას.

მკითხველს უკვე მოეხსენება, რომ ისინი მეფე კიროსამდე მთელი ათეული საუკუნოთ ადრე განსახლდნენ კასპიის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე (გარდა მცირეოდენი ნაწილისა, რომლებიც კიროსის უშუალო მხარდამჭერები ჩანან და ასევე იხსენიებიან ანტიკურ მწერლებთან)...რაც შეხება მათ არყოფნას მცირე აზიის ტერიტორიაზე, ისინი აქ სრულიად სხვა სახელს, ლიკიასა და ლიკაონიის სახელით იხსენებიან, რომელთა თარგმნა სპარსულ ენაზე ზუსტად ჰირკანებს იძლევა). გელების ათხელება მცირე აზიაში, ევროპისაკენ მიგრაციის შედეგია: ერთ შემთხვევაში დღევანდელ სამხრეთ ევროპაში, საბერძნეთში (ყოფილ კოლხეთში) ხოლო მეორე შემთხვევაში უკუქცეულ სკვითებთან ერთად მცირე აზიიდან ლტოლვის შედეგი ჩანს ასევე ევროპის მიმართულებით, ამჯერად აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილო კავკასიაში .. .საინტერესოა, რომ დღეს არსებული ცნობები ჰირკანების შესახებ ფაქტიურად იზიარებს სტრაბონის შესედულებას ამ საკითზე:

„ძვ. ბერძნული (VRKAPA) სპარსული VARKANA - მგლების ქვეყანა კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებნი. დასავლეთიდან ესაზღვრება მიდია, აღმოსავლეთიდან ბაქტრია...ძველი ჰირკანები იყვნენ მომთაბარეები... კასპიის ზღვას ერქვა ჰირკანიისა ... კიროსის დროს ჰირკანია პართიის შემადგენლობაში იყო, დარიოს პირველის სიკვდილის შემდეგ გახდა დამოუკიდებელი სატრაპია, მაგრამ შემდგომში გაერთიანდა მიდიასთან, ხოლო პართია-ხორეზმთან...ალექსანდრე მაკედონელის შემოსევის დროს და დარიოს მესამის სიკვდილის შემდეგ ისევ გაერთიანდა პართიასთან“

(ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

საინტერესოა, რომ პირველწყარო (ბერძნული-ჰეროდოტე) ამ ტომის სახელს ასო გ-თი და გერ-ით იწყებს, სიტყვით რომელიც ქართველურ ენაში მგელს გამოხატავს... მაგრამ სპარსული დასახელება, ვორკაპა-ამ ქართველური სიტყვის პირდაპირი თარგმანია მხოლოდ და მგლების ქვეყანად სახელდებს ... ამასთან, სიტყვის პირველადი ბერძნული სახე გარეგნულად აშკარად არ ჰგავს სიტყვის სპარსულ სახეს...თავად სტრაბონი ამ ტომის სახელად ჰირკანიას დებს, რაც რაღაც საშუალოა ბერძნულს და სპარსულს შორის: ჰირ-ჰერ, ასე აღნიშნავენ უკვე თავად ქართველები ამ ტომს, ხოლო სიტყვის ბოლო ნაწილი კან-აშკარად ძაღლის ინდო-ევროპულ სახელს აღნიშნავს...ძნელია თვალი მიადევნო გელ-ის ჰერ-ად გარდასახვის მომენტს, თუმცა შესაძლოა აქ სტრაბონის დიდი წილიც იდოს...(სტრაბონის წინამორბედი, დიოდორე სიცილიელი ისევე ძველ ბერძნულზე წერს, როგორც ჰეროდოტე, **გრკანია, ი** ან **ე** ხმოვანის გარეშე **გ** და **რ** ასოებს შორის) მით უმეტეს ისტორიკოსი თეოპომპი იმავე სტრაბონის მიხედვით კავკასიაში გელების ტომს აღნიშნავს (და არა ჰერებისა)

...და ფიქსირდებიან თუ არა გელები თვინიერ იმ ადგილებისა, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული? პასუხი დადებითია:

„შოტლანდიელი, ნაციაა, რომელიც დასახლებულია დიდი ბრიტანეთის ჩრდილო ნაწილში და მიმდებარე კუნძულებზე. ისტორიულად შოტლანდია წარმოიშვა ორი ხალხისაგან- პიქტები და გელები, რომლებმაც დაარსეს IX საუკუნეში სამეფო ალბა, რომელიც შემდომში გახდა შოტლანდიის სამეფო. ..ამიტომაც შოტლანდიელებს არცთუ იშვიათად მიაკუთვნებენ გელებს-კელტურენოვან მოსახლეობის ნარჩენებს მთიანი რაიონებიდან. გენეტიკურად შოტლანდიელებში აღნიშნულია შემდეგი გენეტიკური მინარევები:

ირლანდიელები-62, 5 %

ინგლისელები-9, 5 %

ნორვეგია -5, 3%

ორკნეის კუნძულები (ჩრდილოეთით) -4, 1%

ძნელია გამოიცნო შოტლანდიელ გელებსა და პიქტებში მცირე აზიელი გელები და იბერები... მით უმეტეს, ხელაღებით ამტკიცო, მაგრამ:

„ეთნიკური მიკუთვნებულობა შოტლანდიის უძველესი მოსახლეობისა, პიქტებისა ანუ კალედონიელებისა , როგორაც მათ უწოდებენ რომაელი ავტორები, ჯერჯერობით ამოუხსნელია...შოტლანდიის ტოპონომიკის შესწავლისას მივდივართ დასკვნამდე, რომ პიქტები ლაპარაკობდნენ კელტურ ენაზე, ახლობელს <u>გელურ (გოიდელურ)</u> ენასთან...XI საუკუნის დასაწყისში ამ სამეფოში (შოტლანდიაში) შემოვიდნენ აღმოსავლეთის რაიონში დასახლებული ანგლები....რამაც გამოიწვია ძველ-ინგლისური ენის გავრცელება, მაგრამ სახელმწიფო ენად შენარჩუნებული იქნა გელური ენა“ (შოტლანდიელები; ეთნიკური ისტორიის ნარკვევები -გელები)

გოიდელი- ზუსტად ეს სატომო სახელი გვევლინება იმ მყარ შემაკავშირებელ რგოლად, რომლითაც მცირე აზიის და კავკასიის გელები მჭიდროდ უკავშირდება შოტლანდიის გელებს და მათ ფაქტიურ იდენტურობას ამტკიცებს...

<u>**ლაგოდეხი**</u> - ეს ერთადერთი ხელშეუხებელი ტოპონომი კავკასიის გელებისა- ჰერებისა, ფაქტიურად მათი დედაქალაქისა, რომლის გაშიფრვის გასაღები საუკუნეების წინ არის მივიწყებული და რომელიც ზედაპირზე შოტლანდიელ გელებთან ერთად ამოტივტივდება...<u>**ლა-გოდე-ხი**</u>, ამ ტოპონომის ნამდვილი მნიშვნელობა, საიდანაც პირველი მარცვალი <u>**ლა**</u> კუთვნილებითი პრეფიქსია, ხოლო <u>**ხი**</u>- ქართველური დაბოლოება (მაგალითი: ლა-სურიაში, ლა-ჯიმოლი, ლა-დრერი ... კა-ხი, კოლ-ხი, მეს-ხი და ა. შ.)

რაიონული ცენტრის და ქალაქის დასახელება **გოდე-თა ბინადრობის ადგილს აღნიშნავს...**შესაბამისად, ქართველი გელების, ჰერების ცენტ-

რალურ საბინადრო პუნქტს **გოდე** ჰქვია...და რამდენად შორსაა ის სატომო სახელ **<u>გოიდე</u>**-სთან? (სუფიქსი **<u>ლი</u>** ამ სიტყვისათვისაც წარმოშობითი პრეფიქსი ჩანს) არცთუ ისე შორს, თუ გავითავისებთ იმას, რომ ამ ორ დასახელებას რამდენიმე ათეული საუკუნე აშორებთ ... (ტერმინ ლაგოდეხის ქართველ მეცნიერებისეული განმარტების მცდელობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს)

„თანამედროვე შოტლანდიელების გამოკვლევა გვიჩვენებს საკმაოდ დიდ მრავალფეროვნებას. მათ ჯიშში მამაკაცური ხაზით არა მარტო ბრიტანეთის კუნძულებზე და სკანდინავიაზე მობინადრე ხალხის გენეტიკური კვალი შეიმჩნევა, არსებობს ასეთი კავშირები ბერბერებთან (1%) ილირიელებთან, გერმანიიდან ამოსულებთან და ასევე დასავლეთ აფრიკის მცხოვრებლებთან“ (ციკლოპედია)

აბა ვისი გენეტიკური ასლი უმდა ყოფილიყო განდხარვა - გელი? ბერბერი- ეს სვანური ტომის აღმნიშვნელი სიტყვაა (სვანთან ერთად ერთ-ერთი პირველდასახელება) რომელიც ცხოვრობს ზუსტად დასავლეთ აფრიკაში, ქუში (განდხარვა) მაროკოელის გვერდით... ფინიკიური ჩანს ტუნისი, მოსინეკურ-სვანური ალჟირი ... ილირიელების აბსოლუტირი უმრავლესობა განდხარვ- აფსარათა ჩამომავალი ჩანან: ფინიკიელები, ბასკებ - აბასკები და დალმატები...რაც შეეხება პიქტებს, იბერებს, მათ შესახებ უკვე ვისაუბრეთ. შესაბამისად, ის 62,5% ირლანდიური გენეტიკური მინარევი გელებში შოტლანდიელებში ის საერთო გენეტიკა უნდა იყოს, რაც განდხარვულ აფსარული, ქუშიტური რასისათვის საერთოა...

… და გერმანელები? პირადად ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო, როდესაც გერმანული წარმოშობის ავსტრიელი მეცნიერის, გვარად **გოიდელის** არსებობის შესახებ შევიტყვე ... სავარაუდოა, რომ ის ერთადერთი წარმომადგენელი არაა ამ გვარისა ავსტრიასა და გერმანიაში...

„რომაელი ისტორიკოსი ტიტუს ლივიუსი გვიამბობს, რომ მეფე ამბიგატის მეფობისას (გალიის მეფე) ქვეყანა იმდენად მჭიდროდ იყო დასახლებული, რომ ძნელი გახდა მისი მართვა. ბებერმა მეფემ ახალი საბინადრო ადგილების მოსანახავად გააგზავნა თავისი ძმისწულები: ბელოვეზი და სეგოვეზი...წილისყრის მიხედვით, სეგოვეზს შეხვდა გერკინის ტყე და აღმოსავლეთის მიმართულება მდინარე დუნაის ხეობისაკენ...“ (კელტი ხალხის მითები. ნადეჟდა შიროკოვა) და იქვე, **გერკინის ტყე, ტყიანი მთები გერმანიაში გადაჭიმული მდინარე რაინიდან კარპატების მთებამდე...**

მკითხელს შევახსენებ, რომ ისტორიულად ნორდული ტომები ევროპაში ქრისტემდე VI - V საუკუნიდან ფიქსირდებიან მხოლოდ ... და ვინ არის ამ **გერკინის** ტყის სახელმდებელი უხსოვარ დროში, ნორდულ ტომებამდე? (57) ტოპონომი გერკინი ორმაგი სიტყვა ჩანს, გერი და კინი, რო-

მელიც ჯამში განდხარვული გელის-მგლისა და ევროპული კინის ძაღლ-ისაგან შედგება და საბოლოოდ მგელძაღლს აღნიშნავს ... ხომ არ არის ეს ცენტრალური ევროპის ათვისების შორეული გამოძახილი, რომელიც მიმდ-ინარეობდა ტეარკონ ეთიოპის (თარხონ ქუშის) მიერ სამხრეთ ევროპის ათვისების პარალელურად? ამ შემთხვევში განდხარვთა პიონერული ექსპ-ედიციის საერთო თარხონი (სარდალი) გელი უნდა ყოფილიყო...

...და ნებისმიერი გერმანელის ადგილას საკუთარ თავს დავუსვამდი შე-მდეგი სახის შეკითხვას: ჩვენ საკუთარ თავს ალემანებს ვუწოდებთ, ხოლო ნებისმიერი სხვა ერი გერმანელებს, ასევე განდხარვულ გერ-მგელს და ევ-როპულ მან-კაცს გვიწოდებს, რაც ასევე საბოლოოდ მგელ-კაცებს ნიშნავს... ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ შესაძლოა ჩვენს ძარღვებში ჯერ კიდევ ჩქე-ფდეს სისხლი იმ შორეულ წინაპართა, რომლებიც სპარსეთის ყურესა და მცირე აზიაში მოსახლეობდა და რომელიც უთუოდ ალემანურ ტომებზე-დაიტებზე ათეულობით საუკუნით ადრე ოპერირებდა ამ ტერიტორიაზე?

P.S. არსებობს ჰიპოთეზები ქართულ - უკრაინული ნათესაობის შესახებ, თუმცა ეს აღებული მიმართულება და არგუმენტები აშკარად არასწორია. ჰიპოთეზა ეყრდნობა სტრაბონის და სხვა ანტიკურ მეცნიერთა მიერ ნახ-სენებ ყირიმის ნახევარკუნძულზე მოსახლე „გეორგებს," მიწათმოქმედებს, რომელთაც ეს ავტორები ასახელებენ და რომელიც დღევანდელობის ავტ-ორების მიერ ქართველებთან იგივდება. მართლაც აქ სტრაბონი „გეორგებს" მიწათმოქმედებად განიხილავს და მკაფიოდ განასხვავებს მომთაბარე, მე-ჯოგე სკვითებისაგან და ბინადარი-ნომადი მესაქონლებისაგან -ტავრებისა-გან (ამჯერად ყირიმელთა და დნეპრისპირელთა სახით აშკარად უკრაინ-ულ ეთნოსთან გვაქვს საქმე და არაფერ შუაში არიან ხუთმეტი საუკუნით ადრე დღევანდელი რიაზანსა და ნოვგოროდის მახლობლად დამკვიდრე-ბულ სამეფო სკვითების მეორე ნაწილთან-რუსებთან)

თავად „გეორგებში" სტრაბონი ერთმნიშვნელოვნად სინდურ ტომს, დღევანდელი გადასახედიდან რუმინელ-მოლდაველებს მოიაზრებს...ზუსტ-ად ისინი ცდილობენ სიმაგრეთა ქსელის და გალავნის საშუალებნით დაი-ცვან ყირიმი სკვითებისაგან, რომელთაგან (სკვითური პირობით) იჯარით აქვთ აღებული ეს ტერიტორია, სტრაბონის სიტყვებით, მხოლოდ იჯარის, ისიც ნორმალურის (პურეულის მოსავლის ნაწილი) არ გადახდის შემთხვე-ვაში იწყებენ სკვითები (უკრაინელები) ომს და როგორც წესი, იმარჯვებენ კიდეც...შესაბამისად ამ მიწათმოქმედ „გეორგებს" და ქართველებს არავით-არი საერთო არ უჩანთ. ამავე დროს საყურადღებოა ერთი ტომი დასავლე-თის სკვითების, უკრაინელების ტერიტორიაზე:

„გეროსის გადაღმა არის სამეფოდ წოდებული მხარე, სადაც არიან უმამ-აცესი და მრავალრიცხოვანი სკვითები, რომლებიც სხვა სკვითებს თავის

მონებად მიიჩნევენ. სამხრეთისაკენ ისინი აღწევენ ტავრიკემდე, ხოლო აღმოსავლეთით მიწაყრილამდე, რომელიც მოთხარეს უსინათლოებმა და მაიეტსის სავაჭრო პუნქტამდე, რომელსაც ეწოდება კრემნო. მათი ადგილები ვრცელდება მდინარე ტანაისამდე“ (ჰეროდოტე, წიგნი IV-20)

ჰეროდოტე ტერმინ გეროსის ქვეშ მდინარეს გულისხმობს, (იქვე19) მდინარე დესნას (დღევანდელი უკრაინის ჩრდილოეთში გამავალი) ავტორი აქ გამოკვეთილად ყირიმის ნახევარკუნძულისა და მდინარეების ბორისფენსა (დნეპრი) და ტანაისს (დონი) შორის მცხოვრებ სკვითებს-უკრაინელებს ასახელებს. ასახელებს მათ ყირიმის ნახევარკუნძულის ჩათვლით და აზოვის ზღვის გაყოლებით, დღევანდელ დონის როსტოვამდე, ხერესონ, ზაპოროჟიე, დონეცკ, ლუგანსკის ტერიტორიების ჩათვლით. ეს დღევანდელი აღმოსავლეთ უკრაინის ტერიტორის წარმოადგენს (58) მართალია ჰეროდოტე აქ არ ახსენებს გეროსის გადაღმა მცხოვრებ გელონთა ტომს, მაგრამ ფაქტიურად გულისხმობს მათ გეროსის ხსენებით:

„ხოლო ბუდინები დიდი და მრავალრიცხოვანი ტომია, ისინი ლურჯთვალება და წითურთმიანები არიან. მათში არის აგებული ერთი ხის ქალაქი. ამ ქალაქის სახელია გელონოსი, გალავნის თითოეული კედლის სიგრძე არის 30 სტადიონი (5, 6ვმ) ის მაღალია და ხისაა. მათი სახლებიც ხისაა და სალოცავებიც. აქ არის ელინთა ღმერთების სალოცავები, ელინური ქანდაკებებით, საკურთხევლებით და ხის ტაძრებით... ხოლო დიონისეს ყოველ მესამე წელს უხდიან დღეობას. ეს იმიტომ, რომ გელონები თავდაპირველად ელინები იყვნენ, წამოვიდნენ ზღვისპირა ქალაქებიდან და დასახლდნენ ბუდინებში. ზოგი მათგანის ენა სკვითურია, ზოგისა ელინური. ბუდინები იმ ენაზე არ ლაპარაკობენ, რომელზედაც გელონები, არც ცხოვრება აქვთ ისეთი, როგორც გელონებს. ბუდინები ამ ქვეყნის მკვიდრები არიან, მომთაბარეობენ ამ ხალხთა შორის. ისინი არიან გირჩისმჭამელები. გელონები კი მიწათმოქმედები არიან, სჭამენ პურს, აშენებენ ბაღებს და არაფრით ჰგავან ბუდინებს, არც შესახედაობით, არც ფერით. თუმცა ელინები ბუდინებსაც გელონებს უწოდებენ, მაგრამ სწორად არ უწოდებენ“ (იქვე 108-109)

საინტერესო და მრავლისმთქმელია ჰეროდოტეს ეს ცნობა:

1. ჰეროდოტეს ცნობიდან გამომდინარე, ბუდინების ტომი ლოკალიზირდება იმ ადგილას, სადაც დღეს ბელორუსია მდებარეობს ...არც არავითარი მონაცემი არსებობს იმისა, რომ აქ როდესმე მოსახლეობის ჩანაცვლება მოხდა...

2. ბუდინები არ წარმოადგენენ სკვითებს, შესაბამისად სლავებს: პირდაპირ აღნიშნავს ჰეროდოტე, რომ ბუდინები იმ ენაზე (იგულისხმება ჰეროდოტესეული „ბერძნული“ ენა) არ ლაპარაკობენ, რომელზედაც გელონები. ამასთ-

ან, მისივე ამონარიდიდან მთელი ასი პროცენტით შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ბუდინები არც სკვითურ ენაზე საუბრობენ...ხალხი, რომლებსაც ჰეროდოტე არ იცნობს, ამასთან ლურჯთვალა და ჟღალთმიანი, არასკვითები, მხოლოდ გერმანიკული ტომი შეიძლება იყოს...

3.მართალია ჰეროდოტეს მიხედვით გელონები ბუდინებში ცხოვრობენ, სინამდლვილეში ისინი ბუდინების და სკვითების საზღვარზე მაცხოვრებელნი ჩანან (გეროსის, გელონების გადაღმა იმავე ჰეროდოტეს სიტყვებით სამეფო სკვითების საცხოვრისი იწყება)

4. მართალია ჰეროდოტე თვლის, რომ ბუდინებში გელეონები ზღვის სანაპირო ბერძნული კოლონიებიდან მოხვდნენ, მისი ეს ვარაუდი სწორი არ ჩანს: ძალიან დაშორებულია ზღვის სანაპიროდან გელონების ახალი საცხოვრისი, ამასთან ზღვის სანაპიროს კოლონისტები მილეტელები ჩანან, კარიელები და არა გელონები. უბრალოდ ჰეროდოტე ცდილობს ახსნას გელონების აქ მოხვედრის გარემოებანი, რომლებიც მისთვის ნაცნობ ფაქტებს დაუკავშირა. სინამდვილეში, ამავე დროის დასახლება ჩანს ჩრდილო კავკასიაში, ბორკანების, ბარკანიებისა, რომელიც თავდაპირველად ასევე სრულიად გელური ჩანს და რომელიც გელების ტომის სკვითია-ბუდინების დასახლების თანატოლი უნდა იყოს...

ჰეროდოტე ქვეცნობიერად ამ გელონების ნამდვილ სახელს და მეობასაც ამჟღავნებს:

„მეფეთა სამარხი გერების მხარეშია. აი აქამდეა ბორისთენესი სანაოსნო... მიაქვთ (მეფის გვამი) სხვა ტომებთან, რომლებსაც ის მართავდა... როდესაც ყველა ტომს ჩამოატარებენ, მოიყვანენ გერებთან, რომლებიც მისი ქვეშევრდომი ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე სულ განაპირას არიან და იქ არის სამარხიც“ (იქვე 71)

ცხადია სატომო სახელები გელონი და გერები იდენტური მცნებებია, ამავე ტომის მიხედვით ერქმევა სახელი მდინარეს (დღევანდელი დესნა) რაც გელონების, გერების ძებნას ერთობ აიოლებს. შეუძლებელი ჩანს იმ დროს სასაზღვრო პუნქტის მინიშნებაც კი სკვითია- ბუდინებს (თანამედროვეობის უკრაინა-ბელორუსს) შორის, თუმცა უდავოა, რომ გელონების სავარაუდო განსახლება ჩრდილო-აღმოსავლეთ უკრაინასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ბელორუსიას შორის არის საძიებელი... სავარაუდოა, რომ ეს დასახლება დღეს (და საკმაოდ ადრეც) ჩერნიგოვის სახელს ატარებს ... მართლაც, იმავე ვიკიპედიის წყაროების მიხედვით, ქალაქის სახელწოდება ჩერნიგოვი „ჩერნი გოროდიდან“ მომდინარეობს ... და ვერც იქნებოდა შავგრემანი ქართველური რასისაგან დასახლებული ქალაქი ფიფქივით თეთრი... რაც შეეხება უკრაინელი ეთნოსის ასევე მჭიდრო ნათესაობას სხვა ქართველურ ტომთან, ის სრულიად სხვა, ტავრების ტომს შეეხება და ამის შესახ-

ებ ქვემოთ ვისაუბრებთ... გარდა ერთი არცთუ ისე უმნიშვნელო ფაქტისა: ხერსონესი - დღევანდელი სევასტოპოლი ყირიმში ვიკიპედიის მიხედვით დორიულია, თუმცა დორიელების (აღმოსავლეთ - ქართველური ტომების) ტომობრივი მიკუთვნებულობა უცნობია...

...და ვინ არიან გელები ჰეროდოტესთან?

გელე-ქალაქი სიცილიის სამხრეთ სანაპიროზე.
გელონები-ქალაქ გელეს მცხოვრებლები.
გელონი-გელებისა და სირაკუზის მმართველი...ასე განიმარტება ეს ტერმინები ჰეროდოტესთან.

„ამ გელონის წინაპარი, გელეს მოსახლე კუნძულ ტელოსიდან იყო, რომელიც ტრიოპინთან მდებარეობს. როდესაც გელეს ასახლებდნენ ლინდოსელები, რომლებიც როდოსიდან არიან და ანტიფემოსი, გელონის წინაპარი არ ჩამორჩენია მათ“ (იქვე, წიგნი VII-153)

კუნძული ტელოსი იონიური კუნძულია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თავად გელონზე. ქალაქი გელე ლინდოსელების მიერაა დაარსებული სამხრეთ სიცილიაში, თავად ქალაქი ლინდოსი კუნძულ როდოსზე მდებარეობს, და ეს კუნძული ჰეროდოტეს მიხედვით დორიულია. ჰეროდოტე არ ახსენებს, თუ რომელ დორიულ ტომს ეკუთვნის როდოსი. ლინდოსელების მიერ სიცილიაზე დაფუძნებული ქალაქის გელედ წოდება ვერ იქნება დაზუსტებით მაჩვენებელი იმისა, რომ როდოსიც გელებს-ლიკიელებს ეკუთვნით- გელე ბერძნულად ჭაობს ნიშნავს ...მაგრამ მათ ტირანად გელონის მოვლინება ყველაფერს საკუთარ ადგილას სვამს: ქალაქი ნამდვილად გელებს ეკუთვნით და ლინდოსელებიც გელებია-ლიკიელები, ისევე როგორც კუნძული როდოსი...თუმცა ეს მეორე მიგრაციული ტალღის გელებია-ბერძნების მიერ ლიკიელაბად თარგმნილი, „ზღვის ხალხების“ შემადგენლობიდან. იტალიაში დაფუძნებულ ახალშენს ისინი თავიანთ ძირითად სახელს, გელებს უწოდებენ, რადგან ქრება მათი სახელის ბერძნულად თარგმნის აუცილებლობა. და სირაკუსი?

„მას შემდეგ რაც ხელთ იგდო სირაკუსი (გელონმა) გელეს რომელსაც ჯერ კიდევ ფლობდა, ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭა და გადასცა ის ძმას, ჰიერონს, თვითონ კი აძლიერებდა სირაკუსეს. სირაკუსე მისთვის ყველაფერი იყო. ეს ქალაქი სწრაფად გაიზრდა და განვითარდა. ჯერ ერთი მან მთელი კამარინელები სირაკუსში მიიყვანა და აქაურ მოქალაქეებად აქცია...მეორე მხრივ გელეელ მოქალაქეთა ნახევარზე მეტს იგივე უყო... ასევე მოექცა მეგარელებსაც, რომლებიც სიკელიეში იყო“ (იქვე 156)

ტირან გელონს სირაკუზში გელები ჰყავს გადაყვანილი, როგორც ჩანს საკუთარი ხელისუფლების საყრდენად. ცხადია როდოსელები ისევე როგორც ლინდოსელები, რომელნიც ქალაქ გელეს აფუძნებენ, თავად წარმოადგენენ გელების დორიულ (განდხარვულ) ტომს. ეს ანტიკური ტომი დაფიქსირებულია ისტორიულად რამდენიმე ადგილას, მათ შორის უკრაინაშიც... ზემოთ მოცემული ჰეროდოტესეული განმარტებიდან ცხადი ხდება, რომ ლინდოსელები დორიელებია, ისევე როგორც სხვა დანაჩენი, მათ შორის როდოსი და კოსიც. კოსი-ეს ჩვენი ორიენტირია, დორიული, თუმცა არა ქუშების კლანისა. ცხადია არც როდოსელები -გელები და არც მათივე ჩამომავალი სირაკუზელები არიან ქუშები. ისინი ქუშებისაგან (სპარტა -ლაკედემონი) განზოგადოებულდ მიიჩნევენ თავს, ხშირად მეტოქეობენ, რაც არცთუ იშვიათად აშკარა მტრობაშიც კი გადაიზრდებოდა ხოლმე.

ამასთან, სირაკუზი როდოსულ- გელურ ფესვებს ინარჩუნებს, ქუშთა აშკარა მეტოქისა დორიულ ტომთა შორის პირველობის პრეტენზიით. თვით საბერძნეთის- ელადის უდიდესი განსაცდელში ყოფნის დროს, როდესაც სპარსელთა ურიცხვი არმია მეფე ქსერქსეს მეთაურობით დაესხა თავს საბერძნეთს დასამორჩილებლად, სპარტის, ათენის და სირაკუზის სუზერენი ვერ თანხმდება მათ წინააღმდეგ საერთო გამოსვლაზე, რადგანაც სირაკუზის ტირანი გელონი მთელი ელინური არმიის სარდლობას მოითხოვს. ამ მოთხოვნაზე მან ლაკედემონელი ელჩისაგან მოჭრილი და დასაბუთებული უარი მიიღო. ამ შემთხვევაში გელონი საზღვაო ფლოტის სარდლობას თხოულობს, რაზედაც ასევე მიიღო უარი იონიური ათენისაგან. მოლაპარაკება ვერ შედგა, ლაკედემონის ინიციატივით უარი ითქვა გელონთან მოლაპარაკებაზე და ეს იმ შემთხვევაში, როდესაც თითოელი ბერძნულ შუბი მოკავშირეთათვის (სპარტა და ათენი, დორიელი და იონიელი) ოქროდ ფასობდა....

გელების ტომის მეორე ნაწილის შესახებ, რომელნიც ამავე პერიოდში, ქრისტემდე VII საუკუნეს ჩანან ჩამოსახლებული ჩრდილო კავკასიაში, აქ იმავე სკვითების უკუქცევის პროცესით გამოწვეული ჩანს. (გელების ამ ნაწილის შესახებ საკმაოდ ვისაუბრეთ წინა ფურცლებზე და მისი განმეორებისაგან თავს შევიკავებთ. დავსძემთ მხოლოდ, რომ გელების ზემოთ მოხსენიებული ნაწილი სკვითების მეორე ლშქრობის შედეგი ჩანს. ეგვიპტესა და მცირე აზიაში ოცდაშვიდ წლიანი ბატონობის შემდეგ ისინი განდევნილ იქნენ ეგვიპტიდან (როგორც ჩანს ეგვიპტურ-თოხარული ძალებით) ხოლო მცირე აზიიდან საკების მიერ (ამ თემაზეც უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ) აღნიშნული მეორე ლაშქრობა დასავლეთის სკვითებისა-უკრაინელებისა ხდება ქრისტემდე 714-687 წლების დიაპაზონში და...მეოთხედ საუკუნეზე მეტი ეგვიპტესა და მცირე აზიაში მყოფ სკვითებს ბუნებრივია

ადგილობრივი მოკავშირეც ყავთ და ეს უეჭველად გელური ტომია. სკვითების უკუქცევასთან ერთად მისი მოკავშირებიც თავის გადასარჩენად ამასვე აკეთებენ. ზუსტად ასე ხვდება გელების ერთი ნაწილი ჩრდილო უკრაინაში. მეორე ნაწილი, რომელმაც ჩათვალა რომ საკმაოდ შორს გაერიდა შურისმაძიებელ მცირე აზიის ხალხებს, კავკასიის ქედს ჩრდილოეთით განსახლდა, კასპიის ზღვის მიმდებარედ და მთისწინებში. ამ ხალხს ხან გელებს უწოდებენ, ხანაც კადუსიებს (კადუსიებისა და გელების იგივეობას აღნიშნავს პლინიუს უფროსი) მცირე აზიაში დარჩენილი გელების პოლიტიკურ წარმონაქმნებს ანტიკური ლიტერატურა ლიკიელების და ლიკაონიელების სახელით იცნობს...

შენიშვნები:

1. ქართული წელთააღრიცხვა ქრისტემდე 5604 წლიდან ითვლება. მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღნიშნვს იოანე ზოსიმე, რომელიც სავარაუდოდ უშორეს და უმნიშვნელოვანეს ინფორმციას უნდა ფლობდეს...თუმცა მავანნი ქართული წელთააღრიცხვის ხანმეტობას შეცდომად თვლიან...
2. ბერძნული წელთააღრიცხვა მთელი 96 წლით ჩამორჩება ქართულს და 5508 წელს იწყება
3.დედამიწის უძველესი მატიანე, ინდური ეპოსი „მახაბხარატა"განდხარვების „ციურ" მეწყვილეებად აფსარებს მოიხსენიებს, რაც მათი ერთად ცხოვრების და ერთი სამშობლოს არსებობის უცილობელი წინარე პირობაა.
3*ლიკურგეს მოღვაწეობის პერიოდის დაზუსტებას პლუტარქეც ვერ ახერხებს...ზოგიერთი გადმოცემით ლიკურგე მეთერთმეტე თაობაა ჰერაკლესი (შესაბამისად, ჰერაკლეს შემდგომ 230 წელი, დაახლოებით 1070-1050 წელი ქრისტემდე) და სავარაუდოდ ეს თარიღი სწორი უნდა იყოს...სპარტელებისათვის საუკეთესო კანონების ძიებაში ის სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობდა და მათ შორის დასახელებულია იბერიაც... აქვე ინდოეთში ლიკურგეს სტუმრობაზეცაა საუბარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ აქ საუბარი კავკასიის იბერიაზეა, რომელსაც ადრე ანტიკური წყაროები თეთრ ინდებად იხსენიებენ.
4. ბეროსის, ბაბილონელი ქურუმის ცნობების გაშიფრვამ ცხადყო, რომ იბერები (სხვა ორ ტომთან ერთად) დედამიწის ძირითად დასახლებულ ადგილს, ინდოეთს მოწყდა ქრისტემდე 3523 წელს, ხოლო კელტები-აღმოსავლეთ ქართული ტომები მათ მესოპოტამიაში ხვდებიან უკვე 800 წელზე მეტი ხნის შემდეგ. რასაკვირველია მათი ლექსიკა გასული წლების განმავლობაში გარკვეულწილად უნდა შეცვლილიყო.
4* აზარის ათავება -ასე ეძახდნენ ქართველი მთიელები, ფშავ -ხევსურები 40 მსხვილფეხა ნადირის (ხარირმის-ფურს მთიელი მონადირე არც ესროდა) მონადირებას ...ესაა ის რიცხვი ნადირისა, რომელსაც ნადირობის ქალღმერთი აძლევს მონადირეს, რის შემდეგაც ამ უკანასკნელს თოფი უნდა დაემარხა. როგორც სტრაბონის სიტყვებიდან ირკვევა, აზარი-არტემიდეს- დიანას ნიშნავს... სხვათაშორის, ისეთივე წესი აქვთ ტაჯიკებს, თუმცა აქ ნადირობის ობიექტი 40 სული დათვი ჩანს.
5. სილვანი- ეს დღევანდელი თურქული ქალაქი დიარბექერია, ფაქტიურად შუა თურქეთში.
6.სკენები სელვეკიიდან 18 სხოინის მანძილზე ... სელვეკია -ეს ანტიოქიაა სხენი -სხოინი =11კმ- ს. შესაბამისად, სკენები ანტიოქიიდან თითქმის 200 კმ-ით არის დაცილებული.

7. ვერ უღალატებდა მეფე აბგარ VII რომაელებს...პლუტარქეს მიხედვით ეს რომაული ლეგიონები კამპანიიიდან ყოფილან. კამპანიელები იბერები არიან-ისევე როგორც ოსროენელები და მეფე აბგარი. კამპანიელები, რომლებიც ჯერ კიდევ ფლობენ იბერიულ ენას (ამის სამტკიცი კამპანიაში, პომპეის ლავით დაფარულ ვილაზე გამოსახული იბერიული სიტყვებია, ეს ლაშქრობა კი უფრო ადრინდელია, ვიდრე ვეზუვიის ამოფრქვევის შედეგად პომპეის დაფარვა). პლუტარქეს მიხედვით მეფე აბგარი ეხუმრება კიდეც ლაშქრობის მძიმე პირობებით შეჭირვებულ კამპანიელებს - იბერებს, რომ ეს მათი განაზებული ევროპა კი არაა, არამედ აზია და პართიის ტერიტორია...ვერ გაიმეტებდა მეფე აბგარი თანამემამულეებს ... და კიდევაც რომ გაემეტებინა მეფე აბგარს თანამემამულეები, პართიის მეფე სჯის მას, მისით უკმაყოფილოა. შესაბამისად, აბგარ VII რომაელებისათვის-კამპანიელი იბერებისათვის არ უღალტნია...

8. იბერების მცირე აზიაში მოსახლეობას განსაზღვრავს მსოფლიო წარღვნა: იბერები, მსოფლიო წარღვნაში მოყოლილი მესამე ტომი ჩანს, კოლხებთან ეთნიკური სიახლოვის გამო ასევე კოლხებად ჩათვლილნი, გადასული ვენეციიდან (სავარაუდოდ მოგვიანებით საბერძნეთიდან) მცირე აზიაში. მეგრულ ენას შემონახული აქვს რამდენიმე სხარტულა გამოთქმა, რომლითაც გაოჩნებულ პირუტყვს ქოქოლას (წყევლას) მიაყრიან: ყვაჯამ გერქ ორჭკომშეგჭამა მამალმა მგელმა …მაგრამ არსებობს უფრო „წონადი“ სხარტულაც, რომელიც პირუტყვის პატრონის უდიდეს გულისწყრომას გულისხმობს: ყვაჯა მამ ბერუქ ორჭკომ....იყო მცდელობა, რომ მამბერი მგლების ბელადად, დომინანტად მამრად გამოესახათ... სინამდვილეში საქმე გაცილებით რთულ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს: სიტყვა ყვაჯა-ხვადის სინონიმია. ხვადისვე სინონიმს უნდა ნიშნავდეს სიტყვა მამ- უკანა ხმოვან შეკვეცილი - მამას-ს...ხოლო სიტყვა ბერ-უკვე წინა ხმოვან შეკცეცილი ი-ბერ-ი უნდა იყოს. საბოლოოდ, მეგრელი კაცის წყევლა გაოჩნებული პირუტყვისადმი ასეთ სახეს ღებულობს: ყვაჯა მამა იბერმა შეგჭამა...რასაკვირველია ეს ტავტოლოგიაა, ყვაჯა და მამა-ხვადი ფაქტიურად ერთსა და იმავე სინონიმის, ხვადის აღმნიშვნელი ჩანს. იბერი აქ მტაცებელი ნადირის სინონიმია და უმაღლეს მტაცებელს, ვეფხს უნდა ნიშნავდეს. ვეფხს, რომელიც უცილობლად ბინადრობდა ტიგროსის ჭალებში უხსოვარ დროს და რომლის სახელსაც იბერი-კოლხური ტომის განაყოფი ისაკუთრებს. ამასთან, მცირე აზიაში ინდოევროპელთა შემოსვლის და მათი ლექსიკის გავრცელების კვალობაზე კოლხის სახლიკაცი სახელს იცვლის და უკვე ტიგრად იწოდება...ზუსტად ამიტომაა, რომ ტეარკონ ეთიოპის თანამოლაშქრენი იბერებად იწოდებიან, ხოლო უკვე მოგვიანებით განდხარვთა მიერ აფრიკაში (და შუა აზიაში) განხორციელებული ექპედიციის დროს უკვე თავს ტიგრ-

აის და ტიგრახაუნდის ტომს მიაკუთვნებენ...ამ ნიუანსის გათვალისწინებ-ით, განდხარვთა აფრიკული ექსპედიცია ქრონოლოგიურად ათეული საუ-კუნით უნდა ჩამორჩებოდეს ამავე განდხარვთა და სამხრეთ ევროპულ-ტე-არკონ ქუშისეულ ექპედიციას...

9....და როდის დასახლდა კუნძული ტრინაკრია სიკანების-ასაკენების ტო-მის მიერ? ანტიკური ისტორია და ანტიკური ავტორები ამას არ ახსენებ-ენ, ვერ იხსენებენ-ეს შორეულ წარსულში მომხდარი პროცესი უნდა იყ-ოს. შევეცადოთ სინათლე შევიტანოთ ამ საკითხში. დანამდვილებით ვი-ცით (და ამ მიგრაციის დროის და მიზეზის ზუსტ დასახელებას უკვე III ტომში შევეცდებით) რომ ეს მიგრაციული ქსპედიცია მოეწყო ქრისტემდე 1261 წელს და სიკულები-იბერები მასში მონაწილეობდნენ. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ დროისათვის სიკანები უკვე ძირძველია მოს-ახლენი არიან... და მაინც როდის დასახლდნენ სიკანები კუნძულ ტრინა-კრიაზე? კუნძულ კრეტის პირველმოსახლეებად ჰეროდოტე მინოსელებს-მინიებს და სარპედონის ხალხს, კილიკიელებს ასახელებს. მინოსმა და მი-ნოსელებმა სარპედონის ხალხი, შემდგომ ლიკიელები განდევნეს კუნძულ კრეტიდან.

„ამბობენ, რომ როდესაც მინოსი დედალოსს ეძებდა, მივიდა სიკანიეში, რომელსაც ახლა სიკელიე ეწოდება და მოკვდა ძალადური სიკვდილით (ამბობენ, მასპინძლის, კოკალის ქალიშვილებმა გაუზავებელ აბაზანაში ჩაუშვეს და დაიფუფქაო). **დროთა ვითარებაში ღმერთისგან შთაგონებუ-ლი კრეტელები, ყველანი გარდა პოლიქნელებისა და პრესიელებისა, მი-ვიდნენ დიდი ლაშქრით სიკანიეში და ხუთი წლის განმავლობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმული ქალაქ კამიკოსისათვის.. .ხოლო როდესაც ვერ შეძლეს ვერც ქალაქის აღება, ვერც დარჩენა შიმშილისაგან შევიწროებ-ულებმა, დატოვეს იქაურობა და წავიდნენ. როდესაც ცურვით მიაღწი-ეს იაპიგიეს, დიდ ქარიშხალში მოხვდნენ, რომელმაც ისინი ხმელეთზე გამოისრილა. რადგან ნავები დაემსხვრათ და არ უჩანდათ რაიმე საშუა-ლება კრეტეზე დაბრუნებისა, ამიტომ ააშენეს იქ ქალაქი ჰირიე და იქ-ვე დარჩნენ, კრეტელების ნაცვლად გადაიქცნენ მესპიელ იაპიგიებად“ (ჰეროდოტე; წიგნი VII-170)**

ეს ამბავი კი მოხდა ტროას ომამდე სამი თაობის წინ:

1290 +(3X23)=1290+70=1360 წელს.

კუნძულ კრეტას თურმე სამი (და არა ორი) ტომი ასახლებდა იმთავადვე: მინოსელები- მინიები, სარპედონელები- ლიკიელები და ასაკენები -კურეტე-ბი (სამტკიცი ასაკენების ტომის განხილვისას იქნება მოყვანილი). როგორც ჩანს, მინოსი უცხო პოლისში, უცხო ხალხთან არ მიდიოდა დედალოსის საძებნელად, წინააღმდეგ შემთხვევაში იმდენი ხალხს მაინც წაიყვანდა, რომ

მათ შეძლებოდათ მისი დაცვა და როგორც მინიმუმ მისი სიკვდილისათ-ვის შურისძიება...მაგრამ ის ასაკენებში მიდიოდა, იმავე ხალხთან, რომლის ნაწილი მის ქვეშევრდომებს წარმოადგენდა...ორი ხალხი არ გაყვა სალაშქ-როდ მინოსელებს: პოლიქნელები და პრესიელები და ზუსტად ისინი წა-რმოადგენენ ასაკენებს-კურეტებს, რომელთაც არ მოისურვეს თანატომელე-ბთან ომი და რომელთა უპირველესი სახელი-კურეტი დაერქვა კუნძულს (ალბათ უკვე მინოსის სიკვდილის და მინოსელების იაპიგიებად ქცევის შემდეგ- აკი ერიას დებს კუნძულ კრეტის პირველწოდებად პლინიუს უფ-როსი) და მაინც როდის დასახლდნენ სიკანები-ასაკენები კუნძულ ტრინა-კრიაზე? როგორც ჩანს, კუნძულ ტრინაკრიის ათვისება ხდება კრეტის და-სახლების ერთდროულად ან კვალდაკვალ...

9* ალაროდები-ფრთეული ბერძნულად ამ ტომის არსს უნდა აღნიშნავდეს, ქვეითთა ფალანგას თანმხლებ მხედრულ რაზმებს ფლანგებზე...და საბერ-ძნეთიდან ჰერაკლეს და თეზევსის განდევნილი კენტავრები- სინამდვილე-ში პირველმხედრები კერკეტების ტომი საბერძნეთში. აღნიშნავს კიდეც კე-რკეტების მცირე რაოდნობას სტრაბონი ტრაპიზუნდს ზემოთ...

10. სახელი სულა დინასტიური სახელი ჩანს კალმახის ერისთავთა (რატომ, ეს სრულყოფილად განმარტებულია პირველ ტომში, თუმცა აქაც განვიხი-ლავთ, ოდნავ მოგვიანებით) კალმახის ერისთავთა ეს ციხე მდებარეობდა ტაოში, სამხრეთ საქართველოში. აშენებულია VIII საუკუნეს. XI საუკუნის ტაოს ცენტრი და კალმახის ერისთავთა რეზიდენცია.

11. ალანური ეპოსი ყამარს ქოსერად ახსენებს, რომლის კოშკიც ჩამოკიდე-ბულია ცასა და დედამიწას შორის. მისი ხელის მოპოვებას სოსლანი ცდი-ლობს, ნართული ეპოსის გმირი მაგრამ ამაოდ... ლეგენდა უფრო ადრიდ-ელი ჩანს, სავარაუდოდ მისი შექმნის დროისათვის ნართები ჯერ კიდევ მცირე აზიაში ცხოვრობენ.

12. სუკკალ მახების ინსტიტუტი მოქმედება ელამიტებში, არსებობდა მა-თი სამი რანგი. მოისპო ეს ინსტიტუტები და არ ჩანს ძველ წყაროებში ქრისტემდე XVI საუკუნიდან. გახმოვანდება უძველეს ლეგენდაში ამირა-ნზე (ალბათ იმავე დროიდან) უკვე საქართველოში, ამირანის მამობილ-ის-მონადირე სულკალმახის სახელით. გაგრძელებას პოულობს კალმახის ერისთავებში და მათი დინასტიური სახელიც სულაა...

13. ნორდული ტომები (ძირითადად გერმანიკული) ევროპაში შედარებით ფუძნდებიან. 475 წელი ქრისტემდე, ძირითადად ეს თარიღი ფიქსირდება და სრულიად ბუნებრივია, რომ ჰეროდოტე ამ ტომს არ იცნობს. არც ერ-თხელ არაა ნახსენები მის ისტორიაში. გალები-ეს ნორდული ტომები, რო-მელთაც ეს სახელი არასწორად შეარქვეს - ეს დღევანდელ საფრანგეთში ოდითგანვე მცხოვრები ტომის სახელია... ჰეროდოტე იცნონობს ბუდინებს

ამ ლურჯთვალა და წითურთმიან ტომს. ის აღნიშნავს, რომ ეს ტომი გელურ ენაზე არ საუბრობს. არ აღნიშნავს, მაგრამ სტრიქონებს შორის იკითხება, რომ ბუდინები სკვითური ტომი არ არის, შესაბამისად არც სლავური...ცხადია, ბუდინები გერმანიკული ტომები არიან, თუმცა ხელშესახებ შედეგებს ვერც გენეტიკური კვლევა დადებს: სლავების სისხლში საკმაოდ მძლავრად ჩქეფს გერმანიკულიც...

14. ვფიქრობ, კელტების-განდხარვთა ჩამომავალთა და იბერების- აფსართა ჩამომავალთა მცირე აზიური შეტაკებების შემდეგ განსაკუთრებული ბმა ჩამოყალიბთა ქუშთა და იბერთა ტომს შორის. ყველა ჩატარებულ ექსპედიციაში ორივე იღებს მონაწილეობას, თან ერთობლივი ორგანიზმის სახით. მაგალითად პირენეის ექსპედიციაც კმარა, თუმცა ყველა დანარჩენ ექსპედიციაში ორივე ტომი თანაბრად მონაწილეობს, თანაც როგორც ერთი ორგანზმი... საბუთად ასევე ბიბლიაში მოცემული ორი ტომის, ქუშის და ხავილას მაგალითიც კმარა ... (იხ პირველი წიგნი) ასევე სავარაუდოა, რომ იბერიის დაფუძნებაში ორივე ტომი მონაწილეობს...

15. ბითვინია-ეს შუმერების დაკავშირებული სამეფო ჩანს. ამ თემას გავაშუქებთ მოგვიანებით, ამ თემისადმი მიძღვნილ ქვეთავში, თუმცა მოძიებული წყაროების სიუხვით ნამდვილად ვერ დავიკვეხნით.

16. პელოპონესელი არკადიელები პელაზგები არიან, იონიელები, თუმცა მათ შეძლეს შეენარჩუნებინათ თავისთავადობა- ისინი დამოუკიდებელი პოლისი არიან. ჰეროდოტე პელოპონესელ კინურიელებსაც ადგილბრივებად, ავტოხთონებად აცხადებს -ადვილად იკითხება პარალელები იმავე კინესიელ-ლუზტანელ-პორტუგალიელებთან. ცხადია, ეს ადგილობრივი კინურიელები ისეთივე იბერები არიან, როგორც კინესიელები. თუმცა ეს კინურიელები, ჰეროდოტესვე სიტყვებით უკვე გადორიელებულნი არიან, რადგან დორიელი არგოსელებისგან იმართებოდნენ. სავარაუდოა, რომ მმართველი დორიელი კასტა არგოსელთა არისტოკრატიას წარმოადგენს, ხოლო კინურიელთა ძირითადი მასა თუ სრულუფლებიან მოქალაქეებს არა, პიროვნულად თავისუპალ პეიროკთა კლასს მაინც მიეკუთვნება.

17. ზუსტად ამ კატანს ახსენებს ბასილი სოფენელი თავის ეკტესისტებში, როდესაც მას ურევს მელიტენასთან. შესაბამისად, კატანიც ზუსტად ისევე სიკულური-იბერიული ჩანს, როგორც ტრაპიზუნდთან მდებარე მელიტენა და კუნძულ ევბოაზე მდებარე ქალაქი-პოლისი ხალკიდა.

17*.კარია -შუმერების მეორე პოლიტიკური ერთეული ჩანს და ზუსტად მისი შექმნილი უნდა იყოს ბითვინია (ამაზე, როგორც მკითხველს შევპირდით, ცალკე ქვეთავში ვისაუბრებთ)

18. კამპანია-ეს ტერმინი მიგვანიშნებს, რომ კაფის მიმდებარე სოლდაია სინამდვილეში მართლაც კამპანიელების, იბერების დაფუძნებულია, მაგრამ

როგორც ირკვევა ზიხებად ცნობილი ხალხიც იბერებია, თუმცა არა კამპანიიდან და არა იტალიიდან, არამედ საბერძნეთიდან...და საიდანაც არ უნდა იყვნენ, იბერიელი იბერიელია, მაგრამ კაფასთან მდებარე იბერები, სხვა იბერებისგან-ზიხებისგან განსასხვავებლად საკუთარ თავს ზიხ-გერკესს, უძლეველს უწოდებენ. კოლხურში ეს სიტყვა გერგეზად წარმოითქმის, იბერიულად ეტყობა გერკესია.

19. პომპეიში, 20 საუკუნის უკან ფერფლით დაფარული ვილის კედელზე გამოსახული სცენა აშკარად ნადიმს აღნიშნავს. ახალგაზედა კაცი სასმისით ხელში მოპირდაპირეს გასძახის: ჰეი ლარგენ, დალიუს- გასაგებია უკლებლივ ყველა ქართველისათვის და ქართული მრავალრიცხოვანი ლხინისათვის. აშკარაა რომ ახალგაზრდა ფიალით ხელში ალავერდს აპირებს მოშორებით მჯდომ თანამეინახესთან და გასძახის: ჰეი ლარგენ, ეს მორიგი სადღეგრძელო დალიეო? კი, ცოტათი წაულათინურებს უკვე, მაგრამ ყველა ქართველისათვის დღეს გასაგები მოქცევა და სიტყვებია...

20. მითრიდატული ომების ავტორები იმსახურებენ უფრო მეტ ყურადღებას-სტრაბონის ამ სიტყვებში ჩანს რომ ამ ომის აღმწერი ავტორები უკვე ახსენებენ ზიხებს, ამ სანაპიროზე მცხოვრებლებს. სტრაბონი ხშირად ახსენებს მისი წინამორბედის, პოსიდონიის, აპოლოდორს, მაგრამ სამწუხაროდ მათ შესაბიმის ნაშრომებს მითრდატული ომების შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია.

21. აპპიანეს მიხედვით მითრიდატე სპარსული სამეფო საგვარეულოდანაა. აპპიანეს ეს ინფორმაცია სწორი არ უნდა იყოს- სპარსეთის მეფეთა ხელისუფლება მცირე აზიის დასავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მინიმალური იყო უკვე დარიოს III ეპოქაშიც. იმავე ქსენოფანტეს მიხედვით,V-IV საუკუნის მიჯნაზე სპარსელ მეფეთა ხელისუფლება ვრცელდებოდა არმენებამდე. ქურთები-კარდუხები უკვე აღარ ემორჩილებოდნენ სპარსულ ხელისუფლებას, პაფლაგონია კავალერია ფეხს ითრევს ბრძანებების შესრულებაზე, ტრაპიზუნდი სრულიად თავისუფალია სპარსული გავლენებისგან (მოჯანყე ბერძნული 14 ათასიანი ჯარი მშვიდობი გაივლის მის ტერიტორიას...მით უმეტეს ვერ განავრცელებდა თავის გავლენას რომელიმე მეფური ოჯახის წარმომადგენელი. ვფიქრობ, მითრიდატიდთა დინასტიის დამფუძნებელი რომელიმე ადგილობრივი ტომის სუზერენი უნდა ყოფილიყო, თუნდაც სპარსეთის სამეფო კარზე აღზევებული...

22.აპპიანე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პირველი მითრიდატული ომის შემდეგ მითრიდატე იძულებული გახდა დასჯერებოდა მამისეულ მემკვიდრეობას პონტოზე. სინამდვილეში, მითრიდატე ევპატორის მეფობა არაორდინალურია. ჯერ კიდევ ყრმა მითრიდატე, ოჯახიდან განდევნილი, შეიფარა მელიტენას-მცირე არმენიის მეფემ. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ ზუს-

ტად ეს ტერიტორია ჩანს სომეხი სარდლების მიერ იბერებისათვის ჩამ-ორთმეული ტერიტორია-ხორზენა... რასაკვირველია, პოლიტიკური წარმონ-აქმნი, მცირე არმენიად ცნობილი, მინიმუმ ორენოვანი ჩანს: იბერიული და არმენიული. და ზუსტად ამ იბერიულ-არმენიულმა პოლიტიკურმა წარმონა-ქმნა შეიფარა ყრმა მითრიდატე. უფრო მეტიც, მელიტენას სუზერენმა იშ-ვილა მითრიდატე და საკუთარი სამეფოც დაუთმო. ერთია შეიფარო და მეორეა საკუთარი სამეფო დაუთმო ლტოლვილ მეფისწულს. თუ გავითვ-ალისწინებთ წინა კვლევების შედეგს, რომ პონტოს სამეფოს მოსახლეობის უმრავლესობა იბერებს წარმოადგენს, ისევე როგორც მელიტენასი, დიდი ალ-ბათობით მეფე მითრიდატეც იბერიული ტომის წარმომადგენელი უნდა იყოს...

23. სამ ტომს ასახელებს აპპიანე კოლხეთსა და ბოსფორს შორის: ჰენიოხებს, ახაიელებს და კერკეტებს. სინამდვილეში რამდენადმე მეტია: კერკეტების გაგრძელებაზე ტორეტები ცხოვრობენ, ასპურგიანებად და ევდუსიანელებ-ად წოდებულნი, ხოლო თავად ყირიმის წინ სინდები- რუმინელები. ჰენი-ოხებთან მითრიდატეს იმთავადვე კარგი ურთიერთობა ჩამოუყალიბდა, ყოფილ სინოპელებთან, თავისსავე მეზობლებთან.

24. ხიოსელი გადმოსახლებულნი მითრიდატეს ფაქტიურად შიდაპატიმრო-ბაში უჩანს აყვანილი, ისინი ოთხივე მხრიდან შემოზღუდულნი ჩანან ბუ-ნებრივი თუ ხელოვნური პირობებით: ჩრდილოეთიდან გადაულახავი კა-ვკასიის ცენტრალური ქედით არიან შემოზღუდულნი, სამხრეთიდან შავი ზღვით და თუ მათ სანაოსნო-საწყალოსნო ცურვის საშუალებების ყოლ-ას აუკრძალავ (ზიხები მართლაც არ გამოირჩევიან საზღვაოსნო გადაად-გილების საშუალებით, დღევანდელობის ჩათვლით) ეს მხარეც გაუვალი ხდება...დასავლეთიდან მათ ახაიელებისაგან კოლხური დასახლება გამოყ-ოფს, მითრიდატეს მიერ ამ მიზნით ჩამოსახლებული ტრაპიზუნდის ზემ-ოთა მთებიდან-კოლადან, ხოლო აღმოსავლეთიდან იქიდანვე ჩამოსახლებ-ული არტები-არტაანიდან.

25. **„ტრაპიზუნდს და ფარნაკიის ზემოთ განლაგებული არიან ტიბარანე-ბი, ხალდები, სანები, რომლებიც ადრე იწოდებოდნენ მაკრონებად და მცირე არმენია. აპპეტები, ადრე წოდებულნი კერკეტებად, ცხოვრობენ აქ სადღაც ახლოს. ეს ოლქები კვეთვს საკმაოდ კლდოვან სკიდისს, რომელ-იც უერთდება მოსხების მთას, რომლებიც კოლხეთს ზემოთაა (მწვერვა-ლებს იკავებენ ჰეპტაკომიტები) და მთა პარიადრე, რომელიც გადაჭიმუ-ლია სიდენას ოლქიდან და თემისკირიდან მცირე სომხეთამდე, რომელ-იც აყალიბებს პონტოს აღმოსავლეთ მხარეს. ყველა მცხოვრები ამ მთი-ანი მხარისა ველურები არიან, მაგრამ ჰეპტაკომიტები აღემატებიან ყვე-ლას ამ მხრივ ... ჰეპტაკომიტებმა გაანადგურეს 3 მანიპულა პომპეუსისა,**

როცა გადიოდნან ამ მთიან ოლქებში; ბარბაროსებმა მოამზადეს გზაზე ჭურჭლები მათრობელა თაფლით, ხეების რტოსაგან მომზადებულებით. შემდეგ ისინი დაესხნენ რომაელ მეომრებს, თაფლდალეულებს და გძნობადაკარგულებს და ადვილად ამოხოცეს ისინი“
(სტრაბონი; წიგნი XII-III-18)

სტრაბომის ეს ციტატა საკმაოდ ყურადღებითაა შესასწავლი:

ა. სანები-მაკრონებად წოდებულნი, სვანური ტომია, რომელიც მოსინეკებთან ერთად 3,5-4 საუკუნის წინ ჩრდილო კავკასიაში ჩანან მიგრირებულნი- ეს მათ აღწერენ ალექსანდრე მაკედონელის მემუარისტები პაროპამისელთა სახელით. (არსებობს თითქმის ანალოგიური დასახელების, მაგრამ უკვე სატრაპია შუა აზიაში და ისიც სვანურ ტომს ეკუთვნის.

ბ. ჰეპტაკომიტები-შვიდსოფლელები, იგივე შკვითინები არიან, ქსენოფანტეს მიერ IV საუკუნით ადრე აღწერილნი.

გ. მანიპულა 600 ჯარისკაცია- ჰეპტაკომიტებს 1800 რომაელი ჯარისკაცი უჩანთ განადგურებული მათრობელა თაფლის საშუალებით, თუმცა მათ ხის რტოებისაგან არ ამზადებენ-მას იგივე ფუტკრები ამზადებენ იელის ბუჩქსაგან.

დ. სტრაბონის ამ ციტატიდან გამომდინარე, კოლხურ თაფლი მწარის სინონიმი ხდება, ხოლო უკვე დღევანდელ ტუაფსესთან მცხოვრები კოლაელ (კოლხ) შკვითინებს სამუდამოდ მიეკრათ „მეთაფლია აფხაზების“ სახელი-სანამ იქ ცხოვრობდნენ...

ე. უცნობია, ამავე დროს ხდება არტების გადასახლება კოლელების სამეზობლოდან - არტაანიდან, თუმცა ისინი ადრიატიკიდან აზონის მეშველად წამოყვანილ ილირიელებში უნდა ვიგულისხმოთ ... ისინივე ჩანან სადღაც ქობულეთის სიახლოვეს, პლინიუს უფროსის მიერ ამპრევტებად წოდებულნი.

ვ. აპპეტები -ადრე კერკეტებად ცნობილნი, ჰეროდოტესეული ალაროდებიფრთეულნი, უკვე აქ აღარ ცხოვრობენ-ამიტომაც ვერ უთითებს მათ საცხოვრისს სტრაბონი. ისინი თითქმის III საუკუნის უკან გადაასახლა სელევკ ნიკატორმა შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე - თავად სტრაბონივე აღწერს მათ აქ, თუმცა არ იცის რომ ეს კერკეტები ადრე ტრაპიზუნდს ზემოთ მცხოვრები კერკეტები არიან...

26. არტები შესაძლებელია არტ- ლარში, ადლერში სრულიად სხვა დროს გადავიდნენ საცხოვრებლად, ამას მათი ჰენიოხების თითქმის შუაში დასახლება გვიჩვენებს, მაგრამ მითრიდატეს უნდობი ხასიათიდან გამომდინარე, შესაძებელია წარმოშობით სინოპას კონცხელ ჰენიოხებსაც ბოლომდე არ ენდობოდა-ამიტომაც ჩაუსახლა შუაში არტები...

27.მილიტარისტული განწყობილების გეჩები თურქ მოგზაურ ევლია ჩელ-

ებისთან, აშკარა კონტრასტში მოდიან მშვიდობიან არტებთან. არ არის გამორიცხული მითრიდატემ ისინი პონტოდან ან მელიტენიდან წამოიყვანა და ჩაასახლა აქ, იბერები-მაგრამ უკვე მისი ერთგულნი- საყრდენ ძალად ფაქტიურად მტრულ ზიხურ და ახაიურ გარემოში...იბერებივე...

27*…და რატომ ზიხები? ვახუშტი ბატონიშვილი მათ ჯიქებად მოიხსენიებს, ბეძნული წყაროები ძიგებად, ძილქებად...და რომელია ნამდვილი? ბერძნულ ენას ასო Z -გააჩნია, მაგრამ ის ჩვეულებრივ ასო ძ-დ გამოითქმება. ასევე ასო ქ არ გააჩნია, არსებობს ასო ქს, მაგრამ არა ასო ქ...ასევე არ გააჩნია ასო J -ც... შესაბამისად, სიტყვა ჯიქის გამოსახვა ბერძნულს მხოლოდ ზიხი-ს ფორმით შეუძლია...გარდა ამისა, ლეონტი მროველი მათ აღსანიშნავად სიტყვა ჯიქს ხმარობს...ქრისტემდე V საუკუნის მერე, იბერიული ტომის სახელებში უკვე აღარ ფიგურურებს ვეფხვი-სავარაუდოდ ეს უმაღლესი მტაცებელი მოისპო კიდეს მცირე აზიაში...ჯიქი კი დარჩა ალბათ...უცნობია, ტრაპიზუნდთან სტრაბონის აღნიშნული ქალაქი ზიგოპოლი ადგილობრივი იბერიული ტომის ქალაქია, თუ ხიოსელების ნაწილის, რომლებიც მითრიდატემ საკუთარ სიახლოვეს დაასახლა...თუმცა სავარაუდოა უნდობმა მითრიდატემ პონტოდანვე გააყოლა მეთვალყურე იბერები...

28.მალიის სრუტე-ასე ჰქვია ზღვას კუნძულ ევბოას (იბერების სამყოფს) და კონტინენტურ საბერძნეთს შორის-თავად სტრაბონი აღმიშნავს, რომ სკენიტების მეორე სახელი მალეებია.

29. მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოში ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობიდან მახსოვს რომაული შეაბჯრული მეომარი ძაღლები, სავარაუდოდ მათი სახელი მოლოსებმა შემოგვინახეს, ზუსტად მათ მიერ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან ჩამოყვანილმა ტიბეტური მასტიფის ჯიშმა. (ფაქტიურად ისევე როგორც კავკასიური ნაგაზები)

30. მემერტინები საბინების კოლონიაა, მათივე ომის ღმერთის, მემერსის სახელის მიხედვით შერქმეული.

31.იტალიური მოსახლეობა იმავე სტრაბონის მიხედვით, აპენინის ნახევარკუნძულზე ყმების, ჰილოტების როლს ასრულებდნენ, სანამ სუზერენი რომისაგან არ მიიღებდა სტატუსს. ჩვეულებრივ, იტალიურ მოქალაქეობას, რომელიც უფრო დაბალ სტატუსს ითვალისწინებდა, ვიდრე ლათინურს, მით უმეტეს რომაულს.

32.პლინიუს უფროსი ომბრიკებს ასახელებს, წარღვნას გადარჩენილებს (შესაბამისად ვენეციაში მცხოვრებლებს წარღვნის დროს) თუმცა აღნიშნავს, რომ ისინი უკვე უმბრებად იწოდებიან...სტრაბონი, რომელიც თითქმის საუკუნით ადრე მოღვაწეობს, მათ ისევ ომბრიკებად იხსენიებს.

33. სიკანები-ეს სიკიონელებია, ისეთივე კურეტები, როგორც კრეტას მცხოვრებლები და მინოსის ხელქვეითები. სავარაუდოდ, კრეტის და სიცილი-

ის მოსახლეობა ერთი და იმავე ექსპედიციის მონაწილენი არიან, ინდოეთ-იდან მომავალნი...იმიტომაც ენდობა სიცილიელებს და ჯარის გარეშე ჩავ-იდა კოკალთან გაქცეული დედალოსის მოსაკითხავად...

34.მინოსი სამი თაობით ადრე იყო ტროას ომამდეო-ბრძანებს ჰეროდოტე: 1290+ (3X23)=1360 წელს ქრისტემდე...ზუსტად ამ წელს დასახლდნენ იაპი-გიელი მესაპიები აპენინებზე, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე.

35. ფარაონ ხატშეფსუტის მიერ გაწმენდილ არხზე, ქრისტემდე XV საუკუნ-ეს, მოძრაობა მინიმუმ 500 წელი არ უნდა შემწყდარიყო: არც ფარაონ ჰო-რემხებს და არც მომდევნო ფარაონებს მინიმუმ 2,5 საუკუნე მონების პრო-ბლემა არ უნდა ჰქონოდათ.

36.1470 წელს კუნძულ სიცილიაზე მთელი 200 წლის შემდეგ მოახალშენე-ბის შესავიწროვებლად საკმაოდ დიდი ძალა იყო საჭირო, რომელიც პო-ნტოელ იბერებს უთუოდ გააჩნდათ.

37. **„რომაელებმა გაათავისეს კანონი-სძულდეთ ყველა მეფე, იმიტომ რომ მათ ჰყავდათ ისეთი მეფეები, რომლის მხოლოდ სახელის გაგონებითაც კი წითლდებოდნენ (სირცხვილით) ველური მწყემსები, საბინელი ჰარუსპ-იკები, კორინთელი განდევნილები, ეტრუსკი მინიები და მათი შვილები, და ხალხი, რომლების ატარებდნენ ზედმეტ სახელად ამაყს“**

(პომპეი ტროგი, ფილიპეს ისტორია, თავი 38)

მათალია ჰარუსპიკებად-წინასწარმეტყველებად ეტრუსკებს აღიარებს ანტიკური ლიტერატურა, თუმცა ისინი მსხვერპლად შეწირული საქონლ-ის ფაშვზე მკითხაობდნენ, რომლისადმი სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი რომაული არისტოკრატია...ოდითგანვე განთქმული ვარსკვლავთმრიცხველ-ები ხალდები იყვნენ, რომლებიც შეუძლებელია ტირსენ ატისის ძის ექს-პედიციაში არ მონაწილეობდნენ... სხვაგან ეპიზოდში აღნიშნულია, რომ საბინები მშვიდობიანი ხალხი იყვნენ-მწყემსები...

38. ვალეი პეტერკული თარიღების დასახელებისას დიდად არცა ცდება, ტროას ომის თარიღად მას 1280-1270 წელი უზის...ცდომილება სულ 10 წელი...შეუძლებელია სხვა შემთხვევაში ის 200 წლით ცდებოდეს.

39. ქალაქ სირაკუზს ბერძენთა შორის პირველობაზე აქვს პრეტენზია. რო-დესაც ატენელი და ლაკედემონელი მოციქულები მივიდნენ მასტან სპარს-ელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების სათხოვნელად, მან ქმედითი დახმარება შესთავაზა ბერძნებს იმ შემთხვევაში, თუ მას მთავარსარდლად აირჩევენ. ლაკედემონელებმა მას უარი განუცხადეს...

40. სავარაუდოდ, ფიდენები და ფალისკები, რუტულები იყვნენ საბერძნეთ-იდან გადასახლებული, ფტიოტიდიდან, აქილევსის ყოფილი სამშობლოდ-ან-ახაიელები.

41. სტრაბონის მიხედვით ხორზენა იბერებს ჩამოაჭრეს არმენებმა. სავარაუდოდ, ეს იბერები პონტოელები იყვნენ, იმ დროს სპერელებად ცნობილნი, ერთ პოლიტიკურ ერთეულში შემავალნი...

42. ჰეროდოტე 100-150 წლით მასზე ადრე მომხდარ ამბავზე გულდაჯერებით და დარწმუნებით ლაპარაკობს, ისევე როგორც სკილაქსის შემთხვევაში. დასაშვებია, რომ კილიკიას 200 წლით ადრე დაერქვა ეს სახელი...

42*. სავარაუდოდ, არა მარტო რომაული ცხვირია აფსარების „საჩუქარი," ჩვენი მეზობელი ზოგიერთი სომეხის ბარაქიანი ცხვირიც, განდხარვ-აფსართა რასის საჩუქარი უნდა იყოს...

43. ამ თემაზე ჩვენ საფუძვლიანი განმარტება გავაკეთეთ პირველ ტომში და არ განვმეორდებით: უბრალოდ მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებთ, რომ ჰეროდოტეს მიერ ნახსენები აზიის ეთიოპია-ეს იბერ-ქართების სამეფოა, კავკასიაში მდებარე. ამ ფაქტის ანარეკლი ჩანს შუა საუკუნეებში დავით აღმაშენებლის ხსენება ევროპულ წყაროებში, თუმცა იოანე პრესვიტერად ცნობილი, ამასთანავე...ეთიოპთა მეფედ დასახელებული...

44. კიროსის მიერ საკების დათრობის (ალბათ მყისიერი) პროცესი, მათი პალმის ღვინოს (ფაქტიურად ლიქიორით) „გამასპინძლებას" მიანიშნებს-ყურძნის ღვინოთი დათრობა ხანგრძლივი პროცესია და შეიძლება უჩვევი კაცი ვერც მიიზიდოს...სულ სხვაა პალმის ლიქიორი, ტკბილი და სასიამოვნო დასალევი, თან მცირე რაოდენობა გათრობს...

45. აზიის ეთიოპია, იბერია სავარაუდოდ ქრისტემდე XXV საუკუნეს დაასახლეს იბერ- ქართებმა, ისევე როგორც სამხრეთ ევროპა, ამაზე ანანურთან ნაპოვნი უჩვეულოდ ძველი ხის ურმებიც მიუთითებენ, ხის ერთიანი... ბორბლებით, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, პირველი ეთიოპია სპარსეთის ყურესთან მდებარე ელამაიდა უნდა იყოს -ეთიოპიად ხმობილი ქრისტმდე XXVII საუკუნეს დაფუძნებული ... ზუსტად აქედან ილაშქრა **ტეარკონ ეთიოპმა-თარხონ ქუშმა პირენეებისაკენ.**

46. ანტიკური ლოგოგრაფი, დიოდორე სიცილიელი აღნიშნავს კელტების (ქართების) და იბერების შეხვედრას (როგორც გავარკვიეთ, მცირე აზიაში) და ერთმანეთთან ომით დაწყებული საქმე მეგობრობით დაათავრეს... იბერიაც ერთად უჩანთ დასახლებული და საერთოდ იმდენად მჭიდრო ბმა ჩამოყალიბდა მათ შორის, რომ დასავლეთ ქართველი იბერები ტრაპიზონიდან ჩრდილოეთით ზღვის მახლობლად მცხოვრებნი თავს ფარსმანის (ფარესმანის-ფლავიუს არიანეს სიტყვებით) იბერიის მეფის ქვეშევრდომებად თვლიან ქრისტესით II საუკუნეს.

47. ბაბილონის ნაბონიდი მეფე კიროსს ანშანის მეფედ ახსენებს -არა მარტო ბაბილონის მეფე ახსენებს კიროსს ანშანის და სუზის მეფედ, ასეთი ცნობა ანტიკურ ლიტერატურაში უამრავია. მეტიც, კიროსი არასდროს ყო-

ფილა აქამენიდი და სპარსელი მეფე- ელამი საუკუნობით ებრძოდა ასირ-
იის იმპერიას და მხოლოდ ქრისტემდე VII საუკუნის შუა რიცხვებში შეძ-
ლო ასირიამ მისი საბოლოოდ დამორჩილება. სპარსელთა მეფის ქვეშევრ-
დომები ელამიტები არასდროს ყოფილან. მიდიის და ბაბილონის გაერთ-
იანებულმა ძალებმა ასირია დაამარცხეს, მხოლოდ ამის შემდეგ ხდებიან
ელამიტები (როგორც ჰეროდოტე ფიქრობს) მიდის სამეფოს სატელიტები,
მაგრამ არა სპარსეთისა. თვით სპარსელთა იმპერატორი დარიოს I აქამენ-
იდ მეფეებში თვლის კიროს დიდის მამას, თვითონ კიროსს და კამბისესს,
საკუთარი დინასტიის განსადიდებლად, თუმცა ისინი აქამენიდები არ ყო-
ფილან და არც სპარსეთთან აკავშირებთ საერთო დინასტია...

48. უნდა გავიაზროთ, რომ „მახაბხარატად“ ცნობილი ინდური ეპოსი სი-
ნამდვილეში პლანეტა დედამიწის წიგნთა წიგნია. სხვა ანალოგიური ეპ-
ოსი (რამაიანა) თუ სხვა ჰიმნოგრაფიული ტექსტები, რომელიც გადმოცე-
მულია სხვადასხვა ვედებში-ზედნაშენია. ინდოელი სწავლულები ეპოს „მახ-
აბხარატაში“ აღწერილ მოქმედებას ქრისტემდე XXXII (ოცდამეთორმეტე) სა-
უკუნედ თვლიან და ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა. (მიუხედავად ევრო-
პელ სწვლულთა ვერსიისა, რომ ეპოსი სინამდვილეში ქრისტემდე XV სა-
უკუნეზე ძველი არ უნდა იყოს). მათემატიკაში ცნობილია, რომ დაუმტკი-
ცებელ (მაგრამ სწორ) თეორემას აქსიომა ეწოდება...და მაინც ვცდი ინდო-
ელ სწავლულთა ამ აქსიომის დამტკიცებას. ეპოსი დაყოფილია თავებად,
რომელსაც პარვა ეწოდება. ერთ-ერთ პარვაში, კერძოდ „კარნა პარვაში“ მო-
თხეობილია კარნას, პანდავების ქორწილგარეშე გაჩენილი უფროსი ძმის
და შალიას- მადრების მეფის სიტყვიერი კენწლაობა... თავად კარნამ იცის
საკუთარი წარმოშობის შესახებ, რომელიც დედამ გაუმჟღავნა „კურუქშეტ-
რას“ (ფაქტიურად პირველი მსოფლიო) ომის წინ. თუმცა კაურავების ბე-
ლადის, დურიოდხანასათვის მიცემული ფიცი აიძულებს მას იბრძოლოს
ბიძაშვილების-კაურავების გვერდით, საკუთარი ძმების, პანდავების წინაა-
ღმდეგ...ასეთსავე სიტუაციაში იმყოფება მადრების მეფე შალიაც. მან თა-
ვისდაუნებურად ფიცი მისცა კაურავებს და მათ ბელად დურიოდხანას-
რომ იბრძოლებს მისი მტრების წინააღმდეგ. ბედის ირონიით, კაურავებ-
ის მტრები ამჟამად პანდავები აღმოჩნდნენ, რომელთაგან ორი უმცროსი
ძმა, ნაკულა და სახადევა მისი დისშვილებია ... და მაინც შალია მიცემ-
ულ ფიცს ვერ ტეხავს და იძულებულია პანდავების წინააღმდეგ იომოს.
და კარნა საკუთარი საბრძოლო ეტლის მიმმართველად ზუსტად ამ შალ-
იას ითხოვს... და კარნას საომარ ეტლში იმართება სიტყვიერი კენწლაობა
კარნასა და შალის შორის...აქ კარნა არატას ახსენებს, დიდ სატომო გაერთ-
იანებას, მდებარეს არა ინდოეთში, არამედ ინდოეთიდან შორეულ დასავლ-
ეთში, ხუთმდინარეთში. აქ კარნას სიტყვებით ბრახმა-რწმენა განადგურე-

ბულია და მას არავითარ პატივს არ სცემენ ... არატას გვერდით კარნა ახსენებს ბახლიკებსაც, არატას მონათესავე ტომს, რომელშიც შალიას მადრების ტომიც მოიაზრებიან-მონათესავე ტომები არიან. მკითხველს შევახსენებ, რომ მოქმედება ხდება ქრისტემდე 3103 წელს...და შუმერების ლაშქრობა არატას სახელმწიფოსაკენ (უკვე სახელმწიფოსაკენ!!) რომელსაც სარდლობს ლუგალბანდა. არატას დაპყრობა შუმერების მიერ ქრისტემდე XXVII საუკუნეს (სინამდვილეში XXVIII საუკუნეს-მათ სპარსეთის ყურეში ელამიტები არ შეხვედრიან, აქ დამკვიდრებულნი ქრისტემდე XXVII საუკუნეს) და მხოლოდ შვიდი მთის გადასვლის შემდეგღა მიაღწევენ)...ცხადია „მახაბხარატა“ რამდენიმე საუკუნით ადრე ასახელებს ამ რეალურ-შუმერების მიერ დალაშქრულ არატას - სპარსელებს ... და მეორე, როგორც ადრე ითქვა, მხოლოდ ეს ეპოსი წარმოადგენს იმ შორეულ-ზღაპრულ თუ რეალურ სინამდვილეს და ყოველი ინდური ვედა ამ ეპოსიდან ათეული (შესაძლებელია რამდენიმე ათეულიც კი) საუკუნის შემდგომი სულიერი პროდუქტია...თავად ბრახმანი საკუთარ მოსწავლეს (და არა მოსწავლეებს) ამ ეპოსს ზეპირად ასწავლის (ინდოეთში დამწერლობა 2-3 ათეული საუკუნის მერე ჩამოყალიბდა) მოსწავლეს 37 წელი, რომ ეპოსი ბუკვალურად დაასწავლოს-დააზეპირებინოს) ზღაპრის ბუკვალურად დასწავლა უაზრობაა-ამიტომ არის ეპოსი „მახაბხარატა“ წიგნთა წიგნი და მატიანე, რომელიც დასახელებული თარიღიდან-კურუქშეტრას ომიდან ქრისტემდე 3103 წლიდან რამდენიმე საუკუნით შორსაც იხედება. ჩემი გამოთვლით, ეს უშორესი თარიღი ქრისტემდე 3760 წელია...

49. ორი დასახელების საკები არის აღრიცხული დარიოს I „ბეხისტუნის წარწერებში“. ერთი საკი „ხაუმავარგა“-წოწოლა ქუდიანები, რომლებიც შედიან კიროს დიდის დაფუძნებულ იმპერიაში, სატრაპიის რანგში, იგივე რანგით და სახელით იხსენიება დარიოს I დროს...ესენი შუმერების შთამომავალნი არიან (გვახსოვს ალბათ, სკვითების დევნაში მთელი მცირე აზიური სპექტრი მონაწილეობს, მათ შორის ამაზონებიც)...და მეორე-ამორგის საკები- ტიგრახაუნდები ... ისინი არ დაუმორჩილებია კიროსს დიდს და არც დარიოს I იმპერიაში შედიან. ზუსტად მათ თვლის ფლავიუს არიანე (და როგორც ეტყობა ალექსანდრე მაკედონელის მემუარების ავტორებიც) სკვითებად-აღმოსავლეთის სკვითებად. არავითარ აღმოსავლეთის სკვითებთან- რუსებთან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარს შეხება არ ჰქონია-ეს სოგდები-ტაჯიკები და საკი ტიგრახაუნდები-იბერები ებრძვიან მაკედონელს შუა აზიაში, სოგდი სპიტამენის მეთაურობით...

50. საინტერესოა საკების დედოფალ სპარეტრას პიროვნება. მისი ქმრის, ამორგის მეფე კიროსთან დამარცხების და დატყვევების შემდეგ, სპარტრა თავს უყრის უზარმაზარ ლაშქარს (ორას ათას საკ მამაკაცს და ამდენ-

ივე ქალ მეომარს...) რასაკვირველია რიცხვი გაზვიადებულია (სავარაუდ-ოდ შემდგომი გადამწერების მიერ) და მინიმუმ ერთი ნულით უნდა შე-მცირდეს- ზუსტად 20000 (ოცი ათასი) საკი მეომარი გამოყავს ტყვეობიდან განთავისუფლებულ საკი ტიგრახაუნდების ბელადს ამორგს, დერბიკების-გან დამარცხებულ და დაჭრილი კიროსის დასახმარებლად. მაგრამ რა უფ-ლებით და დამსახურებით გამოყავს სპარეტრას ქალი მეომრები -უთოდ ამაზონები? ეს პასაჟი გვაფიქრებინებს, რომ იმ დროისათვის საკი ტიგრახა-უნდებიც და ამაზონებიც არალისპირა სტეპებში მომთაბარეობენ, არა კირ-ოსის და შემდგომ დარიოსის იმპერიის ფარგლებში მყოფნი...დიდი ალბა-თობით, თავად სპარეტრა-ამორგის ცოლი ამაზონების რიგებიდანაა.

51. ამ შემთხვევაში, ამორგის, მისი ცოლის-სპარეტრას და მეფე კიროსის დამარცხებისა და სიკვდილის ეს ვარიანტი კტესია კნიდელის ჩანაწერე-ბიდან იღებს სათავეს. თავად ჰეროდოტეც ვერ უარყოფს ამორგის საკე-ბის არსებობას და მათ ამირგიებად, სკვითებად ნათლავს. სწორედ ჰერ-ოდოტესგან უნდა ღებულობდეს სათავეს საკი ტიგრახაუნდების -ამორგის საკების აღმოსავლეთის სკვითებად ჩათვლა...სინამდვილეში აღმოსავლეთ-ის სკვითები-რუსები მხოლოდ მონღოლურ გენთან შერევის შემდეგღა იწ-ყებენ დამპყრობლურ ომებს...რაც შეეხება კტესია კნიდელს, სპარსული ის-ტორიები უფრო მეტადაც დაეჯერება, ვიდრე თავად ჰეროდოტეს. დიდი დრო გაატარა კტესიამ სპარსელ მეფეთა კარზე, თავიდან ტყვის რანგ-ში, თუმცა მოგვიანებით პირველი ექიმის რანგსაც მიაღწია-ყველა სპარსულ წყაროზე თავისუფალი წვდომა ჰქონდა, მათ შორის სამეფო ბიბლიოთეკა-ზეც...

52. დახები, რომლებთან ბრძოლასაც კიროსი შეეწირა (კტესიასეული ვარია-ნტით) ვფიქრობ ასირიელები არიან- ჯერ ერთი, ყველა მცირე აზიური ტო-მი მონაწილეობს სკვითების მცირე აზიიდან განდევნაში, რა დროსაც და-ასახლეს შუა აზია, შესაბამისად ასირიელებიც აქ უნდა იყვნენ... და მეორე, კიროსს პრეტენზიები აქვს დაიმორჩილოს ყველა ის ტომები, რომლებიც თავის დროზე მიგრირდნენ მცირე აზიიდან...როგორც ქუშის ტომის წარმ-ომადგენელი, თვლის რომ ქუშიტურ ტომების მეფობაზე გარკვეული საფუ-ძველი აქვს- მის ამ თვითდაჯერებაზე ჰეროდოტეც ყვება... ერთადერთ გამ-ონაკლისს ის საკ-ტიგრახაუნდებზე უშვებს, რომელსაც თანატოლად განიხ-ილავს...მაგრამ ჩანს იმავე აზრისა არ არის დერბიკებზე-დახებზე...

53. ბეხისტუნის კლდეზე შესრულებული მრავალენოვან წარწერაში მოცემ-ული 23 (ოცდასამი) სატრაპიიდან თოთხმეტი მაინც განდხარვულია-ქართ-ველური. აი მათი ჩამონათვალი:ელამი, ბაბილონი, ეგვიპტე, ლიდია, იონია, პართია, დრანგიანა, ხორეზმი, ბაქტრია, სოგდიანა, სატაგადიში, საკა, არახ-ოსია, მაკა...საკამათოა წარწერებში მოცემული სახელმწიფო ზღვასთან და

თვით ასირიაც კი, რომლის შემადგენლობაში სავარაუდოდ შარვები დომ-ინირებენ... მკითხველს განვუმარტავ, თუ რატომაა ეს „სპარსუ-ლი“ სატრაპ-იები სინამდვილეში განდხარვული- ქართველური.1)ელამი, იგივე ელამაი-და, აღმოსავლეთ ქართველთა სამშობლო. დღევანდელი ხუზისტანის.2) ბაბ-ილონი, შუმერთა იგივე ხალდთა-ჭანთა სამეფოს სამართალმემკვიდრე.3) ეგ-ვიპტე-კოლხთა აფრიკული სამეფო. 4) ლიდია- ეტრუსკების მცირე აზიური სამშობლო 5) იონია-მცირე აზიელი იბერები. 6) პართია-არტების, იგივე არგ-ოსული ტომების აზიური სამშობლო. 7) დრანგიანა-ლურისტანი, დღევანდე-ლი კახების სამშობლო. 8) ხორეზმი, დღევანდელი თურქმენეთი, კან-გოის სამეფო. 9) ბაქტრია -უზბეკთა ქუშანური სამეფო. 10) სოგდიანა-ასაკენები, დღევანდელობაში ტაჯიკებად წოდებულნი. 11) საკა- ყოფილი შუმერების სა-მეფო. 12) სატაგადიში-ლეგები და გელები-ინგუშები 13) არახოსია-იბერია 14) მაკა-მესხეთი...

54. ზუსტად ამიტომაც არის შესრულებული „ბეხისტუნის წარწერები“ სამ ენაზე, რომლიდანაც ერთ-ერთი ელამურია. გარდა ამისა, როგორც ვისაუბ-რეთ, ელამიტმა კიროსმა შექმნა ეს იმპერია, რომლის ერთ -ერთი სატრაპ-იის, სპარსეთის მეფისნაცვლები გახლდნენ აქამენიდები, უკვე სპარსულად სახელდებული იმპერიის მეფეები...

55. მარგები-მარდები შუა აზიაში ორი სხვადასხვა პროცესის შედეგად არ-იან მოხვედრილნი: ა) საერთო მცირე აზიური ლაშქრობა-დევნის პროცესი სკვითებისა, ქრისტემდე XVI საუკუნეს. ამჯერად ისინი დამოუკიდებელ სა-ტრაპიას ვერ ქმნიან და ბაქტრელთა რიგებში მოიაზრებიან. დროთა განმ-ავლობაში მათი ტერიტორის დღევანდელი თურქმენეთის იურისდიქცია-ში გადადის. ქალაქი მერვი და მარების უდაბნო, ეს მათი ქალაქია დღე-ვანდელ თურქმენეთში, უზბეკეთის მახლობლად. 2) ალექსანდრე მაკედონ-ელის მოლაშქრეთა რიგში, ქრისტემდე IV საუკუნეს, ყარა ბოღაზ გოლის მახლობლად, კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მაკედონელის ახ-ლადშექმნილი იმპერიის მესაზღვრეები...ეს უკანასნელი დაწვრილებითაა განხილული პირველ ტომში.

56. ეტრუსკების მაგალითიდან შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ, ქართველ-თა სახლიკაცებისა. ისინი ერთიან სამეფოს არ ქმნიდნენ, კმაყოფილდებ-ოდნენ თემატიკური სიახლოვით: საერთო რელიგია... ხშირად ენას სხვად-ასხვა ჰქონდათ. ასევე ქართველური სატრაპიები ვერ ახერხებენ საერთო გამოსვლას სპარსელების წინააღმდეგ, თუმცა დარიოსის იმპერიაში უმრა-ვლესობაში იყვნენ.

57.გერკინის ტყე სტრაბონის მიხედვით შუა გერმანიაში მდებარეობდა.

58. ჰეროდოტე ძირითადად აღმოსავლეთ უკრაინას განიხილავს დასავლე-თის სკვითების მიწებად ... სხვა სამეფო სკვითებს ამ უკანასკნელთაგან

ჩრდილოეთით მიუთითებს...ძნელი სათქმელიც კია, რა აქვს მხედველობაში ჰეროდოტეს, როდესაც დასავლეთის სკვითების საზღვრად მდინარე ტანაისს-დონს დებს...ცნობილია რომ მეორე ლაშქრობა დასავლეთის სკვითებმა კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროდან განახორციელეს, დღევანდელი დერბენტის გავლით-ეს აშკარად დონის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაა. დონის აღმოსავლეთით მდებარეა დარიალის უღელტეხილიც, რომლითაც ისარგებლეს დასავლეთის სკვითებმა მესამე ლაშქრობისას...და საერთოდ, მდინარე დონის ნახევარრკალური მოხაზულობის გამო დღევანდელი რუსეთის ქალაქების დიდი ნაწილი: ბელგოროდი, კურსკი, ბრიანსკი მდინარე დონის დასავლეთითაა...

ასაკენები

იმ შვიდი განდხარვული ტომიდან, რომელიც დასახელებულია ინ-დურ ეპოს „მახაბხარატაში“ (და რომლის იდენტიფიკაცია ჩვენ შევძელით) ქუშისა და გელის ტომის პარალელურად მეტ-ნაკლებად შესამჩნევ კვალს ტოვებს კირატაც. ის მის მეორე სამშობლოში, სპარსეთის ყურესა და მცირე აზიაში ასაკენების (სიკანების) სახელით ხდება ცნობილი. მათი სატომო სახელის მეტამორფოზის გზა უცნობია, თუმცა ისინი პირველად ასაკენის (სიკანის) ხოლო შემდეგ ჯიბუტის სახელით ხდებიან ცნობილი. მათი პი-რველი პიონერული ექსპედიციაც ტეარკონ ეთიოპთან ერთად ჩანს განხო-რციელებული, სამხრეთ ევროპისაკენ თუ ჩრდილო აფრიკისაკენ. აფრიკის-აკენ ქუშიტების ექსრედიცია სრულდება ჩრდილო აფრიკაში რამდენიმე კუშიტური პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბებით, რომელთაგან ორი, ეთიოპია და ერითრეა წინა ეპიზოდში მოვიხსენიეთ. სხვა კუშიტურ ტომ-ებთან ერთად კირატებსაც საკუთარი პოლიტიკური წარმონაქმნით არიან წარმოდგენილი და დღეს ის ჯიბუტის სახელითაა ცნობილი...და რამ გვა-ფიქრებინა, რომ სახელმწიფო ჯიბუტი განდხარვული ქვეყანაა? პირველ რი-გში ენამ, რომელიც ჯიბუტებს იგივე უჩანთ, რაც სხვა ქუშანურ ქვეყნებს: აფრაზიული... ხოლო მეორე ნიშანი თავად სახელწოდებაა:

„ჩვენ, <u>შიბუტის ჯამაათი</u>, რომ ვიყოთ ხელქვეითნი დიდი მეფისა (იმ) მთების ქვეყნიდან, კერძოდ ვარანტიდან, ჩაჩანიდან, ტონსადან- გავაგზავ-ნეთ სამი შიკრიკი მეფესთან, თუ ის გვინებებს ჩვენ, გავხდებით მეფის ხელქვეითები. სახელები ამ მოციქულებისა: ალიხანი, სუსლა, ალგაპი- ამ სამ ადამიანს ჩვენ ვაგზავნით და მათ ასე დავუწერეთ ამანათზე (წერი-ლზე) და გავაგზავნეთ ჩვენ, დაე რუსმა მეფემ ჩვენ შეგვიწყალოს. გავაგ-ზავნეთ შიკრიკები ჩვენს თემურას მეფესთან, ახლა თემრასი გახდა რუ-სი მეფის ქვეშევრდომი, ჩვენც ვისურვებთ ვიყოთ ქვეშევრდომი რუსი მეფისა. მეფევ, შემოგვხედე ჩვენ დიდებულად-მოგიყვანთ ქვეშევრდომად მრავალ სოფელს, ხოლო ჯერ-ჯერობით ჩვენ სამი-ოთხი დასახლება ვი-ყავით მოსურნენი დიდ მეფესთან „შეგვიწყალე ჩვენ, მეფევ“ (შიბუტის ჯამაათი 1639-1642 წ. აღმოსავლეთის ლიტერატურა, დოკუმენტები, კავკა-სიის განყოფილება)

უნდა განვაცხადოთ, რომ აღნიშნული დოკუმენტის რუსული ინტ-ერპრეტაცია აბსოლუტურად აცდენილია სინამდვილეს:

1. ჩათვლილია, რომ წინამდებარე დოკუმენტი ეკუთვნის დაღესტანის მხა-რეს, თუმცა ტექსტში იდუმლებით მოცული შიბუტების გარდა პირველად დასახელებულია ვარანტი. მკითხველს ვთხოვ გაიხსენოს, რომ რუსი გენე-

რლის, დუბროვინის აღწერით ვარანდინები- ხევსურული წარმოშობის ჩეჩნებია. შესაბამისად-ვარანტი მხოლოდ ხევსურეთი შეიძლება იყოს.
2.არ მოითხოვს განსაკუთრებულ მიხვედრას, რომ წერილში მოხსენიებული მეორე სუბიექტი, ჩაჩანში დღევანდელი ჩეჩნეთი იგულისხმება.
3. მესამე სუბიექტის, ტონსას ქვეშ საძიებელი დღევანდელი ინგუშეთია, რომელსაც თურქი მოგზაური ევლია ჩელები დროის ზუსტად იმ მონაკვეთში ტაუსტანს უწოდებს.
4. ყურადღების მიღმაა დარჩენილი ის გარემოება, რომ კავკასიელი მთიელები (პირველ რიგში ჯიბუტები, იგივე ვარანტები და შესაბამისად იგივე ხევსურები) თავიანთ ბატონად თემურასს, თემრასს ასახელებენ.
5. ეს მეფე „თემურასი“ ახლახანს გამხდარა რუსი მეფის ქვეშევრდომი და ამავე სტატუსს ითხოვენ კავკასიელი მთიელები ჩაჩანი და ტონსა, ასევე კავკასიელ- ქართველ მთიელებთან, ხევსურებთან ერთად...
6. ...და მართლაც ირანიდან ქართლის მბრძანებლად გამოგზავნილ როსტომ ხანისაგან ლტოლვილი ქართლ-კახეთის მაშინდელი მეფე, თეიმურაზ I „ქართლის ცხოვრების“ ვახუშტისეულ ვარიანტში ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ დვალეთში ლტოლვილადაა გამოცხადებული.
7. ზუსტად აქ, დვალეთიდან ჩანს თეიმურაზ I მიერ თხოვნა გაგზავნილი რუსეთის მეფესთან მფარველობის შესახებ.
8. კავკასიელი მთიელები, ქართველ მთიელთა- ჯიბუტების (იგივე ვარანტების- ხევსურების) წინამძღოლობით შიკრიკებს აგზავნიან რუს მეფესთან, რომ იმავე უფლებით მიიღოს ისინი მფარველობაში, როგორც მათი ბატონი „თემურასის-თემრასის“ მიმართ აქვს განხორციელებული...

შესაბამისად, რუსეთის მეფის მიმართ გაგზავნილ წერილში ასაკენების- ვარანტების, იგივე ფშავ-ხევსურთა მიერ გაგზავნილ წერილზე თვითდასახელება შიბუტი მხოლოდ ტერმინ ჯიბუტის კირილიცით გამოხატვის ფორმა უნდა იყოს. მტკიცებულებად ქართულში არცთუ ისე გავრცელებული გვარი ჯიბუტი უნდა ჩაითვალოს (1) და...ასევე პოლიტიკური წარმონაქმნი ჯიბუტი აფრიკაში, ეთიოპიის ამ ასაკენური სახელმწიფოს აქ არსებობა ერითრესთან ერთად ცალსახად ამტკიცებს: განდხარვთა მეორე სამშობლო (ინდოეთის შემდეგ) სპარსეთის ყურე და მცირე აზიაა, სადაც ისინი იბერებს შეეყარნენ...აქ და მხოლოდ აქ შეიძლებოდა მათი თავდაპირველი მტრობა მოყვრობასა და მეგობრობაში გადაზრდილიყო. შემდგომში, ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილის ათვისება კუშიტებს და იბერების მიერ ერთობლივად ხდება, იქნება ეს აღმოსავლეთი თუ ჩრდილო აფრიკა, სამხრეთი, ცენტრალური თუ ჩრდილო ევროპა და შუა აზია...

ქრისტემდე XXV-XXIII საუკუნეს ჩანს ის პიონერული ექსპედიცია, რომელსაც სტრაბონის ახმოვანებს, მავანი მეგასთენესაგან კონსტანტირებ-

ულს. ამ ფაქტის მიხედვით ტეარკონ ეთიოპმა (სინამდვილეში თარხონ ქუშმა) ჰერაკლეს სვეტებს (გიბრალტარის სრუტეს) მიაღწია. ექსპედიციის მომწყობები და მონაწილენი განდხარვები არიან და მათვე რიგში მოიაზ-რებიან ასაკენებიც:

„შორეულ წარსულში ამ კუნძულს საკუთარი მოხაზულობის გამო ტრინა-კრია (სამკუთხა) ეწოდებოდა, ხოლო მასზე მცხოვრები სიკანების გამო და-არქვეს სიკანია. ხოლო ბოლოს, მას შემდეგ რაც გადმოსახლდა მთელი ხა-ლხი სიკულებისა იტალიიდან, კუნძულს დაერქვა სიკანია“ (დიოდორე სიცილიელი, წიგნი V, 2-1)

თითქოსადა არაფერი საერთო არ უნდა ჰქონდეს იტალიის კუნძულ სიცილიას და მის პირველ მაცხოვრებელ სიკანებს ჩვენს საძიებელ ხალხ-თან და ესპანეთთან, მაგრამ:

„აუცილებლად მიმაჩნია ასევე მოკლედ მოგიყვეთ სიკანებზე, ამ კუნძულ-ის ყოფილ პირველ მოსახლეებზე, ვინაიდან მათზე ისტორიკოსებს შორის სხვადასხვა აზრი არსებობს: ასე მაგალითად, ფილსტი ჰყვება, რომ ისინი დასახლდნენ კუნძულზე, მოსულები იბერიიდან (ესპანეთიდან) **ხოლო და-სახელება მიიღეს იბერიის მდინარე სიკანიდან. ტიმეიმ კი დაამტკიცა ამ მწერლის შეცდომა და სრულიად გარკვევით მიანიშნა სიკანების ავტოხთ-ონობაზე** (სიცილიაში)“. **(იქვე 6-1)** და აქვე შენიშვნა მდინარე სიკანზე:

მდინარე ესპანეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე (დღევანდელი დასახელება ხუკარი) ასეთსავე სახელს ატარებს მდინარე აკრიგენტასთან (სიცილიაში) ამავე აზრისაა თუკიდიდე, ეფორი, დიონისე ჰალიკარნასელი. საერთო წყა-როს წარმოადგენს ანტიოქ სირაკუზელი. სხვა ანტიკური ტრადიციის მიხ-ედვით, სიკანები უძველესი ავტოხთონური ტომია იტალიისა“ (ვირგილი-უსი, ენეიდა, VII-795, VIII-328, IX-317)

კიდევ ერთხელ დავიმოწმებთ პომპონიუს მელლას და პლინიუს უფ-როსს, რომ ეს ხალხები არქმევენ საკუთარ სატომო სახელს მთაგრეხილებს, ზღვას თუ მდინარეს და არა პირიქით. ზუსტად ასევე ჩანს სიკანების მი-ერ საკუთარი სახელი შერქმეული მდინარისათვის ესპანეთსა და სიცილი-აში და არა პირიქით. ამასთან, ვირგილიუსის მიერ სიკანების განსახლება ნაჩვენებია იტალიის სამ სხვადასხვა ადგილას და არა ერთად. ცხადია ვერც ესპანეთი და ვერც იტალია ვერ იქნება სიკანთა ტომის სამშობლო (ინდო-ეთის შემდეგ) ვინაიდან ისინი ერთსა და მეორე ადგილასაც სხადასხვა ექ-სპედიციის შედეგად ჩანან ჩამოსახლებული: პირველი ესპანეთში ტეარკონ ეთიოპის-თარხონ ქუშის ექსპედიციისა კაცობრიობის მიერ ევროპის ათვი-სების გარიჟრაჟზე, ქრისტემდე XXV საუკუნეს, ხოლო მეორე იტალიაში, ასე-ვე თარხონის, ამჯერად თარხონ ტირსენის ექსპედიციის მიერ XIII საუკუნ-ეს. ცხადია სიკანები-ასაკენები, ფშავ- ხევსურთა სახლიკაცები მონაწილეობ-

ენ პირველ ექსპედიციაშიც და მონაწილეობენ აგრეთვე მეორეშიც. მართალია ისინი სიკანები არიან, მაგრამ ერთმანეთისაგან საუკუნეებით დაშორებულნი. ამასთან, ექსპედიცია ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც იწყებოდა ფაქტიურად ერთსა და იმავე ადგილიდან: სპარსეთის ყურესა და მცირე აზიიდან, რომელიც დორიულ (განდხარვულ) ტომთა ინდოეთიდან მიგრაციის ადგილს წარმოადგენდა. თუმცა არსებობდა და არსებობს მათი მიგრაციის სხვა ვარიანტიც:

XX საუკუნის ტოპონომიკის გამოკვლევის საფუძველზე სიკანებს თვლიან ჩრდილო აფრიკიდან წარმოშობილ ტომად. (წინა შენიშვნის გაგრძელება)

...მაგრამ ვინ ითვლება ჩრდილო აფრიკად?

ჩრდილო აფრიკა - მდებარეობს აფრიკის კონტინენტის ყველაზე ფართო ნაწილში. გეოპოლიტიკურად, გაეროს განსაზღვრებით მასში შედიამ ალჟირი, ეგვიპტე, ლიბია, მაროკო, სუდანი, ტუნისი, დასავლეთ საჰარა. ამავე ნაწილს ხშირად მიაკუთვნებენ ეთიოპიას, ერითრეას, მავრიტანიას- ვიკიპედია.

ჩვენი მხრიდან დავუმატებდით, რომ ამავე განსაზღვრებაში შედის სახელმწიფო ჯიბუტიც, რომელიც ზუსტად სიკანების- ასაკენების პოლიტიკურ წარმონაქმნს წარმოადგენს, რომლის ასაკი დღეს XXXIII საუკუნით უნდა განისაზღვროს. დროში რამდენადმე რამდენადმე განსხვავებული ჩანს თარხონ ქუშის სარდლობით ჩატარებულ დორიელთა (განდხარვთა) ლაშქრობისა პირენეის ნახევარკუნძულზე (ამ საკითხზე ადრე უკვე ვისაუბრეთ) საკვირველია, რომ ერთი ტომის, სიკანების და ასაკენების (ჯიბუტად წოდებულის) ტოპონომიკა ერთმანეთს ემთხვევა? რასაკვირველია არა, პირიქით. ...ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს გნდხარვთა დამსახურებას მსოფლიოს ათვისების საქმეში...

ნიშანდობლივია, რომ განდხარვთა პირველ (საყოველთაო) და მეორე, იტალია-აფრიკის ათვისების მცდელობას შორის მთელი XII საუკუნის შუალედი უქმად და უმოქმედოდ არ ყოფილა. ამ ორ აქტს შორის განდხარვები ასრულებენ რიგ აქტიურ მოძრაობებს, რომელიც აქტიურად აისახება რეგიონის (და არა მარტო) შემდგომ პოლიტიკურ- დემოგრაფიულ ლანდშაფტზე. პირველ რიგში ყურადღება გამახვილდება ასაკენთა ტომზე, რამეთუ ეს ქვეთავი მთლიანად მიძღვნილია მათთვის. რასაკვირველია ასაკენის ტომი ისტორიულად აქტიურია დროის ამ მონაკვეთშიც. მისი აქტივობა მიმართულია ხმელთაშუა ზღვის ცალკეული ქვეყნებისაკენ, პირველ რიგში კუნძულ კრეტისაკენ:

„დოსნადი ამტკიცებს, რომ მისი დასახელება მოდის ნიმფა კრეტას სახელიდან, ჰესპერიდების ერთ-ერთი ქალიშვილისაგან. ალექსომანდრი (აწარმოებს მას) <u>კურეტთა</u> მეფისაგან. ფილსტიდი ფალიოსიდან და კრეტასი

(თვლიდნენ რომ ის) თავიდან იწოდებოდა ერიად და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ -კურეტისად“ (პლინიუს უფროსი, ბუნებრივი ისტორია, წიგნი IV-58)

პლინიუს უფროსი მოკრძალებულად, მაგრამ ფაქტიურად სამი წინამორბედი მემატიანის სახელით კუნძულ კრეტას სახელს კურეტებს და მათ მეფეს უკავშირებს (2) მის ვერსიას ამაგრებს მისი წინამორბედი ისტორიკოსის, დიდტანანი გეოგრაფიული ტრაქტატის ავტორი სტრაბონიც:

„შემდეგ, ასეთია ნაამბობი, რომ იმ დროს, როდესაც კურეტები ცხოვრობდნენ პლევრონიაში (იმ დროს წოდებული კურეტისად) ეოლიელები შემოიჭრნენ ამ ქვეყანაში, მიითვისეს ის და გამორეკეს ადრინდელი მცხოვრებლები“ (სტრაბონი, წიგნი X, III-6)

აქ ჩვენთვის საყურადრებოა, რომ ანტიკური ეპოქის დიდი გეოგრაფი კურეტების სამეფოს ახსენებს, ახსენებს ეოლიელებთან მიმართებაში. მართებულია წამოიჭრას კითხვა, რა დამოკიდებულებაშია კურეტები, ასაკენები და კუნძული კრეტა? საკითხში გასარკვევად ჩვენამდე მოღწეული უშორეულეს ცნობებს უნდა მივმართოთ:

„არის ასეთი ქვეყანა, ღვინისფერ ფერად ზღვაში
-კრეტა, ბრწყინვალე, მდიდარი, ტალღებით ყველა მხრიდან გარეცხილი.
მასში ქალაქები- ოთხმოცდაათი, ხოლო ხალხის თვლა არ არის,
სხვადასხვა ნარევი ენებისა. სახლობს იქ ახეელების ტომი,
ეთეოკრეტელები მამაცნი, კიდონელნი ვაჟკაცები; გაყოფილნი
სამ მუხლად დორიელები; პელაზგების ღვთიური ტომი“
(ჰომეროსი, ოდისეა; სიმღერა XIX, 172-175)

მიუხედავად წყაროს თითქოსდა უძველესობისა, ის არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად სარწმუნო ცნობად მივიჩნიოთ, ვინაიდან ის შესაძლოა გაცილებით გვიან იყოს მოხვედრილი ჰომეროსის პოემის გვერდებზე (3) საყურადღებო ამ სტროფში მხოლოდ ერთი-ორი პუნქტია, კერძოდ ის, სადაც კუნძულ კრეტაზე დორიელთა ტომის სამ მუხლად გაყოფას (თანაცხოვრებას) კონსტატირებს...როგორც წინა თავში ვილაპარაკეთ, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამი დორიული ტომიდან პირველი მინოსელებია-იგივე მინიები, მეორე სარპედონისეული ლიკიელები და მესამე კურეტები-იგივე ასაკენები...და მეორე-კუნძულ კრეტაზე პელაზგების დასწრებულობაა.

ჰეროდოტე კუნძულ კრეტის პირველმოსახლეებად მინოსს და მინოსელებს ასახელებს, თუმცა აქვე აღნიშნავს, რომ კრეტას ადრე ბარბაროსები, არაელინები ფლობდნენ :

„ხოლო ლიკიელები დასაბამიდან კრეტიდან არიან წარმოშობით (მთელი კრეტა ხომ ძველად ბარბაროსებს ეპყრათ) ხოლო კრეტაზე სამეფო ხელისუფლებას რომ დაობდნენ ევროპეს შვილები, სარპედონი და მინოსი, მინ-

ოსი გამოვიდა გამარჯვებული ამ უთანხმოებიდან და გამოდევნა კრეტიდან სარპედონი და მისი მომხრეები“ (ჰეროდოტე, წიგნი I-173)

რასაკვირველია ჰეროდოტე საკუთარი გადმოსახედიდან ყვება კრეტის ისტორიას, თუმცა დაბეჯითებით ვიცით, რომ ქვეყნიერების ამ ნაწილში ფინიკიელებზე ადრე მხოლოდ ეოლიელები-ჭანები და იონიელები-კოლხები და იბერები ცხოვრობდნენ...თავად მინოსის მიერ კრეტაში დამკვიდრებას ჰეროდოტე ასე გადმოგვცემს:

„გაუდაბურებულ კრეტეზე სხვადასხვა ხალხი დასახლდა და უპირატესად კი ელინები. მინოსის სიკვდილის შემდეგ მესამე თაობაში მოხდა ტროას ომი, რომლის დროსაც კრეტელები მენელაოსისათვის ყველაზე უარესი შემწეები არ აღმოჩნდნენ. ამის გამო იყო, რომ როდესაც ისინი ტროიდან უკან დაბრუნდნენ, შიმშილი და ჭირი დაატყდათ თავს, (4) თვით მათაც და მათ საქონელსაც. ასე რომ მეორედ გაუდაბურდა კრეტე და გადარჩენილებთან ერთად ვინც ახლა ცხოვრობს ამ კუნძულზე, ეს მესამე მოსახლობაა.“ (იქვე, წიგნიVII-171)

ტროას ომის თარიღი უკვე ზუსტად ვიცით -ეს ქრისტემდე 1290-1280 წლებია. შესაბამისად, მინოსის და მისი ხალხის მიერ კრეტაზე დამკვიდრებას ჰეროდოტე ქრისტემდე XV-XIV საუკუნეს (5) დებს ... კუნძულ კრეტის პირველ გაუდაბურებაში მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთ ქართველურ ტომებს თუ ვიგულისხმებთ. მათ მიერ კუნძულ კრეტაზე გადასვლა დედამიწის უზენაესი ღმერთის (ანტიკური წარმოდგენის მიხედვით) ზევსის დაბადებასთან ჩანს დაკავშირებული და ამის შესახებ ბუნდოვანი მითითებაც არსებობს იმავე ანტიკურ წყაროებში... მათი გაქრობა კუნძულზე ზუსტად მინოსელების შემოსვლას უნდა ემთხვეოდეს... ხოლო კუნძულის მეორე მოსახლენი- ეს მინოსელები უნდა იყვნენ, მინიები, ლიკიელები და ...კურეტები...კუნძულის მინოსის შემდგომი მოსახლება, კი უკვე აშკარად კურეტებისა უნდა იყოს ... ეს კურეტები ეხმარებიან აგამემნონსა და მენელაოსს ტროას წინააღმდეგ მოწყობილ ომში...კურეტი ჩანს უებრო მოისარი ფილოქტეტეც, რომელსაც საჩუქრად ჰერაკლეს მშვილდი ერგო და რომლის გასროლამაც ფაქტიურად დაამთავრა ტროას ომი, ომის მიზეზის-პარისის მოკვლით...

მეორე ანტიკური გეოგრაფი და ისტორიკოსი, რომლის ნაშრომებში არც ისე მცირე ადგილი უკავია კრეტას, სტრაბონია. მრავალმხრივი და მრავალფეროვანია მისი ცნობები ამ კუნძულის შესახებ:

„კურეტები და კორიბანტები , როგორც ფიქრობენ, არიან იდას დაქტილების შთამომავალნი. ყოველ შემთხვევაში, პირველი ასი ადამიანი, დაბადებული კრეტაზე, იწოდებიან იდას დაქტილებად; 9 კურეტი, როგორც ამბობენ, იყვნენ მათი ჩამომავალი“ (სტრაბონი, წიგნი X III-22)

სტრაბონი კორიბანტებს და კურეტებს იდიელი დაქტილების ჩამომ-ავლებად ახსენებს. დაქტილებისა, რომლებმაც პირველებმა დაასახლეს კუ-ნძული კრეტა! მაგრამ ვინ არიან თავად იდიელი დაქტილები?

„ერთნი თვლიან მათ ადგილობრივ მცხოვრებლებად, სხვები-გადმოსახლ-ებულებლად. მაგრამ ყველა თანახმაა ამტკიცოს, რომ მათ პირველებმა და-იწყეს რკინის დამუშავება იდის (მთა კრეტაზე) მახლობლად“ (იქვე III-22)

რკინის მოპოვების პრეროგატივა ხალიბებს, ფინიკიურ ტომს უკავ-შირდება. საინტერესოა რომ მათ ჰეროდოტე კაბელ-მეიონებს და იასონიე-ლებს უწოდებს -საპირისპიროდ და გამოსარჩევად ლიდიელი მეიონებისა-გან (ეს უკანასკნელნი, იტალიაში გადასახლებულები, ეტრუსკებად იწო-დებიან) სავარაუდოა, რომ ვერც ჰეროდოტე (და მით უმეტეს სტრაბონი) ვერ ფლობენ სარწმუნო ინფორმაციას კუნძულ კრეტაზე ზევსის დაბადებ-აზე და მის აღმზრდელ ეოლიელებზე-ხალდებზე ან იონიელებზე- იბერებ-ბზე. ანაც კოლხებზე (მათ გარდა ქვეყნიერების ამ ნაწილში იმ დროს არც არავინ ცხოვრობდა) ცალკეული მინიშნებები მათ შესახებ არსებობს ჰერო-დოტესთანაც, დიოდორე სიცილიელთანაც, სტრაბონთანაც და სხვა ანტიკურ ავტორებთან შესაბამის წყაროებში. კრეტის პირველი მაცხოვრებლებიც ის-ინი უნდა იყვნენ, რომელზედაც ჰეროდოტე ბუნდოვან მითითებას აკეთ-ებს. ამასვე მიუთითებს დიოდორე სიცილიელი და იგივე მინიშნებას აკე-თებს სტრაბონიც. კუნძულ კრეტას შემდგომი მცხოვრებნი კი უდავოდ ფინიკიელები ჩანან, მისი მეიონებად წოდებული ნაწილი. მათივე გვერდ-ით მოიაზრება (სარპედონის და მისი ლიკიელების-გელების განდევნის შე-მდეგ) ასაკენების, იგივე კურეტების ტომი...ხოლო მინოსის კუნძულ სიცი-ლიაზე სტუმრობისა და დაღუპვის შემდგომ, კუნძულზე ჰეგემონია კურე-ტების -ასაკეენების) ხელში ჩანს გადასული, რამეთუ მინოსელები სიცილი-აზე ლაშქრობიდან კუნძულზე უკან აღარც დაბრუნებულან (ამას ჰეროდო-ტე გვაუწყებს) მეიონების ვინაობა და რაობა ზუსტად ვიცით, მაგრამ ვი-ნაა თავად კურეტები?

ისტორიული ექსკურსი

ლეგენდები კუნძულ კრეტაზე ზევსის დაბადებას გვამცნობენ...მი-სი აღმზრდელები კორიბანტები არიან...მაგრამ როდის დაიბადა ბერძენთა უზენაესი ღმერთი? (ან ლეგენდა მის შესახებ?)... ძნელზე ძნელი საკითხია, მაგრამ ღმერთის შეწევნით ვცადოთ ... ბეროსის მიხედვით, წარღვნის შესა-ხებ ხალდთა ეთნარქი კრონოსმა გააფრთხილა- წინა თაობის ღმერთმა. (6) უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ დროისათვის დედამიწის უზენაესი ღმერთი იგია- ბერძნული, წინარექრისტიანული ვარიანტით...როგორც ზემოთ განი-საზღვრა, წარღვნა ქრისტემდე 3403 წელია. მასასადამე, ქრისტემდე XXXV-

XXXIV საუკუნის მიჯნაზე ჯერ კიდევ კრონოსი ზეობს. ბერძნული ლეგენდის მიხედვით, რამდენადაც ცნობილია, ზევსს ყავს ოთხი უფროსი და... გასაგები მიზეზის გამო არც ერთი ძმა- მისნობის მიხედვით კრონოსმა იცოდა, რომ ის დამხობილი იქნებოდა საკუთარი მემკვიდრე ვაჟიშვილის მიერ. გეას მიერ ნაშობ ვაჟიშვილს ის უბრალოდ ყლაპავდა. ზევსის მშობიარობის დროს გაბეზრებულმა დედამ ქმარს შვილის ნაცვლად შეხვეული ქვა დააკავა ხელში. კრონოსმა ქვა გადაყლაპა და იფიქრა, რომ კიდევ ერთი მემკვიდრე ვაჟის მიერ მომავალში გადაყენება აიცდინა. დედამ, გეამ ზევსი კუნძულ კრეტაზე (რასაკვირველია ის ამ დროს ამ სახელს არ ატარებდა) გადასვა. გადიად და გამომკვებავად თხა ამალთეა ხოლო მცველებად კორიბანტები (სტრაბონის მიხედვით) მიუჩინა...და როდის ხდება ეს?

საინტერესოა, რომ დედამიწაზე არსებული უძველესი მატიანეში ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ (საუკუნეების განმავლობაში ზეპირსიტყვიერებაში შენახული) რვა უზენაეს ღმერთზე საუბრობს, რომელთა შორის უმაღლესი იერარქი ბრახმაა. სხვები- მისი სულიერი შვილები, მაგრამ მათი რიცხვი თავად ბრაჰმას ჩათვლით სულ შვიდია. რვამდე მას ავსებს კაშიაპა, მარიჩის შვილი და ყოველგვარი ადამიანის მსგავსი არსების შემქმნელი (7)...რასაკვირველია ბრაჰმა ვერ იქნება ზევსი, რამეთუ ბრაჰმა ბევრად ადრე არსებულია, ვიდრე დედამიწური წარღვნა...შესაბამისად, იგივე თორმეტი ღმერთი, რომელსაც ჰეროდოტე ასახელებს, რვა ძველი ღმერთის ჩამომავალია:

„ჰერაკლეს შესახებ, რომელზედაც ამ ამბავს მოგვითხრობენ, მოვისმინე, რომ ის ყოფილა ერთი თორმეტ ღმერთთაგანი...ხოლო სხვა რამე ჰერაკლეს შესახებ, რომელსაც ელინები იცნობენ, ეგვიპტეში ვერსად ვერაფერი ვერ შევიტყვე...ეგვიპტელებს რომ ელინთაგან არ მიუღიათ ჰერაკლეს სახელი, არამედ პირიქით, რომ ელინებმა შეითვისეს ის ეგვიპტელთაგან და ელინთა შორის სწორედ იმათ, რომელთაც ამფიტრიონის შვილს ჰერაკლე დაარქვეს, საამისოდ ბევრი სხვა საბუთიც მაქვს და მათ შორის შემდეგიც: ამ ჰერაკლეს ორივე მშობელი, ამფიტრიონი და ალკმენე წარმოშობით ეგვიპტიდან იყვნენ: აგრეთვე ისიც, რომ ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათ არ იციან არც პოსეიდონის და არც დიოსკურების სახელი და ეს ღმერთები მათ სხვა ღმერთებს შორის არა ჰყავთ მიღებული. მათ რომ ელინთაგან გადაეღოთ რომელიმე ღვთაების სახელი, მე ვფიქრობ და დარწმუნებულიცა ვარ, რომ ეს მათ კარგად ეხსომებოდათ, რაკიღა ეგვიპტელები მაშინ უკვე ზღვაოსნობდნენ და ელინთა შორისაც იყვნენ უკვე მეზღვაურები. ამ შემთხვევაში ამ ღმერთების (პოსეიდონის და დიოსკურების) სახელები უფრო ეცოდინებოდათ ეგვიპტელებს, ვიდრე ჰერაკლესი. მაგრამ ჰერაკლე ძველი ღმერთია ეგვიპტელების, როგორც თვით-

ონ ამბობენ ამასისის გამეფებამდე 17000 წლით ადრე რვა ღმერთიდან თორმეტი ღმერთი წარმოშვა და ერთი მათგანი ჰერაკლეა“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი II-43) და კიდევ:

„რადგანაც მინდოდა ამის შესახებ რამდენადაც კი შესაძლებელი იყო გარკვეულად რამე მცოდნოდა, გავცურე ფინიკიის ტიროსში, რაკიღა შევატყვე რომ იქ არის ჰერაკლეს წმინდა ტაძარი. მე ვნახე რომ ტაძარი მდიდრულადაა შემკული მრავალი სხვადასხვაგვარი შეწირულობით, მასში იყო ორი სვეტი, ერთი სუფთა ოქროსი, ხოლო მეორე ზურმუხტისა, რომელიც ღამით ძალიან ბრწყინავდა. ღვთაების ქურუმებთან საუბრისას შევეკითხე მათ, რამდენი ხანია გასული ამ ტაძრის დაფუძნებიდან და გამოვარკვიე, რომ ამ საკითხზე არც ისინი არიან ელინების აზრისა; რადგან თქვეს, რომ ტიროსის აშენებასთან ერთად არის ამ ღვთაების ტაძარი დაფუძნებული, ხოლო მას მერე, რაც ტიროსში ცხოვრობენ, გასულია 2300 წელი. ტიროსში ვნახე კიდევ ერთი ჰერაკლეს ტაძარი, რომელიც თასოსელი ჰერაკლეს სახელობისაა. ვიყავი თასოსზეც, სადაც ვნახე ვნახე ჰერაკლეს ტაძარი, დაარსებული ფინიკიელთა მიერ, რომლებიც ევროპეს საძებნელად იყვნენ წამოსულები და თასოსი კი დაასახლეს. ყოველივე ეს მოხდა ადამიანთა ხუთი თაობით უწინარეს, ვიდრე ამფიტრიონის ძე ჰერაკლე დაიბადებოდა ელადაში. (8) ჩემს მიერ მოთხრობილი ცხადყოფს, რომ ჰერაკლე ძველი ღმერთია. მე ვფიქრობ რომ ის ელინები მოიქცნენ ყველაზე უფრო სწორად, რომელთაც ჰერაკლეს ორი ტაძარი აქვთ, ერთში მსხვერპლს სწირავენ უკვდავ ჰერაკლეს ოლიმპიელად სახელდებულს, ხოლო მეორეში პატივს სცემენ მას როგორც გმირს“ (იქვე-44)

დიდი დაფიქრების და განსჯის საფუძველს იძლევა ჰეროდოტეს ეს ამონარიდები:

1. როგორც მარტივად გავარკვიე, პირველ ამონარიდში მოყვანილი რიცხვი 17000 (ჩვიდმეტი ათასი) მხოლოდდა მხოლოდ მბეჭდავის შეცდომაა, რუსულ თარგმანში (სავარაუდოდ ორიგინალშიც) აქ რიცხვი 1700 დგას.

2. ტექსტში მოხსენიებული ფარაონის, ამასისის მმართველობის დასაწყისად ქრისტემდე 570 წელია დაფიქსირებული, შესაბამისად ეგვიპტელი ქურუმები ჰერაკლეს, მეორე რიგის ღმერთის დაბადების თარიღს ქრისტემდე 2270 წლის სიახლოვეს ვარაუდობენ. სავარაუდოა, რომ ეგვიპტელები ამ შემთხვევაში მეორე და მესამე რიგის ღმერთებს ურევენ ერთმანეთში....

3. ამონარიდის მეორე ნაწილში ტვიროსელების სიტყვებით ჰერაკლეს ტაძარი მათთან ტვიროსის აშენებასთან ერთად დაიდგა, ხოლო ტვიროსი ჰეროდოტეს დროისათვის უკვე 2300 წლის აშენებილია. შესაბამისად, ჰერაკლეს (ღმერთის) კულტი მათთან უკვე 2300+450=2750 წელი არსებობს...

4. ცხადზე ცხადია, ზევსი, ჰერაკლე და მთელი ეს პანთეონი, წარმოშობილი პირველი რვა ღმერთიდან, თავად ეგვიპტეში ფინიკიელების შემოტანილი უნდა იყოს, რომელთა ჰერაკლე მთელი 500 წლით „უფროსი“ ჩანს...
5. დასაშვებია, რომ ზევსი მინიმუმ რამდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე ტიროსელები (ფინიკიელები) დასახლდებოდნენ ახალ სამშობლოში, უკვე უკვე ზეობს ხილულ სამყაროში...
6. თასოსზე ჰეროდოტემ ნახა ევროპეს საძებნელად წამოსული ფინიკიელების აშენებული ჰერაკლეს ტაძარი, რომელიც ოლიმპიელ ჰერაკლეზე ხუთი თაობით, შესაბამისად -115 წლით უფროსი იყო...შესაბამისად, ევროპეს მაძიებელი კადმოსის შთამონავალნი ცხოვრობდნენ ქრისტემდე 1470 წელს და კუნძულ თაშოსზე ამავე დროს ააშენეს ჰერაკლეს სახელობის ტაძარი. (ხოლო ეგვიპტელთა ოსირისი, რომელსაც ისინი დიონისესთან აიგივებენ, ცხოვრობდა ქრისტემდე XXI საუკუნეს, როგორც ზემოთ ითქვა... (8*)

და მაინც, როდის დაიბადა ზევსი? არის დამატებითი ცნობები ოლიმპიურ ღმერთებთან მიმართებაში-ისევ და ისევ ინდურ ეპოს „მახაბხარატიდან,“ რომელიც წიგნის ამ ნაწილში ვერ გახმოვანდებ... თუმცა აბსოლუტურად შეუმცდარი უნდა იყოს მოცემულობა, რომ ზევსი (ან მისი კულტის წარმოშობა) ქრისტემდე 22-24 საუკუნის დიაპაზონში მერყეობს...

აი ზუსტად ამ მოცემულობიდან უნდა ამოვიდეთ, როდესაც კუნძულ კრეტაზე ზევსის დაბადებასა, აღზრდ-ასა და მის აღმზრდელებზე ვმსჯელობთ....

მიუმცდარი ჭეშმარიტებაა, რომ ამ დროისათვის ხმელთაშუა ზღვის აუზში მხოლოდ ერთი ხალხის სამი ტომი ოპერირებს: ხალდი-ეოლიელი, მცხოვრები საბერძნეთსა და მცირე აზიაში; კოლხი-დღევანდელი საბერძნეთის ტერიტორიაზე მცხოვრები იონიელი და იბერი-მცირე აზიასა და საბერძნეთში მცხოვრები იონიელი...და მით უმეტეს მხოლოდ ერთი ანტიკური მწერალი ახსენებს ამ ტომთაგან ერთ-ერთს კრეტის ამთვისებლად (სავარაუდოდ, უძველესი წყაროებზე დაყრდნობის მიხედვით)

„ტექტამმა, დორის შვილმა, ელინის შვილიშვილმა და დევკალიონის შვილთაშვილმა, ეოლიელებისა და პელაზგების სათავეში მყოფმა, მოახერხა გადასვლა კრეტაზე და გახდა კუნძულის მეფე“
(დიოდორე სიცილიელი, წიგნი IV-LX)

დიოდორე სიცილიელზე ხელაღებით ნდობა არ შეიძლება, მით უმეტეს ასე შორეულ (მისთვისაც) ეპოქის ფაქტების გახმოვანებისას, თუმცა ეს პირველი და ერთადერთი ხსენებაა კუნძულის ეოლიელებისა და პელაზგების მიერ ათვისებისა. ამასთან დორიელები მხოლოდ ქრისტემდე XV საუკუნეს თუ გამოჩნდნენ ელადასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე (თუ

არ ჩავთვლით კადმოსის თანმხლებ ფინიკიელებს,(9) ისინი ვერაფრით ვერ იქნებოდნენ იმ ხალხების არიერგარდში, რომლებმაც კრეტა აითვისეს...

შემდეგი ანტიკური ავტორი, სტრაბონი, რომელიც ფართოდ ახმოვანებს კუნძულ კრეტის ათვისებას, უზენაესი ღმერთის ზევსის აქ დაბადებასა და აღზრდას, ცდილობს მისი აღმზრდელების ვინაობაში გარკვევას და საკუთარ ვერსიასაც (სავარაუდოდ მისი ეპოქისათვის გამეფებულის) გადმოცემს. ის მათ იდელი დაქტილების, შესაბამისად რკინის პირველი მომპოვებლების ჩამომავლებად თვლის. ამასთან, სტრაბონი წინააღმდეგობაში მოდის საკუთარივე ნაამბობთან. ის მიუთითებს, რომ რიგი ცნობების მიხედვით კურეტები კუნძულ ხალკიდიდან არიან, პირველები ა ტარებდნენ სპილენძის აბჯარს (ამიტომაც დაერქვათ ხალკიდელები- ხალკი ბერძნულად სპილენძს ნიშნავს) ისინი წარმოადგენდნენ (კორიბანტებთან ერთად) ჩვილი ზევსის მცველებს და აღმზრდელებს. ისტორიკოსის სიტყვებით, ისინი დემონურ ცეკვებს ასრულებენ სპილენძის აბჯრით შეაბჯრულები, ყრმა ზევსის მცველები არიან და თავადვე წარმოადგენენ ღმერთებს:

„ერთნი ამტკიცებენ, რომ ტიტანებმა მიუჩინეს რვა შეიარაღებული მხლებელი-კორიბანტები, ჩამოსულნი ბაქტრიიდან, სხვები კოლხეთიდან“ (იქვე, III-19)

სტრაბონის ეს ფრაზა გადამწყვეტია ჩვილი ზევსის მხლებლების ვინაობის გარკვევაში, შესაბამისად კუნძულის პირველი მაცხოვრებლების ვინაობის დადგენაში...

1. ხალკიდა -ეს ევბეის კუნძულზე მდებარეა, კუნძულზე, რომელიც ერითრეელებს ეკუთვნოდათ და ჩვენივე კვლევით იბერიულად დამტკიცდა.
2. კუნძულის მაცხოვრებლების (იბერიელების) დასწრებულობა კუნძულზე იწყება ქრისტემდე III ათასწლეულით, რომელიც ზუსტად ემთხვევა ზევსის (ან მასზე ლეგენდის) დაბადებას.
3. დასავლეთ ქართველურ ტომებს შორის (და მხოლოდ ისინი ოპერირებენ ინდოჩინეთს გარე სივრცეში) ყველაზე მილიტარისტულიც ზუსტად იბერები არიან, საიდანაც ამოირჩა ჩვილი ზევსის რვა შეიარაღებული (სპილენძის აბჯრით, სავარაუდოდ იარაღითაც) მეომრები.
4. ზუსტად იბერები გამოირჩევიან თავიანთი „დემონური“ ცეკვებით, დიოდორე სიცილიელის მიერ აღწერილი, როგორც მშვიდობიანობის დროს ომისათვის მზადყოფნის ნიშნად და სავარჯიშოდ)
5. მართალია ტერმინ „კორიბანტების“ პირველი მარცვალი კო და კორ მყარად მიანიშნებს ტომის კოლხურობს (კო-ლხი, კორ-ინთელი, კო-პტი) მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგივე იბერიელიც მხოლოდ და მხოლოდ კოლხებისგან გამოყოფილი ტომია, განსხვავებული ამ უკანასკნელისთაგან ბინადრობის ადგილით.

5. რაც მთავარია, კოლხს არავითარი შეხების წერტილი არ ეძებნება ბაქტრიასთან (დღევანდელ უზბეკეთთან) მაგრამ მისსავე სიახლოვეს, შუა აზიაში უხსოვარი დროიდან მოიაზრება იბერიც, რომლის ანარეკლი კორიბანტების შესაძლო ბაქტრელობაა (შუა აზიაში იბერების დასწრებულობაზე უკვე ვისაუბრებთ)

...და ანგარიშიდან არ და ვერ ჩამოწერილი ცნობა იმის შესახებ, რომ ჰერაკლეს, რომელიც იბერიის ქვეყანაში არსებულ ზედაზენს უტევს, ზევსმა მისი აღების ნებართვა არ მისცა. მან მიწისძვრით მიახვედრა ჰერაკლე, რომ ამ აქტს არ მიესალმებოდა- აკი იბერიელები, იონიელ იბერთა სახლიკაცები, მისი მცველები ჩანან ჩვილობისას... თითქმის შეუცდომლად შეიძლება კონსტატირება, რომ ჩვილი ზევსის მცველებად იბერები გვევლინებიან... შესაბამისად, კუნძულ კრეტას პირველ მცხოვრებლებადაც ზუსტად იბერები ჩანან. მათივე უნდა იყოს კუნძულზე აღმოჩენილი ორი სხვადასხვა ხაზოვანი დამწერლობის ნიშანი, რომელთაგან უკანასკნელი ქრისტემდე XV საუკუნითაა დათარიღებული. დამწერლობის ეს ნიმუში თვალნათლივ აჩჩვენებს, რომ კუნძულზე ამ დროისათვის ჯერ კიდევ იბერიული კულტურა დომინირებს...მივუთითეთ კიდეც, დორიელების მიერ კუნძულის დასახლების პარალელურად, იბერები კუნძულ სამოსზე ჩანან გადაბარგებული. (ზუსტად ისინი ჩანან კუნძულ კრეტას პირველმცხოვრებლები, იონიელი იბერები და არა ჰეროდოტესეული ვერსიების იონიელი კარიელები...

...და კიდევ, პლინიუს უფროსის მიერ ნახსენები კუნძულ კრეტის უპირველესი სახელი-**ერია,** (ციტატა იხ. ზემოთ) სავარაუდოა პირველ მარცვალ დაკარგული **იბ-ერია** უნდა იყოს...

პელაზგური დამწერლობა

პელაზგური დამწერლობის ჩასახვა განვითარებაზე ფაქტიურად პირდაპირი და არა ორაზროვანი ცნობები არსებობს:

„ხოლო კადმოსთან ერთად მოსულმა ფინიკიელებმა, რომლებიც იყვნენ გეფაირები, ეს ქვეყანა დაასახლეს, ბევრი სხვადასვა ცოდნა შესძინეს ელინებს და განსაკუთრებით აღსანიშნავია მათ შორის დამწერლობა, რომელიც უწინ არ ჰქონდათ. მე მგონია პირველად იმ დამწერლობას ხმარობდნენ, რომელსაც იყენებდა ყველა ფინიკიელი. ხოლო დრო რომ გავიდა, ენის შეცვლასთან ერთად გამოიცვალა ასოების მოხაზულობაც. ხოლო ამ დროს მოსული ფინიკიელების ირგვლივ ქვეყნის მეტი წილი ელინთაგან ეჭირათ იონიელებს. ამათ ისწავლეს ფინიკიელთაგან ასოები, მცირედ შეუცვალეს მოხაზულობა და ასე იყენებდნენ მათ, ხოლო ხმარებისას, როგორც სიმართლე მოითხოვდა, ამბობდნენ რომ ფინიკიური დამწერლობა ეწოდე-

ბაო, რადგანაც ფინიკიელების მიერ იყო შემოტანილი ელადაში. ბერძნები ძველ წიგნებს ტყავებს უწოდებდნენ, რადგან ოდესღაც ჭილის ნაკლებობ-ის გამო ისინი თხისა და ცხვრის ტყავს ხმარობდნენ საწერად. კერძოდ ჩემს დროს ბევრი ბარბაროსი ასეთ ტყავზე წერს. მე თვითონ ვნახე კად-მეური დამწერლობა აპოლონ ისმენიელის ტაძარში, ბოოტიელთა თებეში, სამ სამფეხზე გაკეთებული, ის ძალიან გავს იონიურს“ (ჰეროდოტე, წიგნი V; 58-59)

ჰეროდოტე აღნიშნავს ფინიკიელების ირგვლივ უპირატესად იონიე-ლების მოსახლეობას. ხოლო თუ გავითვალისწინებთ კადმოსის მეთაურობ-ით ფინიკიელების მიერ იმ ადგილის დასახლების თარიღს, ქრისტემდე XXI საუკუნეს, რომელსაც მოგვიანებით ელადა და საბერძნეთი ეწოდა, სულ ადვილი მისახვედრია, რომ ფინიკიელების ირგვლივ მხოლოდ და მხოლ-ოდ სამი ტომი ცხოვრობდა, ეოლიელები -ჭანები და იონიელები-კოლხები და იბერები (მცირე აზიაში იმავე დროს ცხოვრობდნენ ამავე ტომების წარ-მომადგენლები, მაგრამ ჰეროდოტე მხოლოდ საბერძნეთის კონტინენტალურ ნაწილზე საუბრობს)

...და ანალოგიური სიუჟეტი დიოდორე სიცილიელისაგან:

„მანვე (ლინმა) შეუთანწყო ელინურ დიალექტს ასოები, ჩამოტანილი კა-დმოსის მიერ ფინიკიიდან; ყოველი მათგანისათვის მან დაადგინა სახელი და გარკვეული მოხაზულობა. ამ ასოებმა მიიღეს საერთო დასახელება ფი-ნიკიურისა იმიტომ, რომ ისინი გადმოღებული იყო ელინების მიერ ფინ-იკიელებისაგან, ხოლო რამდენადაც პელაზგებმა პირველებმა გამოიყენეს გადმოღებული ნიშნები, ამ ასოებმა მიიღეს დასახელება პელაზგურისა“ (დიოდორე სიცილიელი; წიგნი III- LXVII)

უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ციტატები ჰეროდოტესი და დიოდორე სიცილიელისა წინა ტომშიც იყო მოხსენიებული, თუმცა ის მი-ზნად ისახავდა მხოლოდ და მხოლოდ ეოლიური და იონიური ტომების პელაზგებთან იდენტურობის დამტკიცებას. ამავე ციტატის განხილვა დამწ-ერლობის თვალსაზრისით, საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ბერძ-ნული ანბანის პროტოტიპი უშუალოდ პელაზგურია, დასავლეთ-ქართველ-ური, ხოლო ორივეს წინაპარი - ფინიკიური. როგორც პირველ ტომში აღი-ნიშნა, ელინმა დანაემ 50 ქალიშვილი გაათხოვა პელაზგ ვაჟკაცებზე და ამიერიდან სიძეებს მხოლოდ ელინურ (ინდოევროპულ) ენაზე საუბარი უბ-რძანა. (ის, თუ ვინაა სინამდვილეში დანაე, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ) იმავე ანტიკური ცნობების საფუძველზე დანაემ ელინებს შეუქმნა დამწერლობაც. როგორც ირკვევა, ელინებმა ფაქტიურად ჰერაკლეს ეპოქაში (მაქსიმუმ ერ-თი თაობით ადრე) მიიღეს ლინის მიერ პელაზგურიდან გადმოელინებუ-ლი ანბანი, ხოლო ჰერაკლე დანაეს მეშვიდე თაობაა, მინიმუმ 138= (23X 6)

წელი დანაეს შემდეგ... 1350+138=1488 წელს (ქრისტემდე) შესაბამისად დანაე ბერძნული ანბანის ავტორი უბრალოდ ვერ იქნება, მას საბერძნეთში მხოლოდ მისთვის ეგვიპტიდან კარგად ნაცნობი ფინიკიური ანბანის შემოტანა თუ შეეძლო...

...და კიდევ, კადმეური, პელაზგური და ელინური ალფავიტის დაფუძნების თარიღის განსაზღვრაც დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს. რასაკვირველია კადმეური ანბანი კადმოსის გამოგონილი არც უნდა იყოს: ის კადმოსამდე არსებული ჩანს საკუთრივ ფინიკიაში, საიდანაც კადმოსი ჩამოვიდა და ეს ცოდნაც ჩამოიტანა:

„ჰერაკლე განეკუთვნება მეორე წყების ღმერთებს და ერთი თორმეტთაგანი ღმერთია. რაც შეეხება დიონისეს, ის მესამე რიგის ღმერთთაგანია, რომლებიც წარმოიშვნენ 12 ღმერთიდან. თვით ეგვიპტელები ამბობენ თუ რამდენი წელი გავიდა ჰერაკლედან მეფე ამასისამდე; ამის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე; ისინი ამბობენ, პანი უფრო ადრე იყოო, ხოლო დიონისე - ყველაზე ნაკლებ ადრე და ესეც მეფე ამასისამდე 15000 წლის უწინ იყოო“ (ჰეროდოტე, წიგნი II-145)

ცხადია აქ 15000 ათასი ისეთივე შეცდომაა მბეჭდავისა როგორც წინა შემთხვევაში. ერთი ესაა, ამ ციტატაში ასევე ეს ციფრი წერია რუსულ ვარიანტშიც და ისიც უდავოდ შეცდომაა-არ შეიძლება მეორე რიგის ღმერთი ჰერაკლე, რომელიც ჰერიდოტეს სიტყვებით 1700 წლით ადრე იყო ამასისზე, კოლოსალური ასაკით უმცროსი იყოს მესამე რიგის ღმერთზე- დიონისეზე, რომელიც ზუსტად მეორე რიგის ღმერთისაგან არის წარმოშობილი. ის, რომ აღნიშნული თარიღი შეცდომაა, ჩანს აქვე:

„ეგვიპტელები ამბობენ, რომ ეს ზუსტად იციან, რადგან მუდამ ანგარიშობენ და იწერენ წლებს. კადმოსის ასულის სემელეს ძე, წოდებული დიონისად, ჩემს დრომდე 1600 წლით ადრე იყო, ხოლო ალკმენეს შვილი ჰერაკლე -900 წლის უწინარეს. პანი პენელოპეს შვილი იყო (ელინები ამბობენ პენელოპეს და ჰერმესის შვილიო) და მისი დროიდან ჩემს დრომდე უფრო ნაკლები ხანი გავიდა, ვიდრე ტროას ომიდან აქამდე, დაახლოებით 800 წელი“ (იქვე)

თუ ჰეროდოტეს დაწერილ ამ სტრიქონებს ქრისტემდე 450 წლად ჩავთვლით, მაშინ დიონისეს მოღვაწეობის ასაკი 1600+450=2050 წელი. თითქმის იგივე ციფრი მტკიცდება მეორე გამოთვლითაც, რომლის მიხედვით დიონისე ამასისამდე 1500 წლით ადრე იყო 1500+570= 2070…მაგრამ აქ ერთი მაგრამაა, კრიტიკული თვალსაზრისით შევხედოთ ანტიკურ მითიოლოგიას:

„...ხოლო პითიამ მიუგო მათ: თქვე ბრიყვებო, ხომ უკმაყოფილონი იყავით, როდესაც განრისხებულმა მინოსმა ცრემლები გაღვრევინათ მენელაოსის დახმარების გამო! იმიტომ რომ ელინებმა არ მოინდომეს თქვენთან

ერთად სამაგიეროს მიზღვევა მინოსის კამიკოსში მკვლელობისათვის“... კრეტელებს რომ ეს პასუხი მოუვიდათ, თავი შეიკავეს ელინთა დახმარებისაგან“ (იქვე , წიგნი VII-169) და კიდევ

„მინოსის შემდეგ მესამე თაობაში მოხდა ტროას ომი, რომლის დროსაც კრეტელები მენელაოსისათვის ყველაზე უარესი შემწეები არ აღმოჩნდნენ. ამის გამო იყო, რომ როდესაც ისინი ტროადან უკან დაბრუნდნენ, შიმშილი და ჭირი დაატყდათ თავს, თვით მათაც და მათივე საქონელსაც“ (იქვე-171)

რასაკვირველია მინოსი, რომელმაც ცრემლები აღვრევინა კრეტელებს ტროას ომში ელინთა დახმარებისათვის, ვერ იქნებოდა კრეტის ის მეფე, რომელიც ტროას ომამდე სამი თაობით ადრე ძალადობრივი სიკვდილით გარდაიცვალა კუნძულ სიცილიაზე...აქ კრეტის მეფის სახელი მინოსი დინასტური ჩანს...მეფე მინოსი, რომელიც სამი თაობით ადრე მოკვდა ტროას ომამდე, ევროპეს არა შვილი, არამედ მემკვიდრე (და შესაძლოა შორეულიც კი) ვინაიდან ამ მინოსზე ადრე არსებულ სხვა მეფეს, სახელით ასევე მინოსი, თავად ჰეროდოტე ასახელებს...

ამასთან საინტერესოა ვიკიპედიის ვერსია ზემოთ ხსენებულ კადმოსზე: „ კადმოსი- ფინიკიელი მეფის, აგენორის და ტელეფისის ვაჟი, ევროპეს ძმა... მამით შვილიშვილი პოსეიდონისა, დაეხმარა ღმერთებს ტიფონთან ბრძოლაში... ინახულა როდოსი, შეწირა მსხვერპლი ათენა ლინდოსელს... არაბები, გადმოსული კადმოსთან ერთად დასახლდნენ კუნძულ ევბეაზე... მიცურავდა რა აღმოსავლეთიდან საბერძნეთისაკენ, ის გაჩერდა კუნძულ სანტორინზე ...ზუსტად აქაა ნაპოვნი ყველაზე ძველი (ქრისტემდე XVIII საუკუნე) ბერძნული ნაწერი“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

საინტერესოა, რომ ვიკიპედიის წყაროებს წარმოადგენენ აპოლოდორი, დიოდორე სიცილიელი და სტრაბონი...ისტორიკოსები, რომლებიც მინიმუმ IV საუკუნით უმცროსნი არიან ჰეროდოტეზე. იმავე დიოდორე სიცილელის მიხედვით:

„მითი გვიამბობს, რომ უძველეს დროში დიონისემ გადსცა ეს (ღვინოთი) პითოსი ერთ -ერთ კენტავრს და უბრძანა მას გაეხსნა ეს პითოსი მხოლოდ ჰერაკლეს სტუმრობისას. როდესაც ოთხი თაობის შემდეგ ჰერაკლე მივიდა მასთან სტუმრად ფოლმა გაიხსენა დიონისეს ბრძანება“ (დიოდორე სიცილიელი; წიგნი IV, XII-3)

დიოდორე სიცილიელის აზრით, დიონისე სულ ოთხი თაობით, მაქსიმუმ 92 წლით არის უფროსი ჰერაკლეზე (ალკიმენას ვაჟზე) ჰერაკლეს მოღვაწეობის ხანა ცნობილია, საშუალოდ ქრისტემდე 1330 წელი. შესაბამისად, დიოდორეს ვერსიით დიონისე ქრისტემდე XV საუკუნის ბოლო მეოთხედში მოევლინა ქვეყანას...პელაზგების მიერ კადმოსელთაგან (ფინიკიელ-

თაგან) ანბანის ათვისება და საკუთარი პელაზგურად შერაცხული დასავ-ლეთ-ქართველური ანბანის გავრცელების ზედა ზღვარი კი კადმოსის-დი-ონისეს პაპის საბერძნეთში-ბეოტიაში ჩამოსვლის თარიღი ჩანს: ქრისტემდე XV საუკუნის მესამე მეოთხედი...რასაკვირველია, ჰეროდოტეს ვერსია დიონ-ისეს დაბადებაზე უფრო პრიორიტეტული უნდა იყოს, რომელიც ამ თარ-იღთან მთელი 4,5 საუკუნით უფრო ახლოს დგას...ამასთან, ჰეროდოტე სა-რგებლობს ეგვიპტელი ქურუმების ვერსიით, რომლებიც ჰეროდოტესვე ვე-რსიით ჩანაწერებს მსგავს თემებზე მრავალი საუკუნის განმავლობაში ახო-რციელებდნენ. შესაბამისად პელაზგური-ანბანი ამავე დროს ჩანს ჩამოყალ-იბებული კადმეური ფინიკიურისაგან, სავარაუდოდ არა უგვიანეს XX-XVIII საუკუნეს ქრისტემდე...რაც შეეხება ელინურ ალფავიტს, დიოდორე სიცი-ლიელის მიხედვით, ის ლინის -კლასიფიცირებულ-დალაგებული ჩანს... შე-საბამისად, განსხვავებაც და მსგავსებაც პელაზგურ (კრეტული B დამწერლ-ობა) და ელინურ დამწერლობას შორის საკვირველი არ უნდა იყოს...რაც შეეხება ანბანის სავარუდო გავრცელებას დასავლეთ-ქართველურ ტომებს შორის ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე და მცირე აზიაში, იონიურ- ეოლ-იელიურ ტომთა შორის, ანბანისათვის ასეთი მცირეოდენი მანძილების გა-დალახვა არ წარმოადგენს პრობლემას, როგორც ამაში თავადვე დავრწმუნ-დებით ამავე თავის მასალებში.

შესაბამისად, კუნძულ კრეტის პირველი ამთვისებლები დასავლეთ ქართველური ტომები-იბერები ჩანან, ამასთან ანგარიშიდან ვერ მოიხსნე-ბა ის გარემოებაც, რომ სავარაუდია ეს იბერები ზუსტად კუნძულ ევბო-ადან- ხალკიდიდან ყოფილიყვნენ, სადაც ისინი ფიქსირდებიან უხსოვარი დროიდან და ამავე ნაშრომის მოხედვით (იხ.იბერები) და საიდანაც სტრა-ბონი პირველ სპილენძის ჯავშნიან მეომრებს მიუთითებს. (თუმცა კურეტ-ებს, აშკარად კუნძულ კრეტის გვიანდელ მცხოვრებლებს, კუნძულ ხალ-კიდასთანაც უჩანთ საერთო, თუნდაც ქალაქ ხალკიდას სახელი- უკვე კუ-ნძულ კრეტაზე) ... ანგარიშიდან არ ვერ ჩამოიწერება პლინიუს უფროსის ცნობაც, რომ კუნძულ კრეტას ადრე „ერია“ ეწოდებოდა...არ არის გამორიც-ხული, კუნძულის ეს სახელი პირველ მარცვალ დაკარგული იბ-ერია იყოს.

...რაც შეეხება კუნძულ კრეტის დაცლას მოსახლეობისაგან, რომელზე-დაც ჰეროდოტე საუბრობს, სავარაუდოდ იგივე ხასიათისა ცნობა უნდა იყ-ოს, როგორც პელაზგების ფაქტიური გაქრობა ელადიდან. პელაზგები, კო-ლხები და ჭანები არც არსად გამქრალან ელადიდან, უბრალოდ მოხდა მა-თი ელინაზიციის პროცესი, რასაც ჰეროდოტესვე სიტყვებით მცირერიცხოვ-ანმა ელინებმა წარმატებით და საკმაოდ მცირე დროში გაართვეს თავი...

ვერსია, რომ კუნძულ კრეტის გაუდაბურება პირდაპირ შემხებლობა-შია კატასტროფული ამოფრქვევასთან კუნძულ ფერაზე-დღევანდელი სანტ-

ორინზე, ამ უკანასკნელის თარიღი ზუსტად დღესაც გაურკვეველია და ქრისტემდე 1628-1470 წლებს შორის მერყეობს...ერთი რაღაცა დანამდვილებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სანტორინის ამოფრქვევას არ გამოუწვევია ისეთი დიდი ცუნამის ტალღის აგორება, რომ მას კუნძულ კრეტაზე მოსახლეობის სრული ამოწყვეტა გამოეწვია: ის რომ იბერიული მოსახლეობა რჩება კუნძულ კრეტაზე, მისი ხაზოვანი B დამწერლობა მეტყველებს, რომელიც ჰგავს და განსხვავდება კიდეც ძველბერძნულისაგან. ეს კი კუნძულზე ზუსტად პელაზგური (იბერიული) დამწერლობის გავრცელების ნიშანია-ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მინოსელები იგივე ფინიკიელები გამოიყენებდნენ ახლად შექმნილ ანბანს, როდესაც საკუთარი, მინიმუმ ათასწლოვანი ანბანი გააჩნდათ (და იმ დროისათვის არც ფინიკიელები-ზღვის ხალხის ნაწილი ფიქსირდება კუძულ კრეტაზე)...და კიდევ, მინოსის (თუნდაც შვილიშვილის) კრეტა უკვე ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე დომინანტი ჩანს თავისი საზღვაო ძალებით- ეს კი თუნდაც ევროპეს სამი თაობის შთამომავალთათვის ფიზიკურად შეუძლებელია (თუმცა საკუთრივ ევროპე და ზღვის ხალხი ერთმანეთთან კავშირში არცა ჩანს-ეს უკანასკნელნი კუნძულ კრეტაზე ევროპიდან მინიმუმ VI საუკუნის მერე ჩნდებიან)...ცხადია კრეტა ევროპეს ჩამომავალით არ უნდა იყოს დასახლებული, თუმცა მინოსელების გვერდით აქ კურეტებიც მრავლად უნდა იყვნენ გავრცელებულნი...

რაც შეეხება კუნძულ კრეტის ხაზოვან A დამწერლობას: იმავე ვიკიპედიის მონაცემებით, ეს ხაზოვანი დამწერლობა ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა- კუნძულ კრეტაზე ანბანის განვითარებას ეს უკანასკნელი ასე გამოსახავს:

1)იეროგლიფური 29-14. 5 საუკუნე ქრისტემდე
2)ხაზოვანი A 17-14.5 საუკუნე ქრისტემდე
3)ხაზოვანი B 14,5-13,5 საუკუნე ქრისტემდე

მკითხველს ვთხოვ, ერთ რაღაცაზე შევთანხმდეთ: ადამიანის ტვინი ერთსაათობრივად ჩამოყალიბდა ისეთი, როგორიც არის და მას არავითარი ევოლუციური პროცესი არ შეხებია. უბრალოდ, ადამიანმა საუკუნეების მანძილზე შეითვისა მრავალი ახალი უნარ-ჩვევები...ის იბერიელი, რომელიც ცხოვრობდა მცირე აზიაში და როგორც ჩანს გარკვეულ შეხებაში იყო ეგვიპტურ კულტურასთან (თავიანთვე სახლიკაცებთან, რამეთუ იბერიელი კოლხის სახლიკაცი ტომია მხოლოდ, ხოლო ეგვიპტელი- თავად კოლხი) შესაბამისად მას უშორეს წარსულში, ვიკიპედიის მიხედვით ქრისტემდე XXVIII-XXVII საუკუნეს (რაც ასევე ადრე ვივარაუდეთ ჰერაკლეს, ან მასზე ლეგენდის დაბადების თარიღად) თან მიაქვს კუნძულ კრეტაზე ცოდნა, რომელსაც იეროგლიფური დამწერლობა ჰქვია (და რომელიც ეგვიპტელთათვის მაღალი გონის საჩუქარი ჩანს)

...და ასეთ შემთხვევაში რატომ არ ჰგავს ის ეგვიპტურ იეროგლიფ-ებს? იმიტომ რომ იბერიელებს მარტო იდეა უჩანთ ნასესხები ეგვიპტელე-ბისაგან: გარკვეული, მიმსგავსებული ნახატური გამოსახულებით ინფორმ-აციის დამახსოვრება -გადაცემის შესაძლებლობა...ნახატთა-იეროგლიფთა ამ სისტემას კი თავადვე ქმნის, მისი ტომისათვის შეთანხმებული და გასაგ-ები თანამიმდევრობით.რაც შეეხება ხაზოვან A დამწერლობას კუნძულ კრე-ტაზე, ეს საკუთრივ კადმეურ-პელაზგური დამწერლობა ჩანს, ტომის მცდ-ელობა დამწერლობის შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად, რომლის მო-მდევნო ნაბიჯი უკვე საკუთარი ანბანური დამწერლობაა. თუმცა იბერებს ეს აღარ დასცალდათ- კუნძულზე უკვე შემოვიდა დორიული, ფინიკიურ ას-აკენური ტომი, რომელიც საკუთარ, წინარეზერძნული დამწერლობის შექმნ-ას ცდილობს.

... და ისევ კრეტა...

კრეტის რიგით მეორე მოსახლეობა, რასაკვირველია ფინიკიელებია, მინოსელები, მეიონები. როგორც ზემოთ ითქვა მათ მიერ კუნძულ კრეტის ათვისების თარიღის ორიენტირს ისევ ჰეროდოტე გვაძლევს: ზემოთ მოყვა-ნილი ციტატის მიხედვით, კუნძული დაასახლეს ევროპეს შვილებმა, სარპ-ედონმა და მინოსმა. (სინამდვილეში, ევროპესა და მისი „შვილების, მინოს-სა და სარპედონს შორის“ რამდენიმე საუკუნოვანი წყვეტა უნდა იყოს)(10) საბოლოოდ კუნძულის მფლობელობისათვის გამართულ უთანხმოებაში მინოსმა გაიმარჯვა ის დამკვიდრდა კრეტაზე. საინტერესოა, რომ ანტიკუ-რი ვერსიები ორ მინოსს იცნობს: ბაბუას და შვილიშვილს. მინოსი- ევროპ-ეს ძე, შვილიშვილი ჩანს შესაბამისად მინოსელების, მინიების დამკვიდრე-ბა კრეტაზე ქრისტემდე XV საუკუნეს უნდა მომხდარიყო. მინოსი და მისი ხალხი, მინოსელები კუნძულზე არც ლიკიელების (სარპედონის ხალხი) გან-დევნის შემდეგ ჩანან მარტო. ამ მინოსის (რასაკვირველია არა ევროპეს ძეს, რამეთუ ეს სახელი დინასტიური და კრებსითი ჩანს- მინოსის ხალხს ჩვე-ულებრივ მინიებს, მინოსელებს უწოდებენ) ამ ხალხის, კრეტის რიგით მე-ორე მოსახლების შესახებ საუბრობს ეფორი, სტრაბონის უფროსი კოლეგა, უკვე სტრაბონის პირით;

„ეფორის სიტყვებით მინოსი ბაძავდა ვინმე არქაულ რადამანტისს, დიდ-ად სამართლიან ადამიანს, რომელიც მინოსის ძმის, რადამანტისის სეხნია იყო. რადამანტისმა პირველმა, როგორც ფიქრობენ, ცივილიზაცია შეიტანა ამ კუნძულზე, დაადგინა კანონები, გააერთიანა ქალაქები ერთი მეტროპო-ლიის ქვეშ და მისცა მათ სახელმწიფოებრივი მოწყობა. ამასთან ის ამტკი-ცებდა, რომ მის მიერ გამოცხადებული ყველა გადაწყვეტილებას ღებულ-

ობდა ზევსისაგან. რადამანტისის მიბაძვით მინოსი ყოველ მეცხრე წელს მიდიოდა მთაში, გამოქვაბულში და ატარებდა რა იქ რამდენიმე ხანს, უკ-ან ბრუნდებოდა რაღაც ჩაწერილი განკარგულებებით, რომელიც იუწყებო-და ზევსის ნება- სურვილებს...

...იქ მეფობდა მინოსი

ყოველ მეცხრე წელს ზევსთან მოსაუბრე (ოდისეა, თავი 19)

ასე ამბობდა ეფორი. სხვა მწერლები გვაცნობებს სხვა ცნობებს (უკვე შვი-ლიშვილზე.ავტ) მინოსზე, ამ სიტყვების საწინააღმდეგოს: მინოსი იყო თვი-თმპყრობელი მბრძანებელი, რომელიც იყენებდა ძალაუფლებას და დახარ-კა ხალხი. ამასთან ეს მწერლები გამოსახავდნენ ტრაგედიებს მინოტავრსა და ლაბირინთზე, თეზევსისა და დედალოსის თავგადასავლებზე“ (სტრაბონი, წიგნი X., თავი IV-5)

ყბად აღებული მინოტავრი სინამდვილეში არა მინოსის და პასიფაეს ნაყოფი, ნახევარ-ადამიანი და ნახევარ- ტავრი (ტავრი ინდო- ევროპულ ენაზე ხარს ნიშნავს) არამედ მინოსელებთან თანამცხოვრები ტავრების ტომის უძ-ლეველი მეომარი ჩანს, რომლის დამარცხებაც თეზევსმა შეძლო. ტავრები-ეს იგივე კურეტებია, მინოსელთა თანამგზავრები კუნძულ კრეტის ათვისე-ბიდან , და არა შემდგომ მისული ტომი თუნდაც სტრაბონისეული კურეტ-ისადან, ეტოლიიდან. ჰეროდოტე მინოსის, უკანასკნელი მინიელი მეფის ზე-ობის თარიღს საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს :

„მინოსის სიკვდილის შემდეგ მესამე თაობაში მოხდა ტროას ომი, რომლის დროსაც კრეტელები მენელაოსისათვის ყველაზე უარესი შემწეები არ აღმ-ოჩნდნენ“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი VII-171)

ტროას ომი ქრისტემდე 1290-1280 წლებში მოხდა, შესაბამისად მინოს-ის სიკვდილის მიახლოებითი თარიღი: 1285+3X23=1354 წელი. ამ დროისა-თვის კი თეზევსი დაბადებულიც არ იყო იყო....სავარაუდოდ, მინოსი ტროას ომამდე ორი თაობით ადრე უნდა ყოფილიყო..ხოლო თუ ჰეროდოტეს ციტატ-ას ასე გავშიფრავთ, რომ ტროას ომი ორი თაობის შემდეგ (შესაბამისად მესამე თაობაში იყო, ასეთ შემთხვევაში 1285+46=1331 წელს, რაც მინოსის დღუპვის ნამდვილი თარიღი უნდა იყოს (1285 წელი ტროას ომის საშულო თარი-ღია, ვინაიდან არ ვიცით თუ რას გულისხმობს ჰეროდოტე ტროას ომში, ომის დასაწყისის თუ დასრულების თარიღს)

„ამბობენ, რომ როდესაც მინოსი დედალოსს ეძებდა, მივიდა სიკანიეში, რასაც ახლა სიკელიე (სიცილია) ეწოდება და მოკვდა იქ ძალადური სიკ-ვდილით. დროთა ვითარებაში ღმერთისაგან შთაგონებული კრეტელები, ყველანი გარდა პოლიქნელებისა და პრესიელებისა, მივიდნენ დიდი ლა-შქრით სიკანიეში და ათი წლის განმავლობაში ალყა ჰქონდათ შემორტყმ-ული....ბოლოს როდესაც ვერ შეძლეს ვერც ქალაქის აღება, ვერც ადგილ-

ზე დარჩენა- შიმშილისაგან შევიწროებულებმა, დატოვეს იქაურობა და წავიდნენ...დიდ ქარიშხალში მოხვდნენ, რომელმაც ისინი ხმელეთზე გადმოისროლა. რადგან ნავები დაემსხვრათ და არ უჩანდათ რაიმე საშუალება კრეტაზე დაბრუნებისა, ამიტომ ააშენეს აქ ქალაქი ჰირიე და აქ დარჩნენ. კრეტელების ნაცვლად გადაიქცნენ მესაპიელ იაპიგიებად...როგორც პრაისოსელები მოგვითხრობენ, გაუდაბურებულ კრეტეზე სხვადასხვა ხალხი დასახლდა და უპირატესად ელინები...“ (იქვე, 170-171)

ზუსტად აი ეს ხალხი, მინოსის დაღუპვისა და კრეტეს დაცარიელების შემდეგ დასახლებულები წარმოადგენენ კრეტის იმ მოსახლეობის შთამომავალს, რომელიც მინოსელების შემდგომ თვით სტრაბონის ეპოქამდე და სავარაუდოდ დღესაც, ცხოვრობენ აქ...აი ამ ხალხის შესახებ კი ყველაზე მეტი ცნობები მოეპოვება მეორე ისტორიკოსს და გეოფრაფს, სტრაბონს, რომლის შეჯერება იგივე ჰეროდოტეს ცნობებთან აბსოლუტურად მიუმცდარად გვაჩვენებს კრეტის ამ საბოლოო მოსახლეობის გენეზისს.

„აკარნანიელები და ეტოლიელები ესაზღვრებიან ერთმანეთს, მათ შორის მოედინება მდინარე ახელოუ...ეტოლიელების ქალაქები-ესაა კალედონი და პლევრონი ... ძველი ეტოლია ... პლევრონის თავზე აღმართულია კურიის მთა, რომლის სახელის მიხედვით, ზოგიერთი მწერლის აზრით, პლევრონელებს დაარქვეს კურეტები...მდინარე ევენი ღებულობს სათავეს ბომიების სანახეებში, ეტოლიური ტომები (ევრიტანები, აგრეების, კურეტების და სხვა) რომლებიც ცხოვრობენ ოფიების ქვეყანაში. თავიდან ეს მდინარე მოედინება არა კურეტების სანახეებიდან (რომელიც გაიგივებულია პლევრონთან) არამედ მიწებზე, გადაჭიმული აღმოსავლეთით, ხალკიდის (იმავე დასახელების ქალაქი პლევრონზე, როგორც კუნძული ევბოას ხალკიდაზე კრეტების სავარაუდო პირველი სამშობლო) და კალიდონის გვერდით“ (სტრაბონი; წიგნი X, II-1-3-5)

...და ერთი კოლიზია ანტიკურ ლიტერატურაში: სტრაბონის მიერ დასახელებული ელადის კუთხე-ეტოლია, და ტომი კურეტი არ ფიქსირდება ელადის ისეთ სკრუპულოზულ აღმწერ ისტორიკოსთან, როგორიც ჰეროდოტეა! ასევე არ ფიქსირდება ჰეროდოტესთან ელადის საკმაოდ ცნობილი კუთხე სიკიონი და სიკიონელები- იმავე სტრაბონთან!...კურეტები, პლევრონელები განლაგებული არიან ჰეროდოტეს აღწერილი სიკიონელებისაგან სამხრეთ-დასავლეთით, საკმაოდ შორს ამ უკანასკნელთაგან! და ისევ სტრაბონი: „შემდეგ, ასეთია ნაამბობი, რომ იმ დროს, როდესაც კურეტები ცხოვრობდნენ პლევრონიაში (მაშინ წოდებული კურეტისად) ეოლიელები შემოიჭრნენ ამ ქვეყანაში, მიიტაცეს ის და გამორეკეს ადრინდელი მოსახლეობა“ (იქვე, III-6)

როგორც ჩანს, სტრაბონისეული კურეტები და ჰროდოტესეული სიკ-

იონები ერთი და იმავე ხალხია, ერთმანეთისაგან საკმაოდ შორიშორ მცხოვრებნი...მაგრამ ორივე ტომი, ეტოლიელები და სიკიონელები ერთდროულად ფიქსირდება სხვა ანტიკურ ისტორიკოსთან „პელოპომესის ომების“ ავტორთან- თუკიდიდესათან, რომელიც ამ უკანასკნელზე ნახევარი საუკუნით გვიან მოღვაწეობს. ცნობილია, რომ პელოპონესის ომებს ჰქონდა არა მარტო ათენის და ლაკედემონის, არამედ შესაბამისად იონიელების და დორიელების დაპირისპირების ხასიათი. არც იონიელთა სახლიკაცები, ეოლიელები ჩანან ამ ომისაგან გვერდზე მდგომნი. ძირითადად ისინი თავიანთ სახლიკაცებს, იონიელებს თანაუგრძნობენ ...და სხვა დორიული ტომებიც ლაკედემონს უჭერენ მხარს, მათ შორის სიკიონელები. ზუსტად ამ ომის შედეგად ჩანს სიკიონელთა შეჭრა ეოლიელთა მიწა-წყალზე, რომელიც ამ უკანასკნელებს უდავოდ მხოლოდ საუკეთესოები ეჭირებოდთ, რადგანაც პირველმოსახლის და საცხოვრებლის შემრჩევის უპირატესობით სარგებლობდნენ....და რასაკვირველია სტრაბონსაც ისტორია ეოლიელ-სიკიონელთა საომარი ხახუნისა ყირაზე უჩანს შეყენებული (როგორც არა ერთი ბერძნული ისტორია) სავარაუდოდ, ლაკედემონელთა მოკავშირე სიკიონელებმა შეძლეს ეოლიელთა მიწების ნაწილის (პლევრონი) ოკუპირება და მას კომპრომისული სახელი, ეტოლია (ეოლიის ნაცვლად) დაერქვა. დროთა განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე პრიორიტეტი სიკიონელთა მხარეს გადავიდა. ზუსტად ამ დროს ხდება ტერიტორიის კურეტისად გადარქმევა და კურეტთა პოლიტიკური წარმონაქმნის ჩამოყალიბება (რის შესახებაც სტრაბონი საუბრობს)...მაგრამ დროთა განმავლობაში ეოლიელებმა შეძლეს სტატუს- კვოს აღდგენა .. .მიუხედავად ამ ტერიტორიაზე კურეტთა სამეფოს ჩამოყალიბებისა, ისინი (კურეტები) კრეტის პირველამთვისებლები ვერ იქნებოდნენ-კუნძული კრეტა მართლაც კურეტების დასახლებული ჩანს, აღნიშნული ეპოქიდან მიმიმუმ ათი საუკუნით ადრე პლევრონელ კურეტთა თანატომელი სხვა თემის მიერ...(11)

სტრაბონი, რომელიც კურეტებს კუნძულ კრეტის პირველმცხოვრებლებად თვლის (რასაკვირველია შეცდომით, კურეტები ამ კუნძულის რიგით მესამე ტიტულატურული არიან) აღწერს კრეტელების ცხოვრების საკმაოდ უცნაურ, მაგრამ ანტიკურ ელადაში მოწინავე სტილს, რომელიც შემდგომში ლაკედემონელებმა (სპარტელებმა) გადაიღეს:

„რაც შეეხება კრეტას, ყველა მწერალი ეთანხმება იმას, რომ ძველადვე კუნძულს ჰქონდა კარგი კანონები და უკეთესი ბერძენთა შორის და პირველ რიგში ლაკედემონელებისა, ამასთან დაკავშირებით მისი მიმბაძველებისა... რაც შეეხება კრეტელების სახელმწიფო მოწყობას, რომელიც აღწერილია ეფორის მიერ, საკმარისია მივცეთ ალაგ-ალაგი განხილვა მთავარისა. ეფორის მეხედვით კანონმდებელმა საფუძვლად მიიღო მდგომარეო-

ბა, რომ თავისუფლება უმაღლესი სიკეთეა სახელმწიფოსათვის. რომ მხოლოდ თავისუფლება აძლევს სიკეთეს მას, ვინც შეიძინა, მაშინ როდესაც სიკეთე შეძენილი მონობაში, ეკუთვნის მმართველებს და არა მართულებს. ის ვინც ფლობს თავისუფლებას, უნდა დაიცვას კიდეც. შემდეგ, თანხმობა მიიღწევა მხოლოდ იქ, სადაც აღმოფხვრილია უთანხმოება, რომელიც სიხარბისაგან და ფუფუნებისაგან მომდინარეობს. სინამდვილეში, თუ მოქალაქენი მისდევენ ზომიერ და უბრალო ცხოვრებას, მაშინ მათ არ უჩნდებათ ასეთი სულის გრძნობა, არც სიჯიუტე, არც სიძულვილი თავის ტოლის მიმართ. ამიტომაც კანონმდებელმა განსაზღვრა, რომ ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ ეგრეთ წოდებულ რაზმებში, ხოლო დიდები საერთო სუფრაზე (რომელიც იწოდება ანდრიად) იმიტომ რომ უფრო ღარიბები გამოკვებილიყვნენ საერთო ხარჯით, ჰქონოდათ ტოლი წილი მდიდრებთან. ახალგაზრდები გამხდარიყვნენ მამაცები და არა ლაჩრები, მათ ბავშვობიდანვე აჩვევდნენ იარაღის ხმარებას და მძიმე შრომას, რომ მათ ესწავლათ სიცხისა და სიცივის ატანა, ქვიანი და აღმართიანი გზები გიმნასიებში და შეტაკებები მწყობრში. მათთვის იყო შემოღებული არა მარტო მშვილდისრის ხმარება, ასევე სამხედრო ცეკვა (რომელიც ასწავლეს კურეტებმა)...ისინი ვალდებული იყვნენ ეტარებინათ სამხედრო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, ხოლო ყველაზე ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა იარაღი. ზოგი ვინმე ამტკიცებს, ეფორის სიტყვებით, რომ უმრავლესობა ჩვეულებები ჩათვლილი კრეტულად, ლაკონიკური წარმოშობისაა. სინამდვილეში ის შემოიტანეს კრეტიდან, ხოლო გააუმჯობესეს სპარტანელებმა... შემდეგ ეფორი ყვება, სპარტანელი კანონმდებელი ლიკურგი იყო 5 თაობით უმცროსი ალფემენისა, რომელმაც გამოიყვანა კოლონია კრეტაში... ასლი არ შეიძლება იყოს ორიგინალზე ძველი და ახალი ძველზე წინ. ცეკვა, რომელიც იყო ლაკედემონელთა ჩვეულებაში, რიტმი და სიმღერა, რომელიც სრულდებოდა კანონის შესაბამისად და სხვა მრავალი ჩვეულებები იწოდება მათთან კრეტულად , თითქოსდა ისინი წარმოიშვნენ კრეტაზე. სპარტანელთა უმაღლეს სახელმწიფო წყობაში ზოგიერთი იმავე მმართველობითი დანიშნულებისაა, როგორც კრეტაზე. ასე მაგალითად, წოდება უხუცესებისა და მხედრებისა (გათვალისწინებით იმისა, რომ მხედარი მართლაც ფლობს საკუთრებაში ცხენს; აქედან კეთდება დასკვნა, რომ წოდება მხედარი კრეტაზე უფრო ძველია და მას შენარჩუნებული აქვს წოდების ნამდვილი დანიშნულება. სპარტელ მხედარს კი ჩვეულებრივ ცხენი არ ჰყავს“ (იქვე, თავი IV -5-18)

სტრაბონის ეს მტკიცება კრეტაზე მოქმედი კანონების პირველობისა და სპარტას მეორადობისა ფაქტიურად დამტკიცებას არც მოითხოვს:

„ზოგიერთები ამასთანავე ამბობენ, რომ პითიამ დაუწესა მას ის სახელმ-

წიფო წყობილება, რომელიც სპარტელთა შორის ამჟამად არსებობს, ხოლო როგორც თვითონ ლაკედემონელები ამბობენ ლიკურგოსმა ეს კანონი ლეობიტესის, თავისი ძმისშვილის და სპარტელთა მეფეს რომ მეურვეობდა, მაშინ ჩამოიტანა კრეტიდანო, რადგან როგორც კი გახდა მეურვე, შეცვალა ყველა კანონი და თვალი ეჭირა, რომ ის არავის დაერღვია (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი I-65)

…და ლიკურგისაგან კრეტიდან სახელმწიფო კანონების ჩამოტანას მთელი კვლევა მიუძღვნა პლუტარქემ საკუთარ „რჩეული ბიოგრაფიები“-ში. მაგრამ ვერც კურეტების ჩვილი ზევსის შეიარაღებულ მცველებად მოხსენიება სტრაბონის მიერ (რასაკვირველია არასწორად), ვერც კრეტელების მიერ საომარი ცეკვის კურეტებისაგან შეთვისება-გახმოვანებული მის მიერვე (რასაკვირველია არასწორად), ვერც ეტოლიელების-კურეტების და სიკიონელების იდენტურობის დამტკიცების მცდელობა ჩვენს მიერ ვერ იქნება პირდაპირი დამამტკიცებელი საბუთი კრეტელების კურეტობის-სიკიონელობისა და მხოლოდ ირიბ სამტკიცად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ კრეტელების შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ცნობაა:

„დათქნულ დღეს რაზმი რიტმული მარშით ხვდება სხვა რაზმს შეჯახებისათვის ფლეიტისა და ლირის მუსიკის ქვეშ, როგორც ჩვეულებრივ ომში, ამასთან ისინი აყენებენ ერთანეთს დარტყმებს არა მარტო ხელით, არამედ რკინის იარაღითაც“ (სტრაბონი, წიგნი X, IV -20)

...სდექ! აქ შევჩერდეთ! ერთად-ერთი ტომი ფიქსირდება მსოფლიოში, რომელიც ფოლადის საბრძოლო იარაღით, ხმლებით ან დაშნებით ერთმანეთთან ხელჩართული ბრძოლის იმიტაციას ახდენენ: ფშავ-ხევსურები. ... კეჭნაობა...ამ საქმეში გარკვეულ ქართველს მოეხსენება, რომ დაშვებულია ფოლადის საბრძოლო იარაღით მოწინაღმდეგის მსუბუქი გაკაწრვაც კი, რომლის სიღრმე ქერის მარცვლის ზომას არ უნდა აღემატებოდეს...იმას, ვინც ეს წესი ვერ დაიცვა და მოწინააღმდეგეს უფრო ღრმა ჭრილობა მიაყენა, ვიდრე ქერის მარცვალია, ჯარიმა ეკისრება, ჩვეულებრივ ხარი ან ძროხა... სრული დაარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კრეტის რიგით მესამე მოსახლეობა ასაკენებია (ფშავ-ხევსურეთი ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის იბერიაში შემოჭრის დროს გურ-ასაკენებად იწოდებოდა) კუნძული კრეტა სიკიონელების, იგივე კურეტების სამშობლოა!

...და რატომ კურეტების? იმიტომ რომ სტრაბომის მიერ ეტოლიელებად და კურეტებად შერაცხულ, ჰეროდატეს მიერ დორიელებად და სიკიონელებად მოხსენიებულ ტომს უძველეს ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ კირატა ჰქვია...არ ვიცი, სახელის ეს ვარიანტი დამახინჯებული თუ არა ჰინდუ თუ სანსკრიტ ენაზე, ზეპირსიტყვიერებით გადმოცემული ათასობით წლების განმავლობაში, მაგრამ საბერძნეთში ისინი საკუთარ თავს კურეტ-

ებს უწოდებენ...ერთადერთი მხარეა საქართველოში, სადაც ხარს, კუროს კურატი ეწოდება ფხოვია, დღევანდელი ფშავ-ხევსურები...

ვის ამწყალობებ ალუდავ, ამა კურატით შავითა !

ეს სტროფი კი სავარაუდოდ ყველა ქართველმა იცის, ისევე როგორც პოეტის სამშობლო...

ფესტოსის დისკო

„ევანსი მივიდა დასკვნამდე, რომ დისკო კრეტაზე მოხვდა სამხრეთ-დასავლეთ ანატოლიიდან, მეგობრული დამოკიდებულების აღსანიშნავ ფაქტად ფესტოსის მმართველის (და ხალხის. ავტ.) **მიმართ, რომელიც მეზობელი ხალხისგან არის გამოგზავნილი...არქეოლოგი მაიერი თვლიდა მას ფილისტიმელთა ნაკეთობად...ირლანდიელი არქეოლოგი მაკალისტერი, მომუშავე პალესტინაში, დისკოს სამშობლოდ ჩრდილო აფრიკას მოიაზრებდა“ (ვიკიპედია)**

მკითხველს შევახსენებ, რომ ყველა მოხსენიებულ ადგილი წარმოადგენს განდხარვყოფილთა განსახლების ადგილს, ხოლო დისკოს ფილისტიმელთათვის სავარაუდო მიკუთვნებულობა, შესაძლოა ამ უკანასკნელთა ვინაობის გასაღებიც გამოდგეს...

„ყველა ვარაუდი დისკოს დამზადების თარიღის შესახებ დამყარებულია პერნიეს ანგარიშზე. დისკი მიკუთვნებულია როგორც საშუალო მინოსურ (XXI-XVII საუკუნე ქრისტემდე) ასევე გვიან მინოურს (XVI-XII საუკუნეს ქრისტემდე) ...შესაძლოა მოინახოს მესოპოტამიური პარალელები, რომელიც ეხება გაცილებით გვიანდელ, ახალასირიულ პერიოდს (არა უადრეს X საუკუნეს ქრისტემდე) (ვიკიპედია)

თუ დისკო გვიანმინოური კულტურის, ან მესოპოტამიურ-ასირიული ძეგლია (ჩვენი ვარაუდით ის კიდევ უფრო გვიანდელია და ქრისტემდე VII-VI საუკუნის ძეგლია (12) ის აუცილებლად კურეტებს- ასაკენებს უნდა ეკუთვნოდეთ... ასაკენების თვალსაჩინო წარმომადგენლები (რასაკვირველია არა კრეტელები) საქართველოს კუთხეში, არქაულ ფხოვსა და დღევანდელ ფშავ-ხევსურეთში ცხოვრობენ (ასაკენების დისტანცირება და გამოყოფა ერთმანეთისაგან არა უადრეს XV- VI საუკუნეს ქრისტემდე ჩანს მომხდარი) ხევსურთა საცხოვრებელ უძველეს ქვის სახლებში ჩატანებული ცალკეული არქაული კრიპტოგრაფიული ნიშნები ამის აშკარა საბუთი უნდა იყოს... მოტივი აბსოლუტურად ერთნაირი, შეიმჩნევა ცალკეული ასო-ნიშნების მთმთელი 100% დამთხვევაც კი...(და საერთოდ, დამწერლობის მოტივით და გრაფიკით განსხვავება სულ რამდენიმე არსებობს, რაც უშეცდომოდ მიუთითებს მათი ავტორის რასობრივ მიკუთვნებულობასაც კი)

...და მაინც, ფესტოსის დისკო დამწერლობის თვისობრივად ახალ ბეჭდურ საფეხურზე გადაყვანის მცდელობაა, ასოები ერთი და იმავე საბეჭდავით იბეჭდება, შესაბამისად მათ კალიგრაფიულ ცდომილებას გამორიცხავს, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია დამწერლობის ისტორიაში... ამასთან, დამწერლობა აშკარად გამოხატულ ანბანურ ხასიათს ატარებს, ერთი გრაფემა ნიშნავს ერთ ასოს...

ფესტოსის დისკოს გაშიფრვა

ავერსი

დისკოს გაშიფრვის მცდელობა იმან გამაბედინა, რომ დარწმუნებული ვიყავი მის ქართველურ წარმოშობაზე. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვიყა-

ვი, რომ წერილი მცირე აზიელ ასაკენების გაგზავნილი იყო კრეტელებისათვის, უკვე ელინებისათვის. (ეს ვერსია ევანსს ეკუთვნის, კნოსოსის სასახლის აღმომჩენს, თუმცა მისგან განსხვავებით ჩემთვის ცნობილი იყო ორივე ტომის ასაკენობის შესახებ, თუმცა კრეტული ტომი უკვე ელინური-ბერძნულენოვანი ჩანს. ასევე დარწმუნებული ვიყავი, რომ დისკო ქართველი ასაკენური ტომის მიერ საკუთარი მატრიცული (საბეჭდავების სა-

რევერსი

შუალებით) ანბანის შექმნის მცდელობა იყო. ის მომგებიანად განსხვავებული იყო ანბანურ დამწერლობასთან შედარებით , რომელიც სრულიად გამორიცხავდა სუბიექტურ (კალიგრაფიასთან დაკავშირებულ სხვაობას) ფაქტორს, მაგრამ ამავ დროს მისი გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლ-

ოდ თიხაზე, შემდეგი გამოწვით. დისკოზე გამოყენებული ენა მხოლოდ ქართული შეიძლება ყოფილიყო, ვინაიდან სხვა ასაკენურ ტომთან, ტაჯიკებთან შემორჩენილი ცალკეული სიტყვები ფაქტიურად სრულად ემთხვეოდა უზბეკებთან (ქართლის ტომთან) შემორჩენილ ასევე ცალკეულ ქართულ სიტყვებს... სავარაუდოდ დიალექტი, რომელიც შესამჩნევი იყო ორიოდ სუკუნის წინანდელ ფხოვში, ფშავ-ხევსურებში, გვიანდელი შეძენილი უნდა იყოს...

გამომდინარე ამ მოსაზრებიდან (და აბსოლუტურად ნაღდისაგან) გაშიფრვის ჩემეული მეთოდი გამოვიყენე, რომელმაც გაამართლა „ვოინიჩის მანუსკრიპტის“ ჩემეულ გაშიფრვაში (და აქაც აბსოლუტურად სწორისაგან). ჩვეულებრივ, ქართულით წერისას სიტყვების ყველაზე მეტი დასასრული ასო ა-ზე მოდის. ფესტოსის დისკოში ეს ჩაჩქანიანი მეომარი ჩანს. ამასთან ჩემი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ დისკოს ავერსზე სიტყვების რაოდენობა ზუსტად ემთხვეოდა რევერსზე სიტყვების რაოდენობას-30 (დისკოში ცალკეული სიტყვები გამოყოფილია ხაზით). ამასთან, ასო ა-ზე დამთავრებული სიტყვების რაოდენობა ავერსზე 14-ია, რევერსზე თითქმის სამჯერ ნაკლები-5...და პირველად მაშინ გამკრა გულში ეჭვმა, ხომ არ არის ფესტოსის დისკო ბილინგვა? დისკოს სკრუპულოზულმა შესწავლამ მაჩვენა, რომ ვიზუალური მსგავსების მიუხედავად, ავერსზე შესრულებული ნაწერი განსხვავებულია რევერსის ნაწერისაგან. მინიმუმ ათი ასონიშანი ავერსის მხარეზე, არ იპოვება რევერსზე. თავის მხრივ, რევერსის 13 ასო არ იპოვება ავერსზე-საშუალოდ 25 ასო ნიშანი აქვთ საერთო... და ხომ არაა ეს ტექსტი ბილინგვა (არა კლასიკური) გაგებით? კლასიკურია ბილინგვა, რომლის ერთი ვარიანტი შესრულებულია ერთ კონკრეტულ ენაზე - მისივე დამწერლობით, ხოლო მეორე ვარიანტი იმავე თემაზე შესრულებულია მეორე დამწერლობით მეორე ენაზე...და თუ აქ არა კლასიკურ ბილინგვასთან გვაქვს საქმე, ავერსი შესრულებული უნდა იყოს ქართული ენაზე მისივე მატრიცით-საბეჭდავით, ხოლო რევერსი ელინურ ენაზე, მაგრამ უკვე ქართული მატრიცით...ადრესანტი-მცირე აზიელი ასაკენები, ქართველები, ადრესატი კრეტელი ასაკენები, უკვე ბერძნები...

დიდი ალბათობით მცირე აზიელი ასაკენი სახელმძღვანელოდ ქართულ ანბანს იყენებს, მაგრამ რა ანბანით სარგებლობს ელინი ასაკენი? კადმეური ანბანის შესახებ საუბრობს ორი ანტიკური ისტორიკოსი: ჰეროდტე და დიოდორ სიცილიელი. ამავე ტომში მოყვანილია ორივე ისტორიკოსის ვერსია და აღარ გავიმეორებთ, მხოლოდ ამ საკითხზე მათ მოსაზრებებს გავახმოვანებთ: კადმოსი ფინიკიიდან ზევსის მიერ მოტაცებული დის, ევროპეს საძებნელად იონიაში (არა ბერძნულში) ჩამოსული ფინიკიელი იყო, ქრისტემდე XXI საუკუნეს.(12*) ის დასახლდა იონიაში (არა ბერ-

ნულში). იმ დროისათვის იონია სულ სამი ქართველური ტომით იყო წარმოდგენილი: ჭანი-ეოლიელი, იონიელი-კოლხი და ასევე იონიელი-იბერი...კადმოსი სარგებლობდა დამწერლობით, რომელსაც შემდგომში კადმეური ეწოდა. რასაკვირველია ეს დამწერლობა კადმოსის შექმნილი არაა, ეს საქმე ფინიკიელებმა კადმოსამდე მინიმიმ X საუკუნის წინ იცოდნენ...

ეს დამწერლობა აქ მცხოვრებმა იონიელებმა კადმოსისგან გადმოიღეს, თუმცა სახელი არ მიუთვისებიათ და მას კადმეურს უწოდებენ. იგივეს აღნიშნავს დიოდორე სიცილიელიც, თუმცა იონიელების ადგილას პელაზგებს წერს, (ეს ტერმინ შედარებით გვიანდელია და არა უადრეს ქრისტემდე XIII საუკუნისაა) ხოლო დამწერლობას ფინიკიურს უწოდებენ. თავად იონიელებს (არაბერძნებს) ეს დამწერლობა სავარაუდოდ XX-XVIII) საუკუნეს მაინც უნდა ჰქონდეთ გადმოღებული.

ორი, ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული თარიღია ბერძნული დადამწერლობის შემოღების თარიღად ცნობილი (XIII-VII) საუკუნე ქრისტემდე, რატომ? იმავე დიოდორე სიცილიელის მიხედვით, ლინმა-ჰერაკლეს აღმზრდელმა, შეათავსა იონიური- ფინიკიური ანბანი ბერძნული ენის საჭიროებასთან და მიიღო ელინური-ბერძნული ანბანი. ლინი, ჰერაკლეს აღმზრდელი ქრისტემდე XIV პერსონაჟია (თავად ჰერაკლე ქრისტემდე 1355 წლის მახლობლად ჩანს დაბადებული) ჰერაკლეს მიერ არფის დარტყმით მოკლული, რომელი მუსიკალური ინსტრუმენტით ის ჰერაკლეს განსწავლას ლამობდა...(ეტყობა ქრისტემდე XIV საუკუნე ბერძნული დამწერლობის დაფუძნების თარიღად გამოცხადება ვერ იკისრეს)...და მეორე თარიღი, ქრისტემდე VIII საუკუნე? აქაც ბერძნებს ერთი საუკუნე მომატებული უჩანთ...რის საფუძველზე შეძლება ასე ვიფიქროთ?

მე თვითონ ვნახე კადმეური დამწელობა აპოლონ ისმენიელის ტაძარში, ბოოტიელთა თებეში (ფინიკიური წარმოშობის ელინური ტომი) **სამ სამფეხაზე გაკეთებული. ის ძალიან გავდა იონიურს** (ბერძნულს) **ამ სამფეხათაგან ერთს ასეთი წარწერა აქვს: „ამფიტრიონის შემოწირული ვარ ტელებოესაგან მოპოვებული“. ეს უნდა მომხდარიყო ლაიოსის დროს, რომელიც იყო ლაბდაკოსის ძე, ლაბდაკოსი კი პოლიდოროს კადმოსის ძე იყო. ხოლო მეორე სამფეხაზე ჰეგზამეტრული ლექსით შემდგია ნათქვამი: „სკაიოს მოკრივემ რომ გაიმარჯვა, შემოგწირა შენ, შორსმტყორცნელ აპოლონს, ჩემი თავი უმშვენიერეს სამკაულად.“ სკაიოსი უნდა იყოს ჰიპოკოონტის ძე, თუ კი შემომწირველი ისაა <u>და არა სხვა ვინმე, რომელსაც იგივე სახელი ჰქვია, რაც ერქვა ჰიპოკოონტის ძეს, რომელიც ოიდიპოს ლაიოსის ძის დროს იყო.**

მესამე სამფეხაზე ასევე ჰეგზამეტრით არის ნათქვამი: „ლაოდამასმა, თავისი ერთმმართველობის დროს, თვითონ შემწირა უმშვენიერესი სამკაულ-

ად შენ, შორსმჭვრეტელ აპოლონს ეს სამფეხი“ როდესაც ლაოდამას ეტეოკ-ლეესის ძე მმართველობდა, გამოაძევეს არგოსელებმა კადმეები და ისინი წავიდნენ ენქეელებთან. (ჰეროდოტე, წიგნი V-59-61)

ამაოდ არ დაეჭვდა ჰეროდოტე, რომ ტაძარზე წარწერები გაცილებით გვიანდელი უნდა იყოს, ვიდრე კადმოსის ძის ეპოქა-არგოსელები, პირველი ელინები მხოლოდ ქრისტემდე XV საუკუნეს გამოჩნდნენ ელადაში... წარწერები აპოლონ ისმენიელის ტაძარში არა უადრეს VII საუკუნეს ჩანს გაკეთებული-ქრისტემდე. (12**)

ასაკენური საბეჭდავი ასო ნიშნები, რომელიც დისკოს მხოლოდ ავერსის მხარეს არის გამოყენებული

ასაკენური საბეჭდავი ასო ნიშნები, რომელიც დისკოს მხოლოდ რევერსი მხარეს არის გამოყენებული

ქართული ანბანი (სრული)

ა ან. ბ ბან. გ გან.

დ დონ. ე ენ. ვ ვინ.

ზ ზენ. ჱ ჱე. თ თან.

ი ინ. კ კან. ლ ლას.

მ მან. ნ ნარ. ჲ ჲე.

ო ონ. პ პარ. ჟ ჟან.

რ რაე. ს სან. ტ ტარ.

უ უნ. ჯ ჯე. ფ ფარ.

ქ ქან. ღ ღან. ყ ყარ

შ შინ. ჩ ჩინ. ც ცან.

ძ ძილ. წ წილ. ჭ ჭარ.

ხ ხან. ჴ ჴარ. ჯ ჯან.

ჰ ჰაე. ჵ ჵი. ფ ფა.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲜᲑᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲙᲠᲐᲕᲘ

ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐ ᲖᲔᲘᲗ ᲐᲜᲘ ᲣᲯᲓᲔᲚ

აქ დიდი სულხან-საბა უთუოდ ცდება, 39- ასო F ქართული ფონემა არა ჩანს. მართალია ქართველის ტუჩ-პირი ისე ჩანს მოწყობილი, ქვეყნიერებაზე არსებულ ყველა ბგერას გამოთქვამს, ეს ასო აშკარად არა ჩანს ქართული ფონეტიკისა. ძველ ნაწერებში აღმოვაჩინეთო, სულხან-საბა ბრძანებს, მაგრამ ის ბერძნული ან სულაც ლათინურ სიტყვებს შემოყვა-ეტყობა. რაც შეეხება 40-ე ასო ნიშანს და-ს, ის ასონიშანი არცა ჩანს, ეს და კავშირია და მისი ასო დ-ს ზემოთ შემოსმა- მხოლოდ მხატვრული წერის ხერხია. შესაბამისად, ქართული ანბანი დასაბამიდან 38 ასო-ნიშნით იყო შეკაზმული...ამდენივე ასო-ნიშანი ჩანს ასაკენების მიერ მატრიცული დამწერლობის შემოტანის მცდელობისას გამოყენებული. ნიშანდობლივია, რომ წინარე მდებარე ასაკენური დამწერლობის შესრულებისას, ასაკენებს 38-ვე ასო- ნიშანი გამოყენებული უჩანთ. (გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც ტექსტიდან გამომდინარე ამ ასო-ნიშანის ხმარება არ დასჭირვებია, მაგალითად ასო შ-სი და შესაძლოა ჰ-სიც)...ფაქტიურად ასაკენს, ფესტოსის დისკოს ავტორს, ქართული ალფავიტის ნუსხა ხელთა აქვს და მისი მიხედვით ამზადებს ასაკენების ასოვან მატრიცას...

თუ დავაკვირდებით ძველქართულ ანბანში რვა ხმოვანია და დისკოს ავერსის მხარეზე, ასაკენური დამწერლობა რვავე ასო -ნიშანს იყენებს:

ა-ან; ე-ენ; ც-ცე; ი-ინ; ი-იე; ო-ონ; უ-უნ; ვ-ვე...

ამასთან ც-ცე, იკითხება როგორც მოკლე ე; ი-იე-მოკლე -ი; ვ-ვე, იკითხება ვი; ასო ხ-ხან და ასო კ-კარ იკითხება ასო ხ-დ...

ნაწერის მიმართულება საათის ისრის მოძრაობის საპირისპიროდ, ამას მეომრის პროფილის და მორბენალი ჭაბუკის მიმართულება გვიჩვენებს, ცენტრიდან პერიფერიისაკენ. ზემოთ ვილაპარაკეთ, რომ წერილის ადრესანტი-გამგზავნელი მცირე აზიელი ასაკენები ჩანან, ადრესატი-მიმღები კრეტელი ასაკენები...კუნძულ კრეტის ეს სახელი გაცილებით შორიდან უნდა მოდიოდეს, ვიდრე ფესტოსის დისკოს გაგზავნის თარიღი. შესაბამისად, წერილში ერთი სიტყვა მაინც კრეტის-ადრესატის სახელი უნდა იყოს...როგორ განვსაზღვროთ? ჩაჩქანიანი მეომრის გამოსახულება ავერსზე- ყველაზე ხშირად ხმარებული ასო სიტყვის ბოლოში -ა- უნდა იყოს, როგორც ჩვეულებრივ ყველა ქართულ სიტყვაში, მისი თითქმის მუდმივი თანამდევი ასო ბორბლის გამოსახულებით და არანაკლები სიხშირით ნახმარი (თუმცა არა სიტყვის ბოლოში) ასო -ი- (სიტყვები დისკოზე გამოყოფილია ერთმანეთისაგან ვერტიკალური ხაზით). ამასთანავე ადრესატის სახელის-კრეტა-ს ხსენების დროს, სიტყვა უნდა მთავრდებოდ-ეს ასო ა-ზე (ჩაჩქანიანი მეომრით), არც ერთი ასო-ნიშანი არ უნდა მეორდებოდეს და არ შეიცავდეს ასო ი-ს (ბორბლის გამოსახულებას). ასეთი სიტყვა ავერს-რევერსის 60 ცალკეულ სიტყვებში მხოლოდ ერთია-რევერსის N3 სიტყვა (იხ. სურათზე).

ფაქტიურად ჩვებ 6 ასო-ნიშანის მფლობელები ვხდებით : **კ; რ; ე; ტ; ა; ი;...** და კიდევ ერთი მინიშნება, ეგრეთ წოდებული ქართული მწკრივი (ღ; ყ; შ; ჩ; ც; ძ; წ; ჭ; ხ; ჯ; ჰ; -დან, დადასტურებულად მხოლოდ ასოები -შ, ც, ხ- მტკიცდება დისკოს რევერსის მხარეს...

დავუბრუნდეთ ისევ ფესტოსის დისკოს: თუ დისკო ბილინგვას წარმოადგენს, (თუნდაც არაკლასიკურს) დისკოს ავერსზე N3 სიტყვა ადრესანტის, წერილის გამგზავნთა სახელი უნდა იყოს: **Y X ე (X X) ი ა** -ასეთი გამოსახულებისაა ეს სიტყვა, სადაც Y-აღნიშნავს ასოს „ქართული მწკრივიდან, X-რომელიღაც ჩვეულებრივი ასო ქართული ალფავიტიდან, (XX)-სხვა ასოს ქართული ალფავიტიდან-ორმაგს. მრავალი დასახელება ვიცი ასაკენების ტომისა: კირატა (ალბათ კურეტი, დამახინჯებული სანსკრიტის ან ურდუ ენის მიერ) კურეტი, ტავრისკი, ტავრი, ასაკენი, სიკანი, სიკიონელი, ვარანდა... ადიაბენა - მათი მცირე აზიაში საცხოვრებელი ადგილი და საგოპოდები.(13*) არც ერთი არ გაეკარა...ერთადერთი სანიშნი გვაქვს მხოლოდ, პირველი ასო ქართული მწკრივიდანაა და 4- 5 ასო, ერთიდაიგივე... მრავალი გამოთვლის და ტექსტის უზომო ჩხრეკით ერთ სიტყვაზე შევჯერდით, ეს შეიძლება **ძ მ ე დ დ ი ა** ყოფილიყო, რაც შემდგომში დადასტურდა კიდეც.

პირველი სიტყვა ავერსზე სულ სამი ასოსაგან შედგება. მეორე ეს მეომრის თავია დამწერლობის ასაკენური ციკლისაგან, თუმცა ამჯერად მეომარი ჩაჩქანის გარეშეა, თავშიშველი. ტექსტზე დაკვირვებამ მიჩვენა, რომ ასო ა-ს სიტყვის თავსა და ბოლოში ჩაჩქანიანი მეომარი გამოსახავს, სიტყვის შუაში-არა განაპირას, უჩაჩქანო. მესამე ასო სიტყვაზე-ქართული მწკრივიდანაა. გულისყურით შევისწავლე სამასოიანი ყოველი სიტყვა სულხან-საბასთან, რომლის მეორე ასო -ა- უნდა იყოს, ბოლო ასო-ქართული მწკრივიდან. ეს სიტყვა საჯ აღმოჩნდა. (**საჯ**- განსჯა, დასჯა, მსაჯული, სასჯელი, სჯული და სხვა მრავალი... შესაბამისად, ჩემთვის ცნობილი უკვე მთელი 11 ასო აღმოჩნდა **(კ, რ ,ე, ტ, ა ,ი, ძ, მ, დ,ს,ჯ)** აღმოჩნდა. და როდესაც განსჯაზეა საუბარი, იქ ახლომახლო უფლის ხსენებაც უნდა იყოს, ჩვეულებრივ იმ შორეულ დროს ის უნდა ყოფილიყო მსაჯული...-მეორე სიტყვა ორასოიანი- ქარაგმით **ო'ნ,** იმავე სულხან საბასთან მოიძებნა.. **(ო'ნ,** ქარაგმით უფალმან-სულხან საბა)

ურთულესი ამოცანაა, რომელიც როდისმე შემხვედრია, უზარმაზარია ცდუნება, რომ მატრიცის ნიშნები მოარგო შენს „გაშიფრულს", რაც არაერთხელ დამემართ ამ დისკოს გაშიფრვისას და ცრუ კვალზე გამიყვანა. მკითხველმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აქ საქმე ძველთაძველ ქართულთან გვაქვს, და რომ ამ ხნის ძეგლს სხვას ალბათ ვერც აღმოვაჩენთ. გავიხსენოთ იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება" და მისი ძველი, V საუკუნის ქართული, რომელიც საკმაოდ ძნელი საკითხავია დღეს...შევადაროთ თა-

ნამედროვე (რუსთაველის) ქართული, რომელიც მთელი 8 საუკუნით გვიანდელია მასზე... და ფესტოსის დისკო არქაული ქართულით- ეს ტექსტი მინიმუმ 12 საუკუნით უფროსია „შუშანიკის წამებაზე“...ქრისტემდე VII საუკუნის ეს ტექსტი მოიკოჭლებს მორფოლოგია -სინტაქსში, ბევრი სიტყვა შეიძლება ვერც გავიგოთ კიდეც... ჯერჯერობით გვაქს შემდეგი ასოები: **კ,რ, ე, ტ,ა, ი, ძ ,მ, დ, ს,ჯ,ო, ნ**... და N5 სიტყვა ავერსზე პირდაპირ იკითხება:**ე Yრ,** ამასთან შუათანა ასო ქართული მწკრივიდანაა...თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ N6 სიტყვაში პირდაპირ იკითხება **ო, ნ, ი, ა**-რაც ძველ ბერძნულში იმავე იონიის ნიშნავს, N5 სიტყვა **ე ყ რ**-უნდა იყოს, და **იონიასთან ძმედდიის შეყრას უნდა ნიშნავდეს...** და ბოლო სიტყვა ავერსზე იკითხება **X ო ნ ი ა** -აქ პირველი ასო მეორე **ი** - მოკლე უნდა იყოს, სიტყვა კი **იონია**-საბერძნეთი. ამ შემთხვევაში ადრესანტი- ძმედდია მიმართავს არა კრეტას კონკრეტულად, არამედ მთელს იონიელ ხალხს... და რადგან სინქრონულ თარგმანთან (ნაწილობრივთან) გვაქვს საქმე, რევერსის ბოლო სიტყვა ამ ხალხის- მცირე აზიელების, მათ შორის ძმედდიას საერთო სახელი უნდა იყოს: **კ X X ი ა...**და როდესაც მცირე აზიელთა ამ კრებსით სახელზე გავედი, უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ სწორ გზაზე ვდგავარ-ეს სახელი მე ადრეც ვიცოდი: **კ უ შ ი ა...**(შ-ასო თანამედროვე ბერძნულში არ იძებნება, თუმცა კადმეურში-ფინიკიურში-პელაზგურში ის არსებულია. რაც შეეხება ასაკენურს ავერსზე, ეს ასო არც იქ ფიქსირდბა-უბრალოდ ტექსტში ამ ასოს ხმარება საჭირო არ გამხდარა...N7 სიტყვა ავერსზე ასე გამოისახება **ი X Y**- თანაც ბოლო ასო სიტყვაში გაფრენილი ჩიტია, ასეთი ოდნავ განსხვავებული მხოლოდ ერთ-ერთი ხ ორი ჩიტიდან, რომელიც კადმეურში არ ფიქსირდება- **ი ც ხ...** N8 სიტყვა ავერსზე კონტექსტის მიხედვით **მადლს** უნდა ასახავდეს, ფაქტიურად **ყ Y იტ** წერია, **ყჩიტ** -უნდა იყოს, სხვა ვარიანტი ვერ მოვიფიქრე, ალბათ სამუდამოდ დაკარგული ქართული სიტყვაა...N9 სიტყვა ავერსზე (გაშიფრვა ავერსზე ხდება, მცირე გამონაკლისის გარდა) **დ ი ხ X დ ი ა** იკითხება, ეს უდავდ **დ ი ხ ე დ ი ა** უნდა იყოს, უცნობი ასო-მეორე ქართული -ე- უნდა იყოს, რომელიც ძველ ქართულში **ცე**-დ გამოისახება (ასევე ორი ე აქვს ბერძნულ ალფავიტსაც, გრძელი და მოკლე) სიტყვა **დიხედია** სამშობლოს - ოდაბადეს უნდა ნიშნავდეს... N10, N13 და N16 პირდაპირ იკითხება **ც ხ ი ა...** N11 და N 17 **ო**-ა მეორე ასო უბრალოდ ქარაგმას ნიშნავს **უფალო** - წოდებითში (სულხან-საბა) ... N12 **ი რ ჯ X დ ა** აქ ასო ჯ-სა და ასო-დ-ს შორის ხმოვანი უნდა იჯდეს, უკანასკნელი მერვე ხმოვანი ქართული ალფავიტისა **ვი.** (სხვათაშორის, ზუსტად ამ წაკითხვით აქვს ეს ასო ბერძნულსაც -გასაგებია რომ კადმეურიდან) სიტყვა იკითხება **ი რ ჯ ვ ი დ ა** -ალბათ ირჯებოდა, აკეთებდას ნიშნ-

ავს...N14 **რ X** -მეორე ასო თევზის გამოსახულებაა ასო თ-ს უნდა აღნიშნ-
ავდეს- თემატიკურადაც ემთხვევა სულხან საბასთან **რთ**-რთვას, მორთვას,
რ-ხიოს- შეარყიოს (კონტექსტიდან გამომდინარე-აკი თავიდან განვაცხადე



(ქართული ასაკენური დამწერლობის მატრიცის ვარიანტი)

მორფო- ფონეტიკის სიმწირე იმ დროის ქართულში). N20 სიტყვა **კ უ Y ო** -ბოლოსწინა ასო ქართული მწკრივიდანაა, სიტყვის ფუძედ სულხან-საბას კუწ უწერია, მისგან ნაწარმოები დაკუწვა, მოკუწვა... თანამედროვე ქარ თულის აკუწვა იმ დროისათვის **კ უ წ ო**- დ გამოსახული...N21 **ე ყ X ი ა** -რთული მისახვედრი ნამდვილად არ არის, კონტექსტიდან გამომდინარე აქ **ე ყ ვ ი ა** უნდა იყოს- დაემართება. N23 აქ პირდაპირ იკითხება **ა ი ტ ი ა**- ვერ ვთარგმნე და არცა მგონია ვინმემ შესძლოს...N24 **X Y დ**- პირველი ასო საერთოა ქართულ -კადმეურთან, ასეთი სულ ორი დამრჩა **ბ** და **გ.** ვფიქრ- ობ ბ უნდა იყოს ქართული მწკრივიდანაც არაა ბევრი დაჩენილი, ისევ და ისევ სულხან- საბას მიხედვით ვფირობ-ჭ- უნდა იყოს, სიტყვა **ბჭდ** - შესაძ- ლოა **ბჭე**-ა ნაგულისხმევი (ბჭე-ს სულხან-საბა შედარებით ვიწრო შესას- ვლელს უწოდებს, უკარებოს-თაღს). N25 სიტყვა **ი კ X დ** - სულ ორიოდ ასო დამრჩა, ორივე ენისათვის საერთო, აქ **ლ** ასო უნდა იგულისხმებოდეს, სიტყვა **იკლდ** - გაკლდევებას, კლდესავით მყარად დგომის სურვილს უნ- და გამოხატავდეს...N26 სიტყვაში **თ უ X ი ა** იკითხება, უცნობი ასო საერ- თოა როგორც ასაკენური, ისე კადმეურისათვის, სავარაუდოდ ეს ასო **პ** უნ- და იყოს, სიტყვა **თ უ პ ი ა**- სიტყვის მნიშვნელობა ჩვენთვის დაკარგულია. შემდეგი ორი სიტყვიდან მხოლოდ N28 წაკითხვაა შესაძლებელი, ისიც ნაწილობრივ **X ლ. X** -აქ სავარაუდოდ პირველი ასო **გ** უნდა იყოს, ორივე ენაში გამოყენებული: **გ ლ X**...N 29 სიტყვა **ი უ X** იკითხება, საბოლოო სი- ტყვა **ი უ ფ** უნდა იყოს და იონიის (სრულად) ფლობას უსურვებს თანა- ტომელებს ალბათ...

სრული ტექსტი განმარტებებით

1.საჯ - განსჯა (სულხან - საბა)
2.ონ - უფალმან (სულხან - საბა)
3. ძმედდია (ასაკენების სამშობლოს თვითწოდება. ავტორი)
4.საჯ-განსაჯა (სულხან - საბა)
5.ეყრ-შეყრა (ავტორი)
6. ონია-იგივე იონია, საბერძნეთი (ძველბერძნული ლექსიკონი)
7.იცხ - სცხე (ავტორი-ტექსტიდან გამომდინარე)
8.ყჩიტ -ყქიტ-მადლი (ტექსტიდან -ვერ მტკიცდება-ავტორი)
9. დიხედია-სამშობლო, ოდაბადე (ტექსტიდან გამომდინარე-ავტ)
10. ცხია-ცხია (მადლი იგულისხმება, ტექსტიდან-ავტორი)
11. ო' -უფალო (ტექსიტიდან, სულხან- საბა, მეორე ნიშანი მხოლოდ ქარაგმ-

ის აღმნიშვნელია)

12.ირჯვიდა-ირჯებოდა, გაისარჯა, იმუშავა (ტექსტიდან-ავტ)

13.ცხია- ცხია (მადლი იგულისხმება. ტექსტიდან-ავტ)

14.რთ-დართვა, მორთვა, წართვა, შერთვა (სულხან -საბა)

15.ძმედდია-სამშობლო, საძმო (თექსტიდან-ავტ)

16.ცხია -ცხია (მადლი- იგულისხმება. ტექსტიდან-ავტ)

17.ო'-უფალო (სულხან-საბა)

18.ირჯვიდა-ირჯებოდა, გაისარჯა, იმუშავა (ტექსტიდან-ავტ)

19.სრხია-გარყევა (მცდელობა- გაფრთხილება. ტექსტიდან-ავტ)

20.კუწო-აკუწვა, დაკუწვა (სულხან-საბა)

21.ეყვია-დაემართება (მუქარა-თანატომელების პოტენციურ მტრებს, თუ ასეთი გამოჩნდება)

22.ეცხ-ეცხება (მადლი, იონიელ თანატომელებს-ავტ)

23.აიტია-უცნობი სიტყვაა (სავარაუდოდ არქაული-ავტ)

24.ბჭდ- სავარაუდოდ ბჭე, ვიწრო გასასვლელი -კლდეში-ავტ)

25.იკლდ- გამაგრებას (კლდსავით დადგომას ურჩევს-ავტ)

26.თუპია- უცნობი სიტყვაა (უკვე დაკარგული-ავტ)

27.ვერ გაიშიფრა- (ვერ მოინახა რიგი დარჩენილი ასობისათვის)

28.სავარაუდოდ გლX- (ვერ გაიშიფრა, დაკარგული სიტყვაა)

29.იუფ-იუფლე, ფლობა (დაპყრობა -ავტორი)

30) იონია-საბერძნეთი (სავარაუდოდ მთელი საბერძნეთის ფლობას უსურვებს თანატომელებს)

...და რევერსი...

2-3 და **9-**3 ასო **ქ** უნდა იყოს (უბრალოდ, ავერსში ამ ასოების გამოყენების საჭიროება არ დამდგარა)

30. კუშია- (აღმოსავლეთ ქართველური ტომების კრებსითი სახელი, მათი სამშობლო...ასო-შ-აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდეს ქართულ მწკრივშიც, უბრალოდ ამ ასოს გამოყენების საჭიროება ავერსში არ ყოფილა.

...და კადმეური-პელაზგური ?

აქ გმნელებული ბერძნული-კრეტული სიტყვების ამოკითხვა, რადგანაც ის დამატებითი ასოები, რომელიც მას ანსხვავებს ქართულის-ასაკენურისაგან-ჩვენთვის უცნობია და უმრავლესი სიტყვების ამოკითხვა არ ხერხდება...თუმცა ის სიტყვებიც კი, რომლებიც ცნობილი ასოების მიხედვით სრულად გაშიფრვადია, მნიშვნელობის გაგება პრაქტიკულად შეუძლე-

ბელიცაა ...რამდენადაც ცნობილია თანამედროვე (და ძველი) ბერძნულიც ჩამოყალიბდა ატიკურ (ათენურ - იონიურ) დიალექტზე ... ბერძნული ენის ფუძეში ერთ-ერთი კომპონენტი იონიური-პელაზგური უნდა იყოს (არა ერთი ანტიკური ბერძნული წყარო აღნიშნავს ბერძნული და ეგვიპტური სი-

კადმეური პელაზგური დამწერლობის ასაკენური ვარიანტი

ტყვათა დამთხვევას, რომელსაც უცილობლად ეს მიზეზი განსაზღვრავს... რაც შეეხება კრეტულ ბერძნულს, რომლის დიალექტური სხვაობა დღესაც იგრძნობა და რომელსაც კუნძულ კრეტის საბერძნეთიდან შედარებითი იზოლაციით ხსნიან, სწორი არ უნდა იყოს... ბერძნულის კრეტულ დიალექტს უნდა განსაზღვრავდეს ის, რომ კრეტაზე ბერძნულის დორიულმა დიალექტმა გაიმარჯვა-კრეტელები, ასაკენები ხომ დორიელები იყვნენ... და მაინც, ბერძნული ენის სპეციალისტმა, რომელმაც ბერძნული სიტყვაწარმოქმნის პრინციპებს სრულყოფილად ფლობს, ფესტოსის დისკოს რევერსზე შეიძლება ნაცნობი სიტყვები მონახოს და თარგმნოს კიდეც...

კავკასიის მთებში დასახლებული ასაკენები მოკლებულნი არიან იმ ფუფუნებას, რომ საბეჭდავების მეშვეობით თიხაზე საკუთარი დამწერლობის ძეგლები შემოინახონ...ქვაზე საბეჭდავები ერთობ მოუხერხებელი გამოსაყენებელი გახდა-ხევსურთა არქაულ სახლების ქვებზე აქა-იქ ახლაც იპოვება კრიპტოგრაპიული ნიშნები, ზოგჯერ ფესტოსის დისკოს მსგავსიც. მაგრამ როგორც ეტყობა, ასაკენები ჩვეულ ქართულ ანბანს და ქართველებისვე ჩვეულ ცხვრების ტყავებს დაუბრუნდნენ (როგორც ამას ჰეროდოტე აღნიშნავს)...არ გამოვრიცხავ, რომ ასაკენთა სხვა საცხოვრებელში, ყირიმში, ტავრიდაში - მომავალში ფესტოსის დისკოს მსგავს დამწერლობის ნიმუშებსაც გადააწყდნენ არქეოლოგები...

... და ისევ ასაკენები...

ქრისტემდე XVI საუკუნის მეორე ნახევარში ჯერ ეგვიპტიდან, ხოლო შემდგომ მცირე აზიიდან სკვითების განდევნაზე ჯერ აფსართა შთამომავალ ეგვიპტელებისგან, ხოლო შემდგომ განდხარვთა შთამომავალ მცირე აზიელ დორიელთა ტომებისაგან უკვე ვისაუბრეთ...სკვითების ამ დევნასა და გვემაში ასაკენებს ბოლო ადგილი ნამდვილად არ ეკავათ...მათი ჩამომავლები-ასაკენები, შემდგომ სოგდებად და დღევანდელობაში ტაჯიკებად სახელდებული ტომია...არ ვაპირებთ ამ თემის განვრცობას, ეს დღევანდელობისათვის საკმაოდ ცნობილი ხალხია...სკვითების მეორე შემოტევა მცირე აზიასა და აქ მცხოვრებ ტომებზე უკვე ქრისტემდე VIII საუკუნეს ჩანს მომხდარი, 714 წელს ... ამჯერად აგრესიის ტალღას ალექსანდრე მაკედონელისათვის ცნობილი დასავლეთის სკვითები- დღევანდელი უკრაინელები ახორციელებენ... ახორციელებენ მას კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროდან, რადგან ამავე ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო დასახლებული და ჩაკეტილი ჩანს განდხარვყოფილი ტომებისაგან...27 წლის ბატონობის შემდეგ განდევნილნი იქნენ ეგვიპტიდან და მცირე აზიიდან...ამჯერად მცირე აზიიდან მათი განდევნის სიმძიმემ მთლიანად საკების ზურგზე გადაიარა...სკვითები ზუ-

სტად იმავე გზით ილტვოდნენ, საიდანაც შემოვიდნენ მცირე აზიაში. მათი დევნაც საკების მიერ ზუსტად ამავე გზით მიმდინარეობდა. ის, თუ ვინ არიან საკები და რა სახელს ატარებენ დღევანდელობაში, ამაზე წინა თავში უკვე ამომწურავად ვილაპარაკთ...

რაც შეეხება ასაკენებზე, იგივე გურ-ასაკენებზე, მთავარ ასაკენებზე როგორც მათ ფლავიუს არიანე (და ეს დანამდვილებით თვითდასახელება უნდა იყოს) უწოდებს, ადრე საკმაოდ ვისაუბრეთ... ისინი საქართველოს მთიანეთში ქრისტემდე 585 წელს ჩანან დამკვიდრებულნი, გამოყოლილი გამოქცეულ სკვითურ მარბიელ ლაშქარს მათი ნაწილობრივ განადგურების შემდეგ მიდიელთა მეფე კიაქსარესისა და მისი ხალხისაგან. ნიშანდობლივია, რომ ასაკენები კავკასიის მთიანეთს იკავებენ, სავარაუდოდ ქედის ორსავე მხარეს...ზუსტად მათი ჩანს დღევანდელი არქაული ციხე სიმაგრე სტეფანწმინდაში, კავკასიის გაღმა მხარეს, დღეისათვის არშის ციხედ წოდებული. ეს ციხე ფიგურირებს სპარსელი მონარქის, დარიოს პირველის ბრძანებით შესრულებულ წარწერებზე ბეხისტუნის კლდეზე, არშადას ციხის სახელით, რომელიც არახოსიაში (იბერიაში) მდებარეობდა...ციხე (და ფშავ-ხევსურეთი) დაპყრობილი ჩანს ალექსანდრე მაკედონელის მიერ, რომელმაც აღნიშნული ციხე და მიმდებარე ტერიტორიები ჩამოართვა ხევსურებს და თავის ერთგულ ილირიელ მოლაშქრეებს, ლაზებს გადასცა. გადასცა კავკასიის ერთ-ერთი უღელტეხილის დასაცავად, რომლის არსებობა და მდებარეობა მიზეზთა და მიზეზთა გამო ბრწყინვალედ მოეხსენებოდათ დასავლეთის სკვითებს, უკრაინელებს. მათი მრავალრიცხოვნების და სიმძლავრის შესახებ ასევე ბრწყინვალედ იყო ცნობილი მაკედონელისათვის. შესაბამისად, ხევის-სტეფანწმინდის, ყაზბეგის ქედსიქითა მოსახლეობა წარმოშობით ლაზურია-ფინიკიური....

საინტერესოა, რომ მესამე სკვითურ ლაშქრობას უკვე ყირიმელი სკვითები ანხორციელებენ (13) მათთანვე ირჩევს თანაცხოვრებას ასაკენების და საკების ერთი ნაწილი, რომელსაც სტუმართმოყვარე და მეგობრულად განწყობილი დასავლეთის სკვითები ყირიმზე გამოუყოფენ დასასახლებელ ადგილს.ის უკვე ჰეროდოტესთან ტავრების სახელითაა ცნობილი...და რატომ ტავრების? ეს სიტყვა ინდო-ევროპულ ენაზე ზუსტად იმას ნიშნავს, რასაც კურეტი-ხარი. ქალაქი საკი-ეს უკვე მათან ერთად მიგრირებული მცირერიცხოვანი საკები ჩანან...ისინი, ტავრების სახელით, უკვე როგორც დამოუკიდებელი ერთეული მონაწილეობენ სპარსელთა მეფის, დარიოსის I წინააღმდეგ სკვითების ომში, რომელიც დასავლეთის სკვითების ტერიტორიაზე გაიმართა....მაგრამ უკვე ექვსასი წლის შემდეგ მათ სტრაბონი და მოგვიანებით პლინიუს -უფროსი, ტავრო-სკვითებს უწოდებს, რაც მათი სკვითებთან ეთნიკური შერევით უნდა აიხსნას...

...და ყირიმზე დამკვიდრებიდან მთელი 20 საუკუნის შემდეგ, ტავრები კარგავენ თავიანთ უკვე ოცსაუკუნოვან ახალ სამშობლოს- ყირიმს ოსმალეთი იპყრობს...ოსმალთა წინააღმდეგ ყირიმისათვის ბრძოლის სათავეშიც უკვე ისინი ჩანან- სლავებისაგან განსხვავებით მათ სხვა ტერიტორიები დასავლეთის სლავების ქვეყანაში არა აქვთ...ის არაადამიანური წინააღმდეგობა ყირიმის დაპყრობაში, რომელსაც უწევენ ადგილობრივები და რომელიც ხატოვნად აქვს აღწერილი თურქ ევლია ჩელების, ლომის წილი ტავრებს მიუძღვით, უკვე ურუსებად წოდებულთ...

სწორედ ისინი ჩანან ყირიმიდან განდევნის შემდეგ მდინარე დონის ნაპირებზე გამოჩენილი შავგრემანი კაზაკები და არა მიხეილ შოლოხოვის მითიური გრიგორი მელეხოვი, ყირიმელი თათარი ქალის შვილი და მისი ფაქტიურად არ არსებული ჩამომავლობა ...ისინივე ჩანან შავ ზღვაში თავიანი „ჩაიკებით“ გასული კაზაკთა მოთარეშე რაზმები, პოლონელ შლიახტასთან მებრძოლ ზაპოროჟიელ კაზაკებთან გაერთიანებულნი და თურქეთის შიდა რაიონების არა ერთგზის დამრბევები...

ისინივე ჩანან ბედის ირონიით თავიანთვე სახლიკაცებს, ჯიქებს (ადიღეველებს) დაპირისპირებული ე. წ. „შავიზღვისპირა კაზაკები, რიცხობრივი და შეიარაღების უპირატესობით ამარცხებდნენ კიდეც მათ...და ისინივე ჩანან დღევანდელ კრასნოდარის მხარეში მეფის რუსეთის მიერ ჩასახლებული „კაზაკები“ (14)

და კიდევ:

„ელიმეები ფლობენ უფრო დიდ რეგიონს, ვიდრე პარატეკანები. მთელს ნაყოფიერ ნაწილზე სახლობენ მიწათმოქმედები, ხოლო მთიან მხარეები ზრდის მეომრებს, ძირითადად მშვილდოსნებს. სიდიდის გამო მთიან მხარეს გამოყავს იმდენი მეომარი, რომ მათი მეფე, ფლობს რა მეომრების დიდ მასას, არ თვლის საჭიროდ სხვების დარად დაექვემდებაროს პართიის მეფეს. ასეთივე იყო მისი დანოკიდებულება მაკედონელების მიმართ, რომლებიც ადრე ფლობდნენ სირიას. მაგალითად, როდესაც ანტიოქ დიდი ცდილობდა გაეძარცვა ბელის სამსხვერპლო, მეზობელი ბარბაროსები თავიანთი ინიციატივით დაესხნენ თავს და მოკლეს. პართელთა მეფემ, ჭკუანასწავლმა ანტიოქის უბედურებით, გაიგო რა მათი სამსხვერპლოს სიმდიდრე და იცოდა რა, რომ ისინი ნაკლებად იყვნენ განწყობილი მორჩილებისაკენ, შეიჭრა დიდი არმიით ქვეყანაში, მიიტაცა ათენას და არტენიდას სამისნო (ამ უკანასკნელს აქ ეწოდება აზარი) ...კიდევ:

„ადიაბენა დიდწილად ვაკეა, მართალია ეს ქვეყანა ითვლება ბაბილონიის ნაწილად, მაგრამ მას ყავს საკუთარი განსაკუთრებული მმართველი. ზოგ-

იერთ ნაწილში ის ესაზღვრება არმენიას. მიდიელები, არმენიელები და ბაბილონელები ყველაზე დიდი ტომებია ქვეყნიერების ამ ნაწილში. ისინი თავიდანვე იყვნენ ისეთ დამოკიდებულებაში, რომ ყველა ისინი შესაფერისი მომენტის დადგომისას თავს ესხმოდნენ ერთმანეთს და ასევე რიგდებოდნენ. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა პართებამდე. მართალია პართები ბატონობდნენ მიდიელებსა და ბაბილონელებზე, მაგრამ არმენია არსადროს არ იყო მათი მორჩილების ქვეშ. ასეთია ადიაბენას დახასიათება. ადიაბენას მცხოვრებლებს ასევე უწოდებენ საკკოპოდებს“ (სტრაბონი, წიგნი XVI; I-18-19)

სტრაბონისეული ამ ორი ამონარიდის შეპირისპირება ეჭვის საბაბსაც კი არ სტოვებს: აზარი-არტემიდეს (დიანას) ნადირთა მფარველის ეს სახელი XIX საუკუნეშიც დიდად გავრცელებული ტერმინი იყო ფშავ- ხევსურეთში. აზარის ათავება- ნიშნავდა ნადირთბატონის, არტემიდე-აზარის მიერ მისთვის გამოყოფილი ნადირის (ჩვეულებრივ 40 ხარ- ირემის, ფურს მთიელი მონადირე არც ესროდა) მონადირებას, რის შემდეგაც იარაღი უნდა დაემარხა. სავარაუდოა, რომ ეს მონადირის მიერ ნადირობაზე უარის თქმას ნიშნავდა, თუმცა ზოგი მონადირე აახლებდა ნადირობას უკვე ახალი იარაღით...საინტერესოა, რომ ზუსტად ასევე 40 ცალი (მსხვილი) ნადირის მონადირება ითვლებოდა ფხოველთა სახლიკაცების, ტაჯიკების- არქაული სოგდების სანადირო რიტუალებში იმ რაოდენობად, რომლის მერეც მონადირეს ნადირობა უნდა შეეწყვიტა. (ტაჯიკებში მსხვილ ნადირად და აზარის ათავებად 40 დათვის მოკვლა ითვლებოდა). რაც შეეხება სტრაბონის მიერ საკკოპოდების დასახელებას, რომელიც მის კომენტატორებს „გაფუჭებულ“ სიტყვად მიაჩნიათ, ერთმნიშვნელოვნად აჩვენებს:

ადიაბენა ბაბილონში -ეს საკების მცირეაზიური სამშობლოა...ევანსის დასკვნას ფესტოსის დისკოზე, რომ ის სამხრეთ -დასავლეთ ანატოლიიდან უნდა მოხვედრილიყო კრეტაში, ზუსტად სტრაბონისეული საკკოპოდების- ასაკენების სამშობლო, ადიაბენა ამართლებს. უფრო მეტიც, ყარაბახის სომხურ სახანოში ხუთი ცალკეული მელიქატი შედიოდა. მკითხველს შევახსენებ, რომ ყოველი ცალკეული მელიქატი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული იყო, ხოლო ყარაბახის სახანო-ხუთი მელიქატისაგნ შექმნილი ფაქტიურად კონფედერაციული წარმონაქმნი. აი მათი სახელებიც: ჯარებერდი, გიულისტანი, ხაჩენი, ვარანდა და დიზიკი...ორი მათგანი აშკარად ქართველური ჩანს, დღეის მდგომარეობით სრულიად ასიმილირებული სომხებში:

1. ჯარებერდი- აშკარად იკითხება ამ სამელიქოს ჭარული წარმოშობა, შესაბამისად ისინი ჭანები ჩანან.

2. ვარანდა- ვარანდინი, ასე ახასიათებს გენერალი დუბროვინი ხევსურული წარმოშობის ჩეჩნებს. თუ ვარანდინები ხევსურული წარმოშობისაა, ზუსტად ხევსურულისავე წარმოშობისა ჩანს სომხური ვარანდაც...

დასასრულს, მოკლედ ჩამოვაყალიოთ კვლევის შედეგად მიღებული ცნობები ამ ქართველური ტომის შესახებ:

1. ასაკენები-კირატები ინდოეთიდან განდხარვების სპარსეთის ყურეში მიგრაციის პროცესის თანამონაწილე ერთ -ერთი ტომია ქრისტემდე XXVIII-XXVII საუკუნეს (მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ ამ მიგრაციის ამძრავი მექანიზმად ფინიკიელები გვევლინებიან, მსოფლიოს პირველი მეზღვაურები)

2. ასაკენები მონაწილეობენ სპარსეთის ყურიდან ევროპის ათვისების ტეარკონ ეთიოპისეული (სინამდვილეში თარხონ ქუშისეულ) ექსპედიციაში ქრისტემდე XXV, საუკუნეს რომელიც პირენეის ნახევარკუნძულის და დასავლეთ აფრიკის ათვისებით დამთავრდა... თუმცა მათი მონაწილეობა ამ ექსპედიციაში იმ მასშტაბისა არ ყოფილა, რომ მათ ცალკე პოლიტიკური ერთეული ჩამოეყალიბებინათ (ან იმდენად ცუდად ვფლობთ ესპანეთის ისტორიას, რომ მისი მრავალსუბიექტიანი პოლიტიკური წარმონაქმნებიდან ასაკენების გამოცალკევება გვიჭირს) ყოველ შემთხვევაში, ასაკენების მონაწილეობას ამ ექსპედიციაში მათი თანამოსახელე მდინარის არსებობა ამტკიცებს- სიკანი (თანამედროვე ხუკარი)

3. კრეტელები ანტიკური სამყაროს შეუდარებელი მოისრეები იყვნენ, ვფიქრობ ისინი მონაწილენდნენ ქრისტემდე XXV საუკუნეს ევროპისაკენ მიმართულ სხვა ექპედიციაშიც...(და აქ უკვე მნიშვნელოვანი როლის შესრულება უხდებათ)

4. სხვა განდხარვულ ტომებთან ერთად, აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მცირე აზიიდან სკვითების განდევნიას პროცესში, ქრისტემდე XVI საუკუნეს. სდევნიან მათ არალის ტბამდე და აქვე ბინავდებიან. ქრონოლოგიურად ისტორია ამ ტომს კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ასაკენებად, სოგდებად და ტაჯიკებად იცნობს...

5. ასაკენები-ტავრები მიგრირდებიან ინდოთიდან „ზღვის ხალხების“ რიგებში ეგვიპტის გავლით ქრისტემდე XV საუკუნეს, სხვა დორიულ ტომებთან ერთად ასახლებენ კუნძულ კრეტას, საკუთრივ ასახლებენ კუნძულ ტრინაკრიას-სიცილიას და სხვა ტომებთან ერთად ასახლებენ პელოპონესს.

6. ლიდიელების მეთაურობით დასავლეთის ახალი ტერიტორიების ათვისების პარალელურად, ქრისტემდე XIII საუკუნეს ეწყობა ქუშების მეთაურობით აფრიკის ტერიტორიებისაკენ ექსპედიცია, რომელიც მათ მიერ ეთიოპიის წარმოქმნით სრულდება... ასაკენები მათივე გვერდით ჯიბუტად წოდებულ პოლიტიკურ ერთეულს აფუძნებენ.

6. და ბოლოს, ქრისტემდე VI საუკუნის დასაწყისი... VII საუკუნის ბოლოს მცირე აზიის მიმართულებით ყირიმელმა სკვითებმა (ასევე უკრაინელებმა) ილაშქრეს... ეგვიპტეზე ამჯერად მათ არ ულაშქრნიათ- ეგვიპტის ფარაონმა სკვითთა ლაშქრობისაგან თავი საჩუქრებით დაიხსნა. მცირე აზია კი ფაქ-ტიურად მთლიანად დაიპყრეს და ჰეროდოტეს სიტყვებით 28 წელს ბატ-ონობდნენ. ამჯერადაც ყავთ მათ განდხარვული-ქუშიტური ტომი მოკავში-რედ და ეს მოკავშირე ასაკენები გახლავან-ადიაბენიდან, მცირერიცხოვან საკებთან ერთად. როგორც ცნობილია, სკვითები მოიწვია, დაათრო და უმრავლესობა ამოხოცა მიდიის მეფე კიაქსარესმა. გადარჩენილი სკვითები მათ მეგობარ ასაკენებთან და საკებთან ერთად გაიქცნენ მცირე აზიიდან... გარბიან ისინი ზუსტად იმ გზით, რა გზითაც შემოვიდნენ-დარიალის ხე-ობით...თანმხლები ასაკენების ნაწილი კავკასიის მთებში დაბინავდნენ, მა-კედონელისეული გურ (მთავარი) ასაკენები -ფხოველები, კავკასიის ქედის ორთავე მხარეს...ნაწილი ასაკენებისა, მცირერიცხოვან საკებთან ერთად ყი-რიმში მიყვება თან სკვითებს და ამ ტერიტორიაზე ტავრების (კურეტები ვროპულად) და საკების დასახლებას ქმნიან (მათზე ზემოთ ვისაუბრეთ)...

...და ამდენი მიგრაცია ასაკენების ტომის შემცირებას იწვევს მცირე აზიაში.სტრაბონის მიერ ნაჩვენები (და ჩვენი აღმოჩენილი) ასაკენების ორი ტერიტორიალურ-პოლიტიკური ერთეულეხის აღმოჩენა ცხადად მიანიშნებს, რომ ასაკენების (ისევე როგორც სხვა განდხარვული- ქუშიტური ტომები) პოლიტიკურ-ტერიტორიალური მოწყობის ზუსტად იმავე სქემას იყენებენ, რასაც მისი სახლიკაცი ეტრუსკები. კერძოდ დამოუკიდებელი ქალაქი პო-ლისების დაარსება. მართლაც ეტრუსკულ ქალაქ პოლისებს ერთმანეთთან მხოლოდ საერთო რელიგია და მსგავსი ენა თუ აკავშირებდათ. ზუსტად ასევე ჩანს მოწყობილი ასაკენების პოლისები: ადიაბენა და ვარანდა. პირვ-ელს თავად სტრაბონი ახსენებს საკოპოდებად, ხოლო მეორეს უკვე მხოლ-ოდ ჩვენ მივაკვლიეთ...

... და ერთი საინტერესო ისტორია...

ჯერ კიდევ პორტ-არტურის ბრძოლიდან, ისევ და ისევ იაპონური წე-რილობითი დოკუმენტების საშუალებით ხდება ცნობილი უძლეველი ხევ-სური მოფარიკავეების შესახებ. მოყვანილია სამი ხევსური მეომარის უთა-ნასწორო ბრძოლა იაპონელ სამურაითა მემკვიდრეებთან და ამ ბრძოლის შემსწრე გენერალის საოცარი დახასიათება ხევსურთა სიქველისა...არც უნ-და იყოს გასაკვირი ხევსურთა მიერ სამურაითა მემკვიდრეების დაჩაგვრა: ისინი ხომ ფაქტიურად ქართველი ნინზები იყვნენ, ომისათვის ჩვილი ბა-ვშვობიდან მომზადებულნი...და არა მარტო XX საუკუნის დასაწყისში...

...შატიიონი...ფრანგული ცნობილი არსტოკრატული გვარი, გადაშენებული XVII საუკუნეს...ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი, რენო შატიიონი, ჯვაროსანი რაინდი, ანტიოქიის პრინცი...მეთექვსმეტე საუკუნიდან მიმდინარეობდა საფრანგეთში ამ გვარის გენიოლოგიის კვლევა:

ეს ცნობილი გვარი მომდინარეობს საგრაფოდან, რომლის ცენტრი იყო შატიიონ-სიურ- მარნი. ზუსტი წარმოშობა გვარისა უცნობია. გენეალოგიური ხის მიხედვით, რომელიც XVII საუკუნის დასაწყისში გამოაქვეყნა ანდრე დიუ შესნმა, <u>გვარი წამოვიდა მავანი შამპანიელი ურსუსისაგან (მგელი), მცხოვრები IX საუკუნის ბოლოს...</u> ცნობილია მისი ორი შვილი, რომელთაგან ერვე (გარდაც922წ) იყო რეიმსის არქიეპისკოპოსი. მის ძმისშვილად ნახსენებია ერვე, ვიდამი რეიმსისა. ერვეს ჰყავდა სამი შვილი. უფროსმა ჟერვემ მემკვიდრეობით მიიღო ტიტული ვიდამი რეიმსისა. მან ააშენა ციხე სიმაგრე შატილიიონ-სიურ -მარნი. ეს შტო ჩაქრა XII საუკუნის პირველ ნახევარში. ამ შტოდან მანასეი II (გარდაიც 1115 წ) იყო რეიმსის ა რქიეპისკოპოსი. ასევე არქიეპისკოპოსი რეიმსისა იყო უმცროსი შვილი ვიდამისა გი (გარდაიც 1055) მეორე შვილი ვიდამისა მილონი (მილოI) მემკვიდრეობით მიიღო შატიიონ -დე ბეზოში. მისი უმცროსი შვილი, ედი, ურბან-II სახელით იყო რომის პაპი (1088-1099 წ) მისმა უმცროსმა შვილებმა მილო II და მანასეიმ მემკვიდრეობით მიიღეს ბეზოში ... უფროსი შვილი, მილო I, გი I გახდა შატიიონების არისტოკრატიული გვარის დამფუძნებელები... შატიიონების გვარის აღმავლობა დაიწყო XII საუკუნის დასაწისში და დიდწილად დაკავშირებულია სარფიან ქორწინებსთან. ჰენრიხ (ანრი) შატიიონი ქორწინების მეშვეობით ხდება მონჟეს სათავადოს მფლობელი (მკითხველის ყურადღებას ვითხოვ ამ პერსონის და მისი სარფიანი ქორწინების მიმართ) ხოლო მისმა შვილმა გოშე-II ასევე ქორწინების საშუალებით კრესი-ან -ბრი. უმცროსი ძმა გოშეII, რენო (1120-1186) ქორწინების შედაგად გახდა ანტიოქიის პრინცი...

შატიიონების გენეალოგია XII საუკუნემდე

ერვე- (გარდაცვალა 922 წ) რეიმსის არქიეპისკოპოსი
ერვე- რეიმსის ვიდალი
ჟერვე- რეიმსის ვიდალი
მანასეი- არქიეპისკოპოსი რეიმსისა (1053-1055)
ერლო- ვიდამი რეიმსისა (1070-1115)
კირი- სენიორ დე ვივე
კირი- რეიმსის კანონიკი
მანასეი II (გარდ1115) არქიეპისკოპოსი რეიმსისა

ადელი- ქმარი გრაფ დე რიუსი
ქალიშვილი - ქმარი გრაფ დე პორსენი
მილონ (მილი) სენიორ დე შატიიონ ბეზოში
გი I (გარდ . 1076) სენიორ დე შატიიონი
გოშე I სენიორ დე შატიიონი (1089-1096)
ჰენრიხი (ანრი) სენიორ დე შატიიონი (1117-1127)
გოშე II (1110-1148) სენიორ დე შატიიონი
რენო (1120-1186) სენიორ დე შატიიონი, კნიაზი ანტიოხიისა

სდექ! აქ შევჩერდეთ... ზუსატად ესაა ჩვენთვის საინტერესო პიროვნება სკანდალურად ცნობილი გრაფი დე შატიიონი ... დავიწყოთ იქიდან, რომ კვლევის თავშივე მოხსენიებული რეიმსის არქიეპისკოპოსი ერვე, არქიეპისკოპთა ამავე ტაძრის სიაში მოხსენიებული ყოველგვარი არისტოკრატიული საგვარეულო რეგალიის გარეშე (სიაში მრავალი აერქიეპისკოპოსია მოხსენიებული ამგვარი არისტოკრატიული რეგალიებით) სავარაუდოდ, არქიეპისკოპოს ერვეზე საგრაფო ტიტული შატიიონი გვიან ჩანს „მიკერებული“ რასაც თავად ფრანგი მკვლევარებიც ადასტურებენ...

გი I შატიიონი (1033-1050) ასეა მოხსენიებული ეს არპიეპისკოპოსი რეიმსისა, რომლისათთვისაც ეს გვარი ასევე გვიან ჩანს „მიკერებული“. გი-I მამა, მილონი (მილი) მოხსენიებულია ასევე შატიიონის ტიტულის მფლობელად (საიდანაც ეს არქიეპისკოპოსი იღებს ამ გვარს) რაც ასევე აბსოლუტურად არასწორი ჩანს: ეს მილონი (მილო) წარმოადგენს პაპი ურბან II მამას, რომლის სამოქალაქო გვარად ლაჟერია დაფიქსირებული (საბოლოოდ, ამ პაპსაც მოგვიანებით იმავე ტიტულით აკეთილშობილებენ), ცხადია, არც პაპის და არქიეპისკოპოსის მამა ატარებდა ოდესმე ამ ტიტულს...

...და გი I შვილი, გოშე I დე შატიიონი (1089-1096 წ)

ამ პიროვნების ცხოვრების დათარიღებაში აშკარად ლაფსუსია დაშვებულიარ შეიძლება გი I შვილი, რომლის გარდაცვალების თარიღად 1076 წლის შემდგომი პერიოდია მინიშნებული, 1089 წელს დაბადებული კაცის მამა იყოს... თავად გოშე I ასაკიც არარეალურია-ის სულ შვიდი წლისა ჩანს...რასაკვირველია, გოშე I გაცილებით ადრე უნდა იყოს დაბადებული. ისევე როგორც ჰენრი (ანრი)...და ჰენრი (ანრი) დე შატიიონი (1117- 1127წ) აი აქ კი უფრო დიდი ლაფსუსის მომსწრენი ვხდებით-კაცი რომელმაც სულ ათი წელი იცოცხლა, იქორწინა და ფაქტიურადაც დაუდო სათავე შატილიონების საგვარეულოს ორი შვილით;

უფროსი, გოშე II (1110-1148) სენიორ დე შატიიონი
უმცროსი, რენო (1120-1186) სენიორ დე შატიიონი

შესაბამისად, ფრანგი მკვლევარების მიერ გამოკვლეული გენეალოგიური ხე შატიიონებისა წყვეტას და სრულ კრახს განიცდის...აშკარაა, ჰენრი (ანრი)

დე შატიიონი გაცილებით უფროსია, ვიდრე ნაჩვენები (1117-1127წ) ის მინიმუმ 35 წლისა მაინც უნდა იყოს უფროსი შვილის, გოშე II დაბადებისას, შესაბამისად მისი დაბადების თარიღი არა უგვიანეს 1075 წელი უნდა იყოს. მისი მამა, გოშე I მასზე 25 წლით უფროსი მაინც უნდა იყოს, დაბადებული არა უადრეს 1050 წლისა. თავად გი I დაბადებული უნდა იყოს არა უადრეს 1020 წლისა...

შესაბამისად ვიკიპედიაში წარმოდგენილი გენეალოგიური ხე შატიიონებისა არ და ვერ იმსახურებს ნდობას, პირველ რიგში თუნდაც იმიტომ, რომ ეს შტო ტიტულ შატიიონის მფლობელი არა ჩანს... სინამდვილეში, ეს შტო გაცილებით ახალგაზრდა ჩანს, ვიდრე X საუკუნის დასაწყისი. დიდია ალბათობა, რომ ჰენრის (ანრი) სახელით მოხსენიებული პიროვნება (გოშე II და რენოს მამა) თავად გახლავთ ურსუს შატიიონი, სინამდვილეში მგელიკა შატილიონი, პირველი ჯვაროსნული ომის მონაწილე ... ზუსტად მისი მოგონილი ჩანს მითიური მამა, გოშე I შატიიონი, რომელმაც უმცროს შვილს არავითარი მემკვიდრეობა არ დაუტოვა... (ზუსტად ეს რენო -მოგვიანებით ანტიოქიის თავადად წოდებული, ჩანს მემკვიდრეობის გარეშე დარჩენილი უმცროსი შვილი). არც პირველ ჯვაროსნულ ლაშქრობაში (1096- 1099 წ) მოხვედრა უნდა გასჭირვებოდა ფათერაკების მაძიებელ ქრისტეს რაინდს, რამეთუ ჯვაროსნული ომის ამოსავალი წერტილი აზიაში, ბიზანტიაში იწყებოდა. ბიზანტიაში, რომლის მაშინდელი საზღვარი საქართველოსთან ხოფა ჩანს... სავარაუდოა, რომ ომში ჯვაროსნების გამარჯვების შემდეგ რაინდი ხევსური საფრანგეთში ხვდება, დაძმობილებულ დიდგვაროვან ფრანგ რაინდთან, რომელმაც ეს უკანასკნელი ფრანგულ არისტოკრატიულ წრეებში ჩართო სარფიანი ქორწინების საშუალებით... დანარჩენი-ეს უკვე ფრანგული ისტორიაა....

...და ფინიკიელები...

ამ ტომის განდხარვობაზე წინა წიგნში საკმაოდ ვისაუბრეთ. მოიძებნა ის კავშირიც, რომელიც ამ ტომის უცილობელ დორიელობაზე, შესაბამისად განდხარვობაზე მეტყველებენ. ასევე, ცხადი ხდება რომ ისტორიკოს ჰეროდოტეს მიერ ტომის დორიულობის აღნიშვნა მის განდხარვობასაც აპრიორი მოიაზრებს. მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელი გახდა იმ შვიდი განდხარვული (დორიული) ტომის მოძიება, რომლის შესახებას ინდური უდიდესი და უშორეულესი ეპოსი „მახაბხარატა“ მოგვითხრობს.

...და მაინც, თუ ყურადღებით დავაკვირდებით ამ ეპოსის მდოვრედ დინებას, ერთ უცილობელ კანონზომიერებას შევამჩნევთ: ეპოსი მკვეთრად და აშკარად მიანიშნებს მანასის ტბასთან (იძებნება თანამედროვე რუქაზე იმავე სახელით) მცხოვრები მოსახლეობის განდხარვობას, ასევე მკვეთრად აბხისარების (ჩვენი გამოკვლევით ფინიკიელების) განდხარვობას, მინიშნებით განდხარების (სახელის ფაქტიური მსგავსებით) განდხარვობას, ბუნდოვნად კირატას ტომის აღმატებულობას (უზენაესი კირატას სახით და ფორმით გამოეცხადება არჯუნას) სრულიად დავიწყებული აქვს სამი დანარჩენი ტომის განდხარვობა, რომელნიც ეპოსისათვის უბრალოდ აღმატებული ტომები და ქველი მეომრები არიან: კუში, კოსალა და სანშაპტაკი... სახეზეა აშკარა დიფერენციაცია განდხარვებისა ორ ჯგუფად, პირველი: მანასის ტბასთან მცხოვრები განდხარვები (ჩვენი კვლევების მიხედვით გელები), აბხისარები (ჩვენი კვლევით ფინიკიელები), განდხარები (ჩვენი კვლევით არგოსელები) და კირატები (ჩვენი კვლევით ასაკენები-ხევსურები... მეორე ჯგუფი: კუში (ჩვენი კვლევით ქართები) კოსალა (ჩვენი კვლევით კახები) და სანშაპტაკები (ჩვენი კვლევით სვანები)

არ ვიქნები გულწრფელი, თუ ვიტყვი რომ ასეთი გრადაციის მიზეზი ჩემთვის უცნობია, მაგრამ ამაზე საუბარს ამჯერადაც ნაადრევად მივიჩნევ (მკითხველს კიდევ ერთხელ ვპირდები, რომ ტრილოგიის ბოლო ტომში ტაბუდადებული თემები აღარ იარსებებს)...და მაინც, თვით განდხარვთა პირველ ჯგუფში, რომლის აფიშირებასაც ეპოსი თავს (ფაქტიურად) არც არიდებს, აბხისარები-ფინიკიელები რაღაცნაირად განზოგადებული ჩანან. ამის მიზეზი კი თავდ ეპოს „მახაბხარატაში“ თვალნათლივ ჩანს-ეს კლასობრივი, კასტური დაყოფაა: უმაღლესი კასტა ინდოეთში-ბრაჰმანებია, რელიგიური ლიდერერები ერისა... მეორე კასტა ინდოეთში - კშატრიებია, მეომრები და ქვეყნის დამცველები...მესამე კასტა ინდეთში - ვეიშებია, მიწათმოქმედები, ხელოსნები და ვაჭრები ...მეოთხე კასტა ინდოეთში-ეს შუდრებია, მონები, მსახურები, ე. წ. მიუკარებლები...

ინდური რელიგიის მიხედვით, პიროვნებისათვის ამა თუ იმ კასტიდან ნებადართულია მხოლოდ მეზობელ კასტაში გადასვლა (ორივე მიმართულებით). მაგალითად, ბრაჰმანს შეუძლია კშატრიის-მეომრის ასპარეზი აირჩიოს, მაგრამ არა ვეიშასი...ასევე, კშატრიას შეუძლია ბრაჰმანის ან ვეიშას ასპარეზის არჩევა, მაგრამ არა შუდრასი... თავის მხრივ, ვეიშას შეუძლია კშატრიის ან შუდრას ასპარეზის არჩევა, მაგრამ არა ბრაჰმანისა... და ბოლოს, შუდრა შეიძლება მხოლოდ ვეიშის პოზიციაზე ამაღლდეს..

ზუსტად ეს სხვაობა ჩანს პირველი ჯგუფის განდხარვებში, რომელთა განდხარვობა ეპოსს დადასტურებული უჩანს (თვინიერ განდხარისა) მანასის ტბის პირას მცხოვრები განდხარვები კშატრიები ჩანან. (15) კშატრიები ჩანან თავად განდხარებიც, მაგრამ სულ სხვა საქმეა აბხისარები, რომელსაც არა ერთგან ახსენებს ეპოსი მეჯოგეებად, შესაბამისად ვეიშებად... ამასთან, საყურადღებოა რომ აბხისარების, ვეიშათა ეს მეფე მიღებულია იმ დროის ინდოეთის უმაღლეს საერო ინსტანციაში, მეფე დრიტირახშას სასახლეში გამართულ ყომარზე, რომელიც ამ მეფის შვილმა, დურიოდხანამ გამოუცხადა პანდავებს, საკუთარ ბიძაშვილებს. ისეთ დახელოვნებულ შულერთან, როგორიცა განდხარას მეფე შაკუნია, იუდიშტხირა ისეთ „დამწვარ“ მოთამაშეებსაც ახსენებს, როგორიცაა აბხისარების მეფე ჩიტრასენა...და ეს მეფე, საკუთარ ძმასთან და მეომრებთან ერთად საკმაოდ წონად ძალას წარმოადგენს კურუქშეტრის ველზე ბრძოლისას, რასაკვირველია ამჯერადაც კაურავების მხარეს - პანდავების, იუდიშტხირას და მისი ძმების წინააღმდეგ...და ზუსტად მათთან მარცხდებიან კაურავები იმ დროს, როდესაც კარნას წაქეზებით თავს დაესხმიან ამ ტომის მეჯოგეებს... თავად კარნამ გაქცევით უშველა თავს და ტყვედ ჩავარდნილი კაურავები მხოლოდ პანდავა არჯუნას ჩარევის შემდეგ განთავისუფლდნენ (ეს ეპიზოდი არაა შესული წიგნში და მის შესახებ მხოლოდ ორი გმირის, მეფე დრიტირახშას და შალიას ნაამბობიდან, ასევე დრიტირახშას და სანჯაიას საუბრიდან ხდება ცხადი)

ზუსტად ამ განდხარვების მისამართით ჩანს ინდურ ეპოსში გაბატონებული აზრი, რომ **„განდხარვები ციური ჯადოქრები არიან“**, თუმცა ანგარიშიდან არ და ვერ ჩამოიწერება **ანგარაპარნა- წითელფრთიანი, რომლის მეორე სახელი ჩიტ- რარატხა, ციური ეტლია...**(თუმცა ეს უკანასკნელი დანარჩენ განდხარვთაგან რაღაცნაირად განზოგადოებულია, ცალკე მდგომი, სიმდიდრის ღმერთ კუბერას მეგობარი და უზენაესთან მიღებული) ამასთან, მისი სამოსახლო უშუალო სიახლოვეს ჩანს აბხისარებთან, კერძოდ ცენტრალური ინდოეთში მდინარე განგის სანაპიროზე...

...და მართლაც, განდხარვთა ეს ტომი იმსახურებს ამ ეპითეტს: ისინი ფლობენ მრავალ იმ ცოდნას, რაც იმ დროის ადამიანთათვის ჯადოქრობის

ტოლფასია...დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ გემების აგებას (მათ შორის საოკეანოს) ისინი ქრისტემდე XXXIV საუკუნეს იწყებენ. ფლოტის (მათ შორის საოკენო) აგების კვალობაზე იწყება მათ მიერ დედამიწის დანარჩენი ტერიტორიების (თვინიერ ინდოეთისა) შესწავლა-ათვისებაც კი... (ნიშანდობლივია, რომ ისინი „რობინზონ კრუზოს“ პერსონაჟების როლში გვევლინებიან, თუმცა რობინზონივით მათთვის საჭირო შრომითი იარაღებით არავის აღუჭურვია- თავიდან მოუწიათ ამ იარაღების გამოგონება, თანაც განუზომელი ცივილიზაციური რეგრესის პირობებში) ...ისინი გვევლინებიან დანარჩენი განდხარვებისათვის დედამიწის გეოგრაფიის ცოდნის წყაროდ და მეგზურებად მისსავე ათვისებაში... პირველი განდხარვული დასახლება სპარსეთის ყურეში არა უადრეს XXIX საუკუნეს ფიქსირდება, რასაკვირველია ქრისტემდე, რაც აბხისარების მიერ ამ ტერიტორიების სრული და დაწვრილებითი შესწავლის შემდეგღა იყო შესაძლებელი…

უნდა გავითავისოთ, რომ ამ ხალხს გააჩნია წყალზე გადაადგილების საკმაოდ პროგრესიული საშუალებები, რომელთაც საკუთარ დროს დიდად გაუსწრეს, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, დიდწილად ჯერ კიდევ საჭიროებენ დახვეწას. მართალია კომპასის გამოგონებას მეცნიერები რატომღაც ჩინეთს მიაწერდნენ, მაგრამ ზღვაზე ორიენტაციის ამ საშუალებას აბხისარები მოგზაურობის დასაწყის საუკუნეებშივე ფლობდნენ. ასევე არ იყო მათთვის უცხო საზღვაო იალქნების და ღუზის გამოყენება. არც სრულყოფილი საოკეანო გემების დამზადება ყოფილა მათთვის ახალი მეცნიერება, თუმცა სავარაუდოდ ამ დონეს ათეული საუკუნის მერე აღწევენ.

...და ამ „ნოუ ხაუთი“ აღჭურვილი მათი ექსპედიციები დაუყვა ძირს, ჯერ მდინარე განგამდე და განგით ოკეანამდე... და მაინც მათი პირველი ცურვები საკაბოტაჟო უნდა ყოფილიყო-ნაპირის გასწვრივ ცურვა ვიზუალურად ხმელეთის დაუკარგავად. ამ პრინციპის გათვალისწინებით ძნელი არ უნდა იყოს მათი პირველი კონტაქტების განსაზღვრა ადამიანებთან, ეს უცილობლად შუმერი უნდა იყოს...(ინდოეთიდან საკაბოტაჟო ცურვა უცილობლად სპარსეთის ყურით ბოლოვდება-შემდეგ უკვე ცურვის მიმართულების ცვლილება უწევთ, უკვე აფრიკის კონტინენტის აყოლებით) სპარსეთის ყურის უკიდურესი სამხრეთი ნაწილი, სადამდეც შუმერი მოსახლეობა ჯერ კიდევ ქრისტემდე XXX საუკუნეზე გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული...უფრო მეტიც, შუმერთა მიერ აბხისარების - ფინიკიელების დასახელებაც კი ცნობილია და ეს ანუნაკია, მათი აზრით ნახევარღმერთები... ამ შემთხვევაში მათ ოქროს სიყვარული „ყიდის“ (რამდენადაც ცნობილია იმავე ჰეროდოტეს მიხედვით, ძვირფასი ლითონიდან მონეტის მოჭრის ხელოვნება ლიდიელების შემოღებულია, პირვე-

ლი ვაჭრების და ხელოსნების, ხოლო ეს უკანასკნელნი უცილობლად ფინიკიელები არიან)

...და რატომ ფინიკიელები? აქ ფინიკის პალმა უბრალოდ არაფერ შუაშია, მათ ფაიფურის სახიანებს უწოდებენ (არც ამ მომენტს დავაკონკრეტებ...) შემდეგი ადამიანები, ვისთანაც მათ კონტაქტები უჩანთ, ისევ და ისევ ქვეყნიერების ამ ნაწილის საწყალოსნო სისტემის გათვალისწინებით, ეგვიპტე უნდა ყოფილიყო. ეგვიპტესა და ეგვიპტურ კულტურაზე ფინიკიელების გავლენაზე ჯერ კიდევ წინა წიგნში საკმაოდ ვისაუბრეთ და ჩემი გადასახედიდან დამაჯერებლადაც. მათ მიერ ეგვიპტეში დაფუძნება და მდინარე ნილოსის სანაოსნოდ გამოყენებას აუცილებლად მივყავართ ხმელთაშუა ზღვაზე მათ ახალშენების გამოჩენასთან. ეს რიგით პირველი ქალაქი -სახელმწიფოები, სიდონის და ტვიროსის პოლისებია. ტვიროსის აღშენების თარიღს ჰეროდოტე აზუსტებს 2750 წელი ქრისტემდე. სავარაუდოა, რომ სიდონი რამდენადმე უფროსიც კი უნდა იყოს მასზე... მაგრამ ეს ფინიკიური ქალაქი სახელმწიფოები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაშენებული ჩანს მხოლოდ მის შემდეგ, რაც მეწამული ზღვიდან ფეხდაფეხ გადმოსულმა ფინიკიელებმა შეაღწიეს ეგვიპტის სიღრმეში, გადაადგილდნენ მასზე ასეული კილომეტრი ხმელთაშუა ზღვამდე და მისი ათვისება აქტიურად დაიწყეს. ძნელია თქმა, თუ როდის ხდება პირველი სავაჭრო თუ სხვა მიზეზებით სტუმრობა კოლხეთში, შემდგომ პელაზგიად და იონიად წოდებულში…საინტერესოა, რომ კადმოსი პირველი ფინიკიელი ჩანს ისტორიაში, რომელიც აღნიშნულ ტერიტორიაზე დასახლდა, თუმცა ამ მიზნით ფინიკიელების გამოჩენა ამავე ტერიტორიაზე უცხო არ უნდა ყოფილიყო (16) რასაკვირველია აღნიშნულ ურთიერთობას ფინიკიელთა ხმელთაშუა ზღვისპირა ახალშენების გარდა ფინიკიური კოლონია ეგვიპტის სიღრმიდანაც ახორციელებს (ამ კოლონიების შესახებ ამომწურავი ინფორმა ცია იპოვება წინა წიგნში) და ახორციელებს ერთი ხელსაყრელი გარემოების გამოყენებით: ეგვიპტის და კოლხეთის მოსახლეობა ფაქტიურად ერთ, კოლხურ ენაზე მეტყველებს...ასეთი მდგომარეობა ჰეროდოტეს სიტყვებით გრძელდებოდა მის დროსაც კი, შესაბამასად 450 წელს ქრისტემდე.

...მაგრამ ფინიკიელთა კოლონიების ხმელთაშუა ზღვაში გაღწევამდე ფინიკიელი მოგზაურები არ ჩანან დაკმაყოფილებულები მხოლოდ ინდოეთის ოკეანის და სპარსეთის ყურის ნაწილის გამოკვლევით...აქედან კი ხელსაყრელი საზღვაო (საოკეანო) ტრასა აფრიკის კონტინენტის შემოვლით გადის … და უმგზავრიათ კიდეს ამ ტრასით ფინიკიელებს .. . ჰეროდოტეს ცნობებით, მათ ერთ უცნაურ ხალხთან მოუწიათ ვაჭრობა (შეხვედრა ძალიან ხმამაღლა იქნება ნათქვამი) იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მოგვიანებით ჰერაკლეს სვეტები- იგივე გიბრალტარის სრუტე ეწოდა. ჰეროდოტეს

ეს ცნობა უკიდურესად საინტერსოა და მხოლოდ ჰეროდოტესეული ფაქტ-ის გადმოცემით შემოვიფარგლებით:

„კარქედონელები იმსაც ამბობენ, რომ ლიბიის, ჰერაკლეს სვეტების გადა-ღმა არის ხალხით დასახლებული მხარეც. მათთან როდესაც მიდიან კარქ-ედონელები და მიაქვთ სავაჭრო, ჩაამწკრივებენ მას ნაპირზე, თვითონ ის-ევ ხომალდებზე ადიან და კვამლს უშვებენ...ადგილობრივი მცხოვრებლე-ბი ხედავენ კვამლს, მიდიან ზღვასთან, შემდეგ საქონლის სანაცვლოდ ოქ-როს ტოვებენ და მიდიან საქონლისაგან შორს. კარქედონელები მიდიან და ათვალიერებენ, საქონლის შესაფერისი ოქრო თუა დატოვებული, თუ საკმარისია, მიაქვთ და მიდიან, ხოლო თუ არაა საკმარისი, ბრუნდებიან უკან ხომალდზე და იცდიან, მოსახლეობა კი მოდის და ისევ უმატებს ოქროს იქამდე, ვიდრე მათ არ დააყაბულებს. არც ერთი მხარე არ იქცევა უსამართლოდ, რადგან არც კარქედონელები ჰკიდებენ ოქროს ხელს, ვიდ-რე ის საქონლის ღირებულებას არ გაუთანაბრდება, და არც ადგილობრი-ვი მცხოვრებლები ეკარებიან საქონელს იმაზე უწინ, ვიდრე კაექედონელე-ბი ოქროს არ აიღებენ“ (ჰეროდოტე;, ისტორია: წიგნი IV-196) (17)

მკითხველის გასარკვევად ვიტყვი, რომ ტერმინ კარქედონის ქვეშ კა-რთაგენი იგულისხმება-დღევანდელ ტუნისში მდებარე. ლიბია-აფრიკაა, ჰე-რაკლეს სვეტები-გიბრალტარის სრუტის სანაპიროზე აფრიკის მხარეს მდე-ბარე ატლასის (ატლანტის) მთები, თუმცა ძნელია განსაზღვრო, თუ რას გულისხმობს ტერმინი „ჰერაკლეს სვეტებს გადაღმა“? საქმე ისაა, რომ ჰერ-აკლეს სვეტებს, გიბრალტარის სრუტის მეორე სანაპიროს ჰეროდოტე შესა-ნიშნავად იცნობს: ეს ასახულია მის მიერ ისტოსის (დუნაის) დინების აღ-წერისას, რომელიც სწორედ აქედან იღებს სათავეს ... ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ამ უცნაური ვაჭრობის ისტორია წამოვაჩინეთ, რომლის გაშიფრ-ვის ერთ-ერთ (და როგორც ჩანს ერთადერთს) ვარიანტს უკვე მესამე ტომ-ში შემოგთავაზებთ…(მკითხველს შევახსენებ, რომ კუნძულს ოკეანის სიღ-რმეში, მოგვიანებით პლატონი ატლანტიდად მოიაზრებს....) ...და მოსახლ-ეობის ასეთი „უჩინ-მაჩინობა“ ნებისმიერ შემთხვევაში გარკვეული მოსაზ-რებებით ნაკარნახევი ჩანს...

და რეალობა?

...და კიდევ ერთი თემა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით: შესაძლ-ებელია თუ არა განსაზღვრა, თუ როდის ჩნდება პირველი ფინიკიელი ეგ-ვიპტის ტერიტორიაზე? როგორც ადრე ვთქვით, მათი ვიზიტი შუმერში რამდენადმე ადრე უნდა იყოს მომხდარი, ისევ და ისევ საზღვაო ტრასის ათვისების თვალსაზრისის გათვალისწინებით...

...მაგრამ ადრე თუ გვიან, მათ უნდა გამოეკვლიათ სპარსეთის ყურის ფაქტიური გაგრძელება, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ მეწამულ ზღვაში ბოლომდე გაცურვას ითვალისწინებდა, რომლის ბოლოშიც ეგვიპტის მოსახლეობის არსებობა უბრალოდ აქსიომაა...(მკითხველს შევახსენებ, რომ მიუხედავად ზღვაოსნების მიერ ამ ხელოვნების აშკარა ცოდნისა, პირველი ნაოსნობა მაინც კაბოტაჟური იყო, ხმელეთის ვიზუალურად დაუკარგავად. ცხადია ზღვაოსნობის ასეთ ხასიათს პიონერთა, პირველმოგზაურთა მიერ რუქების არ ქონა წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ ამ მოგზაურობების შემდეგ შეიძლება გაჩენილიყო ...ფინიკიელთა ეგვიპტემდე მიღწევის თარიღში შესაძლოა თავად ეგვიპტური მითიოლოგია დაგვეხმაროს (უკიდურეს შემთხვევაში, კაცობრიობას სხვა წყაროთი სარგებლობის საშუალება არა აქვს, მისი არ არსებობის გამო)

ეგვიპტის ლეგენდარული მმართველები სულ ცხრაა, რომელიც ეგვიპტელებს ღმერთების (მესამე რიგის) რანგში ყავთ აყვანილი:
1) ატრი; 2) რა; 3)შუ; 4)გები; 5)ოსირისი; 6)სეტი; 7)ხორი; 8)ტოტი; 9) მაატი;
ახლა როდესაც უკვე ზუსტად ვიცით, ყოველგვარი პირობითობის გარეშე, რომ ეგვიპტის სამეფო აღმოცენდა ფაქტიურად ერთდროულად და ერთ თარიღში: კერძოდ, მსოფლიო წარღვნას გარიდებული კოლხები (და ჭანები) აქ დამკვიდრდნენ ქრისტემდე XXXV საუკუნის ბოლოს 3403-3402 წლებში. ეგვიპტეს იმთავადვე უჩანს მმართველი, მაღალი გონის, ატრის სახით (18). ცხადია ეს მაღალი გონი სარგებლობს იმავე ტრადიციული კანონით რომელიც შემუშავებულ იქნა ადამიანთათვის ჯერ კიდევ წარღვნამდე, ვენეციაში ცხოვრებისას: არჩევითობა და უმაღლესი ვადა მმართველობისა 12 წელი…შესაბამისად, ამ ცხრა აღმატებული გონის საერთო მმართველობა ოდნავ თუ აღემატებოდა ერთ საუკუნეს...

ძნელი სათქმელია თუ რითი იყო განპიორობებული მაღალი გონის მიერ ეგვიპტის მმართველობის შეწყვეტა: ჩათვალეს, რომ ეგვიპტელი ხალხი მომწიფებულია თვითმმართველობისათვის და გაერიდნენ მათ, თუ ეგვიპტის უშუალო სიახლოვეს განვითარებული უცხოტომელების გამოჩენამ ითამაშა თავისი როლი, რომელთანაც აფიშირებას ისინი ყოველთვის არიდებდნენ თავს (გავიხსენოთ უცნაური, სახეუჩვენებელი ვაჭრობა, კარქედონელების მიერ გახმოვანებული) ერთი ესაა, დაბეჯითებთ შეიძლება ითქვას, რომ ფინიკიელები არ დაკმაყოფილდებოდნენ მხოლოდ შუმერებთან შეხვედრით და სპარსეთის ყურის ტერიტორიების შესწავლას შეეცდებოდნენ.... და სხვათაშორის შუმერებიდანვე შეეძლოთ ინფორმაციის მიღება მეზობლად არსებულ სხვა სამეფოზე (თუ რასაკვირველია ამ ორ მჭიდროდ მონათესავე ქვეყანას შორის ინფორმაციული გაცვლა მიმდინარეობდა, თუმცა შუმერები ვალდებულნი იყვნენ ეგვიპტის არსებობის ცოდნისა, ამავე

ქვეყანაში ხალდთა -ჭანთა არა მცირე რაოდენობით მოსახლეობისათვის) რასაკვირველია ეს ჰიპოთეზაა და მისი დამტკიცების შესაძლება არც არასდროს დადგება, ერთი ესაა, ჰეროდოტეს ეპოქაში ფაქტიურად დახურულ ზღვაზე გაშენებული ტვიროსისა (2750 წელი ქრისტემდე) და სავარაუდოდ იმავე დროს გაშენენებული სიდონის გარდა ეგვიპტის დიდი ნაწილი დასახლებულია ფინიკიური წარმოშობის ხალხით, რომლის ფინიკიელობაში ჰეროდოტეს ეჭვიც კი არ შეაქვს. თანაც დასახლებულნი ჩანან ისინი არა მარტო ქვემო ეგვიპტეში, სადაც ისინი ორგანულად უნდა მოხვედრილიყვნენ, არამედ ზემო ეგვიპტეშიც, სადაც ისინი უკვე მდინარე ნილოსზე გემებით აღმა ცურვის შედეგად ჩანან მოხვედრლი...რასაკვირველია დიდად საეჭვოა, რომ ისინი სიდონისა და ტვიროსის ქალაქი პოლისების დაფუძნების შემდეგ ნილოსის ზემო წელში დამკვიდრებას მოისურვებდნენ- ცხადია ისინი მანამდე, ამ ორი ქალაქის აშენებამდე ადრე ჩანან აქ განსახლებული...ნებისმიერ შემთხვევაში სპარსეთის ყურეში მათი ინიციატივით და მათივე წინამძღოლობით დაფუძნებული განდხარვთა დასახლება რამდენადმე ძველია ტვიროსის და თვით სიდონის დაფუძნებაზე. გასათვალისწნებელია მდინარე ნილოსზე გადასვლის სიძნელეებიც, რომელიც აქ ფინიკიელთა საზღვაო გზით შემოღწევას გამორიცხავდა: წითელი ზღვიდან ნილოსზე მისავალი საწყალოსნო არტერია უბრალოდ არ არსებობდა. ფინიკიელებს სულ ორი გამოსავალი რჩებოდათ: დაეშლათ გემები და გადაეტანათ მდინარე ნილოსზე, ან მდინარე ნილოსზევე ეცადათ ახალი ფლოტის შექმნა, რაც ტყეებით ღარიბ ეგვიპტეში საკმაოდ რთულ ამოცანას წარმოადგენდა...ამა თუ იმ მეთოდით, ფინიკიელებმა ამ ამოცანსაც წარმატებით გაართვეს თავი, ეგვიპტეშიც დამკვიდრდნენ დიდწილად (ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) თუმცა სავარაუდოდ პარალელურ რეჟიმში აფრიკის კონტინენტის შემოვლასაც ეცდებოდნენ...

...და ისტორიული რეალობა...

ელამი-ისტორიული ოლქები და უძველესი სახელმწიფო თანამედროვე ირანის სამხრეთ-დასავლეთით. თანამედროვე პროვინციები ირანისა, ხუზისტანი და ლურისტანი. ახალი წელთააღრიცხვის დასაწყისში ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ეთნიკურ განზოგადებულობას და მონაწილეობდნენ იერუსალიმის წმინდა სამების დღესასწაულში. (არაბული წყაროების მიხედვით ინარჩუნებდნენ საკუთარ ენასაც მეათე საუკუნემდე, ავტ)

...გამოიყოფა პროტოელამური პერიოდი 3200-2700 ქრისტემდე, რომელიც მიმდინარეობდა ლოკალურად სუზაში, ელამის დედაქალაქში. ძველ ელამური პერიოდი, 2700-1600 ქრისტემდე (ვიკიპედია) და კიდევ:

ელამი- ელამიტების ენაზე ხალტამტი, ღვთის მიწა; აქადურად-ელამტუ;

ბერძნულად-ეილამ; სახელმწიფო, არსებული ახლო აღმოსავლეთში, მე-3-ე ათასწლეულს ქრისტემდე . გადაჭიმული იყო კასპიის ზღვიდან სპარსეთის ყურემდე. ზოგ მეცნიერთა აზრით, ზუსტად ელამიტებმა შეიმუშავეს წერილის წერა თიხის ფირფიტაზე, რომელიც გადაიღეს სხვა ხალხებმა. პირველი წერილობითი ხსენება ელამის სახელმწიფოსი, მოიპოვება შუმერულ წარწერებში, ქრისტემდე 25 საუკუნეს, თუმცა როგორც ჩანს წარმოიშვა რამდენიმე საუკუნით ადრე... (ვიკიპედია)

ვფიქრობთ, მთელი ზემოთ ნახსენები 500 წლიანი სხვაობა ელამიტთა სპარსეთის ყურეში დასახლების ფაქტზე წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს ორ ანალოგიურ წყარის შორის: სავარაუდოდ, ეს 500 წლიანი დასახლება სუზაში, ელამიტების შემდგომი დედაქალაქში, ზუსტად ფინიკიელებს უნდა ეკუთვნოდეთ და მათსავე შუმერებთან სავაჭრო ემპორიის კვალს უნდა წარმოადგენდეს. ამასთან, ებრაულ წყაროებში მოხსენიებული ელამის სამეფოს ეგოდენ განვრცობა სწორი არ უნდა იყოს: ელამელებთან -კუშებთან ერთად ამ ვრცელ ტერიტორიებს იკავებს მთელი განდხარვუული სპექტრი, ინდურ ეპოს „მახაბხარატის“ მიხედვით დადგენილი ცნობებით, მთელი შვიდი ტომი და ოცდაორი თემი...იმ დროისათვის, როცა მათი პირველი ხსენება გვხვდება შუმერულ წერილობით წყაროებში, მათ უკვე მცირე აზიის აღმოსავლეთი ტერიტორიებიც ათვისებული აქვთ, რომლის დროსაც უცილობელ კონტაქტში შედიან აქ მცხოვრებ მათზე გაცილებით ადრე დაბინადრებულ იბერებთან, კოლხთა სახლიკაც აფსართა ჩამომავლებთან. ზუსტად მათ შესახებ წერს ისტორიკოსი დიოდორე სიცილიელი, რომ ისინი (კელტები) ადგილობრივ იბერებს შეხვდნენ. პირველი პერიოდის მტრულ შეხვედრები და მცირეოდენი ინციდენტები თანდათანობით გადაიზარდა ტომთაშორის ქორწილსა და მოყვრობაში. შემდგომ იბერები და კელტები-ფაქტიურად ყველა ტომი ერთად იწყებენ დანარჩენი ორი კონტინენტის, ევროპისა და აფრიკის ათვისებას. რასაკვირველია ათვისების პროცესში ლომის წილი ფინიკიელებს მიუძღვით, ზღვაოსნებსა და პირველმოგზაურებს, როგორც დანარჩენი მსოფლიოს შესახებ განუზომლად მეტი ინფორმაციის მფლობელებს.

ძნელი წარმოსადგენია, რომ განდხარვები საკუთარ ახალ ექსპედიციას მხოლოდ და მხოლოდ ფინიკიური გემების საშუალებით ახორციელებენ და ითვისებენ დასავლეთ აფრიკას, თუმცა სრული გამორიცხვა შეუძლებელია....და მაინც უფრო დასავლეთ აფრიკა ტეარკონ ეთიოპის იმ ლაშქრობის შედეგი ჩანს, რომელსაც განდხარვები აწყობენ ქუშების მეთაურობით უკვე სამხრეთ ევროპისა და პირენეის ნახევარკუნძულის მიმართულებით. ამ ლაშქრობაზე კი წერილობითი წყაროები ნამდვილად არსებობს, მავანი არახოსიელი (იბერიელი) მოგზაურის სახით, რომლის ჩანა-

წერებს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ამ და მხოლოდ ამ ჩანაწერებზე დაყრდნობით ყვება გეოფრაფი სტრაბონი თარხონ ეთიოპის (ქუშის) სარდლობით იბერების (და რასაკვირველია კელტების-განდხარვების) ლაშქრობას ამ მიმართულებით. აქ კი უკვე ფინიკიელები მხოლოდ მეგზურის და დამხმარეს ფუნქციას თუ შეასრულებდნენ, ლაშქრობა ძირითადად სახმელეთო იყო…თუმცა როგორც ჩანს, პირენეის ნახევარკუნძული თავად ფინიკიელებისათვისაც დიდად სასურველი ადგილი იყო...ასე მაგალითად, შეუმცდარად შეიძლება ითქვას, რომ ანდალუზია და კატალონია ძირითადად ფინიკიური წარმოშობის ხალხით არის დასახლებული....არც დანარჩენ განდხარვებს აქვთ დაწყვეტილი გული მომავალ ესპანეთში, კასტილია ლამანჩა და კასტილია დე -ლეონე ქუშებისა და კოსალებისა ჩანს, ხოლო ლუზიტანია-პორტუგალია, დიოდორე სიცილიელის სიტყვებით- იბერების სამშობლო ხდება.

როგორც ითქვა ადრე, ექსპედიცია გიბრალტარის სრუტის მეორე მხარესაც ჩანს გადასული: მაროკო, ეს ქუშების და სვანების სამშობლო ხდება, მავრუსია-სავარაუდოდ კოსალებისა, ალჟირი-მესენიელებისა და ტუნისი-ასევე ფინიკიელებისა. არ ვისაუბრებთ აქ კართაგენელთა (ტუნისი) მიერ ისტორიაში ცნობილი პუნიკური (ფინიკიელებს ამ შტოს პუნებს ეძახდნენ) ომების შესახებ, რომელიც ფინიკიელთა მიერ მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიად სახავენ, თუმცა ასეთი პრეტენზიებით განდხარვული (კელტური) ტომი არც არასოდეს გამოირჩეოდა. ასეთი ამბიცია ერთადერთ ქვეყანას, რომს ჰქონდა ყოველთვის...არ არის გამორიცხული, რომ კართაგენელი სარდალის-თარხონის, ჰანიბალ ბარკას რომზე ცნობილი იერიშებიც კართაგენელთა აქტიური თავდაცვის ხერხი იყო მხოლოდ...

...ტერმინი **ალბა** ფინიკიური ტომისა ჩანს....ფინიკიური ჩანს ალბელთა თემი, რომელიც უხსოვარ დროს პირველობას ეცილებოდა რომაელებს...ფინიკიური თემი, კერძოდ ზანები- ჩანან ალექსანდრე მაკედონელის ის ადრიატიკელი-ილირიელი მოლაშქრეები, რომლებიც იბერ-ქართებს, არახოსიასა და საკასტანს-ასევე იბერიულ-ტატურ ტომებს შორის დასახლდნენ და დამკვიდრდნენ ალბანელთა სახელით ... ასევე ფინიკიური თემი ჩანს დღევანდელი ალბანელები იმავე ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე...და ფინიკიური თემი ჩანს ალბიონის (დღევანდელი ინგლისის) პირველმცხოვრებნიც...სიტყვა ალბიონი კელტთა (განდხარვთა) ენაზე ალბების კუთვნილს ნიშნავს...ალბიონის პირველმცხოვრებთა მეორე ნაწილი სავარაუდოდ კრეტელები- იგივე კურეტები, იგივე ასაკენები, ფშავ- ხევსურთა სახლიკაცები ჩანან (ზუსტად კრეტელი მოისრეები იყვნენ განთქმული ანტიკურ სამყაროში, ისევე როგორც ინგლისელი მოისრეები შუა საუკუნეების ევროპაში)

და ცენტრალური ევროპა? ნუთუ ფინიკიელები, უაღრესად პრაგმატული ხალხი არ და ვერ მოიხიბლა ევროპის ზომიერი კლიმატით და ლანდაშაფტით?

საზღვაო ომები ცეზარისა: ოპერაცია ვენეტების წინააღმდეგ

გალიური ომები ბოლოსაკენ მიდიოდა. ბელგური ტომები საბოლოოდ დამარცხებული იყო, რომელთანაც რომაელებს მოუწიათ დიდი და ხანგრძლივი ომების წარმოება. გერმანული ტომები განდევნილი იქნენ რეინისაკენ...უკმაყოფილება დაიწყო ვენეტებს შორის, რომლებიც სარგებლობდნენ დიდი ავტორიტეტით ოკეანისპირა ტომებს შორის...ზუსტად ვენეტებმა დააკავეს და დააპატიმრეს მათთან მიგზავნილი (ხარკის ასაკრეფად) სილია და ვალერია დარწმუნებულნი იმაში, რომ ეს დემარში გამოიწვევდა თავიანთი მძევლების განთავისუფლებას....ფსიქოლოგიური წყობა კელტებისა, არაერთხელ აღნიშნული ანტიკური ავტორების მიერ, იყო გადაწყვეტილების სწრაფი მიღება, ზედმეტი სიფიცხე და გაუწონასწორებლობა (გეცნობა, მ კითხველო? ავტ) საერთო მტერმა რომაელების სახით შეაკავშირა კელტები...ეს გახდა იმდენად სერიოზული პრობლემა, იმდენად რამდენადაც აჯანყების ხმამ მოიცვა დიდი ნაწილი სანაპირო გალიისა (საფრანგეთისა) ლიდერის როლს ტომთაშორის კავშირში თამაშობდნენ ვენეტები...ეს გამოწვეული იყო მათი ბატონობით ზღვაზე...ცეზარის ცნობებით, ვენეტების განკარგულებაში იყო ყველაზე მეტი გემები სხვა ტომებთან შედარებით და მათივე დახმარებით ამყარებდნენ მუდმივ კავშირს ბრიტანიასთან. ასევე უდავოდ აღემატებოდნენ დანარჩენ გალებს საზღვაო საქმის ცოდნით და საზღვაო ჩვევებით ... შედეგად წარმოიქმნა საკმაოდ იმპროვიზირებული, მაგრამ ასევე საკმაოდ ძლიერი კავშირი ტომებისა, შექმნილი კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად: საერთო მტერმა რომაული ლეგიონების სახით შეაკავშირა კელტური ტომები...

ზღვა გალიის ჩრდილო დასავლეთ სანაპიროსი იყო საკმაოდ შფოთიანი და თითქმის ყოველთვის ქმნიდა მოქცევის ტალღას, რომელიც აძნელებდა გემების ღუზაზე დგომას სანაპიროსთან, ან მათ ჩაშვებას ისევ ზღვაში. გარდა ამისა, თავად ხმელეთი იყო მაღალი და საკმაოდ ციცაბო, არცთუ ისე მრავალი ნავმისადგომებით, ფლოტის დასაყენებლად და აღსაკაზმავად. არსებული ნავმისადგომები იმყოფებოდა ვენეტების კონტროლის ქვეშ, რომელიც საშუალებას აძლევდათ სჭეროდათ საზღვაო კომუნიკაციები იმ რეგიონში. დანარჩენი ადგილობრივი ტომები იმყოფებოდნენ ამა თუ იმ ფორმით დამოკიდებული ვენეტებზე- უპირველეს ყოვლისა ხარკით.

ვენეტებთან დაკავშირებით მთლიანად არ არის გადაჭრილი გამოცანა ანტიკური ეპოქისა. საქმე ისაა რომ ტომი ამავე დასახელებით არაერთხელ გამოჩნდება ევროპის კონტინენტის სხვადასხვა ნაწილში... უკიდურესი ჩრდილო ნაწილში ადრიატიკის ზღვისა, ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალაქი შუა საუკუნეებისა- ვენეცია... ასევე მიახლოებული დასახელების ტომი ვენედები ბალტიკაზე, პომორიეში...დასავლეთ ფინურ ენაზე რუსეთს აღნიშნავენ სიტყვით ვენაჯია, რუსები- ვენალიანენ. (ხლევოვი ა.ა)

მრავალრიცხოვანი და კარგად აღჭურვილი ფლოტი ადგილზევე... მრავალრიცხოვანი ნავსადგური არმორიკისა (ბრეტანისა) ვენეტების ხელში იყო... ამ მდგომარეობაში ცეზარმა მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება-აეშენებინა ფლოტი იქ, სადაც მას აჯანყების შესახებ ცნობამ მოუსწრო-ლიგერზე (გვიანდელი ლუარა)

საბოლოოდ ეს ომი რომაელებმა მოიგეს. მოიგეს ის ბუნების დახმარებით, რომელმაც ამჯერად მათ სასარგებლოდ (უფრო ვენეტების საზიანოდ) ითამაშა და მამაც ვენეტებს უღალატა. მაგრამ დღეს ჩვენთვის მთავარი აქ ვენეტთა და რომაელთა საბრძოლო (და სამოქალაქო) ტექნიკის შედარებაა, რომელიც ვენეტთა აშკარა ტექნიკურ უპირატესობას უსვამს ხაზს: **ქაოტური შეტაკებებმა ცალკეული გემებისა თუ გემების ჯგუფისა, მალე გამოამჟღავნეს პრინციპული კონსტრუქციული თავისებურებები გალიური გემთმშენებლობისა და მისი უპირატესობა რომაული ტექნოლოგიების მიმართ. გალიური ხომალდები ფლობდნენ უფრო განიერ და ბრტყელ კილის** (ფსკერი) **ძელს. ეს პირობა ხდიდა მათ უფრო მოქნილს...შედარებით ბრტყელი ფსკერი ხდიდა ხომალდის აღჭურვილობას უფრო მყარს. ... და მეორე, არა ნაკლებ აუცილებელი-ბრტყელი ძირი ვენეტების ხომალდს აძლევდა საშუალებას ნაპირთან გაცილებით ახლოს მისვლისა. გარდა ამისა, მიქცევაში მოხვედრილი ხომალდი რჩებოდა სწორ ფსკერზე და იყვნენ გაცილებით ტრანსპორტაბელურები, როცა რომაული ხომალდები გადაწვებოდნენ გვერდზე, რაც მოქცევისას მათ წყლით ავსებას და ჩაძირვას არ გამორიცხავდა...გემის ცხვირის ნაწილი, ფორშტევანი და ახტერშტევანი - მისი მიმდებარე ნაწილები გალიურ გემებზე გაკეთებული იყო ერთიანი მორისაგან, იმდენად მასიური, რამდენად მასიურის მოპოვებასაც შეძლებდა ოსტატი მისი მშენებლობისას. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი უპირატესობა, იმდენად რამდენადაც გემების ასეთი კონსტრუქციები უძლებდნენ ოკეანის ტალღების მძავრ დარტყმას. გარდა ამისა კორპუსის შიდა მხარეს არსებითად იყო გამაგრებული: ქვედა შპანგოუტის ნაწილი გაძლიერებული იყო მასიური ძელებით, ფუტის სიმსხოთი და შეერთებული ერთმანეთთან თითის სიმსხო ლურსმნებით. მათ ფონზე რომაელების გემების კორპუსები გამოიყურებოდნენ ნაჭუჭივით**

(რაც შეჯახებისას ჩვეულებრივ ამ უკანასკნელთათვის სავალალოდ მთავრ-
დებოდა. ავტ) ამასთან, ვენეტური ხომალდები უფრო მაღალნი იყვნენ
რომაულებზე, რაც მათ აშკარა უპირატესობას აძლევდა ახლო ბრძოლა-
ში....მაგრამ განსხვავება შეეხებოდა არა მარტო გემების კორპუსებს, არ-
ამედ რანგოუტს, ტაკელაჟს და სხვა ელემენტებს გემისას. ოკეანის პირ-
ობიდან გამომდინარე, ღუზა ვენეტურ გემზე მაგრდებოდა არა ბაგირ-
ით, არამედ ჯაჭვით, როგორც გაცილებით გვიანდელ გემებზე. აფრების
დასამზადებლად მატერიის მაგივრად იხმარებოდა ტყავი, როგორც უხეში
და სქელი, ასევე მოთრიმლული და თხელი. ნაკლებად მოსალოდნელია,
რომ ეს დაკავშირებული იყო მატერიის დეფიციტთან ან საქსოვი საქმ-
ის დაბალ დონესთან-ნამდვილად ასეთი აფრები გაცილებით უფრო პრა-
ქტიკული იყო ოკეანის ქარებში საცურაოდ. ამავე დროს საერთო მასა
(წყალწყვა.ავტ) ვენეტების გემებისა იყო გაცილებით დიდი, ვიდრე რო-
მაელებისა, რაც კიდევ ერთხელ ამართლებდა ტყავის მასალის გამოყენ-
ებას აფრებად ...მაგრამ მთავარი პრინციპული განსხვავება შედგებოდა იმ-
აში, რომ გალების გემები გადაადგილებისას ორიენტირებული იყვნენ
იალქანზე- ნიჩბები თამაშობდნენ დამხმარე როლს, საიალქნო აღჭურვი-
ლობასთან პრობლემის დროს, ან ქარების არარსებობისას (რაც ამ მხარ-
ეში ძალიან იშვიათად ხდებოდა). ასეთ დროს ვენეტური გემები ხდე-
ბოდნენ მოუქნელნი და ნელმავალი. თავისი მასიურობისა და მენიჩბე-
ების შედარებითი სიმცირის გამო. ნიჩაბს ვენეტები იყენებდნენ მხოლ-
ოდ ზუსტი მართვისათვის და მანევრისათვის გემების ნავმისადგომში
შესვლისას, ხმელეთის უშუალო სიახლოვეს. სამგზავრო დანიშნულება
მათ არ ჰქონდათ, მაშინ როდესაც რომაელები აფრებს და ნიჩბებს იყ-
ენებდნენ თანაბრად მოძრაობისას, ხოლო ახლო მანევრირებისას საზღ-
ვაო ბრძოლაში-ვერც კი ფიქრობდნენ მის გარეშე. (19)

(Морские войны цезаря: Операция против венетов Хлевов А. А.)

ავტორის მოსაზრებებსა და კითხვებს ვენეტების და პომორების
შესახებ ოდნავ ქვემოთ მივუბრუნდებით, მაგრამ იძულებული ვართ შევ-
უსწოროთ რუს ავტორს მთელი რიგი მოსაზრება, რომელიც საკუთარი ხა-
ლხის მენტალობით ჩანს ნაკარნახევი: მისი სიტყვები, რომ ვენეტების ტო-
მი სარგებლობდა უახლოეს ტომებში ლიდერის და უსიტყვო წინამძღოლ-
ის როლით, ალბათ ეჭვშეუტანელი სიმართლეა. მაგრამ ავტორის აზრთა
შემდგომი მსვლელობა აშკარად მცდარია. ავტორი ფიქრობს, რომ ვენეტ-
ებს მეზობელი ტომები დახარკული უნდა ჰყავდეთ. საკმარისია გაკვრით
მაინც იცოდეს კაცმა ეტრუსკების ცხოვრების ნირი, რომელთა უშუალო
წინაპრებს ვენეტები წარმოადგენენ, რომლის მიხედვით ეტრუსკთა ცალ-
კეულ ქალაქ პოლისებს შუა არ არსებობდა არავითარი პოლიტიკური კა-

ვშირი, საერთო ჰქონდათ მხოლოდ საერთო რელიგია და (ხანდახან) ენაც. ამასთან ცალკეული მათგანი სარგებლობდა უსიტყვო ლიდერის როლით, როგორც ეს იყო მოგვიანებით იტალიაში, კლუზიის მეფის- პორსენას შემთხვევაში.

ცხადია ვენეტებად წოდებული ხალხი ფინიკიელები-პუნებია, კელტების საზღვაო ფლაგმანი და მეგზური აუთვისებელ მსოფლიოში. გარდა ვენეტებისა, კელტური ჩანს მისი მიმდებარე ტომები, რომლის განუყოფელ ნაწილადაც ნახევარკუნძული არმორიკა მოიაზრება. მართალია რუსი ავტორი არ აკეთებს პედალირებას საკითხისა, რომ ცეზარმა გადამღობი რაზმი გაგზავნა ბელგების საზღვრისაკენ, რათა არ დაეშვა ამ უკანასკნელების მიერ შესაძლო დახმარება ვენეტებისა-უცილობლად ახლო თანამემამულეებისა...(ამას კი ტიტუს ლივიუსი აღნიშნავს) შესაბამისად, ბელგია-ეს აშკარად ფინიკიელთა ჩამომავალი ხალხია. საბუთი? მოგვიანებით ილირიკში დასახლებული (როგორც ჩანს) ლაზების მეფის დინასტიური სახელი გენტიი ჩანს, რომლის თანამოსახელე უმნიშვნელოვანესი ქლაქი შუა საუკუნეების ბელგიაში ასევე გენტი გახლავთ. ამასთანავე, ეს ქვეყანაა იმავე კელტურ ლეგენდებაზე დაყრდნობით (გალებთან ერთად) აღიარებულია კელტების აშკარა მემკვიდრედ ცენტრალურ ევროპაში და ამ უკანასკნელთ მიეკუთვნებიან საერთო აფრაზიული ენით, აშკარად განსხვავებულით დანარჩენ ევროპელთაგან ... ხოლო კელტების-ნამდვილი კელტებისა და არა გალიელთა გერმანიკული ტომის შესახებ ადრე საკმაოდ ვისაუბრეთ... და კიდევ, ის რომ ავტორის სიტყვებით ვენეტებს- ბრეტონელებს, გააჩნიათ მუდმივი საზღვაო კავშირი ბრიტანიასთან და იქიდან მაშველი სომარი ძა ლაც კი ჩამოიყვანეს- აშკარად მიანიშნებს ამ ხალხების ახლო ნათესაობას: როგორც ადრე ითქვა, ბრიტანეთი სავარაუდოდ ზუსტად ქვეყნიერების ამ ნაწილიდან იყოს ათვისებული და კუნძულებზე გადასვლისათვის ფინიკიელთა ფლოტის აუცილებლობასაც ხაზს უსვამს...

რაც შეეხება რუსი ავტორის მონოლოგს ბალტიკაში მდებარე „დასავლეთ სლავ“ ვენდებზე და პომორიელებზე, სლავები -სკვითები ჯერ კიდევ ინდოეთიდან არ იყვნენ ამოსული (უკიდურეს შემთხვევაში არალის ტბის სტეპებს არ იყვნენ გაცდენილი) მაშინ როდესაც კელტები ფინიკიური ტომის - პუნების მოწინავეობით და მეგზურობით ჩრდილო ევროპას (მათ შორის ბალტიკასაც) ითვისებდნენ. რუსი ავტორის მიერ მოხსენიებული ვენდები და პომორიელები-(სიტყვა გარდაქმნილია რუსულ ყაიდზე) კელტური მითიოლოგიის ფომორები ჩანან, რომლებიც მოგვიანებით არა ერთხელ დასხმიან თავს ირლანდიას და რომელთა შესახებ მათი მითიოლოგია მოგვითხრობს. მათ კელტური-ირლანდიური ლეგენდები ზღვის დემონებს უწოდებს (სრულიად გასაგები მიზეზის გამო)…ის, თუ ვინ არიან

რუსების მიერ პომორიელებდ შერაცხული ფომორები, პოლონეთის ექს-პრემიერ მინისტრის და ევროკავშირის თვალსაჩინო მოღვაწის, პომორი დონალდ ტუსკის ხსენებაც კი ფენს ნათელს: ტუსკები, ეტრუსკები ეწოდ-ათ ზუსტად ფინიკიელებს, როდესაც ისინი ტირსენ ატისის ძის მეთაურ-ობით გადასხდებიან იტალიასა და მიმდებარე ტერიტორიაზე ქრისტემდე XIII საუკუნეს. ზუსტად ისინი წარმოადგენენ რიურიკთა წინაპრებს (რუს-ული ვერსიით) კუნძულ რიუგენიდან- ბალტიკაზე, რომლებიც თავად რუ-სებმა მოიწვიეს ქვეყნის სამართავად და ისინივე წარმოადგენენ იმ ვიკინ-გური მახვილების გამომჭედს, რომელსაც თავად ვიკინგები „ულფბერტს“ უწოდებდნენ ... (თავად ავტორმა ამ ხმლის გამოჭედვის თავისებურებებზე დაყრდნობით შესძლო ქართული, მსოფლიოში სწორუპოვარი ხმლის, „გო-რდას“ გამოჭედვის ტექნოლოგიის აღდგენა, რომელსაც ქართველი ხალიბ-ები, უდავოდ ვენეტთა ჩამომავალნი დღევანდელ ქალაქ გაგრასთან ჭედ-ავდნენ თვით 1704 წლამდეც კი....)

...დაინტერესებულ მკითხველს მოვახსენებ, რომ გენერალური ბრძო-ლის მსვლელობისას ბუნებამ გაწირა ვენეტები. ზუსტად ამ დროს დადგა ოკეანეში სრული შტილი, რომელიც ავტორის სიტყვებით ძალიან იშვია-თი მოვლენა იყო ამ აკვატორიაში. შედეგად ვენეტთა გაცილებით მაღალ-ტექნოლოგიური ხომალდები მოუხეშავი და უძლური აღმოჩნდნენ რომაე-ლთა პრიმიტიული ნიჩბიანი გალერეების წინააღმდეგ. საბოლოოდ, ცეზა-რმა ეს ხალხი ფაქტიურად სრულიად გაანადგურა და ტყვეებად გაყიდა რომის ბაზარზე...

და თავად ვენეტების გენეზისი?

...და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც უხსოვარი დროიდან მოდის და რომლიც ჯერ კიდევ არასრულყოფილ გადაჭრაზე გვიყვებოდა რუსი ავტორი. ეს ორი ვენეტების არსებობაა, ცნობილი ანტიკური ეპოქიდანვე: ერთი- ეს არმორიკის- ბრეტანის მოსახლეობაა საფრანგეთში, რომლის წინა-აღმდეგ გაილაშქრა რომაელმა მხედართმთავარმა ცეზარმა, ხოლო მეორე-ადრიატიკის ზღვის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში განსახლებილი ასევე ვენეტებად წოდებული ხალხი, რომელსაც მოგვიანებით საკუთარი რესპუ-ბლიკაც გააჩნდათ და ერთ-ერთი მთავარი მოთამაშე გახლდათ ევროპის ამ რეგიონში. (მათ ძლიერებას ოსმალეთის იმპერიამ შეუყენა წყალი) ...და რიტორიკული კითხვა, რომელი რომლის ნაწილია?

რასაკვირველია ვენეტები ტირსენ ატისის ძის პარალელური ექსპედ-იციის მონაწილემი არიან, ქრისტემდე XIII საუკუნეს მიგრირებულნი, ახა-ლი და უფრო კეთილგანწყობილი სამშობლოს საძებრად წამოსულნი მცირე აზიიდან-ლიდიელთა ხელმძღვანელობით (უფრო ამავე დროს ჩატარებუ-

ლი პარალეკლური ექსპედიციის)... ყველა ანტიკური წყარო ერთხმად მიუთითებს, რომ ტირსენ ატისის ძის ექსპედიცია აპენინის ნახევარკუნძულს და ტირენეის ზღვას არ გაცდენია. ამასთან, ტირსენ ატისის ძის ექპედიცია განხორციელდა ფინიკიელთა მეიონური ტომის წინამძღოლობით. პირველი ახალშენები ეტრუსკებისა გაშენდა უშუალოდ ამ ზღვის სანაპიროზე, მოგვიანებით მათი ახალშენები ვრცელდება ადრიატიკის მიმართულებით... თუმცა ვენეტები სხვა ექსპედიციის მონაწილენი ჩანანან, რომლის წინამძღოლებად ფინიკიელთა პუნიკური ტომი გვევლინება. საკუთრივ ვენეტების ისტორიისათვის ცნობილი ბექრაუნდი ასე გამოიყურება:

1.არიან მოკავშირეები რომისა ქრისტემდე IV საუკუნიდან გალების წინააღმდეგ, თუმცა პირველი დარტყმები გალებისა უშუალოდ მათ იწვნიეს, შედეგად მათ მფარველობა თხოვეს იმავე რომს, თუმცა დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ინაჩუნებენ.

2. არიან ასევე მოკავშირეები რომისა კართაგენელი (ასევე პუნი) ჰანიბალ ბარკას წინააღმდეგ, ქრისტემდე 218-201 წლებში.

3. ქრისტემდე 182 წელს შედიან რომის იმპერიის შემადგენლობაში თავიდან ლათინური, ხოლო შემდგომ რომაული (უმაღლესი) უფლებით...

...და ზუსტად ეს მდგომარეობა, ვენეტთა პოლიტიკური წარმონაქმნის დიდ იმპერიაში ინკორპორირება ხდებია ის მიზეზი, რომელიც ვენეტთა ტომის ცალკეულ თავისუფლებისმოყვარე თემებს ახალი სამშობლოს ძებნას აიძულებს...და დაიძრა ვენთა (ესაა მათთვის თანატომელების- ეტრუსკების მიერ) (20) ადრე შერქმეული სახელი, რამეთუ ბოლოსართი ტი მხოლოდ რომაული კუთვნილებითი დაბოლოება ჩანს ამ სახელისა. მოსახლეობის ნაწილი არმორიკისაკენ, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, საზღვაო არმადით ახალი სამშობლოს საძიებლად მიემართება... რაც შეეხება ბელგებს, მათსავე სახლიკაცებს, ისინი ამ დროისათვის ევროპის კონტინენტის სიღრმეში ცხოვრობენ, სადაც რომაელთა დამპყრობლური მადა ჯერ კიდევ არა ჩანს მიღწეული...ვენეტებს თავისუფალი ტერიტორიებიც სავარაუდოდ შეგულებული აქვთ ოკეანის სანაპიროზე, შემლებისდაგვარად შორს რომაული იმპერიის გავლენისაგან, რომელიც ატლანტის ოკეანეში განუწყვეტელი და მრავალწლოვანი ხეტიალის დროს აქვთ შეთვალიერებული. ეს დღევანდელი ბრეტანი ჩანს გალიაში - საფრანგეთში, სადაც იმ მომენტისათვის რომის იმპერიის ძალაუფლება არ ვრცელდებოდა...თუმცა ამ მდგომარეობამ სულ ორიოდ საუკუნე გასტანა-რომმა დაიწყო ძალაუფლების გავრცელება დღევანდელი საფრანგეთისა და გერმანიის მიმართულებით ... რომის ხელისუფლებამ შეძლო ბელგიური თემის დამორჩილება, ხოლო ბრეტონის-არმორიკის დაუმორჩილებელი ვენეტები სრულიად გაანადგურა, პირწმინდად აღგავა პირისგან მიწისაგან....

...და მცირე აზიის მიმდებარე რეგიონები...

ეს ტომი, ისტორიაში ფინიკიურად ცნობილი, მრავალი ტომის სახელმდებელი ხდება: სიდონელები და ტვიროსელები ფინიკიაში; მენდესელები, თებეელები საისელები-ეგვიპტეში; კადმოსელები, ბეოტიელები, ფივიელები, თესალიელები, მეიონები-საბერძნეთში...და მცირე აზიაში რა სახელს ატარებენ, თვინიერ მეიონებისა და ლიდიელებისა?

„ახლა გადავიდეთ უსუნებისა და კენგუიების ისტორიაზე, რომლებიც გახდნენ უშუალო გამაგრძელებელი საკური ტრადიციისა II საუკუნეს ქრისტემდე, სამხრეთ-აღმოსავლეთ ყაზახისტანისა“ (ყაზახსტანის ისტორია)

სდექ! აქ შევჩერდეთ! ეს ზუსტად ის ადგილია, როდესაც მავანი ჩვენი წინაპრის სიქველეს მიიწერს და ის აბსოლუტურად საკუთარი ისტორია ჰგონია! უსუნის ტომის თემა, ეს ერთ-ერთი უძნელესი და რთულად აღსაწერი თემაა მთელს ამ ისტორიში, რამეთუ ის დროის და მანძილის უსაშველოდ დიდ მონაკვეთზეა გაჭიმული ... რაც შეეხება კენგუის ტომს, აქ ისტორია გაცილებით მეტ ხელმოსაჭიდ ფაქტებს იმახსოვრებს, რომელიც სრული სურათის აღდეგენის საშუალებას იძლევა...საკები? რასაკვირველია ისინიც ქართველური ტომები არიან-იბერები და მათ შესახებ შესაბამის თავში უკვე ამომწურავად ვისაუბრეთ...რაც შეეხება კემგუის და თემირგოის - თვითწოდებაა გაგრა-ხოსტას შორის მონაკვეთზე მცხოვრები ხალიბისა... და რატომ ორმაგი დასახელება? იმიტომ რომ კემგუი-საერთო სახელია ფინიკიური ტომისა, უკვე ლაზებისა, ხოლო თემირგოი- საკუთარი თვითწოდება ხალიბებისა, რომელიც საკუთარ თავს ზანებს მიაკუთვნებენ, მაგრამ არც საკუთარ განსაკუთრებულ ხელობას-მეფოლადეობას და რკინის შვილობას ივიწყებენ-ამ ხელობის ხალხის განზოგადოებას ახდენენ. აქ ურიგო არაა გავიხსენოთ ჰეროდოტესეული დახასიათება ამ ხალხისა, რამეთუ ეს უმნიშვნელოვანესია:

„მისიელთაგან, ლიდიელთაგან, ლასონიებისაგან, კაბალიელთაგან და ჰიტეენელებისაგან შემოდიოდა 500 ტალანტი. ესაა მეოთხე სატრაპია“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი III-90) და კიდევ:

„ხოლო ლიდიელებს ელინების მსგავსი იარაღი ჰქონდათ. ლიდიელები ძველად მეიონებად იწოდებოდნენ, ხოლო შემდეგ სახელი გამოიცვალეს, ატისის ძის, ლიდოსის სახელი მიხედვით დაერქვათ მათ ახალი სახელი“ (იქვე ;წიგნი VII-74) და აქვე:

„კაბელ მეიონებს, ლასონიებად წოდებულებს, ისეთივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც კილიკიელებს“ (იქვე; VII-77)

ჰეროდოტე ჩვეულებრივ ცდილობს ტერიტორიულ მიმდევრობით დაასახელოს მეომარი ტომები. ლიდიელების შემდგომ ის თრაკიელებს ასახე-

ლებს, ხოლო შემდეგი ტომის სახელი მის ნაწერებში გამორჩენილია. რუს-ულ ტექსტში აქ პისიდიელებია ჩასმული- ქართულში ხალიბები. სინამდ-ვილეში აქ კიზიკელები უნდა იყვნენ, რომელთა სპარსეთისადმი ნებაყოფ-ილებით შემოერთებაზეც ის საუბრობს...ხოლო მის მიერ ნახსენები კაბელ მეიონები, იგივე ლასონიები სხვა არ შეიძლება იყოს, თვინიერ ხალიბები-სა, აგრეთვე მეიონებისა, მაგრამ ოდნავ განსხვავებული მეიონებისა, რომე-ლთაც ის კაბელებს უწოდებს ... და მისი ლასონიები სხვა არა უნდა იყოს რა, თვინიერ **ი-ა-ს-ო-ნ-ი-ე-ლ-ე-ბ-ი-სა,** სადაც დედანის პირველი ასო I მი-ღებულია L-ად, სულ ესაა, ხოლო სინოპას ნახევარკუნძულის ბოლოს, სად-აც ანტიკური ისტორია ხალიბებს ასახელებს, ახლაც კი მართლა იასონ ბურუნი ჰქვია...და ზუსტად ასედაც- იასონიელებად არის ახსნილი ეს სი-ტყვა იმავე წიგნის საძიებელში...

მეიონების ფინიკიელობა არსად არასდროს საკამათო საკითხიც არ ყოფილა. ერთი ესაა, წინარე ამონარიდი ჰეროდოტედან, კენგუის- ზანების (ამ კერძო შემთხვევაში -ხალიბების) ასევე აშკარა ფინიკიელობის ურყევი საბუთია...გვერდზე გადავწიოთ ფინიკიელ-ზანების ტომთა ურთიერთდამ-ოკიდებულება და შუა აზიელ კენგუიების საკითხი განვიხილოთ: როგორ და რა პროცესის შედეგად ხვდებიან ისინი შუა აზიაში? პასუხი ერთადე-რთი შეიძლება იყოს: ფინიკიელები-კენგუის ტომი აშკარად იმ პროცესის მონაწილე ჩანს, რომელსაც განდხარვთა ტომის მიერ სკვითების მცირე აზ-იიდან განდევნა ჰქვია, ქრისტემდე XVI საუკუნის მეორე ნახევარში...

აბხისართა ამ შტოს ჯერ კიდევ ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ ეწო-დება თოკხარები, ასევე დაფიქსირებულია თოხარები მცირე აზიაში...მათი ეპარქია დაფიქსირებული ადრეული შუა საუკუნეების ბასილი სოფენელ-ის ნოტაციაში- ტოხარძიძის სახელით...მათივე ფეოდალური საგვარეულოს აშენებული ჩანს უკუდურეს სამხრეთ საქართველოში თუხარისის ციხე... ეს მათი შემორჩენილი ტომისა ჩანს იშვიათი გვარი თუხარელი...და საამ-ურად მოგოგმანე ცხენის სახელი ყველა ქართველურ ენაზე-თოხარიკია... მათივე გაუმჯობესებულია უძველესი განდხარვული ჯიში ცხენისა-ტეკუ-რი, რომელსაც ამჯერად ახალ-თექური ეწოდება...გავრცელებული ვერსიით ოაზის „ახალის“ მიხედვით, თუმცა ასეთი ოაზისი ბუნებაში არ არსებობს... ცხენის ეს სახელი უდავოს იმას ნიშნავს, რასაც საერთო განდხარვულ ენ-აზე- НОВОТЕКИНСКИ-ახალთექური...(21) თავად თოხარები-ისევე როგორც კან-გოი, ხეთურად ცნობილი ტომი იყო...

... და კიდევ, ადიღეველთა თვითდასახელება ჯიქია (რაც სავარაუდოდ არც უნდა ახსოვდეთ) თუმცა ნახევარი ჯიქეთის (ნიკოფსიამდე) ტოტემი გარეული თხა-ჯიხვი უნდა ყოფილიყო. ეს სახელი მათ კენ-გუიების, ხალ-იბებისაგან უჩანთ შეთვისებული-აფხაზეთის ძიხეთი ზუსტად ხალიბების

მიმდებარედ მდებარეობდა და ერთიან აფხაზეთში შემოდიოდა... აფხაზ-ეთის ტოტემი და დროშაც ზუსტად ჯიხვია, და არა შინაური თხა-არ უნ-და დაგვავიწყდეს, აფხაზეთის სამეფოს შექმნასა თუ ფუნქციონირებაში პირველ გიტარას ყოველთვის ხალიბები-ჰენიოხები წარმოადგენდნენ, იგი-ვე კენგუიები, აფხაზეთის პირველმცხოვრებლები, რასაც ნებისმიერი ანტი-კური წყარო მიუთითებს, მიუთითებს, რომელიც ამ მხარეს აღწერს...-თუ-მცა მათ საკუთარი განსაკუთრებული სატომო სახელი სახეზე აქვთ, თემ-ირგოი- რკინის შვილები. ასევე გარეული თხა, ჯიხვი-ტეკეა ხორეზმელ-თა-თურქმენთა თვითდასახელება, უცილობლად ფინიკიურ ენაზე...არ და-გვავიწყდეს, საქართველოს ჯალათ ჯალალ-ედ-დინ მანკბურნის მამას მუ-ჰამედ ტეკეში ერქვა-ტეკე კი შუაზიიურ გარეულ თხას, ჯიხვს ნიშნავს... და დღესაც უზბეკები და თურქმენები თავს პუნებად (ფინიკიელებად) თვლიან... სამწუხაროდ, არა მარტო შორეული შუა აზიის შვილი, თავად კავკასიასა და საქართველოშიც კი არა ერთი შემთხვევა იყო დაფიქსირ-ებული შინაომისა და მტრობისა, არამცთუ გაუცხოებული ხვარაზმელ-ისა თუ ჩაღატას ულუსელისა...

...ქრონოლოგია...

მე როგორც მკვლევარს, უაღრესად მაინტერესებს იმ საზღვაო გზებ-ის და ტრასებს ქრონოლოგია, რომელის განდხარვთა ამ მოწინავე ტომმა აითვისა, დაწყებული ქრისტემდე XXXIV საუკუნიდან მოყოლებული (ამ თა-რიღზე ადრინდელი პერიოდი არ და ვერ დაემორჩილება კვლევს და აღ-წერას, მასალების სრული არქონის გამო, თუმცა ცალკეულ ასპექტებზე ად-რე თუ გვიან ვისაუბრებთ)

1. ქრისტემდე XXXIII საუკუნე-ეგვიპტის ნაპირებთან შესაძლო გამოჩენა.
2. ქრისტემდე XXXII საუკუნე-შუმერში სავაჭრო ემპორიების მოწყობა.
3. ქრისტემდე XXVII საუკუნე-სპარსეთის ყურის ათვისება განდხარვთა მიერ.
4. ქრისტემდე XXV საუკუნე-სამხრეთ ევროპის და დასავლეთ აფრიკის ათვ-ისება
5. ქრისტემდე XXV საუკუნე-ბრიტანეთის კუნძულების ათვისება(22)
6. ქრისტემდე XVI საუკუნე-შუა აზიის ათვისება.
7. ქრისტემდე XV საუკუნე: კუნძულების, კრეტა და სიცილიის ათვისება.
8. ქრისტემდე XIII საუკუნეს აპენინის ნახევარკუნძულის, ადრიატიკის და აღმოსავლეთ აფრიკის ათვისება

და როდის ითვისებენ ფინიკიელები უფრო შორეულ საზღვაოსნო სივრცეებს?

…ეტიუდები…

„ათამანტი- მზაკვრობით დაღუპვა გერებისა და ათამანტს ფრიქსეს მსხვერპლად შეწირვა მოსთხოვა. ფრიქსემ დასთან, ჰელესთან ერთად მოასწრო თავის შველა და გაიქც კოლხეთში (ეპირში) **ვერძის დახმარებით“ (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)** და კიდევ:

ძველბერძნული მითიოლოგიის გმირი ბეოტიური ციკლიდან: მინიური ორქომენის მეფე ეოლიდების დინასტიიდან (ალტერნატიული ვერსია-მეფე ფივისა) ათამანტის ცოლი იყო ღმერთქალი ნეფელე, რომელმაც მას უშვა შვილები, ფრიქსე და ჰელე. მოგვიანებით ის შეეუღლა ინოს, რომელმაც მოინდომა გერების დაღუპვა…

…და უპირველეს ყოვლისა ის, თუ რა შეიძლება იყოს სინამდვილე… ბეოტია- ეს საბერძნეთის ფინიკიური კოლონიაა, შესაბამისად ბეოტიელები ფინიკიელები არიან (არაა საინტერესოც კი, ვისი კოლონიაა ის, სიდონელების, ტვიროსელების თუ ეგვიპტელების, თუმცა ვიკიპედიის მონაცემები შესაძლო ვარიანტად ეგვიპტის ფივის გვიჩვენებს… სავარაუდოდ, ბეოტიელები ეგვიპტის ფივიდან ამოსული ფინიკიური კოლონია უნდა იყოს). ..ამასთან, ათამანტი ვერ იქნება ეოლიდი მეფე, რომელიც ამომავალი მზის ქვეყანას, ხალდებს გულისხმობს- ვენეციიდან დღევანდელ საბერძნეთში გადასულებს და ეოლიდებად წოდებულეს… უბრალოდ, ბეოტიელებმა შეავიწროვეს და ნაწილობრივ „ჩააჩოჩეს“ კიდეც ეოლიელები.

…რაც შეეხება ვერძის საშუალებით ათამანტის შვილების, ფრიქსესა და ჰელეს გაქცევას ბეოტიიდან: მართალია ათამანტი ორქომენის მეფე იყო, რომელიც თავისთავად საკმაოდ არის დაშორებული კოლხეთს (ეპირს) მაგრამ ლეგენდის მსვლელობის პერიოდისათვის ის ფაქტიურად ესაზღვრებოდა კიდეც კოლხეთს (ეპირს). გვიანდელ რუქებში ბეოტიურ კავშირსა და ეპირს შორის მოქცეული ეტოლია სხვა არაფერია, თუ არა ეოლიელების (23) მიწაზე დასახლებული დამპყრობელი- ასაკენები, იგივე კურეტები, დასახლებულნი აქ ათეული საუკუნის შემდეგ… ამდენად ვერძზე ამხედრებული ფრიქსეს და ჰელეს მიერ კოლხეთში ლტოლვა რეალურ კონტურებს იძენს. ლეგენდის მიხედვით, ვერძი მიფრინავდა, რა დროსაც ჰელე ზღვაში გადავარდა, რომელსაც შემდეგ ჰელესპონტი (დღევანდელი მარმარილოს ზღვა) დაერქვა. უნდა ითქვას, რომ ლეგენდას ეს შტრიხი გვიან უჩანს შეძენილი, მაშინ როდესაც ბერძნებს კოლხეთი მხოლოდ შავ ზღვაზე ეგულებოდათ და სადამდეც ვერძი მხოლოდ ფრენით თუ მიაღწევდა…

…და მაინც შეუძლია თუ არა ვერძს ორი მოზარდის ტარება საკმაოდ დიდ მანძილზე? როგორც ჩანს, ათამანტის ვერძს შეუძლია. რატომ? დავიწ-

ყოთ იქიდან, რომ ბავშვის მხსნელი ვერძი კოლხთის მეფემ ზევსს მსხვერპლად შესწირა. ამის შემდეგ ვერძი გაატყავებინა, ტყავი მოაოქროვებინა და ასევე ზევსს შესწირა ... და თესალიის მეფე პელიასმა თავის ძმისწულ იასონს სამეფო ტახტი შესთავაზა კოლხეთიდან ოქროს ტყავის ჩამოტანის ფასად. ამ თემაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, კოლხეთსა და დანარჩენ საბერძნეთს შორის ჩამომავალ მდინარეს აქერონტი-სიკვდილის მდინარე ეწოდება (ბერძნულად და როგორც ჩანს მდინარისთვის მათივე შერქმეული სახელია) და რატომ სიკვდილის? იმიტომ რომ კოლხები ასე ცდილობენ თავი დაიცვან ელინებთან კონტაქტისაგან, რომელთაც სულ რამდენიმე საუკუნეში დღევანდელი საბერძნეთის ადგილას მცხოვრები კოლხები, ჭანები და იბერები უკვე ბერძნულად აალაპარაკა, ეროვნება წაართვეს. ბერძენი, ვინც გადალახავს ამ მდინარეს კანონგარეშე ითვლება და როგორც წესი, სიკვდილით ისჯება. ერთადერთი გამონაკლისი მეფე აიეტმა დაუშვა ფრიქსესათვის, ასევე გაელინებული ფინიკიელისათვის, იმიტომ რომ ის... ზევსის ღვთაებრივმა ვერძმა (ზევსის ჰიპოსტასმა) ჩამოიყვანა...და რა მოტივით ხელმძღვანელობს მეფე პელიასი, როდესაც ამ მისიის შესასრულებლად ძმისშვილს, ტახტის მეტოქეს აგზავნის? უპირველეს რასაკვირველია იმით, რომ კოლხები მის ძმისშვილს და ტახტის მემკვიდრეს ცოცხალს არ გაუშვებენ...მაგრამ რა ღირებულება აქვს ამ ტყავს თავად ფინიკიელებისათვის, რომელთა სხვადასხვა თემებს-სხვადასხვა პოლიტიკურ წარმონაქმნებს წარმოადგენენ იგივე მეფე ათამანტი, ვერძის ფაქტიური მფლობელი და მეფე პელიასი? (თუმცა ისინი ორივე მინიელები- ფინიკიელები არიან) ...და რა გარანტია აქვს მეფე პელიას, რომ იაზონი თავს არ აარიდებს ესოდენ სახიფათო დავალების შესრულებას და სხვა ვერძის ტყავს არ მოიტანს? ვერ მოიტანს, ვერ მოიტყუება...ვერძის უჩვეულო დიდი ტყავის გამო, სავარაუდოდ ერთადერთი დასახლებულ სამყაროში...ზუსტად ვერძის სიდიდის გამო ჩათვალა მეფე აიეტმა, რომ მასთან ელინი (უკვე ელინი) ყმაწვილი ზევსის სურვილით და მისსავე მოციქულზე ამხედრებული გამოეცხადა და ზუსტად ვერძის სიდიდემ განაპირობა ის, რომ მან შეძლო ორი მოზარდის ტარება საკმოდ შორ მანძილზე...და რატომ უნდა იყოს მეფე ათამანტის ყოფილი ვერძი ასე უსაშველოდ დიდი? იმიტომ რომ მეფე ათამანტი ბეოტიელთა-ორქომენის (მრავალოქროიანის) მეფე ჩანს, აღმატებული ფინიკიური თემისა, რომელსაც ეს ვერძი (უფრო სწორედ მისი პატარა ბატკანი) ფინიკიელი მეზღვაურებისაგან უჩანს მიღებული (ძნელი სამარჩიელოა, ნაყიდი თუ ნაჩუქარი, თუმცა შედეგი ერთი და იგივე უნდა დამდგარიყო: ასეთი ზღაპრული საჩუქრის მომყვან მეზღვაურებს მდიდარი მეფე ზღაპრულად დააჯილდოებდა) ვერძი-ხარვერძი-ОВЦЕБИК რომლის წონა 300 კილოგრამს აღწევს, იმდენად უჩვეული მოვლენა იყო და-

სახლებულ მსოფლიოში, რომ მასზე ლეგენდამ სამ ათასწლეულზე მეტს გაუძლოა. მარტივი გასათვლელია, რომ ფინიკიელმა მეზღვაურებმა პატარა ბატკანის დაჭერა მხოლოდ მის შემდეგ შეძლეს, როდესაც დედას ამა-თუ იმ ხერხით მოწყვიტეს...ცხადია, მასზე ნადირობა იმ ადგილას უნდა გამართულიყო, სადაც მისი გავრცელების ბუნებრივი არეალია, კუნძულ გრენლანდიაზეა ან... ან ჩრდილო ამერიკაში, დღევანდელ კანადაში...სავარაუდოა, რომ ზღვაზე თავიანთი უსასრულო მოგზაურობისას ფინიკიელი მეზღვაურები პირველად კუნძულ გრენლანდიას უნდა წაწყდომოდნენ... თუ გავითვალისწინებთ იმ სიძნელეებს, რომელიც ხარვერძის ბატკანის ცოცხლად დაჭერასთან, ხოლო შემდეგ მის უძნელეს ტრანსპორტირებასთან იქნებოდა დაკავშირებული, ფინიკიელმა მეზღვაურებმა ორქომენის (ეს სიტყვები ბევრი ოქროს ქვეყანას ნიშნავს უთუოდ) მეფეს მართლაც ზღაპრული საჩუქარი გაუკეთეს. რასაკვირველია ასეთი ვერძის ტყავი, რამდენჯერმე აღმატებული ჩვეულებრივისას, ფინიკიური თემებისათვის ნამდვილად წარმოადგენდა რარიტეტს...მაგრამ ჩვენ ხარვერძის ჩამოყვანის თარიღზე... იმდენად რამდენადაც აბსოლუტურად ზუსტად არის განსზღვრული (ჩვენს მიერ) აიეტის ზეობის წლები, მეფე ათამანტისათვის ფინიკიელი მეზღვაურების საჩუქარი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს თუ რა წარმატებას აღწევენ ფინიკიელები საზღვაო სივრცეების შესწავლაში ქრისტემდე XIV საუკუნისათვის... ისინი ამ დროისათვის გრენლანდიას აღწევენ ....

...მიუხედავად იმ ისა, თუ ქვეყნიერების რომელი ნაწილიდან იყვნენ ის ფინიკიელი პუნები, რომლებმაც ხარვერძის ბატკანი, ენით უნახავი და აღუწერელი საოცრება ორქომენის მეფე ათამანტს აჩუქეს ქრისტემდე XIV საუკუნეს, უცილობლად განდხარვ-აფსართა რასის ერთ-ერთი ტომის ფინიკიურის აფრაზიულ დიალექტზე მოლაპარაკე ჩანან...შესაბამისად, მათი დიალექტი ქართულთან მიახლოებული უნდა ყოფილიყო...

...და კიდევ... არცთუ შორეულ წარსულში ახლო ნათესავთან სტუმრობისას შევესწარი ტელევიზორში (თავად სახლში ტელევიზორს დიდი ხანია არ ვუყურებ) მხატვრული ფილმის დემონსტრირებას, ფაქტიურად დოკუმენტურისას: ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საქართველოს მთავრობის მიერ გატანილ ქართულ - ისტორიულ საგანძურის მცველობას ეხებოდა პარიზში და მის დაბრუნებას საქართველოში. ზუსტად იმ მომენტს შევესწარი, როდესაც ექვთიმე გულზე ჩამოსაკიდებელ ოქროს ნივთს უჩვენებს მეუღლეს შეკითხვით, თუ რას აგონებს ის. მეუღლის პასუხი იყო, რომ ნივთი სიმინდის ტაროს მოაგონებს...და დიდი ექვთიმეს სიტყვები, რომ ეს ნივთი ნამდვილად ჰგავს სიმინდს და ამ ფაქტს ისტორიის გადაწერა შეუძლია, რადგან ის ქართულ განძს წარმოადგენს და მისი დათარიღება - ეს II საუკუნეა ... მკითხველს შევახსენებ, რომ სიმინდი ამერიკის

კონტინენტზე წარმოშობილი კულტურაა, ხოლო ევროპაში კოლუმბის მიერ არის შემოტანილი, კოლუმბი კი XV საუკუნის ზღვაოსანი იყო ესპანეთიდან, ამერიკის კონტინენტის აღმომჩენია ... ვერ დავიჯერე, ვიფიქრე ალბათ ექვთიმემ არსწორად მიამსგავსა, აი ისე, სასურველის სინამდვილედ წარმოსახვა რომ უნდათ...გულმა არ მომითმინა, მეორე დღეს ეროვნულ მუზეუმში წავედი დასთვალიერებლად...აქ შეცდომის დაშვებაც კი შეუძლებელი იყო, იმდენად ნატურალურად გამოიყურებოდა არქაული ოქრომჭედლის მიერ შექმნილი ოქროს „სიმინდი". ვფიქრობდი, შემემოწმებინა დიდი ექვთიმეს სიტყვები იმის მიხედვით, თუ ჰქონდა ოქრომჭედელს დატნეული ოქროს ნაკეთობისათვის სიმინდისათვის დამხასიათებელი მწკრივები. შოკირებული დავრჩი, ოქრომჭედელს არა მარტო მწკრივები, ყველა ცალკეული მარცვალიც კი სათითაოდ გამოუსახავს... შეცდომა უბრალოდ გამორიცხულია...და საიდანო II საუკუნეს სიმინდი საქართველოში (თუნდაც ევროპაში)? ზუსტად იმ დროს ფიქსირდება ლაზების შემოსვლა დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ტერიტორიებზე.

...და ერთი უბრალო შემთხვევა დამეხმარა პასუხის გაცემაში: მეზობელი მოხუცი კაცი, დიდად მცოდნე სიძველეებისა ასეთ ისტორიას მომიყვა: მეგრელი ყიდისო ფოთში სიმინდის მოხარშულ ტაროებს. ჩამოიარა თურმე ლაზმა და ეკითხება, ორივესათვის გასაგებ ლაზურ ენაზე, რა ჰქვია ამასო? ლაიტიო- უპასუხა მეგრელმა (ეს სიმინდის მეგრული სახელწლია) ...არაო, იცინა ლაზმა, სიტყვას ამახინჯებთო, ეს ლაზუტია -ლაზისაო. თურქულადაც იგივე ჰქვია (დასტურად ლაზებისაგან შესული). მართლაც, ლაზების ხსენება პირველად პლინიუს უფროსთანაა-პირველ საუკუნეს, თუმცა სინამდვილეში მათი საქართველოში შემოსვლის თარიღი სულ სხვა უნდა იყოს: ისინი წარმოადგენენ ალექსანდრე მაკედონელის ილირიელი მოლაშქრეების უმრავლესობას. ისინი არიან საქართველოს ხევში მცხოვრები ხალხი, რომელსაც არაბი ისტორიკოსები აფხაზებად იხსენიებენ, ისინივე გახლავან კასპიისპირა რეგიონში მათივე მიერ დაფიქსირებულ ორი პოლიტიკური ერთეული, აფხაზის სახელით და ზუსტად ისინივე წარმოადგენენ იმ ალბანურ-ჭანურ მოსახლეობას, რომელიც მდინარე ალაზანს სახელს არქმევს, ალა ზანებისა, ანუ ზანების ფრთეული... და მაინც მათი მასიური შემოსვლა დასავლთ საქართველოში II საუკუნეს იწყება, რაც ამ ქვეყნის სახელს, კოლხეთს უახლოეს პერიოდში ლაზიკად გარდაქმნის... ტრაპიზუნდთან მცხოვრები ლაზები-ესენი იგივე კოლხებია-აიეტის კოლხეთის სიმძიმის ცენტრი სინამდვილეში ტრაპიზუნდი იყო, ფაზისი-ფოთი მისი პერიფერია...ლაზებს ვუხმობთ დღეს ჭანებსაც-იგივე ენის მატარებლებს... ხოლო ლაზები-ეს თვითწოდებაა ფინიკიური- პუნიკური ტომებისა, რომლებიც ჭანურ ენას ითვისებენ...ვენეტებს არქმევენ მათ თანამემამულე ეტ-

რუსკები-მეიონები, თუმცა ფინიკიელები-პუნები ამ სახელს უკადრისობენ და თვითწოდებად ლაზებს ირჩევენ...არ ვიქნები მართალი საკუთარი თავ-ის წინაშე, თუ ვიტყვი რომ სახელდების რომელიმე პრინციპი ჩემთვის უცნობია, მაგრამ მისი განხილვა მომავლისთვის გადავდოთ...ხოლო პელაზგები-ეს იმ ხალხის ეწოდათ, რომლებიც ლაზებზე-ვენეტებზე ადრე სახლობდნენ დღევანდელ ვენეციაში და რომლებიც მსოფლიო წარღვნის ობიექტი გახდნენ...თვით ეს სახელდებები არ შეიძლება ქრისტემდე XII საუკუნეზე ადრე გაჩენილიყო...შესაბამისად, ლაზუტი-სიმინდი, ფინიკიელი-ლაზი მოგზაურებისათვის საუკუნეების გასაყარზე უკვე ცნობილი იყო... დადასტურებულად კი II საუკუნეს ისინი ამერიკის კონტინენტს აღწევდნენ...ასევე შეუმცდარად შეიძლება ფაქტის კონსტანტირება, რომ სიმინდის კულტურა არმორიკელმა ლაზებმა შემოიტანეს ევროპაში-იმ ლაზებმა რომელიც წელთააღრიცხვების გასაყარზე გაანადგურა ცეზარმა... სავარაუდოდ, არმორიკის ვენეტური-ლაზური მოსახლეობის განადგურების შემდეგ არც არავის უცურავნია ამერიკის კონტინენტზე მთელი 20 საუკუნე...კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ლაზებს-ვენეტებს ამისათვის ყველა ტექნიკური საზღვაოსნო საშუალება გააჩნდათ...

არასწორი იქნება ჰიპოთეზაც კი, რომ ფინიკიელები თავიდანვე ლაზურ (კოლხურის მონათესავე) ენაზე საუბრობდნენ. ვინაიდან ფინიკიელიეს აღმოსავლეთ ქართველური ტომია...სად და როდის ითვისებენ ფინიკიელები ლაზურ ენას? ვენეტები-ვენეციაში, ადრიატიკის ზღვაზე და ენეტები-სინოპას კონცხზე, უკვე შავ ზღვაში...ამასთან, ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპირო ფაქტიურად კოლხურ-ჭანურ-მარგული ჩანს, საიდანაც არიან ალექსანდრე მაკედონელის არამაკედონური ლაშქრის ნაწილი...ილირიელი (ლაზი) მოლაშქრეები გაცილებით ადრე, ქრისტემდე IV საუკუნეს ტოვებენ ლაზურ ტოპონომებს აღმოსავლეთ საქართველოში, რომლებიც მხოლოდ ლაზურ (სინამდვილეში ჭანურ) ენაზე ხდება გასაგები... ერთი ასეთი ტოპონომია **ხორჯის** ციხე კახეთში, რომლის პირველი დასახელება უთუოდ ხოჯ-ის (ხარის-მეგრულად) ციხე უნდა ყოფილიყო....და მდინარე არაგვი, რომელსაც სრულიად სხვა სახელი უჩანს ალექსანდრე მაკედონოლის ლაშქრობისას. მოგვიანებით, ლაზების და ჭანების მდინარეს არაგვის სათავეებთან დასახლების კვალობაზე ეს სახელი დაერქვა, რაც მეგრული-ლაზურ-ჭანურ ენაზე **ეძგერეს** ნიშნავს...ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას მდინარე ალაზანის სახელის შესახებ, რაც **ალა ზანს, ზანების ალას, შესაბამისად ზანების ფრთას ნიშნავს, უთუოდ მათი ალაზანის სანაპიროზე დასახლების კვალობაზე...**და დარიალის ადრინდელი სახელწოდება **ჩორი**, სხვათაშორის დაბალი ხმოვანით...საკმარისია ერთხელ მაინც გაიარო ეს ადგილი, მინიმ-

ალური ბიოლოგიის და მეგრულის ცოდნით, რომ დარწმუნდე- ეს სახელი მეგრელის დანათლულია...

უეჭველად ზანები-პუნები ამ ენას ითვისებენ მსოფლიო წარღვნას გადარჩენილი ჭანებისაგან, მათივე მოსახლეობის ადგილზე- ვენეციაში, სადაც ქრისტემდე XIII საუკუნეს ფინიკიელები- ზანები დასახლდნენ...ზუსტად ამ მოვლენის საბუთს წარმოადგენს სტრიქონების ავტორის მიერ გაშიფრული, ვენეციაში მოპოვებული სამედიცინო ხასიათის ხელნაწერი წიგნი სახელწოდებით **„ვოინიჩის მანუსკრიპტი“** (ქრისტესით XV საუკუნე). წიგნი აღწერილია როგორც უცნობ ენაზე უცნობი ანბანით შესრულებული, რომლის წაკითხვას მრავალი ლინგვისტი თუ მოყვარული ცდილობდა თითქმის ორი საუკუნე...წიგნი გაიშიფრა ლაზურის მონათესავე მეგრულ ენაზე, არსებითი სახელები ფაქტიურად ლაზურია, თუმცა აშკარად იგრძნობა სლავურის (და სავარაუდოდ ლათინურის) გავლენაც..ილუსტრაცია და თარგმნა ამავე წიგნშია მოყვანილი...

შესაბამისად, ვენეციელები-ლაზები და ილირიელები-ალბანები ჭანურ ენაზე საუბრობენ, რომელიც ჭანისათვის მშობლიურია, ხოლო ზანებისათვის (და ილირიელებისათვის- აქ მონათესავე ტომებიც ცხოვრობენ...) ლინგვა- ფრანკა, ანუ მეზობლებთან საურთიერთობო ენა...ილირიკში ჭანების გარდა დაფიქსირებულია, ისტრები- კოლხები, ეპირელები -კოლხები, მარები და დალმატები...ოთხივე ეს ხალხი ჭანურთან მიახლოებულ ენაზე საუბრობს...(24) სავარაუდოა, რომ უკვე ქრისტედან X საუკუნიდან, ქრისტესით X საუკუნემდე მაინც, ვენცია და ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპირო- ილირიკა ლაზურ (ჭანურ) ენაზე საუბრობს...ლაზურ (ჭანურ) ენაზე საუბრობს საფრანგეთის არმორიკის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ვენეტებიც...ეს მათი აღმოჩენილი ჩანს ამერიკა, ჯერ კიდევ ქრისტემდე და მათივე ჩამოტანილი ჩანს სიმინდი, რომელსაც საკუთარ სახელს ლაზუტს-ლაზისას უწოდებენ... და მათივე დარქმეული ჩანს საოკეანო გემისათვის **კოჩა**-რაც ლაზურ-მეგრულ ენაზე კაცს ნიშნავს.....

...და ვირაკოჩა, კონ-ტიკი....

მთლიანი სახელი ვირაკოჩა გვიჩვენებს, რომ ამ სახით გაერთიანებულია რამდენიმე ღმერთი: ილია-მზის ღმერთი, კონ-ტიკსი, ვულკანური ცეცხლისა და <u>ვირაკოჩა - წყლის ღმერთი.</u> მე-15- ე საუკუნის ბოლოდან ვირაკოჩას კულტმა შეავიწროვა ადრეული მზისა და ელჭექის ღმერთები. ვირაკოჩამ და მისმა ამხანაგებმა მოიარეს მთელი ქვეყანა, იხმობდნენ ხალხს მიწის ქვეშიდან, მდინარიდან და ტბებიდან, გამოქვაბულებიდან. დაასახლეს ადამიანები მიწაზე და ამის შემდეგ გაცურეს დასავლეთისაკენ“ (Виракоча ; Уиракоча, Илья, Кон-тикси –Виракоча, ვიკიპედია)

…და პომორელების საოკეანო ბრტყელძირიანი (!) ხომალდები, რომლებიც რუსი ავტორების მიხედვით ვიკინგთა ხომალდების პროტოტიპებს წარმოადგენდა, ზედგამოჭრილი ჩრდილოეთის ცივ და ყინულოვან ზღვებში ცურვისათვის. თვით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხომალდს ზამთარში ოკეანის ყინულებზე მოუწევდა დრეიფი, ხომალდის კილის (ფსკერის) თავისებურების გამო მას ყინული ვერ ამსხვრევდა, როგორც ეს ღრმა კილიან ევროპულ ხომალდებს მოსდიოდათ: კილის შედარებითი სიბრტყელე და მისი მომრგვალება საშუალებას არ აძლევდა ყინულს მოემწყვდია ხომალდი ყინულის არტახებში და წნევით დაელეწა. ყინულის მატებასთან ერთად ის ამოაგდებდა პომორთა ხომალდებს ყინულის ზედაპირზე, სადაც ის ყინულებთან ერთად მშვიდად აგრძელებდა დრეიფს ყინულის გალღობამდე. ზუსტად ასევე, ზღვის მიქცევაში მოყოლილი ვენეტთა ხომალდები შედარებითი ბრტყელი ძირის გამო ზღვის მყარ ფსკერზე გამართულად იდგა და მოთმინებით ელოდა მოქცევის ტალღას, რომ სრულიად უვნებელი ისევ ატივტივებულიყო…განსხვავებით რომაელთა გალერეებისაგან, რომელიც ასეთ შემთხვევაში გვერდზე გადაწვებოდნენ და არცთუ იშვიათად წყალსაც ხაპავდნენ … და თავად პომორების- ფომორების (ირლანდიელების „კოლექტიური მეხსიერება“ ასე ეძახდა ზღვის ურჩხულს, რომელიც მათ პერიოდულად არბევდა) მიხედვით, ასეთ ხომალდს **„კოჩა“** ერქვა, თავად პომორები- ფინიკიელები, იგივე ვენეტები, იგივე ლაზები…

…და ვირა? რას უნდა აღნიშნავდეს ეს სიტყვა ძველ ქართულში?

1.ვირთხა- დიდი თაგვი 2. ვირ- კენტავროს, ვირ-დევთან ნახე, წელზევით კაცი, წელქვევით ვირი 3. ვირ-მოზუერი, დომბა მგონია (სულხან საბა ორბელიანი)

სამივე შემთხვევაში ვირი დიდთან ასოცირდება: პირველ შემთხვევაში- დიდ თაგვთან, მეორე შემთხვევაში- თავად დევთან და მესამე შემთხვევაში- დომბასთან, ასევე დიდრონ ხართან… და სიტყვა **ვირა** მტვირთავთა საერთაშორისო ტერმინზე მაღლას- სიდიდესთან დაკავშირებულ მცნებას გამოხატავს…

…და რას ნიშნავს გამოთქმა, ვირივით ღონირი? სასაპალნე პირუტყვს შორის ვირი ყველაზე სუსტია, მას ერევა ცხენი და ჯორი, რომ არაფერი ვილაპარაკოთ აქლემზე. ამასთან, ქართულ ხატოვან გამოთქმენში უფრო სხვა ტერმინი იხმარება- დევივით ღონიერი… აქ საერთოდ, ქართულ გამოთქმაში „ვირივით ღონიერი“ ვირი და დევი ჩანს ჩანაცვლებული…

… და „ვირა-კოჩაც“ უბრალოდ დიდ კოჩას უნდა ნიშნავდეს, მართლაც დიდ საოკეანო გემს, რომელსაც ატლანტის ოკეანის გადაცურვა შეეძლო…ზუსტად ვირაკოჩას და მისი მეზღვაურების მიერ დასავლეთისაკენ გაცურვაზეა საუბარი საკუთარი მისიის შესრულების შემდეგ ამერიკელ

ინდიელთა ეპოსში...ის რომ ვირაკოჩა თეთრკანიანი, მაღალი და ცისფერ-
თვალება პერსონაა, სწორედ მის ლაზობაზე უნდა მიუთითებდეს, თუმცა
რუსი მეცნიერები და ფანტასტები ამ არგუმენტის სათავისოდ გამოყენებ-
ას ცდილობენ...რაც შეეხება თავად ვირაკოჩას პიროვნების შემდგომ გაღ-
მერთებას და მრავალი ავტოხთონი ღმერთების თვისების მიწერას, ამაზე
თავად რუსი ავტორებიც ამომწურავად საუბრობენ...

...სვანები...

საქართველოს სინამდვილეში ამ ყველაზე მცირერიცხოვანი ტომის ისტორიის კვლევა განსაკუთრებულ სიძნეელეებთან არის დაკავშირებული, რაც კვლევის აბსოლუტურ თავისებურებასაც განაპირობებს. პირველ რიგში იმ ფაქტების სიმცირით, რომლის პირდაპირი დაკავშირება ამ ტომთან არ-ის შესაძლებელი...და არა იმიტომ, რომ ეს ფაქტები არ არსებობს, არამედ იმიტომ, რომ ამ ტომის სახელი უკვე თვით უძველეს ისტორიულ დოკუ-მენტებშიც სახელცვლილებით არის მოცემული...კვლევის შედეგების გად-მოცემის მსვლელობისას, აუცილებელი იქნება რიგი მცნებების წინასწარი დაშვება, რომელიც ამავე კვლევის პროცესში სრულიად დადასტურებული იქნება...

სვანების ტომი, რომელთა განდხარვობაზე უკვე ვისაუბრეთ, და რომელიც ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ სან-შაპტაკების, სან-შეფიცულების სახით არის მოხსენიებული, მკითხველი უკვე საქმის კურსშია. არც განდ-ხარვთა პირველ მიგრაციულ პროცესს სპარსეთის ყურეში ჩანს ეს ტომი გამოკლებული...ასევე მოწინავე პოზიციებზე დგას განდხარვთა რასის მი-ერ ჩრდილო აფრიკის ათვისების პროცესში, რომელიც შესახებაც მოგვია-ნებით ვისაუბრებთ...

...და რომელი დასახლებაა ამ ტომის კუთვნილი ჩრდილო აფრიკაში, განდხარვთა რასის რიგით მესამე განსახლების ადგილას? (იგულისხმება ინდოეთი, შემდგომ კი სპარსეთის ყურე)... ეს სომალის სახელმწიფო ჩანს. ...სომალისა იმიტომ, რომ ეს ტომი არც ერთ მიგრაციულ თუ საომარ წა-მოწყებას განდხარვებისას არ ჩამორჩენია, არც აფრიკის ჩრდილოეთი ჩანს ამ მხრივ გამონაკლისი…და რატომ სომალი?

1.ამ სახელმწიფოს სახელწოდების პირველ მარცვალში აშკარად იკთხება სონ-ამ ხალხის თვითდასახელება ცივილიზაციის განთიადზე. რაც შეეხება მეორე ნაწილს, ის მალის თემს უნდა აღნიშნავდეს-იბერებისას, როგორც ჩანს ერთ-ერთს ნახსენები 22 განდხარვული თემიდან. ამასთან, სიტყვის გამოთქმის თავისებურების გამო, პირველ მარცვალს ასო -ნ- დაკარგული უჩანს...

2. იმავე ვიკიპედიის წყაროების მიხედვით, ტომის 80 პროცენტი ლაპარაკ-ობს კუშიტურ-აფრაზიულ ენაზე

3.ქვეყანას გააჩნია სიდიდით მეექვსე ქალაქი ბერბერე და ზუსტად ეს არ-ის პირველი დაშვება, ბერბერე- ეს სვანური ტომის მეორე სახელია თურმე (როგორც ჩანს აქედანვე მოდის ანტიკური საბერძნეთისათვის ნებისმიერი არაბერძენისათვის მიკერებული ეპიტეთი- ბარბაროსი, რომელიც სათავეს უთუოდ სვანური ტომის მრისხანე და გოროზი ხასიათის გამო იღებს, რო-მელსაც არა ერთი ბიზანტიელი და რომაელი ავტორი აღნიშნავს კიდეც.

ცხადია სომალის დასახლები აფრიკაში იმავე დროს და იმავე მიგრაციულ ტალღასთან ერთად ჩანს მომხდარი, რომელიც მთელ ჩრდილოეთ აფრიკას ასახლებს, კერძოდ ქრისტემდე XIII საუკუნეს.

... და ერთ რაღაცაზე უცილობლად უნდა შევთანხმდეთ, ქრისტემდე XIII საუკუნეს სპარსეთის ყურიდან განდხარვებთან ერთად ჩრდილო აფრიკაში მიგრირებული ბერბერე ვერც ერთ შემთხვევაში ვერ იქნება თრაკიული ტომის წარმოშობისა, ასი- დღევანდელობის ოსი...

...არც ადრინდელ ექსპედიციას, მეგასთენეს სიტყვებით ჩატარებულს თარხონ ეთიოპის ხელმძღვანელობით, ჩამორჩენია სვანური ტომი, იგივე ბერბერე...არ გავიმეორებთ იმ მოსაზრებას, რატომაა მაროკო დასავლეთის ეთიოპია, რომლის შესახებ სტრაბონს მთელი გორა აბრაკადაბრისა უჩანს დახვავებული და ჰომეროსის სრული კომპეტენტურობა ამ საკითხში დამტკიცდა კიდეც, ვიტყვით მხოლოდ, რომ დასავლეთის ეთიოპია, ეს მაროკო-მავრიტანიაა...მოსახლეობის ენა-არაბული და ბერბერული... სალაპარაკო მაროკოული დიალექტი ლექსიკურად და გრამატიკულად დიდად განსხვავდება როგორც არაბული ლიტერატურული, ასევე სხვა (არამაღრიბული-არამაროკოული) არაბული დიალექტებისაგან და პრაქტიკულად გაუგებარია ახლო აღმოსავლეთის არაბული სამყაროსათვის. რაც შეეხება ბერბერულ დიალექტს, 40% მოსახლეობისა, განსაკუთრებით სოფლის რაიონებში ლაპარაკობს ბერბერული ენის სამ დიალექტზე...როგორც ზემოთ ითქვა განდხარვთა რასის დასავლეთ აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში მიგრაცია-განსხლება ქრისტემდე XXV საუკუნეს ხდება. დამეთანხმებით, ვერც ამ საუკუნეში განდხარვებთან ერთად დასავლეთ აფრიკაში განსახლებული ბერბერეს ტომი ვერ იქნება თრაკიული-ოსური ტომი...

... ფაქტები....

ქვემოთ მოყვანილი ციტატები ერთხელ უკვე იყო განხილვის საგანი წინა წიგნში, თუმცა ამჯერად მისი განხილვა მოხდება სრულიად სხვა კუთხით, კერძოდ სვანურ ტომთან მიმართებაში... საკითხის სერიოზულობიდან გამომდინარე, იგივე ციტატები ხელახლაა მოყვნილი უკვე ამ წიგნში, რამეთუ მკითხველის ყურადრება არ იქნეს დაფანტული...

...რაც შეეხება მცირე აზიაში გადასულ ხალდებს, ისინი აქ ყველასათვის საყოველთაოდ ნაცნობ შუმერულ კულტურას უდებენ საფუძველს... მაგრამ შუმერში წამყვანი ფუნქციების დათმობის შემდეგ, ბაბილონის ასევე ხალდეურ სამეფოს აარსებენ...ამ უკანასკნელზე თავის პრეტენზიას გამოთქვამენ ქრისტემდე X საუკუნეს ეგვიპტელთა მონობიდან განთავისუფ-

ლებული გორდიელები-ისტორიაში არასწორად სახელდებული ხალდებად, იგივე ქურთები და არამეველები, გვიანდელი არმენები....

ნიშანდობლივია, რომ ვიკიპედია (თავისუფალი ბიბლიოთეკა) ბაბილონის ისტორიას ქრისტენდე XVIII საუკუნეს იწყებს. თუმცა ამ საკითხზე სულ სხვა აზრისა ჩანს ბეროსი, თავად ბაბილონელი, ნამდვილი ხალდის ძე და ვარსკვლავთმრიცხველი:

„ცხოვრობს ბაბილონში სხვადასხვა ტომის ხალხები იმათგან, რომლებიც ცხოვრობენ ხალდეაში (ბეროსი, ბაბილონის ისტორია, F 1)

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ-ეს ახალი ხალდეური დინასტიაა, თუმცა ბეროსი მიგვანიშნებს, რომ ხალდები მეფობენ ჯერ კიდევ შუამდინარეთში მოსვლამდე. კსიუსუტრიდან და წარღვნიდან ის თვლის 86 მეფეს ჯამური მმართველობით 3 მირიადი 3 ათას 91 წელი:ანგარიშის მიხედვით (იხ ზემოთ) ეს 842 წელია, არც მეტი და არც ნაკლები. შესაბამისად, შუმერსა და ბაბილონში საკუთარი (ნამდვილი ხალდი) მეფეების ზეობა გაგრძელებულა 3403-842=2561 წლამდე (შესწორებული მონაცემებით 2573 წელს) და ბაბილონი ამ დროისათვის ჯერ კიდევ შუმერის პერიფერიას წარმოადგენს მხოლოდ. შემდეგ ბეროსი საუბრობს **მარების** 8 ნაცვალის ზეობაზე ბაბილონში, საერთო ვადით 224 წელი. შემდგომ უკვე სრულიად ასიმილირებული **მარების** 11 მეფის მეფობას იმავე ბაბილონში (სავარაუდოდ სრულიად შუმერშიც) და მათი მეფობის საერთო ჯამი (სავარაუდოდ) 308 წელია. ჯამური მმართველობა მარებისა 224+308 =532 წელს. **შესაბამისად, მარების ბაბილონში ზეობის წლებია ქრისტემდე 2561-2021 წლები** (შესწორებული ანგარიშით **2033** წლამდე))...ეს პერიოდი შუმერ-ბაბილონის ისტორიაში აშკარად ემთხვევა შუმერთა კულტურის აქადებით ჩანაცვლებას- მაშასადამე ისტორიაში აქადებად ცნობილი ხალხი - ეს მარებია, იგივე მარდები, იგივე მარგები და ინდურ ეპ-ოს „მახაბხარატაში“ მადრებად ცნობილი ხალხი... ისტორია მათ აქადებს უწოდებს...(ეს პერიოდი საერთოდ არასწორადაა გაშუქებული შუმერის და ბაბილონის ისტორიაში)

ამის შემდეგ, ამბობს ბეროსი, 49 ხალდეური მეფე საერთო მმართველობის 458 წლით... და ვინ არიან ეს 49 ხალდი მეფე? ქრისტემდე 2021-1556 წელი, (შესწორებული ანგარიშით (**2033-1568** წელი) ეს თარიღი, შუალედი 2033 და 1568 წელს შორის, რამდენიმე ისტორიული გამოცანის ამოხსნის გასაღებია....

„ბაბილონის დაფუძნების გარემოება და ზუსტი თარიღი უცნობია... სახელწოდება მოდის აქადური ბაბ-ილანი, რომელიც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ღმერთების კარიბჭეს“, შუმერული ანალოგი- კადინგირა. შედარებით ძველი არქეოლოგიური მონაპოვარი თარიღდება ქრისტემდე 2400 წლით ... იმ დროისათვის ქალაქი მდებარეობდა შუმერების გავლენის არეალში, თუმ-

ცა ის არაა განლაგებული შუმერთა ძირძველ ტერიტორიაზე (რაიონი კი - ენგისა) არამედ მის პერიფერიაზე კი-ურის რაიონში, რომელიც ბოლო დროს ცნობილია სახელწოდებით „აქადი“

(ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

აქ ზუსტად იმ თემაზეა საუბარი, რაც ზემოთ აღინიშნა ჩვენს მიერ: **2573-2033** წელი ბაბილონს, შუმერთა სამეფოს პერიფერიას მართავს მარებ-ის დინასტია, ისტორიისათვის ფაქტიურად უცნობი ტომი...

„ბაბილონის პირველ წერილობით ხსენებას უკავშირებენ წყაროს, რომელ-იც დაკავშირებულია აქადის სამეფოს აღსასრულთან (დაახლოებით 2200 წელი ქრისტენდე) შემდგომში ნომი ცენტრით ბაბილონი შედის უზარმაზ-არ შუმერი-აქადურ სამეფოში. ძირითად ტერიტორიას ამ სახელმწიფოსი წარმოადგენდა ყოფილი ქალაქი - სახელმწიფოები ქვემო მესოპოტამიისა (შუმერისა და აქადისა)-ურუკი, კიში, ლაგაში, ლარსა და სხვა...XXI საუ-კუნის შიდა პრობლემებმა და საგარეო ფაქტორებმა გამოიწვია შუმერო-აქადის სამეფოს რღვევა. სამეფოს რღვევა ხდება ელამიტების და სემიტ-ურენოვანი ამორეების შემოჭრით. ამ უკანასკნელებმა დაიპყრეს მესოპო-ტამია და დაარსეს დამოუკიდებელი ქალაქი-სახელმწიფოები, რომელთა რიცხვში იყო ბაბილონიც (იქვე)

უნდა განვაცხადოთ, რომ ბეროსის (ბაბილონელი სწავლულის, ვა-რსკვლავთმრიცხველის და მაგის- მემატიანის) „ბაბილონის ისტორიის“ თა-რიღების გაშიფრვა გვაძლევს საშუალებას, გაცილებით ზუსტად განისაზღ-ვროს თარიღები, დაკავშირებული ბაბილონთან: ასე მაგალითად, აქადთა სამეფოს აღსასრულის ქრისტემდე 2200 წელი არ მართლდება. ის რასაც აქა-დის სამეფოს აღსასრულად თვლის თანამედროვე ისტორია, უბრალოდ მა-რების სრული ასიმილაციის პროცესის დამთავრებაა იმავე ბაბილონში, რომლის შემდეგ, ბეროსის სიტყვებით, ზეობას ისევ მარული წარმოშობის მეფეები განაგრძნობენ. აქადების დინასტიის საბოლოო კრახს, ბეროსისვე მიხედვით, წინ უძღვის ჰურიტების და მატიენების მიერ ბაბილონის ფაქ-ტიურად მშვიდობიანი ანექსია სუბართუს იმპერიის დაფუძნებით, და მა-თივე მმართველობის 200 წლიანზე მეტი (ეს საკითხი გაშუქებულია ამავე ტომის წინა გვერდებზე და აღარ განვმეორდებით) მართველობით, ხოლო ჰიქსოსთა შემოჭრა, რომელნიც საკუთარ ხელისუფლებას შუამდინარეთსა, ბაბილონსა და ეგვიპტეზე ავრცელებს ქრისტემდე უკვე 1800 წლის სიახლ-ოვეს... ამასთან, ბაბილონზე და ეგვიპტეზე შემოტევაზე ელამიტების რო-ლი არ უნდა იკვეთებოდეს (25), რაც შეეხება სემიტურენოვან ა მორეველ-ებს, აქ ჰიქსოსთა რიგებში მყოფი ფრიგიელები, არამეველები სინდები და სხვა სემიტური ტომები უნდა იგულისხმებოდეს...

„XIX საუკუნეს ქრისტემდე, ნომი ცენტრით ბაბილონი ამორეველი ტომის,

იახრურუმის გავლენის ქვეშ იმყოფება. 1894 წელს ქრისტემდე (საშუალო ქრონოლოგიის მიხედვით) ბელადი სუმუაბუმი, შვილი დადბანაისა დაფუძნდა ქალაქში. გახდა დამფუძნებელი ბაბილონის (ამორევული) დინასტიისა. ამორეველთა მმართველობის ეპოქა მესოპოტამიის ისტორიაში აღინიშნება როგორც „ძველბაბილონური პერიოდი". თავად ბაბილონში I დინასტიის მმართველობა ხდება 1894 -1595 წლებში ქრისტქმდე (საშულო ქრონოლოგიის თანახმად) (იქვე)

...მაგრამ იმავე ბეროსის ცნობებზე დაყრდნობით, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 49 „ხალდი" მეფის მმართველობა ბაბილონში დაიწყო **2033** წელს და დასრულდა **1568** წელს...(როგორც ჩანს, სტატიის ავტორი არა შემთხვეთ აღნიშნავს, რამ თარიღები მოცემულია საშუალო ქრონოლოგიის მიხედვით...) ამავე დროს, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ბეროსისეული ის ხალდები, რომლთაც კოლხებთან ერთად ადრიატიკის ზღვის უშორეს წერტილში, ვენეციაში გაატარეს მთელი 120 წელი და წარღვნის შემდეგ შუამდინარეთში დამკვიდრდნენ შუმერების სახელით, სრულიად სხვა ხალდებია და გენეტიკურ დონეზეც კი არ უჩანთ ნათესაობა იმავე ბეროსის მიერ დასახელებულ 49 ხალდ მეფესთან და მის ხალხთან. მართალია ამ უკანასკნელებს ამორეველებად და სუტიებად ნათლავს არსებული ისტორია, მაგრამ ისინი ჰიქსოსთა სემიტური შემადგენელი მოჩანს, ფრიგიელების, არამეველების, თრაკიელების და სინდების სახით. (ებრაელები და მატიენები უკვე დიდი ხანია მცირე აზიაში ბინადრობენ)

ბეროსის მონაცემების მიხედვით შედგენილი ბაბილონის დაპყრობა უცხოტომელთა (ბეროსის მიხედვით ხალდების, სინამდვილეში ცრუ ხალდების მიერ, რომელსაც ნამდვილ, პირველად ხალდებთან არაფერი აქვს საერთო, გარდა არასწორად მიკუთვნებული სახელისა) მიერ, ქრონოლოგიურად საკმაოდ თანხვედრილია ოფიციალური ვერსასთან: ბეროსისეული 2033 წელი საპირისპიროდ ოფიციალური XXI საუკუნე ქრისტემდე მცირედ განსხვავებულია ბაბილონის განთავისუფლების ბეროსისეული 1568 წელი ოფიციალური 1595 წლისაგან. ასევე საყურადღებოა, რომ სკვითური დასახელების ფარაონი საკმაოდ გვიან ჩნდება ეგვიპტეში, რაც ამ უკანასკნელთა მიერ (რასაკვირველია სემიტური ტომების დახმარებით) ეგვიპტის გაცილებით გვიან დაპყრობა ს გულისხმობს. (ამ დაპყრობითი ხასიათის ომების შესახებ შესაბამის თავებში საკმაოდ ვისაუბრეთ და აღარ განვმეორდებით). რაც შეეხება ბაბილონს, აქ სემიტთა ის ნაწილი რჩება, რომელსაც ბეროსი ხალდებს ეძახის, ხოლო სინამდვილეში ფრიგიელები და მათივე სახლიკაცები... უნდა გავითავისოთ, რომ მთელი ეს 458 წლიანი პერიოდი ბაბილონი დაპყრობილია და ის აგრესიულ ომებს აწარმოებს იმ მეზობლების წინააღმდეგ, რომლებსაც ასეთი უიღბლობა ჯერ არ სწვევიათ:

„ამ დროისათვის ბაბილონი- უძლიერესი სამეფოა აქადის ყოფილ ტერიტ-ორიაზე , რომლის დაქვემდებარებაში იმყოფებიან ისეთი ნომები, როგ-ორიცაა კიში, სიპპარი, კავალლა, დილბატი, კუტუ, უპი, ასევე ნაკლებად მნიშვნელოვანი ქალაქები- ბორციპა, ეპიპი, ხაბუზი, კარ-უტუ, ნურიმი და სხვა...საყურადღებო ეპოქა დგება ბაბილონში მეფე ხამურაბის გამეფების შემდეგ (1792-1759)....ოცდაათი წლის რეფორმების , ძალების მოკრების, თავდაცვითი ნაგებობების აგების შემდეგ და უფრო ძლიერი მტრების ურთიერთწაკიდების შემდეგ, ხამურაბი იწყებს ფართომასშტაბიან ომებს, რის შედეგადაც მის სახელმწიფოს შეუერთდნენ მიწები შუმერისა, ასირი-ისა, რაიონები მდინარე ტიგროსის მარცხენა სანაპიროსი და ც ენტრალუ-რი ევფრატისა. ამ დროდან ხამურაბის მბრძანებლობის ქვეშ აღმოჩნდა უდიდესი უმრავლესობა მესოპოტამიის ქალაქებისა. მაგრამ შემდგომმა მე-ფეებმა ვერ შეძლეს ბაბილონის სამეფოს ამ ფარგლებში შენარჩუნება. მას-ობრივი აჯანყებები შუმერისა, აქადისა, სამხრეთისაკენ საზღვაო სახელ-მწიფოს შექმნა მთიელი ტომების- კასიტების მიერ. გადაადგილება(26) ხუ-რიტებისა, აქტივირება ელამისა და ხეთების სამეფოში- სერიოზულად გა-ართულეს ხამურაბის მემკვიდრეთა საქმე. ყველა შემდგომი მეფე ეწეოდა მძიმე ომებს საგარეო მტრებთან, ამავე დროს ახშობდნენ მრავალრიცხოვან აჯანყებებს ქვეყნის შიგნით. კულმინაციად იქცა მეფე სამოსუდიტანის ზე-ობისას ხეთების მეფე მურსილ I, რომელიც ეყრდნობოდა კავშირს ხანეის (27) სამეფოსთან (სავარაუდოდ კასიტებთან) დაამარცხა ხამურაბის თვითმ-ფლობელობა 1595 წლის სიახლოვეს ქრისტემდე და ხეთთებმა დაიპყრეს ბაბილონი და გაძარცვეს, მრავალი რამ გაანადგურეს. სამეფო მოსპობილი იყო, ხოლო სამოსუდიტანა ალბათ დაიღუპა“.

(ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია)

ამონარიდიდან ცხადი ხდება, რომ მცირე აზიის ჩრდილოეთში გა-ნლაგებული განდხარვული ტომების სამეფო ამ მცირე აზიურ დაპყრობას ხელშეუხებელი გადაურჩა. უფრო მეტიც, მცირე აზიის დაპყრობიდან გარ-კვეული დროის შემდეგ განდხარვთა ტომი (თუ ტომები) ამარცხებენ ბაბ-ილონის დამპყრობელს და არა მარტო ამარცხებენ, არამედ მცირე აზიიდან დევნიან კიდეც. ასევე მდგომარეობაზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ დამპყ-რობელ ჰიქსოსებზე შეტევა პირველად განდხარვებმა (დაუმარცხებელებმა) მიიტანეს და არა ეგვიპტელებმა ფარაონ სეკენერას ხელმძღვანელობით, რომლის გამანთავისუფლებელი მოძრაობა ათეულობით წლებით ჩამორჩე-ბა ხეთელ- ხანაანის კოალიციის მიერ ბაბილონის განთავისუფლებას და მტრის მცირე აზიიდან განდევნა (28)

ამასთან, მიუხედავად იმ აღმშენებლობისა, რომელიც ჩაატარა „ახ-ალ ხალდების“ სამეფომ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ხალდეური“ ეს დინა-

სტია ბაბილონისა არის რიგითი დამპყრობელი...მართალია ცივილიზირებული ტომებია ეპოს „მახაბარატიდან," პანჩალები და მათი სახლიკაცი სომაკები, მაგრამ მაინც დამპყრობლები და მათ არავითარი საერთო არც აქადთან, მით უმეტეს შუმერთან არ ეძებნებათ, გენეტიკური თვალსაზრისითაც კი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბაბილონის „ახალხალდეური" დინასტია-ეს სემიტებია. ფრიგიელები და არამეველები, შესაბამისად ქურთები და არმენები...

„ამის შემდეგ 8 არაბული მეფე და 245 წელიწადი (ბეროსი, ბაბილონის ისტორია)

ბეროსი აღრიცხავს 245 წელს და ეს რიცხვი გაცილებით მეტ ნდობას იწვევს, ვიდრე გარკვეული მანიპულირებით გამოთვლილი ზეობის წლები იგივე „საშუალო სიის" მიხედვით, რამეთუ ბეროსი თავად წარმოადგენს ნამდვილ ხალდს, მისი პირველადი მნიშვნელობით, შუმერთა მემკვიდრეს და ნამდვილ ვარსკვლავთმერიცხველს, რომლისთვისაც ცნობილია ვარსკვლავებზე დაკვირვების ბაბილონელთა მდიდარი გამოცდილება. ხალხი, რომელიც ვარსკვლავების მოძრაობას ათასეული წლების განმავლობაში აკვირდებოდა და იწერდა, უფრო დიდი ძალისხმევით და გულისყურით დააფიქსირებდა საკუთარ ისტორიას, რომელიც ბეროსისათვის საიდუმლოს არ უნდა წარმოადგენდეს...

ხეთების მიერ ბაბილონის აღების შემდეგ, ისტორია ბაბილონისა რთული გასაგებია. აშკარაა, რომ რომ მურსილიI-ის და ხეთების წასვლის შემდეგ ქალაქი პოლისი რაღაც დროის შემდეგ მიტაცებული იქნა ზღვისპირა მეფის (არა ზღვის ხალხებისა, ბაბილონისაგან სამხრეთით მდებარე) **გულკიშარის მიერ (ეგრეთ წოდებული ბაბილონის II დინასტია, ანუ პირველი ზღვისპირა დინასტია) ამ დროისათვის მესოპოტამიის ცხოვრებაში დიდი როლის თამაში დაიწყეს კასიტებმა- მეზობელი ზაგროსის მთიანი ოლქებიდან... პირველ ნახევარში XVI საუკუნისა ქრისტემდე აგუმ II დაიპყრო ბაბილონი, დააფუძნა იქ III დინასტია. კასიტების მმართველობა III და V დინასტიისა, ასევე I I <u>დინასტია ისინისა</u>, (27) შემოხაზავს ჩარჩოებს საშუალო ბაბილონურ, ანუ კასიტურ პერიოდს ქვედა მესოპოტამიის ისტორიაში (დაახლოებით 1595-1004 წლები ქრისტემდე) (ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია)**

...და ეს ბაბილონისაგან სამხრეთით წარმოშობილი „ზღვისპირა მეფე" სახელით გულკიშარი ვინაა? თუ დავკვირდებით, ამ ზღვისპირა დინასტიის შემდგომი მოღვაწეობა ფაქტიურად მჭიდროდაა დაკავშირებული ისინთან (ქალაქი პოლისი ძველშუმერის ტერიტორიაზე) და ლარსასთან- ამავე ტიპის დამოუკიდებელ ქალაქ პოლისთან (მკითხველის ყურადღება მინდა მივაქციო ეტრუსკთა ქალაქი პოლისების ფაქტიურ დამოუკიდებლ-

ობას, როდესაც ამ ქალაქ პოლისებს ერთმანეთთან საერთო რელიგია და სავარაუდოდ საერთო ენაც აკავშირებდა) ზუსტად ასეთი სიტუაცია ჩანს ზემოხსენებულ ქალაქებთან მიმართებაში, თვით ზღვისპირა მეფე გულკიშარის ჩათვლით. ცხადია, გულკიშარი ვერ იქნება ისინისა და ლარსას პოლისების სუზერენი, რამეთუ ეს ქალაქები არ და ვერ წარმოადგენენ ბაბილონისაგან სამხრეთით მდებარე ზღვისპირა ქალაქებს... მაგრამ მეფე გულკიშარის ბაბილონური დინასტია ისინის სახელს ატარებს...

სავარაუდოა, რომ ხეთების მეფემ მხოლოდ დაამარცხა ცრუ „ხალდები“ თუმცა ბაბილონის დასაკუთრებაზე არც უფიქრია... ბაბილონი დაიპყრო და შესაბამისად ცრუ „ხალდები“ განდევნა გულკიშარმა, ზღვათა მეფედ ცნობილმა. გულკიშარი და მისი მემკვიდრეების მმართველობა ბაბილონში კარგა ხანს უნდა გაგრძელებულიყო... იმდენ ხანს, რომ საკუთარი ბაბილონური დინასტიაც შექმნეს, ეგეთ წოდებული II დინასტია ისინისა... მოგვიანებით კასიტური ტომების მეფემ, აგუმ II დაიპყრო ბაბილონი და დააფუძნა III და V კასიტური დინასტიები...

....მაგრამ ბეროსი მხოლოდ ერთ „არაბულ“ დინასტიას აფიქსირებს, რომელიც ზეობს 245 წელი...შესაბამისად, ზღვის მეფედ ცნობილი გულკიშარი იმავე კასიტური ტომიდან უნდა იყოს...

სხვათაშორის, იგივე კასიტებს სტრაბონი არაბებად მოიხსენიებს, ისევე როგორც სკენიტებს- იბერიელებს და მესენიელებს-მოსინეკებს...

კაზუსი

ზღვისპირა ქალაქი ალოგიკური სახელით, მდებარე ბაბილონიდან სამხრეთით და მეტად მახასიათებელი სახელთ **ალანია** ფიქსირდება პამფილიის და ლიკის (დიდი ანგარიშით არგოსულ ტომებს და გელებს შორის) შეერთების ადგილას, უკვე ხმელთაშუა ზღვაზე! ...და ბაბილონის უშუალო მეზობლად! გულკიშარი-ეს ზღვის მეფე, მდებარე ბაბილონიდან სამხრეთით ზღვისპირა მდებარე ქალაქი- პოლისის, ალანიას სუზერენი შესაძლოა იყოს...

...და ეს ქვეყნები, პამფილია და ლიკია საიდან ჩნდებიან მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე? ჰეროდოტეს მიხედვით პამფილია ტროას ომიდან დაბრუნებული კალხანტის და ამფილოხის დაარსებულ ჩანს, ხოლო ლიკია კრეტადან გადმოსახლებული მინოსელების ის ნაწილია ლიკოსის ხელმძღვანელობით, რომელიც კუნძულის ფლობისათვის ბრძოლაში დამარცხდა თავის ძმა მინოსთან. ჰეროდოტეს ეს ვერსია არ და ვერ იქნება სარწმუნო თუნდაც იმიტომ, რომ მცირე აზია და სპარსეთის ყურე ფაქტიურად განდხარვთა ის ბუდობია, საიდანაც გავრცელდნენ დანარჩენ

დაუსახლებულ მსოფლიოში (თვინიერ ეგვიპტე-ხმელთაშუა ზღვის ტრასით გავრცელებული ნაწილისა). არ უნდა იყოს უცხო ჰეროდოტეს დროისათვის პამფილების-ამ არგოსული ტომის გავრცელება მცირე აზიაში, რომელსაც ფაქტიურად ორივე ტრასა აქვს ათვისებული. მიკენელები-არგოსელთა წინაპარი ნამდვილად ეგვიპტიდან მოსულები არიან, თუმცა ამას ვერ ვიტყვით მცირე აზიაში დასახლებულ პამფილებსა და მათ თემზე- ამფილოხებზე...

და ალოგიკური დასახელების ქალაქი-პოლისი ამ ორ პოლიტიკურ გაერთიანებას შორის სახელად **ალანია**...შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს სვანური ტომის ქალაქი პოლისია, საკმაოდ ადრეული პერიოდის რუქებზე გამოსახული, მაგრამ არსებობს ამ ქალაქზე გვიანდელი ცნობა, რომელიც მათ თემურ-ლენგის ლაშქრობების ეპოქას მიაკუთვნებს...თითქოსდა ქალაქის სახელი დაარსებიდან **ალალია** იყო (ჰეროდოტეს მიხედვით ფოკაიელებისიბერების ქალაქი) და მხოლოდ მოგვიანებით გადაიქცა **ალანიად**... ყველა ვერსიას აქვს არსებობის უფლება, თუმცა თემურ ლენგის ეპოქაში (და გაცილებით ადრეც) შუა აზიაში უკვე ფიქსირდება ტომი დასახელებით ალანია და რომელთა მონაწილეობა თემურის ლაშქრობებში აქსიომაა...არც მათ მიერ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მცირე აზიაში ქალაქი - პოლისის დაფუძნება ჩანს ალოგიკური.. .მაგრამ ერთადერთი და ხელშესახები ცნობა, რომელსაც ჯერჯერობით ვფლობთ, ბაბილონში მეფე გულკიშარის ზეობა (და მისი ტომის) დომინანტობაა, რომელიც ზღვისპირა მეფედ იხსენიება, თანაც ბაბილონიდან სამხრეთით...სავარაუდოა, რომ გულკიშარი მართლაც არაა სპარსეთის ყურის ზღვის ქვეყანა, სადაც ელამიტები-ქუშები დომინირებენ (გულკიშარის სამეფო დინასტია კი ისინებად იხსენიება)

ფაქტები

ისტორიაში მიღებული მოსაზრება, რომ სკვითების (ჰიქსოსების) წინააღმდეგ აჯანყება უშუალოდ ფარაონმა ტაა II სეკენერამ დაიწყო, რაც სინამდვილეს არ უნდა შეეფერებოდეს. დავიწყოთ იქიდან, რომ ფარაონ სეკენერას ზეობის ქრისტემდე 1558-1554 წლები აღინიშნება. ამავე დროს მისი მემკვიდრის, ფარაონ კამოსის ზეობის წლებად 1569-1564 წლებია ნაჩვენები.... ამასთან თავად ფარაონი სეკენერა, იგივე ფარაონი ტაა II, ფარაონ ტაა I მემკვიდრე ჩანს და სახელით თუ ვიმსჯელებთ, ზუსტად ისაა პირველი არასკვითი ფარაონი (სავარაუდოდ ზემო ეგვიპტესი) რომლის დროსაც დაიწყო ეგვიპტის გამანთავისუფლებელი მოძრაობა. აი ამტომაც ვერ დაეხმარნენ საკუთარ სატელიტებს სკვითები და ამიტომაც უჩანს სვანების ტომს ბაბილონიდან სემიტური ტომების გაძევებისათვის ხელსაყრელი დრო შერჩეული...

...და უნდა გავიაზროთ, რომ ზუსტად ამ დროს ხდება სკვითების საბოლოო განდევნა ეგვიპტიდან, რომელიც მათივე მცირე აზიიდან განდევნის პროცესით დაგვირგვინდა. პირველ შემთხვევაში სკვითებს ეგვიპტიდან დევნის დასავლეთ-ქართველური ტომები, კოლხები და მათში უხსოვარ დროს ასიმილირებული ჭანები, უკვე ეგვიპტელებად ცნობილნი, ხოლო მათივე დევნას მცირე აზიიდან უკვე აღმოსავლეთ ქართველური ტომები აგვირგვინებენ, განდხარვები... როგორც ადრე ითქვა, მცირე აზიიდან სკვითების დევნაში მცირე აზიური ყველა განდხარვულ- აფსარული ტომები მონაწილეობდნენ. ვერ ხერხდებოდა ორი უკიდურესად მილიტარისტული ტომის- აღმოსავლეთიდან სვანების და დასავლეთიდან იბერების მოძიება, თუმცა მათი არ მონაწილეობა ამ დევნა-გვემაში უბრალოდ ნონსენსია...იბერებს მივაკვლიეთ და აღვწერეთ, ხოლო სვანები:

„უსუნები- მომთაბრე ტომები ინდოირანული ან თურქული წარმოშობისა. ცხოვრობდნენ შორეულ წარსულში თანამედროვე ცინ ცზიანის (უიღურის ავტონომიური რაიონი ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთში) **ჰუნების ეპოქაში გადასახლდნენ ე.წ. შვიდმდინარეთის რაიონში** (თანამედროვე ბალხაშის და ისიკ-კულის ტბებს შორის) **უსუნების ისტორიისათვის თვალის მიდევნება შესაძლებელია ქრისტემდე II საუკუნიდან. იან შიგეს მიხედვით (ჩინელი ლიტერატორი (581-617 წ) უსუნები გამოირჩეოდნენ სხვა დასავლეთის ადგილობრივი მცხოვრებთაგან . ისინი საშუალო სიმაღლისა იყვნენ, ჰქონდათ ცისფერი თვალები და ქერა თმები...სავარაუდოდ სახლობდნენ ტბა ისიკ -კულის სანაპიროზე...უსუნები იყოფოდნენ სამ ნაწილად: აღმოსავლეთის, დასავლეთის და ცენტრალური. უსუნები აწარმოებდნენ ომებს კენგუიებთან და ჰუნუსთან საძოვრების გამო და ჰქონდათ ფართო დიპლომატიური და მოყვრული კავშირი ჩინეთთან... უსუნების საზოგადოება აღწევდა სახელმწიფოებრივ დონეს. წყაროები ასახელებენ ქალაქ უსუნს . ბინადარი უსუნები ცხოვრობდნენ მუდმივ საცხოვრებლებში, აშენებული ალიზისაგან და ქვებისაგან, ხოლო მომთაბარეები-კარვებში...მავანი ლისენკოს მიხედვით, ანტიკური ლიტერეტურა არ იცნობს არც ეთნონიმ უსუნს და იუეჩჟის და ესენი ჩინური ტრანსკრიპციაა ასებისა (?) ბარიშტმნის მიხედვით, უსუნი მასაგეტების** (განდხარვთა ტომები .ავტ) **აღმოსავლეთი შტოა...კრიუკოვის მიხედვით ეს ტრანსკრიპცია ახლოს უნდა იყოს ASUEN-თან...კუზაევის საყურადღებო მოსაზრების მიხედვით, ის უკავშირებს მათ ეთნოგენეზისს საკების ტომის კავშირს. დასაწყისში უსუნები ცხოვრობდნენ პროვინცია განსუში , იუეჩჟებთან, ხოლო მათთან უთანხმოების შემდეგ გადასახლდნენ ქრისტემდე II საუკუნეს საკი-ტიგრახაუნდების მიწებზე...მათი რიცხვი აღწევდა 630 ათასს“**

(ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

...როგორც წესი, რიცხვი უსუნებისა გაზვიადებულია, სავარაუდოდ ათჯერ გადიდებული... ეს ხალხი, უსუნი, საკუთარ თავს ASUEN-ს უწოდ-ებს, მოგვიანებით -ალანებს (ამ ეთნონიმზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ)... ძნელიც კია ამ ხალხში მცირე აზიელი **ისინი** ვერ იცნო, რომელთაც იქ მცირე აზიაში (მოგვიანებით) დატოვეს სრული თანამოსახელე ქალაქი პო-ლისი-ალანია და მეორე, ასევე თითქმის სრული მოსახელე ქალაქი პოლ-ისი- ისინი...და ლარსა...და რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანი სამტკიცია, მა-თივე გვერდით და მეზობლად მოიაზრება იბერები, საკი-**ტიგრახაუნდების** (30) სახელით შენიღბული...

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ ორი უკიდურესად მილიტა-რისტული ტომის გადადგილება მცირე აზიიდან შუა აზიაში ქრისტემდე XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხდება ...დიდი გადაადგილება და პერეტ-ურბაციები უსუნის (ბეხისტუნის წარწერებში სატრაპია გაიდარა-იგივე პა-როპარასანა) ტომს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობამდე შუა აზიის ტერიტორიიდან არც ეტყობა და მათზე საუბარი განახლდება მხოლოდ წი-ნარე ნახსენებ ლაშქრობასთან დაკავშირებით, რომელსაც ამ უკანასკნელთა-თვის გვერდი არ აუვლია... მათი შემდგომი კვალი შუა აზიასა და ევროპა-ში ადვილი წაკითხვადი ჩანს, რასაც ვერ იტყვი იბერ ტიგრახაუნდებზე, რომელთა ლომის წილი სავარაუდოდ უსუნებში ასიმილირდებიან... სტრა-ბონის მიერ ამ შუა აზიასა და კავკასიაში მიმდინარე საომარი პროცესებ-ის აღრევა და არსაწორი გაგება ხდება მიზეზი იმისა, რომ ალესანდრე მა-კედონელის საომარ ისტორიაში დაკარგულია მის მიერ კავკასიის და კა-სპიის ზღვის დასავლეთი სანაპიროს დაპყრობა თავად მდინარე ვოლგამ-დეც კი...

შუამდინარეთი სკვითების განდევნის შემდეგ

მართალია ისინის კასიტური ტომი მთავარ როლს თამაშობს ბაბ-ილონიდან სემიტი ტომების განდევნის საქმეში, დიდ როლს სკვითების მცირე აზიიდან განდევნაში, თუმცა უნდა ითქვას, რომ არც ბაბილონის მართვაზე აუღიათ ხელი:

„XIII საუკუნეს ქრისტემდე, საგარეო მდგომარეობა ქვეყანა კარდუნიაშისა (კარდუნიაში- ამ სახელით XV საუკუნის შუა ხანებში ხანებში ფიგურირ-ებს კასიტური სახელმწიფო წყაროებში) (31) რთულდება. გარდა შიდა პრო-ბლემებისა, გამომწვევი მიზეზი იყო ასირიის ამაღლება, ასევე ელამის გა-ძლიერება და ახალი მასშტაბური მიგრაციული ტალღები სემიტი მომთა-ბარეებისა, ამ შემთხვევაში არამეველებისა...მიუხედავად სამეფო რეზიდე-ნციის დურ-კურიგალზუში გადატანისა, კასიტების მმართველობისას ბა-

ბილონმა განიმტკიცა დედაქალაქის სტატუსი და აგრძელებდა ზრდას. მკვლევარები თვლიან, რომ კასიტური პერიოდის დასასრულისათვის ქალაქმა შეიძინა სიმეტრიული გეგმა და შემოფარგლული იყო დიდი სწორკუთხა კედლით <u>იმგურ- ენლილი</u>...(ბაბილონის) აღმოსავლეთ ქალაქში იყო კვარტალები კადინგირა, <u>შუანა (აქადური სუანა)</u>, კულაბი....1158 წელს ქრისტემდე, ელამელებმა შუტრუკ ნახუნტუს მეთაურობით დაიპყრეს ბაბილონი... ელამელების ბატონობა დიდხანს არ გაგრძელებულა. უკვე 1150 წელს ქრისტემდე იფეთქა აჯანყებამ მარდუკ -კაბიტ-ახკი-ცუს (29) მეთაურობით. მან შეძლო გამაგრებულიყო <u>ისინში, </u>დააფუძნა რა IV დინასტია ბაბილონის მმართველებისა, ასევე ცნობილი <u>ისინის</u> II დინასტიად. (იქვე)

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი კარდუნიაში (აქედანაა წარმომდგარი ტერმინი, კარდუხი მეომრების აღმნიშვნელი, რომელსაც შეეჯახა ქსენოფანტე და მისი 14 ათასი ბერძენი მოლაშქრე კუნაქსთან , ბაბილონის სიახლოვეს უკან დახევისას V –IV საუკუნის გასაყარზე ქრისტემდე ბაბილონის მთების ჩრდილოეთით) ქურთების ტომია, უკვე სხვა ისტორიული პროცესის შედეგად მოხვედრილი მცირე აზიაში (იხილეთ ზევით ფარაონ ჰორემხების ლაშქრობა). ამ შემთვევაშიც ბერძნულ ისტორიას საკითხი ყირაზე უჩანს შეყენებული-კასიტები, როგორც მათ მიერ დაარსებული ქალაქი პოლისების და ჩამოყალიბებული დინასტიების სახელებით მტკიცდება, სუფთა სვანურია...რაც შეეხება კარდუნიაშს და ქურთ-სომეხებს, მათ მიერ ბაბილონში ძალაუფლების მიტაცება საკმაოდ გვიან ხდება რომელიც უკვე დაფიქსირებულია ისტორიაში ცრუ „ხალდების“ სახელით. კასიტების მმართველობის თარიღსაც ზუსტად დებს ქურუმი და ვარსკვლავთნრიცხველი-ბაბილონელი ბეროსი, რომელიც რვა „არაბული“ მეფის“ და მათ მიერ 245 წლის მმართველობას ასახელებს: 1556-(245+3)= 1308 წ. ქრისტემდე.

ბეროსის მიერ „არაბ“ მეფეებად შერაცხული დინასტია სინამდვილეში სვანური დინასტიაა, რაც მათ მიერ ბაბილონში ჩატარებული აღმშენებლობითი მოღვაწეობის სახელდებითაც ირკვევა: თავდასაცავი შემომსაზღვრელი კედელი **იმგურ-ენლილი და საცხოვრებელი კვარტალი შუანა, აქადური სუანა....**

შემდგომი სამეფო დინასტიები იმავე ბეროსის მიხედვით:

„შემდეგ ისევ ასახელებს ცალკეულ მეფეებს, რიცხვით 45 და საზღვრავს მათ მმართველობის წლებს 525 წლად“ (ბეროსი, ბაბილონური ისტორიები, F-5)

უნდა აღინიშნოს, რომ „არაბული მმართველობის“ 245 წლის გარდა ამ 525 წლიდანაც ბაბილონის მმართველობის ლომის წილი ისევ და ისევ სვანურ ტომებს ეკუთვნის, ხოლო კარდუნიაშად სახელდებული ქურთები ისტორიის დამოუკიდებელ ასპარეზზე გაცილებით გვიან გამოდიან, ვიდ-

რე მიღებულია ისტორიაში. რატომ? ფარაონმა ჰორემხებმა, რომელმაც წამოასხა გაევროპულებული სემიტი ტყვეები ევროპიდან, რასაკვირველია ისინი ეგვიპტელებს დაუყენა სახელმწიფო მონებად და ამყოფა ისინი მონობაში ზუსტად იმდენი ხანი, რამდენიც მათ ადრე იძალადეს ეგვიპტელებზე. ფარაონი ნეფრუსებეკიდან, როგორც სახელი ღაღადებს, პირველი სკვითი (ქალი) ფარაონი ქრისტემდე 1793 წელი, ხოლო სკვითების საბოლოო განმდევნელი, ფარაონი კამოსი-ქრისტემდე 1550 წელი. 1793-1550= 243 წელი ზუსტად ამდენი ხანი უნდა ჰყოლოდა ეგვიპტელებს ფარაონ ჰორემხების მიერ ევროპიდან ჩამოსხმული ტყვეები მონობაში. შესაბამისად ფრიგიელები, რომლებსაც სხვებისაგან განსხვავებით (ებრაელებისა და არმენებისა) ტყვეობის ბოლო ზარამდე მოუწიათ მონებად ყოფნა (წინააღმდეგ შემთხვევაში ფარაონ ჰორემხების შურისძიებას ეგვიპტელთა მჩაგვრელების მიმართ ვერავითარი ეფექტი ვერ ექნებოდა) 1310-243=1067 წელს... ზუსტად ამ დროს უნდა იყვნენ ფრიგიელები- ქურთები და არამეველები (ალბათ მატიენებიც) განთავისუფლებულნი მონობისაგან, თუმცა რასაკვირველია მათი ამბიციები ბაბილონის ფლობისა საკმაო ხნის მერე უნდა გამომჟღავნებულიყო... თუმცა უფრო ადრე შუამდინარეთის ტერიტორიაზე ხალხთა ახლი გადასახლება მზადდებოდა, უკვე ლიდიელი ტირსენ ატისის ძის მეთაურობთ, რომელსაც არც სვანური ტომის მოხალისეების დიდი მასა აკლდა. ...და ასეთივე ლაშქრობა აფრიკისაკენ, რომლის მეთაურის-თარხონის სახელი ისტორიამ ვერ შემოგვინახა...სიტუაციიდან გამომდინარე, ამ დროიდან სვანური ტომის გზა პირობითდ იყოფა ოთხ ცალკე შტოდ: მცირე აზიური, ევროპული, აფრიკული და შუა აზიური.

ასევე ნიშანდობლივია ცოდნა ფაქტისა, რომ XIII საუკუნისათვის ქრისტემდე დაფიქსირებული პროცესი მცირე აზიის ტერიტორიაზე არამეველთა გამოჩენისა ეწინააღმდეგება ისტორიულ რეალობას: არამეველები იგივე ფრიგიელების ნაწილი არიან, ეგვიპტის ფარაონ ჰორემხების მიერ ქრისტემდე XIV საუკუნეს ტყვედ წამოსხმული ფრიგიელებთან, თრაკიელებთან, სინდებთან, მატიენებთან და ებრაელებთან ერთად. XIII საუკუნეში მათი გააქტიურება მცირე აზიის ტერიტორიაზე მხოლოდ ეგვიპტელთა ტყვეობიდან დროზე ადრე განთავისუფლებით შეიძლება აიხსნას (ისევე როგორც იზრაელის შვილებისა)

„ელამიტების ბატონობა ხანმოკლე იყო. უკვე 1150 წელს ქრისტემდე იფეთქა აჯანყებამ მარდუკ კაბიტ -ახხი ცუს მეთაუერობით. მან შეძლო გამაგრებულიყი ისინში. დააფუძნა რა IV დინასტია ბაბილონისა, ასევე ცნობილი ისინის II დინასტიად (32) პირველ წლებში კარდუნიაშის (33) აღორძინებული სამეფოს დედაქალაქად რჩებოდა ისინი. მაგრამ იტტი-მარდუკის მმართველობის დროს დედაქალაქის ტიტული გადავიდა ბაბილონში... ქა-

ლაქი თანდათანობით იწყებდა აღდგენას, დაიწყო ახალი მოკლევადიანი პერიოდი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა. დიდ საგარეო წარმატებებს აღწევს მეფე ნინურთა-ნადიმ -შუმი, რომელმაც მოახერხა მარდუკის კერპ-ის დაბრუნება, ერთ დროს წაღებული ასირიის მეფე თუქულთი-ნინურ-თა I მიერ. ამავე დროს ბაბილონის არმია აღწევდა ასირიის ცენტრში, ხო-ლო ნაბუქოდონოსორ I დროს, მათ მიაყენეს გამანადგურებელი დამარცხე-ბა ელამს და დაიბრუნეს სხვა კუმირი უმაღლესი ღმერთისა. ნაბუქოდონ-ოსორ I დროს დინასტიამ მიაღწია სიძლიერის პიკს... ფონ- ზელენის აზრ-ით, ამ მეფის მმართველობის დროს შესაძლებელია აშენებული იყო ცნო-ბილი ზიქურათი ეთემენანქე, შემდგომში ბაბილონის გოდოლის წინამძღ-ვარი... მაგრამ სახელმწიფოს ძლიერებას ნიადაგს აცლიდა მომდინარე კრი-ზისი. ისინის II დინასტიისას, გრძელდებოდა გადაცემა იმუნიტეტალური სიგელებისა მსხვილ მიწათმფლობელებზე: როგორც შედეგი ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ფენა მაგნატებისა, რომელთა ხელშიც ხვდებოდა სულ უფრო მეტი ბერკეტები მეფის შემდგომ მოქმედებაზე. ცენტრალური ხელ-ისუფლების დასუსტებასთან ერთად, უარესდებოდა ბაბილონის საგარეო მდგომარეობაც. უკვე მარდუკ -ნადინ - ახის მმართველობისას, ბაბილონი მარცხდება ასირიელებთან. ტიგლატპალასარ I შეძლო მოკლე დროით და-ეკავებინა დურ- კურიგალზუ, უპი, სიპარი და დედაქალაქიც კი, სადაც დამწვარ იქნა მეფის რეზიდენცია. მარდუკ-ნადინ-ახის მმართველობის ბო-ლოს ქვეყანაში იფეთქა შიმშილმა. მზარდი კრიზისის ფონზე, ევფრატის დასავლეთით მცხოვრები მრავალრიცხოვანი ტომი არამეელებისა (ახლამ-ეები (34) XI საუკუნის დასაწყისში მასიურად ჩამოსახლდნენ ბაბილონის და ასირიის ტერიტორიაზე. უკვე მაშინ, ამ ნახევრად მომთაბარე ტომს შო-რის შესაძლოა იმყოფებოდნენ ხალდებიც- განსაკუთრებული განტოტება არამეველებისა, რომლებმაც დაასახლეს ბაბილონიის სამხრეთი, ზღვისპი-რეთი. არამეველთა გადაადგილება დაემთხვა „ზღვის ხალხების“ შემოსევ-ას (35)...ყველა ამ პროცესების ერთობლიობამ გამოიწვია ეგრეთ წოდებუ-ლი ბრინჯაოს სუკუნის კატასტროფა. როცა მოხდა დაცემა ან დაღუპვა ყველა სახელგანთქმული მცირე აზიური სახელმწიფოებისა და ბრინჯაოს ეპოქამ დაიწყო შეცვლა რკინის საუკუნით. აცნობიერებდა რა საფრთხის მასშტაბებს, ბაბილონიისა და ასირიისა, მარდუკ- შაპიკ- ზერი და აშშურ-ბელ-კაპამ შეკრეს კავშირი, მაგრამ უკანასკნელი მეფეები ისინის II დინა-სტიისა პრაქტიკულად ვერ აკონტროლებდნენ ქვეყანას. პროგრესირებად-მა კრიზისმა მიიყვანა ასსირია, ჩარეულიყო ბაბილონის შინაურ საქმეებ-ში. და უზურპატორებად მოგვევლინნენ 1069 წლის სიახლოვე ქრისტემდე და ხელისუფლებამ ადად-აპპა-იდინისა აღიარა საკუთარი თავი ასირიის ვასალად. მაგრამ დაახლოებით 1024 წელს ქრისტემდე მოხდა მმართველი

დინასტიის ცვლილებადა ქალაქში (ბაბილონში) განმტკიცდა კასიტური დინასტია ზღვის ქვეყნიდან (Vბაბილონური დინასტია, დინასტია ზღვისპირელებისა) (36)

პირველი სამი -ოთხი ასწლეული I ათასწლეულისა ქრისტემდე ქვეყნის ისტორიაში წოდებულია ბაბილონის „შავ საუკუნეებად." ქვეყნის სახელმწიფო სისტემის დეგრადაციამ პიკს მიაღწია... მაგნატებმა საბოლოო მოაქციეს მეფე თავიანთი გავლენის ქვეშ: ბაბილონი გადაიქცა თავისებურ რესპუბლიკად, სადაც რეალურად ხელისუფლებას ფლობდნენ ოლიგარქები... სიტუაცია გაამძაფრა მომთაბარეების (უსამშობლო) ხალხის, არამეველების და ხალდების შემოსევამ, რომელმაც მიიღო სტიქიური უბედურების სახე...შედეგად ქვეყანა აღმოჩნდა უმართავი და დროებით დაკარგა დამოუკიდებლობა. (ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია)

აი ზუსტად ამ წერტილიდან, როდესაც საგრძნობი ხდება ცრუ „ხალდების" და არამეველების შემოტევა ბაბილონზე, იწყება ბაბილონის სვანური დინასტიის დაქვეითება და მათ მიერ მართვის სადავეების დაკარგვა. სულ უფრო მძიმდება ბაბილონის პოლიტიკური მდგომარეობა... უფრო ინტენსიურ ხასიათს ღებულობს მომთაბარეების (უსამშობლოთა) თავდასხმები...ერთ-ერთი რიგითი სამეფო გადატრიალების შემდეგ დამხმარეებად მოვიდნენ ასირიელები მეფე სალმანასარ II მეთაურობით მოძმე ხალხის დასახმარებლად:

„(ბაბილონელები და ასირიელები საუბრობდნენ ერთსა და იმავე ენაზე, მისდევდნენ საერთო რელიგიას და იყვნენ ერთი და იმავე კულტურული ტრადიციების მატარებლები) ამ დროიდან ბაბილონი ფაქტიურად გახდა ვასალი თავისი ჩრდილო მეზობლისა. ცდა ბაბილონელი მეფეებისა, რომ შეეცვალეთ დამყარებული სინამდვილე, დაფუძნებული იყო კავშირზე ყოფილ მტრებთან-ხალდეებთან...VIII საუკუნის შუა წლებში ქრისტემდე ასირიაში დადგა დროებითი დაქვეითების ხანა, რამაც ჩამოაშორა მისი ყურადღება ბაბილონს. საკუთარი თავის ანაბარა დარჩენილი ბაბილონი სულ უფრო იძირებოდა ანარქიაში: იმ დროის წყაროები გადმოგვცემენ უუნარობას ცენტრალური ხელისუფლებისა, ადგილობრივი ჩინოვნიკების დამოუკიდებლობას, მაროდიორობას, მიწების მიტაცებას და ღამის ხულიგნობას ქუჩებში. თავიანთი მიზნების მისაღწევად შიდაპოლიტიკურ შეჯახებებში, ოლიგარქები სულ უფრო ხშირად მიმართავდნენ მომთაბარეთა შეიარაღებულ რაზმებს. როგორც შედეგი, როლი ამ ხალხებისა, (განსაკუთრებით ხალდეებისა) ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში სულ უფრო იზრდებოდა. უკვე 60 წლებში VIII საუკუნისა ქრისტემდე ბაბილონის ტახტი გაურკვეველი ვითარებაში დაიკავა ერიბა-მარდუკმა, ხალდეური ტომის ბიტ-იაკინის წარმომადგენელმა. ის შეცვალა ნაბუ-შუმა-იშკუნმა ტომ-

იდან ბიტ-დაკკური. ხალდეური მმართველობის რიგი დაარღვია ნაბონასარის გამეფებამ, რომლის მხარდაჭერა განაცხადეს ასირიელებმა ტიგლატ-პალასარ III წინამძღოლობით მაგრამ მისი შვილი ნაბუ-ნადინი ჩამოგდებული იქნა, იმეფა რა სულ ორი წელი. დამდგარი გაურკვევლობით ისარგებლეს ხალდებმა და 732 წელს ქრისტემდე ბაბილონის ტახტი მიიტაცა ნაბუ-მუკინ-ზარიმ, ტომით ბიტ- ამუკანუს ბელადმა. ხალდეების წინააღმდეგ ისევ გამოვიდა ტიგლატპალასარ III გაანადგურა რა მოწინააღმდეგე, ასირიელი მმართვერლმა გადადგა ისტორიული ნაბიჯი დამორჩილებულ ტერიტორიებთან მიმართებაში და 729 წელს ქრისტემდე აღზევდა ბაბილონის ტახტზე სახელით ფული (ბაბილონის ისტორია, ვიკიპედია)

ზუსტად ქრისტემდე VIII საუკუნე ხდება ის გარდამტეხი მომენტი, როდესაც ბაბილონის სვანური დინასტია ჩამოცილებული ჩანს მმართველობას და მას ცრუ „ხალდი“-ფრიგიელი-ქურთი მავანი ერიბა მარდუკი იკავებს, რომლისაგან ესტაფეტას ასევე ცრუ „ხალდი“ ნაბუ-შუმა-იშკუნმა იღებს. უკვე დამყარებული ტრადიცია დარღვეული უჩანს ბაბილონური წარმოშობის ნაბონასარის გამეფებამ , თუმცა ბაბილონის ტახტი მალე ისევ ცრუ „ხალდებმა“ მიიტაცეს. საბოლოოდ, ასირიის მბრძანებელი ტიგლატფილასარ III აუქმებს ბაბილონის სახელმწიფოებრიობას და მას ასირიის საკუთარ სამეფოს უერთებს. და აი კიდევ ერთი სამტკიცი ბაბილონის სინამდვილში სვანური მმართველობის და სვანური უბნის არსებობის შესახებ:

„შუანა (აქადური სუ-ან-ნა) სამხრეთ აღმოსავლეთი რაიონი ბაბილონისა... შუანას საზღვრად ჩრდილოეთოდან ითვლება ერიდუ და საბაზრო ჭიშკარი, სამხრეთიდან ქალაქის კედელი და რაშას კარი, დასავლეთიდან მდინარე არახტუ -ევფრატი, აღმოსავლეთიდან კვარტალი TEE. შუანაში მდებარეობდა ერიხურსაგგილას ტაძარი (ნინურთას საპატივცემულოდ) და სამისნო, წოდებული არქეოლოგების მიერ ტაძარ Z, ხშირად გაიგივებული ეშასურრას ტაძართან ქალღმერთ იშხარის საპატივცემლოდ“ (ვიკიპედია, ბაბილონია)

როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ირკვევა, სვანური კლანი ქრისტემდე VIII საუკუნის მიწურულს საბოლოოდ კარგავს გავლენას ბაბილონში, რაც შეეხება ახალ ბაბილონურ დინასტიას ქრისტემდე 626-538 წლებში, ეს უკვე ნამდვილი ხალდების დინასტიაა...არ მოიპოვება ცალკეული ცნობები სვანთა „ბაბილონური“ ტომის შესახებ, თუმცა რისი მოძიებაც იქნა შესაძლებელი, ისიც საკმაოდ დიდი სირთულით მოხერხდა. ბაბილონური სვანური ტომის შესახებ ცალკეული, ფრაგმენტული მონაცემების მოძიება მაინც არის შესაძლებელი და ეს კვლევის დასაწყისსივე იქნა გაკეთებული. ბერძენი მოლაშქრე და ისტორიკოსი, ქსენოფანტე მათთან შეხვედრას აღწერს ანატოლიის ზეგანზე. ეს ეპიზოდი სრულყოფილადაა გარჩეული წინა

ტომში და აღარ გავიმეორებთ, ერთის გამოკლებით: ჩვენთვის უკიდურესად საინტერესოა ის ადგილი, სადაც ელინი მოლაშქრეები მაკრონებს-ამ სვანურ ტომს გადაეყარნენ. წინა ტერიტორია, სადაც ბერძნებმა გაიარეს, გიუმნიასია. ვარაუდია, რომ ეს დღევანდელი გიუმრი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში საკუთარი ლტოლვის გზაზე სპარსული და მისი სატრაპიების არმიებისაგან, ელინები ძალზე ჩრდილოეთით ჩანან წასული: ისინი უპირისპირდებიან არმენებს, ტაოხებს, ხალიბებს და თავად ქურთებსაც კი- კარდუხების სახელით. გიუმნიასიდან გამყოლის თანხლებით წამოსული ელინები ზღვას მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ იხილავენ და ისიც მთის წვერიდან. გიუმრის პირდაპირი ხაზით ზღვიდან 120 კმ მანძილი აშორებს... ქსენოფონტეს სიტყვებით, მათ 30 ფარსახი (165 კმ) გავლის შემდეგ იხილეს ზღვა და ეს სრული რეალობა უნდა იყოს: როგორც ჩანს გამყოლს მოლაშქრეები მიყავს არა პირდაპირ ზღვისაკენ უმოკლესი ხაზით, არამედ ტრაპეზუნდის მიმართულებით, სადაც ეს მანძილი გაცილებით მეტია და 200 კმ-ს აღწევს. ამასთან, აღნიშნული ზეგანის დაკბილული ზედაპირი მანძილს გეგმილზე, რუქაზე მნიშვნელოვნად ამცირებს. შემდეგ ელინების მიერ გავლილი მანძილი ათი ფარსახი (55 კმ) მაკრონების ტერიტორიაზე და კოლხების სანახეები, სადაც ასევე სამი დღის მგზავრობის მერე ტრაპეზუნდიდან რამდენიმე ათეულ კოლომეტრზე (7 ფარსახი=39 კმ-ს, სინამდვილეში რამდენადმე ნაკლებს, რელიეფის მთაგორიანობის გათვალისწინებით) აღნიშნული ორიენტირები მაკრონებს- სვანებს ართვინ- ერზერუმ სარიყამიშს შორის ათავსებს. მოსინეკების მონათესავე ტომი კი უკვე კოლხების გაგრძელებაზე, ტრაპიზუნდს და სინოპას კონცხს შორის ცხოვროდნენ... ეს დისპოზიცია ეხება ტომების განლაგებას ქრისტემდე V-IV საუკუნის მიჯნაზე... უცნობია ის მიზეზები, რომელმაც აღნიშნული ტომები, მაკრონები და მოსინეკები ისევ გააერთიანა და ალექსანდრე მაკედონელის კავკასიურ ლაშქრობას ჩრდილო კავკასიაში ხვდება პაროპამისელთა სახელით... ერთი უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ აქ ისინი ალექსანდრე მაკედონელს თან არ მოყოლიან.... არ მოყოლიან თუნდაც იმიტომ, რომ ალექსანდრე მაკედონელი იმ ტერიტორიებზე ლაშქრობას, რომელზედაც მაკრონები და მოსინეკებიც არიან განლაგებული, თავს არიდებს...მისი ლაშქრობის ტრასა სინოპას ნახევარკუნძულთან წყდება, უფრო მეტიც, მას სპარსეთის სატრაპია მაკა-იგივე მესხეთიც არ უჩანს დაპყრობილი, ისევ და ისევ საკუთარი დედულეთის, კოლხებთან (სომარი) კონტაქტის თავის არიდების გამო...ის, რომ ბედის ირონიით ორი პაროპამისი (სვანური ტომების საცხოვრისი) უნდა არსებულიყო, კავკასიასა და შუა აზიაში, ამაზე კიდევ მოგვიწევს საუბარი, ხოლო საქართველოში დღეს მცხოვრები სვანური ტომის გადმოყვანა ჩრდი-

ლო კავკასიიდან ბრწყინვალედ არის მოცემული ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრებაში“ და ვფიქრობთ არავითარ რევიზიას არ საჭიროებს...

...და ტირსენ ატისის ძე...

ერთხელ უკვე იყო საუბარი იმაზე, რომ ეტრუსკების -იგივე ტირსენების მიერ იტალიისა და მიმდებარე რეგიონების ათვისების თარიღის არსებული ვერსია არ და ვერ შეეფარდება მათ ნამდვილ განსახლების თარიღს ამ ტერიტორიაზე. მარტივი გაანგარიშების მიხედვით ნაჩვენები იყო, რომ ტირსენ ატისის ძის ლაშქრობა ქრისტემდე XIII საუკუნეს შედგა. ამ ლაშქრობაში, მიგრციულ პროცესში არა მარტო ლიდიელები იღებენ მონაწილეობას, არამედ სრული სპექტრი მცირე აზიის ძირძველი მოსახლეობიდან და თვით სპარსეთის ყურიდანაც კი...მინიმუმ კიდევ ორი პარალელური ექსპედიცია ჩანს ჩატარებული იმავე დროს: ჩრდილო აფრიკისაკენ და ადრიატიკის ზღის მიმართულებით...ამ უკანასკნელი მომართულებით ექსპედიციის მონაწილე ჩანან სვანების რეტიული ტომი, რომელსაც ეს სახელი ანტიკური ავტორების მიხედვით ტომის ბელადის სახელისაგნ შერჩა... ვფიქრობთ, ვერსია აბსოლუტურად რეალური და მისაღებია: მასალების ძიებისას (ეს ფარაონ ჰორემხების ეპოქას შეეხებოდა) წავაწყდი ცნობას ამ ფარაონის მიერ რეტების (სავარაუდოდ ქალაქი პოლისი) დარბევის შესახებ. თავად რეტები სტატიის ავტორთათვის უცნობი ერთეული ჩანდა, ისევე როგორც არვანი (ცნობები ფარაონის მიერ სავარაუდოდ მცირე აზიის ტერიტორიაზე რეტების პოლიტიკური წარმონაქმნის დამარცხების შესახებ, მოიპოვება პომპეი ტროგთან, ანტიკურ მწერალთან) სწორედ ეს ხალხი, რეტები წარმოადგენენ ვენეციაში ვენეტების გვერდით მცხოვრებ ხალხს... უფრო მეტიც ეს მათ უწევთ პირველი შეტაკებები გალებთან (საფრანგეთის გერმანიკული ტომები) და ამ შემთხვევაში მაპროვოცირებელად თავად რეტიის მცხოვრები მავანი არუნტი გამოდის (ეს ისტორია საკმაოდ იყო გაშუქებული წინა მასალებში) უფრო მეტიც, ამ ხალხს გააჩნდა საკუთარი პოლიტიკური წარმონაქმნი რეტიის- რეციის სახელით ანტიკურ ეპოქაში და (დღეს მისი მემკვიდრე შვეიცარიის კონფედერაციაა) გერმანიკული ტომების ზეწოლის შედეგად რეტები თანდათან კარგავენ ტერიტორიასაც და სახელმწიფოებრიობასაც... და მით უმეტეს რეტების ტომი დღესაც განზოგადოებული საზოგადოებაა, რეტიული იდენტურობით. ეს ხალხი უხსოვარი დროიდან იხსენიებოდა იგივე ეტრსუსკებად, თუმცა საკუთარი დიალექტით...და მათი სპეციფიკური ხასიათი ამჟღავნებს მათ სვანური ტომისადმი მიკუთვნებულობას- იმ დროსაც კი გამორჩეული იყვნენ მრისხანე ხასიათით:

„რეცია, ვინდელიციასთან ანუ ვინდელიკიასთან, ყველაზე დასავლური

დუნაისპირა პროვინცია რომისა, შემავალი იტალიის დიოცენოზში. შემოსაზღვრული იყო აღმოსავლეთის მხრიდან ნორიკით და ვენეტების მიწებით, სამხრეთიდან ტრანსპადანური გალიით, დასავლეთიდან გელვეტებით, ჩრდილოეთიდან გერმანიით...მის შემადგენლობაში შედიოდა სამხრეთი ნაწილი ბადენისა, ვიურტემბერგისა და ბავარიისა, ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი შვეიცარიისა, ტიროლი და ლომბარდიის ნაწილი. მთავარი მასა რეტებისა, უცილობელი ნათესავები იტალიელი რასენასი ანუ ეტრუსკისა, იკავებდნენ მათ ქვეყანას ნორიკის, გელვეციის, სენ-გოტარდის, ბადენის ტბის და მდინარე ინნის ხეობაში. რეციის მოსახლეობა დაკავებული იყო მეცხოველეობით, მეღვინეობით (37) და ნაწილობრივ მიწათმოქმედებით. 15 წელს ქრისტემდე რომის მთავრობამ გადაწყვიტა ჩრდილოეთ იტალიის საზღვრის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ავგუსტუსის გერები, ტიბერიუსი და დრუზი , გელვეტიიდან და იტალიიდან შეიჭრნენ რეციაში და ერთი საზაფხულო ლაშქრობაში დაამთავრეს შეუპოვრად მებრძოლი, მაგრამ დაქუცმაცებული მოსახლეობის წინააღმდეგობა. ბევრი ხალხი იქნა გაწყვეტილი, ბევრი ტყვედ გაყიდული. რომანიზაციის მიზნით მოსახლეობა გადაასახლეს და შეცვალე ს რომისათვის საიმედო კოლონიზატორებით (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

...და მაინც, შვეიცარიის კონფედერაცია, რომელიც ფაქტიურად იმავე ტერიტორიაზე ფუნქციონირებს, სადაც ანტიკური რეტია, ერთ-ერთ კონფედერაციულ ენად რეტო-რომანიულს აღიარებს, რომელზედაც 60 ათასამდე მოსახლეობა დღესაც ლაპარაკობს... ცალკეული ბუდობები მოიპოვება შვეიცარიის მიმდებარე რეგიონებშიც...

ფანტასტიკა?

ზუსტად ეს კუთხე, ვირტენბურგი, ბადენი და ბავარია შედიოდა შვაბების, ამ განსაკუთრებული გერმანიკული ტომის მიწებში...ვფიქრობ, დიდი ალბათობით გერმანიკული შვაბიური ტომების ფორმირებაში ლომის წილი მიუძღვის სვანურ ტომს, აქ დასახელებულებს...და ამ აზრის ფორმირებაში დასახელებების შვაბიის და შვანიის სიახლოვეს არც კი მიუძღვის დიდი წილი: როგორც ცნობილია, შვაბიის ყველაზე ცნობილი სუზერენის, ჰერცოგი ფრიდრიხ დიდის ზედწოდება ბარბაროსა იყო ... დღევანდელ მეცნიერებაში მიღებულია მოსაზრება, რომ ეს ზედწოდება მისი დიდი წვერის გამო დაენათლა (ბარბა როსა-ჟღალი წვერი) თუმცა ბერბერეს ტომი და მისგანვე მიღებული ბარბაროსა ოდითგანვე სვანური ტომის აღმნიშვნელი ეპითეტი იყო...საბოლოო სიტყვას ალბათ ძირძველი შვაბიელების და ასევე ძირძველი სვანების გენეტიკის ანალიზი თუ მოგვცემს.. .ერთი მყარ-

ად უნდა ვიცოდეთ: მიუხედავად მათი ტერიტორიული დაშორებულობისა, საერთო ისტორიული ფესვები მაინც არსებობს...

...და ისევ იტალია...

აღსანიშნავია, რომ ამავე ჟღერადობის (რეგია) ქალაქი პოლისები და თვით ტოპონომი „სუანიც“ კი უცხო არაა სამხრეთ იტალიისთვისაც და თვით ხმელთაშუა ზღვისპირა აფრიკისათვისაც, რომ არაფერი ვთქვათ ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე იმავე დასახელების ქალაქ პოლისებთან... ერთი ეგაა, რეტების-ამ ევროპული სვანური ტომის ისტორია მჭიდროდ არის გადაკვანძული ფაქტიურ თანატომელებთან, მოსინეკებთან, რომელსაც ევროპაში უკვე მესენიელებს ეძახიან (თუმცა ასევე უწოდებენ მათ ზოგიერთი ავტორი აზიაშიც) შესაბამისად მესენიელების ამ სახლიკაცების, რეტების მიერ ხმელთაშუა ზღვაზე ათვისებულ პოზიციებზე მესენიურ ტომებთან ერთად გვექნება საუბარი, რომლებიც ცდილობენ მესენიელების მორალურ თუ პირდაპირ მხარდაჭერას...

... შუა აზიური ანკლავი ალანებისა...

პირველი ცნობა სვანურ ტომებზე მაინც ანტიკურ ბერძნულ ლიტერატურაში ჩანს და არა ჩინურში:

„ამბობენ, რომ ეს ხალხი (მასაგეტები) მრავალრიცხოვანია და მამაცი, ხოლო სახლობენ ისინი აღმოსავლეთისაკენ, მზის აღმოსვლეთისაკენ, მდინარე არაქსის გადაღმა, ისედონელთა პირდაპირ“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I-201) და კიდევ:

„ისედონებს ზევით ცხოვრობენ არიმასპები, ცალთვალა ხალხი, ამათ ზემოთ ოქროს მცველი გრიფონები, ხოლო მათ ზემოთ - ჰიპერბორეები, რომლებიც აღწევენ ზღვამდე. ყველა ეს ხალხი გარდა ჰიპერბორეებისა , დაწყებული არიმასპებიდან მუდამ თავს ესხმის მეზობლებს, ისე რომ ისედონები გამოაძევეს თავისი მიწა-წყლიდან არიმასპებმა, ისედონებმა სკვითები, ხოლო კიმერიელებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთის ზღვასთამ, დატოვეს თავიანთი ქვეყანა სკვითების მიერ შევიწროებულებმა“ (იქვე, წიგნი IV-13)

ამჯერად „ცალთვალა“ არიმასპებზე და ოქროს მცველ გრიფონებზე არ ვისაუბრებთ, თუმცა ეს ტომები რეალურნი ჩანან და მათ შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ...ზუსტად ისედონები ჩანან სვანთა ის ტომი რომელსაც სკვითების დევნა ყველაზე ბოლოს აქვს შეწყვეტილი და ყველაზე შორსაც არის წასული ამ დევნაში. ჰეროდოტესეულ „ისედონებში“ სატომო

სახელი „ისინიც“ ჩანს, ისევე როგორც წყლის სახელი „დონი“ ვფიქრობ, სვანთა ეს ტომი ბალხაშ-ისიკ კულის ტბას შორის დრეიფობს, ბეხისტუნის წარწერებში ის სატრაპია გაიდარას და პაროპარასანას სახელით ფიგურირებს... ის რომ სვანები გამოაძევეს თავიანთი მიწიდან არიმასპებმა, უბრალოდ სიმართლეს არ შეეფერება: ტომი იმდენად შორეულ წარსულში ჩანს მიგრირებული ცენტრალურ აზიაში, რომ ჰეროდოტეს წყარო თუ მცირე აზიის ხალხთა ისტორიული მეხსიერება ვერ წვდება ამ მოვლენების არსს. ქრონოლოგიურად თითქმის პარალელური ცნობები მოიპოვება მათ შესახებ აღმოსავლურ თუ დასავლურ წყაროებში, მათ ასახელებს ჩინელი ლიტერატორი იან შიგე და მათი ჩინელთა თვალსაწიერში მოხვედრას თარიღად ქრისტემდე II საუკუნეს დებს (იხ ზემოთ) თუმცა უკვე ზუსტად ვიცით, რომ ისინი შუა აზიაში გაცილეებით ადრე, მთელი 14 საუკუნით ადრე მოხვდნენ. მსგავსი აზრის ამოკითხვა შეიძლება ანტიკურ ისტორიკოს სტრაბონთანაც:

„ ხოლო ყველაზე ჩრდილოეთით მცხოვრებნი ტანაისსა და ბორისფენს (დონსა და დნეპრს) -როკსოლანები. რამდენადაც ცნობილი გერმანიიდან ჩრდილოეთით კასპიის ზღვამდე წარმოადგენს ვაკეს. ცხოვრობენ თუ არა როკსოლანებს იქით რომელიმე ტომები ჩვენ არ ვიცით. როკსოლანები ებრძოდნენ კიდეც მითრიდატე ევპატორის სარდლებს ტასიას მეთაურობით. ისინი მოვიდნენ პალაკის დასახმარებლად, სკილურის შვილისა და ითვლებოდნენ მრისხანე მეომრებად. მაგრამ ნებისმიერი ბარბაროსული ხალხის მსუბუქად შეიარაღებული ბრბო უძლურნი არიან კარგად შეიარაღებული ფალანგის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევისათვის როკსოლანებმა რიცხვით 50000 კაცმა ვერ შეძლო წინააღმდეგობა გაეწია 6000 კაცისათვის, გამოყვანილი დიოფანტის მიერ, მითრიდატეს სარდალისა და დიდწილად განადგურდნენ“ (სტრაბინი 'წიგნი VII, III-17)

მკითხველს შევახსენებ, რომ სტრაბონის მიერ აღნიშნული ბრძოლა მიმდინარეობდა ყირიმის ნახევარკუნძულისათვის, სადაც სინდური-რუმინული წარმოშობის ტომები ეომებოდნენ სკვითების მეთაურს პალაკსა და მათ მაშველ როკსოლანებს ქრისტემდე 111 წელს...ვთვლი, რომ სტრაბონის მიერ აქ ნახსენენი როკსოლანები- ზუსტად ის ალანებია, რომელთა შესახებ რამდენიმე ასეული წლის წინ არაფერს გვაცნობებს მეორე დიდი გეოფრაფი-ჰეროდოტე. და მაინც, რა საფუძველი არსებობს იმისა, რომ ეს ხალხი ალანებად ჩაითვალოს, გარდა მსგავსი სახელისა და მათი ადრე აქ არ ყოვნისა?

„.. მათ შორის ცხოვრობენ სხვა ხალხები, -იაზები თუ როქსოლანები თუ რომელიმე სხვა , მოხეტიალე ფორნებზე“ (იქვე, II-4)

იაზები-ამ ტომს პირველად და უკანასკნელად ასახელებს სტრაბონი, თან მათ როკსოლანებთან შესაძლო იდენტურობასაც მიანიშნებს...სავარაუდოდ, სიტყვის იაზის ქვეშ ის ასებს გულისხმობს...

„ყველა ტომი გისტერს (დუნაის) ჩრდილოეთით საერთოდ სკვითებია... შემდეგ ალანები და როქსოლანები“ (პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ისტორია, წიგნი IV-80)

აი აქ უკვე მეორე ცნობილი ისტორიკოსი, პლინიუს უფროსი პირდაპირ მიანიშნებს ალანებისა და როქსოლანების ფაქტიურ იდენტურობას. მაგრამ სად ავღანეთის მიმდებარე ტერიტორია და სად ევროპის?

„ტაფრებს იქით მატერიკის სიღრმეში ცხოვრობენ ავხეტები (მათ მიწაზე იწყება გიპანისი-დნესტრი) და ნევრები (მათი მდინარე ბორისთენია-დნეპრი) გელონები, თისაგეტები, ბუდინები, ბასილიდები და შავთმიანი აგათირსები, მათ იქით ნომადები (მესაქონლეები) შემდეგ ანტროპოფაგები, ხოლო <u>ტბა ბუკესთან (აზოვი) სავრომატები და ესედონები (იქვე IV-88)</u>

აი აქ უკვე ყველაფერი თავის ადგილას დგება: ალანები და როქსოლანები უკვე შუა აზიიდან მიგრირებული მასაგეტების და ისედონების ნაწილი ჩანს...საინტერესოა, რომ როქსოლანების და ალანების გააქტიურება აღმოსავლეთ ევროპაში პარალელელური პროცესია მათ მიერვე ცენტრალურ აზიაში ისტორიის თვასაწიერში (ჩინურში) მოხვედრისა, რაც ტომის სიდიდესა და მრავალრიცხოვნებაზე მიუთითებს. როკსოლანების, იგივე ალანების ევროპაში მომძლავრება მათი შუა აზიის რეგიონში დასუსტებასთან პირდაპირპროპორციულია:

„ქრისტემდე 170 წელს ჰუნების ბელადმა მოდემ შეძლო მათი დამარცხება და აღმოსავლეთ თურქესტანი მიუერთა საკუთარ ქვეყანას. 160-139 წლებში უსუნები გადასახლდნენ საკ ტიგრახაუნდებთან, ე. წ. შვიდმდინარეთში, ისიკ კულის ტბის სანაპიროზე“ (ვიკიპედია, უსუნები)

საყურადღებოა, რომ ზუსტად ამ პერიოდის შემდეგ ხდება როკსოლანების გამოჩენა ყირიმთან და მათ მიერ სკვითი პალაკის, სკილურის ძისათვის დახმარების აღმოჩენის მცდელობა მითრიდატე ევპატორის სარდლებისა და ფალანგას წინააღმდეგ.

„ქრისტემდე 108-64 წლებში უსუნები ბალანსირებენ ჰუნებსა და ჩინელებს შორის. ქრისტემდე 51 წელს, საბოლოოდ დაიმორჩილა ჩინეთმა“ (იქვე)

ცხადია ჩინელების მიერ უსუნების საბოლოო დამორჩილება მხოლოდ პირობითი მცნება, მათი დიდი ნაწილი გაეცალა დამპყრობელს და როგორც ჩანს მფარველობა ხაზართა ხაკანატში ითხოვა. ზუსტად აქედანაა მათი იაზიგობა-ასობა...მოგვიანებითაც შესამჩნევია უსუნების-ალანების დასწრებულობა შუა აზიის ტერიტორიაზე, თუმცა არსებითად შემცირებულ

და უმნიშვნელო რაოდენობით (და რომელთა ეთნიკური მიკუთვნებულობა ერთ-ერთი წონადი საბუთია მათი სვანობისა)

...და რა ოფიციალური ცნობები არსებობს ალანების ტომის შესახებ? **„მდინარეები მანდრი, ხინდრი, მათ აქეთ ხორასმენი, <u>აორსები</u>, გელები (36) რომელთაც ბერძნებ ი უწოდებენ კადუსიელებს...“ (იქვე; წიგნი მეექვსე, XVIII-48)**

აქ ხოსასმების ხსენებამ არ უნდა დაგვაბნიოს პლინიუს უფროსის თხრობის მანერიიდან გამომდინარე , ხოლო აორსების გელებთან- კადუსიელებთან, იგივე ჰერებთან, ხსენება მიუცდომლად მიგვანიშნებს, აორსები სინადვილეში ხაზარები არიან და ჩრდილო კავკასიაში, გელების (დღევანდელობის ჩეჩენ-ინგუშები) მეზობლად ცხოვრობდნენ...

...ალანები...

ირანულენოვანი მომთაბარე ტომი სკვითურ- სარმატული წარმოშობისა. წერილონით წყაროებში მოხსენიებულია ქრისტემდე I საუკუნიდან აზოვისპირეთსა და წინარე კავკასიაში. ..ალანების ნაწილმა IV საუკუნეში მიიღეს მონაწილეობა ხალხთა დიდ გადასახლებაში. ტომობრივი კავშირი ალანებისა კავკასიის მთისწინეთში, გახდა ალანიის ადრეფეოდალური სახელმწიფოს საფუძველი, მონღოლების გამოჩენამდე. მონღოლებმა გაანადგურეს ალანიის პოლიტიკური გაერთიანება 1230 წლის ბოლოს და მიიტაცეს რეგიონის ნაყოფიერი სტეპები. გადარჩენილი ალანების ნაწილი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა ცენტრალური კავკასიონის ხეობებისათვის და თავად სამხრეთ კავკასიისათვის. ამ ერთმა ჯგუფმა ალანებისამ მისცა დასაბამი თანამედროვე ოსებს.

ეთნონიმი ალანი პირველად გვხვდება ქრისტემდე 25 წელს, როგორც სარმატული ტომი, რომელმა სახელმაც შეცვალა „იანცი“- (აორსი) ტომის სახელი. იანცზების სამფლობელოს გადაერქვა სახელი ალანალო, დამოუკიდებელი კენგიუისაგან. ჩვევები და ტანისამოსი მსგავსია კენგიუისა. უფრო გვიანდელ დროს ეხება ერთი საინტერესო ცნობა ჩინური წყაროებისა: ალანების მიერ ქალაქების მართვა. ეს ქვეყან ადრე მიეკუთვნებოდა კენგიუის სამფლობელოს. დიდი ქალაქი ითვლება ორმოცი, პატარები ათასამდე...

სახელწოდება ალანები იხმარება რომაელებისა და ბიზანტიელების მიერ თვით XVI საუკუნემდე (ბოლო ხსენება ალანიის ეპარქიისა ბიზანტიის ქრომიკებში.) იბნ რუსტე (903 წ) გვატყობინებს, რომ ალანები იყოფიან ოთხ თემად. ცნობილია, რომ ყველაზე დასავლეთი მათგან იწოდება ასებად. აბუ ჰამიდ ალ- გარნატი, რომელმაც ინახულა კავკასია

1150 წელს, ანსხვავებს ალანურ ენას ასებისაგან. XIII საუკუნის დასავლელი სწავლული (გიიომ დე რუბრუკი) გვიამბობს, რომ ალანები და ასები ერთი და იმავე ხალხია..

პირველი ხსენება ალანებისა გვხვდება ანტიკური ავტორების ნაშრომებში I საუკუნისა. ალანების გამოჩენა აღმოსავლეთ ევროპაში-დუნაის დაბლობზე, ჩრდილო შავზღვისპირეთში, წინარე კავკასიაში-თვლიან ჩრდილო კასპიიური სარმატული ტომების გაერთიანებას აორსების მეთაურობით. I-III საუკუნეში ალანები იკავებენ მთავარ პოზიციებს სარმატთა შორის აზოვისპირა და წინარეკავკასიის სივრცეში, საიდანაც ახორციელებენ თავდასხმებს ყირიმზე, კავკასიაში, მცირე აზიასა და მიდიაზე. ეთნიკურად არაერთგვაროვანი მსხვილი გაერთიანება ალანებისა დამარცხებულ იქნა ჰუნების მიერ, ხოლო VI საუკუნეში ავარების მიერ. ალანთა ნაწილი ღებულობდა მონაწილეობას ხალხთა დიდ გადანაწილებაში, აღმოჩნდა სამხრეთის ევროპაში (გალიაში) და თვით ჩრდილო აფრიკაში, სადაც ვანდალებთან ერთად წარმოქმნა სახელმწიფო, რომელმაც იარსება VI საუკუნის შუა ხანებამდე. VII-X საუკუნედან დიდი ნაწილი ალანიისა გადაჭიმული იყო დაღესტანიდან ყუბანამდე, შემავალი დიდი ხაზარეთის კაგანატში. დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა ომებს არაბთა ხალიფატთან, ბიზანტიასთან და სამხრეთ კავკასიასთან. გვიან ალანური კულტურის დაცემა გამოწვეული იყო თათარ-მონღოლთა შემოსევით 1238-1259 წლებში. ალანიის ვაკე, მთისწინა ნაწილები მიტაცებულ იქნა მონღოლთა მიერ. XIV საუკუნის ბოლოს წინარე კავკასიაში ჯერ კიდეც შენარჩუნებული იყო რელაქტური ჯგუფები ალანი მოსახლეობისა, რომელზედაც უმძიმესი გავლენა იქონია თემურ-ლენგის ლაშქრობამ. (ვიკიპედია, თავისუფალი ბიბლიოთეკა)

რბილად რომ ვთქვათ, ვიკიპედიის წარმოდგენილი მასალა თემის არცოდნით არის შედგენილი და ტენდენციურია:

1. ვიკიპედიის რუსულ ვარიანტში სიტყვა „იანცი“ დგას, სინამდვილეში ეს სიტყვა მხოლოდ და მხოლოდ ჩინური ჩანაწერების სახით არის შემორჩენილი და სიტყვა-სიტყვით ასე ჟღერს: იუეჩჟი ...დამეთანხმებით, საკმაოდ დიდი სხვაობაა და შორს მიმავალი ვერსიების გასამართლებლად არის მფიქრებული.

2. სახელი იუეჩჟი კუშანური ტომების, განდხარვ-აფსარების აღმნიშვნელი სახელია და არა აორსი თრაკიელების ან სკვითებისა. შესაბამისად, უსუნის მიერ იუეჩჟის დაპყრობა მხოლოდ და მხოლოდ თემების გამსხვილება უნდა იყოს იმავე საკ ტიგრახაუნდებთან, როგორც ამას ჩინური წყარო მიუთითებს.

3. მიუხედავად ვიკიპედიის სტატიის მტკიცებისა, ალანები-როკსოლანების სახელით მთელი ორი საუკუნით ადრე დაფიქსირებულია სტრაბონთან. (ასევე ოლანებს უწოდებენ მათ მოლდაველები)

4.სატომო სახელი ალანია და ქალაქი პოლისი ალანია დაფიქსირებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, პამფილიას და ლიკიას შუა, რომელიც ადრე ალალიად იწოდებოდა და უხსოვარი დროიდან ფოკეელების-იბერებისა ჩანს.

5.გარდა ზემოთ ნახსენები არაბი მოგზაურებისა, მთელი დუჟინი სხვა არაბივე მოგზაურებისა მოგვიანებით მათ ალანებად ახსენებს და არც ერთხელ ასებად

6. რაც შეეხება მრავალრიცხოვან არსების-აორსების ტომს, რომელთაც არაერთგზის ახსენებენ ანტიკური ავტორები, სტრაბონი და პლინიუს უფროსი, მხოლოდ და მხოლოდ ხაზარები შეიძლება იყვნენ, რომელთა შესახებ არც ერთთან არაა სიტყვა დაძრული. არადა ისინი მინიმუმ ოთხი საუკუნეა უკვე კასპიის ზღვის დასავლეთ და ჩრდილო დასავლეთ სანაპიროზე ოპერირებენ, მოგვიანებთ ხაზარეთის ხაკანატის სახელით.

7. ჰუნების მიერ ალანების დამარცხება შესაძლებელია კასპიის ტბის აღმოსავლეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ ტერიტორიაზე ხდება, სადაც ჩინური წყაროებით ალანთა ათასზე მეტი ქალაქია დაფიქსირებული.

8. რაც შეეხება ავარების მიერ ალანთა დამარცხებას, ცნობა აშკარად ნატყუარია: ბიზანტიური წყაროებით, ავარებმა ალანთა მეფე საროდის მიმართეს თხოვნით, რომ გაეწია შუამდგომლობა ბიზანტიის იმპერატორის წინაშე, რომ მას დაესახლებინა ავარები. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა, ავარებმა, როგორც ჩანს- სტავროპოლის მხარეში მიიღეს საცხოვრებელი მიწა და შეებრძოლნენ ბიზანტიელთა მტრებს და გაანადგურეს (თუმცა მათ ალანებთან, თავიანთ კეთილის მყოფელებთან არ უბრძოლიათ)

9. ის რომ VII-X საუკუნეში ალანეთი გადაჭიმული იყო დაღესტანიდან ყუბანამდე, აშკარა სიყალბეა. ოდნავ მოგვიანებითი ცნობები არაბი ავტორებისა მაშინდელ ალანიას ზუსტად იქ ათავსებს, სადაც დღეს მდებარეობს, უფრო მეტიც, მისგან აღმოსავლეთით ასახელებს სერირის (ჩეჩენ-ინგუშეთის) უდიდეს სახელმწიფოს, რომელიც ეომება ხაზართა მეფეს, მაგრამ მშვიდობიან დამოკიდებულებაშია ალანებთან.

10. არ ფიქსირდება ალანთა ბრძოლები არაბთა ხალიფატთან: არაბები უბრალოდ ვერ წვდებოდნენ აქამდე, ხოლო ბიზანტიასთან ალანებს ყოველთვის მეგობრული პოზიციები ეკავა.

რაც შეეხება რუსი ისტორიკოსების მიერ წამოყენებულ ვერსიას,გარკვეული საფუძველი აქაც იპოვება, თუმცა სრულიად სხვა კონტექსტში: **„ისინი, ვინც გადადიან გეოგრაფიულ აღწერაში ევროპიდან აზიისაკენ,**

ორ ნაწილად გაყოფილისას, პირველად ხვდებიან ჩრდილოეთ რაიონებში, ამიტომაც საჭიროა მისით დაწყება. ყველაზე ჩრდილოური ქვეყნიდან პირველი აღწევს ტანაისის (დონის) სანახეებს, რომელიც მიღებულია ჩემგან ევროპისა და აზიის საზღვრად... და აღწერს სტრაბონი აზიას, მათ შორის იბერიას და ალბანიას .

...მეორე ნაწილი შესაძლოა იყოს ჰირკანიის ზღვის ქვემოთ, წოდებული კასპიისად, სკვითიამდე, რომლებიც ცხოვრობენ ინდოეთის სიახლოვეს... მესამე ნაწილი მიდია, არმენია და კაბადოკია...

...ასეთი გეოგრაფიული მდგომარეობისას, პირველი ნაწილი ჩრდილოეთი ქვეყნებიდან და ოკეანიდან- ბინადრობენ რომელიღაც სკვითები და მომთაბარეები, მცხოვრებნი ოთხთვალაზე, ხოლო უფრო შორს მათგან ქვეყნის სიღრმეში -სარმატები (ასევე სკვითები) <u>აორსები და სირაკები, განვრცობილნი სამხრეთისაკენ კავკასიის მთებამდე“ (</u> სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, I, 5-7: II-1)

მკითხველისათვის გასაგები რომ იყოს, შევეცდები ავხსნა ის გეოგრაფია, რომელიც სტრაბონის დროისათვის იყო გაბატონებული: სტრაბონის ეპოქისათვის ჩათვლილი იყო, რომ ტანაისი (დონი) ერთ-ერთი ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მდინარე იყო, ხოლო კასპიის ზღვას ჩრდილო ყინულოვანი ოკეანიდან ხმელეთის საკმაოდ ვიწრო ზოლი ჰყოფს. ამასთან მანძილი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან ინდოეთამდე, არცთუ ისე დიდია...

“შემდეგ მოდის მომთაბარეები, მცხოვრები მეოტიის და კასპიის ზღვის შორის, სახელდობრ ნაბიანები და პანკრანები, ტომები სირაკებისა და აორსებისა. ეს აორსები და სირაკები წარმოადგენენ სავარაუდოდ გაძევებულ ტომებს, მცხოვრებნი მაღლა, ხოლო აორსები ცხოვრობენ სირაკების ჩრდილოეთით. აბეაკმა, სირაკთა მეფემ გამოიყვანა 20000 მხედარი (მაშინ, როდესაც ფარნაკე ფლობდა ბოსფორს) სპადინმა, აორსების მეფემ (გამოიყვანა) 200000. მაგრამ ზემო აორსებს გამოყავთ კიდევ უფრო მეტი, იმდენად რამდენადაც ისინი იკავებენ უფრო დიდ ტერიტორიას, ფლობენ რა უდიდეს ნაწილს კასპიის ზღვის სანაპიროსი“(იქვე, წიგნი XI; V-8)

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობ ფაქტს, რომ აზიის პირველ ნაწილზე ის ასახლებს იბერებს, ალბანებს, ხოლო ჩრდილოეთით ის აღრიცხავს რომელიღაც მომთაბარე სკვითებს, ოთხთვალაზე მცხოვრებლებს, ასევე სკვით სარმატებს <u>და... და აორსებს კავკასიის მთებამდე...</u>როგორც წიგნის პირველი ტომიდან ვიცით, ჩრდილო კავკასიის დომინანტი ძალა სტრაბონის ეპოქისათვის ხაზარებია, ალექსანდრე მაკედონელის თრაკიელი (ოდრისი, დიდი ანგარიშით ბულგარელი) მებრძოლები, დღევანდელ დაღეტანში, ტარკში დამკვიდრებულნი, რომელთაც ამ დროისდათვის ჩრდილო

კავკასიაში შევიწროებული უჩანთ გელები-ჰერები და ასირიელები (დღევანდელი ინგუშები და ჩეჩნები) ცხადია სტრაბონისეული აორსები-ეს მაკედონელისეული ხაზარები არიან (დღევანდელი ყაზანელი თათრები, რომლებმაც იმიერ კავკასიიდან ჯერ ასტრახანისაკენ გადაინაცვლეს, მოგვიანებით კი მათი სიმძიმის ცენტრი ყაზანი ხდება) ოპონენტებს ვთხოვ მოძებნონ სტრაბონის და პლინიუს უფროსის შრომებში ხაზარები, რომლებიც უკვე თითქმის ოთხი საუკუნეა ცხოვრობენ ჩრდილო კავკასიასა და ვოლგაზე... ვერ იპოვნიან... იმიტომ რომ ზუსტად აორსები არიან ქართველთა მიერ ხაზარებად და ტრაკიელებად წოდებული ხალხი (38) (სირაკებში სავარაუდოდ სტრაბონი ზუსტად ალანებს გულისხმობს, მით უმეტეს ახსენებს მათ ბოსფორთან და ფარნაკესთან მიმართებაში)

ის რომ ალანიის სამეფო მოხსენიებული იყო ხაზარეთის ხაკანატის შემადგენლობაში, ზუსტად იმავე დამოკიდებულების ხარისხს უნდა გამოხატავდეს, რაც ზიხიის -მცირე ხაზარეთის შესახებ. ამ ტერიტორიაზე წინა ტომში საკმაოდ ვისაუბრეთ, ის მდებარეობდა ქერჩის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილში. მიუხედავად მისი მოსახლების სრული კუთნილებისა ზიხების ტომისადმი, სადაც სავარაუდოდ მხოლოდ მმართველი ელიტა იყო ებრაული, (39) ის მცირე ხაზარეთად იწოდებოდა, ხაზარეთის ხაკანატის სატელიტად. სავარაუდიდ, ასეთივე მდგომარეობა იყო ალანიასთან მიმართებაშიც.

მეტ- ნაკლები სიზუსტით რომ გავერკვეთ ალანთა ჩრდილო კავკასიაში გამოჩენის პერიოდში, აუცილებელი ჩანს მცირე ექსკურსი ჩვენამდის მოღწეული პირველი მემატიანის, ლეონტი მროველის „ ქართლის ცხოვრებში“

ისტოორიული ექსკურსი

ხოლო შვილთა ზედა კავკასისთა იყო უფალი დურძუკ, ძე ტირეთისი. ეზრახეს ესენი ექუსთავე ნათესავთა თარგამოსიანთა და ითხოვეს შველა ხაზართა ზედა. ხოლო შეკრბეს ყოველი ნათესავი თარგამოსიანთა და გარდავლეს მთა კავკასისი და მოტყუენეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისასანი და აღაშენეს ქალაქნი პირთა ხაზარეთისას და წარმოვიდეს“ (ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, გვ-16, 2012 წ)

წინა ნაშრომიდან მკითხველს შევახსენებ, რომ ქართულ მატინეში დასახელებული დურძუკები-გელები, ჩრდილო კავკასიაში დაფუძნდნენ ქრისტემდე VII საუკუნეს (40) ხოლო ხაზარები- ალექსანდრე მაკედონელის ოდრისი-თრაკიელი მეომრები მხოლოდ 328 წელს ასევე ქრისტემ-

დე, დღევანდელი ტარკის (მახაჩყალა) ტერიტორიაზე კასპიის ზღვის სანაპიროზე. შესაბამისად, დურძუკები-გელები და ჩეჩნები მათგან შევიწროებას მხოლოდ III –II სუკუნეს თუ განიცდიან... პირველი დამარცხება ზუსტად ქართულმა საერთო ლაშქარმა მიაყენა ხაზარებს...

„მაშინ შეიერთენ და ეზრახნეს ოვსთა და ლეკთა, ხოლო მათ განიხარეს, რამეთუ არა სთნიდა ხარკისა მიცემას აზონისა, და გარდმოვიდეს ოვსნი და ლეკნი და განიმრავლეს სპანი ეგრისით“ (იქვე, გვ-27)

ეს კი უკვე ფარნავაზის ჯანყია ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაყენებული მეფისნაცვალის წინააღმდეგ და ის ზუსტად ქრისტემდე III საუკუნეს ჩანს მომხდარი. შესაბამისად, ლეონტი მროველის მიერ ნახსენები ოვსები ვერ იქნებიან ალანები (და ვერც ოვსები) რამეთუ ისინი ჯერ კიდევ არ ბინადრობენ იქ- ჩრდილო კავკასიაში. აქ უკვე ეტყობა ქართველ მემატიანეს ტერმინთა აღრევა-ის ოვსებს და ალანებს აიგივებს, თუმცა მის მიერ ნახსენები ოვსები -ალანები მხოლოდ პაროპამისელები-სვანური ტომი შეიძლება იყოს! და რატომ პაროპამისელები?

„ მაშინ საურმაგ ეზრახა ოვსთა მეფესა, მამისა დისწულსა მისსა და ითხოვა შეწევნა, ხოლო იგი სიხარულით წარვიდა შველად მისა... ხოლო ტყუენვასა მას ხაზართასა ყოველივე მშვიდობით დარჩენილ იყვნეს სიმაგრისაგან ქვეყნისა, და ვერღარა იტევდა მათ დურძუკეთი. მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანნა იგინი, ყოველივე კავკასისა ნათესავთა ნახევარნი, რომელიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დაასხა მთიულეთს დიდოელთაგან ვიდრე ეგრისამდი, რომელ არს სუანნი“ (იქვე, გვ31-32)

აქ კი უკვე ყველაფერი თავის ადგილას დგება: ვერა სთხოვდა მეფე საურმაგი დახმარებას ალან- ოვსებს, იგივე მიზეზის გამო: ისინი ჯერ კიდევ ჩრდილო კავკასიაში არ ჩამოსულან, ვინაიდან სამზეოზე მხოლოდ III საუკუნე იდგა ქრისტემდე. ამასთან, ლეონტი მროველი სვანურ ტომს კავკასის ჩამომავლებად თვლის, თუმცა რეალურად ეს ცალკე მდგომი ქართული ტომია უდიდესი და უმდიდრესი ისტორიით...(41) ზუსტად მათთვის უჩანს საურმაგს თხოვნა დახმარებაზე და ამ სამსახურისათვის აქვს დასახლებული ამიერკავკასიაში. შესაბამისად, ჩრდილო კავკასიაში ალან-ოსების შემოსვლა გაცილებით გვიანი მოვლენა უნდა იყოს და აბსოლუტურად თანხვედრილი ჩანს ალანთა ევროპაში გამოჩენის პროცესთან. საინტერესოა ვერსია ალანთა ჩრდილო კავკასიაში გამოჩენისა და დამკვიდრებისა, რომელსაც უძველესი ქართული მატიანე, ლეონტი მროველისეული ქართლის ცხოვრება ახმოვანებს:

ხოლო ოდენ პირველი გამოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენა ქვეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო მთასა კავკასისა, იყო მის თანა ძე მისი, სახელით უობოს, და ძესა მისსა მისცა ტყუე სომხითისა

და ქართლისა, და მისცა ქვეყანაი, კავკასისა ნაწილი, ლომეკის მდინარის დასავლეთამდე მთისა. და დაეშენა უობოს, და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი, და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისი.

საინტერესოა, რომ ალანთა ტომის ჩრდილო კავკასიაში გამოჩენა დროში არ ემთხვევა აქ პაროპამისელების-საქართველოს დღევანდელი სვანური მოსახლეობის ცხოვრების პერიოდს ამავე რეგიონში: ამ დროისათვის სვანური ტომი უკვე ამიერკავკასიაში ცხოვრობს.(42) ამასთან, ამოტივტივდა ის მიზეზიც, რომელმაც იმთავადვე ალანებად სახელდებული სვანური ტომი იაზიგების-ასების სახელის მოზიარეც ხდება; საქმე ისაა, რომ ხაზარები თრაკიული ტომებია, ზუსტად ისევე როგორც მიდიელები, თუმცა სვადასხვა დროს და სხვადასხვა პოლიტიკური პროცესებით მოხვედრილი კავკასიის ტერიტორიაზე: მიდები ეგვიპტის ფარაონ ჰორემხების თრაკიული ლაშქრობიდან ჩამოყვანილი ტყვეები არიან, თრაკიელი მედური ტომები ქრისტემდე XIV საუკუნეს ჩამოყვანილი, ხაზარები-ალექსანდრე მაკედონელის ოდრისი მოლაშქრეები, მთელი ათი საუკუნით მათ მერე ჩამოსახლებული იმიერ კავკასიაში, თავდაპირველად ტარკის ტერიტორიაზე, დღევანდელ დაღესტანში, მთების დასაწყისისას.. .ცხადია, ალანთა ტომი დაკავშირებული ჩანს ხაზარულ ტომებთან მხოლოდ ვასალური დამოკიდებულებით საიდანაც მათი ორმაგი დასახელებაც ღებულობს სათავეს...

და მაინც, ტომი ჯერ კიდევ მეორე საუკუნეს ალანთა სახელს ატარებს. ფაქტები? ზუსტად მათ წინააღმდეგ ბრძოლის წარმოების ტაქტიკას ეხება კაბადოკიის მეფისნაცვალის, ფლავიუს არრიანეს ტრაქტატი „დისპოზიცია ალანთა შესახებ“ და ალანებსვე ახსენებს რომაული წყაროები მაშინ, როდესაც იბერიის მეფემ ფარსმან II ისინი პართიას შეუსია... ალანების და მათი მეფის, ინდიაბუს ხალხის მრავალრიცხოვან ნასახლარებზე მდინარე ტანაისის (დონის) სანაპიროზე ყვება ვენეციელ დიპლომატი და ვაჭარი, იოსაფატ ბარბარო უკვე XV საუკუნის დამდეგს. მისი სიტყვებით ალანთა მეფე ინდიაბუ, ლტოლვილი თემურ ლენგის ურდოებისაგან, მდინარე დონის ნაპირებზე და მისგან დასავლეთით ეძებს თავშესაფარს. საინტერსოა, რომ მასვე აქვს დაფიქსირებული უკვე ყირიმის ტერიტორიაზე ალანთა პოლიტიკური წარმონაქმნი, რომელიც კაფადან (ფეოდოსია) დასავლეთით მდებარებდა, ევპატორიის მიმართულებით, გოთების (გერმანელების) გვერდით. ის მათ ასებს, იგივე ალანებს უწოდებს.

...და ევლია ჩელები, XVII საუკუნის II ნახევარი...

„აზოვის ზღვის სანაპიროზე იდგა მიუდგომელი ციხე- სიმაგრე ქვიშაზე. აქ სალსალის წინააღმდეგ იბრძოდა რამოდენიმე ათასი შახიდი. ახლა აქ

დაახლოებით ორმოცი- ორმოცდაათი წმინდა სასაფლაოა შახიდებისა, სახელობითი ფილებით. მაგრამ ციხე- სიმაგრე დაანგრია თემურ ლენგმა. შენობის ნარჩენები მოჩანს დღესაც. ნამდვილდ ეს იყო ციხე სიმაგრე ბერბერეს მიწაზე“

გაჩერება ციხე სიმაგრე ადახუნთან.

„(ციხე სიმაგრე) ააშენა გზაბნეულმა მეფე სალსალმა“

(ევლია ჩელები, მოგზაურობათა წიგნი; აღწერა ჩრდილო კავკასიისა, ვოლგისპირეთისა და დონისპირეთისა. აღწერა მიწისა თემრიუკ - კერმენი. დანგრეული ციხე- სიმაგრე ბერბერეს მიწაწყალზე, დედაქალაქი შეუპოვარი სალსალისა. 1979 წ)

ჩვენ ჯერჯერობით ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ ვის გულისხმობს თურქი მოგზაური ევლია ჩელები გზააბნეული მეფე სალსალში...და სად მდებარეობს მისი ციხე- სიმაგრეები? პირველი ციხე სიმაგრე, რომელზედაც ჩელები ლაპარაკობს, მდებარეობდა აზოვის ზღვის სანაპიროზე, მაგრამ რომელზე? წინა ეპიზოდში თურქი მოგზაური ტამანის ნახევარკუნძულზე, მის ჩრდილო ნაწილზე საუბრობს, რომელიც აზოვის ზღვის, ქერჩის სრუტის, ზღვისპირა ლიმანის და მდინარე ყუბანის მიერ ფაქტიურად კუნძულადაა ქცეული. ეს ზუსტად ის ადგილია, რომელსაც შუა საუკუნეების მოგზაურები ზიხიას, ხოლო ქართული წყაროები მცირე ხაზარეთს უწოდებს. ევლია ჩელები ამ კუნძულიდან ჩრდილოეთით ჩანს გადაადგილებული, შესაბამისად ის კუნძულს გარეთ, მისგან ჩრდილო -აღმოსავლეთით იმყოფება, უკვე აზოვის ზღვის სანაპიროზე, ბერბერეს მიწაზე... მისივე მეზობლად უნდა მდგარიყო სალსალის (მას ავტორი უკვე გზააბნეულს უწოდებს) მეორე ციხე სიმაგრე კალხასინჯაც, ჩელების დროს უკვე ადახუნად წოდებული. ჩელების ამ ამონარიდიდან ძნელია ამტკიცო ბერბერეს ტომის ეთნიკური მიკუთვნებულობა, თუმცა:

„ბერბერები არ წარმოადგენენ ეთნიკურად და ლინგვისტურად სრულიდ ერთგვაროვან მასას, ცხოვრებენ ცალკეულ ფენა-ფენად არაბებთან. ამავე დროს რაოდენობა ბერბერებისა ფასდება 20- დან 40 მილიონამდე, თუმც მხოლოდ 25-30 მილიონი ლაპარაკობს ბერბერულ ენაზე. ბერბერები წარმოდგენილია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად და წარმოადგენენ 25-30 % ალჟირელებისა, 50% მაროკოელებისა. დანარჩენი 20-25 % ცხოვრობენ ტუნისი, ლიბიაში, ეგვიპტესა და მალიში. ლიბიაში-200 ათასი, მალიში - 450 ათასი, ნიგერიაში -700 ათასი, ტუნისში -30 ათასი, მავრიტანიაში -250 ათასი. მათი ენა აფრაზიული ჯგუფისაა. ბერბერები -რიგი მოსაზრებით ევროპული წარმოშობისანი არიან. ლინგვისტური და სხვა გამოკვლევებზე დაყრდნობით, არსებობს მოსაზრება რომ ისინი წარმოადგენენ

გალთა შთამომავალს, ან აქვთ კავშირი ჩრდილო აფრიკის პირველ დამპყრობლებთან. სხვა ვერსიით, ბერბერებს გააჩნიათ საერთო ფესვები ხალხთან, რომლებმაც დაასახლეს პირენეის ნახევარკუნძული და მათ გააჩნდათ საერთო ისტორია რომის მიერ დაქვემდებარებამდე. სახელი ბერბერე დარქმეულია ევროპელების მიერ ბარბაროსების ანალოგიურად, მათი ენის გაუგებრობის გამო. თავად ბერბერეს ხალხის მიერ ეს სახელი არ გამოიყენება ე. ი. წარმოადგენს ეკზონიმს“ (ბერბერები, ვიკიპედია)

ჩრდილო აფრიკის პირველი დამპყრობელი ტეარკონ ეთიოპია, იგივე თარხონ ქუში (თუ ტერიტორიის ათვისებას დაპყრობას დავუძახებთ, თარხონ ქუშის ექსპედიცია უკაცრიელ ევროპაში მოვიდა) განდხარვთა რასის კუშიტური ქართლური ტომი სხვა განდხარვულ და აფსარულ ტომთა თანხლებით. შესაბამისად, ბერბერეს ტომიც განდხარვული ჩანს, ერთ -ერთი შვიდთაგანი....და მაინც რომელი?

„ისინიც ასევე არაბი სერსაკირის ჩამომავლები არიან და ცხოვრობენ ისინი მდინარე ჯენჯეკისა და ყუბანს შორის. მათგან ჩრდილოეთით- ურჯულო კალმიკების მიწებია, თათრებისა. ეს რაიონი ბერბერესი, სერასკირის შვილისა გადაჭიმულია ტანაისამდე (დონამდე) მათი ქვეყანა ტოლია ათი გადასასვლელისა. მათ ყავთ ოთხი ბეი-ძმები, ყოველ მათგანს გააჩნია თანაბრად ას- ასი კაბაკი. ორი მათგანი ყაბარდოს ბეის ქვეშევრდომია, ხოლო ორი დანარჩენები ემორჩილებიან დაღესტნის სულთანს. ყოველ ამ ძმა -ბეებს ყავთ ორ- ორი ათასი ჯარი. იმდენად რამდენადაც ისინი მუსულმანები არ არიან, მათ ხანდახან თავს ესხმის ფადიშაჰი დაღესტანისა“ (იქვე, აღწერა ბერბერეს ხალხისა, სერასკირის შვლისა)

...აქ უკვე იგივე ხალხი არის აღწერილი იმავე ავტორის მიერ, მაგრამ ამჯერდ ჩრდილო კავკასიაში და აწმყო დროში...ის მათ ისევე ბერბერეს უწოდებს, როგორც ადრე და მიანიშნებს მათ ფაქტიურ საზღვარსაც მდინარე დონიდან თითქმის დაღესტანამდე (დაღესტანის ქვემდებარედ ითვლება ტაუსტანელების, იგივე დურძუკეების- ინგუშების და ჩეჩნების მიწები, რომელთაც ბერბერეს ტომები ესაზღვრება) რასაკვირველია აქ ასების, აღმავალი გზით ოდრისების - თრაკიელების- ბულგარების ტომზე არ და ვერ იქნება საუბარი-ტომი ზოგიერთი მონაცემებით 100 მილიონამდე წევრს მოითვლის...

ევლია ჩელები აღწერს ბერბერეს ტომს, რომელსაც ადრეული ისტორია ალანებს უწოდებს (მათ შორის ქართულიც) (43) და მხოლოდ IX საუკუნიდან მათ ასები-ოსები ეწოდებათ. რასაკვირველია მათ ოსებად მონათვლაში ხაზართა ხაკანატის ხელდებულება უნდა თამაშობსდეს ძირითად როლს. მართალია X საუკუნიდან ხაზართა გავლენა ალანებზე უკვე ნულოვანია, თუმცა ქართული ისტორიოგრაფია ინერციით დღევანდლამდე

მათ ასეც უწოდებს. მაგრამ.. .საქმე ისაა, რომ ინდური ეპოსი ტომს ამ სახელით არ იცნობს. მართლაც ტომი ამ სახელს საკმაოდ გვიან ღებულობს, ხოლო ბერბერეს მას მხოლოდ უცხოები ეახიან...

...და წარმოადგენენ თუ არა ისინი სინამდვილეში სვანურ ტომს? ვფიქრობ, კითხვის დასმაც კი უადგილოა: კასიტებად წოდებული ტომი შუამდინარეთში, ქალაქი პოლისებით ლარსა და ისინი, ხმელთაშუა ზღვისპირა სამეფოთი (გვიან ალანიად წოდებული) რომელთა შუა აზიის ტერიტორიისაკენ გადასახლება ქრისტემდე XVI საუკუნეს სხვა განდხარვულ ტომებთან ერთად ადრე კვლევაში უკვე იყო მითითებული. მართალია ამ ტომებს უკვე იუეჩჟი და უსუნი ჰქვია, თუმცა მათი იდენტურობა ცხადი უნდა იყოს....საბუთი?

ბ. გამყრელიძის 1998 წლის გამოქვეყნებული სტატიები „ცენტრალური კავკასიის ეთნიკური ისტორიიდან“ და „მდინარე ჯეჯორას ხეობა“ უხვად გამოიყენება დვალეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები, რომელთა საფუძველზე მეცნიერულ ბრუნვაში შემოაქვს ქართული წარმომავლობის დვალური ტოპონომები: თვალეთი, თვალის ხევი, ეტნონიმი და გვარ-სახელები თვალია, თუალი (ქართველი) დარჩია, ხეთაგური, ბერიევი და სხვები. უთუოდ ბევრის მთქმელი, დამაფიქრებელი და გასთვალისწინებელია ხალხური გადმოცემები, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მთის მოსახლეობის წინაპრები დვალეთს თვალეთს ეძახდნენ, დვალზე კი „თვალს“ ამბობდნენ. საგულისხმოა ასევე ისიც, რომ დვალეთის მდინარეები, რომლებიც იქაურ მთებში იღებენ სათავეებს და მიერთვის მდინარეს, რომელიც მდინარე თერგს უერთდება. სვანურად „თერ“ თვალს ნიშნავს, „თერბი“ თვალებს. აქედან უნდა იღებდეს სათავეს მდინარე თერგის სახელი“ (ვიკიპედია)

მშვენიერი და საყურადღებო ჰიპოთეზაა, თუმცა ჰიპოთეზის უარყოფა ყოველთვის შეუძლია დაინტერესებულ მხარეს...საინტერესოა, რომ ევლია ჩელების მიერ ოთხი ძმა ბერბერეს სამფლობელოდ ნახსენები მდინარე ჯენჯეკი სრულ რეზონანსში მოდის მდინარე ჯეჯორას სახელთან...

„კუდაროელები- ეთნიკური ჯგუფი დასავლეთ ოსებისა-დვალებისა, ისტორიული მოსახლე კუდაროს ხეობისა, ჩრდილი-დასავლეთით სამხრეთ ოსეთისა. ირონებისაგან გამოირჩევიან თავისებური კუდარი- ჯავური დიალექტით, რომელიც ხანდახან ავლენს განსაკუთრებულ დიალექტს ოსური ენისას.. .კუდაროელები ითვლებიან ძირითად სახელმწიფოებრივ ეთნოსად სამხრეთ ოსეთში. კუდაროელების განსახლება მოიცავს შემდეგ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რაიონებს: კუდაროდან- ძირითადად იკავებს მიწებს კუდაროს საზოგადოებისა მდინარე ჯეჯორის აუზში (სტირდონი)

ასევე მდინარე ქვედრულას ვაკე (კოზიდონი) და მდინარე ყვირილას ზემო წელი“ (ვიკიპედია)

ვფიქრობ, ვიკიპედიის რუსული ცნობები ამჯერად სრულიად უნდა იყოს სიმართლესთან თანხვედრილი: რასაკვირველია საქართველოსკენ პირველად დვალეთის მოსახლეობას უნდა გამოეკვლია გზასავალი, რომელიც საქართველოს მიმდებარე და მასშივე შემავალი რეგიონი იყო (44)

როგორც ზემოთ იყო საუბარი, ერთ რამეში უნდა შევჯერდეთ: ანტიკური წყაროების აორსები (იგივე წყაროს იაზიგები და რუსული იარსები) მხოლოდ და მხოლოდ ხაზარები შეიძლება იყვნენ, რომელიც ამ ანტიკური წყაროებისათვის ზუსტად ამ სახელით იხსენიება და არა კუდაროელები...და აი ესენი ვინ არიან?

„ ამის შემდეგ ჰუსეინ-ბეგმა და სახიბკირანმა (თემურ-ლენგი) მოითათბირეს რა ერთმანეთთან, გადაწყვიტეს რომ ჰუსეინ -ბეგი გაემართება გარმისარ ჰირმინგში, ხოლო ბატონი სახიბკირანი გაბრუნდება თავის ოლქში. თუ მოინდომებენ ერთმანეთის ნახვას, შეხვდებიან გარმისის ჰირმანში, ტუმენთან, ბეგთან ათასი <u>ნიკუდარელების უფროსთან</u> “ (შერაფ ად- დინ ალი იაზდი; წიგნი ამირა თემურის გამარჯვებებისა, წიგნი I: მასზე, რომ ბატონი საჰიბკირანი გამოეყო ჰუსეინ-ბეკს და გაემართა კეშისაკენ. 2008 წ) გარმისარ ჰირმინდა, გარმისარის ოლქი მდინარე ჰირმინდისა (დღევანდელი ჰილმენდი ავღანეთში)

ცხადია, ხაზარებს (აორსებს) ავღანეთში არც არასდროს არაფერი ესაქმებოდათ: ეს სვანთა, ალანთა ტომის ავღანეთში დარჩენილი ნაწილი ჩანს, რომელსც ჩრდილო კავკასიაში კუდაროელებს, იგივე დვალებს უწოდებდნენ. თვით მათი გაჯერება აორსული (ხაზარული) ელემენტით ნულოვანი ჩანს, რამეთუ კავკასიის მთისწინეთში გამოჩენისას ისინი ალანთა ტომის სრულიად და საბოლოოდ ჩამოყალიბებილი ნაწილი ჩანს...რაც შეეხება დიგორელებს, განსხვავებული დიალექტის მქონეთ: ამავე ისტორიის ჩინურ ვარიანტში (ვიკიპედიის ცნობით,იხ. ზემოთ) შემონახულია ცნობება, რომ უსუნი დამკვიდრდა შვიდმდინარეთში, ისიკ-კულის ტბასთან, საკი ტიგრახაუნდების მიწაზე და მათსავე გვერდით- ცხადია ტერმინ ტიგრახაუნდების ქვეშ იბერიელები იგულისხმება:

„მდინარე არდონი გამოყოფს ამ თემს, რომელსაც ბადილი ეწოდება, გამოყოფს ოსთა სხვა თემებისაგან. ეს ხალხი არა მარტო ლაპარაკობს საკუთარ ოსურ დიალექტზე, რომელი დიალექტითაც ის გამოირჩევა სხვა ოსებისაგან , <u>არამედ ძველ ქართულ ენაზეც.</u> გარდა ამისა, მათი თვისებაა კეთილისმყოფელობა, ასე იშვიათი დასავლეთ კავკასიისათვის, სახელდობრ-ისინი ძალიან შრომისმოყვარეები არიან, მშვიდობისმოყვარულნი და მშვიდნი“ და აქვე შენიშვნა: **ბადილი -იგულისმება დიგორელები, სადაც**

ზეობდა ფეოდალთა გვარი ბადილატა (იაკობ რეინეგსი 1778-84 წელი. გამოშვება 1967 წლისა)

დავიწყებული გენოციდი ჩრდილო კავკასიაში

ნიკონის მატიანე 1563 წლისა გვიამბობს „და თემრიუკმა (თემრიუკ იდაროვი) სახელმწიფო ხალხით, გამოხატა რა არამეგობრული დამოკიდებულება და საკუთარ ნებას დაუქვემდებარა ისინი, ომობდნენ შაპშუკის ულუსთან და ომობდნენ ისინი თერთმეტი დღე, აიღეს კაბაკები მშანებისა და სონებისა, ას სამოცდა ოთხი, ბევრი ხალხი დახოცეს და დაატყვევეს“ კომენტირებს რა ტერმინ სონებს, ე. ნ. კუშევი წერს: დოკუმენტები XVI საუკუნის ბოლოსი და XVII საუკუნისა გვაძლევს ცნობას „სონების კაბაკის“ გასაგებად. სონები-რუსულ წყაროებში ეს სვანებია, რომელთა აღსანიშნავად რუსებმა აიღეს ქართული ფორმა მათი დასახელებისა.

ბ.დ. გაზიკოვის მიხედვით, ანალიზის საფუძველზე ოსური და ინგუშური ფოლკლორისა, მიდის დასკვნამდე რომ სონების ქვეშ იგულისხმება დასახლება მდინარე სუნჯასა და თერგს შორის, ნაწილობრივ თერგის მარცხენა სანაპიროზე. ასევე გაზიკოვი დამაჯერებლად აჩვენებს, რომ სონები და სანები ოსურ ფოლკლორში იწოდება ხალხად, მცხოვრები ოსების ტერიტორიაზე ირონების მოსვლამდე. ლ . ლ. ლავროვი ფიქრობს, რომ საბრძოლო მოქმედებას სამეფო ჯარი ახორციელებდა მდინარე ყუბანის ზემო წელში. ლავროვმა ა. ი. გამოავლინა ზემო ყუბანისპირეთში ქალაქი შონა, მდინარე შონა და ქრისტიანული ეკლესია შოანი. ოფიციალურ რუსულ წყაროებში 1743 წლისა, მან აღმოაჩინა ყუბანისპირეთში სონების ხალხი. ლავროვის მიხედვით, სახელწოდება შოანი უთანაბრდება უცნობი ხალხს- მშანებსს დოკუმენტიდან, ხოლო სონები თანამედროვე სვანებს, რომელთაც ამ დრომდე ყაბარდოელები უწოდებენ სონე-ს, ჩეჩნები შონას.

„ნიკონის“ მატიანე მოიცავს საინტერესო ცნობას XVI საუკუნის ცენტრალური კავკასიის შესახებ. ინფორმაცია მოიცავს მონაყოლს იმაზე, რომ ყაბარდოში გაიგზავნა სამეფო რაზმი (500 მსროლელისა და 500 კაზაკისა) გრიგორი პლაშევისა. სექტემბერში 1562 წელს "სახელმწიფო ხალხი“ ივანე მრისხანეს ბრძანებით გადავიდნენ ჩრდილო კავკასიაში თემრიუკ იდაროვის დახმარების მიზნით. რაზმს უნდა გამოეცხადებინა თანადგომა თემრიუკის ძალაუფლების განსამტკიცებლად მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ, რომელთაგან მეტნაკლებად მძლავრად ითვლებოდა პშიაშიკუ კაიტუკინიშაფსუღი. რუსული ჯარის საშუალებით თემრიუკი იბრძოდა შაფსუღების ულუსთან, ასევე იბრძოდა ტატების მიწაზე სკინების ქალაქის ახლოს და აიღო სამი დიდი ქალაქი: მახონი, ქალაქი ენგირი, და ქალაქი კავნი, ხო-

ლო მირზა (აზნაური) ტელიშკუ მოკლეს, და სხვა მრავალი ხალხი. იბრძოდნენ ამ მიწაზე 11 დღე და აიღეს კაბაკები მშანებისა და სონებისა ას სამოცდა ოთხი და მრავალი ხალხი დახოცეს და ტყვედ აიყვანეს ოთ-ხი მურზა: ბერნაკი, ეზდნოური, ბურხან და დუდილი. ამ ყაბარდოული ლაშქრობისას აღებული 164 კაბაკი მოწმობს იმაზე, რომ მოქმედება მიმდ-ინარეობდა საკმაოდ დიდ ფართობზე...

წინამდებარე მატიანე ნიკონისა განხილულია უაღრესად არაპროფე-სიონალურ დონეზე, ტენდენციურად და მე ვიტყოდო ნამდვილი მიზანმი-მართული გაყალბებით, ისევე როგორც ქალაქ ბატის ბათუმად წარმოჩენ-ის მცდელობა (იხ. პირველი ტომი)...უნდა აღინიშნოს, რომ ნიკონისეული მა-ტიანის აღნიშნული ფურცლის სრულყოფილად გასაშიფრად ის ფუძე მასალ-ების ცოდნაა აუცილებელი, რომელიც პირველ ტომში იყო განხილული კე-რკეტების და ჯიქების აბრავიატურით...

…ეს ხალხი ქრისტემდე III საუკუნიდან ცხოვრობენ შავი ზღვის ჩრდი-ლო სანაპიროზე კერკეტების სახელით...როგორც ჩანს, ჯიქების მჭიდრო მე-ზობლობით შეწუხებულნი ამოძრავებულნი ჩანან ჯერ შავი ზღვის გაყოლ-ებით ქერჩამდე, ხოლო შემდეგ გადანაცვლებული ჩანან ზაბაკის (აზოვის) ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ. დროთა განმავლობაში შემოვლილი უჩ-ანთ აღნიშნული ზღვისათვის და განსახლებულნი ყირიმის ნახევარკუნძ-ულზე. ისინი თანცხოვრობენ ყირიმელ თათრებთან (დავით აღმაშენებლი-სეულ ყივჩაღყოფილებთან) მაგრამ XV საუკუნეში ყირიმის ნახევარკუნძუ-ლის ოსმალთა მიერ დაპყრობასთან დაკავშირებით მიგრირებულნი ჩანან უკვე კავკასიის მთიანეთის ჩრდილო კალთებზე. ფრანკებისაგან (სინამდვ-ილეში ჯიქებისაგან) არატრადიციული გასამრჯელოს ფასად (ყაბარდოელ-თა ბელადის ცოლი მოეწონა „ფრანკთა“ ბელადს და ამ უკანასკნელმაც ცო-ლის დათმობის ფასად მიიღო გარკვეული ტერიტორიები(იხ. I ტომი, კერ-კეტები) ...და აი აქ იწყება ის პროცესი, რომელსაც მივყავართ ზუსტად იმ ყაბარდოულ ომებამდე, რომელიც ნიკონის მატიანეში არის აღწერილი... ყა-ბარდოელები, მოქცეულნი რამდენიმე მძლავრს ტომს შორის, პოლიტიკუ-რი „პარიას“ (უეშვო მამალი სპილო) როლში აღმოჩნდნენ…მაგრამ მოულო-დნელად ყაბარდოელებს და მათ ბელადს, თემრიუკ იდაროვს კოჭი „ალჩ-უზე“ უჯდებათ: მეფე დიდი რუსეთისა, ივანე მრისხანე ცოლად ირთავს ჩერქეზი ბელადის ქალიშვილს, მარია თემრიუკოვას 1545 წელს...მართალია ოფიციალურ წყაროებში ამ ქორწინებს ბოლოდ 1546 წელს ასახელებენ, თუ-მცა ეს ნაკლებად უნდა შეესაბამებოდეს სინამდვილეს:

1. ივანე მრისხანემ შემდეგი ცოლი მხოლოდ 1571 წელს შეირთო, მას შემ-დეგ როცა მარია თემრიუკოვა ოფიციალურად უკვე გარდაცვლილი იყო

1569 წელს. შესაბამისად ის გარდაცვალებამდე რუსეთის დედოფალი უნდა ყოფილიყო.

2. ის რომ მარია თემრიუკოვა საკმაოდ დიდხანს უნდა ყოფილიყო ივანე მრისხანის ცოლი, ჩანს იმ ფაქტიდანაც, რომელსაც აღწერს რუსი გენერალი დუბროვინი, რომ ყაბარდოელები დიდხანს სარგებლობდნენ რუსულ სახელმწიფოში პატივისცემით და სიამოვნებით მიდიოდნენ რუსულ საოფიცრო სასწავლებელშიც.

3. მარია ტემრიუკოვა დაკრძალულ იქნა კრემლში, რომელიც ალბათ მხოლოდ რუსეთის მეფე-დედოფალთათვის უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული.

4... და ალბათ არც ერთი მონარქი არ შეიწუხებდა თავს სიმამრყოფილის აღზევებისათვის საკუთარი ჯარის ნაწილები გაეგზავნა მისივე პოტენციური ხელქვეითების ასაწიოკებლად 1563 წელს...

აი ასეთი წინა პირობები არსებობდა ივანე მრისხანის მიერ თემრიუკ იდაროვისათვის გაწეული დახმარებისათვის, 500 მსროლელისა და ხუთასი კაზაკის გაგზავნით ... და ამ რეგულარულმა არმიამაც, ნიკონის მიერ წოდებულმა სახლმწიფო ხალხად, შეასრულეს მათთვის დავალებული ამოცანები, კერძოდ:

1. შაფსუღების ნაწილი და მათი თავადი კაიტუკინი, რომელსაც ნიკონის მატიანე უმძლავრეს ფეოდალს და თემრიუკის უპირველეს მოწინააღმდეგედ ასახელებს, დამარცხებული და ინკორპორებული იქნა ყაბარდოს შემადგენლობაში: გენერალი დუბროვინი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსაც კი კაიტუკინს მცირე ყაბარდოს თავადად მოიხსენიებს -ცხადია მცირე ყაბარდო ყოფილი შაფსუღები უნდა იყვნენ, რომელთა კაბაკების (მცირე სოფლები) დაწიოკებაზეც ნიკონის მატიანე არაფერს არ ამბობს, შესაბამისად შაფსუღთა ნაწილი უკვე მცირე ყაბარდოდ იხსენიება. უნდა გავითავისოთ, რომ პოლიტიკრი ერთეული კარაჩაევო-ჩერქეზია გაცილებით გვიან შექმნილი ფედერაციულ- ტერიტორიული სტრუქტურაა, რომლის ძირითადი ნაწილი (ჩერქეზებად წოდებული ჯიქები) აქ ზღვისპირიდან XVIII საუკუნეს არიან გადმოსახლებულნი. შესაბამისად ყაბარდოელებს შაფსუღებთან უჩანთ შეხების წერტილები და მათივე წინააღმდეგ ილაშქრებენ რუსული საიმპერიო ჯარის დახმარებით...

2. არასწორადაა ინტერპრეტირებული ნიკონის მატიანე იმ ნაწილში, რომელშიც ის ერთიმეორის გვერდით ასახელებს მშანების და სონების კაბაკებს-ჩათვლილია რომ ისინი სვანების სხვადასხვა სახელებია, ერთი ადრინდელი, მეორე გვიანდელი. რეალურად ყაბარდო ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში საკმაოდ დიდმასშტაბიან სამხედრო ოპერაციას ატარებს, რომელიც ჩერქეზებად წოდებული ჯიქური ტომის უკიდურესად დასავლეთ, ქე-

რჩისპირა ნაწილსაც ეხება. კერძოდ აქ ყაბარდოელებს ომი უჩანთ მშანებად წოდებულ შანების- იგივე ჟანების ტომთან, რომელიც იმავე გენერალ დუბროვინის მიხედვით ქერჩისპირა ტამანზე მცხოვრები ჯიქური უმამაცესი ტომი იყო....ვერ უშველა სიმამაცემ და სიქველემ შანების ტომებს, ვერც პატარას და ვერც დიდს-ისინი იმპერიულმა ძალებმა დაამარცხეს, ყაბარდოელთა წაქეზებით და უშუალო მონაწილეობით...ვთვლიდი, რომ მცირე შანების სამშობლოდან აყრილი და სამეგრელოს სოფელ შამგონაში დასახლებული თემები ოსმალთა ზეწოლის შედეგად გადმოადგილდნენ სამეგრელოსაკენ...სინამდვილეში ეს რუსული საიმპერიო ძალები ყოფილა, რომელთაგან გარიდებული მცირე შანები „კავკასიის დიდი საკათოლიკოსო დავთარის“ მიხედვით, უკვე მათივე სახელობის სოფელ შამგონაში დაფიქსირებულნი არიან 1612 წელს...დიდი შანები-წალენჯიხის რაიონის სოფელ ოშანეში, ალბათ იმავე 1563 წლიდან

3) მატიანეში მოხსენიებული ტატების ქვეშ ყირიმის ნახევარკუნძულის ზედმიწევნით აღმწერი თურქი მოგზაური ევლია ჩელები ჩვეულებრივ იონიელ ბერძნებს გულისხმობს, სინამდვილეში ფინურ ტომს. თუმცა სახელი სახელი ტატი საერთო უნდა იყოს ამ თომისა, ისევე როგორც ადრე სახელი იბერი...ნებისმიერ შემთხვევაში აქ საუბარი იბერიულ ტომზეა, იქნებოდნენ ისინი მცირე აზიის ჯიქეთიდან, სტრაბონისმიერ ზიგოპოლად ნახსენებთან თუ ხიოსელი მალებთაგან, იბერებთაგან, იონიელებთაგან...

4. ტატების გვერდით მოხსენიებული <u>სკინების ქალაქი</u> უშეცდომოდ მიგვანიშნებს, ტატების გარდა ყაბარდოელთა მოწინააღმდეგეები დიგორელები არიან, ტიგრახაუნდების ჩამომავალნი, რომელთაც რაღაც მანქანებით მათივე ზედწოდება <u>სკინი</u> ახსოვთ... უფრო მეტიც, მათ ქალაქი <u>ენგირიც</u> კი გააჩნიათ, თუმცა ეს უკვე საკუთრივ სვანური ტომის თემა ჩანს... სავარაუდოდ, დიგორელები ამ დროისათვის კავკასიის ქედის გაცილებით სამხრეთით იკავებენ ადგილს, აზოვისწინა კავკასიაში...

4 ...და რასაკვირველია ნიკონის მატიანეში მოხსენიებული **სონები**-ეს სვანები არიან, სვანები ალანური ტომიდან, რომელსაც დღეს ისტორია ოსებს (სრულიად არასწორად) უწოდებს...ზუსტად ისინი ჩანან მთავარი ოპონენტები ჩრდილო კავკასიაში საუკუნეზე ადრე დასახლებული ყაბრდოელებისა.

...მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს საკითხი იმის შესახებ, რომ მშანები, ტატები და სონები ყაბარდოელების დასავლეთით მცხოვრები ტომია, ხოლო შაფსუღები სამხრეთით ... ჩრდილოეთიდან კი როგორც ყველა კავკასიურ ტომს, რუსეთი ესაზღვრებოდა...მშანების-იგივე მცირე შანების მიგრაცია და დაბინავება სამეგრელოში უკამათო ფაქტი უნდა იყოს, რომელსაც შესაძლოა მოგვიანებით თათარ-თურქ-რუსებისაგან ცოცხ-

ლად გადარჩენილი დიდი შანებიც ბაძავენ... მაგრამ საით მიგრიგდენიან დარბევას ცოცხლად გადარჩენილი სონები-ალანთა თემიდან? პირველ ტომში ნახსენები იყო სვანები, რომლებიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს ბაქსანის ხეობაში ჩრდილო კავკასიელი მთიელებისაგან ითხოვენ იმ მიწის არენდის საფასურს, რომლებსაც ეს უკანასკნელები ამუშავედნენ, და რომლებიც ადრე სვანებს ეკუთვნოდათ... შეუძლებელია ეს ის სვანები იყვნენ, რომელთა წინაპრებიც ლეონტი მროველის მიხედვით მეფე საურმაგმა გადმოიყვანა ჩრდილო კავკასიიდან, ქრისტემდე III საუკუნეს...თითქმის შეუძლებელია, რომ თემის ისტორიული მეხსიერება XX საუკუნის ადრინდელ ისტორიულ ფაქტებს იმახსოვრებდეს...და მეორე, მოპირდაპირე მხარემ ამ ხარკის საფუძვლიანობა რომ ირწმუნოს, მას ეს ფაქტი უნდა ახსოვდეს კიდეც...ამ დროისათვის კი ყაბარდოელები-კერკეტების სახელით შავი ზღვის ჩრდილი სანაპიროზე ცხოვრობდნენ, სადღაც დღევანდელ ტუაფსესა და ანაპას შორის...შესაბამისად, მიწის არენდის საფასურის მოთხოვნით ჩრდილო კავკასიაში გადასული სვანები ალანების ის თემი ჩანს, რომელიც 1563 წელს სამშობლოდან გამოაძევეს ყაბარდოელებმა რუსული რეგულარული ჯარის დახმარებით...და ვინ არიან ისინი? მათ ვინაობას <u>ეთნოგრაფი ბესარიონ ნიჟარაძე</u> ხსნის, რომლის მიხედვით **მულახელი სვანები** ხუთ წელიწადში ერთხელ გადადიან ოსეთში და მათგანს მიწის არენდის საფასურს ითხოვენ საქონლის სახით, რომელსაც დაკლავენ და თემის საერთო სუფრაზე შეექცევიან...და თუ მოპირდაპირე მხარე უარს იტყის განსაზღვრული ხარაჯის გადახდაზე, მულახელები გადადიან ქედს იქით, აწიოკებენ მწყემსება და მიყავთ მათი საქონელი...და რატომ მულახელები? იმიტომ, რომ ზემო სვანეთში ზუსტად სოფელ მულახზე გადადის საზღვარი რომლიც ყოფს ბატონიან და უბატონო სვანეთს. როგორც ეტყობა, უბატონო სვანეთიის მულახის ნაწილი-ეს ახლანდელ საცხოვრისში გვიან მოსული სვანებია-ალანური თემი, მაშინ როდესაც დანარჩენი ზემო და ქვემო, ბატონიანი სვანეთი-სვანთა მაკრონული თემი ჩანს... და რატომ ოსეთში? იმიტომ რომ შეუძლებელია კონტრიბუცია მოთხოვო იმ ტომს, რომელთანაც ამა თუ იმ მიზეზით დამარცხდი...მაგრამ ასეთი კონტრიბუციის მოთხოვნა შესაძლებელია იმ თანატომელთაგან, რომელნიც დამარცხებას შეურიგდნენ და მომხდურთან მორიგება ირჩიეს და ახლა გადახვეწილთა მიწაზე ცხოვრობენ:

„სვანური თქმულებების მიხედვით, მდინარე ყუბანის სათავეები და თერგის აუზის ნაწილი მათ წინაპრებს ეკუთვნოდათ. 1887 წლის ჩანაწერებით, ჯერ კიდევ 20-30 წლის წინათ სვანები იღებდნენ მიწის საიჯარო გადასახადს ჩრდილო კავკასიიდან. ეს იჯარა შეწყდა დასავლეთ კავკასიის რუსების მიერ დამორჩილების შემდეგ“ (აღმოსავლეთის ლიტერატურა, დოკუმენტები, Показание кънязов , Кумыкскич и Кабардинских)

მდინარე ყუბანის სათავეები დღეს ყაბარდოს და ჩრდილო ოსეთს -ალანიას ეკუთვნის.

...და ზემოთ ხსენებული ამონარიდი, უკვე ევლია ჩელებისა, რომლის მიხედვით ბერბერეს ხალხი ცხოვრობს მდინარეების ჯენჯეკს (ჯეჯორას) და თერგს შორის, ბერბერეს მიწები გადაჭიმული იყო ტანაისამდე, ყავთ ოთხი ბეი-ძმები, თითოეულს გაჩნია ას-ასი კაბაკი, ორი მათგანი ყაბარდოს ბეის ქვეშევრდომია, ხოლო ორი დანარჩენი დაღესტანის ფადიშაჰისა, ყავთ ორ-ორი ათასიანი ჯარი...და ისინი მუსულმანები არ არიან...

რასაკვირველია ევლია ჩელების სიტყვები, რომ ბერბერეს ტომი ცხოვრობს მდინარე ჯენჯეკსა და თერგს შორის, გამორიცხავს მისივე სიტყვებს იმის შესახებ, რომ ბერბერეს ტომის საზღვარი ვრცელდება ტანაისამდე (დონამდე) თუმცა ალანები მდინარე დონამდე (და ზოგიერთ შემთხვევაში უფრო შორსაც) დომინანტი ძალა იყო ამ რეგიონში თემურ ლენგის ლაშქრობამდე...და მაინც მშანთა და სონთა აწიოკებული 164 კაბაკი მარტო უბატონო სვანეთი არ უნდა იყოს...არაფერს ვამბობთ მშანებზე, მცირე შანეზე, რომელთა სამშობლო სამეგრელოში სოფელი შამგონა ხდება და რომლის გაშიფრვაში „აფხაზეთის გლეხების დიდი საკთალიკოსო დავთარი“ დაგვეხმარა, დაფიქსირებული 1612 წელს...მათი კვალი ჩანს აფხაზეთშიც : უნდა გავიხსენოთ, რომ ინგუშები მათ მიერ დანათლული სახელებით მოიხსენიებენ მეზობელ ტომებს: ჩურჯი- ქართველი, ერმელეი-სომეხი, ნახჩო-ჩეჩენი, გაბარტაი-ყაბარდოელი, სიოლი-დაღესტანელი, ურუსი-რუსი და ხირი-ოსი... ზუსტად ხირ-პიტის სახელით იხსენიებდნენ დღევანდელ აფხაზეთ- სვანეთს (45) მეტიც, დღევანდელი აბაზგების საცხოვრისის დასავლეთით, იმავე „აფხაზეთის გლეხობის დიდი საკათალიკოსო დავთარი“ ხოირად მოიხსენიებს... უფრო მეტიც, მარშანიების-აღმატებულ აბაზგურ გვარში პირველი შემადგენელი მარი უნდა იყოს, რაც მათ (უკვე) მარობას უსვამს ხაზს, ხოლო მეორე შემადგენელი შანი-აშკარად შანი უნდა იყოს...რატომ? სამეგრელოს მთავარი დადიანი, რომლის მეთაურობითაც სამეგრელოს ჯარმა დაამარცხა აბაზგები და მათ შორის მარშანიებიც, აღნიშნავს რომ დალაშქრეს ეს კუთხე (ზუფუ-ლიხნი) და დაამარცხეს **„სი+ხუარი“ მარშანიები...** შესაბამისად, მარშანიები უკვე მარები არიან, ყოფილი შანები - შესაბამისად ჩერქეზები და ადიღეველები, სინამდვილეში იბერებყოფილები კუნძულ ხიოსადან...

…და კიდევ: მატიანეს ამ საინტერესო ფურცლის განხილვისას, რუსი ისტორიკოსების მთელი ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შეძლონ მშან-სონების გამოცალკევება ალან-ოსებისაგან და როგორმე სონების ყოფა არაგვის მოხეევებისაკენ და არაგვის ხეობისაკენ (პირაქეთა კავკასიონი) გადმოიტანონ: თურმე გუდამაყარში აღმართულია ცალკეული მთა, რომელსაც ადამიანის თავის ფორმა აქვს, უწოდებენ მას **ლუტხუმს**...ადგილობრივ-

ები ვერ მარტავენ ამ სიტყვას, რადგან თურმე სვანურად ის თავს ნიშნავს... და არაგვის სახელიც თურმე სვანურიდან გამომდინარეა:არა-სვანურად რვა და გვი-ესეიგი გული...უნდა განვაცხადოთ, რომ სვანებს გუდამაყართან და არაგვის ხეობასთან აბსოლუტურად არაფერი არ აკავშირებთ...სიტყვა ლუტ-ხუმი, რომლითაც კაცის თავის მსგავს კლდეს აღნიშნავენ, ყველა ქართული ტომის ლუხუმია- წინამძღოლი, რომლის ევროპეიზირებული ფორმა ლუკუ-მონია (იხ. აქვე, ტიტუს ლივიუსის ამონარიდი რეტებზე) რაც შეეხება მდინ-არე არაგვის სახელწოდებას, ის სანარიელების (დუშეთის და თიანეთის რა-იონები) ჭანური მოსახლეობის შერქმეული ჩანს და სიტყვა-სიტყვით **ეძგე-რეს** ნიშნავს...

„თვით მეფე (გიორგი III) დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნად-ირობად. ოდესმე ჟამსა ზამთრისასა გარდავიდეს ლიხთ-იმერეთს და მი-უწია ზღუად პონტოსა, მოიწიოს და მოინადიროს ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენისა ზღუამდე“ (ისტორიანი და აზმანი შარ-ავანდედთანი)

„ქართლის ცხოვრების“ ეს პასაჟი არ არის სათანადოდ განხილული, რატომ აიგივებს ფაქტიურად მემატიანე აფხაზეთს და ალანეთს...მეფე გი-ორგი III აფხაზეთსა (და ალანეთს) სანადიროდ ჩანს გადასული, ამ სიტყვ-ის პირდაპირი მნიშვნელობით. და მაინც რატომაა გაიგივებული ეს ორი პოლიტიკური ერთეული? საქმე ისაა, რომ დასახელება აფხაზეთი იმ დრო-ისათვის (და უფრო გვიანაც) ორმაგი მნიშვნელობით იხმარება: მცირე აფ-ხაზეთი, ეს აფშილეთ- აბაზგეთ- სანიგეთ- აფხაზეთის ჯიქეთია ნიკოფსიამ-დე, ხოლო დიდი აფხაზეთი, მცირე აფხაზეთს დამატებული სრულიად ზიხეთი, თვით ტამატარხის- ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნაწილ-ის ჩათვლით...და რომელ ნაწილსაც დავით აღმაშენებელის სამფლობელო-ში დებენ თანამედროვე რუსი ისტორიკოსები...(46)

...აი ტამატარხის-მცირე ხაზარეთის ჩრდილო- აღმოსავლეთით კი იწ-ყება ალანია...ის ალანია, რომლის მეფესაც ევლია ჩელები ბერბერეს ტომის გზააბნეულ მეფე სალ-სალს ეძახის. ზუსტად აქ ჩანს გადასული მეფე გიო-რგი III სანადიროდ, და ნადირობის ობიექტს სავარაუდოდ დომბა წარმო-ადგენს-ნადირი, რომელიც არ მოიპოვებოდა ამიერკავკასიაში, ხოლო იმიერ არ წარმოადგენდა იშვიათობას...საინტერესოა, რომ მემატიანე ამ ხალხს ალ-ანებს უწოდებს (ისევე როგორც ადრინდელი წყაროები) მიუთითებს რომ ისინი ოდესმე გურგენის (კასპიის) ზღვამდეც კი ყოფილან გავრცელებულ-ნი...(46*) მაგრამ ამავე ალანების იმ ნაწილს, რომელიც ცენტრალური კავკა-სიონის მოპირდაპირედ არიან განლაგებული და რომელთანაც საქართველ-ოს მეგობრული ურთიერთობა აქვს, იგივე მემატიანე ჩვეულებრივ ოსებს უწოდებს...მიზეზი? გავიმეორებთ პირველ ტომში მოყვანილ არგუმენტს:

„როგორც ირკვევა IX საუკუნის დასაწყისიდან ხაზართა სახელმწიფოში ცენტრალიზირებული მმართველობა მოშლილია, ფორმა მმართველობისა არაბთა ხალიფატის ანალოგიურ სახეს იღებს: IX საუკუნის დასაწყისში ბულანის (პირველი იუდეველი მეფე) შთამომავალმა-ობედიამ, ხაკანის მომდევნო პოსტი დაიკავა და საკუთარ ხელში მოუყარა თავი რეალურ ძალაუფლებას. ამ მომენტიდან ხაზარეთში დამყარდა ორმაგი მმართველობა, რომლის დროსაც ნომინალურად ქვეყანას მართავდა ხაკანი ძველი სამეფო გვარიდან, მაგრამ რელური მმართველობა ხორციელდებოდა ბეგების (მეფეების) მიერ ბულანთა გვარიდან“ (ვიკიპედია, ხაზარეთის ხაკანატი. რუსულად)

იმავე რუსული წყაროებით, ტამატარხა (ტამანის ნახევარკუნძულის ჩრდილო ნახევარზე წარმოქმნილი ზიხების ტომის გაერთიანება) ჯერ კიდევ ხაზარეთის ხელდებული პოლიტიკური ერთეული ჩანს, ქართული წყაროების მცირე ხაზარეთი. მკითხველს შევახსენებ, რომ ერთიანი ხაზარული ხაკანატის საბოლოო დეზინტეგრაციის თარიღი 969 წელია, ხოლო აქ მოყოლილი ამბავი მეფე გიორგი III ნადირობისა- მეთორმეტე საუკუნის მესამე მეოთხედისა...

დიდი ალბათობით , ეს ალანია გიორგი III სტუმრობისას არცაა ერთიანი ოვსეთის სამეფოს შემადგენლობაში, ერთ დროს ხაზართა ხაკანატის ხელდებულთან: რატომ იქნებოდა არაორდინალური და აღსანიშნავი საქციელი გიორგი III წვევა ცოლოურებთან ოვსეთში, თუნდაც სანადიროდ? ასეთი ვიზიტები თუ მომიზეზება სტუმრობისა ხშირად ხდებოდა შუა და გვიანი შუა საუკუნეების აზიაში: თუნდაც შაჰ აბასის შემოჭრები საქართველოში, რომლებიც ნადირობის საბაბით აიხსნებოდა? სავარაუდოდ, აზოვის ზღვისპირა ალანია არ არის ოვსეთი და სავარაუდოდ არც ის ნადირი ბინადრობს ოვსეთში, რომელზედ სანადიროდაც მეფე გიორგი ჩანს მოწვეულიც კი...

...და საერთოდ, უცნაურიც კია წარმოვიდგინოთ ალანია-ოვსეთი ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად, როცა თავად საქართველო I-XIX საუკუნეების შუალედში მხოლოდ რამდენიმე ასეული წელი იყო ერთიანი და განუყოფელი... თუმცა შუა საუკუბის არაბი მოგზაურებისათვის შესაძლოა ალანია ერთ პოლიტიკურ სხეულად მოჩანს კიდეც…და ყოველი მათგანი, უკლებლივ ყველა მას ალანიად მოიხსენიებს...

...და მაინც რატომ ოსი და ოსეთი? იმიტომ რომ ოსი-ეს ასია, ანტიკური წყაროების აორსი და იარსი...თავად აორსი და იარსი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხაზართა აღმნიშვნელი ტერმინი ჩანს. მართალია ალანები სულ საუკუნენახევარი, მეცხრე საუკუნის დასაწყისიდან 969 წლამდე თუ იყვნენ ხაზარების შემადგენლობაში, თუმცა ქართული სინამდვილე მას ჯი-

უტად ასეთივედ მიინევს საუკუნეების გ ანმავლობაში... ეს სახელი ასებისა, უკვე თანამდევი ჩანს მათთვის, ევროპელი (და რუსი) მემატიანეთათვის... ამავე ფაქტის მტკიცებულებად გამოდგება ქართლის ცხოვრების ის ნაწილი, რომელიც ლეონტი მროველს ახმოვანებს:

„ხოლო ოდენ პირველ გადმოვიდა ხაზართა მეფე და მოტყუენა ქვეყანანი, რომელნი ზემოთ დამიწერიან, და გარდავლო მთანი კავკასისაი, იყო მის თანა ძე მისი, სახელითა უობოს. ..და დაეშენა უობოს. და მათნი ნათესავნი არიან ოვსნი. და იგი არს ოვსეთი, რომელ ნაწილი იყო კავკასისა“ (47) (ქართლის ცხოვრება, ლეონტი მროველი, I ტომი გვ 17-2012წ)

სინამდვილეში ოსები ხაზარების არც გენეტიკური და არც ეთნიკური ნათესავნი არ არიან ...და მიუხედავად „აზმანი და შარავანდედის“ავტორის მიერ მათი ოსებად წოდებისა, თვით ამავე მემატიანეს „წამოცდება“ მათი ნამდვილი ვინაობა და არსი:

„და ამას ესევითარსა შესხმასა და გალობასა შინა, ვინაიდან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგმად გვირგვინისა თავსა სამეფოსა, აწვიეს მონაზონთა ღირსი და მადლშემოსილი, მთავარეპისკოპოზი ქუთათელი ანტონ საღირის ძე მიღებად გვირგვინისა, და ცალკერძ კახაბერი, ერისთავი რაჭისა და თაკუერისა. და სრულყვეს მახეველთა სვანთა და დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღება და დადება ხრმლისა“ (იქვე, ტომი II, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. გვ 30)

ზუსტად ასე მკითხველო-მახეველთა: სვანთა და არა და არა მოხელეთა სვანთა, როგორც ახლა, თანამედროვე (და ასი წლის წინანდელი) გამოცემა აქვეყნებს... სვანი მოხელენი ქართულ მატეანურ ისტორიოგრაფიას არც მანამდე და არც მერე არ დაუფიქსირებია...და რატომ ასეთი წაკითხვა? მაჩაბელისეულ ტექსტში (თამარის აღსაყდრების სრული ვარიანტი მხოლოდ ხელნაწერის ორ ვარიანტში იპოვება) ასო მ-ს და ასო ხ-ს შუა აუცილებელი ჩანს ხმოვანის არსებობა-ტექსტის წამკითხველი (ივანე ჯავახიშვილი თუ სიმონ ყაუხჩიშვილი) აქ ორკბილა ო-ს გულისხმობს. არადა მოხაზული ასოს კონფიგურაცია ამ ტიპის ო-ს გამორიცხავს (...და საკუთრივ ხელნაწერში მხოლოდ ამ ტიპის ო- ასო გვხვდება) ასოს აღმნიშვნელი გრაფიკული ნიშანი ქვემოთ მოდის და არა ზემოთ, როგორც ასო ო-ს წერა მოითხოვს...შესაბამისად, ეს ასო მხოლოდ ა შეიძლება იყოს. რაც შეეხება შემდეგ ასოებს, სიტყვა მოხელეში ასო ლ-ორ ასო ე-ს შორის უნდა (მოხ-ე-ლ-ე) უნდა იყოს მოქცეული, სინამდვილეში ტექსტში ის ორივე ასო ე-ს შემდეგ დგას (მახ-ე-ვ-ე-ლ-თა)... მას შემდეგ, რაც გავითავისებთ, რომ ხელნაწერებში არა ასო ო არამედ ა დგას, სიტყვა მარტივად ყოველგვარი მარჩიელობის გარეშრ იკითხება მ-ა-ხ-ე-ვ-ე-ლ-თ-ა, რაც უდავოდ მოხევეს უნდა აღნიშნავდეს... და რას გვიამბობს აზმანი ამ კონკრეტული

مطلب در بیان اسامی ملوک

ციტატით? ...იმას რომ ერთიანი სამეფოს მეფის აღსაყდრების (ინოუგურაციის) პროცესს წესისამებს ლიხთიმერელნი აღასრულებენ. სავარაუდოა რომ მათ ეს პრეროგატივა ენიჭებათ საქართველოს გაერთიანების საქმეში ამ მხარის პირველობის გამო. ჩვენთვის უცნობია, თუ რა წარმოშობისაა მთავარეპისკოპოზი ანტონ ქუთათელი, საღირის ძე, მაგრამ თამარის აღსაყდრების პერიოდში ის დასავლეთის მთავარი სასულიერო პირია. რაც შეეხება კახაბერს, რაჭისა და თაკვერის ერისთავს, ის ამ შემთხვევაში ვარდანის ძედ ჩანს ხმობილი:

„და კუალად უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიან კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა...კახაბერ-რაჭისა და თაკუერის ერისთავად“ (იქვე; გვ 35)

როგორც წიგნის პირველ ტომში იქნა აღნიშნული, რაჭის საერისთავო მეფე ბაგრატ III მიერ იოანე მარუშის ძის და მისი შთამომავლობისათვის ჩანს ბოძებული, ამ გვარის და პირადად იოანე მარუშის ძის დამსახურებისათვის ერთიანი საქართველოს წინაშე. მარუშისძენი მარები ჩანან, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე წელთააღრიცხვების მიჯნაზე ჩამოსახლებულნი (ამ თემას ოდნავ მოგვიანებით გავიხილავთ) **„ამანელი ძე-არგუეთის ერისთავად“ (იქვე)**

მკითხველს ოდნავ მოგვიანებით გავაცნობთ, რომ არგვეთის საერისთავო VII საუკუნეს ჩანს შექმნილი, ამ დროისათვია აქ ჩამოსახლებული მარების მიერ (მათი დიდი ნაწილი აგრეთვე ლაზიკაში ჩანს ჩასახლებული, რომლის შედეგად ეს უკანასკნელი უკვე სა-მარგ-ალოდ, სამეგრელოდ იწოდება) ზუსტად ისინი, მარული წარმოშობის ქართველები მემატიანეს სიტყვებით აკურთხებენ მეფედ თამარს და თავზე გვირგვინს ადგამენ... (თუმცა ეს აშკარად მარების სხვადასხვა შტო ჩანს)

ხოლო მემეტიანესეული სვანნი (და) მოხევენი ხმალს შემოარტყამენ უკვე აღსაყდრებულ თამარ დედოფალს რითაც მის საქართველოს მთავარსარდლობას უსვამენ ხაზს. და ვინ ვინაა სვანებს და მოხევეებს შორის? პირველ რიგში ის უნდა გაირკვეს, თუ რა საერთო აქვს სვანებს და მოხევეებს...მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მოხევეთა ქვეშ ხევის- დღევანდელი სტეფანწმინდას მოსახლეობა იგულისხმება, რომელიც კავკასიონს იქითა მხარეს ცხოვრობს...და სად შეიყარნენ მოხევეები და ეს სვანები თამარის აღსაყდრების დასასწრებად? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, კავკასიის ქედს იქითა მხარეს, სადაც იმ დროისათვის ერთიც ცხოვრობდა და მეორეც...ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მომხდარიყო, როდესაც ოსებად, ირონებად და ალანებად წოდებული ხალხის უძველესი და ნამდვილი სახელი, სვანები ხმოვანდება...ეს ალანების-სვანების, თამარ მეფის დედულეთის პრეროგატივა ჩანს თამარ მეფისათვის წელ-

ზე ხმლის შემორტყმა, რაც ამ უკანასკნელის უზენაეს მთავარსარდლობ-ას უსვამს ხაზს... და მოხევეებს რა ხელი უდევთ ამ პროცედურაში? ეტყ-ობა ალანთა საქორწინო პროცედურა ზუსტად ისეთივეა, როგორც ქართ-ველთა-ალანთა მეფეები არ ქორწინდებიან ხელქვეითეის ქალებზე, ისინი დინასტიური ქორწინების მიმდევარნი ჩანან, როდესაც მეფე ქორწინდება ასევე სუვერენული ხალხის პრინცესაზე (არჩევანიც საკმაოდ მრავალფერო-ვანი უჩანთ საქრისტიანო სამეზობლოდან: ჯიქები მატრეგადან, მოხევეები-აფხაზებად წოდებულნი, ჰერები - იგივე ინგუშები -ძურძუკები) ამჯერად, ოვსთა მეფე ხუდანის ცოლი, დედოფალ ბურდუხანის დედა, მოხევეთა პრინცესა ჩანს...შესაბამისად, ოვსების-ალანების და მოხევეების წარმომად-გენელი წარჩინებულების (სავარაუდოდ თამარის ბიძების მამის და დედ-ის მხრიდან) პრეროგატივა ჩანს თამარისათვის **მოღება და დადება ხმლი-სა.**

P..S. ფაქტიურად შეუძლებელი არ ჩანს სვანთა ტომის ცალკეული თემების იდენტიფიკაციაც კი:

1.კუდაროელები, იგივე ნიკუდარელები, იგივე დვალები მცირე აზიაში არ-ქაულ ეპოქაში დაფიქსირებული ქალაქი პოლისი ლარსას წარმომადგენლე-ბი ჩანან. დიდი ხნის შემდეგ ზუსტად ისინი აარსებენ საქართველოს საზ-ღვართან დასახლებულ პუნქტ ლარსას.

2. ზღვისპირა (იგულისხმება ხმელთაშუა ზღვა) მეფე გულკიშარის ტომი იუეჩჟი, იგივე ალანები ჩანან. უსუნების მიერ იუეჩჟის თემის დაპყრობის შემდეგ მათი საერთო სახელი ალანი ხდება. სავარაუდოა, რომ მეფე გულ-კიშარის ზღვისპირა ამ თემს ალანები იმთავადვე ერქვა...სავარაუდოდ, ეს-ენი იბერიული ტომი უნდა იყოს.

3. და ბოლოს, ქალაქი პოლისი ისინის თემის სვანები მ ცირე აზიაში, ჩინ-ელთათვის უსუნები ხდება...

4. დიგორელები-სავარაუდოდ ტიგრახაუნდებთან, იბერებთან შერეული ნა-წილია ალანებისა.

სავარაუდოა, რომ ზუსტად დიგორელი „ოსები“ წარმოადგენენ ალა-ნთა ზედა, პრივილიგირებულ ფენას, რაინდებს-ქართველთათვის აზნაურ-ებს...ასევე სავარაუდოა, რომ ზუსტად ეს დიგორელი ალანი, 500 რაინდი მხედარი ეხმარება დავით აღმაშენებელს დიდგორის გენერალურ ომში... აქედანვე უნდა იყოს მათი, თიკუნი- დიგორელები, რომელიც დიდგორის ომში მონაწილე რაინდების ჩამომავლობას უნდა ნიშნავდეს...ლარსელებიც, ალანებიც, ისინებიც და დიგორელებიც დღეს ერთიანი სვანური ტომის ცა-ლკეული თემებს წარმოადგენდა...და თეთრი გიორგი...ისიც სვანური ტომ-ის სინამდვილში არსებული პერსონაჟი ჩანს...(48)

შენიშვნები.

1.ჯიბუტი, როგორც ცნობილია გურული წარმოშობის გვარია...მაგრამ ამასთან ჯიბუტები ხევსურთა თვითდასახელებაცაა. როგორც ჩანს, გურული ჯიბუტები მართლაც ხევსურული წარმოშობისანი არიან ... ხოლო გურიაში მათი გამოჩენა XI საუკუნეში ამ რეგიონის გიორგი II მიერ საქართველოსათვის მიერთებით უნდა აიხსნას, რომელ წამოწყებაში ფხოვის ჯარს არცთუ უმნიშვნელო როლი უნდა განეკუთვნებოდეს (იხ წიგნი-I, თავი ტიბარანები) რეგიონის შემოერთების შემდეგ მას გურია დაერქვა (მიზეზებზე წინა წიგნში ვისაუბრთ, აქედანვე ჩანს ხევსურთათვის დამახასიათებელი გვარის გამოჩენაც, აწ უკვე გურიაში)

2. მართალია პლინიუს უფროსს კუნძულ კრეტის სახელი კურეტთა მეფიდან გამოყავს, ამასთან მისივე ციტატაში დაცულია ცნობა, რომ კურეტები კუნძულ კრეტაზე მეორადია მოვლენაა და ადრე კუნძულის სახელი ერია იყო, თუმცა ამ სიტყვის მნიშვნელობას ვერ განმარტავს...

3. კუნძულ სამოსელები მართლაც კრეტადან გამოძევებული იბერები ჩანან: **„იონიელები ერთსა და იმავე ენზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ ოთხნაირ დიალექტს ხმარობენ. მათ შორის სამხრეთისაკენ მილიტია პირველი ქალაქი, ხოლო შემდეგ არიან მიუსი და პრენიე... ესენი კარიაში მდებარეობენ და მათი მცხოვრებლები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. ხოლო ლიდიაში არის შემდეგი ქალაქები: ეფესო, ლებედოსი, ტეოსი, კლაძომენე, ფოკაიე. ამ ქალაქებს ზემოთ მოხსენიებულ ქალაქებთან ენის მიხედვით არაფერი მსგავსება არა აქვთ, ხოლო ერთმანეთში ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე. ამის გარდა, დარჩენილი სამი იონიური ქალაქიდან, ორი კუნძულებზეა, სამოსი და ქიოსი, ხოლო ერთი დაფუძნებულია ხმელეთზე, ერითრე. ქიოსელები და ერითრეელები ერთსა დაიმავე ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო სამოსელები -თავის საკუთარზე. ეს არის ენის ოთხი დიალექტი“ (ჰეროდოტე, ისტორია. წიგნი I-142)**

ჰეროდოტეს მიერ მოხსენიებული პირველი სამი ქალაქი: მილეტი, მიუსი და პრენიე კარიულია და შესაბანისად ისინი კარიულ (ფინურ) ენაზე ლაპარაკობენ. შემდეგი ქალაქები ლიდიაში, ეფესო, ლებედოსი, ტეოსი და კლაძომენე-ეოლიური ქალაქებია და შესაბამისად ისინი ჭანურ დიალექტზე საუბრობენ. ჰეროდოტეს მიერ მოხსენიებული ორი ქალაქ -პოლისი, ერითრე და ქიოსი იბერიული ჩანს (მათ იბერიულობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) შესაბამისად იბერიულ დიალექტზე მოსაუბრენი, ხოლო სამოსი ნამდვილად იბერიული ჩანს, მაგრამ უკვე სხვა იბერიელებთაგან განსხვავებული ენით...მიზეზებზე ზემოთ უკვე ვისაუბრებთ...მაგრამ როდის ხვდებიან ისინი კუნძულ კრეტაზე?

„აი ამ, ყოველმხრივ გალაღებული პოლიკრატესის წიმააღმდეგ გაილაშქრ-ეს ლაკედემონელებმა, რომლებიც მოიწვიეს იმ სამოსელებმა, რომელთაც შემდეგ კრეტაზე დააფუძნეს კიდონიე“ (ჰეროდოტე. ისტორია, წიგნი III-44)

ჰეროდოტეს მიერ აქ ნახსენები პოლიკრატესი კი კამბისესის თანამედროვე იყო, კიროსის შვილისა, რომლის ზეობდა ქრისტემდე VI საუკუნის შუა წლებში...შესაბამისად სომოსელების მიერ კუნძულ კრეტაზე კიდონიეს დაარსება არ შეიძლებოდა მომხდარიყო ქრისტემდე VI საუკუნეზე უფრო ადრე...ცხადია ჰომეროსი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ქრისტემდე VII საუკუნეში, ვერ იქნებოდა იმ სტროფის ავტორი, რომელშიაც კრეტაზე მცხოვრები კიდონიელები იყვნენ მოხსენიებული...

4.სიმპტომატიურია, რომ კრეტაზე მცხოვრებლებს შიმშილი და ჭირი დაატყდათ მას შემდეგ, რაც ისინი ტროას ომიდან სახლში დაბრუნდნენ...ასევე დაემართათ მცირე აზიელებს, ზუსტად ტროას ომის დამთავრბის შემდეგ...სავარაუდოა, რომ პირველიც და მეორე ერთ ბუნებრივ კატაკლიზმს დაექვემდებარა...

5. კუნძულ კრეტის დასახლებას ჰეროდოტე მინოსს-მინიელს, შესაბამისად ფინიკიელს, სარპედონს-შესაბამისად ლიკიელებს- გელებს მიაწერს. ზუსტად ამავე დროს ჩანან კუნძულზე დაფუძნებული კურეტები...სავარაუდოა, რომ ისინი ერთი საზღვაო ექსპედიციის ხალხია „ზღვის ხალხების“ რიგებიდან.

6. ბაბილონელი ქურუმის და ვარსკვლავთმრიცხველის მიხედვით, კსიუსუტრა მოსალოდნელი წარღვნის შესახებ კრონოსმა გააფრთხილა, წინა თაობის უზენაესმა ღმერთმა, რომლის მემკვიდრეებად ოლიმპიელი ღმერთები მოიაზრება...შესაბამისად, ღმერთები დროს გასვლასთან ერთად იცვლებიან-და ეს სრული ჭეშმარიტება უნდა იყოს, ვინც იბადება ის კიდეც გარდაიცვლება-ოდესმე...

7. როგორც ჩანს, ღმერთების მცნება მაინც ინდოეთიდან ვრცელდება-ისევე როგორც მოსახლეობა. მართალია ამ ფაქტზე არ პედალირებს, მაგრამ ინდურ მითიოლოგიაში პირველი ღმერთების რიცხვი მართლაც რვა არის, თუ მათში ჩავთვლით თავად ბრახმას და მის ექვს სულიერ შვილს- მერვე მარიჩის შვილი კაშაიაპაა, დედამიწელი ადამიანების, განდხარვების, დაიტ-დანავებიდ და ადტების მამა ... მკითხველს შევახსენებ, რომ ამ პროცესში მაღალი გონის-კაშიაპას სახით ჩართვა გახდა აუცილებელი, რომ დამაკმაყოფილებელი შედეგი მიეღო...

8. ვფიქრობთ, ჰერაკლეს რაობასთან და ვინაობასთან მიმართებაში ეგვიპტელთა რელიგია მთლად კორექტული არ უნდა იყოს. შეუძლებელია ჰერაკლე, მეორე რიგის ღმერთი სულ ორიოდ საუკუნით უფროსი იყოს მესამე რიგის ყველაზე უმცროს -ღმერთზე დიონისეზე (ეგვიპტელთა ოსირისზე) ვფი-

ქრობ, თასოსელი ჰერაკლე მის სახელზე აშენებული ტაძრის ასაკს განსაზღ-ვრავს მხოლოდ და ვერავითარ კავშირში ვერ იქნება ჰერაკლეს ნამდვილ ასაკთან. ვფიქრობ, ღმერთების ეს პანთეონი ეგვიპტეში ინდოეთიდანაა შე-მოსული, ხოლო გამტარი ამ შემთხვევაში ფინიკიელები უნდა იყოს.

9.კადმოსის საბერძნეთში დაფუძნების პერიოდს დიდწილად დიონისე გა-ნსაზღვრავს, კადმოსის შვილიშვილი, რომლის დედამიწაზე გაჩენის თარ-იღს თავად ჰეროდოტე განსაზღვრავს: ქრისტემდე XXI საუკუნე.

10.კადმოსსა და მინოს-სარპედონს შორის რამდენიმე საუკუნოვანი წყვეტაა. კადმოსი-ეს ქრისტემდე XXI საუკუნის დასაწყისია, ხოლო მინოსი (შესაბამ-ისად სარპედონიც) თვით პაპა მინოსის გათვალისწინებით (რომელსაც აღ-ნიშნავს ჰეროდოტეც), ქრისტემდე XVსაუკუნის ბოლო...

11.კრეტა კურეტების მიერ საკმაოდ ადრე ჩანს ათვისებული-მინოსელებთ-ან ერთად, თუმცა ესენი პლევრონელი კურეტები არ არიან, მხოლოდ მა-თი თანატომელები არიან. ეტოლიელების შესახებ სტრაბონს ერთობ ბუნ-დოვანი წარმოდგენა აქვს. ჯერ ერთი, ის ურევს მათ ბეოტიელებში, როდ-ესაც ხომალდების ჰომეროსისეულ „ეტოლიურ“ სიებზე საუბრობს- სინამდ-ვილეში ჰომეროსი „ბეოტიელთა“ სიებს ახსენებს ...სხვაობა ძალიან დიდი ჩანს, ბეოტიელები ფინიკიური წარმოშობის ელინები ჩანან, რომლებიც მა-რთლაც ემეზობლებიან ...ეოლიელებს და არა ეტოლიელებს... რაც შეეხება ეტოლიელებს, მათ შესახებ ჰეროდოტესთან არავითარი ცნობა არ მოიპოვება.

12. რამდენადაც ცნობილია, ასაკენების ერთი შტო-ეს დღევანდელობის ტა-ჯიკებია, ჯერ კიდევ ქრისტემდე XVI საუკუნეს მიგრირებული შუა აზიაში. ხოლო მეორე შტო-ფხოველები, მიგრირებულნი კავკასიაში ქრისტემდე VI სა-უკუნეს...და მხოლოდ ამ უკანასკნელებს უჩანთ მსგავსი ასო-ნიშნები, ქვაზე შესრულებული პიქტოგრამების სახით ჩატნეული უძველეს ნაგებობებში... და ზუსტად იგინივე ჩანან მცირე აზიიდან სკვითებთან ერთად ლტოლვ-ილი ადიაბენელი ასაკენებიც. დამწერლობის ამ მიმართულებას უკვე გაგ-რძელება არც ჰქონია და არც იდგა ამის საჭიროება-ადიაბენელი ასაკენები მთებში ჩაიკეტნენ, ფაქტიურად მცირე აზიური ცივილიზაციის კერას მოწ-ყდნენ...და კიდევ, იმ პოლიტიკურ ერთეულს, რომლის ნაწილადაც ისინი გვევლინებინ, ყველა ნიშნით საკუთარი დამწერლობა უნდა ჰქონოდა, ასა-კენური „ნოუ-ხაუს“ გამოყენების საჭიროება არ დამდგარა...

12*„...ისინი (ეგვიპტელები) ამბობენ , პანი უფრო ადრე იყოო, ხოლო დი-ონისე-ყველაზე ნაკლებ ადრეო და ესეც მეფე ამასისზე 1500 წლის უწინ იყო“ (ჰეროდოტე, წიგნი II, 145) …მართალია ჰეროდოტეს აქ 15000 უწერია, მაგრამ ეს მხოლოდ გადამწერის შეცდომა უნდა იყოს და ამის შესახებ ად-რე ვისაუბრე. აქ დასახელებული ამასისი ეგვიპტეში ქრისტემდე 570 წელს მეფობდა, შესაბამისად დიონისე 2070 წელს იყო. კადმოსი კი დიონისეს

ბაბუა და ქრისტემდე XXII საუკუნეს იყო...
12**ვერ წაიკითხვდა -ჰეროდოტე კადმეურ ტექსტს ვერ წაიკითხავდა, კადმეური დამწერლობა მინიმუმ 14 ასოთი აღემატებოდა ბერძნულს... ჰეროდოტემ რომელიღაც ადრებერძნული ანბანით დაწერილი დამწერლობა მიამსგავსა კადმეურს-პელაზგურს...
13* ეს ნამდვილად ასაკენების მცირე აზიური წინარე სამშობლო ჩანს, თუმცა სავრაუდოდ უკვე საკების-იბერების მიერ დაკავებული...
13. ის რომ მცირე აზიის დამპყრობელი სკვითები ყირიმელები არიან, მიდიის მეფე კიაქსარესის მოწყობილი ხოცვა-ჟლეტას გადარჩენილი სკვითთა ნაწილის ყირიმისაკენ ლტოლვა მოწმობს. ისინი ცდილობენ 28 წლის უნახავ სამშობლოში და ცოლ-შვილთან მოხვედრას, თუმცა ამაში ხელს უშლიან ნაბიჭვარები, რომლებიც მათმა ცოლებმა გააჩინეს საკუთარ მონებთან...ნაბიჭვრებმა ყირიმის ყელი გადათხარეს, რომელსაც მოგვიანებით პერეკოპი უწოდეს და აქ ცდილობდნენ შეეკავებინათ მცირე აზიიდან ლტოლვილი სკვითები, ასაკენების-ტავრების და მცირერიცხოვან საკებთან ერთად ლტოლვილნი.
14. დონელი შავგრემანი კაზაკები ზუსტად მათი შთამომავალი ჩანან, რომელნიც თავიანთი XX საუკუნოვანი სამშობლოდან გამოაძევეს ოსმალებმა, XV საუკუნეს ყირიმის დაპყრობის შემდეგ.
15.აბხისარები (განსაკუთრებით მისი კენური ნაწილი) ვეიშები უნდა იყვნენ-ვეიშები, რომლებიც თავად ირჩევენ სარბიელს. მანასის ტბასთან მცხოვრები განდხარვები, რომელთა დამარცხება შეძლო არჯუნამ, უძლიერესმა პანდავა მეომარმა, მათგან საჩუქრად ხარკის სახით მხოლოდ ცხენებს ღებულობს, მხედრისა და მეომრისათვის დამახასიათებელ ატრიბუტს (და არა თუნდაც ცხვარ-ძროხას ან სხვა ფიზიკური შრომის ნაყოფს) მაგრამ მათგან განსხვავებით, აბხისარები ეპოსში მეჯოგეებად, ცხვარ- ძროხის პატრონებად არის გამოყვანილი.
16. კადმოსი და ფინიკიელები ამ ტერიტორიისათვის მანამდეც უცხო არ უნდა ყოფილიყო, ფინიკიელები თუნდაც ვაჭრობის მიზნით იონიაში უცხო ხილი არ უნდა ყოფილიყო.
17. აი ამ საკითხს, ამ უცნაურ ტომს, უცნაურ ხალხს, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობა არ სურს, ჯეროვანი ყურადღება არ მიქცევია...არ მიქცევია მთელი XXV საუკუნე... არადა ცივილიზირებული ტომი ჩანს, არა ვიღაც „ტუზემცები“, მისთვის სასურველ ნივთებს... ოქროთი ყიდულობს... და რასაკვირველია ეს ოქრო მონეტებში უნდა იყოს გამოსახული, სხვანაირად ფინიკიელს-კარქედონელს- კართაგენელს მისი შეფასება გაუჭირდება. მე რასაკვირველია ვიცი მათი ვინაობა... ისიც, თუ სად მდებრობდა მათი კუნძული... საით წავიდნენ, სად გაქრნენ ...ვიცი მათი ვინაობაც, თუმცა ეს

საკითხი მესამე წიგნისათვის შემოვინახოთ, მესამე ტომში როგორც დაგპ-ირდით, ტაბუირებული თემები არ იქნება...

18. ეგვიპტელების მტკიცებით, მათი პირველი ცხრა ფარაონები ღმერთები იყვნენ... გააჩნია რას დავუძახებთ ღნერთებს, პირველი ცხრა ფარაონი ეგვ-იპტელებისა მაღალი გონის წარმომადგენლები იყვნენ. (მაღალი გონისა და არა ცივილიზაციის ეტაპზე უფრო წინ წასულები)…გაცილებით დიდი პო-ტენციალის მატარებელი რასა, ვიდრე ჰომო საპიენსია... საიდან, როგორ და როდის-ეს წიგნის III ტომის თემა იქნება...

19.უაღრესად საინტერესო თემაა კართაგენელების და ვენეტების გემების შედარება...ფაქტიურად ორივე ფინიკიური თემია, უფრო მეტიც-ორივე პუ-ნია...აქა იქ გაბნეული ცნობა იძლევა საშუალებს, მათი საცურაო საშუალე-ლებების შედარებისა და სათანად დასკვნის გაკეთებისა. ვენეტური გემებ-ის დახასიათება ზემოთ ამომწურავად არის მოთხრობილი...ვენეტების გემ-ებმა ოკეანეში უნდა იცურაონ და ამისთვის შესაბამისად არიან აღჭურვი-ლნი, ტყავს იალქნებიდან დაწყებული საკუთრივ გემის სიმკვრივემდე: ის-ინი არ უფრთხიან რომაულ გალერეებთან ტარანს, რომლების ვენეტების გემებთან შეჯახებისას კვერცხის ნაჭუჭივით იფშვნებიან (ამას თავად რო-მაელები აღიარებდნენ) ... უბრალოდ, რომაელებთან საზღვაო შეტაკებისას ისინი ბუნებამ დააღალატა, ზღვაზე (ოკეანეში) სრული შტილი დადგა ...

სულ სხვა სურათია რომაელების და კართაგენელების შეტაკებისას, ამჯე-რად უკვე ხმელთაშუა ზღვაზე. გაკვრით მოხსენიებულია ზღვაზე კართა-გენელთა საომარი ხრიკი, როდესაც კართაგენელების სრულიალქნიანი გემი ჩამოუქროლებს რომაელთა ნიჩბიან გალერეს დიდი სიჩქარით გვერდზე, და ამგვარად ულეწავს ნიჩბებს ერთ მხარეს მთლიანად. პრაქტიკულად რო-მაული გალერეა ხეიბარი ხდება, ვეღარ მანევრირებს და მოწინააღმდეგის ლუკმა ხდება...მაგრამ კართაგენელები ვერ რისკავენ გატარნონ რომაელთა გალერეები, მათ არა აქვთ ის კონსტრუქციული უპირატესობა, რომელიც ვენეტებს გააჩნიათ.შესაბამისად, ეს ვენეტთა გემები სერავენ ატლანტის თუ სხვა ოკეანეებს, და არა კართაგენელებისა-ეს უკანასკნელი მხოლოდ საზ-ღვაო (ხმელთაშუა ზღვა) ფლოტს წარმოადგენს ...შესაბამისად, იმ უცნაურ ვაჭრობას ასევე უცნაურ ხალხთან ვენეტები აწარმოებენ- ასევე პუნები, მაგ-რამ არა კართაგენელები...

20. ამ ხალხს ეტრუსკები ვენებს არქმევს, რამეთუ ტი იტალიური კუთვნ-ლებითი ბოლოსართია.

21. ახალთექური ჯიშის ცხენი... ამ თემაზე ადრეც ვწერდით-არ არსებობს კოპეტ-დაღსა თუ რომელიმე სხვა უდაბნოო ოაზისი სახელად ახალი...მა-გრამ ამ ჯიშის ცხენს ჯიუტად ახალ-თექური ჰქვია- და რატომ?

„თესალიაში ქსერქსესმა გამოცდის მიზნით, შეჯიბრება მოაწყო თავისი

ცხენოსნებისა და თესალიელი მხედრებისა, რომელთა შესახებ შეიტყო, რომ ელინთა შორის ეს მხედრობაა საუკეთესო, მაგრამ ელინების ცხენები დიდად ჩამორჩებოდნენ სპარსელებისას“ (ჰეროდოტე; წიგნი VII-196)

რასაკვირველია თესალიელების-ფინიკიური ტომის ცხენები განდხარვულია, მაგრამ უკვე იმ დროს, ქრისტემდე V საუკუნეს, სპარსული ნარჩევი ცხენები შორს ჯობდა თესალიელებისას. რასაკვირველია სპარსული ნარჩევი მხედრობის ცხენები უკვე „ახალთექურია“, ხორასმიული-ასევე ფინიკიელებისა, პუნების ტომისა...

22. ვერ ხერხდება ბრიტანეთის კუნძულების ათვისების უფრო დაზუსტებული თარიღის დადგენა...სავარაუდოდ მისი ათვისება პირენეის ნახევარკუნძულთან ერთდროულად ან მცირე-რამდენიმე ასულწლოვანი ინტერვალის შემდეგ ხდება...

23. რასაკვირველია ბეოტია ეტოლიაზე რამდენიმე ასეული წლით უფრო ადრინდელი ტერმინია. ეს უკანასკნელი პელოპონესის ომის შემდგომი დასახელება ჩანს: სავარაუდოდ, ბეოტიელებმა-დორიული ტომიდან შეავიწროვეს ეოლიელები, მათ კუთვნილ ტერიტორიაზე გადავიდნენ. დროთა განმავლობაში ეოლიელებმა ნაწილობრივ აღადგინეს სტატუს-კვო და მათი ნაწილი ყოფილ სამშობლოში დაბრუნდა : სახელიც კომპრომისული-ეტოლია დაერქვათ...

24.ადრიატიკის ზღვის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო ჭეშმარიტად „მეგრული“ უნდა იყოს: ვენეტები-პუნი ფინიკიელები, ისტრები-კოლხყოფილები, მარები-ლიბურნები და დალმატები-ყოფილი დელოსელები, ამა თუ იმ ხარისხით ფლობს კოლხურ ენას, სავარაუდოდ ლინგვა-ფრანკა ენას ილირიკში...

25. ბაბილონსა და ეგვიპტის წინააღმდეგ ელამიტების ლაშქრობა მხოლოდ ვარაუდია და ისიც არასწორი:ისინი ასევე დახარკული ჩანან იმავე სკვითებისაგან, რომელთა აქ არსებობაზე ისტორიას წარმოდგენაც არა აქვს...

26. მეფე გულკიშარი და მისი საზღვაო სახელმწიფო, რომელიც ბაბილონის სამხრეთით ფიქსირდება, უკვე ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე-სავარაუდოდ ჰეროდოტეს მიერ ნახსენები ფოკაიელები უნდა იყოს, იბერები...

27. ხეთები, რომელთა მეფემ მურსილმა ბაბილონი დაარბია, დახმარებას და თანადგომას ხანეის მეფისაგან ღებულობს, დიდი ალბათობით ეს ბიბლური ხანაანია- იმ დროს ხანაანი ფინიკიას ერქვა... ხეთები-ეს იგივე ფინიკიური ტომია-პუნები..

28. პირველი დარტყმა სკვითების სატელიტ ბაბილონზე, რომელსაც სემიტური ტომები ფლობენ, ხეთებმა და მათმა მეფემ მურსილმა მიაყენა.

29. მომდევნო-ვინც ბაბილონი დაიპყრო და მცირე აზიიდან განდევნა დამპყრობელი სემიტური ტომები-ისინი გახლავთ, აშკარად სვანების კასიტუ-

რი ტომი.
30. საკი ტიგრახაუნდები-იბერები თვით მეფე კიროსის დროსაც, ქრისტემ-
დე VI საუკუნესაც, დღევანდელი ყაზახეთის სტეპებსი დრეიფობენ.
31. ისტორიაში მიღებული ეს თეზისი კარდუნიაშის შესახებ, აშკარად სუბ-
იექტურ მოსაზრებებს ემყარება და არავითარი ისტორიული დოკუმენტი
ამ ხალხის შესახებ იმ ეპოქაში არ უნდა არსებობდეს. მკითხველს მოვახს-
ენებ, რომ კარდუნიაშის სახელის ქვეშ იგულისხმება ფრიგიული (ქურთუ-
ლი) ტომი, რომელიც ქრისტემდე XIII საუკუნისათვის მხოლოდ ერთ ათე-
ულ წელს თუ მოითვლის ამ ტერიტორიაზე. ისინი ქრისტემდე 1307 წლის
სიახლოვეს სრული შემადგენლობით ტყვეს წამოასხა ეგვიპტის ფარაონმა
ჰორემხებმა. რასაკვირველია მან ისინი გადაიყვანა ეგვიპტის ტერიტორია-
ზე და მთელი 230 წელი უუფლებო მონების მდგომარეობაში ჰყავდა. სავ-
არაუდოდ მათი მონური შრომის შედეგად არის ეგვიპტე სარწყავი არხე-
ბით დაქსელილი (ჰეროდოტეს მიხედვით) და სავარაუდოდ მათივე მონ-
ური შრომით მოხდა მეწამული ზღვა-ნილოსის დამაკავშირებელი სანაოს-
ნო არხის გაწმენდა. მხოლოდ ქრისტემდე X საუკუნეს ათავისუფლებენ ეგ-
ვიპტელები ფრიგიელებს- ქურთებს, რომლებიც ამის შემდეგ თუ იწყებენ
საკუთარი პოლიტიკური ერთეულის შექმნაზე ფიქრს...შესაბამისასდ არავ-
ითარი შეხება არ უჩანთ ისინის კასიტურ დინასტიასთან...
32. 1150 წელს ნახსენებია ისინის II დინასტია-შესაბამისად ისინის პირველი
დინასტია არსებულია უფრო ადრეც.
33.კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ კარდუნიაში- ეს ქურთები სახელმწ-
იფოებრივი ჩანასახი უნდა იყოს...
34. არამეველები და „ცრუ-ხალდები“-ქურთები იმ დროისათვის ჯერ კიდევ
მომთაბარეები არიან.
35. არამეველებს არაფერი საერთო „ზღვის ხალხებთან“ არ უჩანს, მათი გა-
მოჩენა დროში რამდენიმე საუკუნით აცდენილია ამ უკანასკნელთაგან...
36. ზღვისპირელაბად ცნობილი ხალხი მაინც კასიტები ჩანან, მაგრამ ამჯ-
ერად სხვა ზღვა-სპარსეთის ყურე უნდა იგულისხმებოდეს.
37. რეტები-ამ სახელით აშკარად სვანური ტომის ნაწილი იგულისხმება,
რომელმაც ეს სახელი მათი ბელადის სახელის მიხედვით მიიღო. რეცია-
ამ სახელით ოდესღაც დღევანდელი შვეიცარია იწოდებოდა...
38. ხაზარებად ცნობილი ხალხი ალექსანდრე მაკედონელის ტრაკიელი (ეს
სიტყვა ქართულ სინამდვილეში ზუსტად ასე გამოითქმებოდა, ამას სამტ-
კიცი მათ ნასახლარზე ტარკის არსებობაა, დღევანდელ დაღესტანში) ქარ-
თული დახასიათებით მათი შედარება ყირასთან-არქაულ უკანალთან, ეს
უკანასკნელი ჩაენაცვლა კიდეც ყირას და მისი ადილი დაიკავა ქართულ
სკაბრეზულ მეტყველებაში.

39. მხოლოდ ხაზართა ელიტა და მეფეები იყვნენ ებრაული წარმოშობისა და თანაც უსათუოდ დღევანდელი ონიდან...ებრაელი ტაჩაგუზები (ასე უხმობს მათ თურქი მოგზაური ევლია ჩელები) წარმოადგენდა მმართველ ელიტას მატრეგში- ტამანის ნახევარკუნძულზე-ჯიქეთში, ტაჩაგუზები იყვნენ მმართველები ასტრახანისკენ გადაადგილებული ხაზარებისაც...არ არის გამორიცხული, რომ დროის გარკვეულ მონაკვთში (IX საუკუნე) ასეთივე მდგომარეობა ყოფილიყო ალანაშიც...

40. გელების, იგივე კადუსიელების სახელით ისტორიაში ჰერები-დღევანდელი გადასახედიდან ინგუშები არიან ცნობილი, ქრისტემდე 690-687 წელს დაბინადრებული კავკასიონის ქედის ორსავე მხარეზე. ვაინახები-მთელი 80 წლით გვიან შეუერთდნენ მათ, იმავე მცირე აზიიდან. მოგვიანებით ამ ორ ტომის მეზობლები იმიერ კავკასიაში ხაზარები გახდნენ, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დასახლებულნი IV საუკუნეს ქრისტემდე.

41. აქ ლეონტი მროველი აშკარად ცდება-სვანური ტომი არ არის კავკასის (გელების) შთამომავალი. ის უხსოვარი დროიდან დამოუკიდებელი ქართული ტომის სახელით მოყვება ისტორიას.

42.სვანთა მაკრონული ტომი და სვანთა ალანური ტომების გზა ჩრდილო კავკასიაში არ გადაკვეთილა, თუმცა ამ ორს ტომს შორის ლექსიკა აუცილებლად თანხვედრილი უნდა იყოს, თუნდაც ნაწილობრივ.

43.ბერბერეს ტომს-სვანებს ალანები ეწოდათ II-Iსაუკუნეს ქრისტემდე, იბერებთან, საკ-ტიგრახაუნდებთან შერევის შემდეგ. შესაბამისად, სვანური ტომი, რომელიც ევროპასა და თვით აფრიკაშიც ფიქსირდება ალანების სახელით, მხოლოდ ზემოთ აღნიშნული თარიღის შემდეგ თუ მოხვდებოდნენ ევროპისა და აფრიკის კონტინენტებზე...იგივე ვინდელიკებთან ერთად შექმნილი პოლიტიკური წარმონაქნი აფრიკაში, მხოლოდ აღნიშნული თარიღის მერე ფიქსირდება.

44. ზუსტად კუდაროელები ჩანს საქართველოში ჩამოსახლებული „ოსები“. ისინი ქედს იქით ცხოვრებისასაც მჭიდროდ იყვნენ ქართველებთან დაკავშირებული, შესაბამისად იგინივე- დვალები უნდა იყვნენ. XVI საუკუნის დასაწყისში დვალეთს შეფარებული მეფე თეიმურაზი მფარველობის თხოვნას უგზავნის რუს ხელმწიფეს. კონტექსტიდან გამომდინარე, ის ჯერ კიდევ საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში მყოფი წერს ამ უსტარს... XVII საუკუნის დასაწყისს მაღრან- დვალეთს აღწერს ვახუშტი ბატონიშვილი, მას კი რამდენადაც ცნობილია, მეზობელი სამთავროები არ აღუწერია...

45. ხირ-პიტი, დღევანდელი აფხაზეთ-სვანეთი შანების ტომის საუფლო უნდა ყოფილიყო, მუჰაჯირობისას აქედან, წებელდის საპრისტავოდან გასახლებული მოსახლეობა მხოლოდ მარშანიების გვარით ფიქსირდება.

46. ამავე თემაზე უკვე საკმაოდ ვილაპარაკეთ პირველ წიგნში, თუმცა რამ-

დენიმე განმარტებითი ხასიათის შენიშვნა ამ საკითხზე არსებულ მასალებზე აუცილებელია. ოდითგანვე ჯიეთი სამ ერთეულად ჩანს გაყოფილი: აფხაზეთის ჯიქეთი (ესაა მათი ნამდვილი დასახელება) დღევანდელი ქალაქ სოჩის დასავლეთიდან ტუაფსემდე (თავად ქალაქში სადაშები-ჭანებს და მომიჯნავე უბიხები- ასევე ჭანები ცხოვრობდნენ) ბინადრობდნენ.

ტუაფსედან ტამანის დასავლეთ ნახევარკუნძულის ჩათვლით -თავისუფალი ჯიქები, (გარდა 1402-1539 წლისა, როცა მათი სუზერენი სამეგრელოს მთავარი დადიანი ჩანს) და ტამანის ჩრდილო ნახევარკუნძული მცირე ხაზარეთი, ხაზარების ხელდებული ჯიქები. სავარაუდოა, რომ მმართველი ელიტა მცირე ხაზარეთში, ზიხიაში მაინც ებრაული უნდა ყოფილიყო, თუმცა სლავების (უკრაინელების) მიერ ზიხიის დაპყრობის შემდეგ ებრაული ელიტა კავკასიის მთების ჩრდილოეთის კალთებს უნდა აფარებდეს თავს, მამშუღის და ტაკაკუს ტომის სახელით. სავარაუდოა, რომ ალანთა ელიტასაც ხაზარები წარმოადგენენ VI-X- საუკუნეში, თუმცა ხაზართა ასტრახანში გადაადგილებასთან ერთად ეს პრივილიგია საკუთრივ ალანიაში დაკარგული უჩანთ...

(46*) ალანები გურგანის-კასპიის ზღვამდე არასოდეს ყოფილან გავრცელებული, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კასპიის ზღვასა და ალანებს შორის, ყოველთვის ფიგურირებდა დურძუკეთის-სერირის პროქართული სამეფო, ევლია ჩელებისეული ტაუსტანი. ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება ალანები კასპიის ზღვამდე განვრცობაზე ვილაპარაკოთ, თუ ალანიას სერირ- ალანსაც მივათვლით, თუმცა ესენი სხვადასხვა პოლიტიკური წარმონაქნებია...

47. ალანები-ეს სვანური ტომი განდხარვების ჩამომავალნი ჩანან, ამდენად ტრაკიელებთან- ოდრისებთან, გვიან ხაზარებად სახელდებულებთან, არავითარი ნათესაობა არ უჩანთ, გარდა ამ პლანეტაზე თანაცხოვრებისა. რაც შეეხება ეთნიკურ და ენობრივ აღევას, ეს საკითხიც მარტივი შესამოწმებელია: ხაზართა პირდაპირი შთამომავალი, ყაზანელი თათრები არიან. ვფიქრობ ლექსიკის დამთხვევა ამ ორ ხალხს შორის ნულოვანია. რაც შეეხება ირონებად ალანების სახელდებას, ეს ალანების ირანულ ტომებად მჩნევის შედეგი უნდა იყოს. ყველა აღმოსავლეთ ქართველური ტომის სამშობლო ინდოეთიდან ამოსვლის შემდეგ, ეს სპარსეთის ყურედ წოდებული ადგილია. შესაბამისად, ეს ქართველური ტომები ირანელთა წინაპრებად არიან მიჩნეული...ამ ვერსიის უსაფუძვლობაზე უკვე ვილაპარაკეთ.

48.ის რომ ქართველი სვანები ალანები არ არიან, ლეონტი მროველის ცნობა ამტკიცებს , რომლის მიხედვით სვანები ჩრდილო კავკასიიდან გადმოვიდნენ საქრთველოში, ქრისტემდე III საუკუნეს...ფაქტია, რომ ქართველი სვანები დიდი სვანური ოჯახის ერთი მცირე ნაწილია, მაგრამ რა გზა უჩანთ

მათ გავლილი ჩრდილო კავკასიაში მოხვედრამდე? სავარაუდოა, რომ ისინი ის მაკრონები უნდა იყვნენ, რომელსაც ბერძენი მოლაშქრე ქსენოფონტე შეხ-კაბადოკიის ზეგანზე ქრისტემდე V-IV საუკუნის გასაყარზე და რომლებიც მაკრონთა (დიდები) სახელს ატარებდნენ...მაგრამ ფაქტები?

„ჰესპერიულ ეთიოპებთან იღებს სათავეს ნიგერი, რომელსაც ბევრი ნილ-ოსის სათავედ თვლის... მასთან ახლოს ბინადრობს მხეცი კატობლეპასი, რომელსაც სხეულის ყველა ორგანო პატარა აქვს, მაგრამ თავი უშველებე-ლი და მძიმე, ამიტომაც ყოველთვის დახრილია მიწისაკენ, სხვანაირად ადამიანთა მოდგმას ემუქრებოდა განადგურება, იმდენად რამდენადაც ყვე-ლა, ვისაც ის შეხედავდა, იქვე კვდებოდა...ასეთსავე ძალას ფლობს ვასილ-ისკი. მისი სამშობლო-ეს კირენეიკის პროვინციაა, ხოლო სხეული თორმეტ მკლავზე (5 მეტრი) მეტი არაა. თავზე მას გააჩნია ჯიღა, გვირგვინის მსგა-ვსი. სტვენით ის აფრთხობს ყველა გველს. ის გადაადგილებისას არ იკლა-კნება მრავალჯერ სხეულით, როგორც დანარჩენები, არამედ მოძრაობს მა-ღლა აწეული შუა წელით. ის თავისი სუნით ანადგურებს ბუჩქებს, წვავს ბალახს, ანადგურებს ქვებს. ასეთია მისი მავნებლური ძალა. ამბობენ რომ ერთხელ მოხერხდა მისი შუბით განგმირვა ცხენოსანის მიერ, მაგრამ გავ-ლილმა ამ შუბში მომაკვდინებელმა ძალამ გაანადგურა არა მარტო მხედ-არი, არამედ ცხენიც“(პლიმიუს უფროსი, ბუნებრივი ისტორია, წიგნი მერვე XXXIII-77; XXXIII-78)

თითქოსდა შეუძლებელია კავშირების მოძიება: სად პლინიუს უფრ-ოსისეული კირენეიკა (აფრიკა, ლიბიის უშუალო სამხრეთით ხმელთაშუა ზღვაზე) და სად ჩრდილოეთ კავკასია...ამ ცხოველის იშვიათობაზე საუბრ-ობს ავტორი, ფაქტიურად ორი ეგზემპლიარია მთელს დედამიწაზე...ამასთ-ან, ის აშკარად მუხლუხოთა გვარიდანაა და არა გველისებურთა, ეს მისი გადაადგილების პლინიუსისეული აღწერიდან ცხადი ხდება..არადა, გველ-ვეშაპის მკვლელს სულ ერთს იცნობს კაცობრიობა-გიორგი კაბადოკიელი, დღევანდელი წმინდა გიორგი...ქართველი ისტორიკოსების (კერძოდ ივანე ჯავახიშვილის) მოსაზრებით მას უნდა ჰყოლოდა თანამოსახელე ქართულ წარმართულ ლეგენდებში (билина-იშვიათი შემთხვევა, როდესაც რუსული ენა უფრო მკაფიოდ გამოხატავს საქმის არსს. სიტყვა билина- ოდესღაც მომ-ხდარ ფაქტს ნიშნავს) ამასთან კანონიკური საეკლესიო ლიტერატურა გიო-რგი კაბადოკიელის მიერ გელვეშეპის დაშუბვაზე ხმასაც არ იღებს, თუმცა ხატი ყოველითვის გამოისახება ცხენზე ამხედრებული, გველვეშაპის შუბ-ით განგმირველი...და რა კავშირშია ეს ნონსენსი საქართველოს სვანებთან? ...ერთხელ უცნაურ დიალოგს შევესწარი ჩემი სიძის, ცხონებული <u>ენვერ (გო-გი) ხაფთანის</u> გასვენებაზე. ქელეხზე თამადის, ერეკლე საღლიანის გვერდზე აღმოვჩნდი. ყურმა უნებლიეთ დაიჭირა დიალოგი საღლიანსა და ერთ ჭირ-

ისუფალს შორის, რომ ორი სვანური გვარი, **კვიციანი და ფირცხელანი** ერთ-მანეთს ექიშპება დრაკონის მკვლელი სვანი ვაჟკაცის მიკუთვნებულობის საკითხს. თემა იმდენად რეალური ჩანდა, რომ ვაჟკაცის ძვლები დამარხულ-ი ჩანდა ხსენებული გვარებიდან ერთ-ერთის საგვარეულო სასაფლაოზე. დრაკონის მოკვდინების ასაკი ვიკითხე, თუმცა გარკვეული პასუხი ვერ მი-ვიღე...ცხადია, დრაკონი-ცივსისხლიანი არსება, ვერც ჩრდილო კავკასაში და ვერც სვანეთში ვერ იცოცხლებდა. მოქმედება სრულიად სხვა ადგილის ჩა-ნდა მომხდარი... და გიორგი კაბადოკიელი, რომელსაც ძალაუბებურად ეს ფაქტი „მიეკრა" იმ დონეზეც კი, რომ ეკლესია წმინდა გიორგის ამ ფორმ-ით გამოსახვას არ კრძალავს, ფაქტიურად მიაწერს კიდეც მას გველვეშაპ-ის მოკვლას, თუმცა კანონიკურად არ აღიარებს...ცხადია, წმინდა გიორგის ფაქტიურად მიეწერა ის საქციელი, რომელიც წარსულში სხვა კაბადოკიე-ლმა (სავარაუდოდ მასაც გიორგი ერქვა) ჩაიდინა აქ -კაბადოკიაში... თვით პლინიუს უფროსის აღწერით, გველვეშაპის მოკვდინება ცხენოსანი ვაჟკაც-ის მიერ წარსულში ხდება. (თავად პლინიუს უფროსი პირველი საუკუნის ისტორიკოსია) ნიშანდობლივია, რომ პლინიუს უფროსი ფლობს ისეთ შო-რეულ ინფორმაციებს, რომელიც მისმა თანამედროვეებმა არ იციან... არა-და, სვანური ტომი, გარიდებული ბაბილონში დამყარებული ქურთული დიქტატს , ზუსტად კაბადოკიაში დრეიფობს ქრისტემდე VII საუკუნის შე-მდეგ. ხვდება ბერძენ მოლაშქრეებს ქრისტემდე V-IV საუკუნის გასაყარზე, მაკრონებად სახელდებულნი. ხოლო თითქმის 70 წლის შემდეგ უკვე მა-კედონელის არმიას ჩრდილო კავკასიაში პაროპამისელთა სახელით... ზუს-ტად მათი რიგებიდან, ქრისტემდე V-IV საუკუნის დიაპაზონში ხდება სვანი ვაჟკაცის მიერ ვასილისკის მოკვდინება (აქ მთავარი და ყველაზე გადაულახავი რწმენაა, რომლის მიხედვით უბრალო შემოხედვა ვასილის-კისა სასიკვდილოა ნებისმიერი ადამიანისათვის) რომელსაც თავადაც შეე-წირა... როგორც ჩანს, მავანი სვანი ვაჟკაცი მამაცობის და უშიშროების სი-მბოლოა (და არა მარტო სვანური თემისათვის) და მისი წმინდა ნაწილე-ბი სათუთად ინახება საგვარეულოში...საქართველოში მოხვედრისა და ქრი-სტიანობის მყარად გავრცელების შემდეგ, საგვარეულო მისთვის წმინდად მიჩნეულ სიწმინდეებს, რომელიც არაკანონიზირებულია ქრისტიანული რე-ლიგიის მიერ, საგვარეულო სასაფლაოს აბარებს...და ცილაობა ორ სვანურ გვარს შორის ამ სწორუპოვარი ვაჟკაცის მიკუთვნებულობის შესახებ, საფ-უძველს მოკლებულია-როგორც ჩანს იმ შორეულ წარსულში ეს ორი საგ-ვარეულო გაყოფილიც არაა...და ეს შემთხვევით გაგონილი და ჩემს მიერ ინტერპრეტირებული ისტორია ერთხელ კიდევ ცხადყოფს: საქართველოს სვანები ტომის ის პოპულაცია ჩანს, რომელიც ქსენოფონტეს შეეყარა ტრა-პეზუნდის ზემოთ კაბადოკიის ზეგანზე... **თეთრი გიორგი...**

...მოსინეკ-მისიმიანები...

სვანური ტომის თემა არასრული იქნება, თუ არ იქნება განხილული მოსინეკები, სვანური ტომის ორგანული ნაწილი. ცხადია მოსინეკების სამშობლო იგივე სპარსეთის ყურე და მცირე აზიაა, როგორც სვანური ტომისა (რასაკვირველია ინდოეთის მერე) ამ ხალხს ისტორია მოსინეკებად, მასინებად, მისიმიანელებად იხსენიებს, თუმცა არსებობს ანტიკურ ლიტერარტურაში მათი სხვა სახელიც, მესენიელები, თუმცა ამ თითქოსდა ორი სხვადასხვა ტომის ერთმანეთთან „მიბმა“ არც არასდროს განხორციელებილა:

„ბაბილონის ქვეყანას აღმოსავლეთიდან აკრავს სუსიდა, ელამები და პარატეკანები; სამხრეთიდან-ხალდები და <u>მესენიელი არაბები</u>; დასავლეთიდან <u>არაბი სკენიტები</u> ადიაბენას და გორდიენამდე; ჩრდილოეთით-არმენები და მიდიელები მდინარე ზაგროსამდე და მასზე მცხოვრებ ტომებამდე“ (სტრაბონი, წიგნიXVI; I-8)

აქ მკითხველს ვთხოვ, შეცდომაში ნუ შეიყვანს მესენიელების არაბებად მოხსენიება, ისევე როგორც სკენიტებისა- სინამდვილეში იბერებისა, როგორც ეს წინა მასალით დამტკიცდა (იხ. იბერები) უბრალოდ სტრაბონი მისთვის უცნობ ტომს არაბებს აკუთვნებს, ან სკვითებს. თავად „არაბი“ მესენიელების საცხოვრისი ადგილი ქართველური ტომების გვერდით აშკარად მიგვანიშნებს, რომ მესენიელები თავადაც ქართველური, დორიული ტომის წარმომადგენლები არიან და მათივე გვედით ცხოვრობდნენ მცირე აზიასა და სპარსეთის ყურეში... და რა პროცესმა გამოიწვია მცირე აზიური დორიული ტომების გადასახლება სამხრეთ ევროპისაკენ? რასაკვირველია გარდა იმ პროცესისა, როდესაც სამხრეთ ევროპის უფრო შორეული ადგილების ათვისება ხდება იმავე განდხარვთა ტომების მიერ, თუმცა იმ დროისათვის ისინი არა დორიელების, არამედ კელტების სახელს ატარებენ. დორიული ტომების მეორე გადასახლებას ევროპაში, პირველიდან ათეულზე მეტი საუკუნის შემდეგ, ლიდიელები ხელმძღვანელობენ, მეიონები-შემდგომში ეტრუსკებად ცნობილნი; ლიდიელ -მეიონების, შემდეგში ეტრუსკებად წოდებულების შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ პირველ ტომში ვისაუბრეთ და აღარ გავიმეორებთ, თუმცა დავამატებთ, რომ ამ ექსპედიციის მონაწილენი მარტო ლიდიელები არა ჩანან და მათში ფაქტიურად მცირე აზიის განდხარვების, დორიელების ფაქტიურად სრული სპექტრის მონაწილეობა აქსიომაა...და მაინც როდის, რომელ საუკუნეში მოეწყო ტირსენ ატისის ძის მიერ ეს ექსპედიცია?

„ხელისუფლება, ჰერაკლიდებს რომ ეკუთვნოდათ, შემდეგნაირად გადავიდა კროისოსის გვარში, რომელსაც მერმანიდთა გვარი ერქვა. იყო კანდავლესი, რომელსაც ელინები მირსელოსს უწოდებდნენ, სარდელთა ტირანი,

ჰერაკლეს ძის, ალკაიოსის ჩამომავალი. აგრონი, ნინოსის ძე (ხოლო ნინოსი ბელოსის ძე იყო), ხოლო ბელოსი კი ალკაიოსისა) პირველი ჰერაკლიდი მეფე იყო სარდელებისა, ხოლო კანდავლესი, მირსოსის ძე -უკანასკნელი. აგრონის უწინარესი მეფეები ამ ქვეყნისა იყვნენ ლიდოს ატისის ძის ჩამომავლები, ამის მიხედვით დაერქვა სახელი ლიდიელ ხალხს, უწინ მეიონად წოდებულს. ამათგან მიიღეს ძალაუფლება ჰერაკლიდებმა... წინასწარმეტყველების თანახმად; ჰერაკლიდები წარმოშობილი იყვნენ იარადოსის მხევლისა და ჰერაკლისაგან. მართავდნენ ისინი ადამიანთა 22 თაობას, 505 წლის განმავლობაში, შვილი მამისაგან ღებულობდა ხელისუფლებას, კანდავლეს მირსოსის ძემდე“ (ჰეროდოტე, ისტორია, წიგნი I-7)

უპირველეს ყოვლისა აღვნიშნოთ, რომ ჰეროდოტე ერთი თაობის ხანგრძლივობას: 505: 22= 23 წელს სდებს. ჰეროდოტეს სიტყვებით, პირველი ჰერაკლიდი მეფე აგრონი იყო, რომლის გენეალოგიური ხე შემდეგნაირად გამოიყურება: ჰერაკლე - ალკაიოსი - ბელოსი -ნინოსი- აგრონი. უკანასკნელი მეფე კანდავლეს მირსოსის ძე იყო, ხოლო აგრონის ზეობიდან კანდავლესის ზეობამდე იყო იყო 22 თაობა, მართვის ჯამური 505 წლით. შესაბამისად, აგრონის წინაპართა ჯამური ზეობის წლები 23X3=69 წელი. დრო, რომელიც ჰყოფს ჰერაკლეს აგრონისაგან 505+69=574 წ. რაც შეეხება მერმანიდთა დინასტიას გიგესიდან კროისოსამდე, მეფეთა სახელობითი ჩამონათვალი ასე გამოიყურება: გიგესი-38 წ; ადრიეს გიგესის ძე-49 წ; სადიატეს ადრიესის ძე-12 წ; ალიატეს სადიატესის ძე-57 წ; კროისოს ალიატესის ძე-14 წელი. ჯამური ზეობა მერმანიდთა გვარის=38+49+12+57+14=170 წელი. კროისოს ალიატესის ძე დამარცხდა მეფე კიროსთან ქრისტემდე 546 წელს, შესაბამისად, ალკაიოს ჰერაკლეს ძე სრულწლოვანი ხდება: 574+546+170=1290 ქრისტემდე. შესაბამისად ალკაიოს ჰერაკლეს ძე დაბადებული ჩანს: 1290+23=1313 წელს. ჰეროდოტეს მიხედვით, ჰერაკლე ქრისტემდე 1350 წლის ახლო ხანებში იყო, ხოლო ბერძნული წყაროებით მან 52 წელი იცოცხლა. ცხადია ჰეროდოტეს მოცემულობის მიხედვით გამოანგარიშებული და ჰეროდოტესვე ვერსია ჰერაკლეს და მისი ჩამომავლობისა, აშკარად რეზონში მოდის ერთიმეორესთან. რაც შეეხება ჰერაკლიდი მეფის, აგრონის მეფობას, ის აღნიშნულზე რიცხვზე 70 წლით ნაკლები უნდა იყოს (მეფე აგრონი უკვე მეოთხე ჩამომავალია ჰერაკლესი) შესაბამისად, აგრონი იყო 1290-70= 1220 ქრისტემდე. აგრონამდე მეიონიაში ლიდოს ატისის ძის ჩამომავლები ზეობდნენ... და რამდენ ხანს? როგორც ჩანს, მინიმუმ სამი თაობა მაინც, რის შემდეგაც მისნობის მიხედვით ჰერაკლეს შვილები ისაკუთრებენ მამის კუთვნილ ტახტს (ჰერაკლეს ჩამომავალს ყველა დორიული ტომის მეფობაზე აქვს პრეტენზია)...და ჰეროდოტესსვე სიტყვებით, აგრონამდე ლიდიის სამეფოს მართავდა ლიდოს ატისის ძის ჩამომავლები. ცხადია, მრავლობით ბრუნვაში

ნახმარი სიტყვა მინიმუმ ორ ჩამომავალს მაინც გულისხმობს და აქაც ზუსტად ემთხვევა ჰეროდოტესეულ ვერსია...გამოთვლები თვალნათლივ გვიჩვენებენ, რომ ტირსენ ატისის ძის და ქართველური ტომების იტალიის ტერიტორიაზე გადასვლას ადგილი აქვს ქრისტემდე XIII საუკუნის დასაწყისში. ფაქტიურად მცირე აზიიდან ხალხთა ამ გადასახლებაში მთელი დორიული სპექტრი მონაწილეობს, მათ შორის რეტები-სვანური ტომი და მესენიელები, ასევე სვანური ტომი...

...და ისევ გილი...

გილი ჰერაკლეს უფროსი შვილია. მას აქვს პრეტენზია, რომ დორიელთა ტომის მეფეები მამამისის-ჰერაკლეს შვილების ჩამომავალი უნდა იყოს. საიდან ასეთი პრეტენზია? ჰერაკლე პირველი დორიელის ჩამომავალია, რომელიც ეგვიპტიდან საბერძნეთში აღმოჩნდა. საბერძნეთი კი უკვე ჰერაკლეს სამშობლოა, თვლის რომ აქაური დორიელების მეფე მისი ჩამომავალი უნდა იყოს (და როგორც ეტყობა, არა მარტო ელადელ დორიელებზე, არამედ მცირე აზიელ დორიელებზეც იგივე აზრისა ყოფილა) მისი სიკვდილის შემდეგ გილმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაებრუნებინა ჰერაკლიდებისათვის საბერძნეთი. ზუსტად ამ დროს უძეოდ დარჩენილმა დორიდის მეფე ეგიმმა, იგრძნო რა სიკვდილის მოახლოება, მოიწვია გილი, შვილად აიყვანა და საკუთარი ტახტიც გადაულოცა, რომელიც ჰერაკლესაგან დიდად დავალებული იყო.

„ბარბაროსები ტრექინიდან დორიდაში შეიჭრნენ, რადგან დორიდის ქვეყნიდან ამ ადგილასაა შედარებით ვიწრო გზა, ქვემოთ რომ მიემართება, დაახლოებით 30 სტადიონის სიფართის, მელიდის და ფოკიდის მიწებს შორის, რაც ძველად იყო დროპისი. სწორედ ეს ადგილია დორიელთა სამშობლო პელოპონესში“ (ჰეროდოტე, წიგნი VII-31)

სავარაუდოა, რომ დორიდა, მდებარე ცენტრალურ პელოპონესში, ჯერ კიდევ ჰერაკლეს ეპოქაში უკვე დაფუძნებულია, რომელზედაც უპირველეს უფლებას ჰერაკლიდები ამჟღავნებენ. დორიდაზე სამეფო ტახტის დაუფლების შემდეგ, გილმა დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ გაევრცელებინა ჰერაკლიდების მმართველობა დანარჩენ დორიელებზე, რომელთაც ის ჰერაკლეს წინაშე მოვალეებად თვლიდა. მიმართა სამისნოს, რომელმაც უპასუხა, რომ მამის ტახტის მიღებას შესძლებენ სამი ნაყოფის შემდეგ. ჩათვალა რა, რომ სამი ნაყოფი ნიშნავს სამ წელიწადს, მან შეკრიბა მომხრეები და პელოპონესს მიადგა. საინტერესოა, რომ აქ საუბარია პელოპონესელებზე, და არა დორიელებზე. სავარაუდოა, რომ პელოპონესი ჯერ კიდევ ახაიელებს უკავიათ, რომელთაც დაიმორჩილეს აქ მცხოვრები იონიელები (იბერიელები). გილმა შესთავაზა მოწინააღმდეგე მხარეს, რომ დავის საკითხი ორთაბრძოლას

გადაეწყვიტა. დორიელთა მხრიდან შესაბრძოლებლად გამოვა თავად გილი, ხოლო პელოპონესელთა მხარემ თავად შეარჩიოს მებრძოლი. თუ გილი დამარცხდებოდა, მას პრეტენზია არ ექნებოდა პელოპონესზე, თუ გაიმარჯვებდა, პელოპონესელები უნდა დამარჩილებოდნენ მას. პელოპონესელები დათანხმდენ პირობაზე, დაიდო ფიცი და გილის წინააღმდეგ პელოპონესელთა გაერთიანებული ლაშქრიდან არჩეული იქნა მეფე ეხემი. ამ პატიოსან ორთაბრძოლაში მეფე ეხემმა მოკლა გილი. დამარცხებული ჰერაკლიდები წავიდნენ. მხოლოდ გილის სიკვდილიდან 50 წლის შემდეგ, (სამი თაობა, როგორც განუცხადა დელფოს სამისნომ ჰერაკლიდებს) თავს იკავებდნენ პელოპონესში შეჭრისაგან....

ზუსტად ამ პერიოდიდან აქვთ ჰერაკლიდებს დორიელთა შთამომავალზე მეფობის პრეტენზია და არა დანარჩენ ხალხზე, იონიელებს და ეოლიელებზე, რომელიც მათი საბერძნეთში გამოჩენისათვის მინიმუმ 20 საუკუნეა უკვე აქ ცხოვრობენ. რაც შეეხება დელფოს სამისნოს მისნობას, ფაქტიურად ის გამართლდა კიდეც: ტირსენ ატისის ძის მიერ იტალიასა და საბერძნეთში მოწყობილი ექსპედიცია აქ ძირითადად დორიულ ტომებს აფუძნებს. დორიული ტომების მიგრაცია კი ის სტიმული აღმოჩდა გადორიელებული პელოპონისელებისათვის , რომ დორიული წარმოშობის ჰერაკლიდები თავიანთ სუზერენებად ეღიარებინათ, არა მარტო პელოპონნესში, არამედ მცირე აზიის ლიდიაშიც კი. რაც შეეხება ათენელებს და მათ მხარდამჭერებს კონტინენტალურ ელადაში, აქ სახალხო ინსტიტუტები და არჩევითობა პრივალირებს, ისევე როგორც არქაული მზის ქალაქ სიპარში, ვენეციაში...

...მესენიელები...

ძველ დროში, გადმოცემის მიხედვით, ეს ადგილი დასახლებული იყო ლელეგებით (კარიული-სინამდვილეში იბერიული ტომით). ჰომეროსის მიხედვით, მესენიაში მდებარეობდა ლეგენდარული გერენიელი მხედრის, ნესტორის სამეფო, ცენტრით პილოსში...მესენიური ომების შედეგად მესენია სპარტას ძალაუფლების ქვეშ მოექცა. მოიპოვა დამოუკიდებლობა ქრისტემდე 369 წელს, სპარტელებზე ეპამინონდას მეთაურობით ფიველების გამარჯვების შემდეგ. იმავე წელს იქნა დაფუძნებული ახალი დედაქალაქი მესენიისა მესინა.

პირველი მესენიური ომი

პირველი მესენიური ომის შედეგად (VIII საუკუნის მეორე ნახევარი ქრისტემდე სპარტანელებმა შეძლეს მიეტაცებინათ მესენიის აღმოსავლეთი ნა-

წილი, ხოლო მესენიის სამხრეთ სანაპიროს მცხოვრებლებს უნდა გადაეხადათ ხარკი- მოსავლის ნახევარი ნაწილი.

მეორე მესენიური ომი

მეორე მესენიურ ომად სახელდება მესენიელთა აჯანყება სპარტელთა წინააღმდეგ (ქრისტემდე VII საუკუნის მეორე ნახევარი) არისტომენის ხელმძღვანელობით... სამხედრო თვალსაზრისით უფრო ძლიერმა სპარტამ დაიპყრო მთელი მესენია. მესენიელთა ნაწილი გადავიდა სიცილიაში, დააფუძნეს ქალაქი მესენა (ზანკლე) დარჩენილი მესენიელები გადაქცეულ იქნენ ილოტებად.

მესამე მესენიური ომი

მესამე მესენიური ომად (ქრისტემდე 465-455 წ) მიღებულია იწოდოს უდიდესი აჯანყება ილოტებისა (ყმებისა) მესენიასა და ლაკონიკაში. ქრისტემდე 465 წელს მოხდა ძლიერი მიწისძვრა, გავრცელდა პანიკა. ილოტები აჯანყდნენ, თუმცა სპარტას შტურმით აღება ვერ შეძლეს გაბრუნდნენ მესენიაში. აჯანყებულები გამაგრდნენ იტომის მიუდგომელ მთაზე და მიუხედავად სპარტას მიერ მიღებული სამხედრო დახმარებისა სხვადასხვა ბერძნული პოლისებიდან , მედგრად იცავდნენ თავს 10 წელი. სხვებთან ერთად მესენიელთა გარემოცვაში სპარტას ეხმარებოდნენ ათენელებიც, რაც გამოწვეული იყო ათენის მმართველი არისტოკრატი კიმონის სპარტანული განწყობით, რომელიც მართავდა ათენს თემისტოკლეს და პერიკლეს შორის პერიოდში. იტონის მთასთან წარუმატებლობამ დიდი გავლენა იქონია სპარტას და ათენის სამხედრო პრესტიჟზე, როგორც ბერძნულ-სპარსული ომის გამარჯვებულებისა და მნიშვნელოვნად დაეცა. კიმონი მოხვდა ოსტრაკიზმის კანონის ქვეშ და გაძევებულ იქნა. სპარტანელები იძულებულნი გახდნენ მიეცათ თავისუფალი გასასვლელი მესენიელი აჯანყებულებისათვის, რომლებიც ათენელების ხელშეწყობით დასახლდნენ ქალაქ ნიუპაქტში, პელოპონესის ჩრდილო სანაპიროზე (ვიკიპედია, მესენიური ომები)

ის რომ მესენიელები იგივე დორიული ტომია, აქსიომაა. მესენიელები ისეთივე განდხარვული ტომი მოჩანს, როგორც ლაკედემონელები, ერთი მცირე განსხვავებით:ლაკედემონელები-ქუშის ტომია, მესენიელები-სვანებისა. ის რომ ორივე ტომი დორიულია, მათი საერთო სამლოცველოც მეტყველებს, რომელზედაც ანტიკური ისტორიკოსი პავსანია აღნიშნავს. უხუცესი ანტიკური ისტორიკოსი სულ ერთხელ ახსენებს მესენიელებს:

„მაგრამ განა ღირს თქვენთვის პატარა ქვეყნის გამო, რომელიც არც იმდენად კარგია და თან საზღვრებით შემოფარგლული, ბრძოლის დაწყება მესენიელებთან, რომლებიც ბრძოლაში თქვენი თანაბარნი არიან“ (ჰეროდოტე, წიგნი V-49)

ჰეროდოტეს სიტყვებით მესენიელები საომარ ხელოვნებაში ტოლს არ უდებენ ლაკედემონელებს - სპარტელებს, დანამდვილებით დორიულ ტომებს. ყველაზე გამოწვლილვით მესენიელთა საკითხებზე საუბრობს პავსანია, ძველბერძენი ისტორიკოსი: მისი სიტყვებით , ლაკედემონელებმა და მათმა მეფემ ვერ შეძლეს მესენიელთა და ლაკედემონელთა შორის ომის პროვოცირება, თუმც ამას ერთმა შემთხვევამ შეუწყო ხელი, რომელიც მესენიელთა-ამ სვანური ტომის მიერ სისხლის აღების (როგორც ჩანს) უძველესმა ტრადიციამ შეუწყო ხელი. მესენიელმა მეჯოგემ პოლხარმა ვერ შეძლო მიეღწია თაღლითი და შვილის მკვლელი ლაკედემონელის დასჯისათვის. მაშინ მან დაიწყო ნებისმიერი ლაკედემონელის მოკვდინება, რომელსაც ის სადმე გადააწყდებოდა. ლაკედემონელებმა მოითხოვეს პოლხარის გაცემა, თუმცა მესენიელებმა ის არ გადასცეს ლაკედემონელებს. ზუსტად ამ მიზეზით დაიწყო ომი ლაკედემონელებს და მესენიელებს შორის:

„სპარტანელები უწოდებდნენ მესენიელებს თავიანთ მონებს, ილოტებზე არა ნაკლებ დამოკიდებულ ხალხს, ხოლო მესენიელები უწოდებდნენ უღმერთოებს, მათი უსახური მოქცევის გამო, რადგან ისინი თავიანთი ცეტობით ებრძოდნენ ხალხს, მონათესავე ტომელებს, ასევე ღმერთის წინაშე დამნაშავეებს, რომლებიც მშობლიურია დორიელთათვის, განსაკუთრებით ჰერაკლე“ (პავსანია; ელადის აღწერა წიგნიIV თავი-4)

პავსანიას ამ ამონარიდან ცხადი ხდება, რომ მესენიური ტომი ისეთივე დორიულია, როგორც თავად ლაკედემონური. ფიზიკურად თუ მორალურად გამოფიტულმა მესენიელებმა იტომის მთას შეაფარეს თავი. ოცი წლის თავდადებული ომის შემდეგ მესენიელები დამარცხნენ. ისინი წავიდნენ იტომის მთიდან, ასე დამთავრდა პირველი მესენიური ომი... მესენიელთა ის ნაწილი, ვისაც ჰყავდა საიმედო ნაცნობი სიკიონიასა თუ არკადიაში, გადასახლდნენ ამ ქალაქებში. სხვები დაბრუნდნენ თავიანთ ქალაქებში. მესენიელთა მიწების ნაწილზე სხვები დაასახლეს. დარჩენილ მესენიელებს ფიცი დაადებინეს, რომ არ გაიქცეოდნენ და მოსავლის ნახევარს ლაკედემონში გააგზავნიდნენ. 39 წლის შემდეგ მესენიელები ისევ აჯანყდნენ. პირველმა ომმა ვერ გამოავლინა გამარჯვებული თუ დამარცხებული მხარე. მეორე შეტაკება უკვე მოკავშირების დახმარების შემდეგ შედგა. მესენიელებს ეხმარებოდნენ არკადიელები და სიკიონელები, არგოსელები და ზოგჯერ მესენიიდან ადრე გაქცეულების შთამომავალნი. ლაკედემონელებს კორინთელები ეხმარებოსდნენ. ეს ბრძოლა მესენიელებმა და მათმა მოკავ-

შირეებმა პირწმინდად მოიგეს, მათი სარდალის, არისტომენის გასაოცარი გმირული ომის შედეგად. მესენიელებმა შემდეგი შეტაკება არკადიელთა ღალატის გამო წააგეს, რომლებიც ლაკედემონელებმა ფულით მოისყიდეს. მესენიელები კი გირის მთაზე გამაგრდნენ წინააღმდეგობის გასაწევად. არისტომენმა ფართომასშტაბიანი პარტიზანული მოძრაობა გააჩაღა. ასევე პარტიზანული ღამეული შეტაკებით ამარცხებს ლაკედემონელების მაშველად წამოსულ კორინთულ ჯარს თავისი წინამძღოლით:

„ამ დროს მოვიდა მესენიელებთან ელჩობა ანაკსილისაგან, რომელიც მათ იტალიაში ეპატიჟებოდა-ანაკსილი იყო რეგიის ტირანი, და მეოთხე მუხლი ალკიდამის ჩამომავალი. ალკიდამი გადასახლდა მესენიიდან რეგიაში მეფე არისტოდემის სიკვდილის მერე და იტომის აღების შემდეგ“ (იქვე, წიგნი IV-23)

...და როგორ ხდება შედარებით მცირე დროში ბერძნული მესენიელი კაცის შთამომავალი რეგიის ქალაქი პოლისის (ფაქტიურად დამოუკიდებელი მინი სამეფოს) ტირანი იტალიაში? პასუხიც მარტივი ჩანს, რეგიაეს ტირსენ ატისის ძის მოწყობილი ექსპედიციის რეტი (სვანი) მონაწილეების მიერ დაარსებული ქალაქი პოლისია, იმ რეტიის ორგანული ნაწილი, რომელთა დიდი ნაწილი ვენეტებს (ვენეციის) ზემოთ და ალპებზეა განლაგებული. კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ანაკსილის მიერ ნაჩვენები ქალაქის-ზანკლეს დაუფლების შემდეგ მესენიელებმა ამ ქალაქს მესენა დაარქვეს და როგორც ჩანს ისინი ამ სახელს ისევე უფრთხილდებიან, როგორც სვანები-რეტები თავისას:

„მაგრამ მაშინ როდესაც ათენელები დამარცხდნენ ეგოსპოტამთან, მაშინ ლაკედემონელებმა, უკვე ზღვის მასპინძლებმა გამოაძევეს მესენიელები ნავპაქტიდან. მესენიელების ნაწილი წავიდა სიცილიაში და რეგიაში, თავის თანამემამულეებთან, ხოლო უმრავლესობა მესენიელებისა - ევესპერიტებთან.“ (იქვე, წიგნი IV- თავი 26)

აქ პავსანია პრაქტიკულად პირველად ახსენებს მესენიელების და რეტების თანამემამულეობას და სინამდვილეშიც ისინი ერთი განდხარვული ტომის წარმომადგენლები არიან...და ერთი უკიდურესად საყურადღებო ცნობა: მესენიელთა უნრავლესობა ევესპერიტებთან ლიბიაში-აფრიკაში წავიდა საცხოვრებლად:

„მესენიელები პელოპონესს გარეთ დაეხეტებოდნენ 300 წელზე მეტი და ამ დროის განმავლობაში აჩვენეს, რომ არაფერი არ დავიწყნიათ საკუთარი მშობლიური ადათიდან, არ დავიწყებიათ თავიანთი დორიული დიალექტი და ამ დროს ყველა პელოპონესელებს შორის მათ შეინარჩუნეს ის ყველზე სუფთად“ (იქვე, წიგნი IV, თავი27)

პავსანიას ეს სიტყვა კი ყველა დროის მკვლევართათვის გაცემული პასუხია, რომელიც ჩვენ ადრევე გავახმოვანეთ: მესენიელები დორიული ტომია...

„მაშინ, გაიმარჯვეს რა ლევკრეტეში, ფივიელებმა გააგზავნეს ელჩები იტალიაში და სიცილიაში, ასევე ევსპერიტებთან, მოიწვიეს ყველა ისინი, ვინც კიდევ დარჩა მესენიელად, გაფანტულნი მთელ დუნიაზე, დაბრუნებულიყვნენ ისევ პელოპონესში...ფოკეური ომის შედეგად ფივიელენი იძულებულნი იყვნენ წასულიყვნენ პელპონესიდან, ლაკედემონელები ისევ გათამამდნენ და უკვე არ შეეძლოთ თავი შეეკავებინათ მესენიელებზე თავდასხმისაგან. მაგრამ მესენიელები, რომლებსაც ჰქონდათ კავშირი არგიველებთან (არგოსელებთან) და არკადიელებთან, შეეძლოთ გაეძლოთ ამ ომისათვის; გარდა ამისა მათ დახმარებისათვის მიმართეს ათენელებს; ამ უკანასკნელებმა უპასუხეს მათ, რომ მათთან ერთად ლაკონიკაზე თავდასხმაში მონაწილეობას არ მიიღებდნენ, თუმცა შეპირდნენ მათ, რომ თუ ლაკედემონელები დაიწყებენ ომს და გაილაშქრებენ მესენიაზე, მაშინ ისინი მოვლენ მესენიელთა დასახმარებლად“ (იქვე, წიგნი IV-28)

ლაკედემონელები რამდენჯერმე მოვიდნენ მესენიის მიწაზე სამტროდ, თუმცა უშედეგოდ. გარდატეხის მომენტი დადგა მაშინ, როდესაც:

„როდესაც ლაკედემონელები იბრძოდნენ პირის წინააღმდეგ, ეაკიდის შვილისა, მესენიელები თავად, ყოველგვარი მოწვევის გარეშე მოვიდნენ მათთან დასახმარებლად, ხოლო ამ გაწეული სამსახურს შედეგად მოყვა სპარტანელთა მხრიდან უფრო მეგობრული და მშვიდობიანი დამოკიდებულება მათთან“ (იქვე, წიგნიIV-29)

შემდგომში მესენია გაწევრიანდა ახეელთა კავშირში, რის შედეგად რეგიონში მეტ-ნაკლები სტაბილურობა მყარდება.

...და პლინიუს უფროსი...

უაღრესად საინტერესოა რომაელი ბუნებისმეტყველის, გეოგრაფის, ისტორიკოსისა და სამხედრო ადმირალის, პლინიუს უფროსის მიერ აღწერილი იტალიის ის სანაპიროები, რომელშიც აშკარად იკითხება მესენიელთა, რეტთა და...თვით სვანური ტომის სახელიც კი...

„შემდეგ რეგიელთა სვეტები, სიცილიის სრუტე ორი კონცხით, მდებარე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ“ (პლინიუს უფროსი, ბუნებრივი ისტორია, წიგნი III-73)

ეს ის რეგიაა , რომელმაც მოიწვია მესენიელები საცხოვრებლად. აქვეა მესენიელთა ქალაქი, ყოფილი ზანკლე, რომელსაც პავსანია ახსენებს.

„...და ბოლოს მცხოვრებნი) ზანკლეში- (შთამომავალი) მესენიელებისა (გადმომსხდარნი) სიცილიის სრუტეში“ (იქვე-91)

საინტერესოა ტერმინ „რეგიას“ პლინიუსისეული ახსნის მცდელობა:

„ოდესღაც ის შეერთებული იყო ბრიტინის ვაკესთან, შემდეგ ზღვის მიერ მოწყვეტილ იქნა და წარმოიშვა სრუტე, სიგრძით 15 მილი (22 კმ) სიგანით მილნახევარი (2, 2კმ) საბუთად იმისა, რომ ოდესღაც მოხდა ეს მოწყვეტა (კუნძულისა) სახელი რეგიაა, რომელიც ბერძნებმა მიანიჭეს ქალაქს, მდებარეს იტალიის განაპირას“ (იქვე-86)

პლინიუს უფროსის კომენტატორისათვის ეს სახელი-კონცხ რეგიას სვეტებისა, წარმოებული მიაჩნია სიტყვა REX-მეფისაგან, ბერძნებისათვის უკიდურეს შემთხვევაში. პლინიუს უფროსისათვის- გახლეჩა, ნაბზარი, ნაპრალი; ჭეშმარიტად არაა საჭირო ღია კარის მტვრევა-პოლიტიკური წარმონაქმნი ასეთი სახელით, რეტია, რეგია, რეციაა-ანტიკური საზოგადოებისათვის ცნობილი იყო. ეს პოლიტიკური გაერთიანება დღევანდელი შვეიცარია არის, ადრე რეციად წოდებული, თუმცა საკმაოდ დაშორებული სიცილიის რეგიას... არსებობს საბუთი უფრო ფიცხი და ერთმნიშვნელოვანი, ვიდრე-რეგიაა და ის იმავე პლინიუს უფროსის მიერაა მოცემული:

„ ფლორენცია, რომელსაც მდინარე არნოს ტალღები რეცხავს...ფორო-კლადიუმი, პისტორიუმი, პერუზია, <u>სუანი</u>, სატურნი“ (იქვე-52)

პლინიუს უფროსი აქ იტალიის სამხრეთ სანაპიროს აღწერს ტირენეის ზღვის გაყოლებით და რომელსაც ფაქტიურად მთლიანად ეტრუსკულად თვლის, ნახსენები აქვს ქალაქი სუანი. ეჭვის შეტანაც კი ძნელია, რომ ის სინადვილეში სვანთა ქალაქია, ისევე როგორც რეგია სიცილიის (და არა მარტო) სანაპიროზე.

„შემდეგ ქალაქები ...<u>რეგია</u> (წოდებული ასე ლეპიდისაგან)...ტანნეტა, ველეია, <u>(ოდესღაც სახელი რეგიას მატარებელი)</u> (იქვე-116)

აი ესენი კი უკვე სხვა რეგიაა და ერთბაშად ორიც კი, აქვეა მესენიკი, როგორც ჩანს მესენიელებით დასახლებული:

„ავგუსტუსის არხი გამოეყოფა მდინარე პოს რავენას მიმართულებით იმ უბანზე, სადაც მდინარე პო იწოდება პადუსად, ხოლო ადრე იწოდებოდა მესენიკად“ (იქვე-119)

როგორც ჩანს, ომში ლაკედემონელების მიერ დამარცხებული მესენიელები არა მარტო სიცილიის რეგიაში, არამედ ვენეციის გვერდით მდებარე რეგიონისკენაც ჩანან მიგრირებული...და ის, რომ ვენეციის გვერდით მდებარე რეტია და თვით შვეიცარიის რეტიაც ფლორენციის ეტრურიასთან კავშირშია, იკვეთება იმავე პრობლემურ ისტორიკის-გეოგრაფის, პლინიუს უფროსის ჩანაწერებში:

„ არც თუ ისე შორს ზღვიდან, უმბრიის ქალაქ ბუტრიი, ანკონიდან ის დაშორებულია 105 მილით (155კმ) შიგნით ხმელეთზე ბონონია (ბოლონია,

ავტ) **ოდესღაც ის იწოდებოდა ფელსინად და იყო ეტრურიის დედაქალაქი“ (იქვე-115)**

თუ ბონონია (ბოლონია) ეტრურიის დედაქალაქი იყო, ფაქტიურად მდებარე ეტრურიასა და რეტისა შორის გეოგრაფიულ ცენტრში, შესაბამისად ეტრურია და რეტია ერთი პოლიტიკური ორგანიზმად, ეტრუსკებად გრძნობენ თავს, თუმცა სუსტი პოლიტიკური კავშირებით ცალკეულ ქალაქ- პოლისებს შორის. რეტები ისეთივე სრულფასოვანი ეტრუსკები ჩანან, როგორც კლუზიელები:

„ჯერ კიდევ რომული თვითმპყრობელობის ჩამოყალიბებამდე, ეტრუსკთა ძალა-უფლება ფართოდ ჩამოყალიბდა ხმელთაშუა ზღვაზეც. იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად დიდი იყო მათი ძლიერება, ამბობს დასახლება ზემო და ქვემო ზღვებისა, რომლითაც კუნძულის მსგავსად შემორტყმულია იტალია...ერთ მათგანს იტალიკური ტომები უწოდებენ ტუსკებისას, ამ ხალხების საერთო სახელწოდების მიხედვით, ხოლო მეორეს ადრიატიკისას- ადრიიდან, ტუსკების კოლონიიდან. ბერძნები უწოდებენ ამ ზღვებს ტირენისას და ადრიატიკისას. ტუსკებმა დაასახლეს ერთი ზღვიდან მ ეორემდე, თავიდან დაარსეს თორმეტი ქალაქი აპენინის მხარეზე, ქვემო ზღვასთან, ხოლო შემდეგ გამოიყვანეს კოლონიები ქალაქების რიცხვის მიხედვით. ამ კოლონიებმა დაიკავეს მთელი მიწები პადს იქით ალპებამდე, გარდა ვენეტების კუთხისა, მცხოვრებნი ზღვის უბის გასწვრივ. უეჭველად მათვე დაუდეს სათავე ალპურ ტომებს, პირველ რიგში <u>რეტებს</u>. მართალია ადგილებმა, სადაც ცხოვრობდნენ რეტები, გახადა ისინი მრისხანენი და არ დატოვა მათში არაფერი ძველებური, თვინიერ ენისა და ისიც გაფუჭებული“ (ტიტუს ლივიუსი, წიგნი V-33)

უკიდურესად საინტერესო და მრავლისმომცველი ცნობა რომაელი (ვენეციელი- ლაზი) მწერლისა, ტიტის ლივიუსისა. ლივიუსის მიხედვით, ეტრუსკები (და მათ შორის რასაკვირველია სვანებიც-რეტები) თავდაპირველად იტალიის სამხრეთით განსახლდნენ და მხოლოდ ამის შემდეგ აითვისეს ადრიატიკის ზღვის სანაპირო, გამოაგზავნეს რა ყოველი ცალკეულ ქალაქიდან კოლონიები. ცხადია, ეტრუსკული ქალაქების კოლონიები, რომლებმაც ადრიატიკა დაასახლეს, უთუოდ იმავე ტომის წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, როგორც საკუთარი მეტროპოლიები. ამდენად არც უნდა იყოს საკვირველი, რომ იტალიის სამხრეთ სანაპიროზე მრავლად მოიპოვება ქალაქი პოლისები დასახელებით- რეგია.....და კიდევ, ტიტუს ლივიუსის დახასიათება რეტების მრისხანე ხასიათისა და **<u>„გაფუჭებული ენის“ შესახებ აშკარად მიანიშნებს-რეტები სვანური ტომია!</u>** <u>კიდევ ერთი სამტკიცი</u> იმისა, რომ რეტიელები სვანური ტომია, ასევე პლინიუს უფროსთან იპოვება:

„დამორჩილებული ხალხი ალპებისა: ტრიუმპილიანები, კამუნები... კოსუ-ნეტები...<u>სუანეთი...უბერი</u>“ (პლინიუს უფროსი, ბუნებრივი გეოგრაფია, წიგნი III-137)

ალბათ სიტყვიერი ახსნა არც არის საჭირო, თუმცა მაინც დავუმატებდით, რომ პლინიუს უფროსის მიერ მოხენიებული <u>**სუანეთის**</u> გარდა თემი <u>**უბერი**</u>-ასევე საინტერსო პასაჟია- ზუსტად ამავე დასახელების იშვიათი ქართული გვარის გათვალისწინებით...

...აფრიკელი მესენიელები...

...და ვინაა ის ტომი, რომელსაც პავსანია ევესპერიტებს უწოდებს და რა ადგილია ლიბიაში (აფრიკაში) ის, სადაც დამარცხებული მესენიელები პოულობენ თავშესაფარს? რჩება თუ არა მათგან რამე ხელშესახები კვალი? ევესპერიტების ტომის ქვეშ ის ადგილი უნდა იგულისხმებოდეს, საიდანაც ლეგენდის მიხედვით ჰერაკლემ ოქროს ვაშლები მოიტანა, კერძოდ გიბრალტარის სრუტის მეორე მხარე:

„აქ ცხოვრობენ ხალხები, რომელთაც ბერძნები უწოდებენ მავრუსიებს, ხოლო რომაელები ბარბაროსებს-მავრებს (ბერბერეს სვანური ტომი მართლაც ამ ხალხის 40% შეადგენს. ავტ) **ეს დიდი და მდიდარი ლიბიური (აფრიკული) ტომია, მცხოვრები იბერიის (ესპანეთის) მოპირდაპირე მხარეს სრუტისა... მავრუსიების ზემოთ გარეგან ზღვაზე (ატლანტის ოკეანეში) მდებარეობს ქვეყანა, ეგრეთ წოდებული გარეგანი ეთიოპია, ძირითადად მეჩხერად დასახლებული“ (სტრაბონი, წიგნი XVII, III-2-5)**

სტრაბონის მიერ აღწერილი ქვეყნები შესაბამისად მაროკო და მავრიტანიაა, დასავლეთის ეთიოპია, რომელსაც სტრაბონამდე 7- საუკუნოთ ადრე აღნიშნავდა ჰომეროსი და რომლის ჭეშმარიტების გაგება სტრაბონმა წიგნის დასასრულსღა შეძლო:

„ზოგიერთი მწერლის მიხედვით, მავრუსიები- ეს ინდოეთიდან მოსულნი არიან ჰერაკლესთან ერთად“ (იქვე, III-7)

მავრუსიები მართლაც ინდოეთიდან მოსულნი არიან, მაგრამ ჰერაკლეზე გაცილებით ადრე: ისინი ტეარკონ ეთიოპის (თარხონ ქუშის) ყოფილი მოლაშქრეები არიან, რომელთაც გიბრალტარიას სრუტე გადალახეს:

„მავრუსიების შემდეგ მოდის მასასილიების ოლქი, დაწყებული მდინარე მოლოსაფიდან დადამთავრებული კონცხით, სახელწოდებული ტრეტ-ად, მასასილიების და მასილების ქვეყნის საზღვარი (იქვე, III-9)

რამდენიმე საუკუნის წინ ამ ტერიტორიებს გამოწვლილვით აღწერს ჰეროდოტე, თუმცა არც ერთს და არც მეორე ტომს აქ არ აღნიშნავს, თვინიერ კართაგენელებისა, სადამდეც ჩანს მასასილიების და მასილების ტერიტორიები გადაჭიმული.

„ქვეყანა მდებარე მავრუსიების ახლოს (მასასილია) იყო უფრო შემოსავლიანი და მძლავრი, მაშინ როდესაც ოლქი კართაგენთან, მასილიებისა იყო უფრო აყვავებული და კარგად დამუშავებული“ (იქვეIII-12)

სტრაბონი აქ ფაქტიურად საუბრობს მთელს ალჟირზე, მოქცეულს მაროკოსა და ტუნისს შორის;

„ტრეტის შემდეგ გადჭიმულია მასილების ქვეყანა და მისი მსგავსი კართაგენის ოლქი. კირტა მდებარეობს ქვეყნის ცენტრში; ეს მასანასის და მისი ჩამომავალის დედაქალაქია“ (იქვე, III-10)

“რაც შეეხება კართაგენის ოლქს, მისი ერთი ნაწილი, მყოფი კართაგენის ხელისუფლების ქვეშ, რომაელებმა გახადეს თავიანთი პროვინცია, მეორე ნაწილის მფლობელად გახადეს მასანესა და მისი ჩამომავალი, დაწყებული მიკიპოდან: მასანასა სარგებლობდა რომაელების განსაკუთრებული დამოკიდებულებით, საკუთარი ქველობით და რომაელებისადმი მეგობრული დამოკიდებულობის გამო. ...და მართლაც ამ ადამიანმა ასწავლა მომთაბარეებს სამოქალაქო ცხოვრება, გახადა ისინი მიწათმოქმედები და ასწავლა სამხედრო ხელოვნება, ყაჩაღობის ნაცვლად“ (იქვე, III-15)

ამ არა რომაელი, არა აფრიკელი და არა მეჯოგე ადამიანში, სახელით მასანესა, რომელიც ასევე ბრწყინვალედ ერკვევა მიწათმოქმედებასა და სამხედრო საქმეში, ადვილად ამოსაცნობია მესენიიელი გადმოსახლებული, ასეული წლების წინ საბერძნეთის მეომარ ელიტასთან, ლაკედემონელებთან ნაომარი მესენიელი...ცხადია, ფივიელთა მოპატიჟების მიუხედავად ყველა მესენიელი თავპირისმტვრევით ვერ მიატოვებდა უკვე მოშენებულ და დაშენებულ ახალ სამშობლოს...ზუსტად ასეთი მესენიელი უნდა იყოს რომაელთათვის და ადგილობრივთათვისაც ერთნაირად მისაღები მესენიური წარმოსობის მასინისა...და მართლაც, მესენიელთა, იგივე სვანების ბერბერული ტომი მოსახლეობის 30% შეადგენს ალჟირში...დანარჩენი სავარაუდოდ არაბებია, მესენიელებამდე და მათ მერე დასახლებული ამ ტერიტორიაზე...

რაც შეეხება ქართველ მოსინეკებს, სვანური ტომის უდავო ნაწილს, ისინი მცირე აზიაში დრეიფობენ, სადაც მათ წააწყდა ბ ერძენი მეომარი და ისტორიკოსი ქსენოფანტე, ქრისტემდე V-IV საუკუნის მიჯნაზე, ტრაპიზუნდსა და სინოპას კონცხს შორის ზღვის სანაპიროზე. ისინი შეერთებული ჩანან მაკრონების ტომთან-საკუთარ სახლიკაცებთან, რომელთანაც შეხვედრას ამავე მოგზაური აღწერს ტრაპიზუნდიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღნიშნულიდან სამოც წელზე ოდნავ მეტი ხნის შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის მოლაშქრეებს ჩრდილო კავკასიის ხვდებიან...

...მასალია და პითეი...

მასალიას უწოდებს ჰეროდოტე დღევანდელ ფრანგულ ქალაქს, მარსელს... ამასთან, მითითებულია (არა ჰეროდოტეს მიერ) რომ ის ქრისტემდე VII საუკუნეს ფოკეელთა (იბერების) მიერ აშენებული ქალაქია...სარწმუნო წყაროები, რომ ქალაქი ფოკეელთა აშენებულია არ არსებობს. მისი აშენების თარიღი აბსოლუტურად ემთხვევა იმ დროს, როდესაც მეორე მესენიურ ომში დამარცხებული მესენიელები აქტიურად ეძებენ დასასახლებელ ადგილს სიცილიას, იტალიას და თვით აფრიკაშიც. სავარაუდოა რომ აკვიტანიის (დორიელი კელტებით დასახლებული ადგილი) ეს ქალაქიც პელოპონესიდან ლტოლვილი მესენიელთა დაფუძნებული უნდა იყოს. სავარაუდოა, რომ 300 წლის შემდეგ, როდესაც მესენიელებმა ეპამინონდას სარდლობით შეძლეს დამოუკიდებლობის დაბრუნება, მოწვეული იქნენ მესენიელები სიცილიიდან, იტალიიდან და თავად აფრიკიდანაც, ქალაქ მარსელის მესენიანული მოსახლეობის ნაწილიც ბრუნდება პელოპონესში. მესალიაში, კელტიკაში კი მათ გამონთავისუფლებულ ადგილს თანდათანობით ფოკეელები იკავებენ. სავარაუდოდ, ასე ხდება მასალია ფოკეური ქალაქი, თუმცა ეს უკვე მისი დაარსებიდან 300 წლის შემდეგ უნდა ხდებოდეს...

პითეი- ეს წინააღმდეგობრივი „ მოყვარული" გეოგრაფი, ფოკეელი--იბერი თუ მესენიელი-მოსინეკი, რომელსაც საოცრად აინტერესებდა შეეცნო და აღეწერა მსოფლიოს გეოგრაფია, წინააღმდეგობრივად არის შეფასებული ანტიკური მწერალ- ქრონოგრაფისტების, მიერ, ხოლო თანამედროვეობისათვის საერთოდ მივიწყებულია...

„ პიფეი (380- 310 ქრისტემდე) ძველბერძენი ვაჭარი, მოგზაური და გეოფრაფი, წარმოშობით დასავლეთ- ხმელთაშუა ზღვისპირელი, კოლონია <u>მასალიიდან</u> (დღევანდელი მარსელი) პიფეიმ ქრისტემდე 325 წლის ახლოს მოაწყო საზღვაო ექსპედიცია ჩრდილოეთ სანაპიროს გასწვრივ. წიგნი პითეისა "ოკეანეზე" მისი მოგზაურობის აღწერით ჩვენს დრომდე არ მოღწეულა, თუმცა მასზე მიუთითებს სტრაბონი, პლინიუს უფროსი, პოლიბიი და სახვა ანტიკური ავტორები, უფრო ხშირად- მისი მონაცემების უარსაყოფად. ანტიკური ავტორები სახავენ მას ცრუპენტელად და ფანტაზიორად . პიფეიმ იცურა ბრიტანეთის გარშემო, ასევე ბალტიის ზღვის გარშემო, რომელზედაც მოიპოვებენ ქარვას. ბრიტანეთი მან აღწერა როგორც სამკუთხა კუნძული და განსაზრვრა მისი გვერდების სიგრძე (გაადიდა ის, თუმცა პროპორციები სწორად აღნიშნა) ის იყო პირველი ბერძენი, რომელმაც იხილა და აღწერა პოლარული დღე, პოლარული ნათება და მუდმივი მყინვარები. კამათი კუნძულ ტულეს შესახებ, მდებარე პოლარული წრის იქით (პიფეის აღწერით პოლარული დღე გრძელდება მთელი თვე) არ ცხრებოდა მრავალი საუკუნე (ვიკიპედია)

რასაკვირველია არასწორია ამ ნატურალისტის და გეოგრაფის ფანტაზიორობაში დადანშაულება, როგორც ამას „კაბინეტის“ გეოგრაფი სტრაბონი აკეთებს:

„პიფეი ხომ, რომელიც ყვება ფულეზე, ითვლება გამოცხადეულ მატყუარად...მისი ცნობები ოსტიმებზე და ქვეყანაზე რენის მეორე მხარეზე თვით სკვითიამდე , ხომ მთლად შეთხზულია“ (სტრაბონი, წიგნი II, IV-3)

“სინამდვილეში, მთელი ეს ისტორია არცთუ ისე შორსაა პიფეის გამონაგონიდან, ისევე როგორც ევგემერისა და ანტიფანისა“ (იქვე, წიგნი II-III-5)

„ასევე პითეი, რომელმაც ბევრი შეიყვანა გაუგებრობაში. მან განაცხადა, რომ გაიარა მთელი დასაშვები გზა მოგზაურთათვის ბრიტანეთში, განაცხადა რომ სანაპირო ხაზი კუნძულის 40000 (6000 კმ) სტადიონზე მეტია, მიუმატა ნაამბობი ფულეზე და ოლქებზე, სადაც არ არის უკვე არც მიწა პირდაპირი მნიშვნელობით, არც ზღვა, არც ჰაერი, არამედ რაღაც ნივთიერება, შედგენილი შედედებული მთელი ამ ელემენტებით, მსგავსი ზღვის ფილტვისა მასში, ამბობს პიფეი. მიწა, ზღვა და ყველა ელემენტი, ეს ნივთიერება ითვლება როგორც ერთიანი, მთელი. მასზე არ შ ეიძლება გავლა, არც გაცურვა ხომალდით. ის ამტკიცებს, რომ ხედავდა მას თვითონ, ხოლო ყველაფერი სხვაზე ყვება გაგონილს... ის ამბობს, რომ უკეთესია დაუჯერო მესენიელს (ევგემერს) ვიდრე პიფეის.. .ევგემერი ბოლოს და ბოლოს ამბობს, რომ მიცურავდა ერთ მხარეს- პანხეიაში, მაშინ როდესაც პიფეი ამბობს, რომ მან პირადად გამოიკვლია მთელი ჩრდილო მხარე ევროპისა ქვეყნიერების საზღვრამდე- მტკიცება რომელსაც არავინ დაუჯერებს, თვით ჰერმესსაც რომ ეთქვა“ (იქვე, წიგნი II. IV-1-2)

სტრაბონი პიფეის მატყუარას უწოდებს, იმიტომ რომ მისთვის გაუგებარია პითეის მიერ ნახსენები მცნებები და განმარტებები. ის შემთხვევას ხელიდან არ უშვებს, რომ ამ გეოფრაფს ცრუპენტელა მეზღაპრე და მატყუარა უწოდოს. სრულიად სხვა წარმოდგენისაა ამ გეოგრაფზე თავად გეოგრაფი და რომაული ფლოტის ადმირალი, პლინიუს უფროსი. ის პიფეის მოგზაურობას აბსოლუტურად რეალურ ისტორიად აღიქვამს და არც ცდება. ერთობ საინტერესო მომენტი იკვეთება პიფეის მოგზაურობის შესახებ, რომელიც საშუალებას იძლევა თვალი მივადევნოთ მის იმ ჩრდილოურ ტრასას, სადამდეც მან შეძლო ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში მისვლა. სტრაბონის გავლენით მთელი ისტორიულ-გეოგრაფიული საზოგადოება ამდროისთვისაც დარწმუნებულია, რომ პიფეიმ ჩრდილოური მოგზაურობა ბალტიის ზღვის სანაპიროს გარშემო ცურვით დაამთავრა. თავად პიფეის მტკიცებით, მან ჩრდილოეთის ზღვაზე (ჩრდილო ყინულოცანი ოკეანე) საკაოდ შორ მანძილზე იცურა, თუმცა ზღვის გაყინვის საშიშროების გამო უკან გამოცურა...

...და მაინც სადამდე იცურა პითეიმ?

თემის კვლევა ისეთ საკითხს ებჯინება, როგორიცაა კასპიის ზღვა, თუმცა მას სინამდვილეში ჩრდილო ყინულოვანი ოკეანიდან მინიმუმ 3000 კილომეტრი აშორებს....

„კასპიის ზღვა დამოუკიდებელია, არ უერთდება სხვა ზღვას. ხოლო მთელი ის ზღვა, რომელზედაც ელინები ცურავენ და ის, რომელიც ჰ ერაკლეს სვეტებს გარეთაა (ატლანტისად რომ იწოდება) და მეწამული ზღვა არსებითად ერთია. კასპიის ზღვა კი სხვაა და დამოუკიდებელი. მისი სიგრძის გადალახვას ნიჩბიანი ნავი უნდება ხუთმეტ დღეს, სიგანისა, სადაც ის ყველაზე ფართოა, 8 დღეს. ამ ზღვის დასავლეთით გადაჭიმულია კავკასოსი, რომელიც მთებს შორის ყველაზე ვრცელია, მაღალიცაა. ..ხოლო აღმოსავლეთიდან, საიდანაც მზე ამოდის, თვალუწვდენელი დაბლობი ეკვრის. ამ დაბლობის არა მცირე ნაწილი უჭირავს მასაგეტებს“
(ჰეროდოტე, წიგნი I, 202, 204. 1975 წ)

ჰეროდოტე ზუსტად გადმოგვცემს ზღვების, მათ შორის კასპიის ზღვის არსს და სიდიდეს, რომელსაც ის დახურულ ზღვად აცხადებს…მაგრამ ჰეროდოტესაგან განსხვავებით შემდგომი საუკუნეების ისტორიკოსების აზრით, კასპიის ზღვა ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ყურეა. თვით მესამე საუკუნეში არსებული რუკებითაც კი ის ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს გრძელი და ვიწრო სრუტით არის შეერთებული. როგორ შეიძლება აიხსნას ის უცნაური მოვლენა, რომ ჰეროდოტესათვის დამოუკიდებლად შერცხული კასპიის ზღვა ძველი და ახალი წელთააღრიცხვის გასაყარში და უფრო გვიანაც, ფაქტიურად ჩრდილო ყნულოვანი ოკეანის ყურედ (ნაწილად) ცხადდება?

„...ამიტომაც საერთო სიგრძე დასახლებული მსოფლიოსი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ უნდა იყოს ნაკლები 30000 სტადიონისა (4440 კმ) . მის სიგრძედ ითვლება 70000 სტადიონი (10360 კმ) ე. ი. სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, იბერიის (ესპანეთის) ბოლოდან ინდოეთის ბოლომდე გაზომილი ნაწილობრივ სახმელეთო გზით, ნაწილობრივ ზღვაზე გადაცურვით“ (სტრაბონი, წიგნი II; V-9)

დღევანდელ რუქაზე პირდაპრი გადაზომვით ეს მანძილები შემდეგია: დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულება-ფაქტიურად 8000 კმ. ხოლო მანძილი ეთიოპიიდან ბალტიის ზღვის უკიდურეს წერტილამდე 7000 კმ. მანძილი გაზომილი ეთიოპიიდან კასპიის ზღვის უკიდურეს ჩრდილო წერტილამდე 4000 კმ-ია. შესაბამისად, კასპიის ზღვის უკიდურესი ჩრდილო წერტილიდან ჩრდილო ყინულოვან ოკეანემდე რეალურად 3000 კილომეტ-

რია! ანტიკური ბერძენი და რომაელი მ ეცნიერების გამოთვლებით, კასპი-ის ზღვის ჩრდილო სანაპიროს და ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს შორის ხმელეთის ვიწრო ზოლი მხოლოდ 450 კმ-ია და ეს პოზიცია გამოთქმულია რიგი ანტიკური გეოგრაფების მიერ...

...და მაინც რატომ ჩრდილო ყინულოვანი ოკეანის ყურე? როგორც ჩანს, აქ კიდევ ერთი გეოგრაფიული საიდუმლო იხსნება, რომელიც იმავე მასალიელ პიფეისთან ჩანს დაკავშირებული: პიფეი, რომელმაც ჩრდილო ყინულოვანი ოკეანისაკენ გაცურა, სკატინავიას ასახელებს, თუმცა ითვლე-ბა რომ მას ფინეთის ყურის იქით არ გაუცურავს! სავარაუდოდ, ის ფინე-თის ყურეში არც შესულა. მკითხველს შევახსენებ, რომ იმ დროის ცურვა კაბოტაჟური იყო (თვინიერ ფინიკიელებისა, რომელთაც ზღვაზე ორიენტა-ციის ყველა საშუალება უნდა ჰქონოდათ). სავარაუდოა, რომ პიფეის ნავმა სკანდინავიის ნახევარკუნძულს გარედან, ოკეანის მხრიდან შემოუარა. აქე-დანაა ანტიკურ მწერალთა მიერ სკატინავიის ხსენება, თუმცა ის მათ კუ-ნძულად აქვთ ჩათვლილი (1). პიფეის ხსენებული ნახევარკუნძულის შემო-ვლით ნამოგზაურები უჩანს თეთრ და პეჩორის ზღვაში! კუნძულ სევერნ-ისა და მატერიკს შორის გაცურული ჩანს კარის ზღვაში. სწორედ კუნძული სევერნი უნდა იყოს მის მიერ ნახსენები ტულე!

...და პიფეის ნავი შეცურული ჩანს მდინარე ობის ე. წ. „ტუჩში“ რო-მლის სიგრძე 650 კმ-ს აღემატება. დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ მას მდინარე ობის შესართავამდე არ მიუცურავს (წინააღმდეგ შემთხვევაში აუ - ცილებლად შენიშნავდნენ მდინარე ობის სიმტკნარეს) სავარაუდოა, რომ ყინვების სეზონის დაწყებით შეშინებული ეკიპაჟი აქედან გამობრუნდა უკან. მართალია ბევრი მეცნიერი, (მათ შორის სტრაბონი) პიფეის პირწავა-რდნილ მატყუარად თვლიდნენ, მაგრამ მისი ნაამბობი გრძელი და ვიწრო სრუტის შესახებ ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში, მაინც აისახა იმ დროის გეოგრაფიულ ტრაქტატებში, მათ შორის რუქებზე. რასაკვირველია ეს ურ-წმუნო მეცნიერები პიფეის მოგზაურობის საბოლოო პუნქტს გაცილებით დასავლეთისაკენ თვლიდნენ. (ვერ უჯერებდნენ მისი მოგზაურობის სიშო-რეს) პიფეის მიერ მდინარე ობის „ტუჩის“-ს 450 კმ-ზე შეცურვის შემთხვე-ვაშიც კი, ეს „ტუჩი“ აუცილებლად შეერთდებოდა კასპიის ზღვასთან, რო-მელსაც ჩრდილო ყინულოვანო ოკეანიდან ზუსტად ამდენივე კილომეტრ-ზე მოიაზრებდნენ (2) დიდება იმ ენთუზიასტ მეზღვაურს, მასალიელ პი-ფეის, რომელმაც 2350 წლის უკან სუფთა სამეცნიერო კვლევითი მიზნით განახორციელა ასეთი შორეული მოგზაურობა ჩრდილოეთის ზღვის მიმარ-თულებით და რომელსაც ძალიან დიდი ხანი გეოგრააფიის ბარონ მიუნჰა-უზენად თვლიდნენ

...ჭეშმარიტად არ არს იგი საიდუმლო, რომელ არ გაცხადდეს. ..

... კოსალები ...

კოსალების ტომი ფაქტიურად მუდმივი მონაწილეა განდხარვთა ნებისმიერი წამოწყებული ექსპედიციისა. ამასთან, ისინი ქუშის ტომის მუდმივი მეწყვილის როლში გამოდიან. ესპანეთში ტეარკონ ეთიოპის (თარხონ ქუშის) ექსპედიციას მათ გარეშე არ ჩაუვლია. სავარაუდოდ კოსალები-ეს რომელიღაც კასტილია უნდა ყოფილიყო (მეორე კასტილის ქუშისა ჩანს) ხოლო გიბრალტარის სრუტის იქით მავრუსია- მავრიტანია (მაროკო იქაც ქუშების პოლიტიკური წარმონაქმნი ჩანს) ალბათ კოსალების წილიც არის...არ გამოვრიცხავ, რომ დიდი ბრიტანეთის კუნძულის, უელსის პირველ ამთვისებელი კელტური ტომი კოსალებისა იყო... დასახელება უელსი მოდის საერთოგერმანული დასახელებისგან მგლების ტომისგან და აღნიშნავდა ყველა კელტს...ყრასაკვირველია ისინი მონაწილეობენ თარხონ ტირსენ ატისი ძის ლაშქრობშიც. დაფიქსირებული მათი სახელობის დორიული კუნძული მცირე აზიაში. ...და როგორც ჩანს, საკმაო ავტორიტეტით სრგებლობდნენ მეზობელ ტომებში: სწორედ კოსელ ვაჟკაცს, კადმოსს ანდო სირაკუზის ტირანმა გელონმა უამრავი ფული, რომელიც სპარსელთა მოსაქრთამავად ჰქონდა გამიზნული. ჰეროდოტეს სიტყვებით, კოსელ კადმოსს შეეძლო ეს ფული მიეთვისებინა, თუმცა მან უკლებლივ დაუბრუნა ის გელონს ... რასაკვირველია კოსალების დასწრებულობა აუცილებელია თავად იტალიაშიც:

„რომაელ მხედრებს შორის იყო სამხედრო ტრიბუნი ავლ კორნელიი კოსი, იშვიათი სილამაზის გულადი და ღონიერი მეომარი დიდებულთა გვარიდან, რომელმაც დატოვა მრავალრიცხოვანი და სახელგანთქმული შთამომავლობა ...და როდესაც მან ნახა, რომ ტოლუმნიას (ვეიელ ეტრუსკთა მეფე, ავტ) **შემოტევის შემდეგ რომაული კავალერია აქ თუ იქ უკან იხევდა, ხოლო მდიდრული ტანსაცმლით და იერით, რომლითაც ის დაქროდა მოედანზე, მიხვდა რომ ის მეფე იყო. კოსმა იკითხა: ეს ისაა, რომელმაც შელახა ხალხთა უფლება? მაშინ მე მას, თუ ღმერთს სურს რომ დედამიწაზე დარჩეს რაღაცა წმინდა მაინც, მე მას შუბზე წამოვაგებ და შევწირავ ელჩების სულს. ჰკრა დეზი ცხენს, დაუმიზნა შუბი დაუცდენლად თავის ერთადერთ მოწინააღმდეგეს, ჩამოაგდო ცხენიდან, შუბს დაეყრდნო, ჩამოხდა ცხენიდან და მოკლა ის“ (ტიტუს ლივიუსი, წიგნი IV-19)**

რასაკვირველია ეს კოსალი ვაჟკაცი, სამხედრო ტრიბუნი, დიდგვაროვანი და მამაცი პიროვნება კოსალთა ტომის წარმომადგენელია. უფრო მეტიც, სავარაუდოდ ეს მისი მრავალრიცხოვან შთამომავალთაგანია გვიან შუა საუკუნეების ავანტიურისტი, ბალთაზარ კოსა, რომის პაპა იოანე XXIII.

ნიშანდობლივია, რომ იტალიაში მიგრაციის პროცესი თავად კოსალებს, მცხოვრებლებს სპარსეთის ყურეს და კასპიის ზღვას შორის, ალბათ

არც შეხებია, ეს პროცესი მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის კუნძულზე მცსოვ-რებ კოსალებს უნდა შეხებოდათ. თანამედროვე ისტორია არ ანსხვავებს ქუშებს და კოსალებს, მათი ხსენება ერთდროულად ხდება დღევანდელი ირანის შემადგენლობაში: ხუზისტანის და ლურისტანის პროვინციები... სი-ნამდვილეში, ისინი დღეს საკმაოდ დაშორებული არიან ერთმანეთს, თუმ-ცა შორეულ წარსულში ფაქტიურად ერთ მთლიან ორგანიზმს წაროადგენ-დნენ, ელამიტებს...

დიდნაურელები

რამდენადაც ცნობილია, ტროას ომში მემნონის-სუზელი პრინცის მო-წვევით, **კავკასიელი ინდები** და ფინიკიელებიც მონაწილეობდნენ. კტესი-ას ვერსიის მიხდვით, სუზელ მემნონს ტროელებისათვის დახმარება ტევტ-ამმა უბრძანა, ასირიის სუზერენმა. (1*) ბრძლაში კავკასიელთა დახმარება აქტიური ჩანს, სწორედ მათ მოახერხეს პელაზგების, აიანტის და აქილევ-სის მიერ ღალატით მოკლული მემნონის ცხედრის გამოტაცება. მაგრამ ამ ბრძოლაში თეთრი ინდები მარტო ჩანან კავკასიიდან. სავარაუდოა, რომ დიდნაურელები უფრო გვიან დასახლდნენ აქ (ტროას ომი მიმდინარეობ-და ქრისტემდე 1290-1280 წლებში)... საინტერესო ანტიკური პასაჟი:

„ამის შემდეგ მოაგვარა რა ყველაფერი დრანგიანაში (სასახლე ჰირკანიასთ-ან) ალექსანდრემ გაილაშქრა ხალხის წინაარმდეგ, რომელსაც ადრე ერქვა არიმასპები, ახლა უწოდებენ კეთილისმყოფელებს...(მშვიდობით დაიმორჩ-ილა) ასევე მშვიდობით მოექცა მის მეზობელ ხალხებს გედროსიისა (არმ-ნიისა) დაიმორჩილა აგრეთვე არახოტები“ (დიოდორე სიცილიელი, წიგნი XVII, თავი LXXV)

ეს სიუჟეტი აღიწერა I ტომში, მაკედონელი სინამდვილეში უკსიებს იპყრობს, დრანგების ნაწილს, გედროსიას (არმენიას) ასევე არახოტებს, მის აღმოსავლეთ ნაწილს, კახებს-უკვე ჩამოსახლებულებს, დრანგების ნაწილს. რაც შეეხება ასაკენებს-ფხოველებს და თეთრ ინდებს, იბერ-ქართებს, მათ მოგვიანებით იპყრობს, ჩრდილოეთიდან ეპარება, ფხოვის გავლით... ადრეც აღვნიშნეთ, არშის ციხე, სინამდვილეში არშადას ციხე ფხოველებისა იყო...

...არგიველები-იგივე არგოსელები...

განდხარვული-დორიული ტომი, რომელიც უპირატესად იხსენიება ბერძნულ ანტიკურ ლიტერატურაში. ისინი ბერძნულ სინამდვილეში გაცილებით ადრე ჩანან გამოჩენილები, ვიდრე სხვა დანარჩენი დორიული ტომები. სავარაუდოა, რომ მათი ელადის ტერიტორიაზე შემოსვლა არ ემთხვევა ტირსენ ატისი ძის ბერძნულ-იტალიურ ექსედიციას. სავარაუდოა, რომ არგიველები ფინიკიელების კვალდაკვალ ჩნდებიან ელადაში. ამასთან, სავარაუდოა რომ მათ ტრასაში არ შედის სპარსეთის ყურე და მცირე აზია. მათი პირველი საყრდენი პუნქტები მიკენი და არგოსი ჩანს. სიმპტომატურია, რომ არც მიკენელებს და არც არგოსელებს სხვა დორიულ ტომებთან საერთო ტაძარი არ აღენიშნებათ. ეს არგიველები-არგოსელები იყვნენ პირველი ელინები (თვინიერ ახაილებისა) რომელთაც საბერძნეთის არქეული მოსახლეობა, კოლხები-ელინურად აალაპარაკეს. პირველი ტალღა ამ ხალხისა მიკენელების და არგოსელების სახელითაა ცნობილი, რომელთა შემოსვლა საბერძნეთის დღევანდელ ტერიტორიაზე ქრისტემდე XV საუკუნით უნდა დათარიღდეს. მათი ბუნებრივი ნაწილი, პამფილიელები კი ამ ტერიტორიაზე ორიოდ საუკუნით გვიან, თარხონ ტირსენის ლაშქრობის შედეგად ჩანან მოხვედრილი. მათი ძირითადი ნაწილი მცირე აზიაში მოსახლეობდნენ, თუმცა მათი იქ დასახლების ჰიპოთეზას ჰეროდოტე თავისებურად ხსნის:

„პამფილიელებმა 30 ხომალდი მოიყვანეს და ისინი ელინური იარაღით იყვნენ შეჭურვილლი. ეს პამფილიელები იმათი ჩამომავლები არიან, რომლებიც მიმოიფანტნენ ტროადან ამფილოქოსის და კალქანტთან ერთად წამოსულები“ (ჰეოდოტე, ისტორია, წიგნი III-31)

რასაკვირველია პამფილიელები არავითარი ტროას ომის მერე დაფნტული არგოსელები არ არიან, თუმცა ჰეროდოტე ასე ცდილობს ახსნას არგოსული ტომის მცირე აზიაში გამოჩენა. ამასთან, ჰეროდოტე ფაქტიურად ერთმნიშვნელოვნად აღიარებს არგოსელებს და პამფილიელებს ერთი ტომის ორ სხვადასვა ადგილას მოსახლე თემად. ჰეროდოტე თავადვე აზუსტებს მათ საცხოვრებელ არეალს:

„ქალაქ პოსიდონიიდან (რომელიც ამფილოქოს ამფირეოსის ძემ ააშენა კილიკიისა და სირიის საზღვარზე) ვიდრე ეგვიპტემდე, გარდა არაბეთა ნაწილისა (რადგან ეს დაუხარკავი იყო) ხარკის სახით შემოდიოდა 350 ტალანტი“ (იქვე, წიგნი VII-91)

რაც შეეხება მათ იმ ნაწილს, რომელსაც ამფილოხები ეწოდება და საბერძნეთის ტერიტორიაზე ამბრაკიის (არტების) ყურესთან ფიქსირება, ორენოვანია: ბარბაროსული და ელინური. ეს ჯერ კიდევ ჰეროდოტეს ეპოქ-

ისათვის, ქრისტენდე V საუკუნეს, თუმცა ხუთიოდ საუკუნის შემდეგ ის სუ-ფთა ბერძნული რეგიონია. ის რომ ამფილოხების (არტების) ტომი თვითმ-ყოფადი დორიული ტომია და მას ამფილოხოს ამფიარეის ძესთან მხოლ-ოდ მითიოლოგია აკავშირებს, ადვილად სამტკიცია : სტრაბონი, რომელიც იბერიას- ესპანეთს აღწერს, აქვე აღნიშნავს ქალაქ ამფილოხს და ამფილოხ-ებს, თუმცა მათ აქ მოხვედრის ახსნას საკუთარი ჰიპოთეზით ცდილობს:

„აქ იყო ორი ქალაქი: ერთი სახელწოდებით ელინები, მეორე ამფილოხე-ბი, იმიტომ რომ არა მარტო ამფილოხი მოკვდა იქ, არამედ მისი თანა-მგზავრები ხეტიალისას შემოვიდნენ ქვეყნის (ესპანეთი) **სიღრმეში. ამბო-ბენ, აგრძლებს ის, რომ რომელიღაც თანამგზავრები ჰერაკლესი და გად-ასახლებული მესენიიდან დასახლდნენ იბერიში“ (სტრაბონი, ტომი III;IV-3)**

სტრაბონის ეს ჰიპოთეზე შორსა დგას რეალობისაგან:

1.ამფილოხები საბერძნეთში მოხვედრილნი ჩანან ტირსენ ატისი ძის ექსპ-ედიციის შედეგად, მცირე აზიიდან, ისევე როგორც როგორც სხვა დორიუ-ლი ტომები .

2. არ და ვერ იქნებიან ისინი ჰერაკლეს თანამგზავრები იმავე საბერძნეთი-დან, ვინაიდან ტირსენ ატისის ძის ექსპედიცია მინიმუმ ერთი საუკუნით გვიანდელია. შესაბამისად ამფილოხები ჰერაკლეს ეპოქისათვის საბერძნეთ-ში ჯერ კიდევ არ სახლობენ..

3. ვერ იქნებიან ესპანეთის იბერიის მცხოვრები ამფილოხები ამფილოხოს ამფიარეის ძის თანამგზავრებიც:

„ხომ მოპსი და ამფილოხი, გადმოცემის მიხედვით, მოვიდა ნენტროიდან, დააფუძნეს მალი. შემდეგ ამფილოხი წავიდა არგოსში. მაგრამ მდგომარე-ობით უკმაყოფილი დაბრუნდ მალიში. აქ ის ჩამოაშორეს მმართველობას და მან გამოიწვია მოპსი ორთაბრძოლაში. ორივე მოწინააღმდეგე დაიღუ-პა და დასაფლავდა იქ.“ (იქვე, წიგნი XIV; V-16)

ეს ქალაქი, ამფილოხოსის და მოპსის აშენებული მდებარეობს კილი-კიაში, მცირე აზიაში, რომელსაც ესპანეთის იბერიასთან საერთო არაფერი უჩანს. ცახადია, ამფილოხები, დორიელთა არტების შტო ესპანეთში მხო ლოდ და მხოლოდ ტეარკონ ეთიოპის (თარხონ ქუშის) ექსპედიციის შე-დეგად ჩანს მოხვედრილი, ქრისტემდე XXV საუკუნეს. საინტერესოა რომ ალექსანდრე მაკედონელი, თავად არგოსული წარმოშობისა, დორიელი ამ-ფილოხოსს, თითქოსდა ანფილოხიის არგოსიდან წარმოშობელს, თანამემამ-ულედ თვლის და შესაბამის პატივსაც მიაგებს:

„ ამბობენ, ალექსანდრემ მოუწყო მსხვერპლშეწირვა ამფილოხს, თავისი არ-გოსელებთან ნათესაობის გამო“ (იქვე-17)

პამფილიელთა- იგივე ართების შესახებ (რომელთა იდენტურობაზე წინა ტომში საკმარისი ვისაუბრეთ) „ბექგრაუნდი“-ეს პართიის დიდი სახ-

ელმწიფოა. ქრისტემდე XVI საუკუნეს სკვითური ტომების მცირე აზიიდან განდევნის შემდეგ ისინი კასპიის ზღვის სამხრეთ- აღმოსავლეთის სანაპიროსთან მკვიდრდებიან. უცნობია მათი წინარე სახელმწიფოებრივი მოწყობის და ცხოვრების თავისებურებანი, მაგრამ უკვე დარიოს დიდის იმპერიაში დამოუკიდებელ სატრაპიად გვევლინებიან. უფრო მეტიც, ამავე სატრაპიაში გაერთიანებული ჩანან ჰირკანები -გელები და მარგუ- მარდები. ყველაზე ტევადი და უძვირფასესი ცნობები ამ ხალხის შესახებ პომპეი ტროგთან მოიპოვება, ანტიკურ რომაელ ისტორიკოსთან:

„პართელებმა, რომლებმაც თითქოსდა გაიყვეს მსოფლიო რომაელებთან, ამ დროისათვის ბატონობდნენ აღმოსავლეთში. მაშინ როდესაც ხელისუფლება აღმოსავლეთში გადავიდა მიდიელებიდან სპარსელებზე, პართები გახდნენ გამარჯვებულთა ქვეშევრდომები. ამიტომაც უნდა გაგვიკვირდეს, როგორ შეძლეს მათ მიეღწიათ ასეთი წარმატებისათვის, რომ ისინი მბრძანებლობენ ისეთ ხალხებზე, ვისი მბრძანებლობის ქვეშ მონები იყვნენ. სამჯერ დაესხა მათ თავს რომი, რომელთა არმიების სათვეებში იდგნენ უდიდესი რომაელი მხედართმთავრები- რომი მაშინ ძალების აყვავების ხანაში იყო და ერთადერთნი მრავალ ხალხს შორის აღმოჩნდნენ ტოლები (რომაელებისა) არამედ გაიმარჯვეს კიდეც მათზე...თუმცა უფრო მეტი დიდება ომში გამარჯვებისა მოუტანა მათ იმან რომ შეძლეს წამოწეულიყვნენ, მყოფნი ასირიელთა, მიდიელთა და სპარსთა სახელებს შორის, ერთ დროს ცნობილ ბაქტრულ თვითმპყრობელობაზე, რომელიც ათასობით ქალაქს ფლობდა. გარდა ამისა, ისინი მრავალჯერ მოყვნენ სკვითების თავდასხმის ქვეშ, აწარმოებდნენ ომებს სხვა მეზობლებთან. ყველა მხრიდან ემუქრებოდათ მათ საფრთხე... როდესაც ალექსანდრე დიდის შემდეგ მისი მემკვიდრეები იყოფდნენ აღმოსავლეთის სამეფოს, მაშინ არც ერთმა მაკედონელმა არ მოინდომა დაქვეითებულიყო პართიის მმართველის დონემდე, ამიტომაც პართის გამგებლობა მიეკუთვნა მოკავშირეს- სტეგანორს...სელევკის (ნიკატორის. ავტ) **შვილიშვილთაგან ისინი განდგნენ პირველი პუნიკური ომის დროს. ამავე დროს გამოეყო მაკედონელებს დიოდატი, ბაქტრიის მმართველი და ბრძანა ამიერიდან მისთვის ეწოდებინათ მეფე. ამ დროს არსაკმა, წარმომავლობით უცნობმა ადამიანმა მიიტაცა ძალაუფლება პართებზე, ხოლო შემდგომ ჰირკანებზე. არსაკმა შეკრიბა ვეებერთელა არმია სელევკიისა და დიოდტის (ბაქტრიის მმართველი) შიშით“ (ეპოტომა პომპეი ტროგისა, ფილიპეს ისტორია, თავი XLI)**

პომპეი ტროგის ისტორიული მატიანი ს ეს თავი- პართებზე იწყება იმით, რომ ის მათ სკვითებს აკუთვნებს. თავის დროზე, ჯერ კიდევ წიგნის პირველ ნაწილში (ვფიქრობ) დამაჯერებლად იქნა ნაჩვენები, რომ ამ ხალხს სკვითებთან არაფერი საერთო არა აქვს- ისინი დორიული, განდხ-

არვული ტომია. ქრისტემდე XVI საუკუნეს აქ მოხვედრილი, რომლის მოხვედრაც აქ ზუსტად სკვითთა მცირე აზიიდან განდევნის პროცესით იყო გამოწვეული. ამასთან, იმავე სტრაბონთან თვალნათლივ იკვეთება, რომ პართიის მაკედონელთაგან განდგომაში მთავარი როლი ითამაშეს საკებმა, რომელსაც თავად ჰეროდოტე შეცდომით სკვითებად თვლის. პომპეი ტროგისათვის „უცნობი წარმოშობის არსაკი“ სხვა არავინაა, თუ არა საკი, საკი ტიგრახაუნდები, რომელის არც შედიოდა არც დარიოს III იმპერიაში და ვერ ალაქსანდრე მაკედონელმა შეძლო მათი დამორჩილება (არალის უკიდეგანო სტეპებში დევნა) და რომლის ტომობრივი მიკუთვნენულობა თავად მეფის არ-საკის სახელის ქვეშ იკითხება...

„ არსაკმა დადო სამშვიდობო ხელშეკრულება ბაქტრიასთან ... რამდენიმე ხნის შემდეგ არსაკი შეება სელეკვიის მეფეს და დაამარცხა. მან მოიყვანა პართიის სამეფო წესრიგში, განაახლა ლაშქარი, ააგო ციხე-სიმაგეები, გაამაგრა ქალაქები და ააგო დედაქალაქი დარა. არსაკი ღრმა სიბერეში მოკვდა. პართები მის სახელს იმდენად უფრთხილდებოდნენ, რომ ყველა შემდგომი პართი მეფე ამ სახელს ატარებდა. შვილი არსაკისა, ასევე არსაკი საოცარი სიმამაცით ებრძოდა ანტიოქს, სელევკის შვილს, რომელსაც ყავდა ასი ათასი ქვეითი და ოცი ათასი ცხენოსანი მეომარი...ბოლოს და ბოლოს, ანტიოქმა აღიარა არსაკი მოკავშირედ...შემდეგი მეფე პართებისა იყო პრიაპატი, ასევე გვიან არსაკად სახელდებული. დატოვა ორი შვილი, მითრიდატი და ფრაატი. უფროსმა ძმამ ფრაატმა მიღო სამეფო და დაიმორჩილა მძლავრი ტომი მარდებისა... თითქმის ერთდროულად გახდნენ მეფეები, მითრიდატე-პართიაში და ევერტიდი ბაქტრიაში. ბაქტრები, რომლებიც აწარმოებდნენ განუწყვეტელ ომებს, გამოიფიტნენ და დაკარგეს არა მარტო სამეფო, არამედ თავისუფლება. არახოტებთან, დრანგებთან , არიელებთან, და ინდებთან ომით დასუსტებულნი, ისინი მოყვნენ უფრო სუსტი პართელების გავლენის ქვეშ... და მაინც. ევერტიდი აწარმოებდა ამ მრავალრიცხოვან ომებს უდიდესი სიმამაცით....დაიბრუნა რა თავისუფლება, მან დაიმორჩილა ინდოეთი (იქვე)

მარდები, რომელთა შესახებაც პომპეი ტროგი საუბრობს, ზუსტად იმავე პროცესის შედაგად ჩანან შუა აზიაში მოხვედრილნი, კერძოდ ქრისტემდე XVI საუკუნეს მცირე აზიიდან სკვითების გამოდევნების და გამოდევნის შედეგად. მარდების პოლიტიკური წარმონაქმნი იხსენიება დარიოს დიდის „ ბეხისტუნის წარწერებში“ ასევე პართელთა სატრაპიის შემადგენლობაში. როგორც ჩანს, მათ ისარგებლეს პართიის მაკედონელებისაგან გამოყოფით და თავადაც გადაუდგნენ პართებს, თუმცა პომპეი ტროგის მიხედვით ფრაატმა შეძლო მათი ისევ დამორჩილება. რაც შეეხება პომპეი ტროგის იმ ცნობას, რომ ბაქტრებს განუწყვეტელი ომი ჰქონდათ მეზობლ-

ებთან და მათ შორის არახოტებთან, სიმართლეს არ და ვერ შეეფერება. არ-
ახოტები-როგორც პირველ ტომში გაირკვა-იბერებია, რომელსაც ბაქტრიი-
დან ზუსტად პართია ყოფს (მისი გადიდებული საზღვრებით) აგრეთვე
დრანგიანა- ეს კოსალაა- კახეთი, გაცილებით აღმოსავლეთით მდებარე იმ
დროისათვის, რომელ ეპოქასაც პომპეი ტროგი აღწერს, თუმცა ამ ორ პოლ-
იტიკურ წარმონაქმნს შორის ასევე პართიის სამეფო ფუნქციონირებს, რომ-
ელსაც ეს ორი უკანასკნელი დროდადრო დაპყრობილი უჩანს ... ბაქტრია კი
თუ დასუსტდა, პირველ რიგში საკების, არიელების და ინდების წინააღ-
მდეგ ომებით...

**„სანამ ეს ამბავი ტრიალებდა, დაიწყო ომი მისიელებსა და პართებს შორ-
ის, სადაც საბოლოო გამარჯვება ხვდა პართიას. გაზარდა რა თავისი ძა-
ლები, მითრიდატემ დააყენა მიდიის სათავეში ვაგარისი, თავად გაემა-
რთა ჰირკანებისაკენ. დაბრუნდა რა იქიდან, ის ჩაება ომში ელამელთა
მეფის წინააღმდეგ, დაამარცხა იგი , შეუერთა თავის სამეფოს და დაიმ-
ორჩილა მრავალი ხალხი. გავრცელდა პართელთა ბატონობა კავკასიიდან
ევფრატამდე (იქვე)**

ზუსტად ამ დროს უნდა იყოს პართიის მიერ დრანგიანას (წინარე-
კახეთი) და არახოსიის-იბერიის შემოერთება. ჯერ კიდევ წინა ტომში, ის-
იდორე ხარასკელის „პართიული სადგომების“ აღწერისას ითქვა, რომ ეს ნა-
წარმოები უფრო ადრინდელია, ვიდრე პომპეუსის ლაშქრობა იბერიაში და
ალბანეთში. ზუსტად ეს ავტორი ავრცელებს პართელთა სამფლობელოს არ-
ახოტებამდე-იბერებამდე (ჩათვლით) სხვა საკითხია, რომ პომპეუსის ლაშქ-
რობისას ეს ხალხები დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულები ჩანან...

**„პართელთა მეფის, მითრიდატეს სიკვდილი შემდეგ მეფე გახდა მისი
შვილი ფრაატი. მან გადაწყვიტა დაეწყო ომი სირიასთან, რათა პასუხი
გაეცა ანტიოხის მცდელობისათვის პართიის მიტაცებისა. მაგრამ ამ დროს
დაიწყო ჯანყი სკვითთა შორის და ვერ მოვიდნენ დროულად. ფრაატმა
უპასუხა სკვითებს, რომ ისინი იყვნენ დაბარებულნი პართელების მიერ
ანტიოხის წინააღმდეგ, სირიის მეფისა, მაგრამ მოვიდნენ მაშინ, როდესაც
ომი უკვე დამთავრებული იყო. ისინი დაადანაშაულეს დაგვიანებაში და
არ გადაუხადეს შეპირებული გასამრჯელო. უკმაყოფილო სკვითებმა, რომ-
ელთაც ამაოდ გაიარეს ამხელა გზა, მოითხოვეს რომ მიეცათ შეპირებუ-
ლი გასამრჯელო ან მიემართათ სხვა მტრისაკენ. განაწყენებულმა სკვითე-
ბმა დაიწყეს პართიის მიწებზე თარეში. ფრაატი გამოვიდა მათ წინააღმდ-
ეგ, ხოლო სახელმწიფოს მრჩეველი დატოვა მავანი გიმერი. გიმერმა დაივ-
იწყა ის რომ დროებითი მმართველი იყო და სასტიკად დაუწყო შევიწრ-
ოება მცხოვრებლებს. ფრაატმა წაიყვანა საომრად ბერძენთა ჯარი, რომელ-
იც ტყვედ ჩაუვარდა ანტიოხთან ბრძოლის დროს და რომელთანაც ის**

ადრე იქცეოდ მედიდურად და მკაცრად. მას დაავიწყდა, რომ ტყვეობამ კი არ შეამცირა მათი მტრობა, პირიქით. ამიტომ როდესაც ბერძნებმა შეამჩნიეს, რომ საბრძოლო მწყობრი პართელებისა შედრკა, ისინი გადავიდნენ მტრის მხარეზე და განახორციელეს დიდი ხნის ჩაფიქრებული შურისძიება თავისი ტყვეობისათვის. გაანადგურეს სისხლიან ჩეხვაში პართელთა არმია და თავად ფრაატი. (იქვე წიგნი XLII)

ამ „სკვითების“ ქვეშ, ჩვეულებრივ ყველა ანტიკური ისტორიკოსი საკებს გულისხმობს, ჰეროდოტესაგან მოყოლებიული, რომელიც საკებს ამორგისეულ სკვითებს უწოდებს. იმავე ტრადიციის გამგრძელებლები ჩანან დანარჩენები, თვით სტრაბონის ჩათვლით. მართლაც თუ დავაკვირდებით პომპეი ტროგის ისტორიიდან საერთოდ ამოვარდნილია საკების ტომი, რომელსაც ორ ადგილას აღნიშნავს ჰეროდოტე მასაგეტების სახელით, ასევე ამორგის სკვითებს უწოდებს მათ ... ახსენებენ ალექსანდრე მაკედონელის მემატიანე ფლავიუს არიანე და მათ მასაგეტებს უწოდებს...(ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საკების თემის განხილვისას...რაც შეეხება ფრაატის მიერ ბერძენი ტყვე ჯარის გამოყენებას იმავე საკების წინააღმდეგ აბსოლუტური სინამდვილე ჩანს: საქმე იმაშია, რომ პომპეი ტროგის განმარტებით, პართელთა ჯარი ერთადერთია მსოფლიოში რომლის არმიის ძირითად და უდიდეს ნაწილს მონები წარმოადგენენ...ცხადია, მონა იბრძვის როგორც მონა და არა როგორც დაქირავებული. ის ბერძნული არმია, რომელიც ფრაატმა ტყვედ ჩაიგდო სირიის მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, სირიის მხარეს მონაწილებდა მხოლოდ და მხოლოდ როგორც დაქირავებული- ის საკუთარ საომარ ხელოვნებას ყიდის... მაგრამ ფრაატმა ისინი, როგორც საკუთარ არმიაში იყო მიღებული, მხოლოდ მონების რანგში აიყვანა ...ყოფილმა დაქირავებულმა ბერძენმა მეომრებმა მონობა იუკადრისა და პართიის მეფე ფრაატმაც დამსახურებული გაკვეთილი მიიღო...

„ფრაატის ნაცვლად დანიშნული იქნა მეფედ მისი ბიძა არტაბანი. სკვითებმა, დაკმაყოფილებულმა გამარჯვებით, გაძარცვეს პართია და გაბრუნდნენ სამშობლოში... მეფე არტაბანი თოხარებთან ომის დროს , რომელთაც ის თავს დაესხა, დაიჭრა ხელში და მალე გარდაიცვალა. მას მემკვიდრეობდა შვილი მითრიდატი, რომელმაც გასაოცარი გმირობის გამო მიიღო ზედმეტი სახელი -დიდი. მან წარმატებით ჩაატარა რიგი ომები მეზობლებთან და შეუერთა პართიის სამეფოს მრავალი ხალხი. რამდენჯერმე ჩაატარა მან სკვითებთან წარმატებული ომები და შურს იძიენდა მათ მიერ პართიის ადრინდელ აწიოკებაზე. საბოლოოდ ჩაიფიქრა ომი არმენიის მეფე არტონეს წინააღმდეგ. პართელთა მეფე მითრიდატე არმენებთან ომის შემდეგ განდევნილი იქნა პართელთა უხუცესების მიერ. მისი ძმა ოროდი დაუფლა მმართველობის გარეშე დარჩენილ პართიას. მან ალყა შემოარტ-

ყა ბაბილონს, სადაც გაიქცა მითრიდატე. ხანგრძლივი ალყით და შიმშილით აიღო ბაბილონი. მითრიდატე მიენდო რა ოროდის ძმობას, დანებდა. თუმცა ოროდმა მოაკვლევინა იგი... შემდეგ ოროდი იბრძოდა რომაელების წინააღმდეგ, დაამარცხა რომაელი სარდალი კრასუსი მის შვილთან ერთად. ნარჩენი რომაული ჯარის მდევრად გააგზავნა შვილი-პაკორი. სირიაში პაკორმა ჩაიდინა მრავალი გმირობა, რამაც მეფე ოროდში შური გამოიწვია. პაკორი გამოხმობილ იქნა პართიაში. მისი არყოფნის დროს სირიაში დარჩენილი პართიული ლაშქარი მთლიანად ამოწყვეტილ იქნა კასიოს მიერ, კრასუსის კვესტორისა. მალე რომში დაიწყო სამოქალაქო ომი ცეზარსა და პომპეუსს შორის. რომლის დროს პართელები პომპეუსის მხარეს იდგნენ, იმიტომ რომ მითრიდატესთან (ევპატორთან) ომის დროს იყვნენ პომპეუსის მხარს და იმიტომაც, რომ შვილი მათ მიერ მოკლული კრასუსისა იყო ცეზარის მხარეს და ცეზარის გამარჯვების შემთხვევაში აუცილებლად იძიებდა შურს...ამიტომაც როდესაც პომპეუსის მომხრეები დამარცხებულ იყვნენ, პართელებმა გაუგზავნეს დამატებითი ჯარი კასიის და ბრუტს, აგგუსტუსის და ანტონიის წინააღმდეგ.. .ამ ომის დამთავრების შემდეგ მათ იმავე პაკორის სარდლობით დაარბიეს სირია და მცირე აზია .ვეება ძალებით დაეცნენ ვენტიდიის ბანაკს, რომელმაც პაკორის არყოფნისას გაანადგურა პართიის არმია.. .ვენტიდიიმ თავი მოიკატუნა და შეშინებულივით შეიყუჟა ბანაკში. ითმენდა პართელთა შეურაცხყოფას, მაგრამ საბოლოოდ რამდენიმე ლეგიონი მიმართა მოულოდნელი თავდასხმისაკენ. პართები ამ მოულოდნელ შეტევას არ ელოდნენ, დაიბნენ მოულოდნელი თავდასხმისაგან და გაიფანტნენ სხვადასხვა მხარეს. პაკორი თავს დაესხა რაზმით ბანაკს, რომელსაც ის რომელთაგან დაუცველად თვლიდა. მაშინ ვენტიდიიმ გამოიყვანა ბანაკში დარჩენილი ლეგიონები, სრულად გაანადგურა პართელთა ჯარი პაკორთან ერთად...დიდი არჩევანის წინაშე დადგა ოროდი, თუ რომელი შვილი დაენიშნა მეფედ...მაგრამ პართებს თითქოსდა დაებედათ რომ მეფედ ჰყოლოდათ მამის მკვლელი, ამიტომ მეფე გახდა ყველაზე ბოროტმოქმედი (ოროდის შვილებს შორის) ფრაატი. მან სასწრაფოდ მოაკვლევინა მამა...მოაკვლევინა ოცდაათი თავისივე ძმა. ხედავდა რა, რომ დიდებულებს არ მოსწონდათ მისი მმართველობა, მან მოაკვლევინა თავისი მოზრდილი შვილი, რათა არ ჰყოლოდა არავინ, ვისი მეფედ დანიშვნა იქნებოდა შესაძლებელი...მერე თავს დაესხა მას ანტონიი, თექვსმეტი გამორჩეული ლეგიონით, რომ შური ეძია დახმარებაზე, რომელიც პართელებმა კასიოს და დრუზს გაუწიეს. მაგრამ განიცდა რა რიგი მძიმე დამარცხებები, დაიხია უკან პართიიდან. გამარჯვებით გადიდგულებული ფრაატი ხალხმა განდევნა. დიდხანს ეაჯებოდა დახმარებაზე მეზობლებს, ბოლოს სკვითებს (საკებს, ავტ) დიდი სკვითური

ლაშქრის თხოვით აღდგენილ იქნა მეფედ პართიაში. ფრაატის არყოფნის დროს, პართებმა მეფედ დააყენეს მავანი ტირიდატი, რომელმაც გაიგო სკვითების მოახლოება და დიდი რაზმით მეგობრებისა გაიქცა ცეზართან, ესპანეთში. თან წაიყვანა მძევლად ფრაატის უმცროსი შვილი. ფრაატმა გააგზავნა ელჩები ცეზართან და მოითხოვა თავისი მონა ტირიდატი და თავისი შვილი... ცეზარმა, მოუსმინა რა ელჩებს, გაეცნო ტირიდატის პრეტენზიებს (ამ უკანასკნელს უნდოდა, რომ ის დაებრუნებინათ ტახტზე, პირდებოდა რომ პართია აღიარებსა რომისაგან დამოკიდებულებას) გასცა პასუხი: ის ტრიდატს პართებს არ გადასცემს, მაგრამ არც ტრიდატს მისცემს დამხმარე ძალებს პართების წინააღმდეგ. .. მაგრამ რომ არ ეფიქრათ პართებს, რომ ვერაფერს მიაღწიეს ცეზართან, ის ფრაატის შვილს ათავისუფლებს გამოსასყიდის გარეშე. ბრძანა ტირდატისათვის უზრუნველყოთ მდიდრული ცხოვრება, სანამ ის აპირებს რომში დარჩენას...როცა ცეზარმა დაამთავრა ომი ესპანეთში, მივიდა სირიაში აღმოსავლეთის საქმეების დასალაგებლად, ფრაატი შეიპყრო შიშმა, რომ ის არ წამოსულიყო ომით პართიაზე. ამიტომაც მან შეკრიბა რომაელი ტყვეები მთელი პართიიდან, კრასუსისა და ანტონიუსის არმიებისდან, გაუგზავნა ისინი საომარ შტანდარტებთნ ერთად. გააგზავნა გარდა ამისა მძევლებად საკუთარი შვილები და შვილიშვილები“ (იქვე)

პომპეი ტროგი ყვება პართიის სამეფოს ამბებს ზუსტად იმ დრომდე, რა დროსაც დაიწერა მისი ნაწარმოები- ეპიტომა. მაგრამ პართიის სამეფოს არსებობა გრძელდება ტროგის გარდაცვალების შემდეგაც, თუმცა ასეთი მემატიანე ამ სამეფოს ისტორიაში მეტი არ ყოფილა. ვსარგებლობთ ცნობილი ისტორიული მონაცემებით:

„პართელთა სამეფო- უძველესი სახელმწიფო, განლაგებული სამხრეთ-აღმოსავლეთით კასპიის ზღვიდან, თანამედროვე თურქმენეთის, ირანის, ერაყის, ავღანთის და პაკისტანის ტერიტორიაზე. შეიქმნა დაახლოებით ქრისტემდე 250 წელს, სატრაპია პართიაში, სელვეკიდების სამეფოს დაქვემდებარების ქვეშ. მოსახლეობა პართები, გაფურჩქვნის პერიოდი ქრისტემდე I საუკუნის შუა წლები. პართიამ დაიმორჩილა დიდი რეგიონი მესოპოტამიიდან ინდოეთამდე, იარსება ითქმის 470 წელი და შეწყვიტა არსებობა 227 წელს. კრასუსისა და ანტონიუსის დამარცხებას რომის იმპერიამ უპასუხა იმპერატორ ტრაიანის, ლუციი ვერას (მარკ ავრელიუსის თანამმართველი) და სეპტიმუს სევერის (115-117; 162-165; 198-199 წლების) ლაშქრობებით, რომელთა მსვლელობისას სამჯერ დაიპყრეს პართიის დედაქალაქი მდინარე ტიგროსზე- ქტესიფონი. პერმანენტულმა ომებმა მიიყვანა პართიის სამეფო დასუსტებამდე. ამ პირობებში, ფარსის პროვინციაში აღზევდა სასანიდების დინასტია, რომელმაც გამოაცხადა თავი სპარსელი ახამენიდ-

ების მემკვიდრედ. 227 წელს უკანასკნელი არშაკიდი მეფე არტაბან V დაიღუპა ომში არდაშირთან სასანიდების გვარიდან“ (ვიკიპედია)

უნდა აღინიშნოს, რომ პართების ტომის აღსანიშნავად ძველ სპარსულში იხმარება ტერმინი „აპარტიკი“ რომელიც აბსოლუტურად რეზონში მოდის ალექსანდრე მაკედონელია მემატეანეების პარატეკანასთან. კიდევ:

„საზღვრებად მისი დასავლეთი მხარისა ითვლება მთები, რომლებიც ყოფენ პართიას ინდოეთიდან და კარმანიას პარატეკანასა და ფარსისაგან“ (სტრაბონი, წიგნი XV; II-8) ...და კიდევ:

„ კარმანიაში არსებობს უდაბნო, რომელიც ეკრობა პარატეკანას და პართიას“ (იქვე-14)

ცხადია, მაკედონელის მემატიანეების პარატეკანა, რომელის არაერთხელ ჟღერდება მათ ნაწარმოებებში, ეს იგივე პართიაა, არგოსული ტომი მცირე აზიელი დორიელებისა- განდხარვებისა, ხოლო თავად პართიის სამეფო, დიდი ხნის განმავლობაში რომის იმპერიის თანატოლი მოწინააღღმდეგე აზიის სივრცეებში- ეს მათი სახელმწიფოებრივი მოწყობის და ფუნციონირების უმაღლესი მიღწევა...

...და ევროპელი არგოსელები-მაკედონესები...

„ალექსანდრეს წინაპარი მეშვიდე თაობაში პერდიკესი იყო. მან მაკედონელებზე ძალაუფლება შემდეგნაირად მოიპოვა: არგოსიდან ილირიაში გაიქცა სამი ძმა, ტემენოსის ჩამომავალნი...ისინი ილირიიდან გადავიდნენ ზემო მაკედონიაში“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი VIII-137) და კიდევ:

„პერდიკესის ეს ჩამომავლები რომ ელინები არიან, ამას თვითონაც ამბობენ და მეც ასე ვიცი. ამის გარდა ოლიმპიაში შეჯიბრების მომწყობებმაც ასე გადაწყვიტეს, რომ ისინი ელინთაგანი არიან“ (იქვე, წიგნი V-22)

ამასთან, ქრისტემდე V საუკუნეს მაკედონესები მხოლოდ შვიდ თაობას ითვლიან მაკედონიაში, შესაბამისად ისინი სხვა დორიულ ტომებზე გაცილებით გვიან ჩანან დაფუძნებული ამ ტერიტორიაზე. ზოგად ცნობებს მაკედონესების შესახებ იგივე პომპეი ტროგი გვაწვდის:

„მაკედონია იწოდებოდა ადრე ემაფიად, მეფე ემათიონის მიხედვით, რომელმაც პირველმა იმეფა ღირსეულად ამ ქვეყანაში. ხალხი იწოდებოდა პელაზგებად, ხოლო რეგიონი ბოტიეად...მოვიდა ემაფიაში მრავალი ბერძენით კარანი. კარანის შემდეგ მეფობდა პერდიკა“ (პომპეი ტროგი, ეპიტომა, ფილიპეს ისტორია)

ისტორია არ და ვერ იცნობს პირველ მაკედონელ მეფეს, სახელით ემაფიონი...თუმცა ბერძნული ლეგენდებიდან იცნობს ემაფიონს, მემნონ ეთიოპის (ქუშის) უფროს ძმას, რომელიც დამარცხდა ჰერაკლესთან ორთაბრძო-

ლაში (თავად მემნონი ტროას ომში ორთაბრძოლაში-სამთაბრძოლაში მოკლა აქილევსმა)...რაც შეეხება მაკედონიის რეგიონში მცხოვრებ ბოტიებს- ის არ უნდა აგვერიოს ბეოტიელებში, ცენტრალური საბერძნეთის მცხოვრებლებ-თან, წარმოშობით კადმოსელებთან- ფინიკიელებზე. პომპეი ტროგისეული ეს ბოტიები თრაკიული ტომის წარმომადგენლები არიან...რაც შეეხება ბერ-ძენ კარანს და პერდიკას, ისინი ის არგოსელი ბერძნები ჩანან, რომელსაც ადრევე აღნიშნავდა ჰეროდოტე.

„რეგიონი ლიმკის ახლოს, პელაგონია, ორესტიდა და ელიმეის ზოგიერ-თები უწოდებენ ზემო მაკედონიას, ხოლო შემდგომ თავისუფალ მაკედ-ონიას...მაგალითად აფამანელები, ეფიტები და ტალარები შევიდნენ თეს-ალიის შემადგენლობაში, ორესტები, პელაგონები და ელიმიოტები შეუე-რთდნენ მაკედონიას“ (სტრაბონი; წიგნი VII; VII-8) და კიდევ:

„პელლა ეკუთვნის დაბლითა მაკედონიას, რომელიც დასახლებულია ბო-ტიებით“ (იქვე; წიგნი VII ფრაგმენტები-20)

სტრაბონის ბოლო შენიშნვა რეზონში მოდის პომპეი ტროგის შენი-შნვასთან ბოტიების შესახებ, რომელსაც ის თრაკიულ ტომად თვლის. რაც შეეხება სხვა თემებს, სტრაბონის მიხედვით ისინი ეპირული, შესაბამისად კოლხურ-იბერიული (3) ტომები არიან, თუმცა მისეულ ელიმიოტების ქვეშ აშკარად იკითხება ქუშელთა- ელამიტების აღმოსავლეთ-ქართული ტომი ... მაკედონესები აშკარად შერეული ტომი ჩანს, თუმცა მის მმართველ ელი-ტას წარმოშობით არგოსელი ბერძნები წარმოადგენენ. მათ რიგებში არც ეპიროტების-კოლხ-იბერების ნაკლებობა უნდა იგრძნობოდეს. (სავარაუდოდ ზუსტად მათ და ეოლიელებს -ხალდებს მოიაზრებს პომპეი ტროგი პელა-ზგებად)-არაფერს ვამბობ ქუშელ ელიმიოტებზე...გარდა ამისა, მისსავე რი-გში მოიაზრებიან ხალდები, იგივე ჭანები. სტრაბონის მიხედვით, ალექ-სანდრე მაკედონელის სარდალი და შემდგომ მისი ერთერთი მთავარი მე-მკვიდრე სელევკ ნიკატორი ხალდია. რასაკვირველია მისით არ და ვერ ამოიწურება მაკედონელთა რიგებში ხალდების რაოდენობა, რამეთუ მაკ-ედონელთა მეზობლების, თესალიელების ტერიტორია ერთ დროს ეოლიუ-რი -ხალდური ჩანს...მაკედონელის მეორე სარდალი, კენი-ლაზი ჩანს...

ასეულობით ლიტერატურულ- ისტორიული ნაშრომი არსებობს ამ უდიდესი პიროვნების, ალექსანდრე მაკედონელის შესახებ. არ ვაპირებთ კიდევ ერთი ვერსიის შექმნას მაკედონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გარშემო, თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია შევიტანოთ კორექტივები მსჯე-ლობებში, რომლებიც აკნინებს ამ უკანასკნელის სამხედრო ლაშქრობების მასშტაბს და მისსავე წარმატებებს ომის ასპარეზზე.

1. დავიწყოთ იქიდან, რომ ალექსანდრე მაკედონელის ადმირალი, ნეარხი წელიწადზე მეტს დაცურავდა და სწავლობდა კასპიის ზღვას. რასაკვირვ-

ელია მაკედომელებმა ბრწყინვალედ შეისწავლეს ამ ზღვის ყოველი კუთხე კუნჭული...მათ შორის მდინარე ვოლგაც. მაკედონელებისათვის ეს მდინარე კოფენია...ზუსტად აქადან ჩანს თავდასხმა განხორციელებული პაროპამისელებზე, სვან-ინგუშებზე მაკედონელთა მიერ. ..უფრო მეტიც, აქედანვე ჩანან შემოსული კავკასიასა და იბერიაში. ზუსტად ამაზე საუბრობს ბერძენი ისტორიკოსი იოანე ზონარა, რომ მაკედონელები მიეპარნენ იბერიელებს, თუმცა ეს უკანასკნელნი არც ამის მერე გაქცეულან ომის ველიდან.

2. მართალია ალექსანდრე მაკედონელმა ილაშქრა მდინარე ვოლგაზე, თუმცა აშკარად ხედავდა ამ მდინარის სასაზღვრო მდინარედ შექმნის უტოპიურობას, რამდენადაც ამ ტერიტორიაზე თავისუფლად შემოდიოდნენ დასავლეთის სკვითები-უკრაინელები. ამდენად საკუთარი მომავალი იმპერიის საზღვარი შედარებით „მორცხვად“ მოხაზა. პირველი გამაგრებული პუნქტი ტარკი ჩანს (დღევანდელ დაღესტანში) სადაც თრაკიელი- ოდრისი მოლაშქრეები დაასახლა, შემდგომ ხაზარები, ხოლო მეორე პუნქტი თავად დერბენტის გამაგრებაა, რომლის მეციხოვნეებად მას ლათინები- რუტულები უჩანს დატოვებული.

3. ალექსანდრე მაკედონელს, როგორც წინა წიგნში ვისაუბრეთ, არ ულაშქრნია კოლხეთში. მიზეზზე უკვე ითქვა და აღარ გავიმეორებთ. არსებობს ჩანაწერები ალექსანდრესეული მემატიანებისა, რომ მავანი ხორამნიელი ფარესმანი ჩამოვიდა მაკედონელთან წინადადებით (ამ დროს მაკედონელი იმყოფება იბერიაში) რომ ქმედით დახმარებას გაუწევს მის ახლოს მცხოვრები კოლხების და მათი მეზობელი ამაზონების დალაშქვაში... ალექსანდრე მაკედონელმა მოუცლელობა მოიმიზეზა და თავაზიანი უარი განუცხადა. მართალია ალექსანდრემ ფარესმანს უარი უთხრა კოლხეთში გალაშქრებაზე, თუმცა ფარესმანის ეს ჟესტი მაკედონელთა მფარველობაში შესვლის და მისი ვასალობის აღიარება უნდა ყოფილიყო…როგორც ჩანს, ეს ამაზონთა და კოლხთა მეზობელი ფარესმანი მცირე აზიის იბერიული წარმონაქმნიდან, ტრაპიზუნდთან მდებარე მელიტენიდანაა...ფლავიუს არრიანეს ნახსენები ხორამნია არა ხორასმს, არამედ სტრაბონისეულ ხორზენას წარმოადგენს, რომელიც ამ უკანასკნელის სიტყვებით იბერებს წაართვეს არ მენებმა (გოგარენასთან ერთად) მართალია გოგარენას ადგილ -სამყოფელს ზუსტად საზღვრავს დიდი ქართველი მეცნიერი, პავლე ინგოროყვა, თუმცა ხორზენაზე საერთოდ არ (ვერ) საუბრობს-ხორზენა ხომ მისთვის უცნობ იბერიას, მცირე აზიის იბერიას ეკუთვნოდა...ხორზენა-მელიტენიდან კოლხებისაკენ და ამაზონებისაკენ მიმართული ტერიტორია უნდა იყოს (ფარესმანისვე სიტყვებით) რასაკვირველია ეს მელიტენა უნდა იყოს...

4. მიუხედავად სტრაბონის მტკიცებისა, არახოსიის (იბერიის) მიმდებარედ ნახსენები გედროსია- ეს არმენიაა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია,

სად იკარგება დარიოს მეფის ერთ- ერთი კანონიკური სატრაპია-არმენია... არადა, ალექსანდრე მაკედონელს დარიოსის სამკვიდრო სამეფო თავიდან ბოლომ-დე უჩანს დაპყრობილი.

5. ამ ბოლო დროს ალექსანდრე მაკედონელზე შექმნილი ფილმის არასწორ-მა ინტერპრეტაციამ (უსუსური სარეჟისორო ტრიუკი) მაკედონელი გეიად დასახა. ამ კითხვაზე წარსულში ამომწურავი პასუხი გასცა პლუტარქემ და ამ სოფიზმზე განმარტების გაკეთებას საჭიროდ არცა ვთვლით...

6. ვაი-მეცნიერებს შორის აქტუალურია მოსაზრება, რომ ალექსანდრე მაკედ-ონელს ინდოეთი არც დაუპყრია და ის დაკმაყოფილდა დღევანდელი ავღ-ანეთის დაპყრობით... და რომ მისი ფლოტი დაეშვა ინდოეთის ოკეანეში დღევანდელ პაკისტანის დედაქალაქ ყარაჩთან...საიდან ღებულობს სათავეს ეს „აზროვნების შედევრი“? იქიდან, რომ მაკედონელს მდინარე განგს იქით ჯარმა გაყოლაზე უარი უთხრა...ალექსანდრე მაკედონელმა მდინარე განგი ვერ გადალახა...და სჭირდებოდა თუ არა ინდოეთის დასაპყრობად მდინა-რე განგის გადალახვა? საქმეც იმაშია რომ არა! საკმარისის რუქას დავხედ-ოთ, რომ ყველაფერი საკუთარ ადგილას დადგეს. მდინარე განგი გადის ინ-დოეთის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით...მთავარი მასა ინდ-ოეთისა, ეს მდინარე განგს დასავლეთით მდებარე ტერიტორიებია, რომე-ლიც ალექსანდრე მაკედონელს დაპყრობილი უჩანს...განგს იქით იწყებოდა ის ტერიტორიები, რომელსაც დღეს ბანგლადეში (მიანმა) ეწოდება და რო-მელში ლაშქრობაზე მაკედონელს ლაშქარმა უარი უთხრა...და რითი აპირ-ებს ალექსანდრე მაკედონელი მსოფლიოს უდიდესი მდინარის (ამაზონის შემდეგ) გადალახვას? რასაკვირველი მას ამისთვის ფლოტი უნდა ჰყავდეს მზად...და რომელ მდინარეზე დაეშვა ინდოეთის ოკეანისაკენ მაკედონელ-ის ეს ფლოტი მისი ადმირალის , ნეარხის მთაურობით? ასეთი მდინარე კი მხოლოდ განგის ქვემო წელი, ბრახმაპუტრაა, რომელიც იმავე განგის ტალ-ღებსაც ინდოეთის ოკეანისაკენ მიაქანებს. ის რომ მაკედონელის ფლოტი ინდოეთის ოკეანეში მდინარე ბრახმაპუტრის საშუალებით დაეშვა, აღწერი-ლი აქვს რომელ ადმირალს და ნატურალისტს, პლინიუს უფროსს:

„ტაპრობანას დიდი ხანია თვლიდნენ სხვა მიწიერ წრედ. დრომ და ალექსანდრეს საქმეებმა აჩვენეს ნათლად, რომ ეს კუნძულია. ონესიკრა-ტი, მისი ფლოტის ადმირალი წერს, რომ სპილოები აქ უფრო დიდებია და მრისხანე, ვიდრე ინდოეთში ... ერატოსთენე გადმოგვცემს მის ზომებს: სიგრძე 7000 სტადიონი (1035 კმ) **და სიგანე- 500 სტადიონი** (740 კმ) **და აქვს 700 დასახლება“ (პლინიუს უფროსი;ბუნებრივი ისტორია, წიგნი VI, XXIV-81)**

სინამდვილეში ზომები რამდენადმე ნაკლებია (440- 230 კმ) თუმცა ეს მაკედონელის ადმირალის და ერატოსთენეს შრომას არ და ვერ ამცირებს. თავად ერატოსთენე, რომელმაც ეს ზომები განსაზღვრა, მოღვაწეობდა ქრი-

სტემდე III საუკუნეს და უდავოდ მაკედონელის ადმირალის ცნობებით სარგებლონდა, რომელმაც პირველმა პირადად აღწერა კუნული ტაპრობანა, იგივე ცეილონი- შრილანკა. (სხვა ამას უბრალოდ ვერ გააკეთებდა, რამეთუ მაკედონელსა და ერატოსთენეს შორის არავის ცეილონის გარშემო ზღვაზე არ უმოგზაურია) შესაბამისად მაკედონელის ადმირალი მდინარე ბრახმაპუტრის საშუალებით ჩანს დაშვებული ინდოეთის ოკეანეში, იმ ბრახმაპუტრისა, რომლის შენაკადს მდინარე განგი წარმოადგენს. ამასთან. ის დაშვებული ჩანს მდინარეზე მთელი ფლოტით, რომელიც მაკედონელს მდინარე განგის გადასალახავად უჩანს მომზადებული. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაათვალიერებდა მისი ფლოტის ადმირალი კუნძულ ტაპრობანას (ცეილონს)... ოპონენტებს, ვინც ცდილობს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მასშტაბები დაამციროს, უბრალოდ რუქის ყურადღებით შესწავლას ვურჩევდი...ცხადია ალექსანდრე მაკედონელს მთელი ინდოეთი უჩანს დაპყრობილი და არა მისი მცირე ნაწილი....რა ადვილია ალბათ კაბინეტში ჯდომით დიდი ისტორიის განქიქება და ალექსანდრე მაკედონელის გამარჯვებათა თითქმის ნახევარის ანულირება, როგორც ამას სტრაბონი აკეთებდა?!

7. იმავე სტრაბონის აჩემებული მოსაზრებით, ალექსანდრე მაკედონელი და მისი მოლაშქრეები ურევენ არალის ტბას მეოტიდასთან და ამ უკანასკნელისაკენ არც კი გამოუხედიათ...ფლავიუს არრიანეს მიხედვით, ალექსანდრე მაკედონელი ელჩობას აგზავნის დასავლეთის სკვითებთან, მეოტიის იქით მოსახლეებთან. ცხადია დასავლეთის სკვითებში უკრაინელები იგულისხმება. რასაკვირველია, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ვისაუბროთ იმაზე, რომ აღნიშნული პასაჟი მაკედონელის ლაშქრობის მემატიანეების ჩანაწერებში აუცილებლად ფიგურირებს. უფრო მეტიც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ელჩობაში მაკედონელისეული დიდი რანგის მოხელეები, მათ შორის სელევკ ნიკტორიც მონაწილეობს...

„კლავდიი ცეზარი გვამცნობს, რომ კიმერიის ბოსფორიდან კასპიის ზღვამდე 150 მილია (222 კმ) და რომ სელევკ ნიკატორმა ჩაიფიქრა გაეთხარა აქ არხი. მაგრამ მოიკლა პტოლომე კერევნის მიერ“ (პლინიუს უფროსი, წიგნი VI; XII-31)

წიგნის კომენტატორის აზრით, აქ ლაპარაკია არხზე აზოვის ზღვასა და კასპიის ზღვას შორის მანიჩის ღრმულის გამოყენებით. ვარაუდობენ, რომ ეს ტრასა წარსულში აერთიანებდა ამ ორ აუზს და წარმოადგენდა კასპიის მლაშე წყლით ავსების წყაროს. სავარაუდოა, რომ მეოტიდაში ელჩობის დროს მაკედონელები ხვდებოდნენ იმ მრავალრიცხოვან მცირე ტბების ზოლს ამ ტრასაზე, რომელიც შორეული წარსულის რელიქტი ჩანს და რომლის გამოყენებითაც სელევკ ნიკატორი ფიქრობდა მეოტიდა კასპიის

ზღვის შეერთებას (რასაკვირველია ეს არხი არა მარტო სანაოსნო დანიშნულების, არამედ სასაზღვრო ნაგებობის როლის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო სელევკ ნიკატორის იმპერიისათვის დასავლეთის სკვითებთან. სელევკი ამ არხის გათხრით უდიდეს ტრიტორიულ შენაძენს აკეთებდა) მაგრამ როდის დაათვალიერა ეს ტრასა სელევკ ნიკატორმა? პასუხი სულ ორი ჩანს:
ა. ის ეყრდნობა ევროპელ სკვითებთან მყოფი მაკედონელი ელჩების ცნობებს, ან შესაძლოა თავადაც მონაწილეობს ამ ელჩობაში.
ბ. იმოგზაურა ამ ტრასაზე უკვე როგორც ერთ-ერთმა მემკვიდრემ ალექსანდრე მაკედონელისამ საკუთარი იმპერიის საზღვრების მოხაზვა-გამაგრების დროს, კერძოდ როდესაც მისი ხელმძღვანელობით შენდებოდა ანაპას ციხე-სიმაგრე.

რასაკვირველია ასეთი დიდი იმპერიის მბრძანებელი ვერ მოიცლიდა ისეთი საქმეებისათვის, როგორიცაა საზღვრების ინსპექტირება. სავარაუდოა, რომ სელევკის ცოდნა კავკასიის ჩრდილო ტერიტორიებისა ევროპელ სკვითებთან ელჩობის შედეგად უნდა ჰქონოდა, პირადი დაკვირვების ან გადმოცემის მიხედვით. სელევკ ნიკატორის და განსაკუთრებით „ზემო სატრაპიების“ შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გერმანელი მეცნიერი, მკვლევარი:

„სელევკი (358-281 ქრისტემდე) -ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ დაინიშნა პერდიკას მიერ ხილარხის თანამდებობაზე. 321 ივლისში, ქრისტემდე, ჯარის ღია უკმაყოფილო გამოსვლების წინ იყო ერთადერთი მოთავე პერდიკას მოკვდინებისა. ტროპარიდოსის განაწილების დროს 321 მიიღო ბაბილონის სატრაპიის მმართველობა. 321 წლის ივლისში, უფრთხილდეოდა რა საკუთარ სიცოცხლეს, გაიქცა ანტიგონესაგან , რომელმაც დაიკავა ბაბილონი საკუთარი ჯარით, პტოლომეოსის ეგვიპტეში. 312 წელს, პტოლომაიოსის და სელევკის გამარჯვების შემდეგ დემეტრიესთან გაზასთან ბრძოლაში, დაიბრუნა ბაბილონი და დაიმორჩილა სუზიანა, მიდია და პერსიდა. დაახლოებით 305-303 წლებში სელევკმა განახორციელა ლაშქრობა ინდზე და დაუმორჩილა საკუთარ ხელისუფლებას ყველა დარჩენილი ზემო სატრაპია“ (ვიკიპედია, დიადოხოსები)

მკითხველს ვაუწყებთ, რომ ვიკიპედიის აღნიშნული სტატია დაფუძნებულია მავანი გერმანელი პროფესორის, დროზენ რ.გ.-ს „ელინიზმის ისტორიაზე“ 1833-1844 წ) ჩვენ არ ვიცით რა მონაცემებით სარგებლობს მავანი პროფესორი, თუმცა დანამდვილებით შეიძლება მტკიცება, რომ მის მიერ ნახსენები ინდი-ინდოეთი არ არის. ზუსტად ამ სახელით იხსენიებდნენ მაკედონელის მემატიანეები მდინარე მტკვარს, რომელიც არახოტების (იბერების) დადაქლაქს წინ ჩამოუდის (გეცნობა მკითხველო?) ხოლო არახოტების- იბერების მეორე სახელი მთის ინდები, იგივე თეთრი ინდებია. პა-

ტივცემული პროფესორის ნახსენები ზემო სატრაპიები, დაპყრობილი სუზიანასა და მიდიის შემდეგ, უთუოდ კავკასიის დარიოსის იმპერიისეულ კავკასიის სატრაპიებს აღნიშნავს.

„ჩაერთო რა ინდოეთში წინააღმდეგობაში ჩანდრაგუპტის მაურების (მალების) იმპერიის დამფუძნებელთან, იძულებული გახდა დაეთმო მისთვის პენჯაბი, აღმოსავლეთის ოლქები გედროსიისა, არახოზია და პაროპამისიდების ქვეყანა. სანაცვლოდ მან მიიღო ჩანდრაგუპტისაგან 500 სბრძოლო სპილო, რომლებმაც გადამწყვეტი როლი ითამაშეს ისასთან ბრძოლაში ქრისტემდე 302 წელს. დადო ჩანდრაგუპტისთან ხელშერულება და გახდა მისი სიმამრი. გაიმარჯვა რა ქრისტემდე 281 წელს კურუპედინის ომში ლისიმახესთან, მიუერთა მისი სამეფო თავის იმპერიას. დაიღუპა პტოლომე კერევნის ხელით, რომელმაც მუხანათურად მოკლა იგი ლისიმახიის ახლოს, 281 ქრისტემდე“ (იქვე, ვიკიპედია, დიადოხოსები)

აი აქ კი უკვე გერმანელი პროფესორი ინდოეთზე საუბრობს (და არა ინდებზე) თუმცა მის მიერ ნახსენები პენჯაბი- ეს დანამდვილებით ინდოეთია, ხოლო გედროსია-არმენია, არახოზია-იბერია და პაროპამისიდებისვან-ინგუშები კი დანამდვილებით კავკასიის, ინდების სატრაპიებია უნდა იყოს. რასაკვირველია იმავე პროფესორთან სელევკის პირველი ლაშქრობა (სუზიანა, მიდია, პერსიდა) ქრისტემდე 312 წელს, (ეს დიადოხოსების III ომია) რომელსაც თითქმის უწყვეტად მოყვება „ზემო სატრაპიების“ გაკონტროლება- არახიოზიას-იბერიის, პაროპამისიდების- ჩრდილოეთ კავკასია და გედროსია-არმენია. ქრისტემდე 3011- წელს ხდება ომი სელევკსა და ანტიგონეს შორის ბაბილონის დაუფლებისათვის. ამ ომში სელევკმა გაიმარჯვა, შეინარჩუნა უფლებები სუზიანას, მიდიას და პერსიდას სატრაპიებზე... შეინარჩუნა უფლებები აგრეთვე ზემო სატრაპიებზე, სავარაუდოდ არახოსის, გედროსიას და პაროპამისზე. გერმანელი პროფესორის სიტყვებით, ამის მერე სელევკი ჩაერთო ინდოეთის წინააღმდეგობის პროცესში მაურების (მალების) იმპერიის დამფუძნებელთან...და აი აქ ხდება ჭეშმარიტად საინტერესო მოვლენა: მაურების იმპერატორთან მოსალაპარაკებლად აგზავნის... იბერიელ მეგასთენეს, თუმცა უცნობია მოლაპარაკების ობიექტიც კი, სელევკის ხელისუფლება ინდოეთამდე-ნამდვილ ინდოეთამდე ვერც აღწევს...სხვა საქმეა კავკასიის ინდოეთი-იბერია...და ერთი ისტორიისთვის უცნობი ფაქტი, მაურების- მალების ტომი მჭიდრო ნათესაობაშია ქართველი იბერების-მალებისა -მამის ხაზით...უცნობია მოლაპარაკების მიმართულებაც კი, თუმცა მის შედეგს გერმანელი პროფესორ იახმოვანებს: მაურების-მალების მეფემ შეირთო სელევკის ქალიშვილი, გამოუგზავნა სელევკს 500 სპილო, რომელმაც ან უკანასკნელს ისოსთან ომში გაამარჯვებინა ანტიგონეზე... თავად მაურების იმპერატორმა ოფიციალური

თანხმობა მიიღო სელევკ ნიკატორისაგან, რომ უთმობს მისგან უკვე დაპ-ყრობილი პენჯაბს...და სატრაპია არახოსიას, პაროპამისს, გედროსიის ნაწ-ილს (ჩრდილოეთს)... დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ამ უკანასკნე-ლი სამი სატრაპიის არსებობა მაურების იმპერატორმა ამ შეთანხმებამდე არც იცოდა...უცნობია, ეს მეგასთენეს მარიფათით დათმო სელევკმა არახ-ოზია, პაროპამისიდები და გედროსიის ნაწილი, თუ თავად სელევკი და-რწმუნდა, რომ ამ ხალხისაგან პრობლემები უფრო მეტია, ვიდრე სარგებ-ელი. ერთი რამე დარწმუნებით შეიძლება ითქვას: ინდოეთის მაურების მეფე მეფე ჩანდრაგუპტიმ ამ სატრაპიების არსებობა არც კი იცის!

...ფაქტი ყველა შემთხვევაში სახეზეა, ქრისტემდე 312 წლიდა 303 წლებში სელევკი ფლობს არახოსიას და პაროპამისს. ზუსტად ამ პერიოდ-ში ჩანს მის მიერ მეოტიდა-კასპიის ზღვის შემაერთებელი არხის გაჭრის იდეა გახმოვანებული, პირველ რიგში მისი იმპერიის ჩრდილო საზღვრე-ბის საფორტიფიკაციო ნაგებობით უზრუნველსაყოფად, რომელიც საზღვ-რის დაცვის ინტერესებს ემსახურება. რასაკვირველია პლინიუს უფროს-ის მიერ დასახელებული მიზეზი სელევკ ნიკატორის მოკვდინებისა არ ჩანს ამ გეგმის ჩამშლელი. სელევკი სიკვდილის დროს უკვე ღრმა მოხუცი (77 წელი) იყო და ტერიტორიებს, სადაც არხს უნდა გაევლო, მიმიმუმ 22 წელია უკვე აღარ ფლობს. რასაკვირველია მან ამ მშენებლობის ინტერესი ჯერ კიდევ მაშინ დაკარგა, როდესაც არახოსია და პაროპამისიდები მისგ-ან დამოუკიდებელი ხდება. სავარაუდოა, რომ მან სრული გარანტია მი-იღო არახოტებისაგან- იბერებისაგან კავკასიის მთების დაცვისა, რომ სე-ლევკის იმპერიას ჩრდილოეთდან ვერასდროს დაემუქრებიან სკვითები.

მაგრამ მას გარანტია არა აქვს, რომ სკვითები არ შემოიჭრებიან შავი ზღვის გაყოლებაზე, კოლხეთზე გავლით, რომელიც ჯერ კიდევ ალ-ექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის პერიოდში მხოლოდ სინოპას ნახე-ვარკუნძულამდე იყო დაპყრობილი, ხოლო ევმელს ის ეკუთვნოდა თავ-ად ტრაპიზუნდამდე (გვიანი ისტორიკოსების ქვემო ბათუმამდე). საფიქრ-ალია, რომ სელევკმა თავისი ძალაუფლება დანარჩენ კოლხეთზეც განავ-რცელა. ანაპის ციხე -სიმაგრე სელვეკ ნიკატორის მიერ ჩანს აშენებული:

„(ციხე-სიმაგრე) იყო დაფუძნებული უძველეს დროში, დიდი ისკანდერ-ის საუკუნეში, შემდგომ მას დაეუფლნენ გენუელები-ფრანკები. მერე ამ... წელს, როცა ოზდემირ ოგლუ ფაშამ დაიპყრო ჩერქეზეთი, მან წაართვა ფრანკებს ეს ციხე- სიმაგრე ანაპა. იმდენად რამდენადაც ეს ციხე -სიმაგ-რე დგას მოჯანყე ჩერქეზებისა და აფხაზების მხარეში, რამდენიმე ადგ-ილს ის დანგრეულია. ახლა ის მიტოვებული ციხე-სიმაგრეა და ის წარ-მოადგენს ლამაზ, დიდ, მრგვალ შენობას, აგებულს აგურისაგან ციცაბო კლდეზე შავი ზღვის სანაპიროზე...ეს ციხე-სიმაგრე იმდენად კარგია, თი-

თქოს ახლა დაედგას ოსტატ-არქიტექტორის ხელს. მისი ნავსადგომი იტ-ევს ათას გემს“ (ევლია ჩელები: მოგზაურობათა წიგნი, მიწები ჩრდილო კავკასიისა, დონ-ისპირეთისა და ვოლგისპირეთისა. აღწერა ბრწყინვალე ციხე-სიმაგრე ან-აპასი. პუბლიკაცია 1979 წ)

თურქი მოგზაური, რომელიც ციხე- სიმაგრე დერბენტის აგებას ერთმნიშვნელოვნად ალექსანდრე მაკედონელს აკუთვნებს, აქ მიუთითებს, რომ ანაპას ციხე- სიმაგრე მხოლოდ აგებულია ალექსდანდრეს ეპოქაშია! ცხადია ის ალექსანდრე მაკედონელს და მის ჩანაფიქრს იმპერიის საზღვ-რების მოხაზვისას არ ეკუთვნის: ალექსანდრე თავსი იმპერიის დასავლთ საზღვრად კავკასიაში ლიხის მთებს თვლის! უეჭველია, რომ ციხე-სიმაგ-რის აგება უკვე სელევკის და მისი იმპერიის ინტერესები ჩანს, რომელსაც თავისი იმპერიის საზღვრები აქამდე უჩანს განვრცობილი. ის, თუ ვის და რა თანამიმდევრობით ასახლებს მოახალშენეს შავი ზღვის ჩრდილო სანა-პიროზე, უკვე წინა მასალაში იყო მოთხრობილი...

7. „ III რაც შეეხება საკუთრივ აზიის სატრაპიებს, გადაწყვიტეს იქ არაფე-რი არ შეეცვალათ და დაეტოვებინათ ადრინდელი მმართველები. სახელ-მწიფო, მეზობელი ამ სატრაპიებისა დარჩა ტაკსილს და სხვა მეფეების ქვეშ ამ ოლქებში. რეგიონი, განლაგებული კავკასიაზე და ცნობილი როგ-ორც პაროპამისიდების ქვეყანა, გადაცემული იქნა ბაქტრიელი მეფის ოქს-იარტისათვის, რომლის ქალიშვილზე, როქსანაზე დაქორწინებული იყო ალექსანდრე. სტეზანორ სოლიელმა მიიღო არიანა და დრანგიანა. ფილიპ-ემ-ბაქტრია და სოგდიანა, ფრატაფერნმა -პართია და ჰირკანია, ატროპატ-მა- მიდია. ტაქსილმა და პორმა შეინარჩუნეს თავიანთი სამეფოები.

XXXIX-ანტიპატრემ მოაწყო ახალი გაყოფა სტრაპიებისა. პიფონმა მიიღო მიდია, ფილიპემ პართია. სტეზანორ კიპროსელმა -არია და დრანგიანა, სტეზანორ სოლიელმა- ბაქტრია და სოგდიანა. ოქსიარტს ნაწილი მეზობლ-ად პაროპამისიდებისა. მეფობა ინდის ამ მხარეს მისცეს პორს, გიდასპის იმ მხარეს-ტაქსილს “ (დიოდორე სიცილიელი, წიგნი XVIII) და კიდევ:

„XIII ევმენმა გაუგზავნა აღმოსავლეთის სატრაპიებს ელჩები წერილობითი ბრძანებით, შემოერთებოდნენ სუზაში თავიანთი ჯარებით.

XIV (მოსულები იყვნენ) ანდრობაზე, გამოგზავნილი პაროპამისიდების ქვე-ყნიდან, რომლის სატრაპი იყო ოქსიარტი, 1200 ქვეითის და 400 მხედრის სათავეში, სტეზანორი- არიის და დრანგიანას სატრაპი, რომელმაც შემოიე-რთა ბაქრტიელები, 1500 ქვეითი და 1000 მხედრით, როქსანას მამას მის-ცეს პაროპამისდების ქვეყანა, პიფონს-ინდოეთის და ბოლოს ევდემმა მო-იყვანა ინდოეთიდან 500 მხედრი, 3000 ქვეითი და 120 სპილო, რომელსაც ის დაეუფლა ალექსანდრეს სიკვდილის მერე, მეფე პორის მოკვდინების შემდეგ“ (იქვე, წიგმი XIX)

რატომ მოვიყვანეთ დიოდორე სიცილიელის ეს ამონარიდები? მაკედონელის ეპოქისათვის ორი პაროპამისი არსებობდა, ერთი შუა აზიაში, ერთი კავკასიაში...ამასთან, შუა აზიის პაროპამისი სატრაპიაა, სახელი პაროპამისი ბეხისტუნის წარწერებში სამი ენიდან მხოლოდ ერთში ფიგურირებს, დანარჩენ ორ ენაზე ის სატრაპია გაიდარაა, ავღანეთის მიმდებარედ... ამავე დროს, კავკასიის პაროპამისი სატრაპიის დონემდე ვერ „ქაჩავს“, ეს იმ დროისათვის ჩრდილო კავკასიაში ანატოლიის ზეგანიდან მიგრირებული სვანთა მაკრონული ტომია...ზუსტად ისინი, ვისაც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის უკან გადაეყარა ქსენოფანტე, უკან დახეული ბერძნულ ლაშქრთან ერთად... ზუსტად ასევე, როგორც ორი ასაკენური ტომი ფიქსირდებოდა: ერთი კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, და მეორე კავკასიის მთებში. ვფიქრობთ, ზუსტად ამ მოვლენამ ითამაშა ბოროტი ხუმრობა სტრაბონთან. ის ასაკენებს, ისევე როგორც პაროპამისიდებს, ერთ ადგილზე, შუა აზიაში მცხოვრებლებად თვლის, ზუსტად ამ მოსაზრებით კატეგორიულად უარყოფს მაკედნელთა კავკასიაში ყოფნას. კავკასიის პაროპამისი, ეს სვან- ინგუშთა გაერთიანებული პოლიტიკური წარმონაქმნია, რომლის არსებობას ლეონტი მროველის ვერსია აბსოლუტურად ამართლებს. მეორე პაროპამისი- ეს ალანთა პაროპამისია შუა აზიაში- გაიდარა. სიტყვა ნამდვილად ძველ სვანური ჩანს, ხოლო ალანები-ჯერ კიდევ სვანურად მეტყველნი...რატომ სვანურად? ისინი მხოლოდ კავკასიაში მოსვლის შემდეგ თუ აღირევიან ხაზარებში, ანტიკური წყაროების აორსებში, იგივე ასებში... ის რომ სვანების და ალანების ლექსიკა (ალანთა ასებში აღრევამდე მაინც) თანხვედრილია, ჩანს მათივე უძველესი და შემონახული ტოპონომიკით. ფიქსირდება საქალაქო უბანი ბაბილონში „სუანი, შუანი“, სვანურ დინასტიას აქ ეწოდება „ისინი“. იგივე ხალხი შუა აზიაში კი იწოდება „უსუნად“ და რაც მთავარია, დღესაც საქართველოს საზღვარზე არსებობს ორი სოფელი „ლარსი“ თანამოსახელე ლარსას მცირეაზიური სვანური პოლისისა, ისინის გვერდით დაფიქსირებული... საინტერესო უნდა იყოს ალანების- ირონების ლექსიკის შედარება სვანურთან, სამწუხაროდ ამ ენას ვერ ვფლობ...სხვამ კი ცივი უარი გამომიცხადა...

...და მართლაც, ბაქტრელთა (უზბეკთა) მეფე ოქსიარტისათვის კავკასიის პაროპამისში განწესება უფრო გადასახლებაა, ვიდრე საჩუქარი, რაც ალექსანდრე მაკედონელის სიმამრს ალბათ არც ეკადრებოდა. გარდა ამისა, ზევით ნახსენები სატრაპიები, რომლებიც დაიბარა სუზაში ევმენმა და რომელთა რიცხვში ნახსენებია პაროპამისელები, არც ერთი არ არის კავკასიური: თვით დრანგიანა -კახეთი მაშინ გაცილებით აღმოსავლეთით მოიაზრებოდა , კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპიროდან სპარსეთის ყურისაკენაა გადაჭიმული

...აბზოის ტომი...

ზუსტად ამ სათაურით იქნა განხილული წინა ტომში ეს ხალხი... ახლაც იმავე ტომის განხილვას ვაპირებთ... ერთის განსხვავებით: აქ განხილული იქნება მასალები ამ ტომზე სრულიად, რომლის იქით ისტორია უბრალოდ არ არსებობს...

„მსოფლიო წარღვნიდან და მანამდე, სანამ მიდიელებმა დაიპყრეს ბაბილონი, პოლიგისტერი ითვლის 86 მეფეს და სახელობით ასახელებს ყოველ მათგანს, მიყვება რა ბეროსის წიგნს და მათ მიერ მმართველობის წლებს ასახელებს 3 მირიად 3 ათას 91 წელს. ხოლო მას შემდეგ, მათი მძლავრი დინასტიის შემდეგ მარებმა მიმართეს ჯარი ბაბილონის წინააღმდეგ და დააყენეს იქ თავიანთი ნაცვალი. ამის შემდეგ ასახელებს მარების ნაცვალთა რიცხვს, სულ 8 და რიცხვი მაგათი მმართველობის 224. და კიდევ 11 მეფეს და 28 წელს, ხოლო შემდე 49 ხალდ მეფეს“ (ბეროსი, ბაბილონის ისტორია, F5)

როგორც ადრე იქნა ნაჩვენები, მოხერხდა ბეროსის წელთააღრიცხვის პოლიგისტერისეული არეული მონაცემების დალაგება და ბეროსისეული ქრონოლოგიის ზუსტი გადმოცემა. ბეროსთან ნახსენებია მარები და აქ თავიდანვე რასაკვირველია მარები იყო ნახსენები, მიდებით მათი ჩანაცვლება პოლიგისტერის იმპროვიზციაა, რომელიც იცნობდა თავის თანამედროვე მიდებს და არავითარი წარმოდგენა არა აქვს მარების შესახებ საერთოდ. ამასთან, მარებს 224 წელი უმართავთ ბაბილონი ნაცვალთა ინსტიტუტით, ხოლო კიდევ 11 X28=308 წელი, როგორც უკვე ბაბილონის სრულუფლებიანი მეფეებს, რამეთუ მომხდარა ამ ხალხის სრული შერწყმა ბაბილონელებთან, სულ 224+308= 532+8=540 წელი (იხ.ზემოთ) ამასთან განისაზღვრა პირველი 86 ხალდი მეფეების მმართველობა -3 მირიადი 3 ათას 91 წელი, როგორც 830 რეალური, დედამიწური წელი. ამასთან მსოფლიო წარღვნის კორექტირებული თარიღი განისაზღვარა ქრისტემდე 3403წელი. შესაბამისად, ბაბილონში მარების ზეობის დასაწყისი 3403-830=2573 წელი...

...და ვისი, რომელი ოფიციალური ტომის შემოჭრით ხასიათდება იმ დროის ბაბილონი?

„აქადები (შავ თავიანები) მიღებულია აღინიშნოს სემიტურენოვანი მოსახლეობა მესოპოტამიისა, მეორე ნახევარი III ათასწლეულისა ქრისტემდე, მოლაპარაკე აქადურ ენაზე. აქადებთან დაკავშირებულია პირველი ცენტრალიზირებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება მესოპოტამიაში- აქადთა სამეფო... ეთნონიმი აქადი დაკავშირებულია აქადის სამეფოსთან, რომლის დასახელება მიემართება ქალაქ აქადისაკენ - ამ პოლიტიკური წარმონაქმნის დედაქალაქისაკენ. თვითდასახელება აქადებისა (ისევე როგორც შუმ-

ერებისა) შავთავიანებია. აქადები წარმოადგენდნენ აღმოსავლეთის შტოს სემიტური ხალხისა, ამავე დროს მათ მცირე აზიაში გამოჩენის დრო და გზები უცნობია. აქადური ენა მიეკუთვნება აღმოსავლეთის ჯგუფს სემიტური ენებისა- აფრაზიული მიკროოჯახი. თავად აქადები ლაპარაკობდნენ ე. წ. ძველაქადურ ენაზე. ბოლო დროს ამ ენაზე (მაგრამ სხვა დიალექტზე) საუბრობდნენ ბაბილონელები და ასირიელები. განსაზღვრა საკითხისა მათი ჩამოსვლის დროსა და გზებზე, დღესაც ღიად რჩება. შედარებით ადრინდელი ჩანაწერები, შესრულებული აქადურად, დატირებულია ქრისტემდე XXVI საუკუნეს . III ათასწლეულის შუა ხანებში აქადები სავარაუდოდ წარმოდგენენ უმრავლესობას მოსახლეობისა, კი-ურის რეგიონში, შუმერის ჩრდილო რაიონებში... XXIV საუკუნეში უცნობმა აღმოსავლეთის ბელადმა მოაწყო აჯანყება და მიიტაცა კიურის ცენტრი, ქალაქი კიში. მიიღო რა სახელი „ნამდვილი მეფისა.“ მან გადაიტანა დედაქალაქი აქადში, დაიმორჩილა შუმერული ქალაქები“ (ვიკიპედია, აქადები)

ცხადია, აქ ვერსიათა სრულ თანხვერდრასთან გვაქვს საქმე. ე.წ. ძველ აქადებად წოდებული ხალხი შუმერის ჩრდილო ტერიტორიაზე ჩნდება ქრისტემდე XXVI საუკუნეს, რაც ბეროსის ცნობითაც დასტურდება. სიმპტომატურია, რომ ისინი პირველად შუმერის ჩრდილო ტერიტორიებზე ჩნდებიან, ზუსტად იქიდან, სპარსეთის ყურიდან, საიდანაც ელამიტების (და დანარჩენი განდხარვების) განდხარვული ტომები ფიქსირდება, ქრისტემდე XXVIII საუკუნის მერე. ცხადია მარები, ისტორიის მიერ ძველ აქადებად წოდებულნი, იმავე განდხარვ-აბსართა ინდოეთიდან გადმოსახლებულ ტალღას წარმოადგენენ. ერთ- ერთი უტყუარი სამტკიცი მათი აფრაზიული ენის მიკრო-ოჯახია. შუმერების და მარების დაახლოებას და უმტკივნეულო შერწყმის განმსაზღვრელ მდგომარეობად გვევლინება ის, რომ ორივე ტომი კომპოზიტურია და შესაბამისად ორენოვანი (4)... შუმერების და მარების ქალების-დედების ენა ემთხვევა ერთმანეთს. მართლდება ბეროსის ცნობა იმის შესახებაც, რომ მარები თავდაპირველად „ნაცვალთა ინსტიტუტის“ საშუალებით მართავენ ბაბილონს (შუამდინარეთს) ქრისტემდე 2573 წლიდან, ხოლო ამავე შუმერ ხლხთან სრული ასიმილაციის შემდეგ 2573-(224+3)=2346 წლიდან უკვე როგორც „კანონიკური“ მეფეები შუმერისა. მარების, აქადების ზეობა მესოპოტამიაში 532 +8 წელი გრძელდება და ქრისტემდე 2033 წელს მთავრდება, როდესაც ამ ტერიტორიაზე იმავე ბეროსის მიხედვით უზენაოსობას „ხალდთა“ (ცრუ) დინასტია მიიტაცებს, (თუმცა ეტყობა არა ძალადობით). ზუსტად ესენი წარმოადგენენ ხურიტებს, უფრო სწორედ ჰურიტებს და მატიენებს, სუბართუს სახელმწიფოს გაბატონებულ ელიტას. ზუსტად მათგან ითხოვს ხარკს ეგვიპტის ფარაონი და ზუსტად ისინი უხმობენ საშველად არალის სტეპე-

ბში მოდრეიფე სკვითებს და ფრიგიელებს. მათივე განდევნა ხდება პირველად ეგვიპტელების მიერ ეგვიპტიდან, ხოლო შემდგომ განდხარვ-აფსართა ტომების მიერ ქრისტემდე XVI საუკუნის მეორე ნახევარში (ამ საკითხზე უკვე ზემოთ სამყოფი ვისაუბრეთ). და თავად მარების, ე.წ. ძველ აქადების ტომის შესახებ რა ინფორმაციას ფლობს ისტორია?

„მარი, ქალაქი პოლისი, არსებული მდინარე ევფრატის სანაპიროზე და სირიაში III-II ათასწლეულს ქრისტემდე, ყველაზე დასავლეთი ქალაქი შუმერისა. ნანგრევები ნაქალაქარ ტელ-სარიხი, თანმედროვე ქალაქი საბუ-ქემელის ახლოს. პირველად გამოკვლეულ იქნა არქეოლოგთა გუნდის მიერ ლუვრიდან 1933 წლს. პრაქტიკულად ხელშეუხებელი სამეფო არქივი მარისა გადატანილია დამასკოსა და ალეპოს მუზეუმებში. მრავალი არტეფაქტი ექსპონირდება ლუვრში. მარის ნომი გადაჭიმული იყო ევფრატის საშუალო დინებში, ქვემო მესოპოტამიის ფარგლებს გარეთ. მართალია სახნავ-სათესი მიწა აქ მცირე იყო, თუმცა ქალაქი დომინირებდა სავაჭრო გზებზე და წიწვოვან ტყეებზე სირიისა. სპილენძის და ვერცხლის საბადოებზე მცირე აზიისა, ნაყოფიერ მიწებს მდინარე ხაბურის ზემო წელში, სირიის მდინარე ორონტისა, ობსიდიანის მოპოვების ცენტრზე, მდინარე ტიგროსის სათავეებიდან ჩრდილოეთით. სავარაუდოა, რომ მარი აღმოცენდა რამდენიმე თაობით უფრო ადრე, სანამ წინ წამოიწეოდა სავჭრო ფაქტორიები, მაგრამ მესამე ეტაპზე ადრე დინასტიური პერიოდისა, მარი უკვე დამოუკიდებელი სამეფო იყო. მიუხედავად მჭიდრო კულტურული კავშირებისა მარისა და სამხრეთ მესოპოტამიას შორის, შუმერული ფენა მის მოსახლეობაში არ იყო, და თუ იყო, სავარაუდოდ უმნიშვნელო რაოდენობით. მოსახლეობა ლაპარაკობდა სემიტურ ენაზე, ამასთან სალაპარაკო ენა იყო დასავლეთ-სემიტური დიალექტი, თუმცა წერისას გამოიყენებოდა აღმოსავლურ სემიტური აქადური ენა. მოსახლეობის ამ ეთნიკური ჯგუფის ღმერთი იყო დაგანი და შესაძლოა იშთარიც. ასწლიანი ომში ებლასთან, თავიდან მარის ლუგალმა სა' უმუმ მიიტაცა მრავალი ტერიტორია ებლაელებისა, მაგრამ XXV საუკუნის შუა ხანებში ებლაელების მეფემ კუნ- დამუმ დაამარცხა მარი. ადრედინასტიური პერიოდის მესამე ეტაპის დასაწისში ხდება ის თარეში, რომელსაც ახორციელებს მარი ორმდინარეთის სამხრეთ რაიონებზე. „შუმერული მეფეთა სიის" შემადგენელმა იცის მარის დინასტიის შესახებ, რომელიღაც საკუთარი წყაროებიდან, თუმცა ვერ მოასწრო სწორი დაკავშირება თავისავე სხვა ცნობებთან. ამიტომაც მოათავსა ეს ცნობა არა თავის ადგილას, არამედ ქრონოლოგიურად გაცილებით გვიანდელ პერიოდში. სინამდვილეში ერთ-ერთი მეფეთაგანი, პირველი მეფე მარის დინასტიისა, წინამდგომი „შუმერი მეფეების სიისა" დამამყარებელი თავისი ჰეგემონიისა მესოპოტამიაში, რომლის სახელის ზუ-

სტი წაკითხვა არ არის შესაძლებელი (სავარაუდოდ ის იკითხება როგორც ილისარი) როგორც ჩანს, იყო გილგამეშის დინასტიის თანამედროვე. „შუმერი მეფეების სია“ ასახელებს ამ დინასტიაში კიდევ რამდენიმე მეფეს, გამომდინარე ქრონოლოგიური თვალსაზრისიდან. ცხადია ყველა ისინი ჰეგემონის მესოპოტამიის სამხრეთზე ვერ ავრცობენ“ (ვიკიპედია, მარები)

საინტერესოა, რომ სტატიის ავტორის მიერ ნახსენები პირველი მეფეთაგანი მარის დინასტიისა, შუმერთა მეფის გილგამეშის ეპოქისა ჩანს. ამასთან გილგამეშის ეპოქა ქრისტემდე XXVII-XXVI საუკუნე აბსულუტურ რეზონში მოდის მარების მიერ ბაბილონში საკუთარი ნაცვალების დანიშვნის თარიღთან ქრისტემდე 2573 წელთან, შესაბამისად კიდევ ერთხელ მტკიცდება ჩვენს მიერ ბეროსის მიერ აღწერილი ქრონოლოგიის გაშიფრვის სისწორე თვით წარღვნამდეც კი. ამასთან, სტატიის ავტორის მტკიცება, რომ აქადი მეფეები სავარაუდოდ ვერ ახორციელებენ სრულ კონტროლს ყოფილ შუმერზე სინამდვილეს არ შეეფერება. ყოველ შემთხვევისათვის, ზემოთ აღნიშნული თარიღიდა ნ 540 წელი ბაბილონს და შუამდინარეთს ბეროსის მიხედვით აქადებს - მარებს უნდა ემართათ, თვით 2033 წლამდე ქრისტემდე.

შემდეგი პერიოდი მცირე აზიას, ბაბილონსა და ეგვიპტეში ჯერ ხურიტების (სინამდვილეში ჰურიტების) და მატიენების ზეობაა, თითქმის 2, 5 საუკუნე, შემდეგ კი ჰიქსოსების და მათი სატელიტების ზეობის ხანა დგება. თუ ჰიქსოსთა (სკვითთა) ძლიერებას ეგვიპტეში საბოლოოდ თავად ეგვიპტელები უღებენ ბოლოს, ბაბილონს უცხო სემიტური ტომების (ფრიგიელები, სომაკები და პანჩალები, დღევანდელობის სომეხები და ქურთები) განდევნას ჯერ ხეთების მეფე მურსილის და შემდგომ ზღვისპირა ხელმწიფის, სვანური (თუ იბერიული) ტომის მეფე გულკიშარის მეთაურობით და უკვე ყოფილ ბაბილონსა და აქადში პრივილიგირებულ ზედა ფენასაც ისინი წარმოადგენენ...ამავე დროს XVI საუკუნის შუა წლებში ხდება სრული განხარვულ -აფსარული წარმოშობის ტომების მიერ ჰიქსოსების განდევნა და დევნა არალის სტეპებამდე და შუა აზიაშივე დაფუძნებით ... პროცესს არც მარები ჩამორჩენიან:

„ამბობს მეფე დარიოსი:ქვეყანა მარგუ აჯანყდა.ერთი კაცი, სახელად ფრადა, მარგუანელი, მათ აირჩიეს უფროსად. ამის შემდეგ მე გავუგზავნე სპარსელი, სახელად დადარშიში, ჩემს მონას, ბაქტრიის სარდალს და ვუთხარი მას ასე: წადი და დაამარცხე ის არმია, რომელიც არ იწოდება ჩემად. შემდეგ დადრშიში წავიდა არმიით და გაუმართა ომი მარგუელებს“ (ბეხისტუნის წარწერები 10-19, თარგმნა დანდამაევისა)

მარგუ, აი ასე ჰქვია მარების პოლიტიკურ წარმონაქნს ბაქტრიას-უზბეკეთს და ხორასმიას-თურქმენეთს შორის, თუმცა ის ვერ მაღლდება

სატრაპიამდე -სამეფომდე (ალბათ შედარებით მცირერიცხოვნობის გამო) და იმ დროისათვის იყო შემავალი ბაქტრიის სატრაპიაში (5). ადრე შუა საუკუნეების მერვი, ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი რეგიონისა, მონღოლებმა დაარბიეს და დააქციეს 1220 წელს. მოსახლეობა თანდათან გადაბარგდა ახლლოსვე, დღევანდელ მარში, თურქმენისტანში...**მარგიანა**, ასე თარგმნის **აბაევი** ამ ხალხის სახელს...ჰეროდოტე სამი სხვადასხვა, თუმცა მსგავსი სახელებით იხსენიებს ამ ტომს, ასევე სრულიად სხვადასხვა ადგილას, თუმცა ეს ერთი და იმავე ტომის მცირედ განსხვავებული სახელია, სხვადასხვა საცხოვრებელი ადგილებით:

„ხოლო სხვა სპარსელები შემდეგნი არიან: პანთიალები, დერუსიები, გერმანიები, ესენი მიწათმოქმედები არიან, ხოლო სხვები მომთაბარეები : დაიები, მარდები, დრიპიკები, საგარტიები“ (ჰეროდოტე, წიგნი III- 125)

და იქვე: **„მოსხებს, ტიბარანებს, მაკრონებს, მოსინოიკებს და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი, ესაა მეცხრამეტე სატრაპია“ (იქვე, წიგნი III-(94)**

სამივე ეს სახელი, **მარგი, მარდი და მარი** ერთსა და იმავე ტომის სახელია, ტერიტორიულად სხვადასხვა მიწაზე მცხოვრები, მცირე და შუა აზიაში...შემდეგი მიგრაციები პროცესები მცირე აზიიდან მიმდინარეობდა ქრისტემდე 1261 წელს...ვითარდებოდა ის სამი მიმართულებით: აფრიკისაკენ- პირობითად ეთიოპური ექსპედიცია; ტირსენ ატისის ძის მიერ მოწყობილი მიგრაციული ექსპედიცია-აპენინის ნახევარკუნძულისაკენ და ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპიროსაკენ მიმართული ესპედიცია. როგორც ირკვევა, არც ერთ ამ ექსპედიციას მარების ტომის მონაწილეობის გარეშე არ ჩაუვლია...

... ეთიოპია-ერიტრეა ...

განდხარვ-აფსართა ამ ბუდობზე აფრიკაში, ადრე უკვე ვისაუბრეთ. მკითხველს მხოლოდ ზოგად ცნობებს შევახსენებთ: ოფიციალური დასახელება- სახელმწიფო ერიტრეა- ტიგრინია. ესაზღვრება სუდანს, ეთიოპიას და ჯიბუტს. 1991 წლამდე სახელმწიფო ეთიოპიის შემადგენლობაში, მანამდე აკსუმის სამეფოდ ცნობილში... ფართობი-117, 6 ათასი კმ/კვ. მოსახლეობა 6 მლნ. ენა-55% ტიგრაი (იბერიული) 30 % ტიგრე (მარული)... ცალკე აღნიშნულია ყოფილი სახელმწიფოები, რომელიც ამ უკანასკნელის შემადგენლობაში მოჰყვა, მათ შორის **მედრი- ბახ-რი**... რო-გორც ჩანს, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ჩვენს მიერ საძიებელ მარს ტომის უძველესი სახელი ქრონოლოგიურად **მადრია-მარი-მარდი და მარგი...**(6)

...და ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპირო...

ამ სანაპიროს ანტიკური ლიტერატურა ილირიას-ილირიკს უწოდებს...ტომებიც მრავალი აღირიცხება, თუმცა სინამდვილეში გაცილებით ნაკლებნი ჩანან. ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპიროს აღწერას სტრაბონი ისტრებით იწყებს-კოლხყოფილებით, რომელთა ცენტრალური ქალაქი პოლა (დღევანდელი ქალაქი პულა ხორვატიის შემადგენლობაში, ტრიესტის ყურის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში (7) შემდეგი უკვე აფსირტიდების კუნძულებია, აფსირტეს მოკვდინების ადგილი და კოლხებისგან ლტოლვილი-აფშილების საცხოვრისი (8)...შემდეგი უკვე ლიბურნებია და როგორც ირკვევა <u>ბასკ-გასკ და აბასკების</u> ადრიატიკული სამშობლო ქრისტემდე 1261 წლიდან... და ამის სამტკიცი ფაქტიურად არც ერთი ფაქტი არ არსებობს, თვინიერ სტრაბონი მიერ სხვათაშორის ნახსენები მდინარე მარგისა, რომელიც აღნიშნული ტომის სავარაუდოდ აქ ცხოვრებას მიანიშნებს:

„პირველები ცხოვრობენ ორ მდინარეს შორის, რომლებიც უერთდებიან ისტროსს (დუნაის) ნოარი-გამდინარე სეგესტიკის ახლოს და <u>მარგი</u> (ზოგიერთები მას ეძახიან ბარგს). (სტრაბონი, წიგნი VII; V-12)

ლიბურნები, დაფიქსირებული სტრაბონის მიერ ისტრების შემდეგ, ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, რომელსაც ჩვენ ბასკ-გასკ-აბასკებად ვთვლით...რასაკვირველია სამტკიცი არგუმენტები არსებობს (და რა უსუსურდ გამოიყურება ზოგიერთი თავ-გახურებულების მოტივი, რომ აბასკებს თევზის სახელი არ გააჩნიათ...ეს ყაბარდოელებს არ გააჩნიათ თევზის სახელი, რომლთა სლენგზეც დღეს აბასკი საუბრობს... და სხათაშორის ლიბურნების მსუბუქი გემები ითვლებიან რომაელთა გალერეების წინაპრად) მოძიებულ და მოყვანილი იქნება აქვე, ან ცოტა მოგვიანებით...შემდეგ დალმატების სანაპირო, უბიხებისა. (სხვათაშორის ლიბურნებზე უფრო მძლავრისა, რომლებიც არაერთხელ აწიოკებენ ლიბურნებს და ეს უკანასკნელები სამართალისათვის რომაელებს მიმართავენ...ალბანური ტომები, რომელთა აქ არსებობა აქსიომაა, თუმცა სახელდებულად ვერ ხვდებიან სტრაბონის თვალთახედვის არეში-სავარაუდოდ ისინი არდიების და ავტარიატების ურთერთ მეზობელი ტომები არიან, დალმატების აღმოსავლეთით მცხოვრები ადრიატიკის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე. ეპირში მოხსენიებული თესპროტები კოლხყოფილები ჩანან, უძველესი დროიდან აქვე მცხოვრებნი, ხოლო ხაონები და მოლოსები, მცირე აზიიდან ქრისტემდე 1261 წელს განხორციელებული ექსპედიციის მონაწილე მცირე აზიელი იბერები (9)

... ხორვატია, მემკვიდე ჩამოთვლილი ტერიტორიებისა დღეს...

ხორვატიის ღერბს ჭადრაკის დაფა წარმოადგენს, მათზე გამოხატული ხუთი ერთეული ცხოველით: თხა, კვერნა და სამი ლომი...

1.თხა-სინამდვილეში ჯიხვია (ისევე როგორც აფხაზეთის ტოტემი) მრავალი ანტიკური ისტორიკოსის მიხედვით იმ კოლხებით დასახლებული, რომელიც გახლდნენ აიეტის მიერ არგონავტებისათვის დადევნებული მდევარი, რომელსაც მეთაური აფსირტე- აიეტის ვაჟი მოუკლეს და სირცხვილით უკან ვეღარ გაბრუნდნენ და აქ დაარსეს ქალაქი პოლა-სინამდვილეში ფულა, რაც კოლხურად დამალვას ნიშნავს. არც ეს უნდა გასჭირვებოდათ, დასავლეთით ჭანები ყავდათ (10)

2.კვერნა- ეს სლავონიას ნიშნავს, ადრე სლავებით დასახლებულ ადგილს, თუმცა ეს გაცილებით გვიან ჩანს მომხდარი.

3...და სამი ლომი... მიღებულია მოსაზრება, რომ ის დალმაციას ნიშნავს... მაგრამ ჯერ კიდევ კონსტანტინე პორფიროგენტი, ბიზანტიის იმპერატორი X საუკუნეს აღნიშნავს დალმაციის დაპყრობას პანონიის მიერ...და ლიბურნები სადღა ქრებიან? მართალია აქ ოქტავიანე ცეზარის მიერ რამდენიმე კოლონიის ამოყვანა ხდება - სახელდობრ ლიბურნიადან, მაგრამ ლიბურნია ხომ სრულად ვერ დაიცლებოდა? დიდი ალბათობით ერთი ლომი პანონიას ნიშნავს, მეორე დალმაციას და მესამე ლიბურნიას... სამი ლომი გერბზე - სამი პროვინციის გაერთიანებას ნიშნავს, დროთა განმავლობაში ერთ ენაზე დასული. საბუთად ცნობილი ხორვატი ფეხბურთელი ლუკა მოდრიჩიც ეყოფა, რომელსაც საკუთარი მადრობა- გვარშიც უჩანს...

რასაკვირველია ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ტომები-ილირიელებად წოდებულნი, მცირე აზიიდან ქრისტემდე 1261 წელს მიგრირებული ტომები ჩანან (ისტრების გარდა, რომლებიც ადრე ჩამოსახლებული კოლხყოფილები ჩანან...ასევე გვიან ჩამოსახლებული დალმატების გარდა) ხეთები, კან- გოის ტომი, მომავალი ალბანები-ეს სტრაბონისეული არდიები და ავტარიატები ჩანან. პანონიელები- თრაკიულ სინდური ტომი, ადრიდანვე აქ, უფრო მთებისკენ მცხოვრები ტომები ჩანან. და მარები? ისინი მცირე აზიის ძირძველი მცხოვრებნი ჩანან, აფსარული ტომისა, ისევე როგორც ყველა დასავლეთ ქართული ტომები... კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ტომის სახელი ქრონოლოგიურად შემდეგ სახეს ატარებს: მადრი-მარი-მარდი-მარგი...

ზემოთ აღინიშნა, თუ რატომ ხდება უმტკივნეულოდ (ან შედარებით ნაკლებად უმტკივნეულოდ) შუმერული ენის აქადური ენით ჩანაცვლება- ორივე ეს ტომი აფსარულია, შესაბამისად ორივე ტომის მეორე მშობლიური ენა აფსარულია...ასეთსავე დამოკიდებულებაში ჩანს იბერიული ენაც ამ ორ აფსარულ ტომთან, იბერიც აფსარული ტომი ჩანს, შესაბამისად მეორე მშობლიური ენა იბერისთვისაც აფსარული ჩანს...და მაინც ადვილი შესამჩნევია, რომ კოლხები და მარები განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში ჩანან ერთმანეთთან:

„მოსხებს, ტიბარანებს, მაკრონებს, მოსინოიკებს და მარებს შეწერილი ჰქონდათ 300 ტალანტი, ესაა მეცხრამეტე სატრაპია“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი III-94)

პრაქტიკულად გვერდიგვერდ მდებარე ტომები გაერთიანებული ერთ სატრაპიაში, გადასახადები აკრების მიზნით. მაგრამ:

“კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები, ასევე მათმა მეზობლებმა, ვიდრე კავკასიის მთებამდე. ამათ საჩუქრად დაიწესეს და ეს გრძელდება ჩვენს დრომდე, ყოველ მეხუთე წელს გადაიხადონ 100 ყრმა და ასი ქალწული“ (იქვე, წიგნი III -97)

აი ამ ამონარიდიდან შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ კოლხები და მარები მეზობლები არ არიან, თუმცა მარებზე არსებული ცნობებით ეს ისედაც ნათელი იყო, მაგრამ:

„მარებს თავზე ადგილობრივი მოწნული მუზარადები ეხურათ; ეჭირათ ტყავის პატარა ფარები და ხელშუბები. ხოლო კოლხებს თავზე ხის მუზარადები ჰქონდათ, გამოუქნელი ტყავის პატარა ფარები და მოკლე შუბები. მარებსა და კოლხებს განაგებდა ფარადდატეს ტეასპისის ძე“ (იქვე VII-79)

სპარსელები მოლაშქრე ტომებს ამსხვილებენ, აერთიანებენ და სათავეში ჩვეულებრივ სპარსელ მეთაურს-სარდალს უნიშნავენ...მაგრამ ტომების დაწყვილება ამავე ტომების სურვილისამებრ უნდა ხდებოდეს და მთავარი კრიტერიუმი ერთმანეთის ენის ცოდნა უნდა იყოს (ესოდენ მნიშვნელოვანი საომარი მოქმედებების სინხრონიზაციისათვის ...მაგრამ კოლხები და მარები მოსაზღვრე მეზოლებიც არა ჩანს... და მით უმეტეს, მათი ენები ახლოს-ახლოს მდგომი და ურთიერთგასაგები უნდა იყოს...

...და რითი შეიძლება აიხსნას კოლხური და მარული ტომების ენობრივი თანხვედრა-სიახლოვე? როგორც კვლევისას გაირკვა, ტომი რომელიც ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ მადრების სახელითაა ცნობილი, სპარსეთის ყურეში ქრისტემდე XXVIII –XXVII საუკუნეს ჩამოსასხლებული, აფსართა ჩამომავალი ტომია...ამასთან, ის მაღალი გონის მიერ ადრე ვენეციაში დასახლებული სამი ტომიდან, ხალდებიდან-ჩენებიდან, იბერებიდან და კოლხებიდან ამ უკანასკნელთა სახლიკაცებს წარმოადგენენ! მადრა-ეს ინდოეთში დარჩენილი კოლხია, რომელნიც ნახევარი დუჟინი საუკუნის შემდეგ აქვე, მცირე აზიაში ხვდებიან ერთმანეთს. საბუთი?

„ ამ ტბაზე ღამით აწყობენ ვნებათა სანახაობებს, რომელსაც ეგვიპტელები მისტერიებს უწოდებენ. თუმცა თითოეული ამ მისტერიის შესახებ ბევრი რამ ვიცი, მაგრამ დუმილს ვარჩევ“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი II-171)

მეც ზუსტად ვიცი კოლხ-მარების სრული იდენტურობის შესახებ, მაგრამ ისევე ვარჩევ დუმილს, როგორც ჰეროდოტე. ვთხოვ მკითხველს,

დაუჯეროს ჩემს კომპეტენტურობას და ავტორიტეტს ამ საკითხში... მაგრამ ასოკირკიტათათვის მივანიშნებ, რომ ყურადღებით, განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლონ ჰეროდოტეს ზემოთ მოხსენიებული თავი ეგვიპტელთა ჩვევების შესახებ, რამეთუ ეგვიპტელები თავანკარა კოლხები იყვნენ...ამასთან, ყურადღებითვე წაიკითხონ ინდურ ეპოს „მახაბხარატაში" თავი „კარნაპარვა," განსაკუთრებით კარნა ვაიკარტანასა და მადრების მეფე შალიას სიტყვიერი კენწლაობა, რომ ყველაფერი თავის ადგილას დადგეს: მადრები-ეს ინდოეთში დარჩენილი კოლხებია! კოლხები-ეს ინდოეთიდან ადრევე წამოსული მადრებია!... და ერთი მოულოდნელი სიურპრიზიც: კოლხების (და მადრების) გენეზისის ქალური კოპონენტი როგრც ზემოთ ითვა-აფსარაა, განდხართა ციური მეწყვილენი. იკვეთება მეორე მხარეც: მამაკაცური კომპონენტი ორივესათვის სპარსული ჩანს (11) ...და კიდევ:

„პირველები ცხოვრობდნენ ორ მდინარეს შორის, რომლებიც უერთდებიან ისტროსს (დუნაის) **ნოარი- გამდინარე სეგესტიკის ახლოს და მარგი (ზოგიერთები მას ეძახიან ბარგს)" (სტრაბონი, წიგნი VII; V-12)**

მკითხველს შევახსენებ, რომ აქ ისტორიკოსი ყვება ადრიატიკის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, მის ჩრდილო სანაპიროზე- ილირიაზე, ხოლო მდინარე მარგი სტრაბონის ეპოქისათვის იმ ტომის მკრთალ კვალს უნდა წარმოადგენდეს, საიდანაც ალექსანდრე მაკედონელს მარგი მეომრებიც უჩანს მოწვეული ...ზუსტად მათი დამსახურება უნდა იყოს ის, რომ ალექსანდრე მაკედონელმა არ დასაჯა თავისი ცხენის, ბუცეფალის მომპარავი მარდები, უკვე სპარსეთში მცხოვრებნი... ვინ-ვინ და კოლხების სახლიკაც მარდებს ეს ამბავი არ უნდა გასჭირვებოდათ, თუმცა მაკედონელთათვის ეს სრული კონფუზი აღმოჩნდა...და მაინც, ალექსანდრე მაკედონელმა, რომელიც მარდებს თავიდან გადაბუგვით ემუქერებოდა, მარდები ცხენის დაბრუნების შემდეგ დაასაჩუქრა კიდეც (როგორც ჩანს თანამოლაშქრე ილირიეი მარდების თხოვნით) ამ თემაზე ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ წინა ტომში და აღარ გავიმეორებთ. (12)

„კოლონია მეომრებისა აფრიკაში, სიცილიაში, მაკედონიაში, ორსავე ესპანეთში, ახაიაში, აზიაში, სირიაში, ნარბონის გალიაში და პისიდიაში მე გავიყვანე. იტალიაში ასევე ამოყვანილი ჩემი ნებით 28 კოლონია, რომელიც ჩემს დროს იყო სახელგანთქმული და ხლხმრავალი" (საქმეები ღვთაებრივი ავგუსტუს გაი იულიი ცეზარისა, ოქტავიანე ავგუსტისა) (13)

აქ ოქტავიანე ცეზარი (63-14 წელი) ქრისტემდე 63 და ქრისტესით 14 წელი ყვება საკუთარ კოლოსალურ წარმატებებს რომაული იმპერიის აღორძინების საქმეში, მათ შორის კოლონიების ამოყვანაზე იტალიიდან, რაოდენობით - 28. მკითხველს შევახსენებ, რომ ოქტავიანე ცეზარის ეპოქისათვის იტალიის დაქვემდებარებულ პროვინციებად ითვლება ილირიკ-

აც და ეპირიც, დასავლურ ქართველური ტომების ერთ-ერთი ბუდობი... და სავარაუდოდ ცეზარი არა ორ ესპანეთზე, არამედ ორ იბერიაზე საუ-ბრობდა.

„ცეზარავგუსტა- კოლონია განთავისუფლებული გადასახადებისაგან. გვერ-დით ჩაუდის მდინარე იბერი და დგას იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ქა-ლაქი სალდუბა იდგა, ედიტანის ოლქში შემავალი. ცეზარ ავგუსტას ექვ-ემდებარება სხვა 55 ტომი, მათ შორის მცხოვრებნი ბილობილისა (მათ რომაული უფლება აქვთ“ (პლინიუს უფროსი, წიგნი III-24)

აქ პლინიუს უფროსი აშკარად ოქტავიანე ცეზარის მიერ ამოყვა-ნილ კოლონიაზე გვესაუბრება, რომელიც ესპანეთში მდინარე იბერის სა-ნაპიროზე მდებარეობს და რომელიც აშკარად ბასკებს ეკუთვნით: დასახე-ლება ქალაქისა ბილობილისა აშკარად გვეუბნება , რომ აქ ქალაქ ბილბაო-ზეა საუბარი, ბასკეთის კუთხის დედაქალაქზე. ეჭვის საფუძველსაც კი არ ტოვებს წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქი სარგებლობს რომაული (უმაღლესი) უფლებებით, მაშინ როდესაც სხვა ერთეულები იმავე პლინი-უსის მიხედვით მხოლოდ ლათინური უფლებებით სარგებლობენ. ოქტ-ავიანე ცეზარის მიერ ბასკების კოლონიის ამოყვანა ესპანეთში, <u>პირველ -იბერიაში</u>, დროში საეჭვოდ ემთხვევა ასეთივე კოლონიების ამოყვანას <u>მეორე იბერიაში-</u> შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, გონიოსა და დიოსკ-ურიადის სიახლოვეს (დღევანდელ გუდაუთაში) და ასევე ფეოდოსიაში, ყირიმის ნახევარკუნძულზე (14). აფშილების და აბასკების კოლონია (ასე-ვე კიუტსებისა ფეოდოსიაში) უშუალოდ რომაული გარნიზონების სიახ-ლოვეს ჩანან განსახლებული და სავარაუდოდ მათსავე საყრდენს წარმო-ადგენენ რომაელთათვის ამ უცხო მხარეში:

„140000 ნაბიჯი ტრაპეზუნდიდან (198 კმ) მდინარე აფსაროსთან მოსახე-ლე ციხე- სიმაგრე შესართავთან ...აფსარიდან იგი (გლავკი, მდინარე რიო-ნი) **დაშორებულია 70000 ნაბიჯით (99 კმ)... ხრისორიი, აფსილთა ტომის ციხე-სიმაგრე სებასტოპოლისი 100000 ნაბიჯით (150 კმ) ფაზისიდან“ (პლინიუს უფროსი; ბუნებრივი ისტორია, წიგნი VI; VI-2, 13, 14)**

პლინიუს უფროსი მდინარე აფსაროსს (ჭოროხი) ახსენებს, რომლის სახლი უთუოდ აფსართა ტომის სახელდებული ჩანს. აქვე ფიქსირდება პი-რველი რომაული ციხე-სიმაგრეც, რომელიც ამავე სახელს ატარებს (ახლა-ნდელი გონიო) თუმცა აფსილთა ტომი პლინიუსის დროისათვის უკვე აღარ ცხოვრობს ამ ტერიტორიაზე. ისინი იმავე პლინიუს უფროსის სიტყ-ვებიდან გამომდინარე, უკვე სებასტოპოლისთან-დიოსკურიადასთან ჩანან გადასახლებულნი, ასევე რომაული გარნიზონის მახლობლად და მათსავე საყრდენად. საინტერესოა, რომ პლინიუს უფროსი თავის ამ გეოგრაფიულ ტრაქტატში არ აღწერს აბასკებს, თუმცა ლოგიკურია რომ ისინი უკვე აქ

უნდა იყვნენ, ისევე როგორც ოქტავიანე ცეზარის მიერ ერთდროულად ერთი და იმავე ადგილიდან ამოყვანილი ორი კოლონია. აბასკთა კოლონია, როგორც მათი განსახლების ადგილის მიხედვით განისაზღვრება, პიტიუნტის (ბიჭვინთის) რომაული გარნიზონის საყრდენ მოსახლეობად არის ჩაფიქრებული... ურიგო არაა გავიხსენოთ, რომ პლინიუს უფროსის სიტყვებით მდიდარი და ხალხმრავალი ქალაქი პიტიუნტი გაიძარცვა ჰენიოხების (ხალიბების) მიერ. ცხადია, პიტიუნტში რომაული გარნიზონი აღწერილი პერიოდისათვის უკვე აღარ ფუნქციონირებდა, შესაბამისად ვერაც საყრდენი კოლონია იქნებოდა ამ გეოგრაფისათვის შესამჩნევი, რამეთუ ეს უკანასკნელი მცირე რამეთი თუ გამოირჩევა ადგილობრივი მოსახლეებისაგან, მათ შორის ენითაც…

„შუადღის მერე ჩვენ გავიარეთ ხუთას სტადიონზე მეტი და მივედით აფსაროსში, სადაც დგას ხუთი კოჰორტა…ამბობენ, რომ ადგილი აფსაროსი ძველად აფსირტედ იწოდებოდა. აქ აფსირტე მედეას მიერ იქნა მოკლული.“ (ფლავიუს არრიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო &-6)

მკითხველს შევახსენებ, რომ ფლავიუს არრიანე რომის იმპერიის დიდმოხელეა, კაბადოკიის მეფისნაცვალი, რომელიც სამეფო კარის დავალებით ინსპექტურებას ახდენს შავი ზღვის მთელ სანაპიროზე, მათ შორის ჩრდილოეთ ზღვისპირეთზე. მართალია ის რომის დიდმოხელეა, მაგრამ ცუდი ისტორიკოსი და გეოგრაფია. ისტორიულად აფსირტე მართლაც აფსირტიდებზე მოიკლა იმავე მედეას ხელშეწყობით, თუმცა ეს აფსირტიდები ადრიატაკის ზღვაში, ილირიკის წინ მდებარე კუნძულებია. ცხადია, აფსარები, ადრე აფსაროსში მცხოვრებნი, ზუსტად იმ ადგილებიდან, ადრიატიკის ზღვის ილირიკის სანაპიროსთან მდებარე კუნძულებიდან, იმავე ოქტავიანე ცეზარის მიერ ამოყვანილი კოლონიაა წელთა აღრიცხვათა გარდამავალ მიჯნაზე. სიმპტომატურია, რომ ამ კუნძულთა ჯაჭვში აღწერს ბიზანტიის იმპერატორი X საუკუნისა, კონსტანტინე პორფიროგენტი კუნძულ **აფსოლს...**

„ლაზების მეზობლები აფსილები არიან, მათმა მეფემ მეფობა შენი მამისაგან მიიღო, აფსილების მეზობლები აბასკები არიან“ (იქვე, &-11)

ეს თემა ერთხელ უკვე განხილულია წინა ტომში და აღარ გავიმეორებთ. მკითხველს შევახსენებთ, რომ **აბასკები** (და არა აფხაზები) (15) ლოკალიზირდებიან დღევანდელი გუდაუთის რაიონში და მდინარე აბასკოსამდე-ფსოუმდე რომლის იქით სანიგები (იგივე ჰენიოხები, იგივე ხალიბები) ცხოვრობენ ჯიქებამდე, გაგრა-დაგომისის მონაკვეთზე. კიდევ ერთხელ შევახსენებ მკითხველს, რომ ფლავიუს არიანე, დიდმოხელე და მეფისნაცვალი კაბადოკიისა, ვალდებული არაა კარგი ისტორიკოსი ან გეოგრაფი იყოს, თუმცა მას მიღებული აქვს სამეფო კარიდან კონკრეტული

დავალება: აღწეროს შავი ზღვის სანაპიროზე არსებული მცირე პოლიტიკ-ური წარმონაქნმები და ამ დავალებას სკრუპულოზულად ასრულებს... ამ-დენად შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს პოლიტიკურ გეოგრაფიაში აბსო-ლუტურად კომპეტენტური ჩანს, ხოლო მისი ცნობები-ასევე აბსოლუტურ-ად საიმედო....და კიდევ, ჩვენი დღევანდელი ოპონენტი ზუსტად ეს აბა-სკია და არა აფხაზი ან აფსილი. პირველი მათგანი ლაზია, მეორე კოლხ-ყოფილი... ტერმინი აფსუა არასწორია და უკუსაგდები...როგორც ჩანს, აბა-სკები ოქტავიანე ცეზარის მიერ მოიზრებოდა პიტიუნტის (ბიჭვინთის) რომაული გარნიზონის საყრდენ კოლონიად, თუმცა ჯერ კიდევ პლინ-იუს უფროსის პერიოდიდან რომაული გარნიზონი აქ ანულირებულია. არ აღწერს მათ არსებობას არც ფლავიუს არრიანე... შესაბამისად აბასკები, ისევე როგორც აფსილები რომაული ციტადელის, სებასტოპოლისის- დიო-სკურიადას საყრდენ კოლონიებადღ ა რჩებიან. ცხადია, აფსილთა ძველი ბინადეობის ადგილი ადრიატიკაზე საკმაოდ ზუსტად მიუთითებს ბასკო-ნელების, გასკონელების და აბასკების ილირიელი ხალხებისადმი კუთ-ვნილებას, მაგრამ... ცხადზე ცხადია, რომ ანტიკური ისტორიის მარები-მარდები, მარგები და ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ მადრები ერთი და იგივე ხალხია, რომელსაც თანამედროვე ისტორია ძველ აქადებს უწოდ-ებს. ისინი ტირსენ ატისის ძის პარალელური ლაშქრობის მონაწილენი ჩანან, ძველ აქადელთა ნაწილი, რომელიც ამ უკანასკნელს გაყვა სარჩო-საბადებელის საძიებლად, ქრისტემდე XIII საუკუნეს (16)…სტრაბონის მი-ხედვით ფაქტიურად მტკიცდება მარგების დასწრებულობა ილირიკშიც. ...მაგრამ...მაგრამ არ არსებობს პირდაპირი სამტკიცი იმისა, რომ ბასკები, გასკები და აბასკები ზუსტად ამ ხალხის, მადრების- მარების ჩამომავა-ლია და რომლის პედალირებას მოწინააღმდეგე მხარე აუცილებლად შე-ეცდება... არ უნდა იყოს საკმარისი აბასკთა წარმოშობითი თავადების, მარ- შანიას (17) დასახელება, არც აბასკთა აზნაურები, მარ-ღანიები და რი-გითი აბასკების ტიტულატურული გვარები: მარ-შავა, მარ-ხულია და ქი-შ-მარია... საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის დახმარება სრულიად მოულოდნელი მხრიდან მოდის:

მესირ შარლ დე ბაატც (დე კასტიელმორ, დე ფეზენზაკი)-

დარწმუნებული ვარ, პლანეტის მოსახლეობის აბსოლუტური უმრა-ვლესობისათვის ეს მრავალკომპონენტიანი სახელი არაფრის მთქმელია... მაგრამ საკმარისია მივუმატოთ კიდევ ერთი ტიტული, როგორც ირკვევა ფსევდონიმი-თიკუნი რომ ასევე პლანეტის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისათვის ის ცნობადი სახე გახდეს- <u>გრაფი დ’არტანიანი...</u>

მრავალმა ვინმემ არ იცის, რომ დიუმას ამ უკვდავ ნაწარმოებს ასევე პრო-ტოტიპი ნაწარმოები აქვს, რომლის ავტორი გასიენ დე კურტილ დე სან-

დრია, ხოლო ნაწარმოებს **„მემუარები მესირ დ'-არტანიანისა"** ჰქვია ...მკითხველს ვაუწყებ, რომ ფრანგულ აღმატებულ (თავადურ და აზნაურულ) გვარებში ჩვეულებრივ სამი სახის ნაწილაკი იხმარება: დე; დიუ; დ'. ამ შემთხვევაშიც ზუსტად ამ სქემასთან გვაქვს საქმე: **დ' არტანიანი....**

"მედგარი ომში არტაიანი, მთავარი მხედართმთავარი შენი ქვეყნისა, ის რომელიც ცდილობს დაიცვას სიტყვა, იძულებული იყო მიეტოვებინა შვილები თავისი დისა, რომელმაც ოდესღაც პირობა მისცა ად- ჯატაშარუს ჩაექრო სამარი ცეცხლი ბრძოლისა სიტას შვილისა-მიზანმი მართული, უძლეველი შაკრას ტოლი შალია დგას და გამზადებულია შენთვის იომოს" (მახაბხარატა; კარნა პარვა. კარი-4)

ეს სანჯაია, მეფის საბრძოლო ეტლის მეეტლე, ნათელმხილველი (18) უყვება ბრმა მეფეს, დხიტარაშტრას ომის მსვლელობას. მისი სიტყვებით მადრების მეფე შალია-უძლეველი მეომარი და მთავარი მხედართმთავარი მზადაა კაურავების მხარეს საბრძოლველად...აქ საკვანძო სიტყვა **არტაიანია**- რომელიც მადრების ტომის უძლეველ მეომარს, მთავარ მხედართმთავარს ჰქვია თურმე. აი თურმე რა თიკუნს- ფსევდონიმს-ზედწოდებას იღებს მესირ შარლ -დე ბაატცი, ისტორიისათვის დ' არტანიანად ცნობილი...ცხადია გასკონელი დ'არტანიანი მადრთა ტომიდანა. რაც შეეხება ბასკს, მათ შორის სხვაობა არ არსებობს- ფრანგ მადრს გასკონელს ეძახიან, ესპანელ მადრს-ბასკს, ხოლო აფხაზეთში მცხოვრებ მადრს-**აბასკს**...

... ბასკონია-გასკონია-აბასკია-ნავარა...

ფაქტიურად სრულყოფილად დამტკიცებულია, რომ ბასკები-ესპანეთში, გასკონელები-საფრანგეთში და აბასკები კავკასიაში ერთი და იმავე მადრული ტომის წარმომადგენლები არიან, ყოფილი აქადები, ამოყვანილი კოლონიები ოქტავიანე ცეზარის მიერ, წელთააღრიცხვების გასაყარზე, არაუგვიანეს 14 წლისა ქრისტესით... არარეალურია რომ ადრიატიკიდან ამოყვანილ მადრებს-მარგებს-მარდებს-მარებს ადრიატიკაზე სამართალმემკვიდრე არ დარჩენოდათ. ეს ტომი-ყოფილი ლიბურნები დღეს ხორვატიის შემადგენლობაშია საძიებელი და როგორც ზემოთ ითქვა, ხორვატიის გერბის ერთ-ერთ ლომშია საძიებელი...

...და საინტერესო ნიუანსი-იმავე გასკონიას და ბასკონიას (აბასკია ტერიტორიულად შორს, კავკასიაშია) გვერდით მდებარეობს ნავარა, ესპანეთის პროვინცია (სადაც გარკვეულ დივიდენდებს ინარჩუნებდა გვიანი შუა საუკუნების საფრანგეთი) რომელიც ასევე ბასკურენოვანია...გასკონია-ეს საფრანგეთია, ბასკონია-ესპანეთი, თუმცა ესაზღვრებიან ერთმანეთს და ფაქტიურად ერთსა და იმავე სახელს ატარებენ, მცირე ინტერპრეტაციით ...

...და რატომ კარდინალურად განსხვავებული სახელი მესამე პოლიტიკური

ეთეულის, რომელიც პირველი ორის გვერდზეა და ასევე ბასკურ ენაზე საუბრობს?...მკითხველს შევახსენებ, რომ სიტყვა ნავარს ახსნა ეძებნება აღმოსავლეთ ქართულ ენაზე: ონავარი-ბოროტად ანცი, ასე შეიძლება ითარგმნოს...მეგრულად ეს მოგავალე და გავალია, მაგრამ ჩემი გარე ბიძა, რომელსაც დედა აბასკი ყავდა, ამ სიტყვას „ნავარი-თ“ აღნიშნავდა, ალბათ აბასკურად...(და თუ მეგრულში რომელიმე კუთხეში იხმარება კიდეც ეს სიტყვა, სავარაუდოდ აბასკურიდან არის შემოსული)

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ოქტავიანე ცეზარს ეს კოლონიები წელთაღრიცხვების გასაყარზე აქვს ამოყვანილი ადრიატიკიდან, თუმცა ისინი ადრიატიკაზე (და შესაძლოა სხვაგანაც) მცირე აზიიდან ხვდებიან, ქრისტემდე 1262-61 წლებში)...და ძალაუნებურად შემოგეჭრება აზრი, რომ ბასკური პროვინციების სახელებში ესოდენ კარდინალური სხვაობა ხომ არ ნიშნავს ოქტავიანე ცეზარის მიერ მარული კოლონიების სხვადასხვა ადგილიდან ამოყვანას? ხომ არ არსებობს რომის იმპერიის მიერ დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე (არა მცირე აზიაში) კიდევ ერთი მარული ბუდობი?...ყურადღებას იპყრობს ერთი იტალიური პროვინცია-პირველ რიგში იმიტომ, რომ მისი სახელი ლიგურიაა (შუა საუკუნეების გენუა) და რომლის სახელი ლიგურია-საკმაოდ ახლოს დგას ილირიის ლიბურნიასთან...მეცნიერება ჯერჯეობით ვერ შეთნხმებულან ამ ხალხის წარმოშობაზე, განსახლების არეალზე და თვით ენაზეც კი...დახლართული სიტუაციაა, ფაქტიურად გორდიას კვანძია... აღმოსავლური ანდაზაა, ქვის გაპობა თუ მოინდომო, ბზარს თვითონვე გაჩვენებსო! ზემოხსენებული წიგნის ფაბულა იმ კონცეფციაზეა (ვფიქრობ ჭეშმარიტზეც) დაფუძნებული, რომ დედამიწის მოსახლეობის ეს პოპულაცია ინდოჩინეთში აღმოცენდა... (ზოგადად, სტრიქონებს შორის მივუთითე კიდეც ამ მოსახლეობის ამორფულობაზე, არაერთგვაროვნებაზე და რასათა შორის განსხვავების მიზეზებზეც)...მაგრამ როდესაც განდხარვ-აფსართა რასა გადაწყვეტს მიგრაციას დედამიწის სხვა ადგილებისაკენ (სადაც კატალიზატორის როლს ფინიკიელები -პირველზღვაოსნები ასრულებენ) ამ ექსპედიციაში მხოლოდ მათი რასის წევრები მონაწილეობენ...შესაბამისად, მათ პირველ მიგრაციულ ექსპედიციაში ინდოეთიდან სპარსეთის ყურეში მადრებიც მონაწილეობენ. ის რომ სპარსეთის ყურიდან მადრები- მცირე აზიაში, შუამდინარეთისაკენ გადაიწევენ , უკვე საკუთრივ მადრების არჩევანი ჩანს, მალევე აქადის და შუმერის იმპერიის შექმნით ქრისტემდე XXVI საუკუნეს. და ერთი საუკუნის შემდეგ, ქრისტემდე XXV ტეარკონ ეთიოპის (თარხონ ქუშის) ექსპედიციაში მონაწილეობენ, პირენეის ნახევარკუნძულს ასახლებენ. აქსიომაა ამ ექსპედიციაში მარების მონაწილეობა, თუმცა მცირე რაოდენობით: მათ

საკუთარი იმპერია აქვთ შუამდინარეთში, აქადის და შუმერის იმპერია... ადრიატიკულ ექსპედიციაზე ქრისტემდე 1261 წელს უკვე ვსაუბრობდით, ლიბურნები-ეს მადრებია-მარები- მარდები -მარგები...აქედან ამოუყვანილი კოლონია წელთააღრიცხვების გასაყარზე დასავლეთის იბერიაში გასკი და ბასკი, აღმოსავლეთის (მეორე) იბერიაში -აბასკი... ადგილზე დარჩენილი-ლიბურნები, დღევანდელ ხორვატიაში გერბზე გამოსახული სამი ლომიდ-ან ერთ-ერთი... და ლიგურია, უკვე ტირსენ ატისის ძის ექსპედიციაში...

მდინარე მაკრას (გვიანდელი სახელი მაგრას-ასახელებს მარკ ანეი ლუკა-ნი I საუკუნეს ლიგურიასა და ეტრურიას შორის, აგრეთვე სტრაბონიც)… „ლიგურები, მყარად ბინადარნი ალპების ქვედა ქედთან, მდინარეებს ვა-რსა და მაგრას შორის, დაფარული ტყიანი საფარით, ზოგჯერ მათთვის უფრო ძნელი იყო მიგნება, ვიდრე დამარცხება...ეს იყო უფრო ყაჩაღური თავდასხმები, ვიდრე ომი...საბოლოოდ ფულვიიმ (ქრიტემდე 237 წ) ცეცხ-ლით გაანადგურა მათი ბუნაგი, ბაბიიმ (ქრისტემდე 181 წ) ჩამოიყვანა ზეგანზე , ხოლო პოსტუმიიმ (ქრისტემდე 180 წ) იმდენად განაირაღა, რომ ძლივს დარჩათ რკინა მიწის დასამუშავებლად. (ლუციი ანეი ფლორი; XIX ლიგურიული ომი.)

შენიშვნა: ვარი-მდინარე ჩრდილო იტალიაში.

<u>მარრა</u>-მდინარე ლიგურიასა და ეტრურიის საზღვარზე.

გამხდარი, მაგრამ ამავე დროს მხეცური ღონის მამაკაცები, ხოლო ქალები - მამაკაცური ღონის პატრონები, მათთან შეტაკებისას შანსი არა აქვთ ზორზოხა გალებს (გალების ქვეშ ჩვეულებრივ გერმანიკული ტომი მოიაზრება)-ასე ახასიათებენ მათ ანტიკური ავტორები...მთიელები, ამავე დროს მეკობრე მეზღვაურები-ასე ახასიათებს მათ იორდანი, VI საუკუნეს ქრისტესით...მარები ჩანან დანამდვილებით. (18*) როგორც ჩანს ქრისტემდე 1261 წელს გამართულ არც ერთ ექსპედიციას ისინი არ დაკლებიან... აფრ-იკულ და ადრიატიკულ ესქპედიციებზე უკვე ვისაუბრეთ. ეს ტირსენ ატ-ისის ძის მიერ აპენინის ნახევარკუნძულზე ჩატერებული ექსპედიციის წევრები ჩანან. არ გაერევიან ეტრუსკებში და მათ მიერ შქმნილ ეტრუს-კული გაერთიანების მონაწილნი არ ჩანან, რომელიც ამ უკანასკნელებმა ჩამოაყალიბეს 12 ქალაქის შემადგენლობით. აქედანვე ლიგურიიდან უჩ-ანს ამოყვანილი ერთი კოლონია ოქტავიანე ცეზარს. ენა რასაკვირველია თავიანთი შენარჩუნებული უჩანთ, მაგრამ თითქმის XIII საუკუნოვანი გაუცხოების გამო თვითტომელებისაგან, საკუთარ პოლიტუკურ წარმო-ნაქმნს ქმნიან და სახელსაც თავად ირჩევენ: ონავარი ეტრუსკულ (ქარ-თველურ) და მარულ ენაზე ერთი და იმავე სიტყვა „ნავარი“ ჩანს...(19)

...და ერთი საინტერესო სიუჟეტი გენუელზე...

„მე ვიყავი ვატში, ვინმე აცოლინე სკვარჩეფაგოსთან, გენუელთან ერთად, წამოსული კონსტანტინოპოლიდან თურქული ფალანდრიით, რომ ჩასულიყო ტანაში... სახლის ზღურბლთან იდგა ვიღაც ახალგაზრდა ქალი. გენუელმა ჰკითხა მას : Surina patron in cocon? რაც ნიშნავს: ქალბატო, პატრონი სახლშია? -გულისხმობდა მის ქმარს. მან უპასუხა: Arcili misi, რაც ნიშნავს, მალე მოვაო...მოვიდა მისი ქმარი, გენუელმა დასტაცა საფულეს ხელი და უთხრა: Patroni, tetari si cha? რაც ნიშნავს: პატრონი (უფროსო) გაქვს თუ არა ფული...ამ ქვეყანაში მოვაჭრე გენუელებმა წესად გაიხადეს უთხრან: შენ მეგრელი ხარ, როცა უნდათ ვინმეს უთხრან: შენ სულელი ხარ“ (იოსაფატ ბარბარო;მოგზაურონა ტანაში &43)

ამ სიუჟეტს უკვე მეორედ ვახმოვანებ, პირველად იბერების თემასთან დაკავშირებით. მკითხველს შევახსენებ, რომ აქ ნახსენები ვატი ბათუმი არაა, ის ქერჩის სრუტეში მდებარე კუნძულზე აშენებული ციხე-სიმაგრე ანაპა-2-ია, კუნძულზევე მდებარე სავაჭრო ემპორიით (იხ. იბერებთან) ჩვენთვის ამჯერად საინტერესო გენუელის ადგილობრივი მეგრელებთან სააუბრო ენაა...იოსაფატ ბარბაროს იტალიურად ნათარგმნი მეგრული კრიტიკას ვერ უძლებს... თუმცა ბარბარომ ლაზური უნდა იცოდეს...

1. Surina patron in gogon? ეს - სორენა მენძელი თაქიანობაშ ცირა? სადაა მასპინძელი (პატრონი) აქაურობის გოგონა?

2. Ar cili misi -მა ოსურ ვორექ...ვარ ცოლი მისი..

3.Patroni, tetari si cha?-მენძელი, თეთრი (ფარა) სი ჩა? მასპინძელო, თეთრი შენ საჭმლისთვის (გაქ)?

აი ეს არის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ამ დიალოგისა...მაინც არსებობს განსხვავება ლაზურსა და იბერიულს შორის, ეს უკანასკნელი ქართულისაკენ იხრება კიდეც ... ძნელი სათქმელია, გენუელს შენარჩუნებული აქვს თუ არა პირველი-ბასკური-მარული ენა თუ ადგილობრივებთან ვაჭრობის გამო ისწავლა ადგილობრივთა ენა... საკუთრივ გენუაში უკვე იტალიური-ლათინურია გაბატონებული და ბასკური ენა სრულიად მივიწყებულია...

...და უაღრესად საინტერესო პასაჟი...

რამდენად ცნობილია, დასავლეთ საქართველოს პირველი უარქაულესი სახელწოდება კოლხეთია, მაგრამ V საუკუნეს ის უკვე ლაზიკად იწოდება. ანონიმი ავტორი შავი ზღვის სანაპიროს აღწერისას, აღნიშნავს კიდეც ამ ფაქტს, პირდაპირ ასახელებს ლაზიკად სახელდებულ პოლიტიკურ წარმონაქმნს, ადრე კოლხეთად ცნობილს. ასევე უკვე ლაზიკად ახსენებს ამავე საუკუნის ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ამ პოლიტი-

კურ წარმონაქმნს, თუმცა მის კოლხეთყოფილებაზე კრინტს არა ძრავს. სინამდვილეში მხოლოდ ერთხელ ახსენებს პლინიუს უფროსი ლაზებს პირველ საუკუნეს, თუმცა ზიხები მინიმუმ ორი საუკუნით ადრე ჩანან დაფიქსირებული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე ... როგორც ჩანს, ლაზების მასიური შემოსვლა დასავლეთ საქართველოში არა უადრეს II საუკუნის პროცესი ჩანს. სულ რაღაც ორი-სამი საუკუნე დასჭირდა კოლხეთის ლაზიკად გადარქმევის პროცესს ...და რა ისტორიულმა მოვლენამ განაპირობა ლაზიკის სამეგრელოდ (სა-მარგ-ალოდ) გადაქცევის პროცესი და როდის?

„იმ წელს აბიმელექი ელჩებს გზავნის იუსტინიანეთან ზავის დასადებად; ზავი შემდეგი პირობების საფუძველზე დაიდვა: უნდა შეეჩერებინა მარდაიტების რაზმი, ლიბანიდან შემოჭრილი და მათი იერიშები შეეწყვიტა; აბიმელექს უნდა ეძლია რომაელებისათვის ყოველთვიურად ათასი ნომიზმა, ცხენი და მონა; საერთო უნდა ყოფილიყო და თანაბრად უნდა გაეყოთ ხარკი, აკრეფილი კვიპროსზე, არმენიაში და იბერიაში. მეფემაც გააგზავნა აბიმელექთან პავლე მაგისტრიანე საზავო პირობების დასამტკიცებლად და მოხდა წერილობითი დამტკიცება მოწმეების თანდასწრებით. მაგისტრიანე პატივით იქნა მიღებული აბიმელექის მიერ და დაბრუნდა უკან. მეფემ გააგზავნა ჯარი და შეიერთა თორმეტი ათასი მარდაიტი და ამით რომაელთა ძალა დაასუსტა: მთელი ქლაქები მოფსეუსტიდან დაწყებული ვიდრე მეოთხე არმენიამდე ხომ არაბთაგან იყო მაღლობებზე დასახლებული და ისინი დაუძლურებულნი და გაუკაცურებულნი იქნენ იქ გაგზავნილი მარდაიტთა თვდასხმების წყალობით. და რომი საშინელ უბედურებას განიცდის არაბთაგან იმ დღიდან დაწყებული დღემდე“ (გეორგიკა, ტომი IV; წიგნი I თეოფანე ჟამთააღმწერელი, ხარკი სომხეთიდან და იბერიიდან, გვ104)

1. დავიწყოთ იქიდან, რომ მარდაიტები- ეს იგივე მარდებია. ის მარდები, რომელნიც ჰეროდოტეს სიტყვებით საომარ მწყობრში კოლხებთან წყვილდებიან.

2. არც შორეული ლიბანიდან შემოსულები უნდა იყვნენ- ისინი ევფრატის შუა დინებაში ფიქსირდებიან (20)

3. თეოფანეს სიტყვებით, მარდაიტები იქ გაგზავნილები იყვნენ არაბთა დასაწიოკებლად და ამ გამგზავნის ვინაობის გაგებაც არ ჩანს რთული-ეს რომის სახელმწიფოა.

4. ის, რომ მეფემ შეიერთა თორმეტი ათასი მარდაიტი, და ამით რომის იმპერია დააზარალა, რამეთუ ისინი ძველებურად ვერ აზიანებენ დიდ ტერიტორიაზე განთესილ არაბებს, სიმართლე ჩანს: მეფე ვერ მიუსევს მა-

რდაიტებს არაბებს, რომელთანაც ოფიციალური ზავი აქვს გაფორმებული და ვერც საკუთარ რეგულარული არმიის ნაწილებს.

5. თეოფანე ჟამთააღმწერელის აღწერილი ამბავი ხდება 678-686 წლები...

…და სულ რაღას 52 წლის შემდეგ მარგვეთელთა ლაშქარი ფერსათის მთასთან, მდინარე ხანისწყალზე, ძმების, დავით და კონსტანტინე მხეიძეების სარდლობით და სასტიკი ხმალთაკვეთებით კიდევ უფრო სასტიკად ამარცხებენ იმერეთში შემოჭრილ არაბების მოწინავე ლაშქარს... განრისხებულმა მურვან ყრუმ დიდი არაბული ლაშქრის კონცენტრირებით დაამარცხა მარგველები და მათი მეთაურები… შეიწირა კიდეც უკან დაუხევარი ძმები მხეიძეები ...(21) მხეიძეთა გვარი სამეგრელეშოც ფიქსირდებოდა (22) ...როგორც ჩანს, მეფე იუსტინიანემ ზემო იმერეთსა და ჩრდილო ლაზიკაში ჩაასახლა არაბთა რისხვად შერაცხული თორმეტი ათასი მარდაიტი მეომარის , 60 ათასამდე მარის რაღაც ნაწილი მაინც, კოლხთა სახლიკაცები, მათივე სისხლი და ხორცი... ზუსტად ამ პროცესის შედეგი ჩანს ჩრდილო იმერეთის მარგვეთ-ად სახელდება, ხოლო ლაზიკის სა-მარგ-ალოდ გადანათვლაც... VIII-IX საუკუნეს ლაზიკას უკვე ეგრისი, სა-მარგ-ალო ეწოდება... (23)

…და რა ენაზე, ლაპარაკობს აფხაზეთი სხვდასხვა დროს?

ჩემეული კვლევისას გამოირკვა, რომ მცირე აზიელი აქდების სამართალმემკვიდრე დღეს ბასკური ენაა. არ ვიცი, გასული ათასწლეულების განმავლობაში რა დონეზე შეინარჩუნა მსგავსება...ერთიცაა, ლურსმნული დამწერლობა ენას ამახინჯებს, ამარტივებს და ფაქტიურად სტენოგრამის დონეზე დაყავს-აი ეს უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერმა ლინგვისტმა, თუ ამ თემაზე მუშაობას გადაწყვეტს...დავაკვალიანე კიდეც მავანი ენათმეცნიერი, რომელიც მსგავს თემებზე მუშაობს, თუმცა არ ვიცი, რამდენად ავტორიტეტული ვარ მის თვალში და ისარგებლებს ჩემი რჩევით...ერთი რაღაცა ნამდვილად და დაზუსტებით ვიცი, დროის დიდი მონაკვეთის ფუჭად ხარჯვის მერე იქვე მივა, სადაც მივუთითე...

ერთი რამის მტკიცება დაბეჯითებით შეიძლება-მიუხედავად თითქმის XIII საუკუნის გასვლისა მცირე აზიიდან მიგრირების შემდეგ, წელთაღრიცხვების გასაყარზე ლიბურნები-ადრიატიკაზე და ლიგურები ლიგურიის ზღვის სანაპიროზე, სრულყოფილად ფლობენ მშობლიურ აქადურს- ბასკურს. ლინგვა-ფრანკა ენა ლიგურებისათვის სავარაუდოდ უკვე ლათინურია, ლიბურნებისათვის მათი მეორე ენა-კოლხურ-ჭანურ-იბერიული.(24)

ისტორიული და ლინგვისტიკური საზოგადოება შეთანხმებულია, რომ თანამედროვე იტალიური ენის საბოლოო ფორმირება მოხდა ტოსკანური-ეტრუსკული და ლათინური ენების ბაზაზე XIII-XIV საუკუნეს. (ამჯ-

ერად ამ თემაზე მსჯელობისაგან თავს შევიკავებთ, თუმცა მოგვიწევს კი, ამავე ტომის ფრგლებში) შესაბამისად, ის ენა, რომელზედაც აცოლინე სკვარჩეფაგო ესაუბრება მეგრელს - სინამდვილეში იბერიელს, წარმოშობ-ით კუნძულ ხიოსიდან, სკვარჩეფაგოს-მარის N2 მშობლიურ ენას წარმოა-დგენს (პირველი ბასკურია)...ასეთივე N2 ენაა აბასკისათვის კოლხურ-ჭან-ურ-იბერიულ-მარულის კონგლომერატი, ფაქტიურად ერთი, დედების ენა. აბასკი N1 -ბასკურ ენას ვერ იყენებს მეზობლებთან ურთიერთობისათვის, მაგრამ არც კარგავს... და აი VII საუკუნეს საქართველოში ორ მეზობელ რეგიონში ჩნდება, მისივე- ბასკურ ენაზე მოლაპარაკე თვისტომები...უნდა ვაღიაროთ, VIII-IX საუკუნეში დასავლეთ საქართველოს, უკვე სამეგრელ-ოდ და იმერეთად წოდებულის აფხაზეთთან გაერთიანების იდეა და ძალისხმევაც მარებისაგაგან-აბასკებისაგან მოდის...(25)

...მაგრამ დასავლეთ საქართველოს გაერთიანების და მისი აფხაზე-თად სახელდების შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოსკენ გადატანილი იდ-ეა უკვე არაგვის ხეობის (ყოფილი სანარია) და კახეთის (ყოფილი ალ-ბანეთი) გაერთიანებისა, უკვე ლაზ- ჭანების პრიმატით უნდა ხორციელ-დებოდეს-ეს მათი თანატომელები, ჭანები და ალბანები ცხოვრობენ აქ-ეთ და არა აბასკები...და იოანე მარუშის ძე, ფეოდალი დასავლეთ საქართ-ველოდან...რასაკვირველია მარი-აბასკი...ეს ბრძენი პიროვნება ხვდება, რომ ერთიანი სამეფოს შექმნის იდეა უკვე დამპყრობლურ ომებში გადაიზარ-და ქართველურ ტომებს შორის, და უფრო ცენტრიდანულ პროცესებს წა-რმოშობს, ვიდრე ერთიანობას... და მოინახა ბაგრატ III, რგოლი რომელიც აღმოსავლეთსაც აერთიანებს და დასავლეთსაც. (თემა I ტომში იყო განხი-ლული და აღარ განვმეორდებით)... მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენ-ებთ, რომ ერთიანი საქართველოს შექმნისათვის გაწეული უდიდესი და-მსახურებისათვის, მარუშიანთა ფეოდალურმა გვარმა რაჭის საერისთავო მიიღო...

...და თამარის აღსაყდრება...

ამ თემაზე უკვე მეორედ ვწერ, პირველად სვანებსა და მოხევეებთან მიმ-ართებაში...ამჯერად უკვე დასავლეთ საქართველოს დიდებულებისადმი მიმართებაში:

„ვინათგან ლიხთიმერითგან იყო წესი დადგომად თავსა სამეფოსა აწუეს: მონაზონი ღირსი და მადლშემოსილი, მთავარ-ეპისკოპოზი ქუთათელი ანტონე საღირის ძე მიღებად გვირგვინისა და ცალის კერძისა: კახაბერ ერისთავი რაჭისა და თაკვეთისა. და სრულყვეს მახეველთა, სვანთა და

დიდებულთა ვარდანის ძეთა, საღირის ძეთა და ამანელის ძეთა მოღეგბა და დადება ხრმლისა“ (ქართლის ცხოვრება, მაჩაბელისეული ვარიანტი)

და როგორი განმარტება ეძებნება აქ მოხსენიებულ პირებს?

1.ვარდანის ძე- რაჭის და თაკვერის ერისთავითა სახლი

2.საღირის ძე- დასავლეთ საქართველოს (უცნობი) ერისთავთა სახლი.

3.ამანელის ძე- არგვეთის ერისთავთა სახლი.

...და სინამდვილეში?

1.ვარდანის ძე- რაჭისა და თაკვერის (ლეჩხუმის) ერისთავი, წარმოშობით მარი, იოანე მარუშისძის შთამომავალი-აბასკი.

2. საღირის ძე, ქუთათელი მთავარეპისკოპოს ანტონე, მარგვეთის ერისთავთა სახლი, მარდაიტი-მხეიძეთა ფეოდალური გვარიდან.

3... და ერისთავნი ესენი: ბარამ ვარდანისძე სუანთა; კახაბერ კახაბერის ძე რაჭისა; დაღათო შერვაშისძე აფხაზთა; ამუნელის ძე ცხომისა; (ქართლის ცხოვრება, ტომი IV თამარ მეფე, გვ -172, 1973 წელი) და კიდევ: **მერმე აფხაზთა მეფის ლევანისგან განიყო, და ცხომის ერისთავი სხვა, ბედიისა სხვა, აფხაზთა სხუა, თამარ მეფემდის ესრეთ. შემდგომად რუსუდანისა-ოდიშისა დადიანი, და ბედიელი მის აქთ, არღარა ცხომისა. (იქვე, აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა. გვ-780)**

... შესაბამისად, ცხომის ერისთავის საერისთავოში უკვე შემავალი ჩანს ანაკოფიაც (დღევანდელი გუდაუთა) და ამანელისძეთა საერისთავო სახლის კუთვნილება ჩანს, მარებისა-აბასკებისა; ბედიის საერისთავოეს სამეგრელოა; აფხაზეთისა-გაგრის დასავლეთით, ნიკოფსიამდე...

...და თამარის აღსაყდებაზე მისი სამეფო რეგალიებით აღჭურვა არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ერისთავების პრეროგატივა ყოფილა (არსად ჩანს სამეგრელოს და გურიის სუზერენები) არამედ მარების- აბასკების და მარგვეთელი მარდაიტების უფლება-ვალდებულება...და უთუოდ ერთიანი საქართველოს მშენებლობაში ფასდაუდებელი წვლილისათვის...

...და აფხაზეთი...

...მთავარი ტომი აფხაზებში ჩაჩია, მოლაპარაკე იმავე მეგრულ ენაზე, რომელზეც მოპირდაპირე მხარეს ფასისისა (კოდორისა) **ლაპარაკობენ. ისინი საკმაოდ მამაცები არიან და რაოდენობა 10000 კაცია...შემდეგი სასაზღვრო ტომი არლანისა, რომელთა რაოდენობა 10000 კაცია...**

ჩაჩის ქვეშ მთავარ შერვაშიძეთა გვარის მეგრული ვარიანტი ჩაჩიბაია იგულისხმება, რომელთა ხელქვეითებსაც მეგრულად მოლაპარაკე ჩაჩები-აფსილები წარმოადგენენ... აბა ვის ენაზე უნდა ისაუბროს აფსილმა-ან-

ტიკურ ლიტერატურაში აფსირტიდებად წოდებულებმა, სინამდვილეში იმ კოლხი მდევარის შთამომავალმა, რომელიც მეფე აიეტის ბრძანებით გაეკიდა არგონავტებს და რომლებიც მიზნის ვერ შესრულების შემდეგ სამშობლოში-კოლხეთში არ დაბრუნებულან?...და ის, რომ არლანების ტომის ხსენებისას ევლია ჩელების ტომის სალაპარაკო ენაზე არაფერს ამბობს, პირდაპირი სამტკიცია იმისა, რომ ეს ტომიც იმავე მეგრულ ენაზე ლაპარაკობს...და ვის ენაზე უნდა ისაუბროს აბასკმა, რომლის მეორე სახელი მარია? იგივე მარდი, რომელთა დიდი რაოდენობით შემოსვლამ VII საუკუნეში კოლხეთყოფილი ლაზიკას სახელი სა-მარგ-ალოდ, ხოლო (უკვე) ლაზური მეგრულით გადანათლა? თუმცა აქვს საკუთარი (ამ ენაზე აქ მხოლოდ ის საუბრობს) ენაც და უფრთხილდება მას...

...ორდღიანი გადასვლის შემდეგ ჩვენ მივაღწიეთ ჩანდების საზღვარს. ისინი ნამდვილი აფხაზები (შესაბამისად ჭანები) **არიან- რიცხვით 1500 მამაცი ვაჟკაცი და იწოდებიან მთის ჩანდებად...შემდეგ ორი-სამი გადასასვლელის მერე, მოდის საცხოვრისი დიდი ჩანდებისა. მათ ყავთ 15000 ვაჟკაცი...**

აი ეს უკანასკნელი ხალხი კი, ევლია ჩელებისაგან დიდ ჩანდებად-ჭანებად შერაცხულნი კი ნამდვილი ლაზები გახლავან, ხალიბები და მათი სალაპარაკო ენა ლაზურია, როგორც ნამდვილ აფხაზს (ევლია ჩელების სიტყვებით) შეეფერება...

...შემდეგი ტომი კეჩი-ლარებია, მათი მეზობლები არტ-ლარები...

ჩელები აქაც და ზემოთაც ტერმინ ლარს იყენებს, რაც ამა თუ იმ ტომის მიერ დაკავებული რეგიონი უნდა აღნიშნავდეს. ევლია ჩელები ამ ტომების ენაზეც არაფერს ამბობს- ავტომარტურად იგულისმება რომ მათი ენაც აფხაზურია- ლაზური...

„ჩრდილოეთით, მთებს შორის მდებარეობს სადაში...მცხოვრებლები კარგდ ლაპარაკობენ როგორც აფხაზურ (ლაზურ) ასევე ჩერქეზულ (ყაბარდოულ) ენაზე...სამი დღის სავალის მერე კამიში (უბიხები)

ჩელების მიერ ნახსენებ სადაშებზე წიგნის I ტომში უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ- ისინი მტკვარისა და არაქსის შესაყართან მცხოვრები სანარეგია-შესაბამისად ჭანები...რასაკვირველია მათი ენაც ლაზურია, რამეთუ ეს ჭანურიდან შეთვისებული ენაა შეთვისებული...და ჩერქეზული ენა-ეს კი უკვე მათსავე ჩრდილო მეზობელი ყაბარდოელებისაგან ჩანს შეთვისებული. რაც შეეხება უბიხებს, ისინიც ჭანები ყოფილან, თუმცა სრულიად სხვა ისტორიით...მათზე აქვე, ამავე ტომის ფარგლებში იქნება საუბარი.

...შემდეგი ტომი სუჯალარია, მათ შემდეგ დამბე...

ვფიქრობ, სუჯალარი იმავე სადაშების ნაწილია, უკვე ზღვისპირა მცხოვრებლები, დამბეს კი მკვლევარები ასევე კამიშებს- უბიხებს აკუთვნებენ...

...ორი დღის შემდეგ მივედით ბოზდუკებამდე (ბჟედუგებამდე) **ლაპარაკობენ როგორც აფხაზურ, ასევე ჩერქეზულ ენაზე...**

ამ ხალხის ძირითადი ენა აფხაზური (ლაზური-იბერიული) ჩანს, თუმცა ჩელების სიტყვებით ფლობენ ჩერქეზულ (ყაბარდოულ) ენასაც. შემდეგი უკვე სუბეშელები- ასევე მოხსენიებულია აფხაზებად (ლაზება-ჩერქეზებიდან ერთი დღის სავალზე მცხოვრები კიუტასებიც მოხსენიებულია აფაზებად (ლაზებად-კოლხებად)

შანები-კიუტასების მეზობლები, მოლაპარაკე ჩერქეზულ (ყაბარდოულ) ენაზე . (წყარო, ევლია ჩელები- წიგნი მოგზაურობათა-1875 წელი, რუსულად)

შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს სურათი არასრულყოფილი იქნება, თუ უფრო ადრინდელი წყაროები არ იქნება გამოყენებული. XV საუკუნის ვენეციელი დიპლომატის და მოგზაურის, იოსაფატ ბარბაროს მიერ აღწერილია ბატში-ანაპაში მეგრულ ოჯახში სტუმრობა. საინტერესოა, რომ ანაპა არ წარმოადგენს ჩვენთვის ცნობილ ანტიკური დროის ციხე- სიმაგრეს და დღევანდელობის ქალაქს, არამედ ციხე-სიმაგრეს ქერჩის სრუტეში, ზღვის დაბალ კუნძულზე, რომელიც ევლია ჩელების მიხედვით დაანგრია თურქმ ა სარდალმა, გადეკ ახმედ ფაშამ. დაანგრია მას შემდეგ, რაც ზღვის ორივე სანაპირო სრუტეში თურქეთის მფლობელობაში გადავიდა და შესაბამისად ციხე-სიმაგრემაც ფუნქცია დაკარგა. აქ მცხოვრები ჯიქები (როგორც გაირკვა იბერიელები) ლაპარაკობდნენ იბერიულად, ლაზურის მსგავს დიალექტზე. ბერძენი ავტორი ლაონიკე ხანკოკონდილე მათ მეგრელებად ნათლავს კიდეც, როგორც ვენეციელი იოსაფატ ბარბარო და გენუელი ვაჭარი აცოლინე სკვარჩეფაგო.....შესაბამისად, იოს ბარბაროს პერიოდიდისათვის (1400 -1539- წლამდე მინიმუმ) შავი ზღვის ჩრდილო სანაპირო სრულიად მეგრულენოვანი ჩანს.

მაგრამ 1563 წელს ამ რეგიონში სიტუაცია კარდინალურად იცვლება. საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნის წინ ყირიმიდან გადმოსახლებული ყაბარდოელები, თავიანთი სიძის, ივანე მრისხანეს დახმარებით დომინანტი ძალა ხდება ჩრდილო კავკასიის იმ რეგიონში, რომელსაც აღწერილი ზღვის სანაპიროდან მხოლოდ კავკასიის მთები აცალკევებს და ისიც არა ყველგან. ზუსტად ამ გარემოების ნაკარნახევი ჩანს ის მდგომარეობა, რომ ჩრდილოეთის მთებში მცხოვრები სადაშა გარდა საკუთარი აფხაზური (ლაზური) ენისა, 1665 წლის სიახლოვეს მშვენივრად ლაპარაკობენ ჩერქეზულ (სინამდვილეში ყაბარდოულ) ენაზე...ასევე მშვენივრად ლაპარაკობენ ორსავე ენაზე, აფხაზურ და ჩერქეზულზე ევლია ჩელებისეული ბოზდუკები (დუბროვინისეული ბჟედუგები) თუმცა აფხაზურის (ლაზურის) პრიორიტეტით. .. აფხაზური (ლაზური) ენის პრიორიტეტით გამოირჩევიან სუბეშელებიც და კიუტასებიც, თუმცა კარგად ფლობენ ჩერქეზუ-

ლსაც (ყაბარდოულს)... აი კიუტასების შემდეგი ხალხი, შანები კი უკვე მხოლოდ ჩერქეზულ (ყაბარდოულ) ენაზე მოლაპარაკე ჩანს (26)

სულ სხვა სურათის მომსწრენი ვხდებით დუბროვინთან ორიოდ საუკუნის შემდეგ ...მთელი სანაპირო უკვე ჩერქეზულ (ყაბარდოულ) სლენგზე ლაპარაკობს, თვით აბაზგებიც კი. აქ ორი ფაქტორი ჩანს გადამწყვეტი: ჩანდების ლტოლვა საკუთარი საცხოვრისიდან, რომელიც 1704 წლის ჭირის მძვინვარებით იყო გამოწვეული, ისინი ადიღეში დამკვიდრდნენ თემირგოელთა (რკინის შვილების) სახელით. მცირე ნაწილი აფხაზეთსა და სამეგრელოსაკენ ჩანან ლტოლვილი (იხ. I ტომი-კენები)

...და როგორც ჩანს, ჭირსა და მისგან ლტოლვის პროცესს ვერც მათი მეზობლები გაექცნენ: ყვაპ შერვაშიძე ნაჟანეულის (ჩანდების) და ხოირის ტომის ამოწყვეტაზე მიუთითებს...ეს უკანასკნელნი კი ალანიიდან თემრიუკ იდაროვისა და მისი სიძის, მეფე ივანე მრისხანის ძალებით გადარეკილი მშანები-შანები იყვნენ, ადგილობრივებთან, აბაზგებთან შერეული... მათი დასახლებები, რომელთა უფროსიც მარ-შანიები არიან, ყაბარდოს მიმდებარე მთისწინეთში, მდინარე ლაბასა და ყუბანის ზემო წელში ჩანს თავშეფარებული და აქვე აღნიშნავს მას მემატიანე რუსული დამპყრობლური ომისა, დუბროვინი. ცხადია, ახალ საცხოვრებელში მათ ურთიერთობა უკვე ახალ მეზობლებთან, ყაბარდოელებთან მათსავე ჩერქეზულ ენაზე უხდებათ...გარკვეული პერიოდის შემდეგ ისინი თავიანთ საცხოვრისს დაბრუნებული ჩანან, უკვე ახალ ენასთან ერთად. ამასთან, სამეგრელოსთან საბოლოოდ გაფუჭებული ურთიერთობა აბაზგებს ახალი კავშირების ძებნის აუცილებლობას კარნახობს (27)...დომინანტი ძალა ამ რეგიონში კი ყაბარდოელია, დირექტიულად აღზევებული მეფე ივანე მრისხანის მიერ... აბაზგები ყაბარდოულის შეთვისებას იწყებენ და სრულიად იგნორირებენ მოწინააღმდეგის (და საკუთარ)-მეგრელების ენას...მოკლე მომავალში დომინანტი ენა ყაბარდოული სლენგი ხდება-აქამდე ლინგვა-ფრანკა, ტომთაშორისი საურთიერთობო ენა....

...და სხვები...

...და ბაღვაშთა საგვარეულო...

ბაღვაშები დასავლეთიდან გადმოსული ფეოდალური გვარიაო, ამტკიცებს ისტორიოგრაფია... ამასთან, არ და ვერ ირკვევა, რა იგულისხმება დასავლეთში, საქართველოს რომელი ნაწილი. ხელმოსაჭიდი ცნობა ფაქტიურად არ არსებობობს, თუმცა:

„ყველაზე ჩრდილოეთით განლაგებული იყო ბარაკაი (თუ ბრაკიი) მცხოვრებნი მთეში, მდინარე გუპსის ზემო წელში და მდინარე ბელოეს (სხა-

გუში) და ხაბურის (ხოძი) შორის, მდინარე ლაბას მარცხენა შენაკადისა. ეს ტომი არ იყო მრავალრიცხოვანი, შეადგენდა სულ 1250 ადამიანს და გაყოფილი იყო ორ თავადურ გვარს შორის. ბარაკაეკებისაგან სამხრეთით მდინარე ხაგურის (ხოძის) ზემო წელში მთა აშიშბეგის ძირში ცხოვრობდა ტომი ბაგებისა, სულ ერთი აული, 600 სული მოსახლე" (დუბროვინი ნ. ფ. ომების ისტორია, რუსების მფლობელობა კავკასიაში. ტომი I წიგნი 2, გვ-2)

შენიშვნა: მთის სახლწოდება მოცემულია თავადის სახელის მიხედვით, ბაგის აულის მფლობელისა. ცხადია, დუბროვინისეული ბაგების ტომი ქართული ტრანსკრიფციის ბაღებია. აქედანვე ჩანს ბაღაფშთა გვარიც, რაც ბაღების ფშის, ფშუკოს (სოფლის) უფროსს, ბაღების გვარის უფროსს, სუზერენს ნიშნავს...ცხადია, ბაღვაშთა საგვარეულოც აქედან იღებს სათავეს, რამეთუ დასავლეთ საქართველო-აფხაზეთი ნიკოფსიამდე დღევანდელ ტუაფსემდე იყო გადჭიმული...აქედანვე ჩანს გვარის სუზერენი, ბაღვაშები გადმოსული აღმოსავლეთ საქართველოში ... ბაღვაშების გვარი დიდი ტერიტორიების მფლობელი ჩანს საქართველოში, თუმცა დომინანტი ციხესიმაგრე კლდეკარია...

...და რატომ კლდეკარი?

„კურაპალატს დაქვემდებარებული ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო: ვერიასახის ერისთავი იბერიაში, კარნატაის ერისთავი იბერიაში, ყუელის ერისთავი იბერიაში, აჭარის ერისთავი იბერიაში" (გეორგიკა, ტომი IV ნაწილი II კონსტანტინე პორფიროგენტი, გვ 291 -1952 წ)

პორფიროგენტის ეს ციტატა მოყვანილი იყო წინა ტომში შესაბამისი გაშიფრვით და აღარ გავიმეორებთ. როგორც ჩანს (და როგორც წინა ტომში გაიშიფრა) სიტყვა **კარნატაი** ქართველებს გაშიფრული აქვთ როგორც კარი და მთა, შესაბამისად კლდეკარი (თუმცა ძალიან რუსულად გამოდის) ....და ეს ტომი ვინაა?

„პადს იქით ცხოვრობენ ვენეტები და ისტრები, მცხოვრებნი ტერიტორიაზე თავად ქალაქ პოლამდე. გენეტებს ზემოთ ცხოვრობენ <u>კარნები</u> და კენომანები" (სტრაბონი, წიგნი V; I-9) კიდევ:

„რეტების და ნორიკების ოლქები გადაჭიმულია ალპების უღელტეხილამდე და მიმართულია იტალიისაკენ, ერთი ინსურბების მიწებისაკენ, მეორე <u>კარნებისაკენ.</u>" (იქვე, წიგნი VII; !-5) და კიდევ:

„ იტალიის აღწერისას მე ვახსენე, რომ ისტრები (კიუტსები, კოლხყოფილები, ავტ.) **ითვლებიან პირველ ილირიულ სანაპიროდ. მათი ქვეყანა უერთდება იტალიას და <u>კარნების</u> ოლქს, ამიტომაც ახლანდელმა მმართველებმა იტალიის საზღვარი გააგრძელეს თვით ისტრების ქალაქ პოლამდე" (იქვე, წიგნი VII;V-3)**

ზუსტად ასევე აღნიშნავს ამ ხალხს პლინიუს უფროსიც, მცირე განსხვავებით: ის ახსენებს კენომანების გვერდით მცხოვრებ კარნომანებს...

…და კარნატაი სიტყვა-სიტყვით კარნას მთას ნიშნავს, ისევე როგორც კარნუ-ქალაქი, კარნას ქალაქს...ვფიქრობ, კარნომანები ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ ერთ-ერთი უძლეველი გმირის კარნა ვაიკარტანას ჩამომავლებად თვლიან თავს... თუნდაც იმიტომ, რომ მეზობლად კენომანები უჩანთ-უეჭველად შიკხანდინის ჩამომავალნი... და როგორ ხვდებიან კარნები შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე?

„ისინი (არმენები) აფართოებდნენ თავიანთ სამფლობელოს მეზობლების ხარჯზე, ჩამოაჭრიდნენ ამ უკანასკნელებს ნაწილს, კერძოდ: მიდიელებს წაართვეს კასპიანა, ფავნიტიდა და ბასოროპედა. იბერებს-პარიადრეს მთისწინეთი, ხორზენა და გოგარენა, რომლებიც მდებარეობენ მდინარე კირის (მტკვარის) მეორე მხარეს; <u>ხალიბებს და მოსინეკებს</u> <u>კარიენტიდა</u> და ქსერქსენა, რომელიც ემეზობლება მცირე არმენიას თუ ითვლება მის ნაწილად; კატაონიელებს -აკილისენა და რაიონები ტავრის ახლოს; და ბოლოს სირიელებს ტარონტიდა“ (სტრაბონი; წიგნი XI, XIV-5)

კარნომანები, ისევე როგორც კენომანები ადრიატიკის ზღვის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში ზუსტად მცირე აზიიდან არიან გადასული... როგორც ეტყობა, კენები და კარნები მცირე აზიაშიც მეზობლები არიან... იმდენად ახლო მეზობლები, რომ სტრაბონი ვერც არჩევს მათ აქ ერთმანეთისაგან: მისი სიტყვებით კარიენტიდა კენომანების ქალაქია, თუმცა ქალაქის სახელშივე იკითხება, რომ ის კარნების, კარნას ქალაქია. კარინიკარი, ასე მოიხსენიება ის ქართულ წყაროებში; თეოდოსიუპოლი-ბიზანტიურში, არზრუმი სომხურში და ერზერუმი თურქულში...ეს ის ქალაქია, რომელშიც კონსტანტინე პორფიროგენტის ცნობით ქართველებმა არასგზით იარაღი არ შეიტანეს და ცდილობდნენ მის მომარაგებას ბერძნული ალყის დროს ... ბერძნების თხოვნაზე ალყაში დახმარებაზე, სასტიკ უარს აცხადებდნენ, და ამის მიზეზად აფხაზთა სუზერენის ვერ განაწყენებას სდებდნენ (25) კარნუ-ქალაქი კარნების ქალაქი ჩანს, ისევე როგორც კარნატაუ... გასაგები უნდა იყოს ის ამბიცია, რომელიც ამ ფეოდალს გააჩნდა... ამბიცია იმ დონემდეც კი, რომ მირონცხებულ ბაგრატიონებსაც ეკირთებოდნენ...მიგრაციის გზა-კენებთან-ხალიბებთან წილნაყარი უჩანთ... სავარაუდოა, რომ მათგანვე მოდის ქართველი ბაღაშვილების გვარიც...

... უბიხები...

ამ თემაზე წინა ტომში საკმაოდ ვისაუბრეთ. აღვნიშნავთ რომ ტომის მიკუთვნებულობას ვერ საზღვრავს ზედაპირული „ექსპერტი“ კავკასიელ ტომთა გენეზისისა, XIX საუკუნის ავტორი, გენერალი დუბროვინი. აღნიშნავს მხოლოდ, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან არც აფხაზებს და არც ჩერქეზებს, თუმცა ცხოვრების წესით უფრო ამ უკანასკნელთ ჰგავან. ფაქტიურად დამტკიცდა, რომ ეს ხალხი ჯერ კიდევ სტრაბონთან მოხსენიებული დალმატები არიან, მოყვებიან ლაშქრობაში ალექსანდრე მაკედონელს ილირიელი მოლაშქრეების სახელით და მკვიდრდებიან კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე (როგორც ჩანს პლინიუს უფროსის აბზოის მრავალსახელა ტომთაგან ერთ-ერთი) სპარსეთ- ბიზანტიის ომში ისინიც მონაწილეობენ, მათ შორის დასავლეთ საქართველოს ომის თეატრზე. მონაწილეობენ როგორც სპარსელთა დაქირავებული მეომრები, და არა მათი ხელდებულები. ბიზანტიელ ავტორთაგან ისინი ერთმანეთისაგან მცირედ დიფერენცირებული სახელით იხსენიება: დოლომიტები- დილიმნიტები... უნდა აღინიშნოს, რომ ისინი არავის ძალა-უფლებას არ ცნობენ და ზუსტად ირანის ცენტრალიზირებულ ხელისუფლებას გარიდებულნი ჩანან სანარეებთან ერთად 1502 წელს.

...და ვინ არიან ისინი? ერთადერთი ხელმოსაჭიდი საბუთი ისაა, რომ სტრაბონის მიხედვით ისინი თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მათთვის ძვირფას სახელს, დალმიის (თუ დალიის?):

„დელოსი- ბერძნული კუნძული ეგეოსის ზღვაში. კუნძულზე შემოინახა კვალი ქრისტემდე მესამე ათასწლეულის ცივლიზაციისა. ლეგენდის მიხედვით, ამ კუნძულზე შვა ლეტომ (ატლანტმა ქალმა) **ზევსისაგან ჩასახული არტემიდა და აპოლონი. აპოლონის ეპითეტი იყო დელიო, არტემიდისა დელია...კუნძულზე თავიდანვე მდებარეობდა აპოლონის ტაძარი, რამაც ბერძნებს აფიქრებინა შეექმნათ ამფიქტიონი (კავშირი) მეზობელ კუნძულებთან. VIII ს. ქრისტემდე კავშირი მოიცავდა მთელ იონიურ სამყაროს, ათენიდან ევბოამდე და მცირე აზიურ იონიამდე. ქრისტემდე VI საუკუნეს უძლიერესი საზღვაო სახელმწიფოები იბრძოდნენ კუნძულ დელოსზე გავლენის მოსაპოვებლად იმდენად რამდენადაც პირველობა კავშირში ნიშნავდა პირველობას ზღვაზე. საბოლოოდ, V საუკუნის ბოლოს ეს გავლენა მოიპოვა ათენმა. ბერძნულ სპარსული ომის შემდეგ დელოსი გახდა ე. წ. დელოსის კავშირის ცენტრი. მასში შემავალი საზღვაო სახელმწიფოები ელადისა , ვალდებულნი იყვნენ გამოეყვანათ გარკვეული რაოდენობა საომარი ხომალდებისა კავშირის წევრების დასაცავად, ან გადაეხადათ ფულადი შე-**

ნატანი ფაროსი, რომელიც ინახებოდა საკავშირო ხაზინაში, თუმცა თანხას განკარგავდნენ ათენელები. ქრისტემდე 426 წელს ათენელებმა, რომელთაც ეკუთვნოდათ პირველობა ამფიქტიონში, განახორციელეს კუნძულის სრული გაწმენდა, გაიტანეს რა კუნძულიდან ყველა სასაფლაო. გაიტანეს აგრეთვე დელოსის კავშირის ხაზინაც.

ათენელებისაგან დელოსელების გამოყოფის შემდეგ, დელოსი მოექცა სპარტელების გავლენის ქვეშ, რომელთაც მათ თვითმმართველობა შეუნარჩუნეს. კნიდოსის ომის შემდეგ ათენელები ისევ იბრუნებენ გავლენას დელოსზე, მაგრამ ასევე კარგავენ მას ფივის აღზევების პერიოდში. ათენელები ისევ იბრუნებენ გავლენას მეორე ათენური კავშირის შექმნის შემდეგ ქრისტემდე 376 წელს... ათენელებმა აკრძალეს წმინდა ადგილას სიკვდილი და დაბადებაც კი. ამისათვის ისინი ყველა ფეხმძიმე ქალს, ავადმყოფებს და ასაკოვანებს ძალის გამოყენებით ასახლებდნენ კუნძულ რენზე" (ვიკიპედია, დელოსი)

... და თუკიდიდეს ცნობები, ავტორი „პოლოპონესის ომებისა" და მასშივე მონაწილე, რომლის დროსაც მოხდა დელოსელთა გადასახლება: „ხაზინა (ფოროსი, ათენის კავშირის მონაწილეთა საერთო თანხა, ნახსენები ზემოთ) ინახებოდა დელოსში და იქაურ ტაძარში ხდებოდა მოკავშირეთა დელეგატების კრება" (თუკიდიდე, პელოპონესის ომები, წიგნი 1-96) და ეს მაშინ, როდესაც დელოსელები სრულიადაც არ წარმოადგენდნენ იონიელებს:

„ფოკეელები ცდილობდნენ ჩაერიცხათ დელოსი თავიანთ ტერიტორიებში, ხოლო დელფოელები ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა დელფოს სამისნოსი, როგორც რელიგიური ცენტრი მთელი ელადისა და შესაძლებლობა მოეხდინათ ზემოქმედება ყველა ბერძნულ ქალაქ-პოლისზე (იქვე, I-112)

ფოკეელები, იგივე იბერები-იონიელები, საბერძნეთის ისეთივე ძირძველი მოსახლეობა იყო, როგორც ეოლიელები-ჭანები, თუმცა მაინც მონათესავე ტომი იონიელებისა, რომელსაც ებარებოდა მთელი იონიური სამყაროს (29) მიერ შეგროვილი თავდასაცავი თანხა-ფოროსი. ნაწარმოების მიხედვით, დელოსი მართლაც ეოლიელები ჩანან და მეტნაკლებად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი...და დელოსელებიც თავიანთი ნებით არ ჩანან წასული კუნძულიდან:

„ზავის დროს ათენელებმა აიძულეს დელოსის მცხოვრებნი გასახლებულიყვნენ კუნძულიდან რომელიღაც დანაშაულის გამო, ჩათვალეს რა ისინი უწმინდურებად, უღირსებად სიწმინდეების სიახლოვისა. გარდა ამისა განწმენდისათვის, რომელსაც ისინი ახორციელებდნენ, როგორც მათ (ათენელებმა) ჩათვალეს სწორად, მოაშორეს კუნძულს სასაფლაოები, რომლებზე-

დაც მე ვსაუბრობდი ზემოთ, ახლა ეჩვენებოდათ არასაკმარისად. უმრავლესობა დელოსელებისა დასახლდა არტამტონში (მდებარე მცირე აზიაში, კუნძულ ლესბოსის მოპირდაპირედ) აზიაში, რომელიც მათ გამოუყო ფარნაკმა (ჰალიკარნასის სატრაპმა) სხვები გაემართნენ ვინც საით მოისურვა“ (იქვე, წიგნი V-1) და კიდევ:

„განვლილი მარცხების გამო და ორაკულის მიერ შეგონებულმა, დელოსის მცხოვრებნი მათ (ათენელებმა) დააბრუნეს კუნძულზე“ (იქვე, წიგნი VI-32)

…და მაინც, როგორც ეტყობა ათენელებმა დელოსელები დააბრუნეს კუნძულ რენზე, ფაქტიურად დელოსს მიკუთნებულზე, ვინაიდან კუნძულ დელოსის დღევანდელი მოსახლეობაც სულ 15 ოჯახს შეადგენს... და სად დასახლდნენ ის დელოსელები, რომლებიც თუკიდიდეს სიტყვებით გაემართა ვინ საით?

დალმატები იყვნენ უფრო ახალგაზრდები, ვიდრე სხვა ილირიელი ტომები. ისინი გამოჩნდნენ იქ ქრისტემდე IV საუკუნეს. მათ შექმნეს თემური კავშირები IV- III საუკუნეს ქრისტემდე (დალმატები, ვიკიპედია)

აი აქ კი უკვე ძნელი არ უნდა იყოს იმ დელოსელთა გამოცნობა, რომელთაც სტრაბონის მიხედვით აქვთ დიდი ქალაქი დალმიი (თუ დალიი?) და სახელიც ამ ქალაქის მიხედვით დაერქვათ... და რატომ დალიი? საინტერესოა, რომ ამ ხალხის შესახებ არაფერს ამბობს ჰეროდოტე. ვერც ილაპარაკებდა...ჰეროდოტეს ეპოქისათვის ისინი ჯერ კიდევ კუნძულ დელოსზე ცხოვრობენ...სტრაბონი მათ უკვე დალმატებს უწოდებს და აღნიშნავს მათ დედაქალაქ დალმიის, რომლის მიხედვით უჩანთ ამ უკანასკნელებს სახელი დალმატები შერქმეული. სტრაბონი აღნიშნავს აგრეთვე მათ სათუთ დამოკიდებულებას ამ ქალაქის სახელისადმი და ეს სრულიად გასაგებია- ეს სახელი დალმატებს დელიოს და აპოლონს, შესაბამისად საკუთარ ათეული საუკუნეების სამშობლოს აგონებთ...აქედანვე ჩანან ისინი ალექსანდრე მაკედონელს გაყოლილი აზიურ ლაშქრობაში ილირიელი მოლაშქრეების სახელით. ისინივე ყავს მაკედონელს დატოვებული კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე საკუთარი იმპერიის საზღვრის ამ მონაკვეთის დამაფიქსირებლად (იხ, პირველი წიგნის თემა სათაურით: აბზოის ტომი და სხვები) ისინივე ჩანან 1502 წელს სპარსეთში დამყარებულ ცენტრალიზირებულ ხელისუფლების დიქტატს გამორიდებულნი, ჩრდილოეთ კავკასიის გზით ჩამოსული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე მეზობლებთან, სანარეებთან , ისტორიაში საძებად და სადაშებად ცნობილებთან ერთად. სანარეებიც ჭანები ჩანან, თუნცა სრულიად სხვა ისტორია გამოვლილები. (30) ქართულ სინამდვილეში ისინი ჭანტურიების, ჭანიების და ჭაავების გვარებს ატარებენ... ისინივე (უბიხები და სადაშები) ჩანან 1539 წლის აჯანყების სათავეებში დადიანის ხელისუფლების წინააღმეგ,

რომელმაც აფხაზეთის საქაერთველოდან ჩამოშორება დააფიქსირა კიდეც... და რასაკვირველია მათი უდიდესი ნაწილი მუჰაჯირობისას სამეგრელოს აფარებს თავს, რამეთუ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს დაცლა ამ ხალ-ხებისაგან იყო უპირველესი პრიორიტეტი რუსეთის იმპერიისათვის და სამეგრელო-გურიის პროვინციებში გადასახლებას არ ეწინააღმდეგებოდა... მათი სატომო სახელი უბიხები-უკვე ქართულ ყაიდაზე ჩანს გახმოვანებუ-ლი, ბოლოსართი ხი-თ, ისევე როგორც მრავალი სხვა ტომისა: კოლხი, კახი, მესხი... ამ ჭანური თემის წარმომადგენლები სამეგრელოში გვარ **უბ-ილა**-ს ატარებენ...და სიმღერა?

„...და მათ წამოიწყეს სიმღერა, როგორც ნიშანი თავდასხმისა...“ და იქვე განმარტება: **პეანი- სიმღერა, თავდაპირველად აპოლონის სადიდებელი ჰი-მნი, შემდგომში- საბრძოლო სიმღერა, რომლითაც მეომრები თავს იმხნევ-ებდნენ ომის წინ (თუკიდიდე, პელოპონესური ომები, წიგნი I-50)**

შენიშვნის ავტორი საკუთარი საზომით ზომავს...სინამდვილეში პეა-ნი, **ო დელიო დელია,** რომელიც დელიოს-აპოლონს და დელიას-არტემ-იდესადმი მიძღვნილი ჰიმნია, ის ასევე მიძღვნილი ჩანს დელოსისადმი, კუნძულისადმი, რომელიც დელოსელთა ერთადერთ და ცნობილ სამშო-ბლოს წარმოადგენდა. სავარაუდოა, რომ ჰიმნს აქვს ზუსტად ისეთივე დატვირთვა, როგორც ებრაელების მიმართვა ერშალაიმისადმი-სამშობლო-სადმი: ღმერთმა დამლახვროს ერშალაიმ თუ წუთითაც დაგივიწყო... დან-არჩენმა ქართველებმა როდის შეითვისეს ვინ იცის...ეს შეიძლება V-VI სა-უკუნეს მოხდარიყო, როდესაც დილიმნიტებად წოდებული ჩვენებურები სპარსეთის არმიაში იბრძოდნენ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ლაზიკის ტე-რიტორიაზე...ან სულაც მუჰაჯირობის შემდეგი შემოტანილია სამეგრელო-სა და დანარჩენ საქართველოში...

...ამაზონები....

ამ მეომარი ქალების შესახებ უამრავი ლიტერატურა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ ანტიკურ ლიტერატურაში, თუმცა მათი რაობის, ვინაობის და ისტორიული ბედ-იღბალის შესახებ ზუსტი და დამტკიცებული დებულება არ არსებობს. თვით ამერიკელ თანამედროვე მეცნიერთა ვერსიით, ამაზონები განსაკუთრებული ქალები არიან, რომელთა ფიზიკური მონაცემები ტოლია მამაკაცურისა, ხოლო ზოგჯერ ჭარბებენ კიდეც მათ (გარდა ცალკეული ზეადამიანებისა), თუმცა მათი ისტორიული ბედი მათთვისაც უცნობია...თხოვნა მექნება მკითხველთან, რომ ერთ საკითხში წინასწარ შევთანხმდეთ: ამაზონები სინამდვილეში ბუნებაში არსებული რეალობაა-შესაბამისად, თუ პომპონიუს მელას დავეყრდნობით, ისინი არსად უნდა დაკარგულიყვნენ და დღესაც არსებული სინამდვილე უნდა იყოს, თუნდაც სხვა ფორმით.

ამაზონების შესახებ პირველ კვალიფიციურ ცნობას ჰეროდოტე გვაწვდის, ისტორიის მამად წოდებული, თუმცა არიან სხვა (უფრო გვიანდელი) ელინი ავტორები, რომელთა მონაცემები ამაზონებზე უფო შორეულ პლასტებსაც კი მოიცავს. საჭიროდ ვთვლით ამ ავტორების პირველ რიგში განხილვას, რომლებიც ქრონოლოგიურად უფრო შორეული წარსულის ისტორიას ახმოვანებენ:

„ძველბერძნული მითიოლოგიაში ეს ის ხალხია, შემდგარი მხოლოდ ქალური საზოგადოებისაგან, რომლებიც ვერ იტანდნენ საკუთარ რიგებში მამაკაცებს, ლაშქრობდნენ თავიანთი დედოფლების სარდლობით და რომელთაც საკუთარი მეომრული სახელმწიფო შექმნეს. ლეგენდების მიხედვით ამაზონები წარმოიშვნენ არესისა და ჰარმონიისაგან. შთამომავლობის აღწარმოებისათვის ამაზონები შედიოდნენ კავშირში სხვა ხალხების მამაკაცებთან. დაბადებულ მამრობითი სქესის პატარებს ისინი აგზავნიდნენ მამებთან, ხოლო გოგონებისაგან ზრდიდნენ თაობას ახალი ამაზონებისა. სახელწოდება ამაზონი წარმოშობილია ძვებერძნულიდან და განიმარტება როგორც უმკერდო, თუმცა არა სიტყა-სიტყვით, არამედ გადატანითი მნიშვნელობით, სიტყვა აღნიშნავს მათ განსხვავებას სხვა ქალებისაგან: ლეგენდის მიხედვით, მშვილდის სროლით მოხეხერხებისათვის, ისინი ჯერ კიდევ ჩვილ გოგონებს უშანთავდნენ მარჯვენა მკერდს. ლეგენდის მიხედვით ამზონები ცხოვრობდნენ მდინარე ამაზონის სანაპიროზე -მოგვიანებით თერმოდონტად წოდებული (დღევანდელი ეშილ ირმაკი თურქეთის ტერიტორიაზე) აქედან ამაზონები ახორციელებდნენ ლაშქრობას აზიაში და ევროპაშიც კი. ლეგენდის მიხედვით მათი აშენებულია სმირნა, ეფესო, მირინა და სხვა ქალაქები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე. მითი-

ოლოგიური ტრადიცია აღნიშნავს მათ კვალს ლესბოსსა და ბეოტიაში (დღევამდელი საბერძნეთი) ტანაისზე (მდინარე დონი) და კასპიაზეც კი... პლუტარქე გვამცნობს, რომ ამაზონები ცხოვრობდნენ კავკასიის ქედთან კასპიის ზღვის გაყოლებით, მდინარე მტკვარის შესართავიდან მდინარე სამურამდე, ხოლო ზოგიერთ ეპოქაში დერბენტამდე. ასევე აზუსტებს, რომ ისინი არიან უშუალო მეზობლები ალბანებისა, გელებისა და ლეგებისა. პროფესორი სურიკოვი ახმოვანებს თეზისს დაშორებადი ამაზონების შესახებ- სავარაუდოდ ისინი ცხოვრობდნენ სულ უფრო დაშორებით ელინური სამყაროს ცენტრიდან ოიკუმენის (31) გავრცობასთან ერთად. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი კრიუნსკაია აღნიშნავდა ევოლუციურად ანტიკურ სახეს ამაზონებისა- ბერძნული მოკლე ქიტონიდან მოქარგულ ტანსაცმლამდე სკვითებისა და მათსავე იარაღით... ჰომეროსი ახსენებს ომს ბელერფონტისა და ფრიგიელებისას ამაზონებთან. იპოლიტა (სხვა ვერსიით ანტიოპა) დედოფალი ამაზონური ტომისა, დაიღუპა ჰერაკლეს ხელით, რომელმაც ევრისთევსისაგან მიიღო დავალება მოეტანა მისი სარტყელი. ამ ლაშქრობის დროს თეზევსმა თავი მოაწონა ანტიოპას, რომლის შედეგი იყო ამაძონების შეჭრა ატიკაში.. .პლუტარქე ყვება გელენიდზე დაყრდნობით, რომ ამაზონები გადავიდნენ კიმერიულ ბოსფორზე (32) ყინულით და შეუტიეს ატიკას. ოთხთვიანი უნაყოფო ომის შემდეგ თეზევსთან, მაშინდელ ატიკის მმართველთან, ამაზონების ტომი დაბრუნდა სამშობლოში…დედოფალ პენტესილეას მეთაურობით ამაზონები გამოვიდნენ ბერძნების წინააღმდეგ, მეფე პრიამოსთან ერთად ტროას მათგან დასაცავად...გვიანდელ ლეგენდებში იხსენიება დედოფალი ამაზონებისა ფალესტრა, რომელიც ეწვია ალექსანდრე მაკედონელს კასპიაზე.

საკითხი იმაზე, არსებობდა თუ არა ამაზონები სინამდვილეში, დღესაც არ არის გადაწყვეტილი. მათი არსებობის სასარგებლოდ მეტყველებს ის უამრვი ფაქტი, სადაც ამაზონები წარმოდგენილია მრავლ ანტიკურ ლეგენდებში, მათ შორის როგორც მითოლოგიურ, ასევე რეალურ ისტორიულ პერსონაჟებთან მიმართებაში. ძველ ნახატებში გამოსახულია ასევე მათი დმპყრობლური ლაშქრობები, მაგალითად ამაზონების შეჭრა ატიკაში. მომხრეები მათი არსებობისა ამტკიცებენ რომ უკანასკნელი მათი ისტორიული ხსენება ეხება ალექსანდრე მაკედონელის მმართველობის პერიოდს. უფრო გვიანდელი ცნობები, რომლებიც ამტკიცებდნენ ამაზონების არსებობას, არ მოიპოვება (ვიკიპედია, ამაზონები)

უცნაურიც კია, მაგრამ ყველაზე უხვი ცნობები ამაზონების შესახებ სტრაბონთან მოიპოვება. სტრაბონი, რომელიც თავად ამასიის მკვიდრია, ამასიისა, რომელზედაც ფაქტიურად ჩამოდის მდინარე თერმოდონტი, ამაზონების სამშობლოზე გამდინარედ აღიარებული. სტრაბონი ფაქტიურად

მათ აქ ცხოვრებას უარყოფს, იმდენად რამდენადაც მისი დროისათვის მდინარე თერმოდონტზე ამაზონების ცხოვრების კვალი უკვე გამქრალია. არ შემონახულა მისი დროისათვის მდინარე თერმოდონტზე ამაზონთა ხსენებაც კი, თუმცა წინარე ისტორიულ ცნობებს მათ შესახებ უდავოდ იცნობს:

„ზოგიერთი მწერლები, ცვლიან რა ჰომეროსის ტექსტს, ათავსებენ ამაზონებს მისიელებს, კარიასა და ლიდიას შორის, და როგორც ფიქრობს ეფორი, კიმას სიახლოვეს, მისი სამშობლოსი, ამას კი ნამდვილად აქვს აზრი: ეფორს მხედველობაში ყავს ქვეყანა, შემდგომში დასახლებული ეოლიელების და იონიელების მიერ, ხოლო პირველ მოსახლენი ამაზონები იყვნენ“ (33) (სტრაბონი, გეოგრაფია; წიგნი XII; III-21)

ამ ამონარიდით სტრაბონი მიანიშნებს ამაზონების პირველსაცხოვრისს მცირე აზიაში, თუმცა სამტკიცის გარეშე: ეოლიელები, სინამდვილეში ჭანები, ისტორიულად მცირე აზიის სამხრეთ ნაწილში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მოსახლეობდნენ , ამაზონებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე. სტრაბონი კიდევ ერთხელ აზუსტებს მათ უპირველეს საცხოვრისს:

„ამაზონების წინააღმდეგ, როგორც გადმოგვცემენ, წამოვიდა არა მხოლოდ ლაშქარი პრიამოსისა (ტროას მეფე) არამედ ბელეროფონტიც (ლიკიის მეფე) (იქვე, წიგნი VIII-6)

რასაკვირველია ამაზონებს მცირე აზიაში გაცილებით სამხრეთით უნდა ეცხოვრათ, ვიდრე მდინარე თერმოდონტი და თემისკირაა:

„ქალაქის სახელი (კიმა) წარმოშობილია ამაზონის სახელიდან, ისევე როგორც მირინა სახელწოდებულია ამაზონისაგან“ (იქვე;წიგნი XIII; III-6)

სტრბონის მიერ მოხსენიებული ქლაქები, კიმა და მირინა ზუსტად ხმელთაშუა ზღვისპირა ქალაქებია მცირე აზიისა... საინტერესოა, რომ სტრაბონი მცირე აზიას ამაზონების საცხოვრისად მხოლოდ წარსულში ასახელებს (და ისიც თერმოდონტსა და თემისკირაზე, ფაქტიურად მცირე აზიის ცენტრალურ ნაწილში) ხოლო მისი დროისათვის ისინი კავკასიაში, ალბანეთის ზემოთ და მეზობლად ფიქსირდება (ისევე როგორც პლუტარქესთან)

„როგორც ამბობენ , ალბანებს ზემოთ მთებში ცხოვრობენ ამაზონები. ფეოფანი, რომელიც თან ახლდა პომპეუსს ლაშქრობაში, ეწვია ალბანების ქვეყანას, ამბობს რომ სკვითური ტომი გელებისა და ლეგებისა ცხოვრობენ ამაზონებს და ალბანებს შორის და რომ ამ ქვეყანაში მოედინება მდინარე მერმადალიდა ამ ტომებს და ამაზონებს შორის. სხვა მწერლები, ასევე ბრწყინვალედ გაცნობილნი ამ ადგილებისა (მათ შორის მეტრადორ სკეპსინელი და გიპსიკრატი) ამტკიცებენ რომ ამაზონები ცხოვრობდნენ გარგარიელების გვერდით და ჩრდილო ნაწილში კავკასიის მთებისა, რომლებიც

იწოდებიან კერევნისად. მთელი თავისუფალ დროს ამაზონები იყენებენ მხოლოდ თავისთვის, ასრულებენ ცალკეულ სამუშაოებს: ხვნა, თესვა, მებაღეობა, საქონლის მოვლა და განსაკუთრებით ცხენებისა. უფრო ძლიერი ამაზონები დაკავებულნი არიან ნადირობით ცხენზე ამხედრებულნი და სამხედრო ვარჯიშით. ბავშვობიდანვე ყველას უშანთავენ მარჯვენა ძუძუს, რომ თავისუფლად იხმაროს მარჯვენა ხელი ყოველგვარი ვარჯიშისას, განსაკუთრებით შუბის ტყორცნისას. ისინი იყენებენ ასევე მშვილდ-ისარს, საბრძოლო ნაჯახს და მსუბუქ ფარს. ნადირის ტყავისაგან ამზადებენ თავსაბურ მოსასხამს და ქამარს. ზაფხულში მათ აქვთ ორი განსაკუთრებული თვე, როცა ისინი ადიან მეზობელ მთაზე, რომელიც მათ ყოფს გარგარიელებისაგან. რომელიღაც უძველესი ჩვეულების მიხედვით, გარგარიელებიც ამოდიან ამ მთაზე, რომ ქალებთან ერთად განახორციელონ მსხვერპლშეწირვა, შეერთდნენ მათთან ბავშვების გასაჩენად; ერთდებიან ისინი ფარულად და სიბნელეში, ვისაც როგორ შეხვდება. დააფეხძიმებენ რა ქალებს, გარგარიელები უშვებენ მათ სახლებში. ყველა ახალდაბადებულ გოგონებს ამაზონები იტოვებენ, ხოლო ბიჭები მიყავთ აღსაზრდელად გარგარიელებთან. ყოველი გარგარიელი ღებულობს ნებისმიერ მოყვანილ ბიჭუნას, თვლის რა მას საკუთრად“ (იქვე, წიგნი XI;V-1)

და ავტონომიური ცნობები იმავე ავტორისა გარგარიელთა შესახებ: „იმ დროს, როდესაც ის (ჰომეროსი) ასახელებს ყველაზე განაპირა განტოტებებს ლაქტად და ზელად; ის ასევე არჩევს მწვერვალს მთებისას გარგარიას, უწოდებს მას პიკს. სინამდვილეში ახლაც გვიჩვენებენ ადგილს ყველაზე მაღალ ნაწილში იდაზე (მთა ტროადასთან) რომელსაც გარგარი ჰქვია , რომლისაგანაც მიიღო სახელი ახლანდელმა გარგარმა, ეოლიურმა ქალაქმა“ (იქვე, წიგნი XIII; 1-5)

უკიდურესად ყურადსაღებია, რომ სტრაბონი ქალაქ გარგარიას (რასაკვირველია გარგარიელებისსავე ქალაქს) ეოლიურს-ჭანურს უწოდებს! სტრაბონი ამასიის მკვიდრია. იმ ამასიისა, რომელიც ფაქტიურად ეკვრის თემისკირას და თერმოდონტს- მისი სიტყვებით თემისკირა პონტოს (შავი ზღვიდან) სულ **ცხრა კილომეტრითაა დაშორებული.** ამასთან სტრაბონი მიუთითებს ამაზონების თერმოდონტსა და თემისკირაზე ცხოვრებას მხოლოდ წარსულში, თუმცა არა ერთი ანტიკური მწერალი ამაზონების სამშობლოდ ზუსტად ამ უკანასკნელს მიჩნევენ (მათ შორის ჰეროდოტეც კი, რომლის ყოველი ცნობა ფაქტიურად ხალასი სიმართლეა) როგორც ჩანს, სტრაბონის ეპოქისათვის თემისკირასა და თერმოდონტზე ამაზონები უკვე აღარ ცხოვრობენ. სტრაბონისათვის, რომელიც ამ ტერიტორიის მეზობლად ცხოვრობს, ეს ცნობილია. მაგრამ არა ერთი ანტიკური ისტორიკოსი, რომლებიც ამ ადგილებიდან მოშორებით ცხოვრობენ, ახმოვანებენ უფ-

რო ადრინდელ ცნობას... თუ საით გადაადგილდებიან ამაზონები, ამაზე ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ...

მართალია სტრაბონი ამაზონების სექსუალურ პარტნიორებად გარგარიელებს მხოლოდ კავკასიაში აცხადებს, მაგრამ დიდი ალბათობით იგივე გარგარიელები ამაზონთა სექსუალური პარტნიორები არიან იმ მომენტიდან, როცა ეს უკანასკნელები უკვე ტროასთან და იდას მთასთან ცხოვრობდნენ... ამასთან, სტრაბონი კრინტს არა ძრავს გარგარიელების შესახებ თერმოდონტსა და თემისკირაზე, ამაზონთა შემდგომ (როგორც ჩანს შუალედური) საცხოვრისის აღწერისას... და რა, ამაზონები იცვლიან „სეზონურ ქმრებს“ ? როგორც ირკვევა არა და ამაში ოდნავ მოგვიანებით დავრწმუნდებით.

„იდას მიაღწია მან და გარგარს“ (ილიადა; VIII-47) რასაკვირველია გარგარი მხოლოდ მთა არ არის და მას არაერთგზის ახსენებს სტრაბონიც:

„გარგარი განლაგებული კონცხზე, რომელიც წარმოადგენს საკუთრივ ადრამატის ყურეს“ (სტრაბონი, წიგნი XIII; 1-51)

ამ ყურეს დღესაც ედრამატისა ჰქვია, ხოლო კონცხი, რომელზედაც განლაგებული იყო ქალაქი გარგარია-ეს დღევანდელი თურქული ქალაქი აიკალიკია. სავარაუდოა (და ეს ოდნავ ქვემოთ მტკიცდება კიდეც) გარგარიელები- რომლებიც სტრაბონთან ამაზონების მეწყვილეებად მოიაზრებიან კავკასიაში, ამაზონების გვერდით ცხოვრობენ მცირე აზიაშიც... ამაზონებისა, რომლებიც გარგარიის აღმოსავლეთით ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე იყვნენ განსახლებულნი, რომელთა ქალაქებია კიმა, მირინა და სხვა, რომლებსაც მოგვიანებით ეოლიელები (ხალდები -ჭანები) ფლობდნენ. ეს ქალაქი, სტრაბონის სიტყვებით, ამაზონებისა იყო და ისინი სახლობდნენ ადრე ამ ადგილას, რომელიც მისი დროისათვის ეოლიად იწოდება. როგორც ჩანს, ამაზონთა იმ ნაწილმა, რომელმაც რიგითი ადამიანის წეს-ჩვეულებებით ცხოვრება ირჩია, დაფუძნდა ამავე ადგილებში ეოლიელების-ხალდ-ჭანების მეწყვილეებად და მათივე სახელით....

ზუსტად ჯერ კიდევ ამაზონური წესით მცხობრებ ახლო მეზობლებთან უჩანთ ომი ჰერაკლესა და თეზევსს, ქრისტემდე XIV საუკუნეს:

„მეცხრე გმირობად ევრისთევსმა დაავალა ჰერაკლეს მოეტანა იპოლიტას სარტყელი...ის ამაზონების დედოფალი იყო, და ცხოვრობდნენ მდინარე თერმოდონტის სანაპიროზე. ეს იყო მეომრული ტომი, რომლებიც მამაკაცური ცხოვრების წესით ცხოვრობდა... როდესაც ისინი უერთდებოდნენ მამაკაცებს და მშობიარობდნენ, ისინი ზრდიდნენ მხოლოდ გოგონებს და მარჯვენა მკერდს უჭერდნენ (არ აძლევდნენ გაზრდის საშუალება) ხოლო მარცხენას უტოვებდნენ, რომ გამოეკვებათ ბავშვები. იპოლიტა ფლობდა სარტყელს, რომელიც ეკუთვნოდა არესს (ომის ღმერთს) ეს სარტყელი იყო

იმის ნიშანი, რომ ის იყო მთავარი ამაზონთა შორის. ჰერაკლე გაიგზავნა სარტყლისათვის იმიტომ, რომ მისი ფლობა უნდოდა ევრისთევსის ქალიშვილს ადმენტას... აქედან ის (ჰერაკლე) მივიდა თემისკირას ნავმისადგომთან. აქ მოვიდა მასთან იპოლიტა, ჰკითხა რისთვის მოვიდა და შეჰპირდა ქამრის მიცემას. მაგრამ ქალღმერთმა ჰერამ მიიღო ერთ-ერთი ამაზონის სახე, მოირბინა მათთან და დაიყვირა: დედოფალი ძალდობრივად მიყავთ უცხოებს! ამაზონები სრული შეიარაღებით, ამხედრებულნი ცხენებზე, გაემართნენ გემისაკენ. როდესაც ჰერაკლემ დაინახა ისინი შეიარაღებულნი, მან გადაწყვიტა რომ ეს მოხდა ვერგული განზრახვით, მოკლა იპოლიტა და დაეუფლა მის სარტყელს. სხვა ამაზონებთან შეტაკების შემდეგ ჰერაკლემ გამოცურა გემით და მიადგა ტროას“

(აპპოლოდორი. მითიოლოგიური ბიბლიოთეკა, წიგნი II; V-9)

აპოლოდორის მიერ მოთხრობილი ისტორია ჰერაკლეს ლაშქრობისა ამაზონებზე კრიტიკული განხილვის საგანია, ინფორმაციის შემცველი:

1. სტრაბონის მიხედვით, მცირე აზიის სამხრეთული ქალაქები: კიმა, მირინა ამაზონების ქალაქები იყო, თუმცა აპოლოდორისათვის ისინი თემისკირაზე ცხოვრობენ, ცენტრალურ მცირე აზიაში. დიდი ალბათობით ისინი ტევკრებმა (ტროელებმა) და ლიკიელებმა გამოაძევეს სამხრეთ მცირე აზიიდან, და როგორც ჩანს არცთუ დიდი ხნის უკან.

2. რასაკვირველია არც პლუტარქეს ცნობა შეესაბამება სიმართლეს, რომლის მიხედვით შურისმაძიებელმა ამაზონებმა კიმერიული ბოსფორის (გაყინულის) გადასვლის შემდეგ შეუტიეს ათენს -რუქაზე ზერელე დახედვითაც ცხადია ასეთი მარშრუტის შეუსაბამობა, იმის გათვალიწინებით, რომ ამაზონები ფაქტიურად ტროადაზე ცხოვრობენ არცთუ ისე დიდი ხნის უკან. ცხადია ამაზონები დარდანელის სრუტის გადალახვის შემდეგ უტევენ ათენს. არც დარდანელის სრუტის გადალახვისათვის საჭირო ფლოტის დაქირავება უნდა გასჭირვებოდათ...

ანალოგიური ჩანს იგივე სიუჟეტი, უკვე სხვა ანტიკური ავტორის გახმოვანებული:

„მიიღო რა ბრძანება მოეპოვებინა ამაზონი იპოლიტას ქამარი, ჰერაკლე გაემართა ამაზონების წინააღმდეგ. მიცურა რა პონტოში, წოდებული ევქსენისად, გაცურა მდინარე თერმოდონტის შესართავამდე, მან დასცა ბანაკი ქალაქ თემისკირასთან, ამაზონების დედაქალაქთან. თავად ჰერაკლემ მათ მოსთხოვა ქამარი და როდესაც ამაზონებმა უარი უთხრეს, გამართა მათთან ბრძოლა. ამაზონების ლაშქარი იბრძოდა მისი მხლებლების წინააღმდეგ. ჰერაკლეს წინააღმდეგ გ ამოილაშქრეს მათგან უმამაცესებმა და ჩაებნენ მასთან სასტიკ ბრძოლაში. პირველი ომში ჰერაკლესთან ჩაერთო ალილა (ქარიშხალი) რომელმაც ასეთი სახელი მიიღო სიჩქარისათვის, თუმცა

მოწინააღმდეგე უფრო სხარტი გამოდგა. მერე იყო ფილიიდა, რომელმაც მიიღო სასიკვდილო ჭრილობა პირველსავე შეტაკებისას და უცებვე მოკვდა. შემდეგ ბრძოლაში ჩაერთო პროფეია, რომელიც როგორც ამბობენ შვიდჯერ იყო გამარჯვებული ორთაბრძოლებში. ისიც მოკლულ იქნა და მეოთხედ ჰერაკლემ დაამარცა ამაზონი ერიბეა, რომლის მამაცობამ საომარ საქმეებში მისცა მას საშუალება ეთქვა, რომ საომარ საქმეებში მას არავისი დახმარება არ სჭირდება, თუმცა უფრო მძლავრ მოწინააღმდეგესთან შეტაკებისას მისი ქება ფუჭი გამოდგა. შემდეგნი იყვნენ კელენო, ევრობია და ფება, არტემიდეს მხლებლები ნადირობაში და შუბის აუცდენელი მტყორცნელები , ახლა კი მათ ერთად ვერ შეძლეს დაეზიანებინათ ერთი სამიზნე, თუმცა იბრძოდნენ რა სამივე მხარდამხარ და ჩაწვა სამივე. შემდეგ ჰერაკლემ დაამარცხა დეინირა, არტემია და მარპა, ასევე ტეპუსუ და ალკიპა. ამ უკანასკნელმა მისცა ფიცი, რომ ყოველთვის დარჩება ქალწული: ფიცი მან დაიცვა, თუმცა თავისი სიცოცხლის დაცვა ვერ შეძლო. ამაზონების წინამძღოლი მელანიპამ, რომელიც იწვევდა აღტაცებას სიმამაცით, დაკარგა ხელისუფლება. დაამარცხა რა ყველაზე სახელგანთქმული ამაზონები და გააქცია დანარჩენი ლაშქარი, ჰერაკლემ მოკლა უმრავლესობა მათგანი და ამით საბოლოოდ გაანადგურა ეს ტომი. ტყვე ამაზონების რიცხვიდან ანტიოპა მან აჩუქა თეზევსს, ხოლო მელანიპა გაანთავისუფლა, გამოართვა რა მას ქამარი“ (დიოდორე სიცილიელი, წიგნი IV; -XVI)

მცირეოდენი შეუთავსებადობა დიოდორესთან მაინც არსებობს. ჰერაკლე იპოლიტას ქამრის მოსაპოვებლად მიდის, თუმცა ბოლო მომენტში ქამარი რატომღაც მელანიპას აღმოაჩნდა. ბერძნული მითიოლოგია უშვებს თავისუფალ ვარიაციებს თემაში იპოლიტა-მელანიპა-ანტიოპა. მაგალითად, აპოლონ როდოსელის მიხედვით, მელანიპა არესის ქალიშვილია და იპოლიტას და, აყვანილი იქნა ტყედ ჰერაკლეს მიერ, განთავისუფლებული იქნა იპოლიტას ქამრის სანაცვლოდ.

„ცოცხლად დარჩენილმა ამაზონებმა, შეკრიბეს რა თავიანთი ძალები თერმოდონტზე, შეეცადნენ მიეზღოთ ელინთათვის სამაგიერო დამარცხებისათვის, რომელიც მიაყენა მათ ჰერაკლეს ლაშქრობამ. შედარებით დიდ მიუღებლობას იჩენენ ისინი ათენელების მიმართ იმ მიზეზით, რომ ათენელმა თეზევსმა წაიყვანა ამაზონების წინამძღოლი (?) რომელსაც უხმობდნენ ანტიოპას, ზოგიერთი მწერლის ვერსიით იპოლიტას. შევიდნენ რა კავშირში სკვითებთან, შეაგროვეს საკმაო რაოდენობის ძალა, რომლითაც ამაზონთა ლაშქარი გადავიდა კიმერიულ ბოსფორზე და გაიარეს თრაკია, ევროპის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამაზონები შეიჭრნენ ატიკაში და გამართეს ბანაკი იმ ადგილას, რომელიც მათ სახსოვრად დღესაც იწოდება ამა-

ზონიად. გაიგო რა ამაზონების თავდასხმა, თეზევსი გამოვიდა მათ წინააღმდეგ ქალაქის მოსახლეობიდან შეკრებილი ლაშქრით. თეზევსთან ერთად იყო ამაზონი ანტიოპა, რომელმაც უშვა თეზევსს ქალიშვილი იპოლიტა. ჩაერთვნენ რა ამაზონებთან ომში, ათენელებმა აჯობეს მათ სიმამაცეში. თეზევსის ლაშქარმა გაიმარჯვა: ნაწილი შემოჭრილი ამაზონებისა დაეცა ომში, ხოლო სხვები განდევნილ იქნენ ატიკიდან. თუმცა მოხდა ისე, რომ ომში დაეცა ანტიოპაც, რომელიც იბრძოდა ქმრის, თეზევსის გვერდით და გამოირჩეოდა სიმამაცით...გადარჩენილმა ამაზონებმა გადაწყვიტეს არ დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში და წავიდნენ სკვითიაში სკვითებთან ერთად და იქ დასახლდნენ“ (იქვე, წიგნი IV-XXVIII)

დიოდორე სიცილიელის ეს ამონარიდი უძვირფასეს მასალას შეიცავს:

1.ის რომ ამ ომში ვერ მონაწილეობს თავად ამაზონების დამარცხების უშუალო მიზეზი-ჰერაკლე, აშკარად მიანიშნებს: ის უკვე ცოცხალი არ უნდა იყოს. და მართლაც ძნელია იმ გმირის წინააღმდეგ მის სამშობლოში ომი, როდესაც შენს სამშობლოში მტრად მოსულმა სატიკად დაგამარცხა. შესაბამისად, ამაზონების ლაშქრობა ატიკაში ქრისტემდე XIII საუკუნის დასაწყისში უნდა გამართლიყო.

2.ამაზონების მიერ კიმერიული ბოსფორის გადალახვით ატიკაზე გალაშქრების აბსურდულობაზე უკვე ზემოთ ვილაპარაკეთ და აღარ გავიმეორებთ, ამაზონები ფაქტიურად ტროადის მიმდებარე ტერიტორიიდან მოდ - იან სალაშქროდ .

3. ის რომ ამაზონები ალიანსში შედიან სკვითებთან, არასწორია: არ არის აღნიშნული სკვითების მეომრული დანაკარგი, რომელსაც ისინი ათენელების წინააღმდეგ ომში მიიღებდნენ. დიოდორე სიცილიელის მთელი ეს ლირიკული გადახვევა იმ ფაქტის ახსნის მცდელობაა, თუ როგორ აღმოჩნდნენ ამაზონების ნაწილი სკვითეთში, და რომელსაც ჰეროდოტე სრულყოფილად ხსნის.

4. ამაზონები ამ ლაშქრობაში თემისკირადან ჩანან მოსული, მაგრამ ტერიტორიები თემისკირადან ტროამდე და ფაქტიურად ათენამდეც მათთვის ნაცნობი უნდა იყოს-არც ისე დიდი დრო ჩანს გასული მათი ტროადან განდევნიდან ტევკრების და ლიკიელების მიერ.

ამაზონები არ ეხმარებოდნენ ტროას და მეფე პრიამოსს იმიტომ, რომ თითქოსდა მეფე პრიამოსი იბრძოდა მათ წინააღმდეგ ფრიგიელებთან კავშირში:

„ვხედავდი მე დიდებულ მხედრობას ფრიგიელებისას,
ეტლოსნებს ჩქარებს;
ვუყურებდი მე ატრეისთან პოლკებს და მიგდონებს, ღმერთების მსგავსთ.

იქ ვიყავი მეც და მათ მოკავშირედ ვითვლებოდი, იმ დღეს, როდესაც მამაკაცთა ტოლ მეომრებს შევხვდი ამაზონებისას. (ჰომეროსი, ილიადა, თავი III-185-189)

ცხადია ჰომეროსი ვერ აღწერს ქრესტომათიული სიზუსტით იმ ბატალიას, რომელიც მოხდა ექვს საუკუნეზე მეტი ხნით ადრე. ის რომ მეფე პრიამოსი ნაომარი უნდა იყოს ამაზონებთან, იმ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ეს უკანასკნელნი მხოლოდ ათი წლის ომის შემდეგ გადაწყვეტენ დაეხმარნონ ტროას მათი საერთო მტრების, ელინების წინააღმდეგ. რაც შეეხება ჰომეროსის ნახსენებ ფრიგიელებს, ისინი სულ ათეული წლების წინ ჩანან მოხვედრილი ეგვიპტის ტერიტორიაზე, სამხედრო ტყვეების რანგში და მათ მცირე აზიაში რაღაც ამბიციები არ და ვერ ექნებოდათ, ზუსტად ისევე, როგორც მიგდონებს (34)...ცხადია ეს თავად პრიამოსს უჩანს ომი სმირნას, მირინას და კიმას მცხოვრებ ამაზონებთან, ლიკიელთა და მათი მეფის, ბელერფონტის დახმარებით.

...და საიდან ჩნდებიან ამზონები მცირე აზიაში და როდის? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას მოგვიანებით შევეცადოთ, როდესაც მათი ტომობრივი მიკუთვნებულობის საკითხის გადაჭრა იქნება შესაძლებელი... ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ ის აღინიშნოს, რომ ამაზონები მცირე აზიაში საკმაო ხნის დამკვიდრებულნი უნდა იყვნენ თვით ჰერაკლესთან მათი კონფლიქტის დროს, ქრისტემდე XIV საუკუნესაც კი იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მოგვიანებით ეოლია ეწოდა. ის რომ ამაზონები შეეცადნენ ტროას დახმარებოდნენ, მაგრამ ამ დახმარების გადასაწყვეტად მთელი ათი წელი დასჭირდათ, უნდა აიხსნას იმ წყენით, რაც მათ მიაყენა ტროის სუზერენმა პრიამოსმა და მათმა ტომმა. და რა აქვთ გასაყოფი ამ ორ ხალხს? როგორც ჩანს თავად ტროა- ტერიტორია, რომელიც ამაზონებისა ჩანს და რომელიც მითვისებული უჩანთ ტროელებს ძალიან ახლო ხანებში, ტროას ომის დაწყებიდან 40 -იოდ წლით ადრე, შესაბამისად 1330 ქრისტემდე (35) საბოლოოდ მაინც ამაზონები ტროელების გვერდით დგებიან ომში, ძველი მტრებისა-ახალი მტრების, ელინების წინააღმდეგ და ტროის ალყის ბოლო წელს, ჰექტორის დაღუპვის შემდეგ , ისინი ისინი მათ მისაშველებლად მიეშურებიან. ამაზონების მიერ ტროას დაცვაში მონაწილეობას და მათი მეთაური პენტესილეას მოკვდინებას აქილევსის მიერ სხვადასხვანაირად გადმოგვცემს სხვადასხვა ავტორი:

„სხვათა შორის ამ დღეებში მოვიდა ადრე ნახსენები პენტესილეა ამაზონთა დიდი რაზმით და სხვა ხალხები მეზობელი მიწებიდან. გაიგო რომ ჰექტორი მოკლულია, ის ფიქრობს სახლში დაბრუნებას, მაგრამ ალექსანდრე (პარისი) ბოლოს და ბოლოს აცდუნებს მას ოქროთი და ის რჩება. რამდენიმე დღის გასვლის მერე მას გამოყავს თავისი არმია და ჩაიფიქრა

ბრძოლა ტროელებისაგან ცალკე, მხოლოდ თავის მებრძოლებზე დაყრდნობით. მარჯვენა ფლანგზე განალაგა მშვილდოსნები, საწინააღმდეგო მხარეს ქვეითები, ხოლო შუაში ათავსებს კავალერიას. ჩვენები გაეშურნენ საწინააღმდეგოდ, ისე რომ მოისრეების საწნააღმდეგოდ მოქმედებდა მენელაოსი, ოდისევსი და მერიონი, ქვეითების წინააღმდეგ ორივე აიაქსი, დიომედი, აგამემნონი , ტლეპოლემი და ასკალაფი იალმენთან ერთად. კავალერიას შეეჯახა აქილევსი და სხვა ბელადები. განლაგებულებმა ასე, ორივე არმიამ გადააჯვარედინა იარაღი, და მრავალი დაიღუპა დედოფლის ისრით, მაგრამ არა ნაკლები ტევკრისაგან. ამასობში აიაქსი და სხვები , ვინც მის გვერდით იყო, ამარცხებენ მოწინააღმდეგე ქვეითებს, ხოლო დანარჩენებს ავიწროებენ ფარებით და განდევნილებს კლავენ, და ასე მანამდე, სანამ არ გაანადგურეს მთელი ქვეითი ლაშქარი. აქილევსი დაეწია რა პენტესილეას საცხენოსნო ტურმში, მიწვდა მას შუბით და როგორც ნებისმიერი ქალი, ჩამოაგდო ცხენიდან, სტაცა ხელი თმებში და გაათრია უკვე მძიმედ დაჭრილი. როცა დაინახეს ეს მისმა მებრძოლებმა, დაკარგეს რა ყოველგვარი იმედი, უკუიქცნენ და რამდენადაც ქალაქის კარიბჭე ჩაკეტილი იყო, ჩვენები დაეწივნენ რა გაქცეულებს, კლავდნენ, თუმცა ხელით არ ეხებოდნენ ქალებს, იბრალებდნენ რა მათ სქესს. შემდეგ ყველა გამარჯვებულმა, გაწყვიტა რა მოწინააღმდეგე, დაბრუნებულებმა ნახეს ნახევრად მკვდარი პენტესილეა და ახლაც კი უკვირთ მისი სიმამაცე. მალე ყველა თავს მოიყრის და გადაწყვეტენ, რომ რამდენადაც მან გადააჭარბა ბუნების კანონს და სქესს, გადააგდონ ის მდინარეში, სანამ კიდევ სუნთქავს ან გადაუგდონ ძაღლებს დასაგლეჯად. აქილევსს უნდოდა მისი დასაფლავება, დიომედი მას ეწინააღმდეგება, შეეკითხა რა ირგვლივ მდგომთ როგორ მოექცეს მას და ის საერთო თანხმობით მიათრევს მას ფეხებით და აგდებს სკამანდრში (მდინარეში) რასაკვირველია დასჯის მიზნით, ბოლოს გამოვლენილი შეუპოვრობისა და და სიგიჟისათვის. ასე დედოფალმა ამაზონებისამ დაკარგა ლაშქარი, მოსულმა პრიამოსის დასახმარებლად და საბოლოოდ თვითონ წარმოადგინა სანახაობა ღირსეული მისი ხასიათისა“ (დიკტის კრეტელი, ტროას ომის დღიური, წიგნი IV-3)

საყურადღებოა, რომ დიკტის კრეტელი ამაზონებს მეზობელი ტერიტორიებიდან მოსულებად აცხადებს და არა შორეული თერმოდონტიდან და ამით კიდევ ერთხელ ცხადი ხდება-ის ტროას ომის თანამედროვე არაა (ტროას ომის პერიოდისათვის ამაზონები, პრიამოსის და ლიკიელებისაგან დამარცხებულები რამდენიმე ათეული წლის უკან, უკვე თერმოდონტზე ჩანან გადასულები) ასევე საინტერესოა, რომ აქილევსი მისგან დამარცხებული ამაზონების დედოფალის, პენტესილეას ღირსეულად დასაფლავების მომხრეა, თუმცა ბერძენმა მეომარმა, რომელთაც პირისპირ

ომში შესაძლოა ვერც კი დაეძლია პენტესილეა, ფეხით გაათრია ცოცხალ-მკვდარი გმირი მეომარი ქალი და მდინარეში გადააგდო. ოდნავ განსხვავებულ სიუჟეტს გვთავაზობს კვინტუს სმირნელი:

„იმ დროს თერმოდონტიდან, ფართოდ მომდინარე მდინარიდან მოვიდა პენტესილეა, ღმერთების მსგავსი მშვენებით. ომში მოიწევდა მაგრამ მიზეზი სხვაც იყო: უარყოფით დიდებას ერიდებოდა, ეშინოდა რომ ხალხში ვინმე ააგდებდა სიტყვას და დაადანაშულებდა მისი დის სიკვდილში, ჰიპოლიტისა, მასზე გლოვობდნენ ყველგან, ისროლა რა მძლავრი შუბი, მოკლა და-თუმცა არა განზრახული იყო მკვლელობა-ის ირემს მისდევდა ნადირობისაას...პენტესილეასთან ერთად მეგობარი ქალები მოვიდნენ, რიცხვით თორმეტი, ყველა ახალგაზრდა მშვენიერი და ეშურებოდნენ ბრძოლას, ყველა ბრწყინვალლე შთამომავლობისა იყო-თუმცა ყველა მას მსახურობდა (კვინტუს სმირნელი; ჰომეროსის შემდეგ, წიგნი I)

კვინტუს სმირნელი, რომელიც დიქტის კრეტელზე რამდენიმე საუკუნით გვიან წერს, პენტესილეას თერმოდონტიდან მოსულად აცხადებს. ასევე, როგორც დიქტისთან, აქაც მიუღებელია აქილევსისათვის მისგან დამარცხებული პენტესილეას შეურაცხყოფა, მისი ახალგაზრდული მაგრამ უკვე მომაკვდავი მშვენების ხილვამ ცხარე ცრემლებით აატირა უძლეველი გმირი...

შავი ზღვისპირეთის, კერძოდ სინოპას უშუალო სიახლოვეს მდინარე თერმოდონტთან და ქალაქ თემისკირასთან ქრისტემდე 785 წელს განთავსდა პირველი კოლონია მილეტელებისა (კარიელებისა) (36) ისტორიაში არ არის ხსენება მათი დარბევისა ამაზონების მიერ, თუმცა ასეთი აგრესიულად განწყობილი ტომისათვის (მით უმეტეს მათი ოდინდელი შუღლის ფონზე ბერძნებთან) ეს თითქმის ობიექტური რეალობა უნდა იყოს. ჰომეროსთან ნახსენები ფრიგიელების შეტაკება ამაზონებთან, სავარაუდოდ ფრიგიულ-ბერძნული საერთო ლაშქრობის ანარეკლი უნდა იყოს. ამ ლაშქრობას გატეხილი უჩანს ამაზონების ძლიერება. მარტო ტყვე ამაზონების რიცხვს ჰეროდოტე სამი ხომალდის სავსედ აფასებს:

„სავრომატების შესახებ შემდეგს მოგვითხრობენ: როდესაც ელინები ამაძონებს ებრძოდნენ (სკვითები ამაძონებს უწოდებენ ოიროპატა-ს ელინების ენაზე ეს სახელი ნიშნავს კაცთამკვლელებს, რადგან ოირ აღნიშნავს მამაკაცს, ხოლო პატა მოკვლას) მაშინ თერმოდონტთან ბრძოლაში ელინებმა გაიმარჯვეს, გამოცურეს უკან და წამოიყვანეს სამი ხომალდი ამაძონები, რომელთა შეპყრობაც შეძლეს. ამაძონები ზღვაში დაესხნენ მათ თავს და ამოხოცეს მამაკაცები. ხომალდებისა მათ არა იცოდნენ , არც საჭის ხმარება, ასე რომ ამაძონები, მამაკაცები რომ ამოხოცეს, მიენდვნენ ტალღებს და ქარს და მიაღწიეს კრემნოში მაიეტსის ტბაზე, ხოლო კრემნო თავისუ-

ფალი სკვითების ქვეყანაშია. აქ გადმოსხდნენ ამაძონები ხომალდიდან და ახლა ხმელთაზე იარეს დასახლებულ ადგილამდის, შეხვდნენ თუ არა პირველსავე ცხენების ჯოგს, მოიტაცეს, ამხედრდნენ და დაიწყეს ყაჩაღობა სკვითების ქვეყანაში... ხოლო სკვითებმა არ იცოდნენ რა მოხდა, რადგან ენა არ იცოდნენ მათი, არც ტანსაცმელს სცნობდნენ და არც ტომს და გაოცებულნი იყვნენ, თუ საიდან მოვიდნენ ისინი (37); ეგონათ რომ ამაძონები მამაკაცები იყვნენ, მხოლოდ ასაკით ნორჩნი და ბრძოლა გაუმართეს მათ. ბრძოლაში სკვითებმა გვამები ჩაიგდეს ხელში და ეგრე შეიტყვეს, რომ ისინი ქალები იყვნენ. სკვითებმა მოითათბირეს და გადაწყვიტეს, რომ არავითარ შემთხვევაში აღარ მოეკლათ ამაძონები. ის კი არა თავიანთი წრიდან მიაგზავნეს ამაზონებთან ყველაზე უფრო ახალგაზრდები, იმავე რაოდენობით, რამდენიც ამაძონები. ახალგაზრდები უნდა დაბანაკებულიყვნენ ამაძონების მახლობლად და გაეკეთებინათ ის, რასაც ქალები გააკეთებდნენ, ხოლო თუ ამაძონები დაედევნებოდნენ, ახალგაზრდები კი არ უნდა შებრძოლებოდნენ, არამედ გაქცეულიყვნენ, ხოლო როდესაც ამაძონები შეწყვეტდნენ დევნას, ახალგაზრდებიც უნდა მისულიყვნენ ახლოს და დაებანაკებინათ. ასე გადაწყვიტეს სკვითებმა, რადგანაც უნდოდათ რომ ამ ქალებისაგან შვილები ჰყოლოდათ. გაგზავნილმა ჭაბუკებმა გააკეთეს ის, რაც ევალებოდათ. ხოლო როდესაც შეატყვეს მათ ამაძონებმა, რომ ისინი სრულიად არ ჩანან სამტროდ მოსული, ხელი არ ახლეს. ყოველ-დღიურად ბანაკი ბანაკთან სულ უფრო ახლოს მოდიოდა, ჭაბუკებს, ისევე როგორც ამაძონებს, არაფერი ჰქონდათ, გარდა იარაღისა და ცხენებისა. ამიტომაც ჭაბუკები იმავე წესით ცხოვრობდნენ, როგორც ამაძონები ე. ი. ნადირობდნენ და ყაჩაღობდნენ. ამაძონები შუადღეს იფანტებოდნენ, ცალ-ცალკე, ან ორ-ორად და ერთმანთისაგა ნ შორს სხდებოდნენ, ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. და სკვითებმა ეს შეიტყვეს და დაიწყეს თვითონაც ამის კეთება. ერთი ჭაბუკთაგანი განმარტოვდა და ამაძონებიდან ერთ-ერთს მიუახლოვდა. ამაძონმა ის არ გააძევა და ნება დართო მასთან დაწოლილიყო. ქალს ლაპარაკი არ შეეძლო (რადგანაც არ იცოდნენ ერთმანეთის ენა) მაგრამ ხელით ანიშნა, რომ მეორე დღესაც მოსულიყო და მეორე კაციც მოეყვანა. ანიშნა რომ ისინი ორნი იქნებიან, რომ თვითონაც მეორე ქალს მოიყვანს. ჭაბუკი წავიდა და უთხრა ყველაფერი დანარჩენებს. მეორე დღეს მოვიდა იმავ ადგილას თვითონ და მეორეც მოიყვანა, ნახა ამაძონი და მასთნ მეორც, რომლებიც მათ ელოდებოდნენ. დანარჩენმა ჭაბუკებმა რომ შეიტყვეს, თვითონაც მიიჩვიეს დანარჩენი ამაძონები. შემდეგ შეაერთეს ბანაკები და დასახლდნენ ერთად. თითოეულ ჭაბუკს ყავდა ის ქალი, რომელთანაც პირველად იწვა. კაცებმა ვერ შეძლეს ქალების ენის სწავლა, ქალები იგებდნენ კაცების ენას. როდესაც გაიგეს

ერთმანეთისა, შემდეგი უთხრეს კაცებმა ამაძონებს: ჩვენ გვყავან მშობლები, გვაქვს ჩვენი ქონება, ახლა მეტი აღარ შეგვიძლია ასეთი ცხოვრება, როგორიც ამდენი ხანია გვაქვს, წავიდეთ და მათთან ერთად ვიცხოვროთ, ცოლებად კი თქვენ გვეყოლებით და მეტი არავინ. ამაძონებმა ამის სპასუხოდ უთხრეს შემდეგი: ჩვენ არ შევიძლია ცხოვრება თქვენს ქალებთან ერთად, რადგან ჩვენ და მათ ერთი და იგივე ჩვეულება არა გვაქვს. ჩვენ ვმშვილდოსნობთ და კიდევაც შუბსაც ვისვრით, ვჯირითობთ, ხოლო ქალური საქმე არა გვისწავლია. თქვენმა ქალებმა კი იქიდან, რაც ჩამოვთვალეთ არაფრის კეთება არ იცინ, აკეთებენ ქალურ საქმეს და რჩებიან ურმებში. არც სანადიროდ დადიან და არც სხვაგან სადმე, ამიტომ არ შეგვიძლია ჩვენ მაგათთან შეთანხმება, ხოლო თქვენ თუ გინდათ ჩვენ გყავდეთ ცოლად და აპირებთ რომ იყვეთ სამართლიანები, წადით თქვენს მშობლებთან, მიიღეთ თქვენი ქონებიდან თქვენი წილი და შემდეგ მოდით და ვიცხოვროთ ჩვენთვის. ჭაბუკებმა დაუჯერეს და ასეც მოიქცნენ, როდესაც მიიღეს თავიანი კუთვნილი წილი ქონებიდან, მოვიდნენ უკან ამაძონებთან და ქალებმა უთხრეს შემდეგი: შიშსა და ძრწოლას შევუპყრივართ ჩვენ, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ იმ ადგილას, სადაც თქვენი მამები გავძარცვეთ, ხოლო ჩვენ ამდენი ვავნეთ თქვენს მიწა-წყალს, ხოლო თუ თქვენ ღირსად მიგაჩნივართ ცოლობისა, მოდით ასე ვქნათ: ავდგეთ და წავიდეთ ამ ქვეყნიდან და დავსახლდეთ მდინარე ტანაისს გადაღმა. ჭაბუკებმა ესც დაუჯერეს მათ, გადავიდნენ ტანაისზე და მზის აღმოსავლეთისაკენ გაიარეს სამი დღის სავალი გზა ტანაისიდან, ხოლო სამი დღე იარეს მაიეტსის ტბის ჩრდილოეთისაკენ და მივიდნენ ქვეყანში, სადაც ახლა ცხოვრობენ და იქ დასახლდნენ. სავრომატების ქალები იმ დროიდან მოყოლებული ასეთსავე ცხოვრებას ეწევიან, როგორც ძველად, სანადიროდ დადიან ცხენებზე ამხედრებულნი, ქმრებთან ერთად თუ უქმრებოდ. მიდია საომრად და იმავე ტანსაცმელს იცვამენ, როგორსაც მათი ქმრები ატარებენ. სავრომატები სკვითების ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ძველთაგანვე ამახინჯებენ მას. რადგან ამაძონებმა ის კარგად ვერ ისწავლეს. ქორწინების საკითხი მათთნ ასე წყდება: ვერც ერთი ქალწული იმაზე ადრე ვერ გათხოვდება, ვიდრე არ მოკლავს მტრის მამაკაცს. ზოგიერთი ქალი მოხუცებულია, მაგრამ გაუთხოვარი კვდება, რადგან ვერ შეძლო ამ კანონის შესრულება“ (ჰეროდოტე ; ისტორია, წიგნი IV, 110-117) და კიდევ:

“ხოლო მდინარე ტანაისს რომ გადაივლი, უკვე სკვითია კი აღარაა, არამედ აქ არის პირველი სავრომატული ქვეყანა. სავრომატული ქვეყნები იწყება მაიეტსის უკიდურესი წერტილიდან და ვრცელდება ჩრდილოეთის მიმართულებით... ამის შემდეგ ცხოვრობენ სხვა სკვითები, რომლებიც სამეფო სკვითებს გამოეყვნენ და ასე მოვიდნენ ამ ადგილას“ (იქვე, 21-22)

ჰეროდოტეს ეს სიტყვაუხვი ციტატა ასევე მრავალი იმფორმაციის შემცველი ჩანს:

1. ამაზონების დამარცხებას ელინთა მიერ ამჯერად ნამდვილად თერმოდონტზე, თემისკირაზე და შესაბამისად შავ ზღვაზე აქვს ადგილი.

2. მართალია ჰეროდოტე ტყვე ამაზონებით სავსე სამ გემზე საუბრობს, მაგრამ ამაზონების აჯანყება (თუ ის ზღვაზე ხდება) და მამაკაცების ამოხოცვა სამივე გემზე ერთდროულად საეჭვო ჩანს; ამაზონებს სხვადასხვა გემებზე კორდინირებული აჯანყების მოწყობის არავითარი საშუალება არ გააჩნდათ. ამასთან, შეუძლებელია სამი გემი თავისუფალი დრეიფით ერთსა და იმავე ადგილზე აღმოჩენილიყო...

3 დიდი ალბათობით ამაზონებს კარიელებთან, მილეტის კოლონია სინოპაზე აქვთ შეტაკება. დამარცხებული ამაზონები ელინებმა-კარიელებმა დაატყვევეს. ასევე დიდია ალბათობა, რომ მათ დამარცხებული ამაზონები მაიეტსის ტბისაკენ წაიყვანეს, თავიანთი სხვა ახალი კოლონიისაკენ...არ და ვერ გამოირიცხება, რომ ამაზონთა ეს აჯანყება ზუსტად მაიეტსზე მოხდა, უკვე სანაპიროზე და არა გემზე და ამაზონებმა სრულიად ამოხოცეს კარიელების პირველი კოლონია კრემნოზე (მაიეტსის ზღვის უკიდურესი ჩრდილი წერტილი -დღევანდელი დონის როსტოვის ადგილას)

4. ჰეროდოტე სკვითებს ასახელებს ამაზონთა პარტნიორებად და აქ ნამდვილად დასავლეთის სკვითები, უკრაინელები იგულისხმება. ამასთან, სკვითების და ამაზონების ნაჯვარი ტომი, უკვე სავრომატებად წოდებულნი მდინარე ტანაისიდან აღმოსავლეთისაკენ მიდიან სამი დღის სავალზე და ასევე ამდენივე დღის სავალზე ჩრდილოეთისაკენ, მაიეტსის ზღვის უკიდურესი ჩრდილოეთი წერტილიდან.

5. რუქაზე ზერელე დახედვაც კი საკმარისია, ჰეროდოტე დაახლოებით დღევანდელი ქალაქ ვორონეჟის მიმდებარე ტერიტორიას უნდა გულისხმობდეს, როდესაც პირველ პირველ სავრომატულ ქვეყანაზე ლაპარაკობს, რომელიც იმავე სკვითურ (ოღონდ დამახინჯებულ) ენაზე საუბრობენ. სადაც პირველი სავრომატული ქვეყანაა, იქ მეორეც უნდა ვიგულისხმოთ და მინიმუმ მესამეც. (რასაკვირველია ქალაქი პოლისები იგულისხმება) ამასთან, ამ სავრომატული ქვეყნიდან ჩრდილო- აღმოსავლეთით ის კიდევ ახსენებს სამეფო სკვითებს, ზუსტად დასავლეთის სკვითებისაგან გამოყოფილებს და რომელზედაც ადრევე ვისაუბრეთ. შესაბამისად ეს პირველი (და დანარჩენი სხვა) სავრომატული ქვეყნები, მოლაპარაკე ასევე სკვითურ ენაზე, რუსები ჩანან.

6. ცხადია რამდენიმე ათეული და თუნდაც რამდენიმე ასეული ამაზონი (მეტი სამ გემში ალბათ ვერც დაეტეოდა) რუსულ ნაციას ვერ შექმნიდა, თუმცა ლუგანსკის მოსახლეობის დიდი ნაწილი მაინც ამაზონური წარმ-

ოშობისა უნდა იყოს...

7.ჰეროდოტეს მიერ ნახსენები სამეფო სკვითები რამდენიმე ასეული წლის შემდეგ სტრაბონთან სამეფო სარმატები ხდება, რითაც ცხადი ხდება სკვითთა სახელის სარმატებად პერეფრაზირება (იხ. პირველი ტომი)

თერმოდონტზე ბერძნულ-ფრიგიული ლაშქრობით ამაზონთა ტომი საკმაოდ დასუსტებული ჩანს, თუმცა არც საბოლოოდ გადაშენებული... მნიშვნელოვანი და საყურადღებო ცნობებს ამაზონებზე მოიცავს რომაელი ისტორიკოსის , პომპეი ტროგის ცნობები. ამასთან მისი შრომები მოიცავს მრავალ შეცდომას, თუმცა ღირსებები მისი ნაშრომისა აშკარად და დიდად აჭარბებს ნაკლს. როგორც ზემოთ ითქვა, ტროგის მიხედვით ბაქტრები და პართები სკვითური ტომია. ზემოთ სკრუპულოზულად მოხდა განხილვა ბაქტრებისა, პართებისა, საკებისა და გარკვევით იქნა ნაჩვენები: ამ ტომებს სკვითებთან არავითარი საერთო არ უჩანთ. უფრო მეტიც, გამოიკვთა ფაქტი: ზუსტად ამ ტომების ძალისხმევით გამოიდევნა მცირე აზიიდან სკვითური ტომი. თუმცა პომპეი ტროგს დიდი მადლობა უნდა მოვახსენოთ იმ სწორი და ერთადერთი ინფორმაციისათვის, რომ სკვითები სამჯერ ფლობდნენ მცირე აზიას და ორჯერ ეგვიპტესაც კი. ანალოგიური ინფორმაცია არც ერთ ანტიკურ მწერალს არ გააჩნია, თვინიერ ჰეროდოტესი, რომელიც ბუნდოვნად მიუთითებს მასაგეტების მიერ სკვითების განდევნაზე. საყურადღებო უნდა იყოს მისი ცნობები ამაზონებზე, რომელიც მას სკვითი დედაკაცების ჰიპოსტასებად მიაჩნია:

„სკვითებმა, სხვათშორის ორი ყმაწვილმა სამეფო გვარისა , პლინმა და სკოლოტმა, განდევნილი თავადების ინტრიგით, წაიყვანეს თან მრავალრიცხოვანი ახალგაზრდობა და დაიკავეს მათ მიერ დამორჩილებული თერმოდონტის ზეგანი. აქედან ისინი მრავალი წლის განმავლობაში ახორციელებდნენ მტაცებლურ თავდასხმებს მეზობელ ტომებზე, რომლებმაც მოილაპარაკეს ერთმანეთთან, შეიტყუეს ჩასაფრებაში და ამოწყვიტეს. როდესაც მათმა ცოლებმა ნახეს, რომ განდევნას დაემატა ქვრივობაც, მათ მიმართეს იარაღს და დაიწყეს თავიანთი მფლობელობის დაცვა. თავიდან ისინი მხოლოდ თავს იცავდნენ, ხოლო შემდეგ თვითონ დაიწყეს თავდასხმების განხორციელება . მეზობლებთან დაქორწინებაზე მათ უარი თქვეს, რომ ეს იქნება არა შეუღლება, არამედ მონობა. გაბედეს ის, რაც არასდროს ყოფილა, მათ ქმრების გარეშე, უფრო ეზიზღებოდათ ისინი , დაიწყეს თავიანთი სამეფოს დაცვა. რომ რომელიმე მათგანი არ აღმოჩენილიყო სხვაზე ბედნიერი, მათ მოკლეს ის მამაკაცებიც, რომლებიც დარჩნენ სახლში. თავიანთი ქმრების დაღუპვისათვის შურს იძიებდნენ მეზობლებზე. როდესაც იარაღით მიაღწიეს მშვიდობას, მათ დაიწყეს მოკლვადიან კავშირში შესვლა მეზობლებთან, რომ მათი ჯიში არ ამოწყვეტილიყო... როდესაც მათ

უჩნდებოდათ ბიჭები, ისინი მათ კლავდნენ, გოგონებს ისინი ზრდიდნენ თავიანთი მაგალითის მიხედვით, არ აჩვევდნენ მათ უსაქმურობას, არც რთვას, არამედ იარაღს, ცხენს, ნადირობას, ასევე ბავშვობიდან უდაღავდ-ნენ მარჯვენა მკერდს, რომ მას ხელი არ შეეშალა ისრის სროლაში. აქედან წარმოიშვა სახელწოდება ამაზონი...ჰყავდათ მათ ორი დედოფალი-მარპეზა და ლამპეტო.. მათ გაყვეს ლაშქარი ორად და იბრძოდნენ რიგრიგობით, ან იცავდნენ თავიანთი სამფლობელოს საზღვრებს. და რომ თავიანთი საქმი-ანობისათვის მიეცათ უფრო დიდი მნიშვნელობა, ისინი ამბობდნენ რომ მა-თი მამა <u>მარსია</u>... დაიმორჩილეს რა დიდი ნაწილი ევროპისა (38), მათ და-ისაკუთრეს რამდენიმე აზიური სამეფოც. დაარსეს იქ ეფესო და მრავალი სხვა ქალაქი, გააგზავნეს სამშობლოში თავიანთი ლაშქრის ნაწილი დიდი ნადავლით. მეორე ნაწილი, რომელიც დარჩა, რომ დაეცვა ძალაუფლება აზიაზე, მარპეზასთან ერთად, ამოწყვეტილი იქნა გაერთიანებული ბარბა-როსების მიერ. მარპეზას ნაცვლად დედოფალი გახდა მისი ქალიშვილი სინოპა. გარდა სრულყოფილი ცოდნისა საომარი საქმიანობისა, ის იწვევდა გაოცებას რომ მთელი ცხოვრების პერიოდში შეინარჩუნა ქალწულობა. ამ-აზონების ამ დედოფლის დიდებამ ისე შორს მიაღწია, რომ ის მეფე, რომ-ლისთვისაც ჰერაკლეს უნდა განეხორციელებინა თორმეტი გმირობა, მოი-თხოვა მისგან შეუძლებელი, რომ მას მოეტანა იარაღი ამაზონთა დედო-ფლისა. ჰერაკლე გაემართა ცხრა სამხედრო ხომალდით და ცნობილი ბერ-ძენი ჭაბუკი მეომრებით და მოულოდნელად დაესხა თავს ამაზონებს. ამ-აზონებში ამ დროს მეფობდა ორი და, ანტიოპა და ორტია. მაგრამ ორტია იმ დროს აწარმოებდა ომს თავისი სამეფოს ფარგლებს გარეთ. ამიტომაც როდესაც ჰერაკლემ მიაყენა გემები სანაპიროს, ამაზონების დედოფალს, რომელიც არ ელოდა საფრთხეს არსაიდან, მცირე ხალხი ყავდა. ამიტომაც ისე მოხდა, რომ ამ მოულოდელი თავდასხმისას იარაღი ძალიან ცოტამ აიღო და გამარჯვება დარჩა მტერს დიდი გარჯის გარეშე. მრავალი ამაზ-ონი მოიკლა და ტყვედ იქნა აყვანილი, მათ შორის ანტიოპას ორი და: მე-ლანიპა-ჰერაკლეს მიერ და იპპოლიტა-თეზევსის მიერ... თეზევსს ეს ტყვე ერგო როგორც ნადავლი და მან ის ცოლად შეირთო...მან უშვა მას ქალი-შვილი იპპოლიტა. ჰერაკლემ გამარჯვების მერე დაუბრუნა ტყვე მელანიპა თავის დას და გამოსასყიდის სახით მიიღო დედოფლის იარაღი... შეასრ-ულა რა ეს ბრძანება, ჰერალე დაბრუნდა მეფე ევრისთევსთან. მაგრამ როგ-ორც კი ორტიგამ გაიგო მისი დების და მისი ხალხის წინააღმდეგ ომის შესახებ და რომ მისი დის მომტაცებელი- ათენის მეფეა, მან მოუწოდა თა-ვის თანამგზავრებს შურისძიებისაკენ; უსარგებლოა, თქვა მან, პონტოსა და აზიის დამორჩილება, თუ ის ღიაა თავდასხმისათვის, უფრო სწორედ ყაჩ-აღური თავდასხმისა ბერძნების მიერ. მან მიმართა დახმარებისათვის სკვ-

ითიის მეფეს საგილის. მან თქვა, რომ ამაზონები მომდინარეობენ სკვითებისაგან, მიუთია ქმრების სიკვდილზე, აუცილებლობაზე იარაღის აღებისა, ომის მიზეზებზე, იმაზე რომ როგორც გამოირკვა სკვითებში ქალები ტოლს არ უდებენ მამაკაცებს სიმამაცეში, არამედ მათი თანატოლები არიან, საგილი, რომელსაც უნდოდა სახელი გაეთქვა თავისი ხალხისათვის, გაუგზავნა დედოფალს დასახმარებლად თავისი შვილი პანასაგორი უამრავი ჯარით. მაგრამ ჯერ კიდევ ომამდე სკვითებსა და ამაზონებს შორის მოხდა შუღლი და დახმარების გარეშე დარჩენილი ამაზონები დამარცხდნენ ათენელებთან... მაგრამ მათ შეძლეს თავი შეეფარებინათ მოკავშირეთა ბანაკისათვის, რომელთა დახმარებით ისინი დაბრუნდნენ საკუთარ სამეფოში, სხვა ტომების თავდასხმების გარეშე. ორტიგიის მერე დედოფალი გახდა პენტესილეა, რომელიც ტროას ომის დროს მოვიდა ტროელებთან დასახმარებლად ბერძნების წინააღმდეგ და გამოამჟღავნა უდიდესი მამაცობა, უმამაცეს ვაჟკაცებთან შერკინებაში. მას შემდეგ რაც პენტესილეა მოიკლა, ხოლო მისი არმია განადგურდა, მხოლოდ ცოტა რაოდენობის ამაზონები, რომლებიც დაუბრუნდნენ თავიანთ სამეფოს , გაჭირვებით იგერიებდნენ მეზობლების შემოტევას, არსებობდნენ ალექსანდრე დიდის დრომდე. მათი დედოფალი, მანიტია თუ ტალესტრა, მას შემდეგ რაც შეეუღლა ალექსანდრე დიდს ოცდაათი დღით, რომ გაეჩინა მისგან შთამომავლობა, დაბრუნდა თავის სამეფოში და მალე დაიღუპა. მასთან ერთად დაიღუპა მთელი ხალხი ამაზონებისა“

(პომპეი ტროგი, ეპიტომა ფილიპესი, წიგნი II, თავი IV)

რასაკვირველია პომპეი ტროგი არ და ვერ იქნება უბრალო ქრონოგრაფი, მის „ეპიტომა ფილიპესი“-ში ძალიან ბევრი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობაა, რომელთაგან ამჯერად მხოლოდ ორს გამოვყოფდი (მესმე და ყველაზე მნიშვნელოვანს წიგნის მესამე ნაწილისათვის მოვიტოვებ): სკვითების მცირე აზიაში სამ და ეგვიპტეში ორი ლაშქრობას, და ქალთა სამეფო(ები)ს არსებობა ევროპაში (და შესაძლოა სხვაგანაც...) ამასთან პომპეი ტროგის მიერ გახმაურებულ ვერსიაში ამაზონებზე, შესამჩნევია ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები:

1. როგორც წესი, პომპეი ტროგი მისთვის უცნობ ყველა ტომს სკვითებს მიაკუთვნებს. სკვითებს მიაკუთვნა მან ადრე ბაქტრიული, საკური თუ პართიული ტომები, რომელთაც სკვითებთან მტრობის გარდა არაფერი არ აკავშირებთ. ზუსტად ასევე აკუთვნებს ის ამაზონებს სკვითურ ტომს, თუმცა უფრო ადრინდელი ანტიკური ისტორია (ჰეროდოტე) ამ ვერსიას გამორიცხავს.

2. ასევე, პომპეი ტროგი ამაზონების პირველ საცხოვრისად მდინარე თერმოდონტის ზედაწელს, თემისკირას ასახელებს, თუმცა ყველა ნიშნით მათ

უფრო ადრე ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე უცხოვრიათ, ტროას უშუალო სიახლოვეს.

3. პომპეი ტროგი ამაზონების, როგორც სპეციალური ცხოვრების წესით მცხოვრები ტომის არსებობას გამორიცხავს (როგორც უფრო გვიანდელი ეპოქის მემატიანეები) და მათ წარმოქმნას სრულ შემთხვევითობას მიაწერს: ქმარდახოცილი ქალები იძულებული გახდნენ თავი დაეცვათ მეზობლებისაგან.

4. როგორც გაირკვა, სკვითების მცირე აზიიდან განდევნა ხდება ქრისტემდე XVI საუკუნის მეორე ნახევარში. შეუძლებელია, რომ ამ დროისათვის მცირე აზიაში, სინოპას კონცხის სიახლოვეს სკვითური პოლიტიკური წარმონაქმნი დარჩენილიყო, თუნდაც ქალური (მაგრამ მაინც სკვითური)...

5. უფრო მეტიც, როგორც ირკვეა ამაზონები თავადაც მონაწილეობენ იმ პროცესში, რომელსაც მცირე აზიიდან სკვითების განდევნა და მათი შემდგომი გვემა ჰქვია ... და სხვანაირად არც (და ვერც) უნდა ყოფილიყო, ამაზონები მცირე აზიის ლეგიტიმური მცხოვრებლები ჩანან, რომელთაც სკვითთა მიერ დახარკვა ისევე შეეხო, როგორც დანარჩენ მცირე აზიელებს-განდხარვებს...

6. ...და ბოლოს, პომპეი ამაზონების ისტორია ფაქტიურად ჰერაკლეს ეპოქის პარალელურად იწყება: სად, როდის და როგორ მოასწრეს მათ ევროპის დაპყრობა, რის შესახებაც ის საუბრობს? ...ათენში და საბერძნეთში მათ მარცხი განიცადეს, შესაბამისად პომპეი ტროგის მიერ გახმოვანებული სენსაციური ცნობა (გავიხსენოთ მხოლოდ მის მიერვე გახმოვანეული ცნობა სკვითთა მიერ მცირე აზიის სამჯერადი დაპყრობისა , რომელიც ისტორიისათვის უცნობი მომენტების მოძიების აღმძვრელი მექანიზმი ხდება) აუცილებლად სკრუპულოზულ ყურადღებას მოითხოვს...

„როცა ის დაბრუნდა ჰირკანიაში, მასთან მივიდა ამაზონების დედოფალი, სახელად ფალესტრიდა; მეფობდა ის მიწაზე, მდებარე ფასისსა (39) და თერმოდონტს შუა. ის გამოირჩეოდა სილამაზით , ფიზიკური ძალით და განთქმული იყო საკუთარ თემებში მამაცობით. დატოვა რა არმია ჰირკანიის საზღვარზე, ის მოვიდა 300 ამაზონით და სამხედრო აღჭურვილობით... საოცარი მ ოვლენით და ქალის ღირსეული შესახედაობით განცვიფრებული მეფე შეეკითხა ფალესტრას, თუ რა უნდოდა. მან უპასუხა რომ სურვილი აქვს ყავდეს შვილი: მან (ალექსანდრემ) გადააჭარბა თავისი გმირობით ყველა მამაკაცს, ის (ფალესტრიდა) გამოირჩევა ყველა ქალში ღონით და ვაჟკაცობით; ბავშვი დაბადებული ასეთი მშობლებისაგან, რომლებიც აღემატებიან ყველას, რასაკვირველია იქნება პირველი მსოფლიოში... აღტაცებულმა ალექსანდრემ მიიღო დედოფალი, გაატარა მასთან

30 დღე და გაუშვა სახლში მდიდრული საჩუქრებით“
(დიოდორე სიცილიელი, წიგნი XVII-LXXVII)

რასაკვირველია დიოდორე სიცილიელი სარგებლობს ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მემატიანის მემუარებით, ამდენად შეუძლებელია მის სიუჟეტს არ ვენდოთ: ამაზონების დედოფალი მართლაც თერმოდონტიდან ჩამოსული ჩანს, თუ რასაკვირველია ის არ სარგებლობს სხვა პარალელური წყაროებით, რომელიც ამაზონებს სახლდობრ თერმოდონტზე ასახელებს (ჰეროდოტე)

„მრავალი მწერალი ამბობს, აქ პართიაში ალექსანდრეს ამაზონების დედოფალი ეწვიაო. ამ მწერალთა შორის არიან: კლიტარქე, პოლიკლიტე, ონესიკრატე, ანტიგონე, ისტროსი. მაგრამ არისტობულე, სამეფო კარის მდივანი ქირესი, პტოლომაიოსი, ანტიკლიდე, ფილონ თებეელი, პილიპე თეანგელელი და ამათ გარდა ჰეკატე ერეტრიელი, ფილიპე ქალკიდელი დუროს სომოსელიც ამბობენ, ეს მოჭორილი ამბავიაო“ (პლუტარქე, რჩეული ბიოგრაფიები, ალექსანდრე მაკედონელი, გვ 438, თბილისი 1975 წელი)

პლუტარქეს მიხედვით, ანტიკურ მწერალთა აზრი ორადაა გაყოფილი ამაზონების დედოფლის ალექსანდრესთან სტუმრობის შესახებ და გასაგებიც უნდა იყოს: უბრალოდ ამ მწერლებს ამაზონების არსებობისა საერთოდ არცა სჯერათ, თორემ თერმოდომტიდან ჰირკანიამდე მანძილის გადალახვა არავითარ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს ამაზონთა შეიარეღებული რაზმისათვის და მათი დედოფლისათვის.

„ამბობენ, რომ ატროპატმა, სატრაპმა მიდიისამ, მოიყვანა აქ მასთან ასეული ქალები . ესენი, მისი სიტყვებით ამაზონები იყვნენ. ჩაცმულნი იყვნენ ისინი როგორც მამაკაცები. მხედრებს შუბების ნაცვლად ეკავათ სეკირა და მსუბუქი ფარები მძიმის ნაცვლად. ამბობენ, რომ მარჯვენა მკერდი მათ უფრო პატარა აქვთ; ბრძოლის დროს ის მათ გარეთ აქვთ. ალექსანდრემ ბრძანა, რომ მოეშორებინათ ისინი ჯარისაგან, რომ მაკედონელებს ან ბარბაროსებს არ მოეფიქრებინათ რამე მათ გასატრავიზებლად და ბრძანა გადაეცათ მათი დედოფლისათვის, რომ ის თავად მოვა მასთან, იმიტომ რომ უნდა ჰყავდეს მისგან შვილები. ამის შესახებ არაა არც ერთი სიტყვა არისტობულთან, არც პტოლომაიოსთან და საერთოდ არც ერთ მწერალთან, რომ ასეთი გამონაკლისის გამო შეიძლებოდეს დაჯერება. მე არ ვფიქრობ, რომ ამაზონების ტომი შემორჩა იმ დრომდე, ალექსანდრეს ლაშქრობამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში ქსენოფონტეს უნდა მოეხსენებინა ისინი, მოახსენა რა ფასიანები, კოლხები და სხვა ბარბაროსი ტომები, ვის მიწაეც ელინებმა გაიარეს, გამომავალი ტრაპიზონდიდან და მის შესვლამდე, ისინი აქ წააწყდებოდნენ ამაზონებს, თუკი ამაზონები ჯერ კიდევ არსებობდნენ. ის რომ ისინი საერთოდ არ არსებობენ, მე არც ვუშვებ: იმდენი პოე-

ტი მათ ლექსებს უძღვნიდა, ცნობილია მოთხრობა, რომ მათთან გაგზავნილი იყო ჰერაკლე, რომელმაც მოიტანა სარტყელი მათი დედოფალ იპოლიტასი, და რომ ათენელებმა თეზევსის წინამძღოლობით დაამარცხეს ეს ქალები, მოსულნი ევროპაში და უკუაქციეს ისინი უკან. ათენელებს და ამაზონებს შორის ომი გამოსახულია მიკენის მიერ, ათენელების და სპარსელების ომის სწორად. და ჰეროდოტეც მათ შესახებ ხშირად ყვება, და ისინიც, ვინც აქებენ ათენელებს, მათთან ომში დაცემულებს და ახსენებენ როგორც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენას ათენელებისა და ამაზონების ბრძოლას. თუ ატროპატმა აჩვენა მეფეს ქალი-მხედრები, ვფიქრობ მან მეფეს აჩვენა რომელიღაც ბარბაროსსი ქალები, რომლებსაც ეხერხებოდათ ცხენებზე ამხედრება და ჩაცვა ტანსაცმელი რომელიც ითვლებოდა ამაზონთა ტანსაცმლად“ (ფლავიუს არრიანე; ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი VII-13)

ფლავიუს არიანე, კაბადოკიის მეფის ნაცვალი, იმ კაბადოკისა, რომელშიც შედიოდა მდინარე თერმოდონტი და თემისკირაც, უკვე ქრისტესით II საუკუნეს მათ არ იცნობს! ცხადია, ამ დროისათვის მდინარე თერმოდონტსა და თემისკირაზე ყოფილი ამაზონები უკვე ჩვეულებრივი ადამიანური ცხოვრების წესით უნდა ცხოვრობებდნენ... რაც შეეხება იმ მომენტს, უნდა ენახა თუ არა ისინი ქსენოფონტეს ქრისტემდე IV საუკუნეს, პასუხი ერთმნიშვნელოვანია: ვერ ნახავდა! ვერ ნახავდა იმიტომ, რომ მას ამ აზონების ტერიტორია უბრალოდ არც გაუვლია: როგორც ჩანს, მდევრისაგან გაქცევის მიზნით მან ბაბილონიდან აიღო მკვეთრად ჩრდილოური მიმართულება და ღრმად წავიდა ამ მიმართულებით...როცა მეგზურმა ისინი ზღვისაკენ მოაბრუნა, ის ამაზონების ტერიტორიას შორს ჩრდილოეთით იყო გაცდენილი, საიდანაც ტრაპიზუნდისაკენ უკუსვლას რამდენიმე დღე მოანდომა. ამაზონების ტერიტორია ტრაპიზუნდიდან სამხრეთ მთელ 300 კილომეტრზე, ხოლო ზღვიდან დაშორებით აღმოსავლეთის მიმართულებით ასევე ასეულ კილომეტრზე მდებარეობდა...

ფლავიუს არიანე, რომელსაც აქვს ანალოგიური დიდტანიანი ნაწარმოები ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ, ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ის ხელმძღვანელობს მაკედონელის თანამოლაშქრეების, არისტობულისა და პტოლომაიოსის მემუარებით. ეს ზუსტად ის პტოლომაიოსი ჩანს, რომელზე დაყრდნობითაც პლუტარქე აცხადებს ამაზონების დედოფლის ვიზიტს მოჭორილად...მაგრამ თავად ფლავიუს არიანესთან მოიპოვება საინტერესო მტკიცებულება ამაზონების არსებობის შესახებ, რომელიც უეჭველად არისტობულისა და პტოლომაიოსის მემუარებიდან იღებს სათავს:

„ ამ დროს მოვიდა ალექსანდრესთან ფარესმანი, ხორასმების მეფე, ათას-

ხუთასი მხედრით. ფარესმანი მოყვა, რომ ის ცხოვრობს მეზობლად კოლხების ტომისა და ამაზონებისა და მზადაა, თუ ალექსანდრე მოისურვებს, დაარტყას კოლხებსა და ამაზონებს, დაიმორჩილოს აგრეთვე ტომები, მცხოვრები ევქსენის პონტოსთან“ (იქვე წიგნი IV;15-4)

როგორც ეტყობა, ფლავიუს არიანეს ეს „ხორასმელი“ ფარესმანი სინამდვილეში ხორზენელია (გვიანდელი მელიტენა, ისტორიისათვის მცირე არმენიად ცნობილი). როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელმა შავი ზღვის სანაპიროზე ილაშქრა სინოპას კონცხამდე. თავად გენეტებთან (ხალიბებთან) მან სამშვიდობო ხელშეკრულება დადო, რომლის საფუძველზე გენეტები გაანთავისუფლა იმ ხარკისაგან, რომელსაც სპარსელებს უხდიდნენ. თავად მაკედონელი ზღვის გაყოლებით ჩრდილოეთისაკენ არ წამოსულა. ზუსტად აქაა ის კოლხეთი, რომლის მეზობლობასაც ფარესმანი ჩემულობს. აქვე , ამ კოლხების აღმოსავლეთის მეზობლად უცხოვრიათ ამაზონებსაც, თერმოდონტსა და ფასისს (მდინარე არაქსის ზემო წელი) შორის ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობისას. რაც შეეხება სტრაბონისელ ამაზონებს, მცხოვრებთ კავკასიის ქედის ჩრდილოთით, ეს უკვე მაკედონელის ლაშქრობის შემდგომი პროცესი ჩანს.

„როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ჰირკანიას ესაზღვრება ამაზონების ტომი, დასახლებული თემისკირას მინდორზე მდინარე თერმოდონტის სანაპიროზე. მათ ყავდათ დედოფალი ტალესტრისი, რომელიც მართავდა კავკასიასა და მდინარე ფასისს შორის. უნდოდა რა მეფის ნახვა, ის გამოვიდა თვისი სამეფოს ფარგლებიდან და უკვე ახლო მანძილიდან გამოუგზავნა ალექსანდრეს ცნობა, რომ მოვიდა დედოფალი, რომელსაც გატაცებით უნდა მასთან შეხვედრა და გაცნობა . მან მაშინთვე მიიღო ნებართვა მოსვლისა. უბრძანა რა დანარჩენ ნაწილს თავისი მხლებლებისა გაჩერებულიყვნენ და ელოდინათ, ის მოვიდა 300 ქალის თანხლებით...ნახა რა მეფე, ის ჩამოხტა ცხენიდან, ეკავა რა მაჯვენა ხელში ორი ხელშუბი. ამაზონების ტანსაცმელი არა სრულად ფარავს სხეულს; მარცხენა მკერდი მოშიშვლებულია, ყველაფერი დანარჩენი დაფარულია, მაგრამ ტანსაცმელი, კალთა რომლისას ისინი სკვნიან ნასკვად, არ ეშვება მუხლებს დაბლა. ისინი იტოვებენ მხოლოდ ერთ მკერდს, რომლითაც კვებავენ ბავშვს ქალთა სქესისას. მარჯვენა მკერდს ისინი იშანთავენ, რომ მოხერხებული იყოს მშვილდის მოზიდვა და შუბის ტყორცნა. ყოველგვარი შიშის გარეშე ტალესტრისი უყურებდა მეფეს, ყურდღებით სწავლობდა მის გარეგან შეხედულობას, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა მის დიდებას; ვინაიდან ყველა ბარბაროსი გრძნობს პატივისცემას დიდებული შეხედულებისადმი და ფიქრობს, რომ დიადი საქმეებზე ის ხალხია შემძლები, რომელიც ბუნებამ შთამბეჭდავი სახით დააჯილდოვა. კითხვაზე, უნდა თუ არა რამე თხოვოს

მეფეს, ის უყოყმანოდ გამოტყდა, რომ უნდა ჰყავდეს მისგან ბავშვი, ვინაიდან ის ღირსია იმისი, რომ მეფის მემკვიდრე იყვნენ მისი შვილები: გოგოს დაიტოვებს თვითონ, ხოლო ბიჭუნას გადაცემს მამას...ალექსანდრემ ჰკითხა, ხომ არ უნდა იბრძოლოს მის მხარეს, მაგრამ მან თავი იმართლა იმით, რომ არ დაუტოვებია დაცვა თავისი სამეფოსათვის, დაჟინებით თხოვდა, რომ ალექსანდრეს არ გაეცრუებინა მისი იმედები. ქალის ვნებამ, უფრო მოწადინებულმა სიყვარულისათვის, ვიდრე მეფე, აიძულა ის გაჩრებულიყო რამდენიმე დღით. მისი სურვილისთვის დახარჯული იქნა 13 დღე შემდეგ ის გაემართა თავის სამეფოში, ხოლო ალექსანდრე-პართიაში." (კვინტუს კურციუს რუფი, ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა. წიგნი VI, თავი 5-24)

კურციუს რუფი სწორად აღნიშნავს ამაზონთა სამშობლოს, თერმოდონტსა და თემისკირას, ამავე დროს ის მიუთითებს, რომ ამაზონები მეფობენ ფასისიდან კავკასიის მთებამდე. აქ უბრალოდ ამ ისტორიკოსის მცირე ცოდნა ჩანს გეოგრაფიაში; ცნობილია, რომ ამზონები ბინადრობდნენ მდინარეების, თერმოდონტის და ფასისის უშუალო სიახლოვეს...მაგრამ ეს ფასისი მდინარე არაქსის ზემიწელია მხოლოდ, რომელიც უშუალოდ თერმოდონტის სიახლოვეს გადის. რუფი არაქსის ფასისს აიგივებს საქართველოს ფაზისს-რიონთან, აქედან ასეთივე დასკვნები... როგორც ჩანს, რუფზე დაყრდნობით თვლის უხუცესი რუსი ისტორიკოსი ტატიშევი რუსებს და კოლხებს ნათესავებად: კოლხები მას ამაზონები ჰგონია, ხოლო ვოლგოგრადის და ვორონეჟის რუსები, სავრომატები ისტორიულად ამაზონების შთამომავალნი გონია...აი ასე, ამ მცდარი ვარაუდის საფუძველზე გახდა კოლხი და რუსი ისტორიკოს ტატიშევისათვის „სისხლისმიერი ძმები". ...და კიდევ, ჰირკანია და ხორასმები კოლხების მეზობელი არ და ვერ იქნება-ამას ალბათ ახსნაც არ სჭირდება...

...და ისევ სტრაბონი-ამ ისტორიკოსის მიერ მოწოდებულმა ცნობებმა საშუალება მოგვცა განგვასაზღვრა ამაზონთა ტომის მამაკაცური შემადგენელი, ეს ეოლიელებია, გარგარიელებად წოდებულნი. ამავე ხრონოგრაფის წყაროების სწორი გაშიფრვა იძლევა საშუალებას გაირკვეს ამაზონთა დღევანდელი მემკვიდრეები, ისინი ვინც სხვა ხალხებში გაითქვიფა და ისინიც, ვინც ასეთ ბედს თავი დააღწია. თემის დასაწყისშივე მოყვანილი იყო სტრაბონის ციტატა იმის შესახებ, რომ კავკასიის მთებში ცხოვრობენ ამაზონები და გარგარიელები, ფაქტიურად ცალ-ცალკე და მხოლოდ გამრავლების მიზნით ხვდებიან ერთმანეთს წელიწადში ორი თვე. ამავე ციტატის გაგრძელებაში სტრაბონი აზუსტებს მათ საცხოვრისს ცენტრალურ კავკასიონზე:

„მდინარე მარმოდა ხმაურით ვარდება მთიდან, გაივლის ამაზონების ქვე-

ყანას, სირაკენას და მათ შორის მდებარე უდაბნოს და ვარდება მეოტიდ-აში. გარგარიელები ამაზონებთან ერთად მოვიდნენ აქ თემისკირიდან; თუმცა შემდეგ აჯანყდნენ და დაიწყეს ომი ამაზონების წინააღმდეგ, რომ-ელიღაც თრაკიელებთან და ევბელებთან ერთად (რომლებიც თავიანთი მომთაბარეობით მოდიოდნენ აქამდე) შემდგომ შეწყვიტეს რა ომი, მათ მოილაპარაკეს ზემოთ მოყვანილ პირობებზე: მათ შორის იქნება ურთიერ-თობა მხოლოდ იმიტომ, რომ გააჩინონ შვილები, ხოლო ყოველი ტომი იცხოვრებს ცალ-ცალკე. ამაზონებზე თქმულებას დაემართა რაღაცა უცნა-ურობა . საქმე იმაშია, რომ ყველა სხვა თქმულებებში ისტორიული და მითიოლოგიური ელემენტები დაცალკევებულია. ხომ სიძველე, მოგონილი და საოცარი იწოდება მითად, ისტორია კი, იქნება ის ძველი თუ ახალი-ითხოვს ჭეშმარიტებას, ხოლო საოცრებებს მასში არა აქვს ადგილი, ან გვხვდება ისინი იშვიათად. რაც შეეხება ამაზონებს, მათზე ყოველთვის ადრე და ახლაც იყო ხმარებაში ერთი და იგივე ნათქვამი, ერთნაირად სა-ოცარი და დაუჯერებელი. ვინ, მაგალითად დაიჯერებს, რომ ლაშქარი, ტო-მი ან ქალაქი შედგება მხოლოდ ქალებისაგან, მამაკაცების გარეშე. გარდა ამისა, რომ შედგებოდნენ მხოლოდ ქალებისაგან, არამედ შეეძლოთ თარე-შის მოწყობა სხვის მიწაზე და დაემარცხებინათ არა მარტო მეზობელი ტომები, არამედ ეს ლაშქარი მივიდა დღევანდელ იონიამდე, რომ შეეძლო განეხორციელებინა ზღვისიქითა ლაშქრობა ატიკამდე? ნამდვილად ეს და-შვება თანატოლია იმისა, თუ ვიტყვით, რომ მაშინდელი მამაკაცები იყვნ-ენ ქალები, ხოლო ქალები-მამაკაცები. უფრო მეტიც, ასეთივე მითები ამა-ზონებზე გავრცელებულია ახლაც, და ჩვენი მისწრაფება დავიჯეროთ უფ-რო წარსული მითები, თანამედროვე კიდევ უფრო აძლიერებს ნახსენებ უცნაურობას. ყველა შემთხვევაში ყვებიან ამაზონების მიერ რამდენიმე ქა-ლაქის დაარსებას და მათი სახელი მომდინარეობს ამაზონებისაგან. მაგა-ლითად, ეფესო, სმირნა, კიმა, მირინა და ასევე მათი სასაფლაოები და სხვა სამახსოვროები. ყველა ახსენებს თემისკირას, ზეგანს თერმოდონტთ-ან და მთებთან, მათს ზემოთ ამღლებულებს ამაზონების ქვეყნად, ამტკი-ცებენ რომ ისინი იყვნენ განდევნილები აქედან“ (სტრაბონი, წიგნი XI, V-2-3-4)

საინტერესო, თუმცა მთელი რიგი მცდარი მოსაზრებებია მოცემუ-ლი სტრაბონის ამ ამომარიდში:

1. სტრაბონისეული მდინარე მარმოდა სხვა არაფერი არ შეიძლება იყოს, თვინიერ მდინარე ყუბანისა, რომელიც კავკასიონის ქედის სამხრეთ- დას-ავლეთ ნაწილში იღებს სათავეს, და რომელიც ტალღებს მართლაც მეოტ-იდაში მიაგორებს.

2. თავად სტრაბონის (თვითმხილველი ფეოფანის) სიტყვებით ამაზონები

ალბანეთსა და ლეგებს (უთუოდ ლეკებს) შორის ცხოვრობენ, რომელიც ამაზონთა საცხოვრისს აშკარად უფრო აღმოსავლეთით, უკვე მდინარე სულაყზე აჩვენებს (სტრაბონის სიტყვებით, მდინარე მარმოდა ამაზონების ქვეყანას გაივლის)

3. სტრაბონი გარგარიელთა საცხოვრისს თავიდან ტროას სიახლოვეს მიანიშნებდა მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე (აბსოლუტურად სწორადაც) შემდგომი მათი საცხოვრისი-მდინარე თერმოდონტი და თემისკირა ჩანს, ხოლო სულ ბოლოს ერთმნიშვნელოვნად კავკასიაში აღნიშნავს და ყველა შემთხვევაში ამაზონთა სეზონური ქმრები გარგარიელები, ანუ ეოლიელები, იგივე ხალდები, იგივე ჭანები არიან.

4. სტრაბონი აქ რომელიღაც თრაკიელებს და ევბოელებს (კუნძული -ხალკიდა) ასახელებს, რომლებიც გარგრიელებთან ერთად ამაზონებს ებრძოდნენ, თუმცა ბოლოს დაზავდნენ...ეს „ვიღაც“ თრაკიელები ალექსანდრე მაკედონელის თრაკიელი-ოდრისი მეომრები ჩანან, ჩრდილოეთ კავკასიაში დამკვიდრებულნი და ხაზარებად სახელდებული. რაც შეეხება ევბოელებს კუნძულ ხალკიდიდან:

„ასევე მოექცა ის ევბეელებს, რომლებიც სიკელიეში არიან“ (ჰეროდოტე, წიგნი VII-156)

სიკულები-ეს იბერები არიან, იბერიული ტომის წარმომაგენელი და იბერიელებივე არიან ის ხალხი, რომელსაც ისტორია ტატებს უწოდებს... გავს, რომ ამაზონები პირველად მართლაც გაცილებით აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ, მდინარე სამურისაკენ, საითაც ტატებიც ცხოვრობდნენ...

5. და ბოლოს, სტრაბონი თავადვე უარყოფს ავტონომიური დედაკაცური ტომის არსებობას, რაც ფაქტიურად მის მიერ ამ ტომის აღსაწერად გაწეული შრომის წყალში ჩაყრას ნიშნავს (და სხვათა შორის სრულიად არასწორადაც) ეს ტომი ბუნებაში ნამდვილად არსებობდა...

ისტორიული ექსკურსი

„არსებობენ აგრეთვე თრაკიელები, მცხოვრებნი ქალებისაგან ცალკე, მათ ეწოდებათ კტისტები და მათი თავშეკავების გამო ისინი ითვლებიან წმინდანებად და ცხოვრობენ ყოველგვარი შიშის გარეშე (სტრაბონი; წიგნიVII, III-3)

სტრაბონი აქ მისიელეთაგან (დღევანდელი სირია, მცირე აზია) ზოგიერთების ცხოვრებისწესს აღწერს, რომელიც ფაქტიურად გარგარიელების ანალოგიური ჩანს (უფრო სწორდ, ესენი იგივე გარგარიელები ჩანან, უკვე სირიელთა რიგებში მოქცეულნი, უთუოდ სტრაბონისეული თეთრსირიელები, პონტოს მხარეს მცხოვრებნი) მაგრამ აქ საინტერესო სიტყვა ქტისტი-მისი მნიშვნელობა და წარმოშობაა. სიტყვა კტისტი გაუგებარი ჩანს

სტრაბონისთვისაც და მისი კომენტატორისთვისაც. სტრაბონის მიხედვით ის ქალებისაგან თავშეკავებულ მამაკაცს აღნიშნავს, ხოლო კომენტატორისათვის საერთოდ გაუგებარი სიტყვაა. სიტყვა-სიტყვით დამფუძნებელს ნიშნავს. შემხვედრია ეს სიტყვა სხვაგანაც, ატალიდების (პერგამოს სუზერენი) დინასტიის დამფუძნებელთან, და კომენტატორის მიხედვით იმ გვარის წარმომადგენელს აღნიშნავს, რომელიც აღმატებულ დინასტიურ გვარს უდებს სათავეს. არც ერთი ზემოთ აღნიშნული განმარტება სწორი არ ჩანს:

„ამიტომაც, ამ ორი მიზეზის გამო სიტალკი (თრაკიელი ოდრისების მეფე) გაემართა სალაშქროდ ამინტას თანხლებით, ფილიპეს შვილისა, რომლის გამეფება მას უნდოდა მაკედონიის ტახტზე, ზუსტად ამავე მიზნით მასთან მყოფ ათენელ ელჩებთან და მათ მეთაურ გაგნონთან ერთად“ (თუკიდიდე, პელოპონესის ომები, წიგნი II-95, თარგმნა სტრატონოვსკისა)

და აქვე განმარტება: **გაგნონი -იყო ეკისტი (დამფუძნებელი) ქალაქ ამფიპოლისა და სარგებლობდა ცნობადობით თრაკიაში.**

საყურადღებოა, რომ უახლოეს წარსულში ამავე წიგნის ზუსტად იმავე სიტყვა **ეკისტის** ადგილას იჯდა სიტყვა **კტისტი**, რომელიც რასაკვირველია ზუსტად კოლონიის დამფუძნებელს (დამფუძნებლებს) ნიშავდა! (ამავე დატვირთვისა ჩანს სიტყვა **ქტიტორი,** თუმცა ის ეკლესიის დამფუძნებელს ნიშნავს) რასაკვირველია სიტყვა კტისტი კოლონიის დაფუძნებელს ნიშნავს და აქ ქალებისაგან თავშეკავებული ცხოვრების წესი არც არაფერ შუაშია. მართალია მისიაში (სირიაში) მართლაც ცხოვრობდნენ გარგარიელები, რომლებიც ცხოვრების ასეთ წესს მისდევდნენ (და ამაში რასაკვირველია ლომის წილი ამაზონებს მიუძღოდათ) თუმცა გარგარიელები სტრაბონისვე სიტყვენით ეოლიელები (ჭანები) იყვნენ და თრაკიულ ტომთან არც არაფერი აკავშირებდათ, თვინიერ მეზობლობისა. (37) ... და საინტერესო ფაქტი:

პონტოს დამოუკიდებელ სამეფოს მითრიდატე I უყრის საფუძველს (ქრისტემდე 302-266 წ) და მისი ზედწოდება კტისტია....

“მეფე არხელაეს დროს, ქვეყანა (კაბადოკია) დაყოფილი იყო 10 სანაცვლოდ. 5 სანაცვლო ითვლებოდა ტავრზე (მთათა სისტრმა მცირე აზიაში) -მელიტენა, კატაონია, კილიკია , ტიანიტიდა და გარსავრიტიდა“ (სტრაბონი, წიგნი XII; 1-3)

...და ერთი საინტერესო დეტალი: სტრაბონი ყველგან ამ ხალხის აღსანიშნავად ხმარობს სიტყვა ხალდს და არსად ჭანს...ასევე ხუთიოდ საუკუნის შემდეგ რომაელი დიდმოხელე და ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი ამ ხალხს ყველგან ჭანებად იხსენიებს და არსად ხალდებად... ამასთან პროკოპი კესარიელი ამ ხალხის სახელს ბერძნული დამწერლობის საშუალებით იმ ასოებით გამოხატავს, რომელიც რომაულ TZAN-ჭანს და

TZANA -ჭანეთს შეესაბამება. ვფიქრობ, სტრაბონისელი TIANA -TIANITIDA ზუსტად იმავეს უნდა ნიშნავდეს...თუნდაც იმიტომ, რომ სტრაბონისეული ეს აბრავიატურა შეესაბამება ქართულ თიანა-ს და კირილიცის ტიანას... ზუსტად ასევე თიანა ჰქვია საქართველოში ჭანების- სანარების ერთ-ერთ თემს, საიდანაც მიღებულია მათივე რაიონის სახელი თიანეთი, რაც თიანას თემის ბინადრობის ადგილს ნიშნავს ...და საერთოდ, სირიელებიეს რუმინული ტომებია, ბოშების ახლობლებისა, რომელზედაც თეთრის თქმა ძალიან გაჭირდება... არადა მთელი ზღვისწინეთის მცხოვრებლები სირიისა, ფაქტიურად პონტოს სამეფო, თეთრსირიელებად იწოდება... როგორც ირკვევა, თეთრსირიელებიდან რამდენიმე შემადგენელი დამტკიცებულად ქართველურია: მელიტენა და კილიკია-იბერიული, კატაონია-ხეთე ბი-ლაზების თანამემამულენი, ტიანა-თიანა და კომანა-ჭანური, ხალდეური ...და მხოლოდ სომხეთის მიმდებარე კომაგენა სირიული-მატიენური...შესაბამისად, პონტოს სამეფოს მთავარი შემადგენელი ქართველური ტომებია... თვინიერ გარსავრიტიდისა-ისტორიისათვის უცნობი ტომისა)...ზუსტად ეს ტიანელები და კომანელები, ისევე როგორც ხეთები ჩანან ზღვისპირა სინოპში ჩამოსახლებულნი, რომელთაც დანარჩენი თურქები ლაზებს უხმობენ (ერთი და იმავე ენის გამო) თუმცა ეს უკანასკნელნი უარყოფენ ლაზობას (სრულიად სამართლიანადაც, ისინი ჭანები არიან) და ასეთებად სამსუნელებს ასახელებენ, რომელთა დიდი ნაწილი მართლაც ლაზი უნდა იყოს, ოდითგანვე მცირე აზიაში მცხოვრები ხეთური- კენური ტომები, ხოლო ტრაპიზუნდის სიახლოვეს ძირითადად კოლხყოფილი ლაზები უნდა იყვნენ...

ჭანეთ-ლაზეთის გორდიას კვანძი

ჭანეთ ლაზეთის შესახებ სრული გაურკვევლობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ხალდივს-ხალდიას-იგივე ჭანივს ცალკე ქართველურ პროვინციად მიიჩნევს (და სრულიად სამართლიანადაც) ყოველგვარი ქართულის ხმალამოღებული დამცველი რაინდი-პავლე ინგოროყვა, რომელსაც საკითხის ასე განხილვის საფუძველს თავად ანტიკური ლიტერატურა (ნაწილობრივ) და ადრეული შუა საუკუნეების ბერძნულ-რომაული (ბიზანტიური) წყაროები აძლევს ...ზუსტად ამ საკითხში ილაშქრებს ინგოროყვას საწინააღმდეგოდ მავანი ნოდარ ლომოური თავის წერილში „ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის.“ მკითხველს ვთავაზობ ბატონი ლომოურის ამოსავალი წერტილების იმ პოსტულატებს, რომლის სრული მცდარობის გამო მის შემდეგ კვლევას საერთოდ აზრი ეკარგება. მკითხველს ვთავაზობ მოკლე ანოტაციას:

ლაზეთის სახელწოდების საკითხისათვის

შუა საუკუნეების გარკვეული ხნიდან, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო იწოდებოდა ლაზეთად, უფრო გვიან ლაზისტანად. ასე უწოდებდა საკუთარ თავს აქაური ქართული მოსახლება, როგორც აჭარის ავტონომიაში მცხოვრები, ასევე თურქეთის სახელმწიფოში მოქცეული. ნიკო მარი აღნიშნავდა, რომ თვით ჭანები საკუთარ თავს მხოლოდ ლაზებს უწოდებენ. მასვე მოაქვს თანმხლები ლაზის გადმოცემა, რომ კონსტანტინოპოლში ლაზებს უწოდებენ შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ყველა თურქს, თვით სამსუნელებსაც და სინოპელებსაც. სინოპელები ლაზებს უწოდებენ სამსუნელებს, სამსუნელები-ტრაპიზუნდელებს. მეორის მხრივ, რახან ძველთაგანვე ამ მხარის მოსახლეობას ჭანური ტომები შეადგენდნენ, სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია ჭანები და ლაზები, ორივე სახელი ან ერთმანეთს ცვლის, ან ერთად იხმარება, როგორც სრული შესატყვისი. ძველი წყაროები შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე არც ლაზებს იხსენებს და არც ლაზეთს. ამ სახელწოდების ტომები სრულიად სხვა მხარესაა დამოწმებული, ასე რომ ეს სახელი აღნიშნულ ოლქს გვიან დაუმტკიცდა. ქსენოფანტეს მიხედვით, ტრაპეზუნტი კოლხურია, მეზობლად დრილები და და მაკრონები, ხოლო ზღვის გასწვრივ მოსინეკები, ხალიბები და ტიბარანებია....ქრისტემდე VI საუკუნეს ჩამოყალიბდა კოლხთა სამეფო. ამ სახელმწიფოს სამხრეთი საზღვარი მდინარე ჭოროხს ს ამხრეთით არ ვრცელდებოდა, შესაბამისად ლაზისტანი კოლხეთის სახელმწიფოში არ შედიოდა. ჰეროდოტეს მიხედვით, სპარსეთის იმპერიაში XIX სატრაპიის სახელით შედიოდა მოსხები, ტიბარანები, მოსინეკები, მაკრონები და მარები. თუ მაკრონები გაიგივდება სანებთან (იგივე ჰეკატე მილეტელთან) მაშინ ეს იქნება სანების (ჭანების) პირველი ხსენება ამ რეგიონში...მოგვიანებით ლაზებმა გადმოინაცვლეს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე....

აი ის მოკლე და მცდარი პოსტულატები, რომელსაც ეყრდნობა ზემოთ ხსენებული მეცნიერი... შევეცადოთ განვიხილოთ ბატონი ლომოურის ის მცადრი ამოსავალი თეზისები, რომელსაც ლომოურის შემდგომი კვლევა აბსურდამდე დაყავს:

1. კოლხეთი, მიუხედავად პატივცემული მეცნიერის მტკიცებისა, ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან (დღევანდელი საბერძნეთის და ალბანეთის შესაყარზე) შავ ზღვაზე გადმოადგილებული კოლხების ერთმა ნახევარმა დაასახლა, რომელ გადასახლებასაც თავად ლეგენდარული აიეტი მეთაურობდა, ქრისტემდე XIV საუკუნის ბოლოს, უფრო ზუსტად 1308 წლის სიახლოვეს (და არა ჩვ. წ. აღრიცხვამდე VI საუკუნეს)

2. კოლხეთის დასავლეთი საზღვარი იმავე ჰეროდოტეს მიხედვით ფაზისთან (ფოთთან) გადიოდა; ხოლო სამხრეთი საზღვარი იმავე ქსენოფანტეს მიხედვით ტრაპიზუნდს სცილდებოდა (რამდენიმე ათეული, შესაძლოა ასეული კილომეტრითაც კი) და დიდი მანძილით სცილდებოდა ლომოურის მიერ აღნიშნულ საზღვარს მდინარე ჭოროხზე (და უბრალოდ გეოფრაფიის უცოდინარობაა ქსენოფონტეს მხრივ, რომელიც ტრაპიზუნდელ კოლხებს სხვა კოლხებად თვლის, არა ფაზისელების განუყოფელ ნაწილად)
3. ლომოურის მიერ მოხსენიებული მაკრონები (დიდები) სვანური ტომია და არავითარი საერთო არ ეძებნება სანებთან- იგივე ჭანებთან.
4. არ და ვერ აღწერდა ჰეკატე მილეტელი ჭანებს-იგივე ხალდებს, რამეთუ ჰეკატესეული ცნობები ძირითადად ზღვის სანაპიროზე მცხოვრებ ტომებს მოიცავს, ხოლო ჭანები კონტინენტის სიღრმეში ფიქსირდებიან, ფაქტიურად მთიელები არიან....თუ რასაკვირველია ეს უკანასკნელი ეგრეთწოდებულ "თეთრსირიელებში" და მათ ქალაქ ტიეიაში არ იგულისხმა...
5. სრულიად განსხვავებული (თუმცა ერთენოვანი) ჩანან ჭანების და ლაზების ტომები. ჭანები დეზინტეგრირებული ურარტუს ხალდეური მოსახლეობა ჩანს, სვან მაკრონებთან ერთად, ხოლო ლაზები-ხეთური...
6. ფინიკიური-ხეთური მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სახლდება ჭანების უძველესი საცხოვრისის ადგილზე, ჭანურ ენას ითვისებს ადგილობრივი მონათესავე მოსახლეობისაგან. ფინიკიურ მოსახლეობას რომაული და ბერძნული წყაროები ვენეტებს უწოდებს, (ეს სახელი ფლორენციელმა ეტრუსკებმა შეარქვეს) აღნიშნავს მათ არაორდინარულობას და „ციურ ჯადოქრებს" უწოდებენ საოცარ თვისებებსაც კი მიაწერენ (თუნცა ამ თვისებების შესახებ არაფერს გვიამბობენ) თავად ფინიკიური-ხეთური მოსახლეობის ეს ნაწილი საკუთარ თავს ქრისტემდე ალბათ XII საუკუნიდან ლაზს უწოდებს. (არ ვიქნები სწორი, თუ ვიტყვი რომ სახელდების ეს პრინციპი ჩემთვის უცნობია, თუმცა ამაზე ლაპარაკს ამჯერად თავს ავარიდებდი)
6. არსებული წყაროებით, ტრაპიზუნდთან მცხოვრები ლაზები კოლხყოფილები ჩანან... ადრე შუა საუკუნეებისათვის მთელ კოლხეთყოფილს, უკვე მდინარე კოდორსა და ტრაპიზუნდს შორის ლაზეთი ეწოდება, შუა საუკუნეებში ეწოდა ჩრდილო კოლხეთს სამარგალო, სამხრეთ კოლხეთყოფილი ისე ლაზეთად დარჩა... შესაბამისად, ლაზის საცხოვრისი ტრაპეზუნდამდეა. მაგრამ სად ცხოვრობს ჭანი- იგივე ხალდი?

1. მთავარი ანგელთა სახლისა

2. მთავარი ალძნიანთა, რომელიც იყო დიდი პიტიახში.

3. მთავარი მარდპეტთა

4. მთავარი ახპეტთა

5. მთავარი მამიკონიანი,
6. მთავარი ქვეყნისა კორდუქისა
7. მთავარი ქვეყნისა წოფენისა
8. მთავარი ქვეყნისა გარგარიისა, რომელსაც ერქვა მეორე პიტიახში
9. მთავარი ქვეყნისა რეშტუნთა
10. მთავარი ქვეყნისა მოკთა
11. მთავარი ქვეყნისა სივნიეთისა
12. მთავარი ქვეყნისა წავდეელთა
13. მთავარი ქვეყნისა უტიელთა
14. მთავარი ზარავანდისა და ჰერის მხარისა
15. მთავარი მალხაზიანთა ტომისა
16. მთავარი არწრუნთა

გრიგოლ პართელის ცხოვრება (პავლე ინგოროყვა)

უნდა გავაცნობიეროთ, რომ გრიგოლ განმანათლებელი -პართელი (239-326 წელი) არმენთა ამ სიით უდავოდ ტიგრან დიდისეულ დიდი არმენიის საზღვრებში ოპერირებს (სხვათაშორის, ისევე როგორც ჩვენ, როდესაც საქართველოს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ვახსენებთ...) შევეცადოთ იმ ცნობადი სათავადოების კლასიფიკაციას, რომელთა იდენტობა საეჭვოდაც არცა ჩანს:

N2. -მთავარი ალძნიანთა-აქ ალძნების ის პოლიტიკური ერთეული უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ჯერ კიდევ ჰომეროსი თავის პოემაში ალიზონებს-ალიძონებს უწოდებს და რომელთა ვინაობაში ვერ გაერკვა თავის დროზე სტრაბონი, რომელსაც ისინი ამაზონები ჰგონია…იმავე ტომი მასვე აღწერილი უჩანს მდინარე ბორისთენთან (დნეპრთან)-ჩანს ალიზონები ფარაონ ჰორემხების მიერ წამოსხმული სინდური ტომიდანაა (რუმინულ-მოლდავური)

N3. - მარდპეტებში ასევე მარდების პოლიტიკური წარმონაქმნი უნდა იგულისხმებოდეს, რომლებიც ბიზანტიის კეისარს არაბების თხოვნით ლაზიკაში, კოლხეთყოფილში უჩანს ჩასახლებული.

N5-მთავარი მამიკონიანთა, სპარაპეტი, ხალდები, ჭანები

N6. -მთავარი ქვეყნისა კორდუქისა-აქ უდავოს ქურთისტანის ის ნაწილია მოხსენიებული, რომელიც იმ პერიოდისათვის (ტიგრან მეორის ზეობისას) დიდი სომხეთის შემადგენლობაში იყო მოქცეული.

N7.-მთავარი ქვეყნისა წოფენისა-აქ კი ნამდვილად მცირე არმენია, სოფენაა ნაგულისხმევი.

N8.- მთავარი ქვეყნისა გარგარიისა-აი აქ კი უდავოდ გარგარიელები-ამაზონთა სექსუალური პარტნიორები არიან მოხსენიებული. მიუხედავად იმისა, რომ ამაზონთა სექს-პარტნიორებად სტრაბონი გარგარიელებს მხოლ-

ოდ კავკასიაში ასახელებს, ლოგიკური რეალობა სულ სხვას გვკარნახობს: სტრაბონის ეპოქისათვის გარგარიელები ცხოვრობენ იმ ქალაქებში, რომლებიც ოდითგანვე ამაზონების დაფუძნებულად ითვლებოდნენ და ზუსტად იმავე გარგარიელებს აღნიშნავს გრიგოლ პართელი ამაზონების ცნობილ საცხოვრისთან, თემისკირასთან და და მდინარე თერმოდონტის სიახლოვეს. ძნელია მტკიცება, რომ დღევანდელ თურქეთში, ქალაქ დიარბექერის მახლობლად მდებარე ქალაქი გერგერი გარგარიელების მკრთალი კვალი არის თუ არა ...ერთი ფაქტი სახეზეა, ქალაქი დიარბექერის მახლობლად ტიგრან დიდის ზეობისას მისი იმპერიის დედაქალაქი- ტიგრანოკერტი მდებარეობდა...დიარბექერიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში სამხრეთით კი ქალაქი გერგერი ფიქსირდება...ხოლო ტიგრანისეულ დიდ სომხეთში- იგივე გარგარიელების არსებობას აღნიშნავს გრიგოლ პართელი... ცხადი უნდა იყოს თუ რატომ არ ახსენებს თემისკირას და თერმოდომტზე სტრაბონი ამაზონებს (და გაარგარიელებს-მათ სექსუალურ პარტნიორებს). სავარაუდოა, რომ სინოპაზე ბერძენთა (კარიელთა) ახალშენის დაარსების კვალობაზე ამაზონებმა მოინდომეს მისი განადგურება... ამჯერად ამაზონებს სასტიკად დაუმარცხდათ (იმავე ჰეროდოტეს მიხედვით) ცოცხლად დარჩენილი ამაზონები და მათი თანმდევი გარგარიელები მცირე აზიის სიღრმეში ჩანან გადასახლებულნი, ასეული კილომეტრის მანძილზე. ისინი ინკორპორირებულნი ჩანან იმ ტერიტორიაზე, სადაც საუკუნეების შემდეგ, მცირე არმენია გადაიზარდა (სტრაბონის მიხედვით) განსაკუთრებით ტიგრან დიდის დიდ სომხეთში... სიშორის და მათი სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცევის გამო, სტრაბონი მათ უბრალოდ კარგავს მხედველობიდან...(41) ერთი რამე უდავო აქსიომა უნდა იყოს: ამაზონების სექსუალური პარტნიორები იმთავადვე გარგარიელები ჩანან, იგივე ეოლიელები, იგივე ხალდები-ჭანები...

N10.- მთავარი ქვეყნისა მოკთა-ვფიქრობ აქ გრიგოლ პართელი ტერმინ მოკის ქვეშ-მესხეთს გულისხმობს, დარიოს მეფის ბეხისტუნის წარწერებში მაკად ხმობილს, ხოლო ჰეროდოტესთან მოსხებად სახელდებულს. მოკელებში სავარაუდოდ ჭანები იგულისხმება, ლაზებისგან ჩრდილოეთით. კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, გრიგოლ პართელი აღწერს ტიგრან დიდის დიდ იმპერიას, რომელიც ერთ დროს მართლაც ფლობდა ვრცელ ტერიტორიებს მცირე აზიასა და კავკასიაში...

N13.- მთავარი ქვეყნისა უტიელთა-აქ კი ნამდვილად კასპიისპირა ტერიტორიები იგულისხმება უდებისა-იგივე ალბანელებისა. ეს ხალხი ალექსანდრე მაკედონელის ალბანელ მოლაშქრეებს წარმოადგენდნენ, ალბანთა სამშობლოდან- ილირიკიდან. დღესაც არსებობს ვენეციაში ქალაქი უდინე, თანამოსახელე და ცენტრი იმავე დასახელების პროვინციისა...და საფეხბ-

ურთო კლუბი „უდინეზე.“
N14.- მთავარი ზარავანდისა და ჰერის მხარისა- ეს დღევანდელი ჰერეთია, ოდესღაც ალბანეთის ნაწილი...

და მთავარი მამიკონიანთა, სპარაპეტი

N-5 მთავარი მამიკონიანთა, სპარაპეტი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ ნახევარში სომეხი პროფესორის- ადონცის მიერ დამტკიცებული იყო, რომ ტერმინ **ჩენების** ქვეშ ჭანები, იგივე ხალდები იგულისხმება. ზუსტად მამიკონიანთა თემის წინამძღოლის მონოლოგის საფუძველზე სომეხთა მეფის წინაშე, პროფესორი ადონცი ასკვნის, რომ ჩენები არა ჩინები-ჩინელები, არამედ სომეხთა მეზობელი ტომები ჭანები არიან. ზუსტად ისინი ფლობდნენ სომხეთის სამეფოს კარზე სპარაპეტის-სამხედრო საქმეთა კურატორის სახელოს...შესაბამისად, მამიკონიანთა თემი სრულიად ასიმილირებული ჩანს სომხურ ეთნოსში. თვით ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ მამიკონიანთა გვარი პერიფრაზირდება თუმანიანად ... საქართველოს და კონსტანტინე გამსახურდიას დიდ მეგობარს, ოვანეს თუმანიანს ბრწყინვალედ უნდა ჰქონდეს საკუთარი ქართველური წარმოშობა გათვითცნობიერებული-ქართველ სომეხთა დაპირისპირებისას წინა საუკუნის დასაწყისში, ის საკუთარ შვილებს დაემუქრა კიდეც ანათემით, თუ ისინი საქართველოს წინააღმდეგ გაილაშქრებენ...შესაბამისად, მამიკონიანთა თემი სრულიად ასიმილირებული ჩანს სომხურ გენომში... და რომელი ჭანები არიან მამიკონიანები?

„შემდეგ გვიამბობენ, რომ არმენია, წარსულში პატარა ქვეყანა, გააფართოვეს არტაქსისა და ზარიადრეს მეომრებმა... ისინი თავიდან იყვნენ ანტიოქის სარდლები, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ, გახდნენ მეფეები (პირველი სოფენის, აკილისენის, ოდომანტიის და რამდენიმე სხვა ოლქებისა, ხოლო უკანასკნელი მეფე ქვეყნისა არტაქსატის ირგვლივ) მათ საერთო ძალით გააფართოვეს საკუთარი სამფლობელოები, ჩამოაჭრესა რა ოლქები მეზობელ ხალხებს, სახელდობს: მიდიელებს მათ წაართვეს კასპიანა, ფავნიტიდა და ბასოროპედა; იბერებს -პარიადრეს მთისწინეთი , ხორზენა და გოგარენა, რომელიც მდებარეობს კირის (მტკვრის) მეორე სანაპიროზე, ხალიბებს და მოსინეკებს-კარიენტი და და ქსერქსენა, რომელიც ესაზღვრება მცირე არმენიას, ან ითვლება მის ნაწილად, კატაონელებს-აკილისენა და ოლქები ანტიტავრის ირგვლივ, და ბოლოს სირიელებს -ტარონტიდა. ამიტომაც ეს ხალხები დღეს ლაპარაკობენ ერთსა და იმავე (სომხურ.ავტ) ენაზე“ (სტრაბონი; წიგნი XI; XIV -5)

სტრაბონის მიერ მოხსენიებული მიტაცებული ტერიტორიებიდან იბერიის მეფე ფარსმან II შეძლო იბერიის (როგორც ჩანს, კავკასიის იბე-

რიის) ტერიტორიის, გოგარენას დაბრუნება, მაგრამ არა სხვა ქართველური ტერიტორიებისა- ხორზენასი მცირე აზიაში (42) და მიდიურად გამოცხადებული კასპიანისა, ხალიბური კარინისა და მოსინეკური ქსერქსენასი... და ვინ უნდა იყვნენ სტრაბონის ნახსენები ხალიბები და მათი კუთვნილი კარიენტიდა? მკითხველს ვაუწყებ, რომ სტრაბონისეული კარიენტიდა-ქართველთათვის კარნუ ქალაქია, კარინი (43)...მოგვიანებით მას ბიზანტიელებმა თეოდოსიუპოლი უწოდეს, უფრო გვიან არზრუმი-დღევანდელი ერზერუმი თურქეთის ტერიტორიაზე. ამ თეოდოსიუპოლის ასაღებად მიმართულ კომპანიას X საუკუნეში, აღწერს ბიზანტიის ამავე საუკუნის იმპერატორი, კონსტანტინე პორფიროგენტი. მისი სიტყვებით, ქართველებმა ბიზანტიელებს არ დაუთმეს ციხე-სიმაგრე, რომელიც თეოდოსიუპოლის ბლოკადისათვის აუცილებელი იყო:

„და იბერებს მუდამ სიყვარული და მეგობრობა ჰქონდათ თეოდოსიუპოლთან, აბნიკელებთან და მანძიკერტელებთან. იბერებს არ სურდათ, რომ თეოდოსიუპოლი განადგურებულიყო, არამედ უფრო მოწადინებული იყვნენ, რომ ის სურსათით მომარაგებული ყოფილიყო“

(გეორგიკა, ტომი IV, წიგნი II, კონსტანტინე პორფიროგენტი გვ 263-265)

...და რით ამართლებენ ქართველები თავიანთ ამ ქცევას?

„და რომ ეს ვქნათ, უპატივცემლობა იქნება ჩვენი მეზობლების მიმართ, მაგალითად აფხაზეთის მაგისტროსის და ვასპურაკანელის არმენიის <u>ზემარქის</u> მიმართ“ (იქვე)

ზემარქი-სავარაუდოდ ზუსტად სპარაპეტს, სამხედრო საქმეთა კურატორს- მინისტრს ნიშნავს... და რატომ იქნება ვასპურაკანელი არმენიის ზემარქისათვის კარინში იარაღის შეტანა უპატივცემულობა, ისედაც ცხადია-ეს ქალაქი უკვე დიდი ხნია არმენთა ხელდებულია...მაგრამ რა შუაშია აფხაზეთის მაგისტროსი? საქმე იმაშია, რომ აფხაზეთში ხალიბები დომინირებენ რომელნიც აქ დამკვიდრების დროს კენებად იწოდებიან. ისინი ფინიკიური ტომის-პუნების ის თემი ჩანს, რომელსაც არ განუცდია მიგრირება ადრიატიკის ზღვასა და ვენეციაში-ისინი მცირე აზიიდან სინოპას ნახევარკუნძულზე არა უგვიანეს ქრისტემდე XIV საუკუნეს ჩანან მოსული (ამ დროიდან ფიქსირდება სინოპას ნახევარკუნძულზე მეტალურგიის წინმსწრები განვითარება) აქვე აფიქსირებს მათ ჰომეროსი, თანაც წარსულ დროში პოემა „ილიადაში“. თუმცა კარიენტიდა კარნომანების ქალაქი ჩანს, ეს მათი დაარსებული ჩანს კენებისაგან მოშორებით საკუთარი ქალაქი პოლისი (ეტრუსკებისათვის დამახასიათებელი დამოუკიდებელი ინსტიტუტი) და რომელიც მოგვიანებით დიდი არმენიის ფარგლებში ექცევა. (კარნუ-ქალაქის სავარაუდო დამფუძნებლად ადრევე კარნომანები და ბაღვაშთა საგვარეულო იქნა დასახელებული, რაც ფაქტიუ-

რი მასალებითაც მაგრდება) ...კენებიც და კარნებიც სტრაბონის მიერ ხალიბებადაა აღქმული- ის უშუალოდ ხალიბებისათვის არმენების მიერ წართმეულ ტერიტორიას (პოლისს) კარიენტიდას უწოდებს, თუმცა ეს უკანასკნელი აშკარად კარნების ჩანს... და ერთიც უცილობელი ნონსენსი: აფხაზეთის პირველი მკვიდრნი- ხალიბები და ჭანები (ჩელებისეული დიდი და პატარა ჩანდები) სელევკ ნიკატორს მიერ სინოპოდან ამოყვანილი კოლონია ჩანს, დასახლებული ქრისტემდე IV-III საუკუნის გასაყარზე, თუმცა ეს უკანასკნელები ახალ სამოსახლო ადგილზე მხოლოდ ლაზურად (ჭანურად) მეტყველებენ... სად და რა გარემოების გამო ითვისებენ ისინი ჭანურს? როგორც ჩანს, აქვე სინოპზე... (44)

იმავე ვარდან მამიკონიანის სიტყვებით (და პროფესორ ადონცის დამტკიცებით) მამიკონიანები ჩენები-ჭანები არიან...და მაინც რომელი ჭანები?

„ტრაპიზუნდის და ფარნაკიის ზემოთ განლაცებული არიან ტიბარანები, ხალდები, სანები, რომლებიც ადრე იწოდებოდნენ მაკრონებად და მცირე სომხეთი...

„თანამედროვე ხალდები ოდესღაც იწოდებოდნენ ხალიბებად, ზუსტად მათი ოლქების პირდაპირ არის განლაგებული ფარნაკია“ (სტრაბონი; წიგნი XII, თავი III-18-19)

1. ახლა უკვე დანამდვილებით ვიცით, რომ სტრაბონის დროისათვის მაკრონები (დიდები) სინამდვილეში სვანები უკვე მინიმუმ სამი საუკუნეა იბერიაში ფიქსირდებიან. ისინი ქრისტემდე V-IV საუკუნის გასაყარზე ქსენოფანტეს მიხედვით ტრაპიზუნტს ზემოთ მთიანეთში დრეიფობენ, მაგრამ უკვე ნახევარ საუკუნეზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ უკვე გელებთან - ინგუშებთან ერთად ხვდებიან ალექსანდრე მაკედონელს ჩრდილო კავკასიაში პაროპამისელების სახელით.

2. ასევე დაზუსტებით ვიცით, რომ ხალდები არასდროს იწოდებოდნენ ხალიბებად. ეს უკანასკნელი აღმოსავლეთ -ქართველური ტომია და იწოდება კენებად, ხოლო ხალდების სხვა სახელი ჭანებია, იგივე სანები... თუმცა აქ შესაძლოა სტრაბონი ზუსტად ამ ხალიბებზე ლაპარაკობს-მცირე აზიის ტერიტორიაზე თვით ხმელთაშუა ზღვამდე ჭანები ამა თუ იმ სახელით ყველგან ფიქსირდებიან...

3. ქალაქ გირესუნს ორი პრეტენდენტი ყავს, კერასუნტი და ფარნაკია. ნებისმიერ შემთხვევაში წარსულის ფარნაკეა დღევანდელი ქალაქ გირესუნის უშუალო სიახლოვესაა საგულებელი.

რიორიტეტი ლაზეთ- ჭანეთის საკითხებში უთუოდ პროკოპი კესარიელს ეკუთვნის, V საუკუნის ისტორიკოსს და კეისარ იუსტინიანეს მოღვაწეობის აღმწერს:

„მაშინ რომაელებმა დაიჭირეს სპარსელთა ადგილები პერსარმენიელთა ქვეყანაში: სიმაგრე ბოლონი და ეგრეთ წოდებული ფარანგიონი, სადაც სპარსელები ოქროს თხრიან და მეფესთან მიაქვთ. ცოტა ხნის შემდეგ მოხდა ისე, რომ მათ დაიმორჩილეს ჭანეთის ტომი, რომელნიც თვითთავადნი არიან და ძველთაგანვე დამკვიდრებულან რომაელთა მიწაწყალზე... თუ როგორ მოხდა ეს, ახლავე იქნება ნათქვამი. არმენიის ადგილებიდან პერსარმენიაში რომ მიდიხარ, მარჯვნივ არის ტავრი (მთაგრეხილი) მიმავალი იბერიაში და იქ მოსახლე ხალხებისაკენ...ხოლო მარცხნივ მეტად დაქანებული, დიდ მანძილზე გადაჭიმული გზა არის, და აღმართულია მეტად ციცაბო და მუდამ ნისლითა და თოვლით დაფარული მთები, საიდანაც გამოდის მდინარე ფაზისი და მიდის კოლხების ქვეყანისაკენ; აქ მოსახლეობს ჭანების ტომი, თავიდანვე ბარბაროსები, რომლებიც არავის ქვეშევრდომები არ არიან. წინა ხანებში სანებად წოდებულნი, ირგვლივ მცხოვრები რომაელების მძაცველები; ისინი უაღრესად მკაცრ ცხოვრებას ეწეოდნენ და მუდამ ქურდობით ირჩენდნენ თავს. მიწა ხომ მათ არაფერს აძლევდა სარჩოდ; ამიტომაც იყო რომ რომაელთა მეფე ყოველწლიურად მათ ოქროს გარკვეულ რაოდენობას უგზავნიდა, რათა მათ არასოდეს გაეძარცვათ ის ადგილები. ისინიც იძლეოდნენ ამაზე მათში მიღებულ მამაპაპურ ფიცს, მაგრამ შემდეგ ფიცს ივიწყებდნენ და თავს ესხმოდნენ, მეტწილად მოულოდნელად და აწიოკებდნენ არა მარტო არმენიელებს, არამედ რომაელებსაც, რომლებიც ვიდრე ზღვამდე მათი მეზობლები იყვნენ: ცოტა ხნის შემდეგ, თავდასხმას რომ მოათავებდნენ, ისინი მაშინვე შინ ბრუნდებოდნენ და თუ ვინიცობაა ისინი რომაელთა ჯარს შეემთხვეოდნენ, ბრძოლაში მარცხდებოდნენ. ხოლო მათი ადგილების სიმტკიცის გამო, მთლიანად მათი დამორჩილება არ ხერხდებოდა. სიტტამ მაინც, ბრძოლაში დაამარცხა ჯერ კიდევ ომამდე, და იმით რომ მომხიბლავად ელაპარაკებოდა და ეპყრობოდა მათ, მან სრულიად შესძლო მათი გადმობირება: მკაცრი ცხოვრება უფრო ჩვილზე შეცვალეს და ეწერებოდნენ რომაელთა რაზმებში და ამიერიდან რომაელთა ჯართან ერთად მტრის წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. სარწმუნოებაც უფრო უფრო სანდომურზე გაცვალეს, ყველანი ქრისტიანები გახდნენ“ (Ceorgika 1965 წ; პროკოპი კესარიელი, გვ53-54)

კესარიელის ამ ამონარიდში ფიგურირებს ერთი პუნქტი-შეცდომა, რომელიც მის ამ ციტატის სისწორეს ეჭვქვეშ აყენებს-ეს ჭანეთზე გამავალი მდინარის ფასისად წოდებაა, რომელიც მისივე სიტყვებით მიდის კოლხეთისაკენ. სინამდვილეში, ჭანეთზე გამავალი მდინარე, ეს იმავე კესარიელისათვის ბოასია- დღევანდელობის ჭოროხი, რომელიც სინამდვილეშიც კოლხეთის დასაწყისისაკენ, სარფისაკენ მიაქანებს ტალღებს. (სავარაუდოდ, კესარიელის არა ქმედით შეცდომას მდინარე არაქსის ზემო წელი

იწვევს, რომელიც ფაქტიურად ისევე იწოდება- ფასისი, როგორც კოლხების დედამდინარე-ფაზისი...) თუ რა ტერიტორიაზე და კონკრეტულ ადგილზე საუბრობს მემატიანე, აუცილებელია პერსარმენიის მოძიება, რომელიც არსებითად განსხვავდება დღევანდელი სომხეთისაგან:

„პერსკაიკ- ბერძნულ ავტორებთან, სიგრიან- რომაულ ავტორებთან, არმენ ავტორებთან ნორშირაგანი, აშხარი დიდი არმენიისა.

აშხარი (პროვინცია, ოლქი) ნოხშირაკანი ანუ პერსხაიკი განლაგებულია დიდი არმენიის უკიდურეს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, დასავლეთით ურმიის ტბიდან-ირანის საზღვართან, რაზედაც მიგვითხრობს მისი მეორე სახელწოდება პერსხკაიკ (სიტყვა-სიტყვით პერსარმენია) ნოხ-შირაკანი სპარსეთის გარდა ესაზღვრება არმენიულ პროვინცია კორნაიკს სამხრეთიდან და ვასპურაკანს ქვეყნის დასავლეთში და ჩრდილოეთში. სასაზღვრო პროვინციის ხარისხში ნოხშირაკანს მართავდა განსაკუთრებული გენერალ-გუბერნატორი- ბდეხში. დიდი არმენიის გადანაწილების შემდეგ 387 წელს, დიდი ნაწილი ნოხშირაკანის პროვინციისა სახელწოდებით პერსხაიკი უშუალოდ შევიდა სპარსეთის შემადგენლობაში (ვიკიპედია)

როგორც ირკვევა, სტრაბონი აბსოლუტურად ზუსტად მიანიშნებს ხალდების (და ხალიბების) განლაგებას ტრაპეზუნტსა და ფარნაკიის (დღევანდელი გირესუნი) ზემოთ, მთებში... მაგრამ უკვე ზუსტად ვიცით, რომ სტრაბონი არასწორად აიგივებს სანებს (სინამდვილეში ჭანებს) მაკრონებთან-სვანებთან, რომლებიც მინიმუმ მთელი სამი საუკნეა გადაადგილებული ჩანან ჩრდილო კავკასიაში, მოსინეკებთან ერთად. რაც შეეხება ტიბარანებს, მათი ნაწილი გადაადგილებული ჩანან შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე (მაგრამ არა მთიანეთში-ეს ხალხი გამოკვეთილად ბარის მცხოვრებლებია)

...დრონი მეფობენ და არა მეფენიო... ბრძენის ნათქვამი ჩანს... პროკოპი კესარიელი ბარბაროსებს ეძახის ჭანებს, იგივე ხალდებს, თანამიმდევრულად შუმერის, ბაბილონის და ურარტუს მემკვიდრეებს, რომელთა კანონიკური სახელი ზუსტად ხალდეა ჩანს...ნაბუქოდონოსორ II მიერ განადგურებული ურარტუს სამეფოდან ლტოლვილნი... შემოფარებული ჩანან მისსავე უკიდურესად დასავლეთ, მთიან და ხრიოკ ადგილას, თუმცა პროკოპი კესარიელის სიტყვებით თვითთავადობას მაინც უხსოვარი დროიდან ინარჩუნებენ....საბედნიეროდ ამ პირუთვნელ ისტორიკოსს უხვი მასალა მოეპოვება ჭანების (ხალდების) შესახებ, საიდანაც მეტ- ნაკლებად ნათელი მოზაიკური სურათის მიღება არის შესაძლებელი:

„ კარგად ვიცი, რომ ზოგიერთს ძველი მწერალთაგანს ეს აღწერილი აქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ მათ ზედმიწევმით არა აქვთ ყველაფერი განხილული: ზოგი მათგანი ამბობს, რომ ტრაპიზუნდელთა მოსაზღვრენი არიან სა-

ნები, რომლებსაც ახლა ჭანები ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაირად ლაზ-ებს რომ ეძახიან, რომელნიც ახლა იმავე სახელს ატარებენ, თუმცა არც ერ-თი მათგანი სიმართლეს არ შეესაბამება .ჭანები ხომ ზღვის ნაპირას ძალი-ან- არიან დაშორებულნი და არმენების გვერდზე ცხოვრობენ შუა ხმელე-თზე და შუაში აღმართული მრავალი მეტად მიუვალი და სრულიად ციცაბო კლდით. უზარმაზარი ქეყანა, სრულიად უკაცური გარდაუვალი თხრილები, ტყიანი მწვერვალები და უგზო-უკვლო ნაპრალები. ყველა ამ-ით ჭანები გამოირჩევიან როგორც არაზღვისპირა მცხოვრებლები. კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ ლაზები, ვინაიდან ფაზისის მდინარეზე მოსა-ხლეობენ. ხოლო სახელი კოლხები, როგორც სხვათა მრავალი ტომისა, ამჟ-ამად ლაზებად შეიცვალა…

ამრიგად ეს პონტო იწყება ბიზანტიიდან და ქალკედონიდან. ხოლო მთავრდება კოლხების ქვეყანასთან. პონტოში რომ შედიხარ, მარჯვნივ ცხო-ვრობენ ბითვინიელები და მათი მეზობლები ონორიატები და პაფლაგონე-ბი, რომელთაც უჭირავთ ზღვისპირა ქალაქები ჰერაკლეა, ამასტრისი, და სხვა ადგილები. ამის შემდეგ ცხოვრობენ ეგრეთ წოდებული პონტოელე-ბი ვიდრე ტრაპიზუნდის ქალაქამდე და მის საზღვრამდე. აქ სხვა ზღვისპ-ირა ქალაქებს შორის არის სინოპი და ამისე, ხოლო ამისეს მახლობლად არის თემისკურე და მდინარე თერმოდონტი, სადაც როგორც ამბობენ, ამ-აზონთა ბანაკი იყო...

რიზემდე, რომელიც ლაზიკეში ზღვით მიმავალისათვის ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული ტრაპიზუნდს. ამ ადგილებში მარცხნივ აღმართულია ჭანეთის მთები, რომელთა გადაღმა რომაელთა ქვეშევრდო-მი არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის მთიდან ჩამოდიდ მდინარე ბოა-სი, რომელიც შემდეგ, როდესაც გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლ-ის მთაგორიან ადგილებს ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ევქსენის პონტოს. მაგრამ აქ უკვე აღარ ეწოდება ბოასი... ადგილო-ბრივი მცხოვრებლები აკამფსისს უწოდებენ...ასე რომ პონტოს ამ ადგილ-ას მცურავნი ვერც შიგ ლაზიკაში ახერხებენ შენავებას, და არც იქიდან გამოსვლაას და ვერც ახლოს გაცურვას, ვინაიდან არსად არ შეუძლიათ დაიმორჩილონ წყლის დინება. რიზეს მოსდევს ხალხი, რომელნიც რომაე-ლებს და ლაზებს შორის მოსახლეობს. იქ მდებარეობს ერთი სოფელი, ათ-ინა...ათინას შემდეგ მდებარობს არქაბე და აფსარუნტი, რომელიც კაი სამი სავალი დღით არის დაშორებული რიზეს. ის ძველად აფსარუნტად იწო-დებოდა...ამბობენ აგრეთვე, რომ რომაელი თვითმპყრობელი ტრაინაეს ერ-აში აქ ვიდრე ლაზების ქვეყანამდე დაფუძნებული იქნა რომაელ ჯარისკ-აცთა რაზმები. ამჟამად იქ მცხოვრებლები არც რომაელთა მეფის და არც ლაზთა მეფის ქვეშევრდომნი არ არიან, გარდა იმისა, რომ რადგან ისინი

ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მღვდელმთავრებს. ამ ადგილას მაღლა აღმართულია მეტად ციცაბო მთები და გადაშლილია უმ-ეტესად უდაბური ადგილები. ამის გაღმა ცხოვრობენ ეგრეთწოდებული პერსარმენიელები და არმენიელები, რომლებიც რომაელების ქვეშევრდომ-ნი არიან და რომელთა მიწაწყალი იბერიის საზღვრამდე ვრცელდება. ქა-ლაქ აფსარუნტიდან ქალაქ პეტრამდე, სადაც ევქსენის პონტო თავდება, ერთი დღის სავალი გზა არის, ეს პონტო რომ მთავრდება, იქ ქმნის ნახ-ევარმთვაერის მსგავს ნაპირს. ამ ნახევარი მთვარის გადასავალი უდრის 550 სტადიონს, ხოლო მის უკან მდებარე ქვეყანა არის ლაზური და ასეც ეწოდება“ (იქვე, გვ 120-125)

პროკოპი კესარიელის ეს საკმაოდ მრავალსიტყოვანი ამონარიდი შესაბამის გამხილვას მოითხოვს:

1. ტრაპიზუნდელებს მართლაც ესაზღვრებიან ჭანები სამხრეთ-აღმოსავლე-თის მხრიდან, მაგრამ საკმაოდ დაშორებით-კესარიელის ნახსენები მაღა-ლი და ციცაბო მთები გადაჭიმულია ზღვის სანაპიროდან საკმაოდ დაშო-რებით, საშუალოდ 50 კილომეტრით, რაც ავტორს ჭან-ტრაპიზუნდელთა მეზობლობის საეჭვოდ ჩათვლის საფუძველს აძლევს.

2. პროკოპი კესარიელი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჭანები მთიელები არიან და არა ზღვისპირა მცხოვრებლები. ჭანების მტერთათვ-ის მიუვალ მთებში ცხოვრებას ერთი მარტივი მიზეზი განაპირობებს: ისი-ნი ქრისტემდე VI საუკუნეს ურარტუს დეზინტეგრირებული მოსახლეობ-ის (სტრაბონი სამართლიანად უწოდებს მათ ხალდებს) ის ნაწილია, რომ-ელმაც ზუსტად ამ მთიანეთის საშუალებით შეინაჩუნა საკუთარი თავის-უფლება საკუთარივე ტერიტორიის ნაწილზე, როგორც კესარიელი უწოდ-ებს თვითთავადობა...

3. პროკოპი კესარიელის ნახსენები პონტოელების ნაწილი სინოპელები, ეს უსათუოდ კენების, ხალიბების ნაწილი ჩანს, ხოლო მის გაგრძელებაზე ამ-ისეზე (დღევანდელი სამსუნი) და ტრაპიზონდს შორის მცხოვრები ხალ-ხი-ეს სტრაბონისეული მელიტენაა, მისგანვე მცირე არმენიად წოდებული, სინამდვილეში იბერიული ტომი, რომელთა მეფემაც ჭაბუკ მითრიდატე ევპატორს საკუთარი ტახტი დათმო...

4. ავტორის აღნიშნვით, ტრაპიზუნდიდან რიზემდე და მას იქითაც მარცხნ-ივ აღმართულია ჭანეთის მთები, სადაც ლოგიკურად მთებში მცხოვრები ჭანები უნდა ცხოვრობდნენ...

5. კესარიელის მიერ ქალაქ ტრაპიზუნდის რომაულ მოსახლეობად შერიც-ხულთა დიდი ნაწილი სინამდვილეში კოლხყოფილია -ქრისტემდე V-IV სასაუკუნის მიჯნაზე ტრაპიზუნდში გავლით მყოფი ბერძენი ისტორიკო-სი და მოლაშქრე, ქსენოფანტე მას კოლხურ ქალაქს უწოდებს, თუმცა მის

ელიტას საბერძნეთიდან ჩამოსული ბერძენი მოახალშენები წარმოადგენენ. ბერძენთა ტერიტორიულ ექსპანსია კი ყოველთვის ეთნიკურ ექსპანსიაზე, მცხოვრებთა გაელინებაზე გადადიოდა...

5. პროკოპი კესრიელი ამ ამონარიდში ასწორებს საკუთარივე შეცდომას და ჭანეთის მთავარ მდინარეს ბოასს (ხარს) უწოდებს, მაგრამ რომელ ლაზურ ტერიტორიებს ჩაუვლის ის გავაკების შემდეგ? ამ შეკითხვაზე ალბათ პასუხს მისივე მორიგი ამონარიდი გაგვცემს... ხოლო რაც შეეხება რიზედან აფსარუნტამდე მცხოვრებ ხალხს, ესენი ყოფილი იბერიელები- იგივე ტიბარანების ნაწილი არიან, რომლებიც (წინა ტომში აღწერილი ტიბარანიაზე მასალების მიხედვით) მხოლოდ XI საუკუნეში იწოდებიან გურიად...

„მგონი უადგილო არ იქნებოდა აღმეწერა აქ ჭანთა ტომები, ვინაიდან ისინი არმენიელთა მეზობლები არიან. ჭანები ძველთაგანვე თვითთავადნი იყვნენ და არავის ემორჩილებოდნენ და რაღაც ველურ ცხოვრებას ეწეოდნენ...ყოველთვის ცათამბჯენ კლდეებსა და უზარმაზარ მთებში ცხოვრობდნენ. მიწას კი არასდროს არ ამუშავებდნენ. ხეებზეც კი, რომელიც ჭანეთში ჭარბადაა, ყვავილიც კი არ გამოდის, ვინაიდან იმთავადვე არც წელიწადის დროები ენაცვლებიან ერთმანეთს, ამდენადაც მიწას წელიწადის დროის შესაფერისი ტენიანობა და სიცივე არ ხვდება, არც არც მზის სითბო ელამუნება. მთელი ქვეყანა დაუბოლოებელი ზამთრის ხვედრი გამხდარა და მუდმივი თოვლითაა მოფენილი. ამის გამო ჭანები თვითთავადნი ცხოვრობდნენ.

იუსტინიანეს მეფობის დროს ისინი დამარცხდნენ რომაელებთან ბრძოლაში-რომაელებს ჭიტა სარდლობდა-დაჰყარეს იარაღი და პირდაპირ მიეკედლნენ მას: ნაცვლად სახიფათო თავისუფლებას იოლი მონობა არჩიეს. თავისი სარწმუნოებაც გაცვალეს მაშინვე სათნო სარწმუნოებაზე და ყველანი ქრისტიანები გახდნენ...რომაელებთან ერთად ლაშქრობდნენ ხოლმე მუდამ მტრების წინააღმდეგ... ძნელმისავალია ჭანეთი ფრიად, ცხენოსანი სრულიად ვერ გაივლის იქ, ვინაიდან ყოველგნით მორკალულია უმეტესად კლდოვანი და ტყიანი ადგილებით...

ეს ქვეყანა სამ გზაჯვარედინად არის გასერილი. აქედან იწყება ხომ გაყრას რომაელთა, პერსარმენიელთა და ჭანთა საზღვრები...აქ იუსტინიანემ მტკიცე ციხე- სიმაგრე ააგო, სახელად ჰორონონი...აქვე ჩააყენა ჯარის მთავარი, რომელსაც დუკს ეძახიან. ერთ სოფელში, რომელიც ჰორონონიდან ორი დღის სავალი გზითაა დაშორებული და სადაც საზღვრებია ეგრეთწოდებული <u>ოკენიტი ჭანებისა</u> (ჭანები ხომ მრავალ ტომად განიყოფიან) რაღაც სიმაგრე იყო, რომელიც კარგა ხანია უკვე ნანგრევებად იყო ქცეული მოუვლელობის გამო, მისი სახელია ხარტონი. იუსტინიანე მეფემ ის განაახლა, ჩაასახლა ხალხი ბლომად და დაავალა ამ მხარის დაცვა და მო-

ვლა. აქედან რომ მიდიხარ აღმოსავლეთის მიმართულებით, აქ ააგო იუსტინიანემ ციხე-სიმაგრე, სახელად ბარხონი. გაღმა მთის ძირას ბოსლებია, სადაც ეგრეთწოდებული ოკენიტი ჭანების საქონელია მოთავსებული, რომელსაც ჭანები ინახავენ არა მიწის ხვნის დროს გამოსაყენებლად, ვინაიდან ჭანები სრულიად უმაქნისნი არიან და მათთვის მიწათმოქმედების სამუშაოები უცხოა, როგორც უკვე ვთქვი და არც ხვნა იციან და არც მიწათმოქმედების სხვა საქმენი...საქონელს ისინი ინახავენ იმისათვის, რომ წველონ ხოლმე და მისი ხორცით გამოიკვებონ თავი. შემდეგი მთის იქით, სადაც დავაკებულ ადგილას სოფელი კენა არის, დასავლეთის მიმართულებით რომ იარო, არის ერთი ციხე, სახელი მისი სისალასიონი, რომელიც ძველთაგანვე აუშენებიათ, ხოლო დროთა ვითარებაში გაუკაცურებულა. იუსტინიანე მეფემ ის განაახლა და როგორც სხვა ციხეში, აქაც რომაელ ჯარისკაცთაგან შემდგარი საკმაო რაოდენობის მცველი რაზმი ჩააყენა... აქედან ჩრდილოეთის მიმართულებით...ააშენა ციხე, სახელად ბურგუსნოისი, რომელიც სისილასიონიდან ერთი დღის სავალზეა... აქედან ეგრეთ წოდებული კოქსილანი ჭანების საზღვარი იწყება... ამჟამად აქ აგებულია ორი ციხე: ერთ-ერთი ეგრეთწოდებული სქამალიხონი და მეორე ის, რომელსაც ჯანზაკონს უწოდებენ. აქ იუსტინიანემ ჯარის მეორე მთავარიც ჩააყენა“ (იქვე, გვ 217-218)

პროკოპი კესარიელის ეს ამონარიდი სკრუპულოზულადაა განსახილველი, ვინაიდან აქ უჩანს დასახელებული ტომები, რომლებიც ვითრების გარკვევის საშუალებას იძლევა. მოვიყვანოთ უძველესი ლოგოგრაფოსის, ჰეკატე მილეტელის (ქრისტემდე VI საუკუნე) ცნობების ნაწილი, რომელიც ამ სანაპიროს აღწერს:

185. კორაქსები, კოლხური ტომი, კოლების მეზობელი. კორაქსების ქვეყანა და კორაჩეს კედელი.

186. კოლები, ხალხი კავკასიის მთებთან, კავკასიის მთისწინეთი, კოლების მთად იწოდება კავკასიის მთისწინეთი.

187. ჰეკატეს მიხევით ფაზისი არ ერთვის ზღვას.

188.მოსხები, კოლხური ტომი, მატიენების მეზობელი.

ჰეკატე მილეტელის ეს ნაწყვეტი I ტომშიც იყო განხილული. საქმე ისაა, რომ ჰეკატეს ორი კონტინენტი, ევროპა და აზია აქვს გამხილული და ეს ნაწყვეტი ზუსტად აზიიდანაა, რომელიც ჰეკატესთან მდინარე ფაზისთან, რიონთან იწყება. შესაბამისად, ჰეკატესეული კორაქსები გვიანდელ აფხაზეთში მცხოვრები ვერ იქნება...ვერ იქნება ჩემგან ხაზგასმული კორაჩეს კედელი ჰეკატესეული, ვინაიდან ის ბიზანტის იმპერატორის იუსტინიანეს გაშენებულია VI საუკუნეს და არც კორაჩეს ქვეყანა არსებობს ბუნებაში: ის გვიანდელი ჩამატებულია შეცდომით...შესაბამისად, ჰეკატეს ნახსე-

ნები კორაქსები ზუსტად პროკოპი კესარიელისეული **<u>კოქსილანი ჭანები</u>** არიან, ჭანებთაგან უკიდურესად ჩრდილოეთში მცხოვრებნი... და კიდევ, პროკოპი კესარიელი კოქსილანი ჭანების საზღვარს უჩვენებს (ალბათ უკ-ლაზებთან-კოლხყოფილებთან) და არა კორაქსების ქვეყნის საზღვარს...

ასევე კოლები (ჯერჯერობით არტაანის გარეშე, როგორც I ტომში აღინიშნა) დანამდვილებით კოლხები, ცხოვრობენ ამ **<u>კოქსილანი ჭანების</u>** თემის დასავლეთით...შესაბამისად ბათუმთან და გონიოსთან უფროა ახ-ლოს დასავლეთისკენ ცხოვრობენ ჭანები, უფრო მოშორებით კოლხები...

ჰეკატეს სიტყვები, ფაზისი რომ არ ერთვის ზღვას, მიანიშნებს მხო-ლოდ ერთს: ჰეკატე აქ ფაზისზე არ საუბრობს, მას მხედველობაში აქვს არ-აქსის ზემო დინება ამავე სახელით და გადასულია ხმელეთის სიღრმის აღწერით...

ზუსტად მესხები (ალბათ იმერლები-არტები) აქვს აღწერილი ჰეკ-ატეს მატიენების გვერდით (ეს გვიანდელი კომაგენაა არმენების გვერდით, რუმინულ-სირიული ტომი) და მათ კოლხებად ახსენებს...არასწორად...

<u>ოკენიტი ჭანები</u>, რომელზედაც ზემო ნაწყვეტში ლაპარაკოდს პროკ-ოპი კესარიელი, ვერ იქნებიან **<u>სკენიტი ჭანები</u>**...იმიტომ რომ იქვე ლაპარ-აკობს მათ სოფელ **<u>კენაზე</u>**, რომელიც ამ ტომის კენობას- ხენობას, და შესა-ბამისად მათ ხეთობას უსვამს ხაზს....

...და საერთოდ დწყებული ხეთური ტომიდან (რომელიც ითვისებს ჭა-ნურ ენას, თუმცა პირობითია ამ ენას მოჭრილად ჭანური უწოდო, ამავე ენას ხმარობს კოლხიც და იბერიც, ყოფილი პელაზგები) ამ საერთო ენის მატარებლები ლაზებად იწოდება...

...და ჰეკატე-ისევე როგორც პროკოპი კესარიელი, აღწერისა ტრაპიზუ-ნდამდე ჩასული არ ჩანს...დავიმახსოვროთ...

აი ამ შემთხვევაში, დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ პროკოპი კესარიელისეული ლაზები- ეს კენები არიან, რომლებიც ჭანებზე ოდნავ ქვემოთ ჭალებში ცხოვრობენ, რომელსაც ჭანეთიდან მომავალი მდინარე ბოასი ჩამოუვლის. მათ მიერ მოწყობილი საზღვრები ერთის მხრივ ჭანებ-თან ხარტონი და მეორე მხარეს სისილასიონი (ასევე კოქსილან ჭანებთან, კესარიელის სიტყვებით) ნათლად აჩვენებს, კენებს-ხალიბებს, იგივე ფინიკ-იური წარმოშობის ტომებს თავიდან განზოგადოებული პოზიცია ეჭირათ, თუმცა ჭანეური ენის ათვისებისა და მათში აღრევის შემდეგ ამ ციხეებმ-აც ფუნქციები დაჰკარგეს(45) რასაკვირველია ისინი სინოპიდან, მათი მც-ირე აზიური სამშობლოდან ჩანან აქ გადმობარგებული, თუმცა ტომობრი-ვი იდენტურობის გამო, ანტიკური მწერლები მათ ენეტიკიდან-ვენეციიდ-ან გადმობარგებულებად, ანდა სულაც პირიქით, ვენეციაში სინოპიდან მი-გრირებულებად თვლის. საინტერესოა, რომ ვენეციაში მიგრირების დროდ

ტროას ომის დამთავრების თარიღს მიანიშნებენ, რაც ფაქტიურად ემთხვევა კიდეც ტირსენ ატისის ძის იტალიურ ექსპედიციის და მიგრაციის დროს.

პროკოპი კესარიელის სიტყვებით, სანებს ახლა ჭანები ეწოდებათ, ხოლო კოლხებს-ლაზები...პირველ შემთხვევაში მისი სიტყვები უკამათოა, თუმცა მეორე შემთხვევაში შეიძლება საკამათო იყოს. როგორც ადრე ითქვა, ლაზები ვენეტების ზედწოდებაა...ზუსტად ასევე, სინოპელი ფინიკიელები--ხეთები-პუნები, რომელნიც ჭანურ ენას ითვისებენ, ავტომატურად ლაზები ეწოდებათ...ზემოთ ნახსენები ოკენიტი ჭანები- სინამდვილეში კენებია, რამდენადაც ჭანებად იხსენიებიან, ცხადია ჭანურ ენას ფლობენ-შესაბამისად, ყველა ნიშნით ისინი უკვე ლაზები არიან. ლაზები არიან ხელვაჩაურის რაიონის მცხოვრებლებიც, რომელთა სახელში პირდაპირ იკითხება ხენი- კენი ვაჩეს საცხოვრისი, მაჭა-ხენაში, ხენების საზაფხულო სადგომი... უფრო მეტიც, აჭარა-ჭანების საცხოვრისს ნიშნავს. (ვერსია აჭარის თურქული წარმოშობის შესახებ, თითქოს აჭარი თურქულად წიფელს ჰქვია და რეგიონსაც მის მიხედვით დაერქვა ეს სახელი, კრიტიკას ვერ უძლებს-აჭარას ამ სახელს და საერისთავოს უკვე X საუკუნეში ასახელებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენტი, ხოლო დიდი თურქობა საუკუნეზე მეტის შემდეგ იწყება)

უცნობია, კოლხები ავტომატურად იღებენ ლაზების საელწოდებას (ტომის მიერ სახელის სრული ცვლა ანტიკურ ეპოქაში იშვიათი მოვლენა არ არის. ჰეროდოტეს მიხედვით, მიდიამდე სულ ორი ტომი ცხოვრობს, კოლხები და სასპერები, თუმცა სასპერების ტომის დისლოკაციის ადგილს საერთოდ არ მიუთითებს-საკმაო დრო დამჭირდა მის მოსაძებნად...ჰეროდოტესათვის ეს ტომი უკვე კილიკიელებია, რომლის დასავლეთი ნაწილი სპერს (შავ ზღვას) უწევს, სტრაბონისათვის-მაზაკიელები, პლუტარქესათვის- სკენიტები...

ევპატორიდები და ატალიდები

ეს ორი სამეფო გვარი ფაქტიურად არ და ვერ უკავშირდება ერთმანეთს...თუმცა ისტორიულად ამ დამყარებულ (უფრო სწორად დაუმყარებელ) ურთიერთობაში გარკვეული ლაფსუსი და მინიშნება ნამდვილად არსებობს. დავიწყოთ იქიდან, რომ მითრიდატიდების სამეფო დინასტიის დამფუძნებელს ისტორიაში მითრიდატე **კტისტი**- (46) დამფუძნებელი ჰქვია. სინამდვილეში **ქტისტის** წოდება- ეს ფაქტიურად იმ კოლონიას ენიჭება, რომელიც აღმოცენდება მეტროპოლიიდან მნიშვნელოვანი მანძილის (ხშირად რამდენიმე ასეული) კილომეტრის იქით... და რომელი კოლონა დაარსეს მითრიდატიდებმა? (მითრიდატე I კტისტი -ქრისტემდე 302 - 266 წ)

ისტორიაში ცნობილია კოლონია, რომელიც აღნიშნულმა პიროვნებამ (შემდგომში მეფემ) დააფუძნა, ეს პონტოა...ერთი კი დანამდვილებითაა ცნობილი, მეფე მითრიდატე ევპატორი სინოპშია დაბადებული, ტრაპიზუნდიდან 300 კილომეტრით სამხრეთით...რაც შეეხება ატალიდებს (პერგამოს სამეფო დინასტია):

„რაც შეეხება კავკონებს. მათზე ამბობენ, რომ ისინი ცხოვრობდნენ სანაპიროზე უშუალოდ მარიანდინების შემდეგ, მდინარე პარფენიაზე (მათი ქალაქი იყო ტიეია) ერთნი ფიქრობენ მათ სკვითებად, სხვები მაკედონელების რომელიღაც ტომად, მესამენი პელაზგებად. მისი (კალისთენე, ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე) **სიტყვებით, კავკონების ტერიტორია გადაჭიმული იყო ჰერაკლიიდან და მარიანდინების ოლქებიდან თეთრსირიელებამდე, ეგრეთ წოდებული კაბადოკიისაკენ და კავკონთა ტომი ცხოვრობს მდინარე პარფენიამდე** (დღევანდელი მდინარე ბარტინი თურქეთში, სინოპიდან 200 კმ-ით სამხრეთით) **მაშინ როდესაც მეზობელი ტომები გენეტებისა მფლობელები ქალაქ კიტორისა, ცხოვრობენ პარფენიის იქით“ (სტრაბონი; წიგნი XII, III-5)**

სტრაბონი აქ არ და ვერ აკონკრეტებს, თუ ვინ შეიძლება იყოს მის მიერ ნახსენები გენეტები, თუმცა ის ამას აკეთებს ოდნავ მოგვიანებით: მისი სიტყვებით ზუსტად აქედან წასული ენეტების ნაწილი (ტროას ომის შემდეგ) აფუძნებს ენეტიკას- დღევანდელ ვენეციას ადრიატიკის უშორეს სანაპიროზე.

„სანაპიროს ჰერაკლეამდე (შესაბამისასდ ქალაქ ტიეიას ჩათვლით) **ფლობდა მითრიდატე ევპატორი“ (იქვე; III-9) ... „მდინარე პარფენიის შემდეგ მოდის ამასტრია....ამასტრია დააფუძნეს ქალაქებმა სესამამ, კიტორმა, კრომნამ და ტიეიამ. ეს უკანასკნელი მალე ჩამოსცილდა ამ გაერთიანება“ (იქვე; III-10)**

სესამა-ამასტრიის აკროპოლია, კიტორა და კრომნა სინოპს ეკუთვნის. როგორც ჩანს, ზემოთ ხსენებული გაერთიანება-ეს საზღვაო ტრასის კავშირია, რომლის ჯამური სიგრძე 200 კმ-ია. სტრაბონის სიტყვებით, ტიეია მალე ჩამოსცილდა ამ კავშირს, სავარაუდოდ უკვე სხვა სახელმწიფოს (ბითვინიის) გავლენის ქვეშ მოქცეული:

“ტიეია- ქალაქი, რომელიც ხსენების ღირსადაც ვერ ჩაითვლებოდა, რომ იქიდან არ ყოფილიყო ფილეტერი, ატალიდებს სამეფო გვარის დამფუძნებელი“ (იქვეIII-8)

საინტერესოა, რომ ატალიდების სამეფო პერგამო ქალაქ ტიეიიდან მინიმუმ 400 კმ-ით იყო დაშორებული. სახელმწიფოს სტრაბონი მისსიელეზისად თვლის, თუმცა ეს ტერიტორია (ტროა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ყველა მხრივ) ოდითგანვე ეოლიელებს- ჭანებს ეკუთვნოდათ. ასევე საინტერესოა, რომ პონტოს სამეფოს და პერგამოს სამეფოს წარმოშობა

დროში ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან: პონტო: 302 წელი ქრისტემ-
დე, პერგამო 282 წელი, ქრისტემდე; გამსხვავება მხოლოდ ერთი თაობაა,
ზუსტად 20 წელი. საინტერესოა ასევე, რომ ფილეტერი, პერგამოს პირვე-
ლი სუზერენი, როგორც თავადი, დიდებული, ტიეიადანვე ჩანს აღზევებ-
ული ლისიმაქეს კარზე, ტიანიტიდას ტიეიიდან...ტიანიტიდა-ეს ჭანეთია,
ტიეია მისი ქალქი, სტრაბონის მიხედვით პელაზგური...თუ ქალაქი ტიეია
მითრიდატიდების და კერძოდ მითრიდატე კტისტის დაარსებულია, ამავე
ქალაქში დაბადებული დიდებული-თავადი ფილეტერი უშუალოდ მისი
ნათესავი ჩანს...

პერგამოს, ხოლო შემდეგ ბოსფორის სამეფოს (ჩვ,წ,აღრიცხვამდე 47-46
წელი) მეფე მითრიდატე პერგამოელი მითრიდატე ევპატორის მემკვიდრ-
ედ აცხადებს თავს...სტრაბონი კი ამ მემკვიდრეობის გამართლებას პერგამ-
ოელის დედის, ადობიგიონის მხრიდან ცდილობს, რომელიც მითრიდატე
ევპატორის მხევლად გამოაცხადა: საკმაოდ უსუსური მტკიცებაა, მხევლის
შვილი (თუნდაც ეს სინამდვილე ყოფილიყო) იმ დროისათვის ტახტის მე-
მკვიდრედ უბრალოდ არ განიხილებოდა (მაშინ როდესაც მითრუდატეს
კანონიერი შვილებიც მრავლად უჩანს)...ცხადია მითრიდატიდების და ატ-
ალიდების გვარეულობათა ნათესაობა გაცილებით შორს მიმავალი უნდა
იყოს, ვიდრე ნათესაობა მხევლის მხრივ...

სტრაბონისვე სიტყვებით, კუნძულ ლესბოსს და აზიას შორის (პე-
რგამოს უშუალო სიახლოვეს) 40 მდე კუნძული დევს, რომლებიც ჰეკატო-
მნესის-აპოლონის სახელს ატარებდა. აპოლონი და არტემიდე, ეოლიელებ-
ის კუნძულ დელოსზე დაბადებული ღმერთები ასევე ეოლიელების თაყვ-
ანისცემის საგანს წარმოადგენდა, მცირე აზიის მთელი ეს რეგიონი კი ხა-
ლდეთ ჭანეთი, ეოლია იყო...

მაგრამ მითრიდატიდი მეფეების წარმოშობა? დადასტურებულად
ვერ ამბობენ, თუმცა მითრიდატე ევპატორის სიტყვებით, მისი ჩამომავლ-
ობა კიროს დიდის და დარიოს I აქამენიდიდან მოდის...თუმცა სპარსეთის
იმპერიის შემქმნელი და პირველი მეფეები, კიროსი და მისი შვილი კამბ-
ისესი აქამენიდთა გვარიდან არ ყოფილა... უფრო მეტიც, ისინი სპარსელ-
ები არც იყვნენ...მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ კიროსი ანშანის მეფის
ვაჟიშვილი იყო, ელამიტი და ყველა აღმოსავლურ ქართველური ტომების
კრებსითი მეფე... შესაბამისად, პოტოს სამეფოს მითრიდატიდი მეფეები შე-
საძლებელია ელამურ- ამურ-სპარსული იყოს (ამ რეგიონისათვის კუშებიც
არ არის მოულოდნელი თემა, განიხილება ებრაელების თემის განხილვი-
სას). სამეფოს ხერხემალს სასპერები-იგივე მაზაკიელი იბერები და ჭანური
ტომები წარმოადგენდნენ... ხოლო პონტოს დიდი სამეფო- პირველ რიგში
კაბადოკიელები, სირიელები- რუმინული წარმოშობის ტომებია. (გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც პონტოს სამეფოს შემადგენლობაში კოლხების სამეფოც ყვება)

“ეს გმირი წავიდა უსასრულობაში, წავიდა უკნმოუხედავად, შენდობილი კვირა ღამეს, ვარსკვლავთმრიცხველი მეფის ძე , მრისხანე მეხუთე პროკურატორი იუდეისა, მხედარი პილატე პონტოელი“ (მ. ა. ბულგაკოვი, ოსტატი და მარგარიტა)

არ ვიცი ის წყაროები, რომლითაც მწერალი ბულგაკოვი პილატეს სამეფო დინასტიის ჩამომავლად, ვარსკვლავთმრიცხველი მეფის ძედ რაცხავს... მკითხველს შევახსენებ, რომ აქ საუბარია ქრისტეს მსაჯულზე, პილატე პონტოელზე, რომელიც მითრიდატიდების დინასტიის წყვეტის შემდეგ პონტოელი აღზევებული დიდებული ჩანს...უდიდესი ვარსკვლავთმრიცხველები იმ შორეულ ეპოქაში მართლაც ჭანები იყვნენ, ხალდები, რომლებიც თურმე პონტოს სამეფოს ჭან- ხალდ ელიტას წარმოადგენდნენ. ქართველ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ამ რომანის მიხედვით, პილატე მესიის გადარჩენასაც ეცადა, თუმცა საბოლოო მსჯავრის გამოატნა ებრაულ სინედრიონს მიანდო...თავად სიმბოლურად ხელიც კი დაიბანა ...

მეორე კაბადოკიელი, პონტოელი ჩანს წმინდა ნინოც. ის, რომ ქართველთა განმანათლებელი არ შეიძლება იყოს ეროვნებით სომეხი, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ წმინდა ნინოს „მოქცევაი, ქართლისაისი“-ში ნახსნებია მავანი რიფსიმე, რომელთანაც წმინდა ნინო ხვდება. მემატიანე აქ ერთმნიშვნელოვნად აცხადებს რიფსიმეს სომეხად, თუმცა წმინდა ნინო მხოლოდ კაბადოკიელ ქალწულად არის მოხსენიებული... და მაინც, მისი ტომობრივი მიკუთვნებულობა ღიად არც არსად ცხადდება... მაგრამ... მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე წმინდა ნინოს მიერ პირველად ფეხდადგმულ ქართულ ტერიტორიაზე დღესაც სოფელი ფოკა მდებარეობს, რომლის სახელდებაში წმინდა ნინოს უცილობელი პ რიორიტეტი იგულისხმება. ფოკა-ფოკეელები, ეს იბერებთა ტომის ერთ-ერთი სახელია იმ მრავალთაგან, რომელსაც ჰეროდატე ახმოვანებს...თუ ქართველური ვერსია წმინდა ნინო კაბადოკიელის და წმინდა გიორგი კაბადოკიელის ნათესაობის შესახებ რეალურია (წმინდა გიორგი ფაქტიურად ერთი თაობითღა ჩანს უფროსი წმინდა ნინოზე) წმინდა გიორგიც ქართველური-იბერიული წარმოშობისა ყოფილა...თავად დიდი ბარდა ფოკაც, რომელიც ბიზანტიის იმპერატორს, ბასილი ბულგართმმუსვრელს ეკირთებოდა და რომლის პირად დაცვაში მრავლად მოიპოვებოდა ერთ-ერთი ბაგრატიონის (არა დავით კურაპალატის) ხელქვეითები ქართველები, ასევე იბერი ჩანს....

...და სხვა წყაროები...

შესაბამისად, ჩვენი ქისტები (სიტყვა უდავოდ ასო ტ დაკარგული ქტისტია) ამაზონთა კოლონიაა კავკასიაში, გადმოსული თერმოდონტიდან და თემისკირიდან .. .ქტისტები- როგორც მათ თუკიდიდე უწოდებდა, რაც მოახალშენეთა სახელია თერმოდონტელთათვის. ამაზონები, რომელთაც არა ერთი ანტიკური წყარო მოიხსენიებს კავკასიაში, ალბანებს და ლეგებს (ლეკებს) შორის...მათვე გვერდით მოიაზრებიან იმავე სტრაბონთან ნახსენ-ები გარგარიელები, ამაზონთა სეზონური ქმრები, რუსული წყაროების гa-лгаевцы, ქართული ღალღა-იგივე ღლიღვი. მართლაც გენეტიკურად ეს ორი თემი აბსოლუტურად იდენტურია: ღალღა- ეს ამაზონის და ჭანი მამაკაც-ის მოდგმაა, ზუსტად ისევე, როგორც ქისტია იმავე ჭანი მამაკაცის და ამაზონის ჩამომავალი...ერთ მხარეს მამაკაცები და მათი ვაჟიშვილები, მე-ორე მხარეს ამაზონები და მათი ქალიშვილები...ქართული სინამდვილე მათ ფაქტიურად არც ანსხვავებს:

„თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი;

ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი“

აქ დავით გურამიშვილს ღლიღვი და ქისტი ცალ-ცალკე, დისტ-ანცირებულად უჩანს წარმოდგენილი, და მას ეს სტრიქონები 1740 წლის სიახლოვეს უჩანს დაწერილი. ამავე სიტუაციის ანარეკლი უნდა იყოს გე-რმანული წარმოშობის რუსი მოხელის ჩანაწერიც:

„მდგომარეობა მაღალ კლდოვან მთებში, რომელიც მთელი წლის განმავ-ლობაში თოვლითაა დაფარული საქართველოს, ავარეთს, ლეკებსა და და-ღესტანს შუა. მათ სხადასხვა მაზრებში სხვადასხვა ენებია და მათ შორის მოძებნება ყველაზე ნაკლები 10 სხვადასხვა ენა, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვთ“ (იოჰან გუსტავ გერბერი, ჩანაწერები 1728 წელი), რუსულად)

გერმანელი გერბერისათვის იმდენად ეგზოტიკურია სიტუაცია კა-ვკასიის მთიანეთში, როდესაც ერთი მაზრის შემადგენლობაში რამდენიმე სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ტომია გაერთიანებული, რომ მათ ცალკე-ულ ენებსა და ტომობრივ მიკუთვნებულობას არც კი აღნიშნავს. მკითხვ-ელს შევახსენებ, რომ ეს ტერიტორია თურქი მოგზაურის, ევლია ჩელების მიერ 70 წლის უკან აღნიშნული ტაუსტანის ვეებერთელა ტერიტორიაა და აქ მცხოვრები ტომების მრავალფეროვნება საკვირველი არც უნდა იყ-ოს: ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში არაბი მოგზაურები ამავე ტერიტორიას სერირის სამეფოს უწოდებენ და აღნიშნავენ, რომ სერირი სახელმწიფოს სახელწოდებაა და არა ცალკეული ხალხისა. უკვე განსხვავებული სიტუა-ცია ჩანს ამავე ტერიტორიაზე 1780 წლის მახლობლად:

„ენიდან გამომდინარე, ეს ხალხები სრულიად სხვადასხვა წარმომავლობი-სა არიან, რამდენადაც ქისტები ვერ იგებენ ინგუშების ენას, თუმცა ერთმ-

ანეთისაგან მხოლოდ ნაკადულიღა გამოყოფთ და არც ერთ მათგანს არ შეუძლია ელაპარაკოს ყარაბულახელს, მხოლოდ ბოლოტლი და ჩეცენი, ზემოთ ხსენებული საგვარეულოდან, ლაპარაკობენ ერთ ენაზე. ქისტები შეიძლება ჩაითვალოს მათ წინაპრად, რამდენადაც ჩეჩნურ ენას აქვს მრავალი საერთო ქისტურთან, და მათ ესმით ერთმანეთისა დაბეჯითებით გამოთქმისას“ (იაკობ რეინეგსი, სამხედრო-ტოპოგრაფიული აღწერა კავკასიისა. რუსულად)

სავარაუდოა, რომ შედარებით მცირერიცხოვანი ქისტი სხვაზე ადრე ითვისებს უცხოთა-ჩეჩნების ენას, ვიდრე იმავე შედარებით მრავალრიცხო-ვანი ინგუში...20 წლის შემდეგ ამავე ტერიტორიაზე იმოგზაურა კლაპროტმაც. იგი ერთმანეთის პარალელურად ახსენებს ინგუშსაც და ქისტსაც, თუმცა მათ შორის ენობრივ განსხვავებაზე არაფერს ამბობს. უფრო მეტიც, ინგუშები რომლებიც საკთარ ენაზე ნათლავენ ყველა მათსავე მეზობლებს, უწოდებენ: ყაბარდოელებს- გაბარტაი, ოსებს-ხირი, დაღესტანელები-სიოლი, რუსები-ურუსი, ქართველები- ჩურჯი, არმენები-ერმელეი, ჩეჩნები-ნახჩო. ამ სიაში არ შედიან ქისტები, როგორც ჩანს ინგუშები მათ ასევე უწოდებენ. რაც შეეხება ღილღველს-გალგაის თემს, ის კლაპროტს უშუალოდ ინგუშებთან აქვს გაიგივებული ....საინტერესოა, რომ მკვლევარებს ქისტური თემის ქრისტიანულ ტრადიციებზეც აქვთ ყურადღება გამახვილებული, მათ შორის ეკლესიების არსებობაზეც ...სულ სხა აზრისაა ამავე საკითხებზე ოდნავ მოგვიანებთთ ვაჟა:

„შატილს მოიდა ამბავი,
ქისტებმა მოგვცეს ზიანი...
ბევრ ქისტს მააჭრა მარჯვენა,
სცადა ფრანგული ფხიანი...
მალევ შაავლო ალუდამ,
ქისტების ნავალს თვალიო;

აქ ვაჟა ერთპიროვნულად ქისტების თარეშზე საუბრობს ხევსურულ მიწაზე, მაგრამ გამოდევნებულ ხევსურ მდევარს, ალუდა ქეთელაურს ბრძოლა ღლიღვებთან უხდება:

„ერთს ქურდ კანტალა ღილღვლელსა,
დღე გაუთენდა მწარია;
ამხანაგ მოკლულ ღილღველი,
ჩახმახსა ეზიდებისა;

ცხადია ვაჟასათვის ღლიღვსა და ქისტს შორის სხვაობა უკვე არ არსებულია, რაც გენეტიკურადაც მტკიცდება კიდეც...და რა სიტუაციაა სხვაგან, სადაც ადრე ამაზონებს უცხოვრიათ? როგორც ჩანს, ჩვეულებრივ-ადა-

მიანურ ცხოვრებასა და მყარ ოჯახებზე ჩანან გადასული, რასაკვირველია თავინთ არჩეულ ტომთან, გარგარიელებთან- ჭანებთან ერთად:

ნოტაცია X ა (Xსაუკუნე)

თითოეულ სამიტროპოლოს რომელი საყდარი ექვემდებარება:
2.აზიაში ეფესოს სამიტროპოლიტი:
7. გარგარიის ეპისკოპოსი
12 ჰელენოპოლისში ამასიის სამიტროპოლიტო:
5.ზელიხის ეპარქია
6. ზელას ეპარქია
(გეორგიკა, ტომიIV-2, ბასილი სოფენელი)

აქ ეფესოს სამიტროპოლიოში ნახსენები გარგარიის საეპისკოპოსო ეჭვის საფუძველსაც კი არ ტოვებს: ეს ზუსტად ის ეფესოა ეოლიაში, დღევანდელი თურქეთის ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ სანაპიროზე, რომელსაც თავად სტრაბონი ამაზონთა ქალაქად ასახელებს, ხოლო გარგარიელებს მათ „სეზონურ“ ქმრებად. ცხადია აქ ამაზონ- გარგარიული წარმოშობის ხალხი ჯერ კიდევ ცხოვრობს, უკვე ჩვეულებრივი ადამიანური ოჯახებით... ზუსტად ასევე, მდინარე თერმოდონტზე, ამასიის ზემოთ ასახელებდა სტრაბონი ამაზონთა საცხოვრისს ზელაზე, რომელიც ბასილი სოფენელის ზელას უნდა შეესაბამებოდეს . აქვე აღნიშნავს სტრაბონი გარგარიელებს, რომელსაც მოგვიანებით კიდევ უფრო აღმოსავლეთით ჩანან გადაადგილებული და სომხური წყაროები დიდ სომხეთში შემავალ ერთ-ერთ თემად იხსენებიებს. ფაქტიურად იკვეთება ამაზონების ტომის გადაადგილების ტრასა, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროდან კავკასიისაკენ...კიდევ უფრო მეტი, მდინარე გარგარი დღესაც არსებულია და აზებაიჯანის რაიონ ხოჯალისთან ჩაივლის...ეს მათი საბოლოოსწინა საცხოვრისი ჩანს, შემდეგი უკვე კავკასიის ქედის იქითა-ჩრდილოეთის მხარეა...

დაზუსტებით შეიძლება ითქვას, რომ ამაზონების მემკვიდრე ტომი ნაპოვნია. ნაპოვნია მისი მემკვიდრეების სუფთად შენახული შტო, ასევე უკვე მცირე აზიაში ჯერ ბიზანტიელებთან, ხოლო შემდგომ თურქებთან შერეული ამაზონების (და გარგარიელების) საცხოვრებელი არეალებიც, თურქეთის სამხრეთ და ჩრდილო ნაწილებში...დამტკიცდა, რომ ამაზონთა ტომის მამაკაცური ნაწილი-ეს ჭანებია...მაგრამ კვლევა ვერ იძლევა სრულ ახსნას იმისას, თუ რატომ და როდის აირჩიეს ამაზონებმა ცხოვრების ასეთი სტილი და რომელ ტომს ეკუთვნიან თავად ამაზონები....

ამ ცხოვრებისეული ნონსენსის გამოსაკვლევად, ქრონოლოგიურად საკმაო ხნით უნდა დავიწიოთ უკან...და ისევ დედამიწის ფაქტიურ მატიანეს, ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ უნდა მივმართოთ: მაშინ როდესაც დედამიწამ შველა ითხოვა დაიტ-დანავთა მიმძლავრებისაგან, უზენაესმა განდხარვ-აფსარებს გაკაცება უბრძანა... ამასთან, როგორც ჩანს, აკრძალა მათი შეუღლებაც...მიზეზებზე უკვე ვილაპარაკე და აღარ გავიმეორებ... განდხარვები და მათი მეწყვილეები აქ, დედამიწაზე უკვე დისტანცირებულნი არიან, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ ფიქსირდება მათი ოჯახური თუ სექსუალური კავშირი. ასეთი ეპიზოდი სულ ერთი მახსენდება, როდესაც განდხარვა ბიშვავასუს აფსარა მანეკა გოგონას უშობს... როგორც ირკვევა, განდხარვთა რეალურ ტომები, რომელიც უკვე ფიქსირდება ამ ეპოსში, რეალურად სხვადასხვა სახელითაა ფიქსირებული, თვინიერ რამდენიმესი (ამ უკანასკნელთ განდხარვთა ზედწოდება მთლიანად ან ნაწილობრივ შენარჩუნებული უჩანთ და ამისი რეალური მიზეზიც არსებობს) მანასის ტბის პირას მცხოვრები განდხარვები, აბხისარები-ასევე შენარჩუნებული სახელით განდხარვები, განდხარა-ნაწილობრივ შენარჩუნებული სახელით, კაში-კუში, კოშალა-კოსალა, სანშაპტაკი და კირატა. ასეთია მათი სრული ნუსხა (თვინიერ თემებისა) ამავე ლოგიკით, თვით აფსარებსაც ეპოსში სხვა სახელიც უნდა ერქვათ...

„ნაწილი მათი ტომისა (აფსარებისა) მეფევ, რომელიც უკვე ვახსენეთ, ასევე გარდაისახა მიწიერად ინდრას მითითებით“ (მახაბხარატა, ადიპარვა -61)

ეპოსი ყურადღებას ამახვილებს აფსარების (და განდხარვების) გაადამიანურებაზე:

„და ყველა მამაკაცი შეეუღლნენ თავიანთ ცოლებს, მათთვის კეთილსასურველ დროს, მაგრამ არა ვნების გამო და არა სხვა დროს, ასევე სხვა არსებებში და თვინიერ ცხოველებიც შეუღლდნენ საჭირო დროს თავიანთ მდედრებთან“(იქვე, ადიპარვა 58)

ადამიანებს უშორეს წარსულში, კერძოდ ქრისტემდე 3100 და მეტი წლის წინ, სექსი ისეთივე სეზონური უჩანთ, როგორც ცხოველთა სამყაროს და ზუსტად ამ ტრადიციის (როგორც ჩანს სხვებზე გაცილებით გვიანობამდე) დამცველი ჩანს აფსართა განზოგადოებული ტომიც:

„მე ვხედავდი ყველა მიწიერ მბრძანებელს, მთრთოლვარე (თქვენი) სამხედრო მოქმედებისა და იარაღის ძალის წინააღმდეგ: ვანგები, ანგები, პუნდრები, უდრები, ჩოლები, დრავიდები, ანდხაკები, მცხოვრებნი ოკეანის სანაპიროზე და მცხოვრებნი ქალაქებისა, სინხალები, ბარბარები, მლეჩხები, და სხვა მცხოვრებნი ტყეებისა, ასეული სამეფო, მდებარე დასავლეთის ოკეანის ახლოს, პახლავები, დარადები, კირატები , იავანები, და შაკები, ხარახუნები, <u>ჩინები</u>, თუხარები (47), მცხოვრებნი სინდსუს ჯაგუდები, რამა-

ტხები, მუნდები, თანგანები <u>და მმართველები ქალთა სამეფოსი“</u> (არიანაპარვა-48)

ქალთა სამეფო, თუმცა ის არ ჩანს სახელდებული, მაგრამ ეპოს „მა-ხაბხარატას“ ეპოქაში, ქრისტემდე 3100 წელს უკვე არსებულია! ცხადია, ქა-ლთა სამეფო ზუსტად იმ წესების მიმდევარი ჩანს, რომელიც საერთო ჩანს ადამიანთა და ცხოველთათვის კაცობრიობის გარიჟრაჟზე და რომე-ლიც ზუსტად ცხოვრების იმ წესს ითვალისწინებს, რასაც ამაზონები მის-დევენ. ამასთან მათი მითითება ინდოეთის სამხრეთით, ინდოეთის ოკეა-ნისაკენ პირდაპირ მიანიშნებს, რომ ისინი განდხავებთან ერთად უნდა იყ-ვნენ მიგრირებულნი, ქრისტემდე XXVII საუკუნეს!

ქალთა სამეფო არსებობდა უხსოვარ დროს ინდოეთში, როგორც ჩანს განდხარვთა უშუალო სიახლოვეს… ის არსებობას გააგრძელებდა მათი სპა-რსეთის ყურესა და მცირე აზიაში გადასვლის შემდეგაც. თუმცა საბერძნეთ-ში ელინთა ჩამოსახლება მხოლოდ ქრისტემდე XV საუკუნეს ხდება და ამ-ავე დროიდან აღირიცხებიან (ისევ და ისევ ელინთა მიერ) მათი სახელმწ-იფოც, რომლის წინააღმდეგაც ელინთა ფაქტიურად პირველი გმირი (როგ-ორც ქრონოლოგიურად, ასევე ჰაბიტუსით) ჰერაკლე იბრძვის. ამავე ეპოქას ეხება ამაზონთა ბრძოლა ათენის და თეზევსი ს წინააღმდეგ.

ის, თუ როგორი ცხოვრების წესით ცხოვრობდნენ ამაზონები, ბუნე-ბაში ძალიან ძნელი მიღწევადია...აქ მარტო ცალი ძუძუს დაშანთვა ვერა-ფერს შველის...როგორც ჩანს, გამოყენებაში იყო ის საზარელი ჩვეულებაც, რომელსაც რიგი ხალხები იყენებდნენ (მათ შორის ებრაელებიც კი). საქმე ეხება ნაწილობრივ კასტრაციას, რომლის შემდეგ ქალი ხდება აბსოლუტ-ურად ფრიგიდული, თუმცა ინარჩუნებს ფერტილურობას (48). ის ვისაც ან-ალოგიური პროცესი ჩატარებული უჩანს (სავარაუდოდ, ჯერ კიდევ ჩვი-ლობისას) სავარაუდოდ ვალდებულია ერთი შვილი (გოგო) მაინც იყოლი-ოს, ისიც რიგი ავტორების მიხედვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას თუნდაც ერთი მოწინააღმდეგე მამაკაცი ჰყავს მოკლული...

...და რომელი ქალი მოისურვებს ხელახლა დაორსულებას და მშო-ბიარობას, თუ ეს პროცესი მისთვის მხოლოდ ტანჯვასა და ტკივილთან იქნება დაკავშირებული? ამიტომაც არ მრავლდებიან ამაზონები და ისინი მხოლოდ ნომინალურ არსებობას განაგრძნობენ...როგორც ჩანს, ბერძნებთან -მილეტელებთან) დამარცხების შემდეგ, სავარაუდოდ ქრისტემდე VIII საუკ-უნის შემდეგ, ხდება გარდამტეხი მომენტი, რომლის შემდეგ ამაზონთა ტო-მი თავს ანებებს ამ პროცედურას და ნორმალური წესით იწყებს ცხოვრებ-ას. ისინი თერმოდონტის ხალხებში იკარგებიან. იკარგებიან იმდენად, რომ მათ შესახებ თვით კაბადოკიის მეფისნაცვალს I საუკუნეში, ფლავიუს არი-ანესაც არავითარი სარწმუნო ცნობა არ მოეპოვება. თვით ალექსანდრე მაკ-

ედონელისათვის 300 „ამაზონის“ თეატრალიზირებული წარდგენაღა ხერხდ-ება, რომლებიც სინამდვილეში მხოლოდ ამაზონყოფილები ჩანან...

ასევე უკვე ამაზონყოფილები ჩანან ჰეროდოტესეული ამაზონების შთამომავალი პირველი სავრომატული (რუსული) ქვეყნა, რომელთა სალ-აპარაკო ენა უკვე განსხვავდება სკვითურისაგან (უკრაინულისაგან) დღევა-ნდელ ვორონეჟის და ვოლგოგრადის შემაერთებელი წარმოსახვითი ხაზ-ის შუიდან აღმოსავლეთისაკენ...ამაზონთა ერთი ნაწილი, რომელიც სავა-რაუდოდ ძველი ტრადიციული ცხოვრების წესით ცდილობს ცხოვრებას (49) თერმოდონტიდან კავკასიისაკენ მიგრირდებიან, თუმცა რაღაც პერიო-დის შემდეგ ისინიც ჩვეულებრივი ცხოვრების ნირზე გადადიან...

... და მაინც,მთელი ეს მსჯელობა რჩება ჰიპოთეზის დონეზე, თუ...

„ეს კალმიკი (ქალი) მართავს ქალების ქვეყანას, ანუ ზა-ნაანს. ეს დიადი ხალხი ითვლება საოცრებად და იშვიათობად. თავად კა-ლმიკ მონჩაკ -შაჰთან იყვნენ ექვსი ცოლი ზანაანის ქვეყნიდან. როცა მე, არარაობამ დავინახე ისინი, მე წავიკითხე სიმღერით ლექსი ყურანიდან: ჩვენ შევქმენით ადამიანი საუკეთესო ქმნილებად, მაგრამ ისინი არ შობ-ენ შვილებს ადამიანთა მოდგმიდან და მათი სიყვარული არ ჰგავს სიყვა-რულს (ცნობილს) ამ ქვეყნად...ხოლო ისინი, თითქოსდა მატერიალიზირ-ებული დღის სინათლე, სილამაზის განსახიერებაა. მათ ისეთი სიმაღლე და აგებულობა აქვთ, თეთრი კისერი, მსგავსი ვერცხლის ჭურჭლისა, ძლიერად სურმა წასმული თვალები, ისეთივე როგორც ახალგაზრდა ჯეირანს, <u>ისეთი ტკბილი ჩაღატაური საუბარი, რომ თუ მოუსმენ , სის-ხლი მიეკრობა ღვიძლს...ზანაანის</u> ქვეყანაში ყველა (ქალი) ასეთია. კალმ-იკები უღლდებიან მათთან, მაგრამ ისინი არ ფეხმძიმდებიან. მათ ჯიშში მამაკაცი წარმომადგენელი არ არსებობენ. მათ აქვთ დიდი ტბა და იმ შემთხვევაში თუ ქალი მოისურვებს დაბადებას, წელიწადში ერთხელ ეს-ენი შედიან ამ ტბაში და ალაჰის ნებართვით ისინი ფეხმძიმდებიან. თუ ქალმა იმშობიარა და დაბადა ყმაწვლი, მას თავი და ხელები როგორც ადამიანებს აქვთ, მაგრამ სხეული და უკანა ფეხები ძაღლისა. ხოლო თა-ვიანთ დედებს და დებს ისინი ისევ აჯვარებენ ძაღლებთან, მაგრამ დე-დები და დები არ ფეხმძიმდებიან. თუ შეაღლებენ ადამიანთა შვილებ-თან, ასევე არ ფეხმძიმდებიან“ (ევლია ჩელები; წიგნი მოგზაურობათა. მი-წები ჩრდილო კავკასიისა, ვოლგისპირეთისა და დონისპირეთისა. თავი IV გზა კალმიკების მიწების გავლით, კალმიკური ტაიშა შაჰ-ბიკე)

მოვაშოროთ თურქი მოგზაურის ცნობებს აშკარად ფანტასტიკუ-რი და ზღაპრული დეტალი ქალის მიერ ნახევრად- ადამიან ნახევარად-ძაღლის შობის შესახებ, საკმაოდ რაციონალური ცნობა შეგვრჩება ხელთ:

1. ის რომ ავტორის მიერ ნახსენები ზანაანის ქვეყანა სინამდვილეში ამაზონია იმავე ავტორის სიტყვებიდან მტკიცდება. მისი სიტყვებით, ამ ტომის ჯიშში მამაკაცები არ არსებობენ.

2. ქალები საუბრობენ ჩაღატაურ ენაზე-ეს ის ენაა, რომელზედაც ჩაღატას ულუსი საუბრობს. უნდა ითქვას, რომ ამ ხალხს მონღოლ ჩაღატა ნოინთან მხოლოდ სახელი აკავშირებს, და ეს ხალხი ამ უკანასკნელს ერგო დიდი ჩინგიზის მემკვიდრეობის გაყოფისას . ჩაღატას ულუსი ყოფილი ბაქტრელებია, ქუშები, განდხარვყოფილები და მათი ენაც აფრაზიულია, ზუსტად ის ენა, რომელზედაც განდხარვთა (და აფსართა) დიდი ოჯახი საუბრობდა! შესაბამისად, ამაზონი-ეს განდხარვთა ციური მეწყვილეები, აფსარები არიან, ამ რასის ქალური საწყისი...(აფსარა მდედრობითი სქესის განდხარვია, და ამას ყველაზე ადრე მეგრელი უნდა მიხვდეს...(50)

3. ევლია ჩელების სიტყვებს თუ სათანადოდ დავაკვირდებით, ზუსტად მივხვდებით, თუ რატომ არ ფეხმძიმდებიან „ზანაანის“ ქალები მამაკაცებისაგან: ჩელების სიტყვებით მათი სიყვარული არ ჰგავს სიყვარულს, ცნობილს ამ ქვეყნად...ცხადია ქალი, რომელიც ფრიგიდულია ბავშვობაში ჩატარებული ნაწილობრვი კასტრაციისაგან, საკუთარი ფრიგიდულობის კომპენსაციას სხვა გზით ცდილობს და აღწევს კიდეც...დღევანდელობაში ამას ანალური სექსი ჰქვია...ცხადია ის აჩენს ბავშვს მამაკაცისაგან, მაგრამ ეს მისთვის მხოლოდ და მხოლოდ მძიმე მოვალეობაა და რომელსაც ის აჩენს გამონაკლის შემთხვევაში, როგორც ამაზონების დედოფალ ფალესტრისსა და ალექსანდრე მაკედონელს შორის მოხდა-მამაკაცი ამაზონისათვის სასურველი მიმზიდველი და საჯიშე მამრი უნდა იყოს, რომლისაგან ის რჩეული შთამოამვლობის მიღების მიზეზით თუ შეუღლდება....

4. სავარაუდოა, რომ კალმიკთა ბელადს, მონჩაკ-შაჰს „ზანაანის“ ქალები შუა აზიიდან უჩანს ჩამოყვანილი. ცხადია, ქალები იქვე არიან დაბადებულ-გაზრდილი, რაზეც მათი ჩაღატაური (უზბეკური) კუშიტური ენა მეტყველებს. (თავად კალმიკებიც მონღოლური ტომია, ჯუნგარიიდან, დიდ ტერიტორიაზე მომთაბარე და მხოლოდ XVII- XVIII საუკუნეს დაფუძნებულნი ცენტრალურ რუსეთში, კასპიისპირად) ... და როგორ მოხვდნენ ამაზონები შუა აზიაში? ზუსტად ისევე, როგორც განდხარვები-ისინიც მონაწილეობენ სკვითების განდევნასა და დევნაში მცირე აზიიდან, ქრისტემდე XVI საუკუნეს რომლის მერეც განდხარვების მსგავსად შუა აზიაშივე ფუძნდებიან: **„საინტერესოა შევადაროთ ეს თხრობა ევლია ჩელებისა მითიოლოგიურ ქალებზე და ქმარ-ძაღლებზე, მოთხრობილი პლანო კარპინის მიერ (XIII საუკუნე) რომელიც წერს: როცა ისინი ბრუნდებოდნენ უდაბნოდან, მოხვდნენ რომელიღაც მიწაზე, რომელშიც... თათრებმა ნახეს რაღაცა საოცრებანი ქალური სახისა. და როდესაც მრავალი თარჯიმანის მეშვეობით გააგე-**

ბინეს და შეეკითხნენ, სად არიან მამაკაცები ამ ქვეყნისა, საოცრება-ქალებმა უპასუხეს, რომ ამ მიწაზე ყველა ქალი, რომლებიც იბადებიან, არიან ადამიანის სახისა, ხოლო მამაკაცებს აქვთ ძაღლის სახე“ (იქვე, შენიშვნა 20)

მკითხელს შევახსენებ, რომ პლანო კარპინი ის მოგზაურია, რომელმაც იმოგზაურა მონღოლეთის სატახტო ქალაქში და ყველა შემთხვევაში გადაიარა შუა აზიაზე. ზუსტად აქ უჩანს მას ამ ანომალიურ მოვლენასთან შეხვედრა. ცხდია, ქმარი ძაღლები ან გაუგებრობაა (ისევე როგორც ჩინგის ხანის შემთხვევაში, რომლის გაჩენა დედამისმა ჟღალ ძაღლს მიაწერა) ან მორიგი ზღაპარი...ფაქტი ერთია, პლანო კარპინი შუა აზიის უდაბნოებს ამაზონების ტომს შეხვდა, რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს ვერსიას ამაზონების აქ მოხვედრაზე.... და სად გაქრნენ? სავარაუდოდ მამაკაცებთან თანაცხოვრების ადამიანურ გზას დაადგნენ... და მაინც სად მდებარეობდა ამაზონების პოლისი, სახელმწიფო-ქალაქი <u>ზანაანი</u>? <u>ქალაქი ნისა- აშხაბადიდან 18 კილომეტრში, დასახლება ბაგისთან...ისტორიკოსი აბუ სად ასსამანი (XII საუკუნე) თვლიდა, რომ ის მომდინარეობს არაბული ნისა (ქალები) იმდენად რამდენადაც ქალები იგერიებდნენ არაბების შემოტევას ამ ქალაქში...</u>

...და რატომ და როგორ ხდებიან ტომით ეოლიელები-ჭანები გარგარიელები? ახლა როდესაც ამაზონების ტომობრივი მიკუთვნებულობა ვიცით, ვიცით აგრეთვე, რომ აფრაზიული ენის ყველაზე სუფთად შემონახული ვარიანტი-ეს ქართულია, შესაძლებელია ტერმინ გარგარიელების გაშიფრვაზეც ვიფიქროთ... როგორც ჩანს, ამაზონებისათვის სეზონური ქმარი (წელიწადში მხოლოდ ორი თვე თანაცხოვრებაისიც ნეიტრალურ ტერიტორიაზე) მართლაც <u>გარე-გარე</u> ქმარია, რომელთაც ამაზონების საცხოვრებელთან მიახლოების უფლებაც კი არა აქვს, შორიახლოს დრეიფობს...

...და პომპეი ტროგი...

ისტორიკოსი რომელიც ისტორიის კორექტორად გვევლინება (და შესაძლოა არა მარტო წარსულის...) ეს მისმა ერთადერთმა ფრაზამ, რომ სკვითები სამჯერ ფლობდნენ და ზეობდნენ მცირე აზიას განსაზღვრა ჩემი კვლევა ამ მიმართულებით, რომელმაც პომპეი ტროგის ეს სიტყვები აბსოლუტურად გაამართლა...მის შემოქმედებაში არის ისეთი სიუჟეტიც, რომელიც შესაძლოა ან მის კალამს არც ეკუთვნოდეს, ან მის გონებას (ამის შესახებ წიგნის დამამთავრებელ III ტომში ვისაუბრებ)...და მისი სიტყვები ამაზონებზე, რომ ქალთა ამ ტომმა შეძლო ევროპაში დიდი სივრცეების დაკავება და საკუთარი ქალური სამეფოს შექმნაც კი...და ეს უშორე-

ულეს დროში მომხდარი ჩანს, ისტორიამდელ წარსულში (თხრობა ამაზონების მიერ ევროპაში დაფუძნებულ სახელმწიფოზე ქრონოლოგიურად წინ უძღვის მათივე ლაშქრობას ათენზე).. .და ახლა, როდესაც დაბეჯითებით ვიცით მათი ტომობრივი მიკთვნებულობა, რომ ისინი აფსარები არიან, მდედრობითი სქესის განდხარვები, ადვილი დასასკვნელია თუ როგორ ხვდებიან ისინი ევროპაში-დასავლეთ ევროპაში...მხოლოდ ტეარკონ ეთიოპის- სინამდვილეში თარხონ ქუშის ექსპედიციის შემადგენლობაში, გამართული ქრისტემდე XXV საუკუნეს…და რომელი ქვეყანა დასავლეთ ევროპაში შესაძლებელია იყოს ამაზონების დაფუძნებული? შესაძლებელია ეს იყოს საფრანგეთი-ყოფილი გალია...თავად გალია ყოფილი ქალია იყოს... მართალია მათ გელების ნათესავებად თვლიან, თუმცა გელები-ეს განდხარვული ტომია და არა აფსარული, თუმცა ფრანგული (და შესაბამისად ბელგიური) ენა გელების ენის (შესაბამისად აფრაზიულის) გადმონაშთად მიაჩნიათ! თითქოსდა არსებობს ისეთი მომენტი გალებთან (ეს გერმანიკული, ფრანკული ტომია) ასეთი წინამძღვრების არსებობაც (51) თუმცა ეს მინიშნება არასაკმაოდ მოგვეჩვენოს (და ასეც არის) თუმცა დასკვნების გაკეთებას ნუ ვიჩქარებთ...

...არითმეტიკა და გენეტიკური კოდი...

ჩვენი რასა-კუშიტური, რასაკვირველია ფორმირდა ერთჯერადად და ერთ სამყაროში. რასაკვირველია ეს ცალკე აღებული კავკასიის რეგიონი ვერ იქნება-კავკასიაში ტომები სხვადასხვა დროს დაფუძნდნენ, სხვადასხვა ისტორიული პროცესების შედეგად...არც ევროპა და არც აფრიკა ... ჩვენი სამშობლო, ისევე როგორც დანარჩენი მსოფლიოსი, პლანეტა დედამიწაზე ინდოეთია...ამჯერად კვლევის ამ სტადიაზე ვჩერდებით, თუმცა დაკვირვებულ მკითხველს უფრო მეტი ინფორმაცია უნდა მიეღო-სავარაუდოდ...პირუტყვი თავის ნაგრამს სუნზე ცნობს, ისიც იმ შემთხვევაში თუ კუდუსუნში დაყნოსავს...ცხონებული ბაბუაჩემი ახერხებდა ობლად დარჩენილი თიკნის „გაძიძავებას“ და ამ შემთხვევაში თიკნის კუდუსუნს „დედინაცვალი“ თხის კუდს შეაზილავდა...რასაც ასევეა ფაქტიურად... მაგრამ ამ ბოლო დროს მოდურ ჰაბლოჯგუფებს მხოლოდ დამატებითი სამტკიცის როლის შესრულებაღა შეუძლიათ...და მაინც ასეთი „კოდი“ კუშიტთა რასისათვის ბუნებაში არსებულია...და რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ეს არითმეტიკაა...1; 2; 3; 4; 5; 6; 7; 8; 9; 10;...11;12;13;14;15;16;17;18;19;20;...და აქ იწყება 20+1; 20+2; 20+3; 20+4; 20+5; 20+6; 20+7; 20+8; 20+9; 20+10=30 (ოცი და ათი)...და მთელ მსოფლიოში ცნობილი და მიღებული ათობითი სისტემის ნაცვლად გრძელდება ოცობითი სისტემა: ოცი და ათი; ორ -მ-ოცი; ორ-მ-ოცი-და -ათი: სამ-ოცი; სამ-ოც-და-ათი; ოთხ-მ-ოცი; ოთხმ-ოც-და ათი;...აღთვალვის ოცობ-

ითი სისტემა-ესაა ჩვენი-კუშიტური რასის პასპორტი...თუ რასას ენა არა აქვს ნაცვალი, ის ინარჩუნება აღთვალვის ოცობით სისტემას ... სამწუხარ-ოდ ბევრ კუშიტურ ერს აქვს ენა ნაცვალი... შესაბამისად, ყველა კუშიტურ ერს არა აქვს და ვერც მოსთხოვ აღთვალვის ოცობით სისტემას... მაგრამ თუ რომელიმე ერს ოცობითი აღთვალვის სისტემა რაღაც დოზით მაინც უჩანს შენარჩუნებული, ის განდხარვულ-აფსარული წარმოშობის ქვეყანაა...

ქართველურ ენებს, საკუთრივ დედა-ქართულს, კოლხურ-მეგრულს და სვანურს, აღთვალვის ოცობითი სისტემა სრულად აქვთ შენარჩუნებუ-ლი...უფრო მეტიც, ბალს ზემოთა სვანებს აღთვალვის ორმაგი, ათეულობი-თი და ოცობითი სისტემები გააჩნიათ, ისევე როგორც ალანებს და მიზე-ზებზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (52)...იგივე აღთვალვის ოცობითი სისტემა სრულად აქვთ შენარჩუნებული ბასკებს, გასკონელებს და ნავარელებს, შე-საბამისად ისინიც უდავოდ კუშიტები ჩანან, აფსარული წარმოშობის ერ-ები...და თვით ფინიკიელები, რომლებიც უდავოდ განდხარვყოფილებია?

I=1; II=2; III=3; IIII=4; IIIII=5; IIIIII=6; IIIIIII=7; IIIIIIII=8; IIIIIIIII=9; -=10; Z=20; Z- =30; ZZ=40; ZZ- =50; ZZZ=60; ZZZ- =70; ZZZZ=80; ZZZZ- =90; ZZZZZ=100

ცხადია, ფინიკიელთა აღთვალვის სისტემაც ოცობითია...და ერები, რომლებიც ნაწილობრივ ინარჩუნებენ ოცობით სისტემას?

ფრანგული		ალბანური	
1=an	10=duc	1=hje	10=nje
2=de	20=van	2=di	20=njezet
3=trua	30=trant	3=tri	30=trednjete
4=kiatr	40=kiarant	4=kater	40=dizet
5=cank	50=cenkant	5=pese	50=pesedhjete
6=cuc	60=cuacant	6=gjahte	60=gjahtedhjete
7=cet	70=cuasant dic(60+10)	7=shale	70=shatedhjete
8=yut	80=kiatr van (4X20)	8=tate	80=tatedhjete
9=nef	90=kiatr van dus (4X20)+10	9=nente	90= nentedhjete

...და აი ფრანგული აღთვალვის სისტემის ანა-ბანა ...საყოველთაოდ მიღებ-ულ ათეულობით სისტემაზე მიბმულია ცხრიდან 6 ათეულის დასახ-ელ-ება: 10;30;40; 50; 60; -ესენი ერთის, სამის, ოთხის, ხუთის და ექვსის ათზე მექანიკური ნამრავლია...ხოლო ოთხი ათეულის დასახელება: 20; 70; 80; 90; ესენი ოცობითი აღრიცხვის კლასიკური მაგალითია...შესაბამისად, ჩვენია, აშკარად გამოსახული კუშიტური ერია...ფრანგი ნაციის კუშიტებისადმი კუთვნილებაზე მისი ენაც მიუთითებს, რომელსაც შოტლანდიელ აბორი-

გენებთან გელებთან-ერთად აფრაზიულ ენას მიაკუთვნებენ...ანტიკურ ლიტერატურაში სხვა მინიშნებაც არსებობს, თითქოსდა შეუმჩნეველი, რომელიც გალების ამაზონების ტომისადმი მიკუთვნებულობას უნდა მიანიშნებდეს , თვინიერ პომპეი ტროგის მიერ დაკვალიანებისა.(49)... ასეთ შემთხვევაში გალების ტომი მხოლოდ ტეარკონ ეთიოპის, სინამდვილეში თარხონ ქუშის ექსპედიციის მონაწილენი უნდა იყვნენ, ქრისტემდე XXV საუკუნის წინანდელი... ასევე ვალკირიები-სკანდინავური თქმულებების მებრძოლი გმირი ქალები, თუმცა ისინი სკანდინავიაში საკუთარ ქალურ სახელმწიფოებრიობამდე არ ამაღლებულან...

და ალბანები...აღთვალვის ძემოთ მოცემულ სისტემაში აშკარად იგრძნობა კვალი ამ ტომის კუშიტებისადმი მიკუთვნებულობაზე. დანამდვილებით ვიცოდი, რომ კავკასიის ალბანეთი და ადრიატიკის ალბანეთი მხოლოდ სახელების მექანიკური დამთხვევა ნამდვილად არ უნდა ყოფილიყო, და აი საბუთიც...სინამდვილეში კავკასიის და ადრიატიკის ალბანების ნათესაობას ლინგვისტური მასალებიც მიანიშნებს, რომელიც ხანდახან პირდაპირ ზედაპირზევე დევს..(53)

...და უკვე ჩვენთვის ცნობილ ორ ექსპედიციაში, ქრისტემდე XXXV და XVI საუკუნეებში კუშიტური ტომების მიერ ჩატარებულ ორივე ექსპედიციაში აფსარულ-ამაზონური ტომი ფიქსირდება... და როგორი სიტუაციაა კუშიტების მიერ ჩატარებულ დანარჩენ ერთდროულად სამ ექსპედიციაში, ქრისტემდე 1261 წელს? ფაქტიურად შეუცდომლად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ადრიატიკისაკენ ჩატარებულ ამ ექსპედიციაში აფსარების-ამაზონების ტომს წარმოადგენს ასევე ფრანგულად მოლაპარაკე ბელგიის ნაწილი (54). რთულადაა საქმე აპენინის ნახევარკუნძულზე, ტირსენ ატისის ძის მოწყობილ ექსპედიციასთან დაკავშირებით, თუ ვინ შეიძლება იყოს აფსარულ-ამაზონური ტომის მემკვიდრენი...მარსები-შეიძლება ამ სახელის ქვეშ ამაზონების ტომი ფიგურირებდეს, უკვე ჩვეულებრივ ადამიანურ ცხოვრების წესზე გადასულნი: ამაზონები საკუთარ ტომს არესის, ომის ბერძნული ღმერთის ჩამომავლებად თვლიდნენ თავს, არესი რომაელებთან მარსია...ან სულაც ნავარელები...კიდევ უფრო რთულადაა საქმე აფრიკულ ექსპედიციასთან მიმართებით, შეუძლებელია ყოფილი ამაზონთა ტომის გამოყოფა. ერთი სახეზეა, აფრიკის კუშიტურ სახელმწიფოებში: ეგვიპტე, სუდანი, ეთიოპია, ჯიბუტი, სომალი, ანომალიურად დიდია ქალთა კასტრაციის მაჩვენებელი....

შენიშვნები:

1. „სკატინავიის“ შესახებ ცნობების მიღება ანტიკურ მწერლებს მხოლოდ პიფეისაგან თუ შეეძლოთ, რომელმაც ყველაზე შორს გაცურა ჩრდილოეთისაკენ, თუმცა უმრავლესობა მას ცრუპენტელად მოიხსენიებს. ცნობა იმავე „სკატინავიის“ კუნძულად მოხსენების შერსახებ პიფეის ტრასის განჭვრეტის საშუალებასაც იძლევა: ის არ ჩანს შეცურებული ბალტიის ზღვის ყურეში, წინააღმდეგ შემთხვევაში „სკატინავიას“ (სინამდვილეში სკანდინავიის ნახევარკუნძულს) კუნძულად არ ჩათვლიდა...

1.* კტესია კნიდოსელის ვერსიით, ტროას ომის ეპოქისათვის ასირიას მითიური მეფე ტესტამი მართავს, რომელიც უბრძანებს ელამიტების-სუზის სამეფოს სუზერენს (საკუთარ ვასალს) მიეხმაროს ტროას დამცველებს...სინამდვილეში ასირიას ამ დროისთვის მართავს დედოფალი სემირამიდა, არიკ -დენ-ილის მეუღლე, უკვე საკუთარი შვილის, ადად-ნირარის ოფიციალური რეგენტი. თავად არახოსია, ისევე როგორც ფინიკია, არიკ დენ ილის (ანდა სემირამიდას) დროს ჩანს ასირიის სატელიტ ქვეყნად ქცეული.

2. ჯერ კიდევ ჰეროდოტე აღმნიშნავდა, რომ სხვა ზღვებისგან განსხვავებით, კასპია ჩაკეტილი საწყალოსნო სივრცეა...საინტერესოა, რომ ანტიკური ლოგოგრაფების მიერ სრულიად იგნორირებულია ალექსანდრე მაკედონელის მემუარისტების ცნობები. საკმარისია აღინიშნოს, რომ მაკედონელის ნავარხი (ადმირალი) თითქმის მთელი წელი დაცურავდა კასპიის ზღვაზე და საფუძვლიანად შეისწავლა ის. ცხადია მას ზუსტად უნდა ცოდნოდა, რომ კასპია მართლა ჩაკეტილი ზღვაა და მას ოკეანესთან კავშირი არ გააჩნია. ზოგიერთი მეცნიერის უსაფუძვლო მოსაზრებით, ეს მდინარე ვოლგაა ჩათვლილი იმ არტერიად, ყურედ, რომლითაც კასპიის ზღვა უერთდება ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს...მდინარე ვოლგა მაკედონელის მემუარისტებთან კოფენად არის მოხსენიებული...და გარდა ამისა, შეუძლებელია მაკედონელის ნავარხს არ დაეფიქსირებინა მდინარე ვოლგის სიმტკნარე, რომელიც შესართავიდან რამდენიმე კილომეტრში აშკარად საგრძნოველი არის და იყო შორეულ წარსულშიც, ხოლო მტკიცება იმისა, რომ წელიწადის განმავლობაში ნავარხი არ შეცურებულა მდინარე ვოლგის შესართავში, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიის სრული არცოდნა იქნებოდა მხოლოდ.

3. აი აქ სტრაბონთან ნახსენები ელიმიოტები აშკარად სპარსეთის ყურისპირა ელამიტები ჩანან, ქართები...

4. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ პლანეტა დედამიწის მოწინავე ტომები უძველესი დროიდან ორენოვანნი იყვნენ, ფლობდნენ ორ ენას: მამებისა და დედებისას. შუმერები და მარები ფაქტიურად დეიდაშვილები იყვნენ, ორივე ფლობს დედების ენას, კოლხურს...

5. მარგუ როგორც პოლიტიკური ერთეული, ისტორიაში ცალკე იხედება თუმცა ალბათ შედარებით მცირერიცხოვნების გამო სპარსულ სატრაპიამდე ვერ ამაღლებული-ის ბაქტრიის სატრაპიაში შემავალი ერთეულია, ხორასმიის მხარეს, ხანდახან მასშივე შემავალი.
6. ეს ტომიც, როგორც ისტორიის სხვა სუბიექტები, მრავალსახელაა: მადრი, მარი, მადრი, მარგი...ისტორია კი ძველ-აქადებად იცნობს...ასევე მრავალსახელაა ევროპაში გადასვლის შემდეგ...
7. ქალაქი პოლა-მრავალი ანტიკური ავტორის ცნობით კოლხების ქალაქი. იმ კოლხების დაფუძნებული, რომელიც კოლხეთის (ახლანდელი ეპირი საბერძნეთის შემადგენლობაში) მეფე აიეტმა მდევრებად დაადევნა მედეას, რომლებიც დავალების ვერ შესრულების შემდეგ აიეტის რისხვის შიშით არც დაბრუნებულან კოლხეთში. მათ ისტორია ისტრებად იცნობს. დღევანდელი ისტრები - ხორვატიის შემადგენლობაში, მათი ტოტემი-გერბი გარეული თხა-ჯიხვი ჩანს, ალბათ ვენეტებთან, კან-გოის ტომთან ტერიტორიული სიახლოვის გავლენით ... საინტერესოა, რომ ტრაქტატში პლინიუს უფროსი ახსენებს ქალაქ ფეოდოსიასთან- ქალაქ კიუტსსაც.... უდავოდ კიუტსების ამ ქალაქმა მისცა საფუძველი ზოგიერთ ანტიკურ ბერძენ მწერალს აიეტი სკვითიის მეფედ დაესახელებინა (ამ პასაჟით ისარგებლა ჩვენი ოკუპანტი ქვეყნის პრეზიდენტმა ოლიმპიადის გახსნისას) ამავე ტომი, სავარაუდოდ ყირიმის ნახევარკუნძულის ოსმალთაგან დაპყრობის შემდეგ გარიდებულ ჩანან ოკუპაციას. XVII საუკუნის თურქი მოგზაური მათ ანაპას სიახლოვეს აღნიშნავს. ეს ხალხი თურქეთ-რუსეთის მოძალების შემდეგ გადმოდის სამეგრელო- გურიის ტერიტორიაზე. მათი გამოცნობა შესაძლებელია გურიაში გვარების ტი დაბოლოებით, სამეგრელოში ტია დაბოლოებით... ცხადია კიუტსები ისტრებიდან ამოყვანილი კოლონია ჩანს, ისევე როგორც აფსარები კუნძულ აფსირტიდიდან, ასევე ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან. (ამ თემაზე და აფსილთა წარმომავლობაზე პირველ წიგნში საკმაოდ ვისაუბრეთ და არ გავმეორდებით) ნიშანდობლივია, რომ ქალაქ კიუტსს არ აღნიშნავს ყირიმის ნახევარკუნძულის სკრუპულოზულად აღმწერი სტრაბონი, მაგრამ მისგან ნახევარი საუკუნის შემდეგ უკვე აღნიშნავს პლინიუს უფროსი და...ქრისტემდე III საუკუნის ავტორად შერაცხული ფსევდო სკილაქსი. (ამ თემაზე და ფსევდო სკილაქსზე წინა წიგნშიც საკმაოდ ვისაუბრეთ)
8. აფსირტიდების კუნძულებიდან უჩანს ოქტავიანე ცეზარს აფშილების კოლონია ამოყვანილი...ამ თემაზეც წინა წიგნში ვილაპარაკეთ...
9. მოლოსები ეპირში (უკვე ეპირში) და კუნძულ სიცილიაზე დაფუძნებული იბერები ჩანან, ხოლო ხაონები ასევე იბერები აპენინის ნახევარკუნძულზე მიგრორებული მცირე აზიიდან...პირი-პიროსი, ეპირის მეფე საკუთ-

არი თანამემამულეების უფლებების დასაცავად ებრძვის რომის იმპერიას ჯერ ხაონების ტერიტორიაზე, შემდეგ სიცილიაში... ფაქტიურად არ ჩანს მიზეზი მისი ომისა სპარტას-ლაკედემონის წინააღმდეგ, სადაც დაიღუპა კიდეც. ვფიქრობ, ის ასევე იბერიელთა უფლებების დასაცავად იბრძოდა სპარტაშიც-სპარტელებს და ახაიელებს პელოპონესის პირველმცხოვრები იბერები დამონებული და უუფლებო ჰილოტის მდგომარეობაში ყავთ...

10. ვენეციის პირველმცხოვრებლები ჭანები ჩანს, წარღვნის (გაუთავებელი წვიმების შემდეგ დაბრუნებულნი) კან-გოის პუნიკური (ხეთები-ფინიკიელები) ტომი ჭანურს მისგან ითვისებს...ზუსტად ამის შემდეგ ხდება ტოსკანელი ეტრუსკების მიერ მათი სახელდება ვენეტებად, რომელსაც ეს უკანასკნელები უკადრისობენ და თვითწოდებად ლაზებს იღებენ...

11. მხოლოდ მესამე ტომში თუ ავხსნი, რატომაა პლანეტა დედამიწაზე არსებული ტომების დიდი უმრავლესობა კომპოზიტური, ორშემადგენლიანი. ... კოლხების და მარების მამაკაცური საწყისი სპარსული ჩანს, ხოლო ქალური-აფსარული...მიუხედავად ამისა, ენები უფრო დიდწილად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე ემთხვევიან. უპირველესი მიზეზი მათი ბინადრობის სხვადასხვა ვექტორია და სხვადასხვა მეზობლების ყოლა-მეზობლების ენა გავლენას ახდენს ერთმანეთზე... უფრო დაწვრილებითი განმარტება შემდეგ ტომში...

12. ერთ საკითხზე გავამახვილებთ მარტო ყურადღებას: ქრისტემდე XVI საუკუნეს შუა აზიაში დაფუძნებული მარგები და ასევე ქრისტემდე IV სასაუკუნეს აქვე დაფუძნებული მარები სხვადასვა ადგილას დაფუძნდნენ და მათი შემდგომი ცხოვრება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდება.

13. ორივე ესპანეთში?... რას გულისხმობს აქ ცეზარი? ვფიქრობ ორივე იბერიას, დასავლეთისას და აღმოსავლეთისას...ზუსტად ამ უკანასკნელში უჩანს ამოყვანილი მინიმუმ ორი კოლონია: აფშილებისა და აბასკებისა...

14. კიუტსი, კიდევ ერთი კოლონია, ამოყვანილი ოქტავიანე ცეზარის მიერ უკვე ფეოდოსიაში...ამ ქალქი პოლისის ნაშენის ხარისხიც განსხვავებულია თავად ფეოდოსიიდან...ვფიქრობ, ქალაქი კიუტსი არის აიეტის სატახტო ქალაქის კუტაიად მოხსენების პირველწყარო...

15. ფლავიუს არიანეს (და Vსაუკუნის ანონიმის) მიხედვით ამ ხალხის სახელი აბასკებია, ბასკების სახლიკაცები (რაც მტკიცდება ზედაპირული ლინგვისტური კვლევითაც. აბასკურიდან მეგრულში გადმოსული სიტყვები, რომლის მნიშვნელობა ამ კანასკნელისა ენისათვის გაუგებარია, იხსნება ბასკურის საფუძველზე:

საერთო სიტყვები მეგრულსა და ბასკურ ენაზე: ფარფალია-პეპელა; ტინტილა- ხვლიკი; ბარბალი-ბორბალი; მარაკა-ფარეხი; საბატონი-შაბათი; ბოგამცირე ხიდი; ამასთან კოლხურ და ბასკურ ტომებს გვედი-გვერდ არც არ-

ასდროს უცხოვსიათ, თუმცა მარული-ბასკური ტომების შერევა კოლხურ-თან საქართველოს ტეიტორიაზე უცილობელი ფაქტია.

...და სიტყვები, რომელიც მეგრულისათვის უცნობია, მაგრამ აბასკ-ურიდან არის შემოსული: ბორო-სულელი, მეგრულს (კოლხურს) ამ სიტყ-ვის აღმნიშვნელი საკუთარი სიტყვა ფონჩო და ტვენგე უჩანს, ბასკურსა და აბასკურს ბორო-ცხვარი...კაბეტი-ეს სიტყვა შემოსული ჩანს ბასკურიდ-ან-აბასკურიდან და დიდს ნიშნავს....მდინარე ბზიფს ვახუშტი კაპოეტის უწდებს, სინამდვილეში დიდს ნიშნავს და მართლაც რეგიონში უდიდესი მდინარეა...ლანდარი -გრძელი და სწორი (ხის) აღმნიშვნელია აფხაზეთის მეგრელებში, სათავეს ბასკებსა და აბასკებიდან იღებს...ლაბან ჭკუმილიო-მიაწყევლის აფხაზეთის მეგრელი, თუმცა ამ სიტყვის მნიშვნელობა არც ესმის-მდუღარე შენს პირსო, ბასკურ-აბასკურად... შურ-მურ ჩურჩული ყო-ფილა, შური-მური ჭორი...ფიარს ეძახდა ბარს ცხონებული ჩემი გარე ბიძა, რომელსაც დედა აბასკი ქალი ყავდა, აბასკური ჩანს ესეც...ერებამო ამოწყ-დიო-მიაწყევლიდა იგივე ბიძა ხოლმე, ერრე მოსახლეს ნიშავს ბასკურ-აბა-სკურად, წყევლა მახორობა ეჭყვადილს ნიშნავს თურმე...გოგონია ქიცი-ქი-ცი, პოპულარული, ჰიტი იყო იუთუბიზე- აღგზნება- გამოწვევა ყოფილა ბასკურში...საიდან იმერეთშიო-იკითხავთ? მარგვეთიდან, არგვეთადან... უც-ხო სიტყვას ბასკურში i ემატება თურმე, აბასკურში a ....

16. რასაკვირველია მარების- მარგების დასწრებულობა აქსიომაა ადრიატი-კაზე, და ვის სახელს ატარებენ ისინი? კვლევის მიხედვით მხოლოდ ერთი ტომი რჩება, რომლებიც სტრაბონის ნახსენები მდინარე მარგის ახლოს ბი-ნადრობდნენ, ისტრების შემდეგ დასავლეთიდან აღმოსავლეთით სანაპირ-ოზე-ლიბურნები...

17. მარშანიები თავადები იყვნენ, თუმცა მათ თავადობას არ ცნობდნენ ყა-ბარდოელები, სავარაუდოდ იმიტომ, რომ ისინი ჟამიანობას ყაბარდოში და მათ მახლობლად დაემალნენ... ვერ იქნები ლტოლვილი და ხიზანი კაცი დიდთავადნი...თუმცა ჟამიანობის დამთავრების შემდეგ მათ დალის ხეო-ბაც აითვისეს და არც შერვაშიძის (და თვით რუსეთის) სუზერენობასაც არ ცნობდნენ...(ახსოვდათ ალბათ ვინც გამოდევნა)

18. სანჯაია, დრიტირახშას მეეტლე განდხარვა ჩანს. არა მარტო ანგარაპა-რნას, ჩიტ-რარატხას უჩანს შენარჩუნებული ტელეპათიის უნარი, რომლი-თაც განდხარვები ანგარაპარნას სიტყვებით ემსგავსებოდნენ ღმერთებს და განსხვავდებოდნენ ადამიანებისგან...

18* გენუელი ქალების მამაკაცურ ღონეს აღნიშნავდნენ ანტიკური ავტორე-ბი, ხოლო გამხდარი და მშრალი მამაკაცების- მხეცურ ღონეს, შესაძლოა აფსარმა ქალებმა ამ უკანასკნელებთან პოვეს ოჯახები...

19. ონავარი, ფუტკართა მეკობრეობა- ასე აქვს განსაზღვრული ეს სიტყვა

სულხან-საბას...მე ვიტყოდი, ბოროტად ანცი...ზუსტად ეს მნიშვნელობა უჩ-ანს ამ სიტყვას აბასკურში (და ალბათ ბასკურშიც)

20. მარები უხსოვარი დროიდან (ქრიტემდე XXVI საუკუნე) შუამდინარეთ-ში ცხოვრობდნენ, შუმერიდან სამხრეთ-დასავლეთით, შესაბამისად ისინი ლი ბაანელები ვერ იქნებოდნენ. მთელი ხუთი საუკუნე და მეტი სახელდ-ებოდნენ შუმერისა და აქადის იმპერიად... ასირიის იმპერიის აღზევების კვალობაზე წარმოადგენდნენ ამ უკანასკნელის ვასალურ სახელმწიფოს... მათი აგლომერაცია აღწევდა დღევანდელ კახრამან-მარაშს თურქეთში...ბო-ლოს მოხსენიებულია დიდი არმენიის შემადგენლობაში, გრიგოლ პართე-ლის მიერ. არ შევუდგებით გრიგოლ პართელის მიერ შედგენილი სომხე-ბის მთავრების (და მხარეების) სიის გარჩევას (ეს მოგვიანებით ისედაც მოგვიწევს) IV საუკუნეში მის მიერ ნახსენები მარები, მარდპეტების თე-მის სახელით დაფიქსირებული იყო დიდი სომხეთის შემადგენლობაში წავდეელებთან, არწრუნებთან, გარგარიელებთან და ახპეტელებთან ერთ-ად. სავარაუდოდ აქედანვე ესხმიან ისინი თავს არაბებს და თავდასხმის შემდეგ რომის ხელდებულ ტერიტორიას აფარებენ თავს და არავითარი ლიბაანიდან ამისათვის გადმოსვლა არ სჭირდებათ...

21. მარგვეთის თავადური სახლი მხეიძეებს ეკუთვნოდათ...ზუსტად ისინი, კონსტანტინე და დავით მხეიძენი გადაუდგნენ წინ არაბებს არგვეთაში... აი აქ კი ომის მიმართულებას არაბები კარნახობენ... მარდებს საკუთარი ახალი სამშობლო აქვთ დასაცავი და ვერც რომაელების მფარველობის იმ-ედი ექნებათ...ხოლო არაბებს N რაოდენობის მოლაშქრეების გამოვყანა შე-უძლიათ...

22. ერთხელ სადღაც პოლიგრაფიაში წიგნის ასაკინძად გამზადებულ და-ბეჭდილ ფურცლებს წავაწყდი- საქართველოს თავადურ გვარებზე... მათ შორის მხეიძეთა საგვარეულოს შესახებ...დამაინტერესა და ბოლომდე მი-ვდიე...ერთი შტო მხეიძეთა, გადასული სამეგრელოში, ქალიშვილი გათხ-ოვდა მავან ივანე ჭკადუაზეო...სინამდვილეში ბაბუაჩემს გაყვა ცოლად, კირილე ჭკადუას...

23. უცნობია, თუ რატომ დაერქვა კოლხეთყოფილს ლაზიკა. არ ჩანს ისტ-ორიული პროცესი ლაზების შემოსახლებისა კოლხეთში. მხოლოდ ერთი, სელევკ ნიკატორის მიერ ქრისტემდე III საუკუნეს სინოპადან (დღევანდე-ლი თურქეთი) ჭან-ლაზების კოლონიის ამოყვანა გაგრა-დაგომისის სანაპი-როზე დასახლებით...მხოლოდ ეს ფიქსირდება კოლხეთის ტერიტორიაზე... შესაძლებელია აჭარის დასახლების კვალობაზე მოხდა ჭანების ჩამოსახლ-ება კოლხეთში, თუმცა ამ პროცესის დაფიქსირება ვერ ხდება (ზუსტად ისევე, როგორც აჭარისა, თუმცა აჭარაში ჭანების ჩამოსახლება უბრალოდ აქსიომაა)...არ გამოირიცხება, რომ ლაზების-ვენეტების მიგრაცია კოლხეთ-

ში ქრისტემდე 183 წელს მომხდარიყო...ამ წელიწადს მოხდა ვენეციის ინ-კორპორირება რომის იმპერიაში, თავიდან ლათინური უფლებებით, ხოლო ქრისტემდე 49 წელს რომაული უფლებებით...რასაკვირველია ამ პროცეს ეყოლებოდა როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგებიც. თავისუფლებისა და ზღვაოსნობის მოყვარული ვენეტები ამ დროს გადაბარგდნენ გალიის-საფრანგეთის არმორიკში...არ არის გამორიცხული თავისუფლების მოყვა-რული ლაზები კოლხეთში გადაბარგებულიყვნენ...თუმცა არც სტრაბონი და ფაქტიურად პლინიუს უფროსიც ამ პროცესს ვერ აფიქსირებენ, თუმცა ერთსაც და მეორესაც ეს სანაპირო აღწერილი აქვთ... თუმცა ტომის მიერ სახელცვლილება იშვიათი მოვლენა ნამდვილად არ არის: მარტო იბერებს დუჟინამდე სახელი უფიქსირდებათ. აღნიშნავენ კიდეც ანტიკური ქრონ-ოგრაფები, ადრე კოლხეთი ერქვათ, ახლა ლაზები ქვიათო... აი ლაზები-დან მეგრელებად ქცევა- ეს უკვე ხილული პროცესია: ეს უკვე მარდაიტ-ების ჩამოსახლების პროცესია VII საუკუნეს. არ ვიცით რა ნაწილი დაა-სახლა ბიზანტიის იმპერატორმა ლაზიკაში, თუმცა მარდაიტები მარგვ-ეთის გარდა ლაზიკის სხვა ნაწილშიც ჩანან ჩამოსახლებული. ზუსტად ამ პროცესის შემდეგ გახდა ლაზიკა ეგრისი, სა-მარგ-ალო...

24. კოლხებს, ჭანებს და იბერებს დედის ხაზი აერთიანებთ, დედის ხაზით სამივე მათგანი აფსარას შვილებია. ზუსტად ასევე არიან მარგები-ამ შემთ-ხვევაში ლიბურნებად წოდებულნი...

25. ამჯერად დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთად წოდებულის გაერთია-ნების იდეა აბასკებიდან მოდის-მათ თანამემამულები გამოუჩნდათ მარგ-ვეთში (იმერეთში) და სამეგრელოშიც...

26. ზუსტად ეს შანები, მცხოვრებნი დღევანდელი ქალაქ ანაპას მახლობლ-ად, უნდა იყვნენ ნიკონის მატიანეს **მშანების** ნაწილი რომლებიც ყაბარდო-ელ- კაზაკ -მსროლელების გაერთიანებულ ლაშქარს უჩანს გამოძევებული ყაბარდოელთა სამეზობლო ტერიტორიიდან, შესაძლოა ტამატარხიდანაც;

27. სამეგრელოსთან ყალმუხურ კვანძად გაფსკვნილი მტრობა, სამეგრელო-სგან დისტანცირებას იწვევს, რომელიც აფშილთა გააბასკების წინა პირო-ბაა...

28.ქართველები უარს ამბობენ თეოდოსიუპოლში (კარინში, კარნუ ქალაქში, ერზერუმში იარაღის შეტანაზე და ამას ასე ხსნიან: ამით ჩვენს მეზობლებს არმენთა ზემარქს და აფხაზეთის მაგისტროსს გავანაწყენებთო. ნომინალუ-რად ქალაქი არმენებს ეკუთვნით და გასაგებიცაა არმენთა ზემარქის შესა-ძლო განაწყენება, მისი აღებით...მაგრამ ქალაქი სინამდვილეში კარნებს ეკ-უთვნით, კენების-ხალიბების სახლიკაცებს (სტრაბონი კარიენტიდას ხალი-ბებისთვის ჩამორთმეულად აცხადებს)-შესაბამისად აფხაზთა მაგისტროსი X საუკუნეს ხალიბი ჩანს...ის აფხაზეთის პირველმცხოვრებია და რაოდენ-

ობითაც დიდად ჭარბობს აბასკებს...
29. ფოკეელები იბერები არიან...ფოროსი-ბერძენთა საერთო თანხა კუნძულ დელოსზე ინახება, რომლის მცხოვრებნიც ეოლიელები-ჭანები არიან...
30. სანარია და სანარე-ორი პოლიტიკური ერთეული არის აღნიშნული არაბი ავტორების მიერ აღმოსავლეთ საქართველოში. სანარია-დღევანდელი დუშეთის და თიანეთის რაიონი, სანარია-არაქსის და მტკვარის შესართავთან. ზუსტად ეს უკანასკნელი ჩანს დეილემებთან-უბიხებთან ერთად გარი-დებული სპარსელთა შაჰის დიქტატს 1502 წლის შემდეგ.
31. დასახლებული სამყარო ბერძნული თვალთახედვით.
32. აი ეს პასაჟი კი აშკარად ნატყუარია: ამაზონებს, რომლებიც იმ დროისათვის შავ ზღვაზე , თერმოდონტში ცხოვრობდნენ, ათენში მოსახვედრად საკმაოდ ვიწრო სრუტის გადალახვა მოუწევდათ (რასაკვირველია გემით, რომელიც ზღვიპირა მცხოვრებთათვის უცხო არ უნდა ყოფილიყო) ხოლო უარეს შემთხვევაში ბოსფორის (დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე) გადალახვა გაცილებით რეალური ჩანდა, შეუდარებლად ახლოს მყოფი იმავე ათენთან...
33. აი აქ კი სტრაბონი ნამდვილად ცდება. ეოლიელები (და მათშივე მოიაზრება შუმერები) აქ ყველაზე ადრე იყვნენ, ქრისტემდე 3403 წელს...დანამდვილებით ოდნავ მოგვიანებით იბერები, მაგრამ კუშიტებზე, განდხარვ-აფსარებზე (და ამაზონებზე) გაცილებით ადრე რამდენიმე საუკუნით...
34. ფრიგიელებზე ჩვენ საკმაოდ ვილაპარაკეთ. ისინი ფარაონ ჰორემხების მიერ ჩამორეკილი ევროპელი (უკვე ევროპელი) ტყვეები იყვნენ და ტროადს ახლოს (ორ ადგილას ცხოვრობდნენ ფრიგიელები: ტროადის ახლოს და ბაბილონის ახლოს) მხოლოდ ქრისტემდე XII საუკუნის მერე თუ გამოჩნდებოდნენ. სტრაბონი მართლაც ამაზონების სამშობლოდ აღიარებული ტერიტორიის სიახლოვეს ცხოვრობს, თუმცა ნამდვილად ცუდი მოწმეა იმისა, თუ ვინ არიან ავტოხთონები მცირე აზიის ტერიტორიაზე, იბერები და ეოლიელები თუ ამაზონები...
35. ტროელები 1330 წლისათვის საუკუნეზე ნაკლებით, სულ რამდენიმე ათეული წლის შემოსულმი ჩანან მცირე აზიის ტერიტორიაზე. რასაკვირველია მათ ომით უწევთ სხვისი კუთვნილი ტერიტორიის დაკავება და სავარაუდოდ ეს ტერიტორია ზუსტად ამაზონებისაა...
36. ბერძნულად შერაცხული კოლონიები შავი ზღვის სანაპიროზე ძირითადად მილეტელი კარიელებისა ჩანს, უკვე გაბერძნებული ფინური წარმოშობის ტომებისა. სინოპაზე კოლონიის დარსება მათ მიერ, ხდება ქრისტემდე 785 წელს. სავარაუდოს, ეს ამ „ბერძნებს“ ჰქონდათ შეტაკება ამაზონებთან, რომელიც სინოპადან 10-ოდ კილომეტრში ცხოვრობდნენ. სავარაუდოდ, მათვე წაიყვანეს დატყვევებული ამაზონები კრემნოზე, საკუთარ

კოლონიაში მეოტიდაში და აქვე მოაწყვეს ამაზონებმა აჯანყება. სხვანაირად წარმოუდგენელია სამ გემზე ამაზონების მიერ სინქრონულად აჯანყების მოწყობა.

37. სავარაუდოდ ამაზონებმა მილეტელების ახალშენი მეოტიდაზე მთლიანად გაანადგურეს, მხოლოდ ამის შემდეგ მიყვეს ხელი მეკობრეობას-ერთადერთ გამოსავალ ასეთ შემთხვევაში...

38. ამაზონების მიერ ევროპის დაპყრობაზე არაფერი არაა ცნობილი, თუმცა პომპეი ტროგის სიტყვები საყურადღებოა, თუნდაც სკვითური ისტორიების აღმოჩენიდან გამომდინარე...

39. ფასისი- ასე ეწოდებოდა მდინარე არაქსის სათავეებს, რომელიც ზუსტად ნახსენებ ტერიტორიაზე გადის...და ეს ფასისი, ჩათვლილი რუსი ისტორიკოსის, ტატიშევის მიერ კოლხეთის ფაზისად, თვლის რუსების ერთ ნაწილს (ამაზონთა ნაშობთ) კოლხების ნათესავებად...

40. გარგარიელები ყველა ნიშნით ეოლიელები-ჭანები არიან და არა თრაკიელები...ამაზონების ქალაქები, სმირნა, მირინა და სხვები სტრაბონისათვის უკვე ეოლიელების ქალაქებია-სავარაუდოდ აქ იმ ამაზონყოფილებთან ცხოვრობენ, რომელიც ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს დაუბრუნდნენ.

41. კონტინენტის სიღრმეში გადასულ და უკვე ჩვეულებრივი ადამიანური რიტმით მცხოვრებ გარგარიელებს და მათ მეწყვილე ამაზონყოფილებს სტრაბონი მხედველობიდან კარგავს ...თუმცა ისინი იხსენებიან დიდი არმენიის შემადგენლობაში...

42. სტრაბონის მიერ ნათქვამი ფრაზა, რომ არმენებმა იბერებს წაართვეს ხორზენა და გოგარენა, რომელიც მდინარე კირის (მტკვარის) მეორე (არა არმენების) სანაპიროზე მდებარეობს, მხოლოდ გოგარენას შეეხება. ამ უკანასკნელზე ვერაფერს ლაპარაკობს ყოველი ქართველურის ხმალამოღებული დამცველი პავლე ინგოროყვა. ვერ ამბობს, იმიტომ რომ არ იცის ამ ტერიტორიის ადგილმდებარეობა და ვერც ეცოდინებოდა-ის მცირე აზაში მდებარე მელიტენაა, ტრაპიზუნდის მიმდებარეად...(ამ თემაზე იბერებში უკვე საკმაოდ ვისაუბრეთ)

43.კარიენტიდა, კარნომანების ქალაქი ძველი დასახლება ჩანს. მას იპყრობენ ანტიოხ დიდის ყოფილი სარდლები არა უადრეს II საუკუნისა ქრისტემდე, რაც კარნების კენების, ენეტების გვერდით მოსახლეობას ნიშნავს სინოპას ნახევარკუნძულზეც...

44. მცირე აზიასა და ვენეციაში მცხოვრები პუნები-ხეთები, ჭანურ ენას სინოპაზე და ვენეციაში ეუფლებიან. ის მათი მშობლიური ენა არ რის...იგიბე პუნები, კანგოის ტომი, გადასული მცირე აზიიდან და დაფუძნებული შუა აზიაში, ამ ენას არ და ვერ ფლობენ-მცირე ლინგვისტური კვლევის მიხედვით ისინი აღმოსავლურ ქართულ ტომებს წარმოადგენენ... სხვათა შო-

რის, ზუსტად ამ ენის ათვისება გახდა მიზეზი მათი ვენეტებად და ენეტებად წოდებისა...

45. კენების სასაზღვრო ციხე-სიმაგრეები ჭანებთან, ერთ მხარეს ხარტონი და მეორე მხარეს სისილასიონი, უკვე მიტოვებული კენების მიერ, პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ კენებსა და ჭანებს შორის საზღვარი, ეთნიკური თუ პოლიტიკური უკვე მოსპობილია, აღარ არსებობს-ორივე ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობს...

46. მითრიდატე კტისტი-დამფუძნებელი-არასწორია განმარტება, რომ ეს უცილობლად სამეფო დინასტიის დამფუძნებელს გულისხმობა. ეკლესიის კტიტორი-ეკლესიის აღმშენებელია; ტომის კტისტი-ტომის დამფუძნებელი.

47. აი აქ, თუხარების-მცხოვრები სამხრეთ ინდოეთში და ჩინების ხსენება გვერდი-გვერდ, ზუსტად იმის ნიშანია, რომ ეს ჩინები, ჩენები განსხვავებული ჩინებია, ინდოეთის სამხრეთით მმცხოვრები...

48. ქალების ეს წინდაცვეთა იწვევს ქალების სრულ ფრიგიდულობას, მაგრამ ხელს არ უშლის მათსავე ფერტილურობას, დაფეხმძიმებას...

49. ამაზონების ტომიდან ნაწილი ჩანს მცირე აზიიდან კავკასიისაკენ დაძრული-ისინი, ვინც ამაზონური ცხოვრების წესის დამცველებად რჩებიან...

50. აფსარა- ეს მდედრობითი სქესის განდხარვაა, ქალი... აფსო- მეგრულად მდედრობითი არსების სასქესო ორგანოს სახელწოდებაა და ნიშანდობლივია, რომ ძირითადად პირუტყვისა...

51. მკითხველს მოვახსენებ, რომ ისტორიაში გალებად მოხსენიებული ხალხი მხოლოდ და მხოლოდ გერმანიკული ტომი ჩანს, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე გამოჩნდა ქრისტემდე V საუკუნეს....და ვინ ასახლებს მანამდე ევროპის სივრცეებს? რასაკვირველია კელტები და მათი თვალსაჩინო წარმომადგენლები. ჰეროდოტესათვის ისინი ესპანელები ჩანან. ის ესპანელები, რომლებიც დიოდორე სიცილიელის მიხედვით კელტებისა და იბერიელების ნაჯვარი ტომია... დიოდორე სიცილიელისათვის კელტები ერთმნიშვნელოვნად კუშიტური (განდხარვული) ტომია და მათგან მკვეთრად გამოყოფს გალებს, ხოლო გალებში ასევე ერთმნიშვნელოვნად გერმანიკულ ტომებს მოიაზრებს:

„სიმაღლით გალები ძალზე მაღლები არიან, სხეული თეთრი და ნაზი, თმები ბუნებრივად ქერა“ (დიოდორე სიცილიელი, წიგნი V, 32-7)

აი ასე აღწერს დიოდორე გალებს, რომლებიც კარდინალურად განსხვავდებიან შავგრემანი ესპანელებისაგან. ცხადია გალებად ანტიკური ისტორია გერმანიკულ ტომებს თვლის... შემდგომი დროის ისტორიკოსებში უკვე აღრეული კელტებისა და გალების მცნება, რომელთა ქვეშაც ასევე გერმანიკული ტომები მოიაზრება. მაგრამ არქაული ისტორიის საფუძვლიანი შესწავლა გვჩვენებს, რომ ევროპა, კერძოდ გალია- იგივე ცენტრა-

ლური ევროპა იმ შორეულ დროშიც აუცილებლად ათვისებული უნდა ყოფილიყო...და როდის ხდება ცენტრალური ევროპის ათვისება?

როგორც ირკვევა, თარხონ ტირსენის პიონერული ლაშქრობის უკიდურესი ჩრდილოური ფლანგი გენუაა. ცხადია ცენტრალურ ევროპა ტეარკონ ეთიოპის-თარხონ ქუშის ექსპედიციის ეპოქაში ჩანს ათვისებული, ქრისტემდე XXV საუკუნეს. სავარაუდოა, რომ ცენტრალურ ევროპას გელები იკავებენ, აქედანვე ჩანან გადასული ბრიტანეთი კუნძულებზე. ის რომ ბრიტანეთის კუნძულების ათვისება თარხონ ქუშის ეპოქაში ჩანს განხორციელებული, ირკვევა ირლანდიურ საგებში ნახსენები პერსონაჟის, იმბირ სკენეს მიხედვითაც, რომელიც ერთმნიშვნელოვნად იბერს აღნიშნავს. თარხონ ტირსენის ეპოქაში იბერთა სახელი უკვე შერყვნილია ინდო-ევროპული ენით-ისინი საკუთარ თავს უკვე ტიგრაის, ან შუალედურ ფორმას ტიბერიუსს უწოდებენ. ტიბერებს იტალიაში, ტიგრაის შუა აზიასა და აფრიკაში. ცხადია ევროპის ამთვისებელთა ექსპედიცია უფრო ადრინდელია, ვიდრე ტირსენ ატისის ძის ექსპედივია ქრისტემდე XIII საუკუნეს და თვით სკვითების განდევნაზე ასევე ქრისტემდე XVI საუკუნეს, სადაც იბერები უკვე ტიგრახაუნდების სახელით ფიქსირდებიან... შესაბამისად ცენტრალური ევროპის ათვისება თარხონ ქუშის ექსპედიციის მიერ ან პარალელურად ხორციელდება, უკვე გელების პრიორიტეტით... მიუხედავად ძიებისა, პირდაპირი კავშირები გელებს და გალებს შორის არ იძებნება, თუმცა ყველა ვარიანტში ისინი მონათესავე ტომები ჩანან...ერთსადამივე იმავე აფრაზიულ ენაზე მეტყველნი...

...**და ქალი....**სავარაუდოდ, საფრანგეთის არქაული სახელი გალია, ქალია-დან მოდის...შესაძლოა განდხარვულ, პირველად ენაზე ასე ჟღერდეს ქალი...ან მოგვიანებით გადაიქცა ის გალად, შესაბამისი ფონეტიკის არ არსებობის გამო:

„გალების ქალები არა მარტო თითქმის მამაკაცთა სიმაღლისანი არიან, არამედ შეუძლიათ მეტოქეობა გაუწიონ ძალაში“ (იქვე, 32-2)

დიოდორე სიცილიელი გალთა ქალების უჩვეულო სიმაღლეს და ძალას აღნიშნავს, რაც ასევე ჩვენს ჰიპოთეზაზე ასხამს წყალს... ცხადია ამ ქალი-ს მეორე მხარეს ისევ გარე-გარე ქმრები, ჭანები, იგივე ხალდები წარმოადგენენ, რამეთუ ამ პერიოდისათვის იმ ტერიტორიაზე, სადაც განდხარვები- კუშიტები დასახლდნენ, მხოლოდ ჭანები ცხოვრობდნენ, თვინიერ იბერებისა. თუმცა როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი ცხოვრების ამაზონურ წესზე უარს ამბობენ... და არსებობს თუ არა რაიმე სამტკიცი ფაქტი გალიის ამაზონების მიერ დაარსებისა? თითქმის არავითარი, თუმცა:

„ყავთ რა ქალები ბრწყინვალე შესახედაობისა, გალები აქცევენ მათ ნაკლებ ყურადღებას, ზომაზე მეტად გატაცებულნი მამაკაცური ჩახუტებით:

ჩვეულებრივ მათ სძინავთ ცხოველების ტყავზე პირდაპირ მიწაზე, გორაობენ საყვარლებთან ერთად, რომლებიც არიან იქვე, ტყავებზე და მიწაზე. ყველაზე საოცარი ისაა, რომ ისინი არ ზრუნავენ კეთილშობილებაზე, ადვილად აძლევენ სხვას საკუთარი სხეულის ღირსშესანიშნაობებს და სულაც არ მიაჩნიათ ეს სამარცხვინოდ“ (იქვე, 32-7)

ზომაზე მეტად გულუბრყვილო მკითხველისათვის განვმარტავ, რომ დიოდორე სიცილიელი ყურადღებას ამახვილებს გალი (გერმანელი) მამაკაცების მასიურ (და არა ცალკეულ) მამათმავლობაზე... ეს კი სავარუდოდ იმ ხალხის ცხოვრებისეული მათრახია, რომელთაც კანონიერი სექსუალური პარტნიორები, ცოლები წელიწადში მხოლოდ ორი თვის განმავლობაში უწევენ ცოლობას...

52. ალანური სვანური დიდხანს იყო უცხო ტომის, ხაზარების გავლენის ქვეშ და მათგანვე უჩანთ ათობითი აღთვალვის სისტემა შეთვისებული... რაც შეეხება ბალს ზემოთა სვანეთს, მისი ნაწილიც ალანური ჩანს...

53. მარტო აღთვალვის სისტემა არ აკავშირებს ქართულს და ალბანურს :

ა. ყასაბი- იგივეა ალბანურში და სპარსულში, საკითხავია როგორ გადავიდა, შუალდურ თურქულს, რომელიც შესაძლოა გადამტანი იყოს-ეს სიტყვა არ გააჩნია...

ბ.ქარავანი-მეორდება ალბანურსა და სპარსულში, თურქულს არა აქვს...

გ. ქაფური-მხოლოდ ქართულსა და ალბანურში.

დ.-ფანელი-ასევე მხოლოდ ქართულსა და ალბანურში.

ე. პარჩაკი-ასევე მხოლოდ ქართულსა და ალბანურში.

ვ. სევდა-სიყვარულს ნიშნავს თურქულსა და ალბანურში.

ზ.თასმა-იგივეა უზბეკურში, ტაჯიკურში, თურქმენულში და ალბანურში.

თ.ეთერი-მხოლოდ ქართულსა და ალბანურში.

ი.ვედრო, სათლი-იგივეა სპარსულში უზბეკურში და ალბანურში.

კ. ბოსტანი-იგივეა მხოლოდ სპარსულსა და ალბანურში.

ლ. აშიკი-იგივეა თურქმენულსა და ალბანურში.

54. როცა ცეზარმა ვენეტებზე გაილაშქრა არმორიკში-გალიაში-დღევანდელ საფრანგეთში, გადამღობი რაზმების კორდონი მოაწყო ბელგებისათვის, უმამაცეს ტომად ცნობილთათვის, რომ ისინი არ წაშველებოდნენ ვენეტებს... ცხადია ისინი ვენეტებთან ერთად ქრისტემდე 1262 წელს ჩატარებული მიგრაციული ექსპედიციის წევრები არიან იბერებთან, მარებთან, რეტებთან და ვენეტებთან ერთად... ამასთან მათი მშობლიური ენა ძირითადად ფრანგულია...

...შუმერები...

თემა პრინციპულად უცნობია, თუმცა ამ ენის შესახებ უამრავი ლიტერატურა არსებობს ... თუმცა ტრადიციული ახსნის მცდელობა ამ ენისა, სავარაუდოდ უინტერესოც იქნება. ქართველურ ენებთან მიმართებაში ერთის მხრივ ლაპარაკიც კი უადგილოა, ხოლო მეორეს მხრივ, შუმერული მჭიდრო კავშირში ჩანს ჭანებთან-ხალდებთან...(1) საბედნიეროდ, ვფიქრობ მივაგენი იმ ალგორითმს, რომლის მიხედვით ცალკეული ქართველური ტომის ენა უცილობლად დაკავშირებული ჩანს სხვა (უცხო) ენასთან და მით უფრო შორდება დედა ქართულს, რაც უფრო დიდია და შორებელი კომპოზიტური ტომების ურთიერთდამოკიდებულება...ამჯერადაც მე ვერ ვისაუბრებ სრულიად გახსნილად, თუმცა ეს პრინციპი უცილობლად ფიგურირებს ქართველთა ცალკეულ ტომთა ენაზე...მოვიყვან მაგალითს: ქართლური და კახური ტომებიც კომპოზიტურია-ორკომპონენტიანი: ქართლელი მამაკაცის მეწყვილე, ეს ქურთი ქალია, კახელი მამაკაცისა-სომეხი ქალი...ქურთი და სომეხი, ერთი რასის წარმომადგენელია, მათ ბიძაშვილებად სახავს ინდური ეპოსი „მახაბხარატა“...მათ შორის ფაქტიური სხვაობა ენის მხრივ ნიველირებულია...კოლხი და იბერიელი- ასეთსავე ნათესაობას ამჟღავნებს: ქართველი ქალის და სპარსელი მამაკაცის საოჯახო წყვილიდან წარმოიშვა კოლხი და კოლხური ენა, ქართველი ქალისა და მაურისაკი-მალი-ბელუჯი (2) მამაკაცისაგან იბერი...(სპარსელი და ბელუჯი მამაკაცი ფაქტიურად ისეთივე ნათესავები არიან, როგორც ქურთები და სომხები) ეს უკანასკნელი ორი, კოლხი და იბერი ისე ახლოს დგას ერთმანეთთან, რომ უძველესი ისტორიის აღმწერი ბეროსი (ქრისტემდე IV საუკუნე) მათ ერთ ტომად თვლის კიდეც (3). აი ასეთი მონაცემებით ვიწყებთ საკითხზე მუშაობას (მკითხველს თუ დარჩა შეკითხვები ან უკმარისობის შეგრძნობა, კიდევ ერთხელ ვიხდით ბოდიშს, ამჯერად საქმისათვის ასე აჯობებს, III ტომში პასუხგაუცემელ შეკითხვებს აღარ დავტოვებ)

„ყირიმში კიბლეს მხარეს, ჩეტირ-დაგს (მთა) ქვემოთ და კიბლეს მხარეს მისგან შავი ზღვის სანაპიროზე, მდებარეობს კაფას (ფეოდოსიის) ვილაიეთი, იწოდება ტატების ილად (ტომად). ამ მხარეს არ დგება მკაცრი ზამთარი, იქ ბრწყინვალე სანაპიროა, ბრწყინვალე წყალი და ჰაერი. ცხოვრობენ აქ ძირითადად ბერძენი ურჯულოები და ლაზები. საწინააღმდეგო მხარეს შავი ზღვისა, აქედან სამასი მილის მოშორებით მდებარეობს ტრაბზონის ვილაიეთი, იქიდან ხალხი გადმოვიდა აქ გემებით ტატის ილის (ტომი) ამ მიწაზე...აქ ბრწყინვალე ჰაერია და წყალი, ბერძენი გულიამები (ღულამები) და შეყვარებილები. ძალიან კარგი არის ეს ადგილი გართობისა და ტკბობისათვის. ეს მიწები ხმელეთისა, უზენაესის ნე-

ბით, არის ნახევარი ყირიმის კუნძულისა. მთებზე და მინდვრებზე იზრდება ლეღვი, ლიმონი, ფორთოხალი, ზეთისხილი, ბროწეული, ბალი, ატამი, ალუბალი, თუთა, კვიპაროსი, არყის ხე, მტირალა ტირიფი, წიფელი, მარწყვი, მუშმალა, კომში, წაბლი, სხვადასხვა ჯიშის ქლიავი და აბრიკოსი ხარისხისა, რომელსაც არ ყავს ბადალი ტარბ აბზუნშიც, ანუ ტრაბზონშიც. იქ იზრდება ვარდებიც კი, როგორც ტრაბზონში და მათი არომატი ატკბობს ხალხს“ (ევლია ჩელები; მოგზაურობათა წიგნი. ყირიმი და მიმდებარე რეგიონები. ტატების თემის აღწერა, წიგნი III, 2008 წელი)

რამდენიმე გარემოებაა აქ საყურადღებო: ევლია ჩელები აქ არ ანსხვავებს ბერძნებს და ლაზებს, მიუთითებს რომ ისინი ტრაპიზუნდიდან არიან აქ ჩამოსული, სადაც ერთიც ფიქსირდება და მეორეც... მაგრამ ანტიკური დროიდან როგორც წესი, შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს კოლონიზაცია ხმელთაშუა ზღვისპირელებს: მილეტელებს, ხიოსელებს და სამოსელებს მიეწერებათ...

...და შავი ზღვის ჩრდილი სანაპირო...

ამ სათაურით რამდენჯერმე დაიწერა თემა I თუ II ტომში, თუმცა საბოლოოდ ჯერაც ამოწურული არა ჩანს: იმდენად მრავალრიცხოვანია ჩვენი თანამემამულეთა ტომობრივი თუ თემობრივი რაოდენობა, რომ მათი ადგილი და რაობა ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის განსაზღვრული (მიუხედავად გაწეული უზარმაზარი შრომისა). მათვე მიეკუთვნება ყირიმის ნახევარკუნძული და კიდევ უფრო შორული ტერიტორიები მოლდავეთისა თუ ვლახეთისა-რუმინეთისა. მოკლე ჩამონათვალი იმ ტომებისა თუ თემებისა, ვინც უკვე დაექვემდებარა ჩვენს მიერ იდენტიფიკაციას, ჩამოვთვლით აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით:

1. აფშილეთი-ყოფილი კოლხები, მდინარე კოდორიდან გუმისთაზე (სოხუმის ჩათვლით) ჩამოასახლა რომის იმპერატორმა ოქტავიანე ცეზრმა ადრიატიკის ზღვის აფსირტიდების კუნძულიდან ძველი-და ახალი წელთააღრიცხვების გასაყარზე, რომაული გარნიზონის საყრდენ ძალად.

2.აბასკები (ასე იხსენებს მათ პირველაღმწერი ფლავიუს არიანე და რაც ამ ტომის ზუსტ სახელს წარმოადგენს, ესენი ბასკები არიან, მარყოფილები) ჩამოასახლა იმავე დროს და იმავე იმპერატორმა, ადრიატიკის ზღვის სანაპიროდან, დღევანდელი ხორვატიიდან-იმ დროს ლიბურნები ერქვათ. (38*) ასევე რომაული გარნიზონის საყრდენ ძალად,V საუკუნიდან ცხოვრობდნენ ანაკოფიას-აფონის და მდინარე ფსოუს შორის.

3. სანიგები, მცირე და დიდი ჭანები (სინამდვილეში დიდი ჭანები ლაზები -ხალიბები იყვნენ, ხეთები სინოპის ნახვარკუნძულიდან) ჩამოასახლა დია-

დოხოსმა (მაკედონელის მემკვიდრემ) სელევკ ნიკატორმა (თავადაც ხალდ-მა-ჭანმა) საკუთარი იმპერიის დასავლეთი საზღვრის დასაცავად ევროპე-ლი სკვითების-უკრაინელებისაგან, ქრისტემდე III საუკუნის დასაწყისს.
4. არტები და გეჩები-სხვადასხვა ხალხი ჩანს მენტალობით:არტები-იმერლ-ები და გეჩები იბერები...მითრიდატე ევპატორის ჩამოსახლებული ჩანს, ქრისტემდე II საუკუნის დასასრულს... იმერლები არტაანიდან, გეჩები-პონ-ტოდან, „ყური და თვალი“ მითრიდატესი, რომელმაც ყირიმის ნახევარკუ-ძულიც შეიერთა, დაასახლა დღევანდელ ადლერთან, სანიგების შუაში...
5. ჯიქები კუნძულ ხიოსიდან, სინამდვილეში იბერიელები, სანიგების შემ-დეგ, ასევე მითრიდატე ევპაატორმა ჩამოასახლა აქ ამავე დროს...
6.კერკეტები-ყაბარდოელები, სელევკ ნიკატორის მიერ ჩამოსახლებული ჭა-ნების-ლაზების პარალელურად და იმავე მიზნით...ამოძრავებულნი ჯიქებ-ის მეზობლობით შეწუხებულნი და აზოვზე გადასახლებულნი. ამომწურა-ვად ვისაუბრეთ I ტომში.
7. ახაიელები-ასევე სელევლ ნიკატორის დროს ჩამოსახლებული ამავე მიზ-ნით. ვისაუბრეთ I ტომში, მათი ადრეული ისტორიის უცნობი დეტალებზე მოგვიანებით მოვყვებით’
8. სუბეშელი კოლხები „მეთაფლია აფხაზებად“ შემორჩენილნი ისტორიას, მითრიდატე ევპატორის ჩამოსახლებული ტრაპიზუნდის სამახლობლოდან, საკუთარ საყრდენად და ჯიქების საპირწონედ.
9. თორეტები -სავარაუდოდ კიზიკიდან,მარრმარილოს ზღვის სანაპიროდან, ჩამოყვანილი სელევკ ნიკატორის მიერ იმავე მიზნით და იმავე დროს. მათ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა ანაპა, ამოძრავებული ჩანან V საუკუნის შე-მდეგ საქართველოს მიმართულებით...ამ საკითხზეც მოგვიანებით ვისაუბ-რებთ...

...და საკთრივ ყირიმი: რასაკვირველია გვაქვს რამდენიმე უძველესი ცნობა ყირიმის უძველესი მოსახლეობის შესახებ, თუმცა ძირითადი სამუ-შაო-ეს ევლია ჩელების მოღვაწეობის პერიოდი, XVII საუკუნის მეორე ნახე-ვარი და ის ცნობები იქნება, რომელსაც ჩელები ახმოვანებს, და სხვათა შო-რის, არა სენსაციური ფაქტების გრეშე:
1. დანანდვილებით ვიცით, რომ ქრისტემდე 585 წელს ასაკენები-ტავრები მოყვნენ სამხრეთის სკითებს-უკრაინელებს მცირე აზიური ლაშქრობიდან... სკვითებმა ტვრებს დ მათთან ერთად მოსულ საკების მცირე ნაწილს სამ-ხრეთ ყირიმის სანაპირო გამოუყვეს, ყირიმში შედარებით მთაგორიანი ნა-წილი... სამხრეთ ყირიმის უძველესი დასახლება, სუდაკის და საკის ჩათ-ვლით მათი იყო. საეჭვოა, რომ ურთიერთობა გაფუჭებოდათ ბერძენ- რომ-აელებთან, რომლებიც ქვყნიერების ამ ნაწილს ფლობდნენ. ეს კუთხე გე-ნუელებმა (იტალიელებმა) ჩინგიზ ხანიდან თემურ- ლენგამდე შუალედში,

კერძოდ 1360 წელს (ევლია ჩელების სიტყვებით) დაისაკუთრეს...არც გენუ-ელებისაგენ განიცდიდნენ ტავრები და საკები დევნას, თუმცა 1475 წელს ყირიმის ოსმალეთისგან დაპყრობის შემდეგ შეუძლებელია ნახევარკუნძულზე დარჩენილიყვნენ-ისინი აზოვის ბოლოში მდინარე დონზე დასახლდნენ და სისხლს უშრობდნენ თურქებს საზღვაო თუ სახმელეთო ლაშქრობებით...

2. ჯერ კიდევ I ტომში მოყოლილი იყო ფრანგი წარმოშობის რაინდის გიიომ რუბრუკვასის მოგზაურობა შუა საუკუნეების ყირიმში. მის მიერ აღწერილი იყო აღმოსავლეთის ქრისტიანებთან, ალანებთან-ასებთან შეხვედრა ნახევარკუნძულის ტერიტორიაზე. აღნიშნავდა, რომ ალანები არიან ერთადერთი ნაცია, რომელთათვის სქიზმი უცნობია და ისინი ერთნაირი პატივისცემით უდგებიან ყოველგვარ ქრისტიანულს, იქნება ის მართლმდიდებლური თუ ქრისტიანული...და მაინც ვინ არიან ისინი:

„ბადირაკების ენის სინატიფე...

ეს ბადირაკები- მძლავრი ხალხი, ცხოვრობენ ყირიმის ნახევარკუნძულის ცენტრში. სინამდვილეში ისინი თათრები არიან, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ცხოვრობენ ქალაქში, აქვთ ნატიფი ენა, რომელსაც მეზობელი ნოგაები ვერ იგებენ-იმდენად რამდენადაც ნოგაებს აქვთ ექვსი ენა“ (მოგზაურობათა წიგნი, ნაწილი 4 განყოფილება 2; შენიშვნა N317. გამოშვების თარიღი 1996 წელი-ქართულ ენაზე)

ისე ჩანს, თითქოს ევლია ჩელები ნოღაურ-თათრულ ტომზე ლაპარაკობს, თუმცა ამ ტომმა არ იცის თათრული ენა:

„მირხონის (XV საუკუნის სწავლულის) მიხედვით, ჩინგიზ-ხანი ავიდა ტახტზე....წელს. ჩინგიზიდები შეადგენენ თორმეტ ხაზს ფადიშაჰებისას. და ყოველ ასეთ ხაზში ხუთმეტი ხანი და მირზაა. ყირიმის და დაღესტანის ხალხები, მოღოლი-ბოღოლი, კუმიკი, კალმიკი, ხატაი და ხოტანი, ფაგფური, ლიპკი, ბადირკი, ინდუსი და სინდი, აჯამი, აევე თურქმენი-ოსმანები“

მოღოლი-ბოღოლი,- ოდესღაც მონღოლების ნაყმევი სახელმწიფო.

კუმიკი-ყივჩაღური ტომები დაღესტანსა და ყირიმში.

კალმიკი-მონღოლური ტომები ვოლგისპირეთში.

ხატაი და ხოტანი-ჩინეთის ჩრდილო და ცენტრალური ნაწილი.

ფაგფური-ჩინელები მდინარე ბრახმაპუტრაზე.

ლიპკი-ლიტველი თათრები.

ბადირაკი-განმარტებულია ნოღაის ტომად, ჩელების ზეგავლენით.

ინდუსები და სინდები-პაკისტანელები.

აჯამი-სპარსელები.

თურქმენები- პუნები, ხეთები, ჩელები თვლის მათ ოსმანების წინაპრებად. **(იქვე, შენიშვნები N1-15)**

...და მაინც ბადირაკა ნოღაური ტომი არ ჩანს:

„მდინარე არდონი გამოყოფს ამ თემს, რომელსაც <u>ბადილი</u> ეწოდება, გამოყოფს ოსთა სხვა თემებისაგან. ეს ხალხი არა მარტო ლაპარაკობს საკუთარ ოსურ დიალექტზე, რომელი დიალექტითაც ის გამოირჩევა სხვა ოსებისაგან, არამედ საუბრობს ძველ ქართულ ენაზეც. გარდა ამისა, მათი თვისებაა კეთილისმყოფელობა, ასე იშვიათი დასავლეთ კავკასიისათვის, სახელდობრ ისინი ძალიან შრომისმოყვარენი არიან, მშვიდობისმოყვრულნი და მშვიდნი“...და აქვე შენიშვნა: **ბადილი-იგულისხმება დიგორელები, სადაც ზეობდა გვარი ბადილატა (იაკობ რეინეგსი 1778-84 წელი, გამოშვება 1967 წლისა)**

ცხადია, ესენი ალნები არიან, დიგორული წარმოშობისა...სწორედ მათ აღწერს იოსაფატ ბარბარო „მოგზაურობა ტანაში“ გოტ-ალანებად, გოთებთან, გერმანიკულ ტომებთან ალიანსში, ყირიმში XV საუკუნეში (ამაზე უკვე I ტომში ვისაუბრეთ)...მათივე აშენებულად აცხადებს ევლია ჩელები იკერმანის ციხე სიმაგრეს ოდესის ოლქში და ქალაქ იზმაილს აქვე...საბოლოოდ, ისინი გოთებთან-გერმანელებთან ერთადვე ქრებიან ამ ტერიტორიიდან გერმანიაშივე მიგრირებულნი ალბათ...მცირე ნაწილი ნოღაელები და ყირიმელ თათრებში გაითქვიფა...

3. ...და იოსაფატ ბარბაროს „მოგზაურობა ტანაში“-დან, კაფასთან მდებარე ავტონომიური „კამპანია“ და მისი ავტონომიური მართველივე, „ზიხია გერკესია ვინ შეიძლება იყოს? თუ კაფა 1360 წლისათვის გენუელების ფაქტიური საკუთრებაა, გენუელებისა, რომელიც ესპანელების მიმდებარედ ცხოვრობენ ტირენეს ზღვაში, ხელს რა შეუშლის კამპანიელებს, ასეულობით კილომეტრი უფრო ახლოს მდებარეს შავ ზღვასთან, ასეთივე საკუთრება ჰქონდეთ კაფასვე სიახლოვეს? ზუსტად ასეთი ავტონომიური წარმონაქმნი უნდა იყოს შავი ზღვის კამპანია. მისი მმართველი ზიხია-გერკესია, ასევე ჯიქი ჩანს, თუმცა არა კუნძულ ხიოსიდან ქერჩის ყურის გაღმა...გერგეზი-მეგრულად გმირს ნიშნავს, ამასვე უნდა ნიშნავდეს გერკესი ლაზურად... და იგივეს ნიშნავს ჩერქეზი ჯიქთა ენაზე ქერჩის ყურის გამოღმა ალბათ...

4...**და მთავარი, ტატები და ტატი მურტატები:**

„ვილაიეტში ხუთი სანჯაყია: ჯატხა, ქვმო ბათუმი, ზემო ბათუმი, გონიო და ტრაბზონის სანჯაყი...სტამბოლის სრუტიდან აქამდე, ტრაპზონის უბემდე, არის სრული 1000 მილი. აღმოსავლეთ ნაწილში ტრაპზონისა, მდებარეობს მთა გეზგისა, აქაური ხალხი შეცდომით არქმევს მას ლაზგს, ზოგიერთები გამარტივებისთვის ამბობენ ლაზ-ის ხალხს.

როცა გაიმარჯვა სულტანმა აბულ-ფატიხ მეხმედმა და მიიტაცა ეს ციხე-სიმაგრე, ბრძანა გადმოესახლებინა სხვადასხვა წარმოშობის ხალხები და დაასახლა მათით ტრაბზონი უმეტესწილად. ლაზების ხალხი ჯიუ-

ტი დაუმორჩლებელია. მეხმედ II ბრძანებით ხელოსანი ლაზები ტრაბზონის უმრავლესობა კვარტალიდან გადაასახლეს სტამბოლში, ხოლო გამონთავისუფლებული ნაწილი დაასახლეს თურქებით...

ხილებიდან (უნდა აღინიშნოს) განსაკუთრებული ბალი, <u>მსხალი ლახიჯური (4)...</u>

მცხოვრებნი (ტრაპიზუნდისა) კეთილი და კეთილგანწყობილი ხალხია, მაგრამ გლეხები ჩიჩუასი და ჩხეტიასი ძალზე ჯიუტები არიან. მათ სხვა დიალექტი აქვთ სიტყვა და გამოთქმა, გაუგებარი ტრაპიზუნდის მცხოვრებლებისათვის, უნდა თარგმნო თურქულად...აქ ჩაწერილია ლექსი ჩიჩუასი და ჩხეტიასი:

ტუნ ზარიგონ ტაბინჩარო
ტომორ ფონდა პალილარო
ალსანიგა გუზა ტოპა
კეპხა პაიეს ტოხმანუ

მაგრამ ლაზების ენა არ ემორჩილება კალამს, შეუძლებელია მისი ჩაწერა-ძალიან უცნაური ენაა“

(ევლია ჩელები...მიწები კავკასიისა და მიმდებარე ოლქები მცირე აზიისა. (ტრაბზონი) აღწერა დიდი ქალაქისა და კეთილმოწყობა ციხე-სიმაგრებისა ძველ ქვეყანა ლაზიკაში, ანუ ქალაქ ტრაბზონში პუბლიკაცია1983 წ)

თურქ ევლია ჩელების, დამპყრობელი ხალხის წარმომადგენელს უკვირს, რატომ არ არიან ადგილობრივი ხალხი ლოიალური-ეს იმპერიების დამახასიათებელია...საინტერესო ისაა, რომ ჩვენ უკვე ვიცით ტრაპიზუნდის და მიმდებარე რეგიონის თავადების გვარები-ეს მათი გვარის, ჩიჩუას და ჩხეტიას მიხედვით არის შერქმეული გვეხებისათვის ეს გვარი... თუმცა არაფერს გვეუბნება, გაძნელებულია მათი ტომობრივი წარმომადგნლობა... მაგრამ ხილი...ლახიჯური მსხალი ტრაპიზუნდელბისა პირდაპირ მიგვითითებს, ესენი მასაგეტების შთამომავალმი არიან ...მასაგეტებისა, რომელთა სპერელობა პირდაპირ იკითხება ჰეროდოტესთან- სტრაბონთან ამ ხალხის ნაწილს მელიტენა და მცირე არმენიულობა უნტკიცდება, მეორე ნაწილს პონტოელობა და მაზაკელობა (ქალაქ მაზაკას მიხედვით)...მასაგეტები, განფანტული კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, დიდი ნაწილი ლეკებში ასიმილირებული, ნაწილი გომბორზე მცხოვრებნი, უდიდესი ნაწილი ირანში, ყაზვიმთან მცხოვრებნი... და ყველა მათგანს <u>ლახიჯები და ტატები ჰქვიათ...იბერიელ ტომთა კიდევ ერთი სახელი....</u>

აღწერა ტატების ილისა (ტომისა)

ევლია ჩელებისთან სხვადასხვა წლის პუბლიკაციებში მუდმივად იმყოფება მცირე სტატია ამ რუბრიკით, ოდნავ განსხვავებული ერთმანეთისაგან,

ვთვლით რომ ეს განსხვავება მნიშვმელოვანია ჭეშმარიტების გასარკვევად:
„მდბარეობს ყირიმის სმხრეთით ჩეტერდაგს (მთა ყირიმში) იქით, მდებარე ზღვის სანაპიროზე კაფის ვილაიეთში, იწოდება ტატების მიწებად. ამ დიდ ქვეყანაში არ არის ყინვები და კლიმატი საკმაოდ სასიამოვნოა. იქაური ხალხი ეს დიდწილად ურწმუნო ბერძნებია და ჯოჯოხეთიდან ამოფრქვეული ლაზები. ვინაიდან სამას მილში ამ კუთხიდან, შავი ზღვის მეორე მხარეს მდბარეობს ვილაიეთი ტრაბიზუნდისა, საიდანაც ეს ხალხი გემებით, რომ აქ დასახლდეს“ (იქვე, მოგზაურობათა წიგნი, 1996 წლის რედაქცია, შენიშვნა N316- თან)

მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩელები იქაურ ბერძნებს ურწმუნოდ (4*) აცხადებს, ხოლო იქაური ლაზებისადმი საკუთარ ნეგატიურ წარმოდგენას ვერც მალავს, თუმცა ჩელების კომენტატორისათვის უკვე 200 წლის წინ დაყრობილი ლაზები გამუსლიმანებული ჩანან. ბერძნებიცა და ლაზებიც, ევლია ჩელებისათვის ტრაპიზუნდიდან ყირიმში მიგრირებული მასაა...
„ყველა მანდაური (ბალაკლაველი) დაკავებულია თევზჭერით და ზღვაოსნობით. ძირითადად მოსახლენი არიან გაუთლელი ლაზები, იმდენად რამდენადაც თათრები საცხოვრებლად კლდეებზე ვერ ძლებენ“ (იქვე, შენიშვნა 242)

ჩელები აქ მიუთითებს ლაზების ადაპტაციის უნარზე კლდეზე არსებობისა, რომელიც საერთოდ არ გააჩნიათ თათრებს- უპირატესად ნოღაელებს:
„ეს მაღალი მთებია. მისი უმაღლესი წეტილიდან შეიძლება მთელი ყირიმის კუნძულის შეთვალიერება, რომელსაც სამკუთხედის ფორმა აქვს. აღმოსავლეთით და დასავლეთით ზემოთ ხსენებული სუდაკისაგან- მთები ტატების ილისა (ტომისა). მაგრამ ისინი ასევე შედიან კაფის ვილაიეთში. აქ ბევრი ციცაბო მთებია და ქედები. მთელი ხალხი აქ- ბერძნები და ლაზებია, მოლაპარაკე ბერძნულ ენაზე. სულ ისინი ხუთმეტი ათასი არიან, მსროლელები თოფიდან. როცა ისინი ლაპარაკობენ ერთმანეთში ბერძნულად, იყენებენ გამოთქმებს რომელიღაც უცხო ენიდან“ (იქვე, წიგნი VI ნაწილი III, 1999 წლის რედაქცია)

ევლია ჩელები აქ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ტატი ბერძნები და ლაზები მეთოფე ხალხია, განსხვავებით თათარ- ნოღაელებისაგან, რომლებსაც თოფის სროლა-გამოყენება არ შეუძლიათ, თოფის ხმაზე ფრთხებიან... ამასთან ტატები, ბერძენ-ლაზები ერთმანეთში ბერძნულად ლაპარაკისას იყენებენ გამოთქმებს უცხო (მსმენელთათვის) ენიდან:

თავი დიალექტზე, რომელსაც ტატი- მურტატები იყენებენ:

„იმდენად რამდენადაც ტატების ტომი მდებარეობს კუნძულ ყირიმზე კიბლეს მხარეს, კუნძულის განაპირას, ისინი იყენებენ თავისებურ რთულ

სიტყვებს. ეს არც ბერძნული, არც ჩაღატაური და არც ლაზური ენაა. ეს რომელიაც სხვა ენაა, როცა ერთმანეთში ლაპარაკობენ, ადამიანი განცვიფრდება. ამ ტატების ტომის რეგიონში წყალი და ჰაერი ზღვისპირაა. აქ იზრდება მრავალგვარი გემრიელი ხილი-ლეღვი, ყურძენი, ბროწეული, ზე-თისხილი , ლიმონი... (იქვე)

...და მაინც რომელ ენაზე საუბრობენ ტატი-მურტატები? რასაკვირველია ევლია ჩელები ამ ტერმინის ქვეშ ურწმუნო ბერძნებსა გულისხმობს, ან მილეტელ ბერძნებს, როგორც 4* შენიშვნაში მივუთითეთ...

თავი ბრწყინვალე ქალაქზე, ძველ დედაქალაქზე, მტკიცე საყრდენზე, ციხე-სიმაგრე კაფაზე-ყირიმის ბრეყინვალე მიწის სამკაულზე

მავანი ჯანევეს შვილებმა დატოვეს მამის სამფლობელო, პირველმა გენუის ქვეყანა აღაშენა, მეორეს კუნძული ხიოსი მოეწონა, მესამემ ბიზანტიის მემკვიდრე გახდა, მანვე აღაშენა ციხე-სიმაგრე კაფა. (იქვე)

ცოტა რამ კაფას ვილაიეთზე: ქრისტემდე VI საუკუნეს დაარსეს ბერძნებმა-მილეტელბმა. 355 წელს ქრისტემდე შედიოდა ბოსფორის სამეფოში. IV საუკუნეს ქრისტესით დაარბიეს ჰუნებმა. V საუკუნეს შედიოდა ბიზანტიის იმპერიაში. VI საუკუნეს დაიპყრეს ხაზარებმა, თუმცა ბიზანტიამ მალევე მოახერხა მისი დაბრუნება. XIII საუკუნეს დაიპყრო ოქროს ურდომ. მალევე გამოისყიდეს ოქროს ურდოსაგან გენუელმა ვაჭრებმა. 1475 წელს საბოლოოდ დაიპყრეს ოსმალებმა...

თუ ჯანევეში ჭანებს ვიგულისხმებთ, გენუის ქვეყანა მათ არ დაუარსებიათ, ამის შესახებ ზემოთ საკმაოდ ვისაუბრეთ... ასევე, კუნძული ხიოსი ჭანები არ არიან, ამაზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, ხიოსელები იბერები არიან და ისინივე ჩამოასახლა ძალდატანებით მთრიდატე ევპატორმა, ზიხები ისინივე არიან... რაც შეეხება ბიზანტიის და ციხე სიმაგრე კაფას (განსაკუთრებით ამ უკანასკნელს) მათ დაფუძნებაში ჭანების წილი უდიდესი უნდა იყოს...ისევე როგორც ჯანიშკესი-დღევანდელი გენიჩესკი და ჯანკოისა...

„ უცებ მისანმა ბარბაროსულ ენაზე დაილაპარაკა; მისის (საკუთარი სახელია) მხლებელი თებეელები განცვიფრდნენ ელინურის მაგივრად ბარბაროსული ენა რომ გაიგონეს და არ იცოდნენ, ასეთ შემთხვევაში რა უნდა გაეკეთებინათ; მაშინ მის ევროპელმა გამოსტაცა მათ ფირფიტა, რომელიც ეჭირათ და დააწერა ზედ ის რასაც წინასწარმეტყველი ლაპარაკობდა; თებეელებს კი უთხრა, რომ ის კარიულ ენაზე ლაპარაკობდა“

(ჰროდოტე; წიგნი VIII-135)

კარიელებს (მილეტი მათი დედაქალაქია) ანტიკური ლიტერატურა ელინებად-ბერძნებად თვლის, მაგრამ არა ჰეროდოტე...

„...კარიელები ხმელეთზე კუნძულებიდან არიან მოსულები. ძველად კი ისინი მინოსის ქვეშევრდომები იყვნენ, იწოდებოდნენ ლელეგებად და ეპყრათ კუნძულები. ისინი არავითარ ხარკს არ იხდიდნენ, რამდენადაც მე შემიძლია მსჯლობა გადმოცემათა მიხედვით, მაგრამ როგორც მინოსი მოითხოვდა, უმზადებდნენ მას ხომალდებს...შემდეგ, დიდი დრო რომ გავიდა, კარიელები დორიელებმა და იონიელებმა გამოაძევეს კუნძულიდან და ეგრე მოვიდნენ ისინი ხმელეთზე. ეგრე იყოო, ამობენ კრეტელები კარიელების შესახებ. ხოლო თვით კარიელები არ არიან ამ საკითხის შესახებ მათი აზრის, არამედ თვითონ თავისი თავი ხმელეთის მკვიდრ მცხოვრებლენბად მიაჩნიათ და სახელადაც მუდამ ის გვერქვაო, ამბობენ, რაც ახლა ქვიათ“ (იქვე; წიგნი I-171)

ამ საკითხზე ადრეც ვისაუბრეთ...ჰეროდოტე აქ ნამდვილად ცდება, შეუძლებელია მან უფრო მეტი იცოდეს კარიელების შესახებ, ვიდრე თავად კარიელებმა, ამ ვაჭარმა და განათლებულმა ერმა. სინამდვილეში კრეტიდან უხსოვარ დროს გამოძევებული ხალხი კუნძულ სამოსელები ჩანან, იონიელები-იბერები და კარიელების უშუალო მეზობლები...

“იონიელები ერთსა და იმავე ენაზე კი არ ლაპარაკობენ, არამედ ოთხნაირ დიალექტს ხმარობენ. მათ შორის სამხრეთისაკენ მილეტია პირველი ქალქი, ხოლო შემდეგ არიან მიუსი და პრენია. ესენი კარიაში მდბარობენ და მათი მცხოვრებლები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. ხოლო ლიდიაში არის შემდეგი ქალაქები : ეფესო, ლებედოსი, ტეოსი, კლაძომენე და ფოკაიე. ამ ქალაქებს ზემოთ მოხსენიებულ ქალაქებთან ენის მიხედვით არავითარი მსგავსება არა აქვთ, ხოლო ერთმანეთში ლაპარაკობენ ერთსა და იმავე ენაზე. ამის გარდა დარჩენილი სამი იონური ქალაქიდან ორი მდბარეობს კუნძულებზე, სამოსი და ქიოსი, ხოლო ერთი დაფუძნებულია ხმელეთზე- ერითრე. ქიოსელები და ერითრეელები ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო სამოსელები- თავის საკუთარზე. ეს არის ენის ოთხი დიალექტი.“ (იქვე; I-142)

სინამდვილეში, პირველად დასახელებული სამი ქალაქი, მილეტი, პრენიე და მიუსი ეოლიური ქალაქებია, თუმცა დასახელებული ყველა ქალაქი-პელაზგურია. პელაზგურ ქალაქები მინიმუმ ორენოვანია, ბერძნულირადგან ისინი უკვე ბერძნული სუბკულტურის ქვეშ მოქცეული ქალაქებია, და პელაზგური-ჭანურ-იბერიულ-კოლხური, რომლებიც მცირედღა განსხვავდებიან ერთმანეთისაგან . თუ რატომ ლაპარაკობენ სამოსელები განსხვავებულ დიალექტზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ- მათ მინიმუმ ათი საუკუნე კუნძულ კრეტაზე იზოლირებულად იცხოვრეს, კრეტელების მიერ გამოძე-

ვებამდე... რაც შეეხება მილეტელებს-კარიელებს, მათ მესამე და დამოუკიდებელი-კარიული ენაც უჩანთ, როგორც ამას აღნიშნავს ჰეროდოტე...

„შემდეგ მიაღწიეს მომცრო ქალაქს, დასახლებულს ბრანხიდებით.(4) ოდესღაც ქსერქსეს ბრძანებით, როდესაც ისინი ბრუნდებოდნენ საბერძნეთიდან, ისინი გადასახლდნენ ამ ადგილას, გაძევებულების ხარისხში, იმიტომ რომ მეფის (ქსერქსეს) თავის მოსაწონებლად, შებილწეს ტაძარი, სახელდებული დიდიმად. მათ კიდევ არ დავიწყებიათ წინაპართა წესჩვეულებანი, მაგრამ ლაპრაკობენ ორ ენაზე, თანდათან ივიწყებენ მშობლიურს. მათ მიღეს მეფე სიხარულთ და გადასცეს თავიანთი ქალაქი. მაგრამ მან (მეფემ) ბრძანა მოეყვანათ მილეტელები, მისი დროშის ქვეშ მსახურები. მილეტელებს სძულდათ ბრანხიდები გამცემლობის გამო. ამიტომაც მეფემ ნება დართო მილეტელებს, გადაეწყვითათ მათი ბედი, მათი დანაშაულის და ასევე მათი საერთო წარმომავლობის გათვალისწინებით. იმდენად რამდენადაც მილეტელების თვალსაზრისი გაიყო, ალექსანდრემ განაცხადა, რომ თვითონ მოიფიქრებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს. როდესაც ისინი მოვიდნენ მეორე დღეს, მან უბრძანა ბრანხიდებს, გაყოლოდნენ მას. მივიდა რა ქალაქთან, ის შევიდა შიგ მსუბუქად შეიარაღებული რაზმით. ფალანგა ღებულობს ბრძანებას -ალყა შემოარტყან ქალაქს. ნიშნის მიღებისთანავე გაძარცვონ ქალაქი, მოღალატების თავშესაფარი, ხოლო ბრანხიდები ამოწყვიტონ ერთიანად. და აი ყოველი მხრიდან იგვემება უიარაღო და ვერ არბილებს მტერს არც ხვეწნა, არც წმინდა მფარველობა, მოწოდებული მათთვის მათთან საერთო ენაზევე. და ბოლოს, რომ ქალაქიდან არ დარჩეს კვალიც კი, მის კედლებს ანგრევენ საძირკვლებამდე. არა მარტო ჭრიან ხეებს წმინდა ჭალაში, არამედ ფესვებიანად ძირკვავენ, რომ ამ ადგილას დარჩეს მხოლოდ უდაბნო და უნაყოფო მიწა, ხეების ფესვების გარეშე. და ეს ყველა ღონისძიება მიღებული გამყიდველების წინააღმდეგ, კაცს მოეჩვენებოდა სამართლიან შურისძიებად მაშინ. ახლა კი წინაპრების დანაშაულის ზღვავდნენ შთამომავლობა, რომელთაც მილეტი ნანახიც არ ჰქონდა, ამიტომაც არ შეეძლო მისი ქსერქსესათვის გადაცემა“**

(კვინტუს კურციუს რუფი; ალექსანდრეს ლაშქრობა, წიგნი VII, თავი 5-27-35)

... და აი ესენი ვინ არიან? კარიელები, მილეტელები-მხოლოდ ამის თქმაღა შეგვიძლია... კვინტუს რუფის სიტყვებით, ისინი სპარსეთის მეფე ქსერქსეს ელინებზე-ბერძნებზე ლაშქრობისას მის მხარეს გადასული მილეტელები არიან, დიდიმას ტაძრიდან. ნიშანდობლივია, რომ ამ ხალხს, კარიელებს, ფლავიუს არრიანეც ახსენებს, თავის დიდტანიან თხრობაში „ალექსანდრეს ლაშქრობაში“...სავარაუდოდ, ისევ და ისევ კვინტუს რუფის გავლენით, რომლის თხრობაც ალექსანდრეს ლაშქრობაზე უცილობლად წაკ-

ითხული უჩანს: კვინტუს რუფი ქრისტემდე II-I საუკუნე, ფლავიუს არიანე ქრისტესით II საუკუნე. რუფის წამხედურობით ისიც ამ მილეტელებს-ბრანხიდებს „გაქცეულ კარიელებად“ ნათლავს და ახსენებს მათ სპარსელთა გაერთიანებულ ლაშქარში ჯერ კიდევ არბელასთან ომის დროს.

სინამდვილეში, სპარსეთის მეფეებს, დაწყებული კიროსიდან, შემხებლობა უჩანთ კარიელებთან-მილეტელებთან:

„როდესაც ლიდიელები დაიმორჩილეს სპარსელებმა, იონიელებმა და ეოლიელებმა გააგზავნეს მოციქული სარდეში კიროსთან და უნდოდათ იმავე პირობებში ყოფილიყვნენ მისი ქვეშევრდომები, რა პირობებში კროისოსთან იყვნენ ... იონიელებმა კი, როდესაც შეიტყვეს ეს ამბავი, რომელიც მოედო ქალაქებს, თითოეულმა ზღუდეები შემოივლო და ყველანი, გარდა მილეტელებისა, შეიკრიბნენ პანიონში. რადგანაც მარტო მილეტელმა შეკრა კავშირი კიროსმა, როგორიც ჰქონდა მათთან ლიდიელს“ (ჰეროდოტე; წიგნი I-141)...ხოლო ჰარპაგოსმა (კიროსის სარდალი) იონია რომ დაიმორჩილა, გაილაშქრა კარიელების, კავნიელების და ლიკიელების წინააღმდეგ“ (იქვე, 171)...ხოლო კარიელები, რომელთაც არავითარი ბრწყინვალე საქმე არ უჩვენებიათ, დაიპყრო ჰარპაგოსმა“ (იქვე174)

შესაბამისად, იმ ინციდენტს, რომელსაც აღწერს კვინტუს რუფი და რომელსაც კვერს უკრავს ფლავიუს არიანე, კიროსს და კარიელებს შორის ადგილი არ ჰქონია... და რა მდგომარეობაა ამ მხრივ მეფე დარიოსთან I მიმართებაში?

“...ხოლო მილეტელების შესახებ, რომლებიც იქ არ ყოფილან, ასეთი რამ ითქვა: მილეტო, ბოროტი საქმეების ჩამდენო, მრავალთათვის გახდები მაშინ საზრდო და შესანიშნავი საჩუქარი. შენი ცოლები ბევრს, გრძელთმიანს დაბანენ ფეხებს და ჩვენს ტაძარზე, რომელიც დიდიმაშია, სხვები იზრუნებენ. მილეტელებს ეს ამბავი მართლაც გადახდათ თავს, როდესაც მათი ვაჟკაცების მეტი წილი ამოხოცეს გრძელთმიანმა სპარსელებმა, ხოლო ცოლები და შვილები მონებად აქციეს, სალოცავი კი, რომელიც დიდიმაში იყო, ტაძარის და სამისნოც , გაძარცვეს და დაწვეს...მილტელები, რომლებიც ცოცხლად ჩაიგდეს ხელში ტყვედ, აქედან ხუსაში წაყვანეს. მეფე დარიოსმა მათ ცუდი არაფერი უქნა და დაასახლა ე.წ. მეწამულ ზღვასთან (5) ქალაქ ამპეში, რომელთანაც ჩამოდის მდინარე ტიგრესი და ერთვის ზღვას .ხოლო მილეტელთა ქვეყანას რაც ეხება, თვითონ სპარსელებმა დაიჭირეს ქალაქის ირგვლივ მდებარე ადგილები და დაბლობი, ხოლო მთიანი ნაწილი მისცეს პედასელ კარიელებს“ (იქვე, წიგნიVII, 19-20)

ალბათ ამ ცნობაზე დაყრდნობით თუ ლაპარაკობს ერთი და მეორე ავტორიც კარიელების-მილეტელების სხვაგანაც აღმოჩენის შესახებ. რაც შეეხება მეფე ქსერქსეს და მის ლაშქრობას ელინებზე, ამ დროისათვის მთე-

ლი მცირე აზია დარიოსს უკვე დაპყრობილი უჩანს და ისინი სპარსეთ-ის ცალკეული სატრაპიებია, მათ შორის კარიელებიც...შესაბამისად, კვინტ-უს კურციუს რუფი და ფლავიუს არიანე ქსერქსესთან მიმართებაში სხვა ეპიზოდს ეყრდნობა: ქსერქსეს ლაშქრობა ელინებზე ფაქტიურად დარიოს I ლაშქრობის გაგრძელებაა. ერთმნიშვნელოვნად მეფე დარიოს I მიერ და-ტვევებული მილეტელები სპარსეთის ყურის და სუზის მახლობლად დას-ახლებულნი ჩანან ... და ესენი ვინღა არიან და როგორ აღმოჩნდნენ მცი-რე აზიელი კარიელები შუა აზიაში? ვერ იქნებიან ისინი ქრისტემდე XVI საუკუნის ლაშქრობის შედეგი-იმ დროის კარიელებს ბერძნული საერთოდ არ უნდა ცოდნოდათ...ეს მილეტელები ან დარიოს I მიერ ტყვედ წამოყვნ-ილი კარიელები ჩანან, ან ქსერქსეს დროს ასევე დატყვევებული ბრანხიდე-ბი, რომლებიც საკუთარი სურვილით ჩანან აქ გადმოსახლებულნი, როცა საკუთარი თანამემამულების აქ არსებობა შეიტყვეს....როგორც ავტორი აღ-წერს ამ სიტუაციას, სულ ტყუილად შერაცხა ალექსანდრემ მილეტელები ბრანხიდები გამცემლებად და ასევე ტყუილად გაანადგურა მათი (როგ-ორც ეტყობა) დედაქალაქი, ღალატი ხომ ამ თაობას არც ჩაუდენია, მათ წინაპრების დანაშაულზე მოუხდათ პასუხის გება...რატომ დედაქალაქი? იმიტომ რომ საკი ხაუმავარგა ისინი არიან, მთელი სატრაპია და არა მხო-ლოდ ერთი ქალაქი... და არავითარი მითიური „ხაომის“ მხარშავები ისი-ნი არიან, არამედ ეს უკანასკნელი წოწოლა ქუდიანს ნიშნავს...მათ და ფო-კაიელებს (სხვებსაც) ჰეროდოტე იონიელებს უწოდებს (ყველა ეს ტომი ფლობს მეორე მშობლიურ აფსარულ-კოლხურად) ცნობილ ენას ... ხოლო საკი ტიგრახაუნდები, რომლებიც კიროსის (თუ დარიოსის) სატრაპიაში შემავალნი არც არიან, იბერელები ჩანან...კიდევ ერთხელ განვმარტავ:

1. მცირე აზიის აბორიგენი-პირველი მოსახლეობა მხოლოდ კუშიტები არ-იან...
2. მხოლოდ კუშიტები-არავინ მათ გარდა არ მონაწილეობს სკვითების გვე-მასა და განდევნაში მცირე აზიიდან.
3. ერთადერთი კუშიტური ტომი (ასირიელების გარდა- რომელზედაც შემ-დეგ თავში ვისაუბრებთ) რომელიც არ ჩანს ამ დევნაში, შუმერები არიან.
4. შუმერები, მილეტელები და კარიელები არიან ევლია ჩელებისეული ტა-ტი-მურტატები, ბერძნები და ჭანები, რომლების სრულიად უცხო ენასაც ფლობენ-რასაკვირველია შუმერულს.
5. სწორედ წოწოლა ქუდიანი საკები გახლავან იონიელი-შუმერები და ამ-აში დარწმუნება შუმერული ჩანახატებითაც შეიძლება...ამ ხალხს დღეს ყი-რგიზები ეწოდება
6. ქრისტემდე XVI საუკუნეს, კარია და მილეტი უკვე არსებულია, შესაძლ-ებელია გაცილებით უფრო ადრეც...

...და ერთი მოულოდნელი ჰიპოთეზაც, მონაწილეობენ თუ არა შუმერები პირველ პიონერულ ექსპედიციაში ტეარკონ ეთიოპის-სინამდვილეში თარ-ხონ ქუშის პარალელურ ექსპედიციაში, ქრისტემდე XXV საუკუნეს?

ის რომ თარხონ ეთიოპის ექსპედიცია არ ყოფილა ერთადერთი და-უსახლებელი ევროპის ამათვისებელი ექსპედიცია, წინა თავებში უკვე ვი-საუბრეთ...თარხონ ეთიოპის ექსპედიციას მიეკუთვნება ესპანეთის და პო-რტუგალიის ათვისება, შესაძლოა დასავლეთ აფრიკის დიდი ნაწილის, მა-როკოსი და მავრიტანიისაც კი (თუ აქ დასახლებულ ქუშებსა და სვანებს სხვა თარხონი არ ჰყავდათ). გალია-საფრანგეთის ამთვისებელი ამაზონე-ბი ჩანან (პომპეი ტროგის მითითების თანახმად) გერმანიისა-გელები...დი-დი ბრიტანეთი სხვადასხვა კუშიტური ტომის ათვისებული ჩანს, მათ შო-რის გელების და ირლანდიელების...მაგრამ შესაძებელია (და სავარაუდოც) რომ ჩრდილოეთ ევროპის ათვისების ფლანგი აქ არ მთავრდება, ათვისება გრძელდება ბალტიკაზეც... კუნძული რიუგენი და მისი მიმდებარე ტერი-ტორიები-პომორები, რომელთა სახელს ირლანდიური საგები ფომორებად-ზღვის ურჩხულებად დებს (6) და რუსებმა გვიან საკუთარ ენას მოარგეს, პომორიელებად სახელდებენ... მთელი 100% შეიძლება მტკიცება იმისა, რომ პიონერული ექპედიციების ჩრდილოეთი ფლანგი აქ არ მთავრდება, კარე-ლია-ფინეთი შუმერული დასახლებაა, დასახლებული ქრისტემდე XXV სა-უკუნეს...

...კარელია-ფინეთი...

მეორე ტომის ფაქტიურად დასაწყისშივე აღნინული იქნა, რომ ინ-დური ეპოსი „მახაბხარატა“-ფაქტიური მატიანე დედამიწისა, ჩინებს- ჩინე-ლებს ინდოეთიდან ჰიმავენს- ჰიმალაის მთათა სისტემის ჩრდილოეთით მიუთითებს... ეს ფაქტიურად სხვა, ინდოეთისათვის უცხო სუბკულტურაა და იშვიათი ურთიერთობა უჩანთ ამ უკანასკნელთან: მხოლოდ ფრაგმენტ-ული სავაჭრო ურთიერთობა და საჩუქრების მირთმევა იუდიშტხირასამი, მის ინოუგურაციასთან დაკავშირებით...

მაგრამ პარალელურად (გაკვრით) მითითებულია ჩინთა სხვა ტომ-ზეც, რომელიც ინდოეთის სამხრეთით ზღვისპირა მცხოვრებია, ხოლო მი-სი სახელოვანი წევრი, სატიაკი-კრიშნას პირადი მეეტლე. მდენად რამდე-ნადაც კურუქშეტრად დიდ ომში თავად კრიშნა ასრულებს არჯუნას, სწო-რუპოვარი მეომრის საბრძოლო ეტლის მიმმართველის როლს, სატიაკი სა-მის გარეთ რჩება...მაგრამ კრიშნას ერთგული მეომარი კრიშნას და არჯუ-ნას პირადი მცველის როლში გვევლინება...ამ ასპარეზზე ის არ ზოგავს კრი-შნას თანატომელ ანდხაკებსა და ვრიშნებსაც, რომელიც პირობის მოხედვ-

ით მოწინააღმდეგე მხარეს იბრძვიან. და ზუსტად ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ სატიაკი სხვა ტომელია, ჩინია და არა ვრიშნი ან თუნდაც ანდხაკი...და ზუსტად ეს ტომი, ჩინები-ჩენები წარმოადგენენ ბეროსისეულ ხალდებს, ისტორიისათვის შუმერებს...და როგორც ჩანს, თვითდასახელებით კარიელებს...

მონღოლოიდი...ეს ტერმინი სწორი არ უნდა იყოს ამ რასის აღმნიშვნელად. მონღოლი არც რაოდენობით, არც კულტურით და არც რაიმე მიღწევით ამ რასის ფლაგმანი ვერ იქნება ...ინდურ ეპოს „მახაბხარატაში ის სრულიადაც არ არის მოხსენიებული. წამყვანი და თვალსაჩინო ფუნქცია აქ ჩინებს უკავიათ. მოხსენიებული კიჩაკას-ყივჩაღის ტომი, კამბოჯა და (შესაძლოა ნაგების-მონღოლების) ტომიც...ზემოთვე ვთქვი, ორ ერთმანეთისაგან (მთელი ინდოეთის სიგანით) დაშორებული ჩინური (როგორც ჩანს პირველი (რასა) და მეორე ტომი... სწორედ ამ ტომს ბეროსი, ბაბილონელი ქურუმი აღწერს შორეულ (ქრისტემდე 3523 წელს, დღევანდელ ვენეციაში) ხალდების სახელით ... მაგრამ აქედან მიგრირებულებს, ქრისტემდე 3403 წელს და იმ ნაწილს, რომლებიც კოლხებთან ეგვიპტეში დაფუძნდნენ, უკვე ისტორია ჩენებს უწოდებს (იხ. ეგვიპტელების აღწერისას)...ასევე, ადრე შუა საუკუნეების ბიზანტიური ლიტერატურა მათ ჩენებად ნათლავს. (ხანდახან ტიანად, სანამ სომეხი პროფესორი ადონცი არ მიხვდა, რომ სინამდვილეში ჭანებთან, ქართველურ ტომებთან გვქონდა საქმე) უფრო გვან მათ ლათინური სანებად და სანარებად იხსენიებენ... მაგრამ XIX საუკუნეშიც კი ორბელიანების თავადურ საგვარეულოს, რომლებიც წარმოშობით ჭანები ჩანან, ქართველი არისტოკრატია ზურგს უკან ჩინებად, ყვითელკანიანებად ახსენებდა...მაგრამ თავად შუმერები თვითდასახელებად კარიელებს იღებს (და რომელიც ფონეტიკურად ძალიან ახლოს დგას კორეელებთან)...და ჩანს თუ არა მათ სხვა სახელიც-თვითდასახელება?

„დროთა ვითარებაში, კროისოსმა მდინარე ჰალისის აქეთ მცხოვრები ყველა ხალხი დაიმორჩილა...(მათ შორის) თინებიცა და ბითვინებიც“ (ჰეროდოტე, ისტორია; ტომი I-28) და იქვე:

„...(თრაკიელებმა) აზიაში გადასახლების მერე მიიღეს სახელი ბითვინები, ხოლო ადრე საკუთარი სიტყვებით, მათ ერქვათ სტრიმონები და აქვე ცხოვრობდნენ (მდინარე) სტრიმონთან“ (იქვე; წიგნიVII-75)

ჰეროდოტეს ბითვინების და განსაკუთრებით თინების შესახებ ალბათ ყველაზე მეტი დაეჯერება, რადგანაც დედით კარიელი იყო და მათ გვედზევე ცხოვრობდა ქალაქ ჰალიკარნასოსში...ზუსტად იმავე ტომებს ახსენებს სტრაბონიც, მაგრამ მისთვის თინები უკვე ფინებია:

„შემდეგ აპოლონია 1300 სტადიონის მანძილზე, <u>მილეტელების კოლონია...</u> აპოლონიიდან კიანებამდე 1500 სტადიონი, ხოლო შუალედში მდებარეობს

ფინიადა- ადგილი, რომელიც ეკუთვნის აპოლონიელებს (ანხიალეის ასევე ფლობდნენ აპოლონიელები ასევე ფინოპოლი და არდერიკა“ (სტრაბონი; წიგნი VII, თავი VI-1) და იქვე:

„ამბობენ, რომ ჰერაკლეა მდებარეობს მარიანდინების ოლქში და დაფუძნებულია მილეტელების მიერ...ქალკედონს და ჰერაკლეს შორის მოედინება რამდენიმე მდინარე, მათ შორის (მდინარე) სანგარიი... მდინარე სანგარიი დელტით შესართავთან წარმოშობს საზღვარს ბითვინიასთან. ამ სანაპიროს წინ მდებარეობს კუნძული ფინია“ (იქვე, წიგნი XII, თავი III -7)

მკითხველს მივუთითებ, რომ სტრაბონთან აღნიშნული პუნქტები მდებარეობს შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, ბოსფორიდან გამოსვლის შემდეგ ხელმარჯვნის, ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, არ მისული სინოპას კონცხამდე ... საერთოდ, ანტიკურ ლიტერატურაში სულ ორჯერაა ფინიას და ფინოპოლის ხსენება (თუ არ ჩავთვლუთ ჰეროდოტესეულ თინიას) ორივეჯერ სტრაბონის მიერ და ორივე...მილეტის კოლონიას წარმოადგებს, კარიელების-შუმერებისა...ძალიან დიდი ალბათობთ, დღევანდელი კარელია-ფინეთი ქრისტემდე XXV საუკუნეს სპარსეთის ყურიდან და მცირე აზიიდან ჩატარებული პიონერული- დამასახლებელი ექსპედიციის უკიდურესი ჩრდილო ფლანგი უნდა იყოს...კორეა-შუმერთა კომპოზიტიური ტომის მამაკაცური შემადგენელი ჩანს, ჩინთა რასიდან. საინტერესოა, რომ საკუთრივ კორეელები ჩინეთიდან მხოლოდ აღმოსავლეთის მიმართულებით ჩანან მიგრირებული: სამხრეთ და ჩრდილო კორეა და იაპონია...დიახ, დიახ, იაპონიაც კორეული ტომი ჩანს, თუმცა ევროპული რასის ერთ-ერთი ძირითად ტომთან კომპოზიტურ კავშირში...(7)

რაც შეეხება თავად კარიელებს-მილეტელებს, შავ ზღვაზე არსებული ყველა „ბერძნული“ ახალშენები ფაქტიურად მათი დაფუძნებულია. ზემოთ ნახსენები ორი კოლონია შავი ზღვის შემოსასვლელშივე, სინოპა (დანამდვილებით მათვე ჰქონდათ ამაზონებთან შეტაკება აქ და მათვე წაიყვანეს ამაზონები მაიეტსის-აზოვის ზღვაზე დატყვევებული ამაზონები, სადაც ეს უკანასკნელები აჯანყდნენ და მთლიანად გაანადგურეს მათი კოლონია). ბერძნული ნაწილი ტრაპეზუნდისა, რომელსაც ქსენოფანტე აღწერს, მათივე ჩანს...აფსაროსი-გონიო, პენიი-ფხვენისი, კოლხეთის ფიჭვნარი მათივე დაარსებული უნდა იყოს, ასევე ფაზისი...ჰერაკლეა-ანაკლია, კიგნი (გედი) - კინდღი დღევანდელი ოჩამჩირის რაიონში...დიოსკურია- „ბერძნული“ ქალაქი ...პიტიუნტი-ბიჭვინთა...კაფა- ფეოდოსია... ჯანიშკე- დღევანდელი გენიჩესკი და ჯანკოი ყირიმში...ხერსონესი და ოლბია დღევანდელ უკრაინაში... ნიშანდობლივია ადგილობრივ კოლხურ მოსალეობასთან მათ ენობრივი ბარიერის არ არსებობაც...და ზუსტად ეს კარიელ „ბერძნებში“ ჯერ კიდვ შემორჩნილი მშობლიური, მამის ენა შუმერული წარმოადგნს 1677

წლის სიახლოვეს ევლია ჩელების გაკვირვების მიზეზს...სავარაუდოა, რომ მილეტელი „ბერძნები“ იგივე კარიელები, იგივე შუმერები კიდევ რამდენიმე საუკნე ინარჩუნებდნენ მშობლიურ შუმერულს...

რასაკვირველია პიონერული ექსპედიციები „ხალხთა დიდ გადასახლებად“ ცნობილი პროცესი არ და ვერ იქნება...ერთია 45 საკუნის წინ თავისუფალი სამყაროს ათვისების პროცესი და სულ სხვა ქრისტემდე რამდენიმე საუკუნით ადრე მომხდარი ევროპის დასახლების მეორე და მესამე ძირითადი ტალღაები...სულ რამდენიმე ათეული ოჯახი აარსებს ახალშენს, სახელად კარელია- ფინეთს ...და ერთი დელიკატური საკითხი: შუმერები „შავთავიანებს“ ნიშნავს, ხოლო ფინელები-მსოფლიოში ყველაზე ღია თმიანი ერია-ეს თურმე ბიოლოგიური აუცილებლობა და ციკლური პროცესი ჩანს, ისეთივე, როგორც გრძელთავიანი ქართველი ერის „ბრახიკეფალოს“-დაბალ კეფაზე გადასვლა...

ახაიელები-ვეინახები

ამ ხალხის შესახებ ერთობ წინააღმდეგობრივი აზრი არსებობს:
„ახაიელები-იონიელებთან, დორიელებთან და ეოლიელებთან ერთად ითვლებიან ყველაზე ძველ ბერძნულ ტომებად, მათგან ახაიელები ყველაზე ძველია. ახაიელთა წინაპარი თავიდან ცხოვრობდა დუნაისპირა დაბლობში და ჩრდილო შავიზღვისპირეთის სტეპებში. აქედან ისინი მიგრირდებიან თესალიაში, მოგვიანებით პელოპონესის ნახევარკუნძულზე“
(ვიკიპედია, ახაიელები)

როგორც გავარკვიეთ, დედამიწის მოსახლეობა, თვინიერ ინდოეთისა და მიმდებარე რეგიონებისა, წარმოდგენილი იყო მხოლოდ ვენეციის დასავლეთ -ქართველური მოსახლეობით, ეოლიელებით და იონიელებით. დუნაის დაბლობებში და ჩრდილო შავზვისპირეთში არავითარი მოსახლება, მათ შორის ახაიური არ არსებობდა და შესაბამისად უძველესი და უპირველესი ტომები საბერძნეთისა (ასევე ეგვიპტისა და შუამდინარეთისა) მხოლოდ და მხოლოდ ეოლიური და იონიური ტომები იყვნენ, და არა ახაიელები.

შავიზღვისპირელი ახაიელები-ვფიქრობ ჯერჯერობით სრულიად გაურკვეველი და მოულოდნელი ტომია და მათი ვინაობის საბოლოო გარკვევას უკვე ამავე ტომში და ამავე თემის ფარგლებში შევეცდებით...
“პირველი ადრეკლასობრივი სახელმწიფოები ახაიელებისა (მიკენი, ტირინთი, პილოსი, ათენი და სხვები ჩამოყალიბდნენ ქრისტემდე II ათასწლეულის პირველ ნახევარში, შემდგომ პელოპონესზე ახაიელებმა ჩამოაყალიბეს არგოსი (ქრისტემდე 1500 წლის სიახლოვეს) დაიპყრეს კუნძული კრეტა, რამაც დაუდო სათავე მიკენის ცივილიზაციას, სადაც შემოინახა მრავალი ელემენტი ადგილობრივი მინოიური ცივილიზაციისა: დამწერლობა (ხაზოვანი ბ) ფრესკები და სხვა“ (ვიკიპედია)

ვიკიპედიის ეს სტატია გამორჩეულია არაკომპეტენტურობით: არგოსი და მიკენი-ეს სინამდვილეში არგოსული კულტურაა და არა ახაიური. ასევე კრეტა გამოკვეთილად მინიურია, ფინიკიური და არა ახაიური. ობიექტურად თუ განვსჯით, ახაიელები დანაეს კვალდაკვალ ჩანან შემოსული ხმელთაშუა ზღვასა და საბერძნეთში, ზუსტად იმავე ადგილიდან-ეგვიპტიდან...დიდი ალბათობით მათი მეორე და უფრო დიდი ნაწილი იმავე გზით ჩანს შემოსულ, ამჯერად უკვე „ზღვის ხალხებთან“ ერთად და ფაქტიურად მათსავე შემადგენლობაში... სავარაუდოდ, უდიდიესი ნაწილი ზღვის ხალხებისა სწორედ ახაიელები უნდა იყვნენ, ადრე ნახსენებ თორეტებთან ერთად. ერთიც და მეორეც ერთი და იმავე წარმოშობისანი ჩანან, ერთიც და მეორეც ერთნაირად ჩანს გადანაწილებული როგორც მცირე აზ-

იაში, ასევე დღევანდელი საბერძნეთის და მცირე აზიის ტერიტორიაზე... მათ სისხლისმიერ ბმულების გარკვევას ქართველურ ტომებთან ამავე თემის ფარგლებში შევეცდებით...

...და რა კავშირი აქვთ იმ ახაიელებს, რომლებიც ტუაფსესთან ცხოვრობდნენ ბერძენ ახაიელებთან და ითვლებიან თუ არა ისინი ამ უკანასკნელთა განუყოფელ ნაწილად?

„როგორც ამბობენ, შავიზღვისპირა ახაია დაასახლეს ფტიოტიდის ახაიელებმა იასონის ლაშქრობიდან (სტრაბონი; წიგნი XI, 1-21)

ის რომ იაზონს არც არასდროს ულაშქრნია შავი ზღვის სანაპიროზე (განსაკუთრებით მის ჩრდილო სანაპიროზე) ჩვენ უკვე საკმაო ვისაუბრეთ და აღარ გავიმეორებთ, თუმცა საყურადღებო ჩანს სტრაბონის ცნობა, რომ ეს ახაიელები ფთიოტიდიდანაა, აქილევსის სამშობლოდან (8)...არ აღნიშნავს აქ მათ საერთოდ უპირველესი ისტორიკოსი, ჰეროდოტეც, რაც მათი აქ დასახლების ჰეროდოტეს შემდგომ დროზე მინიშნებს. ჩვენთვის საინტერესო სრულიად სხვა რაკურსია: სტრაბონის თანამედროვე ბერძენ - რომაელი სამყაროსათვის ეს ახაიელები ბერძნული ლაშქრის ყოფილი ნაწილი ჩანს, ბერძნულივე ფესვებით:

„კერკეტების მეზობელი ქვეყანა აქაველებს უჭირავთ, რომლებიც როგორც ამბობენ წარმოშობით ელინები არიან და გაბარბაროსებულნი იწოდებიან აქაველებად, რადგანაც ამბობენ, არის გადმოცემა, ერთ დროს ორქომენელთა ლაშქარი, იალნეს მეთაურობით მთელი ფლოტით რომ მოცურავდა ილიონიდან (ტროადიდან) ტანაისის ქარის წყალობით, უნებლიედ მოხვდა პონტოს ბარბაროსულ ქვეყანაში“ (ანონიმი ავტორი V საუკუნე ა. წ. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო &-24)

ანონიმი ავტორი ამ შემთხვევაში ახაიელთა ფინიკიური წარმოშობის ბერძენთადმი კუთვნილებაზე მიუთითებს, რამეთუ ორქომენი ფრიქსეს მშობლიური ქალაქია (სხვა ანტიკური ქალაქი, არა იაზონისა) ... წინა ტომიდან და განსაკუთრებით ამვე ტომის ფურცლებიდან უკვე ზუსტად ვიცით, რომ შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს სხვადასხვა ტომის დასახლებები შეიქმნა ერთი კაცის, ალექსანდრე მაკედონოლის მემკვიდრის, სელევკ ნიკატორის ნება-სურვილით, უკვე მისი იმპერიის საზღვრების დასაცველად დასავლეთის სკვითების, უკრაინელების შემოჭრის აღსაკვეთავად, ქრისტემდე IV-III საუკუნის მიჯნაზე... (გარდა ზიხებისა-ამ უკანასკნელთა ჩამოსახლება მოგვიანებით, მითრიდატე ევპატორს ეკუთვნის)...შესაბამისად, ანონიმი ავტორის ვერსია მათი ტროელთა ომში მონაწილეობის შესახებ აბსოლუტურად მცდარია- ეს ახაილები ტროას ომიდან თითქმის ათი საუკუნის შემდეგ დასახლდნენ აქ...

სხვა ანტიკური ავტორები ასევე მიუთითებენ ახაიელთა ელინობ-ის შესახებ, თუმცა აღნიშნავენ, რომ ისინი არა ილიონის (ტროადას) ომიდან დაბრუნებული მეომრები არიან, არამედ სხვა ომიდან, მოგვიანებთ გამარ-თულიდან, თუმცა ომის მიმდინარეობას და დროს ვერ აზუსტებენ... შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს დამსახლებლის ვინაობაზე უკვე ვისაუბრეთ, თუ კასპიის ზღვის დასავლეთი და ჩრდილო სანაპროს გაყოლებით ალექ-სანდრე მაკედონელი საკუთარი იმპერიის ზურგის უზრუნველსაყოფად (ძირითადად სკვითებისაგან და საკებისაგან) გამაგრებათა მთელი სისტემ-ები აქვს შექმნილი და რიგი გარნიზონები დასახლებული, ამავე მიზნით უკვე მის მემკვიდრეებს გადაკეტილი უჩანთ (იმავე სკვითების შემოღწევ-ისაგან) შავი ზღვის ეს სანაპირო ზოლი (ჩრდილოეთიდან მას კავკასიონის ქედი იცავს)

„ის დაფუძნეს გენუელებმა, მაგრამ შემდეგ გადეკ ახმედ ფაშამ დაიპყრო იგი. უსარგებლო ციხე სიმაგრეა, თქვა მან და დაანგრია ის. მაგრამ (სიმაგ-რეში) არის წყარო ცხოვრებისა. თუ ეს ციხე სიმაგრე იქნებოდა დასახლე-ბული, მაშინ გემები ურწმუნოებისა ვერ გავიდოდა შავ ზღვაში აზოვის სრუტით“ (ევლია ჩელები, წიგნი მოგზაურობათა. მიწები ჩრდილო კავკასი-ისა, ვოლგისპირეთისა და დონისპირეთისა, ციხე სიმაგრე ანაპა. 1979 წ)

რასაკვირველია აქ ქერჩის სრუტეში მდებარე ციხე-სიმაგრეზეა საუ-ბარი, რომელიც გენუელებს აუშენებიათ და ამავე სრუტის მაკონტროლებ-ელი ჩანს. (ამასვე აღწერს იტალიელი კომერსანტი და დიპლომატი იოსა-ფატ ბარნარო, თუმცა ის მისთვის მეგრელების კუთვნილი და მეგრელები-თვე-სინამდვილეში იბერი ზიხებით, დასახლებული ციხე სიმაგრე ვატია, რომლის ბათუმად გასაღებას რუსი ისტორიკოსები ცდილობენ) ის თურქ სარდალს უსარგებლო ციხე-სიმაგრედ ჩაუთვლია, იმდენად რამდენადაც სრუტის ორივე მხარის სანაპიროს უკვე თურქები აკონტროლებდნენ. თუმ-ცა ჩელების აზრით, მისი ამოქმედების შემთხვევაში გადაკეტავდა გასასვ-ლელს აზოვის ზღვიდან შავ ზღვაზე, საიდანაც არა ერთხელ დალაშქრეს თურქები თვით სტამბოლამდეც კი დონელმა კაზაკებმა, რომ არაფერი ვთქვათ აზოვის და შავი ზღვის ახლო-მახლო ტერიტორიებზე, სადაც თუ-რქულ მცურავ საშუალებებს ფაქტიურად უკრაინელი კაზაკების ტერორის ქვეშ უხდებოდათ ცურვა.

...და სულ სხვა ჩანს ჩელების მიერ ოდნავ მოგვიანებით აღწერილი ანაპის ციხე:

„(ციხე-სიმაგრე) აშენდა უძველეს დროს დიდი ისკანდერის (ალექსანდრე მაკედონელი) საუკუნეებში, შემდეგ მას დაეუფლნენ გენუელები-ფრანკები. შემდეგ...წელს, როდესაც ჩერქეზმა ოზდემირ ოგლუ ოსმან ფაშამ დაიპყრო ჩერქეზისტანი, მან წაართვა ეს ციხე-სიმაგრე ანაპის ფრანკებს. მაგრამ რამ-

დენადაც ეს ციხე სიმაგრე დგას აფხაზებისა და ჩერქეზების მეამბოხე მხარეს, რამდენსამე ადგილას ის დანგრეულია. ახლა ეს მიტოვებული ციხე-სიმაგრე დღეს წარმოადგენს დიდ, ლამის წრიულ ნაგებობას აგურისაგან ნაგებს ციცაბო კლდეზე, შავი ზღვის სანაპიროზე, თუმცა ამ დროისათვის ციხე-სიმაგრეში არავინაა. მხოლოდ გარშემო არის ასიოდ ფაცხა შაგაკეს ჩერქეზებისა, დახურული ისლით, რომელთა იქით (განლაგებულია) ანაპის მთები. ეს ცისე-სიმაგრე იმდენად კარგია, თითქოსა მხოლოდ ახლა დატოვეს ის ოსტატ-არქიტექტორის ხელებმა. მის ნავსადგურს შეუძლია დაიტიოს ათასამდე გემი“ (იქვე, აღწერა მშვენიერ ციხე-სიმაგრე ანაპისა)

...სტრაბონის თავგადაკლული მტკიცების მიუხედავად, ალექსანდრე მაკედონელს ულაშქრნია კავკასიაში (სხვათაშორის, მისი ცხოვრების უძნელესი ომებიც აქ უჩანს გადახდილი) იმავე ფლავიუს არრიანეს მიხედვით, მაკედონელი ელჩობას (რომელსაც რასაკვირველია მზვერავის ფუნქციაც უჩანს შეთავსებული) აგზავნის დასავლეთის სკვითებთან-უკრაინელებთან. ელჩებს შორის მისი პირადი „მეგობრებიც“ არიან, რათა დაზვერონ და გაიგონ სკვითების რიცხოვნებაც. ელჩობამ სკვითების მრავალრიცხოვნების შესახებ შეატყობინა, თუმც მაკედონელი საკუთარი იმპერიის დასავლეთ საზღვრად, აქ კავკასიაში, ლიხის მთებს მოიაზრებდა (ამ მიზეზებზე უკვე საკმაო ვისაუბრეთ) და არც საზღარის მოწყობის აუცილებლობას ხედავდა, ბუნებრივი საზღვარის არსებობის გამო....მაგრამ მისი ნაადრევი სიკვდილის შემდეგ, მის მემკვიდრეს, სელევკ ნიკატორს ეს ტერიტოტიები ინკორპორირებული უჩანს, (9) თანაც მოსახლეობა მინიმუმ მდინარე ენგურიდან ჩრდილოეთით ზუსტად ამ უკანასკნელის დასახლებული ჩანს...ანაპის ციხეც უკვე მის დროს არის აშენებული, ამას თავად ჩელებიც აღნიშნავს (10)

სელევკი, რომელიც უკვე საფუძვლიანად ჩანს გაცნობილი შავი ზღვისპირა ტერიტორიებს სინოპადან ქერჩამდე, ანაპასთან არჩევს სასაზღვრო რაიონის პირველ ზღუდეს და აქვე აგებინებს ფრიალო კლდეზე სასაზღვრო-ციხე სიმაგრეს-ანაპას, არცთუ ისე ახლოს სკვითებისაგან, რომელთაც ამ ტერეიტორიას ასეული კილომეტრი აშორებთ. ციხე-სიმაგრის გარნიზონი თორეტები ჩანანან, ასირიული წარმოშობის ქართველები და ამაზე უკვე საკმაო ვისაუბრეთ. თავდაცვის ზღუდის მეორე პუნქტი და ხალხი კერკეტები ჩანან, სავარუდოდ ალექსანდრე მაკედონელის „მორბენალი მეგობრებისაგან“ , მცირე აზიელი ალაროდები.(11). როგორც ჩანს, ამ რაზმის უპირველესი მოვალეობაა სამხედრო დაზვერვაა, თანაც ისინი კავალერისტები ჩანან. მისი მოვალება ჩანს ახლო-მახლო ტერიტორიების სამხედრო დაზვერვა, და მოწინააღმდეგის აღმატებულ ძალებთან შეხვედრისას სწრაფი უკან დახევა, მაკედონელთა არმიის ძირითადი ბირთვის გაფრთხილება- თუმცა, უკიდურეს შემთხვევაში ბრძოლის მიღებაც კი ხელეწიფებათ...

ამ მიზნისთვის კერკეტები, ევროპის კონტინენტის უპირველესი ცხენოსნები ზედგამოჭრილიც კი ჩანს...ცნობილია „ მორბენალი მეგობრების“ მეთაურის სახელიც კი- „აპოლოდორ მორბენალი“... თავდაცვის ზღუდის ბოლო მონაკვეთს ჰენიოხები, იგივე ხალიბები იკავებენ, ხოლო ჰენიოხებს და კერკეტებს შორის ახაიელები არიან განლაგებულნი.

...და ახაიელები....მათ შემდგომ ბედ-იღბალზე წინა წიგნშიც საკმაოდ ვისაუბრეთ, თუმცა მათ წარსულზე კრინტიც კი არ დაგვიძრავს...გარდა პარსონდის მიერ ჩრდილო კავკასიელებთან გადაყვანილი რამდენიმე ათასი ლაშქრისა, ცხენოსანი და ქვეითისა, ამავე ტომის წარმომადგენლებისა. რასაკვირველია შავი ზღვისპირელი ახაიელებიი სხვებთან ერთად დასახლდნენ აქ და დაცვის მთლიანი სისტემის ერთი რგოლია, მაგრამ ვინ იყვნენ ისინი ადრე? ახაიელები, ისევე როგორც კერკეტები „მეგობართა“ წრიდან ჩანან, თუმცა ისინი ქვეითი „მეგობრები“ ჩანან. რუსი გენერალი დუბროვინი XIX საუკუნეში აღნიშნავდა ნახჩოთა მედგარ ბრძოლას ქვეითად და ჩასაფრების მოწყობით. ერთი საკითხი საკამათო არ უნდა იყოს : ახაიელები ბერძნენ-რომაელთა მიერ აღქმულია ფნიკიური წარმოშობის ბერძნებად, თუმცა ეს სინამდვილისაგან შორს უნდა იყოს და ვერ არკვევს საბოლოოდ მათ ვინაობას... შესაძლოა ახაიელთა ვინაობის გამორკვევაში ლეონტი მროველის ერთი მინიშნება დახვეხმაროს:

„და დაუტევნა ნათესავნი ქართლოსიანთა და დაუტევა მათ ზედა პატრიკად, სახელითა აზონ, ძე იარედოსი, ნათესავი მისი, ქვეყნით ჰრომით, რომელსა ჰქვია ფროტათოს. ესე ფროტათოსელნი იყვნენ კაცნი ძლერნი და ეკირთებოდნენ ქვეყანასა ჰრომისასა“ (ქართლის ცხოვრება. ლეონტი მროველი, გვ 23, თბილისი 2012 წ)

შესაძლოა, რომ ლეონტი მროველი „ჰრომში“ საბერძნეთს გულისხმობს, თუმცა:

„ესე ალექსანდრე გამოჩნდა ქვეყნისა საბერძნეთისასა, ქვეყანა რომელსა ჰქვია მაკედონი, ძე კაცნობისია, ვითარცა წერილ არს ჰამბავი მისი წიგნსა ბერძენთასა“ (იქვე, გვ-22)

ლეონტი მროველი მშვენივრად არჩევს საბერძნეთსა და რომს ერთმანეთისაგან, უფრო მეტიც, შემოგვინახა ცნობა ალექსანდრე მაკედონელის წარმოშობის შესახებ, რომელსაც მართალია ბერძნული წყაროც კი ახმოვანებს, თუმცა დაკარგული უჩანს სახელი თითქოსდა მაკედონელის ნამდვილი მამის, ეგვიპტელი ქურუმისა - კაცნობისა ... შესაბამისად, აზონის და ფროტოთოსელთა საძიებლად მაკედონიის ახლოს უნდა მოვიძიოთ ხალხი, რომელიც ქრისტემდე IV საუკუნეზე ადრე „ეკირთებოდა“ რომს... ქრისტემდე IV საუკუნეს ვენეტები და ვენეცია უკვე რომის იმპერიაში მოიაზრებოდა (ნომინალურად მაინც) და ერთად იბრძოდნენ გალების წინ-

ააღმდეგ, შესაბამისად მათი რომაელებთან „კირთება“ გამორიცხულია. ასე-ვე ჰქონდა რომს საომარი შეხების წერტილები ლიბურნებთან, დალმატებ-თან , ეპირთან და თავად მაკედონიასთანაც კი, მაგრამ ისინი უმთავრესად ქრისტემდე III-II საუკუნეს შეესაბამება. შესაბამისად, ქრისტემდე IV საუკუ-ნეზე ადრე არც ერთი მაკედონელთა მეზობელი პოლიტიკური წარმონაქმ-ნი არ ომობდა რომთან... შეცდა თუ არა მროველი?

...მაგრამ XX საუკუნის ბოლოს, როდესაც დამოუკიდებლობისათვის მე-ბრძოლმა ჩეჩენმა ხალხმა მცირე ხნით დაიბრუნა დამოუკიდებლობა, მისი პირველი პრეზიდენტის ინიციატივით (სავარაუდოდ ჩეჩენი ხალხის კოლ-ექტიურ მეხსიერებაზე დაყრდნობით) ქვეყანას ვეინახური რესპუბლიკა იჩ-კერია დაარქვა! და რატომ ვეინახური? სიტყვა აშკარად შედგენილი ჩანს, პირველი ნაწილი ვეი-ხოლო მეორე ახაია ჩანს უდავოდ. ეტრუსკი ხალხი, დასახელებით ვეი თითქმის ნახევარი საუკუნე ებრძოდა რომს... ამომწურ-ავი ინფორმაცია ამ ხალხის შესახებ ტიტუს ლივიუსთან იპოვება, რომაელ (ვენეციელ) მემატიანესთან:

...პირველი ომი ვეის ეტრუსკებს და რომაელებს შორის ქრისტემდე 437 წელს ხდება. მიზეზი, ლივიუსის მიხედვით რომაელი ელჩების დახოცვა გახდა, რომელიც ვეიელთა მოკავშირებმა, ფიდენელებმა ჩაიდინეს, ასევე ეტ-რუსკებად წოდებულმა ლათინებმა (12). ვეის და ფიდენელების დასახმარ-ებლად მოვიდა ფალისკების რაზმიც. ეს ფალისკები იყვნენ ნათესავები როგორც ვეიელებისა, ასევე ფიდენელებისა და მათი ენა წარმოადგენს ორ-ივე ენის ნარევს, ამასთან იყვნენ მუდმივი თანამებრძოლები ვეიელებისა. ამ ომში ვეიელები და მთი მოკავშირეები დამარცხდნენ, თვით ვეის მეფე ტოლუმნია მოკლულ იქნა (სამხედრო) ტრიბუნ ავლ კოსის მიერ.

ქრისტემდე 436 წელს, ფალისკებთან (ვეისა და ფიდენას შეტევის დროს) ისევ შეიჭრა რომაელთა ლაშქარი, თუმცა დიდი ომი არ ყოფილა. ქრისტემდე უკვე 435 წელს კი უკვე ვეიელთა და ფიდენელთა გაერთიან-ებული ლაშქარი უტევს თავად რომს, თუმცა საბოლოოდ ეს თავად ქალ-აქ ფიდენას აღებით დასრულდა...ვეის ეტრუსკებმა დახმარება სხვა ეტრუ-სკულ ქალაქებს სთხოვა. ამ ორმა ქალაქმა-პოლისმა, ვეიმ და ფიდენამ შე-ძლეს ეტრუსკთა საბჭოს შეკრება. ეტრუსკებმა დახმარებაზე უარი უთხრ-ეს ვეის, და ურჩიეს საკუთარი ძალებით ეწარმოებინა ომი (ან ეძებნა შერ-იგების გზები)

ქრისტემდე 426 წელს რომაელებმა ისევ გაილაშქრეს ვეიზე, თუმცა დამარცხდნენ. ვეიელებმა საკუთარი გამარჯვების შესახებ დანარჩენ ეტრ-უსკებსაც შეატყობინეს, თუმცა ომის განახლება მხოლოდ ფიდენამ გადა-წყვიტა. ვეიმ და ფიდენამ ერთად გადაწყვიტეს, რომ რომზე იერიში ფიდ-ენას ტერიტორიიდან მიეტანათ. აქამდე რომაელებს 6-ჯერ ჰყავდათ დამა-

რცხებული ვეიელები, ფიდენელები კი ყველა შეტაკებისას. ამჯერადაც შეძლეს რომაელებმა კოალიციის დამარცხება. ამავე წელს ზავი დაიდო რომაელებს და ვეიელებს შორის მთელი 20 წლით, რომელიც ქრისტემდე 406 წელს განახლდა .

ამ პერიოდში რომმა ყველასთან ზავის დადექა მოახერხა, ხოლო ვეისთან ომი განაახლა ისეთი გააფთრებით, რომ წაგებულს არავითარ შანსს არ უტოვებდა შებრალებისა. რომმა გაადიდა რიცხვი სამხედრო ტრიბუნებისა, ხოლო ვეიელებმა აირჩიეს მეფე. მეფის არჩევანმა დიდად შეურაცხყო დანარჩენ ეტრუსკთა თავმოყვარეობა, რომელთათვის მიუღებელი იყო მეფის ხელისუფლება. ეტუსკებმა გადაწყვიტეს არ დახმარებოდნენ ვეიელებს (13). რომაელებმა დაიწყეს ვეის გარშემო საალყო საშუალებების მონტაჟი, რომელიც ქალაქის კედლებთან უნდა შეერთებულიყო. მოულოდნელად ალაყაფის კარი გაიღო, გამოვარდა მაშხალებით შეიარაღებული დიდი ბრბო და ცეცხლი წაუკიდა რომაელთა თითქმის გამზადებულ საალყო ნაგებობებს. ცეცხლმა ისინი სწრაფად გაანადგურა. განადგურდა მათთან ერთად მეომართა ნაწილიც, ზოგი ცეცხლისაგან, ზოგი ვეიელთა იარაღისაგან.

მაგრამ რომში გამოცხადდა საყოველთაო ნებაყოფილებითი ლაშქრობა ვეიზე. ამასობაში ვეისაც მოუვიდა მოულოდნელი დახმარება კაპენების და ფალისკებისაგან. ეს ეტრუსკული საზოგადოება ფიქრობდა (და სრულიად სწორადაც) რომ ვეის დაცემის შემდეგ მალე მისი ჯერიც დადგებოდა. დამხმარე ძალამ გარედან შეუტია მტერს, რასაც ალყაშემორტყმული ქალაქიდანაც მოყვა ვეიელთა შემოტევა. რომაელთა ნაწილი დამარცხდა, თუმცა მთავარი ნაწილი ამ დროს იკავებდა თავდაცვით პოზიციებს მთავარ ბანაკში. რომმა დმარცხებული სამხედრო ტრიბუნები შეცვალა. ქრისტემდე 399 წელს, კიდევ ერთხელ მოხდა თავდასხმა იმავე კაპენელებისა და ფალისკებისა მოალყე ჯარზე ერთის მხრივ და ვეიების მიერ მეორე მხრივ, თუმცა რომაელები ამ ბრძოლას მომზადებულნი შეხვდნენ და შეძლეს მოწინააღმდეგის უკუქცევა...

ამ დროს ვოლტუმნის მთავარ ტაძარში შეიყარნენ ეტრურიის წარმომადგენლები. კაპენებმა და ფალისკებმა მოითხოვეს ყველა ეტრუსკის საერთო ძალისხმევით გაერღვიათ ვეის ალყა. პასუხი ასეთი იყო: ადრე ეტრუსკები უარს ეუბნებოდნენ ვეის იმიტომ, რომ არ ეგების დახმარება მოსთხოვო იმას, ვისთვისაც ასეთი მნიშვნელოვანი საქმის დაწყებისას რჩევა არ გიკითხია. ახლა კი მათ გააქტიურებას იძულებულს ხდის მათივე ინტერესი: ეტრურიის ამ ნაწილში (ჩრდილო ეტრურია) დაფუძნდა მრავალი უცხო ტომი, გალლები, რომლენთანაც არ არსებობს არც ომი და არც მტკიცე მშვიდობა. მიუხედავად იმისა, ღებულობენ რა მხედველობაში სისხლისმიერ ნათესაობას, (14) ეტრუსკები მზად არიან დაეხმარონ ვეის და არ

უწევენ წინააღმდეგობას საკუთარი ახალგაზრდობის ნებაყოფილებით მონაწილეობას ომში ვეის მხარეზე.

რომაულმა მხარემ დაიწყო მიწის ქვეშ გვირაბის გაყვანა ქალაქ ვეის ცენტრისაკენ. სამუშაოები ექვს სმენად მიმდინარეობდა და საკმაოდ ჩქარაც მიიწევდა წინ... მალე რომაელი მეომრები შეუმჩნევლად ამოდიან ქალაქის ერთი-ერთი ტაძრის შენობაში…თავგანწირული და უკანასკნელი მახვილთა კვეთებით შეეგებნენ ვეიელები ქალაქში მოულოდნელად შემოვარდნილ მტერს...ქრისტემდე 396 წელი იდგა... ალყის ათ წლისთავზე დაეცა ვეიელთა ქალაქი პოლისი, რომლის მიმდინარეობისას ვეიელებმა უფრო მეტი დამარცხება მიაყენეს მტერს, ვიდრე თავად განიცადეს ის. ეტრუსკულმა ვეიმ არსებობა შეწყვიტა... (ტიტუს ლივიუსი; რომის ისტორია და ქალაქის დაარსება, თავი IV, V, შინაარსი)

აი ცნობების ის მოკლე კოლაჟი, რომელიც ამოვკრიფე რომის მემატიანე ტიტუს ლივიუსის შრომებში. ფაქტიურად არავითარი სხვა ცნობა არ არსებობს ვეის ეტრუსკების, ვეის ახაიელების და ვეინახების იდენტობაზე, თუმცა:

„ბრასიდი (ლაკედემონელთა სარდალი) ამფიპოლის აღების შემდეგ გაემართა სალაშქროდ მოკავშირეებთან ერთად ნახევარკუნძულისაკენ, წოდებული აქტედ...მოსახლეობდნენ იქ ორენოვანი შერეული ბარბაროსული ტომები. მცირე ნაწილი- ხალკიდელები (15) ძირითადად კი ესენი -პელაზგებია, წარმოშობილი ტირსენებისაგან, რომლებიც ოდესღაც ცხოვრობდნენ ლემნოსს და ათენში“ (თუკიდიდე, პელოპონესის ომები ; წიგნი IV-109)

საინტერესოა, რომ მისი მონათხრობის ეს ეპიზოდი ქრისტემდე 423-422 წელს ხდება...და ვინ არიან ეტრუსკყოფილი პელაზგები? უნდა აღინიშნოს, რომ პელაზგები ჯერ კიდევ ჰეროდოტეს აქვს აღნიშნული კუნძულ ლემნოსა და ათენში, თუმცა მათზე ტირსენყოფილის სტატუსის გავრცელება არასწორია. ტირსენებად იხსენიებენ სხვადასხვა ტომის ხალხებს: დორიელებს, ფინიკიელებს-ასევე დორიელებს, მცირე აზიიდან თუ საბერძნეთიდან გადასახლებულ ახაიელებს- ასურებს, იბერებს, თანაც მხოლოდ იტალიაში, სადაც ისინი მოვიოდნენ ლიდიელი- ფინიკიელი ტირსენ ატისის ძის მეთაურობით და მისივე სახელი დაენათლათ....შესაბამისად, ტირსენყოფილი ეს პელაზგები აქტეს ნახევარკუნძულზე მხოლოდ და მხოლოდ იტალიიდან ჩამოსულები შეიძლება იყვნენ...

თუკიდიდეს მიერ მათი აქ დაფიქსირებიდან სულ 3-4 წლის უკან რომაელებმა სასტიკად დაარბიეს და ფაქტიურად გაანადგურეს ვეის ეტრუსკთა თანამებრძოლი ფიდენელი ლათინები, რომელთა სიკვდილს და მონობას გადარჩენილი ნაწილი აქ ჩანს ჩასახლებული...სავარაუდოა, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დამარცხებულმა ვეიელებმა, ვინც გადაურ-

ჩა რომაელთა მახვილს თუ მონად გაყიდვას, აქვე მოაკითხეს თავიანთ ყოფილ თანამებრძოლებს, რომელთაგან უპირველესი მხარდაჭერის იმედიც ჰქონდათ და რომელთა გვერდზეც დაბინავდნენ...შემდეგ, მოგვიანებით ნახევარკუნძული ფილიპე მაკედონელის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა...და რასაკვირველია ყოფილი ვეიელები და ყოფილი ფიდენელები ალექსანდრე მაკედონელის აზიური ლაშქრობების აქტიური მონაწილენი უნდა ყოფილიყვნენ... ზუსტად აქედან ჩანს აზონი ვეის ტომიდან, რომელნიც ნახევარი საუკუნის წინ იტალიაში ცხოვრობდა და რომს ეკირთებოდა თითქმის ნახევარი საუკუნე...ის რომ აზონი და მისი მოლაშქრეების ნაწილი ზუსტად აქედან უნდა იყვნენ, მართლდება ერთი ჯერჯერობით ამოუხსნელი მოვლენით: საიდან გაჩნდნენ დაღესტანში ლეკების გვერდით რუტულები? ეს ხომ ლათინთა მეორე სახელწოდებაა? მიღებული მოსაზრებით ეს უბრალოდ ასოთა განლაგების დამთხვევაა... არადა დერბენტის ვიწროების დასაცავად ალექსანდრე მაკედონელი ტატებს (ტატებს- იბერყოფილებს) ვერ ენდობოდა, დარიოსის ყოფილ სატრაპიას, რომელთა მეთაურებთან, კატანასა და ავსტანასთან შეტაკებაც კი ჰქონდა...აქ მას თავისი თანამებრძოლები, ფიდენელთა ჩამომავალი რუტულები -ლათინები უჩანს დატოვებული, რომელთაც დროთა განმავლობაში ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ სახელი შერჩათ...რაც შეეხება ვეიელებს, მათი წინამძღოლი აზონი ალექსანდრე მაკედონელს საქართველოს პატრიკად უჩანს დატოვებული. ზუსტად ის (წარმშობით) ფტოროთოსელი, რომლის წინაპარი ეტრუსკი ვეის სახელით ეკირთებოდა რომს. აზონის მეფობის ვადა იბერიაში ათი-ხუთმეტი წლით უნდა განისაზღვროს, რა დროშიც პატარა (სამი წლის) ფარნავაზი ასწრებს დავაჟკაცებას...ცხადია ის ახაიელები, რომლებიც შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე იყვნენ განსახლებული, უკვე სხვა ახაიელები ჩანან, სელევკ ნიკატორის მიერ იმავე (შესაძლოა ფტიოტიდიდანაც) ჩამოსახლებულნი...დანარჩენი მათი შემდგომი ბობოქარი ცხოვრების შესახებ უკვე წინა წიგნში საკმაოდ ვისაუბრეთ...

და მთავარი...ვინ არიან სინამდვილეში ახაიელები?

ის, რომ ახაიელები ეტრუსკთა (განდხარვთა) სისხლისმიერი ნათესავები არიან, ამავე ზედა ციტატის ნაწყვეტიდანვე იკითხება:

...მიუხედავად იმისა, ღებულობენ რა მხედველობაში სისხლისმიერ ნათესაობას, ეტრუსკები მზად არიან დაეხმარონ ვეის და არ უწევენ წინააღმდეგობას საკუთარი ახალგაზრდობის ნებაყოფილებით მონაწილეობას ომში ვეის მხარეზე ...

...და რომელ სისხლისმიერ ნათესაობაზე საუბრობენ ეტრუსკები ვეიელებთან მიმართებაში? თემა უკვე განხილული იყო „ზღვის ხალხებთან“ მიმა-

რთებაში და აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ რომ „ზღვის ხალ-ხების“ ერთ ნაწილში, რომელშიც ინდური ეპოს „მახაბხარატის“ მოქმედი ტომი, შალვები გავშიფრეთ, მხედართუფროსების სახელი „ვანახია“, ხოლო დიდებულისა „თორეტა“...თორეტების შესახებ უკვე ვილაპარაკეთ, რომლე-ბის განსახლების არეალი შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს ქალაქი ანაპა იყო და თორეტები ეწოდებოდათ...განისაზღვრა მათი შემდგომი საცხოვრ-ისი და გვაროვნული მიკუთვნებულობა შუა საუკუნეების თუ თანამედრ-ოვე საქართველოს სინამდვილეში...მაგრამ არაფერი გვისაუბრია ახაიელებ-ზე... სავარაუდოდ არც მათ შესახებ არსებული „ისტორიული“ ცნობები წა-რმოადგენენ სიმართლეს ...ამ ტომის ისტორიული სახელი შარვები უნდა იყოს (და არა შალვები, როგოეც ამას ინდური ეპოსი „მახაბხარატა“ ახმოვა-ნებს) ხოლო პირველი საცხოვრებელი, როგორც თავად ინდოეთში აღნიშ-ნავენ, დღევანდელი ალვარის შტატი...პირველად ისინი ევრაზიის ისტორ-იაში ქრისტემდე XXV არიან დაფიქსირებულნი... მარები ამ პერიოდისათვ-ის შუმერის დამორჩილებასაც ახერხებენ, თუმცა აშური-ეს იმ დროისათვ-ის ქალაქის ტიპის მცირე დასახლებაა, სავარაუდოდ თვითმმართველი ქალ-აქი-პოლისი...

მაგრამ არც ერთი და არც მეორე, მარი თუ ასური იმ დროისათვის სახმელეთი სახელმწიფოები ჩანან, ყოველგვარი საზღვაო საქმისადმი პრე-ტენზიის გარეშე...თუ გავითვალისწინებთ ინდოეთის სამხრეთი ნაწილიდ-ან მიგრაციის პროცესს, სავარაუდოდ მათი პირველი ნაწილი განდხარვებ-თან ერთად ქრისტემდე XXVII საუკუნეს ჩანან ჩამოსახლებული სპარსეთ-ის ყურეში....და ამ გადასახლებას განდხარვებთან უშუალო სისხლისმიერი ნათესაობა უწყობდა ხელს. ამასთანავე, როგორვც ყველა განდხარვული ტო-მი, ისინიც ორენოვანნი იყვნენ...დროთა განმავლობაში, ისინი გადმოადგი-ლებულნი ჩანან შუამდინარეთისაკენ , სადაც ასევე ორენოვანი შუმერის და იბერის ტომი ცხოვრობს (რომლებთანაც ასურებიც და მარებიც უფრო მეტ საერთოს პოულობენ... როგორც აფსარული ტომი, და ამ ოთხივე ტომ-ის ერთ-ერთი მშობლიური ქალური კომპონენტისა ენა, ერთი და იგივეა... როგორც ჩანს მრავალრიცხოვანმა მარებმა მალევე ჰეგემონის მიაღწიეს შუ-მერში (ბეროსის სიტყვებით) ხოლო ასური დარჩა ქალაქი- პოლისის დონე-ზე...

ვფიქრობ კიროსი, თავად კუშის ტომის წარმომადგენელი, მხოლ-ოდ კუშიტური ტომების შემკრებად გვევლინება. ის დაიები (ზოგიერთი ცნობებით დახები) ზუსტად ასურები არიან, რომელთა ნაწილი სკვითების დევნაში მონაწილეობს ქრისტემდე XVI საუკუნეს და რომლებიც შუა აზი-აშივე დარჩნენ... ისინი, რომელთა შემოერთებისათვის ბრძოლას ემსხვერპ-ლა კიროსი, ხოლო ინდოელები მხოლოდ სპილოებით ეხმარებოდნენ და-

ხებს. საბოლოოდ, კუშიტებმა ამორგის საკების დახმარებით დაამარცხეს და შემოიერთეს დახები-სავარაუდოდ ისინი განდხარას-პაროპარასანას შემადგენლობაში უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ინდოეთთან ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდგომ სატრაპიასთან...

მეორე „სუნთქვა“ ასურს ქრისტემდე XV-XIV საუკუნეს გაეხსნა, როდესაც მათი რიგები მოულოდნელად გაძლიერდა „ზღვის ხალხების“ ვაინახური და თორეტული ნაწილით...მათი საბერძნეთში გადასული ნაწილი ახაიელებია, მცირე აზიაში-ასურული... მკითხველს შევახსენებ, რომ ტროას ომში (ქრისტემდე 1290-1280 წლები) პელაზგ (იბერიელ) მეომარს, ფტიოტიდელ აქილევს ხელქვეითები-მეომრები, მირმიდინელები ყავდა-ახაიელები. (16)... უფრო მეტიც, ლაკონიკა-სპარტას პირველი მცხოვრებლები პელაზგები (იბერები) იყვნენ, რომლების ამ ტერიტორიიდან ზუსტად ახაიელებმა განდევნეს. საკუთრივ ახაიელები გვიან მოსულ დორიელებს, ლაკედემონელებს-სპარტელებს შეერივნან (აქედანვე მოდის ტრადიცია ლაკედემონში ორი მეფის ერთდროული ფუნქციონირებისა). (17) მოგვიანებით ისინი საბერძნეთის საკმაოდ დიდ ტერიტორიაზე პოვებენ განვრცობას. ასევე, ქრისტემდე XIV საუკუნიდან, უზომოდ ძლიერდებიან მცირე აზიაშიც, მეფე არიკ დენ -ილის და მისი მეუღლე სემირამიდას ზეობისას...ის მიზეზები, რომელმაც მცირე აზიის მოსახლეობის დიდი ნაწილის მიგრაციული პროცესები გამოიწვია, უცილობლად საბეძნეთსაც უნდა შეხებოდა, განსაკუთრებით მის ჩრდილო- აღმოსავლეთის ნაწილს...სავარაუდოდ, ფალისკები და ფიდენელები საბერძნეთიდან, თესალიიდან ჩანან გადასული აპენინის ნახევარკუნძულზე, ქრისტემდე 1262-61 წლებში... ვეიელები-ფტიოტიდიდან, აქილევსის სამშობლოდან...ამიტომაც ჩანს კლუზიელი ეტრუსკების განზე გადგომა ვეიელების და რომაელების ომის მსვლელობისას...საბოლოოდ, დამარცხებულ -სიკვდილს და ტყვეობას გადარჩენილი ვეიელები აქტეს ნახევარკუნძულის მახლობლად აფარებენ თავს, სადაც ათეული წლის უკან ფალისკელ და ფიდენელ, ლათინ -რუტულ ეტრუსკებს აქვთ თავშესაფარი ნაპოვნი...

და რა საბუთი არსებობს იმისა, რომ ვანახები-ახაიელები ზუსტად შარვების ჩვენს მიერ მოძიებული ტომია?

შარვა- დასახლება კალმიკიის იშკულინსკის რაიონში ჩილგირის სასოფლო საბჭოში. სავარაუდოდ, დაფუძნებული XX საუკუნეს, პირველად რუქაზე აღნიშნულია 1984 წელს. მოსახლეობა 8 კაცი, ეროვნება ჩეჩენი... და კიდევ: **შარვების ენა-ეს აფრაზიული ენაა. ლაპარაკობენ აფრიკაში, კამერუნის უკიდურეს ჩრდილო ნაწილში. (ვიკიპედია)**

ძნელი სათქმელია, ეს ტბა აძლევს დასახლებას სახელს თუ პირიქით (ტბა დასახლებიდან 4, 5 კმ-ის მანძილზე მდებარეობს) თუმცა უდავოდ სა-

ყურადღებო ფაქტი უნდა იყოს, რომ ამ დასახლების მცხოვრებლებს მხოლოდ ჩეჩნები წარმოადგენენ...არ გამოირიცხება, რომ ეს ერის გენეტიკური მახსოვრობის შედეგი იყოს- შარვა-ნი (ამაზე I ტომში ვწერდით) საქართველოს მტრე-მოყვარე, დღევანდელი ბაქო შარვების სამშობლოს უნდა ნიშნავდეს...დავით აღმაშენებელმა საკუთარი ერთი ქალიშვილიც აქ გაათხოვა...

ვფიქრობდი, ჩვ.წ. აღრიცხვამდე XIII საუკუნეს ჩატარებული განდხარვული მიგრაციული ექსპედიცია აფრიკაში **სომალიში** მთავრდებოდა, მაგრამ მავანმა **ივანე მაჩურიძემ** შემომაწია სიტყვა, რომ **მალავის** ხალხის სიმღერაში აშკარად გურული კრიმანჭულის ნოტები დაიჭირა - სავარაუდოდ იბერებს, ამ მრავალსახელა ტომს, ოდესმე აქმდეც მოუღწევიათ...მაგრამ ვიკიპედიის ზემოხსენებული სტატია მაფიქრებინებს, რომ ვაინახები უფრო შორს **კამერუნში უნდა იყვნენ წასული...სტატიაში აღნიშნულია, რომ ენა დეგრადაციაც განიცდის და მიმდინარეობს ტენდენცია კამერუნის სამ ასეულამდე ენათა შორის ასიმილაციისა...**მკითხველს შევახსენენ, რომ ქრისტემდე XIII საუკუნე, ასურელთა აღზევების პიკია...

და ცოტაოდენი ტომობრივ შემადგენელზე

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ იმაზე, რომ მცირე აზაში ამ ტომის სახელი ასირიელია, საბერძნეთში უკვე ახაიელი...პირველი ჩრდილო კავკასიაში ის ახაიელები ფუძნდებიან, რომელიც სავარაუდოდ ბაბილონის მეფეისგან შეურაცხყოფისათვის შურნაძიებმა პარსონდმა ჩამოიყვანა, ქრისტემდე VII საუკუნის ბოლოს...აქვე ხვდებიან მათზე 70-იოდ წლით ადრე დაფუძნებული გელები-ინგუშები...საერთო ძალით ამარცხებენ მიდიელთა უზარმაზარ არმიას დერბენტის ვიწროებში და აქვე აგრძელებენ ცხოვრებას...როგორღაც მათ შეძლეს თავი აერიდებინათ ალექსანდრე მაკედონელთან შეტაკებისათვის. (თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ეს მათ უხდებათ შეტაკება მაკედონელებთან, კავკასიის ქედს გადაღმა, რომლებმაც იბერები დარიალის მხრიდან დალაშქრეს. არშადის ციხე, გვიანდელი არში ხევსურეთისაა, თუმცა ქედს იქითაც მაკედონელს რამდენიმე ქალაქის დალაშქვამ მოუწია, სანამ ასაკენებამდე-ხევსურებამდე და არშის ციხემდე მოაღწევდა. (ფლავიუს არიანეს ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მიხედვით)

ვფიქრობ, ამავე ნაწარმოებში მოყვანილი შემდეგი ლაშქრობა მაკედონელს კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე უწევს, კატანასა და ავსტანას ხალხის წინააღმდეგ, სადაც უცილობლად ტატები-იბერები და შარვები-შარვანელები უჩანს დამარცხებული...შირინ-ბეებზე, ასევე ახაიელებზე შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროდან, სულ სამას კაცზე პირველ ტომშიც და აქაც საკმაოდ ვისაუბრეთ...სამასმა ყოჩაღმა ნახჩომ-შირინ ბეებმა და მათმა

მურზებმა (აზნაურებმა) თავი დააღწიეს ყირიმელი თათრების სასტიკ დევნასა და აზოვის ციხე-სიმაგრეს შეაფარეს თავი. მოგვიანებით კავკასიის მთებს და აქ მცხოვრებ ჩეჩენ-ინგუშებს შეერივნენ...სხვა დანარჩენ კომპონენტებს რუსი გენერალი და ხრონოგრაფი, დუბროვინი აღწერს:

„მთელი საზოგადოება ჩეჩნეთის ხალხისა ფლობს თანაბარ უფლებებს და ლაპარაკობს ერთსა და იმავე ენაზე. იჩკერია ითვლება ჩეჩენი ხალხის აკვნად, რომელსაც ტუზემცები უწოდებენ ნოხჩე მოხკ (ხალხის ადგილი) თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ყველა ჩეჩენი იჩკერიიდანაა. ჩიბირლოს ტაეპი მაგალითად, საუბრობს ჩეჩნურ ენაზე, თუმცა ეს მისი მშობლიური ენა არაა. ხალხში არსებობს გადმოცემა ჩიბერლოების რუსული წარმოშობის შესახებ, რაც ნაწილობრივ მტკიცდება ამ მუხლის ხასიათით და თვით სახის აგებულობითაც. ის რომ ტომი, რომლითაც დასახლებულია ჩეჩნეთი ერთი და იგივეა, გვიამბობს იპპოლიტოვი, და ეს საკამათოც არაა, თუმცა აბსოლუტურად არასწორია მოსაზრება, რომლებიც მთელ ჩეჩენ ხალხს და ტომებს ერთობას, ერთ წარმოშობას, იზიარებენ, მაშინ როდესაც ყოველი ტეეპი თვლის საკუთარ თავს ძირითადად განსხვავებულად. ასე მაგალითად, გვარი ზუმსოი თვლის საკუთარ თავს ქართული წარმოშობისად; კელოი-თუშურად; ახშიპატოი-ფირენჩულად, ე.ი. (ევროპულად; (როგორც ჩანს ზიხურად) ვარანდინების გვარის ეთნარქი ხევსურული წარმოშობისაა; ბევრი გვარი თვლის საკუთარ წარმოშობას ბერძნულად და ა. შ. მით უმეტეს, როგორი წარმოშობისა არ უნდა იყოს, მთელ ჩეჩნურ საზოგადოებას გააჩნია ერთი ენა, ერთნაირი წესი და ჩვეულება“ (Дубровн Н.Ф. История войни и владычества русских на Кавказь том I книга I стр 372-373)

1.ჩვენთვის უცნობია, ჩიბირლოების სლავური თემის (ტეეპი) წარმოშობის შესახებ, თუმცა იგივე დუბროვინის სიტყვებით, ჩეჩნურ საზოგადოებას ერთიანი ენა, წესი და ადათი აქვს უკვე...

2.დუბროვინის სიტყვებით, ვარანდინების თემი ხევსურული წარმოშობისაა.

3.კელოის თემი, ავტორისვე სიტყვებით თუშური წარმოშობისა,ასევე ქართველებისა.

4.ზუმსოის თემი ასევე ქართული წარმოშობისაა.

5. ახშიპატოის ტომი ჯიქური ან რუტულური წარმოშობისა ჩანს (18)

6.თუმცა უმრავლესობა-ეს პარსონდის მიერ ქრისტემდე 605 წლის სიახლოვეს ჩამოყვანილი ასევე ახაიელი-ასირიელი თანამემამულენი ჩანან...

„მდინარეებს, ფორიტანგს და გეხის შორის, მცირე ჩეჩნეთი გამოყოფილია გალგას თემიდან, ცორელებისა და აკინებისაგან მთების ორი მწკრივით“ (იქვე, გვერდი 377)

ცხადია გალგას თემში სტრაბონისეული გარგარიელებია საგულისხმებელი, ამაზონების თანამდევი თემი (19), რომლებიც ჯერ კიდევ დუბროვინის დროს არ მოიხსენებიან ჩეჩნებად, თუმცა დღეს ისინი ინგუშებთან ერთად ერთიან ვეინახ ტომს არის მიკუთვნებული. რაც შეეხება ცორებს, ჩეჩნებისაგან მთების ორი მწკრივით გამოყოფილებს (ისევე როგორც გალგას-ღლიღვების თემი) ადვილი ამოსაცნობია ჩორები, საქართველოს ხევის მოსახლეობა, ყაზბეგელები, რამეთუ ამ უღელტეხილს ჩორი ერქვა(20)

„სახელმწიფო რელიგია ჩეჩნებისა მაჰმადიანობაა, სუნიტური მიმართულებისა, მთის ჩეჩნები არასდროს არ იყვნენ ქრისტიანები და საკმაოდ მკაცრად ემხრობიან მაჰმადიანობას... საწინააღმდეგოდ ამისი, მცხოვრებნი დიდი და მცირე ჩეჩნეთისა, როგორც ამბობს გადმოცემა და ძველი ტაძრების ნანგრევები, რომელიც ამ დრომდე გვხვდება, გვიჩვენებს რომ ქვეყანაში მისდევდნენ ქრისტიანულ აღმსარებლობას...ქრისტიანული კვალი ჩანს იქიდანაც, რომ ჩეჩნური კვირა იწოდება ასევე, როგორც ქართული-კვირე,კვირა დღე-კვირენდგ და ა. შ. კვირის დღეები პარასკევი მათთან პარასკე, ქართული პარასკევიდან.

ზუსტად იმ ადგილას, სადც აღმართული იქნა ამაღლების ციხე, ნაპოვნი იქნა დიდი ქვის ჯვარი, გამოკვეთილი ნიმუშად. ამ ჯვარისაგან ციხე სიმაგრემ მიიღო თავისი სახელი. ძნელია განსაზღვრო, როდის მიიღეს ჩეჩნებმა მუსულმანობა, თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა თემებმა მიიღეს ეს რელიგია ერთდროულად და ყოველი შემთხვევისათვის ისლამი დამკვიდრდა მათთან არა უადრეს წასული საუკუნიდან (დუბროვინი საკუთარ ნაწარმოებს წერს XIX საუკუნეს) ერთმა მნიშვნელოვანმა თოხუმმა ანუ გვარმა ერთ-ერთმა უკანასკნელმა მიიღო მუსულმანური სარწმუნეობა ასი წლის უკან. ეს თოხუმი ცნობილია გუნოს სახელით და უკანასკნელის წინა თაობა, როგორც ცნობილია იცავდა ზოგიერთ ქრისტიანულ ჩვეულებას არა უგვიანეს 60 წლისა.

-არ დავმალავ შენთან შენგან, უამბობდა ჩეჩენი ზაური მაიორ ვლასოვს, მაგრამ მე ვიცი ზუსტად, რომ მეშვიდე წინაპარი ჩემი ჭამდა ღორის ხორცს. მე არ მახსოვს ჯვარები, მაგრამ გამიგონია, რომ ჩვენ მივდევდით სხვა რელიგის, მაგრამ რომელს-არ ვიცი... ნაზრანელები, ანუ ინგუშები, გალგაელები, ცორები, ჯარახები- (ჭარები) მიეკუთვნებიან შერეულ რელიგიას. დიდი ნაწილი ამ ხალხებისა მისდევენ შესახედავად მართლმადიდებლურ (ქრისტიანობას) სარწმუნოებას, სხვები მაჰმადიანობას და ბოლოს მესამენი სრულიად კერპთაყვანისმცემები არი-ან. ქრისტიანობას მისდევენ განსაკუთრებით უბრალო ხალხი, უფროსების გვარები მაჰმადიანობას, როგორც მრავალცოლიანობის დამშვები“ (იქვე, გვ383-384)

მართალია დუბროვინის მიხედვით შეუძლებელია იმის დადგენა, თუ როდის მიიღო ისლამი ჩეჩნურმა საზოგაოებამ, თუმცა დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს იმისი გაგება, თუ როდის ღებულობს ამ აღმსარებ-ლობას ჩეჩნურის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ნახჩო- იგივე ვეინახი. ვიცით რა მათი ყირიმის ნახევარკუნძულზე გადამხდარი ისტორია, რომ ისინი ითვლებიან მნიშვნელობის მიხედვით მეორე გვარად ყირიმში (ხან-ის შემდეგ) და ხანდახან ამ ხანსაც კი არ ეპუებიან. აგრეთვე ის, რომ ისინი ისლამის მიმდევრობის იმავე ფრთას წარმოადგენენ, როგორიც ოსმალები-სუნიტები და მნიშვნელობით მეორე გვარი მუსულმანურ ყირიმში (ოსმა-ლეთის დომინიონში 1475 წლიდან) იმავე აღმსარებლობისა უნდა ყოფილ-იყო, რაც თავად ხანის ოჯახი, შირინ-ბეები, ნახჩოები 1340 წლიდან მაინც მუსულმანები ჩანან, თუმცა ისინი კავკასიის მთიანეთში მხოლოდ 1665 წ-ს ხვდებიან. დუბროვინის სიტყვები, რომ ზეგანის ჩეჩნები არც არასდროს ყოფილან ქრისტიანები-ზუსტად ნახჩოებს უნდა ეკუთვნოდეთ... რაც შეეხ-ება დანარჩენ თემებს-ტეეპებს ჩეჩნეთისას, ის იმავე დუბროვინის მიხედვ-ით XVIII საუკუნის ბოლოს ჩანან გამუსლიმანებულნი. რაც შეეხება დუბ-როვინის მიერ ნახსენებ ყოფილი ქრისტიანობის აშკარა ატრიბუტიკის შე-სახებ ჩეჩნეთში, ის ადრე შუა საუკუნეების სერირს და გვიანი შუა საუკ-უნეების ტაუსტანს უნდა მიეკუთვნებოდეს... ჯერ კიდევ არაბულ ეპოქაში სერირს ასახელებდნენ მრავალი ხალხის სამშობლოდ, სადაც სერირი სახე-ლმწიფოს სახელი იყო და არა ხალხისა, ამასთან სერირის სამართალმემკვ-იდრე ტაუსტანი- ევლია ჩელების მიხედვით ქართველური წარმოშობის ქრისტიანული სამეფო იყო, რომლის ძლიერებას ძირი გამოუთხარა თემ-ურ-ლენგის ლაშქრობამ ჩრდილო კავკასიაში...რაც შეეხება დუბროვინისე-ულ ჯარიახებს, ეს პირიქითა ჭარის ასევე პირიქითა კავკასიონშში დარჩე-ნილი მოსახლეობაა, რომელთა გენეზისსა და შემდგომ ისტორიულ ბედ იღბალზე საკმაოდ ვისაუბრეთ.

...და ბოლოს, ჩეჩნეთის და ჩეჩნების თემა ამოწურულად ვერ ჩაით-ვლება, სანამ არ ვახსენებთ ორი სვანური წარმოშობის სოფელს ჩეჩნეთში : პირველი-შუანი, იგივე კასლა შონა გუდერმესის რაიონში ჩეჩნეთის რესპ-უბლიკისა, 2700 მოსახლით და მეორე-შუანი, ჩეჩნური შონა, შიონა, სოფე-ლი ნოჟავ- იურტის რაიონში ჩეჩნეთის რესპუბლიკისა, 487 მოსახლით ...ეს ჩეჩნეთის ხილული სვანური დასახლებაა, უხილავი-ვინ იცის...

...და ებრაელები...

ამ ხალხის შესახებ არაფერიც რომ არ იყოს ცნობლი, ერთი მხოლოდ ბიბლია იკმარებდა... თუმცა ამ ხალხის ცნობილი ისტორია უკმარისობის გრძნობას ტოვებს. უკმარისობის იმიტომ, რომ დედამიწაზე არსებული ყველა ერი ფაქტიურად თანაბარ ასაკოვანია (ერების წარმოშობის შესაძლო არერთდრულობა მომავილი განხილვისათვის გადავდოთ) უკმარისობის გრძნობას აღრმავებს ის, რომ უკვე ზუსტად ვიცით: შუმერის და ეგვიპტის სახელმწიფოები წარმოიქმნა ფაქტიურად ერთბაშად, ქრისტემდე XXXV საუკუნის ბოლოს და XXXIV საუკუნის დასაწყისში, ხოლო ებრაელების ისტორია ქრისტემდე XIV საუკუნის ბოლოდან - მოსედანაა მხოლოდ ცნობილი...თუ პომპონიუს მელას ფრთოსან (და აბსოლუტურად გამართლებულ) ფრაზას გავიხსენებთ, იუდეველები დროის ამ ოც საუკუნოვან ინტერვალში დედამიწის რომელიღაც ნაწილში აუცილებლად უნდა ფუნქციონირებდნენ...

„შიბები, ტრიგარტები და იაუდხები, მადრები და კეკაიები მეომრული სამეფო ტომებიდან“ (მახაბხარატა, საბხიპარვა 49)

უდიდესი ალბათობით, ეპოს „მახაბხარატაში“ ნახსენები ეს ტომი- იაუდხები წარმოადგენენ იუდეველებს და რომელი სახელიც მათ ერქვათ იმ პერიოდამდე, სანამ მათ ერთ ნაწილს ებრაელები არ დაერქვა...და რა პროცესების შედეგად ხვდება ეს ხალხი ეგვიპტეში? უნდა გავიხსენოთ, რომ ეგვიპტეში ისინი მეორეხარისხოვანი ადამიანების, ფაქტიურად მონების რანგში ხვდებიან...ამასთან, როგორც ირკვევა, ისინი არაა ერთადერთი ხალხი, რომელთაც ეგვიპტეში ეს ხვედრი ერგოთ. ასეთი ხალხები საკმაოდ მრავალია: ფრიგიელები (და არამეველები), სირიელები და მატიენები, თრაკიელები- მედების ტომი... როგორც წინა თავებში ვისაუბრეთ, ისინი ფარაონ ჰორემხების ევროპული ლაშქრობიდან წამოყვანილი ტყვეებია, და რომელიც ეგვიპტის სამართლიანი შურისძიების შედეგია მასზე სხადასხვა ხალხის თითქმის ორსაუკუნენახევარი ბატონობისათვის (ფარაონმა ჰორემხებმა ვერ შეძლო ეგვიპტის დაწიოკების მთავარი დამნაშავის, სკვითების მოხელთება, რომელიც როგორც ჩანს მას ისევე გაურბოდნენ, როგორც დარიოს დიდს ლაშქრობის პირველ ეტაპზე) შესაბამისად, იუდეველები ეგვიპტის სკვითებისაგან დამონების პროცესში, სკვითების თანამზრახველები ჩანან (სავარაუდოდ ეგვიპტის მართვის ტექნიკურ ასპექტებში) და რომელი ბრალდების სრული უარყოფა მათ (განსხვავებით არამეველებისაგან) ვერ შეძლეს....

„სავარაუდოდ, ჰორემხებმა მიაღწია მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებებს,

თუმცა ცნობები მისი ომების შესახებ შემონახულია ძალინ მცირე“ (ვიკიპედია, ჰორემხები)

ჩვენის მხრიდან დავძენთ, რომ ჰეროდოტეს ცნობები ფარაონ სესოსტრის წარმატებული ლაშქრობის შესახებ თრაკიასა და სკვითიაში ზუსტად ამ ფარაონს შეეხება და რომლის შესახებ ზემოთ უკვე ვილაპარეკეთ.

„შემონახულია გამოსახულება კარნაკის ტაძარზე, რომელზედაც კნიაზებს ამ უკანასნელებისა (იგულისხმება მეზობელი სამეფოები) **მოვიდნენ ფარაონის წინაშე, გადასცემენ მას მრავალრიცხოვანი ტომრებს**, **ავსებული ოქროთი. ისინი ეუბნებიან მას: დიდება შენ, მეფევ ეგვიპტისა, მზეო ცხრა სხვა ქვეყნის ხალხებისა (ვფიცავართ) შენს წინაშე, ჩვენ არ ვიცოდით ეგვიპტე, ჩვენი მამები არასდროს ყოფილან მის მიწაზე. გვაჩუქე ჩვენ თავისუფლება შენი ხელიდან, ჩვენ ვიქნებით შენი ხელქვეითები)“ (იქვე)**

დღევანდელი ისტორიული ვერსიით, ფარაონი ჰორემხები მეზობელი ქვეყნის მეფეებისაგან ღებულობს საჩუქრებს, თუმცა სინამდვილეში აქ ფიცის თემა სულ სხვაა:

1. ფარაონ ჰორემხებს ცხრა სხვა ხალხის მზედ მოიხსენიებს წარწერა (იგივე უცხო მეფეები) მათ შორის პირველ რიგში უდავოდ იგულისხმებიან ევროპული ხალხები, რომელიც ამ უკანასკნელს ტყვეებად უჩანს წამოსხმული: ფრიგიელები, არამეველები, სინდები- სირიელები, მატიენები, თრაკიელები-მიდიელები და...იუდეველები. დანარჩენი სამი სავარაუდოდ ადგილობრივი, მეზობელი ტომებია: კუში-ნუბია, არცავა და ხათები...
2. ის, რომ ამ ხალხის კნიაზები დებენ ფიცს იმის შესახებ, რომ მათ არ იციან ეგვიპტე (შესაბამისად არ ყოფილან მის დამპყრობელთა რიგებში) და რომ არც მათი წინაპრები ყოფილან ეგვიპტის მიწაზე, აშკარად აჩვენებს- ეს ხალხი შორეული მხრიდან აყრილი და მორეკილი დაპყრობილი მასაა.
3. როგორც ჩანს, ეგვიპტელთა მეფის დარწმუნება მისი ხალხის უდანაშაულობაში და არ მონაწილეობაში ეგვიპტის დაპყრობაში, მხოლოდ არამეველებმა შეძლეს:ისინი უკვე ქრისტემდე XII საუკუნეს მოიაზრებიან პოლიტიკურ ერთეულად მცირე აზიაში.
4. სავარაუდოდ, ასეთსავე წარმატებას მიაწიეს მატიენებმაც. თუმცა სხვა ერებს საკმაოდ მძიმე სასჯელის დაედოთ და ამაზეც უკვე ვისაუბრეთ...

მკითხველს შევახსენებ, რომ ჰურიტების და მატიენების მიერ ბაბილონის დაპყრობა ქრისტემდე XXI საუკუნეს ხდება, ხოლო ეგვიპტის დაპყრობა სკვითების და მათში შერეული სემიტების მიერ, ქრისტემდე XVIII საუკუნეს... ბაბილონის სემიტური ტომებისაგნა გაწმენდა ზღვის მეფე გულკიშარის მიერ 1556 წელს ქრისტემდე, ხოლო ეგვიპტის და შემდგომ მთელი შუამდინარეთისა- ასევე ქრისტემდე 1539 წელს. რაც შეეხება ეგვიპტის ფარაონის- ჰორემხების ლაშქრობას ევროპისაკენ და მთელი ხალხების წა-

მოსხმა ტყვედ 1307- 1300 წლებში ქრისტემდე დიაპაზონში ... შესაბამისად იუდეველთა მეორედ ეგვიპტის ტერიტორიაზე მოხვედრა ქრისტემდე XIV საუკუნის ბოლოდ ჩაითვალოს...და საიდან, ევროპის რომელი ნაწილიდან წამოასხა ევროპაში გაქცეული იუდეველი ტყვეები ფარაონმა ჰორემხებმა?

„აი აქედან , ფლოტი გაემართა თვით თერმეს უბისაკენ და მიგდონიის ქვეყნისაკენ, იცურა და მიაღწია დათქმულ თერმეს, ქალაქ სინდოსს და ქალესტრეს, მდინარე აქსიოსთან, რომელიც საზღვრავს მიგდონიის მხარეს ბოტაიირაგან...ქსერქსესმა გადაიარა ჰაიონიკესა და კრესტონიკზე და გაემართა მდინარე ექეიდორონისაკენ, რომელიც იწყება კრესტონების მხარეში, მიედინება მიგდონების ქვეყანაზე და ჩადის ჭაობში, როელიც მდინარე აქსიოსთანაა...თერმეში რომ მივიდა ქსერქსესი, იქ დაამკვიდრა ლაშქარი. დაბანაკებულ ლაშქარს ზღვის გასწვრივ ეჭირა ადგილი დაწყებული ქალაქ თერმედან და მიგდონიის ამ მდუნარე ლიდიესამდე და ჰალიაკამონამდე“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი VII-123-124-127)

როგორც კვლევით ირკვევა, ზუსტად ჰეროდოტეს მიერ ნახსენები მიგდონებია ერთ-ერთი სახელი და ნაწილი იუდეველებისა, ევროპაში მოსახლენი, საიდანაც უჩანს წამოსხმული ტყვე იუდეველები ფარაონ ჰორემხებს და რომელიც ებრაულ ისტორიოგრაფიაში მიზრახებად მკვიდრდებიან... ქალაქ თერე, ეს დღევანდელი ბერძნული ქალაქი სალონიკია. მდინარე აქსაის კი იგივე სახელი აქვს.

„ხოლო აქედან, როგორც კი მოკრიბა ლაშქარი ამ ქალაქებიდან, გაცურა და წავიდა თერმეს უბისაკენ, შემოუარა ამპელოსს, ტორონტულ კონცხს და ჩაუარა შემდეგ ელინურ ქალაქებს (რომელთაგან ხომალდები და ლაშქარი შემოიმატა) ტორონეს, გალეფსოსს, სერმილეს, მუკაბერნას და ოლინთოსს. ამ ქვეყნებს სითონიე ეწოდება(იქვე-122)

მართალია ჰეროდოტე ამ უკანასკნელ ქვეყანას ელინურად რაცხავს და სითონიეს უწოდებს, ამ ქვეყნის შესახებ სრულიად სხვა აზრს ახმოვანებს სტრაბონი. ის მათ მიგდონელთა ნაწილად და ედონელთა თანამემამულედ მოიხსენიებს. ზუსტად ამ სიფონების მოსახლეობის ნაწილი ჩანს ებრაული ისტორიის მიერ საფარიდებად მოხსენიებული...თემა ჰეროდოტესთან წინამდებარე ნაწყვეტით არ ამოწურულა, მას ნახსენები უჩანს ედონები, რომლებიც მიგდონთა ტომის ისეთივე ერთ-ერთი თემი ჩანს მხოლოდ, როგორც საფარიდები

„დარიოსმა სასწრაფოდ გადაიარა ჰელესპონტი და მივიდა სარდეში. მან გაიხსენა ჰისტიაოს მილეტელის ერთგული სამსახური მის მიმართ და კოეს მიტილენელის კეთილი რჩევა, დააძახებინა ისინი სარდეში და მისცა მათ არჩევანი. ჰისტიაოსს, რადგანც ის მილეტის ტირანი იყო , არავითარი

ტირანობა აღარ უნდოდა და მოსთხოვა მეფეს მირკინოსი (ედონებში რომ არის) სადაც ქალაქის აგება უნდოდა“ (იქვე; წიგნი V-11)

ერთი შეხედვით უცნაურიც კი ჩანს, რომ მილეტის ტირანი, რომელსაც ტირანობა აღარ სურს, მისი ქალაქიდან ლამის 2000 კმ-ს დაშორებით მყოფ ტერიტორიას და უცხო ხალხს (21) სთხოვს და იღებს კიდეც დარიოსისაგან, თუმცა როგორც ირკვევა ჰისტიაოსს სრულიად კონკრეტული ანგარიში ამოძრავებს:

„არისტაგორესმა თავი მოუყარა თავის თანამგზავრებს და მოეთათბირა, უთხრა რომ მათთვის უმჯობესი იქნება რაიმე თავშესაფარი იქონიონ, თუ კი გაძევებულ იქნებიან მილეტიდან; ან სარდოში (სარდინიის კუნძული) წაიყვანს მათ ამ ადგილიდან ახალმოშენეებად, ან ედონთა მირკინოსში, რომელიც ჰისტიაოსმა მიიღო საჩუქრად დარიოსისაგან და შემოზღუდა“ (იქვე.V-124)

უცნაურია, რომ თავად მილეტელი-კარიელი (ფინო-უგორული) ტომის არისტაგორესი თავის თანამემამულეებს მირკინოსში ეპატიჟება, რომელნიც კარიელები არ ჩანან და ისინი მისივე სიტყვებით ედონელებია:

„ესენი არიან ელინური ზღვისპირა ქალაქები, რომლებიც სალაშქროდ მიმავალ ქსერქსეს ხელმარცხნივ დარჩა, ხოლო ამ ქვეყნის გავლისას შემდგ თრაკიულ ხალხებზე გადაიარა: პაიტებზე, კიკონებზე, ბისტონებზე, საპაებზე, დერსიებზე, ედონებსა და სატრებზე“ (იქვე, წიგნი VII-110)

ჰეროდოტე ფაქტიურად ედონებს ეთნიკურ თრაკიელებს აკუთვნებს:

„ამის მერე, რაც სპარესელებმა ასე შეუთქვეს მდინარეს და ამის გარდა კიდევ ბევრი სხვა რამ გაუკეთეს, იმ ხიდებით, რომელიც სტრიმონზე არის გადადებული, იარეს ცხრა გზაზე, რაც ედონების ქვეყანშია (იქვე, წიგნი VII-114)

ცხრა გზა-გერმანელი კომენტატორების მიხედვით ეს ის ადგილია, სადაც ქრისტემდე 437 წელს ათენელებმა ქალაქი ამფიპოლისი ააშენეს:

„ამის მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ მოხდა ისე, რომ თვითონ სოფანესი, ვაჟკაცი კაცი, ათენელებს რომ მხედართმთავრობდა ლეაგროს გლავკოსის ძესთან ერთად, მოკლულ იქნა ჰედონების ხელით დაპონში, როდესაც იბრძოდა ოქროს საბადოებისათვის“ (იქვე, წიგნი IX-75)

...და ყველაფერი თავის ადგილას დგება-ჰისტიაოს მილეტელი, ტირანი მილეტისა დარიოს მეფეს სთხოვს სხვა ტომის მიერ დაკავებულ ქალაქს იმიტომ, რომ იცის იქ ოქროს საბადოს არსებობისა, რომელსაც უეჭველად ჰედონები ამუშავებენ. მათი ქალაქის ფლობის უფლების მიღება მეფე დარიოსისაგან, მას საშუალებას აძლევს ოქროს მოპოვების პროცესზე კონტროლი დააწესოს...ამიტომაც ჰისტიაოსი მზადაა დათმოს ტირანის უფ-

ლებები ქალაქ მილეტზე...და საერთოდ, სადაც ოქროა, იქაა ეს უჭკვიანესი ხალხი-ოქრო ხელისუფლებაა...

ამავე ედონებზე გაცილებით მეტი ცნობა მოიპოვება მეორე ანტიკ-ურ მწერალთან, თუკიდიდესთან, რომელიც რაღაც მომენტში თავად ხელ-მძღვანელობს ქალაქ ამფიპოლის დაცვას, რომელიც ჰედონებშია:

„დაახლოებით ამავე დროს მათ (ათენელებმა) გააგზავნეს სტრიმონზე თრ-აკიაში 10000 კოლონისტი ნაწილობრივ ათენიდან და სხვა მოკავშირე ქალ-აქებიდან იმ მიზნით რომ სანაპიროზე, იმ დროს წოდებული ცხრა გზად, დაეარსებინათ კოლონია-ახლა ამფიპოლად წოდებული. მართალია კოლო-ნისტებმა შეძლეს დაუფლებოდნენ სანაპიროს, ცხრა გზად წოდებულს (რო-მელსაც ფლობდნენ ედონელები) მაგრამ შეაღწიეს ღრმად თრაკიაში, მათ განიცადეს დამარცხება დრიბესკასთან ედონების მიწაზე თრაკიული გაე-რთიანებული ძალების მიერ, რომლებიც მტრულად შეხვდნენ კოლონიის დაარსებას“ (თუკიდიდე, პელოპონესის ომის ისტორია, წიგნი I-100)

ათენელების დამარცხება თუკიდიდესთან ზუსტად იმავე ეპიზო-დი ჩანს, რომელსაც ჰეროდოტეც ასახელებს, თუმცა ამ ორი ისტორიკოს-ის თხრობაში გარკვეული სხვაობა მაინც შესამჩნევია: თუკიდიდე რაღაცნ-აირად გამოყოფს იმავე თრაკიელებისაგან ედონებს, რომლებიც მაინც გა-ერთიანებული თრაკიული ლაშქრით ამარცხებენ ათენელ კოლონისტებს, თუმცა გარკვეული დისტანცირება ედონებსა და სხვა თრაკიელებს შორის აშკარად შესამჩნევია.

„აქსაის მდინარის იქით სტრიმონამდე (მდინარე სტრუვე) ისინი ფლობდ-ნენ ქვეყანას, წოდებულს მიგდონიად, საიდამაც მათ გამოდევნეს ედონე-ბი“ (იქვე, წიგნი II-99)

აქვე განმარტებულია, რომ მიგდონია, როგორც ზემოთაა მოხსენიე-ბული, მდინარეებს აქსაისა და სტრიმონს შორის მდებარეობს, ხოლო მიგ-დონიიდან გამოდევნილი ედონები უკვე ცხოვრობენ მდინარე სტრიმონი-დან დასავლეთით. (გამოდევნეს კი ბერძნებმა-ათენელებმა)

„იმ ზამთარს ბრასიდმა (სპარტანელთა მეთაური) თრაკიელი მოკავშირეე-ბის თანხლებით გაილაშქრა ამფიპოლის წინააღმდეგ, ათენეთა კოლონიი-სა სტრიმონზე. ჯერ კიდევ არისტაგორეს მილეტელი თავისი ლტოლვის დროს მეფე დარიოსისაგან, ცდილობდა დაეარსებინა კოლონია იქ, მაგრამ განდევნილი იქნა ედონელებისაგან. 32 წლის შემდგომ, ათენელებმა ასევე გააგზავნეს 10000 მოსახლე (დედაქალაქის მოსახლე და სხვა ელინები, რო-მლებმაც მოისურვეს მათ შეერთებოდნენ) განადგურებულ იქნა თრაკიე-ლების მიერ დრაპასკზე. გვიან, 29 წლის შემდეგ ათენელებმა ისევ გააგზ-ავნეს კოლონის გაგნონის ხელმძღვანელობით, ნიკიას შვილისა, რომელმაც

განდევნა ედონები და დაარსა ახლანდელი ქალაქი ადგილას, ადრე წოდებული ცხრა გზად...გაგნონმა უწოდა ქალაქს ამფიპოლი"(იქვე, წიგნი V-102)

გაგნონის მიერ განდევნილი ედონები ცხოვრობენ ქალაქ ამფიპოლის გარეთ, რომლის მცხოვრებლებად უკვე ელინები გვევლინებიან.

„მირკინი, ედონელთა ქალაქი, ასევე გადავიდა ბრასიდის მხარეს, ედონელთა მეფის, სპიტაკის მოკვდინების შემდეგ მისი შვილის , გოაკისა და მისივე საკუთარი მეუღლის ბრავროს მიერ" (იქვე; წიგნი IV-107)

უკიდურესად საყურადღებოა, რომ თუკიდიდეს მიხედვით ედონებს საკუთარი მეფე ჰყავთ, ისევე როგორც სატახტო ქალაქი მირკინი. მართალია ედონელებს თრაკიულ ტომად თვლიდა ჰეროდოტე, თუმცა მათ მიერ საკუთარი მეფის ყოლა აშკარად აჩვენებს, ედონები-თრაკიელები არ არიან! კვლევისას ნათლად გამოიკვეთება, რომ მიგდონებად წოდებული ტომი-ეს იუდეველებია-მათი კრებსითი ნაწილი ხოლო ედონები და სიფონები მისი ცალკეული თემებია -მუხლები, როგორც თავად იუდეველები უწოდებენ. ამასთან, ათენელები დემოკრატიული მმართველობის მიმდევრები ჩანან, შესაბამისად მიგდონია-ეს სრულიად დამოუკიდებელი სახელმწიფოა!

„ისე რამდენადაც ეს ქალაქები არ ნებდებოდნენ, ბრასიდმა სასწრაფოდ გაილაშქრა ხალკიდის ტორონას (ქალაქი) წინააღმდეგ" (იქვე; წიგნი IV-110)

ეს ქალაქი ტორონა კი მდებარეობს ზუსტად იმ ნახევარკუნძულზე, რომელსაც ჰეროდოტე სიფონიას უწოდებს. მიუხედავად ნახევარკუნძულზე მდებარე ქალაქების ელინურად წოდებისა, ის თავად ნახევარკუნძულს სიფონიად ასახელებს, რომელსაც სხვა ცნობილი ისტორიკოსი სტრაბონი მიგდონთა ნაწილად ასახელებს. აქვე, ნახევარკუნძულ აქტე, ხალკიდის აღმოსავლეთ ნაწილზე ასახელებს თუკიდიდე ედონელებსაც.

„იმავდროულად ბრასიდი ემზადებოდა ბრძოლისათვის. მან გამოიძახა 1500 თრაკიელი დაქირავებული და ყველა ედონი, როგორც მსუბუქად შეიარაღებულნი, ასევე მხედრები, მირკინელი და ხალკიდელი მსუბუქად შეიარაღებული მეომრები მას ყავდა 1000 კაცი (იქვე წიგნი V-6)

საყურადღებოა, რომ ედონები დედაქალაქ მირკინის და ამფიპოლის სიახლოვის გარდა სხვაგანაც ფიქსირდებიან. მირკინი-ეს მიგდონების დედაქალაქია, კულტურული და ადიმინსტრაციული ცენტრი, რომელიც ცენტრალიზირებული წესით გავლენას ახდენს დანარჩენ მიგდონიაზე.

„კლეონი (ათენელი სარდალი) სულ თავიდანვე არ ფიქრობდა პოზიციის გამაგრებას და იმწუთასვე გაიქცა, მაგრამ დაეწია მირკინელი პელტასტის (მეშურდულის) ნატყორცნი და მოიკლა (იქვე, წიგნი V-10)

როგორც ჩანს, ამ ხალხს კარგად ეხერხება შურდულის გამოყენება (22) თუკიდიდესთან მიგდონ- ედონ- სიფნოსების ხსენება ამ ბოლო ამონარიდით მთავრდება, ხოლო შემდეგი ცნობების მოპოვება მათ შესახებ მთე-

ლი 400 წლის შემდეგღა ხერხდება:

„ჰეკატე თავის დედამიწის აღწერაში ამბობს: ქალაქ ალეზიასთან მოედინება მდინარე ოდრისი დასავლეთიდან მიგდონიის ვაკის გავლით, იღებს რა სათავეს დასკილიტიდის ტბიდან და ჩაედინება რინდიკში“ (სტრაბონი, წიგნი XII, III-22)

მართალია ამ სიტყვებს სტრაბონი ახმოვანებს, მაგრამ ის ჰეკატე მილეტელს ეკუთვნის, ჰეროდოტესეულ ჰისტიაოსს და ამ შემთხვევაში მიგდონები დაფიქსირებულია დღევანდელ იზმირ-ბურსას შემაერთებელი ხაზის შუა წერტილის სიახლოვეს, ტროას მახლობლად...ამ ხალხის მიგდონებად ხსენებაც ჰეკატე მილეტელს ეკუთვნის - ვინ ვინ და ამ კაცმა ზუსტად უნდა იცოდეს მათი სახელი (და ეროვნებაც) ეს მათი სახლიკაცები, ედონები უჩანს დარიოს I -გან გამოთხოვილი და შემოღობილი...ეს კიდევ ერთი ბინადრობის ადგილი ჩანს მიგდონებისა, იუდეველებისა...და როგორ ხვდებიან აქ? ასირიელი მრისხანე მეომრების და მათი მეფის, სენაქერიბის მიერ ქრისტემდე 720 წელს წამოსხმული იზრაელის შვილების ერთი ნაწილი უნდა იყვნენ, ის ნაწილი, რომელიც ქუშის- ქართველურ და ხავილასიბერიული პოლიტიკური წარმონაქმნის გვერდით, არმენების ზეგანზე საკუთარ პოლიტიკურ ერთეულს, სახელად ედომს ქმნიან... ბაბილონის მეფის, ნაბუქოდონოსორ III მიერ ქრისტემდე 585 წლის სიახლოვეს მოცემული სახელმწიფოების იავარქმნის შედეგად ქართების და იბრების-ებრაელების ნაწილი იბერიისაკენ ილტვოდა, იბერები -პონტოს ზღვის სანაპიროსაკენ, ხოლო დანარჩენი ქუშები და იბრები სამხრეთისაკენ განერიდნენ ნაბუქოდონოსორ მეფის საბრძანებლოს...(23)

“საზღვრები ბითვინიელებისა, ფრიგიელებისა, მისიელებისა, ასევე დოლიონებისა, რომლებიც ცხოვრობენ კიზიკის ახლოს, მიგდონიელებისა და ტროელებისა ძნელი გასარკვევია“ (იქვე, წიგნი XII, IV-4)

ეს სიტყვები კი უკვე თავად სტრაბონს ეკუთვნის და ცხადია მიგდონები იქვე განაგრძობენ ცხოვრებას სტრაბონის ეპოქისთვისაც, რომელ ადგილსაც მთელი 500 წლით ადრეც იკავებდნენ.

„მთების ირგვლივ რაიონები საკმაოდ ნაყოფიერია. ნაწილი ამ ოლქებისა, რომელიც ევფრატისა და ხიდის (სტრაბონის თამედროვე ხიდი კომაგენაში და უძველეს ხიდთან ფაპსაკში) ახლოსაა. იკავებენ მიგდონები, წოდებული ასე მაკედონელებისაგან. მათ ქვეყანაში მდებარეობს ნისიბიდა, რომელიც ასევე იწოდება ანტიოქიად, რომელიც მიგდონიაშია. ქალაქი მდებარეობს მთა მასის ძირში, ისევე როგორც ტიგრანოერტი“ (იქვე, წიგნი XVI, I-23)

და რატომ დაარქვეს ნისიბიდელებს მაკედონელებმა მიგდონია? იმიტომ რომ მათ საკუთარი თუ მეზობელი მიგდონები გააჩნიათ, რომე-

ლთაც ზუსტად იგივე სალაპარაკო ენა უჩანთ, როგორც ნისიბიდელებს. ცხადია ევროპელი და მცირე აზიელი მიგდონები ერთი და იგივე ხალხები არიან! უფრო მეტიც, მათ ეს სახელი ჰეკატე მილეტელის დროდან უჩანთ, ქრისტემდე VI საუკუნიდან...ხოლო ანტიოქელი -ნისიბიდელი ებრაელები მიგდონებად უკვე მაკედონელების მონათლული ჩანან... მკითხველს შევახსენებ, რომ სტრაბონის მიერ დასახელებული დიდი სომხეთის დედაქალაქი, ტიგრანოკერტი მდებარეობდა დღევანდელი თურქული ქალაქ დიარბექერის და მდინარე ევფრატის სიახლოვეს...ამ მიგდონიას ტროასთან და კიზიკთან ნახსენებ მიგდონიიდან მინიმუმ 700 კილომეტრი აშორებს. ... და რა მდგომარეობაა სტრაბომის ეპოქისათვის ევროპულ მიგდონიაში?

„მარცხნივ დგას პეონია და დობერას ირგვლივი, როდოპი და მთა გემა, მარჯვნივ გემას ოლქი. სტრიმონის ამ მხარეს, უშუალოდ მდინარესთან მდებარეობს სკოტუსა, ხოლო ბილიბეს ტრასაზე - არეთუსა, <u>მიგდონებად</u> იწოდებიან ძირითადად ამ ტბის ირგვლივ მცხოვრებნი“ (იქვე, წიგნი VII, ფრაგმენტი 36) და კიდევ:

„ქვეყანას სტრიმონის ამ მხარეს ე. ი. საზღვაო სანაპიროსა და დატის ირგვლივი, იკავებენ ოდომანტები, <u>ედონები</u> და ბისელტები. ესენი ნაწილობრივ ადგილობრივნი არიან, ნაწილობრივ ჩამოსული მაკედონიიდან”(იქვე)

სტრაბონის ცნობების მიხედვით: მიგდონები დაფიქსირებული არიან მესოპოტამიაში, მისიაში, მაკედონიაში და თრაკიაში:

მიგდონები: გვ 270; 302; 305; 309; 517; 539; 551; 684; 692 ;

სიფონები, თრაკიასა და მაკედონიაში, გვ 302; 528;

ედონელები, მაკედონიასა და თრაკიაში: გვ 302; 308; 448;

გვერდები ნუმერცია მოყვანილია სტრაბონის სახელთა და გეოგრაფიული პუნქტების მიხედვით.

მოძიებული მასალები საკმაო სურათს იძლევა იმის გასარკვევად, თუ როგორ ხვდებიან მიგდონებად სახელდებული იუდას ტომელები მცირე აზიაში, ევროპასა და შემდგომ ეგვიპტეში... რასაკვირველია ისინი სკვითური ტალღის სემიტური შემადგენელის ნაწილია... ეგვიპტიდან განდევნილები, ქრისტემდე XVI საუკუნეში ფუძნდებიან თრაკიისა და საბერძნეთის სიახლოვეს...ეგვიპტელების ტყვეობაში აღმოჩენილი იუდეველები კი ამ ტომის ის ნაწილი ჩანს, რომელიც შურისმაძიებელმა ფარაონმა ჰორემხებმა წამოასხა თავისი თრაკიულ-სკვითური ლაშქრობიდან...იუდეველთა მაკედონიასა და საბერძნეთში დარჩენილი ნაწილი განაგრძნობენ ფუნქციონირებას იმ დონემდეც კი, რომ ოქროს სარეწებს დაეპატრონნენ (უფრო აღმოაჩინეს) აქვთ საკუთარი სახელმწიფო, თუმცა სატელიტი უფრო დიდი ერთეულისა-თრაკიისა თუ საბერძნეთისა, ხოლო უფრო გვიან მაკედონიისა, საკუთარი დედაქალაქით, მირკინით და მეფე სპიტაკით (24).

ეგვიპტეში ფარაონ ჰორემხების მიერ წასხმული იუდეველები მოიპოვებენ დამოუკიდებლობას და მოსეს ხელმძღვანელობით აარსებენ ახალ სამეფოს, ახალ იზრაელს...რამდენიმე თაობის შემდეგ ის ორ სამეფოდ იხლიჩება: ისრაელის შვილების ათი მუხლი აარსებს სახელმწიფო იზრაელს, დარჩენილი ორი მუხლი იუდეას... (25)

ქრისტემდე 720 წელს ასირიის მეფე სენაქერიბი სასტიკად არბევს იზრაელის სამეფოს და თითქმის სრულიად წამოასხამს მათ ტყვედ ასირიაში ...გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ასირიის სამეფოს დასუსტებასთან ერთად (არა უგვიანეს 614 -612 წლისა ქრისტემდე) უნდა ხდებოდეს დამოუკიდებელი ებრაული (უკვე ებრაული) სამეფოს ჩამოყალიბება მდინარე ევფრატის სათავეებთან. ორი მეზობელი სამეფო უწევს დახმარების ხელს და მფარველობას ახლად შექმნილ ებრაულ სამეფოს: ქუშის და ხავილას ქართველური ტომები ... ზუსტად მათზეა საუბარი უკვე ბიბლიაში, რომლის საბოლოო ფორმირების წლებად ბიბლიის მკვლევარები ქრისტემდე VII საუკუნეს ასახელებენ...მაგრამ გაძლიერებულმა ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორ II შეძლო ედემის სამეფოს (ასე დაარქვეს მას ებრაელებმა სამოთხის მიმსგავსებით, რომლებიც შეეცადნენ სრულყოფილი და ჰუმანური სახელმწიფოს ჩამოყალიბებას) და მისი მფარველების, ქართების და იბერების დამარცხება-უკვე ებრაელებთან ერთად. დამარცხებული იბერები-ხავილას სამეფო შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაერიდა ბაბილონის ძლიერებას და აქვე მკვიდრდება ტიბარანიის სახით (მომავალი გურია) ხოლო ქართები კავკასიისაკენ იხევენ, უკვე ებრაელების ნაწილთან ერთად... ებრაელების მეორე ნაწილი ლიდიისაკენ ჩანს გარიდებული ნაბუქოდონოსორ II უღელს და სახლდება ყოფილი ტროადის სიახლოვეს, უკვე ჰელესპონტზე, ქუშების ნაწილთან ერთად(26)...რაც შეეხება იუდეველთა უფრო დიდ ნაწილს, ის ნაბუქოდონოსორ II ბრძანებით გადასახლებულნი ჩანან ბაბილონიაში, არმენების მეზობლად და რომელსაც სტრაბონი ნისიბიდას და ანტიოქიას უწოდებს...

...ფესვები...

სუმბათ დავითის ძის თხზულებაში მოთხრობილია ტაო- კლარჯეთის მფლობელთა, ბაგრატიონთა სახლის ხელისუფლების ისტორია. ტაოკლარჯეთის სამთავრო სახლის, რომელმაც შემდგომში საფუძველი დაუდო ერთიანი ფეოდალური საქართველოს ეროვნულ დინასტიას, თავგადასავალი განსაკუთრებულ ინტერსს იწვევს სამეფო ხელისუფლების ისტორიისათვის საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატიონთა გენეალოგია სუმბათ დავითის ძეს გაშუქებული აქვს ბიბლიის - დაბადების მიხედვით. იგი კაცობრიობის დასაბამითგან დაწყებული, ჩამოთვლის ბაგრატიონთა

ბიბლიურ წინაპრებს, რომელთა შორის დასახელებულნი არიან ბიბლიის ცნობილი მამამთავრები: ნოე, აბრაამ, იაკობ და აგრეთვე ებრაელთა გამოჩენილი მეფეებიც: საული, დავითი, სოლომონი.ერთიანობის ხანის ფეოდალური საქართველოს მეფენი სწორედ ამ უკანასკნელთა შთამომავლებად თვლიდნენ თავიანთ თავს. ისინი ჩვეულებრივ, იესეიან, დავითიან, სოლომონიანებად იწოდებოდნენ და ასევე იწყებდნენ კიდეც თავიანთ ტიტულატურას.. . (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი II -1979 წ.)

„სოლომონ შვა შვიდნი ძმანი, რომელნი-იგი მოსცა ღმერთმან ტყვეობასა შინა. და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი ამისი სოლომონისნი, წარმოვიდეს ქვეყნით ფილისტიმით, ტყვეობით წამოსულნი ჰურიანი, და მოიწიეს ეკლეცს, წინარე რაქაელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს. და დასთეს იგინი ქვეყანასა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღემდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს. და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი, სახელად გუარამ, განაჩინეს ერისთავდ, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამაი ბაგრატიონთა. და ესე ქართლის ბაგრატიონიანი შვილისშვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი. ხოლო ძმაი მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასაამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდნენ იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა“ (ქართლის ცხოვრება, სუმბათ დავითის ძე)

ს. ჯანაშიას აზრით, ეკლეცი იგივე აკილისენაა და ეს ვერსია პრივალირებს არსებულ ისტორიულ სინამდვილეში...

“შემდეგ ყვებიან, რომ არმენია, წარსულში მცირე ქვეყანა, განავრცეს არტაქსისა და ზარიადრეს მეომრებმა. ისინი თავიდან იყვნენ ანტიოქ დიდის სარდლები, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ გახდნენ მეფეები (პირველი - მეფე სოფენისა, აკისენისა, ოდომანტიდისა და ასევე რამდენიმე ოლქისა, ხოლო მეორე მეფე ქვეყნისა არტაქსატის გარშემო) მათ საერთო ძალისხმევით გაადიდეს თავიანთი სამფლობელოები, ჩამოაჭრეს რა ტერიტორიები მეზობლებს, სახელდობრ: მიდიელებს წაართვეს კასპიანა, ფავნიტიდა და ბასოროპედა: იბერება-პარიადრეს მთისწინეთი, ხორზენა და გოგარენა, რომლებიც მდებარეობს მდინარე კირის (მტკვრის) მეორე ნაპირზე; ხალიბებს და მოსინეკებს-კარიენტიდა და ქსერქსენა, რომელიც ესაზღვრება მცირე არმენიას და ითვლება მის ნაწილად; კატაონებს-აკილისენა და ტერიტორია ანტიტავრის გარშემო; და ბოლოს სირიელებს-ტარონტიდა“ (სტრაბონი, წიგნი XI; XIV-5)

მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ კატაონებისათვის არმენების მიერ ჩამორთმეული აკილისენა და აკისენა, რომელიც სტრაბონს იმთავად-

ვე სოფენას შემადგგენლობაში ყავს მოხსენიბული, სრულიად სხვადასხვა ტერიტორიაა. ცხადია აკისენა ანტიოქიის ის ნაწილია, რომელიც მეფე ანტიოქის დამარცხების შემდეგ მისსავე სარდლებს, არტაქსსა და ზარიადრეს ანტიოქიისაგან ერგოთ, კერძოდ ებრაელებით დასახლებული ნისიბიდა, და ასედაც მოჩანს უძველეს რუქებზე ...ასევე საინტერესოა, რომ სუმბატ დავითის ძის მიხედვით, საქართველოს და სომხეთის ბაგრატიონები მეფე სოლომონის ჩამომავალი შვიდი ძმის შვილებია, რომლებიც მას ტყვეობაში გაუჩნდა...სინამდვილეში მეფე სოლომონი, მესამე მეფე იუდეველთა, ტყვედ არც არასდროს ყოფილა-იუდეველები ტყვედ ასიირიის მეფემ სენაქერიბმა, წამოიყვანა ქრისტემდე 720 წელს...ქართველი ბაგრატიონების შესახებ სულ სხვა ვერსის ახმოვანებს ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენტი: მისი სიტყვებით, ისინი ურიათა მეორე მეფის, მეფე დავითის და მისი არაკანონიერი ცოლის, ბერსაბეს შვილები არიან. ნიშანდობლივია რომ ბერსაბე უძლეველი მეომრის, ურია ხეთელის ცოლყოფილია, რომელიც მეფე დავითმა ღალატით მოაკვლევინა: მისი ბრძანებთ ის სარდალმა მტერს მარტოდმარტო შეატოვა...და ასევე უაღრესად საინტერესოა, რომ ხეთელი-ხეთი არც არასდროს ყოფილა იუდეველი, შესაბამისად არც მისი ცოლიც-ებრაელები სხვატომელებს ქალს არ ატანდნენ...ხეთები ქართველთა სახლიკაცები, ლაზები იყვნენ... (27)

...და უკვე სრულიად სხვა, ევროპელი, მაკედონურ-ბერძნული წარმოშობისანი ჩანან ის ებრაელები, რომლების საქრთველოს მთიანეთში მკვიდრდებიან ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შედეგად. როგორც ჩანს, ალექსანდრე მაკედონელის ევროპულ ლაშქარში მიგდონები (ედონები) მონაწილეობენ და როგორც წესი- ცალკე რაზმად... ჩანს, ისინი არ გაყოლიან ალექსანდრე მაკედონელს ინდურ ლაშქრობაში და საქართველოში დაფუძნება ირჩიეს. ...და არსებობს თუ არა რაიმე საბუთი ებრაული ახალშენის არსებობა საქართველოს მთიანეთის ტერიტორიაზე?

მცირე ისტორიული ექსკურსი

„მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წამოტყუენა იერუსალიმი, და მუნით ოტებული ურიანი მოვიდეს ქართლს და მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქუეყანაი ხარკითა. მისცა და დაასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვია <u>ზანავი</u>, და რომელი ქუეყანაი აქუნდა მათ ხარკითა , ანუ ჰქვიან ხერკ ხარკისა მისთვის“ (ლეონტი მროველი; ქართლის ცხოვრება, გვ 20-21, 2012 წ)

წინა ტომში უკვე ითქვა და აღარ გავიმეორებთ, მროველის მიერ აქ მოხსენიებული ებრაელები არა იზრაელიდან, არამედ მცირე აზიიდან

იბერებთან და ქართებთან ერთად ლტოლვილი ებრაელებია. ებრაელები, რომელთა ახალ დაფუძნებული სახელმწიფო ოთხი მდინარის სათავეებთან მდებარეობდა, და რომელთა მეზობელი და მფარველი ორი ქართველური ქალაქი- პოლისი, ქუში და ხავილა ჩანან. ებრაელთა სამეფო, რომლის სახელი ედემია, ის ედემი, რომელიც ბიბლიაში არის მოხსენიებული, ოთხი მდინარის სათავეებთან მდებარე. ებრაელები ლტოლვილ იბერებთან და ქართებთან ერთად მცხეთაში მოდიან და იქაური მამასახლისისაგან დასაფუძნებელ ფართს თხოულობენ. მამასახლისმაც მისი თხოვნა არ გააწბილა. ... და სად განასახლა მცხეთის მამასახლისმა ლტოლვილი ებრაელები?

„ამის მიერ ეწოდა ტაშისკარი (ესე არს ქვის კარი) და ამის პირისპირ სამხრიდან, ერთვის მტკვარს სარმანიშვილის ხევი, გამოსდის ყერძენსა და ამათ შუას მთასა. მის დასავლით არის ახალდაბა, მცირე ქალაქი, მტკუარის იმიერ-ამიერ, მოსახლენი ქართველნი და ურიანი. აქა არს ხიდი მტკიცე. ახალდაბის სამხრით არის ციხე მაღალსა კლდესა ზედა, დიდნაშენი და მაგარი. ახალდაბას ქუეით მტკვარს მოერთვის ჩრდილოდამ ხევი ნეძვისა, გამოსდის ამათსა და მთასიქითს შუას მთას. კუალად ახლდაბის ზევით ერთვის მტკვარსა მხრიდან ხევი ქიმერეთისა. გამოსდის ყერძენის მთას, ქიმერეთის ხევს ზეით ერთვის მტკვარს სამხრიდანვე ხევი კორტანეთისა. გამოსდის მასვე მთას. ჩრდილოდან მერთვის მტკვარს ზანავ-რვილის ხევი, ამასა და მთას იქითას შუას მთიდან გმომდინარე“ (ვახუშტი ბატონიშვილი; ქართლის ცხოვრება, აღწერა ქართლისა-აღწერა მტკვრის ხეობისა)

ვახუშტის მიერ მცირე ქალაქად სახელდებული ახალდაბა დღესაც არსებულია, აქვეა მცირე მდინარე (ლეონტი მროველისეული წყარო) ზანავი და მისი მოსახელე სოფელი...და რაც მთავარია, ვახუშტი ბატონიშვილის ეპოქაშიც კი აქ ურიანი (ებრაელები) და ქართველები ცხოვრობდნენ. ცხადია ეს უნდა იყოს ზუსტად ის ადგილი, რომელიც მცხეთელმა მამასახლისმა გამოუყო ლტოლვილ ებრაელებს და დაასახლა...და კიდევ, საქართველოში ლტოლვილი ებრაელები VI საუკუნეს ქრისტემდე სრულიად არ ჩანან ქართვლებში ასიმილირებულ- გათქვეფილნი. უკვე XVIII საუკუნესაც მათ ებრაელობას აღნიშნავს ვახუშტი ბატონშვილი . რაც შეეხება იგივე მროველისეულ ცნობას ებრაელების არაგვის ხეობაში და კერძოდ ხერკში დაფუძნებაზე:

„ხოლო მთა ესე კუხეთისა, ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთებამდის ერწოს მთასა, რომელ არს ხერკისა. და ხევი. აქუს ხერკს:აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისა; სამხრით მთა ზედაძნისა; ჩრდილოით ნოკორნა -ბოწოკანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდან არაგუამდე; დასავლით არაგვი, ხოლო მთა ზედაძნისა წარვალს უჯარმამდე“ (იქვე, ხერკისა და საგურამოსათვის)

ფაქტიურად ვახუშტის მთელი საგურამო ზედაზენით უჩანს აღწერილი, ამასთან მისივე სიტყვებით ერწოს მთას ადრე ეწოდებოდა ხერკისა და მისი ეპოქისათვის უკვე საგურამოდ სახელდებული. არავითარი ხსენება ამ ტერიტორიაზე იმ ტოპონომიკური ერთეულებისა, რომელზედაც ლეონტი მროველი მიგვითითებს, სადაც მცხეთის მამასახლისმა **განაწესა ურიანი, კერძოდ ზანავის წყარო არაა...**ნიშანდობლივია, რომ ლეონტი მროველი ებრაელთა განთავსების ადგილად ზანავს აღნიშნავს, ფაქტიურად მდინარე მტვკარის ხეობაში მდებარეს...სავარაუდოა, რომ ლეონტი მროველის ქართლის აღწერილობის ეს ვარიანტი ნაწვალებია, შემდგომ ჩამატებულია, ხერკის ხსენებით...საიდან ვასკვნით? ლეონტი მროველის სიტყვებით ქართველები სიამოვნებით ღებულობენ ყოველ ახალმოშენე ტომს, რომელსაც ისინი განიხილავენ როგორც პოტენციურ მოკავშირეს სპარსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ. ზუსტად ასე მიიღეს მათ თურქული ტომი დიდოელებისა, რომლებიც დედაქალაქის, მცხეთის ახლოს განასახლეს ყოველგვარი ხარკის გარეშე. და საერთოდ:

„მას ჟამსა , სადაითიცა ვინმე მოვიდეს ძვრისმოქმედთაგანი- საბერძნეთით, გინა ასურეთით, გინა ხაზარეთით- ოტებულნი, ყოველნივე დაიმეგობრნიან ქართველთა შემწეობისათვის სპარსთა ზედა“ (ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, გვ-20, 2012 წ)

ცხადია თურქთა, ხაზართა, ასირეელთა და ბერძენთა „დამმეგებრებელი“ ქართველი, რომელსაც ეს დამეგობრება სპარსელთა წინააღმდეგ გასაძლიერებლად ჭირდებოდა, არც მრისხანე მეფისაგან, ნაბუქოდონოსორ II ლტოლვილ ებრაელობას მოსთხოვდა ხარკს, მით უმეტეს ისინი მათთანვე ლტოლვილი ქართების დაცვის ქვეშ მოიაზრებიან. შესაბამისად, ლეონტი მროველის ვერსიის ის ნაწილი, სადაც ხარკსა და ხერკზეა საუბარი, მის კალამს არ უნდა ეკუთვნოდეს. მითუმეტეს, ზედაზენისა და საგურამოს ტერიტორია ადრიდანვე დაკავებული ჩანს, იბერებისა და ქართების მიერ. ზუსტად ზედაზენს უტევს ანტიკური საბერძნეთის გმირი ჰერაკლე, ჯერ კიდევ ქრისტემდე XIV საუკუნეს და რომლის დამცველად მის შემოგარენში მცხოვრები იბერები და ქართები მოიაზრებიან. მკითხველს შევახსენებ, რომ ჰერაკლეს ლაშქრობის ეს ეპიზოდი მოხსენიებული აქვს ფლავიუს არრიანეს საკუთარ ნაწარმოებში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შესახებ. ნიშანდობლივია, რომ ჰერაკლემ ზედაზენი ვერ აიღო და უკუქცევა ღმერთის სურვილად გაასაღა... (ან როგორც ზემოთ ითქვა, მართლაც ასე იყო...)

შესაბამისად, მცირე აზიიდან ლტოლვილი ებრაელების (უკვე ებრაელების) ბინადრობის ადგილი ახალდაბა და ზანავი გახლავთ, დღევანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტი...

...და ისევ იუდეველები...

„უცხოთათვის მიმართვის წესები: იბერიის კურაპალატს ოქროს ბულები ორი სოლიდისა, მიმართვა ქრისტე-სმოყვარე უფალთაგან მავან უდიდეს კურაპალატს; კურაპალატს თავისადმი დაქვემდებარებაში ჰყავს ოთხი სხვა სამთავრო: ვერიასახის ერისთავი იბერიაში, კარნატაის ერისთავი იბერიაში, ყუელის ერითავი იბერიაში, აჭარის ერისთავი იბერიაში: მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავანს. ალანიის მთავარს ოქროს ბულები ორი სოლიდისა: სახელითა მამისითა და ძისითა და სულის წმინდისა, ერთისა და მხოლოდ ჭეშმარიტი ღმერთისა ჩვენისითა, კონსტანტინე და რომანოზი თვით ღვთის მიერ მორწმუნე მეფეები რომაელებისა, ალანიის მთავარს და ჩვენს სულიერ შვილს... აბაზგიის მთავარს ოქროს ბულები ორი სოლიდისა, მიმართვა: ქრისტესმოყვარე უფალთაგან მავან ბრწყინვალე მთავარს აბაზგიისა. ალბანეთის ერისთავს: კრევატადთა ერისთავს, ანუ ეგრეთ წოდებულს კრევატასს; <u>კედონი-ის ერისთავს;</u> ჭანარიის ერისთავს; ერისთავს შირვანისა, რომელიც მდებარეობს ალანიასა და ჭანარიის შუა; ერისთავს აჟიისა, სადაც არის კასპიის კარები; ხრისას ერისთავს; მოკანის ერისთავს (საცოდნელია რომ აქედან იწყება მეოტიდა) ყველა ზემოთ ჩამოთვლისადმი გაგზავნილ მიმართვას წაეწეროს: მიმართვა ქრისტესმოყვარე უფალთა ამა და ამ ქვეყნის მთავარს“ (გეორგიკა, ტომი IV ნაწილი II კონსტანტინე პორფიროგენტი, გვ 291-292; 1952 წ)

კონსტანტინე პორფიროგენტისეული ეს ფრაგმენტი წინა ტომშიც იყო განხილული. გაიშიფრა ყველა ის საერისთავო, რომელსაც ბიზანტიის იმპერატორი ასახელებდა. (გაიშიფრა კლდეკარის საერისთავოც, თუმცა ბაღვაშთა ტომობრივი მიკუთვნებულობა მხოლოდ ამ ტომში გაცხადდა) ... ...და სრულიად შეგნებულად გვერდი ავუარეთ პორფიროგენტისეული <u>კედონიის</u> საერისთავოს გაშიფრვას...როგორც ჩანს კედონიის საერისთავო- ეს იუდეველთა საერისთავოა, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის მოლაშქრე ედონებისაგან ჩანს ფორმირებული დღევანდელ რაჭაში (და არა ახალდაბელ-ზანაველი ებრაელებისაგან, თითქმის სამი საუკუნით უფრო ადრე საქართველოში დაფუძნებულებისაგან) არ უნდა შეგვაცბუნოს მიმართვამ ბიზანტიის იმპერატორისა „ქრისტესმოყვარე უფალს“, რამეთუ ზუსტად ასეთივე ფრაზით მიმართავს ბიზანტიის სამეფო კარი შირვანს, რომელთა სუზერენები არაბთა ბატონობიდან მოყოლებული მუსულმანები იყვნენ. თვით დავით აღმაშენებელი, რომელიც იპყრობს შარვანს კონსტანტინე პორფიტოგენტის წერილადან მხოლოდ საუკუნეზე ოდნავ მეტი ხანის შემდეგ და ეს უკანასკნელი ვასალური სამეფო ხდება, ტიტულატურაში

„შაჰინშაჰს“ იმატებს, რაც შარვანის უცილობელი მუსულმანობის მიმანიშ-ნებელია...და ვერ და არ ხდება იმავე სვანური ტომების ჩამოსახლება რაჭ-აში ქრისტემდე III საუკუნეს, რამეთუ ის ამ დროისათვის უკვე ებრაული ტომებით დასახლებული ჩანს. ებრაელების ჩამოსახლება რაჭაში რამდენი-მე ათწლეულებით უსწრებს სვანების ჩამოსახლებას, ამიტომაც სვანური ტომი რაჭაში ვერ სახლდება. თუმცა სვანური ტომი ჩამოსახლებული ჩანს თუშეთში, ლეჩხუმში (ყოფილი სკვიმნია) და მისიმიანეთშიც (დღევანდელი დალის ხეობა) ...და მაინც რატომ რაჭა? ეს ტერმინი საკმაოს გვიან შემო-დის „კანონიკურ“ ქართველურ საფეოდალოებში. იყო მისი სახელის ახსნ-ის ცდის მცდელობა, ჩაღრმავებული ადგილმდებარეობის გამო:

„ხოლო სახელი მოიღო გარემოსათა დიდროვანთა მათგან, და შინაგან სი-ღრმის ადგილ-მდებარეობის მსგავსი: იხილეთ, რა ჭაა ადგილი ესე“ (ვახუ-შტი ბატონიშვილი; ქართლის ცხოვრება, ტომი IV თბილისი 1975 წ)

როგორც ჩანს, ვახუშტის ეს ვერსია უგულებელყოფილია რიგი ქარ-თველი ისტორიკოსების მიერ (და სრულიდ სამართლიანად) რომლებიც ამ ტერმინის საკუთარ ახსნას გვთავაზობენ: რომ ეს ტერმინი მოდის რატა-დან, რომელიც რატის-კლდეკარის ერისთავის დინასტიური სახელია და შესაბამისად საერისთავოც მას უბოძა საქართველოს რომელიღაც მეფემ. თავისი არსებობის დღიდან ბაღვაშთა საგვარეულო გაერთიანებული საქა-რთველოს შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო, შესაბამისად სახელმწიფოს მტერს ასეთი საჩუქრით არც ერთი მეფე არ დაასაჩუქრებდა. ასევე როგ-ორც წინა ტომში ვისაუბრეთ, ბაღვაშთა საგვარეულო არასდროს არ ფლო-ბდა რაჭის საერისთავოს. **მაშ რატომ რაჭა?** რაჭვ- სვანურ დიალექტზე კუ-რდღელს ნიშნავს...ებრაელი ერის ლმობიერი და დამთმობი ხასიათის გა-მო, გოროზმა და მედიდურმა სვანებმა ჩათვალეს, რომ აქ მცხოვრები იუდ-ეველები მხდალები არიან...თუმცა არასდროს და არავის შეუტანია ეჭვი ალექსანდრე მაკედონელის მეომართა მამაცობასა და მხედრულ შემართებ-აში. მათ მამაცობაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ ომამდე საუ-კუნით ადრე ოქრის სარეწების დაუფლებისათვის ბრძოლაში თრაკიაში, ხდება ათი ათასი ბერძენი მოახალშენის დამარცხება და განდევნა, როდე-საც ამ უკანასკნელებმა მოინდომეს ედონელთათვის სასიცოცხლი სივრცის წართმევა...და ისრაელის სახელმწიფოს არსებობის ყოველი დღე, მტრულ არაბულ გარემოცვაში მოქცეული, მათი მამაცობის და ვაჟკაცობის ყოველ-დღიური დამტკიცებაა.

...თუმცა სვანის თვალში ისინი „კურდღლები“ რაჭვ-ები, ხოლო ხეო-ბა, რაჭველები-საკურდღლეთია! ჯერ კიდევ X საუკუნეში (კონსტანტინე პორფიროგენტი ამ სიტყვებს წერს არა უგვიანეს 959 წელს) რაჭის საერის-თავო ებრაული ჩანს. ძალიან მალე 961 წელს ბაგრატ მესამე გაერთიანებ-

ული საქართველოს მეფე ხდება, ხოლო ამ საქმის ჩამფიქრებელ-აღმასრულებელი იოანე მარუშის ძე საგვარეულო ჯილდოდ რაჭის საერისთავოს ღებულობს (იხილეთ წინა ტომი) იოანე ერისთავის რაჭის ერისთავად გახდომას თან სდევს უცილობელი პროცესი თანამამამულეების, მარების და მისიმიანელების ჩამოსახლება მისიმიანეთიდან და აფხაზეთიდან. როგორც ჩანს, მარების დ ა მისიმიანების მასა ამბროლაურის მხარეს იკავებს, იუდეველთა მასა კონცენტირდება ონის მხარეს (ტოპონომი ონი კედ-ონის ნაწილია უთუოდ). საქართველოს ცენტრალიზირებული სამეფოს შექმნის შემდეგ, ებრაელთა ნაწილი გადაადგილებული ჩანან ბარის მიმართულებით, კერძოდ სამტრედიის რაიონ სოფელ კულაშისაკენ, რომელიც XX საუკუნის ბოლომდე სუფთა ებრაულ დასახლებას წარმოადგენდა...

„ყველა დროს ეს ხალხი არაა მეომრულად განწყობილი. სულ აქ ათასი კაცია. უმრავლეს მათგანს არა აქვს თოფები, არც რამე საომარი აღჭურვილობა, თუმცა თავიანთვის მთებში ინახევენ იარაღს სანადიროდ და ნადირთა დასაჭერად. ისე რამდენადაც არც აფხაზები, არც ჩერქეზები და არც ნოღაელები არ აყენებენ მათ ზანს, და არც ისინი აყენებენ ვინმეს ვნებას, მთელი საქონელი ამ ხალხისა მთელი დღე და ღამე ბალახობს მთაში მწყემსის გარეშე. მგლები არ ეკარებიან მათ ცხვრებს და თიკნებს. ავაზაკებიც კი არ იწვდიან ხელს მათი ნახირისაკენ. ყოველ საქონელს კისერზე ჰკიდია ზარი. ისინი ატარებენ ისეთსავე ტანსაცმელს, როგორც ჩერქეზები. ეს ხალხი თავზე იხურავს ერმოლოვკას, ხოლო თმები (გამოშვერილი მათ ქვეშ) თავის ორსავე მხარეს, მაგრამ წვერებს ისინი არ იპარსავენ, როგორც დანარჩენი ჩერქეზები; ყველა ისინი წვეროსანია. ისინი ლოცულობენ ღმერთზე, მაგრა არ იციან არც კვირა და აღდგომა, არც ზომა და წონა.

ამ ხალხს, ტაკაკუს საერთოდ არა ყავთ ღორები და ქათმები. ისინი ამბობენ რომ ღორები და ქათმები აკრძალული საკვებია და საერთოდ არ ჭამენ არც ქათმებს და არც ღორებს. აკრძალულს (რელიგიური კანონებით ნივთებს ისინი არ იცვამენ, ღვინოს და რახს არ სვამენ. ისინი სვამენ მხოლოდ გაზავებულ რახს და თაფლიან წყალს, იმის გამო, რომ რელიგურად ტაკაკუს ტომი განსხვავებულია დანარჩენი ჩერქეზებისაგან, ჩერქეზი ხალხი ეძახის მათ ჩუფუდებს (იუდეველი) ამიტომაც მთელი ჩერქეზეთის ხალხი არ მიეკარება მის ქონებას და საკვებს, არ დაეცემა მათ სოფელს და არ მიყავს ისინი ტყვედ (ჩუფუდის ხალხს) იმდენად მრავალრიცხოვანი შთამომავლობა და საქონელი ყავს, რომ მათი საქონლით დაკავებულია მთები და კლდეები. ისინი აღწევენ თვით სამხრეთ ფერდობებს მთებისა, ხოლო იქ უკვე დევს სადაშის ხალხის მიწები აფხაზების რიცხვიდან. მთელი ეს ხალხი თავისი არსით ხელოსანია. მათი გამოცდილი მკერავები კერავენ ნატიფ , ფიგურაზე მოყვანილ ხალათს საყელოთი, კიდეებზე დაყო-

ლიებული მჭიდრო ნაკერით. მათ ყავთ მჭედლები, მათი თავადის სახელია... მან მაჩუქა მე არარაობას 50 წყვილი კვერნის ტყავი და კიდევ 50 წყვილი ტყავი გარეული კატისა“ (ევლია ჩელები, მოგზაურობათა წიგნი . მიწები ჩრდილო კავკასიისა, ვოლგისპირეთისა და დონისპირეთისა. აღწერა რაიონ ტაკაკუსი)

აქ ევლია ჩელები ერთმნიშვნელოვნად იუდეური სამყაროს შესახ საუბრობს. მართალია ის არ აკონკრეტებების მათ სამოსახლო ადგილს კავკასიის მთების ჩრდილო კალთებზე, თუმცა მისი ერთ-ერთი ფრაზა, რომ ეს ფარები ხანდახან გადადიან კავკასიის მთების სამხრეთ კალთებზე, სადაც ცხოვრობენ სადაშის აფხაზური ტომები-აზუსტებს იუდეველთა მოსახლეობის ადგილს. ისინი კავკასიის მთების ჩრდილო კალთებზე ცხოვრობენ, დაახლოებით დღევანდელი красная поляна-ს რაიონში... სხვა ეპიზოდში თურქი მოგზაური ევლია ჩელები ახსენებს ტაჩაგუზებს, რომლებიც გემებით შემოდიან დიდი აფხაზეთის სხვადასხვა ნავსადგურებში, მიანიშნებს რომ იუდეველები ეშვებიან აზოვის ზღვაზე, სხდებიან გემებზე და ქერჩის სრუტის გავლით შემოდიან აფხაზეთის სანაპიროზე, ანაპიდან დაწყებული დიოსკურიით დამთავრებული. როგორც ჩანს, ტაკაკუს ამ იუდეური ტომისათვის უცხო არაა ვაჭრობა, თუმცა ევლია ჩელებისვე სიტყვებით სავარაუდოა, რომ ისინი საკუთარი ხელოსნობის საგნებით ვაჭრობენ. ფაქტიურად იმავე ხალხს, მაგრამ სხვა თემს ხვდება ევლია ჩელები აქვე, თუმცა ისინი ზემოთ აღწერილი ტაკაკუელებისაგან სამი ტომის: ბოლოტკაის, ნოღაის ტომის და ბუზდუკების ჩერქეზული ტომის შემდგომ ხვდება (ეს ტომი უფრო ჩრდილო - დასავლეთით ჩანან განლაგებული, ვიდრე ტაჩაგუზები) მართალია ტომის სახელი მამშუხია, თუმცა ისინი იმავე ჩუფუდების (იუდეველების) ტომი ჩანს და პირველის იდენტურია. ეს ხალხი იგივე ხელოსანი ხალხია, არა მეომრები. ტაკაკუ-ეს მათთან მმართველი უმცირესობის სახელია (ერთი-ორი კაცი) რომელიც ყოველ სადგომზე-სოფელში ფიქსირდება. განსხვავებით ზემოთ ნახსენები ტაჩაგუზებისაგან, ისინი თავად ვაჭრობას არ ეწევიან არავისთან, როგორც სხვა იუდეური საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი-არც ისინი ერევიან სხვა ხალხში-არ მოყავთ ცოლად სხვა ტომის შვილები და არ ათხოვებენ საკუთარს სხვა ტომში. ეწევიან ფაქტიურად კარჩაკეტილ ცხოვრებას და მათი საქონელი ზუსტად ასევე მწყემსის გარეშე ბალახობს მთებში და ატარებენ ზანზალაკებს კისერზე (ალბათ ნადირის დასაფრთხობად და ადვილად დასაძებნად). არ უნდა იყოს სწორი ევლია ჩელების ნაამბობი, რომ ეს ხალხი არ ჭამს თაფლს და და ყველს. ყველა დროში თაფლი და რძის ნაწარმი იუდეველი ერის ერთ-ერთი ძირითადი საკვები იყო. ჩელების სიტყვებით მამშუხები სვამენ თაფლიან წყალს, რაც თავითავად თაფლის ჭამასაც ნიშნავს. ის რომ

მამშუხები დათვების შიშით ხეზე ჰკიდებენ მიცვალებულებს, კიდევ ერთ-ხელ ხარკის გადახდა ჩანს ანტიკური მწერლებისათვის, რომლის მიხედვ-ითაც კოლხები მიცვალებულ მამაკაცს ხეზე ჰკიდებენ და სხვა ჩერქეზებ-თანაც ამ პასაჟზე გადააქვს ყურადღება ჩელების...თუმცა არც ისაა გამორ-იცხული, რომ მამშუხები ძიხური ტომია, ადრე მცირე ხაზარეთში მცხოვ-რებნი, რომლის მმართველ ელიტას ადრე შუა საუკუნეებში წარმოადგენ-და იუდეველები-ტაჩაგუზები...და მამშუხი-ეს იუდაისტურ სარმუნოებაზე შემდგარი ძიხებია, რომელთაც არა სრულად აქვთ ათვისებული იუდაისტ-ური ჩვევები, მაგალითად ვაჭრობა...ჩელები ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მა-მშუხები მეომრები არ არიან....

„შემდგომ ჩრდილოეთით დევს სტეპი ხაიხეტი, რომელიც შედის კალმიკე-თის შემადგენლობაში. ის იწყება ქალაქ სარაიტით და მფლობელობით ტა-კაკუ-ხანისა უშუალოდ (მდინარე) ვოლგის სანაპიროზე (იქვე, თავი IV; მი-წების ჩამონათვალი, რომელიც დევს დაღესტანის ირგვლივ)

რასაკვირველია ეს ტაკაკუ-ხანი ისევე იუდეველია, რომლის სამშო-ბლო XVII საუკუნისათვის, სარაი-ბერკე, ეს ქალაქ ასტრახანის მიმდბარე ტერიტორიაა, სადაც ტაჩაგუზების (იუდეველების) სახანო მდებარეობს. რა-საკვირველია ჩელების მიერ ქალაქ სოჩის ჩრდილოეთით მდებარე ტაჩაგ-უზები და მათგან კიდევ უფრო დასავლეთით, კრასნოდარისაკენ მდებარე მამშუხების ტომი-ეს მცირე ხაზარეთიდან, ზიხიიდან , ტამანის ნახევარკუ-ნძულის ჩრდილო ნაწილიდან XVI საუკუნეში ყაბარდოელების მიერ რუს-ების და კაზაკების განდევნილი „ტატების“ მეზობელი შანების ხალხის ნა-წილი ჩანს: ტაჩაგუზები-საკუთრივ იუდეველები, მამშუხები- ამავე სარწმ-უნოება და ცხოვრების წესათვისებული ზიხები და ტატები... რაც შეეხება კედონიის საერისთავოს, საიდანაც სავარაუდოდ სტარტს იღებენ თავის დროზე როგორც დიდი ხაზარეთის, ასევე მცირე ხაზარეთის მმართველი ელიტა, მეათე საუკუნის ბოლოს, როგორც დამოუკიდებელი იუდეური სა-ერისთავო წყვეტს არსებობას და ინტეგრირდება რაჭის ქართულ საერისთ-ავოში (თუმცა სვანთაგან დანათლული იუდეველთათვის განკუთვნილი სახელით) ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლეებში, მოსახლეობის დიდ ნაწილს დაბა ონში იუდეველები წარმოადგენდნენ, თუმცა მათი დი-დი ნაწილი ბარისაკენ, ქალაქ ქუთაისსა და მის მიმდებარედ იქნენ კონც-ენტრირებული...

...და კიდევ, ლაილაშის ბიბლია, რომელიც X საუკუნის შედგენილა-დაა ცნობილი. მისი აღმოჩენა ლაილაშში (სოფელი ლეჩხუმი) მოხდა... მი-სი სოფელ ლაილაშიში მოხვედრის ისტორია დღეს მიჩქმალულია, თუმცა სტრიქონების ავტორს წაკითხული აქვს ქართულ წყაროებში სულ ათეუ-ლი წლის წინათ: იუდეველი მამაკაცების (მეომრების) ჯგუფი, რაჭიდან

ბარისაკენ დაძრული, ფაქტიურად უმიზეზოდ იქნა ამოწყვეტილი სოფელ ლიალაშთან ამ სოფლელების მიერ. ებრაელი მეომრები ბოლო კაცამდე იცავდნენ თავიანთ ერთ-ერთ ფასდაუდებელ განძს-(ლაილაშის) ბიბლიას ... როცა ჩვენს ორი ათეული საუკუნის განმავლობაში უთანასწორო ომში დაღუპულ გმირებს ვიხსენებთ, იმ ებრაელ ვაჟკაცებსაც მივაგოთ პატივი, ასევე უსამართლოდ დაცემულთ თავისი ერის სიწმინდეების დაცვაში სულ რამდენიმე საუკუნის წინ...

...და კიდევ, ეს ბიბლია ჩვენი ერისათვის კულტურული ღირებულებას არ წარმოადგენს, ის შექმნილია იუდეველი ერის შვილების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე... ნიშანდობლივია, რომ მისი შემქმნელები მოსეს შტოს არ იცნობდნენ... შესაძლებელია, ეს ბიბლიის სრულიად ავტონომიური ვერსია იყოს...ის ქართული ვერსიით წაკითხული (და შესწავლილი) აქვს მიხაკო წერეთელს, თუმცა ეს ინფორმაცია არაფრის მომცველია. შესწავლა ნიშნავს მის თარგმნას, მონოგრაფიის გამოშვებას, რომელიც ხელმისაწვდომი გახდებოდა ფართო საზოგადოებისათვის. რასაკვირველია უძველესი ბიბლია რარიტეტია, ღირებული სიძველე, მაგრამ არა ქართველთათვის. მას ითხოვს ებრაული საზოგადოება. გავცვალოთ ისეთსავე რარიტეტზე, ოღონდ ქართულზე, რომელსაც ასევე ებრაული სახელმწიფო ფლობს-თუნდაც ჯვრის მონასტერზე! შესაძლოა წარმოდგენილ რარიტეტებს განსხვავებული ღირებულება გააჩნდეთ ფინანსურად, მაგრამ მოვიქცეთ ისე, როგორც ერთ რუსულ საფრონტო სიმღერაში: МАХНЕМ НИ ГЛЯДЕ, КАК НА ФРОНТЕ ГОВОРЯТЬ.

ნაკლებად სარწმუნოა, რომ ევროპელი ებრაელები, ევლია ჩელებისათვის ტაჩაგუზებად ცნობილნი, ასტრახანელი ან მერე ყაზანურად სახელდებულ თათრებში გათქვეფილიყო...სავარაუდოდ, ისინი უფრო რუს ერში უნდა იყოს ასიმილირებული...ცხადია სპარსეთში თუ ყირიმში მოღვაწე ებრაელები მიგდონების-ამ შემთხვევაში ჰედონების საქართველოს ბუდობიდან გავრცელებული დიასპორა უნდა იყოს...

რაც შეეხება სტრაბონის მიერ მცირე აზიაში დაფიქსირებულ მიგდონებს-ანტიოქიელებს-ნისიბიდელებს, სავარაუდოდ მათი დიდი ნაწილი სომეხ ერთია ჩანს ასიმილირებული...ებრაელები ჭკვიანი და დიდი ინტელექტის მატარებელი ხალხია-ინტელექტუალურ თამაშში, ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონებიც ისინი არიან, ხანდახან სომხებიც...

P.S. ებრაელთა თემა ერთ-ერთ- იმ მცირერიცხოვან თემათაგანია, რომელიც სცილდება აღნიშნული წიგნის ფორმატს და თეთრი ლაქები, რომელიც ამ ერის არსებობა-მოღვაწეობაში კიდევ არის დარჩენილი, საბოლოოდ მომდევნე მესამე და უკანასკნელ ტომში იქნება განხილული...

ტროელები-რომაელები, და სხვები

როგორც ჩანს, ეს თემაც მოითხოვს გადახედვას. გადახედვას თუნდაც იმიტომ, რომ ტროას არქეოლოგიური განათხარი კულტურა შემდგარია რამდენიმე კულტურული ფენისაგან, რომელიც რამდენიმე ასწლოვან, (თუ არა ათასწლოვან) კულტურული ცხოვრების კვალს აჩვენებს ... მაგრამ თავად ტროელები ფაქტიურად მეორე თაობა ჩანს, რომელიც აქვე ცხოვრობს: ისტორია ჰექტორის და პარისის მამას, პრიამოსს იცნობს...ზუსტად ეს პრიამოსი, ჯერ კიდევ ყრმა, გადაურჩა ტევკრთა იმ განადგურებას, რომელიც ტროას ომამდე რამდენიმე ათეული (სავარაუდოდ სამი-ოთხი ათეული) წლის წინ გადახდა ჰერაკლეს ხელიდან...გამოთვლებით ის 1335-1320 წლების დიაპაზონში ჩანს მომხდარი. თავად ტროას ცნობილი ომი 1290-1280 წლების დიაპაზონში მიმდინარეობდა ასევე ქრისტემდე (თარიღის ზუსტი განსაზღვრა ნახეთ ზემოთ) ...და ვინ ცხოვრობდა მანამდე ტროაში?

ჰომეროსი პრიამოსის ამაზონების წინააღმდეგ ბრძოლას ბელერფონტთან, კორინთოს მეფესა და ფრიგიელებთან ერთად ახსენებს...ბელერფონტი ამაზონების წინააღმდეგ სხვისი სურვილით ომობდა, მაგრამ ფრიგიელებს ამ ომში ნამდვილად არ შეეძლოთ მონაწილეობის მიღება: ისინი ამ ომიდან ორიოდ ათეულთ წლების წინ ჩამორეკა ტყვეებად ეგვიპტის ფარაონმა ჰორემხებმა ევროპიდან- კერძოდ იმ ტერიტორიიდან, სადაც შემდგომში დორიული მაკედონია დაფუძნდა...(28) და რა აქვს საბრძოლო პრიამოსს ამაზონებთან? თუ გავიხსენებთ, რომ ამაზონებმა მხოლოდ ათი წლის ომის მერე გადაწყვიტეს მიშველებოდნენ მათთვის საძულველი მტრის, ბერძნების წინააღმდეგ მებრძოლ ტროელებს, მიანიშნებს ამ ორ ხალხს შორის არა სახუმარო მტრობას...თუ გავითვალისწინებთ, რომ ტროელები-ტევკრები ევროპიდან მოსული ხალხია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ ომის მიზეზი...თავად ტროა გახლდათ- ტერიტორიები ტროას სიახლოვეს და ზედვე მდებარე ქალაქები, ეფესო, სმირნა და მირინდა იმთავადვე ამაზონების საკუთრება იყო...როგორც ჩანს, პირველად ტევკრების წინაპრებმა, რომელთა რიგებში ჭაბუკი პრიამოსიც მოიაზრება, წაართვეს და გააძევეს ქალაქ- პოლისი ტროიდან ამაზონები, ხოლო ჯერ ჰერაკლესა და თეზევსისაგან, ხოლო შემდგომ თეზევსისა და ათენელებისაგან დამარცხებული ამაზონები ხმელთაშუა ზღვის პირს, შემდგომში მცირე აზიის იონიად ცნობილს გაეცალნენ და კონტინენტის სიღრმისკენ დაიხიეს, მდინარე თერმოდონტის სანაპიროსაკენ, თემისკირაზე...(29) ზუსტად თემისკირიდან მოდიან ისინი ომის ათი წლის თავზე ტროელთა საშველად, რომელიც საძულველ ბერძნებთან ომის საშუალებას იძლევა, თან არა მხოლოდ საკუთარი ძალებით...

ამაზონების შესახებ ფაქტიურად უკვე ვისაუბრეთ (თვინიერ საკამ-ათო ფრანგული პოსტულატისა-ამ უკანასკნელზე მესამე და უკანასკნელ ტომში ვისაუბრებთ) მაგრამ ვინ არიან თავას ტროელები- ტევკრები? ანტი-კურ წყაროებზე დაყრდნობით შესაძლებელია დასკვნა, რომ ტევკრები ევ-როპიდან გადავიდნენ მცირე აზიაში, კერძოდ ტროაში...ის რომ ტროელთ-აგან ცოცხლად გადარჩენილი ენეასი და მისი შთამომავლობა ხდება შემ-დგომ რომაელი ერის საწყისი, უშეცდომოდ მიგვახვედრებს: ტევკრი, დევ-კრიშნას, ღმერთ კრიშნას ხალხია...(დევი ვედებში იმავე ღმერთის სინონი-მია)...და რა გვაძლევს ამ დასკვნის საფუძველს?...ის რომ **<u>დარდანი</u>** ენეასი რომაული ეთნოსის ფუძემდებლად ითვლება, ამასთან სავარაუდოდ ის ტე-ვკრი კი არაა, არამედ რამაელი...რამას, კრიშნას ძმის ხალხის წარმომადგ-ენელი...(ინდურ ეპოს მახაბხარატას მიხედვით ძნელიც კია იმსჯელო, და-ყოფილი არიან თუ არა ძმების, კრიშნას და რამას-იგივე ბალადევას ხალ-ხები)...ეს ენეასის მემკვიდრენი ჩანან რომაელები- რამაელები და არავით-არი ძუ მგლის გამოზრდილი რომული და რემი ბუნებაში არ არსებულა... რაც შეეხება დარდანთა ტომის სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც სავარ-აუდოდ ტროაში არ ფიგურირებდნენ, მათი თემის შემდგომი ცხოვრება ია -ვარდით ნამდვილად არ ყოფილა მოცული...მათ შესახებ იმავე მაკედონე-სებთან დაკავშირებით ვილაპარაკეთ, რომელთა მეზობლებიც იყვნენ ევრ-ოპის ამ ნაწილში.

...და მაინც საიდან აღმოჩნდნენ ისინი ევროპის ამ ნაწილში, ან თუ-ნდაც მცირე აზიაში? საინტერესოა, რომ იმავე ეპოსის მიხედვით არჯუნ-ამ, ამ ეპოსის სწორუპოვარმა, მაგრამ უკვე დაბერებულმა გმირმა წამოიყ-ვანა კრიშნას და რამას დაობლებული ცოლ -შვილი ჩრდილოეთ ინდოეთ-ისაკენ, რამეთუ ვრიშნის-კრიშნას ტომის მამაკაცებმა მთვრალ ორგიაში ერთმანეთი თითქმის სრულიად ამოწყვიტეს... არც ცოცხლად დარჩენილ კრიშნას და მის ძმას ბალადევას უცოცხლიათ დიდხანს, ფაქტიურად აქვე დაიღუპნენ...და მაინც, როგორ აღმოჩნდნენ ისინი ჩრდილო ინდოეთიდან სამხრეთ ევროპასა და მცირე აზიაში? გამოგიტყდებით, თავიდან ვფიქრო-ბდი, რომ ისინი ე.წ. „ზღვის ხალხების“ ნაწილი იყო (დროში ფაქტიური-ხდომილების გამო) მაგრამ...მაგრამ როდესაც შემთხვევით წავაწყდი ჰერა-კლეს მიერ ტროელთა წინა თაობის იავარქმნის აღწერას, რომელსაც ცოც-ხალი მარტო პრიამოსი გადაურჩა, ტროელთა წარსულის ნაკვალევმა სულ სხვა გზა აჩვენა...ჰერაკლემ ფაქტიურად ამოწყვიტა ტევკრი მამაკაცები, ხო-ლო მათგან ცოცხლად დარჩენილთაგან ერთ- ერთის გამოსყიდვა შესთავა-ზა ტევკრების დას...და მანაც ჭაბუკი **<u>პოდარკი</u>** არჩია, მის საფასურად ჰე-რაკლეს საკუთარი თავშალი გადსცა და გამოსყიდულ ჭაბუკსაც პრიამოსი დაარქვა. (პრიამაი- ყიდვას ნიშნავს ბერძნულად)

...მაგრამ საიდან აქვს ადრინდელი სახელი პრიამოსს? <u>**პოდარკი**</u> სლავურად (და როგორც ჩანს სკვითურადაც) საჩუქარს, ნაჩუქარს ნიშნავს?... ჩანს, ტევკრების მიგრაციის გზა, ისევე როგორც ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები ტომებისა, სკვითების, ფრიგიელების, სინდების, მატიენების და იაუდხეების თანხვედრილი ჩანს...საკმაოდ დიდი ხანი ისინი გვერდიგვერდ მომთაბარეობდნენ არალისპირა სტეპებში...ზუსტად აქ, შემდგომ კი ბაბილონსა და ეგვიპტეში უჩანთ სკვითური ლექსიკის ნაწილი ათვისებული ტევკრებს...ძნელი სათქმელიც კია, მცირე აზიის და ეგვიპტის დაპყრობის შემდეგ ტევკრები რჩებიან მცირე აზიაში თუ გადადიან ეგვიპტეში? თუმცა ეს ორი მხარე ფაქტიურად ერთდროულად ჩანს განთავისუფლებული, პირველი სვანური ტომისაგან, მეორე ეგვიპტური-კოლხური ტომისაგან...ტევკრები, ისევე როგორც თრაკიელი მედების ტომი, ევროპაში მარმარილოს -ჰელსპონტის ზღვით ჩანან გადასული...ხოლო ტევკრები განდევნიდან თითქმის ორი საუკუნის შემდეგ ისევ ჩანან მცირე აზიაში დაბრუნებული ... ამ დაბრუნებისას ისინი ამაზონებს ბრძოლით ართმევენ მათ კუთვნილ ტროას...ამიტომაც მხოლოდ ტროას ომის დაწყებიდან ათი წლის მერე გადაწყვიტეს ამაზონებმა ბრძოლაში მიშველებოდნენ ძველ მტრებს ახლების წინააღმდეგ... მიშველების შედეგებზე უკვე ვისაუბრეთ...

...და ტევკრები...აკავშირებთ თუ არა რაიმე ნათესაური მათ ქართულ ეთნოსთან? როგორც ჩანს კი:

„ხოლო ნაწილი ამ გვარისა (აფსარები) მეფეო, რომლებიც მე ადრე ვახსენე, ასევე გარდაიქმნენ დედამიწაზე ინდრას (ბრახმას) **მოწოდებით. ის თექვსმეტი ათასი ღვთაება, მამაკაცთა მბრძანებელო, გახდნენ ხალხის სამყაროში ნარაიანას ცოლები“ (მახაბხარატა; ადიპარვა 61)**

მაგრამ ეპოსში ძალიან მკრთალად არის მითითებული, ვინ შეიძლება იგულისხმო ნარაიანაში...ზოგჯერ ეპოსი არჯუნას და კრიშნას ერთობას უწოდებს ნარასა და ნარაინას და ამ უკანასკნელში კრიშნას გულისხმობს...მაგრამ არა პირდაპირ...

„და აქ ბრძოლის გახურებისას, კშატრიათა ჩამყლაპავისა, ბრძოლის ველზე ო ღირსო მეფეო, იქიდან საიდანაც პანდავა (არჯუნა) **ანადგურებდა სანშაპტაკებს, კოსალებს და ნარაინას ჯარს...“ (იქვე, კარნაპარვა 37)**

აი ამ ამონარიდის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ნარაინას ჯარი ზუსტად მონაწილეობს კურუშეტრას დიდ ომში, და აი ისიც:

„მაკარას (საბრძოლო წყობა) **მარცხენა თათში, ინდრავ მეფეთა შორის, იდგა კრიტავარმანი, გარშემორტყმული ნარაიანას რაზმებით“ (იქვე, კარნაპარვა 7)**

აი აქ კი უკვე ღიად და პირდაპირ არის გაცხადებული, თუ ვის გულისხმობს ეპოსი ნარაიანას სახელის ქვეშ: მკითხველს შევახსენებ, რომ სავარაუდო ომის წინ კრიშნას მიაკითხეს მოშუღლე ბიძაშვილთა ორთავე მხარემ, დურიოდხანამ და არჯუნამ. კრიშნამ მათ არჩევანი შეთავაზა, ერთ მხარეს მისცემს მთელ საკუთარ მხედრობას, ვრიშნებს, მეორე მხარეს დაეხმარება თავად, თუმცა მხოლოდ რჩევებით...არჯუნამ უყოყმანოდ კრიშნა და მისი რჩევები ირჩია, დურიოდხანას ვრიშნები მთელი ჯარი შეხვდა და ამ არჩევანით ძალიანაც კმაყოფილი დაჩა...კრიტავარმანი კურუქშეტრას დიდ ომში კრიშნას მხედრობს, ვრიშნებს სარდლობს, იადავებს, ანდხაკებს და ბხოჯებს...

მკითხველს კიდევ ერთხელ შევახსენებ, რომ რომაელებად წოდებული ხალხი-ეს ტროელთა ენეასთან ერთად გადარჩენილი მცირერიცხოვანი მხედრობაა, რომლის დედაკაცური შემადგენელი ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით აფსარები ყოფილან, განდხარვთა ციური მეწყვილეები...

...არიმასპები, გრიფონები...

„არისტეს კასტროპიოსის ძემ, პროკონესოსელმა თავის პოემაში თქვა, რომ ის მივიდა ისედონებთან ფოიბოსის მიერ შთაგონებული. ისედონებს ზემოთ ცხოვრობენ არიმასპები, ცალთვალა ხალხი, ამას ზემოთ ოქროს მცველი გრიფონები, ხოლო მათ ზემოთ-ჰიპრბორეები, რომლებიც აღწევენ ზღვამდე. ყველა ეს ხალხი, გარდ ჰიპერბორეებისა, დაწყებული არიმასპებიდან მუდამ თავს ესხმიან მეზობლებს. ასე რომ ისედონები გამოაძევეს თავიანთი მიწებიდან არიმასპებმა, ისედონებმა სკვითები, ხოლო კიმერიელებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ სამხრეთის ზღვასთამ, დატოვეს თავიანთი ქვეყანს სკვითების მიერ შევიწროებულებმა. ამგვარად არისტევსის მონათხრობი ამ ქვეყნის შესახებ განსხვავდება სკვითების გადმოცემისაგან“ (ჰეროდოტე; ისტორია, წიგნი III-13)

ცალთვალა ხალხის არსებობა თავად ჰეროდოტესაც არ სჯერა და ამას ახმოვანებს კიდეც, თუმცა ვერსიას არიმასპების შესახებ უცვლელად აქვეყნებს, ისე როგორც ეს არისტეს კასტრიოპოსის ძის პოემაში „არიმასპეაში“ ჩანს გახმოვანევბული.

„ამგვარად ესენი (ისედონები) ცნობილნი არიან, ხოლო ამათ ზემოთ, ისევ ისედონები მოგვითხრობენ, რომ არის ცალთვალა ხალხი და ოქროსმცველი გრიფონები, ისედონებისაგან გაიგეს ეს სკვითებმა და თქვეს, ხოლო სკვითებისაგან ჩვენ შევიტყვთ; მათ სკვითურად ვუწოდებთ არიმასპებს. არიმა სკვითურად ნიშნავს ერთს, ხოლო სპუ-თვალს“ (იქვე, 27)

ისტორიის მამას ჰეროდოტეს უნებლიე შეცდომა მოსდის, როდესაც ისედონებს-სვანურ ტომს არიმასპებისაგან გამოდევნილად ასახელებს, თუმცა მან ბოლომდე არ იცის ის რეალია, რასაც „სკვითების განდევნას“ უწოდებს (იმდენად შორეული ისტორიული პროცესია ის თვით ჰეროდოტეს ეპოქისათვისაც კი) წინამდებარე თავიდან უკვე ზუსტად ვიცით, რომ სკვითების მცირე აზიიდან განდევნა საერთო განდხარვული პროცესია, სადაც ყველა განდხარვულ- აფსარული ტომი მონაწილეობს, მათ შორის სვანები-ისედონები. შესაბამისად ეს ტომი არიმასპების განდევნილი არ არის. და რომელმა სკვითებმა შემოიტანეს მცირე აზიაში არიმასპების ამბავი? ვერ იქნებოდა ეს ყველაფრის წამლეკავი პირველი ტალღა სკვითებისა, რამეთუ ამ დროისათვის ისედონები-სვანები ჯერ კიდევ მცირე აზიაში ცხოვრობდნენ. შესაბამისად, არიმასპების ამბავი არისტეს კასტროპიოსის ძის მოტანილი ჩანს, პოემა „არიმასპეას“ ავტორისა. ამასთან, ამ ხალხის გაცნობის მიზნით არისტესი ნამყოფი ჩანს ისედონებთან, თუმცა არიმასპების შესახებ სავარაუდოდ ცნობები მას სკვითებისაგანაც უჩანს აღებული, თუმცა უკვე მეორე ტალღის სკვითებისაგან, რომელთაც გადმოცემით იციან არიმასპების არსებობის და განსახლების ადგილიც კი. (ვფიქრობ, თავად არისტესი უნდა იყოს ჰიპერბორეელი, ამას თავად ჰეროდოტე მიუთითებს)

თავად არიმასპი შედგენილი სიტყვაა, როგორც ამას ჰეროდოტეც გადმოგვცემს. იგივე ჰეროდოტე გვაფრთხილებს, რომ ტოპონომი, ტომის დასახელება თუ უბრალო სიტყვა სხვადასხვა ხალხის ენაზე სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობისანი არიან და არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში. თუმცა ზუსტად ის შეცდომა მოსდის, რომლის დაშვებისაგან ჩვენ გვაფრთხილებს: სიტყვა **ასპუ** - მართლაც თვალის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო ძველ სკვითურში და აქედანვე ნაწარმოები ჩანს სიტყვა **სპი-ტ**, რაც თვალთან არის დაკავშირებული და მისი დახუჭვის გარეშე შეუძლებელია...რაც შეეხება მეორე სიტყვას **არიმ-ს,** ის სკვითური არა ჩანს:

„ზოგიერთებს გადააქვთ ლეგენდის მოქმედების ადგილი კილიკიაში, სხვებს-სირიაში, მესამეთ- პიფეკუსში. ამასთან აჩვენებენ, რომ ტირენეელები უწოდებენ მაიმუნებს არიმებს“ (სტრაბონი, წიგნი XIII; IV-6)

როგორც ზემოთ დამტკიცდა, ტირენეელთა (ეტრუსკთა) ენა აფრაზიულია, განდხარვულ- აფსარული, რომლის ერთ შტოს ზუსტად ისედონები-სვანები წარმოადგენენ ...არიმასპების „ნათლიაც“ ზუსტად ისინი ჩანან, სკვითებთან ერთად. ...შესაბამისად, არიმასპი არა ცალთვალა ადამიანს, არამედ მაიმუნის (მსგავსი) თვალიან ადამიანს ნიშნავს...პლინუს უფროსთან შემხვედრია კვლევისას ცნობა ხვლიკის თვალა ადამიანების შესახებ, ფორანზე მცხოვრებნი ყირიმის ნახევარკუნძულის მახლობლად...ესენი მონღოლები ჩანან, ევროპელთათვის უცხო თვალის ჭრილით... ვითვალისწინებთ

რა ისედონების საცხოვრებელ ადგილას ბალხაშის ტბის სიახლოვეს, მათგან ზემოთ მცხოვრები ხალხი, (ჰეროდოტეს სიტყვებით) ამასთან მაიმუნის მსგავსი თვალებით-ეს მხოლოდ ჰუნუს ტომი უნდა იყოს, მონღოლები...

ცხადია ჰეროდოტეს (უფრო სწორედ არისტეს კასტროპოსის ძეს) აბსოლუტურად ზუსტი ცნობები გააჩნია და აქვს გადმოცემული თავის პოემა „არიმასპეა“-ში. აქ საქმე მონღოლთა წინაპარ ჰუნუს ტომთან გვაქვს ...

...და გრიფონები...

გრიფონი-ეს არსებაა ლომის ტანით, არწივის თავით და არწივისვე ფრთებით...ჰეროდოტეს სიტყვებით, ცხენზე ამხედრებული არიმასპები ცდილობენ ოქრო მოპარონ მფრინავ გრიფონებს...ზღაპარია? რასაკვირველია, მაგრამ არიმასპები სრულიად რეალური ადამიანური ტომი აღმოჩნდა, ჰუნუს-მონღოლთა ტომი...და ვინ შეიძლება იყოს გრიფონები? ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით სიმდიდრის -განძის მცველი ღვთაება კუბერაა, ხოლო მისი ხელქვეითნი-იაკშები, ჩვეულებრივ ლევიტაციის თვისებებით დაჯილდოებულნი...და სად ბინადრობს კუბერა და მისი მცველები? ხიმავენსსა (ჰიმალაის) და ჩრდილოეთში ...ჩრდილოეთში ინდოეთისათვის, რომლის ჩრდილოეთით ზუსტად ხიმავენის-ჰიმალაის მთები მდებარეობს, იმის იქით კი ჩინეთია. ცსადია, ეპოს „მახაბხარატის“ იაკშები-ეს ჩინებია. ჰეროდოტესეული გრიფონები კი ჩინელები. და მართლაც ზუსტად ისინი მოიაზრებიან ჰუნუს-მონგოლური ტომის აღმოსავლეთით...რაც შეეხება ჰიპერბორეებს, ეს ის თემაა, რომელზედაც საუბარს გავყავართ ამ წიგნის ფორმატიდან...

...ეფტალიტები...

ვიკიპედიის მიხედვით, ეფტალიტებს თეთრი ჰუნები ეწოდებათ, თუმცა ეს მთლად სწორი ფორმულირება არ უნდა იყოს... სავარაუდოა, რომ მათი ნაწილი მონაწილეობს ატილას ევროპულ ლაშქრობაში, თუმცა ძირითადი ნაწილი მაინც უფრო ინდოეთისაკენაა სავარაუდებელი. მართალია ჩინური წყარო მათ იუეზჩისთან (კან-გოის ტომი) ენობრივ სიახლოვეს აღნიშნავს, თუმცა ეს ის უნდა იყოს, რაც საერთოა არამონღოლოიდური ტომებისათვის) მართალია მათ პროკოფი კესარიელი V საუკუნეს თეთრ ჰუნებს უწოდებს, ცოტათი ადრე ამიანე მარცელანე მათ ჰუნ-ხიონიტებს უწოდებს (30) ისინი განსხვავდებიან ატილას შავი ჰუნებისაგან, რომელნიც აშკარად მონღოლოიდური წარმოშობისანი ჩანან. ძალიან ხშირად ურევენ ალექსანდრე მაკედონელის თრაკიელ მოლაშქრეებთან-ხაზარებთან, რაც აშკარა დისონანსს წარმოშობს თურქების ისტორიაში. ეფტალიტებს-თურქებს და-

პყრობილი უჩანთ თოხარისტანი-კანგოი და საკუთარი სახელიც აქვთ და-ნათლული-თურქმენეთი...

ჩინური წყაროების მიხედვით, ეფტალიტები **იად**-ის ხალხად იწოდ-ება. ინდურ ეპოს „მახაბხარატას“ მიხედვით, **იადუ**- ეს შვილია წარმატებუ-ლი მეფისა, რომელსაც სამეფო ტახტი არ ხვდა და ამ პატივს მისი უმცრ-ოსი ძმა, პურუ იმსახურებს. პურუ- ეპოსის გმირების, პანდავებისა და კა-ურავების წინაპარია, ხოლო მისი ძმა იადუსაგან სათავეს იღებს იადავების მძლავრი ტომი...ზღაპარია? როგორც ჩანს არა...და ამას იადუს ხალხის ერ-თი უცნაური ჩვევა ამტკიცებს... რამდენიმე ეფტალიტს ყავს ერთი საერთო ცოლი... და ქალისათვის ეს მით უმეტეს სასახელოა, თუ მას ერთბაშად ხუთი ქმარი ყავს...ეს წესი, არნახული მანამდე ინდოეთში (კაცობრიობის აკვანში) ქრისტემდე 3101 წელს დანერგეს ძმებმა პანდავებმა, რომელთაც ხუთ ძმას: იუდიშტხირას, ბხიმასენას, არჯუნას, ნაკულას და სახადევას ერ-თი საერთო ცოლი, დრაუპადი ჰყავთ...შესაბამისად ეფტალიტები, თურქე-ბი, ამ საერთო ოჯახიდან, უფრო ზუსტად პურუს ძმის, იადუს ტომიდან ჩანან გამოსულები... იადუს და ვრიშნისა-ამ უკანასკნელთა დედაკაცური კომპონენტი აფსარაა...

ბოშები (ციგანები)

ამ ხალხის შესახებ ყვებიან, რომ ისინი ინდური ტომია, საკუთარი მიწიდან აყარა მომხდურმა და ამის შემდეგ მოძრავ (უსამშობლო) ცხოვრე-ბას ეწევიან ცხენებშებმულ ფორნებზე...ამ ვერსიაში მხოლოდ ის ჩანს მარ-თალი, რომ ბოშები ინდური ტომია. სხვათაშორს, ჩვენ ყველა ინდოეთიდ-ან ვართ მოსული და დასახლებული, ვინ ადრე და ვინ გვიან, რამეთუ კა-ცობრიობის (ამ პოპულაციის) სამშობლო ინდოეთია... რაც შეეხება ბოშებს და მათ შემდგომ სამშობლოს (ინდოეთიდან დატოვების შემდეგ) ცნობი-ლია:

პაჭანიკებზე, რამდენად სასარგებლონი არიან

ისინი, როცა რომაელთა ბასილევსთან მშვიდობაში არიან.

...მე ვფიქრობ ყოველთვის მომგებიანია რომეეთა (რომაელთა) ბასილევს-ისათვის მოისურვოს მშვიდობა პაჭანიკებთან, დადოს მათთან სამეგობრო თანხმობა და ხელშეკრულება. გააგზავნოს ყოველ წელს აპოკრისიარი შე-საფერისი საჩუქრებით ხალხისათვის და წამოიყვანოს იქიდან მძევლები... იმდენად რამდენადაც ეს ხალხი მეზობელია ხერსონესის (დღევანდელი

სევასტოპოლი ყირიმის ტერიტორიაზე) თემისა (ხერსონის მიმდებარე ტერიტორია) და თუ არ იქნებიან კეთილგანწყობილნი ჩვენდამი, შეუძლიათ გაილაშქრონ ხერსონესის წინააღმდეგ, მოაწყონ თავდასხმები და დაარბიონ თავად ხერსონესი და ეგრეთ წოდებული კლიმატი (ხერსონესის თემები და სამხრეთ ნაწილი ყირიმის ნახევარკუნძულისა) (30)

პაჭანიკების და როსების (უკრაინელების, ავტ) შესახებ

(იცოდე) რომ პაჭანიკები გახდნენ მეზობლები, მოსაზღვრე როსებისა. კერძოდ, როდესაც არ არის მშვიდობა ერთმანეთთან, ისინი ძარცვავენ როსებს, აყენებენ მათ შესამჩნევ ზარალს. (იცოდე) როსები შეგონებულნი არიან, ჰქონდეთ მშვიდობა პაჭანიკებთან...ასევე მათგან დაშორებულ მტრებთან როსებს ლაშქრობა არ შეუძლიათ, თუ არ არის მშვიდობა პაჭანიკებთან, იმდენად რამდენადაც პაჭანიკებს აქვთ შესაძლებლობა, მაშინ როდესაც როსები შორს იქნებიან (ოჯახებიდან) დაესხან თავს და ისინი დააზიანონ. ამიტომ როსები ყოველთვის უთმობენ დიდ ყურადღებას, რომ არ მიიღონ მათგან ზარალი, რამდენადაც ძლიერია ეს ხალხი, შედიან მათთან კავშირში, რომ მათი მტრობისაგან დაზღვეულნი იყვნენ, ხოლო გაჭირვებისას მეშველად ეგულებოდეთ . (იცოდე) რომ რომეების სატახტო ქალაქში, თუ როსები არ არიან მშვიდობაში პაჭანიკებთან, ისინი ვერ მოდიან ვერც საომრად და ვერც სავაჭროდ. იმდენად რამდენადაც როსები ნავებით გადმოდიან მდინარის ჭორომებზე, ისინი გვერდს ვერ უვლიან სხვანაირად, რომ ამოიტანონ ნავები ხმელეთზე და გადაიტანონ ჭორომს იქით მხრებზე ტარებით. ამ დროს მათ თავს ესხმიან პაჭანიკების ხალხი და ადვილად -როსებს არ შეუძლიათ ორი საქმის ერთდროულად კეთება და საფრთხის გამკლავება- ამარცხებენ მათ და აწყობენ ხოცვა-ჟლეტას.

ვასილიკებზე, გაგზავნილი ხერსონიდან პაჭანიკიაზე

ყოველთვის, როდესაც ვასილიკი (სახელმწიფო მოხელე) გადის ხერსონიდან დავალებით, მან დაუყოვნებლივ უნდა გააგზავნოს მაცნე პაჭანიკეთში და მოითხოვოს მათგან მძევლები და დაცვა. როცა ისინი მოვლენ, მძევლები უნდა მოათავსონ მეთვალყურეობის ქვეშ ხერსონის ციხე- სიმაგრეში. თავად დაცვის თანხლებით უნდა გადავიდეს პაჭანიკეთში და შეასრულოს დავალება. ეს პაჭანიკები, გაუმაძღარნი და უკიდურესად ხარბები იშვიათი საგნების მიმართ, უსირცხვილოდ ითხოვენ მრავალ საჩუქრებს: მძევლები ითხოვენ ერთ საჩუქარს საკუთრივ მათთვის, მეორეს საკუთარი ცოლისათვის, მცველები ერთს საკუთარი შრომის გასამრჯელოდ, მეორეს ცხენის მიერ გაწეული ჯაფისთვის. შემდეგ როდესაც ვასილიკი უკვე შედის მათ ქვეყანაში, ისინი (მოლაპარაკების მეორე მხარე) ითხოვენ უპირველეს საჩ-

უქარს ვასილიკისაგან, და ისევე როცა დააკმაყოფილებენ საკუთარ ხალხს, ითხოვენ საჩუქარს თავისი ცოლებისათვის და მშობლებისათვის. უფრო მეტიც, ისინი რომლებიც დაცვის მიზნით ბრუნდებიან ხერსონესში ვასილისკთან ერთად, მიდიან მასთან და თხოვენ, რომ მან დააჯილდოვოს მათი შრომა და ასევე შრომა მათი ცხენებისა.
(კონსტანტინე პორფიროგენტი- დემებზე X საუკუნე)

... და ვიკიპედია:

1036 წელს თავადმა იაროსლავ ბრძენმა დაამარცხა პაჭანიკები კიევთან, რომლის შედეგად უდიდესმა ნაწილმა პაჭანიკებისა სხვა თურქული ტომების, ყივჩაღების ზეწოლის შედეგად გადაინაცვლეს ბიზანტიასა და უნგრეთის საზღვრებისაკენ. იმავე საუკუნის 40 იანი წლების ბოლოს, ხანი ტირახის მეთაურობით გადავიდნენ დუნაიზე, მაგრამ ბიზანტიელებმა შეაჩერეს მათი შეტევები. აქამდე ხანი ტირახის მოწინააღმდეგე ხანი კეგენი გადავიდა ბიზანტიის მხარეზე. ბიზანტიის იმპერარტორმა ალქსეი კომნენმა ხანგრძლივი ომის შემდეგ 1091 წელს დაამარცხა ისინი... XI საუკუნიდან დაიწყო მასიური და იძულებითი გადასახლება უნგრეთში...

როცა ამ სტრიქონებს კითხულობ, რთული არაა მიხვდე, რომ საუბარი ეხება დღევანდელ ბოშებს ათასზე მეტი წლის უკან. არც არაფერი ამ ხალხის მენტალობაში არ შეცვლილა ამ მილენიუმში... ეტყობა უზენაესმა ისინი ასეთივე შექმნა...მათი სამშობლო მეათე საუკუნისათვის- ეს დღევანდელი ხერსონესი, მისი მიმდებარე ტერიტორია მდინარე დნეპრის გაყოლებით და ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი იყო...და მათსავე დამარცხებაში ლომის წილი მიუძღვის ქართველს ბიზანტიის სამსახურში, გრიგოლ ბაკურიანს, რომელიც ღმერთს შენდობას თხოვს ამ ომში გამოჩენილი სისასტიკისათვის...ზოგიერთი წყაროებით, პაჭანიკთა ურდო სრულიად, ქალიან- ბავშვიანად იქნენ გაწყვეტილნი...სავარაუდოა, რომ ურდოს სხვა ნაწილი, რომელიც არ ღებულობდა მონაწილებას ამ ომშიგადარჩა...მათ სამშობლოდ ბესარაბია ითვლებოდა, ოდესის მიმდებარე რეგიონი რუმინეთის მხრიდან...

...ლათინები...

ამ ხალხს არავინ არ იცნობს...მის ენას იცნობს მთელი სამხრეთ ევრ-პა...ანბანს - ფაქტიურად მთელი მსოფლიო... და ვინ არიან სინამდვილეში ისინი? რა პირდაპირი თუ ირიბი ცნობები არსებობს მათ შესახებ? პირველი და ერთობ მნიშვნელოვანი, რომ ეს ხალხი აპენინებზე რომაელებზე ადრე ცხოვრობდნენ (ფაქტიურად ყველაზე ადრე, ომბრიკების- უმბრების გარდა)...როგორც ცნობილია რომაელები ტროელების ცოცხლად გადარჩენილი ნაწილია- ენეასი და მისი სახლიკაცები, რამაელები...და თავად კრიშნას ტომი-ეს ვრიშნები არიან, ხოლო რამასი ბხოჯები ან ანდხაკები ... და მაინც, ლათინები რომაელების ბიძაშვილებად იხსენებიან...და რა დატვირთვა აქვს ამ ბიძაშვილობას? -ფაქტიურად არავითარი-იგივე ანტიკური ლიტერატურა დანაეს, ორმოცდაათი ქალიშვილის მამას და ეგვიპტოსს, ასევე 50 ვაჟის მამას ძმად მოიხსენიებს და ქალიშვილ-ვაჟიშვილებს ბიძაშვილებად. სინამდვილეში დანაედ ჩათვლილი პიროვნება და მისი ქალიშვილები დანავებია, ევროპული ტომის წარმომადგენელი- ევროპელი, ისევე როგორც ტროელი რომაელები, ხოლო ეგვიპტოსი-დორიელი, განდხარვა, ხმელთაშუა ზღვის (და კავკასიური) რასის წარმომადგენელია...შესაბამისად, რომაელებისა და ლათინების პირდაპირი ნათესაობა არ იკვეთება-ირიბი, ვინ იცის...

„თავდაპირველად ლათინები არ იყვნენ ბევრნი და უმრავლესობა მათი არ აქცევდა ყურადღებას რომაელებს. მაგრამ შემდგომ, შეგონებულმა რომაელების დიდებით და მისი მომხრე მეფეებით, ისინი ყველანი დაემორჩილნენ მათ...ეკვების, ვოლსკების, ხოლო უფრო ადრე რუტულების და აბორიგენების, ყველა ამ რეგიონმა მიიღო დასახელება ლაციუმ ... ეკვები ცხოვრობდნენ კურიტების (კურეტების-ასაკენების?) მეზობლად ... გერნიკები ცხოვრობდნენ ლანუვიის მეზობლად, ალბებისა და თავად რომის მეზობლად. ალბანები თავიდან ცხოვრობდნენ რომაელებთან თამხმობით, რამდენადაც ლაპარაკობდნენ ერთ ენაზე და იყვნენ ლათინები, თუმცა ყოველი თემი იმართებოდა განსაკუთრებული მეფის მიერ და ცხოვრობდნენ ცალ-ცალკე, მით უმეტეს მათ შორის არსებობდა ურთიერთშორისი ქორწინება, ასევე საერთო მსხვერპლშეწირვა ალბაში და სხვა სამოქალაქო უფლებები და მოვალეობანი. თუმცა მას შემდეგ, რაც გაჩაღდა ომი, ალბა იქნა დანგრეული - ტაძრის გარდა, ხოლო ალბანელები ცნეს რომის მოქალაქეებად. დანარჩენი ქალაქები ან დაანგრიეს რომაელებმა, სხვები დაუმორჩილებელნი დაიმორჩილეს, ხოლო ზოგიერთები გაძლიერდნენ კიდეც თავისი კეთილგანწყობის გამო რომაელებთან“ (სტრაბონი, წიგნი V; III-4)

სტრაბონის ამ ამონარიდიდან მინიმუმ ის იკვეთება, რომ ეკვები, ვოლსკები, რუტულები, გერნიკები-ყველა ალბანელებად ითვლება და ზუსტად ეს ალბანელები ლაპარაკობენ...ლათინურ ენაზე, ხოლო ლათინი აქ ამ ალბანური ტომების საერთო სუზერენის სახელია მხოლოდ...და კიდევ, სტრაბონის მიხედვით ტროელებს ამ ხალხთან- ალბანებთან საერთო ენა-ალბანური აკვშირებთ, რომელიც სავარაუდოდ ტროელებისთვის მშობლიური (პირველი) ენა არც უნდა იყოს (31)...თავად ალბას ტომის შესახებ შესაბამის თავში უკვე ვისაუბრეთ. ფინიკიური ტომის ეს-ალბების შტო შემდეგ მიმართულებას და კვალს ტოვებს: ინდოეთი, აბხისარ-კენების ორი ცალკე შტო, ფინიკია-დღევანდელი ლიბაანის ასევე ორი შტო, სიდონელები და ტვიროსელები, შემდგომში მეიონები და პუნები...ზუსტად პუნები ჩანან მთავარი მამოძრავებელი ძალა საზღვაო მოგზაურობათა და ექსპედიციების მოწყობის სფეროში...ზუსტად ეს უკანასკნელნი ჩანან პირენეის ნახევარკუნძულზე მოწყობილი ექსპედიციის სულისჩამდგმელები-გვიანდელი კატალონია...ცენტრალურ ევროპაში მათი გამორჩევა გაძნელებულია (მაგრამ არა შეუძლებელი), ხოლო ჩრდილოეთ ევროპაში ალბიონი-გვიანდელი ინგლისი ზუსტად ესენი ჩანან (უებრო მოისარ ასაკენებთან- კურეტებთან ერთად)...მაგრამ საიდან და რომელი პროცესის შედეგად ხვდებიან ალბანები (შემდგომში ლათინებად წოდებულნი) აპენინის ნახევარკუნძულზე, ტროელებზე ადრე, მინიმუმ ქრისტემდე XIV საუკუნეს?

...ზღვის ხალხები...

ამ სათაურით ამავე ტომში უკვე იყო ეს სიუჟეტი. რასაკვირველია მაშინაც მოვისაკლისე პუნების ეს ტომი, რომლის საზღვაო ექსპედიციაში მონაწილეობა ფინიკიელებთან -მეიონებთან, ლიკიელებთან- გელებთან და ასაკენებთან-კურეტებთან ერთად აქსიომა იყო. ვიცოდი, სადაც უნდა მეძებნა და ამაზე კრეტის მეფე მინოსის სიკვდილმა და სიკვდილის შემდგომმა გარემოებამ მიმახვედრა.(32) ზღვის ხალხების ექსპედიციების ქრონოლოგია ფარაონ- დედოფალ ხატშეფსტმა და მისმა მოღვაწეობამ მიმახვედრა. (იხ. ზემოთ) ... ამ დედოფლის ეგვიპტეში ზეობის სამი ვერსია არსებობს, თუმცა ის მცირედ განსხვავებულია ერთმანეთისაგან, ქრისტემდე 1504-1458 წლების ფარგლებში მერყეობს...უშეცდომოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფარაონი ხატშეფსუტი ქრისტემდე XV საუკუნის პირველ ნახევარში ზეობს... რაც შეეხება „ზღვის ხალხების“ ექსპედიციას (ალბათ პირველის) ის ქრისტემდე 1470 წელს ჩანს მომხდარი (33)

ზღვის ხალხების რიცხვს, რომელთა დიდ ნაწილს ასირიელები-აშურები შეადგენენ (სავარაუდოდ კიზიკელების და შავშების ჩათვლით) მცი-

რე აზიაში, ხოლო იგივე ხალხს საბერძნეთში ახაიელები ჰქვიათ. ასევე დანუბები-ბერძნები, რომლებიც ელადაში მკვიდრდებიან. მეიონების, ლიკიელების და ასაკენების ნაწილი კრეტას იკავებენ. ასაკენების ნაწილი აგრეთვე კუნძულ სიცილიაზე მკვიდრდება. რაც შეეხება აპენინის ნახევარკუნძულს, აქ ძირითადად ალბები-ალბანები მკვიდრდებიან, რომელთა რიცხვში ალბების გარდა ზემოთ ნახსენები ეკვები, ვოლსკები, რუტულები და გერნიკებიც ითვლებიან, თუმცა ეს ხალხი შემდგომ ყველა ლათინების სახელით არიან ცნობილნი... და მკვიდრდებიან ისინი აპენინის ნახევარკუნძულზე ზუსტად 1470 წლით ადრე ქრისტემდე, ამდენადაც ტროელთა ნახევარკუნძულზე მოსვლისათვის თავს აბორიგენად გრძნობენ, თუმცა ისინი აბორიგენები ვერ არიან- სტრაბონის სიტყვებით, ამ სტატუსს პლინიუს უფროსის მიხედვით ომბრიკებს- შემდგომ უმბრებად წოდებულებს ეკუთვნით...

მაგრამ ქართველურთან ახლოს მდგომი ენები, ფაქტიურად მათივე წინაპარი, ან ერთი ფუძიდან აღმოცენებული ენები დღეს ძალიან შორს დგას ქართულიდან-მსგავსებაც კი ძნელი მოსაძებნია...განსაკუთრებით ლათინურენოვან ენებთან. დიდხანს ვეძიე მიზეზი, მაგრამ ამაოდ. შესაძლებელია გვეფიქრა, რომ მიზეზი 20 საუკუნოვან და მეტ გაუცხოებაში გვეძია, თუმცა მიზეზი მარტო ეს არ უნდა იყოს...

...ლურსმნული დამწერლობა...

ამ თემაზე ზემოთაც საკმარისად ვისაუბრებ, ამჯერად მხოლოდ ზოგად ფორმებში გავიმეორებ: ლურსმნული დამწერლობა შეიქმნა ქრისტემდე 3523 წელს, ტერიტორიაზე რომელსაც შემდგომში ვენეცია ეწოდათ, და რომელზეც 3403 წელს ქრისტემდე განვითარდა ის მოვლენა, რომელსაც მსოფლიო წარღვნა ეწოდა...მისი ზემოქმედების ქვეშ სულ სამი ტომი მოხვდა: ხალდები-იგივე ჭანები, იგივე შუმერები, კოლხები-გვიანდელი კოლხები და ეგვიპტელები, ომბრიკები-იგივე უმბრები-იგივე იბერები. ლურსმმული ანბანი მათ შეუქმნა მაღალმა გონმა-ოანმა, სახელად ანედოტმა... ამის შესახებ ბეროსი გადმოგვცემს, ქრისტემდე IV საუკუნის ბაბილონელი ქურუმი... ლურსმნული დამწერლობის პირველწყაროში 600- მდე პირველადი ასონიშანი-მარცვალი იყო, გარდა ასონიშნების დაჯგუფებით შექმნილი დამატებითი მარცვალბგერებისა...ლურსმნულში მოცემული 600 ასომარცვალი იმის უცილებელი წინაპირობაა, რომ ლურსმნული ნიშნები უნდა შეიცავდეს 10 ერთეულ პირობით ასობგერას, რომელსაც ჩვენ ხმოვნებს ვუწოდებთ ... და 30 ასო ბგერას, რომელსაც ჩვენ თანხმოვანს ვუწოდებთ. ასეთი სახის შედგენილმა მარცვლოვანმა დამწერლობამ უნდა მოგ-

ვცეს 600 მარცვალი. როგორ? ქართულ ენაში სულ 5 ხმოვანია : ა, ე, ი. ო, უ... ერთი თანხმოვანი ასო ბგერა, მაგალითად რ -10 მარცვალს მოითხოვს. არ; ერ; ირ; ორ; ურ; რა; რე; რი; რო; რუ...შესაბამისად, ათი ხმოვანის შემთხვევაში ყოველი თანხმოვანი 20 მარცვლოვან ვარიაციას მოითხოვს, 30 თანხმოვანი-600 ვარიაციას... ასეთი სახისაა იყო შუმერული დამწელობა. მოგვიანებით, ქრისტემდე XXVI საუკუნეს, შუმერებზე თავიანთი ჰეგმონობა განავრცეს აქადებმა. აქადების ქვეშ სამი სხვადასხვა ხალხი, სამი სხვადასხვა დამპყრობელი იგულისხმება, სამ სხვადასხვა დროს. პირველი ეს მარები არიან, შუმერების სახლიკაცები და მონათესავენი, რომელთა ზეობა 560 წელს გაგრძელდა-ეს ძველაქადებად ცნობილი მარული დინასტიაა... შემდეგი ჰურიტები და მატიენები არიან, ებრაელები და რუმინული ტომის ხალხი-სახელმწიფო სუბართუ, ორ საუკუნეზე მეტს ზეობენ ბაბილონში-საშუალო აქადური პერიოდი და ბოლო, ასევე ორ საუკუნეზე მეტს ფრიგიულ-არამული ტომები, ახალაქადები...საერთო სახელი მათი აქადებია, თუმცა ეს მთლად სწორი არ უნდა იყოს (ზემოთ განხილულია აქადების ზეობის ზუსტი წელი, მათ შორის თითოეული აქადურად წოდებული ტომისა ცალ -ცალკე)...და ყველა ეს აქადი სარგებლობდა ლურსმნულის იმ სისტემით, რომელიც შექმნა ოანმა-მაღალმა გონმა ადამიანისათვის. ჩემთვის უცნობია თუ რომელმა აქადმა გაამარტივა სისტემა და დაიყვანა რიცხვით 300-მდე, რაც დაახლოებით 7 ხმოვანის და 21 თანხმოვანის ადექვატური სისტემაა. საბოლოოდ სისტემა 240 მარცვალზე დარეგულირდა, რაც 6 ხმოვანის და 20 თანხმოვანის ადეკვატური მარცვლოვანი სისტემაა. დამწერლობის ეს სისტემა გახდა ლინგვა- ფრანკა დამწერლობა ბაბილონელების, ასირიელების, ხეთების, ჰურიტების, არამეველების და ფრიგიელების, ხანაანელების და ეგვიპტელებისათვის...მაგრამ არა ელამიტებისათვის...

ამავე დროს, ეგვიპტური ცნობების მიხედვით, 3400 წლიდან ეგვიპტეს მართავდნენ ატლანტური წარმოშობის ცხრა ფარაონი-რიგრიგობით... სავარაუდოა, რომ ისინი მართავდნენ ეგვიპტეს მათ მიერვე შემოღებული იმ დმოკრატიული კანონებით, რომელსაც ისინი ნერგავდნენ (დღევანდელი) ვენეციის ტერიტორიაზე: მეფეები ირჩეოდა (ალბათ დემოკრატიული) არჩევნების გზით, 4-12 წლით (4 წლიანი პერიოდით) და არ გადაეცემოდა მემკვიდრეობით...სავარაუდოა, რომ ცხრა ატლანტი ფარაონის მმართველობის დრო მთელ საუკუნეს მოიცავდა...შესაბამისად, ქრისტემდე XXXIII საუკუნის შემდეგ ეგვიპტეს ადამიანები მართავდნენ (სავარაუდოდ ატლანტების გენის მატარებლები...და ერთი არცთუ მნიშვნელო ნიუანსი: ატლანტები დაწინაურებული ადამიანური ტომების მოახლოებასთან ერთად დაუყოვნებლად ტოვებდნენ ადგილს, სადაც ამ ტომებთან შეხვედრა ფაქტიურ-

ად გარდაუვალი ხდებოდა...ამ წესს იცავდნენ ტაბუს დონეზე, მიუხედავ-ად იმისა, თუ ვისი დაწესებული იყო ეს წესი... უცნობია, ამჯერადაც ფი-ნიკიელების ეგვიპტემდე მოღწევა გახდა ატლანების ლტოლვის შედეგი თუ არა, თუმცა მანამდე ეგვიპტის მერვე ფარაონმა, თოტმა მოასწრო ეგვ-იპტელებისათვის ანბანური დამწერლობის შექმნა...

...და ელამიტები...

არსებობს პროტო - ელამური იეროგლიფური დამწერლობა ელამი-ტურ ტერიტორიაზე , თუმცა ისტორიული ვერსიებით შესაძლებელია არა ელამურ ენაზე... პროტო-ელამური დამწერლბა მოიცავს 1600 –1700 ტექსტს, ძირითადად სუზის ტერიტორიაზე, ეხება პერიოდა ქრისტემდე 3100-2900 წლიან პერიოდებს, იკითხებოდა მარჯვნიდან მარვხნივ... დიდი ალბათობ-ით, ის ელამური დამწერლობა არც უნდა ყოფილიყო, ზუსტად აქ მთავ-რდებოდა ინდოეთიდან საკაბოტაჟო ცურვით გვიანდელ სპარსეთის ყურე-მდე „გაჭრილი“ სანაოსნო ტრასა ფინიკიელებისა-ზღვაზე (თუ ხმელეთზე) პირველმოგზაურობისა-ამ წერტილიდან წინ მგზავრობა არ შეიძლება, ეს ზღვა მოგზაურთათვის ჩიხით მთავრდება...რაღაც დროით აქ ფინიკიელ-თა შემდგომი მოძრაობა ფერხდება, თვით სუზის მიტოვებითაც კი (34) სავარუდოდ, ფინიკიელები ოკეანის მეორე ყურეში (სინამდვილეში მეწამ-ულ ზღვაში) შეცურვის მერე ზუსტად ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდ-ებიან, უკვე მეწამულ ზღვაში...არ ვიცით, თუ რამდენი დრო დასჭირდათ ფინიკიელებს ეგვიპტეში ფეხდაფეხ გადასასვლელად, სასოფლო- სამეურ-ნეო დამუშავებული ნაკვეთების გადაწყდომამდე, რაც უცილობელი ნიშ-ანი იყო ახლო-მახლო კულტურული მოსახლეობის არსებობისა...და როდ-ესაც ფინიკიელები დიდ მდინარეს-ნილოსს მიაღწიეს, მათ უკვე ზუსტად იცოდნენ: ეს მდინარე ადრე თუ გვიან მსოფლიო ზღვაში უნდა ჩავარდეს. სავარაუდოდ, ტყეებით მწირ ეგვიპტეში ფლოტის აშენება შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, მათ საკუთარი გემების დაშლა და ნილოსზე გადმოტა-ნა მოუხდებოდათ...მხოლოდ ამის გაკეთების და მდინარე ნილოსზე ხმე-ლთაშუა ზღვაზე დაშვების შემდეგ შეეძლოთ საკუთარი სახელმწიფოს დაფუძნებაზე ფიქრი- თუმცა ფინიკიელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ეგვი-პტეშივე დაეფუძნა (საისის, ფივის დ მენდესის ტომები)...და მაინც როდის დაეფუძნენ ფინიკიელები ხმელთაშუა ზღვის სმაპიროზე? ჰეროდოტეს სი-ტყვებით, როცა მან ჰერაკლეს ტაძრის ასაკის გაგება ისურვა, ტვიროსელე-ბმა უთხრეს, რომ ჰერაკლეს ტაძარი აშენდა, ქალაქ ტვიროსის დაფუძნება-სთან ერთად, ხოლო ტვიროსი ჰეროდოტეს პეიოდისათვის უკვე 2300 წე-

ლი არსებული იყო. (ჰეროდოტე, წიგნი II-44) ფინიკიელები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ქრისტემდე 2750 წლით ადრე დაფუძნდნენ...და ანბანი... ისინი ასეთ საჩუქარს ღვთისაგან, ნამდვილად უყურადღებოდ აღარ დატოვებდნენ -ქრისტემდე 2750 წელს ისინი უკვე ანბანს (არა ლურსმნულს) დანამდვილებით ფლობდნენ...და რომელ ანბანს, ამაზე ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ...

ძველელამური მარცვლოვანი დამწერლობის ნიმუში, ქრისტემდე XXV- XXIV- საუკუნისა და ბოლო XIX-XVIII- საუკუნისა... სიმონ აგერის ცხრილი (იხილეთ ზემოთ)...



...და ფრანსუა დასეს მიერ გაშიფრული ელამური ხაზოვანი დამწერლობა 2021 წელს..

ფაქტიურად თითქმის უშეცდომოდაა გაშიფრული, რამდნიმე არარსებითი შეცდომის გარდა: ასო W- თანხმოვანებში არ არსებობს ელამიტურ დამწერლობაში, მის ადგილას გამოყენებულია ასო ya და იხმარება ცალკეული სიტყვების ბოლოს, არ წარმოადგენს მარცვალწარმომქნელ ასოს ხმოვანებთან სიმბიოზში... მის ადგილას ზემოთ ნაჩვენები ცხრილის ვერტიკალურ ნაწილში ასო გ- დგას...ასევე, ელამიტური ენა მხოლოდ ოთხ ხმოვანს იცნობს: ა, ე, ი, უ; საიდან? ელამიტური ხაზოვანი დამწერლობა მხოლოდ გადაყვანილი ჩანს ლურსმნულ ნიადაგზე, იმდენივე ხმოვანის-4 და იმდენივე თანხმოვანის-12-ს შენარჩუნებით...

...ელამური ლურსმნული დამწერლობა და ენა...

ელამური ლურსმნული დამწერლობა შექმნლია ხაზოვანის კვალდაკვალ და მასზევე დაყრდნობით. ელამური ლურსმნული დამწერლობა შეიცავს 16 ასო ნიშანს, ისევე როგორც ასოვანი და იმავე შემადგემლობით: ხმოვანი 4 ცალი: ა, ე, ი, უ...და 12 თანხმოვანს: ჰ, კ, ლ, მ, ნ, პ, რ, ს, შ, თ, გ,ზ და N13-ya -იხმარება ჩვეულებრივ სიტყვის ბოლოში...მკითხველს ვთხოვ გავიხსენოთ 40 ანბანიანი შუმერული დამწერლობა, რომელიც 600 მარცვალს წარმოშობს, ცალკე მდგომი ნიშნების დამატებით, რომელიც მარცვალთა გაერთიანებისგან მიიღება, 300 მარცვლიანი (სავარაუდოდ) ძველაქადური და 240 მარცვლიანი აქადური, უკვე ლინგავა-ფრანკა, ახალაქადური დამწერლობა მთელი მცირე აზიის სამყაროსათვის...ელამურ დამწერლობას (ხაზოვანსაც და შემდგომ) ლურსმნულს, მხოლოდ 120 მარცვლის (12X8)=96+24=120 მარცვალის წარმოშობა შეუძლია.(35) რასაკვირველია ელამური ხაზოვანი თუ ლურსმნული დამწერლობა ელამიტურ ენას სათანადოდ ვერ მოემსახურება...თუნდაც ისევე, როგორც აქადური, რომელ ენაზეც სრულყოფილი შუმერული ეპოსია გდმოცემული...ელამური ხაზოვანი თუ ლურსმნული დამწერლობის დღემდე მოპოვებული ფრაგმენტები ძირითადად სამეურნეო თუ პოლიტიკური ხასიათისაა, ფაქტიურად ელამური ენის სტენოგრაფული ხასიათის ჩანაწერებს წრმოადგენს და ზუსტად ამ მიზნისათვის უნდა ყოფილიყო შექმნილი... სავარაუდოდ, ელამიტებს უნდა გააჩნდეთ მეორე-საიდუმლო დ სრულყოფილი დამწერლობა, რომელსაც ფლობენ ქურუმები და უმაღლესი თანამდებობის პირები...

...ანბანი...

ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ფინიკიური დასახლებები, სიდონი და ტვიროსი ჰეროდოტეს პირადი კვლევის შედეგად ქრისტემდე 2750 წელს უკვე დაფუძნებულია.რასაკვირველია

ფინიკიელებს წლები და ათწლეულები (თუ ასწლეულები არა) უჩანთ გატარებული ეგვიპტეში...რასაკვირველია ისინი ისეთ ღვთიურ საჩუქარს პიდაპირი მნიშვნელობით) როგორიც ანბანური წერაა-უყურადღებოდ არ დატოვებდნენ. ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე დაფუძნებისას, ქრისტემდე 2750 წელს ისინი დამწერლობის საკუთარ ვარიანტს ფლობენ (ამჯერად არ ჩავუღრმავდები იმ სიტუაციას, თუ რატომ არ ფლობდნენ ისინი ამას უფრო ადრე). ანბანური დამწერლობის ეს თარიღი-ფინიკიელთათვის ქვედა ზღუდეა, რა დროსაც ისინი დამწერლობას უკვე ფლობდნენ, თუმცა სავარაუდოდ ისინი რამდენიმე საუკუნით ადრე ეცნობიან წერის ხელოვნებას... ...და ეცნობიან მას ჯერ კიდევ სპარსეთის ყურეში ყოფნისას, წერილს ლურსმნულ-შუმერულ ვარიანტს...და შესაძლოა წერის ეგვიპტური ვარიანტის გაცნობის მერე მიდიან წერის ანბანური ვარიანტის უპირატესობაზე და ანხორციელებენ კიდეც მას- თუმცა შუმერული 600 მარცვალის საჭიროების აუცილებლობიდან გამომდინარე...

...და ქრისტემდე XXIII-XXII საუკუნეს ფინიკიელი კადმოსი მიემართება ზევსისგან მოტაცებული დის, ევროპის საძებრად იონიაში -არა ბერძნულში, (ბერძნები აქ 7-8 საუკუნის მერე თუ გამოჩნდებიან) პელაზგიაში, სადაც იმ დროისთვის სამი დასავლეთ ქართველური ტომი ცხოვრობს: ხალდები-იგივე ჭანები, ეოლიელებად წოდებულნი, კოლხები-იონიელები და იბერები- ასევე იონიელები... კადმოსი თესალიაში მკვიდრდება, თან ჩააქვს ფინიკიელებისათვის უკვე კარგად ნაცნობი ფინიკიური დამწერლობა... ამ დამწერლობას ჰეროდოტეს მიხედვით ეცნობიან იონიელები (იბერები ან კოლხები, დიოდორე სიცილიელის მიხედვით პელაზგები, მაგრამ ანბანს სახელწოდებას არ უკარგავენ და მას ფინიკიურს ან კადმეურს უწოდებენ. ...და ზუსტად ამ კადმეურის ასაკენურ ყაიდაზე დაშიფრული მატრიცული ვარიამტი წარმოაგენს ფესტოსის დისკოს რევერსზე გამოხატული მატრიცული ასო ნიშნები, რიცხვით 40, ზუსტად იმდენი, რამდენი ბგერაც არის ატლანტებისვე შექნმილ ლურსმნულ დამწერლობაში (36) ძნელი სათქმელია, ბერძნულ ენაში მომხდარია თუ არა ანბანის რეფორმა (როგორც ამის შესახებ საბერძნეთის ისტორია გვაუწყებს, მაგრამ მცირე აზიელი ასაკენები თვლიან, რომ კუნძულ კრეტაზე მათი თანამემამულე კრეტელები ჯერ კიდევ კადმეურს-ფინიკიურს-პელაზგურ 40 ანბანიან ალფავიტს იყენებენ. სხვათაშორის, ის „კადმეური“ ანბანი, რომლითაც შესრულებულია აპოლონ ისმენიელის ტაძარში ბეოტიელთა (კადმეური-ფინიკიური წარმოშობის ბერძნები) თებეში V საუკუნეს, სინამდვილეში უკვე რეფორმირებული ბეძნულია (37)...თავად კადმეური დამწერლობის ნიმუშის მოპოვება არ უნდა იყოს მცირე აზიელი ასაკენებისათვის-აქაური პელაზგები-იბერები ზუსტად ამ დამწერლობით უნდა სარგებლობდნენ... და როგორც „ფესტოსის

დისკოში“ აღვნიშნეთ, კუნძულულ ასაკენებს კრეტელებს- ელინებთან ერთ-ად საერთო სახელს იონიელებს უწოდებენ, მაგრამ საკუთარ თავს ძმედი-ას, ხოლო საერთო სახელს მცირე აზიელებთან ერთად „კუშიას“ უწოდებ-ენ... ეს სახელები აღმოსვლეთ ქართველთა ტომებს ინდოეთიდანვე მოყვე-ბათ. (ნახეთ შესაბამის რუქაზე) შესაბამისად ელამი-ეს ქართის ტომის აღნ-იშვნაა, ელამიტები-ყველა აღმოსავლეთ ქართველური ტომისა...და საკუთ-არი ასაკენური დამწერლობის მატრიცული (საბეჭდავების საშუალებით) შექმნის მცდელობისას, ქრისტემდე VII საუკუნეს მცირე აზიელ-ადიაბენელ ასაკენს სახელმძღვანელოდ წინ უდევს 40 ასოიანი კადმეური- ფინიკიურ-პელაზგური დამწერლობის ალფავიტი... და ასევე კუშიტურ-ქართულ-ქარ-თველური 38 ასოიანი დამწერლობა...რასაკვირველია ამ დროისთვის ელა-მური ლურსმნული დამწერლობა ჯერ კიდევ არსებობს...არსებობს მისივე გავლენით შექმნილი სპარსული დამწერლობა, თუმცა თითო ლურსმნული ნიშანი უკვე თითო ასოს აღნიშნავს და ასეთი სულ 42 თუ 44-ია...თავად სპარსული ლურსმნული იმდენად გავს ელამურს, რომ ერთი შეხედვით გარჩევაც გაგიჭირდება...მაგრამ იმავე დროს, ქრისტემდე VI საუკუნეს და-რიოს დიდის- სპარსელის ბრძანებით კლდეზე შესრულებულია „ბეხისტ-უნის წარწერები“, შესრულებულია სამ ენაზე: სპარსულზე (37*) ელამურზე და აქადურზე...თან ელამურ ენაზე შესრულებულია ზუსტად იმ „სლენგ-ზე, რომელსაც მე „სტენოფრაფიულ“, უკიდურესად გამარტივებულ ელამ-ურ-კუშიტურ ჩანაწერის ენას ვუწოდებ...არ უნდა დაგვავიწყდეს, „ფესტოს-ის დისკოს“ გაშიფრვამ ცხადად დგვანახა, რომ მინიმუმ ქრისტემდე VII სა-უკუნეს კუშიტურ ელამური დამწერლობა უკვე არსებულია და არც არაფ-ერი ეტყობა იმისა, რომ იმ ეპოქისათვის ახალშექმნილია...შესაბამისად VII საუკუნეს ქრისტემდე ქართული ანბანური დამწერლობა უკვე დანამდვი-ლებით არსებობს, მაგრამ როდის შეიქმნა?

„ტურდენტიელები ითვლებიან ყველაზე კულტურულებად იბერიელბი-დან, ისინი გაცნობილნი არიან დამწერლობას და აქვთ თხზულებები, თა-ვიანთი ერის ისტორიისადმი მიძღვნილი, პოემები და კანონები, დაწერ-ილი ლექსებად. (როგორც ისინი ამბობენ, 6000 წლიანი სიძველის). სხვა იბერიელებიც იცნობენ დამწერლობას, მაგრამ მათ ერთნაირი ანბანი არა აქვთ, რადგამაც მათი ენები ერთი და იგივე არ არის“ (სტრაბონი, წიგნი III-1-6)

სტრაბონისეული ტურდენტია- დღევანდელი ანდალუსიაა, იმ დრო-ისათვის არც ვანდალების და არც არაბების დაპყრობილი...სტრაბონის სი-ტყვებით, ტურდენტიის მოსახლეობა იბერებია...მაგრამ ეს მოსახლეობა აქ მოხვედრილია მცირე აზიიდან, საიდანაც კელტური-აღმოსავლეთ ქართვე-ლების და იბერების- დასავლეთ ქართველების საერთო ექსპედიცია ჩატა-

რდა დასავლეთ ევროპის ასათვისებლად, ტეარკონ-ეთიოპის, სიმამდვილ-ეში თარხონ ქუშის მეთაურობით, ქრისტემდე XXV საუკუნეს. ეს ის დროა, როდესაც კადმოსის ფინიკიიდან ჩამოსვლამდე და მის მიერ ანბანის ჩამ-ოტანამდე იონიაში, ჯერ კიდევ II-III საუკუნეა დარჩენილი, რომ არაფერი ვთქვათ იონიელების-პელაზგების მიერ მის შესათვისებლად და მცირე აზ-იაში მის გადმოსატანად საჭირო დროზე... ეს დამწერლობა, თუნდაც იბერ-იელების გამოყენებული, მხოლოდ კელტური ჩანს, კუშიტურ-ელამიტური და მისი წარმოქმნის ქვედა თარიღი ვერ იქნება ქრისტემდე XXV საუკუნ-ეზე ნაკლები (რაც განაპირობებს მის ექსპრდიციის წევრებში გავრცელებას) და მაქსიმუმი ქრისტემდე XXVII საუკუნეს, რა დროსაც კუშიტები სპარსე-თის ყურეში დასახლდნენ და შუმერულ-ლურსმნული და ეგვიპტურ იერ-ოგლიფური-ანბანურ დამწერლობების სინთეზით საკუთარი დამწერლობა შექმეს ...იბერიელები დაბადების-5604 წელს ქრისტემდე და ანბანის ათვი-სების დროს, XXVII საუკუნეს ურევენ ერთმანეთში...

ამასთან, როგორც ფესტოსის დისკოს გაშიფრვით ირკვევა, კადმეუ-რი-ფინიკიურ-ლაზური და კუშიტურ-ელამიტური ანბანი აშკარად განსხვ-ავებელია ბგერათა რიცხვით და ბგერის ჟღერადობით. კადმეურში აშკარ-ად 40 ანბანიანი ალფავიტი ჩანს, კუშიტურში- ქართველურში 38... ამასთან ქართველური მწკრივის მხოლოდ სამი (შესაძლოა ოთხი) ანბანია შესული კადმეურში: შ, ც, ხ, და შესაძლოა ქ ან ყ... დანარჩენ ქართველური მწკრივის ასოებს კადმეური ანბანი არ იცნობს... უფრო მეტიც, თავად კადმეურშია არანაკლებ 12 ბგერა, რომელსაც კუშიტური-ქართული არ იყენებს...

...ხათები, ხეთები, ალბანები-ლათინები...

რამდენჯერმე გავიმეორე და არც ახლა დავიზარებ, ბიბლიის ტექს-ტი სწორია ჰომო საპიენსის დაბადების აღრიცხვის ქრისტიანულ თარიღში. ადამიანთა განსახლება ხდება ინდოეთიდან ევრაზიასა და აფრიკაში. მაღა-მა გონმა იზრუნა იმისათვის, რომ შემდეგში ვენეციად ცნობილი ადგილი ადრიატიკის ზღვაში, დასახლებული ყოფილიყო ადამიანთა სამი ტომით: ჩემთვის უცნობია ის კრიტერიუმი, რითაც მან აარჩია სამი ტომი: ხალდი-იგვე ჭანი, კოლხი და იბერი... ესენივე გვრცელდნენ მცირე აზიაში, ეგვიპ-ტესა და საბერძნეთში...(და როგორც ჩანს აპენინებზეც). პირველი საზღვაო-საკაბოტაჟო ცურვა ფინიკიელებისა ინდოეთის ოკეანეში სპარსეთის ყურე-ში, სუზაში დამთავრდა, ქრისტემდე XXXI საუკუნეს... სამიოდ საუკუნეში ფინიკიელებმა ეგვიპტის და მდინარე ნილოსის გავლით (კომბინირებუ-ლი მოგზაურობით-საზღვაო-ქვეითად -მდინარით) ხმელთაშუა ზღვას მია-ღწიეს და სანაპიროზე კოლონიებიც ააშენეს ქალაქ სიდონის და ტვიროს-ის სახით...საკუთარ ყოფილ კოლონიებში სპარსთის ყურის სანაპიროზე

თავიანთივე სახლიკაცები განდხარვები მოიწვიეს, ელამიტები, ქრისტემდე XXVII საუკუნეს...ამ დროისათვის ეგვიპტეში, მცირე აზიაში და საბეძნეთ-ში მხოლოდ ქართველური (და მათთან აფილირებული) ტომები ცხოვრო-ბენ...ის მარები, რომლებმაც შუმერების ინკორპორაცია მოახდინეს, ამ უკა-ნასკნელი განდხარვული-ელამიტური ექსპედიციიდან იყო...

შესაბამისად, ხათები, რომლებიც ასახლებენ ქვეყანა ხათს, ქრისტე-მდე XXV საუკუნეს, ტეარკონ ეთიოპის (და სახვა ტეარკონთა) მიერ ევროპ-ისაკენ გამართული დამასახლებელი ექსპედიციების მიერ შეთხელებული იბერიული მოსახლეობა უნდა იყოს. ის „რომაული“ ცხვირი, რომლითაც ხათების მოსახლეობა გამოირჩევა, მათ იმავე აფსარებისაგან უჩანთ მიღებ-ული, რომელთა 16000 წარმომადგენელი კრიშნას, ვრიშნის ტომის რომაე-ლების-რამაინას ქალურ საწყისს წარმოადგენს, ისევე როგოც იბერებს, რო-მლებიც ხათებს შეერევიან ქრისტემდე XIX-XVIII საუკუნეს...ამ დროისათ-ის იბერიელებს რასაკვირველია დამწერლობა არ გააჩნიათ...ხეთები ზუ-სტად ის ფინიკიელები-პუნები ჩანან, რომელთაც პირველებმა პირდაპირ გადმოლახეს ტრასა ინდოეთიდან წითელი ზღვის და იქიდან მდინარე ნი-ლოსამდე ფარაონ სენუსერტ I ბრძანებით გაჭრილი სანაოსნო არხის საშუ-ალები დაეშვნენ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გაყოლებით მცირე აზიამ-დე...სავარაუდოდ, ეს მხოლოდ და მხოლოდ პირველი ექსპედიცია ჩანს ამ ტრასით გამართული, რადგან ამას მალევე მოყვა ჰიქსოსების თავდასხმა და ქვემო ეგვიპტის სრული ანექსირება...გასაგებია, რომ ხათები ვერ იქნე-ბიან ინდოევროპელები გენეტიკურად და ვერც ინდოევროპულ ენას შეი-თვისებენ მათგან-ამისთვის მათ ძალიან ცოტა დრო გაატარეს ინდოეთში გვერდი-გვერდ...არც ხეთები-ფინიკიელთა პუნიკური ტომი ჩანს ინდოევრ-ოპელი, მაგრამ მათ მთელი 16 საუკუნე გვედი-გვერდ იცხოვრეს ინდოევრ-ოპელთა მხარდამხარ, რამაც მავან მეცნიერს მისცა საშუალება, მათ დიალე-ქტში ინდოევროპული ფესვები „დაეფიქსირებინა და დაემტკიცებინა“ კი-დეც...ხათებთან, სახლიკაცებთან შერევის შემდეგ, ქრისტემდე XVI საუკუნ-ის მერე, ხეთების სამეფო ძლევამოსილი ხდება-ზუსტად მან დაარბია და გაძარცვა ბაბილონის ფრიგიული დინასტიისგან მართული სამეფო, თუმ-ცა არ დაიკავა ის...ამ დარბევიდან მცირე ხნის მერე ისინის სვანურმა ტო-მმა მთლიანად განდევნა ფრიგიელები და არამეველები ბაბილონის და მცირე აზიის ტერიტორიიდან.

...და სულ მალე მცირე აზიელი და სპარსეთის ყურელი ყველა ქარ-თველური ტომი (გამოუკლებლივ) მისდევს ეგვიპტიდან განდევნილი სკვი-თების და მათი სატელიტების ლაშქარს კასპიის ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გაყოლებით...და რასაკვირველია ხეთების ტომის მეომარი ნა-წილიც. არც დაბრუნებულან, იქვე დაემკვიდრნენ კან-გოის სახელით-დღე-

ვანდელი თურქმენებიც ისინი არიან, პუნები უკვე ოღუზი თურქების ენა ათვისებულნი...

კადეშის ომი ქრისტემდე 1274 წელს, მცირე აზიაში ჩამოწოლილი შიმშილისაგან თავის დახსნის მცდელობა იყო ალბათ, თუმცა უშედეგო, ომი ფრედ დასრულდა...

არც ტირსენ ატისის ძის მიერ მცირე აზიაში ჩამოწოლილი შიმშილისგან თავის სახსნელად ჩატარებულ ექსპედიციას არიდებიან-თუმცა საკუთარი ტრასა აირჩიეს, ადრიატიკის ზღვის სანაპიროსაკენ, ქრისტემდე 1262 წელი ... ალბანეთის და ვენეტიკის მოსახლეობა-ეს პუნებია, კან- გოის ტომი...საფრანგეთის არმორიკის ვენეტებიც იგინივე არიან...იბერებიც თან მიყვებიან, მოლოსების და ხაონების ტომები...ხავილა გახსოვთ მკითხველო? (38) შეთხელებულ სახლიკაცებში, ეპირში- კოლხებყოფილში პოულობენ თავშესაფარს...(39)

...და 1180 წელი, როდესაც ხეთების სმეფო არსებობას წყვეტს... გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს „ზღვის ხალხების“ გავლენით ხდება, თუმცა ეს ორი პროცესი აშკარად აცდენილია დროში...“ზღვის ხალხების“ ეპოქის დასასრული მინიმუმ საუკუნით უსწრებს ხეთების სახელმწიფოს დეზინტეგრაციას. როგორც ჩანს, ამდენი მიგრაციული პროცესი შედარებით მოკლე დროში, დიდი და დაუძლეველი ტვირთი აღმოჩნდა არაერთგვაროვანი სახელმწიფოსათვის. (40)

...და მაინც, ხეთების სახელი (თუმცა შეფარული) არ ქრება ანტიკურ ისტორიკოსთა თვალთახედვის არეალიდან:

„კაბელ-მეიონებს, ლასიონებად წოდებულებს, ისეივე აღჭურვილობა ჰქონდათ, როგორც კილიკელებს“ (ჰეროდოტე, წიგნი VII-77) და განმარტება: **კაბელები II სატრაპიაში შემავალი ტომი, იგივე მეიონები, იასონიელებად წოდებულნი...** და განმარტება: **იასონია- კონცხი კაბადოკიაში (სტრაბონი)** მგონი გასაგებად ავხსენი...აქედან ამოყავს და ასახლებს სელევკ ნიკატორი, ალექსანდრე მაკედონელის მემკვიდრე, თავად ხალდი - ხალდებს, ჭანებს და ლაზებს-ხალიბებს- პუნებს შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, შემდეგ ჰენიოხებად და სანიგებად ცნობილებს, ქრისტემდე III საუკუნეს...

იგივე ხეთები- პუნებია სტრაბონთან, პონტოელების 1/10 ნაწილი, კატაონები პონტოს შემადგენლობაში...(41) ისინივე ჩანან უკვე I-III საუკუნეს ჩამოსახლებულნი კოლხეთში, რომელიც ამ უკანასკნელს ლაზიკად აქცევს...(42)

თუხარისის უძველესი ციხე ტაოსა და კლარჯეთის საზღვარზე მათივე აღშენებული ჩანს, მათივე ჩანს იშვიათი გვარი თუხარელი...(X) მათივე ჩანს **თოხარძიძის ეპარქია** ბიზნტიაში...მათივე ჩანს სუგდეასა და ფულეს ეპარქია იქვე... (43)

...და ისევ ალბანები-ლათინები...

როგორც ზემოთ ითქვა, ეს „ზღვის ხალხების“ სხვა ნაკადია, უკვე მეწამული ზღვა და ფარაონ ხატშეფსუტის ბრძანებით ნილოსის გაწმენდილი სანაოსნო არხის მეშვეობით, ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვაზე დაშვებული. ეს იგივე ნაკადია, რომლებმაც კუნძულები კრეტა, სიცილია დაასახლეს. საბერძნეთში დანაური, დორიული და ახაიური ტომები შემოიყვანეს. მცირე აზია ასევე ახაიური და მინოური (ლიდიური) ტომებით გაამდიდრეს, თვით ჰერაკლეს წინაპრები ჩამოიყვანეს...და მათ შორის ალბანები, ქრისტემდე 1470 წლის სიახლოვას ...რასაკვირველია ისინი ანბანს აქ გაეცნენ-ინდოეთში ანბანი არ იხმარებოდა. ძნელი სათქმელია ისევე ფინიკიელებიდან თუ იონიელებიდან -პელაზგებიდან...სათავე მაინც ერთი წერტილიდან, შუმერ-ეგვიპტიდან და მაღალი გონიდან მოდის...ძნელი სათქმელიც კია, თუ ვინ ჩაატარა პირველმა ფინიკიური-კადმეური-პელაზგური ანბანის რეფორმა, ბერძნებმა თუ ალბანებმა- ლათინებად წოდებულებმა... ერთიც და მეორეც ამ თარიღად ქრისტემდე VIII საუკუნეს დებს...(43*) და საერთოდ ანბანური დამწერლობის პირველობის თეორიის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობს, ხუთი ანბანური დამწელობა ფინიკიურზე უფროსადაა მიჩნეული: უგარიტული-400 წლით, ძველხანაანური-600 წლით, პროტოსინაური-800 წლით, ბიბლური-800 წლით და სამხრეთ არაბული 100 წლით...
სხვათაშორის, ამ ქვეყნების ტომობრივი კლასიფიკაცია ასეთია:
უგარიტული-ხანაანის ქვეყანა, ფინიკია
ძველხანაანური-ხანაანის ქვეყანა, ფინიკია
ბიბლური-ქალაქ ბიბლიდან, ფინიკია
პროტოსინაური-ხანაანური, ფინიკია
სამხრეთ არაბული-გამოიყო პრიტოხანანურიდან, ეთიოპური- ფინიკია...

და ვგონებ საძიებელი არც არაფერია, ლურსმნული დამწერლობა შექმნა მაღალმა გონმა ოანმა XXXVIსაუკუნეს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც 23 საუკუნის მერე ვენეცია ეწოდა, ანბანური დამწერლობა შექმნა მაღალმა გონმა თოტმა, XXXIII საუკუნეს ეგვიპტური საჭიროებისათვის, ამ ორივე დამწერლობის სინთეზი მოახდინეს ფინიკიელებმა ქრისტემდე (მინიმუმ) XXX საუკუნეს, ითვლიდა 40 ასო ნიშანს. რეფორმირება მოახდინეს ასევე ქრისტემდე VIII საუკუნეს, ანბანის რიცხვი გახდა 24...ქართველებმა საკუთარი ანბანი შექმნეს ქრისტემდე XXVII საუკნეს, ასოების რაოდენობა 38... რეფორმა არ განუცდია XX საუკუნემდე, რეფორმების შემდეგ ანბანის რიცხვი გახდა 33...
მაგრამ...მაგრამ ალბანური ლათინური ფინიკიურიდან იღებს სათავეს...ფი-

ნიკიურსა და ქართულს შორის ასეთი შედარებაა:
a=alef=ხარი; b=bet=სახლი; g=gimel=აქლემი; d=dalet=სარკმელი;
...და რააკვირველია ნულოვანი მსგავსებაა...არადა ჩვენ ესენი ერთი რასის წარმომადგენლად მოვიხსენიეთ და ზუსტად ასეცაა... მართალია მათ შორის გაუცხოება თითქმის 2200 წელიწადს მოიცავს, მაგრამ ამდენი წლის ურთიერთ თვიზოლაციის შემდეგაც QART- ორივე ხალხისთვის სამშობლოა და GANDI XAR?- განდი ხარ?-ს ნიშნავს...

...როგორც ჩანს, საქმე გაცილებით რთულადაა, ვიდრე ნიკო მარისელი თეორია რასების შესახებ. ამ თეორიის მიხედვით, დედამიწაზე ოთხი რასის ხალხი ცხოვრობს და ერები კი უკვე მათი სხვადასხვა კომბინაციის შედეგია. ჩემის მხრივ ნიკო მარის თეორიას დაემატა მეხუთე რასა დედამიწის მოსახლეობაში...მაგრამ... მაგრამ დაკვირვებამ მიჩვენა, რომ თითოეული რასა ორი ერით-ორი ნაციითაა წარმოდგენილი ჩვენს სინამდვილეში...ევროპული ორი ძირითადი ერი გერმანელი და ინგლისელია; მონგოლოიდური ორი ძირითადი ერი, ჩინელი და კორეელია; განდური რასა, კუშიტი და ფინიკიელი... ნეგროიდალიც ალბათ ასევე და პირობითად აზიურის-ზუსტად ასევე (ვარ დავიწყებ მტკიცებას რომელი) თუმცა ეს შეიძლება ურდუ-სპარსულის წყვილი იყოს...ამითაა გამოწვეული მინიმიმ 8 ბგერით, 8 ასო ნიშანით სხვაობა კუშიტურ და კადმეურ-ფინიკიურ ალფავიტს შორის...

...გორდა...

ფოლადის (რკინის) დასახელება პირველად ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ ხდება, რომელიც სინამდვილეში ქრისტემდე 3100 წელზე უადრეს ამბებს გადმოგვცემს. მართალია აქ რკინაზე, როგორც საიარაღე მეტალზე პედალირება არ ხდება, თუმცა აქა იქ გამოკრთის ხოლმე: როგორც რკინის ხელშუბი, ხანდახან ისარიც კი... ეპოსი „მახაბხარატა“ რკინის ელემენტს იცნობს, მაგრამ როგორც ჩანს არა ფოლადისა...თუმცა ის, რომ რკინა (ფოლადის) მოპოვება დამუშავების აკვანი (ისევე როგორც კაცობრიობის ამ პოპულაციისა) აქ უნდა იყოს, საეჭვო არცაა. რკინის კბილების (ასეთი კი მხოლოდ პროტეზი შეიძლება იყოს) ხსენება ეპოსში აშკარად ანომალიურია, თითქოსდა გვიან ჩანს შემოტანილი, თუმცა ვინ იცის… აშკარა ხარვეზი გვაქვს ამ საკითხის ცოდნაში.(44) რკინის მოპოვებასა და დამუშავებაში პიონერ ტომად ბერძნული ანტიკური ლიტერატურა კენებზე, ფაქტიურად შიკხანდინის შთამომავალზე მიუთითებს, ეპოს „მახაბხარატას“ პანჩალ მეფისწულიზე. მართალია შიკხანდინი ტომით პანჩალი (დღევანდელი გადასახედიდან ქურთი) მეფისწულია, მაგრამ ეპოსი ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს, რომ ის კაშის, განდხარვას მეფის უფროსი ქალიშვილის, ამბას ავატარაა (დედამიწაზე ხელახალი მოვლინება).(45) თავად ბერძნული ანტიკური ეპოსი ამ გმირს და მის ტომს კენად- ხალიბებად მოიხსენიებს. უნდა ითქვას, რომ მდინარე კენა დაფიქსირებულია ინდოეთში, მეორე ქართველური მდინარის, სონა-სოანისი, სვანების მდინარის გვერდით, ცენტრალური ინდოეთიდან სამხრეთ-დასავლეთით. ამ ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ ეპოს „მახაბხარატას“ ეპოქიდან აბხისარების განდხარვული ტომი ბინადრობდა. როგორც ჩანს, შიკხანდინის ჩამომავალი ამ არსებულ ტომთან პოულობს თავშესაფარს და სრულიად შეერწყა მას, მით უმეტეს ის კაშის მეფის ქალიშვილის, ამბას ავატარია და განდხარვად გრძნობს თავს. (თავად პანჩალები-ქურთები, კაშის ტომის ახლობლები ჩანან, ამ ტომის დედაკაცური კომპონენტი ზუსტად პანჩალები-ქურთები არიან) შიკხანდინის ჩამომავალი სრულ ასიმილაციას განიცდის აბხისარებთან, ისტორიისათვის მოგვიანებით ფინიკიელებად წოდებულთან. ხოლო საკუთრივ ფინიკიური ტომი იყოფა მრავალ თემად: სიდონელი, ტვიროსელი, კართაგენელი, კადმოსელი, თებეელი, ბეოტიელი, ხეთი და სხვა მრავალი...

ის რომ ფოლადის დამზადება აბხისარების (იგივე კენების) და შიკხანდინის თემიდან მოდის, აშკარად გამოსჭვივის ანტიკურ (ბერძნულ) ლიტერატურაში. როდესაც კენტავრები ეომებიან ლაპითებს, უშიშარი კენეი მარტოდმარტო გადაუდგა წინ და გაუმართა მათ ომი... კენტავრებმა კენეის დაჭრაც კი ვერ შეძლეს და მით უფრო შეურაცხყოფილია ერთი

კაცის მიერ მოგერიებული მთელი კენტავრთა ბრბო, რომ კენტავრებმა იციან ის, რაც მათ კენეის წამოაყვედრეს კიდეც: კერკეტთა მეთაურმა კენეის მისი წინაპრის ყოფილი ქალობა შეახსენეს, რომელიც მან რომელიღაც მეორეხარისხოვან უკვდავს (სინამდვილეში იაკშას -ელფს) გაუცვალა. თუმცა ინდური ეპოსი „მახაბხარატა“ (შეცდომით) შიკხანდინს რაკშასად - დევად თვლის. ცხადია კენეი სპილენძის იარაღისათვის შეუღწევადი ფოლადის ჯავშანს ატარებს...

მეტალურგიაში მეტ-ნაკლებად ჩახედული ადამიანისათვის ცნობილია, რომ ფოლადის ჯავშანის დამზადება ერთიათად უფრო რთული პროცესია, ვიდრე მახვილის ან შუბისა ... და მით უმეტეს ტროას ომში XIII საუკუნის დასაწყისს ქრისტემდე ტროაში ოთხი კომპლექტი ფოლადის აბჯარი ფიქსირდება: აქილევსის პირველი და მეორე აბჯარი, მემნონის და აიანტის აბჯარი ...და არც ერთი მახვილი ან თუნდაც შუბის ბუმიკი...ვერ დავიწყებთ იმაზე მსჯელობას, თუ რა ტაბუსთანაა დაკავშრებული ეს ნონსენსი, თუმცა რეალობა ასეთია...

ათეული საუკუნე კენები (უშუალოდ ეს თემი ფინიკიელთა მრავალსახელა ტომიდან) საბრძოლო იარაღს არ აკეთებენ. როგორც ჩანს ხენი -ეს ამ ტომის ნამდვილი თვითდასახელებაა. ბიბლიური ხანაანელებიც ზუსტად ისინი ჩანან. ქართველი ხენების, კენების შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, მათზე საფუძვლიანად ვისაუბრეთ წინა ტომში...და იტალიელი მჭედლები ვინაა, მსოფლიოში ასევე ცნობილი ქალაქ ფერარის დამაფუძნებელნი? უშუალოდ ამ ქალაქის სიახლოვეს აღნიშნავს პლინიუს უფროსი კენომანების ტომს. როგორც ჩანს, ზუსტად ეს კენომანები ჭედავენ სახელგანთქმულ იტალიურ ხმლებს, ისინივე აარსებენ ქლაქს, შემდგომ ფერარად წოდებულს...აქვე ცხოვრობენ გამოჩენილი მჭედლები იტალიისა, ასევე ფერარის გვარისანი...და ფერარი იტალიურად ზუსტად მჭედელს ნიშნავს...მათ მიერ გამოწრთობილი ხმლები უბადლოა ევროპაში, თუმცა მათი დამზადების ტექნოლოგია არაა ცნობილი.

ერთი დამახასიათებელი, რომლითაც ის შეიძლება დახასიათდეს, ეს ხევსურული (იარაღის კარგად მცოდნე მთიელების) სლენგი- შეფასებაა: ავსტრიულ და გერმანულ ხმლებს ხევსურეთში ტრადიციულად ფრანგული ეწოდებოდათ, დედალი ფრანგული. იტალიურ ხმლებს ასევე ფრანგული ეწოდებოდათ (ევროპული) მაგრამ მამალი - ფრანგული. ცხადია, იარაღის ეს უებრო შემფასებელი ხალხი მისთვის ცნობილ ყველა ევროპულ ხმალზე მაღლა იტალიურს აყენებდა. სავარაუდოდ, იტალიური ხმლები გამოირჩეოდნენ ნახშირბადის მაღალი შემცველობით, რაც მათ საუცხოო მჭრელობას განაპირობებდა, თუმცა სავარაუდოდ დიდი დრეკადობა არც მოეთხოვებოდათ. როგორც აღვნიშნეთ, მას აქაც კენები ჭედავდნენ და ზუსტადვე

ჯდება იმ თეორიაში, რომლის მიხედვით კენები განივრცობოდნენ დიდ სივრცეებზე და აქვე აგრძელებსნენ საკუთარ ხელობას სხვა ტომებისათვ-ის გადაუცემლად.

მეტი მონაცემების მოპოვება შეიძლება ესპანურ რკინასა და იქაურ მჭედლებზე. საინტერეოა, რომ ესპანეთი ერთადერთი ქვეყანაა, თვინიერ საქართველოსი, სადაც დაფიქსირებულია ხალიბთა კომპაქტური დასახლ-ება. რასაკვირველია ესპანელი ხალიბები ისეთივე კენები არიან, როგორც ქართველი ხალიბები. უფრო მეტიც, კართაგენის თანამოსახელე ქალაქი ესპანეთში: თუ აფრიკის კართაგენის სახელი უკვე ევროპეოზირებულია, თავისი პირველი მნიშვნელობით შემონახული ჩანს ესპანეთის კართაგენი-კარტახენაში- QARTA- XENA ქართული ალფავიტის ქართა- ხენა, ხენების მიწა, ხენების სამშობლო. ამგვარად, ხენების ყოფნა ესპანეთში აქსიომაა და რასაკვირველია ისინივე ჭედავენ აქ ხმალს. და რა თავისებურებებით გამ-ოირჩევა ესპანური (იბერიული) მახვილი? არაა ცნობილი, რამდენ ხანს ინ-ახავდნენ რკინას მიწაში, რომ დაჟანგულიყო სუსტი (მათი აზრით) ნაწი-ლები და დარჩენილ ფოლადს ჭედავდნენ, საიდანაც საოცრად ბასრი და საიმედო ფოლადი იჭედებოდა, ესპანური მახვილები ერთ-ერთი უპირვე-ლესი იყო (ქრონოლოგიურად) და მისი გამოჭედვის ისტორია რამდენად-მე ძველი ჩანს კიდეც, ვიდრე იტალიური.

სულ სხვა სიტუაცია ჩანს დამასკოსა და დამასკურ ფოლადთან მიმართებაში. დამასკო- ეს ქვეყნიერების ის ნაწილია, რომელიც ადრე ანტ-იკურ ეპოქაში ლიდიის გაერთიანებული ტერიტორიის ქვეშ მოიაზრება, სადაც მთავარი და წამყვანი ტომი ფინიკიელებია, მეიონები -უპრიანია გავიხსენოთ, რომ ჰეროდოტე კენებს, ხალიბებს კაბელ- მეიონებს უწოდებს. დროთა განმავლობაში ამ ტერიტორიაზე სირიული ელემენტი მომძლავ-რდება, თუმცა სავარაუდოდ ადგილობრივი, ფინიკიურ- კენური საწყისი ფოლადის დამზადებაში ისევ უნდა პრივალირებდეს. (ისევე, როგორც და-ნარჩენ მსოფლიოში)...და რა თვისებებით და გამოჭედვის თავისებურებ-ით გამოირჩევა დამასკური ხმალი?

„ ნახშირბადის სხვადასხვა შემცველობის მქონე რამდენიმე ნამზადის კომ-ბინირებით და შემდგომი შეჭედვით, მჭედლები აღწევდნენ მიღებულ მა-სალაზე კონტროლს (რასაკვირველია ფოლადში ნახშირბადის შემცველობა და საკუთრივ მაღალნახშირბადიანი და დაბალნახშირბადიანი ფოლადის პროპორციები მკაცრად კონტროლირდებოდა) რკინა (დაბალმახშირბადია-ნი ფოლადი) როგორც წესი ადვილად დეფორმირდება, ხოლო მაღალნახ-შირბადოვანი ფოლადი მტკიცეა (შესაბამისი თერმული დამუშავებისას) და დრეკადი. კომბინირებნენ რა რკინა-ფოლადით, ღებულობდნენ მასალ-ას, რომელიც შეიცავდა ორივე მასალის ღირსებებს. ასე წარმოიშვა მეტა-

ლთა მონაცვლეობა, ძალიან მაღალი და ძალიან დაბალი ნახშირბადის შემცველობით. პირველი უზრუნველყოფდა წრთობის დიდ სიმტკიცეს, მეორე საწინააღმდეგოდ, სრულიადაც იწრთობოდა და ემსახურებოდა ამორტიზირებად საყრდენად. რბილი რკინის ნაწილები არ აძლევდა მეტალს საშუალებას ყოფილიყო ძალიან მყიფე, ხოლო მაღალნახშირბადიანი ფენა აძლევდა ხმალს სიბასრეს. რასაკვირველია დიფუზიის პროცესის ასაშუალებდა ნახშირბადის განაწილებას ნამზადში. ძირითად ნაკლად დამასკური ფოლადისა ითვლებოდა მისი დაბალი კოროზიული მდგრადობა, რომელიც განპირობებული იყო ნახშირბადის დიდი შემცველობით ჭედვის კომპონენტში და პრაქტიკულად სრული იგნორირება მალეგირებელი ელემენტისა. უფრო პროგრესიული მეთოდი არაბულ ქვეყნებში, ადრე შუასაუკუნის ევროპასა და ჩინეთში, ერთმანეთში იჭედებოდა ადრე მომზადებული კონა ნამზადისა სხვადასხვა შემცველობის რკინით. იხარჯებოდა ნაკლები დრო და რკინა. არქეოლოგიური კვლევებით მტკიცდება, რომ უკვე III საუკუნეს ქრისტემდე, ევროპელი კელტები ამზადებდნენ შედუღებულ დამასკურებს. I საუკუნეში მოდაში შემოვიდა ე.წ. დახვეული ხარალუპი. ცალკეული ნაჭრები სხვადასხვა ნახშირბადოვანი შემცველობით ერთმანეთში იჭედებოდა, იხვეოდა სპირალად, ხელახლა იჭედებოდა, ერთდებოდა ასეთი ნამზადი ერთ გროვად და ხელახლა იჭედებოდა. დიდი ნაწილი გერმანული, გვიანრომაული და ფრანგული ხმლებისა, უფრო ადრინდელი , ვიდრე X საუკუნისა, ასეთ ხარალუპურ დამასკირებას ექვემდებარებოდა. ტექსტურა და ნაყში ამ ტიპის ხმლის ზედაპირზე-ოპტიკური ეფექტია ნახშირბადის არათანაბარი განაწილებისა , დაკავშირებული მასალის არაერთგვაროვნებასთან“(ვიკიპედია, დამასკური ფოლადი)

კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დამასკური ფოლადი მალეგირებელ ელემენტს საერთოდ უარყოფდა. ახალი ერის დასაწყისში ძველბერძენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი პლუტარქე წერდა: „იმ დროს, როდესაც რომაელები დაშინებულნი იყვნენ ძლიერი ხმაურით, მტერი მოულოდნელად დაესხა მათ თავს. დაიწყეს მოსვლა მათმა ჯავშნით შეჭურვილმა მეომრებმა. მბრწყინავი მუზარადებით და ჯავშნით, მარგიანული იარაღი ელავდა და ცხენები დაფარულნი იყვნენ ბრინჯაოს და ფოლადის ფირფიტებით“- ხომ არაა პლუტარქეს მიერ ნახსენები მარგიანული ფოლადი ცნობილი ხოროსნის ბულატი, როგორც მათ უწოდებენ ამ მხარეში? (ბულატი -რუსულ ენაზე ასიმილირებული ძველთურქმენული სიტყვაა, პოლატ-იდან მოდის, რაც ფოლადს ნიშნავს)

ძველადვე დამასკური ფოლადისაგან , როგორც ცნობილია იჭედებოდა მრისისხანე იარაღი იმ დროისა-სახელგანთქმული ხმლები და მახვილები, რომელმაც დიდება მოუტანა თავის შემქმნელს, გაცილებით შორს ამ

რეგიონისაგან. ამ ხმლის პირების მოღუნვა შესაძლებელი იყო 90 გრადუსით და იბრუნებდა საწყის მდგომარეობას სტრუქტურული დეფორმაციის გარეშე. ხმალი, შექმნილი დამასკური ფოლადისაგან იმდენად ბასრი იყო, რომ თითქმის უწონად აბრეშუმის ნაჭერს, მსუბუქად აფრიალებულს ჰაერში, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჭრიდა შუაზე, თუ თავის გზაზე გადააწყდებოდა ამ ხმლის პირს. შუა საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსი ალ -ბირუნი წერდა მასზე, რომ ცნობილი ფოლადის ხმლები იწარმოებოდნენ ხოროსნის ვაკეზე, სადაც როგორც ცნობილია განლაგებულია მერვი. თანამედროვე გათხრები ამ უძველესი თურქმენული ქალაქისა-ბრწყინვალე მტკიცებაა ალ-ბირუნის სიმართლისა. მრავალი წელი მეცნიერები შეცდომით თვლიდნენ რომ დამასკური ფოლადი პირველად იწარმოებოდა ინდოეთში. მაგრამ ამჟამინდელმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაამტკიცა, რომ ეს სახეობა ფოლადისა იწარმოებოდა მერვში IX საუკუნის ბოლოსა და X საუკუნის დასაწყისში. ზუსტად აქ იქნა ნაპოვნი ყველაზე ადრინდელი და ცნობილი თანამედროვე მეცნიერებისათვის სახელოსნო ფოლადის საწარმოებლად. ლაბორატორიულმა ანალიზმა დაამტკიცა, რომ ამ სახის ფოლადის წარმოებისას გამოიყენებულ იყო მაღალ ტექნოლოგიური პროცესი რეცირკულაციისა და შესაძლოა ყველაზე ცხელი ღუმელი გამოსადნობად, ცნობილი იმ დროისათვის. გათხრებისას ნაპოვნი იქნა სახელოსნო და დამხმარე ნაგებობა. სახელოსნოში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ოთხი ღუმელი სავსე დამტვრეული ჩამოსასხმელი ფორმებით. ფოლადი მერვში იწარმოებოდა ჩამოსხმით, რომლისთვისაც ფორმები კეთდებოდა განსაკუთრებული თიხისაგან, რომლებიც შემძლენი იყვნენ გაეძლოთ ძალიან მაღალი ტემპერატურისავის. ის ფოლადი მზადდებოდა შემდეგი წესით: რკინა, ნახშირბადის შემცველობის გარეშე აირეოდა შეშაში (რომელიც მართლა ნახშირბადისაგან შედგებოდა) და ეს-ყველაფერი ეწყობოდა ჩამოსასხმელ ფორმაში და თავსდებოდა ჩამოსასხმელ ღუმელში. მიღებული ამ მეთოდით ფოლადი შეიცავდა დაახლოებით 1% ნახშიებადს ყოველგვარი წიდის გარეშე. ყველაფერი ეს იძლეოდა საფუძველს ჩაგვეთვალა ხოროსნული ფოლადი თავისი დროის საუკეთესოდ. ამის შემდეგ ფოლადის ნამზადს ძალიან დაბალ ტემპერატურაზე მიეცემოდა საჭირო ფორმა. გაპრიალების პროცესში სწორდებოდა ზოგიერთი მიკროსტრუქტურული თვისებები ფოლადისა. მაგრამ მხოლოდ გრავირების შემდეგ , შესაძლოა მჟავით, ის იღებდა ცნობილი დამასკური ფოლადის სახეს. ღუმელები, ნაშენები ძველ მერვში იყო ძალიან კარგად დამუშავებული, რომელიც საშუალებას აძლევდა მიეღწიათ ძალიან მაღალი ტემპერატურისათვის, რომელიც აუცილებელია შესაბამისი სამუშაოებისათვის, ზოგადად 1400 გრადუსი ცელსიუსით. ჯერ კიდევ არცთუ შორეულ წარსულში მეცნიერები ვარაუდობ-

დნენ, რომ ყველაზე მაღალტემპერატურული ღუმელები იმ დროს იყო ჩინეთში, მაგრამ როგორც გაირკვა, ღუმელები მერვიდან აღემატებოსნენ მათ წრთობის ტემპერატურით.

მერვის ღუმელები კეთდებოდა თიხის აგურისაგან. დაახლოებით 20 სანტიმეტრით დაბლა მდებარეობდა L მსგავსი მილი. ყველა ნიშნით, ამ ცენტრალურ საჰაერო შემავალ ხვრელს უნდა ეთამაშა დიდი როლი ღუმელის შიდა სართულებისათვის. ამ შემთხვევაში გახურებული ჰაერი, გამავალი მილში, შემძლე იყო აეწია ტემპერატურა ღუმელში. ამიტომაც სრულიად ნორმალურია ვივარაუდოთ, რომ ეს სატარი ასრულებდა გამწოვი მილის როლს გახურებული წვის პროცესში გაზებისა და უზრუნველყოფდა ღუმელის დამატებით გახურებას. შესაბამისი ხმლების და მახვილების ექსპერტიზამ სპარსეთში და ჩრდილო კავკასიაში, დაამტკიცა, რომ ისინი დამზადებული იყო ფოლადისაგან, როგორც ჩანს მერვში დამზადებულისაგან. ასე რომ ახლანდელი და მთავარი შემდგომი არქეოლოგიური გათხრები ამ ქალაქისა, სავარაუდოდ გადაწერენ დამასკური ფოლადის წარმოების ისტორიას (ვიკიპედია, ხოროსნული ფოლადი)

უცოდინარობის აპოთეოზი-ასე დავარქმევდი ვიკიპედიის ამ სტატიას...

1. პლუტარქეს მიერ ნახსენები ომის ეპიზოდი ეხება პართების ბრძოლას რომაელებთან. შესაბამისად მოელვარე ჯავშანით მოსული მეომრები პართები ჩანან (და არა მარგიანელები) მარგიანა მართლაც წარმოადგენს პართიის რიგებში შემავალ სატელიტურ პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომელიც არასდროს თავისი არსებობის მანძილზე სატრაპიის დონემდე არ ამაღლებულა.

2. ამ უძველეს „თურქმენულ“ სახელმწიფოს შედარებით გვიან ეწოდა ეს სახელი, როდესაც ისინი - თოხარისტანი დაიპყრო ეფტალიტებმა-თურქებმა და თავისი სახელიც უწოდა...სინამდვილეში, ეს ხალხი კან-გოის, იგივე კემგუის ტომია, რომლის წინარე სახელი მეიონები იყო, ისევე როგორც სინოპელი ხალიბებისა...ერთის განსხვავებით: კემ გუის ტომი -ეს ნამდვილად პუნებია, მაგრამ ხალიბთა ტომს ჰეროდოტე კაბელ- მეიონებად ასახელებს, თანაც ამ უკანასკნელთა კერძო სახელწოდება კემგუისთან ერთად თემირგოიცაა-რკინის შვილები...

3. ციტატის ავტორი და საერთოდ რუსული პოლიტიკური თუ საზოგადო წრეები მოწადინებულნი არიან საქართველოს რაობა არარსებულამდე დაიყვანონ: ჯერ კიდევ ალექსანდრე დიუმა, რომელმაც იმოგზაურა კავკასიაში, ტიფლისს ამიერ და იმიერ კავკასიის იარაღით მომმარაგებლად ასახელებს...რუსული წყაროები კი ამ ფუნქციას მერვს და თურქმენეთს აკისრებენ...

4. და ბოლოს, კავკასია აშკარად არ ჩამორჩებოდა ხოროსანს (თუ არ აღემატებოდა) ცივი იარაღის გამოჭედვაში...სწორედ თბილისში ასწავლეს ზოლინგენელ (გერმანელ) და რუს ოსტატებს „ბულატის“ გამოჭედვა, რომელსაც მეტოქეობა უნდა გაეწია ზუსტად ხოროსანში გამოჭედილი ხმლებისათვის და რომელ დავალებასაც ქართველმა ოსტატმა ყარამან ელიზარაშვილმა ბრწყინვალედ გაართვა თავი...

ხორასნული ფოლადი- ეს დამასკური ფოლადის განვითარებაა, უფრო რაციონალური გადაწყვეტილება და საერთო მეტალურგიულ პროცესში წინ გადადგმული ნაბიჯია მხოლოდ...საიარაღე ფოლადის წარმოებაში აქცენტები შეცვლილი არა ჩანს. დამასკური ფოლადის მიღების ხერხი უკვე აღიწერა ზემოთ. მისგან განსხვავებთ, ხოროსნული ფოლადი მიიღებოდა არა სხავადასხვა ნაჭრების ერთმანეთში შეჭედვით, არამედ საერთო საირაღო სპეციფიკური შენადნობის მიღებით. ამასთან, დიდი ალბათობით არა შეშა ეწყობოდა ნამზადში, არამედ შეშის ნახშირი, ისიც გარკვეული ხის ჯიშისა და სრულიად გარკვეული პროპორციით ნამზადის მასათან მიმართებაში. ასეთი ემპირიული გზა გამოცდილ მჭედლებს აძლევდა საშუალებას მიეღოს 1% ნახშირბადის შემცველი ფოლადის საიარაღე მასალა, რომელშიაც ეს ნახშირბადი სრულიად თანაბრად იყო განაწილებული. რაც შეეხება ინდურ ფოლადს, ფოლადის ასეთი უძველსი მასალა გასაგები მიზეზების გამო ნაპოვნი არაა, თუმცა კენთა ტომებს ეს ხელობა აშკარად ინდოეთიდან უჩანთ ჩამოტანილი. და ერთი საყურადღებო ინფორმაცია:

„ბულატი- ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და გამოუცნობი გვერდი მეტალურგიის ისტორიიდან...პირველად ევროპა გაცნო ბულატს ალექსანდრე მაკედონელის არმიის შეჯახებისას ინდოელ მეფე პორთან. განსაკუთრებით განაცვიფრა მაკედონელები დატყვევებული მეფე პორის ჯავშანმა. ის დამზადებული იყო არაბუნებრივად თეთრი მტკიცე მასალისაგან, რომელზედაც მაკედონელთა იარაღი ვერ ახერხებდა ჩანაჭყლეტის დატოვებასაც კი, ვერც ნაკაწრებისა. ბულატიდან იყო დამზადებული ფართო ინდური ხმლებიც, რომლებიც ადვილად ჭრიდნენ შუაზე მაკედონურ რკინას. ისტორიკოსების ცნობით, ძველი ევროპული იმდენად უფრო რბილი იყო, რომ ორი-სამი დარტყმის შემდეგ უკვე იღუნებოდა და მეომრები იძულებულნი იყვნენ გამობრუნებულიყვნენ, რომ გაესწორებინათ ხმლები. ბუნებრივია, რომ ინდური ხმლები მაკედონელებს ეჩვენებოდათ საოცრებად. დიდი ხნით ადრე ჰიმალაის მთებიდან პენჯაბში (ერთ-ერთი შტატი თანამედროვე ინდოეთში) ჩამოვიდა მჭედელთა კასტა, რომლებმაც კარგად იცოდნენ სამჭედლო საქმე და შეეძლოთ რკინის დამორჩილება არაჩვეულებრივი თვისებებით. პენჯაბიდან რკინა გავრცელდა სიამში და დანარჩ-

ენ ინდოეთში . არასდროს არ იქნება ხალხი, რომელიც უფრო უკეთ გაერკვევა ცალკეულ ხმლებში და მათ სახელწოდებაში, ვიდრე ინდოეთის მცხოვრებლები- წერდა შუა საუკუნეების მწერალი ალ-ბირუნი... ინდური ფოლადი გამოირჩეოდა სახით, რომელიც იხედებოდა ფოლადზე. ხოლო თვისებები ხმალს მართლაც საოცარი ჰქონდა. იყვნენ რა მაგარი და მტკიცენი, ისინი ასევე ფლობდნენ დიდი დრეკადობის უნარს. მახვილები ჭრიდნენ რკინის ლურსმანს და ამავე დროს თავისუფლად იხრებოდნენ რკალურად. ასე რომ არაფერი საოცარი არაა იმაში, რომ ინდური ხმლები ამსხვრევდნენ ევროპულს, რომელიც ძველად არცთუ იშვიათად კეთდებოდა არასაკმაოდ დრეკადი და რბილი ფოლადისაგან. ინდური ხმლის პირი გალესვის შემდეგ ღებულობდა საოცრად სალი ჭრის უნარს. კარგი ხმალი ადვილად ჭრიდა ჰაერში მსუბუქი აბრეშუმის სახოცს, მაშინ როდესაც თანამედროვე საუკეთესო ფოლადის ხმლებს შეეძლოთ გადაჭრან მძიმე ტიპის აბრეშუმის ქსოვილები. მართალია ჩვეულებრივი ფოლადის პირიც შეიძლება აწრთო ბულატის სიმაგრემდე,მაგრამ ის იქნება მყიფე როგორც მინა და დაიმსხვრევა პირსელსავე დარტყმისას. ამიტომაც გვიან, როცა ევროპული ფოლადის დამზადება დაიწყეს მტკიცე და მაგარი ნახშირბადიანი ფოლადისაგან, ისინი იმსხვრეოდნენ ინდური იარაღის დარტყმისაგან. ძირითადი დანიშნულება ფოლადისა-ხმლის პირების დამზადებაა. მთავარი ღირსება ხმლისა-ხმლის პირის სიბასრე. ფოლადის ხმლის პირი გასალესი იყო იგავმიუწვდომელ სიბასრემდე და ასეთი სახით შენახული უნდა ყოფილიყო დიდ ხანს. ხმლის პირი, ჩვეულებრივი ნახშირბადოვანი ფოლადი, იფშვნებოდა თვით ლესვის პროცესშიც-როგორც სამართებელი მისი გალესვა არ შეიძლებოდა, ხოლო ფოლადი ილესებოდა სამართებლის დონემდე და ის ინარჩუნებდა მჭრელ თვისებას მას შემდეგაც, როდესაც უკვე იყო საქმეში. ასეთი რამ შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ფოლადი ფლობს ერთდროულად მაღალ სიმტკიცეს, პლასტიკურობას და მოქნილობას- ამ შემთხვევაში ხმლის პირი თავისათავად გალესვადია. ფოლადის ხმალი ადვლად იხრებოდა 90-120 გრადუსით, დაუმსხვრელად. არის ცნობები, რომ ნამდვილ ფოლადის ხმალს ატარებდნენ სარტყელის ნაცვლად, წელზე შემორტყმულს.

ჩამოსხმული ფოლადის ზოდები, გაჭრილი კვერის „ვუტცად“ ჩამოჰქონდათ ინდოეთიდან სირიაში, სადაც ქალაქ დამასკოშო იჭედებოდა ეს ზღაპრული ხმლის პირები. მაგრამ ინდური ბულატის ფოლადი ფასობდა ძალიან ძვირად და სირიელმა ოსტატებმა მოიგონეს შეჭედილი ფოლადი სწორად განსზღვრეს თუ რა იქნება-პირველად შექმნილი ადამიანისაგან კომპოზიტი, შემდგარი მაგარი ნახშირბადოვანი ფოლადისა და რბილი რკინის დაბალნახშირბადიანი მატრიცასაგან. დამასკური ფოლადი მიიღე-

ბოდა მრავალჯერადი გადაჭედვის შემდეგ სხვადასხვა მხარეს მიმართული კონით ფოლადის წკნელებისა, ასევე სხადასხვა სიმტკიცისა. ხარისხი დამასკური ფოლადისა იმ დროისათვის იყო ძალიან მაღალი, მაგრამ ასეთი შეთანწყობა სიმტკიცისა და მოქნილობისა, ისეთი როგორც ჩამოსხმული ინდური ფოლადისაგან, სირიელმა ოსტატებმა ვერ შეძლეს.

კიდევ ერთი ცენრტი ხარისხიანი ხმლის პირების დამზადებისა დაარსდა იაპონიაში. იაპონური ფოლადისაგან დამზადებული ხმლის პირები ფლობდა საოცარ პლასტიკურობას და არაჩვეულებრივ სიმახვილეს. უკვე ჩვენს დროს გაკეთებულ იქნა ქიმიური ანალიზი ფოლადისა, რომლისგანაც მზადდებოდა იარაღი XI-XIII საუკუნეს. და ძველმა იარაღმა გახსნა თავისი საიდუმლო; ფოლადში აღმოჩენილ იქნა მოლიბდენი. დღეს კარგადაა ცნობილი, რომ ფოლადი, ლეგირებული მოლიბდენით, ფლობს დიდ სიმტკიცეს, სიმაგრეს და სიბლანტეს. მოლიბდენი იმ ერთ-ერთი მალეგირებელი ელემენტების რიცხვიდანაა, რომლის დამატება ფოლადში იწვევს მისი პლასტიკურობის და სიმტკიცის მატებას. ყველა სხვა ელემენტი, რომლებიც ადიდებენ ფოლადის სიმაგრეს და სიმტკიცეს, იწვევს მისი სიმყიფის მატებას... რასაკვირველია დამასკურ ხმლებთან შედარებთ, რომელიც დამზადებულია რკინისა და ფოლადისაგან, იაპონური ლეგირებული მახლები და ხმლები საოცრება ჩანდა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იაპონელებს იმ შორეულ დროს შეეძლოთ ლეგირებული ფოლადის დამზადება? რასაკვირველია არა. თუ რა არის ლეგირებული ფოლადი, მათ არ იცოდნენ, ისევე როგორც ის, თუ რა არის მოლიბდენი. მადანი, რომლითაც ძველი იპონელი ოსტატები ადნობდნენ რკინას, შეიცავდა მნიშვნელოვან ნაწილს მოლიბდენის ჟანგისა. გამოდნობილს მოლიბდენის შემცველი ქვიშისაგან, მიღებულ რკინის ნამზადს გამოკვერავდნენ წკნელად და ჩაფლავდნენ ჭაობიან მიწაში. დრო და დრო წკნელები ამოიღებოდა და ისევ იფლობოდა და ასე ხდებოდა 8-10 წლის განმავლობაში. გაჯერებული მარილებით და მჟვეებითნ ჭაობის წყალი ჭამდა წკნელს და ამსგავსებდა შვეიცარული ყველის ნაჭერს. ამ მეთოდით ნამზადიდან აშორებდნენ მავნე მინარევებს, ჭაობიანი წყლის მიერ შეჭმულს. ამის შემდეგ გახურებულ წკნელს იაპონელი მჭედელი გადაჭედავდა თხელ ზოლად, ღუნავდა და ისევ ჭედავდა და ასე შემდეგ ათასჯერ! მაგრამ იაპონური მახვილები, გამორჩეული სიმახვილისა და სიმაგრის მიუხედაბად, ვერ ფლობდა ინდური ფოლადის თვისებებს, განსაკუთრებით მოქნილობას. არაბი სწავლული XII საუკუნისა, ედრიზა (იდრისი?) გვამცნობს, რომ ჯერ კიდევ მის დროს ინდოელები სახელგანთქმულნი იყვნენ რკინის წარმოებით, ინდური ფოლადით და ცნობილი ხმლების გამოჭედვით. დამასკოში ამ ფოლადისაგან ამზადებდნენ ხმლებს, რომლის დიდება ჯვაროსნებმა მთელს ევროპას მო-

სდეს. სამჭუხაროდ, ძველ ინდოეთში ისე ზედმიწევნით ინახავდნენ ვუტ-ცის ფოლადის გამოდნობის ხელოვნებას, რომ ბოლოს და ბოლოს დაკარ-გეს ის სრულიად. უკვე XII საუკუნის ბოლოს ხმლები, ჩამოსხმული ბუ-ლატისაგან, უმაღლესი ხარისხის ტაბანს ვერ აკეთებდნენ ვერც ინდოეთში, ვერც სირიაში და ვერც ირანში (ხოროსანში)

მას შემდეგ რაც თემურ-ლენგმა დაიმოერჩილა სირია, წაიყვანა იქი-დან ყველა იარაღის ოსტარტი, იარაღის დამზადების ხელოვნება გადაად-გილდა სამარყანდში. მაგრამ მალე ყველაფერი დაექვემდებარა დაქვეითებ-ას, შთამომავლობა გაყვანილი იარაღის ხელოსნებისა გაიფანტა მთელს აღ-მოსავლეთში, საბოლოოდ დაკარგეს თვისება ფოლადის იარაღის დამზად-ებისა. XIV-XV საუკუნეს საიდუმლო ფოლადის წარმოებისა და მისგან მა-ხვილების და ხმლის დამზადებისა საბოლოოდ დაიკარგა. ევროპელმა ოს-ტატებმა ვერ შეძლეს გამოეცნოთ საიდუმლო თვით დამასკური კომპოზი-ტური ხმლებისა და უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს ხმლების ერთგვარ-ოვან (ჰომოგენური) ფოლადისაგან დამზადებისას, ფოლადის ზედაპირზე ბულატის ნახატის იმიტაციით. განსაკუთრები ფართოდ გაჩაღდა ყალბი ბულატის გაკეთება XVIII –XIX საუკუნეებში. ამ დროისათვის ევროპაში ისწავლეს მაღალნახშირბადიანი ფოლადის გამოდნობა, ხოლო დასავლეთ ევროპელმა ოსტატებმა, მიატოვეს რა ცდა გაეხსნათ წარმოების საიდუმ-ლო ფოლადისა, დაიწყეს მისგან დამზადება საკმაოდ მაღალი ხარისხის იარაღისა. იტალიაში (მილანში) ესპანეთში (ტოლედო) გერმანიაში (ზოლ-ინგენი) საფრანგეთში (ლიეჟი) და თვით ინგლისშიც დაიწყეს ფართოდ წარმოება ცრუ ბულატისა. ცრუ ბულატი, განსაკუთრებით ზოლინგენისა და ტოლედოსი, გახდა ცნობილი გაპრიალების მაღალი ხარისხის და ლა-მაზი ფაქტურის გამო, რომელიც დაიტანებოიდა იარაღზე სხვადასხვა მე-თოდთ. ხელოსნები, რომლებიც ხატავდნენ სხვადასხვა ფაქტურას მეტალ-ზე, იწოდებოდნენ დამასკიროვშიკებად, ხოლო მახვილები-ცრუ ბულატებ-ად. დამასკირებული ბევრი მახვილი იყო არცთუ ისე მაღალი ხარისხისა, რადგანაც ისინი მზადდებოდა ჩვეულებრივ შვედური ან ინგლისური ნა-ხშირბადოვანი ფოლადისაგან.

არა ერთი მეტალურგი მრავალი ქვეყნისა ცდილობდა გამოედნო ბულატის ფოლადი, მაგრამ ეს საიდუმლო არავის არ ეძლეოდა. XIX საუ-კუნის სწავლულმა მეტალურგებმა მრავალჯერ სცადეს გაეხსნათ ეს საი-დუმლო ჩამოსხმული ბულატისა. თვით დიდი ინგლისელი სწავლული ფარადეი ამაოდ ცდილობდა მის გახსნას. მაგრამ მიეღოთ ჩამოსხმული ფოლადი, რომელიც ტოლს არ დაუდებდა ინდურ ვუტცს, შესძლო მხოლ-ოდ რუსმა სწავლულმა, სამთო ოსტატმა ზლატოუსტის ქარხნისა პ.პ. ამო-სოვმა, 40-იან წლებში XIX საუკუნისა. შემორჩენილია ჩვენს დრომდე ამო-

სოვისეული ბულატის (ხმალი ჭრის ლურსმანს, იხრება რკალურად და ჰაერში ჭრის მსუბუქი აბრეშუმის ნაჭერს) ხმალი. ძველი ინდოელი ოსტატების საიდუმლო გახსნილია? კი და არა. ამოსოვის სიკვდილის შემდეგ, მიუხედავად მის მიერ დატოვებული დაწვრილებითი რეცეპტისა, აღადგინოს ჩამოსხმული ბულატი, ვერ შეძლო ვერავინ. უკვე ჩვენს დროს, ზლატოუსტელმა ოსტატებმა ისეც სცადეს აღედგინათ ბულატის წარმოება. რთული და დიდი იყო ეს პროცესი, მაგრან ფაქტურიანი ფოლადი მაინც იქნა აღდგენილი, თუმცა მთლიანად გაემეორებინათ ამოსოვისეული ბულატი ვერ შეძლეს, ლეგენდარული მოქნილობა ხმლისა მიღწეული ვერ იქნა. თანამედროვე ლეგირებული ფოლადი აღემატება ბულატს ყველა მაჩვენებლით: სიმტკიცით, პლასტიკურობით, მჭრელი თვისებებით, მაგრამ მივიღოთ ისეთი გამორჩეული თვისება ერთ ეგზემპლიარზე ვერ ხერხდება დღესაც. საიდუმლო ინდური ჩამოსხმული ფოლადისა ელოდება თავის ამოხსნას! (ვიკიპედია. ბულატი და დამასკური ფოლადი-გამოცანა და ისტორია)

ვიკიპედიის ეს რუსული სტატია გამოირჩევა უკიდურესი არა კომპეტენტურობით დ ა შიგა და შიგ აშკარა სიყალბითაც, რომელიც რასაკვირველია რუსული გენიალური ნიჭის აღზევებას ემსახურება, თუმცა გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი ამ კერძო შემთხვევაში სრულიად უსამართლოდ მიეწერება რუსულ „გენიას“

1. სტატის ავტორის მიერ ნახსენები ევროპული ხმლები, რომლებიც ორი-სამი დარტყმის შემდეგ იღუნებოდნენ და მეომრებს ფეხით გასწორება უხდებოდათ, სრულიად არ შეეხება მაკედონურ იარაღს და მათ შერკინებას ინდურ იარაღთან. ავტორის მიერ მოყვანილ შემთხვევას აღწერს ტიტუს ლივიუსი და მაშინ, როდესაც რომაულ ცენტურიებს შეტაკება მოუხდათ გალებთან (სინამდვილეში გერმანიკულ ტომებთან) და რომელთა იარაღი ავლენდა ზუსტად იმ თვისებას, რომელზედაც სტატიაშია მოთხრობილი. გერმანელ მეომარს ორი სამი მოქნევის შემდეგ უკან დახევა უწევდა, რათა ფეხის დადგმით გაესწორებინა უკვე გაღუნული და საბრძოლველად უვარგისი ხმალი.

2. თვით სტრაბონი აღნიშნავს ალექსანდრე მაკედონელის თრაკიაში კენების ტომს, ნახევრად დამოუკიდებელს, რომელსაც საკუთარი მეფეც კი ყავს, სახელით დიაგელი. კენები კი ევროპაში ხალიბებად ცნობილი ხალხია, რომელთა რკინის ოსტატობა თავად ინდოეთიდან მოდიოდა. შესაბამისად მაკედონელთა არმია, დანამდვილებით კენების-ხალიბების გამოჭედილი აბჯარ-საჭურველით შეიარღებული, ბრძოლის წარმოების ამ საშუალებით არ ჩამორჩებოდა არავის, მათ შორის ინდოელებსაც კი ... თვით დამასკოს და ხოროსანის დამპყრობელი მაკედონელები სიტყვასაც

კი არ ძრავენ ამ ქვეყნების აღმატებული იარაღის შესახებ, რამეთუ კენებ-ის (ხალიბების) გამოჭედილი ხმლები სავარაუდოდ ერეოდნენ ერთსაც და მეორესაც...

3. არ შეესაბამება სინამდვილეს ავტორის მოსაზრება, რომ რკინის ოსტა-ტები ჩამოვიდნენ ჰიმალაის მთების მხრიდან, კერძოს პენჯაბის შტატიდ-ან. სინამდვილეში, აბხისარ-კენები ცხოვრობდნენ ინდოეთის ცენტრიდან სამხრეთით, უფრო ოკეანის სანაპიროს სიახლოვეს.

4. წარმოდგენილი სტატიის მიხედვით, ყარა ბულატის (შავი ფოლადის ხოროსნული რეცეპტი) აღდგენა მოხერხდა ზლატოუსტის ქარხნის რუსი ოსტატის, მავანი ამოსოვის მიერ. წინა ტომში ჩვენ მოვიყვანეთ ფრანგუ-ლი წარმოშობის რუსი მოხელეს, ვინმე პოტტოს სტატია, რომელიც ერ-თობ ხატოვანად აღწერს რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ სახეობის ფო-ლადის მოძიებას საქართველოს დედაქალაქ თბილისში. იქიდანვე, ზლატ-ოუსტიდან გამოგზავნეს ოთხი ოსტატი, ორი გერმანელი და ორი რუსი (ამ რუსთაგან ერთი უეჭველად პ. პ. ამოსოვია) ორასი ოქროს ჩერვონეც-ის ფასად გადასცა მათ ეს ცოდნა (როგორც მოკავშირეებს?) ქართველმა ხმლის ოსტარტმა, კახრამან ელიზაროვმა (სინამდვილეში ყარამან ელი-ზარაშვილმა) ასე რომ სახელგანთქმული რუსი სწავლული პ. პ. ამოსოვის „უნიკალური“ ცოდნა სულ 200 ოქროს ჩერვონცად არის ნაყიდი ქართვე-ლი ოსტატისაგან...

5.ავტორის ცნობა, რომ საიდუმლო შავი ფოლადის გამოდნობისა სამუდ-ამოდ დაიკარგა XII საუკუნეს, სიმართლეს არ შეეფერება. როგორც პირვ-ელ ტომში აღვწერეთ, 1830 წლის მახლობლად თბილისელმა იარაღის ოს-ტატმა, ყარამან ელიზარაშვილმა შავი ფოლადის - ბულატის გამოდნობის ხელობა ასწავლა ზლატოუსტიდან მოვლენის ორ გერმანელ და ორ რუს ხელოსანს. რასაკვირველია ყარამან ელიზარაშვილი ვერაფრით ვერ ასწავ-ლიდა მათ მეცხრამეტე საუკუნეს 7 საუკუნით ადრე დაკარგულ ხელობას. ...უფრო მეტიც, კავკასიაში მოგზაურობისა (1858 წელს) დიდი ფრანგი მწე-რალი ალექსანდრე დიუმა აღწერს, თუ როგორ იყიდა მან თბილისის ბა-ზარში სატევარი, რომლის ცალი მხარე ყარა-ტაბანი იყო, მეორე მხარე ყარა-ბულატი. (სავარაუდოა, რომ სატევარი ასეთი შეთანწყობით აშკარად გრავირებული იყო ამ სახის ფოლადის ქვეშ, თუმცა ყარა- ტაბანის და ყა-რა-ბულატის გაყიდვა ტბილისის ბაზარში მათი უეჭველი აქ გამოჭედვის მეტყველებს.

5. სტატიას და მის ავტორს აშკარად გააჩნიათ რაციონალური მარცვალი მსჯელობაში. ეს კატანაა, იაპონური საუკეთესო ხმალი და როგორც ირ-კვევა-ლეგირებული ... მალეგირებელი ელენენტი მოლიბდენია, რომელიც ბუნებრივად მოიპოვებოდა იაპონურ რკინის მადანში და მისი მალეგირე-

ბელი თვისებები აშკარად წაადგა ხმლის ხარისხს და მისსავე განდიდებას...თუმცა იაპონელ ოსტატებს ეს ბრმა გასროლა გამოუვიდათ, რამეთუ მათ მოლიბდენის, როგორც მალეგირებელი მეტალის არსებობა არც კი იცოდნენ...

...და რა ელემენტი ანიჭებდა მსოფლიოში საუკეთესო ხმალს, გორდას მოწინააღმდეგის ჯავშანის გაფხრეწის უნარს და როგორც ფრანგული წარმოშობის რუსი მოხელე პოტტო ჰყვება არცთუ იშვიათად კაზაკური თოფის ლულის გაჩეხვის უნარსაც კი? სავარაუდოა, რომ აქ მალეგირებელ ნივთიერებასთან უნდა გვქონდეს საქმე....

ისტორიული ექსკურსი

რუსი სამხედრო პუბლიცისტის, პოტტოს მიხედვით ქართველმა მეიარაღემ, ყარამან ელიზარაშვილმა მოითხოვა ბულატის გამოსაჭედად ინდური ან ირანული ფოლადი, და თურქული თუჯის ფხვნილი…საინტერესოა, რომ ქართველი ოსტატის მოთხოვნა პოტტოს ორჯერ, ფაქტიურად მიმდევრობით აქვს გახმოვანებული. პირველ შემთხვევაში ეს ინდური (სავარაუდოდ ირანიდან მიღებული) საიარაღე ფოლადი და თურქული თუჯის ფხვნილია, მეორე შემთხვევაში ყარამანი საუკეთესო მასალად თვლის გაცვეთილ ნალებს (სავარაუდოდ ცხენისას ან ხარისას) თურქული თუჯის ფხვნილს და თურქულ ფოლადს ... სავარაუდოს, რომ ყარამანის ინდური ფოლადის ქვეშ (ირანიდან შემოტანილი) ხოროსნული 1% ნახშირბადის შემცველი შავი ბულატი- ფოლადი იგულისხმება, (თუმცა თუჯის პუდრა-ფხვნილი მაინც თურქეთიდან შემოტანილი სჭირდება) რომლებიც ფაქტიურად „ვუტცის“ იდენტურ საიარაღე მასალას წარმოადგენდა, ფაქტიურად ერთი და იმავე ტომის მიერ გამოდნობილს ქვეყნიერების სხვადასხვა ნაწილში, სადაც ისინი ამ დროისთვის ცხოვრობდნენ- საუბარია კენების, იგივე კან-გოის ტომზე... რაც შეეხება თურქულ ფოლადს, აქ ყარამანი სავარაუდოდ ინდურ საიარაღე ფოლადს „ვუტცს“ გულისხმობს, ხოლო „თურქული თუჯის ფხვნილი“ რომლითაც ყარამანის სიტყვებით მუშავდება გაცვეთილი ნალებისაგან მიღებული მასალა, სინამდვილეში მალეგირებელი ნივთიერებაა...ამ ნივთიერების და დამუშავებული გაცვეთილი ნალებისაგან მიღებული მასა (სავარაუდოდ) უკვე ედუღებოდა (შეეჭედებოდა) თურქულ ფოლადს და მიიღებოდა უმაღლესი ხმლები... უნდა აღინიშნოს, რომ ყარამან ელიზარაშვილს არც ერთ მის მიერ გამოჭედილ (და გერმანელ-რუს ოსტატთათვის ნაჩვენებ ნიმუშებში) ეს მალეგირებელი მასალა არ გამოუყენებია და ასეთი სახის ხმალი არ დაუმზადებია...ძნელია სათქმელია, გამოუყენებია თუ არა ოდესმე ყარამან ელიზარაშვილს ეს მასალა და ხმლის გამოჭედვის ეს მეთოდი, თუმცა მან ზუს-

ტად იცის ამ მეთოდის არსებობა...კარგი ოსტატისაგან ამ თეორიის პრა-ქტიკულ დახვეწას რა დაუდგებოდა წინ, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია-უფრო სწორედ გერმანელ-რუსებისათვის არ უსწავლებია...და რატომ ჩა-თვალა ყარამან ელიზარაშვილი, რომ გაცვეთილი ნალი (ცხენისა თუ ხარ-ისა) საუკეთესო მასალაა „თურქული თუჯით“ დამუშავებისათვის? საქმე ისაა, რომ ნალი განიცდის ფაქტიურად მუდმივ ზემოქმედებას პირუტყ-ვის მასისა, რაც მისი მცირე დარტყმებით უსასრული კვერვის ტოლფა-სია. ნებისმიერი სამჭედლო საქმის მცოდნე დამეთანხმება, რომ ამ შემთ-ხვევაში ხდება ნალის მასალიდან ნახშირბადის თანამიმდევრული სრული გამოდევნა, შესაბამისად ნალების შეჭედილი მასალა-ეს უნახშირბადო, ფა-ქტიურად სუფთა ფოლადია, საუკეთესო პლასტიკური მახასიათებლებით... ზუსტად მისი დამუშავება ხდება „თურქული ფხვნილის“ საშუალებით, რაც ამ ორი მასალისაგან ერთიანი შენადნობის მიღებას უნდა გულისხმ-ობდეს. შემდგომში ხდება მიღებული მასის „თურქულ ფოლადთან“ მიჭე-დვა, მიდუღება...და რამდენად რეალურია ამ მეთოდით ხმლის გამოჭედ-ვა? პასუხის გასაცემად თითქმის მთელი ათი საუკუნით უკან უნდა დავი-ხიოთ:

ულფბერტი

ევროპულ ვიკინგური ორლესული მახვილები, დათარიღებული IX-X საუკუნით. ულფბერტის მასალა - ტიგელური, გამოდნობილი ფოლადი, ნახშირბადის შემცველობა 1,3% ფარგლებში. ფიქრობენ, რომ აღნიშნული ხმლის გამოსაჭედი მასალა-ეს ინდური ვუტცის საიარაღე ფოლადია, შე-მოტანილი ინდოეთიდან (ან სპარსეთიდან). უკვე გამოჭედილ-გამზადებუ-ლი საუკეთესო ხმლის სიმტკიცე აღწევდა 450 ერთეულ ვიკერსს, თუმცა მისი ეს სიმტკიცე განაწილებული იყო ხმლის მთელს მასაზე არათანაბრ-ად: საჭრელი ფხისაკენ, რომელიც ამ მახვილებს ჩვეულევბრივ ორმხრივ უკეთდებოდა, მაქსიმუმს აღწევდა, ხოლო ცენტრისკან სიმტკიცე თანდათ-ან კლებულობდა, ხანდახან მესამედითაც კი, თუმცა ხმლის სიმტკიცის ეს სხვადასხვანაირი გადანაწილება წარმოადგენდა კიდეც მახვილის ძირით-ად უპირასტესობას სხვა მახვილებთან შედარებით : საქმე ისაა, რომ უკა-ნასკნელმა კვლევებმა ამ სახის მახვილებისა აშკარად აჩვენა -ისინი ლეგი-რებულნი არიან...მარგანეცით...და როგორც ჩანს, ზუსტად ესაა ყარამან ელ-იზარაშვილის მიერ მოგვიანებით „თურქულ თუჯად“ წოდებული მასალა. ...ამასთან, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მარგანეცის უძველესი საბადო მხო-ლოდ ინდოეთში იყო აღმოჩენილი ...(როგორც ჩანს, ჯერ კიდევ კაცობრ-იობის გარიჟრაჟზე და მხოლოდ და მხოლოდ კენების მიერ)... შესაბამის-ად „თურქული ფოლადის“ ქვეშ მხოლოდ ინდური საიარაღე რკინა ვუტცი

უნდა იგულისხმებოდეს... რაც შეეხება იმავე ელიზარაშვილის მიერ „ირანულად“ წოდებულ რკინას, ის მხოლოდ ხოროსნული შეიძლება იყოს, რომელიც ამავე პერიოდისათვის ირანში შემავალი სუბიექტი იყო ... არათანაბრად ლეგირებული ფოლადის მიღება ტიგელური გზით შეუძლებელია-ამ შემთხვევაში მალეგირებელი მასალა, მარგანეცი თანაბრად უნდა განაწილებულიყო მთელს ზედაპირზე...შეაბამისად, მახვილი ზუსტად იმ მეთოდით ჩანს გაჭედილი, რომელსაც ყარამან ელიზარაშვილი აღწერს: მინიმალური ნახშირბადის შემცველობის გახურებულ ნამზადს მარგანეცის ფხვნილთან ერთად გადაადნობდნენ (რასაკვირველია დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სწორ დოზირებას კომპონენტებისა) და მას წაგრძელებულ და ვიწრო ზოლის ფორმას აძლევდნენ. მზადდება მეორე ასეთივე ვიწრო და გრძელი ზოლი. საიარაღე მაღალნახშირბადოვანი ვუტცის საიარაღე ფოლადისაგან იჭედება მახვილის ფორმის ნამზადი და შემდგომ, შეეჭედება ადრე ლეგირებული ფოლადისაგან დამზადებული ვიწრო საფხე ზოლი... ცხადია, პროცესი ცხელი დამუშავებით მიმდინარეობს და ფოლადის ორივე ნამზადი გახურებულ მდგომარეობაში შეედუღება- შეეჭედაება ერთმანეთს... შემდგომ, ამავე მეთოდით ძირითად მასას შეეჭედება, მეორე ლეგირებული ნამზადა მეორე ფხის მოსაწყობად ...სავარაუდოდ, ნამზადების შეჭედვა-შედუღების პროცესი რამდენჯერმე გახურებასა და ამდენჯერვე შეჭედვას მოითხოვს. შედეგად მალეგირებელი ელემენტი- მარგანეცის გარკვეული რაოდენობა გადადის ხმლის ტორსზე, თუმცა ძირითადი მალეგირებელი ელემენტის, მარგანეცის კონცენტრაციის ფხებისაკენ განუზომლად მეტია. შედეგად მიღება საკმაოდ ელასტიური და ფხიანი მახვილი, რომლის ფიზიკური მახასიათებლები არ ჩამორჩება დიდად ცნობილ იაპონურ კატანას, თუმცა კატანაზე თითქმის ხუთი საუკუნით ადრეა დამზადებული... რასაკვირველია, ასე მარტივად აღწერილი საუკეთესო მახვილის გამოჭედვის ხელოვნება დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვდა...და ვინ ამზადებს ვიკინგების ხმლებად ცნობილ ულფბერტებს? საუკეთესო ხმლების დამზადების პრეროგატივა მსოფლიოში კენებს ეკუთვნით (თვინიერ იაპონელებისა, რომელთა რკინის მადანში სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მალეგირებელი მასალა მოლიბდენი) აქაც, ეს ცნობილი ხმალი კენების გამოჭედილი ჩანს, სავარაუდოდ კუნძულ რიუგენზე (ბალტიის ზღვაზე) ისინივე ჩანან ცნობილი რუსეთის პირველი მეფეები- რიურიკოვები. მათ რუსები საკუთარი აზბუკისა და ლექსიკის მიხედვით პომორიელებს- ზღვის ხალხებს უწოდებს, საკუთარ თავს პომორებს, ხოლო ირლანდიური საგები ფომორებს- ზღვის ურჩხულებს უწოდებს... მათი ვინაობის გასაგებად თანამედროვეობის ყველაზე თვალსაჩინო პომორის-დონალდ ტუსკის ხსენებაც კმარა. ტუსკი-ესეიგი ეტრუსკი... ეტრუსკ-

თა ძირითადი მასა ლიდიელებია, ჰეროდოტეს მიერ მეიონებად ხმობილი. ... საყურადღებოა, რომ ჰეროდოტეს სიტყვებით ხალიბებიც მეიონები არიან, თუმცა კაბელ-მეიონები...ცხადია, მახვილ ულფბერტსსაც ისინი-ფომორები-კენები ჭედავდნენ, დღევანდელილობის პომორები კუნძულ რიუგენიდან...და როგორც ჩანს, კენთათვის ესედენ მახლობელი „მგელი“ აქაც ფიგურირებს, თუ დამღის არა, სახელით მაინც- ხმლის სახელ **ულფ-ბერტში**, სიტყვის პირველი ნაწილი ზუსტად მგელს ნიშნავს, სკანდინავთათვის გასაგებ ენაზე...

და გორდა-მსოფლიოში საუკეთესო ხმალი?

ის სკანდინავური ტექნოლოგიით არა ჩანს დამზადებული...მახვილ ულფბერტში ლეგირებული და ვუტცის საიარაღე ფოლადის გარდამავალი ხაზი არ ჩანს, ის ფაქტიურად ჰომოგენური- ერთგვაროვანი მასალაა, თუმცა მალეგირებელი ელემენტი, მარგანეცი, უფრო მჭრელი ფხებისკენაა კონცენტრირებული. რაც შეეხება გორდას, მოხუცი გერმანელი არქეოლოგი, რომელმაც გორდას პირის ნატეხი მოიპოვა, აღნიშნავდა, რომ აქ ორი სხვადასხვა ფოლადია ერთმანეთთან შედუღებული რაღაც უცნობი წესით: პირველი-დრეკადი, სავარაუდოდ საშუალო (1-1, 2 %) ნახშირბადოვანი ფოლადის ხმლის ძირითადი ნაწილი და ფხა, მჭრელი ნაწილი, დამზადებული (როგორც ეტყობა) ლეგირებული ფოლადისაგან, რომელიც მოწინააღმდეგის ჯავშანს თავისუფლად ჭრის, ხოლო პოტტოს სიტყვებით ხშირად ჩეხავს კაზაკების თოფის ლულასაც კი...აქ ქართველი ხალიბები ერთი დილემის წინაშე დგანან: მოუმატებ მალეგირებელ მასალას, ხმალი ხისტი და მსხვრევადი ხდება, დააკლებ-არასაკმაოდ ფხიანი და რკინის გაჭრის ვერ შემძლე...და რა ოქროს კვეთზე შეძლეს გავლა ქართველმა ხალიბებმა? მათ მაქსიმალურად უჩანთ შემცირებული ხმლის ლეგირებული მასა საერთო მასასთან შედარებით, იმდენად, რომ ხმლის ლეგირებული ნაწილი ფაქტიურად მთელი მასის რამდენიმე პროცენტს არ აღემატება, რაც ფაქტიურად არ მოქმედებს ხმლის ელასტურობასა და დრეკადობაზე. ხალიბებს, იმავე ფომორებისაგან განსხვავებით ამოგდებული უჩანთ ერთი ტექნოლოგიური ციკლი: ხმალი მზადდება ერთიანად, ინდური საიარაღე ფოლადის, ვუტცისაგან, ან მისი ანალოგიური ადგილობრივი მასალისაგან... ამასთან, მარგანეცით მისი ლეგირების პროცესი ხდება პირდაპირ ამ ნამზადზე, გახურებულზე საჭირო ტემპერატურამდე. ხმლის გახურების შემდეგ, გრდემლზე იყრება საჭირო რაოდენობის მარგანეცის ფხვნილი თხლად (სავარაუდოდ თავადაც გახურებული) დაედება მას ხმლის პირის ის ნაწილი, საიდანაც იწყება მისი ლეგირება, დაეყრება ხმლის პირზე ზემოდან ასევე გარკვეული რაოდენობის მარგანეცის ფხვნილი თხლად და შეიჭედება მასში მცი-

რე უროს-ჩაქუჩის საშუალებით...ამასთან, ჩაქუჩის დარტყმა (და შესაბამისად მარგანეცის შეჭედავა) ხდება მხოლოდ ხმლის მჭრელი პირის ვიწრო ზოლზე 5-7 მილიმეტრის სიგანეზე (ზუსტად ისევე, როგორც ცელის პირის აწყობა მთიბავების მიერ)... ზედმეტი მარგანეცი, დაყრილი გრდელმზე და თავად ხმლის პირზე, უბრალოდ ლეგირების პროცესში არ მონაწილეობენ, არ შეიჭედებიან ხმლის პირთან და ხდება მათი ხელმეორედ გამოყენება ციკლის გაგრძელებისას. შესაბამისად, ფოლადი ხმლის მჭრელ ფხაზე იძენს უკვე სრულიად სხვა თვისებას ლეგირებული ფოლადისას და არსობრივად უკვე სხვა ფოლადს წარმოადგენს, თუმცა არავითარი შეჭედვა-შედუღება ხმლის ძირითად მასასთან უბრალოდ არ ხდება... რასაკვირველია ხმლის ლეგირება განსაკუთრებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას მოითხოვს, რითაც უკვე ცალკეული ოსტატის ინდივიდუალური ხელოვნება გამოიკვეთება... (კერძოდ, სალეგირებლად გამზადებული იარაღის ნამზადის გახურების ხარისხი თუ თავად მალეგირებელი ფხვნილის გახურების დოზა) დასასრულ, თუ ხმალი დიდგვაროვნისთვისაა განკუთვნილი, ტრადიციულად ის საცერში უნდა ჩაირკალოს, პრაქტიკულად სრული რკალი უნდა შემოხაზოს...სტატიას და წიგნს კიდევ ერთხელ უკვე მრავალჯერ გახმოვანებული ფრაზით დავამთავრებთ:

არ არს იგი საიდუმლო, რომელ არ გაცხადდეს...

შენიშვნები:

1. საკუთრივ შუმერული ტომი კომპოზიტიურია, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ქართველური ტომი...ამჯერად ამ სიმბიოზური ტომის მდგენელი დიდადაა განსხვავებული ერთმანეთისაგან. საკმარისია აღვნიშნო, რომ ტომის ქალური ნაწილი აფსარაა, ხოლო კაცური შემადგენელი... კორეული ... ამდენად, განუსაზღვრელი სხვაობაა დედის ენაზე მოლაპარაკე შუმერისამ შემთხვევაში ინდივიდი ჭანია-ლაზურის მსგავს ენაზე მოსაუბრე და მამის ენაზე მოლაპარაკე-უკვე შუმერია...

2.ზუსტად ასევე, იბერიული კომპოზიტიური ტომის მამაკაცური საწყისი საკია-მაური-ბელუჯი, ხოლო ქალური საწყისი-ისევე აფსარა. ასევე კოლხის მამაკაცური საწყისი სპარსელია, ქალური-აფსარა...სამივე ტომისათვის ლინგვა-ფრანკა, სალაპარაკო ენა აფსარულია-ქართული...

3. ფაქტირად, კოლხის და იბერის მამაკაცური საწყისი ძალიან ახლოს მონთესავე ენებია, ამდენად ბეროსს-ბაბილონელ ქურუმს იბერიული და კოლხური ერთი ტომი ჰგონია და ასეც აღწერს.

4.ლახიჯური მსხლის ხსენება ტრაპზუნდთან მიმართებაში, ფაქტიურად ხსნის ტრაპიზნდელი ლაზების, ჩიჩუების და ჩხეტიების გლეხების, ლაზების საკთხს: ლახიჯები იბერები არიან, ყოფილი მასაგეტები, ჯერ კიდევ ქრისტემდე 687 წელს განსახლებული კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე...ლახიჯებს-ტატებს ასახელებს მათ სახელს ისტორია და ტატები არიან ყირიმში ტრაპიზუნდიდან მიგრირებული ლაზებიც.

4*. ბერძნებს აქ ევლია ჩელები ზუსტად ურწმუნოებს ეძახის (ალბათ თურქულ ენაზე) ხოლო ეს გამოითქმის როგორც მურდადი (ოსურად მურტაკ)-თუმცა ამ სიტყვას შეიძლება სხვა დატვირთვაც ჰქონდეს...

5. ამ ბრანქიდების ჩამოსახლებას სტრაბონი ქსერქსეს მიაწერს. მისი სიტყვებით ისინი თავისი ნებით გაყვნენ ქსერქსეს თავისი ქვეყნიდან, იმიტომ რომ მიართვეს ყოველი სიმდიდრე ტაძრისა და ღმერთის შემოწირულობანი. საინტერესოა, ასე შორს რატომ გადაასახლა ქსერქსემ ისინი? სავარაუდოდ, საკუთარივე ნება სურვილით-მათ იცოდნენ თავიანთი თანატომელების არსებობა ამ მთებში...რასაკვირველია ადრე წამოსულებს ბერძნული ენა არ ეცოდინებოდათ, როგორც ყველა მცირე აზიელს...მაგრამ ამ ტომის დღევანდელი სახელი, კირკ-გიზ, თარგმნილი თურქული ენით ორმოც ტომად, სინამდვილეში სხვა რაღაცას უნდა ნიშნავდეს იმავე შუმერულ ენაზე კირკ-ორმოც კლიმატის ციხეს ითვლიდნენ ყირიმის ნახევარკუნძულზეც, რომელზედაც პირველი კოლონიზატორები მილეტელი- კარიელი ბერძნები იყვნენ...და ეს სიტყვაც-მურტატი ზუსტად მილეტელ ნიშნავდეს ....

6. ირლანდიური საგები „ფომორებად“ ზღვის ურჩხულებად ახსენებენ მავან ხალხს...ცხადია ისინი პომორები არიან, ვენეტების ცოცხლად დარჩენი

ნაწილი, რომლების აქეთ დაემალნენ რომაელების რისხვას...რუსები მათ ვენედებაც იხსენიებს, რუსიჩებად...

7. იაპონელების ძველკორეელები იყვნენ, თუმცა მათ დზემონის ტომი (ალ-ბათ ქალები) შეუერთდა...თუ გავითვალისწინებთ საავტომობილო ტრანსპ-ორტის მოძრაობის მარჯვენა წესს, რომლითაც დედამიწზე სულ ორი ერი სარგებლობს, მივხვდებიტ ვინ არიან ეს დზემონები"...რასაკვირველია ისი-ნი დანავები არიან ინდურ ეპოს „მახაბხარატადან" და მოგვიანებით ანტი-კური ლიტერატურა ასდაც ახსენებს...უფრო მეტიც, იაპონელე-ბი ასევე მა-რჯვენა ფეხით ჯდენიან ცხენზე...

8. სტრაბონის მიხედვით ახაიელები ფტიოტიდიდან, აქილევსის სამშობლ-ოდან არიან...ამჯერად სტრაბონი სრულ ჭეშმარიტებას უნდა ღაღადებდეს, მისი ეპოქისათვის სამ საუკუნეზე ნაკლებია მათი აქ დასახლებიდან.

9. **„ხოლო ეგრისწყალს** (ღალიძგას, ავტ) **ქვემოით დარჩა ბერძენთა, რამეთუ მკვიდრთა მის ადგილისთა არა ინებეს განდგომა ბერძენთა" (ლეონტი მროველი, ქართლის ცხოვრება, გვ 28, 2012წ)**

მროველი აქ მეფე ფარნავაზის ლაშქრობაზე გვეუბნება, რომელიც ფაქტიურ-ად ალექსანდრე მაკედონელის შემდეგ მეფობდა ქართლს. შესაბამისად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორია სელევკ ნიკატორს უჩანს ინკორპო-რირებული საკუთარ იმპერიაში...

10. ჩელების სიტყვებით, ანაპის ციხე-სიმაგრე ალექსანდრე მაკედონელის დროს არის აშენებული. იგივე ჩელების სიტყვებით კი დერბენტის ციხე-სიმაგრე მაკედონელის აშენებულია. განსხვავება სახეზე: პირველი ალექსან-დრეს ეპოქაში, მეორე მის მიერ...

11. ჰეროდორეს მიერ ნახსენები ალაროდები დანამდვილებით კერკეტები უნდა იყვნენ, ჰერაკლეს და თეზევსის მიერ განდვნილი კონტინენტალური საბერძნეთიდან.

12. ფიდენელები და ფალისკები ლათინებთან ერთად პირდაპირ მოსული ჩანან აპენინებზე, ინდოეთიდან ეგვიპტის გავლით...ან საბერძნეთიდან ჩა-მოსახლებულნი.

13. კლუზიის ეტრუსკებმა დახმარებაზე უარი უთხრეს ფიდენელ -ფალისკ-ვეიელ ეტრუსკებს, ომი თქვენი დაწყებულია ისე, რომ ჩვენ არაფერი გვკი-თხეთ და ჩვენი ჩარევის გარეშე უნდა დაამთავროთო...

14.ეტრუსკებმა ვეიელ და ფიდენელ ეტრუსკებთან სისხლისმიერი ნათესა-ობა აღიარეს (ეტრუსკები საერთო ჯამში ყველა განდხარვთა გენეტიკის მა-ტარებელია) და არ აუკრძალეს საკუთარი რიგებიდან ახალგაზრდებს მონ-აწილეობა რომის წინააღმდეგ ომში, თუმცა არაოფიციალურად, ომისთვის ომის გამოცხადების გარეშე.

15.. ხალკიდის „ბარბაროსები“ დანამდვილებით ვიცით რომ იბერიელები, ან ასაკენები არიან, თუმცა პელაზგთა ზედწოდება მხოლოდ დასავლეთ-ქართველურ ტომებს უმტკიცდებათ.
16. ტროას ომში მონაწილე პელაზგი აქილევსი ფტიოტიდიდანაა, თუმცა მისი მხლებელი მეომრები მირმიდონელები არიან-ახაიელები.
17. ლაკედემონის ორი მეფის არსებობას ჰეროდოტე საბერძნეთის ამ ნაწილში ახაიელების და ლაკედემონელების თანაცხოვრებით ხსნის, სავარაუდოდ სპარტელი ყველა მხედრად ითვლება, ახაიელები პეიროკების, პიროვნულად თავისუფალი მოქალაქეები არიან, რომლებიც სურვილის მიხედვით ირჩევენ სამხედრო ან სამოქალაქო ასპარეზს, ხოლო პირველმცხოვრები პელაზგები-იბერები ჰილოტების-ყმების როლს ახრულებენ.
18.ახშიპატოის ტეიპი ფირენჩული-ფრანგული სახელით იხსენიება-სავარაუდოდ ისინი ევროპული წარმოშობისანი არიან, ჯიქური-ბერძნული ან მადიარულ-უნგრული წარმოშობისა.
19.. რასაკვირველია გალგაელები სინამდვილეში გარგარიელები არიან, ამაზონთა მამაკაცური ნაწილი . როგორც ჩანს, შორეულ წარსულში ამაზონთა ტომი გაყოფილი ჩანან ორ ნაწილად: გალგა, რომელიც იმ დროისათვის ჩვეულებრივი წესით ცხოვრებას ამჯობინებს და ქისტი, რომელიც ჯერ კ იდევ მამაკაცური თავშეკავების ტრადიციას მისდევენ...
20. როგორც წინა წიგში ვისაუბრეთ, ეს სახელი ცორი-ჩორი (დაბალი ხმოვანით) ამ უღელტეხილის უძველესი სახელია, არშადის შემდგომი....
21. როგორც ირკვევა ტერიტორია, რომელსაც ჰისტიაოსი თხოვს სპარსელთა მეფეს, ოქროს მოპოვებით განთქმული მხარეა...
22. თვით ლეგენდარულმა მეორე მეფემ ისრაელისამ, ჯერ კიდევ ჭაბუკმა მწყემსმა შურდულით მოკლა გოლიათი...მკითხველს მოვახსენებ, რომ შურდული „რაგატკა“ არაა და მისი მეშვეობით კილოგრამზე მეტი სიმძიმის ქვის საკმაოდ შორ მანძილზე ტყორცნაა შესაძლებელი.
23. იუდეველთა ეს ნაწილი (სტრაბონის მიერ მიგდონებად წოდებულნი) ქუშებთან ერთად ჩანს მცირე აზიის სამხრეთი ნაწილისაკენ ლტოლვილი. აქეთვე დღესაც არსებობს ქუშის-ჩიტის ტბა, ვფიქრობ ისინი ქუშებს-ქართებს ეკუთნით...აქედანვე მგონია მითრიდატიდების და ატალიდების დინასტიები, რომელსაც ტრადიციულად სპარსულს ეძახიან...
24. უცხო ქვეყანაში, უცხო პოლიტიკური წარმონაქნის ჰისტიაოსის (ჰეკატე მილეტელის) მიერ მოთხოვნა პირადად ჩემთვის გაუგებარი იყო, სანამ თუკიდიდეს „პელოპონესურ ომებს“ არ წავიკითხავდი...ეს სატელიტური სამეფო ჰედონია აღმოჩნდა დედაქალაქი მირკინოსით და საკუთთარი მფე სპიტაკით, სადაც ოქროს საბადოს დამუშავება მიდიოდა...
25. მოსეს მიერ ამოყვანილი ებრაელების (და უცილობლად ადგილზე დამხ-

დურთაგან ორი სახელმწიფო წარმოიშვა: სახელმწიფო იზრალი ებრაელთა რვა მუხლის შემადგემლობით, და სახელმწიფო იუდეა ებრაელთა ორი მუხლის შემდგენლობით...

26. აქ, ჰელესპონტის (მარმარილის ზღვა) სიახლოვეს აღწერს სტრაბონი ნაბუქოდონოსორ II ლტოლვილ მიგდონებს, რომლებმაც ბაბილონის სამეფოს საზღვარი დატოვეს...აქვე, მათ სიახლოვეს არის მტკნარი ტბა, ქუშტეპედ ცნობილი...ჩიტების ტბას არ იცნობს მსოფლიო, აი ქუშების ტბა-სულ სხვა რამეა...

27. მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ ხეთების ტომი მცირე აზიაში გაქრა... თუმცა პომპონიუს მელას მიხედვით, ტომები არ ქრებიან: ისინი იქვე ცხოვრობენ სხვა სახელით, ან სხვაგან საკუთარი სახელით, ან სხვაგან, უკვე სხა სახელით...ვფიქრობ, სტრაბონის კატაონელები ისინი არიან პონტოს შემადგენლობაში (ისევე როგორც კატალონია ესპანეთის შემადგენლობაში) შესაძლოა გვიანდელი ლაზებიც ისინი იყვნენ, ჭანებისგან ენა ათვისებულნი...

28. ფრიგიელების ნასახლარზე მაკედონესები დაფუძნდნენ, თრაკიელებით (ბულგარებთან) შერევით...თავად ფრიგიელები ორ პოლიტიკურ წარმონაქმად ბინადრდებიან მცირე აზიაში: ერთი მის აღმოსავლეთ ნაწილში, ქურთები, მეორე მის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში, ფრიგია ეპიტეტი, გარდა არმენიისა, ასევე ფრიგიული ტომისა...

29. სავარაუდოსდ, პირველი დამარცხება ამაზონებმა ტევკრებისაგნ განიცადეს-ზუსტად ტროასათვის ომში...დამარცხების შემდეგ ისინი მცირე აზიის კიდურეს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროს გაეცალნენ და თერმოდონტთან დაემკვიდრნენ. ჰერაკლესთან და თეზევსთან ბრძოლა კი ნამდვილად თერმოდონტზე მოუხდათ.

30.თეთრი ჰუნები, ჰუნი-ხიონიტები სავარაუდოდ იბერები უნდა იყვნენ... **„წინ მიუძღოდათ ოქროსფერ მბზინავ სამოსში გამოწყობილი მეფე (სპარსეთისა) მას მარცხნივ მოსდევდა გრუმბატი, ხიონიტების მეფე, მრავალი გამარჯვებებით სახელგანთქმული, მარჯვნივ ალბანთა მეფე, თანაბარი მდგომარეობის და პატივით მაღალი“ (ამიანე მარცელანე, წიგნი XVIII, ალბანთა მეფე სპარსულ ლაშქარში)...აქვე, შემდეგ თავში ნახსენებია იბერთა მეფე მერიბანი-ალბათ მირიანი...** ხიონიტები განსაზღვრულია ამიანესთან, როგორც სპარსელთა მოსაზღვრე ტომი (ალბათ სამხრეთიდან)...

დისპოზიცია აშკარად მიუთითებს, რომ ამიანე ხიონიტებს უწოდებს ჰეროდოტესეულ მასაგეტებს-იგივე ტატებს და იგივე ხაონებს-იბერებს... ჭეშმარიტად მართლდება პომპონიუს მელას სიტყვები ტომების პრაქტიკულ უკვდავობაზე...

31.სტრაბონი რომაელებისა და ლათინების საერთო ენაზე ლაპარაკობს-ეს უკვე თითქმის XIII საუკუნე თანაცხოვრების შემდეგ...თუმცა მათ ლინგვა-ფრანკა ენა წარსულშიც საერთო უჩანთ: ლათინები განდხარვები არიან, ხოლო რომაელების ქალური საწყისი-ეს აფსარებია...

32. მინოსი სიცილიაში დდალოსის საძებნელად ჩანს ჩასული, რომელიც შვილთან ერთად ამ უკანასკნელს გაექცა კრეტიდან...მინოსი სპის თანხლებით არ მოგზაურობს სიცილიაში, სადაც მისი ყმების, უთუოდ კურეტების სახლიკაცები ბინადრობენ, თავად კურეტი კოკალის სუზერენობით.

33. მინოსელების ჩასვლით და დაფუძნებით კუნძულ კრეტაზე, ომის არავითარი ნიშნები არა ჩანს ადგილობრივ ავტოხთონებთან, იბერებთან, თუმცა მოსახლეობის მონაცვლეობის ერთი უცილობელი ნიშნი სახეზეა: კრეტაზე ქრისტემდე 1470 წელს ყველა საყდარი-სალოცავი დაინგრა, თუმცა არა მიწისძვრის შემდეგ-მიწისძვრა მხოლოდ ტაძრებს არ არჩევს- ეს მინოსელებმა დაანგრიეს „ბარბაროსთა“ სალოცავები და საკუთარი ააშენეს.

34. ზღვაზე კაბოტაჟური (ხმელეთის ვიზუალურად არ დაკარგვა) ცურვით დაშვებული ფინიკიელები სპარსეთის ყურეში ჩიხში აღმოჩნდებოდნენ, სანამ უკან არ გაბრუნდებოდნენ და მეწამულ ზღვაში არ შეცურავდნენ-თუმცა ეს უკანასკნელიც ჩიხია.

35. ელამურში სულ 120 მარცვალი იკრიბება, ნორმალურზე 2ჯერ ნაკლები. შესაბამისად ამ ანბანზე ჩაწერილი ტექსტი გამარტივებული, ფაქტიურად სტენოგრამა გამოდის...

36. 40 ასონიშანი ლურსმნული, 600 მარცვალს მოიცავს, გარდა დამატებითი სამასოიანი სპეციფიკური მარცვლებისა.

37. ჰეროდოტეს მიერ აპოლონ ისმენიელის ტაძაში ნანახი პელაზგურ-იონიური დამწელობა უკვე რეფორმირებული ჩანს...

37*ძალიან ჰგავს ვიზუალურად სპარსული ლურსმნული და ელამური ლურსმნული, ფაქტიურად 100% მეორდება აოთა გამოსახულება, თუმცა მათი მნიშვნელობა არ ემთხვევა ერთმანეთს, ადგილმონაცვლებულია. ამასთან, სპარსული ლურსმნული ასოვანია, ერთი ასო ნიშანი აღნიშნავს ერთ ბგერას...და საიდან ასეთი ნატომი მწრელობაში სპარსეთში, ერთბაშად ლურსმნულის ანბანად გადაქცევა-სულ 42 თუ 44 ასონიშანი? ელამური ოფიციალურ ცნობებში მოხსენებულია სპარსელების წინაპრად, რომელსაც ხაზოვანი დამწელობა, ოფიციალურად დფიქსირებული, ჯერ კიდევ ქრისტემდე XXIV საუკნეს ჰქონდა... ცხადია ლურსმნულ-ანბანოვანი დამწერლობა ელამიტებმა შეუქმნეს სპარსელებს-თვითონ უკვე ჰქონდათ საიდუმლო ანბანური დამწერლობა...

38. დასახლებული ხაონები ეპირსა და აპენინებზე, რეზონანსში მოდის ბიბლიური ხავილისა, ისევე როგორც ამიანე მარცელანეს ხიონიტებთან. ეს

ერთი და იგივე იბერიული ტომია.
39.ეპირში-კოლხეთყოფილში უკვე ცენტრალური და მთავარი ტომები მოლოსები არიან და არა თესპროტები....
40. ხეთების სამეფო რასაკვირველია დასუსტდა მიგრაციების შედგად, და მით უმეტეს უკვე სხვა ტომების მოზღვავების გამოც, რომელიც ამ ტომების ეგვიპტიდან განთავისუფლების მერე შეიქმნა.
41.კატაონებს აღნიშნავს პონტოს შემადგენლობაში სტრაბონი...1/10 ნაწილს პონტო-კაბადოკიისა...ცხადია ესენი ხეთები არიან, პუნები-გამოცხადებული უკვე გამქრალ ტომად...ასევე მოდის კატაონია რეზონანსში ესპანურ კატალონიასთან, ასევე პუნებთან.
42. ადრიატიკის ზღვაზეც კატაონელები-ხეთები ჩანან ჩამოსალებულნი, ისინი აქ ვენეტებად და ალბანელებად იწოდებიან.
43.ფულე-ეს ალბათ პუნების დამახინჯებული ფორმაა.
43*ასოების რეფორმა სავარაუდოდ ქრისტემდე XIIსაუკუნეს მოხდა ბერძნების და ალბანების მიერ და არა საუკუნით წინ...
44. ინდურ ეპოს „მახაბხარატაში“ ნახსენები რკინის კბილებში ალბათ მეტალის პროტეზი იგულისხმება...რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, ზოგი ტომისათვის ეს ხელობა ალბათ ცნობილი იყო...
45.ავატარი-სინამდვილეში არსებული ფორმა უნდა იყოს...აქილევსი კრიშნას ავატარი ჩანს, რომელიც მხოლოდ ქუსლში არის მოწყვლადი, და რომელნიც ზუსტად ქუსლში მორტყმული ისრით დაიღუპნენ... 18-19 საუკუნის შემდეგ განმეორებულნი დედამწაზე...უბრალო დამთხვევად ჩავთვლიდი და არც მივაქცევდი ყურადღებას, რომ არა პავსანიას, ბერძენი ანტიკური მწერლის მიერ მითითებული ეპიზოდი: ელადის აღწერაში პავსანია აღწერს (ელადის აღწერა, წიგნი XXXII) იმავე აქილევსის ეპოქაში XIII საუკუნეს ქრისტემდე უცნობ დევგმირ მეომარს, რომელიც სახნისით კლავს უამრავ მოწინააღმდეგეს... ეს ეპოსის მიხედვით კრიშნას ძმა რამაა, რომელიც მუდამ ატარებდა თავზე სახნისს და მის დანიშნულებას ვერ კი ვხვდებოდი...

ტექსტი N1

1.ARMENIA MENOR-აღნიშნული ტერიტორია ტრაპეზუნდის ჩათვლით უკვე სინამვილეში იბერიული, ხაონების და მოლოსების იბერიული ტომით დასახლებული, ყოფილი საპერები...

2. მის გვერდზე არსებული პონტოს სამფო იბერიული და ნაკლებად ჭან-ური ტომებითაა დასახლებული...აგრეთვე ხეთი კატაონებით...

3. ქალაქი მაზაკა, უკვე კაბადოკიაში ნაჩვენები, ასევე სკენიტი იბერები იყვნენ, მათი სახელია მასაგეტები-სკები, რომლებმაც ქრისტემდე 690 წელს სკვითები განდვნეს, კასიის დასავლეთი სანაპიროთი, ტატებად ხმობილნი...

4კილიკია უერებოდა პონტოს და ასევე იბერიულ ტომით იყო დასახლებული...

5.ოსრონათი აღნშნული სამეფო სინამდვილეში ედესის იბერიული სამეფო იყო, მეფის დინინასტიური სახელი აბჯარი...ერთ -ერთ მეფეს მიმოწერა ჰქონდა იესო ქრისტესთან, პირველი ქრისტიანული სამეფო მსოფლიოში...

რუქაზე აღნიშნულია უსინის და ლარსას სვანური ტომის ქალაქები, რომ-ლებიც ფაქტიურად 800 წელი მართავდნენ ბაბილონს...აქედანაა ის სვან-ური და შუმერული ენების გადაკვეთები...ქრისტემდე 400 წელს დრეიფ-ობდნენ ტრაპეზუნდას ზემოთ მდებარე კლდეებში, თუმცა 328 წელს უკ-ვე ჩრდილო კავკასიაში, გელებთან და ასირიელებთან (დღევანდელ ჩეჩ-ნებთან შეხვდნენ ალექსნდრე მაკედონელს...სხვათაშორის საკუთარი, პარ-ოპამისის სახელით, რაც გამორიცხავს მეორეხარისხოვან ტომებად მათ ყოფნას (რბილად რომ ვთქვათ)

1.მარი-ქალაქი პოლისი, უკვე არა აქადური იმპერია, უმცა საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლება მაინც შენარჩუნებული უჩანს...

2.აღნიშნულია ებლასთან-ფინიკიურ სამეფოსთან მისი კონფლიქტი, რომლიც შორეულ წარსულში ჩანს მომხდარი (ქრისტემდე XXV-XVIII საუკუნეებში) ჩემთვის უცნობია ის წყაროები, რომლითაც GEOPGIKA მარდაიტებს ლბაანიდან (ფინიკიიდნ) შემოსულებად მიიჩნევს, თუმცა ჰეროდოტეს მიხდვით, მარდები გაცილებით ჩრდილო- დასავლეთისალენ მოიაზრება. აბსოლუტურად ეთანხმება ამ აზრს „დიდი არმენიის აღმწერელიც, რომელიც ამ პოლიტიკურ წარმონაქნს „დიდი არმენიის“ ფარგლებში აქცევს...

3. დღევანდელი თურქული ქალაქი კახრამან-მარაში დიაბექერის მახლობლად, ამავე ტომისა ჩანს, ისინი კოლხების გვედით ირჩევენ საომარ მწყობრში ადგილს, ერთი (სპარსელი) სარდლის მეთაურობით)..კახრამან მარაში-სინამდვილეში ყარამან მარაშს ნიშნავს...

Bharata Conquered Gandhara
Kamboja
Bharata's mother Kaikeyi's Maternal Kingdom is Kekeya
Sivi
Kamyaka
Dwaita
Sudra (Sura)
Arbuda
Saraswata
Ayanti
Vindhya Mo
RAMA's TRAVELS
Saurashtra
Rama later shifted to Panchavati (Nasik)
Ravana's governor Khara ruled at Janasthana
Surparaka
Dandaka Forest

Locations are based on the narrations
in the Indian epics and in the Buddhist texts.
100% accuracy is not claimed.
Kailasa
Mountains
Nepa
Kirata
Sita's Native
Kingdom is Videha
Rama's
Kosala
Videha
Anga
Pundra
Kalinga
Rikshba Mountains
Vanga
Mekala
Odra
Taitilaka
Sabara
Mahendra
Kalinga
15
16
17
18
19
20
21
22
23

1. განდხარა-იმერული ტომი; 2. კეიკაია-ერთი 20 განდხარვული გვარიდან. 3.მადრა- მადრები- დღეს ბასკები; 3* ბახლიკები- არატები, სპარსელები, სინ-მდვილეში უკვე ინდოეთს გარეთ მოსახლენი; 4.ტრიგარტა- სამციხელები-თუშები, საეჭვოა რომ მათი ეს განლაგება სწორი იყოს, ისინი მატსიების და კიჩაკების მეზობლები უნდა იყვნენ; 5. პანჩალი, ქურთები; 5* პანჩალი სომაკები-სომხები; 6. კურუქშეტრა, საომარი ველი; 7.ხასტინაპური-ინდოეთ-ის მთავარი ქლაქი; ; 8.ინდრაპრასტხი-პანდავების ქალაქი 9. მატსიები- ერთი განდხარვების 20 გვარიდან; 10.მატხურა-კრიშნას ადრინდელი ქალაქი;11.კი-ჩაკა-ყივჩაღები. 12. შალვები; 13.აბხირა-აბხისარები, ფინიკიელები; X.მალავი-იბერები-მაურები-საკები;14.დვარა-კა, კრიშნას ახალი ქალაქი-იქვე ბხოჯები, 20 განდხარვული გვარიდან; 15.განდხარვა-გელები, ჰერები; 15*. კირატა-ას-ა-კენები, ხევსურები; 16. კოსალა-სინამდვილეში კაშის ტომი, ქართლი; 17.კუ-შავატი-იგივე; 18. კაში -იგივე; მცხოვრებნი უტარა- პრადეშის შტატში, ინ-დოეთის ფლორენცია... 19. ჩედი, ერთი 20 განდხარვული ტომიდან; 20. კო-სალა- კახის ტომი; 21. ასურა-აშურა-ასირიელები; 22. მაგადხა-ჯარასხანდის ქალაქი; 23.შონა-მდინარე, პანდავების ქალაქ ინდრაპრასტხს და მაგადხას შორის, სვანების მდინარე, ზუსტად ამავე სახელით ახსენებს ამ მდინარეს ალ-ბირუნი,XI საუკუნის არაბი სწავლული; 24.ჩოლი-ერთი 20 განდხარვუ-ლი გვარიდან; 25. დრავიდა-ერთი 20 განდხარვული გვარიდან; 26. კოლხაპ-ური, კოლხთა ქალაქი; 27. ჩინების ტომი კოლხაპურსა და დვარაკას შორის.